

ვენაიკი იმსენი



დასაქმებნი

მსოფლიო ლიტერატურის  
ბიბლიოთეკის სარედაქციო საბჭო

---

- ბ. აბაშიძე
- ა. აღაშია
- ზ. ასვლედიანი
- ბ. ბაქრაძე
- თ. ბუაჩიძე
- ბ. ბაჩიანი
- ა. გომიანი
- დ. დუნდუა
- თ. მარტოვი
- მ. თოდუა
- ც. თოფჩიანი
- მ. კვიციანი
- დ. ლავროვი
- კ. ლორთქიფანიძე
- ე. მაკრაძე
- ბ. მელიქი
- ბ. ნატროვი
- ბ. შაქნაძე
- შ. სულაბერიძე
- ხ. ყაუხჩიანი
- ნ. ყიასანი
- დ. შინგალია
- რ. ჩხეიძე
- ბ. ციციანი
- ვ. ველიძე
- ბ. ხუციანი
- რ. ჯინორია

მხატვარი

ლადო გრიგოლია

მოსკოვი, 1956 წელი  
საბჭოთავი

## პენრიკ იბსენი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ხახვეოის სსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ნორვეგიულ შექსპირად“ წოდებულ გენიალურ დრამატურგს—პენრიკ იოჰან იბსენს, რომლის პიესებმაც უკვე სამოციან წლებში დაიპყრო სკანდინავიის თეატრები, ხოლო სამოცდაათიანი წლებიდან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მსოფლიო თეატრების რეპერტუარის განუყრელ ნაწილს შეადგენდა.

ქენრიკ იბსენის დრამატურგიის შედეგები დაწერილია ხოლოვეგიული ლიტერატურის ისეთი აღმავლობის პერიოდში, რომლის მსგავსი, ენგელსის შენიშვნისამებრ, იმ ხანაში, გარდა რუსეთისა, არც ერთ ქვეყანას არ განუცდია. ნორვეგიული ლიტერატურის ეს აღმავლობა გაპირობებული იყო ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებით. სახელდობრ იმით, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ევროპის ბურჟუაზიამ მთლიანად დაკარგა ოდესღაც პროგრესულ-რევოლუციური სახე, ხელიდან გაუშვა ეროვნული დროშა და, რეაქციულ ძალად ქცეულმა, საბოლოოდ ვამპოავინა ანტიბალზური და ანტიპუმანური ბუნება, „თავისი იზოლარებულიობის, აგრეთვე ბუნებრივი პირობების გამო“<sup>1</sup> კაპიტალისტურ განვითარებას ჩამორჩენილი ნორვეგია, სადაც საუკუნის ბოლოსაც კი მხოლოდ „სპორადულად“ ჩნდება „მსხვილი მრეწველობის რაღაც ჩანასახები.“<sup>2</sup> წარმოვედგება წვრილბურჟუაზიულ ქვეყნად, რომელიც იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ეროვნული კულტურის შექმნისათვის. ნორვეგიელი წვრილი ბურჟუა კი — შეილი ნორვეგიელი თავისუფალი გლეხისა, „რომელიც არასოდეს ყოფილა ყმა“, გვევლინება კაპიტალისტური სინამდვილის მიერ ჯერ კიდევ ზნეობრივად შეურყენელ, სულიერად მტკიცე, „ნამდვილ ადამიანად“. და ძალა იბსენის დრამატურგიისა დიანაც ისაა, რომ — ბურჟუაზიული დრამის დაქინების პირობებში — ევროპის სცენაზე გაბატონებულ ნატურალისტურ-დეკადენტურ პიესათა არსებითად უნებისყოფო, სულიერად დასახიჩრებულ, ხალხის მასის მიმართ ქედმიდლურად განწყობილ და რაიმე დადებითი იდეალისათვის ბრძოლის უნარს მოკლებულ „გმირებს“ უპირისპირებს სწორედ ამ „ნამდვილ ადამიანს“. მთლიანი ბუნების მქონე ძლიერ პიროვნებას, რომელიც შეუპოვრად იბრძვის თუმცა აბსტრაქტული, მაგრამ მაღალპუმანური იდეალებისათვის. ამიტომაც სწერდა ფ. ენგელსი 1890 წლის 5 ივნისს გერმანელ მწერალსა და კრიტიკოსს პაულ ერნსტს: „როგორც არ უნდა იყოს ნაკლოვანებანი. მაგალითად. იბსენის დრამებისა, ისინი აგვისასავე თუმცა წერილ და საშუალო ბურჟუაზიულ.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეულა წერილება, თბილისი, 1949, გვ. 462.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 463

მაგრამ გერმანულისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროს, სადაც აღიმიანებს ჯერ კიდევ გაანსიათ ხასიათი და ინიციატივა და დამოუკიდებლად მოქმედებენ<sup>1</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იბსენის დრამათა ნაკლოვანებანი, მთელი მისი შემოქმედების წინააღმდეგურობა გაპირობებულია იმავე წვრილბურჟუაზიული გარემოთი, რომელმაც განსაზღვრა მისი მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მანკიერებათა წინააღმდეგ ამხედრებულ დრამატურგს, მარსა-ლია, თავისუფლება კი მიუწინეცა კაპიტალისტური ურთიერთობით დაშასხინჯებული სასოგადოებისა გაჯანსაღებისა და კაცობრიობის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად, მაგრამ თავისუფლებაც და მისი განხორციელებისათვის ბრძოლის გზაც მეტისმეტად აბსტრაქტულად წარმოუდგენია. თანაც იმავე წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობის გამო იგი მხოლოდ ბუნდოვნად შეამჩნევს, მაგრამ ღრმად მინც ვერ ირწმუნებს უკვე რეალურად არსებულ პოტენციურ ძალას, რომელსაც შეეძლო ჰქმარიტი თავისუფლებისათვის თანმიმდევრული ბრძოლა, და ამიტომ მთელ იმედს ძლიერი ნებისყოფის მარტოხელა პიროვნებაზე ამაყარებს. თუ-ცა იბსენის ძლიერი ნებისყოფის მარტოკაცი პრინციპულად განსხვავდება ანტი-დემოკრატიული ინდივიდუალიზმის ბაირასტარის ფრიდრიხ ნიცშესა და მისი მიმდევრების მიერ იდეალად დასახული „ქერაამიანი ბესტიასანს“, სკეიისა და ბროსტების მიღმა მდგომ „ზეკაისაჟან“, რომელიც ხალხის მასას მონური ცხოვრებისათვის დაბადებულ უბირ ბრბოდ მიიხნევს მსოლოდ. პენრიკ იბსენის მარტოხელა პიროვნებები, პირიქით, ხალხის ცხოვრების ძუსუნაწოვი უდრეკი ნებისყოფის აღამიანები არიან, რომლებიც ხალხისავე ბედნიერებას სწირავენ თავს, ხალხის მკაცრ, მაგრამ სამართლიან მასწავლებლებად გველაწევიან. მისი ზნეობრივი სისზეტაისა და ამაღლებისათვის იღვწიან და თუ სიმდაბლის, ორპირობის, მლიქვნელობისა და ცრურწმენის წინააღმდეგ უკომბრომისო ბრძოლაში იღუპებიან, მათი ტრაგიკული განწირულებების მიზეზია სწორედ მარტოხელობა, ხალხის დარწმუნებისა და თანგაყოლის უუნარობით პირობადებული სულით ობლობა, გამოწვეული მოუშადებლობით იმე ლახისა, რომლის კეთილდღეობისა ეს გმირები ემსხვერპლებიან, მაგრამ რომელიც, ზოლოს და ზოლოს, ამ გმირთა ღეწლით გონებაგასხნილი, ძლევაშოსილად დაავერიგვინებს კაცობრიობის ბედნიერებისათვის წარმართულ ბრძოლას

\* \* \*

პენრიკ იბსენი დაიბადა 1828 წლის 20 მარტს ნორვეგიის პატარა ქალაქ შიენში. მამა პენრიკისა — კნუტ იბსენი, ერთ დროს შექმლებული ვაჭარი — 1837 წელს იძულებულ გახდა თავი ბანკროტად გამოეცხადებინა და მომიჯალ დრამატურგს ბავშვობიდანვე მოუხდა ლუკმაპურისათვის მძიმე შრომა. 1843 წელს 15 წლის პენრიკი შევირდად დაუდგა ერთ მეაფთიაქეს გრიმსტალში, სადაც მან 1850 წლამდე დაყო-აქ დაუახლოვდა იგი რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდებს და მათი თავკაციც გახდა. აქვე დაწერა მან 1848—1849 წწ. ზამთარში თავისი ტირანთმებრძოლური დრამა „კატილინა“ და თებერვლის რევოლუციით, უნგრეთის აჯანყებითა და შვე-

<sup>1</sup> კ. პარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949 წ. გვ. 463.

ციის ბატონობის წინააღმდეგ ნორვეგიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით შთაგონებული ლექსები. დაახლოებით 25 წლის შემდეგ უკვე სახელმწიფოებრივი ღრამატურები „კატილინას“ წინასიტყვაობაში თავისი პირველი პოეტური ცდების გამო წერდა: „მე მაღალფარდოვან ლექსებს ვუძღვნიდი მაღიარებს, გამსწნევებდი და მოვუწოდებდი განეგრძობათ კეთილანი სამართლიანი ბრძოლა „ტირანებთან“, კაცობრიობის თავისუფლებასა და თვითღმრთობისათვის“.

ამ ლექსებს, რომლებსაც იგი, მისივე აღიარებით, მხოლოდ მეგობართა ვერო წრეში კითხულობდა, „საქვემო დაფნის გვირგვინი“ მოუპოვებიათ იმსენისათვის, მაგრამ „წესიერი“ სასოვალოების განსაკუთრებული გულისწყრომა გამოუწვევია მის გესლიან ეპიგრამებსა და კარიკატურებს, რომელთა გამო ბევრი ისეთი აღამიანიც მოუძღვრებია, ვის კეთილგანწყობასაც იგი თურმე ღიად აღასებდა. მიუხედავად ამისა, მეამბოხურად განწყობილ დამწყობ პოეტს უკან მიიწი არ დაუხეხია და უკომპრომისოდ ებრძოდა მანკიერებებს პატარა სასოვალოებისა, რომელშიც თვითონ ტრიალდება. იბსენი თავად ზემოთ აღნიშნულ წინათქმავში ასე იხსენიებს გრიმსტადას ბერიოდს: „დიდი საერთაშორისო ქარიშხლის სმაურში მეც ჩემს პატარა სამყაროში ვეგრძობდი იმ ვიწრო სასოვალოებს, რომელთანაც აღმოჩნდი მიჯაჭვული ვარემოებთან და ცხოვრების პირიბების ძალით“. მაგრამ წვეთი წყალი მდინარისაგან მართლოდენ რაოდენობით განსხვავდება და არა შედგენილობით. იბსენის ვაკიცხვის ობიექტად ქცეულ პატარა სასოვალოებს იგივე კნებები ამოძრავებდა, რაც დიდს და ამ სასოვალოების მახსნჯ მხარეთა წინააღმდეგ ამხედრება, თუნდაც მცირე მასშტაბით, არსებითად უკვე იმსწავლა ბრძოლას იმ მაღალპოქმანური იდეებისათვის, რომელსაც მიუძღვნა დიდმა ნორვეგიელმა მთელი თავისი შემოქმედება.

1850 წელს იბსენი ნორვეგიის დედაქალაქ ქრისტიანიაში (ახლანდელ ოსლოში) გადასახლდა. აქ იგი დაუახლოვდა მუშათა მოძრაობას და ჩაება დედაქალაქის პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში. ახალგაზრდა პოეტი და ღრამატურები აქტიურად თანამშრომლობდა „მუშათა ვაერთიანების გაზეთში“, სტუდენტთა სასოვალოების ჟურნალში და, განსაკუთრებით, ჟურნალ „ანდრიმნერში“. ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსების, თეატრალური რეცენზიების, პოლიტიკური პამფლეტებისა და პოლიტიკურ-ლიტერატურული პაროდიების დიდი უმრავლესობის ავტორი იბსენი იყო.

1852 წელს იბსენი ბერგენში მიიწვიეს ნორვეგიის ახლად დაარსებული, პირველი ეროვნული თეატრის რეჟისორად. აქ მან 1857 წლამდე დამყო. 1857 წელს კი კვლავ ქრისტიანიაში დაბრუნდა, სადაც 1864 წლამდე მოღვაწეობდა.

როგორც იბსენის ბიოგრაფები აღნიშნავენ, ღრამატურების ცხოვრებაში ქრისტიანის მთავრე პერიოდი ყველაზე მძიმე ხანა იყო არა მარტო ეკონომიური ხელმოკლეობის გამო, არც იმიტომ, რომ რეაქციული კრიტიკა სასტიკად სდევნიდა თანამედროვე სასოვალოების მანკიერებთა წინააღმდეგ ამხედრებულ პოეტს, ხოლო ნორვეგიის ბურჟუაზიის ფართო ფენები არ აღიარებდნენ მას, — არამედ, უმთავრესად იმის შედეგად, რომ მან ნორვეგიის ბურჟუაზიულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი დაპყარვა რწმენა, რამაც გააღრმავა მისი შინაგანი წინააღმდეგობა და მსოფლმხედველობრივი კრიზისი. და ამ შინაგანი წინააღმდეგობით განაწამებმა პოეტმა 1864 წელს დატოვა თავისი სამშობლო. მან, თავისი ცხოვრების

განუყრელ თანამგზავრ სიუზანა ტორესენთან ერთად, რომელიც 1857 წელს შეირათო. ოთხი წელი იტალიაში გაატარა, უმაჯარესად რომში. ხოლო შემდეგ, თითქმის 23 წლის განმავლობაში, გერმანიის ქალაქებში — დრეზდენსა და მიუნხენში ცხოვრობდა. საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივ პერიოდში იბსენი მხოლოდ ორჯერ — 1874 და 1885 წწ. ეწვია ნორვეგიას, საბოლოოდ კი 1891 წელს დაბრუნდა სამშობლოში უკვე ღვაწლმოსილი, საქვეყნოდ აღიარებული დრამატურგი, რომლისთვისაც, კლარა ცუტკინის აღნიშვნისამებრ, „შემოქმედება ბრძოლას ნიშნავდა“ და რომლის „მხატვრულ გენიას არასოდეს მოუხრია ქელი უსუსურ, მონიებერ ლაჩარ და გამყიდველ აღამიანთა წინაშე“.

პენრიკ იბსენი გარდაიცვალა 1906 წლის 23 მაისს. თავისი უკანასკნელი პიესა კი — „როცა ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ“ — 1899 წელს დაწერა. დიდი სოციალური ძვრებითა და ისტორიული მოვლენებით საეცე შეიდი ათეული წელი ჰყოფს ჩვენს ხანას იბსენის სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიდან, მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლი დრამატურგის შემოქმედებას სულაც არ დაუკარგავს აქტუალობა, ამჟამადც წარმოადგენს იგი ანგარების, მლიქვნელობის, ორბირობის, ცრუ ფრანზიორობისა და სიმდაბლის წინააღმდეგ მიმართულ ბასრ იარაღს, რომელსაც წარმატებით იყენებს პროგრესული კაცობრიობა თავის სამართლიან ბრძოლაში.



ხანგრძლივი და რთული იყო პენრიკ იბსენის შემოქმედებითი განვითარების გზა. თუმცა თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე სახელმწიფოებრივ დრამატურგს არასოდეს უღალატია ახალგაზრდობაშივე აღიარებული მაღალი იდეებისათვის, მაგრამ, „მუდამ ახალი გზების მწვერავს“, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთმიმართების შესაბამისად, ხშირად შეუცვლია ამ იდეათა განხორციელებისათვის ბრძოლის საშუალებანი და, მასთან ერთად, — ევროპულ ლიტერატურაში გაბატონებული ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულების გავლენითაც, — შემოქმედებითი მეთოდი. არსებითად სწორედ შემოქმედებითი მეთოდის მიხედვით იყოფა სამ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ პერიოდად იბსენის ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც, ამავე დროს, თავისი იდეური სიღრმით, მაღალი მხატვრული ოსტატობითა და მებრძოლი კრიტიკული სულიკვეთებით უარეულად მონოლითურია. იბსენის მკვლევარებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ სრულიად სხვადასხვა პერიოდებში მისი შემოქმედებისა, რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია აღამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსით, მსგავს პრობლემებთან ერთად გიხედება მსგავსი მოტივები და სახეებიც კი.

იბსენის შემოქმედების პირველი პერიოდი, რომელიც ძირითადად ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეძღვნება და უპირატესად რომანტიკულ ხასიათს ატარებს, მოიცავს 1848 — 1864 წწ. ეს პერიოდი „კატილინათი“ იწყება, ტირანთმებრძოლური, მეამბოხური სულისკვეთების დრამით, რომლის მთავარი გმირი თავის წარმოკვდივეს ძალმომრებლის სასტიკ მტრად, თავისუფლების მოტრფილედ და მეგობრად ყველა კაცისა, ვინც იჩაგრება. და რომსაც იმიტომ ამხედრებია, რომ „მართალი არის რესპუბლიკად იხმობა რომი, მაგრამ დაიდეს მოქალაქის ზუნდები მონის“. თუმცა კატილინას მამოძრავებელი იმპულსი პატივმოყვარეობაა, ძალაუფლების მო-

პოეზია სურს და განდიდებისაკენ მიისწრაფვის (ნეტა ერთხელ შემძლებოდა გამოზრ-  
წყინება ზეცის თალიდან მოწყვეტილი ვარსკვლავის მსგავსად, ერთხელ მიიწე ჩამე-  
დინა საგმირო საქმე, რომ უკიდავმყო სამუდამოდ სახელი ჩემიო, — ნატრობს),  
მაგრამ ამ განდიდების საშუალებად კეთილშობილური მიზანი მიუჩნევია, განუზრ-  
ხავს ალაღვინოს „წარსული დიდება რომისა“, სადაც, დრამის ერთ-ერთი გმირის,  
ფურიას სიტყვით, ახლა „ზეიადი სული აქ საბარბო მონად ქცეულა და ლალი ფრენა  
ადარ ძალუძს, რადგან სიმდაბლე ყოველ ნაპირწყალს სიმართლისას მაშინვე აქრობს,  
სანამდე იგი ციურ ციცხლად ვაღიქცეოდეს“. სწორედ ამ მაღალი იდეებით განსხვავ-  
დება კატილინა რომის წინააღმდეგ ამხედრებულ სხვა მემამბოხეთაგან, პრინციპუ-  
ლად უპირისპირდება ლენტულუსს, ცეთეგუსსა და მათ მსგავსთ, რომელთაც ვერ  
გაუგიათ კატილინას მიწრაფება — „მოუპოვოს თავისუფლება მოქალაქეთ და სახელ-  
მწიფოს — კეთილდღეობა“. განაახლოს მანკიერებით შერყენილი ადამიანი და გარ-  
დაქმნას საზოგადოება.

ანგარებით შეპყრობილ პატრიციებს ლენტულუსსა და ცეთეგუსს ძმთა შორის  
სისხლისმღვრელი ომის გაჩაღება მანკიერების აღმოსაფხვრელად და თავისუფლე-  
ბის დასამყარებლად კი არა სურთ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ „ცეცხლმოკი-  
დებულ, აბოლებულ ნანგრევთა შორის უფრო იოლად მოიხეივენ, რასაც ეძებენ —  
ხელს შოითბობენ და აღზევდებიან“. და კატილინაც, დარწმუნებული, რომ ასე დაბ-  
ლა დაცემული ბრბო, რომლის „მოდუნებულ მონურ სულში“ „სიმხდალე და ლა-  
ლატი“ ბუდობს მხოლოდ, ვერ გამოადგება მას დიად მიზნისთვის მებრძოლ ძა-  
ლად, „კეთილშობილი ყაჩაღის“ კარლ მოორის მსგავსად, სასოწარკვეთილი წამოიძა-  
ხებს: „ვაი მე, სულელს, რამეთუ ვიმედოვნებდი და მწამდა კიდევ თქვენთან ერთად  
გამარჯვებისაო“.

იბსენის „კატილინას“, როგორც არაერთგზის აღენიშნავთ, ამკარად ეტყობა  
შილერის „ყაჩაღებისა“ და „ფიესკოს შეთქმულების“ გავლენა. ამას მოწმობს არა  
მარტო ცალკეულ გმირთა ხასიათები, თავისუფლების აბსტრაქტული წარმოდგენა და  
ტირანთ წინააღმდეგ ბრძოლის მგზნებარე პათოსი, არამედ უმთავრესად ის, რომ  
შილერის აღნიშნული დრამების მსგავსად „კატილინაშიც“ გმირთა ტრაგედიის  
მთავარი მიზეზი მორალურ ასპექტშია ვადატანილი და ადამიანთა მორალური არა-  
სრულყოფილებითაა ახსნილი.

პირველ პერიოდში, „კატილინას“ შემდეგ, იბსენი თავისი დრამების უმრავლესო-  
ბას ეროვნულ-ისტორიულ და ფოლკლორულ სიუჟეტებზე წერს. მართალია, ახალ-  
გაზრდა დრამატურგი 1851 წელს დაწერილ „ნორმაში“ — ყალბი ბურჟუაზიული  
ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის წინააღმდეგ მიმართულ ერთმოქმედებიან პიესა-  
პაროდიასი — გესლიანად დასიცინის „ნორვეგიულ ეროვნულ რომანტიზმსაც“, მის  
ფრაზიორობას, წარსულის იდეალიზაციას და აწმყოს მეხოტბეობას, მაგრამ თავადაც  
უხდის მას ხარკს, განსაკუთრებით პიესებში „ნადიმი სულაუეში“ (1855) და  
„ოლაფ ლილევრანსი“ (1856). თუმცა ისიც აღიანიშნავია, რომ იბსენის რომანტიზმი  
მნიშვნელოვნად განსხვავდება „ნორვეგიული ეროვნული რომანტიზმისაგან“, რომლის  
ცდას — მაღალფარდოვანი ფრაზებით შეელამაზებინა თანამედროვე ცხოვრების მ-  
ხინჯი მხარგნი და ხელოვნურ სტილიზაციას დრამატურგმა ხალხის ცხოვრების ცოდ-  
ნა და სინამდვილის მართალი ასახვა, ხალხური პოეზიის სიღრმეში ჩახედვა და არა

მხოლოდ ფორმის მიბაძვა დაუპირისპირა. ამასთანავე, ნორვეგიის ისტორიასა და ძველ საგმირო საგებს იბსენი წარსულის იდეალიზაციისათვის კი არ მიმართავდა. არამედ თანამედროვეობის საჭირობორატო საკითხთა გადასაწყვეტად იყენებდა. იქ ეძიებდა და პოულობდა კიდევ დრამატურგი სათანადო მასალას იმ პეროიკული სულისკვეთების გამოსახატავად, რომელიც აკლდა თანამედროვე სასოვადობებს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე პენრი იბსენი, თავის ნაწარმოებებში ხატავდა უღრევი ნებისყოფის, მტკიცე სასიათის აქტიურად მოქმედ ისტორიულ თუ ლეგენდარულ გმირებს, რომლებიც, თავიანთი იდეების მუდამ ერთგულნი, შეუპოვრად იკაფაენდნენ გზას დასახული მიზნისაკენ და საჭიროების შემთხვევაში უყოყმანოდ ეწირებოდნენ მის განხორციელებას, და ამით არა მარტო მავალითს უჩვენებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთ, არამედ, უმთავრესად, ნიღაბს სდიდა თანამედროვე სასოვადობების „მოღუენებულ“, „მონურად“ მორჩილ ნაწილს, რომლის სულში „სიმისდალე და ლალატი“ ბუღობდა, და რომელსაც მალალი პრინციპების ნაცელად ვიწრო, ანგარებიანი ინტერესები ამოძრავებდა.

ისტორიული თუ ლეგენდარული სიუჟეტების თანამედროვეობის ინტერესებისათვის გამოყენებითაა ნაკარნახევი ისიც, რომ იბსენი თავის დრამებისათვის გულმოდინედ ეძებდა მასალას, რომლის მხატვრული განსოვადებითაც შეიღებდა გამონახატა თავისი პრინციპული დამოკიდებულება არსებული სასოვადობერიეი ვითარებისა და მოვლენებისადმი, ზედმიწეენით იცავდა ასასახი ეპოქის კოლორიტს და ვადმოსცემდა მის სულს, მავრამ სრულიადაც არ თვლიდა საჭიროდ ზუსტად დაეცემა ისტორიული ფაქტები, მოქმედ პირთა ბიოგრაფიული დეტალები, ხასიათი და ა. შ. ნორვეგიელი პოეტ-რომანტიკოსისა და დრამატურგის ანდრეას მუნეის (1811—1884) ისტორიული ტრავედიის „ლორდ ვილიამ რასელის“ ქრისტიანის თეატრში დადგმასთან დაკავშირებით 1857 წელს იბსენი წერდა: „არსებითად ჩვენ უფლება არა გვაქვს მოვთხოვოთ ისტორიულ ტრავედიას უქვევლად ისტორიული ფაქტები, — საკმარისია ისტორიული შესაძლებლობანი. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ არა ნამდვილად ისტორიული პიროვნებანი და ხასიათები, არამედ მოცემული ეპოქის სულიერი თავისებურება და აზროვნების წესი“. ამ პრინციპითაა შექმნილი იბსენის ისტორიული დრამებიც, რომელთა საყოველითო წარმატება თამამად შეიძლება იმითვე აიხსნას, რითაც ხსნიდა იბსენი მუნეის ტრავედიის პოპულარობას. სახელდობრ, „იმ დროს, როცა ტრადიციული ტრავედები პატარა ლმერთებს გამოსახავდნენ“, იბსენის „ნაწარმოებში დიადი ადამიანებია გამოსახული“, ძლიერი პიროვნებანი, რომელთა მარცნიცა და წარმატებაც იმაზეა დამოკიდებული — საერთო-სახალხო საქმის გამარჯვებას ემსახურებიან ისინი თუ სასოვადობის ინტერესებს უპირისპირდებიან.

ამ თელსაზრისით, იბსენის დრამათა შორის მნიშენელოვანი ადგილი უჭირავს „ფრუ ინგერ ესტროტელს“ (1854), პირველ ისტორიულ დრამას, რომელიც ასახავს დანიელთა ბატონობის წინააღმდეგ XVI საუკუნის პირველ ნახევარში ნორვეგიელთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ ტრავეიკულ ეპიზოდს. ეს დრამა, სიდაც ნაჩენებია დამპყრობთა ძალადობის და შინაური აღრეულობისა და ინტრავების შედეგად დაქუემატებული და დასუსტებული ნორვეგიის სურათი, ეხმარებოდა იბსენის ღროინდელი ნორვეგიის უმნიშენელოვანეს პრობლემას — ორმოცდაათიან წლებში ახალი ძალით აღორძინებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაო-



ბა: და გამოხატა:და იბსენის ძირითად იდეას პიროვნების დანიშნულების შესახებ, სახელდობრ იმას, რომ აღმინი თავისი მოწოდების მიხედვით საერთო-სახალსო საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ყრუ ინგერის — ნაწარმოების ტრაგიკული გმირის — კატასტროფა სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ მან საერთო-სახალსო საქმეზე მალ-ლა პირადი ინტერესი დააყენა, მოინდომა ევიოსტური მოსახრებით ტანტზე ავეყანა საკუთარი ეპიშვილი, არ შეასრულა თავისი მოწოდება და იმის ნაცუდად, რომ წინ წას-ძლოდა დამპყრობთა წინააღმდეგ იარაღის აღმდგარ ხალსს, ყოველნირად აყო-ნებდა მას, რის შედეგადაც არა მარტო უნებლიე მოალატედ იქცა, არამედ ფაქ-ტურად საკუთარი შვილის სისხლითაც გაისვარა ხელები.

დაასლოებით ამავე ასექტშია გადაჭრილი „ძლიერი პიროვნების“ პარილემა „ქელპოლანდის შემობრუნებ“ (1857) — ქელისლანდიურ სიუჟეტზე დაწერილ დრამაში, რომლის გმირები თავიანთი მილიანი ბუნებით, მტკიცე ხასითითა და გმირული სულისკვეთებით არსებითად განსხვავდებიან წყაროშანი ინტერესებისა და მიწური სულის შქონე ბურჟუებისაგან და მისაბამ ნიშუშადაც არიან წარმოდგენილი, მაგრამ ტრაგიკულად იღუპებიან იმიტომ, რომ მათს მოქმედებას სიკეთე კი არა, ზიანი მოაქვს ხალსისთვის.

იბსენის შემოქმედების პირველი პერიოდის ეროვნულ-ისტორიული ციკლის დრამებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ტახტისთვის ბრძოლა“ (1863). ძირითადი თემა XIII საუკუნის ნორვეგიის ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტზე შექმნილი ამ ისტორიული ტრაგედიისა ქვეყნის ვაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა, ხოლო ამ ბრძოლის სულისჩამდგმელ გმირებად გამოყვანილი არიან ნამდვილი ძლიერი ადამიანები, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებიან იბსენის თანამედროვე ნორვეგიის ჩია კაცუნებს.

ტახტისათვის ორი მებრძოლის — სოკონ სოკონსენისა და იარლ სკულეს სახით ტრაგედიასი ერთმანეთს ეჯახება ორი განსხვავებული პრინციპი. ფეოდალური ძალე-მომრეობის მიმდევარი იარლ სკულე ქვეყნის დაქუცმაცებულობის მომსრეა, შინური ქიშპი, ტომთა, ქალაქთა და გვართა შორის მუდმივი შუღლი მიანინა მას მეფის ძლიერების ნამდვილ საწინდრად, რადგან სწამს, რომ მხოლოდ მაშინაა მეფე ძალა, როცა ერთმანეთთან მტრობით სისხლდაცლილ თითოეულ სოფელს, თითოეულ გვარს სჭირდება იგი, ანდა ეშინია მისი. ურთიერთშუღლის აღმოფხვრით საკუთარ თავს დაისუსტებო, არწმუნებს იგი სოკონს, რომელიც სახელმწიფოებრივი პრინციპის მატარებელია და სკულეს საწინააღმდეგოდ მეფის ძალას და მოწოდებას ქვეყნის გაერთიანეში ხედავს.

იარლ სკულე ანტისახელმწიფოებრივ პრინციპს ძლიერი მხარდაშვირი და წამ-ქიზებელი შვიკის ეკლესიის პატიეყოფარე მამა-ეპისკოპოსის ნიკოლასის სახით, რომელიც ჩააიონებს სამეფო ტახტზე სოკონის უფლებაში დარწმუნებულ სკულეს, არ დაყრიდოს საშუალებას ძალაუფლების მოსაბოველად. მაგალითისათვის ეკლესიის თავადი წარდენის სიუჟეტზე შექმნილი ერთი ტილის შინაარსს მოუთხრობს სკულეს. ამ ტილოზე წყლით დაუფარავი ერთადერთი სიმადლისაკენ მიმავალი მამა, დედა და ვაჟიშვილითა გამოხატული თავისი ცოლ-შვილით. ვაჟი ფესს კარაქს მამას და აბო-ბოქრებულ წყალში გადაადგებს, არც დედას დაინდობს, ცოლსა და შვილებსაც სასიკვდილოდ გაიმეტებს, რათა თავად მიადწიოს მწვერვალს, რომელზედაც ერთი

მტკაველი მშრალი მიწა დაარჩენილა, და მოხერხებულად მოიკიდოს ფენი. „აი საგა სიბრძნისა და საგა ყოველი ბრძენისა,“ ეუბნება სკულეს ეპისკოპოსი ნიკოლასი, რომელიც სხვებზე ბატონობას უმაღლეს ბედნიერებად მიიჩნევს და სატანის წინაშე ქელს იმიტომ იხრის, რომ ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებით პირველმა ჩაიდინა უდიდესი სიმაჰაე. სკულეს რეპლიკაზე „და ქვესკნელს იქნა ჩაგდებულთ“, ეპისკოპოსი ნიკოლასი, რომელიც თავის თავს სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომ პიროვნებად მიიჩნევს, ამჟამად პასუხობს: „და დააარსა იქ სამეფო და გახლა მეფე. ძლიერი მეფე... უფრო ძლიერი, ვიდრე რომელიმე ზეცაში მყოფ ათასობით იარლთავანი“.

„ტახტისათვის ბრძოლის“ დადებითი გმირი ხოკონ სოკონსენია. თუმცა ხოკონს პარადად არც იარლ სკულეზე მამაცია და არც უფრო ბრძენი, ვიდრე ეპისკოპოსი ნიკოლასი, მაგრამ იგი ამარცხებს მათ. „ბირკენბეიერების“ — ნორვეგიის გლესობისა და წვრილი აზნაურობის — მიერ შეფედ არჩეული ხოკონი, იარლ სკულეს აღიარებისამებრ, „გზასაუტყდენლად, წაუფოროსილებლად“ მიდის წინ, და ამის პირობა ისაა, რომ მისი დევიზი — „ამირიდან ყველანი უნდა გაერთიანდნენ, ყველამ უნდა შეიცნოს და შეიგნოს, რომ ერთ მთლიანს შეადგენენ“, შეესატყვისებოდა ნორვეგიელი ხალხის ინტერესებს, გამოხატავდა მის პროგრესულ შეხედულებებს და ხალხიც მხარს უჭერდა მას. ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედება შეადგენდა ხოკონის ძალას, მისი სიმაჰაციისა და სიბრძნის წყაროს. იბსენმაც სწორედ ამიტომ აირჩია იგი თანამედროვეთა შესარცხვენად და სანიმუშოდ.

როგორც უკვე აღინიშნა, ორმოცდაათიანი წლების დასასრულს, მატერიალური ხელმოკლეობით შეჭირებული, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მოქმედებით უკმაყოფილო და ეროვნულ-განმთავისუფლებელ მოძრაობაში იმედგაცრუებული იბსენი წინააღმდეგობაში ვარდება და მსოფლმხედველობრივ კრიზისს განიცდის. ცხადია, იბსენს არც იმ პერიოდში უღალატა თავისი შეხედულებებისათვის: საზოგადოებრივ მანკიერებათა წინააღმდეგ იყო იმჟამადაც მისი აზრი მიმართული და თავისუფლება წარმოადგენდა მის უმაღლეს კერას, მაგრამ შერკენილი სინამდვილისაგან ხსნის საშუალებად მისგან განდგომა მიიჩნია, და ინდივიდუალიზმი და ესთეტიზმი დასახა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ინდივიდუალიზმისადმი მუდამ კრიტიკულად განწყობილმა იბსენმა ვერასოდეს დასძლია იგი, სამაგიეროდ ესთეტიზმს უკვე სამოციანი წლების დასაწყისშივე გამოუტანა მსჯავრი. ხოლო იტალიაში წასვლის შემდეგ საბოლოოდ დააღწია თავი. საყურადღებოა, რომ იბსენი საზღვარგარეთ გამგზავრების პირველ წლებში სამშობლოდან წასვლის არსებით შედეგად ესთეტიზმისგან განთავისუფლებას თვლიდა. 1865 წლის 15 სექტემბრის წერილში ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის, პუბლსიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ბიერსონისადმი (1832—1910) იბსენი წერდა: „ამ წუთში რომ მოხოვონ, განესაზღვრო, რა არის არსებითი შედეგი ჩემი გამგზავრებისა, ვუპასუხებდი: ის, რომ თავი დავაღწიე ესთეტიკური საწყისის, როგორც რაღაც იზოლირებულისა და თვითკმარის ჩემზე მეუფებას-მეთქი“.

იბსენის „ესთეტიზმი“ აშკარად ჩანს „სიყვარულის კომედიაში“, რომელსაც დრამატურგი ოთხი წლის განმავლობაში წერდა — 1858 წელს დაიწყო და 1862 წელს დაამთავრა. ამ რთულ და წინააღმდეგობრივ ნაწარმოებშივე შეინიშნება დრამატურ-

გის შეკეთები კრიტიკული დამოკიდებულებაც ესთეტიზმისადმი, რაც გამოხატულია არა იმდენად იმით, რომ პიესის მთავარი გმირის, მეოცნებე პოეტის—ფალკის სატრფო ცოლად გააყვება საქმოსან, პრაქტიკულ ბურჟუას, რამდენადაც ფალკის შეხედულებათა ევოლუციით. თუ დასაწყისში ფალკი ცხოვრებას ესთეტიკური განცდის წყაროდ მიიხსენებს მსოფლიდ, დღევანდელი დღით ტკბობას ქადაგებს და მომავალზე ზრუნვას ზედმეტად რაცხს, შემდეგში იგი არსებობის მიხანს იმაში ხედავს, რომ ნაცვლად ვალჰალას მბრძანებლის სიმალდიან ცხოვრების ვულკოვი ქვირტისა, ბრბოსთან ერთად ველზე გასულმა თავად მიიღოს მონაწილეობა ბრძოლაში და ცხოვრების არენაზე სიმღერით მოქმედმა სიყალბე გააცამტვეროს. განსაკუთრებით საყურადღებოა პიესის ფინალი, სადაც პოეტის სატრფო საქმოსან ბურჟუას კი აძლევს ხელს, მაგრამ ფალკით გატაცებული რჩება და თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან „ვედის სიმღერით“ პოუზიის „ცოცხალი ცეცხლი“ აუნთო თავის „შეგარდენ“ ფალკს, რომელიც „სწრაფწარმავალი ცხოვრებისათვის დაკარგა, რათა მარადისობისათვის მოეპოვებინა“. და ამ ცეცხლის ძალით აღზნებული ფალკიც შრომისა და ბრძოლისა, კენ მთუწოდებს თანამედროვეთ, რადგან უკვე მტკიცედ სწამს, რომ „ცხოვრება ბრძოლა და განათლებაა“, მაგრამ განათლება არა უღონო ასკეტის, არამედ მებრძოლისა. ბრძოლით მოპოვებული გამარჯვებით ტკბობას მიიჩნევს ასლა ფალკი ერთადერთ გზად ყოველი ჰიროვნებისთვის, „ვისი სულიც მგზნებაზე რწმენით და იდეალითაა გამთბარი“ და ამით ემიჯნება ესთეტიზმს, თუმცა „ვანდომის“ მქადაგებელი პოეტი მაინც ინდივიდუალისტად რჩება.



როგორც აღნიშნულია, 1864 წლის გაზაფხულზე იბსენი თავის მეუღლესთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა და ოთხი წელი იტალიაში გაატარა; აქ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამოდ ეძებდა დრამატურგი თემას, ვიდრე 1865 წლის ივლისში არ შეუდგა ახალი ნაწარმოების წერას. „ყველაფერს, რაზედაც მთელი წლის განმავლობაში უშედეგოდ ეწვალაობდი, — წერს იბსენი ბიერსონს ზემოთ აღნიშნულ წერილში, — თავი დაგანებე და ივლისის შუა რიცხვებში დავიწყე „რალაც ახალი“. ეს „რალაც ახალი“ იყო ხუმრობით დრამატული პოემა „ბრანდი“, რომელიც სამ თვეში დაამთავრა და 1866 წელს შექმნილ „პერ გუნტონ“ ერთად წარმოადგენს პრობლემურ ნაწარმოებს პიროვნების დანიშნულებასა და მოკლეობაზე გმირულ სულისკვეთებას მოკლებულ თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ოქრო გამხდარა წერილმანი ანგარებით შეპყრობილ, დაძაბუნებულ ადამიანთა სალოცავი კერპი და სიცრუესა, მლიქვნელობასა და ორპირობაზე დამყარებულ ურთიერთობას კაცო კაცისთვის მვლად უქცეოია.

ბრანდი ცრულმოკარტიზმსა და მოჩვენებითი ქუმანურობის, ყალბი ლიბერალური ფრაზიორობისა და სათნოების ნიღაბფარებული თანამედროვე საზოგადოების დაბალი მორალის წინააღმდეგ ამხედრებული ძლიერი პიროვნებაა. მას ზარაკს არსებული სინამდვილით გაპირობებული მონური სული, გრძობაგამოფიტულობა და გონებადასშულობა ადამიანებისა, რომელთაც კუმმარტ ადამიანურ ღირსებებზე მალა ეიწრო, პირადი ინტერესები დაუყენებიათ და ცხოველური არსებობა შეგუებისა და ყოველგვარ დათმობაზე წასვლის გზით შეუნარჩუნებიათ.

პასტორი ბრანდი, გ. პლენხანოვის მართებული შენიშვნებისამებრ, „იოსენის სულიერი შვილია“, მაღალი, კეთილშობილური მიზნისაკენ უკომპრომისოდ მიმავალი „ამ დღეილი ადამიანი“, რომელიც მანკიერი სინამდვილით დაბეჩავენებულ და ამ სინამდვილეს შერიგებულ კაცუნათა შორის ისევე წარმოგვიდგება ბუმბერაზად, როგორც გულივერი ლილიუტებს შორის. დიახ, ბრანდი კაცური კაცია, ნამდვილი ადამიანი და არა იოსენის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარის მიერ მიჩნეული „ნიცშესებური ზეკაცობის იდეებით მოწამლული“ პიროვნება, რომელიც ქედამდღურად და ზიზღით დასცქერის ხალხს. პირიქით, ბრანდს უყვარს ხალხი და თუ „შშირად ამათრახებს“ მათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ღრმად სწამს, მარტოოდნე ამ გზით შეიძლება გაჯანსაღება და ამაღლება დაკნინებული და ღირსებაგათელილი კაცობრიობის თანამედროვე მოდემისა, რომლის „დაავადებული სული მკურნალს ელის“, რომელსაც „არწმენა და ცხოვრება ერთმანეთისათვის დაუცილებელია, „სრული სიცოცხლით ცხოვრების ეშინია“ და „ყოფნა არარად ჩაუგდია, ოღონდ იცოცხლოს“.

„მიწიერი მონობის ღმერთის“ წინააღმდეგ აღმდგარ ბრანდს კი ადამიანის მოვალეობად სწორედ „სრული სიცოცხლით ცხოვრება მიუჩნევია“ და პიროვნების მთავარ დანიშნულებად მიზნისაკენ შეუხრებული სწრაფვა და საკუთარი ბუნებისადმი ერთგულება დაუსახავს. „ჩვენი ვალია, მხოლოდ საკუთარ თავს ეეკუთვნოდეთ და სასიკეთოდ დავმოძღვროთ ყველა“, — განუმარტავს იგი თავის ანტიბოდ ფილისტერ ფოტეს; რა პირობებშიც არ უნდა იყოს, კაცი იმისათვის გაჩენილა, რომ „ასრს საქმე შეუერთოს და მიზანს თელდეს ბაღად ედემის“, — არწმუნებს ბრანდი იმავე ფოტეს, როგელიც „ბუმანური საუკუნის“ შესატყვისად შემგუებლობას ქადაგებს, უმაღლეს ნეტარებას თბილ, მეუღრო ცხოვრებაში ეძიებს და „ცუდ მეოჯახედ“ მიიჩნევს მას, ვინც იდეისათვის „სისხლიან ოფლს ღერის“, რადგან, მისი აზრით, „იდეით კაცი კუმს ვერ გაიძღებ და ვერ მოიკლავ იდეით წყურვილს“.

ბრანდს, რომელსაც დღეიზად დაუსახავს „ყველა დღერი ან არა დღერი“ და გმობის ღირსად მიუჩნევია ყოველი „საქმე მოსაჩვენებლად, ან სანახევროდ გაკეთებული“, სურს აღმოფხვრას თავის მრველში „მონური კომპრომისი“ და აღზარდოს მათში ძლიერი ნებისყოფა, რადგან ნებისყოფა მიუჩნევია „ხალხის მკურნალად“. მაგრამ ამის აღსრულება შესაძლებლად ჩაუთვლია არა „აღთქმად ქცეულ“ ღუნე-ტრუმუმანიზმის გზით, არამედ მანკიერებათა მკაცრი და დაუნდობელი მხლავის საშუალებით. მას სწამს, რომ ამ „უხამს საუკუნეში“ „ძლიერ, მრისხანე ღმერთს უნდა მოუწოდებდეს ადამიანი“ და ამიტომაც, თუმცა იგი მზად არის ხალხის „გასაკურნად უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი ვაიღოს“, „მრისხანე ღმერთივით“ მკაცრად ეპყრობა მას.

მთლიანი ბუნების, გაუორებელ, მიზნისაკენ სწორხაზობრივად მიმავალ ბრანდს, თავის აღიარებისამებრ, „ერთი სამართალი აქვს“ „სხვებისთვისაც და თავისიანებისთვისაც“. იგი საკუთარი დედისგან და ცოლ-შვილისგანაც დაეინებით მოითხოვს იმას. რასაც მრველის თითოეული წევრისაგან — „ყველა დღერი ან არა დღერი“ და სიძულვილს იჩენს ჯბანათა მიმართ, ვისაც არ ძალუძს გააყვეს ამ პრინციპს. დიახ, სიძულვილს, რადგან სჯერა, რომ არსებული სინამდვილით შერყენილი, დაბეჩავენებული, დაჩლუნებული ადამიანებისადმი ეს სიძულვილი დღევანდელ ვითარებაში გამოხატავს ნამდვილ სიყვარულს, რომელიც წარმოადგენს ბრანდის მოქმედების

ჭეშარიტ იმპულსს. „ო, რა ძლიერი და რა რიგ უზვი ქვემოთ სიყვარული მის სატყე სულში“, — ამბობს აგნესი თავის ქმარზე, რომელიც ამ სიყვარულის ძალით მზადა მთელ ქვეყანას შეებრძოლოს, ოღონდ ადამიანებს დაუბრუნოს ადამიანობა.

სწორედ ამ მიზნით აგებს ბრანდი ბარში მღვარ პატარა, ვიწრო საყდრის ნიკელად ახალ ვრცელ ტაძარს, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს ფოლტიკ და პრობსტიკი, მაგრამ სრულიდაც აღარ აკმაყოფილებს თავად პასტორს, რადგან რწმუნდება, რომ არც ეს ტაძარი გამოდგება მისი მაღალი მიზნისათვის — თავისუფლებისაკენ სწრაფვის მუხნებარე ცეცხლი აღნათოს თანამემამულეთა გულებში, რომ ეს ტაძარი მხოლოდ „ახალი სიკრუთი“ სცვლის „ძველ სიკრუეს“, და პათეტიკურად მოუწოდებს ხალხს გასყვეს მას „ზევით“. სოლო ხალხი — ტრავგედიაში ეპისოპოლურ მოქმედ პირად გამოჰყვანილი კაცის სახით, — თუცა კი აღიარებს ბრანდს იმ ადამიანად, რომელიც „არააგროთუნის გაუნათებია მზის სსივებით მათი გულები“, მაგრამ მაინც არ მიჰყვება მას, რადგან ბრანდის „ზევით“ კონკრეტულ სოციალურ მიზნაარსსა და მიზანს სიყვარულად, ხალხისათვის გაუგებარ, აბსტრაქტულ ცნებად რჩება.

ბრანდის ინდივიდუალისმით ვაპრობებულთა ეს აბსტრაქტულობა აფერპკრთალებს ამბიხებული პასტორის ჯანეს ბურკუხიული საზოგადოების წინააღმდეგ და აქცევს მას მარტოკაცად, რის შედეგადაც მარცხდება იგი. მაგრამ ადამიანის დიდი მოვალეობის მაღალი შეგნება და ვულწრფელი სურვილი — კაცობრიობას დაუბრუნოს თავისუფლება, რომელიც მხოლოდ ერთადერთი ქმნის კაცს კაცურ კაცად, აყენებს ბრანდს საყოველთაო პროგრესისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

ადამიანის მოვალეობის პრობლემას ეძღვნება იბსენის ნაწარმოებთა შორის ერთ-ქმის ყველაზე პოპულარული მეორე დრამატული პიესაც, ფოლკლორიდან აღწეულ სიუჟეტზე შექმნილი „პერ ვუნტი“, რომელიც „ნორვეგიული შექსპირი“ კიდეც ემშვედობება რომანტიზმს და გარკვეულ ხარკსაც უხდის მას, მაგრამ იმაღლდრთულად მკაცრად აკრიტიკებს „ერთოეული რომანტიზმის“ წარმომადგენელთა მაღალფარდოვან პათეტიკას, კვარცხლბეკიდან ჩამოყავს მათი უსახლერო ფანტაზიით ამღვებული პერსონაჟები, ფოლკლორისა და თანამედროვე ნორვეგიის ვლესური ცხოვრების იდეალიზაციის ნაცვლად, რეალისტურად ასახავს სინამდვილეს.

პერ ვუნტი ბრანდის სრული ანტიპოდი. იგი ვიწრო ევოლუციური ინტერესებით შეპყრობილი პატივმოყვარე ფილისტერია, რომლის პირიუვნებაშიც კონცენტრირებული უნა უსამი სინამდვილით შერყენილი და ღირსებაგაათელილი ადამიანის ყველა უარყოფითი თვისება. მისთვის უცნაოა ბრანდის პირდაპირობა და მსიკერ გარემოსთან უკომპრომისო ბრძოლა. საპირისპიროდ ბრანდის მრწამსისა „ყველა აფერია, ან არაფერი“, პერის დევიზია — „ყველა კმაყოფილი“ და მსაწერი სულის მკონი, უბადრუკი არსებაც ყველაფრით კმაყოფილია, ქაიგელონის მსიკესად ყოველ გარემოს ესამება და ყველაფერს ვეუება — „მკლებთან მკლებივით ყიუსი“, ტროლებთან მზადა, დროებით მაინც, ტროლად იქცეს, ოღონდ გამდიდრდეს და სხვებზე იბატონოს. დიახ, დიდების მოპოვება სურს ცრუ, ორპირ, ყბედ და უქნარა პერს, სამეფო ტახტზე ოცნებობს პატივმოყვარე იუნ ვუნტის შთამომავალი, ამას თვლის იგი თავის მოწოდებად და გუნტის „თვით მედ“, რომელიც გუნტისავე განმარტებით „სურვილთა, გატაცებათა, ვნებათა ლევიონს“ ნიშნავს და ოქროს საჭიროებს. და ზეტიც ყველაფერს კადრულობს, რომ ოქრო მოიპოვოს.

სახელისა და სიმდიდრის მოსახვეჭად სტოეებს სამშობლოს სულმდაბალი პერი, რომელსაც არც ძლიერი სიძულელი შეუძლია და არც წრფელი სიყვარული და, თავის სილაჩრის შესატყვისად უმწეოთა მიმართ უსასტიკესად მოქმედი, ერთდგვარ წარმატებასაც აღწევს, მაგრამ საბოლოოდ უნაყოფოდ დამაშვრალი, დაძაბუნებული უბრუნდება თავის კერას, სადაც მას მოთმინებით ელის მის მიერ მიტოვებული სატრფო სოლვეგი, რომელიც, პერ გუნტის დედა ოსესთან ერთად, უბრალო ხალხის წარმომადგენელი ნამდვილი ადამიანის მაღალმატკვრული განსახიერებაა.

როგორც არ უნდა იყოს განსხვავება ბრანდსა და მის ანტიოდს, პერ გუნტს შორის, მათ ერთი საერთო თვისება აქვთ,—ეს მათი უკიდურესი ინდივიდუალიზმია. მაღალი იდეალისაკენ უკომპრომისოდ მიმავალი ტრაგიკული ბრანდი ისევე სასტიკია თანამედროვეთა მიმართ და მზად არის განუკითხავად ამსხვერპლოს ყველაფერი თავის მოწოდებას, როგორც მდებარე ვნებებით შეპყრობილი სატირიკული პერ გუნტი არ ერიდება საშუალებებს თავისი „თვით მეს“ განსახორციელებლად. იბსენი დაუნლობლად ზღის ნილაბს და მკაცრად დასციინის ზერს, ყველა იმ მახინჯ თვისებათა მატარებელს, რომელსაც თავგამოდებით ებრძვის ბრანდი, მაგრამ არც ბრანდის უკიდურეს ინდივიდუალიზმს და ამ ინდივიდუალიზმით გაპირობებულ მეტისმეტ სიმკაცრეს იღებს უკრიტიკოდ, რაც აშკარად არის გამოსატული „ბრანდის“ ფინალში.

\* \* \*

იბსენი, 1874 წლის 10 სექტემბერს ნორვეგიელ სტუდენტთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვისამებრ, პოეტის მთავარ ამოცანად „იმ დროებითი და მუდმივი საკითხების“ ვარკვევას რომ სახავს, რაც „აღლევებს საუკუნეს და საზოგადოებას, რომელსაც ვკუთვანის იგი“, „ბრანდის“ და „პერ გუნტის“ შემდეგ ქმნის ღრმა სოციალური შინაარსის ახალ ნაწარმოებებს, სადაც დასახელებულ დრამატულ პოემებში ზოგადფილოსოფიურ ასპექტში გადაჭრილი პრობლემები კონკრეტულ ვითარებათა ფონზეა გადაწყვეტილი. ეს კონკრეტულობა და ბურჟუაზიული ყოფის ცალკეულ მხარეთა რეალისტური ასახვის გზით თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგანი გასწვნილების შეუბრალებელი მხილება ანიჭებს იბსენის შემოქმედების მეორე, კრიტიკულ-რეალისტური პერიოდის ნაწარმოებებს, რომლებიც „ახალგაზრდობის კავშირით“ (1869) იწყება, განსაკუთრებულ იდეურ სიმახვილეს და კიდევ უფრო ამძაფრებს იბსენის მიერ აღრეც ნილაბანდილ ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებათა კრიტიკის ძალას.

სწორედ ამ პერიოდის დრამებში მიმართავს „ნორვეგიელი შექსპირი“ განსაკუთრებით ვგრეთ წოდებულ „ანალიტიკურ კომპოზიციას“, რაც საშუალებას აძლევს მას ნაწარმოების გმირის წარსულ ცხოვრებაში ჩადენილი საიდუმლოების მოულოდნელი გახსნით ვეჩვენოს ადამიანზე ბურჟუაზიული საზოგადოების მახინჯი ზემოქმედების შედეგი და ამ საზოგადოების პეწისა და ბრწყინვალეების მიღმა დაფარული გასწვნილება.

იბსენი დაუნლობლად ამხელს არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მის „ბურჯებს“. რომლებიც თავიანთ ვიწრო, ეგოისტურ ზრახვებს მაღალფარდოვანი ფრაზებით აკეთილშობილებენ და, სათნოების ნილაბს ამოფარებულნი, „ჯუნგლის

კანონით“ მოქმედებენ. კანონიერება, სამართლიანობა, პრინციპულობა და იბტიოსნება აკერით პირზე მხოლოდ თავიანთი პიროვნებით დინტერესებულ ამ კაცუნებს, მაგრამ, მათი აზრით კანონი მარტოოდენ სხვებისთვისაა დაწერილი, მთელი მათი საქმიანობა უსამართლობაზეა დამყარებული, მათი უმაღლესი პრინციპი სრული უპრინციპობაა, პატიოსნება ბრიყვთათვის მოგონილი საფრთხობელაა, ხოლო ხელმძღვანელობის მათი ხელისუფლება — „საქმის ჩაწყობა“, ორპირობა, მლიქვნელობა და სიცრუე.

ყველა ამ თვისებათა მატარებელია იბსენის „საზოგადოების ბურჯების“ (1877) მთავარი გმირი ბერნიკი, რომლის მოჩვენებით უმწიკვლობაზე აგებული სახელი სიყალბეზეა დამყარებული, ხოლო თითქოსდა საზოგადოების კეთილდღეობისათვის გადადგმული ყოველი ნაბიჯის ჭეშმარიტ იმპულსს ანგარება წარმოადგენს.

თანამედროვე საზოგადოების პირშოს, „წერილობურყუაზიული საზოგადოებრივი აზრის განუსაზღვრელი, ყოვლისმხილველი და წვრილმანი ტირანის“ მონად ტყეული ბერნიკის ნამდვილი სახის ჩვენებით იბსენი ბრალს სდებს საზოგადოებას, რომელიც დრამის ერთ-ერთი გმირის სიტყვებით მხოლოდ „ვარეგანი პეწი და შინაგანი სიყალბე, მეტი არაფერი“. მაგრამ მანკიერი სინამდვილის მკაცრ მსაჯულს სრულიადაც არ გამოუტანია თავისი მიერვე წაყენებული ბრალდების შესაფერი მკაცრი სასჯელი, პირიქით, ნაწარმოების ფინალში იგი ანიჭებს ბერნიკს ძალას თავის იუბილესთან დაკავშირებით შეკრებილ თანამოქალაქეთა წინაშე აღიაროს ჩადენილი დანაშაულებანი, რითაც აძლევს მას ბოროლურ უფლებას მოუწოდოს მათ: „დე, თითოეულმა ჩვენგანმა ჩაიხედოს თავის გულში; დე, აღსრულდეს სიტყვა, რომ ამიერიდან ეიწყებთ ახალ ერას! დე. ძველი დრო თავისი გარეგანი ბრწყინვალებით და შინაგანი სიცარიელათ, მლიქვნელობით, მოჩვენებითი მორალით და საყოფადი წარმოსახვებით სიძველეთა შესასწავლ მუხუშმად იქცესო ჩვენში“ და დრამას ასრულებს ღონას აბსტრაქტული ფრაზით: „სიმართლის სული და სული თავისუფლები-სა — აი საზოგადოების ბურჯები“. სწორედ იმ მკვეთრი განსჯაების გამო, რომელიც არსებობს დრამის დრმა სოციალ-კრიტიკულ პათოსსა და მის ფინალს შორის, აღნიშნა პლენანოვმა ამ ნაწარმოების მიმართ — „მთამ შვა თავი“.

ანგარებაზე აგებულ ბურჯუაზიულ ოჯახში ქალის მდგომარეობა ასახა იბსენმა „თოჯინების სახლი“ (1879), „ნორას“ სახელწოდებითა ცნობილი სამოქმედობიან პიესაში, რომელიც გამოქვეყნებისთანავე გაცნობიერებული კამათის საგნად იქცა.

ჯერ მამის ოჯახში, შემდეგ ქმრის მიერაც მხოლოდ თოჯინად მიჩნეული და, როგორც პიესის დასაწყისში წარმოგვიდგენს, კვალტუი და თითქოს ფუქსავატი ნორა, სინამდვილეში მაღალი გრძნობის, მტკიცე ნებისყოფის, ძლიერი პიროვნებაა. მას, ქმრის უსაზღვრო ეგოიზმით და ფარისევლობით აღმფრთხილებულს, აღმოაჩნდება უნარი დაიცვას საკუთარი ღირსება, მიატოვოს ქმარ-შვილი და ვაბედულად დაადგეს დამოუკიდებელი ცხოვრების გზას. ნორას ეს საქციელი სულაც არ ნიშნავს „ოჯახის მიხნა საფუძვლების ხელყოფას“, რაც ასე აღმფრთხილებდა ამ ნაწარმოების წინააღმდეგ ამხედრებულ ფილისტერობას. „ნორა“ იბსენისა (რომელიც, ქალთა უფლებების დაცვის ნორვეგიული კავშირის დღესასწაულზე 1898 წლის 26 მაისს წარმოთქმულ სიტყვისამებრ, — თავის ამოკანად „აღამიანი სიყვარული“ თელიდა და „საქმეს, რომლისთვისაც ქალები იბრძვიან, საერთო საკაცობრიო საქმედ“ — რაცხდა) თავისი მძლე პარტისტული ბურჯუაზიულ ოჯახში ქალისადმი დამოკიდებულების მი-

მართ მკაცრად ილაშქრებს თანამედროვე საზოგადოების მანკიერებათა წინააღმდეგ და გვიხატავს პიროვნების ბრძოლას თავისუფლებისათვის, რაც იბსენს მართებულად მიაჩნდა კაცობრიობის საერთო ბედნიერების ნამდვილ საწინდრად.

ბურჟუაზიული საზოგადოებისა და მისი ყოფის ნამდვილი არსის გამოაშკარავებას ეძღვნება „მოჩვენებანიც“ (1881), რომელშიც იბსენი, მართალია, კი უხდის ხარკს ნატურალიზმს და მისი კარნახით ვარკვეულ მნიშვნელობას აძლევს ბიოლოგიურ მეცნიერებებს, როგორც ადამიანის ბედ-იბღალზე მოქმედ ძალას, მაგრამ ვადა-წყვეტ როლს ამ მიმართულებით მინც სოციალურ ვითარებას, ბურჟუაზიული სა-ზოგადოების მორალურ ნორმებს ანიჭებს, თავისი პირობითობით ხელ-ფეხს რომ უკარავს საზოგადოების წევრთ და, სიყალბესა და ფარისევლობაზე დამყარებული, კაცურ კაცობას ართმევს შათ. ამ ყალბი, ფარისევლური მორალის წინააღმდეგ აღმ-დგარა ფრუ ალკინვი. მას აღარ ძალუძს შეუტრეცდეს „ადამიანის ხელ-ფეხის შემკვ-რელ ყველა პირობითობას“ და სურს „მოიპოვოს თავისუფლება“, მაგრამ არ შესწევს უსარი დასძლიოს ეს პირობითობა, რადგან, როგორც თავადვე აღიარებს, „მსღალია“, ხოლო მზღალი იმიტომია, რომ მასში „ზის რაღაც ეამგდასული, მოჩვენებათა მსგაჟის რამ“, რომლისგანაც ვერაფრით ვანთავისუფლებულა. სწორედ ეს „მოჩვენე-ბანი“, ტირანდ ქვეული წერილბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი და მის მიერ წარმოქმნილი ძველი, დროსოქმული ცნებები, რწმენანი და მისთანანი ქმნიან „შენილ-ბულ უფსკრულს“, რომლის ზედაპირულ ბრწყინეალებას კიდევ უფრო აუტანლად უქცევია ამ უფსკრულის სიღრმეში არსებული გახრწნალებდა.

ალკინვების ოჯახის ტრაგედიისა და მისი მიზეზების გახსნით იბსენმა ფარდა ხადა ამ „შენილბულ უფსკრულს.“ უმკაცრესად ამხილა შინაგანი არსი თანამედროვე საზოგადოებისა, რომელსაც ვერ გაუვია. რომ „ცხოვრების სიხარული და სიხარული შრომისა არსებობდა ერთი და იგივეა“ და „შრომა წყველად და ცოდვისათვის სას-ჯელად“ მიუჩნევია, ხოლო „ცხოვრება — ადამიანის მწარე ხვედრად“.

ალკინვების ოჯახის ტრაგედიის ფონზე ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრე-ბის წესის, ზნე-ჩვეულებებისა და მორალის შეუღერავი ასახვის ვამო „მოჩვენებანი“ ბურჟუაზიული სამყაროს საყოველთაო თავდასსპის საგნად იქცა. უზნეობასა და ნიპი-ლისში სდებდნენ ბრალს დრამატურებს არა მარტო კონსერვატიული მიმართულების კალმონები, არამედ თვით „მემარცხენე“ ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებიც. იბსენმაკ არ დააყოვნა და „საზოგადოების ბურჯების“ აღვირახსნოდ ღვენას უბასუ-ხა ახალი პიესით—„ხალხის მტერი“ (1882), რომელიც აგვირვევინებს „ნორვეგიელი შუკსობრის“ შემოქმედლის მეროქ პერიოდს და კიდევ უფრო დაუწოდბლად ამხელს სიკრუზე დამყარებულ ბურჟუაზიული საზოგადოების ღპობად და სრწნად არსს.

პიესის მსაჯარ ვმირს თომას სტოკმანს ქალაქის მესვეურნი იმიტომ აუშვედრ-დნენ, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველმა ექიმმა, საგულდაგულოდ შეს-წავლის შედეგად. მოუფიქრებლად გაყვანილი წყალსადენის მილებიდან გამდინარე წყლით ვაჭუჭყიანებულ სამკურნალო წყლებში სენის წყარო აღმოაჩინა და ანგარე-ბიან საქმოსანთა საზარალოდ კურორტის რეკონსტრუქცია მოიხსოვია. „საზოგადოების ბურჯებმა“, რომელსაც ხელმძღვანელობს სტოკმანის ძმა — ქალაქის ფოგტი, პოლიც-მისიტერი და კურორტის სამმართველოს თავმჯდომარე პეტერ სტოკმანი — ჯერ უანერბა ექიმის მოსყიდვა სცადეს და დუმილი ურჩიეს, მაგრამ როცა თავისი სი-



მართლია შეგონებული სტოკმანი, მიუხედავად მეუღლის გაფრთხილებისა — „რა არის სიმართლე, თუ ძალა არა გაქვს“, — მთავარ ძალად სწორედ სიმართლეს მიიჩნევს და, ამ სიმართლის გამო „თავისუფალი საზოგადოების“ „მტკიცედ შეკრული უმრავლესობის“ მხარდაჭერის მომლოდინე, „ბურჯია“ წინააღმდეგ მოქმედებას განაგრძობს, მას საზოგადოების მტრად გამოაცხადებენ. შოლოდინის წინააღმდეგ „უმრავლესობა“ „სასოგადოების ბურჯებს“ მიემხრო და ბურჯუზიულ საქმიანობას ბოროტებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტოდ შიგნით თომას სტოკმანი დარწმუნდა, რომ გაჭუჭყიანებული სამკურნალო წყლებით გაფრთხილებული სენი უმნიშვნელო ინფექციაა იმ სენთან შედარებით, რომლითაც დაავადებულა თანამედროვე სასოგადოება. ახლა თომასი თავის მიერ „ამ დღეებში სიკვლეულ უღიდეს აღმოჩენად“ იმის დადგენას რაცხს, „რომ მთელი ჩვენი ცხოვრების სულიერი წყაროა მოწამლული, რომ ჩვენი სამოქალაქო სასოგადოებრივი ცხოვრება ეურბნობა სიცრუით დასნეულებულ ნიადაგს“ და ამ „სიცრუით“ ბავშვობიდანვე „დასნეულებული“ „უმრავლესობისაგან“ მხარდაუჭერელი, გადაწყვეტს მარტოდბრძოტომ განაგრძოს თავისი უკომპრომისო ბრძოლა.

მიუხედავად სტოკმანისეული მსჯელობის მარათებულობისა ბურჯუზიული დემოკრატიის მიმართ, თომას სტოკმანის გალაშქრება ყოველგვარი უმრავლესობის წინააღმდეგ, როგორც იბსენის მეკლუეკართა მიერ არის აღნიშნული, მანკერია და გამოხატავს იბსენის ინდივიდუალიზმს, რომელსაც, როგორც ერთსეულ ადენიშნეო, მეუდამ ერკინებოდა სახელგანთქმული დრამატურგი, მაგრამ საბოლოოდ ვერასოდეს დააღწია თავი და თავისი მალადი იდეალების განხორციელებისათვის შებრძოლად ისეე და ისეე უდრეკი ნებისყოფის ძლიერ პიროვნებას სასაედა. მართალია, იბსენს მრავალ ნაელს ამჩნევს და კრიტიკულად ეუკრობა ამ ძლიერ პიროვნებას, „ბრბოსგან“ გამოყოფილ „არისტოკრატს“, რაც აშკარად ჩანს ბრანდისა და თომას სტოკმანისადმი მისი დამოკიდებულებიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინც ეერ ემოჯნება მას.

რალა თქმა უნდა „არისტოკრატის“ იბსენისეულ ვაეებას არაფერი აქვს საერთო სოციალურ შინაარსთან ამ სიტყვისა, რომელსაც „ნორვეგიელი სკალი“ არსებითად ხასიათის, ნებისყოფისა და მისწრაფების კეთილშობილების ვამისახტაუდ იყენებს, რაც იქილანაც კარგად ჩანს, რომ თომას სტოკმანი, რომელიც თავის თავს „არისტოკრატად“ რაცხს, საყუთარ მძას-ქალაქის ფოკტს პეტერ სტოკმანს—„შლებების“ უწოდებს, მაგრამ ამ მსრივ განსაკუთრებით საყუთადლებოთა ტრანინემის მუშებთან 1885 წლის 14 იენისს წარმოთქმული სიტყეა, სადაც „თანამედროვე დემოკრატიის“ მიერ „ნამდვილი თავისუფლების“ მოპოების უნარში დაეკვებული იბსენი აღნიშნავდა: „ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ჩვენს წარმომადგენლობასა და ჩვენს პრესაში უნდა შეიჭრას ახალი არისტოკრატული ელემენტი“.

„მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს არა გვაროვნული არისტოკრატია, მით უმეტეს ფულადი, არც გონებრივი არისტოკრატია, — არა, მე ულაპარაკობ არისტოკრატიაზე, რომელსაც ქმნის ხასიათი, ნებისყოფა და აღამიანის მთელი სულიერი წყობა“ და სიტყვის დასასრულს, წარმოშობად ამ „ახალი არისტოკრატისა“, რომელსაც „ერთადერთს ძალუმს გავეთავისუფლოს“, ახსავლებს „ჩვენს ქალებს და ჩვენს მუშათა კლასს“, რაც ცხადყოფს, რომ „ბრანდის“ აეტორია

უშველად შენიშნა მუშათა კლასი. რომელიც გ. პლენანოვის შენიშვნებისამებრ იბსენის შეხედულებათა და მისწრაფებათა ჩაყოყაიბების პერიოდში ნორვეგიაში ჯერ კიდევ არ შექმნილიყო ამ სიტუაციის თანამედროვე გაგებით, და არაფრით იჩენდა თავს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში“. მაგრამ ოთხმოციან წლებში უკვე გარკვეულ ძალას შეადგენდა. ღიან, იბსენმა „შენიშნა ეს ახალი ძალა, მაგრამ თავისი ინდივიდუალისთვის კარნახით იგი მხოლოდ ერის „ვამაკეთილმოხილებელ“ „არისტოკრატიული ელემენტის“ შემქმნელ ჯგუფად წარმოიდგინა და არა ხალხის ინტერესების ნამდვილად გამომხატველ და დამცველ კლასად, რომელიც—უმრავლესობასთან მტკიცე კავშირის დამყარების უნარის მქონე უმცირესობას აქცევს მტკიცე ხასიათისა და უდრეკი ნებისყოფით აღჭურვილ უძლველ მასად, უკომპრომისოდ რომ იბრძვის კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

• • •

„გარეული იხვიით“ იწყება იბსენის შემოქმედების მესამე პერიოდი, რომელიც ხასიათდება პირველ ორ პერიოდშიც შესამჩნევ მისტიკურ-სიმბოლისტური ელემენტების გაძლიერებით. ამ პერიოდში შექმნილი დრამებიც („გარეული იხვი“ (1884) „როსმერსპოლში“ (1886), „ქალი ზღვიდან“ (1888), „ქედა გაბლერი“ (1890), „მშენებელი სოლნესი“ (1892), „პატარა ეოლფი“ (1894), „იონ გაბრიელ ბორკმანი“ (1896) და „როცა ჩვენ, მკვლარები, ვიღვიძებთ“ (1899)) ადამიანის მოვლენებისა და დანიშნულების პრობლემისადმი არიან მიძღვნილი, მაგრამ ვ. ადმონის მართებულის შენიშვნებისამებრ, იმის გამო, რომ იბსენმა „ვერ მოძებნა ქვეყნის განახლებისათვის კონკრეტული ბრძოლის საჭირო და ღირსეული ფორმები“, მათში სიმძიმის ცენტრი ფართო სოციალური საკითხებიდან ადამიანის შინაგან ცხოვრებაზეა გადატანილი.

აღსანიშნავია, რომ „გარეულ იხვი“ იბსენი თითქოს იცვლის შეხედულებას ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ბრანდის მკაცრ სიმართლეს „სიცრუის სიკეთეს“ უპირისპირებს და ინდივიდუალისა და არისტოკრატიზმის წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ „როსმერსპოლში“ კვლავ ბრანდ-სტოკმანის ზოხიცის უბრუნდება, თუმცა იმ პოზიციის ჩრდილოვან მხარესაც ამჩნევს და მკაცრად ამხელს მას. მეტიც, იბსენი, რომელსაც კვლავინდებურად სძულს „სიცრუეზე დამყარებული“ ბურჟუაზიული საზოგადოება და ზიზღს ჰგერის მისი სიმდაბლე, გონებაჩლუნგობა და გაუტანლობა, ამ პერიოდშიც დიდი სიმპათიით ხატავს მტკიცე ნებისყოფის ძლიერ ადამიანებს, კრიჭაში რომ უდგანან უმსგავს გარემოს, მაგრამ მათ დაღუპვასაც გარდუვალ კანონზომიერებად მიიჩნევს, როგორც შედეგს ადამიანებისადმი მათი დამოკიდებულებისა.

მტკიცე ნებისყოფის ძლიერი პიროვნებაა ქედა გაბლერი—ამაყი ასული გენერალი გაბლერისა. იგი ვერ ეგუება ბიწიერ სინამდვილეს, მაგრამ ამ სინამდვილის გარდაქმნისათვის აქტიური ბრძოლის ნაცვლად მისდამი ქედმაღლური დამოკიდებულებით კმაყოფილდება და თავისი ინტერესებისა და ესთეტიკური გრძნობის დაუქმყოფილებლობით განაწამები სასოწარკვეთილებით რომ ამბობს: „რასაც არ უნდა მოუკიდო ხელი, საითაც არ უნდა მივიხედ-მოვიხედო, ყველგან სასაცილო სიმდაბლე და უხამსობა დამსდევს ფეხდაფეხ, როგორც რაღაც წყევლაო“, ვერ ხედება, რომ ამის უმთავრესი მიზეზი მისი „შეკაცური“ დამოკიდებულებაა სინამდვილისადმი, განსა-

კურთხებით მისი უუნარობა — მივიდეს ხალხთან, ჩასწედეს მის გულს, აუხილოს აუვლი და წარმართის მაღალი მიზნებისაკენ. ამიტომაც იღუპება იგი, თვითმკვლელობაში პოულობს გამოსავალს გულწვრილი ჰედა გაბლერი.

ნიტსეიანური „ზეკაის“ ანტისაზოგადოებრივი არსი მაღალმხატვრული განზოგადებით არის მხილებული „მშენებელი სოლნესსა“ და „იონ გაბრიელ ბორკმანშიც“. სოლნესის მკაცრი, უხეში „ზეკაეული“ დამოკიდებულება ადამიანებისადმი აღაშფოთებს თვით პილდასაც კი, რომელიც, მშენებლის ძლიერი პიროვნებით მოხიბლული, აღმერთებს მას, მაგრამ შეძრწუნებულიცაა მისი უკიდურესი ეგოიზმით, რომლის კარნახითაც საქვეყნოდ აღიარებული დიდოსტატი უსინდისოდ უღობავს გზას რაგნარ ბრუეიკს—ნიჭიერ ხუროთმოძღვარს, რადგან ვაეიშვილში კნუტ ბრუეიკისა, რომელიც ოდესღაც სოლნესმა შეუბრალებლად „დაამსხვრია“ და თავის მორჩილ თანაშემწედ გაიხადა, ხედავს ღირსეულ მეტოქეს, „აზღაზრობის“ განსახიერებას, ვისაც შეუძლია დაამხოს იგი. ნაწარმოების დასასრულს ტრაგიკულად იღუპება დიდების მწვერუალს მიღწეული ინდივიდუალისტი სოლნესი.

უკიდურეს ინდივიდუალიზმს შეეწირება „დაპირილი მკვლეიც“ იონ გაბრიელ ბორკმანი, რომელიც ბოროტების და სიკეთის მიღმა მდგომ „ზეკაის“ გულქვაობით ცდილობდა ხელთ ეგდო „ძალაუფლების ყველა წყარო, მაგრამ საბოლოოდ გრძნობაჩაკლულ, გამოთრეულ და შინაგანად გაცეზულ“ ბორკმანს სწორედ ის „სიცივე“, „უინულოვანი რკინის ხელი“ იმსხვერპლებს კიდევ.

ხალხისაგან განდგომილ და მისდამი დაპირისპირებულ ძლიერ პიროვნებათა მიმართ იბსენის მიერ გამოტანილი მკაცრი მსჯავრი გამომდინარეობს ღრმა ჰუმანიზმიდან კაცობრიობის ბედნიერებისათვის უკომპრომისოდ შებრძოლი დრამატურკისა, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა თავისუფლების მაღალ იდეალს, როგორც უბადრუკი სინამდვილად დაბეჩავებული ადამიანის ნამდვილ ადამიანად ქცევის ჭეშმარიტ გზას.

როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში იბსენის დრამებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და მსოფლიოს თეატრების რეპერტუარის განუყრელ ნაწილად იქცნენ. „ნორვეგიელი შექსპირის“ ღრმად იდეური და მაღალმხატვრული დრამები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ რუსეთსა და საქართველოშიც განსაკუთრებით პირველი რევოლუციის მომხადებისა და აღმავლობის პერიოდში, იმ დროს, როცა „საზოგადოებრივი პროტესტის ძლიერი გრძნობა სუფევდა“ და ხალხი ელოდა „გმირს, რომელიც გაბედავდა და პირდაპირ ეტყოდა მთავრობას მკაცრ სიმართლეს“. მიუხედავად თავიანთი დადებითი იდეალების ბუნდოვნებისა და აბსტრაქტულობისა, სწორედ ასეთ გმირებად მიიჩნეოდნენ იბსენის პიესების ძლიერ პიროვნებებს, ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებისადმი შეურიგებელ, პრინციპულ და მიზნისაკენ შეუხრებლად მავალ უდრეკი ნებისყოფის ადამიანებს, მეტადრე თომას სტოკმანს, რომელიც, კ. ს. სტანისლავსკის შეინიშნისამებრ, პოლიტიკურ გმირად აქციეს. საგანგებო რეზონანსს, რომელიც 1900 წელს მოსკოვის მხატვრული თეატრის მიერ „ლოქტორ შტოკმანის“ სახელწოდებით განხორციელებულმა „ხალხის მტერმა“ გამოიწვია (ცნობილია, რომ 1901 წელს თეატრმა ეს პიესა წარმოადგინა პეტერბურგში, სადაც იგი პოლიტიკურ დემონსტრაციად იქცა), კ. ს. სტანისლავსკი მართებულად ხსნის იმით, რომ თუმცა გმირს თავად ეწიზლება

ხალხის უმრავლესობა და აქებს ცალკეული ადამიანების ინდივიდუალიზმს, რომლებს ბისთვისაც სურდა გადაეცა ცხოვრების მართვა-გამეჯობა, მაგრამ შტოკმანი პროტესტს აცხადებს, შტოკმანი გაბედულად ამბობს სიმართლეს და ეს საკმარისი იყო, რომ იგი პოლიტიკურ გმირად ექციათო<sup>1</sup>.

„ხალხის მტერი“, რომელიც ი. პოლუმორდინოვს უთარგმნია და 1903 წელს გამოქვეყნდა ეურნალ „მოამბეში“ (№ 4—8), 1903—1905 წლებში რამდენჯერმე წარმოუდგენია ქართულ დრამატულ საზოგადოებას. სექტაცილი დაუდგამს აკ. წერეთელს და კ. მესხს. გაცილებით უფრო ადრე, სასელდობრ 1898 წელს, ლადო ალექსი-მესხისშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი ყოფილა „ნორა“ („თარჯიმნის თეატრი“), რომელიც ქართულად ვალერიან გუნიას და აკესენტი ცაგარელს უთარგმნიათ. ნორას როლი ნ. ჩხვიძეს შეუსრულებია, ხოლო პელმერისა—ლ. ალექსი-მესხისშვილს. გარდა ამ პიესებისა ქართულ სცენაზე წარმოუდგენიათ „საზოგადოების ბურჯები“ და „მოჩვენებანი“, ყოფილა „ასაზღაზრდობის კავშირისა“ და „მშენებელი სოლნესის“ დღემის განზრახვაც.

XIX საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში, პირველ მსოფლიო ომამდე, იბსენის მრავალი ზეისა უთარგმნიათ.

იმ პერიოდის ქართულ პრესაში: „ივერიაში“, „მოამბეში“, „კვალსა“ და „ცნობის ფურცელში“ იბსენის დრამების თარგმნა-დადგამაზე და იბსენზე საერთოდ დაბეჭდილია მრავალი წერილი და რეცენზია, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს კ. აბაშიძის, ვ. გუნიას, შ. ნათაძის და სხვათა წერილები.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს ინტერესი შესუსტებულა. მხოლოდ 1928 წელს იბსენის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ვ. ხუროძის წერილი („მნათობი“ № 3). 1928 წელსვე გამოქვეყნებულა კ. გამსახურდიას ესეი „პენდრიკ იბსენი“.

არც მომდევნო პერიოდში ყოფილა იბსენის შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ცხოველი ინტერესი. თუმცა მისი სახელი არასოდეს დაუფიქვიათ საქართველოში. აკ. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია თ. ამირჯიხის საყურადღებო წერილი „პ. იბსენი ქართულ სცენაზე“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1956, № 4), რომელშიც საკმაოდ ვერცხლად არის გადმოცემული და ნაწილობრივ შეფასებულიც ყველაფერი, რაც კი თარგმნილა თუ დადგმულა იბსენის დრამებიდან და დაწერილა ქართულად იბსენზე.

1957 წელს გამოვიდა აკაკი გელოვანის ბროშურა „პენრიკ იბსენი“, რომელშიაც მხატვრულადაა გადმოცემული იბსენის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა ძირითადი მომენტი. ავტორის ნორვეგიელი სკალდის შემოქმედების ერთგვარ გასაღებად მიაჩნია თვით იბსენის სიტყვები:

სკალდებო! რისთვის გელანდებათ ბნელი წარსული?  
ფუჭი ოცნებით რისთვის ქექავთ ამ ძველ კარადებს?  
რისთვის შესცქერით ფერმკრთალ ფრესკას, რაც ვერ ანათებს,  
როგორც ვარსკვლავი, შავ ღრუბლებით შემოგარსული?  
განა მისთვის არ მოგენიჭათ სიმღერის მადლი,

<sup>1</sup> К. С. Станиславский, Собр. соч., т. I. 1954, стр. 249.

რომ თქვენი ქნარით უმკურნალოთ ხალხის იარებს?  
თავის ჭეშმარიტ მგოსნად ხალხი მსოლოდ მას ჩაოვლის,  
ვინც მის ტკივილებს, ჭირსა და ლსინს გაიზიარებს.

ცოტა მოვეიანებით გამოვიდა იბსენის პიესები („ქედა გაბლერი“, „მოჩენე-  
ბანი“), რომლებიც თარგმნა ა. გელოვანმა და გამოსცა „ხელოვნებამ“. ამ წიგნის  
მიხედვით ქუთაისის თეატრმა წარმატებით დადგა „მოჩენებანი“. მანვე თარგმნა იბსე-  
ნის რამდენიმე ლექსიც: „უნგრეთს“, „ჩემს მეგობარს“ („მნათობი“, 1956 წ., 5).

1960 წელს გამოქვეყნდა ოთარ ჯინორიას წერილი „ქენრიკ იბსენი კელავაც  
იბრაქვის“ („საბჭოთა ხელოვნება“, № 8). მასში განხილულია იბსენის მსოფლმხედვე-  
ლობა და შემოქმედება.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ შრომებს, თითქმის 50 წლის მანძილზე  
ჩვენში აღარ შეჩუბებულა ყურადღება უდიდეს ნორვეგიელზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვნად შეაგებს ხარეჯს იბსენის თხზულებათა ეს ერთტო-  
მეული, იგი მშობლიურ ენაზე გააცნობს თანამედროვე ქართველ მკითხველს შემოქ-  
მედების ნიმუშებს დიდი ჰუმანისტისა, რომელიც თავის მაღალი კეთილშობილური  
იდეებით დიხაჯა რომ კვლავაც უკომპრომისოდ იბრაქვის პროგრესის მტრების წინააღ-  
მდე, კაცობრიობის ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის.

დავით ლაშქარაძე



# ბ რ ე ნ ლ ი

ხუმორიქმედებიანი დრამატული პოემა

თარგმნა

ვასტანო ბეწუაძემ

## მოქმედი პირები

ზრანდი.

მისი დედა.

•ინარი, მხატვარი.

•გნესი.

ფოტო.

ექიმი.

პრობსტი.

კისტერი.

მასწავლებელი.

გერდი.

გლესი.

მისი ვაჟი.

მეორე გლესი.

ქალი.

მწერალი.

სასულიერო პირნი.

სოფლის ხელისუფალნი.

ხალხი: კაცები, ქალები, ბავშვები.

მატური უღაბნოში.

უხილავი ქორი.

•ჩრდილი.

ხმა.

მოქმედება ხდება ჩვენს დროში, დასავლეთ ნორვეგიის ერთ-ერთ ფიორდსა და მის მხარეში.



## პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

ს ც ე ნ ა    წ ა რ მ ო ა დ ე ნ ს    თ ო ვ ლ ი ა ნ    ს ე რ ს.  
წ ე ვ ს მ ძ ი მ ე, ს ქ ე ლ ი ნ ის ლ ი, წ ვ ი მ ი ა ნ ი ა მ ი ნ დ ი ა და ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ  
ბ ნ ე ლ ა.

ბ რ ა ნ დ ი, შ ა ვ ი თ შ ე მ ო ს ი ლ ი, ჯ ო ხ ი თ ა და ზ უ რ გ ჩ ა ნ თ ი თ მი ი კ ვ ლ ე ვ ს გ ზ ა ს და ს ა ვ -  
ლ ე თ ი ს ა კ ე ნ. გ ლ ე ხ ი და მ ი ს ი ვ ა ჟ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ბ რ ა ნ დ ს მ ი ა ც ი ლ ე ბ ე ნ, ო დ ნ ა ე  
უ კ ა ნ ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ა ნ.

გ ლ ე ხ ი

(მისძახის ბრანდს)

ნუ წახვალ ეგრე შორს, უცხოელო!  
სად ხარ?

ბ რ ა ნ დ ი

აქა ვარ.

გ ლ ე ხ ი

გზა აგერია;

შეჩერდი, ირგვლივ წევს სქელი ნისლი,  
ორ ნაბიჯზეც კი ვერაფერს ვამჩნევ,

ვ ა ჟ ი

აქ ხნარცეებია.

გ ლ ე ხ ი

აქ კი — ნაპრაღი.

ბ რ ა ნ დ ი

და დაიქარგა ბილიკი ნისლში

გ ლ ე ხ ი

(ყვირის)

შეჩერდი! ღმერთო! მანდ მოლიპული  
ყინულებია! დაბრუნდი უკან!

ბ რ ა ნ დ ი

(ყურს უგდებს)

აქ მე ჩანჩქერის გრიალი მესმის...

გ ლ ე ხ ი

მანდ, ღრმა უფსკრულში, ყინულების ქვეშ,  
ზათქით, ხმაურით მიჰქრის მდინარე  
და ჩვენ, სამივეს, ადვილად გვშთანთქავს.

ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ მე მაინც წინ წასვლა მ მ ა რ თ ე ბ ს!

გ ლ ე ხ ი

იქ ვერ გააღწევ ცოცხალი თავით!  
მაგ უფსკრულს მყიფე ყინული ჰფარავს,  
სად თვით სიკვდილი სიცოცხლეს ებრძვის.

ბ რ ა ნ დ ი

ის, ვინც მიბრძანებს, დიდია უფრო.

გ ლ ე ხ ი

მაგრამ ვერ მეტყვი, რა ჰქვია?

ბ რ ა ნ დ ი

ღმერთი.

გ ლ ე ხ ი

თვითონ ვინა ხარ?.

ბ რ ა ნ დ ი  
ვინა და პრესტი.

გ ლ ე ხ ი

კეთილი, მაგრამ ვერას გიშველის.  
ვინც უნდა იყო: პრესტი თუ პრობესტი  
და თუნდაც თვითონ ეპისკოპოსი,  
როცა უფსკრული დაადებს ხახას,  
თუ გაბედავ და მაინც წინ წახვალ.  
(ფრთხილად მიუახლოვდება. ცდილობს დაიყოლიოს)

გინდ იყო დიდად სწავლული კაცი.  
ვერ შესძლებ იმას, რაც ვერვინ შესძლო.  
დაბრუნდი უკან, ნუ ჯიქობ აგრე.  
ჩვენ ხომ სიცოცხლე გვეძლევა ერთხელ  
და რითი შესცვლი, თუ დაგეკარგა?  
ერთი მილია სოფლამდე კიდევ  
და ამ სქელ ნისლსაც ვერაფერს უზამ.  
გინდ ნაჟერ-ნაჟერ აჰ, უწო დანით...

ბ რ ა ნ დ ი

ამიტომ ნისლში ეგრე იოლად  
ვერ შემიტყუებს ციალი ლუოჯი.

გ ლ ე ხ ი

მაარამ აქ, ირგვლივ, ტბებია ყველგან,  
თხელი ყინულით გადაფარული.

ბ რ ა ნ დ ი

გადვივლით მაგ ტბებს.

გ ლ ე ხ ი

წყალს? რით სჯობს სველი,  
ყინულიანი სიკვდილი მშრალსა?

ბ რ ა ნ დ ი

თუკი გწამს მტკიცედ, როგორც ჰქნა ღმერთმა,  
ზღვასაც გადუვლი, ვითარცა ხმელსა.

გ ლ ე ხ ი

ეს იყო წინათ, მას ჟამსა შინა,  
აწ კი უკუღმა წავიდა საქმე.

ბ რ ა ნ დ ი

(წასვლას დააპირებს)

მშვიდობით!

გ ლ ე ხ ი

რატომ მოგძულდა თავი?

ბ რ ა ნ დ ი

ვერას დამაკლებს უფსკრული, წყალი,  
თუ არ ისურვებს ჩემს სიკვდილს ღმერთი.

გ ლ ე ხ ი

(თაეისთვის)

გიჟი ჩანს, თავზე ხელაღებული.

ვ ა ე ი

(ლამის ტირილით)

დავბრუნდეთ, მამავ! მცივა, ხომ ხედავ,  
ქარიშხალი რომ გვიახლოვდება.

ბ რ ა ნ დ ი

(შეჩერდება)

განა თვითონვე არ მითხარ, გლახო,  
რომ ტბის გადაღმა შენი ასული  
წევს, სიკვდილს ებრძვის და თვისთან გიხმო,

სამუდამოდ რომ გამოგეთხოვოს  
და დამშვიდებით გასცილდეს სოფელს.

გ ლ ე ხ ი

თუ გატყუებდე, გამიწყრეს ღმერთი.

ბ რ ა ნ დ ე

მგონი, დღეს უნდა მისულიყავი.

გ ლ ე ხ ი

დიახ.

ბ რ ა ნ დ ი

ვადაა უკანასკნელი?

გ ლ ე ხ ი

რალა თქმა უნდა.

ბ რ ა ნ დ ი

წავიდეთ მაშინ.

გ ლ ე ხ ი

ვით ძალგვიძს. ირგვლივ მიმოიხედე...

ბ რ ა ნ დ ი

(გაშტერებული შესცქერის)

აღბათ, ას დალერს მისცემდი მაინც,  
რომ დამშვიდებით გარდაცვლილიყო?

გ ლ ე ხ ი

დიახ, პრესტ.

ბ რ ა ნ დ ი

ორასს?

გ ლ ე ხ ი

სახლსაც, ეზოსაც

სიამოვნებით გავცემდი, ოღონდ  
დამშვიდებული გარდაცვლილიყო.

ბ რ ა ნ დ ი

სიცოცხლეს, თუკი დასჭირდებოდა?

გ ლ ე ხ ი

(თავს მოიქეჯავს)

რათ, სიცოცხლეს, ჩემო ბატონო?

ბ რ ა ნ დ ი

დიახ.

გ ლ ე ხ ი

ყველაფერს აქვს თავის ზომა.  
ოჰ, ღმერთო ჩემო, არ დაგავიწყდეს,  
რომ ცოლ-შვილი მყავს შესანახავი.

ბ რ ა ნ დ ი

გახსოვდეს, მ ა ს ა ც რომ ჰყავდა დედა.

გ ლ ე ხ ი

მას აქეთ დიდი ხანი გავიდა, —  
სასწაულები ხდებოდა წინათ,  
ველარ იხილავ ანლა კი ერთსაც.

ბ რ ა ნ დ ი

მაშ გაიყრება აქ ჩვენი გზები,  
თუ არ გწამს, არც შენ გიწამებს ღმერთი.

გ ლ ე ხ ი

ოჰ, რა მკაცრად სჯი!

ვ ა უ ი  
(ცწევა მამას)

წავიღეთ ჩქარა!..

გ ლ ე ხ ი

პო, მაგრამ იგიც ჩვენ წამოგვყვება.

ბ რ ა ნ დ ი

ვინ — მე?

გ ლ ე ხ ი

თუკი გზას განაგრძობ კიდევ  
ამგვარ უფსკრულზე, ამ ქარიშხალში  
და ჩვენი ხალხი შეიტყობს მყისვე,  
აქეთკენ ერთად რომ წამოვედით,  
მსწრაფლ მიმათრევენ მე სამსჯავროზე,  
და თუ ჩავარდი, იქ ჩაიძირე,  
შემიბოროკავენ ხელ-ფეხს მაშინვე.

ბ რ ა ნ დ ი

ღვთის გულისათვის მიიღებ სასჯელს!

გ ლ ე ხ ი

როდი მაწუხებს მე სხვების საქმე,  
როცა ჩემთვისაც სულ ვეღარ ვიცილი.  
წამო...

ბ რ ა ნ დ ი

მშვიდობით!

შორიდან მოისმამ ყრუ ზრიალად.

ვ ა უ ი

(ყვირის)

ზეავი გრიალებს.

ბ რ ა ნ დ ი

(გლენს, რომელიც საყულოში სწვდება)

გამიშვი!

გ ლ ე ხ ი

არა!

ბ რ ა ნ დ ი

გამიშვი!

ვ ა უ ი

წამო!

გ ლ ე ხ ი

(ებრძვის ბრანდს)

არა, დამლახვროს ეშმაკმა!

ბ რ ა ნ დ ი

(ხელიდან გამოეგლიჯება და გლენს თოვლში გადაისვრის)

დიახ,

იგი ნამდვილად დაგლახვრავს ახლა!

(გადის.)

გ ლ ე ხ ი

(წამოჩდება და მკლავიდან თოვლს იბერტყავს)

ოჰ, ჯიუტია, თანაც ძლიერი, —

და რას უწოდა მან საღვთო საქმე?

(წამოღგება და გასძახის.)

ჰეი, პრესტი

1

ვ ა უ ი

მიდის ის მთაგრეხილზე..



## გ ლ ე ხ ი

ნისლში მიმავალს მეც ვხედავ კიდევ.

(ისევ მისძახის.)

გთხოვ გადმოგვძახო, თუ გაიხსენებ,  
პრესტ, სად გადავცდით გაკვალულ გზიდან.

## ბ რ ა ნ დ ი

(ნისლში)

ალარ გპირდება გზის ამორჩევა,  
უკვე გაკვალულ ბილიკზე დგახარ.

## გ ლ ე ხ ი

ღმერთმა ქნას, მართლაც, რომ ეგრე იყოს  
და შინ მშვიდობით დავბრუნდე დღესვე.

გ ლ ე ხ ი და მ ი ს ი ვ ა ე ი ბ რუნდებიან აღმოსავლეთისკენ.

## ბ რ ა ნ დ ი

(ისევ გამოჩნდება შალა და იქითყენ იქიტირება,  
საითაც გლეხი მიდის)

შინ მიჩანჩალებ, საბრალო მონავ!  
გქონოდა ოლონდ დიდი სურვილი  
და საამისოდ გყოფნოდა ძალა,  
მე ვაგებდავდი ყველაფერს შენთვის  
ასე დაღლილიც შორს წაგიღებდი  
სინათლისაკენ ამ სიბნელიდან,  
მაგრამ ამაოდ, კაცს რას უშველი,  
თუ თვითონ არ სურს, არ ძალუძს წასვლა.

(ისევ წინ მიდის.)

ო, სიცოცხლეო, სწრაფევე ძლიერო,  
რარიგ საოცრად უყვარხარ ხალხსა,  
მათხოვარიც კი შეგხარის ისე,  
ვითომ შეეძლოს მსოფლიო იხსნას,

იღამიანთა ბედნიერება  
თითქოს ესვენოს მის უძლურ მხრებზე,  
მზადაა მსხვერპლად გაწიროს თავი,  
მაგრამ შენ ასგზის უყვარხარ უფრო.

(ილიმება, თითქოს რალაც გაახსენდაო.)

ბავშვობიდანვე მე ორი აზრი  
ისეთ ხმამალალ სიცილსა მგვრიდა,  
რომ ტყავს მაძრობდა მასწავლებელი,  
რათა ხარხარი მსწრაფლ შემეწყვიტა-  
წარმოვიდგენდი ისეთ ბუქნაქოტს,  
რომელს აფრთხობდა ღამის წყვდიადი,  
და — თევზს, წყლისაგან დაფეთებულ  
ხმელეთისკენ რომ მიისწრაფოდა.  
მე ვიცილებდი ამნაირ აზრებს,  
მაგრამ ისინი არა მტოვებდნენ.  
რა მაკინებდა ასე ძალიან?

ილბათ, ის, რასაც ბუნდოვნად ვგრძნობდი, —  
თვით ბუნებაში არსებულ მარად  
წინაღმდეგობას, განხეთქილებას:  
სხვაა, ის კი სულ სხვა უნდა იყოს.  
ჩვენ გვმართებს ვზიდოთ ცხოვრების ტვირთი,  
მაგრამ გვგონია სუსტნი ვართ მისთვის.

ყოველი კაცი: ჯანსაღიც, სუსტიც  
ძლიერ წააგავს თევზებს და ბუებს.  
უნდა იზრომოს ყოველთვის ფსკერზე,  
წყვდიადში, იქ, სად ყველაზე ღრმაა,  
მაგრამ ის სიღრმეს გაურბის ხოლმე;  
ნაპირს აწყდება ჟამს მიქცევისას,  
მშინებს ძლიერ ღამის წყვდიადი  
და მუდამ ნატრობს დღის სინათლესა.  
ერთი წუთით შეჩერდება განცვიფრებულა

და ყურს უგდებს.)

ეს რა ხმა ისმის? — სიმღერას მოგავს  
და სცვლის სიცილი მას, მხიარული.

„ვაშა!“ — გაისმის შეძახილები  
ხმამალლა ერთხელ, ორჯერ, მრავალჯერ!  
ამოდის მზე და მოარღვევს ნისლსა...  
აი, მე ვხედავ შორეულ ველებს,  
იქ, სად იწყება ბილიკი მთისა,  
დილის სხივებით განათებული,  
სად მწვერვალები ცად ატყორცნილი  
დასავლეთისკენ აფენენ ჩრდილებს,  
ხმაურობს, ლაღობს ბრბო მხიარული.  
ეთიოპებიან ერთმანეთს: აგერ,  
დასავლეთისკენ მოდიან ორნი,  
სხვები გაბრუნდნენ აღმოსავლეთით.  
უქიევენ ხელებს, ქუდებს და შარფებს.

მზე თანდათან თავს აღწევს ნისლს. ბრანდი დიდხანს  
დგას და უცქერის ძირს მომავალთ.

ამ ორის ირგვლივ ციმციმებს შუქი  
და ბილიკიდან ნისლები დგება,  
მთის მანანათი კლდე აჯილდოებს,  
მთების ქედი კი უგზავნის ღიმილს...  
ნუთუ და-ძმანი არიან? აქეთ  
მორბიან ხელებჩაჰიდებულნი,  
ყვავილთა ნოხზე მოაბიჯებენ:  
ქალი ფეხს მიწას არც კი აკარებს,  
ვაჟიც ლამაზი ჩანს, ლერწამტანა;  
აი, გაუსხლტა გოგო ხელიდან,  
ცდილობს შეიპყროს, გამოეკიდა  
და გზა თამაშად გადიქვა მათთვის,  
ისმის კისკისი — წყრიალი ნაზი:

• ი ნ ა რ ი და ა გ ნ ე ს ი, მსუბუქად, მგზავრულად ჩაცმულნი, ორივენი ნახევანთე-  
ბულნი და გახურებულნი, თამაშით მორბიან ძირს, ვაკეზე. ნისლი გადაიყარა; მთებზე  
ნათელი ზაფხულის დილაა.

ა ი ნ ა რ ი

აგნეს, ლამაზო ჩემო პეპელავ,  
ფოთებმომხატულო და ყველას მჭობო,

წერილმარყუქიანს დაგიწინავ ბადეს,  
შიგ სიმღერაა ყოველი ყულფი.

### ა გ ნ ე ს ი

(აეკვავს, ჩერდება მის წინ და ყოველთვის ხელიდან უსხლტება)

თუ პეპელა ვარ, ცვარს დავლევ მაშინ.  
აქ, მანანაზე, ბევრია ნამი,  
შენ თუ ბიჭი ხარ, გამომეკიდე,  
მომდიე, მაგრამ არ მახლო ხელი!

### ა ი ნ ა რ ი

აგნეს, ლამაზო, ჩემო პეპელავ,  
ერთი ამ ყულფებს დახედე კარგად,  
ველარ გიშველის აწ ლალი ფრენა,  
მწამს ჩემს ბადეში გაგაბამ მალე.

### ა გ ნ ე ს ი

თუ პეპელა ვარ, მაშ უნდა ლალად  
ვიფრინო მე ამ მზის სინათლეზე,  
მაგრამ თუ მაინც შემძპყრობ ძალით,  
ნუ შეეხები ჩემს მაღალ ფრთებსა.

### ა ი ნ ა რ ი

არა, აგიყვან სათუთად, ფრთხილად  
და ჩემს უბეში დაგმაღავ, რომ იქ  
გაერთო მთელი სიცოცხლე შენი  
ამ მხიარული, ცელქი თამაშით.

მინი უფსკრულს ისე მიუახლოვდებიან, რომ ვერ ამჩნევენ ამან.  
ახლა ისინი სწორედ მის პირას დგანან.

### ბ რ ა ნ დ ი

(ჩასძახის)

ფრთხილად! თქვენს უკან უფსკრული არის!

### ა ი ნ ა რ ი

ვინ ხართ?

ა გ ნ ე ს ი  
(მიუთითებს ზევით)  
შეხედე!..

ბ რ ა ნ დ ი  
მოსცილდით, სანამ  
გვიან არაა!. მოლიბუღია  
გზა, საზარელ ხრამს რომ გადასცქერის!

ა ი ნ ა რ ი  
(ხელს მოხვევს აგნესს და იცინის, თან მალლა აიხედავს)  
ეგ არ გვეპირდება მაინცდამაინც!

ა გ ნ ე ს ი  
ჩვენ წინაშეა სიცოცხლე მთელი.

ა ი ნ ა რ ი  
ამ ნათელ მზეზე უნდა ვიაროთ,  
ვიდრე ასი წლის არ შევიქნებით.

ბ რ ა ნ დ ი  
მერე რას იზამთ — ძირს დაეშვებით,  
უფსკრულისაკენ, დრო როცა მოვა?

ა გ ნ ე ს ი  
(პირბადეს შეარხვეს)  
არა, ზეცისკენ გავეშურებით.

ა ი ნ ა რ ი  
ჯერ ასი წელი ვიცხოვრებთ ლაღად,  
რომ ქორწინების არ ჩაქრეს შუქი  
არც ერთ დამესა, რომ ყოველ საათს,  
ღუღღეს, მოსჩქეფდეს სიცოცხლე ჩვენს.

ბ რ ა ნ დ ი  
და მერე?

ა ი ნ ა რ ი

ისევ ზეცისკენ წაველთ!

ბ რ ა ნ დ ი

როგორ, იქიდან მოხვედით ვითომ?

ა ი ნ ა რ ი

რაღა თქმა უნდა, ვართ ზეცის შვილნი.

ა გ ნ ე ს ი

ესე იგი, ჩვენ მწვანე ჰალიდან  
მოვდივართ აქეთ დღეს ორივენი.

ბ რ ა ნ დ ი

არცთუ ისე შორს, გადასასვლელთან  
თითქოს ბუნდოვნად მოგკარით თვალი.

ა ი ნ ა რ ი

დიახ, გვნახავდით, ჩვენ ძმაცაცებმა  
და დობილებმა გამოგვაცილეს,  
გამოგვეთხოვნენ ხვევით და კოცნით,  
მეგობრობის ამ მტკიცე ბეჭედით.  
ჩამოდით, ველარ მომითმენია,  
გითხრათ, უფალი რა დიდად გვწყალობს,  
და ჩვენს სიხარულს მიხედვით მაშინ.  
მანდ ნულარ დგახართ დამზრალ ჭირკივით,  
გალხვით, გვახარებს შეხვედრა თქვენთან.  
მინდა გაუწყოთ, რომ მხატვარი ვარ,  
ბუნებისაგან დასჯილი უკვე,  
ჩემს თამამ აზრებს მან მისცა ფრთები,  
რათა ფერებით სიცოცხლე შევქმნა,  
ვით თვითონ ფოთლებს ჰქმნის კვირტებიდან.  
აწ კი მარგუნა ძვირფასი ჭილდო,  
მან მე აგნესი საცოლედ მომცა.

გზას მოვეყვებოდი სამხრეთის მხრიდან,  
საეტიუდო მეკიდა ზურგზე...

ა გ ნ ე ს ი  
(ხალასით)

ხელმწიფესავეთ საღი და ლაღი...  
და სიმღერებიც ისეთი იცის,  
რომ სულ აღგაგზნებს და აღგიტაცებს.

ა ი ნ ა რ ი

ერთხელ, ცხენდაცხენ, იმ სოფლის გასწვრივ,  
მივქროდი, სადაც აგნესი სტუმრად  
ჩამოსულიყო, რომ მთის ჰაერი,  
ფიჭვნარის სუნი ესუნთქა ხარბად,  
თან დამტკბარიყო მზითა და სივრცით;  
ღმერთი მეც მთისკენ მიმაქანებდა.  
მღეროდა სული: ეძიე, ჰპოვე  
შენ სილამაზე ღრუბლებში, ველად,  
მწვანე ფიჭვნარში, მდინარის პირას!  
და მე შევქმენი შედეგრი მართლა:  
მისი ღაწვები ვარდების მსგავსი,  
მზერა, შუქმფენი და ბედნიერი,  
სიცილი, ვით ხმა ნაკადულისა,  
გულში სიმღერის დამბადებელი

ა გ ნ ე ს ი

ჯერ არ ენახა, ხატავდა ისე!  
ესე ბრმად სვამდა თასს სიცოცხლისას,  
ვიდრე ჩემ წინ არ წარმოსდგა ერთხელ  
ზურგჩანთითა და სამგზავრო ჯოხით.

ა ი ნ ა რ ი

იი მაშინლა გამახსენდა მე,  
რომ ცოლის თხოვა დამვიწყებოდა.  
ვაშაი ვიჩქარი... თანხმობას ვიღებ  
და ყველაფერი გვარდება სწრაფად.

ჩვენი მოხუცი ექიმი ისე  
გალაღდა, რომ სამ დღეს იქეიფა  
ზედიზედ, და ჩვენც არ გამოგვიშვა.  
ამ დიდ, მხიარულ დროსტარებაში  
იყვნენ ლენსმანი, ფოგტი, მწერალი  
და მთელი კუთხის ახალგაზრდობა.  
დღეს სისხამ დილით დავტოვეთ სახლი,  
მაგრამ ნადიმი არ შეწყდა მაინც.  
ჯობზე აღმითა და გვირგვინებით  
გამოვიარეთ ციცაბო ქედი,  
მოგვაცილებდა ყველა სტუმარი.

ა გ ნ ე ს ი

წინ მოგვიძლოდნენ სიმღერით, ცეკვით,  
ჯერ წყვილ-წყვილად და მერე კი ქოროდ.

ა ი ნ ა რ ი

და ღვინოს ვერცხლის სურებით ვსვამდით...

ა გ ნ ე ს ი

ისმოდა მღერა ზაფხულის ღამით

ა ი ნ ა რ ი

ნისლი კი, ღამით ძირს დაფენილი,  
დილით მორჩილად გვითმობდა გზასა —

ბ რ ა ნ დ ი

ახლა სად მიხვალთ?

ა ი ნ ა რ ი

ახლა? — პირდაპირ

ქალაქისაკენ.

ა გ ნ ე ნ ი

ვარ იქაური.



ა ი ნ ა რ ი

ჭერ დასავლეთით, ფიორდისაკენ...  
გადვივლით მაღალ მწვერვალთა ახლოს,  
იქ კი ეგირის მფრთქვინავი ცხენი  
ქორწილისაკენ წაგვიყვანს ფრენით.  
შემდეგ კი ორნი, როგორც გედები,  
გადავუქროლებთ სამხრეთის ქვეყნებს.

ბ რ ა ნ დ ი

და იქ?

ა ი ნ ა რ ი

ვიცხოვრებთ ბედნიერად, ტკბილად,  
როგორც ზღაპარში, ვით ოცნებაში.  
რადგანაც ახლა, ამ კვირა დილით,  
თუმცა კი უღვდლოდ, სალ კლდეებს შორის,  
განანათლეს და აკურთხეს ჩვენი  
კავშირი.

ბ რ ა ნ დ ი

და ვინ დაგწერათ ჭვარი?

ა ი ნ ა რ ი

ვინა და ხალხის ბრბომ მხიარულმა:  
თასთა წკრიალში ის შეეფიცა,  
წვიმას, გრიგალს და უამინდობას, —  
ტკბილ ოცნებას რომ გვიფორიაქებს.  
მეგობრებმა კი სულ ხვევნა-კოცნით  
გაგვიიოლეს შიში და საფრთხე.  
დაგვაგვირგვინეს მწვანე ფოთლებით,  
როგორც შვილები სიხარულისა.

ბ რ ა ნ დ ი

მშვიდობით!

(წასვლას დააპირებს.)

ა ი ნ ა რ ი

(შემარწუნებულო შეხედავს)

რაო? საით მიდიხართ?

მოიცათ! მგონი... ჰო, დიახ, დიახ,  
თქვენ მე მეცნობით.

ბ რ ა ნ დ ი

ჩვენ ვართ უცხონი.

ა ი ნ ა რ ი

და მაინც სკოლა, აწ გარდასული  
დღეები, მგონი... კლასი... კარნახი.

ბ რ ა ნ დ ი

ეჰ, მეგობრები ვიყავით მაშინ,  
მაგრამ ბავშვები აღარ ვართ ახლა.

ა ი ნ ა რ ი

ნუთუ? ეს არის შეუძლებელი.

(უცებ წამოიძახებს.)

ბრანდი ხარ? დიახ, საიდან? როგორ?

ბ რ ა ნ დ ი

პირველ წუთსავე გიცანი წედან.

ა ი ნ ა რ ი

მადლობას ვწირავ ბედს ამისათვის.

ო, დიახ, დიახ, ეს შენ ხარ, ძველო.

მოიცა ერთი, შეგხედო კარგად!

როდი იყავი სხვისი მორჩილი,

შენ გეკუთვნოდა შენივე თავი.

არც შფოთისთავეებს გაჰკარებინარ,

ბავშვურ თამაშში სრულიად უცხო.

ბ რ ა ნ დ ი

დიახ, თქვენ შორის ვიყავი უცხო,

შენ კი მიყვარდი, ეს კარგად მახსოვს,

თუმცა იყავი სამხრეთის მკვიდრი  
და სულ სხვაგვარი ყალიბის, ვიდრე  
მე, ჩრდილოეთის ცივ ქარიშხალში  
დაბადებული, კონცხზე, წყლის პირას.

ა ი ნ ა რ ი

ეჟ სადღაც შენი სამრევლო არის.

ბ რ ა ნ დ ი

ღიას, ჩემი გზა ძევს სწორედ მასზე.

ა ი ნ ა რ ი

მასზე? ნამდვილად? სახლში ბრუნდებით?

ბ რ ა ნ დ ი

ახლა მაზრიდან მოვეჩქარები.

ა ი ნ ა რ ი

პრესტი ბრძანდები?

ბ რ ა ნ დ ი

(ღიმილით)

კაპელანი ვარ  
და როგორც კურდღელს, გავარდნილს ტყეში,  
ხან აქ მაქვს სახლი, ხან კიდევ იქა.

ა ი ნ ა რ ი

საით მიდიხარ? ძალიან შორსა?

ბ რ ა ნ დ ი

(მწრაფად და პირქუშად)

ნუ მეკითხები!

ა ი ნ ა რ ი

რატომაც არა?

ბ რ ა ნ დ ი

(ლმობიერად)

ამ გემს, რომელიც ახლა აქ მოვა,  
თან უნდა წავყვე აუცილებლად.

ა ი ნ ა რ ი

ჩემს საქორწინო ცხენს? ვაშა! ვაშა!  
ო, აგნეს, ჩვენთან მოემგზავრება.

ბ რ ა ნ დ ი

დიახ, ოღონდაც დასაკრძალავად.

ა ი ნ ა რ ი

ვინ გარდიცვალა! მძიმე ხვედრია.

ბ რ ა ნ დ ი

ღმერთი, რომელსაც ვუწოდე ჩ ე მ ი.

ა გ ნ ე ს ი

(უკან დაიხვეს, აინარს)

ჩქარა წავიდეთ!

ა ი ნ ა რ ი

ბრანდი

ბ რ ა ნ დ ი

დროა უკვე

დღის სინათლეზე დავასაფლაოთ  
ღმერთი, რომელსაც შვილნი მიწისა  
მალავენ ხოლმე თავიანთ გულში,  
და მასთან ჯახირს მოვუღოთ ბოლო.  
ნუთუ ვერ მიხვდით: დაბერდა იგი,  
თავს რომ დაგვცქერის ჩვენ ათასწლობით.

ა ი ნ ა რ ი

ბრანდ, ავად ჩანხარ.

## ბ რ ა ნ დ ი

ჯანმრთელი, მხნე ვარ,  
მაგარი, როგორც ფიჭვი და ღვია,  
ხალხის სული კი დაავადმყოფდა,  
წევს სარეცელზე და ექიმს ელის,  
თქვენ სიმღერა გსურთ, სიცილი, ლხენა,  
ცოტათი რწმენაც, გსურთ დაივიწყოთ  
ეს ყოველივე და მთელი ტვირთი  
უკეთურების ერთს დააკისროთ,  
იმ ერთს, რომელმაც თქვენი გულისთვის  
ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე, —  
თქვენ კი იცეკვით საღამოობით,  
სანამ უცებ არ მიექვლიტებით...  
სადა? — ეს სულ სხვა საქმეა, მგონი

## ა ი ნ ა რ ი

მივხვდი! ახალი სიმღერა გახლავთ,  
აქ ყველას მოსწონს სიტყვები მისი.  
შენ იმ ჩიტების მოდგმისა ჩანხარ,  
რომელთათვისაც ცხოვრება მთელი  
ცოდვით აღსავსე მტვერია მხოლოდ,  
თუმცა ჯოჯოხეთის შიშისგან დამფრთხალთ  
მყრალ ტომარაში უკრეს მათ თავი!

## ბ რ ა ნ დ ი

ქადაგებათა არ ვარ მწერალი,  
არც, როგორც პრესტი, გესაუბრებით,  
დანამდვილებით ისიც არ ვიცი,  
ვარ თუ არა ვარ მე ქრისტიანი.  
მაგრამ თამამად ვუცქერ სახეში  
ავადმყოფობას, რომელიც სხეულს  
ულრღნის, ტვინსა სწოვს ქვეყანას ჩვენსას.

## ა ი ნ ა რ ი

(ილიმება)

ეს კი ნამდვილად პირველად მესმის,  
რომ დიდებული ქვეყანა ჩემი  
სიხარულისგან იტანჯებოდეს.

## ბ რ ა ნ დ ი

არა, სადა აქვს მას სიხარული.  
კარგი კი იყო, ჰქონოდა: მაშინ  
სიხარულს მონად დაუდგებოდი  
და, სულით სუსტი, არ შეიცვლიდი  
სახეს დღეს ასე, ხვალ კი სხვაგვარად.  
ბაკქანის სახე ჩემთვის ცხადია,  
მაგრამ საბრალო და საცოდავი  
არის, ღვინოში ვინც იხრჩობა.  
სილენს ფიგურა აქვს პლასტიკური,  
მაგრამ ლოთისა — სამარცხვინო რამ  
კარიკატურად არის ქცეული.  
შემოიარე სამშობლო ჩვენი,  
ჩასწვდი, ჩახედე ყველა კაცს სულში,  
მაშინ მიხვდები, რომ შეუძლიათ  
იმათ, რომ იყვნენ სულ ცოტა-ცოტა:  
კვირა დღეს ცოტა თავმოწონენი,  
მამა-პაპათა ანდერძის ოდნავ  
პატივისმცემნი, სიამოვნებას  
დახარბებულნი სულ ცოტა-ცოტა  
(ისევე, როგორც მამები მათი);  
სმაზე ცოტა გულაჩვილებულნი,  
ცოტა გულთბილნი, როცა პატარა  
მაგრამ მხნე, მტკიცე მთიელი ხალხი  
ძლიერ სიმღერას დააგუგუნებს,  
თათბირის დროს კი ცოტა ფხიზელნი,  
რათა ნადიმზე ნათქვამი სიტყვა  
გით შეასრულონ, დაიცვან ისე,  
არ მოუვიდეთ ზარალი დიდი.

ღიახ, ისინი სულ ცოტა-ცოტა  
არიან კარგშიც, არიან ცუდშიც,  
დიდშიც, მცირედშიც — სულ ნაწილადი:  
სიკეთეშიაც, ბოროტებაშიც,  
სიყვარულშიაც და სიძულვილშიც;  
საშინელი კი ისაა ყოვლად:  
ეს ნაწილადი თავს იდებს ძალით,  
რომ იბატონოს სხვა დანარჩენზე!

ა ი ნ ა რ ი

ჩვენ ყოველივეს აბუჩად ვიგდებთ,  
მაგრამ სჯობია გზა შებრალების.

ბ რ ა ნ დ ი

შესაძლო არის, მაგრამ ეს განა  
გაჯანსაღებას მოგვითმანს ვითომ?

ა ი ნ ა რ ი

ვიცი, მძიმეა შენდობა ხალხის  
და გეთანხმები ამაზე კიდევ,  
მაგრამ მთავარზე ვილაპარაკოთ:  
ღმერთს, რომლისაც გსურს დასამარება,  
რანაირადღა უწოდებ შენსას?

ბ რ ა ნ დ ი

შენ მხატვარი ხარ, ჩემო ძმობილო,  
ჰოდა, მიჩვენე უკვდავის სახე!  
მას ხომ ხატავდი, როგორც მსმენილ,  
და ეს სურათი მოსწონდა ყველას.  
მოხუცი გახლავით, ასე არაა?

ა ი ნ ა რ ი

ღიახ.

## ბ რ ა ნ დ ი

ცხადია. ქალარა უკვე.  
თან მელოტია, ვით ბერიკაცი,  
წვერი ჰკიდია, როგორც ყინული,  
ან ვერცხლისფერი, რომელიც გნებავთ.  
ის კეთილია, თუმც ისე მკაცრი,  
ბავშვებს საწოლში მიერეკება.  
ჩააცვამ მაგ ღმერთს ქოშებს თუ არა,  
მე ამას აღარ ვკითხულობ ახლა,  
მაგრამ იქნება არ დაგავიწყდეს  
მისთვის სათვალე და არახჩინი.

ა ი ნ ა რ ი

(განრისხებული)

დასცინი?

## ბ რ ა ნ დ ი

მე არ დავცინი სულაც,  
სხეთი არის ჩვენს დროში ღმერთი.  
მე ამ სიტყვებით გინატავ ჩვენი  
ქვეყნის ბუნებას, ოჯახის ღმერთსა,  
ვით კათოლიკე მხსნელს წარმოადგენს  
ხშირად პატარა ყმაწვილის სახით,  
ასევე ჩვენი ღონემიხდილი,  
მიხრწნილი ღმერთი ბავშვად ქცეულა.  
ვით პაპი, წმიდა პეტრეს მოსაყდრე,  
ორმაგ გასაღებს ინახავს მხოლოდ,  
აწ ეკლესიის მცირე ეკვდერში  
ჩაგიმწყვდევიათ მთელი საუფლო.  
თქვენ განაშორეთ სიცოცხლეს რწმენა.  
ყოფნა როდი გასურთ, იცხოვროთ ოღონდ.  
თუმც მიისწრაფით ამაღლდეთ სულით,  
სრული ცხოვრება გაზინებთ მაინც.  
სიკეთეშიც და ბოროტებაშიც  
თქვენ ღღეს გჭირდებათ ისეთი ღმერთი,



რომელიც მუდამ თვალს მოგარიდებთ,  
მასაც ის ძალუძს, რაც კაცთა მოდგმას,  
არახჩინის ქვეშ რომ შეურგია  
დიდი ცანცარა, მელოტი თავი.  
მაგრამ ეგ ღმერთი, ასე მიხარწნილი  
და ჩაჩანაკი, როდია ჩემი;  
ჩემი ღმერთია გრივალი მძლავრი,  
შენი კი — მხოლოდ ნიავე სუსტი,  
შენი ყრუ არის, ჩემი ფხიზელი,  
ჩემსას ყველანი უყვარს, შენი კი  
გულგრილი გახლავთ ყველაფრისადმი.  
ჩემი თვით გმირი ჰერკულესია,  
თავს გამარჯვების გვირგვინი უმკობს,  
შენი კეთილი ბერიკაცია,  
წელთა სიმრავლით მოხრილი წელში,  
გრგვინავდა მისი მგზნებარე სიტყვა,  
როს ანთებული ბუჩქიდან იგი  
წამოიშართა მოსეს წინაშე,  
ვით გოლიათი ჰიგმეის წინა.  
მან შეაჩერა მზე გავაონზე  
ის მოახდენდა სასწაულს დღესაც,  
რომ თვით ქვეყანა არ იყოს მხდალი.

ა ი ნ ა რ ი

(ოდნავი ღიმილით)

უნდა ნამდვილად გარდიქმნას იგი?

ბ რ ა ნ დ ი

დიახ, ეს არის ჭეშმარიტება,  
თითქოს ექიმად დავბადებულვართ,  
რათა განვკურნოთ სასტიკ სენისგან.

ა ი ნ ა რ ი

(თავს აქნევს)

ჯერ ნუ ჩააქრობთ კვარსა ფიჭვისას,  
სანამდე დიდს არ აანთებთ ფარანს,

და ნურც ძველ სიტყვებს მოსპობთ მანამდე,  
სანამ ახალს არ გამოიგონებთ.

### ბ რ ა ნ დ ი

სულ არ ვესწრაფვი მე ახალ სიტყვებს,  
მუდმივ სიმართლეს გაუწყებ მხოლოდ.  
არა დოგმები და ეკლესია  
მსურს ავამაღლო, ვით სათაყვანო, —  
იხილეს უკვე მათ დღე პირველი  
და ამიტომაც, ვით დანარჩენნი,  
ღამის წყვდიადსაც ნახავენ, ალბათ,  
რადგან მ უ ღ მ ი ვ ი ა რ ა ფ ე რ ი ა,  
რაც კი შექმნილა ამ ქვეყანაზე:  
ის საკმელია ჩრჩილის და მატლის,  
ღროის და ნორმის კანონი აღგვის  
მიწიდან ახალ ფორმებისათვის.  
მაგრამ რ ა ღ ა ც ა მუდმივი რჩება.  
ეს სული არის, ის ხომ შექმნილი  
არაა, თვითონ ქმნის ყველაფერსა,  
და, თუ ცისკრის ჟამს დაეცა იგი,  
თავის დაცემას გამოისყიდის,  
როცა რწმენის ხიდს ის სხეულიდან  
ვარსკვლავთა ზემოთ — სულამდე გასდებს.  
ახლა ის ცოტა გამოიფიტა  
თანამედროვე გაგებით უფლის.  
მაგრამ ის უნდა შეიქმნას მ თ ე ლ ი  
თავის, ხელების, სულის და გულის  
ნამსხვრევებიდან და აღდგეს ისევ,  
რომ აღიაროს უფალმა ის, რაც  
უკეთესია მის არსებაში,  
თვითონ რაც შექმნა — აღამის ძენი,  
მისი ბრწყინვალე შთამომავალნი.

### ა ი ნ ა რ ი

(შეაწყვეტინებს)

მშვიდობით! ჩვენთვის უკეთესია  
აქ გავიყარნეთ.

ბ რ ა ნ დ ი

თუ დასავლეთით

მიდიხართ, მე კი ჩრდილოეთს მივალ,  
ფიორდამდე ჩვენ ტოლი გზები გვაქვს.  
მშვიდობით!

ა ი ნ ა რ ი

შენაც მშვიდობით გველოს.

ბ რ ა ნ დ ი

(ერთხელ კიდევ შემობრუნდება)

და ერთიც კიდევ! — შენს საველ გზაზე  
შუქის და ჩრდილის გარჩევა შესძელ,  
ხელოვნებაა თვითონ ცხოვრება.

ა ი ნ ა რ ი

გინდაც ახალი სამყარო შექმნა,  
ერთგული ვრჩები ჩემი ღმერთისა.

ბ რ ა ნ დ ი

თუნდა დახატო ყაევარჯნიანი,  
მოვალ, კუბოში ჩავაწვენ მაინც.

(მიდის ქვემოთა ბილიკზე.)

აინარიც იმავე მიმართულებით მიდის და თან თვალს ადევნებს ქვემოთ მიმავალ  
ბრანდს.

ა გ ნ ე ს ი

(ერთ წამს ჯგას ბურანში წასულივით, შემდეგ შეკრთება, შეწუხებული მიმოიხედავს  
და შეშფოთებით იკითხავს)

მზე ჩადის?

ა ი ნ ა რ ი

არა, ღრუბლებმა ოდნავ  
დაფარეს მხოლოდ.

## ა გ ნ ე ს ი

ცივა ძალიან.

## ა ი ნ ა რ ი

ჭალაში ქარმა გზა გამონახა,  
ატეხა ქროლა, მაგრამ დაღმართი  
დაიწყო უკვე.

## ა გ ნ ე ს ი

თანდათან უფრო  
გაუვალთა გზა, უდაბური,  
ხოლო სამხრეთში ნისლები წვება.

## ა ი ნ ა რ ი

წელან თამაშით გატაცებულმა  
ველარ შენიშნე შენ ეგ მწვერვალი,  
ვიდრე ჩვენ შორის არ ჩადგა იგი.  
მაგრამ აწ ისევ თავის გზით მიდის,  
ჩვენ კი ხელახლა დავიწყებთ თამაშს.

## ა გ ნ ე ს ი

ოპ, აღარ ძალმიძს, მთლად მოვიქანცე...

## ა ი ნ ა რ ი

მეც დავიდალე, მართალი რომ ვთქვა.  
სიარულიც რომ გაჭირდა ძალზე,  
იმ მოტიტვლებულ ქედს კი არა ჰგავეს.  
მაგრამ როგორც კი ჩავევლით დაღმართს,  
სირბილს და ცეკვას დავიწყებთ ისევ,  
უფრო ვიანცებთ, ვიდრე — აქამდე,  
დიახ, ნამდვილად მაგ კაცის ჭიბრზე.  
შეხედე, აგნეს, იმ ცისფერ ხანძარს,  
რარივად აწვის შიგ მზე ცხოველი  
ხან მცირე ჰავლით, ხანაც ღიმილით

ბრწყინავს სინესტის ცისფერი ზოლი, —  
ეგ ზღვაა, შორით ლამაზი მოჩანს.  
ხედავ იქ, რარიგ ამდგარა ბოლი,  
ხომალდები რომ ზღვას მისერავენ?  
იმათ ქვემოთ კი შავ წერტილს ხედავ?  
ჩვენი გემია — შენი და ჩემი!  
ფიორდისავენ მოემართება,  
რომ სალამოზე გაბრუნდეს უკან,  
შინ გასწიოს და ჩვენც წაგვიყვანოს.  
ხედავ, რა სქელი ნისლეები წვება,  
აგერ, აი იქ, შორ ჰორიზონტზე,  
სად ზღვა და ზეცა შეერთებულან.

### ა გ ნ ე ს ი

(თავის ფიქრებში ჩაძირული წინ იმზირება) ,  
დიახ... მაგრამ შენ ვერ დაინახე?

### ა ი ნ ა რ ი

რა?

### ა გ ნ ე ს ი

(აინარს არც შეხედავს, ხმას დაუწევს, თითქოს ტაძარშიაო)

საუბრის ღროს ვით მალღღებოდა  
და იზრდებოდა თანდათან იგი.

აგნის მიდის ქვემოთა ბილიკზე. აინარი უკან მისდევს.

კლდოვანი გზა უფსკრულის მარცხნივ. შორს, მალა, მოჩანს თოვლით დაფარულა  
მთის ქონგურები.

### ბ რ ა ნ დ ი

(გამოდის ზემოთა ბილიკზე, ძირს ეშვება, შეჩერდება შუა ადგილას, კლდის გამო-  
შვერილ ლოდზე და უფსკრულს ჩასცქერას)

დიახ, ვიცანი კვლავ ჩემი თავი!  
ყოველ სახლს, ბორცვს თუ ფიქვენარის ჩერონს,  
ხილს, შესართავთან თეთრ არყის ხესა,  
ძველ ეკლესიას და სასაფლაოს,

მდინარის ნაპირს, ნაპირზე მურყნარს, —  
ღიახ, ყველაფერს, ყველაფერ ამას  
მე ბავშვობიდან ვიხსენებ უკვე,  
ოღონდ ესაა, უფრო პატარა  
და უფერული ჩანს ყველაფერი.  
ეს კლდეები კი მეტია უფრო,  
შუბლოვლიანნი რომ გადმომდგარან.  
ის მწვერვალი კი, მარადი თოვლით  
გადაფარული ცას უნგრევს მკერდსა,  
ძირს გადმოგვცქერის მრისხანე სახით  
და უზარმაზარ ჩრდილს აფენს დაბლა,  
მზის შუქსა გვპარავს ყინულის მკერდით.

(დაქლება და შორს იცქირება)

ფიორდი... ნუთუ წინათაც ასე  
საცოდავი და პატარა იყო?  
ახლა ზედ აწვიმს. იქ კი კარაპი  
ქარის დინებას მიჰყვება ფრთხილად.  
ცოტა სამხრეთით, კლდეებს ჩრდილში,  
ნაგმისადგომი და ფარდულია,  
იქვეა ეზო, ეზოში სახლი  
დგას ქვრივი ქალის, — ეს მშობლიური  
სახლია ჩემი... ჩემ წინ დგებიან  
ბავშვობის ნაზი მოგონებები.  
იქ მარტოდმარტო, როგორც დევნილი,  
ვიზრდებოდი მე სალ კლდეთა შორის,  
მძიმე ბორკილით ვიყავ შეკრული  
სულთან, რომელიც მე არ მისმენდა  
და ჩემს სულს ფეხით თელავდა მტვერში.  
დიდთა საქმეთა სიზმარს დიდებულს  
წყვდიადი ნისლით ფარავდა თითქოს,  
აქრობდა სიმხნეს, კაბუკურ ძალას,  
სულს ასუსტებდა — ჭკნებოდა იგი  
აქ, მშობლიური ქოხის მახლობლად.  
რაც უფრო ახლოს ვიყავი მასთან,  
მით უფრო სუსტი, მორჩილი, წყნარი

და თვინიერი გახლდით ისე, ვით  
სამსონ — დალილას მუხლებზე მჭდარი.

(ისევ გადაიხედავს უფსკრულში)

რა ხდება იქა? რა ფუსფუსია,  
რა მოძრაობა; სახლებიდან რომ  
გამოფენილან ცოლები, ქმრები,  
მათი შვილები და ჯგუფ-ჯგუფობით  
მისდევნენ გზასა, მთის ვიწრო ბილიკს,  
და გრძელი რიგი შავი ლენტვივით  
მიირხევა და უახლოვდება  
ნელ-ნელა სოფლის ძველ ეკლესიას?

(წამოდგება.)

გიცნობთ შიგნიდან და გარედანაც:  
ხარტ ჭკუით, სულით მოთენთილები;  
ვიცი, ეგ თქვენი „მამაო ჩვენო“  
მოკლებულია ლაღფრთიან ნებას,  
ღვთის წინაშე შიშს და სურვილს ისე,  
რომ თქვენს ხმას უფლის ყურამდე მხოლოდ  
ძლივს მოაქვს თქვენი მეოთხე თხოვნა.  
ეგ არის თქვენი ხალხის საბრძოლო  
შეძახილი და დევიზი ქვეყნის.  
იგი ძვეს გულში გადამალული,  
შტორმებისაგან დევნილი თითქოს,  
ვით ჩონჩხი რწმენის მათის, ძველისა.  
არა! შორს, შორს ამ ვიწროებიდან,  
აქედან სუნი ამოდის მყრალი,  
შორს, იქით, სადაც ჰქრის ლაღი სიო  
და ფრიალებენ დროშები ქარში!

(წასვლას დააპირებს.)

ზემოდან გადმოსროლილი ქვა ძირს დაეცემა და ფერდობზე მოგორავს მის მახ-  
ლობლად.

(შეპყვირის ზევით.)

ჰე, მანდ ვინ არის? ვინ ისვრის ქვასა?

გ ე რ დ ი, თხუთმეტი წლის გოგონა, გარბის მთის თხემზე, ფეშტაპალში ქვება  
უწყვია.

გ ე რ დ ი

აპა, შეჰყვირა! მოვარტყი უკვე.

(ისევ ისვრის ქვას.)

ბ რ ა ნ დ ი

თავი ანებე მაგნაირ თამაშს!

გ ე რ დ ი

იგი გორაკზე წამოსკუბულა,  
ხეჰცეულაზე ზის უვნებელი.

(ისევ ისვრის ქვას და ყვირის.)

უწინდელივით უცნაურია.

ჰეი! გაფრინდა! მომეშველენით!

დამაცხრება და ჩამასობს ბრკუალებსა..

ბ რ ა ნ დ ი

უფლის სახელით!

გ ე რ დ ი

სსსუ... შენ ვინა ხარ?

მიფრინავს... წყნარად... თუმც ის არ არის...

ბ რ ა ნ დ ი

მაშ ვინლა არის?

გ ე რ დ ი

ვერ დაინახე,

ვით მიფრინავდა გეზელი ცაში?

ბ რ ა ნ დ ი

იქ? არა...



გ ე რ დ ი

ოჰ, რა საზიზღარია,  
დიდია, ძლიერ ბრტყელი ბიბილო  
ჰკიდია შუბლზე, თვალთა გარშემო  
ავლია ქობა წითელ-ყვითელი.

ბ რ ა ნ დ ი

საით მიდიხარ?

გ ე რ დ ი

ეკლესიაში.

ბ რ ა ნ დ ი

მართლა? წავიდეთ იქით ორივე.

გ ე რ დ ი

ორივე? არა, მე ზევით წავალ.

ბ რ ა ნ დ ი

(მოუთითებს ქვემოთენ)

ეკლესია ხომ იქ არის.

გ ე რ დ ი

წმესტქერის დამცინავად და ასევე დამცინავი ღიმილით ამბობს)  
იქა?

ქვემოთ რომ მოჩანს?

ბ რ ა ნ დ ი

ღიახ, წავიდეთ.

გ ე რ დ ი

არა, იქ ძალზე საზიზღარია...

ბ რ ა ნ დ ი

რაო? რინათვის?

გ ე რ დ ი

სივიწროვება.

ბ რ ა ნ დ ი

მაშ სადღა ნახე ტაძარი დიდი?

გ ე რ დ ი

დიდი ტაძარი? ვიცი, სად არის.  
მშვიდობით.

(მიღის ზევითკენ.)

ბ რ ა ნ დ ი

შენი ეკლესიისკენ  
გზა იქით მიღის? მაგრამ შიშველი  
მთების გარდა იქ ვერაფერს ვხედავ!

გ ე რ დ ი

წავიდეთ ერთად და ნახავთ თვითონ  
თოვლ-ყინულისგან აგებულ ტაძარს!

ბ რ ა ნ დ ი

თოვლ-ყინულისგან, აჰ, ვიცი ახლა:  
იქაა, სადაც მთა მყინვარწვერი  
გამოკვეთილა ქონგურის მსგავსად,  
იქ ხეობაა, მსმენია ესაც  
მე ბავშვობიდან, ზედ გადაჭიმულ  
თალს კი უხმობენ „ყინულის ტაძარს“.  
აქვს გაყინული ტბა იატაკად,  
შეკრული თოვლის მძიმე ფენებით  
გადაუფარავს კედლები ქედის  
და თოვლის ჭერად გადახურვია.

გ ე რ დ ი

ღიახ, ეგ მოჩანს თოვლ-ყინულივით,  
როცა შორიდან შეხედავს კაცი.

სინამდვილეში კი ტაძარია,  
საუკეთესო, ყველაზე დიდი.

ბ რ ა ნ დ ი

იქ არ წახვიდე! ქარმა უეცრად  
რომ დაუბეროს, ყინულის ჭერი  
ჭახჭახს დაიწყებს, დაიგრილებს  
და მაშინვე ძირს ჩამოიქცევა.

გ ე რ დ ი

(არ უსმენს)

წავიდეთ, ვნახოთ ირმების ჯოგო,  
ზამთარში ზვავმა რომ დაიტანა,  
ახლა კი დადნა, რომ გაზაფხულდა.

ბ რ ა ნ დ ი

იქ არ წახვიდე! საშიში არის!

გ ე რ დ ი

(უთითებს ქვევითკენ)

საშინელია შენი ტაძარი.

ბ რ ა ნ დ ი

ღმერთმა შეგინდოს...

გ ე რ დ ი

წავიდეთ ერთად  
მთაზე, ყინულის ეკლესიაში.  
იქ წირვის ნაცვლად, ჩანჩქერის შრიილს,  
ზვავების გრიალს, ყინულის წკრიალს  
მოისმენ, ქარი ქადაგებს, გილობს  
ისე, რომ ოფლის დაგასხამს ღვარი.  
იქ ვერ შეაღწევს გეზელი ივი:  
ის ხომ მუდამ შავ მწვერვალზე ჯდება, —  
ზის საზიზღარი და ბრაზიანი,  
როგორც ფლუგერი გუმბათზე ტიპრის.

## ბ რ ა ნ დ ი

მცდარია ეს გზა და შენი გრძნობა,  
ის გულგაბზარულს ჰგავს ვიოლინოს,  
ბოროტს კეთილად მოაქცევ ზოგჯერ,  
დამსხვრეულ სულს კი ვერ გაამთელებ.

## გ ე რ დ ი

ფრთა ფრთას შემოჰკრა, გაფრინდა იგი  
შუფიდობით! უნდა მიეასწრო შინა,  
შევიმალეები ყინულის ტაძრად!  
აგერ, მიფრინავს ეგ საზიზღარი...  
შორს გამეცალე, თორემ ქვას გესვრი.  
ვერ შემაშინებ ბასრი ბრჭყალებით,  
ხომ მხედავ, ჯოხი მიჭირავს ხელში.

(მირბის ზემოთ მთაზე.)

## ბ რ ა ნ დ ი

(პაუზის შემდეგ)

და აი ესეც; ერთ-ერთი მრევლი!  
სადა ცრუობენ უფრო ნაკლებად,  
ან უფრო მეტად, — მთაში თუ ბარში?  
იქ მხიარული თ ა ვ ქ ა რ ი ა ნ ი  
საშიშ ხეობით თავს იქცევს თითქოს,  
აქ კი მოძვრება გონებამძიმე  
და ეფარება ძველ ადათ-წესებს.  
ხოლო ს ი გ ი ჟ ე გასაოცარი  
ყინულს მაშინვე გარდაჰქმნის ტაძრად!  
არა, ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა  
ამ სამეხასთან, რათა დაიმსხვრეს  
გულის, გონების ბორკილი ყველა.  
აჰა, მივაგენ ჩემს მოწოდებას,  
ფანჯარაში რომ მზესაგით ბრწყინავს.  
ჩემი ვალია: ეს სამი ტროლი  
უნდა მოვსპო და დავასამარო,

რომ ამ სასტიკი, შავი უამისგან  
განთავისუფლდეს კაცობრიობა.  
აღსდექი სულო! იშიშველე ხმალი,  
წინ ღირსეული მიზანი გიძღვის,  
მაშ აღასრულე ეს მძიმე ვალი.

(დაეშეება სოფლისაყენ.)

## მეორე მოქმედება

ძირს, ფიორდთან, ფრიალო კლდეების ქვემოთ, პატარა ბორცვზე დგას ძველი, მიტოვებული ეკლესია. ახლოვდება ქექა-ქუხილი. ხალხი — ქალები, კაცები და ბავშვები ჩგუფ-ჩგუფად გროვდებიან, ნაწილი — სანაპიროზე, ნაწილი — მახლობელ ბორცვებზე. შუი ადგილას ქვაზე ზის ფოტო; მწერალი მას ეხმარება ხორბლისა და სხვა სურსათის განაწილებაში. აინარი და აგნესი, ხალხით გარშემორტყმულნი, დგანან ცოტა მოშორებით, ნაპირზე. რამდენიმე ნაგებევს ზღვის მოქცევის გამო გაშიშვლებულ სანაპიროზე. ეკლესიის ბორცვზე გამოჩნდება ბრინდი, რომელსაც ხალხი ვერ ამჩნევს.

კ ა ც ი

(ხალხში წინ მოიწეეს)

გამიშვი!

ქ ა ლ ი

მოვედ ყველაზე ადრე!

კ ა ც ი

ო, შე წყეულო!

(მიიჭრება ფოტოთან.)

მომეცი რაძე!

ფოტო

მოიცა!...

კ ა ც ი

არა, არ შემიძლია.

მშიერი მიცდის ოთხი თუ ხუთი.

ფოგტი

(დაცინვით)

ოთხი თუ სუთი? არც იცი ზუსტად?

კაცი

ერთი კვდებოდა, რომ წამოვედი,

ფოგტი

მოიცა, თუ ხარ შენ ამ სიაში?

(სიას ათვლიერებს.)

დიახ, ყოფილხარ საბედნიეროდ.

(მწერაღს.)

აი, ნომერი ოცდამეცხრეა.

მოიცათ, ხალხო, ხომ მხედავთ, ვეძებ.

ნაღს სნემურ!

კაცი

აქ ვარ.

ფოგტი

უწინდელ ნორმის

სამ მეოთხედსღა მიიღებ ახღა.

აწ ნაკლებნი ხართ.

კაცი

ჰო, სწორედ გუშინ

გარღაცივღა ჩემი დიაცი.

ფოგტი

(აღნიშნავს)

ერთი უღუღღა დღვეზოღება.

(მიმავღლ კაცს.)

მღგრამ იცოდღე, ჳერ ნუ იჩქარღბ

მეორღე ცოღის მოყვანღს.

მწერალი  
ხა-ხა!

ფოგტი  
(მაცრად)

რაზე იცინი?

მწერალი  
იმაზე, რომა

ასე ოხუნჯობს ბატონი ფოგტი.

ფოგტი

სულაც არ არის ეს სასაცილო,  
მაგრამ ხუმრობა გვიქარვებს წუხილს.

აინაჩი

(გამოდის ხალხიდან აგნესთან ერთად)

დაცარიელდა ჯიბეც და ქისაც,  
გამომელია ფული მთლიანად, —  
ავალ ზომალდზე, ვით ქარაფშუტა,  
ჯოხსა და საათს დავაგირავებ.

ფოგტი

სწორედ კაი დროს მოხვედით ახლა,  
ძალზე ცოტაა, რაც შევავროვე,  
ამით, ცხადია, ვერ მოვსპობ შიმშილს.  
ისიც იცით, რომ განაწილების  
მერეც იქნება ცარიელ ხელით  
და წყურვილისგან გამშრალი პირით  
დაბრუნდეს სახლში საწყალი კაცი.

(წენიშნავს ბრანდს და მიმართავს მას.)

აი, ეს ერთიც! რომ გაგეგონათ  
წყალდიდობაზე, შიმშილზე რამე,  
თქვენს ქისას წამსვე მოხსნიდით თავსა,  
თუკი აქამდე თავმოკრულია, —



ჩვენი მარაგი ოლევა უკვე:  
ამდენ ხალხს როგორ გავაძლებ, აბა,  
რადაცა ოთხი თუ ხუთი თევზით.

ბ რ ა ნ დ ი

ათი ათასიც გაუნაწილოთ,  
მაინც მშვივრები დაბრუნდებიან.

ფ ო გ ტ ი

ახლა მჭირდება მე კარგი რჩევა,  
თორემ მაგგვარი სიტყვები, გწამდეს,  
ქვებივით ცვივა ცარიელ კუჭში.

ა ი ნ ა რ ი

არა მგონია, იცოდე, როგორ  
დატანჯულია საწყალი ხალხი:  
ავადმყოფობა, მოუსაველობა...  
სიკვდილი დაძრწის აწ ყველგან.

ბ რ ა ნ დ ი

ვიცი,  
ეგ საშინელი სამსჯავრო გახლავთ.  
ტყვიასავით ლურჯ და დამძიმებულ  
თქვენი თვალების ღრმა ნაოჭებზე  
ვკითხულობ ამას.

ფ ო გ ტ ი

და მაინც ისევ  
მაგარი, მტკიცე ხართ, როგორც ტალი?

ბ რ ა ნ დ ი

(ჩამოდის ძირს, ხალხის შუაგულში და თითოეულ სიტყვას წარმოსთქვამს მკაფიოდ)  
რომ მიდიოდეს სიცოცხლე დონდლოდ  
და ყოველდღიურ გაჭირებაში,  
მე, რა თქმა უნდა, შეგიცოდებდი.

როცა მისცოცავთ ოთხზე მხეცივით  
და ღღეც მიცოცავს ერთფეროვანი,  
ვით ბალდახინი, ნელი ჭირალით,  
კაცი იფიქრებს, ამომილოო  
თავის სიიდან მაღალმა ღმერთმა...  
მაგრამ ის არის მოწყალე დიდად:  
ძვალსა და რბილში გაგიჯდათ შიში,  
ეს კი აღვიძებს თქვენს მხნეობასაც,  
მან სილატაკით დაგსაჯათ ასე.

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა

(მუქარით შეაწყვეტინებს)

ჩვენს სილატაკეს დასცინის იგი.

ფ ო გ ტ ი

და — ჩვენც, ვინც პურს და სხვა სურსათს გაძლევთ.

ბ რ ა ნ დ ი

(თავს აქნევს)

ო, რომ მისმენდეს მაღალი ღმერთი,  
შემოგწირავდით ჩემს სისხლს მთლიანად,  
ჰოდა, იდენდა ის თქვენს ცარიელ  
გამშრალ ძარღვებში ნაკადულივით,  
სანამ თვით მე არ დავიცლებოდი.  
მაგრამ სიკვდილი ხსნად მოგვევლინათ,  
თვითონ უფალმა ინება ასე,  
რომ წყვდიადიდან გამოგიყვანოთ.  
თუნდ სუსტი იყოს, თუ ცოცხალია  
ხალხი და სულით არ დაცემულა,  
ნამდვილად შესძლებს ასეთ ტანჯვისგან  
გახდეს მამაცი, გახდეს ძლიერი.  
წელს გაიმართავს თავისუფლება  
და ჩაგვრას ბრძოლით მოუღებს ბოლოს.  
მაგრამ თუკი ეს მწუხარე ხვედრი  
დიდ საქმეებს ვერ წარმოშობს, მაშინ

ასეთი უშნო და დონდლო ხალხი  
თავისუფლების არ არის ღირსი.

ე რ თ ი ქ ა ლ ი

ფიორდზე სეტყვის ღრუბელი წვება,  
ეს ქნა უკმეხმა სიტყვებმა მისმა.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

მან განარისხა თვითონ უფალი.

ბ რ ა ნ დ ი

ის სასწაულს არ მოავლენს თქვენთვის

ქ ა ლ ე ბ ი

შეხედე, ელავს.

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა ბ რ ბ ო დ ა ს

რას გვემუქრება?

მაშ, ჩავაქვათ თუ ასეთია.

ხალხი მუქარით ეოტყვის გარს ბრანდას. ფოგტი ჩადგება მათ შორის. ქ ა ლ ი,  
რომელიც ველურივით იმზირება და ტანსაცმელი შემოპფლეთია, სასწრაფოდ ჩამო-  
ირბენს ბორცვიდან.

ქ ა ლ ი

(ყვირის შორიდანვე)

ქრისტეს გაფიცებთ, მიშველეთ რამე!

ფ ო გ ტ ი

გვითხარ, საბრალოვ, რა გაგიჭირდა?

ქ ა ლ ი

გაგიჭირდაო? სულ არაფერი.

ო, საშინელი, საზარელია

ის საქმე, ახლა რაც უიდა გითხრათ.

ფოგტი

რაო?

ქალი

არ ძალმიძს... არ მყოფნის სიტყვა...  
სად არის პრესტი? მე მხოლოდ იგი  
მიხსნიდა.

ფოგტი

პრესტი აქ არვინ არის.

ქალი

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, მაშ დავიღუპე,  
რისთვის დამბადე, უფალო, ქვეყნად!

ბრანდი

ვინ იცის, იქნებ აქ არის პრესტი.

ქალი

(ხელზე სწვდება)

მაშ წამოვიდეს ახლავე, ამწამს!

ბრანდი

ჯერ ის მითხარი, რა გიჭირს ასე.

ქალი

ფიორდის იქით...

ბრანდი

რა?

ქალი

ჩემი ქმარი...

მოიცა... სამი მშვიერი ბავუვი...

სახლი კი სულ მთლად უკაცრიელი...

შეჩვენებული არ არის განა?

ბ რ ა ნ დ ი

ჯერ დაასრულე.

ქ ა ლ ი

გამიშრა ძუძუ,  
ვერც ღმერთმა მიხსნა და ველარც — ხალხმა,  
კვდებოდა მრწემი, ძრწოდა, ბლაოდა,  
გაწვალდა ქმარი და მოკლა...

ბ რ ა ნ დ ი

მოკლა?

მან მოკლა!

ბ ა ლ ხ ი

(შეშინებული)

შვილი!

ქ ა ლ ი

და იმავე წამს

შეიგრძნო მთელი უბედურება.  
ვერ აიტანა მონანიების  
მძიმე წუთები და თავის თავზე  
აღმართა ხელი. ო, იხსენ ღმერთო!  
მას შემდეგ იგი აღარც მკვდარია  
და არც ცოცხალი. სულ ხელთ უპყრია  
შვილის ცხედარი, მისი ბაგიდან  
გაისმის მხოლოდ სასტიკი წყევლა.

ბ რ ა ნ დ ი

(ჩუმაღ)

ღიახ, ეს, მართლაც, გასაჭირია.

ა ი ნ ა რ ი

(გაფთრებული)

საზარელია!

ფოტო

დიდება უფალს,  
ჩემს რაიონში არ შედის იგი.

ბრანდი

(მოკლედ, ხალხს)  
ნავი სასწრაფოდ! შე გადავცურავ.

ერთი კაცი

ამ ქარიშხალში? არ შეიძლება.

ფოტო

ფიორდს გარშემო მისდევს ბილიკი.

ქალი

არ შეიძლება აწ მასზე გავლა,  
რომ მოვდიოდი, ჩემს უკან წყალმა  
წაიღო უკვე მცირე ხიდები.

ბრანდი

მაშ, ნავი!

ერთი კაცი

არა, აკი გითხარი,  
რომ იქ, ბრაგებზე, გრიგალი დაჰქრის.

მეორე

უსმინეთ, უკვე დაჰბერა ქარმა,  
მთელი ფიორდი დაფარა ნისლით.

მესამე

როცა ასეთი ამინდი დგება,  
პრესტი წირვასაც გადასდებხს ხოლმე!

ბ რ ა ნ დ ი

ცოდვილი სული ისწრაფვის ცისკენ,  
უფლის წინაშე წარდგომას ჩქარობს,  
არ უცდის, ვიდრე ჩადგება ქარი!

(მივა ნავთან და გაშლის იალქანს.)

ნავს გაიმეტებ?

ნ ა ვ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი

ვით მკითხავ მაგას!

ბ რ ა ნ დ ი

მაშ, წაშოვიდეს, ვიხც თავს გასწირავს.

ე რ თ ი კ ა ც ი

მე ვერ წამოვალ.

მ ე ო რ ე

მეც მეშინია.

ბ ე ვ რ ნ ი

ასე პირდაპირ კუბოსკენ გასწევ...!

ბ რ ა ნ დ ი

თქვენ თქვენნი ღმერთი მოგეშველებალ  
და მე კი ჩემი ამ გასაჭირში.

ქ ა ლ ი

(ხელებს იფშენეტს)

დაიღუპება შეჩვენებული!

ბ რ ა ნ დ ი

(ყვირის ნაეიდან)

ერთიცა კმარა. მომეხმარება  
ნავსართავის და ციცხვის მართვაში.  
ეპ, ერთი მაინც მოსულიყავით,  
გადავცურავდი უფრო თამამად.

ბ ე ვ რ ნ ი

(უკან დაიხევებ)

ვერვინ გაბედავს!

ე რ თ ი მ ა თ გ ა ნ ი

(მუქარით)

მოშორდი მაგ ნავს,  
ნუ გიხარია აცდუნო ღმერთი!

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

გრიგალი მძლავრობს.

ს ხ ვ ა ხ მ ე ბ ი

ნავის ბაგირი

გაწყვიტა უკვე!

ბ რ ა ნ დ ი

(ნავი ბარჯით უკაფია და ეძახის მომავლადვი კაცის მიერ გამოგზავნილ ქალს)  
შენ მაინც მოდი, იჩქარე ოღოხდი!

ქ ა ლ ი

(უკან დაიხვეს)

მე? აქ? არ მოდის არც ერთი კაცი?

ბ რ ა ნ დ ი

რა გენაღვლება? იღგნენ ბრმეებივით —

ქ ა ლ ი

არ შემძლია.

ბ რ ა ნ დ ი

არც შენ?

ქ ა ლ ი

და თანაც

დედა ვარ... სამი ყმაწვილი კიდევ...



ბ რ ა ნ დ ი

(იციის)

ეჰ, თქვენ სილაზე აშენებთ სახლსა.

ა გ ნ ე ს ი

(ლაწვებანთებული სასწრაფოდ მოუბრუნდება აინარს, მხარზე ხელს დაადებს და ოტყუის)

ხომ გაიგონე შენ ყველაფერი?  
რატომ გაჩუმდი?

ა ი ნ ა რ ი

ის ძლიერია.

ა გ ნ ე ს ი

ღმერთმა დაგლოცოს! — აბა, სასწრაფოდ...

(ეძახის ბრანდს.)

აქ არის ერთი, ვინც სიხარულით  
წამოვა შენთან, რომ შენი ხვედარი  
გაიზიაროს.

ბ რ ა ნ დ ი

მაშ მოდი ჩქარა!

ა ი ნ ა რ ი

(გაფიც ებული)

მე?

ა გ ნ ე ს ი

წადი, ჩემო ძვირფასო, რომ კვლავ  
შევძლო თამამად ავხედო ზეცას.

ა ი ნ ა რ ი

ძვირფასო, შენ რომ არ შეგხვედროდი,  
თავს გავწირავდი სიამოვნებით.

აგნესი  
(შეკრუება)

ახლა?

აინარი

ახლა კი სიცოცხლე ჩემთვის  
ძვირფასი არის. არ შემძლია.

აგნესი  
(უკან დაიწევს)

რა სთქვი?

აინარი

ვერ ვბედავ!

აგნესი  
(წამოიყვარებს)

ვერა? ამ წუთმა

ჩანს გადაწყვეტა ორივეს ბედი.

ამიერიდან ერთმანეთისგან

ბოხოქარი ზღვა გვაშორებს უკვე.

(ბრანდს.)

მოვდივარ!

ბრანდი

აბა, აჩქარდი მაშინ!

ქალები

(ღეშინებულნი იმით, აგნესი რომ ნავში ჩახტება)  
ღმერთო უშველე!

აინარი

(სასოწარკვეთილი ხელებს გაიწვდის მიაკენ)

აგნესი

მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი

(მიეშურება ნავისკენ)

თავს რად ილუპავ, ღუპავ მაგ ქალსაც.

ბ რ ა ნ დ ი

(ქალს)

სად გიდგას სახლი?

ქ ა ლ ი

(მიუთითებს)

აგერ იქ, კონცხთან

ემაგ შავ ბრაგას ვერ ხედავ წყალში?

ნავი მოსწყდება ნაპირს

ა ი ნ ა რ ი

(მისძახის)

ო, გაიხსენე მშობელი დედა

და შენი სახლი... მთელი სიცოცხლე...

ა გ ნ ე ლ ი

ახლა სამნი ვართ ამ ზვირთებს ზეჰოთ.

ნავი მიცურავს. ხალხი გროვდება შეშაღლებულ ადგილზე და დაცხებული ყურადღებით გასცქერის მიმავალ ნავს.

ე რ თ ი კ ა ც ი

კონცხს მოუარა.

მ ე ო რ ე

არა!

პ ი რ ვ ე ლ ი

შეხედე,

ჩამოიტოვეს მათ შავი ბრაგი.

მ ე ო რ ე

ქარმა გარეკა და მერე როგორ!

ფოტო

ხედავთ, ქუდი ვით მოსტაცა ბრანდსა?

პირველი ქალი

ბრანდს შავი თმა აქვს ყორნის ფრთასავით,  
ქარმა კულუღი სულ აუწეწა...

პირველი კაცი

ბოლმა და ქათმა დაფარა უკვე  
აწ ყველაფერი.

აინარი

გესმით ყვირილი,  
გრიგალის ხმას რომ გამოაღწია.

პირველი ქალი

ეს მთიდან ისმის.

მეორე

სადაც დგას გერდი,  
ყვირის, ხარხარებს, მისთაის უკან.

პირველი

თავს ატეხს ყველა უბედურებას,  
ქებებს ესვრის, ბუკში ჩასძახის თანაც.

მეორე

აგერ, ისროლა საყვირი ხრამში,  
მორკალულ ხელში ჩასძახის ახლაც...

პირველი კაცი

დაე იყვიროს მაგ საზიზღარმა,  
არც კაბუქსა აქვს ნაკლები ძალა.

## მ ე ო რ ე

მასთან საქესთან საშინელ ქარშიც  
დამშვიდებული გავცურავ ფიორდს.

## პ ი რ ვ ე ლ ი

(აინარს)

ვინაა იგი?

## ა ი ნ ა რ ი

პრესტი.

## მ ე ო რ ე

ჩანს, არის

ყოჩალი კაცი, თაბ ქრისტიანაც,  
გაბედული და მეტად ძლიერი.

## პ ი რ ვ ე ლ ი

ნეტავი ჩვენთან იმსახურებდეს,  
რა კარგი პრესტი გვეყოლებოდა.

## მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

მართლაც რომ კარგი პრესტი იქნება.

ხალხი თანდათან იჟანტება ბორცვზე.

## ფ ო გ ტ ი

(აგროვებს თავის საბუთებსა და დავთრებს)

ეს სულ არ მომწონს, სხვის სამრევლოში  
რომ წაჰყო ცხვირი, ბედის სასწოროზე  
შეაგდო შენი სიცოცხლეც, ჩინიც,  
თანაც არავინ არ გაძალიბდეს.  
მეც ხომ ყოველთვის მტკიცედ ვასრულებ  
მოვალეობას, მაგრამ არასდროს  
არ შევიპრები სფეროში სხვისა.

(გადის.)

ქობის წინ კონცხზე. შეადლე გადასულია. ფიორდი ბრწყინვალე და დამშვიდებულ  
გამოიჟურება. ა გ ნ ე ს ი. ზის სანაპიროზე. ცოტა ხნის შემდეგ გამოდის ბ რ ა ნ დ ი.

## ბ რ ა ნ დ ი

ეს სიკვდილია, ის კი ყოველთვის  
იწვევს შიშს, ტანჯვას და მწუხარებას!  
დამშვიდებული წევს იგი ახლა,  
ერთი საწყალი, ბეხრეკი კაცი.  
მაგრამ სიცრუე, გამჭრალი მასში,  
თუ გადააქცევს ნათელ დღედ ღამეს?  
ის მიხვდებოდა საზარელ ამბავს.  
თუმც იხილავდა საქმის გარსს მხოლოდ,  
სწორედ მას, რამაც გამოიწვია  
მოთქმა-გოდება და კვნესა მისი.  
თუმცა გულს სწყვეტდა ამაზე მეტად  
ის, რაც მის სახელს მოაყივნებდა,  
თუ ამხილებდნენ დანაშაულში...  
და ის ორნი კი, თვალგახელილნი  
ღამის წყვედიადს რომ მისჩერებთან,  
შეშინებული ბახალებივით  
რომ ჭყიპინებენ ღუმელის გვერდით,  
იცქირებთან დაძაბულები,  
მაგრამ არ ესძიით ჯერ არაფერი,  
თუ ვისი გული დაქანგებულა  
ისე, რომ ზღვითაც ვერ გადარეცხავ,  
ვერც შრომა-გარჯით, ვერც ქალღარა თმით.  
ეს ისინია, რომელთა წყარო  
არსებობისა საშინელია  
და მეტისმეტად სასტიკი, მკაცრი.  
ჰოდა, ისინი დაიზრდებიან  
დანაშაულის, სიავის ჩრდილში  
და გონებიდან ვერ ამოსწვავენ  
თავიანთ მამის საზარელ საქმეს...  
მას არ ესმოდა, რომ ეს ბავშვები  
აწ დამფრთხალნი და შეშინებულნი,  
მოსარჩლეები არიან დიდი!

და შესაძლოა გაერცელებდეს მათგან  
ბოროტმოქმედი შთამომავლობა,  
რადგანაც, აბა, რანი გამოვლენ  
შვილები ამგვარ ბოროტი მამის?  
რომელი ცოდვა არის ისეთი,  
რომ გამოსყიდვა შეგვეძლოს ჩუმად?  
რა სიყვარული შეიძლებს ამას?  
ვინ აგებს პასუხს იმ გვარისათვის,  
სადაც იწყება დანაშაული?  
ვინ და ან როგორ გაგვეჩიან მერე?  
ქაშს დაკითხვისას ვინ გაერკვევა,  
მოწმე ვინაა ან დამნაშავე?  
და ამ წუთებში ვინ გაშლის, აბა,  
თავის საკუთარ, ნასესხებ გრაგნილს?  
ან ამგვარი თქმა რას გვარგებს ნეტავ:  
„მამების ვალი ვალია შვილთა!“  
ბინდით მოცულა ეს გამოცანა,  
მას ვერ ამოხსნის სუსტი გონება...  
ჩვენი სიცოცხლე სასტიკი, საზარელ  
უფსკრულზე არის დაკიდებული,  
ცეკვავს უგრძობი, უაზრო გუნდი...  
არა! ჩვენ უნდა მზად ვიყოთ მუდამ,  
ვთრთოდეთ და ვძრწოდეთ სულ უფრო მეტად.  
მაგრამ ვერ ხედავს ვერც ერთი კაცი  
ვალებისა და დანაშაულთა  
უმადლეს მწვერვალს პატარა სიტყვის,  
რომელსაც მზარდი ს ი ც ო ც ხ ლ ე ჰქვია.

რამდენიმე კაცი გამოჩნდება სახლის მეორე კუთხიდან და ბრანდთან მივა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა თ გ ა ნ ი

აი, ჩვენ უკვე მეორედ შევხვდით.

ბ რ ა ნ დ ი

მის მწუხარებას მოელო ბოლო.

პ ი რ ვ ე ლ ი

თუმცა ჩვენ იმას აღარ ვჭირდებით,  
მაგრამ შინ დარჩა ყმაწვილი სამი.

ბ რ ა ნ დ ი

მერე?

პ ი რ ვ ე ლ ი

შევკრიბეთ ცოტა სურსათი,  
რომ მის პატარებს გავუნაწილოთ.

ბ რ ა ნ დ ი

თუ სიცოცხლეს ვერ გასწირავ სხვისთვის,  
ამაო არის ძღვენი ყოველი.

პ ი რ ვ ე ლ ი

ეგ კაცი, ახლა ვინც გარდიცვალა,  
უცებ წყალშე რომ ჩავარდნილიყო  
და დახმარება ეთხოვა, წამსვე  
თავს გავწირავდი მის დასახსნელად.

ბ რ ა ნ დ ი

სულის წაწყმედა კი ნაკლებია?

პ ი რ ვ ე ლ ი

ჩვენ გლეხები ვართ, ძიწის ჭიები.

ბ რ ა ნ დ ი

და ამიტომაც არიდებთ მზერას  
მთის მწვერვალებზე შემომდგარ ნათელს?  
ცალი თვალით კი, ცისკენ რომ ჰუტავთ,  
მეორე თვალით, მიწას რომ ჩასცქერთ,  
სულ გელარ ამჩნევთ საკუთარ უღელს  
შიგ გაბმულები ხარებივითა.



პირველი

მეკი მეგონა, გვირჩევედი რამეს,  
ულლისგან როგორ დაგვეხსნა თავი.

ბრანდი

თუკი შეიძლება.

პირველი

დაგვეხმარები?

ბრანდი

მე?

პირველი

ამას ბევრი სხვაც გვიმტკიცებდა,  
ნათელ მომავლის გზას გვიჩვენებდა,  
მაგრამ ისინი ამბობდნენ მხოლოდ  
და შენკი თვითონ ამ გზით წახვედი.

ბრანდი

ეგრე გგონია?

პირველი

სიტყვა ჰგავს მხოლოდ  
უსაზღვრო ზღვაზე მიმავალ ბილდეს,  
საქმეკი სხვაა, ღრმა კვალსა სტოვებს.  
მრევლის სახელით მოგმართავთ თხოვნით:  
დიდად გვჭირდება შენგვარი კაცი.

ბრანდი

(შეშფოთებული)

რა გნებავს ჩემგახ, არ მეტყვი?

პირველი

რა და,

იყავი ჩვენი სამრევლოს პრესტი.

ბ რ ა ნ დ ი

თქვენი? მე?

პ ი რ ვ ე ლ ი

ალბათ, გაგიგონია,  
უპრესტოდა ვართ ჩვენ ერთი წელი.

ბ რ ა ნ დ ი

ჰო, გამახსენდა...

პ ი რ ვ ე ლ ი

ჩვენი სამრევლო

თანდათანობით დაპატარავდა:  
მოუსავლობამ გაგვანადგურა,  
ჟამიანობამ კი მოგვითავა  
ხელი მთლიანად ხალხს, საქონელსაც  
და სილატაკემ გაგვწყვიტა წელში;  
როს გასაჭირის ამგვარ ბურანში  
იძირებოდა და თვლემდა სული,  
ხოლო ნელ-ნელა ზევით იწევდა  
ფასი ხორცის და მარცვლეულისა,  
ზეაიწია პრესტების ფასმაც.

ბ რ ა ნ დ ი

რაც გინდა მთხოვე, ხულარ მთხოვ მაგას, —  
უნდა მივდიო ჩემს დიად აღთქმას:  
მე მსურს იქ ვიყო, სადაც სიცოცხლის  
მოსჩქეფს ლამაზი, უშრეტო წყარო  
და ათასები უსმენენ სიტყვას.  
აქ კი რა მინდა, აქ, სადაც მთები  
ჩემს ხმას მაშინვე დაადუმებენ?

პ ი რ ვ ე ლ ი

წამსვე მისცემენ ხმამალალ ექოს,  
თუ მოისმენენ ხმას სიმართლისას.

## ბ რ ა ნ დ ი

შავბნელ ჯურღმულში ვინ ჩავა ნებით,  
როს უხმობს მწვანე, ლამაზი მდელი?  
უდაბნოში ვინ გაიტანს გუთანს,  
თუ ბლომადაა მინდვრები ირგვლივ?  
ვინღა დაუცდის თესლისგან ნაყოფს,  
როს ბაღში ხილი მწიფს მოწეული?  
ან ვინ დაიწყებს მონურად ხოხვას,  
თუ შეუძლია ლაქვარდში ფრენა?

## პ ი რ ვ ე ლ ი

(თავის ქნევით)

ეგ საქმე მესმის, სიტყვა კი — არა.

## ბ რ ა ნ დ ი

და ჩვენც შევწყვიტოთ... უნდა წავიდე.  
(წასვლას დააპირებს.)

## პ ი რ ვ ე ლ ი

(წინ გადაუდგება)

ნუთუ ძალიან გეძვირფასება  
ეგ მოწოდება, შენს დიად მიზანს  
რომ აძლევს ფრენის მიმართულებას?

## ბ რ ა ნ დ ი

მასშია მთელი სიცოცხლის აზრი.

## პ ი რ ვ ე ლ ი

მაშ ჩვენთან დარჩი აკი სთქვი წელან:  
„თუ სიცოცხლეს ვერ გასწირავ სხვისთვის,  
ამაო არის ძღვენი ყოველი“.

## ბ რ ა ნ დ ი

ერთი, ჩუქება არ ძალგვიძს მხოლოდ.  
ეს საკუთარი „მე“ არის, იმას

ციხის კედლებში ვერ გამოამწყვდევ,  
ვერც შეაჩერებ მკვიდრი ჯებირით,  
ის თავისი გზით ზღვის ტალღებისკენ  
მიექანება, როგორც მდინარე.

პ ი რ ვ ე ლ ი

მაგრამ, ჭაობთან, შლამთან მოდავე,  
ზღვამდე მიაღწევს ერთი ცვარილა.

ბ რ ა ნ დ ი

(გაშტერებული უცქერის)

ვინ შთაგაგონა მაგგვარი აზრი?

პ ი რ ვ ე ლ ი

შენ, შენმა საქმემ ეგრეთ გმირულმა...  
როცა დაჰქროდა შლეგი გრიგალი,  
წამოხველ ქარის მოპირდაპირედ.  
შენი სიცოცხლე მიანდე ფიცარს  
ცოდვილი სულის დასამშვიდებლად.  
შენმა გმირობამ შეგვძრა მთლიანად,  
ვით საშინელმა ციებ-ცხელებამ,  
ზარის ხმასავით მოგვიწოდებდა.

(ხმას დაუწევს.)

ვინ იცის, ხვალ ეს სულ დავივიწყოთ  
და ისევ ისე დავკეცოთ დროშა,  
დღეს რომ ჩვენს თავზე ააფრიალე.

ბ რ ა ნ დ ი

რად ვუხმობ იქ, სად არ შესწევთ ძალა?

(მკაცრად.)

ვით შესძლებ, რის ქმნაც არ შეგიძლია.  
მაშ რის თავიც გაქვს, აკეთე იგი:  
შიგნით, გარეთაც ხარ მიწის მტვერი.

## პ ი რ ვ ე ლ ი

(ერთი წუთით მიაჩერდება ბრანდს და ეუბნება)

ვაი შენ, თუკი ისევ ჩაგიქრა  
დიდი სიცოცხლის ეს ნაპერწკალი,  
ვაი ჩვენც, ვინც ის ვიხილეთ წამით,  
ახლა კი ისევ ვჭვრეტთ სიბნელესა.

(გადის. დანარჩენებიც მღუმარედ მიჰყვებიან უკან.)

## ბ რ ა ნ დ ი

(დიღხანს გასცქერის მიშავალთ)

დადუმებულნი და ქედწაბრილნი  
ერთურთს მისდევენ შინისკენ ახლა  
და მძიმე-მძიმედ მიაბიჯებენ  
თიხის ტალახით მოქანცულები.  
ყველა მათგანი თითქოს მათრახით  
შეაშინესო, თავისთვის ბოდავს  
და იმ შორეულ წინაპარს მოჰგავს,  
სამოთხიდან რომ გამოაძევეს.  
ისიც, მასავით პირქუში ძალზე,  
გასცქერის წყვდიადს ჯოჯოხეთისას,  
ფიქრი, ოცნება, ცოდნის წყურვილი  
შორს მიაქროლებს მშიერს და შიშველს.  
მსურდა შემექმნა ადამიანი,  
ვით ღვთის ქმნილება, წმინდა, მთლიანი,  
მაგრამ მას აზის არა ღვთაების,  
არამედ დაღი საუკუნისა.  
წინ, ვრცელ შორეთში, აქ კი ბრძოლისთვის,  
დიდ საქმეთათვის არ მყოფნის სივრცე!

(წასვლას დააპირებს, მაგრამ სანაპიროზე მჯდარ აგნესს დაინახავს და შეჩერდება.)

აი, ზის იგი და უსმენს ისე,  
თითქოს სიმღერა გრძელდება ქარში  
და ეფინება უსაზღვრო სივრცეს;

ასე უსმენდა საჭესთან მკდარი,  
როგორ ქშინავდა მძვინვარე ტალღა;  
ასე უსმენდა, როდესაც ზღვის ქაფს  
ჩამოიფერთხდა და გადივლებდა  
მლაშე წყალს თმაზე. თითქოს გრძნობებმა  
გადაუცვალეს ადგილი ერთუროს  
და იგი ახლა ისმენს თვალებით.

(მიუახლოვდება მას.)

აღბათ, გოგონავ, მღებსა და კლდეებს  
ათვალიერებ ფიორდის ირგვლივ.

## ა გ ნ ე ს ი

(შემოუბრუნებლად)

არც ფიორდს ვუცქერ და არც მთა-გორებს,  
ორივე უკვე თვალს მიეფარა.  
მაგრამ მე ახლა დიდ ხმელეთს ვხედავ,  
ზღვის პირს წარბივით გადაჭიმულსა.  
ვხედავ, ლაყვარდში ტალღები მწყრალი  
ერთმანეთს როგორ ეხეთქებთან.  
მზეზე ციმციმებს თეთრი ღრუბელი,  
დიდი ნათელი ცეცხლისფრად ღვივის  
და მიცურავენ ნისლეები მთებზე.  
იქ, უდაბნოში, პალმები სთვლემენ,  
ძირს კი განრთხმულა ჩრდილები მათი,  
თუმც მთლად ჩამკვდარა სიცოცხლე უკვე,  
თითქოს შექმნის დღე იყოს პირველი...  
და მესმის ტკბილი ხმა, სანახევროდ  
სიმღერას რომ ჰგავს, ნახევრად—ლოცვას.  
„ახ გაიმარჯვებ, ან დამარცხდები,  
მაშ ალასრულე ეს მძიმე ვალი,  
შენ დაასახლე ქვეყანა ესე!“

## ბ რ ა ნ დ ი

და მერე, მერე?

## ა გ ნ ე ს ი

(გულზე ხელს დაიდებს)

ვგრძნობ, რომ მიღელვას  
გულის სიღრმეში ნაკადი მძლავრი:  
თანდათანობით დიდდება იგი,  
ვგრძნობ განთიადის ამობრწყინებას,  
მიფართოვდება ნელ-ნელა გული, —  
ეს თვითონ მზარდი სამყარო დიდი, —  
და ჩამჩურჩულებს ვიღაცა ისევ:  
„შენ დაასახლე სამყარო ესე!“  
აზრი და საქმე დიადი მიზნის  
აღსასრულებლად რომ ისწრაფვიან,  
სულ ფუსფუსებენ, თითქოს დღე დადგა  
მათი პირველი დაბადებისა.  
და თუმც ვერ ვხედავ, ვგრძნობ, კარგად ვიცი:  
ის, ვის ხელთაა ცხოვრება ქვეყნის,  
კვლავ იმზირება ძირს, მიწისაკენ,  
სიყვარულით და სიკეთით არის  
ის გამსჭვალული, ვით ცისკრის მზერა,  
მაგრამ — მწუხარეც, უამს სიკვდილისას.  
„შეჰქმენ! მასშია ხსნა, გამარჯვება  
ან დამარცხება, დევნა, წამება:  
მაშ ალასრულე ეს მძიმე ვალი!“

## ბ რ ა ნ დ ი

გულის სიღრმეში! ჰო, მესმის! ვიცი,  
ვინც იბრძვის იქ და იმარჯვებს ვინაც:  
ეგ საკუთარი გულია ჩვენი, —  
ძალგვიძს ვაქციოთ ჩვენ უფლის ტახტად  
ის. გული — თვითონ სამყარო მთელი.  
იქ იღუპება თავმოყვარება,  
ჩნდება ახალი ადამიანი.  
დაე სამყარომ იაროს კვლავაც  
თავისი გზითა და იგი თუკი

გადამიდგება ჩემს სავალ გზაზე,  
როგორც სასტიკი, მოსისხლე მტერი,  
და ჩემგან შექმნილს დაანგრევს ისევ,  
არ მომცემს შვებას და მოსვენებას, —  
ფეიცაე ზენაარს, რომ გავუშართო  
მას ბრძოლა სამკედრო და სასიცოცხლო.  
მისგან ერთ რამეს მოვითხოვ მხოლოდ:  
თვით განვაგებდე საკუთარ თავსა.  
არვინ შელახოს ჩემი მეობა,  
ღიახ, მოვითხოვ მე მხოლოდ ამას.

(ერთი წუთით ჩაფიქრდება და ისევ განაგრძობს.)

შენ გეკუთვნილდეს შენივე თავი...  
მაგრამ შვილები? ეს მძიმე ტვირთი?  
მემკვიდრეობა ვინ გააგრძელოს?

(უეცრად გაჩუმდება და წინ გაიხედავს.)

ნეტავ ვინ არის ის დედაკაცი,  
ბორცვზე რომ დადის, ჩასტყერის მიწას,  
მოკუზულს, უხეშკულულებიანს  
დაწვნიც რომ ასე გასტლანქებია?  
ჯოხს ჩამოეყრდნო დასასვენებლად,  
ჯიბეში იკრა გამხდარი ხელი,  
შეშინდა, ხომ არ დაშეკარგაო,  
ასე მხოლოდ განძს მალავენ გზაში...  
ვით თხელი ჩვარი, ისე ჰკიდია  
საცოდავს გამხდარ ნაკეთებზე კაბა.  
ხელები ჩიტის კლანჭებს მიუგავს,  
ქარიშხლისგან რომ ძირს დაცეჟულა.  
ეგ დედაკაცი თავით ფეხამდე  
ჰგავს არწივს, ქვისგან გამოკვეთილსა,  
ჭრილი კიცურით რომ მოუქვდავა...

(უცებ შეკრთება.)

რა საშინელი მოგონებებით  
გაქვავებულა ჩემი სხეული  
მის ირგვლივ თითქოს ყველაფერს ჰყინავს,



ჩემამდეც აღწევს სასტიკი სუსხი,  
უდაბნოს ამდგარ ქარბუქს რომ ახლავს.  
ღმერთო! ეს ხომ თვით დედაა ჩემი!..

ბ რ ა ნ დ ი ს დ ე დ ა გამოჩნდება ზემოთ, შეჩერდება, ნახევრად მოჩანს, ხელო  
თვალს იჩრდილებს, ირგვლივ იცქირება.

დ ე დ ა

თქვეს, აქ არისო... ჰო, შე წყეულო,  
ცბიერო მზეო! დამაბრმოს ლამია.  
სადა ხარ, შვილო!

ბ რ ა ნ დ ი

აქ ვარ.

დ ე დ ა

(თვლებს იწმენდს)

ფუ, რარიგ

მაბრმავებს ეს მზე და თვლებს მიწვავს.  
ვერ გცნობ, გლები ხარ თუ მართლა პრესტი.

ბ რ ა ნ დ ი

ღიახ, იმ დღიდან, რაწამს იწყებდა  
ფოთოლი ცვენას, ვიდრე ბავშვები  
გუგულის ხმას არ გავიგონებდიო,  
არ მინახავს მზე შინ შემოსული.

დ ე დ ა

(თავისთვის ჩაიცინებს)

ეგაც კარგია. გაიფშოკები,  
როგორც ყინულის ლოლუა, ისე,  
სამაგიეროდ, გამოხვალ მძლავრი  
და დაბრკოლება ვერაფერს გიზამს,  
არც ცუდი აზრი მოგივა თავში.

ბ რ ა ნ დ ი

მაშ კარგად იყავ, მშვიდლობით, დედავ!

დ ე დ ა

მუდამ ჩქარობდი გასხლტომას ჩემგან.  
ყმაწვილი იყავ, როცა წახვედი.

ბ რ ა ნ დ ი

და ეს ხომ თვითონ შენ მოისურვე.

დ ე დ ა

დიახ და იყო ბევრი მიზეზიც, —  
გქონოდა ჩინი სასულიერო.  
(ჩამოიხედავს შვილისაკებ და ყურადღებით შეათვალიერებს.)  
რარიჯ გაზრდილხარ, მძლავრი ხარ, დიდი...  
მაშ შეისმინე ნათქვამი ჩემი:  
თავს გაუფრთხილდი!

ბ რ ა ნ დ ი

ეს არის სულა?

დ ე დ ა

რა გაგაჩნია შენს თავზე მეტი?

ბ რ ა ნ დ ი

მე ვთქვი: ესაა სულ "შენი რჩევა?"

დ ე დ ა

არ ძალმიძს მე სხვა გირჩიო რაზე.  
და თუ გაქვს სხვაც რამ, გამოიყენე  
მაგრამ სიცოცხლე მე მოგანიჭე  
და გაუფრთხილდი ამ ჭილდოს ჩემთვის.  
(გულმოსული.)

შენი ამბავი გავიგე უკვე, —  
ფიორდზე!.. დღესა!.. ხომ შეიძლება  
დაღუპულიყავ, ვით მსხვერპლი ზღვისა?  
ან დედა სულაც არაფრად გიღირს?  
შენ ერთადერთი შვილი ხარ ჩემი,  
შენა ხარ ჩემი სისხლი და ხორცი,  
ჰოდა, შენ უნდა განსაკუთრებულ  
პატივისცემით დააგვირგვინო  
სახლი, რომელიც მე ავაშენე.  
ჯანსაღი იყავ, იცოცხლე დიდხანს,  
თავს გაუფრთხილდი, იდექი მაგრად;  
გვარის მემკვიდრეს სიცოცხლე მართებს,  
ბოლოს და ბოლოს იქნები ჩემი!

### ბ რ ა ნ დ ი

მაშ ეგრე. ნუთუ ამ ტყუილისთვის  
მოხვედი ჯიბეგამოტენილი?

### დ ე დ ა

გაგიჟდი, შვილო?

(უკან დაიწვიან.)

არ მომეკარო,  
თორემ ჯოხს დაგცხებ, მეყოფა ძალა!  
(ისევ მშვიდად.)

რა გაგიზრახავს? ადრე თუ გვიან,  
ცხადია, წავა ქალი ბებერი  
და ბნელ საფლავეში ჩაესვენება.  
მაშინ მიიღებ შენ ყველაფერსა,  
სრულად, უკლებლივ, წონით და ზომით.  
თან არა მაქვს რა, — ნუთუ არ გჯერა?  
სულ ყველაფერი შინაა, სახლში.  
ბევრი არაა, მაგრამ შენ, ალბათ,  
სილატაკეს არ განგაცდევინებს...  
იდექ, სადაც ხარ, ნუ მოხვალ ახლოს!  
შენს თავსა ვფიცავ, რომ ყველაფერი

იქნება ერთად, არ დაგიმალავ  
არც ქისაში და არც უცნობ ადგილს,  
არც იატაკქვეშ, არც სადმე ქვის ქვეშ,  
ყველაფერს უცებ მიიღებ, შვილო,  
შენ, მხოლოდ ერთი, ყველაფერ ამას.

ბ რ ა ნ დ ი

და რა პირობით?

დ ე დ ა

ასეთით მხოლოდ:

თავი არიდე სულელურ საფრთხეს  
და ნუ დაიწყებ სიკვდილთან თამაშს,  
რომ გააგრძელონ შეილებმა გვარი, —  
მე სხვას არაფერს მოვითხოვ შენგან.  
გთხოვ, გაუფრთხილდე ამ ქონებასაც,  
რომ ერთიანად არ გაიფანტოს.  
მას შეიძლება ვერ მოუმატო,  
მაგრამ დაიცავ, რაც გიანდერძე.

ბ რ ა ნ დ ი

(მცირე ხნის ღუმლის შემდეგ)

არის ისეთი ამბავი, რაიც  
ჩვენს შორის უნდა ახლავე ითქვას.  
ბავშვობიდანვე ჭიუტი ვიყავ;  
არა ვყოფილვარ მე შენი შვილი  
და არც შენ — დედა. ასე მოხვედი  
შენ სიბერემდე, მეც გავიზარდე.

დ ე დ ა

სულ არ მჭირდება ალერსი შენი,  
რაც გინდა, ჰქენი, — არა ვარ ნაზი;  
თუნდ იყო ცივი, ყინულზე ცივი,  
გულს ვერ მომიკლავ ვერასდროს მაგით.  
სამემკვიდრეოს მიხედვე ოღონდ,  
რომ გადაეტეს მოდგმიდან მოდგმას.

## ბ რ ა ნ დ ი

(ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება)

და თუ, პირიქით, თავში ჩამიჭდა  
მისი გაფლანგვის, გაფანტვის აზრი?

## დ ე დ ა

(უკან დაიხვეს)

გაპტანტო იგი, რაც მოვიპოვე  
მე ამდენი წლის მონური შრომით,  
შრომით, რამაც მე თმა შემიფერცხლა?  
მაშ რისთვის ვდგავარ მოხრილი წელში?

## ბ რ ა ნ დ ი

(დინჯად დაუკრავს თავს)

გავანიავებ.

## დ ე დ ა

და მასთან ერთად  
გაანიავებ ჩემს სულსაც, შვილო.

## ბ რ ა ნ დ ი

მაშინ რას იზამ, როდესაც მართლა  
დავდგები, დედი, შენს სასთუმალთან,  
შენ კი საწოლზე ლოცვანით ხელში,  
ჩაგეძინება სანთლების შუქზე  
მარადიული, მუდმივი ძილით,  
როს სახლს მთლიანად გადავაქოთებ,  
რომ განძი განძზე აღმოვაჩინო,  
ან წავუყიდო სანთელი სახლსა?

## დ ე დ ა

(მიუახლოვდება მეტისმეტად აღელვებული)

რად დაგებადა ეგ აზრი თავში?  
რა მოხდა, შვილო?

## ბ რ ა ნ დ ი

გითხრა?

დ ე ლ ა

მითხარი.

## ბ რ ა ნ დ ი

რაც ბავშვობიდან შემორჩენია  
ხსოვნას, იმის კვალს ვერარა წაშლის,  
გვაშინებს, როგორც სიკვდილი, კუბო  
და ღრმა ჭრილობა, შუბლს დაჩნეული.  
იდგა სადამო შემოდგომისა,  
მამა მომიკვდა, შენ ავად იყავ.  
სულმა წამძლია, შევედი მკვდართან,  
სად ციმციმებდა მკრთალი სანთელი.  
მარჯვენა ხელით „დავითნი“ ეპყრა.  
და მე მიკვირდა, რა ნაზი, ვიწრო  
მაჯა ჰქონოდა მამაჩემს თურმე.  
ოთახის ვიწრო კუთხეში მივჯექი,  
ვუყურებდი და ვტიროდი მწარედ.  
უცებ ქურდული ნაბიჯით ქალი  
მსწრაფლ შემოვიდა ოთახში და მე  
ვერც შემამჩნია, კუთხეში მჯდარი.  
ცხედრის საწოლთან მიიჭრა იგი,  
დაიწყო ძებნა, ჩხრეკა და ქექვა.  
მიცვალეხულის თავქვეშ შეკრული  
იბოვა და, როს დათვალა ფული,  
წაიჩურჩულა: „ცოტა! ცოტა!“  
შემდეგ ლეიბის ქვეშ ნახა კიდევ,  
მრავალი კვანძით შეკრული მაგრად,  
გლეჯდა ის კვანძებს გაბოროტებით  
და, მონეტები დათვალა როცა,  
წაიჩურჩულა: „ცოტა! ცოტა!“  
ჰვედრიდა უფალს, ტიროდა მწარედ,  
კენესოდა და თან ეძებდა განძსა.

და როცა ასე შიშით და ძრწოლით  
პოულობდა ის ხან აქ და ხან იქ,  
წამსვე ქორივით დააცხრებოდა.  
როცა გაჩხრიკა მან ყველაფერი,  
განკიცხულივით გავიდა გარეთ  
და გაიტანა განძი ძველ ჩვრებში  
გაპოხვეული, კვნესოდა თანაც:  
„იეთუ ეს არის სულ ყველაფერი?!“

დ ე ღ ა

ბევრს ველოდი და ცოტა კი ვპოვე,  
გაცუდდა ჩემი ბედნიერება.

ბ რ ა ნ დ ი

და თანაც ძვირად დაგიჯდა იგი,  
გულში ჩაგიკვდა გრძნობა დედური.

დ ე ღ ა

დე ეგრე იყოს! ადათი ძველი  
ამბობს. ფულისთვის ჰყიდიან სულსაც!  
და თავიდანვე მეც დიდი ფასი  
გადავიხადე: მთელი სიცოცხლე  
შევწირე მსხვერპლად და მასთან ერთად  
იღუპებოდა აწ ყველაფერი,  
რაც იყო კარგი, ნათელი, სათნო,  
რაც ისევე მახსოვს მე იმ დროიდან,  
ვით მშვენიერი სიზმარი, ტკბილი,  
მე გულიდან რომ ამომავლიჯა  
ის, რასაც ხალხი სიყვარულს უხმობს.  
ბრძოლა იოლი არ იყო, არა,  
მაგრამ ვიხსენებ მე მამის რჩევას:  
„დაივიწყე ის ლატაკი ბიჭი,  
სხვას გაჰყევ ცოლად, თუმცა სუსტია,  
მაგრამ — ჭკვიანი, მოხერხებული  
და გამდიდრდება, გჯეროდეს, მალე!“

მეც იმას წაყუევ... რა გამოვიდა?  
არ მეპყრობოდა იგი მე კარგად,  
გამდიდრება კი ვერ შესძლო სულაც.  
შემდეგ ვიწვალე მრავალი წელი,  
ოფლი ვიწურე და სისხლი ვღვარე, —  
ახლაც კი ლამის არ გვეყოფინოს.

### ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ თუ გახსოვს, კუბოსთან მდგარმა  
წეფი სულიც რომ ზედ დაუსართე?

### ღ ე ღ ა

თვითონ შენა ხარ საბუთი ამის,  
თორემ აწ პრესტი არც იქნებოდი.  
როცა მოვკვდები, სამემკვიდრეოს  
სანაცვლოდ, შვილო, მადლს გადამიხდი:  
მე მაქვს სახლ-კარი, ავლა-დიდება,  
შენ კი — უფლება, — სულს სცე ნუგეში.

### ბ რ ა ნ დ ი

თუმც ჭკვიანი ხარ, მაინცა სცდები,  
გგონია, ვიყო მეც შენი მსგავსი.  
ამ ფიორდს იქით სხვა ოჯახებშიც  
მშობლებს შვილები აშკარად უყვართ:  
თქვენ მიეჩვიეთ ბავშვობიდანვე  
მხოლოდ მემკვიდრეს ხედავდეთ ჩვენში;  
როს გაიხსენებთ მარადის ნათელს,  
მაშინვე ქენჯნას დაგიწყებთ სული,  
მოიწადინებთ იმასაც მისწვდეთ  
და სიცოცხლესთან ვაჭრობას იწყებთ,  
რათა სიკვდილთან შეაკავშიროთ.  
ღიახ, გვარის და სამემკვიდრეოს  
შეერთებით გსურთ, რომ უკვდავება  
მიიღოთ, როგორც რაიმე თანხა,  
ვით საზღაური გარდასულ წლების.



დ ე დ ა

შვილო, დედის სულს ნუ შეეხები,  
მაინც იქნები მემკვიდრე ჩემი!

ბ რ ა ნ დ ი

კეთილი! ოლონდ ხომ არ გაქვს ვალი?

დ ე დ ა

ვალი? არ მესმის, რას მეკითხები!  
არავითარი...

ბ რ ა ნ დ ი

დე იყოს ასე;

მაგრამ ვალი რომ გქონოდა, უნდა  
გადამეხადა იქვე, კუბოსთან,  
სად სძინავს დედას მუდმივი ძილით, —  
ეს ღირსებაა ყველა შვილისა.  
და შენი სახლი სულ ცარიელიც  
რომ იყოს, გქონდეს ვალიც მრავალი,  
რა ვქნა, მივიღებ მემკვიდრეობას.

დ ე დ ა

ჩვენი კანონი არ ითხოვს მაგას.

ბ რ ა ნ დ ი

დიახ, თუა ის ნაწერი კალპით.  
მაგრამ ღირსეულ შვილების გულში  
სხვა კანონია ამოკვეთილი  
და მე პატივს ვცემ იმ კანონს მხოლოდ.  
უსინათლო ხარ, საბრალო დედავ,  
ისწავლე, კარგად რომ დაინახო!  
ღვთით ბოძებული სიკეთე ქვეყნად  
წაპბილწე შენი ბოროტებითა,  
შენი ფუსფუსით, ამო ზრუნვით  
წაგიწყმედია საწყალი სული;

სახე კი, სად ის აღბეჭდილია.  
ობით, ტალახით დაჭფარე უკვე,  
სულს, ლალს, ფრთიანსა, ამქვეყნიური,  
ამაო ზრუნვით შეჰკვეცე ფრთები.  
აი, ეს ვალი! სად გაიქცევი,  
როდესაც მოგთხოვს უფალი იმ განძს,  
დაბადებისას რომ ჩაგაბარა?

დ ე ლ ა

(შეშინებული)

გავიქცე? საით?

ბ რ ა ნ დ ი

ნუ გეშინია,

შენს ვალს ასმაგად გადიხდის შვილი.  
ღვთიური სახე, შერყვნილი შენგან,  
აწ განწმენდილი აღდგება მასში.  
ძალგიძს იძინო კუბოში მშვიდად,  
არ შეიძლება ვალმოუხდელი  
ჩაწვეს საფლავში მშობელი ჩემი.

დ ე ლ ა

და ცოდვა?

ბ რ ა ნ დ ი

ისიც იცოდე კარგად:

შენს ვალს გადვიხდი მხოლოდ და მხოლოდ  
ცოდვა კი თვითონ გამოისყიდე.  
მთელი ღირსება ადამიანის,  
რაც შენ გაჰფლანგე სულელურ ბრძოლით,  
დაგიბრუნდება, გწამდეს მთლიანად  
შვილის უდიდეს ცდითა და გარჯით.  
ცოდვის გასო კი მონანიება  
ან უეჭველი სიკვდილი გელის.

დ ე ლ ა

(აღლევებული)

ასეთ სიცხეში შენი ნათქვამი  
სულს გამიწამებს საწამლავეით.  
დაქანცული ვარ, მიბრუნის თავი,  
მინდა ახლავე დავბრუნდე შინა,  
თავს შევაფარებ მყინვართა ჩრდილებს,  
ცივი ნაკადით გულს გავიგრილებ.

ბ რ ა ნ დ ი

მაშ წადი, წადი, ჩრდილს შეეფარე,  
ახლოს ვიქნები და, როცა ზეცის  
ნათელი გიხმობს შესარიგებლად,  
არ დააყოვნო, მაშინვე მამცნე.

დ ე ლ ა

ჩემი ცოდვების სასტიკ მსაჯულსა!

ბ რ ა ნ დ ი

აბა — გულჩვილ შეილს და პრესტს ლმობიერს,  
რომ განუგეშოს, დაემხოს შენ წინ  
და გიგალობოს ფსალმუნნი წმინდა,  
რათა აღგკურვოს მტკიცე რწმენითა.

დ ე ლ ა

მაშ შემპირდები, აღმითქვამ მაგას?

ბ რ ა ნ დ ი

მონანიების წუთებში მოვალ.

(მიუახლოვდება.)

მაგრამ, როგორც შენ, მეც ერთ პირობას  
გიდებ: უცილოდ ჩამოიცილო  
ამაოების ჭაჭვები მძიმე,  
კუბოშიც ისე შიშველი ჩასწვე,  
როგორიც იყავ გაჩენის დღესა.

დ ე ლ ა

(ხელს მოუქნევს დასარტყმელად.)

მაშ განაშორე ცეცხლს მწველი სიციხე,  
ნათელი — მზესა, — სიცივე — ყინულს,  
აბობოქრებულ ზღვას კი — ტალღები!  
დაუკლე ფასი!

ბ რ ა ნ დ ი

მაშ მთელი გულით  
შესთხოვე ღმერთს, არ დაგსაჯოს მკაცრად.

დ ე ლ ა

დაე მომთხოვე ხანგრძლივი მარხვა,  
სხვა საკანონოც დამიდე რამე,  
ოღონდაც ამას ნუ ითხოვ ჩემგან.

ბ რ ა ნ დ ი

შენ რაკი მთავარს გაუბრბი ასე,  
სხვით ვერ მოუღობობ დიდ მსაჯულს გულსა.

დ ე ლ ა

ტაძარს შევწირავ.

ბ რ ა ნ დ ი

ყველაფერს მისცემ?

დ ე ლ ა

რაო? ყველაფრის შეწირვას ითხოვ,  
ბ ე ვ რ ი რომ მივცე, არ კმარა განა?

ბ რ ა ნ დ ი

შენ დაუმძიმებ სულს უფრო მაგით  
მანამდე, სანამ როგორც იობი  
საკუთარ ფერფლზე არ დაიწვები.

## დ ე დ ა

(სასოწარკვეთილი იფშენეტს ხელებს)

ო, დავიღუპე, წავწყმიდე სული  
განიავდება ქონება ჩემი!  
შინ წავალ ახლა, რომ ყველაფერი  
რაც მე შეკუთვნის, ჩავბლუჯო ხელით.  
ჩემო ფულებო, შვილებო ჩემო,  
თქვენთვის დავდვარე სისხლი და ოფლი.  
ჩქარა, შინისკენ, რომ დაგაფრქვიოთ  
როგორც პატარებს ცრემლები ცხარე.  
რისთვის შეესხა ჩემს სულს სხეული,  
თუკი არ უნდა მიყვარდეს იგი,  
ესაც ზომ სულის სიკვდილსა ნიშნავს?  
აზლოს იყავი! — ისწრაფე, პრესტო,  
ჩემს სასთუმალთან დადექი მაშინ  
და მინუგეშე ცოდვილი სული,  
დიახ, როდესაც საშინელებას  
უკანასკნელ წუთს ჩავხედავ თვალში;  
თუკი ოდესმე სულ ყველაფერი  
უნდა დაგკარგო, ეს მაშინ მოხდეს,  
როს დასრულდება სიცოცხლე ჩემი.

(გადის.)

## ბ რ ა ნ დ ი

(თვალს გააყოლებს)

დიახ, შენი ძე იქნება ახლოს,  
მონანიების დაუცდის დღესა  
და შეეცდება გაგიტბოს წამსვე,  
როს გამოუწვდი ცივ, გამხდარ ხელსა.

(ჩამოდის ძირს აგნესთან.)

სალამო სულაც არა ჰგავს დილას:  
დილა აღსავსე იყო ბრძოლითა;  
და მოშესმოდა მხედრული ჰიმნი,  
ვგრძნობდი ელავდა რისხვის მახვილი,

რომ ძირს დაგვემხო სიცრუისა და  
ძალმომრეობის საბრძანებელი,  
გვეხსნა ქვეყანა მწუხარებისგან...

### ა გ ნ ე ს ი

(შემოტრიალდება და აღფრთოვანებული მიაჩერდება ბრანდს)

ო, დილა იყო სულშემხუთავი,  
მხოლოდ სიცრუე, თამაში მსურდა,  
დილით იმაზე ვფიქრობდი მხოლოდ,  
რომ დამეკარგა ბედნიერება.

### ბ რ ა ნ დ ი

რა მშვენიერი ფიქრები იყო,  
როგორც თეთრ გედებს თავიანთ ფრთებით  
ლაყვარდისაკენ მიჰქონდათ სული.  
წინ მიდიოდა ჩემი გზა, კაცთა  
ძველი ცოდვების დამამსხვრეველი.  
მე მივცურავდი ხალხის ძახილზე  
და ეკლესიის წმიდა მსახურთა  
ჰიმნი, დროშები, საკმევლის ბოლი,  
თასი, სანთლები, ქებათა-ქება  
და მხიარული ხორხოცი ბრბოსი  
განაბრწყინებდნენ ტახტულ ცხოვრებას,  
ვით მიმზიდველი ციალი ცისა.  
მაგრამ ეს იყო ოცნება მხოლოდ  
და მოციმციმე ყინულთა ხილვა  
ტანჯვა-წამების უსაზღვრო ზღვაში.  
ახლა კი ვდგავარ გრანიტის ღორღზე  
ამ ფიორდსა და მაღალ მთებს შორის,  
სადაც ბნელდება იმაზე ადრე,  
სანამ მნათობი თვალს მიჰფარდება.  
ღიახ, მე ახლა ვდგავარ აქ მტკიცედ,  
გავცილებივარ ქვეყნის ურიაშულს  
და მაინც მშობლურ მიწაზე ვდგავარ.  
ეჰ, გაჰქრა ჩემი სიზმარი ტკბილი,

რაშს უნაგირი მოვხადე უკვე.  
და შორს, შორს ბრწყინავს მიზანი დიდი.  
არა რაინდის ჭაჭვე-მუზარადი,  
არა ფოლადის ელვარე ხმალი,  
არა პალმის რტო, როგორც ნიშანი  
გმირულ ბრძოლაში გამაოჯგებისა,  
არამედ შრომა, ყოველდღე შრომა...  
და დიახ, დიახ, ამ მძიმე შრომას  
უნდა შევწირო სიცოცხლე მთელი.

### ა გ ნ ს ი

და ღმერთი, ძირს რომ დაემხოს უნდა?

### ბ რ ა ნ დ ი

დიახ, ნამდვილად ძირს დაეშობა,  
მაგრამ თანდათან და საიდუმლოდ,  
არა აშკარად და არა უცებ.  
მე ახლა უფრო თვალნათლივ ვხედავ,  
რომ სულ სხვა რამე განუტრნავს ხალხსა.  
არა ტრაბახი და თავის ქება  
გამოასწორებს, გარდაქმნის კაცსა,  
ვერ გაუღვიძებს ის სულის ძალას,  
ვერ განუკურნავს ძველისძველ ტკივილს,  
ხალხის მშველელი ნ ე ბ ა ა მხოლოდ,  
ნ ე ბ ა ყველაში და ყველაფერში,  
ნ ე ბ ა დიდშიაც და პატარაშიც.

(შემოტრიალდება სოფლისაკენ, სადაც საღამოს ჩრდილები თანდათან  
მუქდება.)

მაშ მოდით ყველა, ვინაც ამ მთიან,  
ვიწრო ხეობას ხართ შეხიზნული,  
რომ გავუყაროთ თვალი ერთმანეთს  
და გულახდილად ვილაპარაკოთ,  
რომ სულიერი განწმენდის საქმე  
განვიხილოთ ჩვენ დაწვრილებითა;

მო, სამუდამოდ დავგმობთ სიცრუე  
და ისევ ვუხმობთ ვაჟკაცურ ნებას,  
მის შემართებას და გულოვნებას.  
ვით წინათ ხმლიანს, ახლა წერაქვით  
ხელს ძალუმს კაცის ღირსებად იქცეს, —  
რადგან ერთია ჩვენი მიზანი  
კვლავ ვიყოთ უფლის სჯულის ფიქარი.  
(წასვლას დააპირებს. მოპირდაპირე მხრიდან შემოდის  
აინარი.)

ა ი ნ ა რ ი

შეჩერდი, მომეც, რაც წაიყვანე.

ბ რ ა ნ დ ი

აგნესს ეძიებ? იქა ზის იგი.

ა ი ნ ა რ ი

(აგნესს)

ამოიჩიე ნათელი სივრცე  
ან ეს კლდოვანი კუთხე მწუხარე!

ა გ ნ ე ს ი

არ დამრჩენია სხვა არჩევანი.

ა ი ნ ა რ ი

ო. აგნეს, აგნეს, გთხოვ გაიხსენო  
ერთი ხალხური გამოთქმა ძველი:  
ადვილიაო ტვირთის აღება,  
მაგრამ ტარება კი ძნელზე ძნელი.

ა გ ნ ე ს ი

ნუ სწუხხარ, სანამ ძალ-ლონე შემწვევს,  
ვატარებ მე ამ ცხოვრების ტვირთსა.

ა ი ნ ა რ ი

მაშ გაიხსენე შენიანები.



## ა გ ნ ე ს ი

დებს და დედაჩემს სალამი წრფელი,  
წერილებს მოვწერ, თუ შევიძელი...

## ა ი ნ ა რ ი

შორს, იქ, იმ ლურჯი ზეირთების ზემოთ  
მისრიალებენ აფრები თეთრი;  
თითქოს სევდიან ფიქრებით სავსე,  
მიიზხვეიან ანძები მალლა  
და მიცურავენ გემები ზღვაზე  
შორეულ ლამაზ ქვეყნებისაკენ.

## ა გ ნ ე ს ი

საითაც გნებავს, იქითკენ გასწი,  
ჩამთვალე, რომ მე მკვდარი ვარ შენთვის.

## ა ი ნ ა რ ი

მაშინ, როგორც და, გამომყევ ისე.

## ა გ ნ ე ს ი

(თავს გააქნევს)

ოკეანე წევს ჩვენ შორის უკვე...

## ა ი ნ ა რ ი

მაშ დაუბრუნდი დედაშენს მაინც.

## ა გ ნ ე ს ი

(ხმადაბლა)

აქ დგას მრჩეველი, ძმა, მეგობარი!

## ბ რ ა ნ დ ი

(მიუახლოვდება აგნესს ერთი ნაბიჯით)

აწ, ქალიშვილო, დაფიქრდი კარგად!  
ამ რუხ, პიტალო, სალ კლდეებს შორის,

სად ქარიშხალი ზრიალებს, ღმუინ,  
სად დღე მწუხარე, ბნელ ღამეს მოჰგავს,  
გაივლის ჩემი მთელი სიცოცხლე,  
ვით შემოდგომის საღამო ცივი,  
რომ დაველოდო შორეულ ცისკარს.

### ა გ ნ ე ს ი

წყიდიადს არ ვუფრთხი, რუხ ღრუბლებიდან  
გაძოხანათებს ვარსკვლავი, ალბათ.

### ბ რ ა ნ დ ი

ძველთან ბრძოლაში ვარ დიდად მკაცრი:  
ან ყველაფერი, ან არაფერი!  
მაპატიე, თუ დაეცი გზაზე  
და განვლო შენმა სიცოცხლემ ფუჭად,  
გაჭირვებაშიც არაფერს დავთმობ,  
არც მოგიტევებ დანაშაულსა.  
მკაცრად მოვითხოვ მე სიკვდილადე  
მუდამ სიმტკიცეს და ერთგულებას.

### ა ი ნ ა რ ი

ო, განერიდე ამ სასტიკ თამაშს,  
ამ კაცს, მკაცრსა და შეუბრალებელს,  
მიუღწეველს რომ ისახავს მიზანს,  
იცხოვრე ისე, ვით ყველა ცხოვრობს.

### ბ რ ა ნ დ ი

აწ არჩევანი ჰკილია შენზე

(გადის.)

### ა ი ნ ა რ ი

მაშ მოახდინე ეს არჩევანი  
ქარიშხალსა და სიმშვიდეს შორინ.  
დად ტახჯვასა და სიხარულს შორის,

ღამის წყვედიადს და ღღის ნათელს შორის,  
სიცოცხლესა და შავ სიკვდილს შორის.

## ა გ ნ ე ს ი

(წამოდგება და ღინჯად წარმოთქვამს)  
მე ვირჩევ ღამეს, ტანჯვას და სიკვდილს,  
შორს კი მიღიმის ვარსკვლავი ცისკრის.

იგი გაემართება იქითკენ, საითაც ბრანდა წავიდა. ა ი ნ ა რ ი ერთი წუთით თვალს  
გააუღლებს, თავგზადაკარგული თავს ჩაჰქინდრავს და მოპირდაპირე მხარეს ფიოლო-  
დისკენ გაუყვება გზას.

## მ ე ს ა მ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

მოქმედება მიმდინარეობს სამი წლის შემდეგ. მღვდლის სახლის წინ ბაღია. სახლს ზემოდან კლდოვანი მთის კედელი დასცქერის. ბაღს ქვის გალავანი არტყია ირგვლივ. უკანა პლანზე ვიწრო და ჩაკეტილი თიორდი მოჩანს. სახლის კარა ბაღში გამოდის. შუადღე გადასულია. ბ რ ა ნ დ ი სახლის კიბეზე დგას. ა გ ნ ე ს ი ზის კიბის საფეხურზე, მასზე ცოტა ქვემოთ.

ა გ ნ ე ს ი

ჩემო ძვირფასო მეუღლე, იმ გზას  
შეშფოთებული გასცქერი ისევ...

ბ რ ა ნ დ ი

ცნობას მოველი...

ა გ ნ ე ს ი

და ასე ღელავ...

ბ რ ა ნ დ ი

დედისგან... უკვე სამი წელია  
შეშფოთებული ამოდ ვუცდი  
ყოველდღე შიკრიკს დედაჩემისას;  
მაგრამ ამ დილით გავიგე, ყოველ  
წუთს მოელიან მის აღსასრულსა.

ა გ ნ ე ს ი

(წყნარად და ალერსიანად)

მ ი უ ხ მ ო ბ ლ ა დ ა ც, ბრანდ, შვილს მართებდა...

ბ რ ა ნ დ ი

(თავს ვააქნევს)

ვინაც არა სწუხს ცოდვათა გამო,  
მას ვერ შევუნდობთ, ვერა ვცემთ ნუგეშს.

ა გ ნ ე ს ი

დედა იგი.

ბ რ ა ნ დ ი

უფლება არ მაქვს  
ღმერთს შევავედრო თუნდაც მშობელი.

ა გ ნ ე ს ი

რა სასტიკი ხარ!

ბ რ ა ნ დ ი

შენთან?

ა გ ნ ე ს ი

ო, არა!

ბ რ ა ნ დ ი

ეს შე წინასწარ გაუწყე უკვე-

ა გ ხ ე ს ი

როდი აღსრულდა, რასაც დამპირდი.

ბ რ ა ნ დ ი

ძალზე მკაცრია ჩვენი ბუნება,  
გიფერმკრთალდება ღაწვები ძოწის  
და ვიქვავდება სათუთი სული.  
კლდით და გალავნით შემოვლებული.  
ნაზი ყვავილი აქ როდი ხარობს.

## ა გ ნ ე ს ი

სამაგიეროდ. მტკიცედ დგას სახლი  
და გადმოჰყურებს მყინვარი თავზე;  
მაგრამ როდესაც ყინული დნება,  
ნაპაზვრევი სახლის სახურავს სცდება,  
ჩვენი სახლი კი დგას უვნებელი.  
თითქოს ჩანჩქერის ქვეშა ვცხოვრობდეთ.

## ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ თვით მზეც რომ ვერ აღწევს ჩვენთან?

## ა გ ი ე ს ი

სანაცვლოდ, უფრო ლამაზად ცეკვავს  
ის ჩვენს პირდაპირ აღმართულ მთაზე.

## ბ რ ა ნ დ ი

ზაფხულში? — დიახ: სამიოდ კვირას! —  
შერე კი ვერსად ვერ მოგვკრავთ თვალსა.

## ა გ ნ ე ს ი

(გაშტერებული უცქერის ბრანდს. შემდეგ კი წამოდგება და იტყვის)  
ბრანდ, გაძიმხილე, რალაცა ვტაიჯავა.

## ბ რ ა ნ დ ი

არა, — შენ!

## ა გ ნ ე ს ი

შენა.

## ბ რ ა ნ დ ი

რალაც გაშინებს  
და არ მიმყლავნებ.

## ა გ ნ ე ს ი

ასევე — შენაც.

ბ რ ა ნ დ ი

მგონია, თითქოს მწვერვალზე დგახარ,  
მისული სულ მთლად უფსკრულის პირას.  
ნუ მალავ, მითხარ აწ ყველაფერი.

ა გ ნ ე ს ი

ხან ეთრთი კიდევაც.

ბ რ ა ნ დ ი

ვის გამო მერე?

ა გ ნ ე ს ი

ჩვენი შეილისა.

ბ რ ა ნ დ ი

ალფის?

ა გ ნ ე ს ი

თრთი შენცა.

ბ რ ა ნ დ ი

მის გამო ზოგჯერ მეც მიპურობს შიში,  
მაჯრამ, ოპ, არა, არ წავა ჩვენგან!  
ღმერთი კეთილი და მოწყალეა.  
ჩემი შვილიყო წამოიზრდება,  
გამოვა მტკიცე, მაგარი ბიჭი.  
სად არის ახლა?

ა გ ნ ე ს ი

ბძინავს.

ბ რ ა ნ დ ი

(ჯარიდან გასცქერის)

შეხედე:

იგი ტანჯვაზე არ ფიქრობს სულაც,  
ჩარბივ ფუნჩულა, რგვალი ხელი აქვს.

ა გ ნ ე ს ი

ფერმკრთალი არის...

ბ რ ა ნ დ ი

გაუვლის მალე.

ა გ ნ ე ს ი

დიდხანს, მაგარი ძილითა სძიბავს.

ბ რ ა ნ დ ი

მალაღმა ღმერთმა დაგლოცოს, შვილო,  
იძინე ტკბილად, ჭანმრთელი გახდი.

(კარს მიხურავს.)

ჩემთან მოხვედით შენა და იგი,  
ვით სიმშვიდე და ნათელი დიდი.  
მძიმე შრომას და წუხილს ადვილად  
ვიტანდი ხოლმე შენს გვერდით მდგარა,  
და ვსვამდი ნექტარს ძვირფას თასიდან.  
არა მტოვებდა მხნეობა შენთან,  
მასთან თამაშშიც ვიკრებდი ძალას  
და არასოდეს არ მლალატობდა  
მე სიმამაცე შენს გვერდით მყოფელს.  
შენც კარგად იცი, ჩემი სამრევლო,  
როგორც წაშება, მივიღე ისე,  
ახლა კი, ხედავ, ვით შეიცვალა  
ეს ყოველივე ბედნიერებად.

ა გ ნ ე ს ი

შენ ღირსი იყავ ბედნიერების,  
იბრძოდი და თან იტანჯებოდი,  
ერთი წუთიც არ დაგისვენია  
და ხშირად სწუხდი, სტიროდი მწარედ.



## ბ რ ა ნ დ ი

მე ყველაფერი მიჭირდა მაშინ.  
შენ მოუტანე გულს სიყვარული  
და გაზაფხულმა იფეთქა სულში.  
ამ გრძნობას მე არ ვიცნობდი წინათ, —  
ღედა და მამა კი არ მითბობდნენ,  
უფრო მიხშობდნენ ყმაწვილ კაცს გულსა;  
ნაპერწყლები კი შემოვინახე  
და მოხდა ის, რომ დავზოგე ჩუმად  
სულის სინაზე, ძვირფასი განძი,  
რათა მომეძღვნა მე იგი თქვენთვის —  
შვილისათვის და მეუღლისათვის.

## ა გ ნ ე ს ი

და მხოლოდ ჩვენთვის კი არა, არა,  
მათთვისაც, ვინც კი არიან ჩვენი  
თემის წევრები, დიახ, ყველასთვის.  
ვინ შეილსა გლოვობს, ვინ — ძმას და ღედას,  
დაობლებულა საბრალო ბავშვი  
და ყველანი შენ შემოგჩივიან,  
მათ შენში ჰპოვეს ძმაცა და მამაც.

## ბ რ ა ნ დ ი

და ეს კი მოხდა ჩემი მეუღლის  
და ჩემი შვილის წყალობით მხოლოდ.  
ჩემს და სამყაროს შორის თქვენ გასდეთ  
ხიდი უდიდეს სიყვარულისა;  
სულს როდი ძალუძს ყველას მოხვევნა,  
თუ ერთი ვინმე არ შეიყვარა.  
ჰოდა, ვდარდობდი, ვიცდიდი წლობით,  
ბოლოს და ბოლოს ქვად მექცა გული.

## ა გ ნ ე ს ი

- და შენი გრძნობა მკაცრია მაინც,  
არ ძალგიძს ნაზად გადასმა ხელის...

## ბ რ ა ნ დ ი

შენთვის?

### ა გ ნ ე ს ი

ო. არა, ძვირფასო ჩემო,  
ძალმიძს ვატარო ეგ მძიმე ტვირთი.  
მაგრამ სასტიკად ჰკარ ხელი ბევრსა,  
რადგან ასეთი დევიზი გაქვს შენ:  
„ან ყველაფერი, ან არაფერი!“

## ბ რ ა ნ დ ი

არ მიმაჩნია ის სიყვარულად,  
რასაც ქვეყანა სიყვარულს უხმობს.  
მე მხოლოდ უფლის სიყვარულს ვიცნობ  
და კარგად ვიცი, რასაც ჰქმნის იგი.  
ის სასტიკია და უღმობელი,  
საშიში მუხთალ სიკვდილზე მეტად,  
ხელს გადმისვამს და მოჟონავს სისხლი.  
როგორ მოიქცა უფალი მაშინ,  
როდესაც ბაღში ზეთის ხილისა  
შიშით სულს ლევდა იმისი შვილი,  
სთხოვდა სიცოცხლეს და შებრალებას?  
თუ მოაცალა მან ბაგეთაგან  
შხამით პირთამდე აღვსილი თასი?  
არა, მან თასი შესვა ფსკერამდე.

### ა გ ნ ე ს ი

შენც ამ საზომით თუ მიუღექი,  
აქ მაშინ ყველას დალუპვა ელის.

## ბ რ ა ნ დ ი

ჩვენ ხომ თვითონ არ გამოგვაქვს მსჯავრი,  
მაგრამ კვლავ გვახსოვს ცეცხლით ნაწერი:  
„წადი, ერთგული დარჩი ბოლომდე,  
არ იყიდება გვირგვინი ფულზე.“

ტანჯვით და გვემით ისწრაფე მუდამ  
და გაიარე ცეცხლი და წყალი.  
შეგინდობ, რასაც ვერ შესძლებ, შეილო,  
მას კი, რაც არ გსურს, — ო, არასოდეს“.

### ა გ ნ ე ს ი

რაკი აღავსე შენ ჩემი სული,  
მე წამოგყვები სიამოვნებით,  
სიმაღლეს შენსას რომ ვეზიარო.  
მაგრამ ხანდახან, გამოგიტყდები,  
შემიპყრობს შიში, მხნეობას მართმევს,  
სულს კი დაუწყებს ღრღნას ეჭვის ჭია  
და მიმძიმდება ფეხები ძალზე...

### ბ რ ა ნ დ ი

ჩვენი სამრევლო მზად უნდა იყოს,  
რომ აიცილოს ეს კომპრომისი.  
საქმეს განსჯიან იმის მიხედვით,  
სრულდება იგი თუ არა ყველას  
დასანახავად ან სანახევროდ, —  
ეს ცარიელი სიტყვა როდია,  
უნდა ცხოვრების კანონად იქცეს!

### ა გ ნ ე ს ი

(ყელზე ჩამოეკიდება)

თან წამოგყვები, ძვირფასო, ყველგან!

### ბ რ ა ნ დ ი

ერთად ყოველგვარს ავივლით აღმართს.

ე ქ ი მ ი ჩამოდის გზაზე და შეჩერდება ბალის გალენის წინ.

### ე ქ ი მ ი

საოცარია, უდაბურ ადგილს  
რარივ ღულუნებს ეს ორი მტრედი.

ა გ ნ ე ს ი

ჩემო ექიმო, ეს შენ ხარ, მართლა?

(ჩარბის კიბეზე და ადებს ბალის კიშკარს.)

მობრძანდი...

ე ქ ი მ ი

არა, მელიან სხვები.

გულმოსული ვარ, იცოდე შენზე,  
რომ შემომძვრალხარ და ზიხარ ხვრელში.

აქ გამუდმებით ჰქრის ქარიშხალი,  
სასტიკად ჰყინავს სულსა და სხეულს.

ა გ ნ ე ს ი

სულს — არა.

ე ქ ი მ ი

არა? კვლავ ცოცხალია?

სულ ერთი არის, თუნდ ეგრეც იყოს.  
მაგრამ სასწრაფო კავშირი თქვენი,  
ჩანს, სოლიდური შეიქნა უკვე,  
თუმც ჩვენში ძველად ამბობდნენ ასე:  
კავშირი, ერთ წუთს შეკრული, უცებ,  
ისევ ერთ წუთში დაინგრევაო.

ა გ ნ ე ს ი

ოლონდ მზემ ერთხელ გამოანათოს,  
ოლონდაც ერთხელ შემოჰკრან ზარი,  
გამოიღვიძებს დღე ზაფხულისა.

ე ქ ი მ ი

მშვიდობით. უკვე სხვაგან მელიან.

ბ რ ა ნ დ ი

დედა კარგაა?

ე ქ ი მ ი

ღიახ. მოდიხართ?

ბ რ ა ნ დ ი

არა, დღეს არა.

ე ქ ი მ ი

იყავით?

ბ რ ა ნ დ ი

არა.

ე ქ ი მ ი

ბრანდ, სასტიკი ხართ. წვიმა და ქარი  
ვერ მაჩერებდა ჩემს სავალ გზაზე,  
თუმცა ვიცი, ამას მე დედაბერი  
ჩამითვლის ცოდვის მოტევებაში.

ბ რ ა ნ დ ი

ღმერთმა გიშველოს. შეუმსუბუქეთ  
მოხუცს როგორმე ავადმყოფობა.

ე ქ ი მ ი

ღიახ, უფალი შეეპწეა ჩემი,  
ვცდილობ, ყოველთვის მივიღე მალე.

ბ რ ა ნ დ ი

ალბათ — გეტყოდნენ, მან დამივიწყა,  
თუმცა ველი ისევ დამსხვრეულ გულით...

ე ქ ი მ ი

წასულიყავით...

ბ რ ა ნ დ ი

იქ მიუხმობლად

არ შესაქმება მე არაფერი.

ე ქ ი მ ი

(შეხედავს აგნესს)

ასეთ მშვენიერ, ნაზ კმნილებასაც  
დააქცნობს თქვენი სასტიკი ხელი.

ბ რ ა ნ დ ი

ხასტიკი არ ვარ.

ა გ ნ ე ს ი

ღიახ, მზად იყო,  
სისხლი გაეღო მის შესანდობლად.

ბ რ ა ნ დ ი

ვით შვილი, ისეც ვალდებული ვარ,  
რომ გავისტუმრო ვალები მისი.

ე ქ ი მ ი

ზოგი მაინც რომ გადაეხადა.

ბ რ ა ნ დ ი

ბევრი და ერთი, ორივე ერთია,  
ღმერთს გადაუხდის ყველაფერს ერთად.

ე ქ ი მ ი

ვერ გადაიხდის, ვინც დატაკია  
და ჩაფლულია ყელამდე ვალში.

ბ რ ა ნ დ ი

მე მ ს უ რ ს, მდიდარი ვარ თუ ღარიბი,  
და სურვილს ჩემსას თვით ადვასრულებ.

ე ქ ი მ ი

სურვილი არის Quantum satis,  
შენს სურვილსაც აქვს მრავალი მხარე,

## მაგრამ, პრესტ, თქვენი Canto caritatis

არის ფურცელი დაუწერელი.

(გადის.)

### ბ რ ა ნ დ ი

(ერთი წუთით თვალს გააყოლებს)

არც ერთი სიტყვა სიცრუით ისე  
ჯერ არ შერყვნილა, ვით სიყვარული  
ეშმაკურ ხერხით მალავენ ნაკლსა  
და სურთ მიჩქმალონ ჭეშმარიტებაც,  
ცხოვრება თითქოს თამაში იყოს,  
მხოლოდ თამაში, სხვა არაფერი.  
დე ვიწრო იყოს ბილიკი თუნდა,  
გასასვლელ ჭიშკარს აგნებენ მაინც.  
ცოდვიანი გზით ვინც ქვეყნად მიდის,  
ხსნას სიყვარულში მოელის იგი.  
ვინც დიად მიზანს ისახავს ქვეყნად,  
სულ ერთია, რით მიაღწევს ამას,  
სიყვარულით თუ სხვა სიკეთითა;  
გზა იცის, მაგრამ იბნევა, ნებავეს  
მას სიყვარულის თავშესაფარი.

### ა გ ნ ე ს ი

ეს სიცრუეა... მაგრამ ეჭვიც ხომ  
არსებობს სადღაც: არაა ასე?

### ბ რ ა ნ დ ი

ერთს განერიდნენ — კაცთ ნება-სურვილს,  
მაგრამ მას ძალუძს, მას ძალუძს მხოლოდ  
მოჰკლას კანონის წყურვილი მწველი.  
უნდა ისურვო არა ის მხოლოდ,  
რაც ძალგძს, იყოს მცირე გინდ დიდი,  
არა მხოლოდ ის, რის აღსრულებაც  
აუცილებლად მოგიტანს ჭილდოს,

არა, შენ უნდა ისურო ისიც,  
რასაც მოჰყვება წამებაც, საფრთხეც.  
შენი გმირობა ის კი არაა,  
რომ დაასრულო გრძელი გზა ჯვარცმით,  
არც ის, რომ თვითონ ისურვე ჯვარცმა,  
არამედ ის, რომ შენ მაინც გ ს უ რ დ ა,  
თუშც გიწყდებოდა ქანცი მთლიანად  
და ბაგეთაგან უონავდა სისხლი,  
აქაა შენი ხსნის საწინდარი.

### ა გ ნ ე ს ი

(მაგრად შეეკრება)

ო, დამიცავი, ძლიერო კაცო,  
ილაპარაკე, მითხარი რამე!

### ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ სურვილი იმარჯვებს ხოლმე,  
დრო დგება მაშინ სიყვარულისა  
და მტრედის ფრთებით მოფრინავს ისიც,  
ზეთისხილის რტო რომ მოგიტანოს.  
მაგრამ აქ ხალხი ზარმაცი არის  
და სიყვარული სიძულვილს ნიშნავს.  
ჩანს, საჭიროა აქ სიძულვილი...

(შეშინებული.)

თითქოს პატარა სიტყვაა, მაგრამ  
უნდა ებრძოლო მთელ სამყაროსა.

(სასწრაუოდ შედის სახლში.)

### ა გ ნ ე ს ი

(იკვირება გაღებულ კარიდან)

მან დაიჩოქა შვილის საწოლთან,  
ჩალუნა თავი, ტიროდეს თათქოს;  
თავი დაადო საწოლს შვილისას,  
როგორც უმწეო, საბრალო კაცმა...



ო, რა ძლიერი და რარიგ უხვი  
ჰფეთქს სიყვარული მის სასტიკ სულში!  
მას ალფი უყვარს: ჯერ ეს ადგილი  
არ დაუგესლავს მსოფლიოს გველსა.

(შეშინებული წამოიყვირებს.)

წამოდგა, ხელზე დაიყრდნო თავი!  
რა დაემართა? დაჰკარგა ფერი!..

ბ რ ა ნ დ ი

(გამოდის სახლიდან კიბეზე.)

მაცნე არა ჩანს?

ა გ ნ ე ს ი

ჯერ არა.

ბ რ ა ნ დ ი

(იციქობა უკან გაღებულ კარში.)

მაჭა

ისე სცემს, თითქოს ურტყამდნენ ჩაქუჩს.  
კანი სიცხისგან ვარვარებს წითლად...  
ნუ გეშინია...

ა გ ნ ე ს ი

რა დაემართა?

ბ რ ა ნ დ ი

არ შეგეშინდეს.

(გზაზე გაიხედავს და უცებ შეჰყვირებს.)

აი, ის მოდის...

მ ო ც ი ქ უ ლ ი

(მიმართავს ბალის გაღვენის მეორე მხრიდან)  
აწ კი წამოდი, მამაო!

ბ რ ა ნ დ ი

(აჩქარებით)

მოვალ.

რა ამბავია.

მ ო ც ი ქ უ ლ ი

ძალიან შიშვე.

თავის საწოლზე წამოიწია  
და ჩიფჩიფებდა: „მოვიდეს მღვდელი, —  
ჩემი ქონების ნახევარს მიეცემ,  
ოღონდ შემინდოს და მაზიაროს...“

ბ რ ა ნ დ ი

(უკან დაიწევს)

მხოლოდ ნ ა ხ ე ვ ა რ ს?

მ ო ც ი ქ უ ლ ი

(თავს აქნევს)

ხომ ვიცრუებდი,

მისი ნათქვამი მე სხვანაირად  
რომ გადმომეცა.

ბ რ ა ნ დ ი

მხოლოდ ნახევარს?

მთელი რომ უნდა მოეცა თითქოს?

მ ო ც ი ქ უ ლ ი

შესაძლო არის, მაგრამ არ უთქვამს,  
რაც თქვა, თქვა ნათლად და გასაგებად,  
მე სიტყვასიტყვით გაუწყეთ იგი.

ბ რ ა ნ დ ი

(ხელს სტაცებს ხელზე)

უფლის წინაშე, განკითხვის დღესა  
დაიფიცავ, რომ ეს მართალია?

## მ ო ც ი ქ უ ლ ი

დიახ.

### ბ რ ა ნ დ ი

შენ მაშინ ასე უთხარი:  
არავითარი ზიარებაო...

## მ ო ც ი ქ უ ლ ი

(უცქერის გაუბეჯავად)

პრესტ, რად არ გესმის, რომ შენთან ახლა  
გამომავზავნა თვით დედაშენმა?

### ბ რ ა ხ დ ი

მე სამართალი ორი არა მაქვს:  
უცხოთათვის და ნათესავთათვის,

## მ ო ც ი ქ უ ლ ი

მკაცრ პასუხს მაძლევთ.

### ბ რ ა ნ დ ი

თვით მოისმინა:

ან ყველაფერი, ან არაფერი.

## მ ო ც ი ქ უ ლ ი

პრესტ!

### ბ რ ა ნ დ ი

გადაეცი: კერპის ნაწილიც  
არის იგივე უფლება კერპის.

## მ ო ც ი ქ უ ლ ი

ასეთ პასუხით, ვეცდები, დედა  
გავამატრახო როგორმე რბილად,  
ცოტა იმედი რომ დარჩეს, ეგრე  
მკაცრიც არაა სამსჯავრო უფლის  
(გაღის.)

ბ რ ა ნ დ ი

ჰო, მძორის შხამით სულს არაერთხელ  
სწამლავდა ხოლმე იმედი ესე.  
ვითარცა გესლი მსოფლიო ჟამის,  
როცა, მისულნი სამარის პირას,  
საგალობლებით, ვფიქრობდით ხშირად,  
რომ მოგვესყიდა მსაჯული მკაცრი.  
ძნელი როდია ეს გარიგება.  
ისინი მოხუცს იცნობენ კარგად,  
კარგად იცნობენ მის ხასიათსაც:  
რომ დათმობაზე წავა „მოხუცი“.

მოციქულს გზაზე მეორე მოციქული შემოხვდება და ორივე უკან ბრუნდება.

ბ რ ა ნ დ ი

აი, მეორეც.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ც ი ქ უ ლ ი  
დიახ.

ბ რ ა ნ დ ი

რას შეტყვი?

მ ე ო რ ე მ ო ც ი ქ უ ლ ი  
ცხრა მეთედსა გთავაზობს იგი...

ბ რ ა ნ დ ი

მთლიანად არა?

მ ე ო რ ე მ ო ც ი ქ უ ლ ი  
არა.

ბ რ ა ნ დ ი

ვთქვი უკვე:  
ვერ ეღირსება ის ზიარებას.

მეორე მოციქული  
გვედრებოდათ ტანჯულ-გვემული.

პირველი მოციქული  
პრესტ, გაინსეხე, დედაა ბეხი!

ბრანდი

ცოდვას მტრისას თუ ნათესავისას  
მე ერთნაირი სასწორით ვწონი.

მეორე მოციქული  
ძალიან მძიმე დღეშია, წადი,  
ან გაუგზავნე შენდობა მაინც.

ბრანდი

(პირველ მოციქულს)

გადაეც, სტფრა რომ იყოს სუფთა  
იესოს წმინდა ნაწილებისთვის.

მოციქულები გადიან.

აგნესი

(მევერება მკერდზე)

მე მეშინია შენს გამო ზშირად:  
ხელთ რომ გიპყრია მახვილი უფლის.

ბრანდი

(ტრემლებს ძლივს იკავებს)

ნუთუ აღმდგარა სამყარო ჩემზე  
უძილოდ, მაკრატლის წკრიალ-ქლარუნით?  
ეგ არაა, რომ მიკოდავს გულს მე  
თავის სულელურ სიჯიუტითა?

აგნესი

ძალზე მკაცრია შენი პირობა...

## ბ რ ა ნ დ ი

აბა, გაბედე და შეარბილე!

## ა გ ნ ე ს ი

მაგ საზომით რომ მიუდგე ყველას,  
ველარ იპოვი ერთ მართალ კაცსაც.

## ბ რ ა ხ დ ი

დიახ. მართალი ხარ, სამწუხაროდ.  
ყალბნი, უხამსნი არიან ძალზე  
და ახლა ხშირად დიდ საქმედ თვლიან,  
თუ ვინმემ ხალხის საჭიროებას  
ჩუმად შესწირა ორიოდ გროში.  
დე ამოშალოს ასეთმა გმირმა  
თვისი სახელი ხალხის ხსოვნიდან  
და თავის ზვედრად აიღოს მუდამ  
დიდთა საქმეთა ნაყოფი მხოლოდ.  
მრავალ საქმეს კი იხილავს ხალხი?  
განა პოეტი ოქროს გალიით  
ოდესმე ისეთ ჩიტს გამოაფრენს,  
რომ კაციშვილმა ვერვინ გაიგოს,  
ხმა ვინ ჩაუდგა, შეასხა ფრთები?  
სცადე და ჰპოვე მსხვერპლშემწირველი  
ხალხის ყლორტებში, სულ ერთი არის,  
გამზმარი არის თუ მოყვავილე..  
მხოლოდ ერთი რამ დაგხვდება ყველგან:  
მონის ოცნება, ოცნება მიწის.  
მიცოცდი მალე უფსკრულის პირას  
ამაოების ქვეყნიურ ლერწთან.  
თუ გაგიცრუა მანაც იმედი,  
მაშინ იმ ლერწის ბოჭკოთა წნულში  
შაასვი ბრკყალიც, ბასრი კბილებიც.

## ა გ ნ ე ს ი

და აზნაირ ღრის შენ ჰყვირი მაინც:  
„ან ყველაფერი, ან არაფერი“.

## ბ რ ა ნ დ ი

იქნებ ახლოა აქ გამარჯვება,  
ვიდრე გვეგონია: ზოგჯერ დადგება  
ყველაზე მაღლა, ვინც დაბლა იდგა.  
(რამდენიმე ხანს დუმს. შემდეგ ხმას შეიცვლის.)  
და მაინც, როცა გულშია ასე,  
ძალზე მკაცრი ვარ და ულმობელი,  
მუდამ მგონია: მღელვარე ზღვაში  
დამსხვრეულ ნავით მივცურავ თითქოს...  
მწარე, უქმეხი ენით ლაპარაკს  
მე მიმაჩვია ტანჯვამ და ცრემლმა,  
ყოველთვის ვათახავ ადამიანებს,  
მათი მოხვევნის წყურვილს კი ვმაღავ.  
წამოდექ, აგნეს, მიხედე ყმაწვილს,  
ტკბილი ნანინით მოჰკვარე ძილი;  
ნაზი, ნათელი სული აქვს ჩვენს შვილს,  
როგორც ზაფხულში ტბა გამჟვირვალე,  
დედის ალერსი დაცურავს მასზე, —  
ირეკლება, ვით ფრინველი თეთრი.

## ა გ ნ ე ს ი

(ფერი წაუვა)

რა გემართება, ჩემო მეუღლე,  
მუდამ მწუხარე ახსენებ შენს შვილს!

## ბ რ ა ნ დ ი

არაფერია, შვილს გაუფრთხილდი...

## ა გ ნ ე ს ი

მაშ განმიმტკიცე მე სული სიტყვით.

## ბ რ ა ნ დ ი

ძლიერით?

## ა გ ნ ე ს ი

ნაზით, მკაცრით კი — არა.

ბ რ ა ნ დ ი

(მოხვევა ცოლს)

ვინც უბრალოა, იცოცხლებს იგი.

ა გ ნ ე ს ი

(სახეგაბრწყინებული შეხედავს ქმარს)

ერთი კი არის, — არ მეშინია, —  
მოწყალე არის, ვერ ბედავს ღმერთი.

ბ რ ა ნ დ ი

(წყნარად იცქირება წინ)

და რომ გაბედოს! გაბედავს იგი!  
მან აბრაამს ხომ მოსთხოვა შვილი?

(ძალით უკუპყრის ფიქრებს.)

არა! გავიღე საკმაო მსხვერპლი.  
მთელი სიცოცხლე შევწირე უკვე  
ჩემს მოწოდებას. ბნელს, ბოროტებას  
ვევლინებოდი ვით რისხვა ღვთისა  
და ვალვიძებდი მძინარეთ ქვეყნად.  
ვითომ მსხვერპლია? — ვიცრუე ისევ!  
მაშინ დამთავრდა სიზმარი ჩემი  
და მოვიპოვე სიმშვიდე სრული,  
გამიცისკროვნა აგნესმა სული,  
გამომყვა ამ ბნელ, იღუმალ გზაზე!

(გაპყურებს გზას.)

რატომ არ ჩანან მოციქულები,  
რად არ მთხოვს ღედა მიტვეებასა?  
ის ბოროტებას აღმოფხვრის უცებ,  
გულში ხესავით ფესვებგადგმულსა.  
შეხედე!

არა, ეს ფოგტი მოდის,  
მხნე, გულკეთილი და ჯიბეებში  
ჩაუწყვია მას ორივე ხელი,  
როგორც ფრჩხილები სიტყვებს ჩართული.



ფოგტი

(მიმართავს ბალის დახურული ჭიშკრიდან)  
სალამი! მაგრამ, თუკი უდროოდ  
მოვედი მე აქ, გთხოვთ პატიებას!

ბრანდი

(მიუთითებს სახლზე)

მობრძანდით.

ფოგტი

აქაც კარგად ვარ, მგონი;  
და თუ შემოსვლა შეიძლეს თქვენთან  
ჩემმა სიტყვებმა, მართალი გითხრათ,  
ყველას მოგვიტანს სარგებლობასა.

ბრანდი

რა საქმე არის?

ფოგტი

ბრანდ, დედათქვენო  
ნელ-ნელა მიდის; და უნდა გითხრათ,  
რომ ვწუხვარ.

ბრანდი

ეგ მეც გულითა მჯერა.

ფოგტი

ეჰ, ძალზე ვწუხვარ.

ბრანდი

რაშინა საქმე?

ფოგტი

ის ხომ მოხუცდა, — ოჰ, ღმერთო ჩემო, —  
მოგვიკაკუნებს სიბერე ყველას...

აი, მოვდივარ აქეთ და ვფიქრობ:  
მათი მოკითხვა სავალდებულო  
არ არის-მეთქი, ჩაიარე და  
ნურას იკითხავ, გადექი განზე.  
მაგრამ მე მითხრეს, რაც აქ მოხვედით,  
გაქვთ ოჯახური დავიდარაბა.

ბ რ ა ნ დ ი

დავიდარაბა?

ფ ო გ ტ ი

ხალხი ჩურჩულებს,  
რომ დედათქვენი ძუნწია ძალზე  
და მეტისმეტად შესტოპა თურმე.  
არცთუ ისეთი ადვილი არის,  
თქვენი თავი რომ სულ დაივიწყოთ.  
არ გაუყვია არაფერიო,  
მთელი ქონება მან მიითვისა:  
თავისი წილიც, მამათქვენიცა.

ბ რ ა ნ დ ი

არ გაუყვია, მართალი გახლავთ.

ფ ო გ ტ ი

აქ ხომ სულ ერთურთს ეჩხუბებიან;  
სწორედ ამაში ვხედავ მე მიზეზს,  
რომ არ იღარდებთ შაინცდამაინც,  
მშვიდად აიტანთ, რაც გიწერიათ.  
გთხოვთ არ განრისხდეთ, ნურც შეწუხდებით  
და მომისმინეთ, თუმცა, ჩანს, ცუდი  
დრო შევარჩიე...

ბ რ ა ნ დ ი

სულ ერთი არის  
ჩემთვის, მოგისმენთ ახლა თუ შერე.

ფოგტი

მაშინ ახლავე შეეუდგეთ საქმეს.  
როგორც კი დედა გარდაგეცვლებათ  
და ცივ საფლავში ჩაესვენება,  
თქვენ უმდიდრესი გახდებით კაცი.

ბრანდი

ეგრე გგონიათ?

ფოგტი

დიახ, ნამდვილად!

აი. აილეთ დურბინდი ხელში  
და გადაავლეთ მთელ მხარეს თვალი,  
სულ მას ეკუთვნის მიწები ირგვლივ, —  
მდიდარი კაცი გახდება პრესტი!

ბრანდი

და სასამართლო?

ფოგტი

(ღიმილით)

რა შუაშია

აქ სასამართლო? ის განიხილავს  
საქმეს, მემკვიდრე როცა ორი,  
ან ვალეები აქვს გადასახდელი,  
აქ კი შემთხვევა სულ სხვაგვარია.

ბრანდი

მაშინ რას იტყვით, თუკი სხვაც მოვა,  
იტყვის, კანონით მეც შეეკუთვნისო  
მემკვიდრეობა და მოგვთხოვს წილსა?

ფოგტი

დალაზეროს ღმერთმა, განა ეშმაკი  
არის ასეთი დაუცხრომელი?

არა, მისმინეთ: სხვა აქ ვერავეინ  
დაადგამს ფეხსა, — მერწმუნეთ, ვიცი.  
ამ მთელს მაზრაში თქვენ უმდიდრესი  
კაცი იქნებით, როგორც კი იგი  
გარდაიცვლება. მაშინ რაშილა  
გინდათ ეს ჩვენი სამრევლო, როცა  
წინ გაგეშლებათ ქვეყანა ვრცელი?

ბ რ ა ნ დ ი

და გადაკრული თქვენი სიტყვები  
ნიშნავს: „ახლავე შორს გაემგზავრით!“

ფ ო გ ტ ი

თითქმის. მე კარგად ავწონ-დავწონე,  
საბედნიეროდ, ეს მთელი საქმე.  
ერთი შეხედვით, რა ხალხთან მიგაქვთ  
თქვენი სიტყვები, დიადი მცნება?  
თქვენ ხომ ვეფხვს ჰგავხართ, გარეულს  
ცხვრებში?

გამიგეთ, თქვენი უებრო ნიჭი  
არის ნამდვილად ძვირფასი განძი  
მაღალი წრისთვის, აქ კი, ამათთვის,  
რომელთ კლდეებში ამოსდით სული,  
როგორც მთიანი ხეობის შვილებს,  
საეკვოა, რომ ნიშნავდეს რამეს.

ბ რ ა ნ დ ი

კაცისთვის მხარე მამა-პაპათა  
იგივეა, რაც მუხისთვის ფესვი,  
ორივე იღებს იქიდან საზრდოს,  
თუ იქ საღვაწად არ მიისწრაფვის,  
დაღუპულია ორივეს საქმე.

ფ ო გ ტ ი

ყველა საქმისთვის წესია ერთი:  
დავხედოთ ქვეყნის მოთხოვნილებას.

## ბ რ ა ნ დ ი

იგი ჩანს მუდამ დიდ სიმაღლიდან,  
კლდოვან სოფლიდან ვერ გამოჩნდება.

## ფ ო გ ტ ი

ასე ამბობენ მილიონთათვის,  
ჩვენ კი რას გვარგებს ეს ლატაკ ხალხსა?

## ბ რ ა ნ დ ი

დიდი ხანია ორად ჰყოფთ ხალხსა:  
მთის ტომებად და ბარის ტომებად.  
თქვენ, როგორც მდიდრებს, უფლება გნებავთ,  
გადასახადებს კი გაურბიხართ,  
წინასწარვე რომ ლაჩრულ საბაბით  
იმართლებთ თავსა: „მოგვეშველენით,  
ჩვენ რა! ვართ ერთი პატარა ხალხი!“

## ფ ო გ ტ ი

ყოველ დროს ხალხი თავის უფლებას  
და თავის საქმეს, მოღვაწეობას  
თავისებურად განსაზღვრავს ხოლმე.  
ჩ ვ ე ნ ს მრევლსაც შეაქვს თავისი წვლილი  
დიად მიზანთა დიდ სალაროში:  
ცოტაა, მაგრამ, შეხედეთ ერთი,  
დღესაც კი ცოცხლობს თქმულება ძველი  
გმირულ ბრძოლებსა და საქმეებზე  
თვით ბელე მეფის დიდ ეპოქიდან.  
ეს თქმულებები იხსენებს დღემდე  
ორ მამაც ღვიძლ ძმას — ულფსა და ტორსა,  
თუ მათმა რაზმმა ვით დაარბია  
ბრეტლანდი, ტურფა, მდიდარი მხარე.  
ისე სწავდნენ და ძარცვავდნენ ხალხებს,  
რომ შიშით ძრწოდა სამხრეთი მთელი  
და ლოცულობდა „დაგვიცავ, ღმერთო,  
ბოროტმოქმელთა სიმკაცრისაგან!“

და, ყველა ექვის მიუხედავად,  
ისინი იყვნენ ჩვენი მხრისანი.  
შეეძლოთ ბიჭებს დარბევა ხალხთა,  
ხოცვა-ჟლეტა და დანთება ხანძრის!  
ძველ თქმულებებში შემორჩენილა  
ის გმირიც, ვინაც აღმართა ჯვარი,  
თუმცა წყვდიადით დაფარულია  
ამ ადგილთაგან სალაშქროდ წასვლა...

ბ რ ა ნ დ ი

იმ გმირს ხომ დარჩნენ შთამომავლები  
და იხსენებენ დიდ წინაპარსა?

ფ ო გ ტ ი

ცხადია, მაგრამ როგორ გაიგებთ?

ბ რ ა ნ დ ი

ძნელი როდია გაიცნო მალე  
სახელოვანი, ქებული გვარი,  
სული და გული ჯვაროსნულ ლაშქრის,  
ხალხი, დიდებულ მომავლის მქონე!

ფ ო გ ტ ი

დიახ, მძლავრია იმათი გვარი.  
ჩვენ მეფე ბელე ვახსენეთ წედან.  
ჯერ ვძარცვეთ, ვხოცეთ და ვანადგურეთ  
ძალზე შორეულ კუნძულთა მკვიდრნი,  
მერე კი ერთურთს წავეკიდენით  
და მეზობლებზეც აღმართეთ ცული.  
ვუწვავდით ტაძრებს, ეზოებს, სახლებს, —  
ამით ვიდგამდით ღირების გვირგვინს.  
იქნება ჩვენ ამ დაღვრილი სისხლით  
ხანდახან კიდევ მოგვექონდეს თავი,  
მაგრამ ის, რის თქმაც მე მოვასწარი,  
უფლებას მაძლევს, — თანახმად წესის, —  
დიდგულობა რომ გადავდოთ იქით —

გავიხსენო ის დიდებოს ხანა,  
როცა შეიძლო ქვეყანამ ჩვენმა,  
ცეცხლით, მახვილით რომ ჩაეწერა  
სტრიქონი დიდი პროგრესის წიგნში.

### ბ რ ა ნ დ ი

ისიც მგონია, თქვენ დაგავიწყდათ,  
რომ აწ სახნისით შევცვალეთ ხმალი  
და გადავხანით ის ყორღანები,  
სად ბელე მეფის გმირები წვანან.

### ფ ო გ ტ ი

ო, არა, ერთი გვესტუმროს ვინმე  
იქ, სადაც ჩვენი მრევლი ქეიფობს,  
სადაც ლენსმანი და მოსამართლე,  
მე და კისტერი ვართ მიწვეულნი,  
გაიგოს, რარიგ პატივს ვცემთ ბელეს,  
როდესაც პუნში სისხლს აგვიღელვებს.  
სადღეგრძელოში, სიმღერაში თუ  
თასთა წკრიალში შეიტყობს იგი,  
მოგონებები რომ ცოცხლობს მასზე.  
თვით მეც, საოცრად გატაცებული,  
ნაირფეროვან აზრებით ვმოსავ  
მის ირგვლივ კრძალვით აკინძულ სიტყვებს,  
რომ ავამაღლო მსმენელთა სული.  
პოეზია ხომ მეც ისე მიყვარს,  
როგორც აქაურ ჩრდილოელს ყველას,  
ზომიერად კი, რაღა თქმა უნდა,  
ის გართობაა ამქვეყნად მხოლოდ.  
როცა მოვრჩებით ჩვენს სამუშაოს  
და მივაშურებთ პატარა სენაკს,  
დღიური შრომით მოქანცულები  
ბუხარს ვუზივართ, ვეწევით ჩიბუქს,  
პოეზია კი, ვით ცივი წყარო.  
გამოგვაცოცხლებს, სულს გაგვიგრილებს.

და უფსკრული კი ერთმანეთისგან  
ჩვენ რომ გვაშორებს, ის არის სწორედ,  
უცებ შეიძლოთ დათესვაც, მომკაც  
და შეაერთოთ ერთურთთან ძალით  
დაუყოვნებლად თოხი და ხმალი,  
ღვთის სამსახური კი — კარტოფილის  
თესვას, გათოხნას და მოყვანასთან.  
ღიას, თქვენ გნებავთ, როგორც მე მესმის,  
დაუკავშიროთ ცხოვრებას აზრი,  
რათა მიიღოთ ტყვია-წამალი  
ნახშირისაგან, გვარჯილისგან კი —  
სუფთა გოგირდი, ბოლოს და ბოლოს.

ბ რ ა ნ დ ი

თითქმის.

ფ ო გ ტ ი

მოდღვრებას ჩასწვდები ძნელად,  
თუმცა გაიგებს მას წრე მაღალი,  
და ეს თქვენც მაგ წრეს მოასმენინეთ  
ჩვენ კი დაგვეტოვეთ და მოგვასვენეთ  
აჩაჩით ზღვა და ჭაობი ვჩიჩქნოთ.

ბ რ ა ნ დ ი

ჯერ გადახანით ის, რაც ცუდია:  
მყვირალა ქება წინაპრებისა.  
ვერ ახვალ მაღლა ჭუჭად ქცეული,  
თუნდ გოლიათი გყოლოდა პაპა.

ფ ო გ ტ ი

ეს ხომ დიდების საწინდარია.

ბ რ ა ნ დ ი

დაუკავშიროთ ცხოვრებას მტკიცედ  
ღ ი დ ე ბ ა, თქვენ ხომ იმისგან მხოლოდ  
ჰქმნით უსიცოცხლო, ცარიელ ყორღანს.



## ფოგტი

უკანასკნელი რჩევაა ჩემი,  
ეს კუთხე უნდა დასტოვოთ მალე!  
არ აყვავდება აქ თქვენი საქმე,  
თქვენი აზრები უცხოა ჩვენთვის;  
ხოლო იმ მცირე აღმავლობაზე,  
რომელიც ზოგჯერ საჭირო არის  
მშრომელ კაცისთვის, მე ვზრუნავ თვითონ  
დაულალავად და შეუწყვეტლად,  
მას აქეთ, რაც ამ საქმეს ვადგევარ.  
ეს დასტურდება მრავალი რამით:  
ჩვენთან სამმაგად გამრავლდა ხალხი;  
ჯერ ერთ ხელობას მოგვიდეთ ხელი,  
მას მოვაყოლეთ მეორეც შემდეგ.  
მე გავუმართე ბუნებას ბრძოლა,  
წინ მივდიოდით შეუჩერებლად,  
გზები გავგყავდა, ვაგებლით ხიდებს.

## ბრანდი

არა რწმენას და ცხოვრებას შორის.

## ფოგტი

უფრო ფიორდს და მთაგრეხილს შორის.

## ბრანდი

მაგრამ აზრს საქმე ვერ შეუერთეთ.

## ფოგტი

დავუკავშირე სოფელი სოფელს,  
მათი ერთობა რომ გამეზარდა.  
და ჩვენთან ასეც ფიქრობდა ყველა,  
ვიდრე, ვით პრესტი, აქ არ მობრძანდით  
და აურიეთ კვლავ ერთმანეთში:  
მეშახტეების ლამპების შუქი

და პოლარული ციალი, ბრწყინვა,  
მაგრამ აქ ვინმე გაარკვევს რამეს,  
რა არას სწორი და რა — შერყვნილი,  
რაა წამება და სინანული?  
თქვენ აუბნიეთ ყველა კაცს თავგზა  
და ბანაკებად გასთიშეთ ხალხი,  
გაპარკებებისკენ წინ მიმავალი.

### ბ რ ა ნ დ ი

თქვენი სურვილის მიუხედავად  
მე აქ დავრჩები, არ წავალ არსად.  
კაცს, რომელსაც აქვს თვისი მიზანი,  
გზაც აქვს ყოველთვის ამორჩეული.  
და მისდევს ნაწერს ღვთაების ხელით,  
ცეცხლოვან ნაწერს: „აქ მემსახურე!“

### ფ ო გ ტ ი

დარჩით, მაგრამ გთხოვთ შეზღუდოთ თავი.  
მოხარული ვარ, ცოდვათაგან რომ  
განბანვას ითხოვთ. საჭირო არის,  
რომ მოვეუწოდოთ აქეთკენ ხალხსა.  
დაე შრომის დღე შრომის დღედ დარჩეს,  
მას საზეიმოდ ნუ გადააქცევთ  
და ყოველდღე ნუ აღმართავთ აღამს,  
თითქოს ფიორდში შემოსულ ყველა  
პატარა ნავზე, კონცხს რომ მოუვლის,  
თვით მაცხოვარი იესო იჯდეს.

### ბ რ ა ნ დ ი

რომ დაგიჭერთ, მაშინ სულის და  
შეხედულების გამოცვლა მმართვებს,  
მაგრამ იცოდეთ, ჩვენი ვალია  
მხოლოდ საკუთარ თავს ვეკუთვნოდეთ  
და სასიკეთოდ დავმოძღვროთ ყველა,  
უნდა ვიბრძოლოთ მისი გულისთვის.

ვიდრე გონებას არ განეუნათლებთ  
იმ ხალხს, რომელსაც წარხოცეთ ძალა  
და გაუყინეთ ძარღვებში სისხლი,  
წართვით ღონე, სურვილი, სიმხნე,  
სული ჩაუხშეთ, დაუნაწვევრეთ,  
ფოლადივით რომ მთლიანი ჰქონდა!..  
მაგრამ სულ მალე იქნება შესძრას  
ჩვენი ქვეყანა ძახილმა „ომი!“

ფოგტი

ომი?!

ბრანდი

ჰო, ომი!

ფოგტი

მაგრამ თქვენ გახვალთ  
ომში პირველი და დაეცემით.

ბრანდი

დაე ოდესმე გახდეს ნათელი:  
დაცემა ნიშნავს დიდ გამარჯვებას.

ფოგტი

ბრანდ, გამოფხიზლდით, ძირს ჩამოცოცდით  
ოჩოფებიდან, ბედის სასწორზე  
რატომ შეაგდეთ აწ ყველაფერი?

ბრანდი

ასე ვისურვე.

ფოგტი

და თუ წააგებთ,  
წააგებთ მაშინ თქვენს სიცოცხლესაც.  
თქვენ გაქვთ უნარი, ტალანტი დიდი

და ყოველგვარი დოვლათიც ახლა  
გადმოგეცემათ დედოქვენისგან.  
გყავთ შვილი, ცოლი, ძვირფასი ძალზე,  
მითხარით, რაღა არ გაგაჩნიათ!

ბ რ ა ნ დ ი

თუ ავირჩიე მაინც წამება  
და შევაქციე ყველაფერს ზურგი,  
როგორც მიბრძანებს მოვალეობა?

ფ ო გ ტ ი

ფუქად ჩაგივლით სულ ყველაფერი.  
როს გემუქრებათ ყინული, თოვლი,  
ვით გააჩაღებთ აქ ომის ხანძარს?  
აი, სამხრეთი კი სხვა საქმეა,  
იქ ხალხი დადის თავაწეული  
და უფლებაც გაქვს დიდ ყრილობაზე  
ეს სისხლის დაღვრის საკითხი დასვა, —  
ჩვენ კი ოფლსა ვდვრით და არა სისხლსა:  
ამ სალ კლდეებზეც კი მოგვყავს პური.

ბ რ ა ნ დ ი

დავრჩები აქ, ჩემს მშობლიურ სახლში,  
სწორედ აქედან დავიწყებ ომსა.

ფ ო გ ტ ი

მიხვდით, მოგელით სასტიკი მარცხი  
და ყოველივეს დაჰკარგავთ ქვეყნად.

ბ რ ა ნ დ ი

თუ დავიხიე, ჩემს თავსა ვკარგავ!

ფ ო გ ტ ი

პურის ჭამაშიც ბრალია ერთი.

ბ რ ა ნ დ ი

ჩემს გზას რჩეულნი გამოჰყვებიან.

ფ ო გ ტ ი

უმრავლესობა კი ჩემთან არის.

(გაღის.)

ბ რ ა ნ დ ი

(თვალს გააყოლებს)

აი, ის — ხალხის ნამდვილი შვილი,  
სამართლიანა, ჭკვიანი, ფრთხილი,  
მუდამ მზად მყოფი დასახმარებლად,  
მაგრამ ყველასთვის — უბედურება.  
ყინვა, გრივალი და სვლა ყინულთა,  
ქამი, შიმშილი, ზვაფი თუ შვაფი  
მაგის ნახევარ უბედურებას  
ვეო დამართებენ ხალხს მთელი წელი.  
სტიქია ოდენ სიცოცხლეს გვტაცებს,  
ის კი ყოველგვარ აზრს გვიკლავს თავში,  
ყოველ სიახლეს გვიჩლუნგებს, გვისპობს,  
ყოველ მხიარულ სიმღერას გვიხშობს  
სულშეხუთული ქოშინი მისი!  
ბევრი ღიმილი წარხოცა ბაგეთ,  
გულებს ჩაუქრო ცეცხლი ბრიალა  
და სულის შიში თუ სიხარული,  
როსმე გმირობად რომ იქცეოდა,  
მოსპო, უგულოდ გაანიავა...

(ანაზღეული შიშით.)

შიკრიკი არ ჩანს, არ გამოგზავნა?

ბალის გალავანთან მოდგება ექიმი.

აი ექიმი!

(გაეშურება შესახვედრად.)

რასა იქს დედა?

ე ქ ი მ ი

უფლის სამსჯავროს წინაშე წარსდგა.

ბ რ ა ნ დ ი

გარდაიცვალა! ნანობდა?

ე ქ ი მ ი

არც კი:

თავის სიტყვაზე იდგა ჭიუტად,  
ვიდრე არ დაჰკრა საათმა მისმა.

ბ რ ა ნ დ ი

(შეძრწუნებული გაშტერებით იცქირება წინ)  
მაშ წაიწყმიდა მოხუცმა სული?

ე ქ ი მ ი

ვინ იცის, ეგრე გულგრილი, მშრალი  
კანონით არც კი განსაჯონ იგი,  
ვით თქვენ გგონიათ.

ბ რ ა ნ დ ი

(წუნარად)

რა სთქვა მაინცა?

ე ქ ი მ ი

წაიჩურჩულა: „ღმერთი როდია  
ისე სასტიკი, ვით ჩემი შვილი!“

ბ რ ა ნ დ ი

(გაწამებული დაეშვება სკამზე)

ცოდვებით სავსემ სიკვდილის პირას  
მაინც იცრუა, იცრუა ისევ!

(ხელებში ჩაირგავს თავს.)

## ე ქ ი მ ი

(მიუახლოვდება, ყურადღებით დასცქერის და  
თავს აქნევს)

გნებავთ ჩვენს დროში გადმოიტანოთ  
წლები, ჩავლილნი დიდი ხნის წინათ;  
მაინც გწამთ, როგორც ბიბლიაშია,  
უფლის და ხალხის კავშირი მტკიცე.  
მაგრამ ყველა დრო თავისას ითხოვს,  
აღარ გვაშინებს ცეცხლის მახვილი,  
არც ზღაპრები გვწამს, — ჰუმანურობა —  
აი, რა არის ახლა მთავარი.

## ბ რ ა ნ დ ი

(შეხედავს ექიმს)

ჰუმანურობა! — მყვირალა ფრაზა  
და ფუჭი აღთქმა მთელი ქვეყნისა!  
თვის უღონობას, ასწიოს ტვირთი,  
ყოველი მხდალი ამ სიტყვით ნიღბავს,  
უმაქნისობაც ამ სიტყვით ცდილობს,  
რომ სიზარმაცე დაფაროს თვისი,  
ფარივით გვიცავს გასაჭირისგან,  
რომ დავარდვიოთ აღთქმა ადვილად  
და პაწაწინა ქონდრის კაცებმაც  
შექმნან ამგვარი კაცთმოყვარება.  
იყო თუ არა ჰუმანიური  
ღმერთი, ქრისტე რომ გააკრა ჯვარზე?  
უხერხულად არ ჩასთვლიდა განა  
ეგ თქვენი ღმერთი, რომ მოწყალება  
მოელო მასზე, შემდეგ კი ისევ  
მონანიების ეს მთელი საქმე  
დიპლომატიურ გზით გადაეჭრა?

(ცვლავ ხელებში ჩაირგავს სახეს და ზის მწუხარედ დაღუმებული.)

ე ქ ი მ ი

(წყნარად)

ო, იმძვინვარე, სნეულო გულო,  
ახლა ტირილი გმართებდა უფრო.

ა გ ნ ე ს ი

(გამოდის კიბეზე, ფერმკრთალი, შეშინებული და წასჩურჩულებს ექიმს)  
ჩქარა!.. წამომყეთ!..

ე ქ ი მ ი

სად, პატარასთან?

რასა იქს ბავშვი?

ა გ ნ ე ს ი

წუხილი, შიში

მტანჯავს, გულს მიფლეთს ისე, ვით გველი.

ე ქ ი მ ი

რატომ?

ა გ ნ ე ს ი

(ეწევა მკლავზე)

ო, წამო!.. წამო ახლავე!

«ორივენი შედიან სახლში ისე, რომ ამას ბრანდი ვერ შენიშნავს».

ბ რ ა ნ დ ი

(გაშტერებით იცქირება წინ და ნელი ხმით წარმოთქვამს)

და მოკვდა ისე, როგორც ცოცხლობდა,

იგი გარეშე მონანიების...

იქნებ თვით ღმერთმა მანიშნა ამით?

მე დავიბრუნო უნდა ის განძი,

მან რომ გაპფანტა მთელ ქვეყანაზე.

ათგზის სირცხვილი იქნება ჩემთვის,

თუ შემეშინდა და ავკანკალდი.

(წამოდგება.)



ამიერიდან შვილური ვალით  
მშობელ მხარეში იდექი მტკიცედ.  
შედი ბრძოლაში, ვით ჯვაროსანი.  
თუ დაეცემი, გახრწნილ სხეულზე  
შენ ამაღლდები უკვდავი სულით.  
ღმერთმა მიბოძა სიტყვის მახვილი  
და ცხარე რისხვა, ვითარცა ჯილდო,  
იმ მთას დავანგრევ, ვინ შემაჩერებს!

ე ქ ი მ ი

(აგნესთან ერთად გამოდის კიბეზე აჩქარებით და ყვირის)  
ახლავე გასწი! დაკეტე სახლი!

ბ რ ა ნ დ ი

ვრჩები, თუნდ აქვე დამეცეს მეხი.

ე ქ ი მ ი

მაშ შენს ბიჭუნას სიკვდილი ელის!

ბ რ ა ნ დ ი

აღფს? ჩემს ბიჭუნას? რა მწარედ ხუმრობ.  
ოჰ, ჩემო შვილო!

(შინ შესვლას დააპირებს.)

ე ქ ი მ ი

(შეაჩერებს)

არა, მოიცა!

თქვენთან ვერ აღწევს ნათელი მზისა.  
აქ პოლუსიდან გრიგალი მოჰქრის  
და ფოჩებივით ჰკიდია ნისლი.  
ერთი ასეთი ზამთარიც კიდევ, —  
დაქნება მისი სიცოცხლე ნაზი.  
შორს, ბრანდ, აქედან, ხსნა წასვლაშია,  
იჩქარე, ნულარ დაავციანებ.

## ბ რ ა ნ დ ი

დღესვე!.. საღამოს!.. ამ საათშივე!  
ის უნდა დადგეს ჯანმრთელი ბიჭი!  
მყინვარებიდან ვერ დაუბერავს  
იქ ქარი ბავშვის პატარა მკერდსა!  
სძინავს. ჩაიკარ ის მკერდში ნაზად,  
შორს ამ თოვლისგან, ამ კლდეებისგან!  
ოღონდ მოვასწროთ, აგნეს, როგორმე,  
სიკვდილი ბადეს ქსოვს მის გარშემო!

## ა გ ნ ე ს ი

გული მიწუხდა, მაგრამ ყველაფერ  
უბედურებას ვერა ვხვდებოდი...

## ბ რ ა ნ დ ი

(ექიმს)

მაგრამ თქვენ გჯერათ, რომ გადარჩება,  
თუკი ახლავე შორს გავიქცევით?

## ე ქ ი მ ი

სიცოცხლეს, რომელს დედ-მამა იცავს  
დღეცა და ღამეც, — არ ელის საფრთხე.  
ნუ გეშინიათ, იგი სულ მალე  
ისევ დაიწყებს გამოკეთებას.

## ბ რ ა ნ დ ი

გმადლობთ, ექიმო!

(აგნესს.)

შეფუთნე უფრო  
თბილად ბუმბულის საბანში ბავშვი,  
ფიორდიდან ხომ, იცი, ყოველ წუთს  
საღამოს ცივი ქარი უბერავს...

ა გ ნ ე ს ი შეღის სახლში

## ე ქ ი მ ი

(გაჩუმებული ათვლიერებს ბრანდს, რომელიც გაშტერებით იცქირება ოთახში ღიად დარჩენილი კარიდან, შემდეგ მიდის მასთან, ხელს მხარზე დაადებს და ლაპარაკობს).

ულმობელი ხარ შენ ხალხის მიმართ,  
ხოლო შენს თავთან დამთმობი წამსვე.  
მათთვის არასდროს არსებობს ბევრი  
და არცთუ ცოტა, არამედ ასე:  
ან ყველაფერი, ან არაფერი,  
თუმც გილალატა სიმხნევემ უცებ,  
როდესაც შენს შვილს მიერგო კენჭი.

## ბ რ ა ნ დ ი

ეგ რასა ნიშნავს?

## ე ქ ი მ ი

მშობელი დედა  
გაანადგურეთ მრისხანე სიტყვით:  
„დაიღუპები, სულ თუ არ გასცეპ,  
კუბოში უნდა ჩაწვე შიშველი!“  
და იგივე ხმა ქუხდა, გრგვინავდა,  
როს ირგვლივ ხალხი იტანჯებოდა.  
მაგრამ თვით მოხვდით დაღუპულ გემში  
და შურისგება, ვალები, ცოდვის  
მონანიება ფუჭი გამოდგა  
თქვენი დახსნისთვის, გადარჩენისთვის.  
ქადაგებათა ზღვაში კი დიდხანს  
თანამოძმეთა ამსხვრევდით გულებს,  
აწ საქმე უკვე ეხება იმას,  
რომ თქვენს ნაშიერს ეშველოს რამე!  
უნდა გაიქცეთ, მოსცილდეთ მალე  
აქაურობას, ცხედარს დედისას,  
ადამიანებს, თვის მოწოდებას,  
სამრევლოს, სულებს, იდეებს, აზრებს,  
ახლავ წირვასაც აღკვეთათ ალბათ!

## ბ რ ა ნ დ ი

(სასწარვეთილი თავზე ხელს იტაცებს, თითქოს აზრები მოიკრიბაო)  
დ ა ვ ბ რ მ ა ვ დ ი თუ ბრმა ვ ი ყ ა ვ ი წინათ?

## ე ქ ი მ ი

მე ვხედავ თქვენში აწ მხოლოდ მამას  
და არცა გკიცხავთ ამის გულისთვის:  
დიდება ახლა თქვენში მეტია,  
ვიდრე ის იყო მებრძოლ ტიტანში!  
მშვიდობით! მხოლოდ სარკეს გთავაზობთ,  
შიგ ჩაიხედეთ, სთქვით ამოოხვრით:  
„აი ტიტანი, მებრძოლი ღმერთთან!

(გაღის.)

## ბ რ ა ნ დ ი

(ერთ წუთს გაოგნებული იცქირება წინ, მერე კი უცებ წამოიძახებს)

როდის დავბრმავდი? ა ხ ლ ა თუ უ წ ი ნ ?

ა გ ნ ე ს ი გამოდის ოთახიდან, პალტოჩაცმული, ხელში ბავშვი უპყრია; ბრანდი  
ამჩნევს მას. აგნესს სურს გამოელაპარაკოს ბრანდს, მაგრამ შიშით თავზარდაცემ  
შეჩერდება, როცა მისი სახის გამომეტყველებას შენიშნავს. ამ დროს ბალის კიშკრ  
აჩქარებით შემოდის კაცი. მზე ჩაღის.

## კ ა ც ი

გესმის, პრესტ, შენ გყავს სასტიკი მტერი!

## ბ რ ა ნ დ ი

(გულზე ხელს მიიდებს)

ღიახ, აქ...

## კ ა ც ი

იგი ჩვენი ფოგტია.  
არ დაგიმალავ, შენმა ნათესმა  
კარგად იხარა, გაიჭვილა.

ვიდრე ისევ არ გათელა ფოგტმა  
ღვარძლიან ხმებით: რომ შენი სახლი  
მიტოვებული დარჩება თითქოს  
და ზურგს შეაქცევ მშობლიურ კუთხეს,  
როგორც კი დედა გარდაგეცვლება.

ბ რ ა ნ დ ი

რომ ასეც იყოს?

კ ა ც ი

მე კარგად გიცნობ  
და ვიცი, ეს ხმა რატომ იზრდება:  
ფოგტს გზას უღობავ და იცის, პრესტის  
მოდრეკა არის შეუძლებელი, —  
აი მიზეზი ყველაფერ ამის.

ბ რ ა ნ დ ი

(გაუბედავად)

და მაშინ — ეგ ხმა თუ მართალია?..

კ ა ც ი

შენ გიცრუენია უღმერთოდ მაშინ!

ბ რ ა ნ დ ი

მე მიცრუენია?

კ ა ც ი

შენ ხომ გვითხარი,  
სასტიკ ბრძოლისკენ მიწვევსო ღმერთი;  
რომ შენი სახლი სწორედ აქ არის  
და შენც აქედან ომს დაიწყებდი,  
რომ თავის რწმენას არვინ ღალატობს,  
თუნდაც დაუდგეს სასტიკი წუთი.  
მაგრამ ბრძოლაა საჭირო, შენ ხომ  
მიზნად ისახავ სიცრუე მოსპო:

ნათლის სვეტივით ჩაგვიდგა გულში  
ნათქვამი შენი, ვგიზგიზებთ, ვიწვით!

ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ არ ესმის ბრბოს სიმართლის ხმა,  
მაღალ გრძნობისთვის ჩაქეტა გული.

კ ა ც ი

შენ უკეთ იცი — ბევრჯერ დანთე  
ჩვენ შორის შუქი ცხოველი მზისა!

ბ რ ა ნ დ ი

ბევრში კი ღამე გამეფებულა.

კ ა ც ი

შენ ჩვენი მზე ხარ, — გვინათებ ღამით,  
მაგრამ თუმც უკეთ მოგეხსენება,  
არა გვჭირდება აქ ანგარიში,  
და მე, უბრალო ადამიანი,  
ვამბობ: გაიქეც, თუ შეგიძლია.  
სული მევესება თანდათან შუქით,  
მაგრამ არ ვიცი წერა და კითხვა.  
წყვდიადიდან რომ ამომიყვანე,  
მაშ, მიმატოვე, თუ ძალგიძს, ახლა.  
არა, ბაგირი მაგრად მიჭირავს,  
გაგიშვა, საით წავიდე მაშინ.  
მშვიდობით! დინჯად მოველი პასუხს —  
კვლავ ჩემთანაა პრესტიც და ღმერთიც.

(გადის.)

ა გ ნ ე ს ი

(გაუბეღავად)

გაფითრდი, პირი დაგიღრეჭია,  
საშინელი რამ გსურს მითხრა თითქოს.

## ბ რ ა ნ დ ი

(ფიქრებში ჩაძირული)

ძლიერი სიტყვა კლდის ექოსაგან  
ათასგზის ძლიერ გუგუნებს გულში.

## ა გ ნ ე ს ი

(ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება)

მე მზად ვარ.

## ბ რ ა ნ დ ი

რისთვის?

## ა გ ნ ე ს ი

(რაც შეუძლია ხმამალლა)

შორს ამ სიკვდილის

ბნელ ბუნაგიდან სიცოცხლისაკენ,  
მხოლოდ და მხოლოდ ეს მართებს დ ე დ ა ს.

გ ე რ დ ი მორბის გზაზე გალანის იქითა მხარეს და ბაღის კიშკართან შეჩერდება

## გ ე რ დ ი

(ტაშს უკრავს და ყვირის მეტისმეტად გახარებული)

ვერ დაინახეთ, თქვე სულელებო?  
აქედან უკვე გაფრინდა პრესტი!  
მაღალ ბორცვებსა და გორაკებზე,  
თითქოს იყოსო ეშმაკთა ბუდე,  
ქონდრისკაცები, კუდიანები  
დაფუსფუსებენ, შავნი და ავნი, —  
რარიგ ურტყამენ ზქებს ერთუროს თხები,  
თვალი კინაღამ არ გამომთხარეს  
და ნახევარი წამართვეს სული,  
თუმც, რა მაკლია, აღარც ვკითხულობ,  
ხომ მრჩება კიდევ მე ბევრი რამე.

## ბ რ ა ნ დ ი

კარგად დაფიქრდი, რას ამბობ, გოგო,  
ვერ მხედავ, ვდგავარ აქ, შენს წინაშე!

## გ ე რ დ ი

შენ? დიახ, მაგრამ არა ხარ პრესტი  
გაფრინდა უკვე გეზელი ჩემი  
და მიატოვა მწვერვალი შავი.  
შმაგი, ბოროტი, უნაგრიანი  
მოჩანდა მხარე, მთლად სავსე ქაცვით,  
მასზე, ზემოდან, ვიცანი, იჭდა  
და მიფრინავდა ის, ჩვენი პრესტი.  
შენ კი ხარ მისი აჩრდილი მხოლოდ.  
ურდულგაყრილი, მიტოვებული  
აწ ცარიელი დგას ეკლესია.  
ჩემს ეკლესიას ეწვიეთ ახლა,  
იქ თქვენ დაგხვდებათ ახალი პრესტი,  
უფრო დიდი და უფრო ძლიერი,  
ახლა ის სწირავს, მსახური უფლის,  
თეთრ სამოსელში გამოწყობილი,  
ზედ თეთრი ჭირხლი რომ მოჰფრქვევია.  
და ჩემი პრესტი იქ ისე გალობს,  
მისი ხმა ესმის მთელ დედამიწას.

## ბ რ ა ნ დ ი

შეშლილო სულო, ამ სასტიკ დღეში  
ნუთუ ჩაგაგდო შენივე კერპმა?

## გ ე რ დ ი

(შემოდის ბაღში)

კერპმა? კერპმაო? — ეს რაღა არის?  
იქნებ რაიმე გასართობია?  
ხან დიდი და ხან პატარა ნივთი,  
მუდამ ოქროსი, ჭრელი და ნაზი?  
კერპმა? მოიცა... ძლივს გამახსენდა...



აქ მოიხედე, ბავშვის ფეხს ხედავ,  
ან ხელს, პაწაწას? აი, ეს ჩვარი  
ნაზი ქსოვილით ეხვევა თითქოს  
ტკბილად მძინარე ყმაწვილის სხეულს.  
გამოიღვიძა, შეშინებული  
რადაცას მალავს! შეხედე ერთი!  
აი, ის არის, ის არის — კერპი!

ა გ ნ ე ს ი  
(ბრანდს)

ძალგიძს იტირო, ილოცო ახლა?  
საცოდობამ დამიწვა სული.

ბ რ ა ნ დ ი

ვაი ჩვენ, აგნეს, ეს ღვთის ხელია, —  
უკვე დამთავრდა ჩვენი სიზმარი.

გ ე რ დ ი

გესმით, ამ ველურ და მთიან მხარეს  
ისევ და ისევ რეკავენ ზარებს,  
შავი ლენტივით მოერტყა ტაძარს  
იქ სოფლებიდან მოსული ხალხი.  
აგერ, ცეკვავენ კუდიანები,  
პრესტი რომ წინათ ახრჩობდა ზღვაში;  
დავლურს უვლიან ქონდრისკაცებიც,  
უწინ მიწაში ჩამარხულები  
კვლავ ამომძვრალან ისინი ზევით,  
ადამიანებს რომ ავნონ რაზე, —  
ვერ დაიჭირა ისინი კუბომ,  
ცივები, სველნი, მოთენთილები  
კვლავ ცოცხლდებიან ტროლთა შვილები,  
წინ მოძვრებიან ნაჩვრეტებიდან  
და წრიბინებენ: „დედიკო! მამა!“  
ქალი და კაცი, ცოლი თუ ქმარი  
ყველას, ვით თავის თანატოლს, ხვდება;  
დედაკაცები კი აწოვებენ

ძუძუს მათ ბავშვებს, მიცვალებულთა, —  
წინათ ტაძარში საკუთარ შვილის  
მოსანათლავად ასე ამაყად  
არ მოდიოდნენ დედა და მამა.  
აი აქ როგორ ცხოვრობენ ახლა,  
როდესაც პრესტი წავიდა ჩვენგან.

ბ რ ა ნ დ ი

შორს გამეცალე, უსაშინლესო  
ჩვენებავ ღამის.

გ ე რ დ ი

ეს ის იცინის!

იგი გზის პირას დამჯდარა ახლა,  
გაბრაზებული წვერს უთლის კალამს  
და ყველას თავის დავთარში იწერს,  
ვინაც კი ზევით, მთებბისკენ, მიდის.  
ჰე, გაკრეფილა მრევლი მთლიანად.  
თქვენი ტაძარი დგას ცარიელი,  
აღარც მრევლია და აღარც პრესტი.

(გადახტება ბალის გალავანზე და კლდეებს შორის მიიმალება.)

ღუმილი გამეფდება.

ა გ ნ ე ს ი

(მიუახლოვდება ბრანდს და ყრუ ხმით მიმართავს)

ღრო არის უკვე, გაუუდგეთ გზასა...

ბ რ ა ნ დ ი

(დაჟინებით მიაშტერდება)

გზა საით მიდის?

(მიუთითებს ჭერ ბალის კიშკარზე, მერე კი სახლის კარზე.)

აქეთ, თუ იქით?

ა გ ნ ე ს ი

(შეშინებული უკან დაიხევს)

ბრანდ, შენი შვილი...

ბ რ ა ნ დ ი

(მიდის მასთან)

პასუხი გამეც!

ვიყავ თუ არა მე აქ ჯერ პრესტი,  
შემდეგ კი მამა?

ა გ ნ ე ს ი

(ისევ უკან დაიხევს)

ეგ რა კითხვაა?

ვერ გაგცემ პასუხს, თუნდაც ახლავე  
დამმეხოს ზეცამ.

ბ რ ა ნ დ ი

(ისევ მიდის მასთან)

აქ მხოლოდ დედა

წყვეტს ყოველივეს — შენზეა სიტყვა.

ა გ ნ ე ს ი

შენ მუდამ ჩემი მბრძანებელი ხარ,  
ცოლმა კი უნდა უსმინოს ქმარსა.

ბ რ ა ნ დ ი

(ცდილობს ხელზე ხელი სტაცოს)

გამომართვი ეს წამების თასი!

ა გ ნ ე ს ი

(დაიწვეს ხის უკან)

მის გამორთმევას ვერ შესძლებს დედა.

ბ რ ა ნ დ ი

მე უკვე მესმის შენი ბრძანება.

ა გ ნ ე ს ი

(გარკვევით)

გვაქვს კი უფლება არჩევანისა?

ბ რ ა ნ დ ი

ბრძანება უკვე გამკაცრდა ორგზის.

ა გ ნ ე ს ი

გჯერა თუ არა დანამდვილებით,  
რომ ახლა თვითონ უფალმა გიხმო?

ბ რ ა ნ დ ი

ღიას!

(მაგრად სტაცებს ხელს ხელზე.)

მაგრამ შენ, შენ გადაწყვეიტე  
სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ახლა.

ა გ ნ ე ს ი

დავემორჩილოთ უფლის ბრძანებას.

(პაუზა.)

ბ რ ა ნ დ ი

დრო არის უკვე გავუდგეთ გზასა.

ა გ ნ ე ს ი

(თითქმის ჩურჩულით)

რომელ გზას?

ბრანდი ღუმს.

(მიუთითებს ბალის კიშკარზე.)

ამას?

ბ რ ა ნ დ ი

(მიუთითებს სახლის კარზე)

არა, მეორეს.

## ა გ ნ ე ს ი

(ხელში აიტაცებს ბალსს)

ოჰ, ღმერთო ჩემო! ყველაზე დიდ მსხვერპლს  
ვწირავ მე ახლა მოწყალე ზეცას, —  
შემაგნებინე ეს მძიმე ვალი!

(შედის სახლში.)

## ბ რ ა ნ დ ი

(ერთ წამს გაშტერებული იცქირება წინ, შემდეგ აქვითინდება, ხელებს წაიშენს  
თავში, კიბეზე დაეცემა და შესძახებს)

ო, მაცხოვარო, ჩემს გონებას მოჰფინე შუქი!

## მ ე ო თ ხ ე მ ო ჟ მ ე ლ ე ზ ა

შობის დღესასწაული მღვდლის სახლში.

ნცენა წარმოადგენს ბნელ ოთახს; უკანა კედელში კარია დატანებული; ერთი მხრიდან ფანჯარაა, მეორედან კი — გვერდიით ოთახში გასასვლელი კარი.

### ა გ ნ ე ს ი

კიდევ არა ჩანს, არა და არა,  
ოჰ, რა ძნელია, ისევ და ისევ  
ელოდო მთელ დღეს, ეძახო, უხმო,  
მაგრამ პასუხი არავინ გაგცეს!  
თოვლი მოვიდა, ფაფუკი, თეთრი,  
და ნაზი შალი შემოახვია  
სახურავს ძველი ეკლესიისას.

(მოაუღრადებს.)

სსსუ... ბალის ჭიშკრის ჭრიალი მესმის  
და კართან კაცის ნაბიჯი მტკიცე.

(მიეშურება კარისკენ. აღებს.)

აჰ, ეს შენა ხარ? შემოდი ჩქარა!

**ბ რ ა ნ დ ი** შემოდის თოვლის ფიფქებით დაფარულ, სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელსაც შემდეგ გაიხდის. აგნესი მოეხვევა.

რა ძლიერ დიდხანს არ იყავ შინა!  
ნუ მიმატოვებ ამდენ ხანს მარტოს, —  
ო, ამ საშინელ ჩვენებებს ღამის  
მე, მარტოდმარტო, ვერ მოვიცილებ  
ო, ის დღეები, მერე როგორი.  
და ღამე მისი გარდაცვალების...

ბ რ ა ნ დ ი

მე კვლავ შენთან ვარ, ძვირფასო ჩემო.

(ანაუებს ერთ-ერთ სანთელს, რომელიც მკრთალ უუქს მოპფენს ოთახს.)

რა ფერმკრთალი ხარ...

ა გ ნ ე ს ი

უძილობა მკლავს,

სულ აქეთ-იქით დაეძრწი და ვნადვლობ.

აი გვირგვინი დავწანი, თუმცა

მწვანე ტოტები ცოტალა მქონდა,

მაგრამ ისინი ზაფხულიდანვე

შემოვინახე ამ ნაძვის ხისთვის.

ეს მ ი ს ი ბუჩქი იყო, — ახლა კი

წაიღო მანვე, როგორც გვირგვინი!

(ქვითინი წასკდება.)

ო, ღმერთო ჩემო, ეს ცივი თოვლი

ჰფარავს მის ბინას...

ბ რ ა ნ დ ი

არა, მის საფლავს.

ა გ ნ ე ს ი

ეგ სიტყვა როგორ მაშინებს, მზარავს...

ბ რ ა ნ დ ი

რა საჭიროა მოთქმა და ცრემლი

ა გ ნ ე ს ი

სწორი ხარ, სწორი, მაგრამ ასე მსურს,

ჩემო ძვირფასო, შენც მომითმინე,

ჭრილობა ჯერ არ მომშუშებია

და სისხლისაგან მეცლება გული...

მთლიანად დაშრა სიცოცხლის წყარო.

მე შვებით მერეც ამოვისუნთქავ,

როს ეს დღეები ისე გაივლის,  
როგორც სიზმარი, ჩადგება ღელვა,  
გაქრება ქაფი, მისწყდება კვნესა...

ბ რ ა ნ დ ი

უფლის დღეს ასე სცემენ პატივსა?

ა გ ნ ე ს ი

არა, მაგრამ ნუ გამიბრაზდები:  
ერთი წლის წინათ მშობლიურ სახლში  
იყო ჭანმრთელი და ბედნიერი,  
ახლა კი იგი...

[შეერთება, თითქოს ძრწის იმ სიტყვის წინაშე, რომელიც უნდა წარმოითქვას.]

ბ რ ა ნ დ ი

(გარკვევით)

წევს სამარეში.

ა გ ნ ე ს ი

(შეპკივლებს)

ნუ ამბობ მაგას.

ბ რ ა ნ დ ი

არა, უნდა ვთქვა,  
რადგან ამის თქმა გაშინებს ძლიერ.

ა გ ნ ე ს ი

ეგ სიტყვა შენც ხომ ძლიერ გაწამებს,  
მაგრამ არ მიმხელ, მიმალავ მუდამ.  
ოფლს დაუფარავს მკმუნვარე შუბლი, —  
აი, მაგ შენი სიმშვიდის ფასი!

ბ რ ა ნ დ ი

ო, არა, შუბლი, ნამდვილად ვიცი,  
მე დამისველა ფიორდის უხეფმა.



## ა გ ნ ე ს ი

თვალეზე ცრემლის წვეთები გადგას,  
ეგაც ფიორდის შხეფია ნუთუ?  
არა, წვეთები თბილი ჩანს ძალზე: —  
სითბო გადასცა მათ შენმა გულმა.

## ბ რ ა ნ დ ი

აგნეს, ძვირფასო მეუღლე ჩემო,  
ვიყოთ ორივე მტკიცე, ძლიერი,  
დავძლიოთ შიში და მიზნისაკენ  
გავიჭრათ ერთად ფეხაწყობილნი.  
ო, რა მამაცი ვიყავი ზღვაზე  
იმ ქარიშხალში, ბარჟაზე მდგარი,  
როცა გვიტევედა გრიგალი მკაცრი,  
ეხეთქებოდა ტალღები ბრაგებს  
და სეტყვასავით გვაყრიდა შხეფებს.  
ალარ ისმოდა ღუზის ხრიალი  
და არც ხმაური გემსართავისა.  
იქ ყველაფერი გრგვინავდა, დულდა,  
იღუნებოდა ანძა კრიალით  
და ჰფლეთდა ქარი ჩვენს თეთრ იალქანს.  
ნამსხვრევეებს ჰყრიდა ტალღების ქაფში.  
მთიდან დაიძრა ზვავეები გრგვინვით  
და მენიჩბენი, ვით რვა ცხედარი,  
ხოფსჩაფრენილნი გაქვეავდნენ იქვე.  
წამსვე დავდექი საჭესთან მაშინ,  
მათ ვამხნევებდი, მოვუწოდებდი,  
რადგან ვიცოდი, ჩემს მოწოდებას  
ხელი უფლისა ლოცავდა თვითონ.

## ა გ ნ ე ს ი

გრიგალთან დავა უფრო ადვილი  
არის, ძვირფასო, ვიდრე სიცოცხლე  
გაატარო სულ ტანჯვით და ბრძოლით.  
მაგრამ, მეუღლე, დაფიქრდით ჩემზეც:

სწორედ იმგვარად, როგორც ჩიტები,  
ხეზე შემსხდარნი გამთენიისას  
ელურტულს, გალობას იწყებენ ხოლმე,  
ამ სიჩუმეში მარტოდ შთენილი  
ყელზე მომდგარი მწარე ღიღინით  
დარდს ვერ ჩავიხშობ, ვერ მოვკლავ დროსა.  
ვერც ვხედავ ისეთ ბრწყინვალე საქმეს,  
რომ გამიბაცოს, გამომაცოცხლოს;  
უმაქნისია აქ ჩემი ხვედრი,  
ამ გამოკეტილ ოთახებს შორის...  
აბა მითხარი, ვით დავივიწყო?

### ბ რ ა ნ დ ი

უმაქნისია აქ შენი ხვედრი?  
შენი? მართლაც რომ, ის შენს წინაშე  
არა ყოფილა ჯერ ასე ღიღი.  
უბედობის უამს მიგრძნია ხშირად,  
სულს მწუხარება გვიჩვილებს ღიღად  
და თხოულობენ თვალეზი ცრემლებს;  
თითქოს ინგრევა სასტიკი ზღუდე,  
ტირილი თითქოს გვიმშვიდებს გულსა.  
მისმინე, აგნეს, ასეთ წუთებში  
უფალს სულ ახლოს ვხილულობ ხოლმე,  
ვფიქრობ, საცაა მივწვდები-მეთქი,  
ვიხილავ უფრო ნათლად და ახლოს.  
ვხარბობ, მწყურია გაუთავებლად  
დავემზო მის წინ, მივეყრდნო მკერდზე,  
ყოველთვის, ყველგან ვიყო მე მასთან, —  
კეთილი მამის ძლიერ ხელს ვეპყრა.

### ა გ ნ ე ს ი

ბრანდ, რაკი ხედავ ღმერთს ეგრე ახლოს  
და სიხარულით ისწრაფი მისკენ,  
მაშინ უცქირე ღმერთს, როგორც მამას,  
და არა ისე, — ვით მბრძანებელსა.

ვერა, ვერ ვბედავ, ვერ ვბედავ, აგნეს,  
 უფლის ტახტისკენ გზა გადავიჭრა,  
 ახლა ყოველთვის ძლიერს, მრისხანეს  
 ღმერთს უნდა უხმოს ადამიანმა,  
 თორემ დაკნინდა ეს საუკუნე.  
 შენ ძალგიძს მასში იხილო მამა,  
 შეხედო უფლის შუქმოსილ სახეს  
 და, როგორც შეილი, ჩაეკრა მკერდში,  
 რომ დაივიწყო წუხილი, შიში,  
 ძირს ჩამოეშვა მტკიცე, ძლიერი,  
 გაბრწყინებულმა სამოთხის შუქით  
 გამიცისკროვნო მწუხარე სული,  
 საბრძოლველად რომ გავწიოთ ერთად.  
 ხომ ხედავ აგნეს, რა ბრძნული აზრი  
 ჰქონია თურმე ჩვენს ქორწინებას:  
 მე ვებრძვი ქვეყნად ბნელეთის ძალებს,  
 შენ კი ჭრილობებს მიკურნავ სწრაფად.  
 მას აქეთ, როცა აქციე ზურგი  
 ქვეყნიურ ფუსფუსს, ამოა ზრუნვას  
 და მძიმე ხვედრი ამოირჩიე, —  
 ხარ ახლა ჩემი ერთგული ცოლი, —  
 მშვენივრად უწყი, რასაც ვაპბედავ  
 და თვით უფალმა რისთვისაც გიხმო:  
 უნდა ვიბრძოლო გამარჯვებამდე  
 და ან დავეცე, ვითარცა მსხვერპლი.  
 პოდა, სიცხეში თუ მკაცრ ყინვაში  
 დაღლილს, დაქანცულს რომ მომაწოდო  
 თასი გულწრფელი სიყვარულისა,  
 გამაგრილებელ სასმელით სავსე,  
 და დალუნულმა ჩემს სასთუმალთან  
 შარავანდივით მოავლო ჯავშანს  
 სიყვარულის და სინაზის შუქი, —  
 ეს როდი არის პატარა საქმე.

## ა გ ნ ე ს ი

რისი ქმნაც უნდა არ გადავწყვიტო,  
არ შემიძლია — მლაღატობს ძალა,  
ჩემი ფიქრები, როგორც ყლორტები  
ერთუერთს ჩაეწნა, შეიკრა ერთად,  
სულს დაეუფლა სიზმარი ავი.  
მო, დამანებე წუხილი ჩემი,  
მიშველე, უკეთ რომ გავერკვიო  
ჩემს ტკივილშიც და ჩემს მძიმე ვალშიც!  
წუხელ, როდესაც შინიდან გახველ  
იმ ცუდ ამინდში, იმ ქარიშხალში,  
იგი მაშინვე მოვიდა ჩემთან, —  
ლაწვებლაჟდაჟა, საღ-სალამათი,  
მაგრამ ჩაცმით კი არა ეცვა რა,  
მართო იმ მოკლე ხალათის გარდა.  
მოვიდა იგი ჩემს საწოლთან და  
გამომიწოდა ფუნთუშა ხელი,  
გამიღიმა და მიწოდა დედა,  
მევედრებოდა თითქოს: მცვივო,  
მიშველე რამე... მე ვნახე იგი —  
ჩვენი საბრალო, პატარა ბავშვი.

## ბ რ ა ნ დ ი

აგნეს!

## ა გ ნ ე ს ი

იქ ცივა და წყვილია!  
დაზრება იგი ბურბუშელეებზე  
ასეთ ყინვასა და ქარიშხალში!..

## ბ რ ა ნ დ ი

კუბოში მხოლოდ გვამია მისი,  
სული კი ცისკენ გაფრინდა უკვე.

## ა გ ნ ე ს ი

ო, ნუ დასცინი ჩემს ცხარე ცრემლებს,  
ნუ ავსიტყვაობ, ძვირფასო ასე!  
შენ რომ გულგრილად უწოდე გ ვ ა მ ი,  
მუდამ იქნება ის ჩემი შ ვ ი ლ ი.  
ერთუროთისგან რომ ჰყოფ სულს და სხეულს,  
არ შემიძლია გაბედვა მაგის...  
და ალფი, თოვლში, კუბოში მწოლი,  
იგივ ალფია, წასული ღმერთთან!

## ბ რ ა ნ დ ი

წყლულს რომ სისხლი სდის, სჯობია უფრო,  
ავადმყოფობა გაივლის მალე.

## ა გ ნ ე ს ი

სწორია, მაგრამ შენც მომითმინე,  
წინ გამიძედი და წამიყვანე  
სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე,  
ახლოს დამიდექ, ნუ ამაჩქარებ  
და ხელი ნაზად გამომიწოდე.  
შენი სიტყვა კი, ვით ქარიშხალი  
თავს დამატყდება იმ წუთას, როცა  
სულს სურს გადადგას ნაბიჯი უკვე,  
რათა მიიღოს გვირგვინი ეკლის, —  
ნუთუ არ იცი სიმღერა ნაზი,  
რომ დააწყნაროს მშფოთვარე სული,  
და არც სიტყვები, გამთბარი ასე  
ნაზ ათინათით განთიადისა?  
იქ, მალლა ცაში ზის შენი ღმერთი,  
მძლავრი, მრისხანე, ვით ღიღი მეფე,  
რა ესაქმება, მითხარი ერთი  
მას ჩემს წუხილთან, ჩემს პატარასთან?

## ბ რ ა ნ დ ი

ის ხომ არაა, ვისაც ოდესღაც  
შენც შეჰყურებდი იმედის თვალით?

## ა გ ნ ე ს ი

არა, პირიქით, — არასდროს არა!  
თუმცა ისეც კი მოხდება წამით,  
მაინც გამიწევს იქითკენ გული,  
სადაც შეუქია, ნათელი ღღისა...  
თქმა აღვილია, საქმე კი — ძნელი.  
ვრჩები კვლავ მარტოდ და უიმედოდ.  
სულ ყველაფერი დიდია ჩემთვის:  
შენ, შენი ვალი და მოწოდება,  
შენი მიზანი და შენი საქმე,  
შენი გზა, შენი სურვილი მტკიცე  
და ნებისყოფა გაუტეხელი;  
წუხილი, მწარე მოგონებები,  
ფიორდი, ყველა გზის ჩამკეტავი,  
თვით ეს წყვედიადი და მასთან ბრძოლაც...  
აქ პატარაა ტაძარი მხოლოდ.

## ბ რ ა ნ დ ი

(თავზარდაცემული)

ჩვენი ტაძარი? მერედა, რატომ?  
აქ ყველაფერი დიდია, ის კი  
პატარა მოჩანს, ცაში აჭრილი?

## ა გ ხ ე ს ი

რატომ? თვითონაც არ ვიცი კარგად.  
არა, გონებით ვერ ახსნი ამას.  
არ გეუფლება განწყობილება,  
მოგივლის და მსწრაფლ გაგივლის ისევ,  
უცნაური და შეუმჩნეველი?  
და მე, მხოლოდ მე, ასე ვგრძნობ ამას: .  
პატარა არის ჩვენი ტაძარი.

## ბ რ ა ნ დ ი

მე ვიცი, ხალხიც ამასვე ფიქრობს,  
ჩემს სამრევლოში ბევრს დაებადა  
ამგვარი აზრი, ძვირფასო აგნეს.

თვით ისინიც კი, რომელთა სული  
წაწყმედილია და არც ფიქრობენ  
ოდესმე ცოდვის მონანიებას,  
გორიდან მაინც გადმომყვიროდნენ:  
„საძაგელია თქვენი ტაძარი!“  
და ჩვენი კუთხის ასობით ქალიც  
ადასტურებდა ამავე აზრსა —  
პატარა არის ძველი ტაძარი.  
მათი ხმა იყო ერთსულოვანი,  
ქალებს სჭირდებათ ტაძარი ვრცელი!  
აგნეს, მე ახლა თვალნათლივ ვხედავ,  
რომ წარმოგგზავნა თვითონ უფალმა,  
ვით ანგელოზი მისი, რჩეული, —  
და მეც ძლივს მივხვდი, დღესღა შევეძელი  
მეპოვა გზა იქ, სადაც აქამდე  
ვეცეტილობდი აზრდაბნეული.  
ვერ გადაგაცდენს ასეთი რამე...  
ო, პირველ დღესვე შენ დამანახვე  
სამყარო ნამდვილ შემოქმედების  
და ჩემს სულშიაც შენ ჩამახედე,  
მიჩვენე, რაც ვარ, ბოლოს და ბოლოს.  
ამით დაუდგე საზღვარი მტკიცე  
ჩემს უსასრულო ცად აღმაფრენას.  
აგნეს, შენ ახლაც წარმოთქვი სიტყვა,  
რომელმაც ვით მზემ, ახალი ძალით  
გამიციცკროვნა გზა ბუნდოვანი.  
აი გზაც: ჩვენ აქ ძალზე პატარა  
და უბადრუკი გვაქვს ეკლესია,  
მაშ ავაშენოთ სულ სხვა, ახალი.  
ჯერ კიდევ დღემდე ესოდენ ნათლად  
როდი მინახავს, რა მომცა ღმერთმა  
მე შენი სახით, ძვირფასო ჩემო.  
და გატაცებით ვლოცულობ ახლაც:  
„ო, ჩემთან დარჩი, სულ ჩემთან დარჩი!“

## ა გ ნ ე ს ი

შევიშრობ ცრემლებს, დარდსა და ნაღველს  
გავფანტავ დედის სათნო გულიდან.  
ჩემი ხსოვნის კოშკს ყველა ურდულით  
მაგრად დავკეტავ აკლდამის მსგავსად,  
დე იწვევს ვრცელი ზღვა დავიწყების  
ჩემს და მას შორის ამიერიდან.  
ბედნიერების წარმტაც სურათებს  
ოცნებით აღარ გავეკიდები  
და შენი ცოლი ვიქნები მხოლოდ.

## ბ რ ა ნ დ ი

უნდა გავწიოთ დიდი მიზნისკენ!

## ა გ ნ ე ს ი

მოეშვი ერთი მაგ სიმკაცრესა.

## ბ რ ა ნ დ ი

თვითონ უფალი მიბრძანებს ამას.

## ა გ ნ ე ს ი

შენ თვითონვე არ მითხარი მასზე,  
რომ არ უარყოფს კაცთა გულისთქმას,  
თუნდ იყო სუსტი და უმნიშვნელო.

(წასვლას დააპირებს.)

## ბ რ ა ნ დ ი

საით მიდიხარ?

## ა გ ნ ე ს ი

(ღიმილით)

ბრანდ, ჩვენი სახლი  
ოდესმე მაინც არ დავალაგო?  
გახსოვს, შარშან რომ, შობის წინა დღეს  
ბედოვლათობა მისაყვედურე?



ყველა სანთელი ავანთე მაშინ  
და საშობაო ნაძვის ხე მოვრთე  
ათასნაირი სათამაშოთი.

იმ დღეს, ისევე როგორც ნადიმზე,  
ყველა მღეროდა და კისკისებდა.  
ბრანდ, მინდა დღესაც რომ ჟიკჟიკებდეს  
ყველა სანთელი ნაძვის ხის ირგვლივ.  
მინდა ეს სახლი უფლის ზეიმზე,  
როგორც ტაძარი, ლამაზად მოვრთო.  
ღმერთი, თუ ჩვენთან შემოიხედავს,  
ნახავს თვის მორჩილ ძესა და ასულს,  
როგორ ისმენენ მის კურთხევასა.  
მიხვდება, რომ მათ სცოდნიათ ისიც,  
სიხარული არ გამოედევნათ  
გულიდან მკაცრი სასჯელის გამო  
ამ შობისწინა დღესასწაულზე.  
შეხედე: ცრემლი გამიშრა უკვე!

### ბ რ ა ნ დ ი

(მიიკრავს მკერდზე აგნესს, შემდეგ ისევ ხელს  
გაუშვებს)

მაშ ადასრულე აწ შენი ვალი,  
ააჟიკჟიკე სანთელი ყველა.

### ა გ ნ ე ს ი

მივდივარ! შენ კი ტაძარს ააგებ,  
ვიდრე მერცხლები მოფრინდებიან.  
(გადის.)

### ბ რ ა ნ დ ი

(თვალს გააყოლებს)

ამდენს ტანჯვასა და წამებაში  
მაინც სავსეა კეთილი ნებით, —  
მაგრამ ასუსტებს გულს მწუხარება,  
თუმც თვითონვე სურს გაიღოს მსხვერპლი...

ო, ღმერთო, ჩვენთა სულთამხილავო,  
შეეწიე და ნუ მოსცემ ნებას  
შესვას სამსალით აღსავსე თასი,  
ნუ მოუვლინებ კანონის ავ ქორს  
მეუღლეს ჩემსას, რათა სასტიკი  
თვისი ნისკარტით დაფლითოს იგი  
და დაეწაფოს მის თბილ სისხლს ხარბად...  
აქ მტკიცედ ვდგავარ და გევედრები,  
მე დამაკისრე ორმაგი ტვირთის  
ტარება, მას კი მოწყალე ექმენ!..  
შემოსასვლელ კარს აკაკუნებენ. შემოდის ფოგტი.

ფოგტი

აწ კი გესტუმრეთ დამარცხებული.

ბრანდი

დამარცხებული?

ფოგტი

დიახ, ნამდვილად.  
გახსოვთ, იმ ზაფხულს ამ მიდამოდან  
თქვენი განდევნა რომ გადავწყვიტე,  
გითხარით, თქვენი უბედურებით  
დამთავრდებოდა ჩვენ შორის ბრძოლა.

ბრანდი

მერე?

ფოგტი

თუმც მაშინ მართალს ვამბობდი,  
აწ თქვენთან ბრძოლა შევწყვიტე უკვე.

ბრანდი

რატომ? რის გამო? — არ შეტყუვით მაინც?

ფოგტი

თქვენს მხარეზეა უმრავლესობა.

ბრანდი

ჩემს მხარეზეა?

ფოგტი

თქვენც კარგად იცით, აწ ყველა კაცი იჩქარის თქვენკენ და ჩვენს კუთხეში, კარგად იგრძნობა, ტრიალებს უკვე სხვაგვარი სული, თუმც ეს არაა ჩემი წყალობა: ასე ვფიქრობ მე და ზედავს ღმერთიც, ის მხოლოდ თქვენგან მომდინარეობს. ჰა ჩემი ხელი: — გათავდა ბრძოლა.

ბრანდი

ვფიქრობ, თავიდან იწყება ბრძოლა, რადგან ერთ-ერთი არ დავცემულვართ.

ფოგტი

უკეთესია, როცა მარცხს მოსდევს შერიგება და კეთილი ზავი. რას გვარგებს, ერთუროს ნემსები ვჩხვლიტოთ? მეც სხვათა მსგავსი დამბადა ღმერთმა: როს მომამბეჩენენ ცივ მახვილს მკერდზე, ვნებდები, სანამ გვიან არ არის. თუ სხვას შუბი აქვს და შენ კი — ჯობი, გონივრულია, დასტოვო ჩხუბი, და ბრძოლის ველზე თუ მაინც დავრჩი, არ დავიხიო, არ მაქვს მიზეზი.

ბრანდი

ჯერ განვიხილოთ ორი ამბავი: პირველი ის, რომ როგორცა ბრძანეთ,

მე ძლიერი ვარ, თვითონ გამოტყდით,  
ჩემს მხარეზეა უმრავლესობა.

### ფოგტი

ღიახ.

### ბრანდი

ეს იქნებ ახლა ასეა,  
მაგრამ მსხვერპლის დღეს, მრისხანე საათს,  
ვინ აღმოჩნდება უფრო ძლიერი?

### ფოგტი

მსხვერპლის? აქამდე არც მივა საქმე!  
ოჰ, ღმერთო ჩემო, კაცთმოყვარენი  
არა ვართ განა, ბოლოს და ბოლოს?  
ზოგი ჯიბეზე გაიკრავს ხელსა!  
ახლა დამდგარა იმგვარი ხანა,  
ამაზე მძიმეს არც ითხოვს მსხვერპლსა.  
და ჩვენაც ვწირავთ მას ძლივძლივობით!  
დიდად საწყენი ის არის უფრო,  
რომ თვით მე ვიყავ, ვინაც წინ სწევდა  
კაცთმოყვარებას და უკარგავდა  
სამრევლოს მსხვერპლის შეწირვის ხალისს;  
და, ერთი სიტყვით, ძალმძის მე გითხრათ,  
რომ თვით დამპირდა წკებლების შეკვრა,  
რათა თვითონვე გავწკებლო მაგრად  
ჩემი მიზანი და ჩემი საქმე.

### ბრანდი

ვთქვათ, მართალი ხართ და არა სცდებით,  
მაგრამ ვით მივხვდე, — მითხარით ჩსიც,  
რად აღიარეთ აწ წაგებულად  
თქვენი საქმე და მიზანი თქვენი?

ვაქაცი მტკიცედ და შეუპოვრად  
უნდა მისდევდეს დასახულ მიზანს,  
თუნდაც მღელვარე და ბობოქარი  
ზღვა ვეშაპივით გაუწვეს გზაზე.  
ერთი მითხარით, სად გადაუხვევთ,  
როცა იქვეა ეშმაკთა მხარე  
და მსწრაფლ ამოჰყოფთ თავს ჯოჯოხეთში?

### ფოგტი

მე გიპასუხებთ: „არას“ და „ჰოსაც“;  
ყველა ნავსადგურს უნდა მიადგეთ,  
მაგრამ მცდარია ის გზა, რომლისგან  
არც ჯილდო გელის, არც სარგებლობა.  
საზღაური ხომ გვინდა ჩვენ, ყველას,  
გაწეულ შრომის, მცირე თუ დიდი?  
თუკი ბრძოლაში ვერ გავიმარჯვებთ,  
ჩვენ ჩავიაროთ უნდა იქ წყნარად!

### ბრანდი

მაგრამ თეთრი ვერ გახდება შავი!

### ფოგტი

ერთი მითხარით, ჩვენ რას გვიშველის  
ვიძახოთ: „თეთრი არის ყინული“,  
როცა ბრბო ყვირის: „შავია თოვლი“.

### ბრანდი

და თქვენც ყვირიხართ?

### ფოგტი

კი, მეც ვყვირივარ,  
მაგრამ არა „შავს“, არამედ „რუხსა“.  
ადამიანურ საუკუნეში  
უნდა ვეცადოთ შევთანხმდეთ ერთუროს

და არა იმას — დავუწყოთ რქენა.  
 ჩვენ თავისუფალ მხარეში ვცხოვრობთ,  
 სად მეფობს ხალხის შეხედულება;  
 რისთვის გვჭირდება მსჯელობა დიდი,  
 მართლა თეთრია ნივთი, თუ შავი?  
 მაშ მოკლედ გეტყვი: თქვენ ხართ პირველა,  
 თქვენს მხარეზეა უმრავლესობა,  
 მეც ვუერთდები ჩემს ყოფილ მტერსა  
 და ვერაფერ ვერ გამკიცხავს, მგონი.  
 მასთან რომ ველარ განვაგრძე ბრძოლა.  
 მაგრამ საყვედურს მეტყვის მე ხალხი  
 ამ უმნიშვნელო საქმეთა გამო;  
 ს ხ ვ ა რ ა მ ე ს უფრო პატივსა ვცემდი,  
 ვიდრე მოსავლის გაზრდა. ახლა  
 აქ ძველებურად ადვილად როდი  
 სწირავენ თვის წველილს საერთო საქმეს;  
 იქნება ის სურთ მეზობლებს ჩემსას,  
 გვერდზე გამიდგენენ, ვერ გავიმარჯვო?  
 მიმიძიხს, გეგმები რომ მივატოვო  
 გზების გაყვანის, ხიდის აგების  
 და ჭაობების ამოშრობისა.  
 ოკ, ღმერთო ჩემო! თუკი ბრძოლაში  
 მე ერთი დაკვრით ვერ გავიმარჯვებ,  
 ქკუას ვიხმარ და გავდგები გზაზე,  
 რომ არ ჩავუდგე კრიჭაში ყველას  
 და არ დაგკარგო იმედი სულაც.  
 ხალხის კეთილი განწყობილება  
 სწორედ ისევე დაგკარგე, როგორც  
 მოვიხვეჭე მე ოდესღაც იგი.  
 მაგრამ მწამს ჩემი გულმოდგინებით  
 რომ დავიბრუნებ ბოლოს და ბოლოს.

ბ რ ა ნ დ ი

პოპულარობა, — აი, რა არის  
 მიზანი თქვენი ცდისა და ზრუნვის.

## ფოტო

არც მთლად ეგრეა, ხომ ხედავს ღმერთი, —  
მე ჩემი ხალხის კეთილდღეობის,  
მის სასიკეთოდ ვიბრძოდი მხოლოდ!  
მაგრამ იმაში ვინ გედავებათ,  
რომ კაცი, როცა ჰქმნის რაიმესა,  
სამაგიეროს მოელის მუდამ  
ნაყოფისათვის ამ მარჯვე შრომის?  
მაგრამ იგი თუ ნიჭიერია,  
უნარიანი და გონიერი,  
ეცდება მალე დაკრიფოს თავის  
შრომის ნაყოფი და არა ღვაროს  
მთელი სიცოცხლე სისხლი და ოფლა  
მან ცარიელი იდეისათვის.  
მე არც იმაზე ვაცხადებ უარს  
ვიზრუნო დიად აზრებისათვის,  
თუმც ვერ ვაჩუქებ სხვას მთელ ქონებას.  
დიდი ოჯახის ვარ მე პატრონი:  
ცოლის და მრავალ ქალიშვილისა,  
და ზრუნვაც მასზე მმართვეს პირველად.  
მარტო იდეით კუჭს ვერ გაიძღებ  
და ვერც მოიკლავ იდეით წყურვილს.  
ვისაც ოჯახი დიდი აქვს, მხოლოდ  
იგი გამიგებს, და ვინც გაბედავს  
გამკიცხოს მაინც, მივუგებ ასე:  
„თქვენ მეოჯახე ბრძანდებით ცუდი!“

ბ რ ა ნ დ ი

ახლა რა გნებავთ.

ფოტო

რა და, შენება!

ბ რ ა ნ დ ი

როგორ? შენება, ასე თქვით?

## ფოგტი

ღიახ.

კარგი ნაყოფი იქნება შრომის,  
მეც ვისარგებლებ და მთელი მრევლიც.  
კეთილ სახელსაც მთელი მხარის ხალხში  
მხოლოდ ასეთი გზით დავიბრუნებ.  
ახლა სულ მალე ტინგს აირჩევენ  
და მას გადავცემ დიდ საქმეს ისევ,  
თანაც წავიყვან ისე სრული სვლით,  
რომ კვლავ შევიქმნე პირველი კაცი —  
სხვისი არჩევის არ მივცემ ნებას.  
ჩემთვის ვიფიქრე, თუ ორთაყვირით  
ვერ დასძლევ უცებ ძლიერ დინებას,  
გირჩევნია, რომ დაბრძანდე სახლში,  
ხალხს კი სურს, როგორც დღეს ეძახიან,  
ეს აღზევება თუ აღმაფრენა.  
მაგრამ არ არის ეს ჩემი საქმე.  
დახმარება კი შემეძლო მისი  
და ისევ ფეხზე წამოყენება.  
მაგრამ აქ სულაც არ მცემენ პატივს.  
ახლა კი, აი, რა გადავწყვიტე:  
უკუვიცილო ზრახვები ძველი  
და განკუთრება შევიძლო მათი  
სილატაკისგან, თუ მომიხერხდა.

## ბრანდი

რათა მთლიანად მოუღოთ ბოლო?

## ფოგტი

მთლიანად? — ვერა, მანკია იგი,  
რომლითაც მთელი ხალხია ავად.  
საჭირო არის, მას გონივრულად  
ვებრძოლოთ ყველა, აღმართოთ ზღუდე  
და ბოროტება შევნიშნოთ დროზე,  
რომ ჩავაყენოთ ის კალაპოტში;



სილატაკე, ვით შლამი, ნაგავი  
მსაზრდოებელი წყაროა ცოდვის,  
მაშ აღვუმართოთ კაშხალი შლამსა.

ბ რ ა ნ დ ი

კი, მაგრამ, როგორ?

ფ ო გ ტ ი

ვერ მიხვდითა ნუთუ?

წინააღმდეგი არა ვარ სულაც,  
რომ დავეხმარო სილატაკესა,  
და შავი ჭირის ავაგო სახლი.  
ღიახ, ჭირისა და ამით უცებ  
დანარჩენთ ვიხსნი ყველა სენისგან.  
კარგი იქნება, საპყრობილესთან  
დავაკავშირო ამგვარი სახლი,  
რათა ჩაკეტვა გამოძიების  
მიზეზთან ერთი ურდულით, კლიტით  
გასამიჯნავად ორმაგი ღირდეს.  
აქ კი არ უნდა ბევრი ჭიჭინი,  
როგორ გავმიჯნავ, რის შემდეგ დროზე  
მე მივუშენებ ერთ ფლიგელს იქვე:  
არჩევნებისთვის, სტუმრებისათვის,  
ღიდ საქმეთათვის და გასართობად,  
ტრიბუნითა და დარბაზით ვრცელით  
სტუმართათვის თუ სხვა განზრახვისთვის.  
მოკლედ, ცუდად ნუ გამიგებთ ამას,  
პოლიტიკური კლუბივით რაღაც.

ბ რ ა ნ დ ი

კლუბი გჭირდებათ აუცილებლად,  
მაგრამ ყველაზე მეტად კი სხვა რამ.

ფ ო გ ტ ი

რალა თქმა უნდა, შეშლილთა სახლი.  
აუცილებლად გვჭირდება ისიც,

ყველაზე უწინ ეგ განვიზრახე,  
 მაგრამ, გეგმა რომ სხვებს გავაცანი,  
 გადავიფიქრე რატომღაც ისევ.  
 სად შევაგროვებთ ეგრე ბევრ ფულსა  
 ამ საოცარი სამუშაოსთვის?  
 დამერწმუნებით, რომ უზარმაზარ  
 სესხებს მოითხოვს ასეთი სახლი:  
 იგი ხომ მყუდრო თავშესაფარი  
 იქნება ყველა ღირსეულისთვის.  
 მხედველობაში უნდა მიიღოთ  
 დროს სწრაფი სრბოლა — ის წინ ყურებან  
 გვასწავლის ხოლმე. ხედავთ, აქეთკენ,  
 მთებისკენ, როგორ მოძვრება ყველა,  
 ჩვენთვის ცოტაა, რაც იყო დღეკდღე,  
 სულ წინ მიიწევს გიგანტი ხალხი  
 თავის უსაზღვრო მოთხოვნილებით;  
 შეიღმილიანი ჩექმებით თითქოს  
 მიაბიჯებს ის: შეგეშინდება,  
 რა დიდი ძალა შემატებია,  
 რომელიც გინდა აიღოთ სფერო!  
 ეს მეტისმეტად ძვირი გვიჯდება,  
 დალახვროს ღმერთმა, უშოვე, აბა,  
 ადგილი ყველას, მათ შთამომავლებს.  
 ამიტომ ვამბობ: „უფალო, შემდეგ  
 ამოვიგლიჯო უნდა ეს კბილიც!“

### ბ რ ა ნ დ ი

და ვინც მთლიანად დაკარგა ჰკუა,  
 თქვენ ხომ გაქვთ მათთვის დარბაზი ვრცელი?

### ფ ო გ ტ ი

(ნასიამოვნები)

თავისუფალი იქნება ხშირად, —  
 ბრანდ, დიდებული რამ გაგიზრახავთ.  
 თუ არაფერი არ შეგვაფერხებს,

მუქთად მივიღებთ ჩვენ საგიჟეთსა.  
და შევაერთებთ ერთ მთლიან ჩონჩხად  
ქვეშ ერთი კერის და ერთი დროშის  
ყველა ელემენტს, რომელთაგანაც  
სულ სხვა ელფერი მიიღო მხარემ:  
არამზადებს და დამნაშავეებს,  
ღარიბ-ღატაკებს და გადარეულთ,  
დღემდე უქმად რომ ეხეტებთან.  
ვიხილავთ ნაყოფს თავისუფლების —  
არჩევნების წინ მოვოსმენთ სიტყვებს,  
იქნება საბჭოს დარბაზი ვრცელი,  
სად განვიხილავთ გეგმას შემდგომი  
აყვავებისას, დარბაზი, სადაც  
აღთქმას დასდებენ წმინდად დაიცვან  
წინაპართაგან ნაანდერძევი.  
თუკი ეს საქმე არ ჩაგვივარდა,  
სალ კლდეთა შვილიც მიიღებს იპას,  
რისი ქონების უფლებაც ჰქონდა, —  
იცხოვროს სალად და გონივრულად.  
ღმერთი ხომ ხედავს, არ ვართ მდიდარი,  
მაგრამ, საქმე თუ წინ წავა, მაშინ  
გახარებული შენიშნავს ყველა  
კეთილმოწყობილ სამრევლოს ჩვენსას.

## ბ რ ა ნ დ ი

ფული?

## ფ ო გ ტ ი

ეგ საქმე კი ცუდად გახლავთ.  
ვაგლახ, რომ ზოგჯერ ორიოდ გროშიც  
კი ენანებათ გაიღონ მსხვერპლად.  
და თუ ვერაფერს დამეხმარებით,  
აღბათ, მომიწევს, დავუშვა დროშა.  
მაგრამ თუ თქვენი სიტყვით ძლიერათ  
ხალხის გულისთქმას დაუჭერთ მხარსა,

მაშინ ყოჩაღად წარემართავ საქმეს  
და თქვენს სიკეთეს არ დავივიწყებ.

ბ რ ა ნ დ ი

ჩემი მოსყიდვა ხომ არა გნებავთ?

ფ ო გ ტ ი

ჩემს გეგმას სულ სხვა სახელით ნათლავთ:  
მე მზად ვარ ყველას კეთილდღეობის  
გულისთვის მოვსპო უთანხმოება,  
დღემდე ჩვენს შორის რომ არსებობდა  
და ზოგჯერ გვენებდა ორივე მხარეს.

ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ ცუდი დრო შეგიჩვენიათ.

ფ ო გ ტ ი

ეჰ, მართლაც გულზე მძიმე წუხილი  
დაგაწვათ თქვენ და თქვენს მახლობლებსაც...  
მაგრამ მე, ალბათ, თქვენმა მხნეობამ  
გადამაცდინა და გამაბრძოლა;  
საჭიროება ამგვარ შენების...

ბ რ ა ნ დ ი

სიხარულის და წუხილის დროსაც  
მე ყოველ საათს მზადა ვარ ხოლმე;  
აწ კი მიზეზი მნიშვნელოვანი  
მაქვს და აქ მოსვლით ამოდ დაშვრით.

ფ ო გ ტ ი

როგორ?

ბ რ ა ნ დ ი

მე თვითონ მსურს ავაშენო.

ფოგტი

რაო? წამართვით იდეა, გეგმა?

ბრანდი

არა...

(მიუთითებს ფანჯრიდან.)

ფოგტი, ერთი იქ გაიხედეთ!

ფოგტი

იქ?

ბრანდი

დიახ.

ფოგტი

მარცხნივ ფარდული რომ დგას?  
ეგ კედლებია პასტორის გომის.

ბრანდი

არა, იქ მთის ძირს, საბრალო, ძველი...

ფოგტი

რაო? ტაძარი?

ბრანდი

აი, სწორედ იქ  
ავაგებ ტაძარს.

ფოგტი

ო, არა, არა!

გირჩევთ, მაგ ტაძარს არ ახლოთ ხელი!  
ან ვინ გაბედავს, რომ დაანგრიოს?  
ღალახვროს ღმერთმა! ეგ არის ჩემთვის  
ყველაზე დიდი საშინელება.  
ჩემს გეგმას უკვე დაესვა ჯვარი,

სულ ამოვვარდი კალაპოტიდან.  
ორი რამ უცებ ძალზე ძნელია.  
მაშ დაიხიეთ!

ბ რ ა ნ დ ი

ჯერ არაფრის და  
არვის წინაშე დამიხეცია.

ფ ო გ ტ ი

მაგრამ — აქ გმართებთ. თუ ავაშენებთ  
კლუბს, საპყრობილეს, სახლს შავი ჭირის  
და საგიჟეთსაც ავაგებთ იქვე,  
ვინლა იკითხავს მაშინ ტაძარსა?  
აბა, რისათვის დავშალოთ იგი?  
აღრე ხომ იყო საკმაოდ ვრცელი!

ბ რ ა ნ დ ი

იქნებ; ახლა კი არის პატარა.

ფ ო გ ტ ი

ხალხით არასდროს ყოფილა სავსე!

ბ რ ა ნ დ ი

შიგ ერთ სულსაც კი გაუჭირდება,  
რათა ამადლდეს მოწყალე ცამდე!

ფ ო გ ტ ი

(გაკვირვებული აქნევს თავს)

მაგით უდავოდ მტკიცდება ის, რომ  
ჩვენ საგიჟეთი გვჭირდება სწორედ.

(კილოს იცვლის.)

არ ახლოთ ხელი! მე თქვენ გაფრთხილებთ,  
ვით მეზობელი! ის ნაწილია  
იმ დიდებული მემკვიდრეობის,

რითაც განთქმულა ჩვენი ქვეყანა.  
მაგ უნით ყველას გულს დაუტოდავთ!  
თუ ჩემი გეგმა ნანგრევად იქცა,  
როგორც ფენიქსი, აღდგები ფერფლით,  
ხალხის სიყვარულს მოვიხვეჭ ისევ  
და მშობლიური ჩემი ქვეყნისთვის,  
როგორც რაინდი, ბრძოლაში გავალ.  
აქ, ზღვის ნაპირზე, ბომონი მდგარა,  
ვინ იცის, იქნებ თვით ბელეს დროსაც.  
შემდეგ აღმართა ტაძარი ღვთისა  
აქ მოთარეშე თავადთა ხელმა,  
თავისი მკაცრი მშვენიერებით,  
ძველი სიწმინდის ღირსი ნამდვილად  
და იგი დღესაც ასეთი დარჩა.

ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ იმ ძველი სიძლიერისა  
და სიამაყის მცირე ნიშანიც  
აღარ შემორჩა, წაშლილა კვალი.

ფ ო გ ტ ი

დიახ, ძველია, დიდი ხანია  
არ არსებობენ ისინი ქვეყნად.  
მაგრამ პაპაჩემს, როგორც მე ვიცი,  
კიდევ უნახავს კედელში ხვრელი.

ბ რ ა ნ დ ი

ხვრელი?

ფ ო გ ტ ი

ვით კარი — ძალიან დიდი.

ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ კედლები?

## ფოტო

ვაჰქრა მთლიანად.  
და გულახდილად იმასაც გეტყვით,  
ვერ შესრულდება ეგ თქვენი გეგმა,  
ტაძრის დანგრევა იქნება ძალზე  
უმაგალითო, ველური ფაქტი.  
მერე სახსრები? რა უცნაური  
კაცი ბრძანდებით, გულუხვობა ხომ  
ეგოდენ ძუნწი თქვენი მრევლისა  
თვითონაც კარგად მოგეხსენებათ.  
ან კი რად უნდა გაიღოთ ხარჯი  
მაგ ორჭოფული პროექტის გამო,  
როცა მცირედი ცდითა და გარჯით  
შევაკეთებდით ტაძრის შენობას  
და იდგებოდა კვლავ მთელი წლები?  
მაშ მოისყიდეთ თანამზრახველნი,  
აწ კი ბრძოლაში მე დაგამარცხებთ.

## ბრანდი

ხელს სულ არ ვახლებთ სახსრებს მრევლისას,  
ჩემი უფლისთვის სამჯერ უფრო დად  
და უფრო მაღალს ავაგებ ტაძარს, —  
გჯეროდეთ, მარტო იმით კი არა,  
რაც მიანდერძა მე დედაჩემმა,  
არა, ყველაფერს შევწირავ მსხვერპლად.  
აბა, კიდევ ხართ ისე თამამი,  
ჩემი მოდრეკა რომ განიზრახოთ?

## ფოტო

(ხელებჩამოშვებული)

შიშისზარსა მცემს, ასე მგონია,  
გადმოვეარდნილვარ პირდაპირ ციდან!  
დიდ ქალაქებშიც, საეჭვო გახლავთ,  
რომ გაეგონოთ ამგვარი რამე.  
თორემ ჩვენთან ხომ, ამ გორებს შორის...



აქ, სად მოქმედებს კანონი: „უფრო  
მაგრად მოაკარ თავი შენს ქისას,  
როცა მახლობლებს ძალიან უქირთ“.  
თქვენ კი ჩანჩქერი მოუშვით უცებ,  
შხეტს ისვრის, თან-თან ძლიერ იღვრება...  
არა, ბრანდ, ლამის დავმუნჯდე უკვე.

### ბ რ ა ნ დ ი

მე ხომ წინათაც ვფიქრობდი იმას,  
რომ არ მიმელო მეძვეიდრობა.

### ფ ო გ ტ ი

თავიდან ეგრე ეგონა ბევრსა,  
მაგაზე რაღას არ ჩურჩულებდნენ,  
მე კი ვფიქრობდი: ეს სიცრუეა —  
ყველაფერს ხომ არ გაიღებ მსხვერპლად,  
რაქე სარგებელს თუ ვერა ნახავ...  
მაგრამ ეგ ჩემი საქმე როდია.  
მაშ წინ გასწიეთ! აღმართეთ დროშა,  
სულ წინ იარეთ, მე კი თქვენს უკან  
მოკლე ნაბიჯით ნელ-ნელა ვივლი,  
ორივე ერთად ავაგებთ ტაძარს.

### ბ რ ა ნ დ ი

თქვენს განზრახვაზე აიღეთ ხელი?

### ფ ო გ ტ ი

ახლა ეს მინდა, ხომ იცის ღმერთმა!  
სხვა რომ ვისურვო, ვიქნები გიჟი.  
ძნელი არაა, მაშინვე მივხვდე,  
თუ ვის გაჰყვება სამრევლო მთელი:  
მას, ვინც მათ მისცემს საკვებს, სალაფაგნ  
და გასაკრეჭად გომურში შეჰყრის.  
ღმერთს გეფიცებით, ჩვენ ერთი გზა გვაქვს,  
მე თქვენმა გეგმამ შემათუცხუნა,

მთლად გამიტაცა და ამართოლა.  
ეს ბედნიერი ჯილდოა ბედის,  
თქვენს სახლში ღმერთმა გზა მიგვითითა  
შობის წინა დღეს: ვფიქრობ, უჩემოდ  
ეგ გეგმა თქვენ არ მოგფიქრდებოდათ  
და ამიტომაც ის, ნაწილობრივ,  
ჩემიც ხომაა და მეც თამამად  
ავაგებ ტაძარს, პრესტ, თქვენთან ერთად.

ბ რ ა ნ დ ი

მაგრამ გახსოვდეთ: ეგ ნანგრევები  
როდი მგონია უბრალო ძეგლი.

ფ ო გ ტ ი

(გაიხედავს ფანჯრიდან)

ეგ ეკლესია, ახლა ორმაგად  
განათებული თოვლით და მთვარით,  
უბრალო ნანგრევს მაგონებს მხოლოდ.

ბ რ ა ნ დ ი

რაო?

ფ ო გ ტ ი

ძველია ის მეტისმეტად  
და ლამისაა სირცხვილმა დამწვას,  
აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე.  
იქ ყველაფერი დამპალი მოჩანს,  
საშიშიც კია ტაძარში შესვლა!  
და მერე სტილი? არქიტექტურა?  
რას ჰგავს კედლები და იატაკი?  
კამარა, თაღი, რკალი და შპალი?  
საქმის მცოდნენიც უეჭველია,  
მხარს დაუჭერენ ჩემს შეფასებას.  
ან სახურავი? ხავესი და ბრელო!

ღმერთს გეფიცებით, ეს ყველაფერი  
ბელეს ეპოქის არაა სულაც!  
საზღვარი ხომ აქვს პატივისცემას!  
გარწმუნებთ, ვინც კი ამ ტაძარს ნახავს,  
წამს დარწმუნდება, რომ ეს შენობა  
საზიზღარია, ბოლოს და ბოლოს.

ბ რ ა ნ დ ი

და მაშინ რა ვქნათ მის დანგრევაზე  
ჩვენი სამრევლო რომ აგვიმხედრდეს?

ფ ო გ ტ ი

დე აგვიმხედრდეს, მე ხომ მსურს ასე.  
ახლავე უნდა დავაწყოთ საქმე.  
მსწრაფლ მოვაგვარებ ფორმალურ ამბებს,  
თავისუფალი გზით გავფრინდები  
და წერასა თუ საქმეში ისეთ  
გულმოდგინებას გამოვამჟღავნებ,  
მაშინ მიხვდებით, ვინც არის ფოგტი.  
და თუ სოფლისგან მის დანგრევაზე  
თანხმობას ვეღარ მივიღებ მაინც,  
მაშინ საკუთარ ხელებით დავშლი  
და მიმოვფანტავ მას დირე-დირე.  
ღიან, ცოლიც და ქალიშვილებიც  
მე ამ საქმეში თუ წამეხმარნენ,  
აი, რას ვიზან, მიყურეთ მაშინ!

ბ რ ა ნ დ ი

აწ სულ სხვაგვარად მესაუბრებით,  
გამოიცვალეთ, ჩანს, ძველი კილო.

ფ ო გ ტ ი

ეს ჰუმანიზმის ნაყოფი გახლავთ, —  
ის ხომ გვასწავლის მ რ ა ვ ა ლ ი მხრიდან  
შევტყდით ნივთს თუ ყოველგვარ ამბავს.  
და თუ არ ცრუობს პოეტი ღიდი,

სასიამოვნო არის, რომ აზრებს  
აფრენა ძალუძთ და ასეთია,  
ასე ვთქვათ, სწორედ ჩვენი აზრებიც.  
მშვიდობით!

(ხელს წამოაველებს ქუდს.)

უნდა აწ მივაშურო  
ჩემს ბანდას.

ბ რ ა ნ დ ი

ბანდას?

ფ ო გ ტ ი

საზღვარზე თვით მე

გამოვატარე ბოშათა ურდო.  
მერწმუნეთ, ისე შეუხედავნი  
არიან, რომ სულ ეშმაკებს ჰგვანან.  
წამომეშველნენ: შემოვაგროვე  
და თავი იქვე ჩემი მეზობლის  
ფარდულში ვუქარ, ათსა თუ თორმეტს.  
ახლა იქ სხედან ეგ ყაჩაღები,  
გამისხლტა მხოლოდ ორი თუ სამი.

ბ რ ა ნ დ ი

იქნებ არც ღირდეს შეპყრობა მათი?

ფ ო გ ტ ი

საიდან გაჩნდნენ ეგ უწმინდურნი  
აქ, ჩვენს სოფელში, ესეც ამტკიცებს,  
რომ ყველაფერი როდი გვაქვს რიგზე,  
მათ კავშირი აქვთ ჩვენს მრევლთან და თვით...

(გაეცინება.)

თქვენთან... ო, ეს კი გამიგონია:  
თქვენ და ისინი ქვეყნად წარმოგშვათ  
ერთმა მიზეზმა და ერთმა ძალამ,

თუმც სულ სხვა გვარის არიან მაინც,  
თქვენ კი — ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ს, ბატონო ჩემო.

ბ რ ა ნ დ ი

(თავს აქნევს)

ბინდით მოცულა ეგ გამოცანა,  
რას გვარგებს ფიქრი, ვერ გამოვაცნობთ.

ფ ო გ ტ ი

ამის ამოხსნა შეგეძლოთ უცებ:  
თქვენ, ალბათ, გახსოვთ: ერთი ღარიბი  
ბიჭის ამბავი, — აქ უცხოვრია  
და ჩვენებური ყოფილა ისეც,  
თანაც ჭკვიანი და განსწავლული,  
ვით ერთად ოთხი ხუცესი, პრესტი.  
მან დედათქვენის ითხოვა ხელი!

ბ რ ა ნ დ ი

მერე?

ფ ო გ ტ ი

უმდიდრეს საპატარძლოსი!  
ქალმა კი, თავხედს ვით შეჰფეროდა,  
ბლოკსბერგისაკენ გზა დაულოცა.  
რა ჩაიდინა ჭაბუკმა მერე?  
რა და ჭკუიდან სულ შეიშალა,  
ბოლოს შეირთო ვიღაცა ქალი,  
ბოშა, ღატაკი, მთლად მათხოვარა,  
შობა შეიღებე დაუსრულებლად,  
ბოშათა ურდო გაზარდა კიდევ,  
ახლა აქ ჩვენთან მოხეტიალე  
ჰოდა, ერთ-ერთი მაგ ტროლთაგანი  
ამ ფრანტმა მაინც თავს მოგვახვია  
თავის ჩვევათა მოსაგონებლად.

ბ რ ა ნ დ ი

ეგ ტროლი?

ფ ო გ ტ ი

ბოშა ქალი გერდია!

ბ რ ა ნ დ ი

\* (ყრუ ხმით)

გერდი!

ფ ო გ ტ ი

როგორი გამოცანაა?

ჩანს, თქვენც იმავე მიზეზმა, ძალამ  
ლაგბადათ ქვეყნად, რამაც ეგ ქალი.  
დედათქვენი ხომ უყვარდა იმ ბიჭს  
და აკი შესცდა კიდევაც მისგან!

ბ რ ა ნ დ ი

ვით შეიძლება გამოვიყვანოთ  
მათი სულელები ამ სიმყრალიდან?

ფ ო გ ტ ი

უნდა ჩავყაროთ საპყრობილეში,  
რომ იქ მთლიანად ამოიყლიტონ.  
ვიხსნათ და ეშმაკს წარვტაცოთ ხარკი?  
ჯოჯოხეთი ხომ სულ გაკოტრდება,  
თუ ვერ შეჰკრებენ იმ არაქაცებს!

ბ რ ა ნ დ ი

თქვენ გსურთ ააგოთ თავშესაფარი  
დამცირებულნი, ლატაკი ხალხის...

ფ ო გ ტ ი

კი, მაგრამ მე ხომ მაშინვე უკან  
წავეილე ჩემი წინადადება!

## ბ რ ა ნ დ ი

მაინც რომ ძლიერ საჭირო არის...

### ფ ო გ ტ ი

(ილიმება)

აწ სულ სხვაგვარად მესაუბრებით,  
გამოიცივალეთ, ჩანს, ძველი კილო.

(ხელს მოუთათუნებს მხრებზე.)

ისევ კუბოში დატოვებ მკვდრები,  
ვაუკაცს ყოველთვის სიმტკიცე მართებს!  
მშვიდობით! უკვე საღამოვდება  
და დაყოვნება მე აღარ ძალმიძს:  
უნდა მოვძებნოთ გაქცეულები.  
მერწმუნეთ, ერთჟრის მოვურიგდებით.  
გნახავთ... გისურვებთ მხიარულ შობას.  
მშვიდობით! აგნესს სალამი ჩემი.

(გაღის.)

## ბ რ ა ნ დ ი

და აღარა აქვს სინანულს ბოლო,  
ისე მრავალფრად გადახლართულა  
ბედთა ძაფების ათასეული,  
ცოდვა და მისი შედეგი ისე  
შეერთებიან ერთჟრის უეცრად,  
რომ ნახავ, თუ შიგ ღრმად ჩაიხედავ,  
ტყუილს და მართალს მტკიცედ შერწყმულ'ა!  
(ზიდის ფანჯარასთან და დიდხანს იცქირება გარეთ.)  
ჩემო ბიჭიკო, უმანკო, კრავო,  
შენ დედაჩემის გულისთვის წევხარ  
ცივ სამარეში დადუმებული.  
მე თვითონ ზეცამ გამომიგზავნა  
სული ცოდვილი და დამსხვრეული,  
რათა გამელო სასტიკი მსხვერპლი.

ეს სული იყო დედაჩემისა,  
ცოდვილი, ბნელში მოხეტიალე.  
ასე აგროვებს უფალი ჩვენგან  
ჩვენივე ცოდვების და ბიწის ნაყოფს,  
მან რომ სასწორი გაათანაბროს,  
გვიგზავნის სასჯელს და გამოსყიდვა  
ცოდვის მესამე თაობას უწევს.

(შეშინებული უკან მიდგება ფანჯარადან)

კანონის ღმერთი განაგებს მშვიდად,  
გათანაბრებს ისახავს მიზნად.  
მზად იყავ მსხვერპლის გაღებისათვის;  
რათა ფერფლიდან აღდგომა შესძლო, —  
კაცი კი მსხვერპლის გაღებას უფრთხის  
და ის სიცრუით შეცვალა უკვე.

(ბოლთას სცემს ოთახში).

ლოცვა?... ჰო, მაგრამ ეს სიტყვა ისეც  
მუდამ მზადაა მოგვწყდეს ბაგიდან;  
ვილოცოთ მათთვის — გრიგალში, ქარში  
და სინანულის ჭაობში ვინაც  
ჩაფლობილია უკვე წელამდე,  
ვეღრიჯოთ ვ ის და ც იმ სიკეთეზე,  
რომელიც გვაძლევს უფლებას. ადგილს, —  
ქრისტეს წინაშე ჩვენც ვიმართოვროთ  
და დავუმძიმოთ უფლის ძეს ტვირთი...  
ო, სულ ცოტა რომ გამეგნო ბინდში,  
მეც გავბედავდი, როგორც ყველანი,  
და უფლის ჭიშკარს მივადგებოდი,  
მას, ვინც სასტიკად განდიდებულა...

(შეჩერდება ვიქრებში ჩაძირული.)

და მაინც დიდი მწუხარების ეამს,  
უკანასკნელად რომ მიიძინა  
ჩვენმა ძემ და იმ წყნარ ძილში ჩაქრა,



როცა ვერც კოცნამ და ვერც ცრემლებმა  
გამოღვიძება ვერ შესძლეს მისი, —  
არ ვლოცულობდი მე განა მაშინ?  
ღიახ, საიდან მოვიდა, აბა,  
თავბრუდამხვევი ის დიდი სიტკბო,  
ან ის გალობა, ასეთი ნაზი?  
ის იზრდებოდა, ახლოვდებოდა  
და შორს, სადღაც შორს მიჰქონდა სული.  
ხომ ვლოცულობდი? ხომ გამოვცოცხლდი?  
ვიხილე ზეცა და უფლის ტახტი?  
მისმენდა ღმერთი? თუ გადმოხედა  
იმ სახლს, სადაც მე ვაფრქვევდი ცრემლებს?  
აბა, რა ვიცი? ჩამოწოლილა  
უკვე წყვდიადი დახშობილ კართან  
და ვერავისგან ვერ ვიღებ პასუხს!  
მაგრამ აგნესი... თუმც ბრმაა იგი,  
ბილიკს უფლისას ის უფრო ხედავს.

(ყვირის საოცრად შეშინებული.)

ჩქარა, სანთელი აანთე, აგნეს!

• ა გ ნ ე ა იღებს კარს და შემოდის საღმრთადაწყო სანთლებით. სინათლე მოეფი-  
ნება მთელ ოთახს.

სანთელი

ა გ ნ ე ს ი

ხედავ სანთლებს შობისას?

ბ რ ა ნ დ ი

(წყნარად)

ო, შობის...

ა გ ნ ე ს ი

(სანთლებს დგამს მაგიდაზე)

ნუთუ ძალიან დიდხანს  
დავეყოვნიდი?

ბ რ ა ნ დ ი

არა!

ა გ ნ ე ს ი

ცეცხლი დაგვენთო,  
გაყინული ხარ, თრთი...

ბ რ ა ნ დ ი

არა!

ა გ ნ ე ს ი

(დიმილით)

რარჩიგ

ამაყი არის... ჩემო ძვირფასო,  
ნუთუ არ გნებავს სინათლე, სითბო?  
(შეუკეთებს შეშას ლუმენში)

ბ რ ა ნ დ ი

(ბოლთას სცემს)

არ მინდა, არა!

ა გ ნ ე ს ი

(ოთახს ალაგებს და თან წუნარად თითქოს თავისთვის ლაპარაკობს)

დაე მანდ იდგეს.

ერთი წლის წინათ იგი თითებით  
იჭერდა წმინდა სანთლების სხივებს,  
ჯანმრთელი, საღი, ძალ-ლონით სავსე,  
შუქისკენ ხელებს იწვდიდა იგი,  
მკითხავდა: — ეს ხომ მზე არის, არა?

(ცოტა იქით გადასდგამს სანთლებს.)

აი, ახლა კი სანთლების შუქი  
სწორედ იმ ადგილს... იმ ადგილს ხვდება,  
ახლა ის ხედავს ფანჯრის მინიდან,  
რარჩიგ განათდა საწოლი მისი,

აწ ძალუძს შობის დღესასწაულზე  
გაყინული რომ მოვიდეს სახლში...  
მაგრამ მინაზე... ცრემლია თითქოს, —  
მოიცა, მინას ახლავე გავწმენდ:

(წმენდს ფანჯრის მინას.)

ბ რ ა ნ დ ი

(თვალს ადევნებს აგნესს და თავისთვის ლაპარაკობს)

ზღვა მწუხარება დაუფლებია  
და მისი გული ბობოქრობს, ღელავს...  
სიმშვიდე არის მისთვის საკირო...

ა გ ნ ე ს ი

შეხედე, როგორ განათდა თითქოს.  
თითქოს თვალთაგან მომცილდა ბისტი,  
სახლიც ვრცელია, მაღალი უფრო,  
და გაყინული დამზრალი მიწა  
იქცა ბუმბულის ლეიბად უცებ,  
ჩემი პატარა ვაჟის საწოლად...

ბ რ ა ნ დ ი

მანდ რას აკეთებ, აგნეს?

ა გ ნ ე ს ი

ო, ჩუმად!

ბ რ ა ნ დ ი

(მიუახლოვდება)

რატომ გასწიე ეგ ფანჯრის ფარდა?

ა გ ნ ე ს ი

სიზმარი იყო, კვლავ გამოვფხიზლდი...

ბ რ ა ნ დ ი

სიზმარი მუდამ თავშესაფარი  
არის მზაკვრობის, ბოროტებისა, —  
ახლავ დაკეტე!

ა გ ნ ე ს ი

(ვეღრებით)

ბრანდ!..

ბ რ ა ნ დ ი

ჩქარა! ჩქარა!

ა გ ნ ე ს ი

ო, არა! რატომ შექცევი მკაცრად?

ბ რ ა ნ დ ი

დაკეტე-მეთქი!

ა გ ნ ე ს ი

(ჰკეტავს ღარაბებს)

დაკეტილია

აწ ყველაფერი ყოველი მხრიდან...  
ვიცი, რომ ღმერთი არ განვარისხე...  
მან ერთი წუთით გამოაცოცხლა  
ჩემი იმედი...

ბ რ ა ნ დ ი

რა კეთილია

ეგ ბერიკაცი! ძალზე დამყოლი  
მსაჯული გახლავს, არ განგსჯის მკაცრად,  
თუ აღმოაჩენს შენს სახლში იგი  
კერპისკენ ცოტა მიდრეკილებას.

ა გ ნ ე ს ი

(ტირილი წასკდება)

სად, სად მთავრდება ეს ანგარიში?  
სთქვი! რა სასტიკად მომღალა ბედმა,  
აღბათ, ვერასდროს ვერ გავშლი ფრთებსა.

ბ რ ა ნ დ ი

იცი, შეწირვა უაზრო არის,  
თუ არ იქნება ეს მსხვერპლი ს რ უ ლ ი.

ა გ ნ ე ს ი

ჩემი ს რ უ ლ ი ა: მე ყველაფერი  
გავეცი.

ბ რ ა ნ დ ი

ერთ მსხვერპლს მეორე მოსდევს.

ა გ ნ ე ს ი

(იღიმება)

მთხოვე! არ ვუფროთხი სილატაკესა!

ბ რ ა ნ დ ი

მოპეც!

ა გ ნ ე ს ი

წაილე, თუ რამეს ჰპოვებ!  
გულილა შემრჩა!

ბ რ ა ნ დ ი

არა, კიდევ გაქვს  
მოგონებები და ოცნებები,  
შენი ცრემლების ზღვა — ცოდვიანი.

ა გ ნ ე ს ი

(სასოწარკვეთილი)

გულილა შემრჩა, სისხლით დაცლილი!  
ამომავლიჯე!

ბ რ ა ნ დ ი

ამაო არის

მსხვერპლის შეწირვა, თუ ნანობ მერე.

ა გ ნ ე ს ი

(შეკრთება)

ციცაბო, მკაცრი გზით მიგვიძღვება  
ეგ შენი ღმერთი!

ბ რ ა ნ დ ი

ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს თ ვ ი ს  
ჩვენ წინ ყოველთვის გზა მიდის ერთი.

ა გ ნ ე ს ი

ლ მ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს გზა სადღა არის?

ბ რ ა ნ დ ი

(უკმეხად)

მოფენილია მსხვერპლის ქვებითა.

ა გ ნ ე ს ი

(გაშტერებული იცქირება წინ, შემდეგ სასოწარკვეთილი ლაპარაკობს)

ძირს რა სასტიკი უფსკრული არის,  
საღვთო წერილის აზრს მივხვდი უკვე:  
მხოლოდ ახლალა შეიცნო სულმა  
კანონი იგი...

ბ რ ა ნ დ ი

რა კახონს ამბობ?

ა გ ნ ე ს ი

ვინც ღმერთს იხილავს, მოკვდება იგი.

ბ რ ა ნ დ ი

(მოეხვევა და მაგრად მიიხუტებს მკერდზე)

ო, დაიმაღლე! არ დაინახო  
უფალი... ჩქარა დახუჭე თვალი!

ა გ ნ ე ს ი

ნუთუ ნამდვილად ვიხილავ უფალს?

ბ რ ა ნ დ ი

(ხელს გაუშვებს)

არა!.. ხარ ჩემი თვალის სინათლე!

ა გ ნ ე ს ი

შენც იტანჯები?

ბ რ ა ნ დ ი

რა ძვირფასი ხარ!

ა გ ნ ე ს ი

ეჰ, სიყვარული შენი მკაცრია.

ბ რ ა ნ დ ი

ძალიან მკაცრი?

ა გ ნ ე ს ი

ნულარა მკითხავ!

სიამოვნებით წაგყვები ყველგან.

ბ რ ა ნ დ ი

ნუ ფიქრობ, შორს არ ვიხედებოდი,  
როცა, ძვირფასო, შენ წაგიყვანე,

ან სანახევრო სიყვარულისთვის  
მომყავდი მსხვერპლის ამ მძიმე გზაზე?  
ჩემო ძვირფასო, განა მცირეა  
მსხვერპლი, რომელიც შევწირეთ უფალს?  
არა, გავიღეთ უსაზღვრო ხარკი  
და შენგან ახლაც, როგორც ცოლისგან,  
მოვითხოვ, იყო უფლის მორჩილი.

ა გ ნ ე ს ი

მომთხოვე, რაც გსურს, ოღონდ ნურასდროს  
ნუ მიმატოვებ!

ბ რ ა ნ დ ი

ღიას, ძვირფასო,  
მეც სიმშვიდე მსურს, რომ ვიმუშაო:  
დავიწყებ დიდი ტაძრის შენებას!

ა გ ნ ე ს ი

ჩემი კი, ალბათ, იქცევა ფერფლად.

ბ რ ა ნ დ ი

უფლის სიტყვას რომ დაუხშე ყური, —  
შიგ მდგარი შენი ბრჭყვიალა კერპი,  
ციტ მოვლენილმა გრიგალმა მოსპო.

(შეშინებულევით მოეხვევა აგნესს.)

მშვიდობა შენდა, შენი წყალობით  
მეც მომივლინოს მშვიდობა ღმერთმა

(გაემართება გვერდითი კარისკენ.)

ა გ ნ ე ს ი

ბრანდ, შეიძლება, რომ გამოვადო  
ეს დარაბა და გავწიო ფარდა  
სულ ოდნავ, იქაც რომ მისწვდეს შუქი.  
ხომ შეიძლება? მითხარი!



## ბ რ ა ნ დ ი

არა!

(გაღის თავის ოთახში.)

## ა გ ნ ე ს ი

აქ დახშულია და დაკეტილი  
ურდულით, კლიტით აწ ყველაფერი:  
ცის ლაქვარდი თუ სამარე ბნელი, —  
ვერც ისუნთქავ და ვერც დაიყვირებ...  
შორს წავიდოდი, აქ ჩემს სევდასთან  
განმარტოებულს მიმძიმს ძალიან, —  
მაგრამ სად წავალ? ყველგან მდარაჯობს  
ასე ფხიზელი, მრისხანე თვალი.  
ან კი აქედან როგორ გავიქცე,  
წავიღო გულის ძვირფასი განძი,  
როგორ დავუსხლტე გუშინდელ დღეებს  
და ამ საშინელ ცარიელ დუმილს?

(მიაყურადებს ბრანდის ოთახის კარს.)

ჩემს ხმას მაშინვე კითხულობს იგი,  
მის ყურებამდე მიაღწევს ვიდრე,  
სუსტ სულს არასდროს არ ეხმარება,  
ღმერთი ასეთ დროს მოუცლელია,  
მხოლოდ ბავშვმრავალ ოჯახში მიდის,  
რომ იქ დაესწროს სიმღერას, ცეკვას,  
ჰო, სადაცაა მხიარულება  
შობის ღამისა, — იქ მიდის ღმერთიც,  
და იქ კი არა, სად ფეხაკრეფით  
დაიარება შვილმკვდარი დედა, —  
იგი მის ცრემლებს, წუხილს და კვნესას  
სულაც ვერ ისმენს, სულაც ვერ ხედავს.

(ფრთხილად მიუახლოვდება ფანჯარას.)

ფარდა რომ ცოტა გადამეწია,  
რომ გამძვრალიყო შიგ სანთლის შუქი

და გაეტანტა ბნელი წყვილიადი  
გაციებული მისი სამარის...  
არა! იქ ცივა, იქ ახლა ბნელა.  
შობა ხომ არის ზეიმი ბავშვთა,  
ალბათ იმანაც ქარის ზუზუნში  
დატოვა ბნელი თავშესაფარი,  
მოადგა თავის მშობლიურ სახლსა  
და უკაკუნებს ფანჯარას უკვე?  
იქ!.. ეს ხომ ბავშვის ტირილი ისმის.  
არც ვინ მხარს მიჭერს, არც მირჩევს ჩამეს —  
აღუ, მამაშენმა ჩაკეტა კარი, —  
როგორ გავბედო გაღება მისი?  
აღუ, შენ ხომ ასე მორჩილი იყავ  
და ჩვენ მამიკოს არ ვაბრაზებდით...  
ო, მამ დაბრუნდი ღვთის სამყოფელში,  
ჩემო შვილიკო, ამალღდი ცაში  
და დაესწარი ბავშვების თამაშს,  
ეგ ცრემლები კი დამალე ოღონდ.  
ნუ იტყვი, დიდხანს რომ აკაკუნე  
და არ გაგიღეს მშობლებმა კარი, —  
მოზრდილთა მწარე მოვალეობას  
ბავშვური ჭკუა მიხვდება როდი...  
ის კი თქვი, მამა დიდად რომ წუხდა  
და ეს ფოთლების გვირგვინიც იმან  
დაგიწინა... აი, ვერ ხედავ, შვილო?

(მიაყურადებს, ჩაფიქრდება და თავს გააქნევს.)

ო, ნუთუ მძინავს? ეს დარაბები  
ერთმანეთისგან არა გეყოფს განა?  
მხოლოდ მსხვერპლის აღს ძალუძს გადაწვას  
ცივი კედლები, ჩვენ შორის მღგარი,  
ჩამოანგრიოს კამარა ქუში  
და საპყრობილის გასწიოს ურდულს,  
დალეწოს კლიტე, კარს რომ ჰკილია  
ბევრი, ბევრი რამ მოხდება ალბათ,  
სანამდე ისევ ერთმანეთს ვნახავთ,

და მე ვეცდები, რომ აღვასრულო  
უკლებლივ ჩემი მოვალეობა,  
ტანჯვა-წამებით კვლავ გამოვიწროო.  
დღეს კი... ო, ეს დღე წმინდაა დიდად,  
შარშანდელ შობას არა ჰგავს სულაც,  
ჩვენც პატივი ვცეთ ამ დღესასწაულს.  
მაშ ამოვიღებ ჩემს წმინდა განძსა,  
განძს, რომლის ფასიც მოეხსენება  
მხოლოდ იმ დედას, ვინც სამუდამოდ  
დაკარგა შვილი და გლოვობს მასზე.

(დაიჩოქებს კამოდთან, გამოაღებს უჯრას და იქიდან ამოალაგებს სხედანსხვა ნივთებს.)

ამ დროს ბ რ ა ნ დ ი წეშაღებს კარს და დააპირებს გამოელაპარაკოს იგნესს, მაგ-  
რამ შენიშნავს, რომ მოუცლელია, და შეჩერდება. აგნესი მას ვერ ხედავს.

ბ რ ა ნ დ ი

(წყნარად)

ისევ და ისევ, ისევ და ისევ,  
მუდამ ტრიალებს სამარის ირგვლივ.

ა გ ნ ე ს ი

აი, ეს მისი წამოსასხამი, —  
მოსანათლავეად შინაყავდა როცა,  
სწორედ ამაში შეეხვით იგი...  
აი, ეს მისი ტანსაცმლის ბოხჩაც.

(ასწევს ბოხჩას მალა, უცქერის და ილიმება.)

ოჰ, ღმერთო ჩემო, რარივ ფუნთუშა  
და მშვენიერი ბიჭუნა იყო  
იგი ტაძარში მკერდზე რომ მეკრა...  
აი, ეს შარფიც, აი, ეს პალტოც, —  
სასეირნოდ რომ მიმყავდა ბიჭი,  
ამ პალტოს მაშინ იცვამდა ხოლმე.  
ჯერ მოსდიოდა ძალიან გრძელი,  
შემდეგ თანდათან დამოკლდა იგი...

ამ პალტოს ახლა გადავდებ აქეთ.  
აი, ხელჯაგიც. ფეხსაცმელებიც...  
აი, წინდებიც... ო, რა ლამაზი  
ფეხები ჰქონდა... ესეც კაპორი.  
ეს ყველაფერი კარგა ხანია  
გამზადებული გვქონდა ბიკისთვის,  
რომ შეგვეხვია ალფი, როდესაც  
ის გავამგზავრეთ შორეულ გზაზე.  
მაგრამ როდესაც გავხადე ისევ.  
ოჰ, ღმერთო ჩემო, რარიგ საოცრად,  
რარიგ სასტიკად არ დავიღალე.

### ბ რ ა ნ დ ი

(ტკივილისგან ხლებს კუმწავს)

ო, ღმერთო ჩემო, ეს არის მისი  
ამქვეყნიური კერპის ტაძარი,  
მე თვით არ ძალმიძს ის დაეანგრიო,  
გამომიგზავნე, უფალო, ვინმე.

### ა გ ნ ე ს ი

აქ ლაქა მოჩანს, — კვალია ცრემლის?  
აი, ეს ჩემი ძვირფასი განძი.  
ამ მოსასხამში მარგალიტებად  
რომ მოჭფრქვევია ჩემი ცრემლები,  
მიიღო წმინდა მირონი ალფმა.  
რა მდიდარი ვარ ჯერ კიდევ, ღმერთო!

გაისმის მძლავრი კაკუნი შემოსასვლელ კარზე. აგნესი შემოტრიალდება და შეჰყუ-  
ლებს, ბრანდს რომ დაინახავს. ამ დროს კარი გაიღება და ოთახში შემოიჭრება ტან-  
საცმელჩამოქნძილი დედაკაცი ბავშვით ხელში.

### დ ე დ ა კ ა ც ი

(ტანსაცმელს რომ დაინახავს, დაუყვირებ! აგნესს)  
გამინაწილე, მდიდარო დედავ!

ა გ ნ ე ს ი

შენ თვით ხარ ჩემზე ორგზის მდიდარი!

ღ ე ღ ა კ ა ც ი

შენც სხვებსა ჰგავხარ: შველის მაგიერ  
მიმასპინძლები ცარიელ სიტყვით.

ბ რ ა ნ დ ი

(მთუახლოვება)

აქ რას ეძიებ, მიოხარი ერთი!

ღ ე ღ ა კ ა ც ი

არა, შენ არა. — მე არ ვთხოვ ხუცესს,  
ქადაგება არ დამიწყო ახლა.

მე მირჩენია სიკვდილი ქარში, —  
შიმშილი, ტანჯვა, მატლივით ხოხვა,  
აბობოქრებულ ტალღებთან ბრძოლა  
ანდა ჩაღპობა სადმე შქერებში,  
ვიდრე ხუცესის წინაშე დგომა.  
დალახვროს ღმერთმა, მე რომ ასეთი  
დავბადებულვარ, ჩემი ბრალია?

ბ რ ა ნ დ ი

(ჩუმაღ)

ეს ხმა, ეს სახე, მისი იერი  
მე წინათგრძნობით მიყინავს სულსა.

ა გ ნ ე ს ი

გთხოვ, დაისვენო ამ თბილ ბინაში,  
აღბათ, მშიერი იქნება ბავშვი...

ღ ე ღ ა კ ა ც ი

გაბედავს ბოშა იქ დაისვენოს,  
სადაც სითბოა, სასმელ-საჭმელი?

ჩვენი სახლია ეკლიანი გზის  
მძიმე ტალახი, ტყე და კლდეები,  
იქ ვხეტილობთ დღეცა და ღამეც,  
თქვენ კი გაქვთ მუდამ თბილი კერია.  
არა, სჯობია, გავბრუნდე სწრაფად,  
აქ მწვევრებივით მოგვდევენ უკან  
ლენსმანი, ფოგტი — კანონის ხალხი,  
და გამკოჭავენ, თუ მომახელეს.

### ბ რ ა ნ დ ი

ზელს ვერ გახლებენ ისინი შენ აქ.

### დ ე დ ა კ ა ც ი

აქ, სად კედლებიც მიწუხებებს სულსა?  
არა, ჩვენ ზაათრის სუსხიან ჰაერს  
უფრო შვეებით და უშიშრად ვსუნთქავთ!  
ოლონდ ბავშვისთვის მომეცი რამე.  
უფროსი ძმა ჰყავს და ფანციფუნცი,  
თუ რამე ჰქონდა. მოჰპარა იმან.  
ხომ ხედავ ბიჭი სულ შიშველია,  
გაყინული და გალურჯებული,  
ქარბუქის ჭირხლი ზედ ადევს ისევ.

### ბ რ ა ნ დ ი

ჩვენ დაგვიტოვე შენი ყმაწვილი  
და ააცდინე მაგ გზას, საშინელს,  
მოგვეცი ნება, გავზარდოთ იგი  
და ბედის წყევლა ავხსნათ თავიდან.

### დ ე დ ა კ ა ც ი

ეგ ჰგავს რაღაცა სულელურ ნათქვამს  
და არც მოხდება ეს სასწაული.  
ჩვენ ხომ ყოველთვის ომი გვაქვს თქვენთან.  
თქვენთან, რომელთაც დაგვიწყებიათ  
სირცხვილ-ნამუსი და სიბრალული.

იცი, ეს ბავშვი სად დაიბადა?  
სოფლის გზის პირას, წვიმაში, ქარში,  
სადაც ქეიფი, ხორხოცი ხალხის  
ისპოდა ღამით გათენებამდე.  
მონათლულია ის გუბურაში  
ცეცხლის ნახშირით ნიშანდებული.  
მას მათარიდან დააღევინეს  
სასმელი, სანამ მოსწოვდა ძუძუს.  
ირგვლივ ჩხუბობდნენ მაწანწალები,  
იწყევლებოდნენ, იგინებოდნენ.  
მერე ვინ? — მამა? — შემინდე ღმერთო, —  
მამა კი არა, ძამები ბავშვის.

ბ რ ა ნ დ ი

აგნეს!

ა გ ნ ე ს ი

ბატონო!

ბ რ ა ნ დ ი

ბომ გახსოვს ვალი?..

ა გ ნ ე ს ი

ვისი? ამ ქალის? ო, არასოდეს!

დ ე დ ა კ ა ც ი

ჰოდა, მომეცი აქ ყველაფერი,  
ეგ ძონძებიც და ეგ აბრეშუმიც,  
გამოვიყენებ. ოლონდ რაიმე  
შემოვახვიო შიშველ სხეულზე.  
ჰა, ლამისაა შეწყვიტოს სუთქვა, —  
რაკილა კვდება, გამთბარი მოკვდეს.

ბ რ ა ნ დ ი

(აგნესს)

კვლავ შენს წინაშე დგას არჩევანი.

დ ე დ ა კ ა ც ი

შენს შეუყერე ეგ ყველაფერი,  
ლარიბ-ლატაკს კი, შიშველს და ტიტველს,  
არ უნდა ჰქონდეს სუდარა მაინც?

ბ რ ა ნ დ ი

განა არ ისმის ვით გაფრთხილება,  
განრისხებული კივილი მისი?

დ ე დ ა კ ა ც ი

მომეც!

ა გ ნ ე ს ი

ამგვარი საზიზღრობებით  
როგორ შევბღალო ყმაწვილი ჩემი?

ბ რ ა ნ დ ი

სულ ამაოა გაგზავნა მისი  
მოუსავლეთის, ბნელეთის გზაზე,  
თუ შენ...

ა გ ნ ე ს ი

(მოტეხილი)

აღსრულდეს ნება უფლისა,  
ფეხით გავქეღავ გულის ძაფებსაც!  
მოდო აქ, დედავ, განძს გინაწილებ, —  
აჰა, აილე, რარიგ ბევრს გაძლევ.

დ ე დ ა კ ა ც ი

მომეც!

ბ რ ა ნ დ ი

შენ აძლევ მხოლოდ ნ ა წ ი ლ ს ა?



ა გ ნ ე ს ი

(ჩიუტად)

სჯობს მოვეკდე, ვიდრე მივცე მ თ ლ ი ა ნ ა დ!  
სულ ნაწილ-ნაწილ ვიხვედი უკან  
და ამის შემდეგ დავუთმო კიდევ?  
ეს ნ ა ხ ე ვ ა რ ი ც ე ყოფა მაგას.

ბ რ ა ნ დ ი

ოჰ, ნუთუ ორი ხელი იყიდე  
ტანისამოსი შენი შეილისთვის?

ა გ ნ ე ს ი

(აძლევს)

აჰა, წაილე! ეს მოსასხამი  
სულ ახალია — მას ერთხელ ეცვა,  
მოსანათლავად რომ წავცევანე.  
თბილი ქურთუკიც სულ ახალია,  
ჩააცვი ღამით, როდესაც ცივა.  
აი, კაპორიც აბრეშუმისა,  
ბავშვი რომ ყინვამ არ გაგიყინოს.  
აჰა, წაილე მაშ ყველაფერი.

დ ე დ ა კ ა ც ი

მომეც!

ბ რ ა ნ დ ი

მიეცი მას ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი?

ა გ ნ ე ს ი

(ისევ აძლევს)

აჰა, ლაბადაც — უმანკო კრავმა  
მაგ ლაბადაზე დალია სული!

## დ ე ლ ა კ ა ც ი

აწ ყუთი მართლაც დაცარიელდა  
და უნდა გაჰქრეს აქ ჩემი კვალიც.  
უნდა წავიდე ავჩქარდე ახლა,  
ამათ კიბეზეც შეეახვევ მერე.

(გადის.)

## ა გ ნ ე ს ი

(დგას გაუნძრევლად, ძლიერი სულიერი მღვლეარებით შეპყრობილი.  
ბოლოს იკითხავს)

ვის აქვს უფლება იმაზე მეტი  
აიღოს ჩემგან, რაც ახლა გავეც?

## ბ რ ა ნ დ ი

ერთი ეს მითხარ, მთლად შენი ნებით  
გაიღე ახლა მაგგვარო მსხვერპლი?

## ა გ ნ ე ს ი

არა!

## ბ რ ა ნ დ ი

ტყუილად გადაგიგდია  
უფსკრულში ძღვენი, ძვირფასო ჩემო:  
არ შემციირდება ამითი ვალი.  
(წასვლას დააპირებს.)

## ა გ ნ ე ს ი

(ღუმს, ვიღრე ბრანდი კართან არ მივა. მხოლოდ მაშინ გასძახის)

ბრანდი!

## ბ რ ა ნ დ ი

რას მიბრძანებ?

ა გ ნ ე ს ი

სულში გრიგალი

დაწყნარდა უკვე და ვინანიებ  
იმ ცოდვას, წელან რომ ჩავიდინე.  
კარგად არ იცი, რომ მოგატყუე,  
არ მიმიცია მე ყველაფერი.

ბ რ ა ნ დ ი

რაო?

ა გ ნ ე ს ი

(ამოიღებს ბავშვის დაკეცილ ჩაჩს, რომელიც უბეში ჰქონდა დამალული)

ეს ჩაჩი გადავარჩინე.

ბ რ ა ნ დ ი

ჩაჩი?

ა გ ნ ე ს ი

ჰო, ჩაჩი ჩვენი შვილისა.  
ზედ ცრემლებს ვაფრქვევ, რაც იგი მოკვდა  
და დავატარებ ყოველთვის უბით.

ბ რ ა ნ დ ი

წალი და შენს კერპს თაყვანი ეცი!

(წასვლას დააპირებს.)

ა გ ნ ე ს ი

მოიცა!

ბ რ ა ნ დ ი

რისთვის?

ა გ ნ ე ს ი

შენ თვითონ იცი.

(გაუწვდის ჩაჩს.)

ბ რ ა ნ დ ი

(მიუახლოვდება და ისე შეეკითხება, რომ ჩაჩს არ გამოართმევს)

გულწრფელად უძღვნი?

ა გ ნ ე ს ი

ცხადია.

ბ რ ა ნ დ ი

მჯერა, —

მომეცი, აქვე იქნება ქალი.

(გაღის.)

ა გ ნ ე ს ი

აწ ყველაფერი წავიდა, გაჰქრა:

ჩემი იმედი, ლოცვები, რწმენა.

(ერთი წუთით გაუნძრევლად დგას. თანდათან სახე გაუბრწყინდება. ბრანდი ბრუნდება. აგნესი ალტაცებული მირბის შესახვედრად. ყელზე ჩამოეკიდება და შესძახებს)

გავთავისუფლდი, გავთავისუფლდი.

ბ რ ა ნ დ ი

აგნეს!

ა გ ნ ე ს ი

წყვდიადი გაფანტულია!

შიშიც მომცილდა, გულზე საშინლად  
რომ დამწოლოდა, ვით მძიმე ტვირთი.

ცარიელია სამარე უკვე  
და გაიმარჯვა ბრძოლაში ნებამ.

გაცურდა ნისლი გორაკებიდან,  
გადაიკარგა ღრუბლები შორად  
და მე ამ წუხილს, ამ სიკვდილს იქით  
ვხედავ დაფიონს, ცეცხლივით წითელს.  
სამარე! ახლა ეს სიტყვა ჩემზე  
ალარ მოქმედებს, ვით უწინ, მძიმედ,

ის ძველებურად ვერ მომგვრის ცრემლებს,  
ვერ შემიშფოთებს წუხილით გულსა, —  
ვიცი, რომ ალფი ამალდა ცაში.

ბ რ ა ნ დ ი

აი, ახლა კი შენ გაიმარჯვე!

ა გ ნ ე ს ი

ღიას, დაემხო და ფერფლად იქცა  
ჩემი შიშიც და სამარც ბნელი!  
აბა, შეხედე, შეხედე ერთი!  
ჩვენი ალფი დგას იქ, უფლის ტახტთან.  
ვით ანგელოზი მთლად თეთრფრთიანი,  
ვარსკვლავს იქითა, ლურჯ ლაქვარდიდან  
ხელებს რომ გვიწვდის, ვერ ხედავ განა?  
მხიარულია უწინდელივით.  
არა! მქონოდა თუნდ ასი პირი  
და შემძლებოდა თამამად თხოვნა,  
მწამს, არც ერთხელ არ გაიღებოდა,  
რომ მომეთხოვა შვილი უკანვე.  
რა ღიადია მდიდარი ღმერთი,  
თუ შეიწირა მან შვილი მსხვერპლად,  
სული დედისა ხომ აამალდა  
აეთი ტანჯვა-წამების დროსა...  
და, მეგობარო, შენც ღიდად გმადლობ,  
დამხმარე ხელი რომ გამიწოდე.  
მე ხომ ვიხილე წამება მთელი,  
მთელი წამება შენი გულისა.  
ახლა კი ტვირთი შენც დაგაწვება —  
დრო დადგა უკვე ამოირჩიო:  
ან ყველა ფერი, ან არაფერი!

ბ რ ა ნ დ ი

ბუნდოვანია ეგ აზრი, აგნეს,  
გარდაუვლია ყოველგვარ ბრძოლას

## ა გ ნ ე ს ი

შენ დაგავიწყდა კანონი მკაცრი,  
ვინც ღმერთს იხილავს, მოკვდება იგი!

## ბ რ ა ნ დ ი

(უკან დაიწევს)

ვაგლახ! ეგ რა სთქვი, რა საშინელი  
დასასრულია! ო, არა! არა!  
ბრძოლა ვერ ზარავს ჩემს ძლიერ ხელებს,  
მაგრამ არ უნდა წახვიდე ჩემგან!  
ყოველგვარ მსხვერპლის გაღებას შევძლებ,  
დავთმობ ყოველგვარ გამარჯვებასაც,  
ოღონდ შენ დამშთე, შენ დამშთე ოღონდ.

## ა გ ნ ე ს ი

მაშ აირჩიე გზაჯვარედინთან:  
ჩააქრე სანთლის ბრწყინვალე შუქი,  
ჩაახშე ფიქრთა თამამი დენა  
და დამიბრუნე კერპები ძველი, —  
ის ქალი ახლა გარეთ ზის, მგონი.  
მაშ დამიბრუნე წყვილიადი ისევ,  
გადამაქციე კვლავ უსინათლოდ,  
ისევ ტალახში გადამიძახე,  
სადაც ვნობავდი მე არაერთხელ,  
ამოირჩიე, თავისუფალი  
არის, ძვირფასო, ეგ არჩევანი,  
იცოდე, მე არ დაგიწყებ ბრძოლას;  
ფრთები შემკვეცე, ჩამკეტე ისევ,  
დამიგდე ფერხთით კვლავ მძიმე ტვირთი  
და დამაბრუნე წარსულ დღეებთან,  
ძირს, საიდანაც შენ ამამალღე.  
ნება მიბოძე კვლავ ძველებურად  
ვიცხოვრო ახლაც წყვილიადში, ნისლში.  
თუკი აღმიტქვამ ყველაფერ ამას,  
ვიქნები შენი ქალღმერთი ისევ...

ამოირჩიე, რომელი გინდა,  
ძვირფასო, დგებხარ გზაჯვარედინზე.

### ბ რ ა ნ დ ი

ვაგლახ მე მაშინ, თუ მოვინდომო  
რომ დავაბრუნო წყვედიანი მქისე, —  
მაგრამ, ძვირფასო, ამ კლდეებს იქით,  
ამ მსხვერპლის, ტანჯვის, ტკივილის მიღმა,  
სიცოცხლეს, ნათელს ვპოვებდით მალე.

### ა გ ნ ე ს ი

რატომ ივიწყებ შენს მოწოდებას  
და მსხვერპლს, ამისთვის გაღებულს ჩვენგან?  
შენ აგირჩიეს აქ უმკურნალო  
ასეულ სულებს — მაშ ალასრულე!  
ღმერთმა ისინი შენ ჩაგაბარა, —  
მაშ შენც გაულე სამოთხის კარი  
ამოირჩიე, ძვირფასო ჩემო,  
ხომ იცი, დგებხარ გზაჯვარედინზე!

### ბ რ ა ნ დ ი

გზა სამუდამოდ მაქვს არჩეული.

### ა გ ნ ე ს ი

(მთვარეობა და გადახვევა)

ო, გმადლობ, გმადლობ შენ ამის გამო!  
სინათლისაკენ მიგყავდი მტკიცედ.  
მაშ საღამოზე, წყვედიანზე უფრო  
მტკიცედ იდგები ჩემს სარეცელთან?

### ბ რ ა ნ დ ი

ღლიური შრომა დასრულდა უკვე,  
მაშ დაიძინე, ძვირფასო აგნეს!

## ა გ ნ ე ს ი

დასრულდა უკვე. ო, უფრო მკვეთრად  
მინათებს თვალში სინათლე ღამის...  
თუმც გავიმარჯვე, დავლილვარ ძალზე,  
დავსუსტებულვარ. არ შემწევეს ღონე,  
მაგრამ კვლავ ძალმიძს, რომ ღირსეულად  
ვადიდო ღმერთი გალობით ტკბილით!  
ბრანდ, დიდად გმადლობ! ძილი ნებისა!

## ბ რ ა ნ დ ი

ძილი ნებისა!

## ა გ ნ ე ს ი

ძილი ნებისა!

აწ წავალ, მშვიდად რომ დავიძინო.

(გაღის.)

## ბ რ ა ნ დ ი

(შიიდებს ხელებს მკერდზე)

მაშ საბოლოო მიზანი გწამდეს  
შენ, ჩემო სულო: ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს ჰკარგავ,  
მაინც იმარჯვებ და ამ ყველაფრის  
დაკარგვით ისევ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს იძენ.  
რაც დაგვიკარგავს, რაც გარდასულა,  
მარადიული ის არის მხოლოდ!



## მ ე ხ უ თ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

მოქმედება მიმდინარეობს წელნახევრის შემდეგ. ახალი ეკლესია მზადაა და მორთული გახატებისათვის. მახლობლად ჩადის მდინარე. ნისლიანი დილაა. კ ის ტ ე რ ი გვირგვინებს ჰკიდებს ეკლესიის გარეთა კედლებს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდება

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ხომ კარგადაა?

კ ის ტ ე რ ი

ძალიან კარგად!

მოდით გავჭიმოთ გირლიანდები  
სვეტით სვეტამდე გამოყოლებით,  
რომ ყვავილებზე იარონ ფეხით.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

პრესტის სახლთანაც რაღაცას დგამენ —  
რგვალჩარჩოიან მაღალ ლატანსა.

კ ის ტ ე რ ი

დიახ, ცხადია!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ეგ რაღა არის?

კ ის ტ ე რ ი

პრესტმა მიიღო ღირსების ფარი:  
ოქროს ფონი აქვს, ზედ კი ლამაზად  
დაუწერიათ მისი სახელი.

## მასწავლებელი

დიდი ზეიმი იწყება უკვე —  
აქეთ მოჰქრიან ყოველი მხრიდან,  
ყველა კუთხიდან, მთელი ფიორდი  
დაფარულია თეთრი აფრებით.

## კისტერი

გამოიღვიძა, ჩანს, ახლა მრევლმა.  
იმ პრესტის დროს კი, განსვენებულის,  
სად იყო ჩხუბი, შეხლა-შემოხლა,  
ყველას თავისთვის ეძინა ტკბილად.  
რა სჯობს, ნამდვილად მეც აღარ ვიცი.

## მასწავლებელი

ეგ სიცოცხლეა, კისტერ, სიცოცხლე!

## კისტერი

სიცოცხლეა და მერე როგორი!  
ჩვენ კი: მე და თქვენ, ჩემო ბატონო,  
რად ვდგევართ განზე?

## მასწავლებელი

ერთი რამ მესმის:  
ჩვენ რომ ვიღვწოდით, ეგენი თვლემდნენ,  
მათ გაიღვიძეს, ჩვენ გვძინავს ახლა.  
ეჰ, როგორცა ჩანს, სულ არ ვჭირდებით.

## კისტერი

მაგრამ სიცოცხლე სჯობია, არა?

## მასწავლებელი

მას ვიმეორებ, რაცა მსმენია,  
ასე ამბობენ პრობსტიც და პრესტიც.  
მე კი ვიტყვოდი: ხალხის მასისთვის  
ასეა, მაგრამ ჩვენთვის კი არა,

დიახ, ამ კუთხის მოხელეთათვის.  
ჩვენ სულ სხვაგვარი კანონები გვაქვს  
და ამ მთის ხალხს კი — სულ სხვანაირი;  
ჩვენი ვალია ვიცავდეთ წესრიგს,  
სასულიერო დოგმებით უნდა  
გამოვუტენოთ ყველა კაცს თავი,  
რათა ავლაგმოთ ახლისკენ სწრაფვა, —  
დავდგეთ ყოველგვარ პარტიის გარეთ!

### კ ი ს ტ ე რ ი

საქმის გულში კი დგას ჩვენი პრესტი.

### მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

და სწორედ ამით სცოდავს ის დიდად.  
ვიცი, ესაა მთელი მიზეზი,  
რომ ხელისუფალთ არ მოსწონთ იგი,  
და დაითხოვდნენ აქამდე კიდევ,  
სამრევლოს რომ არ უყვარდეს ძლიერ.  
ჩვენი პრესტი ხომ ეშმაკი გახლავთ  
და ამ ცხოვრებას მშვენიერად იცნობს,  
აშენებს ტაძარს, ახალი საქმით  
ყველას თვალეზი რომ დაგვიბრმავს.  
იმას კი არვინ არა კითხულობს,  
არის თუ არა საჭირო იგი,  
მთავარი არის მომხდარი ფაქტი,  
ყველანი: ხალხიც და წინამძღოლნიც  
მოხარულნი ვართ ამ აღმშენებლის.

### კ ი ს ტ ე რ ი

თქვენ ნამყოფი ხართ სტორთინგში, უნდა  
იცნობდეთ ხალხის ზნესა და ყოფას;  
მაგრამ ვიდაცა გვეწვია ერთხელ,  
როცა აქ ხალხმა გამოიღვიძა,  
თქვა, რომ სწორი გზით მივემართებით

ჩვენ წყვილიადიდან სინათლისაკენ  
და დიდ, ძლიერ დიდ იმედს ვიძლევეით.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

დიახ, დიდ იმედს იძლევა ხალხი,  
ბევრს მიაღწია მან მოკლე ხანში  
და მალე, ალბათ, ყველა მათგანი  
თვის მისიაზე ილაპარაკებს.

კ ი ს ტ ე რ ი

უძილობის ჟამს ვიმტვრევდი თავსა,  
მაგრამ ვერასგზით ვერ გავარკვიე,  
თქვენ ამიხსენით, სწავლულო კაცო,  
„აბა, რა არის „მისია ხალხის?““

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ჩემო ძვირფასო, მაგგვარი რამე  
საფას რომ ავუხსნა, ცოტა ძნელია:  
ეს არის რაღაც, რაც აკავშირებს  
ადამიანებს იღვის ძალით,  
თანაც დიადი — ის (ნოტაბენე)  
მოვა ნამდვილად, აუცილებლად  
ხალხთან ოდესმე, შორ მომავალში.

კ ი ს ტ ე რ ი

ეგ კი მთლიანად გავიგე, მაგრამ  
მინდოდა კიდევ მეკითხა რაღაც.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

რა?

კ ი ს ტ ე რ ი

როდის მოვა აქ, რომელ წელსა,  
ჩემო ბატონო, ეგ მომავალი?

მასწავლებელი  
ო, არასოდეს!

კისტერი  
რაო? არასდროს?

მასწავლებელი  
ძალზე უბრალოდ, სულ ბუნებრივად:  
როს „მომავალი“ დადგება ჩვენთან,  
გადაიქცევა მაშინვე „აწმყოდ“  
და „მომავალი“ აღარ იქნება.

კისტერი  
ეგ მართალია და არც ვკამათობ.  
მაგრამ მითხარი, რამდენი წელი  
დასკირდება მას, რომ აღასრულოს  
ხალხმა თავისი დანაპირები?

მასწავლებელი  
ერთი წუთის წინ გითხარით ავი:  
დანაპირები „მომავალშია“  
და აღსრულდება ის „მომავალში“.

კისტერი  
კი, მაგრამ მითხარ, ის როდის მოვა?

მასწავლებელი  
(თავისთვის)

ოჰ, ეს კისტერი...

(ხმაბალლა)

ბატონო ჩემო,  
მე უნდა ისევ გაგიმეოროთ,  
რომ „მომავალი“ არასდროს დგება, —  
რადგან რაწამსაც დადგება იგი,  
გადაიქცევა მაშინვე „აწმყოდ“.

კისტერი

გმადლობთ!

მასწავლებელი

ძმობილო, ყოველივეში  
დამალულია რაღაცა საფრთხე,  
რაღაც ოინი, ნემსკავის მსგავსად,  
რომელსაც ყველა ნათლად ხედავს,  
ვისაც კი ხუთზე მეტის თვლა ძალჯმს.  
აღთქმის მიცემა ნიშნავს, რომ ცრუობ,  
თუნდ იყო ძალზე პატიოსანიც,  
შესრულება ხომ მისი ძნელია,  
უფრო სწორად კი შეუძლებელი  
იმ კაცისათვის, ვინც ლოგიკასთან  
მწყურალად არაა და წარამარა  
არიგებს აღთქმას აქეთ თუ იქით.  
მისმინეთ...

კისტერი

სსუ!

მასწავლებელი

რა?

კისტერი

უცნაურია!..

მასწავლებელი

ღმერთმანი, მესმის ხმა ორღანისა...

აი...

კისტერი

ისაა!

მასწავლებელი

ვინ? პრესტი?

კ ის ტ ე რ ი

სწორედ.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ადრე მოსულა, დალახვროს ღმერთმა...

კ ის ტ ე რ ი

აბა, ვინ იცის, ის წუხელ, ალბათ,  
არც გაეკარა თავის საწოლსა.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

როგორ?

კ ის ტ ე რ ი

მე ვიცი, რის გამოც ფხიზლობს  
ღიახ, ნამდვილად ვერაა კარგად!  
მას აქეთ, რაც კი დაქვრივდა იგი,  
სულს უღრღნის დარდი და მწუხარება.  
ის მალავს ამას, მაგრამ დროდადრო  
თავს ვერ იკავეებს და სევდით სავსე  
გული გასკდომას უპირებს თითქოს...  
აი, ის უკრავს, — ყოველ ბგერაში  
გარდაცვლილებზე წუხილი ისმის  
და — სევდა მათთან განწორობისა.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ღიახ, ის თითქოს საუბრობს მათთან.

კ ის ტ ე რ ი

თავს ინუგეშებს, ისე კი ნაღვლობს.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

მე მის ადგილზე, აუცილებლად,  
ავტირდებოდი.

კ ის ტ ე რ ი

ამას გაჰბედავს,  
ვისაც არ ბორკავს მოვალეობა.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ვიღას არ ბორკავს საქმე, წოდება,  
მდგომარეობა და სამსახური...

კ ის ტ ე რ ი

ვის შეუძლია შესწიროს ეშმაკს  
ქონება, ჯოხი, კალამი, წიგნი!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ვინც განუსჯელად მოქმედებს ხოლმე  
და ჰბედავს ი გ რ ძ ნ ო ს ძალიან მწვევად...

კ ის ტ ე რ ი

ვერავენ გვხედავს, ძმობილო, ახლა,  
მაშ თავისუფლად ვილაპარაკოთ!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

გავბინძურდებით იმ საათშივე  
და დავეშვებით ხალხის მასამდე.  
ვით პრესტი ამბობს, არავის ძალუძს  
იყოს ამქვეყნად ან „ეს“, ან „ისა“,  
არ შეიძლება შეერთდეს მუდამ  
ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ი და ა დ ა მ ი ა ნ ი;  
ჩვენთვის ყველაფერს ის აჯობებდა,  
აუცილებლად რომ გავყოლოდით  
ფოგტის მაგალითს.

კ ის ტ ე რ ი

რისთვის?



## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

არ გახსოვთ,

როცა მოედო მის სახლს ხანძარი,  
თავგანწირული ეკვეთა ცეცხლს და  
იხსნა არქივის ძვირფასი განძი.

### კ ი ს ტ ე რ ი

ჰო, როგორ არა, სალამოს, ბნელში...

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

და ქარიშხალში! არ გაგონდებათ,  
რა მამაცურად იბრძოდა ფოგტი,  
ათი სიცოცხლე ჰქონოდა თითქოს.  
და მისმა ცოლმა რარიგ შესძახა.  
როცა შენიშნა მეუღლის გვერდით  
იდგა ეშმაკი და ხარხარებდა:  
„ო, მეგობარო, უეჭველია,  
დაგღუპავს იგი, მოგიღებს ბოლოს,  
გადაარჩინე ახლავე სული,  
სანამ სიცოცხლე შემოგარჩენია!“  
ფოგტმა კი ცეცხლის ხანძარში მდგარმა,  
ცოლს დაუყვირა: „ჯანდაბას სული,  
მიშველე ერთი, არქივი ვიხსნათ!“  
აი, ძმობილო, ვინ არის ფოგტი,  
შინაარსითაც, გარეგნულადაც,  
სულით, სხეულით ესაა ფოგტი!  
და ამიტომაც მჭერა, რომ იგი  
მიიღებს თავის ღირსეულ ჯილდოს.

### კ ი ს ტ ე რ ი

მაგრამ სად, როგორ?

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

იქ, სამოთხეში,  
კეთილ ფოგტებს რომ უმზადებს ღმერთი.

კისტერი  
სწავლულო კაცო...

მასწავლებელი  
რა გნებავთ?

კისტერი

რა და,  
კარგად ემჩნევა თქვენს ყოველ სიტყვას  
წუხილი, დრტვინვა და მღელვარება.  
დულს ყველაფერი, უეჭველია,  
მაგრამ არ ვიცი, ეს რატომ ხდება,  
ჯეროვან პატივს რომ არ სცემთ წარსულს.

მასწავლებელი

დე მაგ ნანგრევმა სასუქი მოგვცეს  
და გამოზარდოს ყლორტები ნორჩი!  
აქ კაცთა ფილტვებს ხრავს ავი ჭლექი  
და, თუ ვერ შესძლებ ამოხველებას,  
პირდაპირი გზა კუბოსკენ მიდის.  
ღიახ, დრტვინვაა, ვინ გედავებათ,  
არც ღურბინდები არის საჭირო;  
როცა დაინგრა ძველი ტაძარი,  
თან ჩაიყოლა ეგ ხარახურაც,  
ფენა მიწისა, სად ამდენი დღე  
ენასკვებოდა ფესვები ფესვებს  
და პოულობდა იქ მკვიდრ საფუძველს  
ჩვენი სიცოცხლე, ცხოვრება ჩვენი.

კისტერი

პირველად როგორ აყვირდა ხალხი:  
„რალას ვუყურებთ, მაშ დავანგრიოთ,  
ძველი ტაძარი ძირს დავცეთ, ძირსა“, —  
შემდეგ კი ისევ მიწყნარდა ხმები,

მთელი სამრევლო შეკრთაო თითქოს  
და დაუბრუნდა გონება ისევ,  
იღვნენ და მორცხვად უცქერდნენ ერთერთს  
და წარმოთქვამდნენ ჩურჩულით, კრძალვით—  
„რომ შეგვენახა, ნამდვილად სჯობდა“...

### მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ჰო, ეშინოდათ გაწყვეტა ძაფის,  
მათ რომ წარსულთან აკავშირებდა,  
ვიდრე ეს კოშკი ნათელი, მტკიცე,  
სანთლებით ჯერ არ განათებულა  
და ამიტომაც საქმის დასასრულს  
თვალს ადევნებდნენ გაუბედავად,  
უცდიდნენ შიშით დაძაბულები  
იმ დიდებულ წამს, როდესაც ძველი  
ალამი დაბლა დაეშვებოდა  
და ახალი კი, ნათელი, თეთრი,  
აიჭრებოდა მაშინვე მალლა...  
რაც უფრო ზევით იწევდა შპალი,  
ხალხს მისდიოდა შიშისგან ფერი;  
ჰა, საბოლოო წუთებიც დადგა,  
მზადაა უკვე აწ ყველაფერი.

### კ ი ს ტ ე რ ი

(გვერდზე მიუთითებს)

შეხედეთ, ყველა: პატარაც, დიდიც,  
აქეთ იჩქარის.

### მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ჰო, ათასობით

მოდიან ჩემად.

### კ ი ს ტ ე რ ი

და მაინც ისმის

ხალხის გუგუნის, ვით დრტყინვა ზღვისა.

მასწავლებელი

ეს ხალხის სულის კენესაა მხოლოდ;  
ის მიხვდა, დიახ, ნამდვილად მიხვდა,  
რომ დიდებული წუთები დადგა  
და თინგზე მიდის ღვთის ასარჩევად.  
ნეტავი ჩვენი პრესტი სადღაა?  
მე მის ადგილას შეშფოთებული  
სადმე ჩრდილს თავს ღრმად შევაფარებდი.

კისტერი

მეც!.. მეც!.. ნამდვილად!..

მასწავლებელი

დიახ, ასეთ დღეს,  
გგონია, შენს სულს არ უჩანს ფსკერი,  
ფსკერის ქვეშ კიდევ ფსკერია თითქოს,  
გეშინია და თან გიპყრობს უინი...

კისტერი

ძმობილო!

მასწავლებელი

რაო?

კისტერი

ჰე!

მასწავლებელი

რის თქმა გნებავთ?

კისტერი

და გული მაინც ხომ აგვიჩუყდა.

მასწავლებელი

მე — არა!

## კისტერი

არც — მე, რალა თქმა უნდა,  
მოწმე ხომ არც ერთს არა გვყავს ვინმე.

## ზასწავლებელი

ვაუკაცები ვართ ბოლოს და ბოლოს!  
აწ ჩემს საქმეზე მიმეჩქარება:  
მოწაფეები მელიან უკვე.

(მიღის.)

## კისტერი

ეპ, ვოცნებობდით სულელებივით,  
მაგრამ მე ისევ სწორ გზაზე ვდგავარ,  
დაკეცილი ვარ წიგნივით უკვე, —  
მაშ მეც საქმეზე... ლაყბობა კმარა:  
რადგან ამგვარი უსაქმურობა  
არის ყოველგვარ ცოდვათა ღედა.

(მიღის მოპირდაპირე მხარეს.)

ორლანი, რომელიც ამ წინა საუბრის დროს ყრუ ხმებს გამოსცემდა, უეცრად ბგერე-  
ბის ქარიშხლად ამოვარდება და შეწყდება მკვეთრი დისონანსით.

ცოტა ხნის მერე ტაძრიდან გამოდის ბ რ ა ნ დ ი.

## ბრანდი

ვერ ვიმორჩილებ ამ ბგერებს უკვე,  
რომ ძველებურად აქლერდნენ ძლევიტ,  
ბგერის მაგიერ ყვირილი ისმის...  
მათ სივრცე უნდათ ვიწრო ტაძარში,  
დასტურ, ვერ გრძნობენ თავს თავისუფლად.  
კუძმავეთ თაღნი და კამარები,  
თან ირიდებენ გაბოროტებით,  
შემდეგ კი ირგვლივ ეკვრიან მჭიდროდ.  
ვით მიცვალებულს კუბოს ფიცრები...  
იბრძოდა სული გაშმაგებული,  
ორლანმა კი ხმა დაკარგა მაინც!

რა უნდა მექნა, დავიწყე ლოცვა,  
მაგრამ ვედრება, ვით კვნესა მძიმე,  
ვერ ახერხებდა აფრენას მალლა,  
გეგონებოდათ დაჟანგებული  
და გაბზარული ზარის ლითონი.  
თითქოს აქ იდგა თვითონ უფალი  
იქ, ვრცელ დარბაზში, მახლობლად ტახტის  
და უარს ჰყოფდა მრისხანე ხელით...  
ხალხს თავხედური მივეცი აღთქმა,  
ამეგო მისთვის ტაძარი ვრცელი,  
ძველი ტაძარი კი დავუნგრეე  
და გავასწორე მიწის პირამდე.  
აჰა, გასრულდა შენობა უკვე,  
ისმის ჩოჩქოლი და შეძახილი:  
„რა დიადია, რა დიდებული!“  
ვინა ვართ სწორი: მე თუ ისინი?  
„პატარა არის“, — კიჟინებს სული...  
იქნებ დიდია? მაგრამ ეს სახლი  
ის არის, რისი აგებაც მსურდა?  
ნუთუ ნამდვილად ამნაირ სახლზე  
ოცნებით წყურვილს იკლავდა გული?  
განა ეს არის ნიმუში მისი,  
რომელსაც დიდი მწუხარების ჟამს  
ხედავდა ჩემი მჭმუნვარე სული  
ცოდვილ მიწაზე ამაღლებულსა?  
აგნეს, ახლა რომ ცოცხალი იყო,  
შენ იხილავდი დიდებულს მასში,  
გამიფანტავდი ეჭვსა და ტკივილს —  
რომ პატარა და ვიწროა იგი,  
დამარწმუნებდი, როგორც მწვანე ხე,  
ცაბა და მიწას რომ მოხვევია.

(შეამჩნევს საზეიმო მზადებას.)

მწანე რტოები, ალამი, ხალხი  
ფერდობზე მდგარი, მოწაფეები

იზეპირებენ კანტატას უკვე;  
ივსება პრესტის სასახლის კარი,  
მისასალმებელს იგრგვინებს ქორო;  
ლატანზე ჩემი ღერბი ჰკიდია...  
ოჰ, ღმერთო ჩემო, აწ განმინათლე  
გონება და ან მიწაში ჩამფალ.  
ახლა ყოველგვარ წესს დაიცავენ:  
დიახ ყოველგვარს, როს დაიწყება  
ზეიმი ერთი საათის შემდეგ.  
მათ ფიქრებსა და გულებში ახლა  
მხოლოდ პრესტი ზის, ბაგეებზედაც  
მათ აკერია პრესტის სახელი.  
მრევლის აზრს ვიცნობ, სასჯელზე უფრო  
მიწვავს გულს ახლა მე მისი ქება  
და სულში დნება, როგორც ყინული.  
ნეტავ შემეძლოს, შემეძლოს მაინც,  
რომ დავიხვიო პატარა გუნდად,  
გადავივიწყო ეს ყველაფერი  
და შევიმალო მხეცის სოროში!.. .

### ფოგტი

(გამოცხადება სრული საპარადო ფორმით და, სიამოვნებისაგან სახეგაბრწყინებული,  
მიესალმება ბრანდს)

დიდი დღე დადგა, დიახ, ნამდვილად!  
შემდგომ ექვსდღიან უჩაით შრომის  
მოდის შაბათი — დღე დასვენების.  
ახლა კი მშვიდად, უიალქნებოდ  
და ალმის ჩრდილქვეშ ნელა წაყვებით  
მდინარის დენას კეთილ საქმისკენ, —  
მშვენიერია და დიდებული!  
მოგესალმებით დიდო და დიდად  
კეთილშობილო ადამიანო!  
თქვენი დიდება ტაშის გრიალით  
გაივლის ყველა გზასა და ბილიკს,

მთელ არემარეს მოეფინება!  
ბედნიერი ვარ და მეტისმეტად  
ათრთოლებული ამ სიხარულით!  
თქვენ კი?..

ბ რ ა ნ დ ი

რაღაცა მიჭერს მე ყელში...

ფ ო გ ტ ი

უკუიცალებთ მაგგვარი გრძნობა!  
ღრო დადგა უკვე გამოამქლავნოთ  
თქვენ ხელოვნება ქადაგებისა  
და სქეჟოთ, სამწყსოს დაუტკბოთ სმენა.  
კედლებს ისეთი აქვს რეზონანსი,  
ყველანი ტრანსში ჩაცვივდებიან  
განცვიფრებისგან.

ბ რ ა ნ დ ი

მართლა?

ფ ო გ ტ ი

თვით ღირსმა  
პრობსტმაც კი აქო თქვენი ტაძარი.  
რა დიდებული სტილია მერე!  
რა სიძლიერეს მოიცავს ფორმა!

ბ რ ა ნ დ ი

ნამდვილად მოგწონთ?

ფ ო გ ტ ი

დიახ, ნამდვილად!

ბ რ ა ნ დ ი

თუ შეამჩნიეთ?



ფოგტი

რა შევამჩნიე?

ბრანდი

ის, რომ ჩანს იგი ასეთი დიდი?

ფოგტი

რა? ჩანს კი არა, დიდია იგი,  
ნათელი, ვრცელი და დიდებული,  
როგორც ახლოდან, ისე შორიდან.

ბრანდი

დიდია მართლა? ნამდვილად დიდი?

ფოგტი

ღმერთმანი! ისიც შეიძლებოდა,  
რომ ჩაგვეთვალა ძალიან დიდად  
ასე პატარა, ჩრდილო მხარისთვის.  
სხვა ქვეყნებს სულ სხვა ღირსება ახლავთ:  
სხვა საზომები, სხვა მასშტაბები,  
აქ კი, სადაც გვაქვს ცხოვრება მწირი,  
ამ ფიორდსა და კლდოვან ქედს შორის,  
იგი ანციფერებს, ძრწოლას ჰგვრის სულსა.

ბრანდი

მაშასადამე, მხოლოდ ახალი  
სიცრუითა ვცვლით ძველ სიცრუესა.

ფოგტი

რაო?

ბრანდი

ჩვენ ხალხის აზრი ძველიდან,  
ჩამონგრეული, დახავსებული  
ტაძრიდან ახალს, თანამედროვე

სტილით აგებულს შევეუბრიალეთ,  
ცისკენ, ლაჟვარდში რომ ატყორცნილა,  
და თუ იგი ძველს შეჰპლრიალებდა:  
„ძველს ვცეთ თაყვანი!“ — ახლა დაცინვით  
იტყვიან ალბათ: „შეხედეთ ერთი,  
რარვი დიდია! მგონი, ამნაირს  
ვერსადა ნახავთ მთელს მსოფლიოში!“

### ფოგტი

ო, დიდ თავხედად ჩავთვლი მე იმას,  
თუკი მოითხოვს ჩვენ შორის ვინმე  
ამაზე ვრცელსა და მაღალ ტაძარს!

### ბრანდი

დიახ, თუმც, დაე იცოდეს ყველამ,  
რომ ეს ტაძარიც პატარა არის,  
ვიცრუებთ, ხალხს რომ ეს დავუმალოთ!

### ფოგტი

დამიგდეთ ყური, ღვთის მადლმა, ეგრე  
ნუ ეინიანობთ! საკუთარ ნაღვაწს  
თვითონვე ასე რად უტებთ სახელს?  
ტაძრის სიმდიდრით და სილამაზით  
კმაყოფილია ხალხი ნამდვილად, —  
მსგავსი თვალითაც კი არ უნახავთ  
და ამიტომაც კარგია იგი.  
ნეტავ ყოველთვის მიაჩნდეთ ასე, —  
რად შევაშფოთოთ ღატაკი კაცი  
და ჩირაღდანი წავჩაროთ ცხვირში,  
თუ შუქი არვის მიჰქონდა მისთვის?  
ეს ყველაფერი რწმენის საქმეა:  
და განსხვავებას ვერ ვხედავ სულაც,  
ტაძარი მართლა დიდი, ვრცელია,  
თუ ერთი რაღაც საძალღე მხოლოდ,  
რაკი ხალხსა სწამს სულით და გულით,  
რომ ის დიდია, მაღალი, ვრცელი.

ბ რ ა ნ დ ი

ერთს და იმავეს ჰქადაგებთ ყველგან.

ფ ო გ ტ ი

თანაც აქ ახლა ზეიმი გახლავთ,  
ბევრი სტუმარი გვეწვია უკვე  
და, აბა, კარგი იქნება განა,  
რომ ჩავუმწაროთ მათ სიხარული?  
გარდა ამისა, თქვენზეცა ვზრუნავ,  
ახლა ყვირილი რად უნდა მორთოთ,  
რომ ყველას უცებ გააგებინოთ,  
რა ზომისაა ჩვენი შენობა?

ბ რ ა ნ დ ი

რად არა ვითომ?

ფ ო გ ტ ი

აი მიზეზი:

საბჭოს თემისას სურს, რომ მოგიძღვნათ  
ვერცხლის ახალი, ბრწყინვალე თასი,  
ალარ იკითხავთ წარწერას მასზე,  
ეს ხომ ნამდვილი თავშექცევაა  
პირდაპირ მტრების თვალდასათხრელად.  
ჰიმნი, რომელსაც გიმღერებთ ქორო?  
სიტყვა, სად გასახავთ თქვენ მაგალითად?  
ეს ყველაფერი მტკნარ სისულელედ  
გადაიქცევა, თუ დავამცირებთ  
ტაძრის სიდიდეს და მის ღირსებას.  
აი ხომ ხედავთ, დაგვენბდეთ უნდა  
და გონივრულად მოიქცეთ თქვენაც,  
ვით იქცევიათ აქ დანარჩენნი.

ბ რ ა ნ დ ი

ვხედავ: სიცრუის სახელით უნდა  
დაიწყოს ახლა ზეიმი ყალბი

## ფოტო

ოპ, ღმერთო, რარიგ განიცდით ამას!  
ჩემო ძვირფასო, რა გნებავეთ მაშინ?  
მაგრამ რაკი გსურთ, გემოვნებაზე  
ვიდაოთ მაინც, მე თანახმა ვარ,  
წამოგიყენებთ სხვა არგუმენტსაც, —  
ის ნაწილობრივ ვერცხლისა გახლდათ,  
ეს კი ოქროსი იქნება ახლა!  
პატივისცემა და მოწყალება  
ბედის რჩეულის ხვედრია მუდამ,  
მოკლედ რომ გითხრათ, გაძლევენ ორდენს.  
და ახლა, ყელზე ჯვარდაკიდულმა,  
უნდა იაროთ დიდების გზაზე.

## ბრანდი

მე მძიმე ჯვარი მკიდია ყელზე,  
წამების ჯვარი და ვინა ბედავს,  
ვის შეუძლია, რომ ამხსნას იგი?

## ფოტო

როგორ? გულიც კი არ აგითრთოლათ?  
გულგრილად ხვდებით ამგვარ წყალობას?  
არა, ნამდვილი ხართ გამოცანა.  
ღვთის გულისათვის, გონს მოდიოთ მაღე,  
დიდებულ ჭილდოს ნუ ჩაიმწარებთ

## ბრანდი

(ფეხს დააბაკუნებს)

ვერ დამარწმუნებთ, ამაოდ დაშვრით  
ამდენ ლაყბობით, მიეთმოეთით.  
ვერ მიხვდით, რაც მე გითხარით, იმას,  
არ გესმით ჩემი სიტყვების აზრი;  
მე ვგულისხმობდი ისეთ სიდიდეს,  
რომელიც გოჯით არ იზომება

და საიდანაც უკუიფრქვევა  
სხივები, სულს რომ აგვინთებს ხოლმე,  
ხან კი დაგვიზრობს, როგორც ყინული,  
და საიდანაც სჩქედს ნაკადული,  
ერთი კი არა, ასი, ათასი,  
რომელთაც უნდა ჩვენ დავეწაფოთ...  
გვხიბლავს, ვით დამე ვარსკვლავიანი,  
ვით... ოჰ, წაბრძანდით, დამლაღეთ უკვე, —  
აწ სხვებს ედავეთ, სხვებს განუმარტეთ!  
(სასწრაფოდ მიდის ზევით ტაძრისაკენ.)

### ფოგტი

(ლაპარაკობს თავისთვის)

აბა, მითხარით, ამ აბდაუბდა  
აზრებში ფუსფუსს ვინ დაიწყებდა  
ქეშმარიტების აღმოსაჩენად?  
დიდი ის არის, რაც ხალხს არ ესმის,  
რაც უკუაფრქვევს სხივებს, იგი, რაც  
არის უსაზღვრო, განუზომელი.

(გადის.)

### ბრანდი

(ბრუნდება)

ისე ეული, ვით ახლა მე ვარ,  
ჯერ არ ვყოფილვარ ამ ხეობაში,  
ყოველ ჩემს კითხვას აქ ყიყინით და  
კიყინის ცემით ხვდებიან ხოლმე,  
პასუხს მხოლოდ ბრბოს ხორხოცი მაძლევს.

(იციირება იქით, საითაც ფოგტი წავიდა.)

ამ არამზადას გავსრესდი ქუსლით, —  
როგორ ვცდილობდი, რომ მისი მზერა  
მომეწყვიტა მე ამ სიყალბიდან,  
მას კი ფეხებზე ეკიდა სულაც  
ეს ყველაფერი და აშიშვლებდა

ჩემ წინ თავის ბილწ და დამპალ სულსა.  
ოჰ, დავიტანჯე, ძვირფასო ავნეს!  
რატომ იყავი ეგეთი ნაზი,  
ხომ იქნებოდი ცოცხალი ახლა  
და სასიკეთოს მირჩევდი რაშეს.  
მომალა უკვე დიდმა მგზავრობამ,  
ამ უმაქნისმა თამაშმა ქვეყნად,  
სად არვინაა დამარცხებული,  
გამარჯვებულიც არავინ არის  
და ერთადერთი მებრძოლი მე ვარ...  
რას ვიქმ, როს ძალა ერთობაშია.

### პ რ ო ბ ს ტ ი

(შეშოდის)

ჩემო შვილებო, ჩემო კრავებო!..  
ოჰ, მომიტევე, ჩემო კოლეგა!  
დღესასწაულმა დამასხა თავბრუ,  
ახლაც სიზმარში მგონია თავი.  
ქადაგებას რომ ვსწავლობდი გუშინ,  
ჩაჭედილი მაქვს თავში მთლიანად.  
მაგრამ ამაზე ნულარას ვიტყვი.  
დიდი მადლობა მსურს შემოგწიროთ  
თქვენ, მამაცურად ვინც გაარღვიეთ  
მძიმე ყინული, წინ მიდიოდით  
ამგვარ ლაქლაქში, უსაქმობაში  
და დაანგრიეთ ძველი ტაძარი,  
რომ დიდებული აგეგოთ უფრო.

### ბ რ ა ხ დ ი

ო, არა, ჯერა.

### პ რ ო ბ ს ტ ი

გთხოვთ მომიტევეთ,  
სინათლის გარდა სჭირდება რამე?

## ბ რ ა ნ დ ი

რომ დაესახლოს ტაძარსა ამას  
სული წმინდა და განახლებული.

## პ რ ო ბ ს ტ ი

ის თავისთავად შემდეგში მოვა:  
ასე ბრწყინვალე, განათებულ და  
მშვენიერ. მაღალ ტაძარში ხალხი  
შევა ხალასი და განწმენდილი.  
და რეზონანსი? დადგები პულტთან,  
გაფრინდებიან სიტყვები სწრაფად,  
გაორკეცდება ბგერები მათი,  
გაძლიერდება თვით მრევლის რწმენაც  
ასით, თუ მეტი პროცენტით არა.  
აი შედეგიც! შართალი გითხრათ,  
დიდი ქვეყნებიც ვერ შეიძლებენ  
წარმოგვიდგინონ ამაზე დიდი,  
ამაზე ვრცელი და უკეთესი, —  
ამიტომ ქება-დიდება თქვენდა!  
მოვედ, მადლობა რომ შემოგწიროთ  
სულით და გულით, ძვირფასო ძმაო.  
და დამთავრდება პარადი როცა,  
როცა ტაბლასთან დავსხდებით, ალბათ,  
თქვენს სადიდებლად იტყვიან მრავალ  
მოსწრებულ, ლამაზ და გრძელ-გრძელ სიტყვას,  
ჩინის მიხედვით — ქვემოდან ზევით...  
მაგრამ, ბრანდ, რარიგ წავსვლიათ ფერიი..

## ბ რ ა ნ დ ი

დიდი ხანია, რაც მიღალატა  
მე სიმამაცემ და ძალ-ლონემაც.

## პ რ ო ბ ს ტ ი

გასაგებია: არა ზოგავდით  
ძალას და არცა გშველოდათ ვინმე...

მაგრამ წასულან დღეები ავი,  
დღე ხვალინდელი გიმზადებთ ჯილდოს,  
ნუ, ნუ გაიტეხთ გულს ეგრე ძლიერ!  
ხედავთ: დაძრულა რამდენი ხალხი  
და თქვენკენ მოდის, როგორც მდინარე.  
ან კი ვინაა, მომიგეთ ერთი,  
მკვერმეტყველებით რომ შეგედაროს?  
აგერ, შემოკრბენ მსახურნი ღვთისა,  
სურთ სიხარულით ჩაგეკრან მკერდში;  
აი, იქ კიდევ სამრევლო თქვენი  
გიგზავნით სალამს, მადლობას გულწრფელს;  
რა ჩინებულად მოგვარდა თერე  
ყოველი საქმე და ყველაფერი  
რა ბრწყინვალეა, რა დიდებული  
თუ გნებავთ თემა ქადაგებათა,  
გამასპინძლება მოსულ სტუმრების!  
პასტორის ეზომ მომხიბლა ფრიად,  
რა ლამაზი ხბო დაუკლავთ მერე,  
რა ახალგაზრდა, რა გემრიელი.  
ჩემო კეთილო, რარიგ ძნელია  
გემრიელ ლუკმას რომ შეხვდეს სადმე,  
ხომ იცით, წელს რა მძიმე წელია:  
გირვანქა ხორცი ცხრა მარკად ფასობს!  
მაგრამ ეს ისე, ჩვენ შორის დარჩეს, —  
სულ სხვა საქმისთვის მოვედი თქვენთან.

### ბ რ ა ნ დ ი

მაშ დასცხეთ, დასწვით, რაღას უყურობთ?

### პ რ ო ბ ს ტ ი

მე ლმობიერად ვიქცევა უფრო.  
მაგრამ შემინდეთ, — ავჩქარდეს უნდა.  
ერთი მუხლია, — ამიერიდან  
რომ ამოიღოთ ის სამუდამოდ,  
არც ისე ძნელი იქნება თქვენთვის;



მე ვფიქრობ, უკვე გასაგებია,  
 რასაც ვგულისხმობ ამ წუთს მე მასში.  
 ეს არის ჩინის მოვალეობა:  
 თქვენ ზოგჯერ დიდად არ აფასებდით  
 თემის ძველ ადათს და ჩვეულებას,  
 ჩვეულება კი საფუძველია,  
 თუმცა ყველაზე მთავარი არა,  
 მაგრამ ერთ-ერთი უპირველესი.  
 მე არა გკიცხავთ, ჩემო ძვირფასო,  
 თქვენ აქ მოხვედით სულ ახალგაზრდა,  
 თანაც უცნობი აქაურთ შორის  
 დიდ ქალაქიდან, არ შეიძლება  
 არა გცოდნოდათ, ხალხს რა სჭირდება.  
 აწ კი, ერწმუნეთ ჩემს ნათქვამ სიტყვას,  
 სხვაგვარად უნდა წარმართოთ საქმე, —  
 ჩასწვდეთ, გაიგოთ ის უფრო სწორად.  
 თქვენ აკეთებდით ყველაფერს ისე  
 აჩქარებით, რომ, ჩვენ შორის დარჩეს,  
 ეს შეცდომაა, ძვირფასო ჩემო, —  
 არა, შეღებეთ სულ ერთნაირად,  
 ერთად აწონეთ სასწორზე ყველა,  
 მერწმუნეთ, თქვენთვის იქნება კარგი.

### ბ რ ა ნ დ ი

სთქვით უფრო ნათლად!

### პ რ ო ბ ს ტ ი

შეხედეთ ერთი,  
 რა ბრწყინვალეა თქვენი ტაძარი,  
 ყველაზე დიდი და მყუდრო ბინა  
 ქვეყნად კანონის და სიმშვიდისა.  
 რელიგიაში, არც უსაფუძვლოდ,  
 სჭვრეტს სახელმწიფო თავის დასაყრდენს  
 და თავის ძალას, რითაც შეიძლება  
 გახადოს ხალხი კეთილშობილი,

იყოს ზნეობის ის ავანპოსტი.  
მაგრამ მარაგი სახელმწიფოსი  
თუ ფონდი ძალზე მცირეა ხოლმე  
და დიდ ვალუტას მოითხოვს იგი,  
ვინაც კარგია, ვით ქრისტიანი,  
ვით მოქალაქეც, კარგია იგი.  
რა? — სახელმწიფომ უნდა გახარჯონ  
სულ ყველაფერი უფლის სახელით  
და თვით კი დარჩეს შეშფოთებული?  
არა, ძვირფასო, ის ჭკვიანია  
და ჩვენ შავი დღე დაგვადგებოდა,  
რომ სახელმწიფო ძალზე დიდ ღონეს  
არა ხმარობდეს ხ ა ლ ხ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი მ  
წასამართავად; იგი ამ მიზანს,  
ჩემო კეთილო, ანხორციელებს  
თავის გონიერ მოხელეების,  
ამ შემთხვევაში, სასულიერო  
მოღვაწეების საშუალებით.

ბ რ ა ნ დ ი

რა ბრძნულად მსჯელობთ.

პ რ ო ბ ს ტ ი

რაკი ტაძარი

თქვენ ააშენეთ და გადაეცით  
ჩვენს სახელმწიფოს, ამიერიდან  
კარგი იქნება, მუდამ ერთგულად,  
თავდადებულად რომ გვედგეთ მხარში.  
და ეს ზეიმიც, აწ რომ იწყება,  
განიმსჭვალება ამგვარი სულით,  
ამ სულით სუნთქავს ზართა გუგუნიც.  
სწორედ ამგვარი სულისკვეთებით  
თქვენ განბოძების აქტს წაიკითხავთ.  
ამას გულისხმობს თვით თქვენი აღთქმაც —  
ხელს არ შეგიშლით ის არაფერში.

ბ რ ა ნ დ ი

ვეიცავ, მე აზრად არა მქონია...

პ რ ო ბ ს ტ ი

ნამდვილად, მაგრამ, საუბედუროდ,  
აწ გვიანა!

ბ რ ა ნ დ ი

გვიანააო?

ენახავთ, გვიანი არის თუ არა!

პ რ ო ბ ს ტ ი

თქვენ გონივრული მოქცევა გმართებთ  
და არც გჭირდებათ, როგორც შეშლილმა,  
რომ დაამსხვრიოთ აწ ყველაფერი.

არც მოველოდი ცუდ რამეს თქვენგან.

შეუმსუბუქეთ სასჯელი სულებს  
და სახელმწიფოს მსახური გახდით:

თუკი იმარჯვებთ, ორი ბატონის

მომსახურება არაა ძნელი,

მშვიდად, ჰკვიანად მოიქცეთ უნდა.

ის როდი გმართებთ, რომ ჯოჯოხეთის

ცეცხლისგან იხსნათ პაული, პერი,

უნდა მოჰტინოთ სამრევლოს თქვენსას

ნუგეშინის და წყალობის შუქი.

და თუ თავს იხსნის სამრევლო მთელი,

თვითეულს თვისი შეხვდება წილი.

სახელმწიფო ხომ. — იქნებ თქვენ არც კი

იცოდეთ კარგად, — რესპუბლიკური

არის ნახევრად. თუმც სდევნის იგი

თავისუფლებას, როგორც შავ ჰირსა,

მას სიამოვნებს თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა

და ამიტომაც ეს მთავორები

უნდა აქციოს მან ტრიალ მინდვრად.

თქვენ სხვა რაიმეს ისახავთ მიზნად:

სხვადასხვაობა მრევლის აზრების  
ასგზის, ათასგზის გაზარდეთ ახლა,  
ამის მსგავსი რამ სად იყო წინათ?  
თქვენ პ ი რ ო ვ ე ბ ა შეჰქმენით, ადრე  
კი იყო მხოლოდ უბრალოდ მ რ ე ვ ლ ი ;  
ძალიან ცუდი სამსახურია!  
ამიტომაა, რომ გაჭირვებით  
იხდიან სულადს, საშემოსავლო  
გადასახადებს, რომ ეკლესიაც  
აწ აღარაა ისეთი ქუდი,  
ყველა კაცს კარგად მოერგოს თავზე.

### ბ რ ა ნ დ ი

ო, რარიგ შორი ჰორიზონტები  
გადაეშალა ჩემს თვალებს უკვე!

### პ რ ო ბ ს ტ ი

მაგრამ არ უნდა დაეცეთ სულით!  
თუმცა სადავო სულაც არაა,  
რომ აქ სასტიკი დომხალი სუფევს,  
მაგრამ ცხოვრება სადაც ხმაურობს,  
ადგილი მუდამ ექნება იმედს;  
ამ ძღვენმა თქვენი მოვალეობა  
გააორმაგა, გაზარდა უფრო,  
აწ უწინდელზე თავგამოდებით  
და მუყაითად იშრომით უნდა  
ეკლესიისთვის, სახელმწიფოსთვის.  
უნდა დამყარდეს წესრიგი მკაცრი,  
ის წამალია საუკეთესო.  
საშიში არის გაუხედნავი  
კვიცების სწრაფი, გიჟური ქროლა,  
რადგან ამტვრევენ ღობის მარგილებს,  
წესივრად დასმულ სასაზღვრო ნიშნებს!  
ერთნაირია კანონი ყველგან,  
თუმც მრავალგვარი სახელი ჰქვია:  
ხელოვნებაში უხმობენ სკოლას,

ხოლო სამხედრო საქმეში, — თუმცა  
ცოტა რამ მესმის, — ნაბიჯით სვლასა!  
აი, ეს, მართლაც, სიტყვაა კარგი,  
ქვეყნის მიზანი მასშია სწორედ:  
გაიქცე — გზიდან გადავარდები,  
ადგილი სტკეპნო — ცოტაა ძალზე;  
სწორი ნაბიჯი სჯობია ისევ,  
რომ ფეხაწყოებით იაროს ყველამ:  
„ამან“ და „იმან“, აი, ეს არის  
ბრძნული მეთოდი სახელმწიფოსი.

### ბ რ ა ნ დ ი

არწივს ვუბოძოთ მდინარის არხი,  
ბატს კი — ბრწყინვალე ლაქეარდი ცისა.

### პ რ ო ბ ს ტ ი

მადლობა ღმერთს, რომ არ ვართ ჩიტები,  
მაგრამ, იგავი ვახსენეთ რაკი,  
სჯობს საღვთო წერილს მივმართოთ და იქ  
ძალგვიძს მივაგნოთ უამრავ რამეს:  
თვით უეცაქმედან ვიდრე ცოდვების  
მონანიების არ დაჰკრავს ჟამი —  
ჰკუთის სასწავლი არის ყოველი.  
ავილოთ თუნდაც ჩვენ ბაბილონის  
გოდოლი, როგორც ნიმუში დიდი —  
ააგეს იგი? და რატომ ვერა?  
ძალზე ადვილად მივხვდებით ამას:  
როცა სხვადასხვა ენით დაიწყეს  
მათ ლაპარაკი, ველარაფერი  
გაუგეს ერთურთს, ვერ მისცეს მხარი,  
და საზოგადო უღლის გაწევა  
აღარ ისურვეს, — ყველას მოუნდა  
ცალ-ცალკე მღერა, — მოკლედ რომ გითხრათ,  
პიროვნებებად გადიქცნენ უკვე,  
აი, ეს არის ის ნახევარი,

რასაც იგავის ნაჭუჭი ჰფარავს:  
ვინც ხალხისაგან გაღგება ცალკე,  
ყველას უმწეოდ დაღუპვა ელის.  
ვისი დაღუპვაც უფალსა ნებავეს,  
ჯერ გადააქცევს ინდივიდუალად  
და გულიანად ხარხარებს მერე.  
რომაელები იტყოდნენ მასზე:  
„გამოაცალა გონება ღმერთმა!“  
ამ ჩვენს ჰუმანურ საუკუნეში  
მარტოკა კაცი გიჟია მხოლოდ  
და ისეთივე ბედი მოელის,  
როგორიც ერთხელ ურიას ერგო,  
მეფე დავითმა ცხარე ბრძოლაში  
სულ მარტოდმარტო რომ გააგზავნა.

### ბ რ ა ნ დ ი

შესაძლო არის, მაგრამ მერწმუნეთ,  
სიკვდილით ყველა არ იღუპება.  
ნუთუ თქვენ გჯერათ, ნამდვილად გჯერათ,  
რომ თუნდაც ერთი ენა ჰქონოდათ  
მშენებლებს, სწრაფად აშენდებოდა  
მაშინ გოდოლი ბაბილონისა  
და მიაღწევდა ზეცამდე ბოლოს?

### პ რ ო ბ ს ტ ი

ზეცამდე? სწორედ ეგაა საქმე,  
რომ ვერ მივალწევთ ჩვენ ზეცის საზღვარს  
და ნახევარი მეორეც სწორედ  
ეს არის, რასაც ნაჭუჭი ჰფარავს.  
განწირულია განზრახვა ყველა,  
რაც კი ესწრაფვის ზეცაში ასვლას.

### ბ რ ა ნ დ ი

კი, მაგრამ კიბე, ცად მიმავალი,  
იაკობმა ხომ სიზმარში ნახა,  
ზეცას მიაღწევს სწრაფვა სულისა.

## პ რ ო ბ ს ტ ი

აჰ, მ ა გ გ ვ ა რ ი გზით, — რაღა თქმა უნდა!  
ამის შესახებ ლაყბობაც არ ღირს:  
ცხადია ზეცა გვრგებია ჭილდოდ  
მტკიცე რწმენისთვის და სიწმინდისთვის;  
მაგრამ რწმენა და ცხოვრება ერთი  
არ არის სულაც, ამგვარ საქმეში  
ზიანს მოგვიტანს აღრევა მათი.  
ღმერთმა შრომისთვის ექვსი დღე მოგვცა,  
ხოლო მეშვიდე გრძნობებისათვის.  
შვიდივე დღეს რომ ტაძარში სწიროთ,  
ნეტავი ვილა მოგივათ მაშინ?  
რომ სულ აფრქვიოთ დაუზოგავად  
გამწმენდ სიტყვათა ნელსურნელება,  
მხარდაჭერას ვერ შეხვდებით მაინც:  
რელიგიასაც, ვით ხელოვნებას,  
არ შეუძლია დაუსრულებლად  
იდინოს კაცთა გრძნობების ორთქლად.  
იდეალს თქვენსას ბგერის ტალღებზე  
ამაღლებული აჰბიონიდან  
უნდა თვალნათლივ ხედავდეთ, ჰვრეტდეთ,  
მაგრაც რომ მზეზე გამოხვალთ ერთად  
სწორედ იმავე შესამოსელით,  
რაიც პრესტს ეცვა, ეგ იდეალი  
გვერდზე გადადეთ აუცილებლად.  
ყველაფერს ერთი კანონი მართავს:  
იგი მოითხოვს განსაზღვრას მტკიცეს  
და ამიტომაც სწორედ ეგ მუხლი  
განვიხილე მე აქ თქვენთან ერთად.

## ბ რ ა ნ დ ი

უკვე გავიგე, — მხოლოდ ყაჩაღი  
შეჰფერის თქვენი სულების საქმეს.

### პ რ ო ბ ს ტ ი

ო, რასა ბრძანებთ, მაგრამ აწ უფრო  
მაღალი ჩინით, თუკი ისურვებთ...

### ბ რ ა ნ დ ი

რათა უფრო ღრმად ჩამფლათ მიწაში?

### პ რ ო ბ ს ტ ი

ვინც თავს იმდაბლებს, ის ამაღლდება,  
მაგრამ ჭერ უნდა მოდრიკონ იგი.

### ბ რ ა ნ დ ი

ადამიანი რომ გამოგადგეთ,  
პირველად მაგრად მიჰბეგვავთ ხოლმე.

### პ რ ო ბ ს ტ ი

ღმერთმა მაშოროსი ეგ სისულელე  
როგორ დამწამეთ, დაექვდით ჩემში?

### ბ რ ა ნ დ ი

აღბათ ასეა: ჭერ მას მთლიანად  
დასწრეტ სისხლიდან მხოლოდ ჩონჩხს ძალუძს,  
რომ გააგრძელოს თქვენი სიცოცხლე,  
ეგრე დამზრალი და გათოშილი.

### პ რ ო ბ ს ტ ი

ღმერთი ხომ ხედავს: არათუ თქვენა,  
სისხლს მე კატასაც არ გამოვუშვებ.  
ვფიქრობდი, ოღნავ გამელო თქვენთვის  
ის კარი, სადაც მივდივარ თვითონ,  
ღრიჭოში მაინც რომ შეგეხედა.

### ბ რ ა ნ დ ი

განა ვერ მივხვდი, რ ა ც თქვენ გპირდებათ?  
ვუსმინო ყვილს სახელმწიფოსას



და განვდგე ჩემი იდეალისგან,  
თვითონ უფალმა რომ დამისახა.

### პ რ ო ბ ს ტ ი

ო, არა, მე არ მოვიტხოვ მაგას.  
მე მხოლოდ თქვენი მოვალეობა  
გაგაგებინეთ: უნდა გაჩუმდეთ  
იმაზე, რაც ხალხს სულ არ სჭირდება,  
ფიქრს კი უამრავს ელოლიავეთ  
და მაგრად, მაგრად ჩაჰკეტეთ თავში.  
ისე კი გწამდეთ, რამდენიც გნებავთ,  
და იოცნებეთ დაუსრულებლად,  
ხოლო ფიქრები სხვას არ გაანდოთ,  
არ გაუმხილოთ ისინი მრევლსა.  
იცოდეთ, მუდამ თავის თავს ისჯის  
ვინც ჭიუტია, ქედმოუხრელი.

### ბ რ ა ნ დ ი

ღიახ, ცახცახი სასჯელის შიშით  
და ხარბი თვალით ჭილდოსთვის ცქერა  
აღბეჭდილია შენს შუბლზე ისე,  
როგორც კაენის სასტიკი დალი  
და იგი გვამცნობს: შენივე ხელით,  
ამ მეტისმეტი მსოფლიო სიბრძნით  
ჩაჰკალ აბელი საკუთარ თავში.

### პ რ ო ბ ს ტ ი

(თავისთვის)

უკვე „შენობით“ მესაუბრება?  
მეტისმეტია...

(ხმამალა)

ადარ განვაგრძობ

აწ თქვენთან დავას, მაგრამ მე ისევ  
გულწრფელადა გთხოვთ, გაიგოთ ერთი:  
გამარჯვებაზე როდესაც ფიქრობ,

უნდა იცოდე, როგორ დროსა და  
 რა ქვეყანაში, რახალხში ცხოვრობ  
 და შენს მხარეზე არის თუ არა  
 თანამედროვე სულა ძლიერი,  
 თორემ სხვაგვარად, იცოდე, ბრძოლა  
 არის უმიზნო და უნაყოფო!  
 თვით მგოსნებიც კი, როგორც მხატვრები,  
 ვერ აიგდებდნენ აბუჩად ამას.  
 ჯარს არ იკითხავთ? მათ ჟანგიან ხმალს  
 შემატიანის ზღაპრად ვთვლიდით  
 და რისთვის მერე? — ესაა საქმე.  
 კანონი ითხოვს — პატივი ეცი  
 მას, რაც სჭირდება ქვეყანას შენსას.  
 უნდა წავშალოთ ჩვენ განსხვავება,  
 წინ ნუ მიძვრები, ნუ იწევ ზევით,  
 იარე მუდამ მასის თანაბრად.  
 ფოტმა თქვა, რომ დრო ჰუმანურია, —  
 თქვენც შესაფერი იყავით ამის,  
 უფრო დიდი რომ შეიქნეთ ქვეყნად,  
 შემოიქლიბეთ ყველა წახნაგი,  
 შემოიჭერით ტოტებიც რგვლად  
 და ყველას ფეხი აუწყვეთ მწყობრად,  
 ერთ რიგში, წინ ნუ გაეჩქარებით  
 განსაკუთრებულ ბილიკით, მარტო, —  
 გწამდეთ, რომ საქმე წაგივათ კარგად.

ბ რ ა ნ დ ი

შორს, შორს აქედან!

კ რ ო ბ ს ტ ი

დიახ, ძვირფასო,  
 ისეთ მოღვაწეს, როგორიც თქვენ ხართ,  
 წრე, რა თქმა უნდა, სჭირდება ვრცელი,  
 მაგრამ თქვენ მაინც სიამოვნებას  
 ჰპოვებთ, იმისდა მიუხედავად,

თუ სად მოხვდებით, რა სამყაროში,  
დიდი იქნება თუ მცირე იგი,  
ოღონდ ამ დროის მუნდირი გეცვათ.  
ბრბო რომ თანაბრად მიაბიჯებდეს,  
ჯერ ჯოხით ტაქტზე შეაგდო უნდა,  
იდეალი კი ხალხის ბელადის  
კაპრალობაა ახლანდელ დროში,  
როგორც მას მიჰყავს ჭარისკაცები,  
ოცეულებად განლაგებული  
უფლის ტაძრისკენ თუ საპარადოდ,  
ასევე პრესტიჯ ვალდებულია,  
რომ სამოთხისკენ წარუძღვეს მრევლსა.  
ეს ადვილია; ავტორიტეტი  
რწმენის ნამდვილი საფუძველია  
და დასაყრდენი, მას კი, რადგანაც  
არის ყოველთვის ნაყოფი ცოდნის,  
ბრმად გაჰყვებიან ყველანი უკან.  
სარწმუნოების გავრცელებამდე  
ჯერ სასჯელს ჰპოვებთ ჩვენს განაწესში.  
მაშ ნუ ღონდებით და, ვიდრე დროა,  
გამოიცვალეთ თქვენს თავზე აზრი,  
უკუთცილეთ შიში და ეჭვი!  
ტაძარში შევალ — შევეძლებ თუ არა  
ცოტა მაღალი ავიდო ტონი,  
რეზონანსი ხომ აქვს საოცარი.  
მშვიდობით! ხალხს კი ქადაგების დროს  
ვეტყვი ბუნების ორპირობაზე,  
თვით მის შინაგან უთანხმოებას  
და უფლის სახით ესოდენ შერყვნას.  
მაგრამ მანამდე, პირველ ყოვლისა,  
მსურს, ცოტა მაინც რომ წავეიხემსო.

(გადის.)

ბ რ ა ნ დ ი

ღმერთს, მოწოდებას ვამსხვერპლე—მეთქი  
მე ყველაფერი, ვფიქრობდი ასე,

მაგრამ აწ მამცნო და დამანახვა  
 ყოველდღიური ცხოვრების ბუკმა,  
 ვის ვემსახურე ამდენი წელი.  
 მაგრამ ჭერ არა! მათ არა! არა!  
 მშენებლობა ამ დიდებულ ტაძრის  
 კვლავ გამჭდარი მაქვს ძვალსა და რბილში, —  
 ეს მსხვერპლი არის, სასტიკი მსხვერპლი  
 სიცოცხლისა და სიყვარულისა!  
 მაგრამ მე მათ ვერ შევწირავ სულსა!  
 საშინელია სულ მარტო იყო,  
 ყველგან სიკვდილის ნიშანს ხვდებოდე;  
 საშინელია ქვით გამისტუმრონ,  
 როს პური მშია, როს მშია პური.  
 დიახ, ამ კაცის ყოველი სიტყვის  
 ყოველი ასო მე მაუწყებდა  
 სასტიკ სიმართლეს — სიცარიელე  
 და სიცრუეა სიმართლე იგი!  
 სულის მტრედი კი ზის დამალული,  
 აღარ გამოჩნდა, მიშველოს რამე.  
 ნეტავ მანახა ისეთი კაცი,  
 ჩამინერგავდა ვინც მტკიცე რწმენას  
 და კვლავ სიმშვიდეს დამიბრუნებდა.

აინარი, ფერმკრთალი, ღონემიხდილი, შავად ჩაცმული მიდის გზაზე და, ბრანდბ  
 რომ დაინახავს, შეჩერდება.

ბ რ ა ნ დ ი  
 (წამოიყვირებს)

აინარი ხარ?

ა ი ნ ა რ ი  
 მიხმობენ ასე.

ბ რ ა ნ დ ი  
 ახლა ვნატრობდი, რომ შემხვედროდა  
 ისეთი კაცი, ვისაც ცივი ქვა  
 არ უდევს მკერდში, ნაცვლად გულისა.  
 მომიახლოვდი გადამეხვიე!

ა ი ნ ა რ ი

რისთვის? ნავსადგურს მივეშურები.

ბ რ ა ნ დ ი

კვლავ გული მოგდის? არ დაგავიწყდა  
ბოლო შეხვედრა?

ა ი ნ ა რ ი

არაფერია!

შენ უბრალო ხარ. ზეცის განგებამ  
გამომიგზავნა მე შენი თავი  
ბრმა იარაღად, ვითარცა ცოდვილს,  
რომ მოვდიოდი ჩემს გზაზე მშვიდად.

ბ რ ა ნ დ ი

(უკან დაიხვეს)

ე გ რ ა კ ი ლ ა ა ?

ა ი ნ ა რ ი

სიმშვიდის კილო,

შეძენილი მაქვს იმ დროს, როდესაც  
მე გამოვფხიზლდი დიდად ცოდვილი  
სიზმრებისაგან, — რომ ავლორძინდე.

ბ რ ა ნ დ ი

უცნაურია. მე მითხრეს, თითქოს  
სულ სხვა, სულ სხვა გზით რომ მიდიოდი:  
ჩანს, გადუხვეი.

ა ი ნ ა რ ი

გადამაცდინეს

მედიდურობამ განუსაზღვრელმა  
და საკუთარი ძალების რწმენამ.  
მხატვრობისა და სიმღერის ნიჭი  
მე გადამექცა იმ მტკიცე ბადედ,  
რამიც სატანამ გამაბა ბოლოს.

მაგრამ იდიდოს უფლის სახელი  
და დაილოცოს სახელი მისი,  
არ მიატოვა თავისი კრავი,  
როდესაც საქმე ელუპებოდა.

ბ რ ა ნ დ ი

რა ჰქმნა უფალმა?

ა ი ნ ა რ ი

ის, რომ მე შევცდი.

ბ რ ა ნ დ ი

შესცდი?

ა ი ნ ა რ ი

მასწავლა თავგადაკლული  
თამაში ზარის, თამაში კარტის.

ბ რ ა ნ დ ი

მაგას ეძახი ხსნასა და შევლას?

ა ი ნ ა რ ი

ეს ნაბიჯია, პირველი, მისკენ;  
შემდეგ წამართვა მან ჯანმრთელობა,  
მერე კი ნიჭიც დავკარგე უკვე;  
როს ჩემს სიხარულს მოედო ბოლო,  
საავადმყოფოს საწოლზე გავჩნდი  
და სიცხისაგან ვიწოდი სულ მთლად,  
ოთახებში კი, ასე მეგონა,  
თითქოს ვხედავდი გიგანტურ ბუზებს.  
როს გამოვკეთდი ოდნავად, შევხვდი  
ზუსტად სამ მედდას, სამ წმინდა მედდას,  
ზეცის მსახურად რომ შემდგარიყვნენ;  
მათ მე განმბანეს ცოდვებისაგან,  
გადამაქციეს კვლავ უფლის შვილად  
და ჯოჯოხეთის ცეცხლისგან მიხსნეს.

ბ რ ა ნ დ ი

ოპო!...

ა ი ნ ა რ ი

არსებობს სხვადასხვა გზები,  
ზოგი მთისაა, ზოგი კი ბარის.

ბ რ ა ნ დ ი

მერე?

ა ი ნ ა რ ი

მერეო? თავშეკავების  
ქადაგებით მე გავწიე ქვეყნად  
სახეტილოდ, ვით მოციქულმა.  
ასეთ საქმეში ძალზე ძნელია  
მაგალითმა არ გადაგაცდინოს  
და აი გავხდი მისიონერი.

ბ რ ა ნ დ ი

საით მიდიხართ?

ა ი ნ ა რ ი

ზანგთა მხარეში.  
მაგრამ ბაასი შევწყვიტოთ ახლა —  
მიმეჩქარება.

ბ რ ა ნ დ ი

არ შეგიძლია  
ერთი საათი ჩემთან რომ დარჩე,  
აი, იწყება ზეიმი უკვე...

ა ი ნ ა რ ი

გმადლობ, მაგრამ მე აწ შავ სულელებთან  
მივეშურები.. მშვიდობით რყავ.  
(წასვლას დააპირებს.)

ბ რ ა ნ დ ი

არ უაიელვა მოგონებებმა,  
სულ არაფერი არა გსურს მკითხო?

ა ი ნ ა რ ი

ვისზე?

ბ რ ა ნ დ ი

მასზე, ვინც ცრემლს დააფრქვევდა,  
როს გიხილავდა ამნაირ დღეში.

ა ი ნ ა რ ი

ცრემლს დააფრქვევდა ჩემზე?.. აჰ, მივხვდი-  
იმ ქალიშვილსა გულისხმობ, ალბათ,  
ცოდვის ბადეში ვინც გამახვია,  
სანამ რწმენით არ განვბანე სული.  
მითხარ, სად არის, როგორ ბრძანდება?

ბ რ ა ნ დ ი

ცოლად გამოწყვა ერთი წლის შემდეგ-

ა ი ნ ა რ ი

არაფერია, სათქმელად არ ღირს,  
ღირსი არაა ყურადღებისა,  
მინდა ვიცოდე მხოლოდ მ თ ა ვ ა რ ი.

ბ რ ა ნ დ ი

წყალობა უხვად მოგვაგო ღმერთმა,  
სიხარულიც და დიდი ტკივილიც:  
შვილმა სულ მალე დაგვტოვა მარტოდ.

ა ი ნ ა რ ი

არაფერია.



ბ რ ა ნ დ ი .

მით უკეთესი,  
ის ხომ წინასწარ მივეცი თ სესხად,  
რადგან საშივე იქ მივალთ მალე...  
ქალსაც ძალ-ღონე გამოეცალა:  
ახლა იქ არის სამარე ორი.

ა ი ნ ა რ ი

არაფერია!

ბ რ ა ნ დ ი

ნუთუ არც ესა?

ა ი ნ ა რ ი

ეგ მე სულაც არ მაინტერესებს!  
მსურს ის ვიცოდე, თუ რ ო გ ო რ მოკვდა.

ბ რ ა ნ დ ი

სრული იმედით განთიადისა,  
უხვი, მდიდარი სულით და ნებით,  
მეტად ძლიერით აღსასრულამდე,  
და ღმერთს მადლობას სწირავდა იგი  
ყველაფრისათვის, რაც მას ცხოვრებამ  
მისცა და რაიც წაართვა მანვე,  
დამშვიდებული შთაეიდა საფლავს.

ა ი ნ ა რ ი

ეგ ყველაფერი სისულელეა,  
ის შითხარ მხოლოდ, თუ რ ო გ ო რ სწამდა?

ბ რ ა ნ დ ი

მტკიცედ, ურყევად.

ა ი ნ ა რ ი

მაგრამ ვინ, მეტყვი?

ბ რ ა ნ დ ი

ღმერთი!

ა ი ნ ა რ ი

მხოლოდ ის? განწირულია!

ბ რ ა ნ დ ი

რა?

ა ი ნ ა რ ი

ვწუხვარ, მაგრამ შეუცოდებლად.

ბ რ ა ნ დ ი

(სრულიად მშვიდად)

გასწი, გამშორდი, შე არამზადავ!

ა ი ნ ა რ ი

მეუფე ბნელი ჯოჯოხეთისა  
შენს ფერფლსაც მოჰხვეტს შავი ბრწყალეებით.  
ვით ის, მოჰკვდები შენც სამუდამოდ!

ბ რ ა ნ დ ი

მე ჯოჯოხეთში მაგზავნის ახლა  
ის უსინდისო ადამიანი,  
გუშინ ცოდვებში ზომ იფლობოდა?

ა ი ნ ა რ ი

მე რწმენის წყალში ვარ განბანილი:  
აწ ერთ ლაქასაც ვერ აღმომიჩენ,  
ჩამოვირეცხე ტალახიცა და  
გოგირდის სითხეც მე სამუდამოდ  
და თვით სიწმინდის დიდი ჯანდრაგით  
გავისუფთავე სული მთლიანად;

ბ რ ა ნ დ ი

ფუი!

## ა ი ნ ა რ ი

ფუი შენ! აქ ჯოჯობხეთი  
ხრჩოლავს და რქიან ეშმაკებს ვხედავ.  
მე ხორბალი ვარ მაღალი ზეცის,  
შენ კი — ბზე ნიჩბით გასახვეტავი!

(გადის.)

## ბ რ ა ნ დ ი

(ერთი წუთით თვალს გააყოლებს, შემდეგ მზერა გაუცისკროვნდება და შესძახებს)

აი, მე ვისგან ველოდი ხსნასა!  
დაწყვეტილია ჩაჭვები უკვე!  
მაშ აფრიალდი, ჩემო ალამო,  
და გამარჯვების კიყინა დავცეთ,  
თუნდაც არავინ გამოგვეყვეს უკან!

## ფ ო გ ტ ი

(შემოდის აჩქარებით)

კარგი იქნება, აჩქარდეთ ახლა:  
მთელი სამწყემსო და ეკლესიის  
მსახურთ კრებული შეგროვდა უკვე  
და დაიწყებენ ახლავე სვლასა.

## ბ რ ა ნ დ ი

დაე დაიწყონ!

## ფ ო გ ტ ი

როგორ, უთქვენოდ?

არა, გონს მოდით, შებრძანდით სახლში,  
დაწყდა ძაფები მოთმინებისა,  
იქ შეკრებილა მთელი სამრევლო,  
ვით ყინულთსვლაში ყისულის ხორგი!  
ყველანი პრესტის ეზოს მიაწყდნენ.  
„პრესტი!“ — ხმამაღლა გაჰკივის ქორო,  
წინ მოდიან და ყვირიან ისევ.

აჩქარდით! უკვე შემიპყრო შიშმა,  
რომ ბრბო, ვინ იცის, რას იზამს ახლა,  
ხომ შეიძლება ცუდად მოიქცეს.

ბ რ ა ნ დ ი

რა მესაქმება თქვენს ამაღლაში,  
მე აქ დავრჩები.

ფ ო გ ტ ი

ხომ არ გავიედით?

ბ რ ა ნ დ ი

თქვენი გზა ძალზე ვიწროა ჩემთვის!

ფ ო გ ტ ი

და რაც შორს წავა ხალხის ჭედვაში,  
იგი მით უფრო დავიწროვდება!  
კვლავ თავს გვესხმიან! უეპველია!  
შეხედეთ! აქეთ მორბიან უკვე!  
პრობსტი, მსახურნი ეკლესიისა  
და ჰოხელენი მიჰყლიტეს თხრილთან!  
ჩქარა, ძვირფასო! თქვენ უფლება გაქვთ,  
რომ იქონიოთ გავლენა მათზე!  
ვერას გახდება აქ ჩემი თხოვნა.  
აწ გვიანაა! დაღეწეს ღობე...  
უშედეგოა ჩვენი სვლა ახლა!

ხ ა ლ ხ ი შემოცვივდება მეტისმეტად უწესრიგოდ, შეწყვეტს საზეიმო სვლას და  
გაეშურება ეკლესიისკენ.

ც ა ლ კ ე უ ლ ი ხ მ ე ბ ი

პრესტ!

ს ხ ვ ე ბ ი

(მიუთითებენ ეკლესიის კიბის საფეხურზე, სადაც ბრანდი დგას და წამოიძახებენ)  
ხედავთ?

მესამენი

ამცნეთ მას, რომ ყველა ელის.

პრობსტი

(ხალხისგან შევიწროებული)

ფოგტი! შეაჩერეთ ეს გიჟი ხალხი!

ფოგტი

მე აღარავინ მემორჩილება!

მასწავლებელი

(ბრანდს)

ელაპარაკეთ, აძრწოლებულებს  
კვლავ ჩაუყენეთ სულში ნათელი!  
კვიციანურია თუ სულელური,  
სად არის ახლა პასუხი იგი,  
რომელსაც ასე ელოდებიან?

ბრანდი

მაინც ბობოქრობს დაბინდულ სულში  
მძიმე ცხოვრების შმაგი მდინარე!  
გზაჯვარედინზე დგეხართ ყველანი:  
ეძიეთ ისევ თქვენ მთელი სულით,  
შორს გადისროლეთ, რაც გახრწნილია,  
და მაშინ თვითონ აღიმართება  
ტაძარი იგი, უკვდავი მარად.

მოხელენი

პრესტი გაგიჟდა!

მღვდლები

გადაირია!..

ბრანდი

არა. მე ვიყავ უგნური, რადგან  
მწამდა, რომ თუმცა სხვაგვარი აზრით,

მაგრამ თქვენ მაინც ღმერთს მსახურებდით.  
სულელი ვიყავ, რახან მჯეროდა,  
რომ შევადებდი სამოთხის ჭიშკარს.  
რაკი ტაძარი ძალიან ძველი  
და მეტისმეტად პატარა გვქონდა,  
როგორც ლაჩარი ფეიქრობდი ასე:  
ორჯერ დიდი თუ ავაგე — კმარა,  
ხუთჯერ დიდი კი ბერ-მონაზვნებზეც  
შთაბეჭდილებას მოახდენს დიდსა.  
მაგრამ არ დავყვე ცდუნებას, დევიზს:  
„ან ყველა ფერი, ან არაფერი“,  
და ორგზის დიდზე შევეთანხმდით მაშინ.  
დღეს კი მისი ხმა ჩემს თავზე ისევ  
გუგუნებს რისხვით, როგორც საყვირი,  
და, ხმა უფლისა მომესმა როცა,  
შეშინებული დავემხე ისე,  
როგორც დავითი — ნათანის ფერხთით. .  
ძირს ექვი, ჩემთვის აწ ნათელია  
ხალხო: დათმობა არის სატანა!

### ხ ა ლ ხ ი

(თანდათან აღელვებული)

ძირს ყველა, ვინც ჩვენ გვავიწროვებდა  
და ძარღვებიდან ვინც სისხლსა გვწოვდა!

### ბ რ ა ნ დ ი

მტერი პირდაპირ თქვენს სულში შეძვრა  
და გაგახვიათ თავის ბადეში.  
თქვენ წვრილმანებზე გახარჯეთ უკვე  
იმდენი ძალა, რომ საკუთარი  
თავი შუაზე გაიპეთ თვითონ, —  
ახლა კი მიზღვის დამღვარა ჟამი:  
და მოხდა ის, რაც საშინელია,  
საკუთარი მე დაჰკარგეთ უკვე!  
ტაძარში რაღას ეძიებთ ნეტავ?

გზიბლავთ ბრქყვიალი და მორთულობა,  
ზართა გუგუნი, ორდანი, ქორო,  
გინდათ გაითბოთ გრძნობები, გული  
მღვდლების მხურვალე, მწველი სიტყვებით,  
ხან რომ ჩურჩულით გადუვლის დარბაზს,  
ხან კი წამოვა ხიაღვარივით:  
ხან — მოჟღურტულე, ვით ნაკადული,  
ხანაც მრისხანე — შემოქნეული  
შოლტის, მათრახის ზუზუნის მსგავსი,  
მკაცრ ხელოვნების წესების დაცვით.

### პ რ ო ბ ს ტ ი

(წყნარად)

ფოგტს უტევს მკაცრად, ცოხნია ფოგტსა...

### ფ ო გ ტ ი

(ამავე კილოთი)

არა, ლულლულა პრობსტს ამათრახებს.

### ბ რ ა ნ დ ი

ჟამს კურთხევისას სანთლების შუქში  
გარეგნულობა გატყვევებთ მხოლოდ,  
შემდეგ კი სახლში მიეშურებით, —  
აშრომით, დაშვრეთ და გაპყეყჩრდეთ;  
უფერულ სამოსს ჩაიცვამს სული,  
სული დაცლილი ყოველგვარ სწრაფევით,  
ხოლო ხსნის ამბავს დამალავთ, ალბათ,  
ძველმანის სკივრში შემდგომ კვირამდე!  
არ ვოცნებობდი ამაზე, ძმებო,  
როცა დავცალე სამსხვერპლო თასი...  
ტაძარი უნდა ამეგო დიდი,  
რომ შესძლებოდათ ეცხოვრათ მშვიდად  
მისი ნათელი საფარის ჩრდილში  
არა სწავლას და მოძღვრებას მარტო, —  
ყველაფერს, რაც კი გვიბოძა ღმერთმა:  
შრომას და ბრძოლას ყოველდღიურად,

ლამით კი წუხილს და დასვენებას,  
მხიარულებას სიჭაბუკისას,  
ყველაფერს, რაც კი ძლევამოსილი  
მბრძანებლობს მდიდარ თუ დატაკ სულზე;  
ბნელ ხეობაში ჩანჩქერის ღრიალს,  
მთიდან დაშვებულ წდინარის დგაფუნს,  
გაშლილ სივრცეზე ქარიშხლის გრიალს  
და ჭაღარა ზღვის ბობოქარ გრგვინვას, —  
ყველაფერს უნდა შეერთოს სული,  
ორღანის ხმებით აიჭრეს მალლა,  
ხალხის დიდებულ სიმღერად იქცეს.  
მაშ შორს, შორს იგი, რაც აქ აღსრულდა,  
ის ხომ სიცრუის საფუძველია  
და განწირული მთლად გასახრწნელად,  
ვით საცოდავი, მწირი ნაყოფი  
თქვენი სურვილის, მისწრაფებისა.  
თქვენ ახშობთ, ჰკვეცავთ მომავლის ყლორტებს  
ყოველ საქმეში ცალ-ცალკე დგომით:  
თქვენ ანძისაკენ მიეშურებით,  
რათა ჩამოხსნათ ალაში უფლის  
მთელი ექვსი დღით, მხოლოდ კვირა დღეს  
რომ ფრიალებდეს იგი ჰაერში.

### ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ე ბ ი

უკვე მოგვესმის ქარიშხლის სტვენა!  
წინ გაგვიძეხი გამარჯვებისკენ,  
შიშით ცახცახი დაიწყოს მტერმა!

### პ რ ო ბ ს ტ ი

არ დაუჯეროთ, იგი ქრისტესგან  
გამდგარი არის, სხვა სჯულის გახლავთ.

### ბ რ ა ნ დ ი

ღიახ, ეგ მანკი თანაბარ ზომით  
შეგვეყრია უკვე მე და შენ, ყველას



და გაორება ჰქვია ამ სენსა.  
რწმენა ხომ მხოლოდ სულს შეუძლია.  
მიჩვენე სული, არ ეძიებდეს  
და დასალუპად იჩქაროს ისე,  
არ გასცეს თუნდაც საუკეთესო  
ნაწილი თავის გადასარჩენად?  
მთვრალნი უბრალო ბედნიერებით  
მუშაითების საყვირის ხმაზე,  
ცხოვრებისათვის ბრმები, ჩლუნგები  
ცეკვავენ სულში ბებრუცუნები,  
დაძუნძულებენ კიდობნის წინა.  
როს ხეიბარი, კაცი სულელი;  
ცხოვრების თასში იხილავს ფსკერსა,  
ამოიოხრებს მძიმედ და იტყვის:  
„ეჰ, სინანული გვრგებია ხვედრად!“  
ჩამოგირეცხავთ ნაჭდვეი ღმერთის  
და, ქცეულები ორფეხ პირუტყვად,  
კოკლობ-კოკლობით მისულხართ ახლა  
და უკაკუნებთ სამოთხის კარსა.  
ამიტომაა ცის მეუფება  
ისე ცახცახებს, ანგრევდნენ თითქოს,  
რადგან მის არგვლივ, მის ფერხთით მხოლოდ  
გადამღრძვალ სულთა დამდგარა რიგი!  
მან კი ხმამალა გვაუწყა ყველას:  
ცხელ-ცხელი სისხლი და არა წყალი  
უნდა მოსჩქეფდეს ძარღვებში ღვარად,  
რომ აგირჩიოს მან თავის შვილად, —  
მხოლოდ შვილია მემკვიდრე ტახტის;  
ვერც ცბიერებით, ვერც ვერაგობით  
ვერ გაუძვრები სამოთხის შესერს.  
ძმებო! ქალებო და ვაჟაკებო,  
რომელთაც გიდგათ ბავშვური სული,  
სადი, უმწიკვლო, ნორჩი, ახალი, —  
წინ. წინ ცხოვრების ეკლესიისკენ  
გავწიოთ ერთად! მომყევით უკან!

## ფოტო

გააღეთ მაშინ!

ხალხი

(შეშინებული ყვირის)

არა! ეს არა!

ბრანდი

უსაზღვრო არის ტაძარი ჩვენი!  
მას იატაკად აქვს მწვანე მიწა,  
მთები, ფიორდი, ზღვა და ველები.  
თავზე ახურავს მას ზეცის თალი  
და ინაწილებს ლაყვარლის სივრცეს.  
ყოველ საქმეში ვიქნებით ერთად  
შეერთებულნი, ვით ღვიძლი ძმები.  
გავინაწილებთ აქ დღიურ საქმეს  
და არ ჩავიდნით მკრეხელობასა.  
ამ ეკლესიით, როგორც ხე ქერქით,  
შემოსილები ვიქნებით მუდამ,  
შრომა, რწმენა და სწავლა-მოძღვრება  
შეთანხმებულნი ივლიან ერთად.  
მაშინ ჩვენს შრომას კანონი მკაცრი  
ასტყორცნის ზევით, ვარსკვლავეთს მიღმა,  
და იქ კი, მალლა, იბრწყინებს, როგორც  
ბავშვთა თამაში ნაძვის ხის ირგვლივ,  
როგორც დავითის სამეფო ცეკვა.

თითქოს ქარიშხალმა გადაიარა ხალხზე; ნაწილი დაბარბაცდება, უკან დაიხვეს, უმრავ-  
ლესობა უფრო ახლოს მიიწევს და გარს ეკერის ბრანდს.

ათასეული ხმები

უკვე განათდა წყვდიადი ღამის!  
ცხოვრება არის ღვთის სამსახური!

## პ რ ო ბ ზ ტ ი

ვაგლახ! ხელიდან გაგვტაცებს ფარას...  
მომეშველენით, ლენსმანო, ფოგტო!

## ფ ო გ ტ ი

(ყრუ ხმით)

ეგრე ნუ ჰყვირით, დალახვროს ღმერთმა, —  
ვის შეუძლია ერქინოს ხარსა?  
დაე ჯერ კიდევ გაცოფდეს ცოტა...

## ბ რ ა ნ დ ი

(ხალხს)

წადით! არ არის ეს სახლი ღვთისა:  
უცხოა გარყვნილ მონების ბრბოში  
ის, ვინაც ეტრფის თავისუფლებას!

(დაპეტავს ტაძრის კარს და ხელში უჭირავს გასაღები.)

აღარ მსურს ვიყო სამრევლოს პრესტი,  
იგი თავის ძღვენს იბრუნებს უკან  
და ამ ზეიმზე ტაძრის გასაღებს  
ვეღარ წარმტაცებს ვერც ერთი ხელი!

(გადაისვრის გასაღებს მდინარეში.)

თუ გნებავს, მონავ, შეძვერი თხრილში,  
კვლავ მოიღუნე უწინდებურად  
და გაიგრძელე სულის წყვდიადში  
მოთქმა-გოდება, ოხვრა და კვნესა,  
ვით ქლექიანმა ანთხიე გესლი.

## ფ ო გ ტ ი

(წყნარად, დამშვიდებით)

ნუ უცქერ ორდენს შენ აღმაცერად!

## პ რ ო ბ ს ტ ი

(ასეთივე კილოთი)

მაშ მღვდელმთავრობას გამოეთხოვე!..

## ბ რ ა ნ დ ი

აბა, გავუდგეთ გზას, კაბუკო და  
მამაცო ხალხო, შორს ამ სოროდან,  
სად ყველაფერი ყარს სიბინძურით,  
წამყევი გზაზე გამარჯვებისა!  
შენაც ხომ უნდა გამოიღვიძო  
ოდესმე ლაღმა, თავისუფალმა  
კეთილშობილურ ცხოვრებისათვის,  
რომ კომპრომისის გასწყვიტო ჯაჭვი,  
წამოდგე შენი გაჭირვებიდან,  
ჩამოიცილო სიბნელითა და  
დანაწევრებით დასმული დალი  
და ვერაგ მტერთან დაიწყო ბრძოლა.

## ფ ო გ ტ ი

შესდექი! ჩანყზე აქტს წაგიკითხავ!

## ბ რ ა ნ დ ი

სრული ნება გაქვს! რაც გინდა ჰქენი!

## ხ ა ლ ხ ი

გზა გაგვასწავლე, წავიდეთ ერთად!

## ბ რ ა ნ დ ი

მთებს გადავივლით. და მთელ ქვეყანას  
გადავევლებით, როგორც გრიგალი,  
დავშლით, დავარღვევთ ობობას ქსელსა,  
რომ ავამაღლოთ, გავწმინდოთ სული,  
გავანადგურებთ ძველ ხარახურას:  
კკუის სიჩლუნგეს, დანაწევრებას,  
სიზარმაცესა და სივერაგეს,  
ყოველი კაცი რომ იქცეს პრესტად,  
რომ ავაშენოთ სახელმწიფოსგან

მარადიული ცხოვრებისათვის  
ტაძარი, მკვიდრი, ნათელი, ვრცელი.

(ხალ სი, რომელშიც კისტერი და მასწავლებელიც არიან, ირგვლივ ეკვრება ბრანდს  
და მალა სწევს მას. იგი აღამიანთა მხრებზეა).

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

დიდთა საქმეთა შუადღე დგება  
და მზის ნათელი ნათლდება უფრო!

ხალხი მიეშურება ჭალაში, აქ ცოტანილა რჩებიან.

პ რ ო ბ ს ტ ი

შეჩერდით ერთ წუთს, სიბრმავეს მსხვერპლნო!  
ნუთუ არ გესმით ამ სიტყვის აზრი?  
ეს ხომ სატანას მზაკვრობა გახლავთ.

ფ ო გ ტ ი

ახლავე უკან უნდა დაბრუნდეთ,  
მყუდრო ადგილას, ფორვატერისკენ  
დაიღუპებით, კეთილო ხალხო!

(შეცვლილი კილოთი.)

ხმას არ იღებენ, სდუმან ძალღებნი

პ რ ო ბ ს ტ ი

რად არ იხსენებთ მშობლიურ კერას!

ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ე ბ ი

ამაზე კარგი გვექნება მერე!

ფ ო გ ტ ი

მინდორი, ბაღი, სახნავ-სათესი,  
თხები და ცხვრები, ხორბლის მარაგი...

ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ე ბ ი

ღმერთმა ოდესღაც ზეცის მანანით  
გაჰკვება თავის რჩეული ხალხი.

პ რ ო ბ ს ტ ი

გესმით, ტირიან თქვენი ცოლები!

ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ე ბ ი

(შორიდან)

ჩვენი როდია, ვინც მიგვატოვა!

პ რ ო ბ ს ტ ი

მოგკიყინებენ თქვენი შვილები!

მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი

ვინც არ მოგვეყვება, ჩვენი მტერია!

პ რ ო ბ ს ტ ი

[ერთ წუთს ვასტყერის ჰათ გულხელდაკრფილი და სევდიანი ხმით ამბობს]

აწ მოკლებული სამრევლო ფარას  
და განძარცული სულით ხორცამდე  
დგას აქ სულების ბებერი მწყემსი.

ფ ო გ ტ ი

(ბრანდს ემუქრება)

შენს საქმეს მაინც დაღუპვა ელის,  
ჩვენ გავიმარჯვებთ აუცილებლად.

პ რ ო ბ ს ტ ი

(ლამის ატირდეს)

ჩვენ გავიმარჯვებთ? დაგვტოვეს უკვე!..

ფ ო გ ტ ი

დამარცხებულნი არა ვართ სულაც,  
ჩემი ცხვრის ფარას მშვენივრად ვიცნობ!

(მისდევს ხალხს.)

## პ რ ო ბ ს ტ ი

ფოგტი წავიდა? რა ეშმაკია!  
მაშ მეც, ლმერთმანი, გაეყვები უკან!  
იქნებ კვლავ კარგად წავიდეს საქმე.  
იქ, მთებში! მალლა! შეევძვრები ხალხში!  
მათ ტყვედ ჩავოგდებ! ვიბრძოლებ ცხარედ!  
მაშ შემიკაზმეთ მეც ცხენი, ძმებო,  
ის საიმედო ფაშატი, ჩქარა!  
(ყველანი გადიან)

სოფლის განაპირა მთის იალალი. უკანა ფონზე პეიზაჟი გაღადის კლდოვან მწვერვალებსა და შიშველ სერებში. მოდის წვიმა. გამოჩნდება ბ რ ა ნ დ ი, რომელსაც გუნდ-გუნდად მოჰყვებიან კაცები, ქალები, ბავშვები.

## ბ რ ა ნ დ ი

აგერ, შორს მოჩანს გზა გამარჯვების!  
ძირს განფენილა სოფელი მწირი,  
წვრილმა წვიმამ კი მთიდან მთებამდე  
ნისლის კარვები გაშალა ფართოდ.  
მაშ დაივიწყეთ თვლემა და ძილი,  
იფრინეთ მალლა სწრაფად და ლალად.

## ე რ თ ი კ ა ც ი

მოიკათ, მამა მთლად მოიქანცა!

## მ ე ო რ ე

დღეს არაფერი არ მიჰამია!

## მ რ ა ვ ა ლ ნ ი

კვასვი, გვაქამე მშიერთ და მწყურვალთ!

## ბ რ ა ნ დ ი

ჯერ მთებს გადვიდეთ იმ ვრცელ ველებზე!

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

რომელ გზით?

ბ რ ა ნ დ ი

გზები თანაბარია:  
ბოლო მიზანთან მიგვიყვანს ყველა:  
აქეთ მომყევით!

ე რ თ ი კ ა ც ი

აქ ციცაბოა,  
მთელი დღე უგზოდ ვიხეტიალებთ.

კ ი ს ტ ე რ ი

აქ ტაძრის გზაც კი გაყინულია.

ბ რ ა ნ დ ი

ციცაბო გზაა ყველაზე მოკლე!

ე რ თ ი ქ ა ლ ი

შეჩერდი! ბავშვი გამიხდა ავად...

მ ე ო რ ე

სულ დამეკაწრა ფეხები გზაზე!

მ ე ს ა მ ე

შეწუხებული ვინ დამამშვიდოს?..

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

აქამეთ, თორემ გაუქრათ ცეცხლი...

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

გარდმოგვივლინე, სასწაულს ველით!

ბ რ ა ნ დ ი

თქვე მონობისგან ხელდადებულნო!  
როგორ, ახლავე მოგინდათ ჯილდო?  
ჯერ მოიცილეთ მონობის ძილი,  
არადა, ჩადით საფლავში ისევ!



## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

მართალი არის: წინ, საბრძოლველად, —  
მერე, ცხადია, მივიღებთ ჭილდოს.

## ბ რ ა ნ დ ი

ის მოვა თავის დანიშნულ დროზე,  
ისე ზუსტად და ისე ნამდვილად,  
როგორც ნამდვილად არსებობს ღმერთი.

## მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა

უსმინეთ! იგი არის მისანი!

## რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა

ნეტავ, სასტიკი ბრძოლა იქნება?

## ს ხ ვ ე ბ ი

თანაც ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი?

## ე რ თ ი კ ა ც ი

უნდა ვიბრძოლოთ მამ მამაცურად?

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

(ყრუ ხმით)

მაგრამ სიცოცხლეს გავწირავთ მაინც?

## ს ხ ვ ე ბ ი

ნეტავ, რამდენი გვერგება ჭილდო?

## ე რ თ ი ქ ა ლ ი

ჩემს შვილს მაინც არ შეიბრალებენ?

## კ ი ს ტ ე რ ი

სამშაბათამდე ვერ გავიმარჯვებთ?

ბ რ ა ნ დ ი

(სასოწარკვეთილი გადახედავს ხალხს)

რაზე საუბრობთ? რის გსურთ გაგება?

კ ი ს ტ ე რ ი

ჯერ — გაგრძელდება რამდენ ხანს ბრძოლა  
შემდეგ — რამდენი იქნება მსხვერპლი,  
ბოლოს კი — გველის რამდენი ჯილდო?

ბ რ ა ნ დ ი

მაგაზე მსჯელობთ?

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

დიახ, თავს ვიმტკრევთ,  
მაგრამ ვერაფრით ვერ გავერკვიეთ.

ბ რ ა ნ დ ი

(აღშფოთებული)

ო, მაშ იცოდეთ!

ხ ა ლ ხ ი

(აღღვებული წინ გადაუდგება)

გვაუწყე, გვითხარი

ბ რ ა ნ დ ი

დიდხანს იბრძოლებ? იბრძოლებ მუდამ,  
შენი სიცოცხლის აღსასრულამდე,  
თუ ყველაფერს არ გასწირავ მსხვერპლად.  
იცოდე, შენ ვერ მიაღწევ მიზანს,  
თუ შეთანხმების არ დასწყვეტ ჯაჭვებს  
და არ განდევნი შენი გულიდან  
ლაჩრულ ექვს, ყოყმანს ვალის წინაშე:  
„ან ყველაფერი, ან არაფერი!  
და რას გაიღებთ თქვენ ამის მსხვერპლად? —

ყველა თქვენს კერპსა და საბაყვანოს,  
რომლებითაც სცვლით. თქვენს უკვდავ ღმერთსა:  
თქვენი მონობის ბრჭყვიალა ჯაჭვებს,  
სასთუმლებს თქვენი სიზარმაცისას.  
კითხულობთ, თუ რას მიიღებთ ჭილდოს?—  
უდიდეს რწმენას, ერთიან სულსა,  
ნების სიმტკიცეს და ძლიერებას,  
მუდამ მზად იქნეთ გაიღოთ მსხვერპლი,  
რაც მოგანიჭებთ სულის სიმშვიდეს  
და დიდ სიხარულს კუბოს კარამდე,  
თავზე კი ეკლის დაიდგამს გვირგვინს  
ის, ვინაც ჭილდოს დაიმსახურებს.

### ხ ა ლ ხ ი

(გაათრებული ყვირის)

მან ჩვენ გაგვყიდა! მან გვიღალატა!

### ბ რ ა ნ დ ი

ო, არა! მტკიცედ ვადგავარ სიტყვას.

### ზ ო გ ი ე რ თ ნ ი

შენ გამარჯვებას ხელებში გვჩრიდი,  
აწ კი გვპირდები მსხვერპლს და წამებას?

### ბ რ ა ნ დ ი

ღიას, შეგპირდით გამარჯვებასა  
და მოგცემთ თქვენი ვ ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ  
მაგრამ ის, ვინაც პირველი გავა  
სასტიკ ბრძოლაში მართალი გზისთვის,  
ვინ იცის, მსხვერპლად დაეცეს კიდეც.  
ამიტომ მან, ვინც შიშს შეუპყრია,  
სჯობს იარაღი დაჰყაროს აქვე,  
არ დაწყებულა სანამდე ბრძოლა.  
ვისაც ღალატობს ძლიერი ნება,  
გადაულოცავს ჩვენს ალამს მტერსა,  
მსხვერპლის გაღება რომელსაც აფრთხობს.  
დამარცხებამდე მკვდარია იგი.

## ხ ა ლ ხ ი

გაგვწირა ტანჯვა-წამების მსხვერპლად,  
რომ გაიხარონ შვილიშვილებმა,  
რომელნიც ჯერ არ დაბადებულან.

## ბ რ ა ნ დ ი

უდაბურ მთებზე, წვიმაში, ნისლში  
მიდის გზა ჩვენი ქანაანისა  
სიცოცხლისაკენ სიკვდილის გავლით.  
მაშ გზას გავუდგეთ, რაინდნო ღვთისა!

## კ ი ს ტ ე რ ი

ჩავცვივდით! ესაც ვაი-ვაგლაბი!..  
იქ კი სამრევლომ შეგვრისხა უკვე.

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

რაო? დავბრუნდეთ? — არასდიდებით!

## კ ი ს ტ ე რ ი

ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამ წინა...

## ზ ო გ ი ე რ თ ნ ი

მოვკლათ!

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ეს არის შეუძლებელი,  
რალა ვიქნებით უწინამძღოლოდ!

## ქ ა ლ ე ბ ი

(ღეშინებული უთითებენ ძირს, გზაზე)  
ო, პრობსტი!

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ოლონდ არ შეგეშინდეთ!

## პ რ ო ბ ს ტ ი

(შემოდის სოფელში დარჩენილთა რანხლებით).

ჩემო კრავებო, ჩემო შვილებო!  
ქალარა მოძღვარს აქვს თქვენთან სიტყვა!

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

(ხალხს)

ჩვენ სოროები დავტოვეთ ქვემოთ, —  
გვიჯობს, რომ მთებზე ავცოცდეთ ისევ...

## პ რ ო ბ ს ტ ი

როგორ შეგეძლოთ ასე სასტიკად  
დაგეჰრათ გული ბერიკაცისა?

## ბ რ ა ნ დ ი

დღემღე ხომ მათ სულს შენ უკოდავდი.

## პ რ ო ბ ს ტ ი

მას ნუ უჯერით! იგი მტერია,  
ოსევ ცარიელ სიტყვით გპირდებათ!

## ზ ო გ ი ე რ თ ნ ი

ღიახ, ეგრეა! მართალსა ბრძანებთ!

## პ რ ო ბ ს ტ ი

სასტიკნი არ ვართ, შეგინდობთ ყველას,  
ოდნავ სინანულს შეგამჩნევთ თუკი;  
გონს მოდით, ხალხო, ბოლოს და ბოლოს!  
ის საშინელი მზაკვრობით გლუპავთ,  
გადაგიბირათ, გარშემო გიკრებთ, —  
უნდა მიუხვდეთ ამ ეშმაკობას!

## ბ ე ვ რ ნ ი

ღიახ, ეგრეა! გადაგიბირა!

## პ რ ო ბ ს ტ ი

კარგად დაფიქრდით! სადა გაქვთ ძალა  
ამ უმნიშვნელო, ერთ მუჟა ხალხსა,  
გაჭირვებულთ და დარჩენილთ მართოდ?  
ვინ ავირჩიათ დიდ საქმეთათვის?  
თქვენც ხომ გაქვთ თქვენი პატარა ხვედრი?  
მაგის ზემოთ კი რა საჭიროა,  
სისულელეა ამგვარი რამე.  
ველად გასულნი ცხარე ბრძოლაში  
მაგ ხელებისგან რა ხეირს ნახავთ?  
თქვენი ვალია სახლს გაუფრთხილდეთ.  
მამ აქ რა გინდათ, მითხარით ახლა,  
შევარდნებსა და არწივებს შორის,  
დათვებში, მგლებში მოხვედრილებსა,  
სად დაგფლეთთ ნეტავ პირელი მხეცი?  
ჩემო კრავებო, ჩემო შვილებო!

## ხ ა ლ ხ ი

ვაგლახ, რაცა თქვა, სულ მართალია.

## ქ ი ს ტ ე რ ი

და მაინც, როცა აქ გამოვწიეთ,  
მაგრად ჩავეკეტეთ სახლის კარები,  
ახლა ადგილი აღარ გვაქვს მრევლში.

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

მან აუხილა ჩვენს ხალხს თვალები,  
დაჰგმო სიცრუე, მანკიერება, —  
აწ ძველებურად ვერ დაიძინებ,  
და უწინდელი ჩვენი ცხოვრება  
ახლა ცხოვრებად არ გვეჩვენება!

## პ რ ო ბ ს ტ ი

გწამდეთ, გაგივლით ეგ ყველაფერი,  
ძველ ნაკვალევზე გავწიოთ ისევ

სულ ერთი წუთით დაწყნარდით ოღონდ  
და სიტყვას გაძლევთ: მრევლი, ვით უწინ,  
სულის სიმშვიდეს მოიხვეჭს ახლაც.

ბ რ ა ნ დ ი

(ხალხს)

წინ წავიდეთ თუ დავბრუნდეთ უკან?

ხ ა ლ ხ ი ს ნ ა წ ი ლ ი

შინ წასვლა გვინდა! დავიღალენით!

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

აწ გვიანაა: გაღვიდეთ მთებზე,  
აღთქმულ მხარისკენ გავწიოთ ისევ.

ფ ო გ ტ ი

(შემორბის)

აქ ხართ! კარგია, რომ მოგაგენით!

ქ ა ლ ე ბ ი

არ გაგვირისხდეთ, კეთილო კაცო!..

ფ ო გ ტ ი

ეგ შემდეგ! აწ კი დაბრუნდით შინა!  
თქვენ ბედნიერი დაგიდგათ წამი.  
მაშ ერთი კარგად დამიგდეთ ყური,  
და საღამომდე მდიდრებად გაქცევთ.

ზ ო გ ი ე რ თ ნ ი

კი, მაგრამ როგორ?

ფ ო გ ტ ი

მილიონობით

ვირთევა გაჩნდა ფიორდის წყლებში.

ხ ა ლ ხ ი

ვით დავიჭერთ?

ფ ო გ ტ ი

ღმერთს გეფიცებით!  
მთებში წვიმა და სქელი ჭანლი, —  
დაბრუნდით, თორემ საცაა ქარი  
ამოვარდება ჩრდილოეთისა.  
აქ არ ყოფილა ვირთვეზა წინათ,  
ახლა კი, ძმებო, თამამად ვიტყვით,  
რომ ბედნიერი წუთი დაგვიდგა!

ბ რ ა ნ დ ი

მაშ აირჩიეთ: რა უფრო არის  
თქვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანი:  
ხმა უფლისა თუ ფოგტის ძახილი!

ფ ო გ ტ ი

ღე გაიმარჯვოს ჯანსაღმა აზრმა!

პ რ ო ბ ხ ტ ი

არა, ეს უფლის სასწაულია,  
ზეციდან ჩვენთვის გარდმოვლენილი.  
ოჰ, რარიგ ხშირად მესიზმრებოდა  
და როგორ ვწუხდი, მხოლოდ სიზმარში  
რად ვხედავ-მეთქი ამნაირ რამეს,  
აწ კი ცხადია ამ სიზმრის აზრი.

ბ რ ა ნ დ ი

დახევა სულის წაწყმედას ნიშნავს.

ხ ა ლ ხ ი

და მერე თევზი?

ფ ო გ ტ ი

მილიონობით!



პ რ ო ბ ს ტ ი  
ოჯახისათვის პური და ფული!

ფ ო გ ტ ი

აწ კარგად ხედავთ: დრო სადა გქონდათ,  
ამდენი ძალა რომ დაგეკარგათ  
თქვენზე ლონიერ მტერთან ბრძოლაში,  
სადაც თვით პრობსტმაც კი დაიხია;  
ახლა თქვენ წინ დგას სხვა ამოცანა,  
არა ღრუბლებში უმიზნო ფრენა, —  
ღმერთი თავს თვითონ გაუფრთხილდება,  
ცის თალი მტკიცედ ხომ გადირკალა,  
არც სხვათა ჩხუბში ჩარევა გარგებთ!  
იჩქარეთ, ზღვიდან რომ ამოიღოთ  
ძვირფასი განძი! აი, ნამდვილი  
გამოსავალი: აწ ყველაფერი,  
მწამს, მოგვარდება სისხლდაუქცევლად.  
იქ ნივთიერი მოგელით ჯილდო,  
არ დაგჭირდებათ გაიღოთ მსხვერპლი!

ბ რ ა ნ დ ი

თვით უფლის ხელით დაწერილია  
მსხვერპლი ცეცხლოვან ასოებითა!

პ რ ო ბ ს ტ ი

ო, მსხვერპლი, მსხვერპლი რარიგად გხიბლავთ —  
სიამოვნებით მივიღებ მუდამ,  
აი, თუნდაც ამ მომავალ კვირას  
და მეც ღმერთმანი...

ფ ო გ ტ ი

(შეაწყვეტინებს)

ჰო, დიან, დიან!

კ ის ტ ე რ ი

(ჩუმად პრობსტს)

ისევ ღამრჩება მე ჩემი ჩინი?

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

(ასევე)

სკოლიდან ხომ არ გამომავდებენ?

პ რ ო ბ ს ტ ი

(ჩუმად)

ოღონდ გატეხეთ ჭიუტი ხალხი  
და უგულოდ არ მოგეპყრობიან.

ფ ო გ ტ ი

შინ წადით! ფუჰად ნუ კარგავთ დროსა!

კ ის ტ ე რ ი

ნავებზე! ხოფებს დავტაცოთ ხელი!

ზ ო გ ი ე რ თ ნ ი

პრესტი რას იზამს?

კ ის ტ ე რ ი

გიჟია იგი.

ის ყველამ უნდა დატოვოს ახლა!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

თვითონვე ხედავთ, დასაჯა ღმერთმა  
და თავზე კვერთხი გადაამსხვრია.

ფ ო გ ტ ი

თქვენ უფლება გაქვთ დასტოვოთ პრესტი,  
გამოგიჟებდათ ზღაპრებით თავი.

ზოგერთნი

მან მოგვატყუა!

პრობსტი

რწმენაც აკლია,  
ყოველთვის ცუდი ნიშნები ჰქონდა...

ზოგერთნი

რა ჰქონდა?

ფოგტი

იყო ის უენიშნული!

კისტერი

დიახ, ამას ჩვენც ვამჩნევდით მასში!

პრობსტი

რამდენს ელოდა მოხუცი დედა,  
მაგრამ, არადა, არ აზიარა!

ფოგტი

დიახ, დალუბა პატარა შვილიც!

კისტერი

ცოლიც!

ქალეზი

მხეცია, ბოროტმოქმედი!

პრობსტი

ცუდი მამაა, მეუღლე, შვილი, —  
ნეტავ სად ნახავთ ისეთ ქრისტიანს,  
რომ იყოს მართლა მაგაზე ცუდი.

მრავალი ხმა

მან დაგვინგურია ძველი ტაძარი!

## მეორენი

ახალს კი მძიმე დაადო კლიტე!

## მესამენი

ახლა ჩაგვყარა დიდ გასაქირში!

## ფოგტი

მომპარა გეგმა „საგიჟეთისა!“

## ბრანდი

ყველას უზღლზე გაქვთ ამოშანთული:  
თქვენი ხვედრია კუბოში გახრწნა.

## ხალხი

(ღრიალებს)

ნუ უსმენთ! შორს, შორს გავაგდოთ იგი  
ჩვენი სოფლიდან! ქვა დაეუშინოთ!

ხალხი ქვის სროლით მისდევნის ბრანდს უდაბური მთის მწვერვალისაყენ, შემდეგ  
კი ნელ-ნელა უკან ბრუნდება.

## პრობსტი

ჩემო შეილებო, ჩემო კრავებო!  
ახლა აჩქარდით კარვებისაყენ  
და სინანულით ჩამოიცილებთ  
ის, რამაც თვალნი გადაგბინდათ;  
აწ ყველაფერი მოწესრიგდება, —  
უაზღვრო არის ღვთის მოწყალეობა,  
უმანკო სისხლს არ მოითხოვს მსხვერპლად,  
მთავრობაც ისე ღმობიერი გვყავს,  
ყველა ქვეყანას რომ შეუშორდება.  
არც ფოგტი და არც სხვა უფროსობა  
ვნებას არასდროს მოგაყენებენ;  
მე კი, მიბრძანებს ვით ქრისტეს აღთქმა  
ამ კაცთმოყვარულ საუკუნეში,  
ძლიერ მიყვარხართ; ჩემო შეილებო.

ხელისუფალთაც სურთ თქვენთან ერთად  
იცხოვრონ მშვიდად და ბედნიერად...

### ფოგტი

მანკი კი სადმე თუ შეგვეპარა,  
განიკურნება სასწრაფოდ იგი.  
როცა ჩადგება ეს ქარიშხალი,  
მსწრაფლ კომისიას ავირჩევთ მაშინ,  
და ის დაადგენს, რაა საჭირო  
სარწმუნოების განსამტკიცებლად;  
მოუეხმობთ პრესტებს იქ პრობსტთან ერთად,  
აგრეთვე კისტერს და მასწავლებელს  
და თქვენ შორისაც ღირსეულთ ვპოვებთ,  
ხალხი საეხებით რომ დაეაწყნაროთ.

### პრობსტი

ვინაც კი შეცდა, შეგუნდობთ ყველას,  
და როგორც თქვენ დღეს ჭადარა მოძღვარს  
შეუმსუბუქეთ წუხილი, შიში,  
ღმერთმა სიმტკიცე მოგაგოთ ისე.  
გაეშურენით აწ სათევზაოდ!  
მშვიდობით, ხალხნო! — ღმერთმა ნამდვილად  
გარდმოგვივლინა წყალობა დიდი.

### კისტერი

ორივე კარგი და კეთილია!

### მასწავლებელი

მოკრძალებული დ თავმდაბალი!

### ქალები

რა დიდებულად ლაპარაკობენ!..

### სივები

როგორც სახალხო მოღვაწეები!

## კ ი ს ტ ე რ ი

არასდროს რომ არ მოგატყუებენ.

## მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

რა გონივრები არიან თანაც!

ხალხი ქვემოთყენ დაიწყებს შემობრუნებას.

## პ რ ო ბ ს ტ ი

(ფოგტს)

გამოგვიყეთდა საგრძნობლად საქმე,  
მობრუნდებიან მალე ყველანი,  
რადგან არსებობს, მადლობა გამჩენს,  
ის, „რეაქციას“ რომ უწოდებენ.

## ფ ო გ ტ ი

დამსახურება არ არის ჩემი,  
მაგათ სპექტაკლში მოქმედება რომ  
უცებ შეგვწყვიტე.

## პ რ ო ბ ს ტ ი

არა, საქმე სხვა

სასწაულშია!

## ფ ო გ ტ ი

სასწაულშიო?

რა სასწაულში?

## პ რ ო ბ ს ტ ი

მილიონობით

ვირთევზა წყალში რომ მოგროვილა.

## ფ ო გ ტ ი

თევზი? ტყუილი მოვჩმახე წელან!

## პ რ ო ბ ს ტ ი

მოჩმახე?

ფოგტი

უცებ სხვა ვერაფერი  
ვერ მოვიგონე, რა უნდა მექნა?  
ან ვინ გამკიცხავს, როდესაც საქმე  
ყველაზე მთავარს შეეხებოდა.

პრობსტი

თუკი ეგრეა, გიშველოს ღმერთმა,  
არ წარმოადგენს სულისთვის საფრთხეს!

ფოგტი

თანაც გაივლის სულ ერთი კვირა  
და ხალხის საქმე გამოკეთდება,  
ვინღა იკითხავს, რამ გაიმარჯვა  
სასტიკ ბრძოლაში, სიძარტლემა თუ  
მტყნარმა სიცრუემ?

პრობსტი

ო, რიგორისტი  
როდი გახლავართ, ჩემო კეთილო!  
(ახედავს ზემოთ უდაბურ, შიშველ მთებს.)

ფოგტი

როგორც ყოველთვის, მართალსა ბრძანებთ.  
ის ერთადერთი მეომარია  
მთელი ლაშქრისგან გადარჩენილი!

პრობსტი

არა, მოიცათ! იქ ვიღაც არის...  
შორს... უკან...

ფოგტი

გერდი? ჰო, დიახ, დიახ!  
ქეშმარიტად რომ ღირსია ბრანდი  
სწორედ ამგვარი თანამგზავრისა.

## პ რ ო ბ ს ტ ი

(მხიარულად)

როცა დაიცხრობს მსხვერპლის შეწირვის  
უდიდეს წყურვილს იგი მთლიანად,  
მის ძეგლს ამნაირს წაეაწერთ სიტყვებს:  
„აქ განისვენებს ვილაცა ბრანდი,  
არ გაუღიმა თუმცა მას ბედმა,  
მაგრამ შემორჩა მას ერთი სული  
და ისიც გიყი, გადარეული!“

## ფ ო გ ტ ი

(თითს მიიღებს ცხვირზე)

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მრცხვენია,  
რომ ეს სახალხო, სასტიკი მსჯავრი  
მასზე არ იყო ჰუმანიური.

## პ რ ო ბ ს ტ ი

(მხრებს აიჩჩავს)

წავიდეთ! vox populi — vox Dei.

ორივენი გადიან

შოქმელება მიმდინარეობს მთის მწვერვალებზე... უამიხლობა თანდათან მატულობს.  
ქარი მიერეკება ღრუბლებს თოვლიან ველებზე. ხან გამოჩნდება, ხან კი ისევ ნისლით  
იფარება კლდოვანი მწვერვალები და შავი ქონგურები.  
შემოდის ბ რ ა ნ დ ი, გატანჯული და სისხლით მოსვრილი.

## ბ რ ა ნ დ ი

(შეჩერდება და უკან მოიხედავს)

ათასობით რომ მომდევდნენ უკან,  
ვერ მოაღწია მწვერვალს ვერავინ,  
თუმც მისწრაფის ყოველი გულ  
დადაც დიდისკენ და ხალხის სულშიც  
ისევ გაისმის ძახილა ჩუმი,  
სასტიკ ბრძოლისკენ მომწოდებელი.  
ჰო, მაგრამ მსხვერპლი აშინებთ იმათ,  
აი, საზღვარი გადულაზავი.



ამგვარი შიში ცოდვას დიდი.  
მაგრამ ერთმა ხომ გასწირა თავი, —  
შიში არაფერ შუაში არის.

(ჩამოყდება ქვაზე და ფრთხილად იტყირება ირგვლივ.)

მეც მაწამებლა ამგვარი შიში  
და გამჯდომოდა ძვალსა და რბილში.  
როგორც ყმაწვილი, ბნელ ოთახში რომ  
გადის, შიშით თმა უდგება ყალყზე  
და მისდევს გუნდი მოჩვენებების,  
ისე ველოდი მე წლიდან წლამდე.  
მაგრამ მთრთოლვარე გულს ვიწყნარებდი,  
თანაც ვფიქრობდი: გარეთ შუქია,  
შუადღის მკვეთრი ნათელი ბრწყინავს,  
ლამე როდია და არც საღამო,  
ეს დარაბები დავკეტე მხოლოდ  
და ვოცნებობდი, როგორც ყმაწვილი:  
შემოიჭრება მზე სიცოცხლისა  
სინათლის უწყვეტ ნაკადულებად  
ჩემი ოთახის მიჯრილ კარებში  
და გაანათებს დიდი ზეიმით  
მოჩვენებებით ავსებულ სახლსა.  
მერე კი რარიგ სასტიკად შევცდი  
შემომხვდა ღამე, კუპრივით შავი,  
და შიგ სახეში მათრახი მთხლიშა.  
ყურის გასწვრივ კი გაუბედავად  
ისხდნენ კაცები, თავიანთ სულთა  
გარდასულ ლანდებს ჩასჭიდებოდნენ,  
ვით ერთი მეფე წლების მანძილზე  
არ სცილდებოდა თავისი ცოლის,  
ტურფა სნეფრადის გვამს, გაციებულს,  
ზოგჯერ სუდარას ახდიდა ფრთხილად,  
რომ თვალცრემლიანს ენახა, ხომ არ  
აუჩუხჩუხდა ძარღვებში სისხლი  
და გადეკრაო კანს ვარდისფერი...  
ღიახ, უცდია ხალხსაც მრავალჯერ,

როგორც იმ მეფეს, უძლურ ოცნებით,  
გამოცოცხლება სამარის ფერფლის,  
იმას კი თურმე ვერავინ მიხვდა,  
გვამი მიწაში რომ დაემარხათ.  
გვამი მიწაში ალაღებს ჭიას,  
გვამი სასუქად იქცევა ბოლოს,  
შიგ გაიხარებს ახალი თესლი.  
ღამეა ყველგან!.. ღამეა ისევ,  
მთელს თაობაზე ჩამოწვა ღამე!..  
ნეტავ შემეძლოს, ელვის მახვილით  
გადავარჩინო ისინი გახრწნას!

(წამოხტება.)

მიჰქრიან შავი მოჩვენებანი,  
სულების დოღი აშუქებს ბინდსა,  
დრო კი, სასტიკი, ქარიშხლიანი,  
მოგვდევს, გვაწუხებს ბასრი მახვილით,  
რომ ცხოვრებაში მოქმედებისთვის,  
არგანის ნაცვლად ვიშიშვლოთ ხმალი.  
ვხედავ წინაპრებს, მიმავალთ ომში,  
ზოგნი კი, მხდლები, დამფრთხლები შიშით,  
შეჰფარებიან ხეობას ვიწროს.  
თვალი მოვკარი დანარჩენებსაც —  
ქვეყნის უქნარებს, თავმოყრილთ ერთად,  
წუწუნებს ყველა: ცოლიც და ქმარიც, —  
მუდამ გულცივნი მთხოვნელთა მიმართ,  
შუბლებზე დასმულ საოცარ დაღით.  
„ჩვენ საწყლები ვართ, უფლისგან ქვეყნად  
ცოდვის შვილებად მოვლენილები!“  
და იჭრებიან გაშტერებულნი  
გუგუნში, რომ ჰგავს ქარიშხლის ზრიალს,  
ამ უნაყოფო სისუსტის ტოგით.  
მაგრამ სადა ხარ შენ, ცისარტყელავ,  
მაისში ტბაზე გადაჭიმულო,  
ან, ჩვენო ღროშავ, სამფეროვანო,

ლურჯ ლაქვარდში რომ მიჰფრიალებდი  
და გუგუნებდი ხალხის სიმღერად,  
რატომ დადუმდი, სადა ხარ ახლა?  
სადა ხართ, მზეც და თავისუფლებაც,  
ორგზის ნანატრო და სანატრელო?  
მავრამ შენ დიდი ოცნების მეფემ  
თავის დროზე არ ამოგქრა ენა  
და ამიტომაც მოგხიბლა ასე  
კვეხნამ, ტრაბახმა თუ ბაქიბუქმა.  
თუმცა, როდესაც უკბილო ურჩხულს,  
მხდალსა და სნეულს, ჰგავს ჩვენი ხალხი,  
რას ვაქნევთ, აბა, ქობიან დროშას?  
სჯობდა ხმა სულაც არ ამოგველო,  
არც მაკრატელი აელო მეფეს...  
მშვიდი ოთხკუთხაც კმაროდა ჩვენთვის;  
აი, სიგნალი ხმელეთისათვის  
გემთა დაღუპვის მაუწყებელი!..  
ვხედავ უარეს მოჩვენებებსაც —  
ელვის შუბებით იხევა ღამე  
და ბრიტანეთის ნისლეები შავი,  
ანტრაციტული, მფრინავი მალა,  
ახრჩობს და სწამლავს ყველა ჩანასახს  
ბალახის, ყანის თუ შიმელისას,  
და იღვენთება წვეთ-წვეთად შხამი;  
მზე მოუპარავთ, სიმყრალით, ფერფლით  
გადაფარულა აწ ყველაფერი,  
როგორც პომპეი მიმონგრეული...  
მთლად დამახინჯდა ადამის მოდგმა  
და მიწისქვეშა გასასვლელებში  
ისმის დუღუნი მოწამლულ წყალთა,  
იქ გულმოდგინე ჯუჯების ჯარი  
ბაჯბაჯებს, ცდილობს გაუხსნას მკერდი  
მიწის სიღრმეში ჩამალულ მადანს  
და ხარბი თვალით შესცქერის იგი  
ბზინვარე ვერცხლს და ბრჭყვიალა ოქროს...

შეწყდა სიმღერა, დაცარიელდა,  
გამოიფიტა იმათი სული,  
არ იცინიან მათი ბაგენი,  
არ დააღონებთ დაღუპვა ძმების,  
ვერვინ აიშლის ფაფარს ლომივით,  
აქ ყველა ურტყამს, ჰკვერავს და სჭედავს,  
ბოლის წყვდიადში ციმციმებს შუქი.  
ხეტილობენ კაცები ქვეყნად  
და თვისი ვალი დავიწყებით, —  
წაქცევის დროსაც დაიცვან თავი,  
შეინარჩუნონ მხნეობა სულის...  
მე კვლავ უარეს ჩვენებებს ვხედავ —  
ელვის შუბებით იხევა ღამე:  
გააფთრებულა მშვიერი მგელი  
ნგზავრობისა და ცბიერებისა,  
ჰყეფს ამ სისხლიან ღამეში, ყმუის  
და მზის სინათლის შესანსვლა ნებავეს;  
უბედურების მათუწყებელი  
ძახილი მისწვდათ ჩრდილოეთ ქვეყნებს  
და ფიორდთან მდგარ საომარ გემებს  
უბრძანეს ქვეყნის საზღვრების დაცვა.  
ჯუჯა კი ჯავრობს და გული მოსდის,  
ეს საქმე სულაც არ მოსწონს იმას:  
„დაე დიდსა და ზვიად მხარეში  
თანხმობით შეხვდნენ ამნაირ ამბავს,  
ჩვენ კი სისხლისგან ვერ დავიცლებით:  
სუსტი გვაქვს სული, უძლური — მხრები.  
სად შეგვიძლია ჩვენ, ხალხს პატარას,  
გავწიროთ იმ დიდ შეჯახებაში  
მთელი სიცოცხლე და ჯანმრთელობა,  
რათა გავიღოთ ჩვენი ნაწილი  
საერთო ცოდვის გამოსასყიდად.  
ჩვენი გულსთვის როდი დასცალეს  
ბოლომდე შხამით სავსე ფიალა,  
ჩვენი გულსთვის არ შექედიალა

ეკლის, წამების გვირგვინით შუბლი.  
ჩვენი გულისთვის კი არ გააკრეს  
იესო ქრისტე წამების ჯვარზე,  
მასზე ლურჯმნებით დაჭედულ ხელებს  
ჩვენს გამო როდი სდენია სისხლი;  
ჩვენ ცოტანი ვართ — შორეულ მხრიდან,  
ჩვენს გამო როდი აღმართეს ჯვარი.  
ჩვენ უნდა ვიყოთ დამცველნი ქვეყნის?“  
არა, ქამარი გადაუჭირე,  
შეუბრალებლად ურტყი და ურტყი,  
ესაა, გულით რაც გაიმეტეს —  
ამათი ძღვენი აგასთერისა,  
რომ დაიცალოს წყლულები სისხლით,  
მიყენებული უხეში ჯვრისგან, —  
აი, მაგათი ქრისტიანობა!

(ღაგემა თოვლში და შიგ ჩამოაგს სახეს, მაგრამ მალევე წამოდგება!)

სიზმარში ვიყავ?.. კვლავ გავიღვიძე?  
აწ ყველაფერი დაფარა ნისლმა.  
მოჩვენებანი ავადმყოფ სულის  
წინ წარმომიდგნენ სულ ერთი წუთით,  
თუ სახე იგი, დაუვიწყარი,  
კვლავ ცოცხლობს გულში გადამალული?  
ნუთუ სხეულით გარემოსილი  
ისევ სხეულით მარცხდება სული?

(ყურს უგდებს.)

ეს რა გაისმისი კენესა?.. ვალობა?..

უ ხ ი ლ ა ვ ი ქ ო რ ო

(ქარიშხლის სტენაში)

მ ა ს შენ ვერასდროს დაემგვანები,  
შემოსილი ხარ მიწის სხეულით,  
გიწოდ იყო მონა, გინდა აზატი,  
სულ ერთი არის, ხარ განწირული!

## ბ რ ა ნ დ ი

(იმეორებს ამ სიტყვებს თავისთვის და ჩუმაღ ამბობს)

ვაგლახ, ამ სიტყვებს უნდა ვერწმუნო.

ნუთუ ის ადგა იქ, იმ ქოროში...

არ უკუაგდო განრისხებულმა

ეს გულის სიტყვა სასტიკი ხელით?

მ ა ნ ხომ წამართვა მე ყველაფერი,

ჩამომაცილა სიცოცხლის წყაროს

და დამარცხებაც განმაცდევინა.

## ქ ო რ ო

(მძლავრად გაისმის მის თავზე)

ჭიავე, შენ მ ა ს ვერ დაემგვანები,

შხამის ფიალა დასცალე უკვე:

აწ მ ა ს თ ა ნ ხარ, თუ მის წინააღმდეგ,

სულ ერთი არის, ხარ განწირული!

## ბ რ ა ნ დ ი

(წყნარად)

აგნეს! ალფ! წუთის ბედნიერებავე,

ჩემი სიმშვიდის მცირე წამებო,

ჩემივე ხელით გავგმირე გული

და ყველაფერი წამებად მექცა,

ვერ დავანგრეე ბილწი სამეფო.

## ქ ო რ ო

(ნაზად და შემპარავად)

შენ მ ა ს მაინც ვერ დაემგვანები,

თუმც ყველაფერი გასწირე მსხვერპლად,

ამაო არის ეგ ძღვენი ცისტვის,

შენ შექმნილი ხარ მიწისთვის მხოლოდ.

## ბ რ ა ნ დ ი

(წასკდება ჩუმი ჭვითინი)

აგნეს! ალფ! ისევე დაბრუნდით ჩემთან!

მიჯაჭვეული ვარ ფრიალო კლდეზე

და ჩრდილოს ქარი ძვალ-რბილში მივლის,  
გავწამებულვარ მოჩვენებებით.

ზევით აიხედავს: იქ გამოჩნდება მოციმციმე ლაქა, რომელიც სწრაფად იზრდება და  
ნისლად გადაიქცევა, — ესაა თეთრსამოსელიანი, მხრებზე მანტიაწამოსხმული ქალის  
ფიგურა.

ა ჩ რ დ ი ლ ი

(უღიმის, ხელებს უწვდის)

ბრანდ, მე მოვედი, ვარ ისევე შენთან!

ბ რ ა ნ დ ი

(შეძრწოლებული წამოხტება)

ო, აგნეს! აგნეს! რა დამემართა?

ა ჩ რ დ ი ლ ი

ციებ-ცხელების ბოდვა, ძვირფასო,  
მაგრამ აწ ნისლმა დაკარგა ძალა!

ბ რ ა ნ დ ი

აგნეს!

(დააპირებს მივარდეს და გადაეხვიოს)

ა ჩ რ დ ი ლ ი

(შეჰკივლებს)

ო, არა! არ მომეკარო!

ნუთუ ვერ ხედავ ჩვენ შორის უფსკრულს:  
ჩაიჩქერი მიჰქუხს ყინულების ქვეშ,  
მიჰქრის, მიტეკვავს, წინ მიიჩქარის.

(ნახად.)

არ გესიზმრება, ხედავდი ცხადად,  
შორს გადიკარგენ მოჩვენებები, —  
დიდხანს იყავი, ძვირფასო, ავად,  
სიგიჟის მწარე სასმელსა სვამდი,  
ამიტომ მძიმე სიზმარი ნახე,  
ვითომ, დაგტოვე, წავედი შენგან...

ბ რ ა ნ დ ი  
მაშ ცოცხალი ხარ! მადლობა გაჰჩენს!..

ა ჩ რ დ ი ლ ი  
(სასწრაფოდ)  
ჩუმად! მაგაზე ნურაფერს იტყვი!  
ნურც შემდეგ! ჩქარა, გამომყევ უკან!

ბ რ ა ნ დ ი  
კი, მაგრამ ალფი?

ა ჩ რ დ ი ლ ი  
ალფიც ცოცხალი  
არის.

ბ რ ა ნ დ ი  
ცოცხალი?

ა ჩ რ დ ი ლ ი  
ჯანმრთელი ძალზე,  
სახელაყდა და მშვენიერი;  
რაც შენ იხილე, ეგ იყო ბოდვა  
და შენი ბრძოლაც მხოლოდ და მხოლოდ  
სიზმარი იყო, მაშ გამოფხიზლდი.  
ალფი დავტოვე მე დედაშენთან,  
ისიც ცოცხალი და ჯანმრთელია,  
ბიჭი კი უკვე წამოიზარდა.  
სოფელში ისევ დგას ეკლესია;  
გნებავს, — დაშლიან დაუყოვნებლად;  
იქ კი, ძირს, მრევლი ჯახირობს ისევ,  
კვლავ იტანჯება, ვით კეთილ დროში.

ბ რ ა ნ დ ი  
კეთილ?



ა ჩ რ დ ი ლ ი

ჰო, მაშინ სიმშიდღე იყო.

ბ რ ა ნ დ ი

სიმშიდღე ვითომ?

ა ჩ რ დ ი ლ ი

ბრანდ, წამომყევი...

ბ რ ა ნ დ ი

ისევ მაბოდებს... —

ა ჩ რ დ ი ლ ი

გათავდა ბოდვა,  
მაგრამ სუსტი ხარ — შენი სიმშიდღე  
უნდა დავიცვა...

ბ რ ა ნ დ ი

მე ჯანმრთელი ვარ.

ა ჩ რ დ ი ლ ი

არა, თან დაგდევს ყოველთვის ავი  
ზმანებები თუ მოჩვენებები, —  
ახლა შენ ნისლით დაიფარები  
ჩვენგან — ცოლისგან, შენი შვილისგან,  
ისევ გაივლი ტანჯვა-წვალების  
იმავე გზას, თუ არ ვპოვებთ წამალს.

ბ რ ა ნ დ ი

მომეცი ჩქარა!

ა ჩ რ დ ი ლ ი

შენ ვაჟკაცი ხარ.

მოინდომე და იშოვე თვითონ.

ბ რ ა ნ დ ი

დამისახელე!

ა ჩ რ დ ი ლ ი

ის ბერიკაცი,  
ჩვენი ექიმი, რომელსაც ბევრი  
რამ წაეკითხა, ჩასწვდა შენს სენს და  
მისი მიზეზიც აღმოაჩინა.  
მთელი ეს ავი მოჩვენებები  
სულ ოთხი სიტყვის ბრალია მხოლოდ, —  
უნდა სასწრაფოდ ამოიშალო  
შენი თავიდან ეს ოთხი სიტყვა,  
რომ გახდეს შენი მეხსიერება  
კვლავ თეთრი წიგნი, დაუწერელი,  
ქვით ამოჭეხიკო უნდა ისინი  
აგრეთვე შენი სჯულის ფიცრიდან, —  
თორემ ამ ოთხი სიტყვის წყალობით  
კვლავ დაიბინდავ ნათელ გონებას, —  
მაშ განიწმინდე, ჩემო გეულღევე,  
სული მაგ ოთხი სიტყვისგან...

ბ რ ა ნ დ ი

ოთხი

სიტყვისგან? მერე რა სიტყვებია?

ა ჩ რ დ ი ლ ი

„ან ყველაფერი, ან არაფერი!“

ბ რ ა ნ დ ი

(უკან დაიხვეს)

ნუთუ?

ა ჩ რ დ ი ლ ი

ასეა, ისევე როგორც  
მე ცოცხალი ვარ; შენ უნდა მოჰკვდე...

ბ რ ა ნ დ ი

ვაგლახ, ვით წინათ, ჩვენს თავზე ახლაც  
ელავს სიკვდილის მახვილი ბასრი.

ა ჩ რ დ ი ლ ი

ძვირფასო, გული კვლავ სიყვარულით  
არის გამთბარი, შენს ხელებს ველი,  
ვპოვებთ გაზაფხულს, მზესა და ჰაერს.

ბ რ ა ნ დ ი

ვაგლახ, არ მოვა ის სენი კიდევ...

ა ჩ რ დ ი ლ ი

ეპ, დამერწმუნე, ის კიდევ მოვა.

ბ რ ა ნ დ ი

(თავს აქნევს)

არა, ამოვწვა უნდა მთლიანად  
ჩემი მკერდიდან სიზმრები ავი,  
დღეიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ!..

ა ჩ რ დ ი ლ ი

ცხოვრებას?

ბ რ ა ნ დ ი

აგნეს, წავიდეთ!

ა ჩ რ დ ი ლ ი

შესდექ!

ბრანდ, ერთი მითხარ, რა გნებავს ახლა?

ბ რ ა ნ დ ი

ის, რასაც წმინდა მკარნახობს ვალი,  
ხორცი შევასხა ოცნებებს ჩემსას,  
მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი მსურს გავაცოცხლო.

ა ჩ რ დ ი ლ ი

არ შეიძლება! არ გახსოვს, თუ სად  
მიგიყვანს ეს გზა?

ბ რ ა ნ დ ი

არა, ვცდი კიდევ!

ა ჩ რ დ ი ლ ი

აწ ფხიზელი და თავისუფალი  
კვლავ მოჩვენებას დაუბრუნდები?

ბ რ ა ნ დ ი

დიახ, ფხიზელი, თავისუფალი  
დაუბრუნდები კვლავ მოჩვენებებს.

ა ჩ რ დ ი ლ ი

გასწირავ შეილსა?

ბ რ ა ნ დ ი

გავწირავ შეილსაც!

ა ჩ რ დ ი ლ ი

ბრანდ, ისევ?

ბ რ ა ნ დ ი

ჩემი ესაა ვალი!

ა ჩ რ დ ი ლ ი

ჩავაქროთ დამით სანთელი ყველა,  
ამოვუშენოთ კაშხალი მზესა,  
სიცოცხლის ნაყოფს არ ვახლოთ ხელი  
და თვით სიმღერაც განვდევნოთ ჩვენგან,  
ვით აკრძალული ნაყოფი იგი?  
ო, რარიგ ძლიერ ვიტანჯებოდით...

ბ რ ა ნ დ ი

ნუღარ მთხოვ... ჩემი ესაა ვალი.

ა ჩ რ დ ი ლ ი

არ დაგავიწყდეს: ამ მსხვერპლისათვის  
არ გელის ჭილდო არავითარი, —  
ვერ აამაღლე სული მრევლისა,  
ყველამ გიმეუხთლა და მიგატოვა!

ბ რ ა ნ დ ი

მე ჩემთვის როდი ველოდი ჭილდოს!  
არც გამარჯვება მინდოდა ჩემთვის!

ა ჩ რ დ ი ლ ი

ამაოდ ცდილობ გზა გაუნათო,  
ჭურღმულეებში რომ დაძრწიან, იმათ!

ბ რ ა ნ დ ი

ე რ თ კ ა ც ს ა ც ძალუძს ბ ე ვ რ ს გაუნათოს!

ა ჩ რ დ ი ლ ი

უბადრუკ სულთა შთამომავლებსა?

ბ რ ა ნ დ ი

უსაზღვრო არის სურვილი მძლავრი  
და აღსრულება დიადი საქმის  
ე რ თ კ ა ც ს ა ც ძალუძს, სულ მარტოდმარტოს.

ა ჩ რ დ ი ლ ი

მაგრამ განდევნა, არ დაივიწყო,  
მან სამოთხიდან ადამიანი  
და უნაპირო უფსკრული შექმნა,  
ვერ გადალახავ ეთერის უფსკრულს.

## ბ რ ა ნ დ ი

გზას მძლავრი სწრაფვა გაგვიხსნის თვითონ!

## ა ჩ რ დ ი ლ ი

(კრკვინვით გაუჩინარდება; თქ, სადაც აჩრდილი იდგა, ჯანლი შემოიკრება, გაისმომ  
გაუჩინარებული აჩრდილის მკაცრი და გაშვმირავი ხმა)

მოკვდი, ქვეყანას აღარ სჭირდები!

## ბ რ ა ნ დ ი

(ერთ წუთს დგას დარეტიანებული)

გაფრინდა, როგორც რუხი ფრინველი,  
შეინავარდა კვამლსა და ნისლში  
და მთას ქორივით გადაუარა.  
მინდოდა ნექზე წამეველო ხელი,  
რათა შემეპყრო ხელი მთლიანად.  
ეს ხომ არ იყო თანხმობის სული?

## გ ე რ დ ი

(გამონდება ხელთოფიანი)

ქორი! გეზელი! ვერ დაინახე?

## ბ რ ა ნ დ ი

დიახ, ამჯერად შეენმნე იგი...

## გ ე რ დ ი

სად არის? მითხარ, საით გაფრინდა?  
მოდის, ორივემ ვესროლოთ, მოვკლათ!

## ბ რ ა ნ დ ი

ამაოდ ფიქრობ, რომ დასკრა იგი,  
გგონია, ტყვია მოხვდაო გულში  
და აღსასრული უდგება თითქოს,  
მაგრამ შეხედავ და გაცდები,  
კვლავ ჯანმრთელია; იცინის, გიხმობს...

გ ე რ დ ი

ნახე, ეს თოფი რა ლამაზია,  
ის მონადირეს მოვპარე გუშინ,  
ხოლო ტყვიები სულ ვერცხლისაა,  
მერწმუნე, არ ვარ თავქარიანი...

ბ რ ა ნ დ ი

დროა, მიზანში რომ მოახვედრო!  
(წასვლას დააპირებს.)

გ ე რ დ ი

პრესტ, რატომ კოჭლობ?

ბ რ ა ნ დ ი

ეგ ნიშანია,  
რომ დამამჩნია ჩემივე ხალხმა.

გ ე რ დ ი

(მიუახლოვდება)

სისხლით შეგსვრია მაღალი შუბლი...

ბ რ ა ნ დ ი

შეუბრალებლად მაწამეს, მტანჯეს.

გ ე რ დ ი

შენი ხმა წინათ ზარივით რეკდა,  
აწ ყვავის ჩხავილს რამ დაამგვანა?

ბ რ ა ნ დ ი

ზარს ქვა მოარტყეს და გაიბზარა.

გ ე რ დ ი

(შეჰყურებს თვალბეგადართობული)  
პრესტი ხარ? არა, არა ხარ, შეეცდი.  
პრესტი ხარ? არა, გიცანი უკვე.

ჯანდაბას ყველა პრესტი და პრობსტი,  
ამქვეყნად შენ ხარ ყველაზე დიდი.

ბ რ ა ნ დ ი

მეც აღარ მჯერა ეგ აბდაუბდა.

გ ე რ დ ი

მიჩვენე ხელი!

ბ რ ა ნ დ ი

ხელი?

გ ე რ დ ი

ო, რარიგ

საოცარია... სისხლიან წყლულებს  
ვამჩნევ ზედ ყველგან, აქაც და იქაც;  
შუბლზეც მოცურავს წვეთები სისხლის,  
ჩანს, შეგსობია ეკლები ღრმადა.  
აჰ, მართლა, შენც ხომ გაგაკრეს ჯვარზე.  
ჩემს ბავშვობაში მამაჩემისთვის  
მომისმენია: ასეთი რამე  
სხვას შემთხვევია შორეულ მხარეს,  
მან ეს ტყუილი მე როგორ მითხრა,  
ახლა კი ვიცი: მხსნელი შენა ხარ!

ბ რ ა ნ დ ი

შორს, შე მაცდურო, ჩამომეცალე!

გ ე რ დ ი

ხომ არ დავემხო შენს ფერხთით, აქვე?

ბ რ ა ნ დ ი

მომწყდო თვალთაგან!



გ ე რ დ ი

შენ ხომ საწინდრად  
სისხლი გაიღე, გვიხსენი ყველა!

ბ რ ა ნ დ ი

ვერ დამიხსნია მე ჩემი სული...

გ ე რ დ ი

აჰა! ესროლე, ძირს დაანარცხე!

ბ რ ა ნ დ ი

(თავს აჭნევს)

ბრა, დაღუპვა თვითონ მე მელის...

გ ე რ დ ი

არა, შენ რატომ, შენ ხომ ჩვენ გვიხსენ,  
შენ ხარ რჩეული, ყველაზე დიდი.  
მე საცოდავი ჭია ვარ მიწის.

(იხედება ზევით, წისლები თხელდება)

იცი, შენ ახლა სად დგებარ?

ბ რ ა ნ დ ი

ვიცი, —

უფლის სასახლის შესასვლელ კართან.

გ ე რ დ ი

(ძალზე ალეღვებული)

ხმამალა უნდა გაგიმეორო?  
იცი, სად დგებარ?

ბ რ ა ნ დ ი

მჭკრქალდება ნისლი  
და სოფლისაკენ მიიწევეს ნელა.

## გ ე რ დ ი

მოიხსნა ნისლის წამოსასხამი,  
შ ა ვ ი მ წ ვ ე რ ვ ა ლ ი აიჭრა ცაში.

## ბ რ ა ნ დ ი

(ზევით იხედება)

ყინულის ტაძარს გულისხმობ?

## გ ე რ დ ი

დიახ!

ბოლოს და ბოლოს, მოხვედი შენ აქ.

## ბ რ ა ნ დ ი

ო, მე ახლავე სიამოვნებით  
გადვიხვეწები შორეულ მხარეს!  
ნეტავი ვიყო სამხრეთში ახლა,  
გავმთბარიყავი მცხუნვარე მზის ქვეშ,  
რა ძლიერ მიყვარს ღუმილი ტაძრის  
და მაინც სისხლჭარბ სიცოცხლეს ვეტრფი.

(ტირილი წასკდება.)

ეჰ, მაცხოვარო, როგორ გიხმობდი,  
მაგრამ მაინც არ მომხვიე ხელი.  
სულ მისხლტებოდი, წინ მისცურავდი,  
როგორც ის სიტყვა, მე რომ ვერ ვპოვე.  
ო, ახლა მაინც გამომიწოდე  
შავ სისხლიანი პერანგის კალთა.

## გ ე რ დ ი

როგორ, შენ სტირი, საბრალო კაცო?  
დაწვებზე მოსწვეთს ცრემლები ცხელი,  
ვით გაზაფხულის მცხუნვარე სუნთქვა.  
ეს მყინვარი კი, სასტიკი, ცივი,

ასე მგონია, შენს სულში დნება  
და მძიმე რკინის სამოსელს იხდის.

(თრთოლვით.)

წინათ რატომ არ სტიროდი ასე?

ბ რ ა ნ დ ი

(სახეგაბრწყინებული, მხიარული და თითქოს გაახალგაზრდავებული)

მე მივდიოდი ამ ცივ წყვდიადში  
კანონის მძიმე, სასტიკი გზითა, —  
აწ კი ყველაფერს, წყვდიადის ნაცვლად,  
გადაჰფენია სინათლე დიდი!  
ხვედრს ვეძიებდი, — ცყოფილიყავი  
სჯულის ფიცარი და ნება უფლის,  
აწ კი გაყინულს სიცოცხლეს ჩემსას  
გაათბობს ცხელი მზე ზაფხულისა.  
ყინული გასკდა: ძალმიძს ვილოცო  
და სიყვარულის ცრემლები ვღვარო!

გ ე რ დ ი

(მზერას გააპარებს ზემოთკენ, შეშინებული ჩუმაღ ლაპარაკობს)

აგერ, იქა ზის, ბილწი, ბოროტი,  
საშინელ ჩრდილს რომ აყენებს სოფელს  
და უფათქუნებს შავ მწვერვალს იგი  
თავის საზიზღარ და ძლიერ ფრთებსა.  
ახლოა, ახლო საათი ხსნისა,  
ერთ წუთში გულში ვკრავ ვერცხლის ტყვიას.

(თოფს დაუმიზნებს და ესვრის.)

გაისმის ქუხილის მსგავსი ყრუ გრგვინვის ხმა ზემოთ, მთის კედელზე.

ბ რ ა ნ დ ი

(წამოხტება)

რას შერები?

## გ ე რ დ ი

იგი მოცურავს ქვემოთ!  
ყვირის, მიზანში მოვარტყი უკვე!  
გესმის ქედებმა დაიგრიალეს  
და მოიცილეს მილიონობით  
მკერდზე დაკრული ფიფქები თოვლის...  
ხედავ, იზრდება, დიდდება ზეავი...  
ყინულზე თეთრი, და აქეთ მოჰქრის.

## ბ რ ა ნ დ ი

(ღონემიხილი დაემხობა თოვლში)

ღიახ, ისჯება ყოველი შვილი  
თავის ცოდვილი მშობლების ნაცვლად.

## გ ე რ დ ი

უფრო მაღალი გამოჩნდა ზეცა,  
ქვეყანაც — ვრცელი, რაკი ის გაჰქრა.  
აგერ მოქანავს! ხარხარი გესმის?  
შეხედე, მოჰქრის თეთრი მტრედით!

(შეშინებული შეჰკივლებს)

რა საშინელი გრგვინვა გაისმის!

(პირქვე დაემხობა თოვლში.)

## ბ რ ა ნ დ ი

(იგრიხება მოვარდნილი ზევის ქვეშ და შესძახის ზეცას)

ო, ახლა მაინც ჟამს სიკვდილისას,  
გთხოვ გამიმხილო, მაუწყო, ღმერთო,  
გვეყო თუ არა გადასარჩენად  
ჩვენი სურვილის quantum satis?..

ზეავი ჩამარხავს ბრანდს თოვლში.

## ხ მ ა

(მეხის გრგვინვისას)

ის არის — Deus caritatis!

# პერ ბუნტი

დრამატული კომედი ხუთ მოქმედებად

თ ა რ გ მ ნ ა

ა კ ა კ ი ბ ე ლ ო ვ ა ნ ი ა

## მოქმედი პირები

ოსე — გლეხის ქალი, ქვრივი.

პერ გუნტი — მისი შვილი.

ორი დედაბერი, რომელთაც წისქვილში ტომრებით ხორბალი მიაქვთ.

ასლაკი — მჭედელი.

სტუმრები, მექორწილები, ნადიმის გამრიგებელი მზარეული, მუსიკოსები და სხვ.

შემთხზული ცოლ-ქმარი.

სოლვეიგი და პატარა პელგა — მათი ასულები.

პეგსტადელი გლეხი

ინგრიდი — მისი ასული

ინგრიდის საქმრო და მისი მშობლები (საქმროს დედ-მამა).

სამი მწყემსი ქალიშვილი.

მწვანესამოსიანი ქალი.

დოვრის პაპა — მთის ტროლების მეფე.

უფროსი კარისკაცი — ტროლი; ორივე სქესის ტროლები, დიდებიც და პატარებიც; კუდიანები, მიწის სულები, ჭუჭა გნომები, კობოლდები, ტყისკაცები და სხვ.

გონჯი ტიბუკი. ხმა წყვილიაღში. ფრინველის ძახილი.

კარი — ბოგანო დედაკაცი.

მასტერ კოტონი, მუსიე ბალონი, ფონებერკოპფი და ტრუმპეტერსტროლე — მოგზაურები აფრიკაში.

ქურდი და მისი შემნახავი.

ანიტრა — ბედუინების ბელადის ასული.

არაბები, მხეველები, მოცეკვავე ქალები და ა. შ.

მემნონის კოლოსი (მომღერალი სვეტი); გიზეჰის სფინქსი (უტყვი სახე).

ბეგრი ფენფელტი — პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი, კაიროს შემოღობულ სახლის დირექტორი

პუპუ — მალაბარული ვენის სიწმინდისათვის მებრძოლი.

პუსეინი — აღმოსავლელი მინისტრი.

ფლაპი, რომელსაც ზურგზე ფარაონის მუშია წამოუკიდებია.

შეშლილები და მათი დარაჯები.

ნორვეგიული გემის კაპიტანი და მისი ეკიპაჟი.

უცნობი მგზავრი (აჩრდილი).

პასტორი.

დამკრძალავი პროცესიის მონაწილეები.

ამტმანი (ლენსმანი).

მელილე — ჩამომსხმელი.

გამხდარი (უცნობი ავსულის სახე).

მოქმედება მოიცავს დროს XIX საუკუნის დასაწყისიდან სამოციან წლებამდე. ხდებ-  
ბა ნაწილობრივ გუდბრანდის ხეობაში და მის მოსაზღვრე მთებში, ნაწილობრივ  
მაროკოს სანაპიროზე, საჰარის უდაბნოში, კაიროს საციეთში და ა. შ.

## პირველი მოქმედება

მთის ფერდობი ოსეს ეზოს მახლობლად. მწვანე ხეები. იქვე მთის ნაკადული მოჩუბჩუბებს. მარცხნივ, გაღმა მხარეს, ძველებური წისქვილია. ზაფხულის ცხელი დღეა.

პერ გუნტი, ოცი წლის ტანადი, ჯანმჯარი კაბუჯი, მალლიდან ბილიც მოკვება. ოსე, დედამისი, ჩია, გამხდარი, სუსტი ქალი, ფეხდაფეხ მოსდევს, გაბრაზებულია და ილანძღება.

ოსე

პერო, შენ ტყუი!

გუნტი

(შეუჩერებლად)

სულაც არ ვტყუი!

ოსე

მაშ დაიფიცე!

გუნტი

ფიცი რად მინდა?

ოსე

ფუი! ამასაც არ იკითხავდი,

შენ რომ სინდისი გქონოდა წმინდა!

გუნტი

(შეჩერდება)

სიმართლეს ვამბობ! ინებე ფიცი!



ო ს ე  
(პირში)

არც კი გრცხვენია! მატყუებ, ვიცი!  
კაცმა ტყე-ღრეში დაიდოს ბინა,  
როდესაც თიბავს მთელი სოფელი,  
მთელი თვის შემდეგ დაბრუნდეს შინა —  
ამას ვინ იზამს ჭკვათამყოფელი?  
დაკარგე თოფი, გაგეჭვა ვაცი,  
რა შვილიცა ხარ, ქვეყანა ხედავს...  
ამ შუადღისას ამხელა კაცი  
ურცხვად ატყუებ საცოდავ დედას!  
მაინც სად ეგღე?

გ უ ნ ტ ი  
გენდინის გაღმა.

ო ს ე  
(დაცინვით)

დახე! რა ნახე?

გ უ ნ ტ ი  
ავარდა ქარი.

ორმოსა თხრიდა გოროზი ხარი,  
ფათალოს ფოთოლს წიწკნიდა წყნარად  
ბუჩქების იქით...

ო ს ე  
(ისევ დაცინვით)  
ჰო, როგორ არა!

გ უ ნ ტ ი  
მეც ფეხაკრეფით მივყვები გზასა  
და ვუსმენ ირმის ჩლიქების ხმასა:  
თოვლიდან უჩანს ქორბუდა რქები,  
ტანსა და კისერს ფარავენ ქვები...

ვიხელთე დრო და მოგეცა ლხენა,  
ისე გავფრინდი, ვერ იტყვის ენა!  
ათი წელია, გითხრა ნამდვილი,  
არვის უხილავს მსგავსი ნადირი!

ო ს ე

ღმერთო, გვიშველე! გადავირევი!

გ უ ნ ტ ი

ჭახ! და დავარდა დაბლა ირემი.  
მარდად გავკარი ხელი გავას და  
ზურგზე დავახტი ნადირს ანაზდად,  
ვიშიშვლე დანა, ჩავავლე ხელი,  
რომ გამომეჭრა მაშინვე ყელი,  
მარცხენა ყური ვიხელთე თანაც,  
მაგრამ ერიპა! დამიგდო დანა,  
შეხტა ირემი, შეკრა კამარა,  
გაგიჟდა, მთები გადამატარა,  
ზურგზე დამაკრა ქორბუდა რქებით,  
მიმაქროლებდა თავდავიწყებით.  
დანაც დავკარგე, მისი ქარქაშიც,  
ვეჭიდებოდი ქორბუდას რქაში...  
ასე მიჰქროდა გადარეული  
გენდინისაკენ გამალებული.

ო ს ე

(უნებურად)

იესო!

გ უ ნ ტ ი

ღედა, გინახავს განა  
გენდინის ქედი როდისმე შენა?  
შორს გაზიდულა თვალსაწიერზე,  
ცელის სიფართე ექნება თხემი,  
აქეთ-იქიდან თოვლი, ყინული,

ქვიშა და ქრელი მორენებია,  
დაბლა — უფსკრული პირდაღებული,  
ხუთას-შვიდასი ადლის სიღრმეში  
ზიშნიმებს რიგი მღუმარე ტბათა.  
ქედზე მივქროდით ისარზე სწრაფად  
ქარში ჩვენ ორნი — მე და ირემი!  
რაც თავი მახსოვს, არ მიქროლია  
ჯერ მე ასეთი ფიცხი ტაიქით!  
ისეთ ნაპერწკლებს ყრიდა ჩლიქებით,  
ვარსკვლავთა წვიმა გეგონებოდა.  
მალლით ვხედავდი არწივთა ზურგებს,  
საღდაც წყალსა და მწვერვალებს შორის  
მიჰქროდნენ მუქი ფრთების რხევითა  
და ბუმბულივით ქრებოდნენ მერე.  
ეხეთქებოდა ნაპირს ყინული,  
მაგრამ მისი ხმაც იკარგებოდა, —  
ჩვენ მეტისმეტად მაღლა ვიყავით,  
მხოლოდ სულები ხტოდნენ ტალღებში  
ცეკვით, რიალით, მღერით, სრიალით,  
და იტაცებდნენ თვალსა და სმენას.

## ო ს ე

(თავბრუ ესხმის)

ღმერთო, მიშველე!

## გ უ ნ ტ ი

ანაზღეულად

თოვლში კაკაბი აფრინდა თეთრი,  
ქვასავით მოსწყდა თვალწინ ნაპრალსა,  
სადაც თავისთვის მიყუყულიყო  
და აკრიახდა გულგახეთქილი.  
შეხტა ხარი და შეინავარდა,  
შეშინებულმა იცვალა გეზი,  
ელდანაკრავი ავარდა ცაში  
და გადაეშვა ღია უფსკრულში.

ოსე ბარბაცებს. ხის ტოტს წაეტანება. პერ გუნტი განაგრძობს.

მალა ფრიალო ჩანდა კედელი,  
დაბლა — უფსკრული ჯოჯოხეთური!  
შუა გახლეჩილ მრუმე ნისლებში  
თეთრი გედების და თოლიების  
გუნდებთან ერთად რომ შევიჭვრით,  
დაფრთხა ფრთოსანთა ორივე გუნდი  
და გაიფანტა ყივილ-სივილით,  
ჩვენ კი დავეშვით სულ დაბლა, დაბლა,  
და იქ შევნიშნე გულგახეთქილმა  
ირმის მკერდივით თეთრი რაღაცა:  
ეს იყო, დედა, ჩვენივე სახე,  
ტბის სიღრმიდან რომ ამოტივტივდა,  
შემოგვეგება ისევე სწრაფად,  
რა სისწრაფითაც მიექროლით დაბლა.

ოსე

(სულშეგუბებული)

პერო! მოკლედ თქვი, იწამე ღმერთი!

გუნტი

ვაცი მალლიდან, ვაცი დაბლიდან  
შეხვდა ანაზღად ერთიმეორეს!  
და მოვადინეთ ტბაში ტყაპანი,  
ოღონდ ცოტა ხანს ვიყავით წყალში,  
მყის ამოვყვინთეთ, ვიხილეთ მიწა,  
მან გამოცურა, მეც გამოვყევი  
და შინისაკენ გამოვეშურე.

ოსე

ირემი?

გუნტი

აღბათ, ნავარდობს საღმე.

(თითებს ატკაცუნებს, ქუსლებზე შემოტრიალებს)

გეგონება ტაიჭიო —  
წადი, სცადე, დაიჭიო!

ო ს ე

კისერი როგორ არ მოიტეხე?  
ზედ ფეხიც როგორ არ წაატეხე!  
ახლა შენ ზურგი მთელი გექნება?  
ღმერთო, მაღალო, დიდება შენდა! —  
რომ დამიბრუნდა შვილი მშვიდობით!  
თუმცა შარვალი კი გახვევია,  
მაგრამ რა ვუყუო, შარვლის დარდი მაქვს?  
შეიძლებოდა გადაჰყოლოდა  
ამნაირ გიჟურ ცეკვა-ქენებას...

(ანაზღად გონს მოეგება, რაღაც აგონდება, შვილს პირდადებული და თვალდაქვე-  
ტილი შესცქერის, ხმის ამოღებას ვერ ახერხებს. ბოლოს გაწინმატებული ქოქოლას  
აყრის)

აჰ, შე თაღლითო, ეშმაკის კერძო!  
შე მატყუარავე! სულ გამოვშტერდი!  
ძლივს გავიხსენე: მე ეს ზღაპარი  
ქალწულობაშიც მომისმენია,  
როს მამაშენი ყმაწვილკაცობდა,  
და შენ კი არა, მთელი ამბავი  
ოდესღაც გუდბრანდს გადახდენია!

გ უ ნ ტ ი

ვითომ რა უჭირს, მეც რომ გადამხდეს,  
ცხენზე ჯდომა ხომ მეც მემარჯვება!

ო ს ე

(დაცინვით)

კი. ტყუილს ისე შეაფერადებ,  
ისე შემოსავ ზიზილ-პიპილით,  
შიმშილით გამხმარ მუცელს აივსებ  
და ადამიანს გზა-კვალს აურევ.

შემიყოლიე, გამასულელე,  
სიცრუის გუდას მოხსენი თავი  
და ყველაფერი ისე გაბერე,  
გედებითა და არწივითა ზურგით  
ისე მაცურე აღმა და დაღმა,  
რომ მე საბრალომ ჭკუა დაეკარგე,  
ვერც კი ვიცანი ძველი ზღაპარი,  
რაც ასჯერ მაინც მომისმენია.

### გ უ ნ ტ ი

ასეთი რამე რომ ეთქვა სხვასა,  
მე მას ცხვირიდან ვადენდი ძმარსა!

### ო ს ე

(ტირლით)

ვაი, ნეტავი, კუბოში ვიწვე!  
ანდა ღმერთს სულაც არ გავეჩინე!  
მხოლოდ ცრემლსა და სიმწარეს ვხედავ,  
პერ, დაკარგული კაცი ხარ შენა!

### გ უ ნ ტ ი

ძვირფასო, ტკბილო, კეთილო დედავ,  
შენ მართალი ხარ, თვითონაც ვხედავ!  
ოღონდ დამშვიდდი...

### ო ს ე

მომწყვდი თავიდან!

რა დამამშვიდებს, მითხარი სწორი,  
როცა შვილი მყავს ასეთი ღორი?  
რა გამახარებს საწყალ ქვრივ-ოხერს,  
გულს რა მომიღობს და მომიოხებს,  
რომ გამოხვედი ასეთი ცეტი,  
არა მელის რა, სირცხვილის მეტი.

(ისევ ატირდება)

აბა, რა დაგვრჩია, თუ გაქვს გონება?  
სად გაქრა შენი პაპის ქონება?  
ამდენი ღვინო სად დაიცალა,  
რაც რაზმუს გუნტი გარდაიცივალა?  
ცხონებულს მამა სულ არა ჰგავდა,  
ოქროს ბზესავით ყრიდა, ფანტავდა,  
მიწების ყიდვას არ აყოვნებდა,  
მოოქრულ ეტლებს დააქროლებდა...  
სტუმარი სვამდა, ავსებდა ახალს  
და მიაძსხვრევდა კედელზე კათხას.  
გაქრა ყოველი. სადღაა კვალი  
ლხინთა, ნადიმთა? მიწა და წყალი?  
სადღაა ძველი ავლადიდება,  
ის სიმდიდრე და პატივ-დიდება?

### გ უ ნ ტ ი

ჰმ! შარშანდელი თოვლი სად არი?

### ო ს ე

არ გაჩუმდები არც ახლა, ბიჭო?  
შეხე, რასა ჰგავს ჩვენი სახლ-კარი!  
ფანჯრის მინები ჩაღეწილია,  
ჩაგმანულია ძველი ძონძებით.  
ლობე და ყორე გადაღორცილა,  
ნათესებს ახრჩობს ხეართქლა და ბირკა,  
ბოსელში პირუტყვს აწვიმს და ათოვს.  
რამდენჯერ ვალში აღწერეს უკვე  
ჩვენი სარჩო და საბადებელი!

### გ უ ნ ტ ი

გეყო, მოხუცო, ოხვრა-წუწუნი,  
ბედნიერება ხან გაგიღიმებს,  
ხან ზურგს შეგაქცევს და ისე წავა,  
დასანახავად მოგენატრება.  
მერე კვლავ მოვა...

## ოსე

ალარასოდეს!

ამ კარ-მიდამოს ჭინჭარი ფარავს.  
მხოლოდ შენ ერთი დარჩი ისეთი,  
კერპი, ამაყი, როგორც იყავ  
მაშინ, როდესაც კოპენჰაგენის  
მღვდელი მოვიდა, სახელი გკითხა,  
მოეწონე და იფიცებოდა,  
პრინციებს ჩასვამსო ეს თქვენი პერი  
თავისი ჭკუით და სილამაზით.  
მადლობის ნიშნად მას მამაშენმა  
აჩუქა ცხენი თავის მარხილით.  
რა ხელგაშლილად ვცხოვრობდით მაშინ  
ქერის ორმოში ვიყავით სწორედ!  
პრობსტი გინდოდა თუ კაპიტანი,  
იჭდა დღეობით, ჭამდა და სვამდა,  
ვიდრე გემოზე არ გაძლებოდა.  
მაგრამ გვეწვია სიღარიბე და  
თითქოს ყველანი ქარმა გახვეტა,  
დაცარიელდა ჩვენი სახლ-კარი,  
შეწყდა ქეიფი, რაც მეწვრილმანედ  
წავიდა ქვეყნად ჩემი იონი.

(წინსაფრით ცრემლს იწმენდს)

უკვე დიდი ხარ და ღონე გერჩის,  
დრო არის ბედი შეუმსუბუქო  
საბრალო დედას, მიხედო სახლ-კარს  
და უპატრონო შენს სამემკვიდროს,  
ვიდრე სრულიად გაპარტახდება...

(ისევ აჭვითინდება)

იმის მაგიერ, მარჩინო დედა,  
ჩეჩქივით ფანტავ დროსა და ფულსა!  
კერას უზიხარ და იმურები  
უქმი, მცონარა, ქარიფანტია;  
გარეთ გახვალ და თავსა მჭრი ხალხში,



დარბაზში შეხვალ — კარში გარბიან  
შეშინებული ქალიშვილები,  
ჩემდა საკვდავად და სამარცხვინოდ  
ავარა ბიჭებს აუხირღები...

გ უ ნ ტ ი

(გაეცლება)

მომეშვი, დედა!

ო ს ე

(მიჰყვება)

შენც იქ არ იყავ,  
ამასწინათ რომ აყალმაყალი  
აგიტეხიათ, ჩხუბისთავებო,  
და ცოფიანი ძაღლების მსგავსად  
რომ დარევიხართ ერთიმეორეს?  
ლამის ასლაკი, სოფლის მჭედელი,  
არ შემოგაკვდა შენ მაშინ ხელში?  
და, მგონი, თეძო გადაუბრუნე,  
თუ ეღრძო ხელი, ასე არ იყო?

გ უ ნ ტ ი

დედაკაცების მოგონილია!

ო ს ე

(გაბრაზებული)

კარის სმენია თქვენი ბღავილი!

გ უ ნ ტ ი

(ილაყვს იწმენდს)

ვინა ბლაოდა? მე ვიქნებოდი.

ო ს ე

შენა?

გ უ ნ ტ ი

მე მცემეს და მე ვბლაოდი.

ო ს ე

როგორ?

გ უ ნ ტ ი

ოჰ, ასლაკს ვინ მოერევა!

ო ს ე

ვისა?

გ უ ნ ტ ი

ვისაო! შენს ასლაკ-მჭედელს!

ო ს ე

ფუი! ფუი შენ! ის ცრუპენტელა,  
ის ქურდი, ლოთი, ბებერი ბოთე,  
ის მაწანწალა შენ მოგერია?  
თავი საითლა გამოგეყოფა?

(ისევ ტირის.)

ბევრი ჭირი და სირცხვილი მახსოვს,  
მაგრამ ასეთი... დამიდგეს თვალი!  
მაშ იმან გცემა? და როგორც ბუშტი...  
შენ სადლა გქონდა სამიწე მუშტი?

გ უ ნ ტ ი

რაც გინდა ვიყო, ურო თუ გრდემლი,  
შენ მაინც უნდა დადვარო ცრემლი?  
ვჯაბნი, მჯაბნიან, მცემეს თუ ვცემე —  
მაინც საშველი არ არის ჩემი...

(იციინის.)

მაგრამ ამჯერად დამშვიდდი, დედავ...

ო ს ე

კვლავ მომატყუე? როგორა ბედავ?

გ უ ნ ტ ი

მხოლოდ ამჯერად... შეიშრე ცრემლი.

(მარცხენა ხელს მუშტად კრავს.)

ეს ხელი ვტაცე, შევხედე კუშტად,  
მარჯვენა ხელიც შევეკარი მუშტად

(მარჯვენასაც კრავს.)

და უროსავით დავკარი მჭედელს.

ო ს ე

შე ჩხუბისთავო! არ მოისვენებ,  
ვიდრე მიწაში არ ჩამასვენებ!

გ უ ნ ტ ი

რას ამბობ, დედა, შენ ხომ ღირსი ხარ  
ასჯერ, ათასჯერ უკეთეს ბედის!  
ჩემო პატარა, ანჩხლო, კეთილო,  
ჟარგო დედიკო, მაცალე ერთი,  
მთელი სოფელი დაგიკრავს თავსა,  
ისეთ დიდ საქმეს მოვახდენ შენთვის,  
არ დაუჯერებ საკუთარ თვალსა!

ო ს ე

(დაცინვით)

შენ?

გ უ ნ ტ ი

რა მოხდება, არავინ იცის!

ო ს ე

ნეტავ, გყოფნიდეს ჭკუა იმისთვის,  
რომ დაიკერო შენი შარვალი,  
სხვას არ დავეძებ მე უბედური!

გ უ ნ ტ ი

(ფიცხალ)

მეფე გავხდები, იმპერატორი!

ო ს ე

ეს საცოდავი სულ შეიშალა!

ეტყობა, თავში უკაკუნებენ.

გ უ ნ ტ ი

მაცალე ცოტა, გავხდები, ნახავ!

ო ს ე

„მომეცი დრო და გავხდები პრინცი“, —  
ასეთი ძველი ანდაზაც ვიცი.

გ უ ნ ტ ი

გავხდები, ნახავ!

ო ს ე

გეყოფა როტვა!

სულ დაგიკარგავს ჭკუა-გონება!

რაიმეს მაშინ მოაგვარებდი,

და ჩვენს ბედს ძალლი აღარ დაჰყეფდა,

თუ მთელი შენი დღე და მოსწრება

ასე უქმად არ იყილებდი

და ბაჭიობას მოეშვებოდი!

ვიცი, მოსწონდი ტურფა ინგრიდას,

და ჭკუას ძალას თუ დაატანდი,

გამოგყვებოდა კიდევაც ცოლად.

გ უ ნ ტ ი

მართლა?

ო ს ე

ხომ იცი, მოხუცი მამა

ქალიშვილზეა გადაგებული.

თვითონ ხომ ერთი კერპი ვინმეა,  
არც ასული ჰყავს დიდი მორჩილი,  
და თუნდაც შეჭდეს ეშმაკის ცხენზე,  
მაინც კულში სდევს ბუზლუნით მამა.

(ისევ ატირდა.)

ახ, ჩემო პერო, რა მდიდარია!  
სულ მას შეჰყურებს მამის ქონება!  
შენ რომ ისეთი ჰკვიანი მყავდე,  
შემომიყვანდი სახლში პატარძალს  
და სოფელს თვალი დაუდგებოდა!

გ უ ნ ტ ი

(უცებ)

წამო, ახლავე!

ო ს ე

საით?

გ უ ნ ტ ი

გოგოსთან!

ო ს ე

საბრალო პერო! დაგაგვიანდა

გ უ ნ ტ ი

რატომ?

ო ს ე

სულელო! ჯოჯის ღირსი ხარ,  
ისეთი ბედი დაკარგე, ბიჭო!

გ უ ნ ტ ი

მითხარი...

ო ს ე

ვიდრე მთაგრეხილებზე  
შენ იმ ხარ-ირემს დააჭენებდი,  
ის ჰეგსტადელი ინგრიდი შენი  
აგერ მაც მონმა დაწინდა კიდევ.

გ უ ნ ტ ი

იმ საფრთხობელამ? როგორ იქნება?

ო ს ე

შინ წაიყვანს და ცოლად დაისვამს.

გ უ ნ ტ ი

უმაღლესი გახდება ის ჩემი წერა!  
მაცალოს, თეთრა შევაბა ჯერა!

(უნდა გავიდეს.)

ო ს ე

ცოტა ერიდე ასეთ მუქარას!  
ხვალ არის თურმე მათი ქორწილი.

გ უ ნ ტ ი

მაშ არ ყოფილა ჯერაც გვიანი!

ო ს ე

ფუ! გინდა ქვეყნის ყბაში ჩავარდე,  
სოფელში თავი გამოიჭენო?

გ უ ნ ტ ი

რატომაც არა? გზას დამიცილიან!

(სიცილით შესძახებს.)

გაშა, დედილო! თეთრა დავტოვოთ!  
ცხენის შებმასაც ჯახირი უნდა!

(დედას ხელში აიტაცებს.)

ო ს ე

გამიშვი!

გ უ ნ ტ ი

არა! ასე წაგიყვან  
და საქორწინო სუფრაზე დაგსვამ.

(ნაკადში შეტოპავს.)

ო ს ე

მიშველეთი ვინ ხართ მანდ ქრისტოანი?  
ჩვენ დავიხრჩობით!

გ უ ნ ტ ი

ნუ გეშინია  
ეშმაკს არ უნდა ჩემი დანხრჩობა.

ო ს ე

სახრჩობელაზე აგიყვანს ალბათ!

(თმას აუწევს.)

მზეცო, ნადირო!

გ უ ნ ტ ი

ჰა, მოისვენე!  
თორემ აქ ფეხი დამიცურდება.

ო ს ე

ვირო!

გ უ ნ ტ ი

ვირობა არაფერია!  
ოღონდ ნუ მწეწავ და ნუ ფართხალეზ,  
ენა აქნიე, რამდენიც გინდა,  
ამაზე მხოლოდ იციანებს კაცი.  
აქ არა უშავს, წყალი თხელია.

ოსე

მაგრა მომკიდე ხელი, ონერო!

გუნტი

ვითომ პერი ხარ, მე კი — ირემი!

(ხტუნაობს.)

პერი ირემზე ამხედრებულა!

ოსე

ვაი, გავთავდი!

გუნტი

შენა თუ ფონი?

აგერ ნაპირზე გავედით კიდეც.

(გაღის ზმელეთზე.)

შენც მოეფერე ირემს პატარა,  
წყალზე რომ მშრალად გამოგატარა!

ოსე

(სილას გააწნავს)

ესეც შენ! ფეხის ქირად მიილე!

გუნტი

საძაგლობაა, მანდილოსანო!

ოსე

დამსვი, რეგვენო!

გუნტი

არა, ჯერ არა!

ჩვენ ხომ ქორწილში მივეშურებით!  
მობუცს ჩამოსვამ ქაჯის ცხენიდან  
და ვირზე შესვამ იმ საფრთხობელას:  
ტუტუცია-თქო...



ოსე

ძირს დამსვი-მეთქი!

გუნტი

და შემდეგ ეტყვი, რა შვილიცა გყავს...

ოსე

ჰო, ისე ვეტყვი, სახტად დარჩები!  
ისე შეგამკობ, ისე დაგხატავ,  
ისე ჩამოვთვლი მაგ შენს ოინებს,  
რომ პირს დააღებს მთელი სოფელი!

გუნტი

მართლა?

ოსე

(გაშმაგებით აქნევს ფეხებს)

მანამდე არ დავაყენებ  
ამ ენას, ვიდრე ავი მოხუცი  
უავეს ძაღლებს შენ არ მოგისევს.

გუნტი

ჰმ! როგორც ვატყობ, მე მართო წავალ.

ოსე

ჰო, მაგრამ მეც ხომ მაქვს ორი ფეხი!

გუნტი

ფეხი გაქვს, მაგრამ ლონე არ გერჩის.

ოსე

არა? ისე ვარ გაბრაზებული,  
ქვას დავღეჭავდი, ქვას-მეთქი, შტერო!  
კენჭს ავიღებდი, გადავყლაპავდი!  
გამიშვი-მეთქი!

გ უ ნ ტ ი

თუ ღამპირღებში...

ო ს ე

ტყულად ირჯები! ჭკუას ისწავლი!  
ყველამ გაიგოს, რა შვილიცა ხარ!

გ უ ნ ტ ი

ფიქრის დროს გაძღვე.

ო ს ე

ძალღებს მოგისევთ!

გ უ ნ ტ ი

აღარ წაგიყვან...

ო ს ე

მე შენთან მინდა!

გ უ ნ ტ ი

ბევრი რამ მინდა...

ო ს ე

მაშ რას მიპირებ?

გ უ ნ ტ ი

ემაგ წისქვილის სახურავს ხეღავ?  
იმაზე შეგსვამ, ძვირფასო ღეღავ!

(აიყვანს ღა შესვამს. ოსე ჩამოსძახის).

ო ს ე

გაღმომსვი ჩქარა!

გ უ ნ ტ ი

იქნები წყნარად?

ოსე

ბრაწი არ გინდა?

გუნტი

დედა, ნუ ბრაზობ!

ოსე

(ბელტს ესვრის)

ჩამომსვი, პერო!

გუნტი

პო, რომ შემეძლოს,

მაგრამ ეს არის შენი სურვილი!

(უახლოვდება.)

ჰკუით იყავი, იჯექი წყნარად!  
შეწყვიტე ცმუკვა და წიხლაობა,  
ნუ მიშენ ასე ქვებსა და კენჭებს,  
თორემ ჰრიჰინა სულ ასე მღერის:  
ჩამოვარდება დედაშენიო!

ოსე

აჰ, შე ბაქიავ!

გუნტი

წიხლები-მეთქი!

ოსე

ქარმა წაგიღოს და გამოგცვალოს,  
რომ საკუთარი თავიც ვერ იცნო!

გუნტი

გრცხვენოდეს!

ოსე

ფუი!

## გ უ ნ ტ ი

უმჯობესია  
გზა დამილოცო, თუ ხარ მშობელი.  
არ გინდა, დედა?

ო ს ე

მინდა დაგზილო  
დაგზელ კიდევაც, მაცალე შენა!

## გ უ ნ ტ ი

პო, მერე იყოს! მე მალე მოვალ,  
ყოჩაღად იყავ მაგ სახურავზე!

(მიდის, ერთხელ კიდევ მოუბრუნდება, თითის აწვეით აფრთხილებს)

აბა ჭკვიანად! არ გადმოვარდე!

(გაღის.)

ო ს ე

ღმერთო მაღალო! მართლა გაიქცა  
ვაცის მხედარო სიცრუის გუდავ!  
მისმინე, პერო!

შენც არ მომიკვდე!

ყურსაც არ მაპყრობს! მიდის თავისთვის...

შენ გაქრი ბარემ!

(ყვირის.)

მიშველეთ, ხალხო!

ორი მოხუცი დედაკაცო ამოდის წისქვილისაკენ, ზურგზე ტომრები აუკიდებიათ

პ ი რ ვ ე ლ ი დ ე დ ა კ ა ც ი

ხატი და ჯვარი შეგვეწიოს! ვინ გოდებს მანდა?

ოსე

ეს მე ვარ, ქალო!

მეორე დედაკაცი  
ნახე, ოსე სად აფრენილა!

ოსე

ეს კიდევ რაა! ჩემი შვილის პატრონი მალე  
ალბათ ცაშიაც გავფრინდები!

პირველი დედაკაცი  
გზა მშვიდობისა!

ოსე

კიბე მოიტათ, ჩამოვიდე!.. წყეული პერი!

მეორე დედაკაცი  
ვინ, შენი შვილი?

ოსე

ახლა ხედავთ, რა შვილიცა მყავს?

პირველი დედაკაცი  
გხედავთ.

ოსე

მიშველეთ, ჩამოვიდე! პეგსტადში წავალ.

მეორე დედაკაცი  
იქ არის განა?

პირველი დედაკაცი  
შეგიძლიათ იცინოთ ბევრი:  
თუ იქ წავიდა, მაშ მკედელიც უჩვენებს სეირს.

## ოსე

(ხელებს იმტერევს)

ღმერთო მალალო, რა მეშველება!  
ხომ შეიძლება მოკლას კიდევაც!

პ ი რ ვ ე ლ ი დ ე დ ა კ ა ც ი

ჰო, სიკვდილს გრძელი ხელები აქვს! ვისაც წაატანს...  
ყველანი მისი შვილები ვართ, გულს ნუ გაიტეხს!

მ ე ო რ ე დ ე დ ა კ ა ც ი

დაიცა, ქალო, ლამის არის ჭკუა დაკარგოს!

(ეძახის ზემოთ.)

ეივინდი ანდერს! თუ ხართ სადმე, ჩამოდით ჩქარა!

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა

რა მოხდა, ქალო?

მ ე ო რ ე დ ე დ ა კ ა ც ი

მოგვეშველეთ! როგორ რა მოხდა!  
პერ გუნტს წისქვილის სახურავზე შეუსვამს დედა.

მცირე გორაკი, მანანთა და ბუჩქნარით დაფარული. მის იქით სასოფლო გზაა.  
პერ გუნტი სასოფლო ბილიკზე ჩამოდის და სწრაფად უახლოვდება ღობეს,  
ჩერდება და მალა იყურება, სადაც სანახები იშლება

პ ე რ გ უ ნ ტ ი

აგერ ჰეგსტადი! სადაც არის, მივალ კიდევაც.

(ღობეზე ადოცდება, მერე გადაიფიქრებს.)

ნეტავ, ინგრიდი მართო თუა? მაშინ მე ვიცი!

(თვლებს მოიჩრდილავს და სივრცეს გასცქერის.)

არა, გზა ხალხით სავსე ყოფილა!  
უმჯობესია უკან გავბრუნდე,

(ისევ დაბლა ჩამოდის.)

თორემ ზურგს უკან დაიწყებენ ჩურჩულს და ღმეკას,  
სირცხვილისაგან დაიწვები კაკალი კაცი.

(მესერს შორდება, დაბნეულია, ბუჩქებს ფოთლებს აცლის.)

მაგარი რაზი მაინც მომცა, რომ გამახუროს!  
ან ისე, ჩუმაღ, შეუმჩნევლად რომ გავძვრებოდე!  
ან უცხო ვინმე მაინც ვიყო, ვერავინ მიცნოს!  
მაგრამ ყველაფერს აჯობებდა მაგარი რაზი!

**შეშინებული იყურება აქეთ-იქით და მერე ბუჩქებში იმალება. რამდენიმე კაცი  
საჩუქრებით მიდის ქორწილში.)**

ე რ თ ი კ ა ც ი  
(საუბარს განაგრძობს)

მაგისი მამა ლოთი იყო, ღეღა — ჩერჩეტი.

ქ ა ლ ი

მაშ ვის რად უკვირს, რომ რეგვენი გამოდგა შვილი?  
ჩააარეს. გუნტი გამოდის და ალექსილი გასცქერის მიმავალთ.

გ უ ნ ტ ი  
(წყნარად)

ჩემზე ყბედობენ?

(განზრახ გულგრილად.)

რას დაეძებ, თქვან, რაც ენებოთ!  
ბევრიც ილაყბონ, ამით თავს ხომ ვერ წამაცლიან!

(მწვანე ბალახში ჩაეშვება, გულაღმა წვება, თავქვეშ ხელებს ამოიდებს და ლურჯ  
ცას გასცქერის.)

ო, რა მრისხანე ღრუბელია! ნამდვილი ცხენი  
ეგერ, სადავე, უნაგირი, ზედაც მხედარი...  
ასდევნებია კულიანი, წკეპლაზე მჯდარი.  
(თავისთვის იცინის.)

ეს ღეღაჩემი მოფრინავს და მომძახის წყენით:  
„პერო!“ მაგრამ პერი რა შვილია, რომ დაუცადოს!

(თვალეები თანდათან მიელულება.)

ეტლის წინ მერანს მოაქვენებს ოქროსფლოქვიანს,  
 ხელთათმანები აცვია და ხმალი არტყია,  
 დიბით მორთული მოსასხამი ამშვენებს გრძელი,  
 და მართალია, აჰყოლიან მარჯვე მდევრები,  
 მაგრამ უსწრაფეს ბედაურზე ამხედრებულა,  
 მოჰქრის, მოფრინავს და შუქს აფრქვევს დედამიწაზე.  
 დაბლა დამდგარა მოზიმზიმე ხალხი ჯარადა,  
 ქუდმოხდილები გასცქერიან ზეცის კამარას.  
 ქალებს თავები დაუხრიათ, როდის მოვლენო  
 იმპერატორი პერ გუნტი და მისი ჯარები!  
 მოდის, მოაფრქვევს ბუმბერაზი ზეცის თალიდან  
 ვერცხლსა და ნიკელს, ხრეშის მსგავსად, უხვი ხელითა.  
 ამ სოფლის საქმე წადმა წავა ამიერიდან.  
 პერმა დასავლეთს მიაშურა, ზღვას გადაევლო,  
 ინგლისის პრინცი დგას ნაპირზე და ელოდება,  
 თან ახლავს ყველა ინგლისელი ლამაზი ქალი.  
 ინგლისის მეფე, ბარონები, დიდი ლორდები  
 ძირს ეშვებიან ძველი ტახტის საფეხურებზე.  
 დიდი ხელმწიფე გვირგვინს იხდის და დინჯად ამბობს...

### მ ქ ე დ ე ლ ი

(სოფლელებს, რომლებიც ღობის იქით მოჰყვებიან)

შეხეთ, პერ გუნტი, მთვრალი ღორი...

### პ ე რ გ უ ნ ტ ი

(წამოიწივს)

იმპერატორი!..

### მ ქ ე დ ე ლ ი

(ღობეზე გადმოყუდებული იღრიკება)

აღარ აღგები? არა, მართლა?

### გ უ ნ ტ ი

ამას ვის ვხედავ?

ეშმაკის კერძო! მქედელი ხარ? აქ რას აკეთებ?



მ ჰ ე დ ე ლ ი

(დანარჩენებს)

ძვალსა და რბილში გასჯდომია ლუნდენის ლუდი-

გ უ ნ ტ ი

(შეხტება)

მჰედელო, დროზე გამეცალე!

მ ჰ ე დ ე ლ ი

ჰო, წავალ, მაგრამ  
სად ბრძანდებოდი სამი კვირა, ყმაწვილო კაცო?  
რას აკეთებდი? მთის სულეებმა მოგნუსხეს ალბათ?

გ უ ნ ტ ი

მე საკვირველი საქმეები მომხდენია!

მ ჰ ე დ ე ლ ი

(დანარჩენებს თვალს უკრავს)

გეიაბზე, პერო!

გ უ ნ ტ ი

მოგვიხდება მეტად შორს წასვლა.

მ ჰ ე დ ე ლ ი

(ღუმლის შემდეგ)

ჰეგსტადში?

გ უ ნ ტ ი

არა.

მ ჰ ე დ ე ლ ი

ერთ დროს ამბობდნენ,  
თითქოს იქ ერთი ქალიშვილი მოგწონდა შენა.

## გუნტი

ჰა, შე ყორანო!

### მკედელი

(უკან-უკან იხევს)

მუდამ დარდი ნუ გაწევს გულზე:  
თუმცა ინგრიდმა დაგიწუნა — სხვებიც არიან.  
იონ გუნტის ძეგ, ბარაქალა! წამო, იქ ნახავ,  
ბატკნები გინდა უმანკო თუ ძველი ქვრივები.

## გუნტი

ჯანდაბა შენა!

### მკედელი

აირჩევდი იქ შენს გულისსწორს.  
ღამე ნებისა! მოვიკითხოთ შენი საბედო?  
გადის და დანარჩენებსაც სიცილით გაიყოლიებს.

## გუნტი

(თვალს გააყოლებს, აგდებით ჩაიქნევს ხელს და შემობრუნდება)  
მე რას დავეძებ, ჰეგსტადელიც იმას მისთხოვდეს,  
ვისაც ინებებს... ნეტა ერთი, რა მედარდება!  
(ძირს იყურება.)

როგორ დამეხა ეს შარვალი და დამესვარა!  
რამე ახალი მომცა ერთი გამოსაცვლელი  
(მიწას ფეხს დაჰკრავს.)

ოჰ, რომ შემეძლოს ერთი დაკვრით მათი მკერდიდან  
ბალლამისა და გამკილავი განცდის განდევნა!  
(უფერად მიმოიხედავს.)

რა იყო, ნეტავ? რა მომესმა? სტვენა თუ იყო?  
თითქოს ვილაცამ შეიკავა მძაფრი სიცილი?  
დედასთან მინდა!

(მიდის, შეჩერდება და დაბლა იყურება — იქით, სადაც ჭორწილია)  
ჩანს, იწყება ცეკვა-თამაში.

წავალს აცეცებს და ყურებსა ცქვეტს. ანაზღად თვალები გაუბრწყინდება. ბარძა-  
ყებზე ხელებს ჩამოისევას.)

ქალიშვილების ფერხულია! ერთზე ათია!  
თქვენ დაიღუბეთ! აბა ვის არ მოხიბლავს ესა!  
დედა წისკვილის სახურავზე რომ არა მყავდეს...

(მზერას ისევ მადლა ააყოლებს, იცინის და ხტუნავს.)

ვაშა! მინდორზე გამართულა ცეკვა-თამაში.  
დიახ, გუტორში ვიოლინოს უკრავს და ცეკვავს!  
ჩანჩქერს მაგონებს — არის ერთი ზათქი, ზანზარი.  
მერე, სულ კარგი, დარჩეული გოგოებია!  
რა გოგოები! ვინ ჯალათი შემეიკრავს გზასა!

(ღობეს გადაეცლება და თავქვე დაეშვება.)

სასოფლო მოედანი ჰევსტადში. სახლის უკან მრავალი სტუმარია თავმოყრილი.  
მოდზე ცეკვა-თამაშია გამართული. მემუსიკე მაგიდაზე ზის. მზარეული კარებში  
დგას, მზარეული ქალები ფაციფუტობენ, ხნიერი მამაკაცები ჩგუფ-ჩგუფად სხე-  
დან და საუბრობენ.

ე რ თ ი დ ე და კ ა ც ი

(აღვიღს იკავებს ერთ-ერთ ჩგუფში, ხის მორზე)

ღმერთო მაღალო! სარძლო ტარისო?

მერე რა? მაგათ ასე იციან.

მ ზ ა რ ე უ ლ ი

(სხვა ჩგუფში)

აბა დალიეთ, კეთილო ხალხო!

ე რ თ ი მ ა მ ა კ ა ც ი

კარგი კაცი ხარ, ხშირად რომ გვასმევ.

შ ე გ ი რ დ ი

(მუსიკოსს, რომელიც გოგოსთან ერთად ტრიალებს წრეში)  
ვაშა, გუტორმო! სიმებს ნუ ზოგავ!

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

გაქარი, ველზე გაიჭრას ხმები!

გოგოები

(მოცეკვავე შეგირდს)

კარგად ნავარდობს!

ქალიშვილი

მუხლი მოჰყვება!

შეგირდი

(ცეკვით)

აქ კედელი შორს არის და ქერი — უფრო შორს!  
არც მხარს გაჰკრავ, არც თავს აჰკრავ, მიჰყევ გულის სწორს!

ნეფე

(ღრეკით უხლოვდება მამას, რომელიც ორ დანარჩენს ელაპარაკება და თან სერთუკის კალთაზე ეწევა)

ჩემი საცოლე უარს ამბობს! რა ჯიუტია!

მამა

უარს ამბობსო?

ნეფე

ჩაიკეტა! ვინა ყოფილა!

მამა

ჩქარა მონახე გასაღები, გააღე კარი,  
რომ ქვეყნის ყბაში არ ჩავევარდეთ მეცა და შენცა!

ნეფე

სად ვნახო ახლა გასაღები?

მამა

დიდი ლენჩი ხარ!

(ისევ სხვებს მიუბრუნდება. ნეფე ეზოში დაყვილობს.)

შე გ ი რ დ ი

(სახლის უკნიდან გამოდის)

ვაშა! დილილმე! რა დროს ვატარებთ!  
პერ გუნტი მოდის! ახლა უნდა ნახოთ სეირი!

მ კ ე დ ე ლ ი

(რომელიც ესაა მოვიდა)

ვინ დაუძახა?

მ ზ ა რ ე უ ლ ი

არავისაც არ უფიქრია.

(სახლისაკენ მიდის.)

მ კ ე დ ე ლ ი

(ქალიშვილებს)

პასუხს ნუ გასცემთ, გამიწბილეთ ეგ ოინბაზი!

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

(დანარჩენებს)

ჩვენ ვითომ სულაც არ შეგვინიშნაფს!

გ უ ნ ტ ი.

სახეგაბადრული, სიცოცხლით სავსე, ჭგუფის შუაგულში შეჩერდება და  
ტაშს შემოჰკრავს)

ვინ არის თქვენში მოცეკვავე ყველაზე მარჯვე?

ე რ თ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

(რომელსაც უახლოვდება)

მე არა!

მ ე ო რ ე

(ისევე)

არც მე.

მ ე ს ა მ ე

არც მე ვცეკვავ, ყველაფერს ვფიცავ!

გ უ ნ ტ ი

(მეოთხეს)

მაშ შენ გამოდი, ვიდრე ვნახავ ვინმე უკეთესს.

გ ო გ ო

(გაბრუნდება)

არა მცალია.

გ უ ნ ტ ი

(მეხუთეს)

მაშ შენ, გოგო!

გ ო გ ო

(წასასვლელად ემზადება)

მე შინ მივდივარ.

გ უ ნ ტ ი

ამ ქორწილიდან? გოგო, ჭკუა ხომ არ დაკარგე!

მ ქ ე დ ე ლ ი

(ცოტა მოგვიანებით, ხმადაბლა, გუნტს)

დახე, მიპყვება შენს ჭინაზე ვილაც ბერიკაცს.

გ უ ნ ტ ი

(სწრაფად მიუბრუნდება ხნიერ კაცს)

თავისუფალი რომელია?

ხ ნ ი ე რ ი კ ა ც ი

მონახე თვითონ!

(შორდება.)

პერ გუნტი ერთხანს წყნარად დგას, წარბშეკრული შესცქერის ჩგუფს. ყველა უყურებს, ხმას არაფერს სცემს. მაშინ სხვა ჩგუფს უახლოვდება. სადაც მივა, ყველგან ენაზე კლიტეს იღებენ. წავა თუ არა, ყველა დაცინვით აყოლებს თვალს.

გუნტი

(წყნარად)

სადგისის მზერა მოუპყრიათ მაგ თავეკიანებს  
და ჩურჩულებენ — გეგონება ხერხი კრიალებს!

მესერს მიჰყვება. სოლვეიგს პატარა ჰელგა აუყვანია, ეზოში შემოდის, მშობლებს მოჰყვება.

ერთი მამაკაცი

(მეორეს, გუნტის გვერდით)

მოხეტიალდნენ.

მეორე

ჩამოსულან დასავლეთიდან?

პირველი

სწორედ იქიდან უნდა იყონ.

მეორე

შენ მართალი ხარ!

გუნტი

(გზას უღობავს შემოსულებს, ჩამოსახლებულ კაცს სოლვეიგზე უჩვენებს და მიმართავს)

ამ შენს ასულთან ერთი ცეკვის ნება მომეცი.

კაცი

(წყნარად)

რატომაც არა, მაგრამ ცოტა მაცალე ბარემ,  
ჯერ მასპინძელთან შევიდე და სალამი ვუთხრა.

(შედიან სახლში.)

## მზარეული

(პერ გუნტს ჰიქას აწვდის)

რაკი მოხვედი, ჩაისველე ბარელამ ყელი!

### გუნტი

მე ცეკვა მინდა. ლუდისათვის მადლობელი ვარ.

(მზარეული მიდის. გუნტი სახლს უყურებს და იცინის.)

ჟს რა ნარნარი ქალწულია! სამკაულია!  
საგულისპირეს დასცქერის და თავსაც არ ასწევს!  
როგორ ჩასჭიდა ცალი ხელი დედის კალთასა,  
ცალშიც ლოცვანი, თავშალში აქვს გამოხვეული.  
ასეთ ქალიშვილს ერთხელ კიდევ მინდა შეეხედო.

(სახლში უნდა შევიდეს.)

### ჭაბუკი

(სახლიდან ჯამოდის სხეების თანხლებით)

პერ, საით მიხვალ? აღარ გინდა ცეკვა-თამაში?

### გუნტი

ვინ მოგახსენა?

### ჭაბუკი

მაშინ აქეთ რისთვის მოდიხარ?

(მხარში ხელს ავლებს, რომ მოაბრუნოს.)

### გუნტი

გამიშვი!

### ჭაბუკი

ანე შეგაშინა ასლაკ-მჭედელმა?

### გუნტი

მე შეგაშინა?



ქ ა ბ უ კ ი

დაგავიწყდა ლუნდის ხეობა?

(ყმაწვილები იცინიან და საცეკვაოდ მიდიან.)

ს ო ლ ვ ე ი გ ი

(კარბში)

შენ არ გინდოდა ჩემთან ცეკვა, ყმაწვილო კაცო?

გ უ ნ ტ ი

მე, აბა რომელს? შეგიძლია?

(ხელს ავლებს.)

მაშ გამომყევი!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

ოდონდ, დედამ თქვა, შორს არაო, დიდხანს არაო.

გ უ ნ ტ ი

დედამ თქვა? განა გუშინდელი ბარტყი ხარ, გოგო?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

რაო, დამცინი?

გ უ ნ ტ ი

გხედავ, მართლა ბალდი ყოფილხარ!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

სწორედ მაისში ზიარება მივიღე მღვდელთან.

გ უ ნ ტ ი

კარგი, რა გქვია, რომ გავიცნოთ ერთიმეორე?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

მე... სოლვეიგი... მაშ მითხარი შენი სახელიც.

გ უ ნ ტ ი

პერ გუნტი მქვია.

ს ო ლ ვ ე ი გ ი

(ხელს გამოსტაცებს)

მაცხოვარო!

გ უ ნ ტ ი

რა მოხდა, გოგო?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

ოჰ, ეს სარტყელი გამეხსნა და უნდა შევიკრა!

(მიდის, შორდება.)

ს ა ქ მ რ ო

(დელას კალთაზე ეპიდება)

დედა, არ უნდა!

დ ე დ ა

რა არ უნდა?

ს ა ქ მ რ ო

არ უნდა-მეთქი!

დ ე დ ა

რა არ უნდაო?

ს ა ქ მ რ ო

რა და ისა... კარის გაღება!

მ ა მ ა

(წყნარად, გაბრაზებული)

ვიბრუნდები ბაგაზე საბლით უნდა დაგაბას კაცმა!

დ ე ღ ა

ატალე, კაცო, მოვევლება — უზამს რაიმეს!

(გადიან უკანა მხარეს.)

ჭ ა ბ უ კ ი

(მთელი გუნდის თანხლებით, საცეკვაო კორდზე)

ცოტა არაყი დაგვილიე, პერო.

გ უ ნ ტ ი

არ მინდა.

ჭ ა ბ უ კ ი

სულ ერთი ყლუპი!

გ უ ნ ტ ი

(მუზღუგარული შესტქერის)

გაქვს?

ჭ ა ბ უ კ ი

როგორ არა!

(იღებს ჭიბიდან ბოთლს და სვამს)

აჰ, როგორ დამწვა! ცეცხლია! გინდა?

გ უ ნ ტ ი

მომე, გაესინჯო.

(სვამს)

მ ე ო რ ე ყ მ ა წ ვ ი ლ ი

ჩემიც გასინჯე!

გ უ ნ ტ ი

არა!

ი გ ი ვ ე ყ მ ა წ ვ ი ლ ი  
შენც ერთი გასინჯე-მეთქი!

გ უ ნ ტ ი

მაშ ერთი წვეთი!

(სვამს.)

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

(ხმადაბლა)

წავიდეთ ჩქარა!

გ უ ნ ტ ი

შენ გეშინია ჩემი, ლამაზო?

მ ე ს ა მ ე ქ ა ბ უ კ ი

აქ შენი რომელს არ ეშინია?

მ ე ო თ ხ ე ქ ა ბ უ კ ი

იქ, ზემოთ, ლუნდში, შე ჩხუბისთავო,  
ხომ ნახა ყველამ, რა ბიჭიცა ხარ!

გ უ ნ ტ ი

თუ გამაბრაზეს, უარესს ვიზამ.

პ ი რ ვ ე ლ ი

(ჩურჩულით)

ახლა მოუვლის, ფრთხილად იყავით!

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა

(წრეში)

აბა, გვიამბე, რა შეგიძლია?

გ უ ნ ტ ი

ხვალ იყოს.

ს ხ ვ ე ბ ი

არა, დღეს იყოს ბარემ!

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

მოჯადოება თუ შეგიძლია?

გ უ ნ ტ ი

თუ მოვინდომე, ეშმაკს შევთოკავ!

წ ვ ე უ ლ თ ა გ ა ნ ი

ბებიაჩემსაც შეეძლო ესა.

გ უ ნ ტ ი

შე ცრუბენტელავ! ეს ხომ მარტო მე შემიძლია!  
ერთხელ ეშმაკი მე შევაგდე კაკლის ნაჭუჭში.  
ჭიანი იყო ის კაკალი!

ყ ვ ე ლ ა ნ ი

(სიცილით)

ოჰ, რა თქმა უნდა!

გ უ ნ ტ ი

შიგ ჯარასავით დატრიალდა, მწყევლა და მთათხა,  
რას არ დამპირდა...

ე რ თ-ე რ თ ი მ ს მ ე ნ ე ლ ი

და მოუხდა კაკალში შესვლა?

გ უ ნ ტ ი

მოუხდა, მაშაი მეც ჩავეგმანე მარდად ნასვრეტი.  
გენახათ ერთი, როგორ ხტოდა და ზუზუნებდა!

ე რ თ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

დახეთ იმ ეშმაკს!

გ უ ნ ტ ი

სწორედ ბზიკი გეგონებოდათ.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

და მერე დღესაც კაჟალში გყავს გამომწყვედელი?

გ უ ნ ტ ი

არა, რას ამბობ, გამეპარა დიდი ხანია,  
და მერე როგორ გადაგვკიდა მე და მქედელი!

ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი

ეს როგორ მოხდა?

გ უ ნ ტ ი

მე მივედი ასლაკ-მჭედელთან  
და ისე ვთხოვე გაეტეხა ჩემთვის ნიგოზი.  
კარგიო, მითხრა ასლაკმა და დაიწყო გახსნა...  
რომელი გახსნა! ხომ იცით, რა ტლანქი ვინმეა!  
გრდემლზე დადო და მძიმე ურო აიღო ხელში...

ხ მ ა ბ რ ბ ო დ ა ნ

გასრისა განა?

გ უ ნ ტ ი

ვაქაცურად კი მოიქნია,  
რაც მართალია, მართალია ბეჭითად დაჰკრა,  
მაგრამ ეშმაკი ცეცხლად იქცა, ავარდა მაღლა,  
თან სახურავიც წაიღო და კედელ-ყურეცა.

ხ მ ე ბ ი

მჭედელი?

გ უ ნ ტ ი

იღგა, დაბლა ხელებჩამოშვებული,  
დაიწვა კაცი, და მას შემდეგ მემღურის ასე.  
(ყველა იცინის.)

## ზოგიერთები

ცუდი არ არის! ადრინდელზე უკეთ შეუთხზავს!

### გუნტი

ჩემი შეთხზული თუ გგონიათ თქვენ ეს ამბავი?

### ერთი სტუმართაგანი

შენი შეთხზული? სულაც არა! ჩვენ ეს ამბები მამა-პაპისგან მოვისმინეთ, დიდი ხანია.

### გუნტი

ტყუით! მე თვითონ, მე შემემთხვა ეს ყველაფერი.

### იგივეკაცი

ჰო, ყველაფერი. მაგარი ხარ, რა არ გადაგხდა!

### გუნტი

(ქუსლზე შემოტრიალდება)

სხვა ვინ აფრინდა, გააჰენა ირემი მთებში?  
უზანგს არ ვეძებ, მოვახტები და ჰერი, ბიჭო!  
და კიდევ რა არ შემიძლია? ვინ ბედავს დავას?

(ისევ იცინიან)

### ერთი სტუმართაგანი

აბა ჰე, სცადე! აგერ შენ და აგერ ჰერი!  
ბარემ შეხტი და შენებურად შეინავარდე!

### სხვები

ჰო, მართლა, პერო, შემოგველეთ, გაგვართე ერთი!

### გუნტი

რატომაც არა! შემეხვეწეთ ცეცხლი შეინთეთ!  
გადაგიქროლებთ თავზე შმაგი ქარიშხალივით!  
ყველანი პირქვე დაემხობით და თავყანსა მცემთ.

ხ ნ ი ე რ ი   კ ა ც ი  
გაგეებულა ეგ საბრალო ყმაწვილი...

ს ტ უ მ ა რ თ ა გ ა ნ ი  
ვირი!

მ ე ს ა მ ე   კ ა ც ი  
ეგ ცრუპენტელა!

მ ე ო თ ხ ე   კ ა ც ი  
ეგ ბაქია!

გ უ ნ ტ ი  
(მუქარით)  
მაცალეთ ერთი!

მ თ ვ რ ა ლ ი   კ ა ც ი  
დაგაცლით მაშინ, სიგრძე განად რომ მოგექცევა!

რ ა მ დ ე ნ ი მ ე   ხ მ ა  
ტყავს რომ დაგიზელთ და მაგ თვალებს რომ ჩაგილურჭებთ.  
(ბრბო იშლება. მოხუცები ბრაზობენ, ახალგაზრდები იცინიან.)

ს ა ს ი ძ ო  
(უახლოვდება, ზედ ყურთან)  
გუნტო, ნამდვილად შეგიძლია ჰაერში ფრენა?

გ უ ნ ტ ი  
(მოკლედ მოუქრის)  
მაშა! ნამდვილად. როგორც მეტყვი, ისე ვიქროლებ.

ს ა ს ი ძ ო  
მაშ უჩინარის მოსასხამიც მართლა გქონია?



გ უ ნ ტ ი

უჩინმაჩინის ქედზე ამბობ? — მაქვს, როგორ არა!  
ზურგს აქცევს. ეზოში გამოდის სოლევიგი, თან ჰელგა მოჰყავს, ხელში აყვანილი.

გ უ ნ ტ ი

(შესახედრად მიეშურება, სახეგაბადრული)  
ო, სოლევიგო, რა კარგია, შენ რომ აქა ხარ!  
(ხელს ავლებს.)  
რამდენიც გინდა მლანძლოს დედამ, უნდა იცეკვო.

ს ო ლ ვ ე ი გ ი

გამიშვი ხელი!

გ უ ნ ტ ი

აბა რატომ?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

ველური რომ ხარ!

გ უ ნ ტ ი

გაზატხულობით ხარირემიც გახლავს ველური.  
მოდი, ვიცეკვოთ, ნუ ხარ, გოგო, ასე ჭიუტის!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

(ხელს წაართმევს)

არ შემიძლია.

გ უ ნ ტ ი

ვითომ რატომ?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

შენ ხომ მთვრალი ხარ!

(ჰელგა მიჰყავს განზე.)

გ უ ნ ტ ი

უნდა აილოს კაცმა დანა და ეგ ოხრები  
ისე დასეროს, ჭერეხივით დაყაროს დაბლა.

ს ა ს ი ძ ო

(იდაყვს წაჰკრავს)

იქნებ შენ მაინც მომირჯულო საცოლე, ბიჭო?

გ უ ნ ტ ი

(დაფანტულად)

საცოლე? შენი? სად წასულა?

ს ა ს ი ძ ო

ჩაკეტილია.

გ უ ნ ტ ი

დახე!

ს ა ს ი ძ ო

იქნება გახდე რამეს და გამახარო.

გ უ ნ ტ ი

არა, მე ახლა სხვა საქმე მაქვს, შენ თვითონ სცადე.

(უცებ თავში რალაც აზრი მოუვა, წუნარად, გაბრწყინებული სახით.)

მაშ ინგრიდია ჩაკეტილი?

(სოლვეიგს უახლოვდება)

გაბედე, გოგო!

(სოლვეიგი წასვლას აპირებს, პერი წინ გადაეღობება)

მიტომ გრცხვენია, რომ ვარ ასე ჩამოძონძილი,

მათხოვარივით?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

(ცოცხლად)

არა, მათხოვარს არა ჰგავხარ!

გ უ ნ ტ ი

ლამის დავკარგო მე თვითონაც წონასწორობა.  
კარგი. ეს იყო ჭიუტობა. შენ მაწყენინე.  
ახლა გამოდი!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

მეც მინდა, მაგრამ მეშინია...

გ უ ნ ტ ი

მერედა ვისი?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

მამაჩემისა უფრო მეტად.

გ უ ნ ტ ი

შენც მოგიცლია!

ის, ერთი წყნარი ქრისტიანი, ბუზს არ ააფრენს.  
ხომ მართალს ვამბობ? მიპასუხე!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

რა გიპასუხნო?

გ უ ნ ტ ი

პიეტისტია? სექტანტია? მამაც და დედაც?  
მითხარი რამე! ლაპარაკი არ შეგიძლია?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

მომეშვი ერთი.

გ უ ნ ტ ი

არა!

(ხმადაბლა, მტკიცედ და მუქარით)

თორემ ვიქცევო ტროლად!  
რომ დაღამდება, შენს ლოგინთან მოვალ, იცოდე.

შენ გაიგონებ რაღაც ხმაურს, ხენეშას და ფხაჰნას.  
კატა კი არა, მე ვიქნები, არ დაგავიწყდეს.  
მოვალ და როგორც მაჭლაჯუნა, ამოგწოვ სისხლსა,  
შენს დაიკოსაც შეეჭამ შემდეგ, ძვალრბილიანად.  
მაშ რა გეგონა? ვამპირი ვარ, ღამის ავსული,  
გიკბენ ბარძაყში, ზურგში გიკბენ, ამოგწოვ ტვინსა.

(უცებ ვითომ შეეშინდა, მუქარას მუდარით ცვლის)

ჩემთან იცეკვე, სოლვეიგო!

სო ლ ვ ე ი გ ი  
(მოლუმული უცქერის)

წედან ბრაზობდი?  
(სახლისაყენ გაბრუნდება.)

ს ა ს ი ძ ო  
(ისევ გამოდის)

ოღონდ მიშველე და ხარს მოგცემ!

გ უ ნ ტ ი

მე თანახმა ვარ!

სახლის უკან იმალებიან. ამ დროს საცეკვაოდ დიდი ჭგუფი გამოდის. უმრავლესობა მთვრალია. ისმის აურზაური. სოლვეიგო და ჰელგა უფროსების თანხლებით კარებში გამოჩნდებიან.

მ ზ ა რ ე უ ლ ი  
(მკვდელს, რომელიც ჭგუფის თავშია)

დამშვიდდი, ასლაკ!

მ კ ე დ ე ლ ი  
(ქურთუქს იხდის)  
არა, მაგას ვასწავლი ჭკუას!  
ან ის იქნება ამ სოფელში, ან მე ვიქნები!

ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი

აცალეთ, ბარემ!

ს ს ე ბ ი

აქ მუშტები არის საჭირო!

მ ქ ე დ ე ლ ი

სიტყვა ფუჭია, გადაწყვიტონ საქმე მუშტებმა.

ს ო ლ ვ ე ი გ ი ს მ ა მ ა

დამშვიდდი, კაცო!

ჰ ე ლ გ ა

(ღელას)

უნდა სცემონ, დედიკო, პერსა?

ჭ ა ბ უ კ ი

უმჯობესია სასაცილოდ ავიგდოთ გუნტი.

მ ე ო რ ე ჭ ა ბ უ კ ი

სახეში უნდა მივაფურთხოთ!

მ ე ს ა მ ე ჭ ა ბ უ კ ი

გაეგდოთ სულაც!

მ ე ო თ ხ ე ჭ ა ბ უ კ ი

(მკედელს)

შენ რას აპირებ?

მ ქ ე დ ე ლ ი

(ქურთუჯი უკვე გაუხლია)

გავაბრტყელებ ლავაშივითა!

ს ო ლ ვ ე ი გ ი ს დ ე დ ა

(სოლევიგს)

ხომ ხედავ ახლა, ის ყმაწვილი რა პატივშია?

ოსე

(მოდის ჯოხით ხელში)

აბა სად არის ჩემი შვილი? ვაჩვენებ სეირს!  
ვაი, რა გულთ მინდა ვცემო; სულ ავაკრელო!

მჭედელი

(სახელოებს იკაპიწებს)

ასეთ რეგვენთან შენი წიკეპლით ვერას გახდები.

ზოგიერთები

მჭედელი სწორედ შენი შვილის ცემას აპირებს!

სხვები

ჰო, ლავაშივით გაგიბრტყელებს!

მჭედელი

(ხელზე იფურთხებს, ოსეს)

მივბეგვავ მაგრად.

ოსე

რაო? ჩემს პერსა? ერთი სცადე. გიჩვენებ სეირს!  
ბასრი კბილებით და ფრჩხილებით ისე გეცემი...  
სად არის პერი?

(გასძახის ეზოში)

პერო!

სასიძო

(გამორბის)

პერი? ჯანდაბაშია!

აჟ მოლით, ჩქარა! დედა! მამა! მოლით ყველანი!

მამა

რა მოხდა, ბიჭო?

სასიძო

პერი, იცით...

ო ს ე

(ჯივის)

ხომ არ მოკალით?

ს ა ს ი ძ ო

არა, პერ გუნტი... შეხეთ ერთი, მთაზე გახედეთ!

ხ ა ლ ხ ი

პატარძლით ხელში!

ო ს ე

(ჩოხს დაუშვებს)

რას მოვესწარ! აჰ, შე ნადირო!

მ ჰ ე დ ე ლ ი

(თითქოს გაბრუებულია)

ფრიალო კლდესა და ბრეკებზე ისე მიცოცავს  
ის სალაზანა, გარეული თხა გეგონებათ.

ს ა ს ი ძ ო

(ტირილით)

და ისე მიჰყავს ჩემი ცოლი, როგორც დათვის — გოჭი!

ო ს ე

(მუქარით, მალა)

ნეტამც დაცურდე!

(შეშინებული)

ფრთხილად დადგი, ოხერო, ფეხი!

ჰ ე გ ს ტ ა დ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

(გამორბის სახლიდან თავშიშველი, ბრაზით გაფითრებული)

როგორ იქნება დედოფალი მოგეტაცა განა?

კისერს მოვეუგრები

ო ს ე

მაგის ნებას მე თქვენ არ მოგცემთ!

## მეორე მთქმელება

ვიწრო კლდოვანი ბილიკი მალალ მთებში. აღრიანი დილაა.

პერ გუნტი აჩქარებით მიჰყვება ბილიკს, გაბრაზებულია. ინგრიდი, რომელსაც საქორწინო სამოსელი კიდევ შემორჩენია, ცდილობს შეაჩეროს.

გუნტი

მომშორდი-მეთქი!

ინგრიდი

(ტირის)

იმის შემდეგ, რაც უკვე მოხდა!

საით მიბრძანებ?

გუნტი

მე რა ვიცი, რა მედარდება!

ინგრიდი

(ხელების მტვრევით)

რა ღალატია!

გუნტი

ამ გინებას ისა სჯობია

შენს გზას ეწიო!

ინგრიდი

შეგვეართა ჩვენ ჩვენმა ცოდვამ!



გ უ ნ ტ ი

ქირმა წაიღოს ეს ყველაფერი!  
ქირმა შექამოს ყველა ქალები,  
იმ ერთის გარდა!..

ი ნ გ რ ი დ ი

ის რომელია?

გ უ ნ ტ ი

შენ მაინც არა!

ი ნ გ რ ი დ ი

მაშ აბა ვინა?

გ უ ნ ტ ი

როგორც მოსულხარ, ისევე წადი,  
მომცილდი-მეთქი!

ი ნ გ რ ი დ ი

აჰ, ჩემო პერო!

გ უ ნ ტ ი

გაჩუმდი!

ი ნ გ რ ი დ ი

არა! ვერ დავიჭვრებ  
იმას ფიქრობდე, რასაც შენ ამბობ!

გ უ ნ ტ ი

სწორედ ის გესმის, რასაც ვფიქრობ!

ი ნ გ რ ი დ ი

ჯერ შეაცდინო, მერე გააგლო,  
ეს შეიძლება?

გ უ ნ ტ ი

აბა რა გიყო?

ან კიდევ რა გაქვს, რა უნდა მომცე?

ი ნ გ რ ი დ ი

ჰეგსტადი, სახლი, კარი და გული...

გ უ ნ ტ ი

ლოცვანის წიგნი თან დაგაქვს მუდამ?

ოქროს კავები გეყრება მხრებზე?

და ეჭიდები დედას კალთაზე?

კდემით დასცქერი მიწას თუ არა?

ი ნ გ რ ი დ ი .

მე?

გ უ ნ ტ ი

ინახულე საკუროთხვეელი

ასი დღის წინა?

ი ნ გ რ ი დ ი

მე... არა, მაგრამ...

გ უ ნ ტ ი

დაიცავ უენი ყმაწვილქალობა?

შესძელი ჩემთვის გეთქვა უარი?

ი ნ გ რ ი დ ი

პერ, ჰკუაზე ხარ?

გ უ ნ ტ ი

შენ შეგიძლია

ცეცხლი შეუნთო, ვისაც შეხედავ?

ი ნ გ რ ი დ ი

მე არა, მაგრამ...

გ უ ნ ტ ი

ჰოდა, მომწორდი!

(უნდა წავიდეს)

ი ნ გ რ ი დ ი

(გზას უღობავს)

იცი თუ არა, რომ შეიძლება  
თავი წააგო?

გ უ ნ ტ ი

თუნდ ასეც მოხდეს!

ი ნ გ რ ი დ ი

ფული გექნება, სახლი, ქონება,  
თუ არ მიმუხთლებ!

გ უ ნ ტ ი

ბრიყვი ვიქნები!

ი ნ გ რ ი დ ი

(ცრემლს აფრქვევს)

შენ მომატყუე!

გ უ ნ ტ ი

ასე გინდოდა!

ი ნ გ რ ი დ ი

სხვა გზა არ მქონდა!

გ უ ნ ტ ი

მე კი მივქარე.

ი ნ გ რ ი დ ი

(მუქარით)

ძვირად დაგისვამ, იცოდე, მაგას.

გ უ ნ ტ ი

მე მოგებული დავრჩები მაინც.

ი ნ გ რ ი დ ი

მაშ ასე, არა?

გ უ ნ ტ ი

არ მომეკარო!

ი ნ გ რ ი დ ი

კარგი! მოგხვდება ჩემი კლანჭები!

(დაბლა დაეშვება, თავდაღმართზე.)

გ უ ნ ტ ი

(ჩერ დუმს, მერე უყვირის)

ქირმა წაგიღოს, განაწყალები!

ქირმა შექამოს ყველა ქალები!

ი ნ გ რ ი დ ი

(თავს უქნევს დაცინვით, ქვემოლან)

იმ ერთის გარდა!

გ უ ნ ტ ი

ჰო, ერთის გარდა!

(ორივე თავ-თავისი გზით მიდის.)

მთის ტბასთან. გარშემო რბილი, ქაობიანი ნიადაგია. ავღარი იწყება. ოსე შემოფო-  
თებული იუპრება აქეთ-იქით. სოლვეიგი ძლივს მიჰყვება. მისი მშობლება და პელ-  
გა უკან მოდიან.

## ოსე

(ხელებს იქნევს, თმებს იგლეჯს)

ჩემდა საკვდავად ყველაფერი ერთად ამდგარა!  
ცამ, ტყემ და წყალმა, მთის ბილიკმაც შევილთან გამყარა!  
ნისლი ჩამოწვა, რომ აებნეს მას გზა და კვალი,  
საფლავს უმზადებს ეს მუხთალი ქაობის წყალი!  
კლდე იმუქრება და იმზღვლევა ქვა და მეწყერი,  
თვითონ ხალხიც კი — როგორც მგელი, ისე შესცქერის!  
ყველამ პერისთვის მოიცალა! ეშმაკის ფეხი!  
როგორ დაეკარგო? მის ორგულსაც დაეცეს მეხი!

(სოლვეიგს მიუბრუნდება)

ვინ იფიქრებდა მისგან ამას? უქნარა ჩანდა!  
და რა შეეძლო, ტრაბახის და მუქარის გარდა.  
ლაქლაქში იყო ჭიპმოჭრილი, სხვა არაფერი,  
საქმე საქმეზე მიდგებოდა — სად იყო პერი!  
შვილი მყოლია — ვიცინო თუ ვიტრო, ნეტავ?  
რამდენი რამე გვექონდა, შვილო, უწინ საერთო!  
რა არ გადაგვხდა, მერე კირი ჭირზე დაერთო.  
მამა იყო და სმას შესწირა ჭკუა-გონება,  
იმ ცხოვებულმა ნიავს მისცა პაპის ქონება.  
ფული გაფლანგა სოფელ-სოფელ წანწალში კაცმა,  
არც ჩვენი ჰამა აწუხებდა, არც ჩვენი ჩაცმა.  
რა უნდა გვექნა? უნუგეშოდ ვიჯექით შინა,  
დარდით დაჩაგრულთ თავი სადღა გამოგვეჩინა?  
ბედს რომ თვალები გაუსწორო — სადაა ღხენა?  
და ბედთან ბრძოლის თავი კიდევ სად გვექონდა ჩვენა?  
რაში ჩაეკლა ყმაწვილს დარდი, რითღა ეხარა?  
ზოგი ლოთდება, ზოგი ცრუა, ზოგი მკვებხარა.  
მეც, ჩემი შვილიც თავს ვიქცევდით განმართობით,  
პრინცთა ზღაპრებით, მხეცებით და რალაც ტროლებით.

ბოლოს ეს ქალიც გაიტაცა, და რა ვიცოდი,  
თუ ზღაპრებს გულში ჩაიხვევდა და დაეიწვოდი?

(ისევ თავზარდაცემული შეჰკივლებს)

რა გოდებაა! ჭინკაა თუ ეშმაკეული?

პერ! ჩემო პერო! მთაში გარბის გადარეული!

(გორაკზე აირბენს და ტბას გახედავს)

სოლვეიგის მშობლები და ჰელგა ახლოვდებიან.

ო ს ე

მთელს მთაგრეხილზე ჭაჭანებაც არ არის კაცის!

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

(ფიქრიანად)

მით უარესი!

ო ს ე

(ტირილით)

დაკარგულო ჩემო ბატკანო!

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

(თავის ქნევით)

სწორედ აგრეა, დაგეკარგა!

ო ს ე

ნუ ამბობ ასე!

ის იმისთანა ყმაწვილია! შენ მას არ იცნობ!

მთელ დუნიაზე იმისთანას ერთსაც ვერ ნახავ!

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

შენ სულელი ხარ!

ო ს ე

შეიძლება მე შტერიც ვიყო,

სამაგიეროდ სალანძღავი არ არის პერი!

კ ა ც ი

(ისევ ისე წყნარად, თავშეკავებით)

დაკარგულია. მისი გული გაქვეავებულია.

ო ს ე

(შეშინებული)

არა და არა! ღმერთი ასე არ გამწირავდა!

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

იქნებ ცოდვები თავის ხელით ამოიშანთა?

ო ს ე

(გაცხარებით)

ცოდვები არა, მაგრამ ფრენა კი შეუძლია.

ქ ა ლ ი

ხომ არ შეშლილხართ? რა მითხარით?

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

მანდ რასა ყბედობთ?

ო ს ე

საქმე არ არის, ჩემმა შვილმა ვერ გააკეთოს,  
ოღონდ აცაღეთ, უხიფათოდ გალიოს დღენი.

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

რაც უფრო მალე ავა იგი სახრჩობელაზე,  
მით უკეთესი!

ო ს ე

ღმერთო! რას ამბობ!

ა ხ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე

ჯალათი შეკრავს, შებოჭავს და დაჰკიდებს მაღლა,  
მაშინ იქნება ყველა ცოდვა მოინანიოს.

ოსე

(შეწუხებული)

კკუას მიკარგავს თქვენი სიტყვა საბრალო ქალსა!  
მოდით, ვიპოვოთ!

ახალმოსახლე

მისი სული...

ოსე

და მისი ტანი!  
თუ ქაობშია, ამოვიღოთ, გავაშროთ კარგად,  
და თუ ტროლებმა გაიტაცეს თავის ბუნაგში,  
მნათეს მოგუხმით, გამოიხსნას, დარეკოს ზარი.

ახალმოსახლე

ჰმ, აქ საქონელს გაუვლია!

ოსე

ღმერთმა გიშველოთ,  
როგორც მე მშველით!

ახალმოსახლე

ეს ვალია ქრისტიანისა.

ოსე

ასეა? მაშინ წარმართები ყოფილან ყველა  
დანარჩენები — საძებნელად ვინც არ გამოძყვა.

ახალმოსახლე

კარგად იცნობენ!

ოსე

და ბევრი რამ ურგია მათთვის.

(ხელებს იმტერვს.)

წარმოიდგინეთ, სასწორზეა მისი სიცოცხლე!



ახალმოსახლე  
ეს, მგონი, კაცის ნაკვალევს ჰგავს.

ოსე

აბა ვიჩქაროთ!

ახალმოსახლე  
იქ, საძოვრებზე დაეშორდებით ერთიმეორეს.  
(ცოლის თანხლებით წინ მიდის.)

სოლვეიგო

(ოსეს)

მითხარი კიდევ!

ოსე

(ტრემლს იწმენდს)

ჩემი შვილის ამბავი?

სოლვეიგო

ღიას.

წვრილად მიაბზე!

ოსე

(იღიმება, თავს ისევ ამაყად ასწევს)

დაიღლები, წვრილად რომ გითხრა!

სოლვეიგო

შენ დაგელლება უმალ ენა,

ვიდრე მე — სმენა!

მოტიტვლებული მთა. უკან კლდოვანი ადგილია. ბრეკების გრძელი ჩრდილები ნაკვალევს ეცემიან. საღამო ხანია.

პერგუნტი

(ხტომით მოდის და უფსკრულთან ჩერდება)

მთელი თემობა გამოსულა ჩემ დასაჭერად.

მთებში დამდევენ — ზოგი ჯოხით და ზოგი თოფით,

ყველაზე მეტად ჰეგსტადელთა მესმის ღმუილი. —  
ყველგან გაისმის: დაიპითო ყაჩალი გუნტი!  
აი, ეს მესმის! ასლაკ-მკედლის მუშტი რა არის!  
აი ცხოვრება! ყოველ ძარღვში დათვის ღონე მაქვს.

(ხელებს იქნევს. და ხტუნავს.)

დასცხე! გათელე! შეაჩერე ჩანჩქერის დენა!  
ნაძვი მოგლიჯე, ამოაგდე ძირფესვიანად!  
აი, ცხოვრება! ჯანზე მოხვალ და შვებას იგრძნობ!  
ჯანდაბას თქვენი ზღაპრები და ცრუპენტელობა!

ს ა მ ი მ შ ყ ე მ ს ი ქ ა ლ ი

(ბორცვებზე დარბიან ხმაურითა და სიმღერით)

ვალფელის ტრონდო! კორო და ბორო!  
ტროლო, გასწიე ურდული კარის!

გ უ ნ ტ ი

მანდ რა გაყვირებთ?

მ შ ყ ე მ ს ი ქ ა ლ ე ბ ი

ჩვენ-ჩვენს ტროლებს ვუძახით ყველა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ შ ყ ე მ ს ი ქ ა ლ ი

ტრონდო! მე გელი!

მ ე ო რ ე

ბორო, ჩქარა გამოდი ჩემთან!

მ ე ს ა მ ე

ცარიელია ყველა ჩვენი კარვის სენაკი!

პ ი რ ვ ე ლ ი

სინაზეშია ძლიერება!

მ ე ო რ ე

და ძლიერება

არის სინაზე!

## მესამე

თუ ყმაწვილები არ არიან, ტროლს შევიყვარებთ!

## გუნტი

სადღა არიან ყმაწვილები?

სამივე მწყემსი ქალი

(სიცილით იჟაქებიან)

ადარ მოდიან!

პირველი მწყემსი ქალი

მე ჩემი ბიჭი ხელსა მთხოვდა, მეფერებოდა,  
მერე წავიდა და შეირთო მოხუცი ქვრივი.

## მეორე

ჩემი ბოშა ქალს გადაეყარა  
და სოფელ-სოფელ დაეთრევიან.

## მესამე

ჩემმა დაახრჩო ღვიძლი შვილი, თავი მოჰკვეთეს,  
სარზე დააცვეს საცოდავი და იკრიჭება.

## სამივე

ვალფელის ტრონდო! კორო და ბორო!  
ურდულს არ გავწევთ — გააღეთ კარი!

## გუნტი

(ერთი ნახტომით მათთან გაჩნდება)

მე ვარ ტროლი და სამივე მინდა!

სამივე ქალი

განა ასეთი ვაჟკაცი ხარ?

## გუნტი

თვითონვე ნახავთ!

პ ი რ ვ ე ლ ი

ჩქარა კარავში

მ ე ო რ ე

თაფლიცა გვაქვს.

გ უ ნ ტ ი

ნეტავ, ზღვად იქცეს!

მ ე ს ა მ ე

მაშ ღია იყოს ყველა ჩვენი სენაკი ღღესა!

მ ე ო რ ე

(ჰკოცნის)

გახურებულა, გეგონება ცხელი შანთია!

მ ე ს ა მ ე

(ისიც ჰკოცნის)

თვალეები ნახეთ! თითქოს შავთვალა  
ბავშვი გვიცქერდეს უშავეს ტბიდან!

გ უ ნ ტ ი

(ქალიშვილებს შორის ცეკვავს)

თავში დარდია, გულში — ხალისი,  
ყელში ცრემლია, თვალში — ღმრთილი!

ს ა მ ი ე ე მ წ უ ყ ე მ ს ი ქ ა ლ ი

(მთის მწვერვალებს)

ვალფელის ტრონდო! კორო და ბორო!  
ღღეს ურდულებით ჩაგკეტავთ კარებს!

რონდის მთები. მზე ჩადის. გარშემო მოელვარე მწვერვალებია.

## გ უ ნ ტ ი

(გამოდის დაოსებული და გაბრუებული)

აზიდულა კოშკზე კოშკი,  
გატყორცნილა ხიდად.  
სდექ! გაჩერდე გინდა, მაგრამ  
გაჩერდები განა?  
კოშკის თავზე მამალია,  
გასაფრენად იწევს,  
გადასცქერის ფრიალოებს  
და პირღია უფსკრულს.  
რა ფესვი და ღერებია  
ღრმა ნაპრალთა შორის?  
ყანჩისფეხა ბუმბერაზებს  
კვლავ ქვესკნელი ყლაპავს.  
მოლივლივე ცისარტყელა  
თითქოს მიხვრეტს ტვინსა.  
რა ზარების ზრიალია!  
და რა მიზის თავში?  
ვაი! როგორ მიხურს შუბლი!  
რა ეშმაკი მეცა!  
ცეცხლოვანი სალტე თავზე  
ვინ მომარგო ნეტავ,  
ვინ დამწვა და ვინ დამდავა,  
ვინ სატანის კერძმა!

(ძირს ეშვება)

მთებში ირმის გაჭენებას  
ვინ დამიჭერებდა?  
მერე საჩქლო გავიტაცე,  
ვინებიერე სამ დღეს.  
კლდეზე ვრბოდი გიჟივითა,  
ქორ-შეევარდნებს შორის.  
ტროლობიას ვთამაშობდი,  
ხანაც მთვრალი ვეგდე,  
და სამ ქალთან გავატარე  
ერთი თეთრი ღამე...

ო, ბაქიავე, რას ედები  
უსარგებლო ზღაპრებს!

(დიღხანს გასცქერის შორეთს)

ორი რუხი არწივია,  
შორს — ბატების გუნდი,  
მე ოხერი ვგდივარ აქა,  
მუხლებამდე ლაფში!

(შეხტება)

მეც მათთან ერთად მინდა გაფრენა!  
ქარის ველური ტალღების თქვესით  
ჩამოვიბანო მინდა ეს ჭუჭყი,  
მეც მალა მინდა შევიწავარდო,  
ჩავეყინოთ ციურ სხივთა ემბაზში!  
შორს მიწვეს გული! ცხენს მოვახტები,  
აზრის სამყაროს გადავუქროლებ,  
ქარიშხალივით გადავჭრი ზღვასა,  
გავენდები მეფე, ინგლისის პრინცი!  
რას შემომცქერით დაბლიდან თქვენა,  
ქალიშვილებო? რას მელოდებით?  
რასაც ვინებებ, იმას ჩავიდენ —  
რაო... ერთხელაც მოვიდე ვითომ?  
ბიჭოსი სად გაქრით, ცის არწივებო?  
შავმა აესულმა მოგნუსხათ იქნებ?  
ეს კი რაღაა? რა ნაგებობა?  
როგორ აწვდილა, როგორ იზრდება  
დახე, ღრუბლებში ადის მთა-სახლი.  
ერიპა! ახლა ვიცანი მარტო —  
ეს ხომ ახალი სახლია პაპისი  
ძველი დაიქცა და გაპარტახდა.  
ძველი მესერიც გადაპყოლია,  
ღია ჭიშკართან ირევა ხალხი,  
დარბაზში ღხინი გაჩაღებულა  
და ციმციმებენ მინები მზეზე!

ყბედი ხუცესი მუცელს იყორავს  
და აწკარუნებს ჭიქაზე დანას,  
კაპიტანს კიდევ თავისი ბოთლი  
კედლის სარკვეზე მიუმსხვრევია.  
აცალე, დედა! აცალე, დედა!  
რა ვუყოთ მერე! ხომ იცი, პაპა  
სტუმრებს გულუხვად უმასპინძლდება!  
დიდება გუნტის გვარსა და მოდგმას!  
ეს რა ხმაური ისმის შორიდან?  
რა ღრიანცელი, აურზაური?  
პეტერს უძახის კაპიტანი და  
პრობსტი სვამს ახლა ჩემს სადღეგრძელოს!  
წავიდე ჩქარა! თავ-თავის სიტყვას  
მეტყვიან ახლა მოქეიფენი! —  
„წარჩინებული გვარისა ხარ და  
წარჩინებული იქნები, პერო!“

(წინ გადაბტება, ცხვირით კლდეს ეჯახება, ძირს ეცემა და ველარა დგება.)

მთის ფერდობი, დიდი მოშრიალე ხეები. ფოთლებს შორის ვარსკვლავთა ციაგი.  
ტოტებში ფრინველები გალობენ. გამოდის მწვანედ მოსილი მანდილოსანი, შეყვარე-  
ბული პერ გუნტი უკან მოჰყვება.

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი ქ ა ლ ი

ეს მართალია?

გ უ ნ ტ ი

(ყელზე თითს გადაისვამს)

გამომჰკერიო გუნტი არ ვიყო!  
კალმით ნახატი ქალი ხარ და მისთვის მიყვარხარი!  
იყავი ჩემი! ნახავ, როგორ კარგად მოგექცე!  
არც ქსოვას გეტყვი, არც გიბრძანებ ნემსის აღებას,  
თავშესაქცევად თუ დაკემსავ რამეს და მორჩა!  
გუნტი არ ვიყო, თუ როდისმე თმებით გათრიე!

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი ქ ა ლ ი

მაშ მე არა მცემ?

გ უ ნ ტ ი

არა-მეთქი! რა ბრძანებაა!  
ჩვენ, მეფისწულებს არ გვჩვევია ცოლების ცემა!

მწვანესამოსიანი ქალი  
მეფისწულებსო?

გ უ ნ ტ ი

დიახ.

მწვანესამოსიანი ქალი  
მეკი, იცი, ვინა ვარ?  
წარჩინებული დოვრის მეფის ვარ მე ასული!

გ უ ნ ტ ი

ნამდვილად? ხედავ, რა ხალხი ვართ, რა დიდებული!

მწვანესამოსიანი ქალი  
რონდის კლდეშია მამაჩემის სრა-პალატებო.

გ უ ნ ტ ი

დედის სასახლე, რომ იცოდე, ორჯერ დიდია.

მწვანესამოსიანი  
იცნობ მამაჩემს? დიდებული მეფეა ბროსე!

გ უ ნ ტ ი

დედაჩემია დედოფალი, სახელად ოსე!

მწვანესამოსიანი  
მამა იქუხებს — და ლოდები მყისვე სკდებიან.

გ უ ნ ტ ი

დედა გაწყრება — მყისვე დაბლა დაგორდებიან.



## მწვანე სამოსიანი

მამა რომ ცეკვავს, სახურავზე შეხტება ხოლმე.

### გუნტი

დედაც... ნაკადზე ისე გავა, არც დასველდება.

## მწვანე სამოსიანი

ამაზე კარგი ტანსაცმელი არ გაგაჩნია?

### გუნტი

ერთი განახა საგარეო სამოსი ჩემი!

## მწვანე სამოსიანი

მე სადაგ დღესაც აბრეშუმის კაბა მაცვია.

### გუნტი

შენი სამოსი ბალახსა ჰგავს, დიბას კი არა.

## მწვანე სამოსიანი

შენ ამას იტყვი, მაგრამ ერთი მეც მომისმინე:  
ჩვენ, რონდელეები, ასეთი ვართ დასაბამიდან:  
ჩვენსას ყველაფერს ორი მხარე, ორი აზრი აქვს,  
აი, შენ ახლა მამაჩემის სახლი რომ ნახო,  
ერთი შეხედვით გეგონება, სახლი კი არა,  
დახვავებული ქვა-ლოდების გროვა არისო.

### გუნტი

ჩვენიც ეგრეთა კაცი თვალებს არ დაუჯერებს!  
ჰვარტლი და მური გეგონება ბაჯაღლო ოქრო!  
და მოციმციმე ფანჯრის მინა რომ ნახო ჩვენი,  
ძენძით და ძონძით ჩაგმანული არისო, იტყვი.

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი

მოგეჩვენება შავი თეთრად, ხენეში ნახად.

გ უ ნ ტ ი

დიდი — პატარად, მურიანი — ბროლივით სუფთად.

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი

(ხელსა ხვევს)

მე ვხედავ, პერო, შესაფერი ვყოფილვართ წყვილი

გ უ ნ ტ ი

როგორც ფეხი და ფეხსაცმელი, თმა — საეარცხელი.

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი

(ფერდობზე გადასძახებს)

ჩემო მერანო საქორწინოვ! ჩამოდი ჩემთან!

ჯამოდის უზარმაზარი ნეზვი, სადავის მაგიერ თოკი აქვს ამოდებული, ზურგზელიმ  
უნაგირის ნაცვლად ტომარა იდევს. გუნტი გარბის, ღორზე ქდება და წინ მწვანით  
მოსილ მანდილოსანს დაისევას.

გ უ ნ ტ ი

ჰერი! შეფრინდი შენებურად რონდის კიშკარში!  
გასწი, გაფრინდი, ჩემო ცხენო, ქარივით სწრაფად!

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი

(ყველსუად)

აჰ, გუშინ ისე დავდიოდი, როგორც ბურანში,  
და დღეს კი... აბა ასეთ რამეს ვინ იფიქრებდა?

გ უ ნ ტ ი

(ღორს წკეპლის ცემით მიერეკება)

ნამდვილ ბატონებს ცნობენ ხოლმე ცხენთა კენებით!

დოვრის ბატონის ნატახტო დარბაზი. კარას ტროლთა, მიწის სულთა და კობოლდების დიდი ჯგუფი. დოვრი პაპა ამალღებულ ადგილზე ზის, სკიპტრიო ხელში და გვირგვინით თავზე. გარშემო შვილები და მახლობლები ეხვევიან. წინ პერ გუნტო დგას. დარბაზში დიდი გამოცოცხლება.

ტ რ ო ლ ი კ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი

სიკვდილი მაგას! ქრისტიანმა კაცმა მოგვეტაცა  
დოვრი ბატონის საყვარელი ტურფა ასული!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ტ რ ო ლ ი

ხომ შეიძლება ვეტაკო და თითი მოგვეცინიო?

მ ე ო რ ე

მე კი ახლავე ვეცემი და თმებით დავითრევე.

ტ რ ო ლ ი ქ ა ლ წ უ ლ ი

მომეცით ნება — მივეარდები, თქოში ვუკებენ!

ტ რ ო ლ ი ჯ ა დ ო ქ ა რ ი

(ციცხვით ხელში)

წვენში ჩავაგდო და მოეხარუო ლაზათიანად?

მ ე ო რ ე

(ხელში რომ ყასბის დანა უჭირავს)

შევწვა? მოეხრაკო? თუ შამფურზე ავაგო მთელად?

დ ო ვ რ ი პ ა პ ა

ყინული თქვენა!

(მახლობლებს ანიშნებს)

რას ხორხოცებთ, რას იმუჭრებით?

ბოლო ხანებში მეტისმეტად უკან წავედიო, —  
თავშეკავება აღარა გვაქვს, გიყებსა ვგავართ!  
ადამიანის დანხარება გვეჭირდება სწორედ!  
მხარბეჭიანი ჭაბუკია, საღად შობილი,  
ერჩის ღონე და მაგარია, როგორცა ვხედავ.

ერთი თავი აქვს, მართალია, და მეტი არა,  
მაგრამ არც ჩემი ასულია სამთავიანი.  
სამთავა ტროლი იბადება ათასში ერთხელ,  
ორთავიანიც აქა-იქ თუ გამოერევა,  
და არც იმათი თავებია ღიღი ბედენა.

(პერ გუნტს)

მაშ შენ ნამდვილად გულით გინდა ჩემი ასული?

გ უ ნ ტ ი

შენი ასული და მზითვეში — შენი სამეფო.

დოვრი პაპა

ვიდრე მე ვცოცხლობ, ნახევარიც გეყოფა მისი.  
როცა მოვკვდები, შენი იყოს მთელი სამეფო.

გ უ ნ ტ ი

მე თანახმა ვარ.

დოვრი პაპა

მაშ მოვრიგდით, ოღონდ იცოდე,  
შენც უნდა მომცე, ჩემო სიძვე, ზოგი პირობა.  
ერთსაც დაარღვევ — მთელი ტახტი დაგეკარგება,  
და ვეღარსაით ვეღარ წახვალ ცოცხალი თავით.  
უპირველესად აქეთ-იქით ყიალს მოეშვი,  
და რონდის საზღვრებს ფიქრითაც კი ნუღარ გასცდები.  
დღე შეიძულე და ნათელი საქმე ყოველი.

გ უ ნ ტ ი

არად ჩავაგდებ ამას ყველაფერს,  
ოღონდ დავიდგა მეფის გვირგვინი.

დოვრი პაპა

შემდეგ მე მინდა გამოვცადო შენი გონება.

(ტახტზე აღის.)

## უხუცესი ტროლიკარისკაცი

(გუნტს)

აბა, გავიგოთ, როგორ გიჭირს ჭკუა-გონება,  
რომ გამოიცილო დოვრი პაპის გამოცანები!

დოვრი პაპა

რა განასხვავებს ტროლებსა და ადამიანებს?

გუნტი

მათ შორის, მეფევე, განსხვავება არ არის დიდი:  
მოზრდილებს უნდათ, რომ შეგვჭამონ გულღვიძლიანად,  
პატარებს — მხოლოდ გვიკბინონ, გეტანჯონ.  
ასეა ჩვენშიც, ძლიერები ხელთ რომ გვიგდებენ.

დოვრი პაპა

მართლაც, ერთი ვართ ბევრ რამეში ჩვენა და თქვენა,  
მაგრამ დღეც აკი დღესა ჰგავს და ღამე კი — ღამეს.  
ერთ რამეში კი არა ვგავართ მაინც ერთმანეთს.

აი, რაშია განსხვავება, დამიგდე ყური:  
გარეთ, მზის გულზე, ერთი სიბრძნე გაისმის მუდამ:  
„ადამიანო, იყავ მუდამ ადამიანი!“  
აქ კი, ამ რონდის თაღებს შორის ასე იტყვიან:  
„ტროლო, იყავი კმაყოფილი შენივე თავით!“

კარის ტროლი

(პერს)

ეს ღრმა აზრია! არა განა?

გუნტი

მე კი არ მესმის.

დოვრი პაპა

„კმაყოფილიო“, ჩემო შეილო, ეს მძლავრი სიტყვა  
დღეიდან შენი სამოქმედო სიტყვა იქნება!

გ უ ნ ტ ი  
(ყურს უკან იფხანს)

მესმის.

მ ო ხ უ ც ი ტ რ ო ლ ი  
ბატონი უნდა გახდეს შენ აქ დღეიდან.

გ უ ნ ტ ი  
მეც ასე ვფიქრობ. უარესი ამბებიც ხდება.

დ ო ვ რ ი პ ა პ ა  
უნდა ისწავლო, აითვისოს ჩვენი ცხოვრება,  
თუ ამ ჩვენს ჭერქვეშ გასურს იცხოვრო და იბატონო.

გ უ ნ ტ ი  
ჯანდაბას! იყოს ნება თქვენი, სხვა რაღა გინდათ?

დ ო ვ რ ი პ ა პ ა  
შემდეგ იცოდეს: ჩვენი სუფრა არ დაიწუნო.  
თავის ქნევით ანიშნებს: ორ ღორისთავიან ტროლს სასმელ-საჭმელი ში  
ძროხა იძლევა კვერებსა და ხარი კი — შარბათს.  
მყავს იქნება ის თუ ტკბილი, შენ არ იკითხო!  
რაც მთავარია: აქ არაფერს ჩვენ არ ვყიდულობთ,  
შინვე ვამზადებთ.

გ უ ნ ტ ი  
(საჭმელს ხელთ იშორებს)  
ჯანდაბას თქვენი შინაური სასმელ-საჭმელი!  
ასეთ რამეებს ვერასოდეს ვერ მივეჩვევი.

დ ო ვ რ ი პ ა პ ა  
ოქროს ქოთანი მსურს გაჩუქო, იყავ ბატონი:  
ჩემი ასულის ხელს მიიღებს მისი პატრონი.

გ უ ხ ტ ი

(ლაფიქრებული)

წმინდა წერილში, მართალია, ასე წერია:  
„მოთმინებითა შენითაო...“ ჰოდა, კეთილი,  
რა გაეწყობა, მეც ვეცდები...

(ვამს)

დ ო ვ რ ი პ ა პ ა

ასე არ ჯობდა?

მომწონს ეგ სიტყვა გონივრული...  
გადააფურთხე?

გ უ ნ ტ ი

მიჩვეული ვერა ვარ, ჯერა.

დ ო ვ რ ი პ ა პ ა

ჯერ გადააგდე ეგ სამოსი ქრისტიანული!  
უნდა ვთქვა ჩვენდა სასახელოდ: აქ ყველაფერი  
გვაქვს საკუთარი, და ჩამოგვაქვს უცხო ქვეყნიდან  
მხოლოდ ბაფთები აბრეშუმის, კულზე საბმელად.

გ უ ნ ტ ი

(გაბრაზებული)

მე უკუდო ვარ!

დ ო ვ რ ი პ ა პ ა

მოითმინე, გვაცალე, კაცო!

(კარისკაცს)

სასახლის ტროლო, გაუკეთე ის ჩემი კუდი,  
საკვირადღეო...

გ უ ნ ტ ი

რაის კუდი? გაბედოს ერთი!  
მომწყდით თავიდან! გეყოთ ჩემი გაპამპულეზა!

დოვრი პაპა

შენ ჩემს სიძობას მაშ უკუდოდ ხომ არ აპირებ?

გუ ნ ტ ი

ადამიანის მხეცად ქცევა?

დოვრი პაპა

შენ შემცდარი ხარ.

მხოლოდ სასახლის სიძედ მინდა გაქციო, შვილო.  
ნადვერდალივით ყვითელ ნაჭერს მიიღებ ჩემგან,  
რასაც აქ ჩვენთან უზენაეს პატივად თვლიან.

გუ ნ ტ ი

(ფიქრის შემდეგ)

ასე იტყვიან: კაცი ქვიშის მარცვალიაო.  
სადაც ხარ, ქუდიც იქაური დაიხურეო.  
მომაბით კუდი!

დოვრი პაპა

ვხედავ, ჰკვიანი ყმაწვილი ხარ, ჩემო სიძეო!

ს ა ს ა ხ ლ ი ს ტ რ ო ლ ი

მოხერხებულად თუ ქიცინებს — აქნე კუდი!

გუ ნ ტ ი

(განრისხებული)

აბა ჰკვიანად! ახლა მთხოვეთ კუდის ქიციანი!  
იქნება გინდათ ვულალატო ქრისტეს მოძღვრებას?

დოვრი პაპა

არა, რჯულიდან გადადგომას ჩვენ არ მოვითხოვეთ,  
სარწმუნოებას თავისუფალს არ ადევს ბაჟი.  
მხოლოდ სახეს და გარეგნობას უყურებს ტროლი.  
შესახედავად იყავ ტროლი დავლათიანი,  
და რასაც ჩვენ აქ შიშს ვეძახით, უწოდე რწმენა.



## გ უ ნ ტ ი

შენ ყველა შენი მრუდე წესის მიუხედავად,  
ხარ უკეთესი ვინმე, ვიდრე იფიქრებს კაცი.

## დოვრი პაპა

შვილო, ტროლია უკეთესი, ვიდრე გგონიათ,  
ეს არის კიდევ განსხვავება ჩვენი და თქვენი.  
მაგრამ დრო არის მოვრჩეთ ასეთ მძიმე ლაპარაკს.  
მოდით, ვალხინოთ ჩქარა ჩვენი ყური და თვალი.  
ქნარზე დამკვრელო დოვრო გოგოვ, დაგვიტკბე სმენა!  
და შენც გვიჩვენე, მოცეკვავევ, დოვრული როკვა!

(ჩაღდება ცეკვა-თამაში)

## ქარის ტროლი

მოგწონს?

## გ უ ნ ტ ი

რა? ისე...

## დოვრი პაპა

რას უყურებ? ნუ გეშინია!

## გ უ ნ ტ ი

ვხედავ სახეებს საძაგელს და ყოვლად უცნაურს:  
საკრავთა სიმებს ჩლიქებს ურტყამს უჯიშო ძროხა,  
კუბიტრუშობს მოკლეშარვლიანი პატარა გოქი.

## სასახლის ტროლი

შევჭამოთ!

## დოვრი პაპა

ჩუმად! მას აქვს კაცთა მზერა და სმენა,  
და ამიტომაც ეჩვენება ასე უკუღმა!

## ტ რო ლ ი ქ ა ლ წ უ ლ ე ბ ი

მაშ ამოვთხაროთ თვალეზი და მოვგლიჯოთ ყურის!

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი ქ ა ლ ი

(ტირილით)

ვაი, რა მესმის! როგორ გვარცხვენს, როგორ გვამცირებს,  
როცა ვმღერით და ვცეკვავეთ ხოლმე მე და დაიკო!

გ უ ნ ტ ი

ეს შენ იყავი? მაშ ხუმრობა არა გცოდნია!  
ლხინში ხუმრობა არის როგორც სანელაბელი!

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი ქ ა ლ ი

მართლა ხუმრობდი?

გ უ ნ ტ ი

მაიმუნმა გამკრას კლანჭები,  
თუ თქვენი ცეკვა-თამაში არ მომწონებოდა!

დ ო ვ რ ი პ ა პ ა

ადამიანთა გვარს საოცრად მარჯვე აქვს ხელი:  
შესანიშნავად ჭრის და წებავს, კრავს და აყერებს!  
როგორც არ უნდა დაზიანდეს ჩვენთან ბრძოლაში,  
ძაღლის სული აქვს, უმთელდება ყველა ჭრილობა.  
ჩემმა სიძემაც, უნდა ითქვას სრული სიმართლე,  
ჭრისტეს სამოსი გაიხადა მარჯვედ ძალიან.  
ჩვენი შარბათიც დალია და საჭმელიც ჭამა,  
ტროლის კუდიც კი მიიკერა ულაპარაკოდ.  
ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ქების ღირსია,  
რომ შეასრულა ყველაფერი, რაც კი ებრძანა.  
მე კი ვფიქრობდი, რომ ერთხელ და სამუდამამოდ  
გააგდეს კარში ადამი და გაქრა უკვალოდ.  
ის კი უკანვე მოსულა და დგას ამ დარბაზში.  
ჰო. ჩემო სიძევ, მკურნალობა გჭირდება დიდი,  
რომ მოიშორო ეგ სიკერბე კაცთა ბუნების.

გ უ ნ ტ ი

მკურნალობაო? რას მიპირებთ, ნეტავი, კიდევ?

დოვრი პაპა

უნდა მოეფხიკო ცოტა შენი მარცხენა თვალი, რომ ყველაფერი მოგეჩვენოს მრუდედ და ცერად. დღეიდან საგნებს ტროლებივით შეხედავ შენცა, ხოლო მარჯვენა თვალის გუგას სულაც აგაცლი.

გ უ ხ ტ ი

შენ ხომ არ გიქრის?

დოვრი პაპა

(წვეტიან ხელსაწყოებს მაგიდაზე აწყობს)

აგერა მაქვს ხელსაწყოები, თვალზე ბადურას გაგიკეთებ, ვითომ ხარი ხარ, კალმით ნახატი გეგონება შენი ცოლი და ავეყა პირით ვეღარ ეტყვი სულელურ ამბებს შარვლიან გოჭის და უჯიშო ძროხის ცეკვაზე.

გ უ ნ ტ ი

აბა რას როშავ, ბერიკაცო, რამ გადაგრა?

უ ხ უ ც ე ს ი ტ რ ო ლ ი

შენ დოვრი პაპის სიბრძნის სიტყვა ასე გაიგე? შენ თვითონ როშავ სისულელეს და არა ისა!

დოვრი პაპა

წარმოიდგინე, ამით რამდენ უხერხულობას და რამდენ წყენას აგარიღებ სამუდამამოდ! თუ გაიხსენებ, კაცის თვალი ის ნასვრეტია, სადაც ცრემლი და წყენის წყარო მოედინება!

გ უ ნ ტ ი

მართალსა ბრძანებ, კარგად მახსოვეს ბიბლიის სიტყვაჲ თუ თვალმა შენმა გაგაბრაზა, პოითხარეო!

მაგრამ ბიბლია ერთია და მწერა — მეორე.  
კვლავ როდის უნდა დამიბრუნდეს თვალთა სინათლე?

დოვრი პაპა

ალარასოდეს!

გუნტი

მართლა? კარგი, აბა მშვიდობით!

(უნდა წავიდეს.)

დოვრი პაპა

წახვლას აპირებ?

გუნტი:

გზა მომეცი, უნდა წავიდე.

დოვრი პაპა

არა, შეჩერდი! ყველასათვის ღია გვაქვს კარი  
შემოსასვლელი, გასასვლელი კარი კი არა!

გუნტი

შენ ძალით გინდა გამაჩერო გამოქვაბულში?

დოვრი პაპა

ყური დამიგდე, პრინცო პერო, და ნუ ხარ გიჟი!  
გაქვს ჭეშმარიტი ტროლის ნიჭი, ზნე და ბუნება.

(თავის კარისკაცებს.)

როგორც ნამდვილი ჩვენებური კეთილი ტროლი,  
იანე იქცევა ჩემი სიძე, ხომ მართალია?

(გუნტს.)

და შენც ხომ გინდა ტროლი იყო?

გუნტი

ლმერთმა იცოდეს,  
მე მინდა მყავდეს შენი ქალი, მჭონდეს სამეფო,

და ამისათვის ბევრი რამე დავთმე კიდევაც,  
მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს ამ ქვეყანაზე.  
კუდი შევიბი, რადგან კაცი კიდევ შეიხსნის  
ამ სისულელეს, რაც მიაკრა სასახლის ტროლმა.  
შარვალიც დავთმე, იყო ძველი და დაგლეჯილი,  
თუმცა იმისი დაკერებაც შეიძლებოდა.  
ღოვრების ქუდიც დამიხურავს — კარგი, ჯანდაბას!  
ძროხა ვნახე და დაეფიცე — ქალია-მეთქი.  
ფიცი — სიტყვაა, გადაყლაპავ, მორჩა, გათავდა!  
მაგრამ კაცი რომ ტროლად იქცე სამარადისოდ,  
ადამიანთა მოდგმას მოსწყდევ ცოცხალი თავით  
და სამარეც კი არ გელირსოს, როგორც წესია,  
ველარასოდეს ვერ დაბრუნდე შენიანებთან, —  
არა და არა, მე ვერ მოგცემ ამის თანხმობას!

დოვრი პაპა

ახლა გავწყრები, გეფიცები უსინდისობას!  
და ყველაფერი გათავდება მაშინ ჩვენ შორის.  
მზის სხივთა ღლაპო! ჩვენ ვინა ვართ, იცი თუ არა?  
ჯერ ერთი, როგორ შეაჯდინე ჩემი ასული?

გუნტი

(აწვევთინებს)

კრუობ, ბებერო!

დოვრი პაპა

ახლა უნდა ცოლად შეირთო.

გუნტი

შენ რა, ბრალსა მდებ?

დოვრი პაპა

რა გაყვირებს? განა უარყოფ,  
რომ აცდუნებდი და სამეფო გინდოდა ჩემი?

გ უ ნ ტ ი

(სტვენით)

რა ყრია მაგ შენს სამეფოში? ან ასეთ ჩმახვას  
ვინ დაგიჯერებს? სულ ეს არის?

დო ვ რ ი პ ა პ ა

აღამიანი

არასდროს თავის გვარს და ჯილაგს არ უღალატებს.  
სულს აღიარებს მარტოოდენ ცარიელ სიტყვით,  
აფასებს მარტო იმას, რასაც ხელში მოიგდებს.  
შენ გინდა თქვა, რომ ცდა და ნდომა არაფერია?  
მოიცა, ნახავ, თვალი როგორ აგეხილება!

გ უ ნ ტ ი

მე შენს მახეში ვერ გამაბამ. ტყუილად ცდილობ.

მ წ ვ ა ნ ე ს ა მ ო ს ი ა ნ ი

ამ წლის ბოლომდე, ჩემო პერო, მამა გახდები.

გ უ ნ ტ ი

გამიშვი გარეთ! აღარ მინდა თქვენთან დარჩენა.

დო ვ რ ი პ ა პ ა

თხის ტყავში გავხვევთ შენს შვილსა და გამოგიგზავნით.

გ უ ნ ტ ი

(ოფლს იწმენდს)

არ მეღვიძება!

დო ვ რ ი პ ა პ ა

სასახლეში გამოგიგზავნოთ?

გ უ ნ ტ ი

თავშესაფარში!

## დოვრი პაპა

ასრულდება შენი სურვილი.  
რაც მოხდა, მოხდა! სინანული რას გვარგებს ახლა!  
შენი ჭილაგი, პრინციო პერო, წამოგესწრება:  
ხომ იცი, მსგავსი ორტობახი სწრაფად იზრდება!

## გუნტი

მოვეშვათ ვირულ ჭიუტობას, მოხუცო კაცო,  
შევრიგდეთ, იყავ გონიერი შენც, ქალიშვილო!  
უნდა იცოდე, არც პრინცი ვარ, არცა მდიდარი,  
და რაც არ უნდა შეეცადო, წელი იწყვიტო,  
შენ სარგებლობას არ მოგიტანს ჩემი ცოლობა.  
მწვანით მოსილ ქალს გული მისდის, ტროლ ქალიშვილებს გაჰყავთ.

## დოვრი პაპა

(ყარგა ხანს სიძულვილით შესიქერის პერ გუნტს, მერე ტროლებს მიმართავს)  
სტაცეთ ხელი და მიუწაყეთ კედელზე თავი!

## ყმაწვილი ტროლები

(ვედრებით)

ჯერ გვინდა კატა-თაგვობიას თამაში, პაპა,  
ან ვითომ ბუა ეს ახმახი და ჩვენ — სვავები...  
გვათამაშე, რა!

## დოვრი პაპა

ეთამაშეთ! ოლონდ იჩქარეთ!  
მინდა ხვრინვაში გამოვუშვა მე ჩემი შხამი!  
(გაღის)

## პერ გუნტი

(პატარა ტროლები დასდევენ)

შორს ჩემგან, ქაჯთა ნაშიერნო! მომწყლდით თავიდან!  
(უდილობს საკვამურიდან გაძვრეს)

ყ შ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი  
გნომებო, აქეთ! ჰინკებო, ჩქარა!  
უკბინეთ უკან!

გ უ ნ ტ ი

ვაი, ვაი!

(ცდილობს სარდაფის ხერელში ჩაძვრეს)

ყ შ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი  
ხერელი ჩაგმანეთ!

ს ა ს ა ხ ლ ი ს ტ რ ო ლ ი  
როგორ ხარობენ პატარები! ნახეთ სერიო!

გ უ ნ ტ ი

(ერთ პატარა ტროლს ებრძვის, ყურში რომ ჩააფრინდა)  
გამიშვი ჩქარა, ჯოჯოხეთის უგვანო ჰინკავ!

ს ა ს ა ხ ლ ი ს ტ რ ო ლ ი  
(ხელში არტყამს)

შენ მორიდებით მოექეცი მეფის ნაშიერს!

გ უ ნ ტ ი

ვირთხების სორო!

(გარბის.)

ყ შ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი

აქეთ მოდი, ჩქარა, ჰინკებო!  
გნომებო, ცოცხლად! არ გაუშვათ, ჩაგმანეთ კარი!

გ უ ნ ტ ი

მოხუცთან ჰირდა, პატარები უარესია!  
მაგ ჰინკებს ესმით თავიანთი ბილწი ხელობა!



ყ მ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი  
ეცით! დაგლიჯეთ!

გ უ ნ ტ ი  
რად არა ვარ პატარა თავგვი  
(დარბის.)

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი  
(ეხვევიან)  
შემოეხვეით!

გ უ ნ ტ ი  
(ტირილით)  
ნეტავ, ვიყო პატარა ტკიპა!  
(ეცემა.)

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი  
ახლა თვალები დავთხაროთ და ჩავახრამუნოთ!  
პერ გუნტი ძირს გლია, ზედ ციკქნა ტროლები დახვავებულან.

გ უ ნ ტ ი  
დედა, მიშველე, ვილუპები! ვაიმე, დედა!  
წორიდან ისმის ეკლესიის ზარების ხმა, დედამ რომ დაარქვინა.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი ტ რ ო ლ ე ბ ი  
ზარის ხმა მთებში! თუ მოდიან შავად მოსილნი!  
(წვილ-კივილით იფანტებიან.)  
გამოკვებულის თალი ჩამოიქცევა, ყველაფერი ქრება.  
წყვდიადი. ისმის კონზლის ცემის ხმა. პერ გუნტი კეტს იქნევს მარჯვნივ თუ მარ-  
ცხნივ.

გ უ ნ ტ ი  
ვინა ხარ შენა? მიპასუხე.

ხ მ ა წ ყ ვ დ ი ა დ ი დ ა ნ  
მე ვარ.

გ უ ნ ტ ი

გზა-მეტყი

ხ მ ა

შემოუარე! გზა დიდია!

გ უ ნ ტ ი

(სხვა მხარეს გაკრას ლამობს, ისევ წაიბოროძიებს)

ვინა ხარ-მეტყი?

ხ მ ა

მე ვარ! მე თავად! შენ შენს თავზე ასევე იტყვი?

გ უ ნ ტ ი

ვიტყვი, რაც მინდა, და შენ დაგცემს ჩემი მახვილი.  
მიფრთხილდი-მეტყი! ესეც შენა! დაეხოცავ ათასს!  
მეფე საულმა ასი მოკლა, მე მოვკლავ ათასს!

(დაარტყამს და ისევ მოუქნევს.)

ვინა ხარ-მეტყი?

ხ მ ა

თვითონ მე ვარ.

გ უ ნ ტ ი

რეგვენო შენა!

რა პასუხია? თქვი, ვინ გიცნობს? ვინ ხარ და რა ხარ?

ხ მ ა

დიდი მრუდე ვარ.

გ უ ნ ტ ი

დახე, დახე, რა სულელია!

ჯერ იყო შავი გამოცანა, ახლა რუხია.

გზა მომე, მრუდევ!

(კეტს იქნევს)

მგონი, მოხვდა?

(წინ უნდა გაიჭრას, რაღაც ელობება)

თქვენ აქ ბევრნი ხართ?

ხ მ ა

მხოლოდ ერთი ვარ: ვინც ეცემა და მარად დგება!  
მრუდე ვარ, პერო, მკვლარი, მაგრამ... მაინც ცოცხალი

გ უ ნ ტ ი

(კეტს გადააგლებს)

ჩემი მახვილი ავსულებმა მოჩხიბეს, ვატყობ,  
მაგრამ უფროთხილდი ამ ჩემს მუშტებს, მრუდე ავსულო!

(გზას იკაფავს მუშტების ქნევით.)

ხ მ ა

ჰო, გაისარჯე, გამოსცადე, პერო, მუშტები!  
ხა-ხა-ხა! დასცხე! იქნებ მართლა გახვიდე გარეთ!

გ უ ნ ტ ი

(უკან ბრუნდება)

გზა არც უკან მაქვს და აღარც წინა —

სივიწროვეა გარეთ თუ შინა!

კარი არა აქვს ამ სატიალეს,

ამ შუა წრეში რა მატრიალებს?

ჰეი, შენს სახელს რაღას ინახავ?

გამომეცხადე, სად ხარ, ვინა ხარ?

ხ მ ა

მრუდე.

გ უ ნ ტ ი

(ხელის ცეცებით)

მრუდო! არც მკვდარია და არც ცოცხალი!  
რალაც სლიპია, უსახური და უჩინარი,  
თანაც ბურღლუნებს, თითქოს ვიყო დათვის ბელებთან.  
(ყვირის.)

ფარი იფარე!

ხ მ ა

არა, პერო, გიყი როდი ვარ.

.გ უ ნ ტ ი

თავი დაიცავ!

ხ მ ა

დიდი მრუდე ისეც იმარჯვებს.

გ უ ნ ტ ი

რომ იყოს მარტო ქონდრისკაცი, ჭინკა, გრძნეული,  
ან ათვნიანი ტროლი თუნდაც დამსხმოდა თავსა,  
მე ვუჩვენებდი მაგას სეირს, მაგრამ ეს რაა,  
არ ჩანს, არ მებრძვის, ჰაერშია... ჰეი, შე მრუდე!

ხ მ ა

რა იყო, პერო?

გ უ ნ ტ ი

რას ხროტინებ, იხმარე ძალა!

ხ მ ა

დროთა მანძილზე დიდი მრუდე ისეც იმარჯვებს.

## გ უ ნ ტ ი

(ხელზე იკბენს, შერე მკლავზე)

საკუთარ ხორცში ჩავისობ კბილებს,  
ძვლამდე ჩავისობ საკუთარ ფრჩხილებს!  
ჩემივე სისხლის დენას ვიხილავ.

თითქოს დიდ ფრთოსანთა ფრამფრაში ისმის.

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს ძ ა ხ ი ლ ი

მრუდევ! რას იტყვი? მოდის?

ხ მ ა წ ყ ვ დ ი ა დ ი დ ა ნ

მოდის! მიახლოვდება.

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს ძ ა ხ ი ლ ი

შორეულო და მახლობელო დებო, მოფრინდიო!

## გ უ ნ ტ ი

ტურფა ასულო, ჩემი დახსნა თუ გინდა შენა,  
ნუ მიმზერ ასე დაღვრემილი, გულსევდიანი!  
ნულარ აყოვნებ, წმინდა წიგნი ესროლე ტროლებს!

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს ძ ა ხ ი ლ ი

აგერ, ბარბაცებს!

ხ მ ა

სად წაგვივა!

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს ძ ა ხ ი ლ ი

იჩქარეთ, დებო!

## გ უ ნ ტ ი

ძვირი დაჯდება, როგორც ვატყობ, კაცის სიცოცხლე,  
ნაყიდი ეგზომ საშინელი წამების ფასად!

(ეცემა.)

ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს    ძ ა ხ ი ლ ი  
დაეცა, მრუდევ! ახლა მისი ხორცი შენია.  
(შორიდან ისმის ზარის ხმა და გალობა)

მ რ უ დ ე

(დნება, იგუდება და ქრება)

ძლიერი იყო მეტიმეტად, ძლევა გაჭირდა!  
მხარში ქალები ამოუდგნენ ბურჯად და სვეტად.

მზე. ამოდის. ოსეს ძალალები. კარი ურდულითაა დაკეტილი. ყველაფერი გაპარტა  
ხებულია. სიწყნარეა.

პერ გუნტი ქოხის ეზოში წამოწოლილა.

გ უ ნ ტ ი

(იღვიძებს, ნამძინარევი და დაღლილი თვალებით მიდამოს ზევრავს, იფურთხება)

ახლა ქაშაყი ერთ რამედ ღირს მარილიანი

(ისევ აფურთხებს. უცებ შენიშნავს ჰელგას, რომელსაც სანოვაგით სავსე კალთა  
მოაქვს.)

ჰეი, პატარავ, საით მიხვალ? საიდან სადა?

ჰ ე ლ გ ა

მე სოლვეიგმა...

გ უ ნ ტ ი

(წამოვარდება)

აბა სად არის?

ჰ ე ლ გ ა

აქ, სახლის უკან!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

(საფრიდან)

არ მომეკარო — გავიქცევი!

გ უ ნ ტ ი

(ღვას)

შენ გეშინია,  
რომ ხელს ჩაგავლებ და ჩაგიკრავ ძალდატანებით?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

უნდა გრცხვენოდეს!

გ უ ნ ტ ი

იცი, ღამე სად გავატარე?  
ტროლებთან! დოვრი პაპის ქალმა დამახჩო ლამის.

ს ო ლ ვ ე ი გ ი

ღროზე დარეკეს ზარი სწორედ შენს დასახსნელად.

გ უ ნ ტ ი

რას ამბობ? განა პერი სადმე დაიკარგება?  
ჰელგა, რა მოგდის?

ჰ ე ლ გ ა

(ტირილით)

სოლვეიგი გაიქცა სადღაც!

გ უ ნ ტ ი

(ხელში აპყავს გოგონა)

ნახე, პატარავ, რა ვიპოვნე შენთვის ჭიბეში!  
ვერცხლის ღილია! ამას მოგცემ, თუ სოლვეიგთან  
შემაწევ სიტყვას.

ჰ ე ლ გ ა

ოჰ, გამიშვი!

გ უ ნ ტ ი

ჰა, გამომართვი!

ჭ ე ლ გ ა

არ მინდა დილი! აგერა დგას შენთვის კალათი.

გ უ ნ ტ ი

ღმერთმა გიშველოს...

ჭ ე ლ გ ა

მეშინია! გამიშვი ჩქარა!

გ უ ნ ტ ი

(უცებ მოღებვა, გაუშვებს)

სოლვეიგს სთხოვე, იწამოს ღმერთი,  
არ დაივიწყოს თავისი პერი!

(ჭელგა გარბის.)



## მ ე ს ა მ ე მ ო ჯ მ ე დ ე ბ ა

ულრანი ტყის შუაგული. შემოდგომის ავღრიანი დღე. თოვს. პერ გ უ ნ ტ ი პე-  
რანგის ამარა მუშაობს, ხე-ტყეს ამზადებს.

### გ უ ნ ტ ი

(ჭრის უზარმაზარ გაშლილტოტებიან ფიჭვს)

პაი. ბებერო ბუმბერაზო, რა ჯიუტი ხარ!  
მაგრამ სიკერპე ვერ გიშველის, მალე წაგაქცევ!

(ჭრას განაგრძობს.)

ვხედავ, გაცვია ტანზე, ფიჭვო, ჯაჭვის პერანგი,  
მაგრამ შენს ჯავშანს შემოგაცლი ჩემი ნაჯახით.  
ჰო, დიახ, დიახ, შენ აქნე შენი ხელები,  
გასკდი გულზე და იკანკალე შიშით თუ ბრაზით —  
კორძიან მკლავებს შემოგაცლის გუნტის მარჯვენა!

(უთებ წყვეტს ჭრას.)

ნეტა, რას ვჩმახავ! კენტი ხეა, სხვა არაფერი.  
არც დევგმირია, არც ჯავშანში ჩამჯდარი კაცი,  
ძველი ფიჭვია კანდამსკდარი, კორძებიანი, —  
წელმოსაწყვეტი საქმე კია მსგავსი ხის მოჭრა,  
მაგრამ ეს რაღა სიგიჟეა — ჭრა და ოცნება?  
ახლა ეს საქმე მორჩა უკვე... კმარა ყიალი,  
ნისლებში ჭროლა, მოლანდება, მოჩვენებანი, —  
მიუსაფარი ნადირი ხარ, ნადირებს შორის!

(გაცხარებით ჭრის ერთხანს.)

განკიცხული ხარ! არც დედა გყავს, არც გაქვს ოჯახი,  
სადილს არავინ მოგიმზადებს, როგორც წესია,  
სუფრას არავინ არ გაგიშლის ერთხელ კაცურად.  
თუ მოგშივდება, თავს შენ თვითონ უნდა უშველო,  
წყალში თევზია, ყმაწვილო, და ტყეში — ნადირი,  
შეშას მოიტან, ცეცხლს დაანთებ, შეწვავ და შეჭამ.  
ტანზე სამოსი გაგიცვდება — მოკლავ ირემსა.  
სახლი არა გაქვს — მოაგორე ლოდები მძიმე,  
ხე-ტყე ამზადე და მოზიდე ზურგით მორები.

(ნაჯახი დაუვარდება, ოცნებით დასკქერის მიწას.)

სახლი სახლს უნდა დავამსგავსო, კოხტად ავაგო,  
წვეტიან კეხზე ფლიუგერი უნდა აღვმართო,  
ხის სირინოზი გამოვჭრა და ზედ დავამაგრო.  
კეხი, საკეტი, სახელური სპილენძის მინდა,  
ფანჯრის მინებსაც სანაქებოს ვიშოვნო სადმე.  
ჰაი, შედგება უცხო ხალხი პირდაღებული,  
იტყვის: ამ მთებში რა სახლი დგას, როგორ ციმციმებს!

(კუშტად იცინის.)

ისევ ჩვენება უსარგებლო, ჯოჯოხეთური!  
კანონგარეშე კაცი ხარ შენ!

(ნაჯახს აძლებს, გამზავებით ჰრის.)

პატარა ქოხიცი  
იკმარებს შენთვის, ავდრიანი დღის თავშესაფარად!

(ხეს ახედავს მალა.)

როგორ ირწევია! კიდევ ერთი ნაჯახის დარტყმაც,  
და წაიქცევა მთელი მისი სიგრძე-სიგანით,  
აშრიალდება ქოჩორა ტყე ზღართანის ხმაზე.

(იწყებს ტოტების გასხვლას. უცებ რაღაც ხმაურს გაიგონებს და ნაჯახშემართული  
შეჩერდება, სმენაღქცეული.)

ვიღაც ჩემ უკან დამალულა და მითვალთვალებს.  
მიპარვით გინდა, ჰეგსტადელო გლებო, შეპყრობა?

(ხის უკან ჩაცუტდება და საფრიდან ფრთხილად იყურება.)

ვილაც ყმაწვილი კაცია და, ჩანს, ეშინია.  
მიდამოს ზვერავეს და უბეში რაღაცას მაღავეს...  
ჰო, ნამგალია! თხილამურის ჯოხზე დებს ხელსა!  
მიმოიხედა.. წაბარბაცდა! ერიპა, რა ქნა?  
როგორ წაიჭრა ნამგლით თითი! იხვევს ჭრილობას,  
დახე, ტახივით გასდის სისხლი.. ტყეს მისცა თავი.

(წამოდება.)

ვინ რეგვენია! წაიცალა ცერი ტყუილად!  
თავისი ნებით, არხეინად მოიჭრა თითი!  
აჰა, მიგიხვდი! მხოლოდ ასე ხერხდება თურმე,  
რომ კაცმა თავი დააღწიოს ჯარის მაზარას!  
სწორედ ასეა, მეფის ჯარში უწევდა წასვლა  
და ომში სიკვდილს მამის სახლში ყოფნა არჩია.  
მაგრამ ეს რა ქნა? სამუდამოდ თითის დათმობა?  
ამაზე ფიქრი კიდევ მესმის, ს უ რ ვ ი ლ ი, ნდომა,  
მაგრამ ამისი გ ა კ ე თ ე ბ ა? ვერ გამიგია!

(თავს აქნევს, მერე საქმეს უბრუნდება.)

ოთახი ოსეს სახლში. ყველაფერი არეულ-დარეულია. სიკვრები გახსნილია, ტანი-  
სამოსი ძირს ყრია. საწოლში კატაა მოკალათებული.

ოსე და ერთი ბოგანო დედაკაცი — კარი გამაღებით ცდილობენ სახლი მიაღაგ-  
მოაღაგონ.

ო ს ე

(ერთ მხარეს გაეარდება)

მისმინე, კარი!

ბ ო გ ა ნ ო ქ ა ლ ი  
მესმის, ოსე.

ო ს ე

(მეორე მხარეს)

სად არის ისა...

რა ვქნა, სად დავდე? სად ვეჭიო? იქნებ შენ იცი?

ნეტა, რას ვეძებ? აღარ მახსოვს, სულ გამოვშტერდი...  
სკივრის გასაღებს!

ბოგანო ქალი

ვერა ხედავ? შიგ ბოქლომშია!

ოსე

ეს რა კრიალებს?

ბოგანო ქალი

საზიდარი უკანასკნელი,  
ჰეგსტადისაკენ დაიძრა და მიაქვს ქონება.

ოსე

(ტირილით)

ნეტავ, მეც მასთან წამასვენონ შავი კიღობნით  
და მორჩიეს ბარემ ეს ცხოვრება ოხერ-ტიალი!  
ოჰ, მაცხოვარო, რა მწარეა წუთისოფელი!  
კედლების მეტი აღარ დარჩა აღარაფერი-  
ჰეგსტადელ მოხუცს რაც გადარჩა, ვალში წაიდეს.  
სამოსიც აღარ შეგვარჩინეს ტანზე, ოხრებმა!  
ფუი ამ უღვთო განაჩენს და ცოდვა-სამართალს!

(საწოლის კიდეზე ჩამოჯდება.)

გლეხიც დამწვარი გამოდგა და მოსამართლენიც.  
პერი არ იყო, მე ქვრივ-ოხერს ვინ დამიცავდა!  
ახლა სულს იქით არაფერი არ გვაბადია,  
და ვის რა ვკითხო, ვინ მიშველის, ვინ შემიწყალებს?

ბოგანო ქალი

ხომ მოგცეს აქვე სიკვდილამდე ცხოვრების ნება?

ოსე

ჰო, მე და კატა მოწყალებით გავიტანთ თავსა.

ბოგანო ქალი

დედილო, პერი, ღვიძლი შვილი, ძვირად დაგიჯდათ!

ო ს ე

პერი? რას ამბობ, შენ ჰკუაზე ხომ არ შემცდარხარ?  
პერს რა ბრალი აქვს? ინგრიდი ხომ სახლში დაბრუნდა!  
რა დაუშავდა? სამართალში ეხმოთ ეშმაკი!  
პერი კი არა, ეშმაკია დანაშაულში.  
ეს იმ ოხერმა შემეცდინა ალალი შვილი!

ბოგანო ქალი

იქნება ჯობდეს ამ ამბავზე მოძღვარს მიმართოთ?  
უფრო მძიმეა პერის საქმე, ვიდრე გგონიათ.

ო ს ე

წადი მოძღვართან...

(წამოვარდება)

არა, ქალო, არ გამაგონო!

ისლა მაკლია, უცხო ხალხი ავაწრიალო!  
თვითონ მივხედავ, ეს ხომ ჩემი წმინდა ვალია!  
თუ დედა შვილს ვერ მიეშველა, სხვა ვინ უშველის?  
ეს ქურთუკი ხომ დაუტოვეს! ჯერ დავაყერო.  
მატყლის საბანიც, ნეტავ, ასე გადამეშალა,  
მაგრამ რა მექნა, ვერ გავბედე... მითხარი, კარო,  
წინდები ნახე?

ბოგანო ქალი

აგერ არის, ჩერების გროვაში.

ო ს ე

(ქეჭავს)

ჰეი, რა ვნახე! პერის ძველი, ნახმარი ციციხვი!  
ამითი რამდენს თამაშობდა, ღვრიდა, ასხამდა!  
მახსოვს: აქ, ჩვენსას ნადიმია. შემოდის ბავშვი.  
კალის ნაპერი მომეციო, მიმართავს მამას.  
ჩემი იონი ეუბნება: „კალა კი არა,  
ვერცხლი ინებე, კრონი მეფე ქრისტიანისა,  
არ დაგავიწყდეს, იონ გუნტის შვილი რომ ხარო!“

დმერთმა შეუნდოს! ცხონებული რომ დათვრებოდა,  
ვერცხლი კი არა, თქროც კალად ეჩვენებოდა...  
აგერ, წინდებიც. გაცვეთილან, დასაკემსია.  
ნემსი და ძაფი მომე, კარი.

ბოგანო ქალი

ახლავე, ოსე.

ოსე

კემსვას მოვრჩები და მაშინვე დაეწევი კიდეც:  
შეუძლოდა ვარ, მტეხს და მტკივა ყველა სახსარი.

(გახარებულია.)

აქ ორი მატყლის პერანგია, შეხედე, კარი!  
როგორც ეტყობა, ვერ შენიშნეს, ან დარჩენიათ.

ბოგანო ქალი

ჰო, მართალია, დარჩებოდათ.

ოსე

ესეც ბედია!  
ერთი წაიდე, მიაშავე... თუმცა არ გინდა!  
ბარემ ორივე დავიტოვოთ, პერს გავახარებთ,  
ხომ იცი, ახლა რომ აცვია, რა ძველმანია!

ბოგანო ქალი

ასე ნუ ვიზამთ, დედა ოსე, ცოდვა იქნება!

ოსე

კი, მაგრამ მოძღვარს შევეხვეწოთ, შევეცოდებით —  
ბარეღამ ერთად მოგვიტევეს ყველა ცოდვები.

ახალი ქოხი ტყეში. კაოს თავზე ირისი რქებია მიჭედლილი. ტყე ირგვლივ თოვლით დაბარდნილა. ლამობა. პერ გუნტი კართან დგას და მძიმე ურდულს აკედებს.

## გ უ ნ ტ ი

(ღროღარო იცინის)

ურდულს ვამაგრებ, რომ ჩემს ქოხში ფენი ვერ შედგას  
ვერც ავმა კაცმა, ვერცა ტროლმა, ვერც ავმა ქალმა.  
ჩემი სიმაგრის ზღურბლზე ველარ გადააბიჯო:  
ვერცა მზაკვარმა, ვერც ავსულმა და ჭუჭა გნომმა.  
უწმინდურები კარზე ღამით გვიკაქუნებენ:  
„გაგვიღე, პერო! ვართ აზრივით მოუსვენარნი!  
ჩვენ ქვეშაგებში ვიმალებით, ნაღვერდალში ვართ,  
მიღში მოვძვრებით, როგორც ცეცხლის გველეშაპები.  
ჰა-ჰა! პერ გუნტო, შენ გგონია დაგვემალები?  
კობოლდის ფიქრი ვერ მოგაგნებს საბანში განა?“

(სოლვეიგი თხილამურებით მოქრის ფერდობზე. თავზე მანდილი შემოუხვევია, ხელში ფუთა უჭირავს)

## სო ლ ვ ე ი გ ი

პერ, ღმერთი იყოს შენი შემწე! მიკადრე სტუმრად!  
მიხმე და მოველ, ახლა ცოლად უნდა შემიერთო.

## გ უ ნ ტ ი

სოლვეიგ, შენა? ნუთუ შენ ხარ? ო, როგორ არა!  
არ გეშინია მეტად ჩემი? მიახლოვდები?

## სო ლ ვ ე ი გ ი

შენი სალაში მე პირველად გადმომცა პელგამ,  
მერე მოქქონდათ ფრთამალ ქარებს შენი ამბავი.  
ცნობა მოქქონდა დედაშენის მოთხრობას, დუმილს,  
და ჩემს ოცნებას, რაც ლოდინში არ მასვენებდა.  
უსიხარულო დღეებსა და ნაღვლიან ღამეს  
მოქქონდა ჩემთან შენი ფიქრი, შენი ამბავი,  
და უღიმღამოდ მიდიოდა ცხოვრება ჩემი.  
ვტიროდი, ვწუხდი, ვიციინოდი — გულით კი არა,

და თუ ნამდვილი შენი ზრახვა მე არ ვიცი, კარგად ვიცი, თუ მე თვითონ რა უნდა მექნა.

გ უ ნ ტ ი

მამა რას იტყვის?

სო ლ ვ ე ი გ ი

არც მამა მყავს და აღარც დედა. ყველანი დავთმე, კაცის შვილი არ მეგულება ჩემდა ნუგეშად.

გ უ ნ ტ ი

სოლვეიგო, ჩემო კეთილო, ჩემო უმანკოვ, სულ იმისთვის, რომ ჩემი გახდე?

სო ლ ვ ე ი გ ი

ჰო, მხოლოდ შენი, ჩემო ყველავე, სამუდამეამოდ! შენა ხარ ჩემი სამშობლოც და სულის სიმშვიდეც.

(ტრემლბორეული.)

პატარა ჰელგას დაშორება ხომ გამიჭირდა, და კიდევ უფრო — ჩემი წყნარი, ჰკვიანი მამის, მაგრამ ყველაზე მეტად მისი, ვინც მშვა, მატარა... არა, ყველაზე მეტად მიმძიმს სიშორე მათი, ერთის და ორის რას მიქვია — ყველასი ერთად!

გ უ ნ ტ ი

მაგრამ ხომ იცი, სასამართლომ რა მომისაჯა? სახლი და კარი, სამემკვიდრო წამართვეს სულა.

სო ლ ვ ე ი გ ი

იქნებ გგონია, ჩემს ძვირფასებს მისთვის დავშორდი, რომ მე დავხარბდი შენს სახლ-კარსა და სამემკვიდროს?

გ უ ნ ტ ი

იცი თუ არა, განკიცხული და განწირული ამ ტყეში უნდა ვეგდო ჩემი დღე და მოსწრება?



თუ მომიხელთა ჰეგესტადელმა მოხუცმა სადმე,  
ხელსა შტაცებს და მორჩა მაშინ პერ გუნტის საქმე.

### სო ლ ვ ე ი გ ი

მე კითხვა-კითხვით მიპოვნია შენი გზა-კვალი,  
თაილამურებით მოვქროდი და მომიხაროდა.  
მგზავრი მკითხავდა, სად მიხვალო? ჩემს სახლში-მეთქი.

### გუნტი

მაშინ შორს ჩემგან ყველა ზღუდე, კლიტე-ურდული!  
რაში მჭირდება ჩაკეტვა და კობოლდზე ფიქრი!  
თუ შენ იკადრე ჩემი ქოხი და გამინათე,  
ჩემი შვება და ჭირ-ვარამიც გაიზიარე!  
სოლვეიგ! შორით, მხოლოდ შორით მინდა გიყურო.  
აზღოს ნუ მოხვალ! ო, ნათელო, წარმტაცო სახეე!  
ნება მომეცი აგიტაცო, ხელით ვატარო!  
რა მსუბუქი ხარ, რა მომაწყენს მე შენს ტარებას!  
ასე გაქროლო, გულკეთილო, სათნო ქმნილებავ!  
თუ შენი ფეხით მოხვიდოდი, მე არ მეგონა!  
მაგრამ, ო, გულით მსურდი მუდამ, ღღეც და ღამეცა.  
ხომ ხედავ, ქოხი ამიგია, ვდურგლობ, ვხელოსნობ,  
აზლა კი მინდა უკეთესი სახლი ავაგო.  
რადგან მოვიდა სანუკვარი დიასახლისი.

### სო ლ ვ ე ი გ ი

გვაქვს თუ არა გვაქვს— კარგად ვიყოთ, სადაც ვიქნებით,  
ხარბად ვისუნთქოთ ეს ნათელი, სუფთა ჰაერი!  
იქ, დაბლა, ჩვენსას, სუნთქვა ჭირდა, შენც აქ გიჭირდა,  
და ეს მაძლევდა გასაქცევად გამბედაობას.  
აქ კი, ამ ტყეში, სადაც გესმის ფოთლის შრიალი,  
რა სიჩუმეა, რა სიმშვიდე! აქ მე შინა ვარ!

### გუნტი

ღწაშს და გჯერა, რომ ყველა ხიდი ჩატეხილია  
და ბედნიერად იგრძნობ თავსა მარადეჟამს ჩემთან?

## სო ლ ვ ე ი გ ი

გზა, რაც ჩემია, რაც მე ახლა გამოვიარე,  
მხოლოდ წინ მიდის, არ ბრუნდება არასდროს უკან.

## გ უ ნ ტ ი

მაშ შენ ჩემი ხარ! სოლვეიგო, შემოდი ჩემთან,  
შინაც შეგხვდო! მეც ახლავე, შეშა დავჩეხო-  
ისეთი ცეცხლი გავაჩალოთ, ჭერი განათდეს,  
გათბე, დამშვიდდე, დაივიწყო დარდი და სუსხი.

(ქარს ალებს.)

**სო ლ ვ ე ი გ ი** შედის. **გუნტი** მცირე ხანს გარინდებული შესცქერის, მერე სიხარულით  
ხმამალა იცინის და მალა შეხტება.

მეფის ასული ჩემს ქოხშია! განძი ვიპოვე!  
ჰე! ვიწყებ მისი საკადრისი სახლის შენებებს!

(ნაჯახს აიტაცებს და წავა)

ამჟე წამს ტყიდან გამოდის ჩამოძონძილი მოხუცი ქალი, რომელსაც მწვანე ქვე-  
დატანი აცვია, უკან კოჭლობით მოჰყვება საძაგელი შესახედაობის ახალგაზოდა  
კაცი, ხელში ლუდის ტოლჩა უჭირავს, მეორე ხელი ქალის ფეშტამლისათვის ჩა-  
უვლია.

## ქ ა ლ ი

ფეხმარლო პერო, გამარჯობა!

## გ უ ნ ტ ი

ვინ ხარ? რა გინდა?

## ქ ა ლ ი

მოკეთენი ვართ თქვენი ძველი, აქვე გვაქვს ქოხი —  
მეზობლები ვართ.

## გ უ ნ ტ ი

მართალს ამბობ? ეს არ ვიცოდი.

ქ ა ლ ი

შენს ქოხთან ერთად იგებოდა ჩემი ქოხმახიც.

გ უ ნ ტ ი

(გზა უნდა განაგრძოს)

მე მეჩქარება...

ქ ა ლ ი

შენ ყოველთვის გეჩქარებოდა.

შენი ამბავი კარგად ვიცი, მარდი კაცი ხარ,  
მაგრამ მეც უკან მოვბანცალე და დაგეწევი  
ადრე თუ გვიან!

გ უ ნ ტ ი

რალაც გეშლებათ!

ქ ა ლ ი

შემეშალა მე მხოლოდ ერთხელ:

იმ დღეს, როდესაც მომატყუე და შემაცდინე.

გ უ ნ ტ ი

შემაცდინეო? ვინ ეშმაკმა... რას როშავ, ქალო?

ქ ა ლ ი

დაგვიწყებია ის სალამო, მამის დარბაზი,  
დაგვიწყებია...

გ უ ნ ტ ი

გვაფიწყდება, რაც არ გვინახავს!

ქალო, შენ რაზე ლაპარაკობ? — არა მესმის რა!  
სად, როდის შეგხვდი, მითხარ, მე შენ უკანასკნელად?

ქ ა ლ ი

უკანასკნელიც, და პირველიც ხომ შენ იყავი?

(გონჯ მხლებელს)

მამაშენს პირი დაუღია, მიეცი ლუდი!

გ უ ნ ტ ი

მამაშენსაო? შენ მთვრალი ხარ!.. მე შენ მიწოდებ...

ქ ა ლ ი

განა ღორს ჯაგრით არ იცნობენ? შე საცოდავო, თვალეზი სად გაქვს? ვერა ხედავ, შენი შვილია! როგორც შენ ჭკუით, სწორედ ისე, ის ფეხით კოჭლობს.

გ უ ნ ტ ი

შენ გინდა თავგზა დამიბნო, გამაპამპულო?

ქ ა ლ ი

შენ კი აპირებ, როგორც ვატყობ, თავის დაძვრენას.

გ უ ნ ტ ი

მაშ ეს გრძელფეხა გონჯი ლეკვი... ჩემი შვილია?

ქ ა ლ ი

რას იზამ, მამას დაემსგავსა...

გ უ ნ ტ ი

გინდა ეს ჯირკი მე მომიგდო? უჯიშო ტროლო!

ქ ა ლ ი

ტლანქი ხარ, პერო!

(ტირილით)

ჩემი ბრალია, რომ დრომ ასე დადი დამასვა და დამაგონჯა მას შემდეგ, რაც შენ გამიტაცე და შემაცდინე იმ უდაბურ მთაგრეხილებზე? შემოდგომაზე, ცხრა თვის თავზე ბეზიაქალად თვითონ ეშმაკი მეწვია და რა ბედსა მწევდა! მაგრამ თუ გინდა ვიყო ტურფა უწინდებურად, მაშინ ის გოგო, ქონში რომ ზის, კარში გააგდე,

და თუ გულიდან ამოიგდე იმისი სახე, —  
რიდეს მოვიხსნი, კვლავ ვიქნები მშვენივლით სრული.

გუნტი

თვითონ გამშორდი, ჯადოქარო!

ქალი

ტყუილად ცხარობ!

გუნტი

თავს გაგიხეოქავ!

ქალი

მიდი, მიდი, თუ შეგიქლია!

ჰა-ჰა, პერ გუნტო, ცემა-ტყეპის არ მეშინია!  
მე მოვალ შენთან! ვივლი ყოველ დღე და ცისმარე.  
ქუქრუტანაში გითვალთვალე მთ მე თქვენ ორთავეს,  
და თუ გიხილეთ ერთმანეთის გვერდით საწოლზე,  
შემოვიკრები, ჩემს წილ აღერსს მოვითხოვ მეცა.  
ღიახ, მოუწევს ჩემთან ბედის გაზიარება.  
ახლა მშვიდობით, და თუ გინდა, ხვალვე შეირთე!

გუნტი

ო, ჯოჯოხეთის ნაშიერო!

ქალი

ჰო, როგორ არა!

მართლა, კინალამ დამავიწყდა: ამ შენს გრძელფეხას  
შენ თვითონ აკმევ... უჯილაგოვ, გინდა მამასთან?

გონჯი ყმაწვილი

(მოაფურთხებს პერ გუნტს)

ფუი! ფუი შენ! მე ნაჯახით გაგიპობ თავსა!  
მაცალე, ნახავ!

ქ ა ლ ი

(პოეტის გონჯს)

ყოჩაღ, შეიღო დახეთ ამ ჯოჯოს,  
მაგ დუხჭირ მხრებზე რა ჭკვიანი თავი აბია  
როცა იქნება, ის სირცხვილით თავს მოსჭრის მამას.

გ უ ნ ტ ი

(ფეხს უბაკუნებს)

ფუი, ეშმაკსაც წაუღიხართ იმდენად შორსა...

ქ ა ლ ი

სწორედ იმდენად, რამდენადაც ახლოს ვართ ახლა

გ უ ნ ტ ი

(ხელს მუშტად კრავს)

ეს ყველაფერი..

ქ ა ლ ი

მხოლოდ ფიქრით შეცდენისათვის!  
პერ, მეცოდები!

გ უ ნ ტ ი

სოლფეიგი უფრო ცოდვას  
ო, ჩემო ოქროვ, სულმადლო, უმანკო მტრედო!

ქ ა ლ ი

მაშ რა გეგონა? ეშმაკმა თქვა: ვაი მართალსო!  
დედამ შეიღს სცემა, რადგან მამა ღორივით დათურა!

(ლასლასით გასწევს ტყეში, უკან მიპყვება გონჯი, რომელმაც ტოლჩა პერ გუნტს  
ესროლა)

გ უ ნ ტ ი

(ხანგრძლივი დუმილის შემდეგ)

ირიბი გზებით იარეო, მირჩევედა მრუდდე!  
ღიახ, დაიქცა აგებამდე სასახლე ჩემი!

კვლავ აღიმართა ჩვენ ორს შორის დიდი კედელი. ახლოს ვიყავით მე და ჩემი გულის რჩეული — ახლა აქ ისევ უდაბნოა — და მიჯობს მოვკვდე. ირიბი გზებით იარეო, შორით, შემოვლით — მართლაც, მომეჭრა პირდაპირი გზა მისკენ უკვე. ნუთუ მომეჭრა? თითქოს დარჩა რაღაც იმედი? მე წამიკითხავს სადღაც სიტყვა „მონანიება“, რაღაც ეწერა, მაგრამ რაო? არ მაგონდება, წიგნი აღარ მაქვს, ვერაფერი ვერ გავიხსენე, და ამ ყრუ ტყეში ვინ ამიხსნის, როგორ მოვიქცე? მონანიება? ალბათ წლები დამჭირდებოდა, რომ ამ გზით მევლო, და ცხოვრება ჩამმწარდებოდა! უნდა დაიმსხვრეს ყველაფერი ნათელი, კარგი, და მერე ახლად ავაშენო ნამუსრვეიდან? საკრავს როგორმე შეკრავ კიდევ, ზარს კი — ვერასდროს; მოლს რომ გათელავ, ისე ველარ აბიბინდება. მაგრამ რას ვამბობ? რა მოჩმახა იმ კუდიანმა! გაქრა, გაქანდა ჩემს თვალთაგან ის მოლანდება. თუმცა... თვალთაგან, მაგრამ არა ჩემი ხსოვნიდან! ახლა კვალდაკვალ აჩრდილივით ამედევნება. ინგრიდიც და ის სამი ქალიც, ზემოთ რომ მყავდა, თხებივით ხტოდნენ საძოვრებზე და დამატყვევებს, ალბათ მასავით ამიკლებენ? მოვლენ ყველანი, ღმეჭით, გინებით მოითხოვენ ალერსის ნაწილს, სოლვეიგით ინებებენ ხელში აყვანას! ყმაწვილო, განზე გაიარე! გაშალე თუნდაც ხელები, გრძელი ტანწერწეტი ნაძვის ტოტებზე, — ველარ ატარებ მაინც შენგან იმ სიშორეზე, რომ არ დასვარო სოლვეიგი, ნაზი და წმინდა. ამიტომ მრუდედ. შორი გზით და განზე იარე, რომ აღარ ნახო არც მოგება და არც ზარალი. ჩამოიფერთხო უნდა კაცმა და დაივიწყო.....

(ქობისკენ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და ისევ ჩერდება.)

შევიდგე ვითომ ამის შემდეგ? პატივყარილი?

ასე დასვრილი, ამ ტროლებში გაოხრებული?  
ველაპარაკო წმინდა ქალწულს და მაინც ვდუმდე?  
გადავუშალო გული და თან ვიყალთაბანდო?

(ნაწახს გადაადგებს.)

ამ წმინდა უქმის კვირამალზე რომ შებილწული  
შევიდე მასთან, მკრეხელობა იქნება სწორედ!

სო ლ ვ ე ი გ ი

(ყარებთან)

მოდისბარ?

გ უ ნ ტ ი

(ყრუდ)

დიახ... შორი გზიდან!

სო ლ ვ ე ი გ ი

რა თქვი?

გ უ ნ ტ ი

მელოდე!

ჯერ კიდევ ბევრი ჯაფა მელის, ბევრი ჯახირი.

სო ლ ვ ე ი გ ი

მოვალ, გიშველი, დამიცადე, გავიყოთ ტვირთი.

გ უ ნ ტ ი

არა, მანდ დარჩი, სადაცა ხარ! უშენოდ ვზიდავ.

სო ლ ვ ე ი გ ი

მაშ მალე მოდი, გელოდები, შორს არ წახვიდე.

გ უ ნ ტ ი

შორსა თუ ახლო, მალე თუ გვიან,  
უნდა მიცადო, ქალწულო!



## სო ლ ვ ე ი გ ი

(თავის ქნევით)

გიცდი!

პერ გუნტი ტუის სიღრმეში შედის, სოლვეიგი ზღურბლზე დგას და  
უუურებს.

ოსეს ოთახი. საღამო ხანი. კერაზე დიდი ცეცხლია გაჩაღებული. საწოლის კვერდი  
სკამზე კატა მოკალათებულია. ოსე ლოგინში წევს და საბანს ათრთოლებული თათუ-  
ბით ეთამაშება.

## ოსე

ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ არ მოვა?  
როგორ ტაატით მიდიხ დრო-ყამი!  
ვინ გავაგზავნო? რად მიმატოვა?  
გული შელევა დღითა და ღამით.  
მე მიკაკუნებს სიკვდილი კარზე.  
ვაი! ვეწვევი სამარეს ცივსა!  
ოსე, ბეჩავო, შე ცოდვით სავსევე,  
ხომ გაუმწარე სიცოცხლე შეილსა!

## გუნტი

(შემოდის)

აქა მშვიდობა!

## ოსე

ღმერთმა დაგლოცოს!  
შენ დამიბრუნდი! შეილს ვინ მილანძღავს!  
გზად ხომ არავინ არ შეგხედრია?  
იცი, რა ღირს აქ სიცოცხლე შენი?  
ხომ შეიძლება ძვირად დაგიჯდეს?

## გუნტი

ყოფნა-არყოფნა? დიდი ამბავი!  
ჭერ ხომ შენ უნდა მოგხედო, დედა!

ოსე

ახლა გამშორდეს ბარემ ის კარი!  
მეც დამშვიდებით გავემგზავრები.

გუნტი

საით აპირებ, დედიკო, წასვლას?  
რას ნიშნავს შენი ამგვარი სიტყვა?

ოსე

აჰ, ჩემი კალო გალენილია!  
და ჩემი ზარი დარეკილია!  
აღსასრულის დღე დამიდგა, პერო!  
ცას ხომ არ უნდა გამოვეკერო?

გუნტი

(შეძრწუნებული, ხელების მტვრევით ბოლთასა სცემს)  
გამოვექეცი ტანჯვას და ცოდვებს,  
რომ აქ მენახა სულის სიმშვიდე...  
მე კი... ასეთი ბედი მქონია!  
მაშ გიცივდება, დედა, ხელ-ფეხი?

ოსე

ჰო, შვილო, მალე დავხუჭავ თვალებს,  
და სულსაც უფალს რომ ჩავაბარებ,  
შენ გამისწორე ქუთუთოები,  
მერე კუბოსთვის იზრუნე, პერო,  
იყოს ლამაზი... ჰო, მართლა...

გუნტი

წყნარად!  
ხვალაც მოვასწრებ... მაცალე დღესა!

ოსე

კარგი, ხვალ იყოს!

(მოუსვენრად აცეცებს თვალებს.)

ეს არის სულა,  
რაც დაგვიტოვეს... უსინდისობებს  
მეტი ხომ არც კი მოეთხოვებათ!

### გ უ ნ ტ ი

(გულხელდაკრეფილი და შეძრწუნებული)

ისევ დაიწყო!

(ცვიად.)

დამნაშავე ვარ!  
რა ოხრად მინდა, რომ გავიხსენო?

### ო ს ე

შენა? წყეული სასმელი-მეთქი!  
იმით დაიწყო უბედურება!  
შვილო, ნასვამი იყავი მაშინ,  
და რასა სჩადის, არ იცის მთვრალმა.  
გენდინგში ირემს რომ აჭენებდი,  
მაშინ ნასვამი იყავი ალბათ,  
თანაც ძარღვებში გიდულდა სისხლი.

### გ უ ნ ტ ი

კარგია, დედა, რაღას იგონებ  
ჩემი წარსულის სულელურ ამბებს!  
რაც გულს ამძიმებს, ჯობს დავივიწყოთ,  
შემდეგისათვის გამოვიზოგოთ!

(ლოგინის კიდეზე ჯდება.)

ასე, დედიკო, ახლა კი მოვყვეთ  
ამბავი მხოლოდ ჩემი და შენი,  
არ გავიხსენოთ ძველი მიქარვა,  
რაც მომხდარა და გვაწუხებს მხოლოდ.  
მაშ ჩვენი კატა კვლავ ცოცხალია?  
დახე, სიკვდილი არ ეკარება!

ოსე

ოპ. გამიწყალა გული ამ კატამ,  
კნავის ღამ-ღამე. ეს კი ცუდია.

გუნტი

(სიტყვას ბანზე აგლებს)

რა არის, დედა, შენთან ახალი?

ოსე

(ღიმილით)

ვინმე ქალწულის ამბავს იტყვიან:  
სულ მაღალ მთებში უწევსო გული...

გუნტი

(სწრაფად)

მასი დამშვიდდა? რასა იქმს ახლა?

ოსე

თურმე დედ-მამას აღარ უჭერებს,  
არ ეცოდება მოხუცებო...  
იქნებ შეგველო, ნუგეში გეცა,  
გაჯიჯვებაში გეშველა რამე...

გუნტი

ასლაკ-მქედელი რაღას აკეთებს?

ოსე

აპ. ნუ მიხსენებ იმ სალახანას,  
ჯახდაბას მისი თავი და ტანი!  
შენ ისა მკითხე, რა ერქვა გოგოს,  
იმის საცოლეს...

გუნტი

არ გინდა, დედა!

მე ხომ ვითხარი, ვიყბელოთ-მეთქი

მხოლოდ ჩემი და შენი ამბავი,  
არ გავიხსენოთ ძველი მიქარვა,  
რაც უკვე მოხდა და მხოლოდ გეტანჯავს.  
გშია? გწყურია? მოგიტან რამეს!  
იქნებ მოკლეა შენი საწოლი?  
ან მაგარია? მითხარი, დედა!  
ერიპა! მეც ხომ ამაში ვიწექი  
გახსოვს? დამაწვენ, მახურავ საბანს,  
შენც იქვე სკამზე ჩამომიჯდები,  
მართობ ზღაპრებით და სიმღერებით!

### ო ს ე

ოღონდაც, შვილო! მამის წასვლაზე  
მარხილობანას თამაშს ვმართავდიო:  
„ეტლის საბურველს“ ვეძახდით ჭერსა,  
„ზუნდის გაყინულ ველს“ კი — იატაკს.

### გ უ ნ ტ ი

ღიახ! ქუდის ღილს ვეძახდით ბალთას  
შენც გახსოვს, დედა, ის ცხენობანა?  
გადარეული მერნები გეყავდა!

### ო ს ე

მახსოვს და აგრე? გამოვართმევდით  
კარის კატას და ჭირკზე დავსვამდიო..

### გ უ ნ ტ ი

მთვარის დასავლეთ კოშკის მხარეში,  
მზის აღმოსავლეთ სიმაგრის მხარეს,  
ზღაპრულ სურია-მურიას კოშკში  
მივაჭენებდით — ჰერი და ვაშა!  
შენ დიდი წიკპლა გეჭირა ხელში  
და დიდის ამბით გვეგონა შოლტი.

ოსე

შენს გვერდით ვიჯექი, როგორც კოფოზე...

გუნტი

ხელში გეჭირა ბაწრის სადავე, —  
რომ მიუშვებდი ვითომ ნებაზე,  
ქარიშხალივით მიჰქროდა ეტლი,  
მეკითხებოდი, ხომ არ გცივაო?  
ღმერთმა დაგლოცოს! რა დედა მყავდი,  
რა ოქროს გული გქონდა, ძვირფასო...  
მაგრამ შენ ასე რას ოხრავე, დედა?

ოსე

არაფერია, ზურგი მატკინეს  
ხმელმა ფიცრებმა...

გუნტი

გვერდზე დაწევი!  
მოდი, გიშველო... ასე არ ჯობდა?

ოსე

(მოუსვენრად)

შეილო, მივდივარ...

გუნტი

შენ წასვლა გინდა?

ოსე

ჰო, შორი გზა მაქვს, და სამუდამო.

გუნტი

გეყოფა, დედა! თბილად იწევი,  
მეც მოგიჯდები აქვე, ლოგინზე.  
დროს გავატარებთ ახლა ჩვენ ასე,  
ხან ზღაპარს ვიტყვით, ხანაც ვიმღერებთ.

ოსე

არა, ბიბლია გაშალე, თორემ  
რალაც ვერა მაქვს გული საგულეს.

გუნტი

წყნარად! სურია-მურიას კოშკში  
აქვს გამართული მეფეს ნადიმი. ..  
ჩათბი, ჩაჯექი მარხილში კარგად,  
ველებს ქარივით გადაგაქროლებ.

ოსე

აჰ, პერო, განა მპატიეობს ვინმე?

გუნტი

შენცა და მეცა — ორივეს ერთად!

(თოკის ერთ ბოლოს გადაადგებს იმ სკამზე, რომელზედაც კატა ზის, მეორე ბოლოს ხელში დაიქერს და მოხერხებულად მოიკალათებს ლოგინზე, დედის ფერხით.)

გასწი, მერანო! ჩქარა. ჯაგლაგო!  
გადამატარე ზუნდის ტალღებზე!  
დედა, მითხარი, ხომ არა გცივა?  
მაკრატელივით მჭრელია სუსხი!

ოსე

არა, რა ისმის? ზარის ხმაა თუ....

გუნტი

ზანზალაქია სამგზავრო ეტლის.

ოსე

უიმე, რა ყრუდ გუგუნებს, შვილო!

გუნტი

გაყინულ ზუნდზე გავედით ახლა.

ოსე

მე მეშინია! რა ზანზარია,  
რა გრიალი და ოხვრა-გოდება!

გუნტი

ეს ნაძვებია, რომ შრიალეებენ  
დაბურულ ტყეში. იჯექი წყნარად

ოსე

ეს რა ციმციმებს და რა ციალებს?  
საიდან მოდის ასეთი შუქი?

გუნტი

კოშკის ჭიშკრიდან, კარ-ფანჯრებიდან.  
ხედავ? ცეკვავენ...

ოსე

ჰო, ვხედავ, შვილია.

გუნტი

დგას წმინდა პეტრე კოშკის ჭიშკართან  
და სანადიმოდ გვეპატიჟება.

ოსე

თუ გვესალმება?

გუნტი

წელში მოხრილი  
დგას, მოწიწებით გვთავაზობს ბადაგს.

ოსე

ღვინოს? მითხარი, ღვეზელიც თუ აქვს?



გ უ ნ ტ ი

მერე რამდენი! მთელი გორაკი!  
იქ ფოფოლიაც მოდის შენთანა,  
თან მოაქვს ყავა და შაქარლამა.

ო ს ე

დახე! დავხვდებით უწინდებურად?

გ უ ნ ტ ი

სადაც ისურვებ, როცა ინებებ!

ო ს ე

არა, ქვრივ-ოხერს და ღარიბ-ღატაკს  
ვინ მომაშავებს ამდენ სიკეთეს!

გ უ ნ ტ ი

(მათრახს მოიჭნევს)

გასწი, მერანო, ახტი, გაფრინდი!

ო ს ე

მოიცა, შვილო, სწორი გზით მიხვალ?

გ უ ნ ტ ი

(ისევ მათრახის შხუილით)

ეს სწორი გზაა.

ო ს ე

ოჰ, ღმერთო ჩემო!  
მარხილის ქროლვამ ისე დამალა...  
აქვს დასასრული ნეტა ამ გზასა?

გ უ ნ ტ ი

ნუ ოხრავ, დედა! კოშკი ახლოა,  
გელის პატივი და საჩუქარი!

## ოსე

ახლა დავწევები, დავხუჭავ თვალებს,  
მე იმედი მაქვს, ჩემო ვაჟკაცო,  
რომ სადაც მინდა, მიმიყვან იქა.

## გუნტი

გასწი, მერანო! მოვედით კიდევ.  
ხალხი ირევა! გამიღეთ კარი!  
პერ გუნტი რაშით შემოგრიალდა,  
მოჰყავს თავისი მოხუცი დედა.  
აბა რას იტყვი, მოხუცო პეტრე?  
იქნება ოსე შეუშვა დროზე?  
მე თავდები ვარ, წმინდაო მამავ,  
ამ ქალზე კეთილს და პატიოსანს  
ერთსაც ვერ ნახავ დედამიწაზე!  
ხოლო ჩემს თავზე ამას ვერ ვიტყვი —  
მე შემძლია გავბრუნდე უკან.  
თუ შინ შემიწვევ, მაღლობას გეტყვი,  
არ შემიწვევ და — კარგად იყავი!  
იმდენი ვცოდე და ვიცუღლულტე,  
ტოლს ვერ დამიდებს თვითონ ეშმაკი,  
და თვითონ დედას, ბევრი კრიახის  
და ქოთქოთისთვის ვუწოდე კრუხი.  
ჰოდა, მე ჩემთვის არ ვითხოვ პატივს,  
მაგრამ ის გახლავთ პატივის ღირსი.  
თქვენ აქ ვერავენ მოგივათ სტუმრად  
ჩემს მოხუცებულ დედაზე კარგი.  
აჰ! მამა-ღმერთიც მობრძანებულა!  
ახლა, პეტრიკო, ნახავ შენს სეირს!

(ბოხი ხმით.)

„გეყოფა, ჩემო კერპო მსახურო,  
ჩემს კეთილ ოსეს გაულე კარი!“

(ომახიანი სიცილით მიუბრუნდება დედას.)

ვიცოდი, ასეც რომ მოხდებოდა!  
ახლა კი წავა სხვაგვარად საქმე!

(შეშინებული.)

რა მოგდის, დედა? ფერი წავსვლია!  
დედა! მომხედე! მითხარი რამე!...

(სასთუმალთან დაემხობა.)

თქვი, ასე ცივად რად მაშტერდები?  
ნუთუ ვერა მცნობ? შვილი ვარ შენი!

(ფრთხილად უსინჯავს შუბლსა და ხელს, თოკს გადაადებს და წყნარად ლაპარაკობს.)

ასე დასრულდა მგზავრობა ჩვენი!  
შენ იბალახე, ჯაგლაგო ჩემო!

(დაიხრება და დედას თვალებს დაუხუჭავს.)

მადლობა მთელი წარსულისათვის,  
შენი ზრუნვის და ამაგისათვის,  
ახლა მადლობა მითხარი შენცა  
კარგი ზღაპრის და მგზავრობისათვის!

(ლოყით შეეხება დედის ბაგეებს.)

ბოგანო ქალი

(შემოდის)

აჰ, პერი! ახლა ეშველა საწყალს,  
სულ მოეშვება დარდი და ზრუნვა!  
ღმერთო, რა ტკბილად ჩასძინებია...  
თუ... ნუთუ...

გუნტი

წყნარად! დედა მკვდარია!

(ჯარი მიცვალეულს დასტირის. პერ გუნტი დიდხანს დადის ოთახში და მერე ლოგინთან ჩერდება.)

ეცი პატივი უკანასკნელი,  
მე კი ხვრელიდან გავძვრები სადმე.

ბოგანო ქალი

შორს თუ აპირებ?

გუნტი

ზღვაში გავდივარ.

ბოგანო ქალი

უი, ასე შორს?

გუნტი

და უფრო შორსაც!

(გაღის.)

## მ ე ო ტ ხ ე მ ო ჯ მ ე ლ ე ბ ა

ზარკოს სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო. პალმის ხეივანი. აფრისის საჩრდილობელი, ქვეშ კილობზე გაშლილი სუფრა. ვალაყის სიღრმეში ხეებს შორის ჰამაყები ჰყილია. ნაპირთან, ტალღებში ორთქლის გემი — ორჩხომელი ირწყევა, ანძაზე ორი დროშა ფრიალებს — ამერიკული და ნორვეგიული. ზედ ნაპირს ორი კანჯო მოსდგომია.

მზის ჩასვლის დროა.

პერ გუნტი, შუახნის წარმოსადევი ბატონი; კოხტა სამგზავრო სამოსი აცვია, ჰკერდზე ოქროსბუდიანი ლორნეტი ჰყილია. სუფრის თავში ზის და აქაურობის ბატონ-პატრონივით მასპინძლობს. მასტერ კოტონი, მუსიე ბალონი, ბატონი ფონ ებერკოჰფი და ტრუმპეტერსტროლე სადილს ამთავრებენ.

### პ ე რ გ უ ნ ტ ი

სვით, ბატონებო, მოვიკლათ დარდი!  
სალხენად შობილთ ვილხინოთ ბარემ!  
რაც დაკარგულა — დაკარგულია...  
აბა რა სასმელს ინებებთ ახლა?

ტ რ უ მ პ ე ტ ე რ ს ტ რ ო ლ ე  
პერ, მასპინძელი ხარ ჩინებული!

### გ უ ნ ტ ი

ამ პატივს ვიყოფთ მე, ჩემი ჩიბე,  
კერძის მომტანი და მზარეული.

### მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

მაშ გაუმარჯოს ოთხივეს ერთად!

## მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

მუსიე, თქვენ გაქვთ გემო და ტონი,  
რაც მეთედსაც არ აქვს ჩვენს ღროში,  
ვისაც თქვენსავით არა ჰყავს ცოლი.  
თქვენ გაქვთ ისეთი... რალაც ისეთი...  
ვერ გამომიტყვამს...

## ფ ო ნ ე ბ ე რ კ ო ჰ ფ ი

აქვს გაქანება,  
რიდუასნილი სულის სილაღე,  
მადლი მსოფლიო მოქალაქისა,  
ბნელში გამჭვრეტი ფხიზელი თვალი,  
რასაც ვერ ბოჭავს აკვიატება,  
და თვითშეგნება უზენაესი.  
პირველყოფილი, მაგრამ ცხივრებით  
ნაცადი კაცის დიდი ბუნება —  
ეს უნდა გეთქვათ, ხომ, ბატონებო?

## მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

ვგონებ, ასეა — ჩვენი ფრანგული  
თავს ასე კობტად ვერ უყრის აზრებს.

## ფ ო ნ ე ბ ე რ კ ო ჰ ფ ი

Ei was! ფრანგული მოუქნელია,  
მაგრამ ფენომენს თუკი ჩავწვდებით  
საფუძვლიანად...

## გ უ ნ ტ ი

სხვა რამეს ვნახავთ:  
არ მაქვს ბეჭედი მე საქორწინო!  
ჰო, ბატონებო, ცხადზე ცხადია.  
რა უნდა იყოს კაცის მიზანი?  
რომ იყოს კაცი, ადამიანი,  
უფროთხილდებოდეს თავის მეობას  
და წინ მიჰყავდეს — ხომ მართალია?

და შესძლებს ამას, თუ აიკიდებს  
სხვისთვის საუნჯეს, როგორც აქლემი?

ფონებერკოპფი

ეს „an und für sich“—თქვენთვის ცხოვრება  
ბრძოლის გარეშე თუ გიპოვნიათ?

გუნტი

ჰო, თავის დროზე... მაგრამ ყოველთვის  
გვერდით კეთილი სულები მყავდა,  
და მხოლოდ ერთხელ საუბედუროდ  
კინალამ შევედგი ხაფანგში ფეხი.  
მარჯვე, ლამაზი ბიჭი ვიყავი  
და შევიყვარე მეფის ასული.

მუსიე ბალონი

მეფის ასული?

გუნტი

(დაუღევრალ)

მეფის გვარისა,

აი, ხომ იცით...

ტრუმპეტერსტროლე

(მაგიდაზე მუშტს დაჰკრავს)

ტროლების მეფის!

გუნტი

(მხრებს იჩეჩავს)

ხავსმოდებული სამეფო გვარის,  
რომელიც შიშობს არ შეისვაროს  
პლებების სისხლით ღერბის პერანგი.

მასტერკოტონი

და ჩაგეშალა ამიტომ საქმე?

მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი  
ქალის მშობლები გეტყოდნენ უარს!

გ უ ნ ტ ი

პირიქით!

მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი  
მართლა?

გ უ ნ ტ ი

(თავაზიანად)

მოგეხსენებათ!

საქმე როგორღაც ისე აეწყო,  
ალარ შემედლო უკან დახევა,  
და უცებ უნდა გვესკვნა გვირგვინი,  
მაგრამ ეს საქმე, სიმართლე გითხრათ,  
თავიდან ხინჯად ჩამიჯდა გულში.  
ხშირ შემთხვევაში ვარ მოთაკილე,  
და სხვის დუღუქზე არ მიყვარს ცეკვა.  
როცა სიმამრმა მიწყო ღიჯინი  
და პირობები წამომიყენა:  
დათმე გვარი და უბირთა წრეო,  
მიიღე ჩვენი წარჩინებაო,  
და სხვა მისთანა, რაც მე ჰკუთაში  
არ მომდიოდა, და მძაგდა კიდეც, —  
მე დავიჭირე ღირსებით თავი,  
დავგმე მოხუცის ყველა მოთხოვნა  
და დავთმე ჩემი ნორჩი საცოლუე.

(სათნო სახეს იღებს, სუფრაზე თითებს ათამაშებს)

დიახ, არსებობს ბედი და წერა,  
მას ვერასოდეს ვერ გაექცევი.  
ჩვენ უნდა გვექონდეს იმედი მისი —  
ეს არის დიდი ნუგეში ჩვენი!



## მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

ასე გაწმინდე ისევ ჰაერი?

### გ უ ნ ტ ი

არა, გამხვიეს ხათაბალაში,  
უხამსი ხალხი შემომეჩხირა,  
ატეხეს ერთი დავიღარაბა —  
უფრო ოჯახის წვრილმა ჯალაბმა,  
და შვიდ ჰაბუკთან მომიხდა ბრძოლა...  
ის დღე არასდროს დამავიწყდება,  
თუმცა მე დავრჩი გამარჯვებული.  
სისხლი დავღვარე, მაგრამ იმ სისხლმა  
ასწია ფასი ჩემი გვარისა,  
და დაამტკიცა, საით სად გვისვრის  
ყოვლის მძლეველი ბედი და წერა.

### ფ ო ნ ე ბ ე რ კ ო ჰ უ ი

თქვენი ზოგადი აზრთა მსვლელობით  
თქვენ მოაზროვნის დონეზე დგებით.  
როცა უბრალო ყველა ჩვენგანი  
მხოლოდ ცალკეულ სცენებს უყურებს  
და გზას მათ შორის ცეცებით იკვლევს,  
თქვენ ყველა სცენას აერთიანებთ.  
ერთი საზომით ზომავთ ყველაფერს,  
და ყოველ სათქმელს იმგვარად ხეწავთ,  
რომ ყველა სიტყვა შუქს ემსგავსება,  
აზრის ცენტრიდან გამოსხივებულს...  
და მერე, თქვენ ხომ არ გისწავლიათ?

### გ უ ნ ტ ი

როგორც გითხარით, ვარ თვითნასწავლი,  
სკოლაში ერთი დღეც არ მივლია,  
არ მისწავლია დალაგებულად,

მაგრამ ვფიქრობდი და ვაზროვნებდი,  
დამიძლევია ბევრი სირეგვნე.  
სწავლა დავიწყე, როცა დავკადი.  
მერე, ხომ იცით, რარიგ ძნელია  
ასო-ასო და ფურცლობით ღეჭვა,  
სხვათა ნარევი აზრების ყლაპვა?  
მე ისტორია საყოველთაო  
ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვისწავლე მხოლოდ,  
მეტი ღრო მისთვის არა მქონია.  
რაკი ჭირსა და ლხინში გვჭირდება,  
როგორც იმედი, მყარი საყრდენი,  
მე რელიგიაც ვისწავლე ცოტა —  
ასე სჯობია მოსანელებლად  
მე ასე მესმის სწავლის მიზანი:  
სულ ყლაპო — განა ცოდნა ბრინჯია?  
ყველა მას იძენს, რაცა სჭირდება.

### მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

აი, ეს სიბრძნე პრაქტიკულია!

### გ უ ნ ტ ი

(სიგარას ეწევა)

მე, ბატონებო, ჩემს ამბავს გეტყვით-  
აბა განსაჯეთ, რა ბედი მერგო.  
მე დასავლეთში მოველ ქესატი,  
ხელცარიელი, გამოუცდელი.  
ლუკმაპურისთვის მომიხდა ბრძოლა —  
მერწმუნეთ, ბევრი ოფლი მდენია.  
მერე, ოცნება და მეგობრები...  
ცხოვრება გვინდა, სული ტკბილია,  
სიკვდილი მწარე, როგორც იტყვიან-  
თანდათან ბედმა მეც გამიღიმა,  
გამეხსნა გზა და მოვიდა ლხენა.  
მარჯვეც ვიყავი, გერგილიანი,

ჩემმა იმედმა ფრთები შეისხა,  
ათი წლის შემდეგ ჩარლსტონუნელმა  
გემთმფლობელებმა კრეზი მიწოდეს,  
და ზღვიდან ზღვამდე ისმოდა, ქუხდა  
ბედის ნებიერ გუნტის სახელი.

მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

რას ეწეოდით?

გ უ ნ ტ ი

საუაპრო საქმეს:  
კაროლინაში ზანგებსა ვყიდდი,  
ხოლო ჩინეთში — წარმართულ კერპებს.

მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

ფუ! სირცხვილია!

ტ რ უ მ პ ე ტ ე რ ს ტ რ ო ლ ე

ათასი ტროლი,

ბიძია გუნტო!

გ უ ნ ტ ი

თქვენ გინდათ მითხრათ,  
რომ ეს, მონებით ვაჭრობის საქმე  
არის სამანი ბოროტებისა?  
მეც ზოგჯერ ცოდვად მეჩვენებოდა,  
ასე გასინჯეთ, ზიზღსაც კი მგვრიდა.  
შეცდომა იყო მისი დაწყება,  
მაგრამ რაკილა დაიწყებს კაცი,  
მერე ძნელია ხელის აღება.  
მერწმუნეთ, ეგზომ სარფიან საქმეს,  
სადაც ათასებს გააქვთ ტკაცანი,  
ასე იოლად ვერ შეეშვები.  
„უცებ შეშვება“ მძაგდა ყოველთვის,  
და შენელება ყურადღებისა

არსად არასდროს არა მჩვეოდა.  
მე, ბატონებო, შედეგებს ვკვოეტდი,  
ასჯერ ვზომავდი, ერთხელა ვკრიდი,  
დაუფიქრებლად საზღვარს გადასვლას  
ცოტა არ იყოს, ვერიდებოდი.  
თან გამერია თმაში ქალარა,  
ქაბუკის ჩანი უკან დავტოვე,  
მომწვდა ცხოვრების ეკვატორი და  
ორმოცდაათმა მომიკაკუნა.  
თუმცა ჯერ კიდევ ჩანზე ვიყავი,  
არ მასვენებდა ფიქრი მტანჯველი:  
ვინ იცის, როდის დაჰკრავს საათი,  
მიხმობს მსაჯული უზენაესი,  
რომელიც თიშავს ცხვრებსა და ვაცებს!  
რა უნდა მექნა? მთელი ვაქრობის  
ერთბაშად ჩაშლა არ ივარგებდა,  
და მოვიფიქრე იმავე მხარეს  
სხვა შორეული ვაქრობის გაბმა.  
გაზაფხულობით კერპებს ჩავზიდავ,  
შემოდგომაზე — მისიონერებს  
ჩავიყვან ჩინეთს და მერე მათვე  
მოვამარაგებ წინდებით, რომით,  
ხორბლით, ბიბლიით და ბრინჯით-მეთქი.

მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

მოგებით, ალბათ?

გ უ ნ ტ ი

რალა თქმა უნდა!

სულ მალე წალმა წავიდა საქმე.

ახლა ეშველათ მისიონერებს:

რამდენი კერპიც მე იქ გავყიდე,

იმდენი ყული მონათლეს მღვდლებმა

და გაიქვეითა მთელი ზარალი.

ეკლესია ხომ ყამირს არ ტოვებს!  
ყოველ შეზიდულ კერპსა და ყულის  
მისიონერი — „ქიშს“ უცხადებდა.

## მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

აფრიკელ ზანგებს კვლავ ასალებდი?

## გ უ ნ ტ ი

იქაც ზნეობას ვეცი პატივი,  
ვთქვი, ეს ხელობა სათაკილოა  
ჩემი ასაკის კაცისთვის-მეთქი.  
თანაც მომბეზრდა ოხვრა-გოდება  
და წყრომა სათნო ფილანთროპების,  
ზღვის მეკობრეთა შიშიცა მქონდა,  
ქარიშხლისა და ავარიების.  
ეს ყველაფერი ერთად მოგროვდა,  
ვთქვი: „მოაბრუნე, პეტერ, საჭე და  
ეგ იალქნები დაუშვი ცოტა,  
გამოისყიდე ცოდვები შენი!“  
ვიყიდე მიწა სამხრეთში ჩემთვის,  
ხორცით ვაჭრობას ვანებე თავი,  
ბოლო პარტია მე დავიტოვე,  
შავი ზანგები, დარჩეულები.  
სულ ზიმზიმებდნენ, ისე დასუქდნენ  
ჩემდა შვებად და მათდა სალხენად.  
მერწმუნეთ, შრომით წელს არა ვწყვეტიდი,  
და ვექცეოდი მამაშვილურად, —  
მაგრამ მოგებაც ორმაგი მქონდა.  
მე აუუშენე იმ ტომს სკოლებიც,  
რომ ამეყვანა ქველმოქმედება  
იმ სიმაღლეზე, სადაც ჯობს იყოს,  
და ვადევნებდი თვალყურსაც თვითონ.  
რომ ვერცხლისწყალი მის თერმომეტრში  
ხაზითაც კი არ დაწეულიყო.

დაბოლოს, მე იმ დაწყვეტილ საქმეს  
ზურგი ვაქციე, ვანებე თავი,  
გავყიდე ჩემი პლანტაციები,  
მოძრავ-უძრავი ქონებაც მასთან.  
გამოსათხოვარ სადილზე ზანგებს  
ყველას რჩეული რომი მივართვი.  
კაცმა თუ ქალმა უხვად მიიღო.  
ქვრივებს ბურნუთიც ვაჩუქე ყველას.  
ჰოდა, იმედსაც ვატარებ გულში,  
ვიდრე არ არის ლიტონი სიტყვა:  
„ვინც ავს არ სჩადის, სიკეთეს სჩადის“, —  
ცოდვაც არ მიძღვის უფლის წინაშე,  
და ქველი საქმით მე სხვაზე აღრე  
გამოვისყიდე დანაშაული.

### ფონებერკოფი

(ჭიქას უჯახუნებს)

რა საამოა ხორცშესხმულ სახით  
ზნეობის დიდი წინამძღვრის ნახვა,  
წყვედიადი ღამის გზის გადმოლახვით  
რომ უძღვევია მტრის ყველა ზრახვა!

### გუნტი

(რომელიც მთელი ამ საუბრის განმავლობაში სასმელს ასხამდა ბთოლებიდან და თვითონაც ცლიდა ჭიქებს)

ჩვენ, ჩრდილოელებს, გვაქვს ეს უნარი —  
რომ გავიტანოთ ჩვენი ზრახვები.  
ეს არის სიბრძნე ჩვენი ცხოვრების:  
ყური დაიხშე, და შიგ მაცდური  
ერთი გველიც კი ვერ შეგიძვრება!

### მასტერკოტონი

რომელი გველი, პატივცემულო?

## გ უ ნ ტ ი

რომელიც გეტანჯავს მძიმე ცდუნებით,  
გვართმევს რალაცას, ველარასოდეს  
რასაც ვერ შეცვლი, ვერ დაიბრუნებ.

(ისევ სვამს.)

ბედნიერების შექმნის უნარი  
და ხელოვნება გამბედაობის  
ეს არის: დარჩე თავისუფალი,  
ცხოვრების გზაზე ლალად იარო,  
არსად არ შედგა მახეში ფეხი,  
იკოდე: ბრძოლის დღე არ იქნება  
შენი შვევის დღე უკანასკნელი.  
იკოდე: უკან დასაბრუნებლად  
ყოველთვის ღია დატოვე კარი.  
მე გამიმართლა ამ თეორიამ,  
მთელი ცხოვრება შემიფერადა.  
ეს თეორია მე მიანდერძა  
ჩემი გვარ-ტომის მაშვრალმა ხალხმა.

## მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

ნორვეგიელი ბრძანდებით, არა?

## გ უ ნ ტ ი

გახლავართ, მხოლოდ ჩამომავლობით,  
მაგრამ სულით ვარ მსოფლიო კაცი.  
რაც ცხოვრებაში ვიგემე კარგი,  
მე ამერიკას ვუმაღლი უფრო.  
მაქვს დიდებული ბიბლიოთეკა —  
სულ ჩემს გერმანელ ძმათა წყალობით.  
საფრანგეთიდან ვიღებ ჟილეტებს,  
ზრდილობასა და მახვილ გონებას.  
ინგლისს ვესესხე საქმის გაგებას  
და ჩემთვის სარგო, უტყუარ ალლოს.  
ებრაელებმა მასწავლეს მოცდ...  
იტალიამ კი — „ოქროს სიზნატე“

და მხართეძოზე განცხრომით წოლა:  
ცხოვრების გზაზე ნებიერ სელაში  
დღეთა რიცხვი კი მე გამიმრავლა  
ნორვეგიულმა კარგმა ფოლადმა.

ტ რ უ მ პ ე ტ ე რ ს ტ რ ო ლ ე

(ვიქის აწევით)

ჩვენმა ფოლადმა! მაშ ვადღეგრძელოთ!

ფ ო ნ ე ბ ე რ კ ო პ ფ ი

არა, ჭერ ისა, ვინც ეს ფოლადი  
კარგად აქნია და გაიმარჯვა!

პიქებს ასწევენ, აჯახუნებენ და სვამენ. პერ გუნტს ღვინო თავში აუვარდა.

მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

ეს ყველაფერი კარგია ძალზე,  
მაგრამ, სეო, ერთი ესეც მიბრძანეთ:  
მომავლისათვის რალას აპირებთ?  
რა უნდა უყოთ ახლა მაგ ოქროს?

გ უ ნ ტ ი

ოქროს რა ვუყო?

ო თ ხ ი ვ ე ნ ი

(ახლოს მიუჩოჩდებიან)

ჰო, ეს გვიბრძანეთ!

გ უ ნ ტ ი

ჭერ ვისეირნებთ ქვეყნის გარშემო —  
გემზეც ამისთვის ამიყვანიხართ,  
მომიწვევიხართ გიბრალტარიდან  
მეგობრები და მოქეიფენი —  
მოცეკვავენი მჭირდება-მეთქი  
მაგ ოქროს მოზერის საკუთრებეველთან...



ფონ ებერკოპფი  
ეს ერთობ მახვილგონივრულია!

მასტერ კოტონი  
წაგრამ არც ერთი თქვენსავით ბრძენი  
არ ცურავს, ისე ტყუილუბრალოდ,  
მიზანს ისახავს, ცხადზე ცხადია.  
თქვენი მიზანი?

გუნტი  
მეფობა მინდა!  
ოთხივენი  
მეფობა გინდათ?

გუნტი  
(თავის ქნევით)  
ასე ვაპირებ.  
ოთხივენი  
მერე და სადა?

გუნტი  
მთელ მსოფლიოში.  
მუსიე ბალონი  
როგორ, ბატონო?

გუნტი  
ამ ოქროს ძალით!  
ეს გუშინდელი გეგმა როდია,  
ბავშვობის დღიდან მიტარებია.  
ჯერაც უმაწვილი დავქროდი ზღვებზე  
ღრუბლების მერნით, ოცნების რაშით.  
ოქროს მახვილი მერტყა წელზე და

ძოწის სამოსი მეხურა მხრებზე.  
თუმცა ტალახში ვადენდი ტყაპანს,  
მაგრამ არ ეთმობდი ბავშვურ ოცნებას.  
არ ვიცი, სადღაც გამიგონია,  
თუ წამიკითხავს — არ მაგონდება:  
თუ დაიპყარი ქვეყნიერება,  
მაგრამ დაკარგე შენივე თავი —  
ეკლის გვირგვინი გეკუთვნის მარტო  
მაგ უსარგებლოდ გამსკდარ შუბლზეო!  
ასეა თქმული — რალაც ამგვარი,  
და ეს როდია ლიტონი სიტყვა.

ფონებერკოპფი  
რა არის გუნტის „შენივე თავი“?

გუნტი  
სამყარო ამ ჩემს თავის ქალაში,  
თვით საკუთარი ჩემი მეობა, —  
მე რომ მე ვარ და არა სხვა ვინმე,  
როგორც არ არის ღმერთი ეშმაკი.

ტრუმპეტერსტროლე  
ეს ყოველივეს ახალ შუქსა ჰფენს!

მუსიგბალონი  
მოაზროვნეა!

ფონებერკოპფი  
მასთან პოეტიც!

გუნტი  
(სულ უფრო მეტი გატაცებით)  
გუნტის „მე“ გახლავთ ნამდვილი ჭარი  
ვნებათა ღელვის, სწრაფვა-სურვილთა,  
გუნტის „მე“ გახლავთ სალაშქრო წყობა  
ოცნების, ყინის, მოთხოვნილების —

მოკლედ, ის, რითაც ცოცხლობს ეს გული,  
რაც გუნტს აცოცხლებს სწორედ ამგვარად.  
როგორც სჭირდება ღმერთს დედამიწა,  
რომ იბატონოს მთელს სამყაროზე,  
სწორედ მეც ასე მჭირდება ოქრო,  
რომ მეფეთ-მეფე გავხდე ნამდვილი.

მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

და ოქრო ხომ გაქვთ?

გ უ ნ ტ ი

ეს არ მეყოფა!  
ან იქნებ, მეყოს, რომ რომელიმე  
ლიპე-დეტმოდის გავხდე მთავარი,  
მე კი მსურს ვიყო იმპერატორი, —  
რომ მთელი ჩემი სიგრძე-სიგანით  
პერ გუნტი ვიყო თავით ფეხამდე!

მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

(აღტაცებული)

იცვლიდე ზღაპრულ მზეთუნახავებს!

ფ ო ნ ე ბ ე რ კ ო ჰ ფ ი

სვამდე რაინის ასწლოვან ღვინოს!

ტ რ უ მ პ ე ტ ე რ ს ტ რ ო ლ ე

კარლ მეთორმეტის ხმალი ატარო!

მ ა ს ტ ე რ კ ო ტ ო ნ ი

მაგრამ ამისთვის ჯერ საჭიროა  
სარფიან საქმეს მოჰკიდო ხელი.

გ უ ნ ტ ი

უკვე მოვკიდე. ამ ქვეყანაში  
ტყუილ-უბრალოდ როდი მივლია.

ჩვენ ჩრდილოეთში გავცურავთ დღესვე.  
ცნობა მივიღე გემზე ამ დილით  
მოულოდნელი და საგულისხმო.  
(აღგება და ასწევს თავის ჰიქას.)  
სვე მას უღიმის, ვინც მარად ფხიზლობს  
და ერთგულია თავისი საქმის.

ბ ა ტ ო ნ ე ბ ი

მაგრამ რა მოხდა?

გ უ ნ ტ ი

საბერძნეთი ცეცხლის ალშია.

ო თ ხ ი ვ ე ნ ი

(წამოცვივდებიან)

საბერძნეთიო?

გ უ ნ ტ ი

ამბოხებაა:

თურქებს აშლიან, ბორკილს ლეწავენ.

ო თ ხ ი ვ ე ნ ი

ვაშა!

გ უ ნ ტ ი

მაკმული ბეწვზე ჰკიდია!

(ულის სასმისს)

მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

საბერძნეთისკენ! ღირსება გვიხმობს!

ფრანგულ იარაღს მივაწვდი ბერძნებს!

ფ ო ნ ე ბ ე რ კ ო პ ფ ი

მე მოწოდებით მივეშველები,

ოდონდ შორიდან!

მასტერ კოტონი

მე კი საქონლით...

ტრუმპეტერსტროლე

მე კი ბენდერში დავძებნი ახლა  
მეფე კარლოსის დაკარგულ დეზებს.

მუსიე ბალონი

(ეხვევა პერ გუნტს)

მე ვერ გიცანით თავიდან სწორად,  
და მომიტევეთ, ბატონო ჩემო!

ფონებერკოპფი

(ხელს ართმევს)

მე რეგვენმა კი, უღირსმა ძალღმა,  
ლამის თაღლითად ჩაგთვალეთ გულში.

მასტერ კოტონი

ეგ მეტად მკაცრი განაჩენია:  
მე ვუწოდებდი უბრალოდ სულელს.

ტრუმპეტერსტროლე

(უნდა აკოსოს)

მე. ბიძაჩემო, ყველაზე უფრო  
უჯიშო იანკს გეძახდი გულში...  
ო, მომიტევე!

ფონებერკოპფი

შევცდით ყველანი...

გუნტი

ამას რას როშავთ?

ფონ ებერკოპფი

ახლა კი ვხედავ: დგას გუნტის ქარი —  
ვნებათა ღელვის, სწრაფვა-სურვილთა...

მუსიე ბალონი

(ალტაცებული)

აი. რას ნიშნავს თურმე გუხტობა!  
და ძაქვს პატივი...

გუნტი

რა უნდა მითხრათ?

მუსიე ბალონი

ვერ მიხვდით განა?

გუნტი

აზრზეც თუ ვიყო,  
ჩამოსახრჩობად გადავდებ თავსა.

მუსიე ბალონი

როგორ, ბატონო? განა ბერძენთა  
დასახმარებლად არ მიგყავთ გემი?

გუნტი

(სტვენით)

მე ვეხმარები ძლიერებს — თურქებს!  
ფულს ვაძლევ სესხად... მაშ რა გეგონათ?

მუსიე ბალონი

ვერ დავიჯერებ!

ფონ ებერკოპფი

მასხრობს! იხუმრა!

## გ უ ნ ტ ი

(მცირე ხანს დუმს, სკამს ეყრდნობა და ქედმაღლურ იერს იღებს)

მე როგორც ვატყობ, ბატონებო, გვიჯობს დავშორდეთ,  
ვიდრე ამ ჩვენი მეგობრობის უკანასკნელი  
ნაშთიც გასკდება და გაქრება სანის ბუშტივით!  
ლატაკისათვის ადვილია რისკის გაწევა.  
ვისაც არა აქვს ქვეყანაზე იმდენი მიწა,  
რომ დაიტიოს შუადღისას პატრონის ჩრდილი,  
ის საზარბაზნე ხორცი გახლავთ, ეს მართალია.  
მაგრამ ვინც ჯიბე გაისქელა ქვეყნად ჩემსავით,  
დასაკარგავიც მეტი აქვს და ფასიც მაღალი.  
წადით, საბერძნეთს მიაშურეთ თქვენ, ბატონებო,  
მე გაგამგზავრებთ უსასყიდლოდ, იარაღს მოგცემთ.  
რაც უფრო მარჯვედ გააღვივებთ ამბოხის ხანძარს,  
მით უფრო მაგრად მეც აქედან დაგჭიმავ შშვილდსა!  
მაშ მთეშველეთ სამართალს და თავისუფლებას!  
დასცხეთ, შეებით, ურჯულოთა სისხლი დაღვარეთ!  
მოსპეთ თურქები და დაეცით დაბოლოს თქვენცა,  
იანიჩართა ბასრი შუბით გულგანგმორულნი,  
ოღონდ უჩემოდ!

(ჯიბეზე ხელს გაიკრავს.)

უკაცრავედ, ოქრო მამძიმებს.  
მშვიდობით! მინდა დავრჩე იმად, რაც ვარ — სერ გუნტად!

ქოლგას შლის, გადის შუეში და მიაშურებს იმ ქალაქს, სადაც ჰამაკები ჰკოდიან)

## ტ რ უ მ პ ე ტ ე რ ს ტ რ ო ლ ე

ლორია, რაღა!

## მ უ ს ი ე ბ ა ლ ო ნ ი

ერთი ბეწო პატიოსნებაც

არა ჰქონია!

## კოტონი

აჰ, რომელი პატიოსნება!  
პატიოსნება რომ ჰქონოდა... ეს არაფერი!  
ერთი ესა ვთქვათ, რა მოგება მოგველის ჩვენა.  
ამბოხებული ბერძენი რომ გაიმარჯვებდეს!

## მუსიე ბალონი

მე უკვე ვნახე ჩემი თავი თურქთა გვამებზე,  
უტურფეს ბერძენ ქალთა ხელით დაფნით მოსილი!

## ტრუმპეტერსტროლე

მე კი ჩემს ხელში ვიხილე უკვე  
გამარჯვებული გმირის დეზები.

## ფონებერკოპფი

მეც — საბერძნეთი, განათლებული  
ჩემი მამულის კულტურის შუქით.

## მასტერ კოტონი

მაგრამ ცუდია ნაღდი წაგება!  
Goddam! ისე ვარ, ლამის ვიტირო!  
უკვე ოლიმპო ჩემი მეგონა.  
თუ შთა ღირსია მართლა დიდების,  
მისი წიაღი — არანაკლებად:  
შეიცავს იმდენ სპილენძის მადანს,  
ახალი მთაც კი აშენდებოდა.  
ახლა კასტალის ნაკადიც ვნახოთ,  
ათასჯერ თქმულა მისი ამბავი,  
აქვს იმისთანა წყალვარდნილები,  
ათასი ცხენის ძალა რა არის!

## ტრუმპეტერსტროლე

მე მაინც წავალ — ჩემს შვედურ ხმალთან  
ტყუის იანკის ყველა დოლარი!



მასტერ კოტონი

ეს შეიძლება, მაგრამ ზღვა ხალხში  
რომ გავერევიო, სულაც დაედნებით —  
საღლა იქნება მაშინ მოგება!

მუსიე ბალონი

დალახვროს ღმერთმა! ცხვირწინ ბედია  
და მის სამარეს ესტუმროს კაცი?

მასტერ კოტონი

(მუშტს უღერებს შიშველ გემს)

იმ შავ ზანდუკში არის საუნჯე,  
ზანგების ოფლი — ნაბობის ოქრო!

ფონებერკოპფი

იცით, რას გეტყვით? გაბედეთ ოლონდი  
მეფური აზრი ჩამიჯდა თავში!  
ვაშა! ირყევა პერ გუნტის ტახტი!  
ბეწვზე ჰკიდია! მომყევით ჩქარა!

მუსიე ბალონი

თქვენ გინდათ...

ფონებერკოპფი

მინდა ძალაუფლება!  
ხალხის მოსყიდვა არ გაჭირდება!  
მომყევით! მინდა ხელთ ვიგდო გემი!

მასტერ კოტონი

თქვენ? რანაირად?

ფონებერკოპფი

ხელთ ვიგდებ-მეთქი!

(მეშურება ორჩხომელისკენ.)

## მასტერ კოტონი

ჩემი პირადი საჭიროება  
მეც მაიძულებს აგიბათ მხარი.

(მიპყვება.)

## ტრუმპეტერსტროლე

არამზადული არის განზრახვა!

## მუსიე ბალონი

ქურდობა! მაგრამ სხვა გზა არა მაქვს!

(მიპყვება.)

## ტრუმპეტერსტროლე

მაშ მეც წავშავდე —ხატრს ვერ ფავუტუხ,  
თუმცა საქვეყნოდ ვაცხადებ პროტესტს.

(მიპყვება თავის თანამზრახველებს.)

სხვა ადგილი სანაპიროზე. მთვარიანი ღამე. ღრუბლებს ქარი მიერეკება. შორს  
მოჩანს ორჩხოველი, რომელიც სრული სვლით მიცურავს.  
პერ გუნტი ნაპირს მიპყვება და ხელებს იმტვრევს, ხანაც ზღვას გასცქერის.

## გუნტი

რა სიზმარია! მაჯლაჯუნა! როს გამედვიძოს!  
მიდის, მიცურავს ჩემი გემი! გაშლილ ზღვაშია!  
არა, მე მძინავს! სიზმარია! მთვრალი ვარ, გიჟი!

(ხელების მტვრევით.)

მაშ მიმატოვეს? უნდა მოვკვდე? როგორ იქნება!

(თმას იგლეჩს.)

მოლანდებაა! მსურს მეძინოს, სიზმარში ვიყო!  
საზარლობაა! უმიზნობა! არარაობა!  
რა მეგობრები, ძაღლებია! ღმერთო, მისმინე!  
დასაჯე! შენ ხომ ბრძენი ხარ და სამართლიანი!

(ცაში ხელაპყრობილი.)

ეს მე ვარ, გუნტი! სასწაული მიჩვენე, ღმერთო!  
მისმინე ლოცვა, თორემ მოვკვდი კაკალი კაცი!  
უკუაქციე! ან დაუშვან ნავი მაინცა!  
მოსპე ქურდები! იალქნები დაფლითე მათი  
მისმინე! წუთით გადადევნი ათასი საქმე!  
ქვეყნიერება წამს როგორმე გაძლებს უშენოდ!  
განა მოგისმენს! ყრუა თითქოს, ყურს არ მოგაპყრობს  
რა ჩინებული წესრიგია! პასუხს არ გაგცემს,  
გაჭირვებაში მიგატოვებს უღმერთოდ ღმერთი!

(თითის ქნევით იხმობს მალლიდან.)

ხომ მიგატოვებ ზანგები და პლანტაციები!  
თვითონ ჩინეთი ქრისტეს რჯულზე მომიქცევია!  
მოდო, შევთანხმდეთ, როგორც ითხოვს პატიოსნება!  
მიშველე, ღმერთო, დამეხმარე, გემს დავეწიო!

ორჩხოველიდან ცეცხლის ალი ავარდება, გემს ხანძრის ბოლი ერთიანად ფარავს  
ისრის ყრუ გუგუნე. პერ გუნტს ხმამაღალი ყვირილი აღმოხდება და ძირს ეშვება.  
კვამლი თანდათან იფანტება და გემი ზღვის ზედაპირზე ქრება.

## გ უ ნ ტ ი

(ფერწასული, წყნარად)

ღეთის რისხვა იყო, დაისაჯა მუხთალი ქურდი!  
იყო და არა იყო რაო, იტყოდა კაცი!  
ო, ეს შემთხვევა დაილოცოს სამარადისოდ!  
(გულაჩვილებული.)

შემთხვევა? არა, სულ სხვა რაღაც ამბავი მოხდა  
განგების ნებით გავიმარჯვე, დამარცხდა მტერი.  
დიდება შენდა, ვინც დალეწე ბედის ლახვარი,  
გადამაფარე მძიმე ცოდვილს მოწყალე კალთა...

(ღრმად ამოიხრებს.)

რა სიამეა, რა უსაზღვრო ბედნიერება,  
კაცი რომ ხედავ, როგორ გიცავს უზენაესი!

თუმცა რა, განა მოგასვენებს შიმშილ-წყურვილი?  
ამ უდაბნოში ვინ რას მომცემს! მაგრამ დაიცა,  
ღმერთი დიდია, მოიფიქრებს ახლაც რაიმეს.

(ხმამალა, შემპარავი ხმით.)

ხომ არ გამწირავს მე საბრალოს ბელურასავით!  
ოღონდ ვადროვო, არ ვაბეზრო ღიჯინით თავი,  
მოწყალე უფლის ნება-სურვილს მივანდო ბედი.

(შეშინებული შეხტება.)

იმ ლელიანში ლომმა ხომ არ დაიღმუილა?

(კბილთა კრაქუნით)

არა, ეს ლომი კი არ იყო...

(თავს ინუგეშებს.)

რომ ყოფილიყო?

ეგ ბესტიები ადამიანს ხომ გაურბიან!  
ბატონთან დავას ნადირიც კი არიღებს თავსა.  
აქვთ რაღაც ალღო. მხეცებიც კი, ცხადზე ცხადია,  
გრძნობენ, სპილოსთან ხუმრობა რომ სახიფათოა.  
მაგრამ სიფრთხილეს თავი მაინც არა სტკივალ —  
სადმე ხე ვნახო — ეგერ, პალმა თუ აკაცია.  
ავცოდდე, იქნებ ვიყო უფრო გულდამშვიდებით.  
თუ ორ ფსალმუნსაც გავიხსენებ — მით უკეთესი

(ხეზე აცოდება.)

ფონი წყალგაღმა დალოცეო, წინაპრებს უთქვამთ,  
და არაერთხელ დადასტურდა სიმართლე მისი.

(მოხერხებულად ჯდება.)

რა სიამეა ასეთ მაღალ ადგილზე ჯდომა!  
ამაღლებული ფიქრი მიჯობს ყველა სიმდიდრეს.  
ღმერთი დიდია, იცის, რამდენ სამსალის შესმის  
შეგვწევს უნარი ჩვენ, საცოდავ ადამიანებს,  
და ამიტომაც ზრუნავს ჩვენთვის მამაშვილურად...

(ზღვას გასცქერის, ოხვრით ჩურჩულებს.)

თუმცა მომპირნეს ვერ ვუწოდებ — მომკალით თუნდაც!  
ღამე. მარკოელთა ბანაკი ზღვის პირას. საგუშაგო ცეცხლთან შემორები ფხიზ-  
ლობენ.

ე რ თ-ე რ თ ი მ ო ნ ა

(გამორბის, თავზე თმას იგლეჯს)

იმპერატორის თეთრი ცხენი დაკარგულია!

მ ე ო რ ე მ ო ნ ა

(გამორბის და ტანზე სამოსელს იხევეს)

იმპერატორის სამოსელი მოპარულია!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი

(შემორბის)

ასი ჯოხი ელის ყველას,

ვინც დილამდე ქურდს ვერ ნახავს!

შემორები მაშინვე ამხედრდებიან და ყველა მხარეს ქენებით მიეშურებიან.  
თენდება. აკაციებისა და პალმების ხეივანი.

გ უ ნ ტ ი

(ტოტის ნატეხით იცავეს თავს მაიმუნებისაგან)

მომწყდით თავიდან! ასე ცუდად არ მძინებია!

(ჯოხს იქნევს.)

ისევ აქა ვარ? გამომიყვანს მოთმინებიდან!

დახე, ნაყოფსაც მესვრის აგერ... არა, უარესს!

რა საზიზღარი პირუტყვეია ეგ მაიმუნი!

თუმცა კი წერენ: „ფხიზლად იყავ და იბრძოლეო“,

მაგრამ, ღმერთმანი, დავიქანცე, არ შემიძლია.

(ისევ შემკრთალი, მოუთმენლად.)

რა ვქნა? მოელოს უნდა ბოლო ამ უმსგავსობას!

ერთი მანქია დამეჭირა რამენაირად,

დათეხრჩო, ტყავი გამეძრო და ჩამეცვა ტანზე

მაგ ბანჯგვლიანი მაიმუნის უგვანო ტყავი —  
ვითომ მეც მათი ჯიშისა და ჯილაგისა ვარ!  
რანი ვართ კაცნი? ერთი სულთქმა, ქვიშის მარცვალი  
მაიმუნებში ჩვენცა გვმართებს მაიმუნობა.  
დახე, ჯოგია! ეგ ჯიუტი არამზადები!  
მომწყდით თავიდან! გაეთრიეთ! გიყებო თქვენა!  
აჰ. ახლა ერთი კუდი მომცა, რამე ისეთი,  
ტანზე მომერგო და მეც ნადირს დაემსგავსებოდი!  
რა ვქნა, ჩემს თავზე ირევიან, ოხერ-ტიალნი!

(ზემოთ იხედება.)

აგერ იმ ბებერს საძაგლობა უჭირავს მუშტით...

შოშით მობუზული ერთხანს წყნარად ზის. მაიმუნი მოუსვენრად უახლოვდება.  
პერ გუნტი დაყვავებით უწყებს ლაპარაკს და ცდილობს ძალღივით მიიტყუოს.

აჰ, ეს შენა ხარ, ჩემო ძველო, ცელქო მურიავ?  
შენთან თამაში შეიძლება მშვიდობიანი!  
მე შენ არ მესვრი — აბა ეს რა საკადრისია?  
ეს მე ვარ! განა ვერ მიცანი? ჩვენ არ ვიჩხუბებთ!  
ჰამ-ჰამ! მე შენი ენაც ვიცო, ჩემო ფუნთუშავ!  
მე და შენ ძველი მეგობრები ვართ და იცოდე,  
ხვალ ამის ნიშნად შექარს მოგცემ... ფუჰ, შე პირუტყვო!  
მაინც დამსვარე!.. ეს იქნება იკმევა კიდევ?  
ფუ, რა სუნი აქვს, ვერ გაიგებს ადამიანი,  
თუმცა გემო ხომ ჩვეულების კვალობით მოდის!  
აკი ოდესღაც რომელიღაც მეცნიერს უთქვამს:  
„კაცი აფურთხებს — ეჩვევა და იფურთხებაო!“  
ახალგაზრდობაც ხომ ყოველთვის მოხუცებს ბაძავს!

(იგერიებს.)

თქვენ თავს გადიხართ! გაეთრიეთ, სალახანებო!  
სამყაროს მეფეს თავს ესხმიან მაიმუნები!  
მიშველეთ! გული გამიწყალეს ოინბაზებმა,  
ბებრებთან ჭირს და მოზარდებთან — უარესია!

ადრიანი დილა. ქვიანი მალლობი, საიდანაც უდაბნო იშლება. ცალ მხარეს კლდოვანი უფსკრულია და იქვე გამოქვაბული.

ქურდი და მისი შემნახავი კლდის ნაპრალში იმალებიან, შორიახლო ქვაზე იმპერატორის დარახტული ცხენი უბიათ და ნაქურდალი ნივთებიც იქვე უწყვიათ. შორს ჩანან მხედრები.

### ქ უ რ დ ი

დახე, როგორ ციმციმებენ  
მტრის შუბები, ლახვრები!  
ერთი შეხე, შე საწყალო,  
თუ კაცი ხარ, დახედები!

### შ ე მ ნ ა ხ ა ვ ი

უდაბნოში გორავს უკვე —  
ვხედავ მე ჩემს თავსა!

### ქ უ რ დ ი

(გულხელდაკრეფილი)

მამაჩემი ქურდი იყო —  
შვილი მისდევს კვალსა.

### შ ე მ ნ ა ხ ა ვ ი

მამა ქურდებს ინახავდა —  
მივდევ მამის გზასა.

### ქ უ რ დ ი

ზიდე ტვირთი საკუთარი.  
ნახე ნავის საყუდარი!

### შ ე მ ნ ა ხ ა ვ ი

(ყურდაცქვეტილი)

იმ ბუჩქებში დაიმალე!  
მოგვადგება მტერი მალე!

### ქ უ რ დ ი

არის მეტად ღრმა ნაპრალი,  
მეტად დიდი — სამართალი.

## შ ე მ ნ ა ხ ა ე ი

მოჰამედო, მოგვეშველე,  
მოგვინახე გზა და კვალი!

(გარბიან, ნაქურდული გამოქვაბულში რჩება. მღევრებიც სადღაც შორეთში თვალს  
ეფარებიან, ნაქურდული ვერ შენიშნეს.)

## გ უ ნ ტ ი

(მოდის და ლერწმის სალამურსა თლის)

რა მომზიბლავი დილა გათენდა!  
ნეხვის ხოჭოც კი გორგალს აგორებს  
და ლოკოკინა ტოვებს ნიჟარას...  
ოქროს დილაა, შენი სულისა!  
მაინც რა ძალა ჩაუქსოვია  
ბუნებას თავის დალოცვილ დღეში!  
თავს იგრძნობ ისე იმედიანად,  
ისე გაქრება დარდი და შიში,  
გგონია ხარსაც შეეჭიდები.  
რა სიწყნარეა! რატომღაც უწინ  
ვერ ვეწყობოდი სოფლელ მეგობრებს, —  
არ ვიცი, მაშინ რად გავუბოდი  
ლადი ბუნების წიაღში ყოფნას?  
რა ბედენაა კუშტი ქალაქი?  
ზიხარ ტყვესავით გამოკეტილი,  
და არც კი იცი, რა წუთს რომელი  
ღარიბ-ლატაკი შემოგეჭრება.  
რა მარჯვედ იქერს ხელიკი ბუზანკლებს!  
ებღღენა, შესანსლა, სხვას არას დარდობს.  
რა უბრალოა ასეთი მხეცი!  
ყველა ქმნილება შემოქმედს მისდევს,  
ბეჭითად იცავს მის ყოველ მცნებას,  
არ თმობს „თავის თავს“, არის უცვლელი,  
მისდევს ცხოვრების ნირსა და სახეს,  
რაც მიუღია დასაბამიდან.

(ლორენტს იკეთებს.)



აგერ გომბეშო. ზის ქვიშის ქვაზე.  
გაქვავებულა თავილა უჩანს.  
თითქოს საკუთარ სახლიდან უმზერს  
ქვეყნიერებას და გულს არ იტებს —  
თავს არ ღალატობს, კმაყოფილია...

(ფიქრებში წასული.)

კმაყოფილია? არის თავისთვის?  
სად მოიხარშა ასეთი სიტყვა?  
სად წამიკითხავს? „ოჯახურ წიგნში“?  
თუ სოლომონის იგავთა შორის?  
რა საწყენია! დრო მიდის, ძმაო,  
სულ სუსტდები და ხსოვნაც გღალატობს.

(ჩრდილში ჩამოჯდება.)

აი, ზარმაცის მყუდრო სავეანე!  
ეს ბალახებიც იქნებ იჭმევა??

(გემოს უსინჯავს.)

უფრო ნადირთა ლუკმა ყოფილა!  
თუმცა რა უჭირს, სადღაც წერია:  
„უნდა დასძლიო შენი ბუნება!“  
შემდეგ: „ფუჭია ამპარტავნობა!  
ვინც თავს იმდაბლებს, ის ამაღლდება!“

(მოუსვენრად.)

ამაღლდებო? მეც ეს მომელის —  
ეს უეჭველად ასე მოხდება!  
ჩემი სვე-ბედი მე არ დამღუპავს,  
კვლავ გამომიყვანს გასაჭირიდან.  
ეს გამოცდაა. მე მას გავუძლებ.  
ოღონდ უფალმა ჩანი მომცეს და  
მე გამეხსნება ერთხელაც ბედი.

(ფიქრებს ფანტავს, ქვიშაში იზხლართება და უღაბნოს გასცქერის)

რა უსასრულო ქვიშის ველია!  
შორს სირაქლემა დადის ზვიადად.  
რაზე ფიქრობდა, ნეტავი, ღმერთი,

რისთვის დასჭირდა ეს ქვიშის ზღვები,  
ეს უსიციოცხლო და უსარგებლო,  
ეს გადამწვარი და უკაცური  
გაუტეხელი ყამირი მიწა?  
ეს ხომ გვამია, ძვეს ამ ტაძარში,  
გახვრეტილ გროშსაც ვერ გამოჩეხები!  
რისთვის უნდოდა იმ დალოცვილსა?  
ერთი მადლობაც ვინ უთხრა მისთვის?  
ეჰ, მფლანგველია ღედა-ბუნება!  
იქ ზღვა თუ ღელავს, აღმოსავლეთში  
ვერცხლისფრად რომ ჩანს?.. ზღვა არ იქნება!  
არამც და არამც! თვალი მატყუებს!  
ზღვა ხომ აქედან დასავლეთშია,  
ქვიშის უდაბნოს ბარხანთა რიგი  
ჭებირად უდგას გადამწვარ ხმელეთს.

(უცრად რაღაც აზრი გაუფლვებს.)

ჭებირად? მაშინ მე შემიძლია...'  
ეს ჭებირები ვიწრო იქნება!  
საკმარისია გავთხარო არხი,  
რომ უდაბნოში მოვარდეს წყალი  
და უნაყოფო ქვიშა დაფაროს!  
ახდება ჩემი ლალი ოცნება,  
შმაგი ზვირთები აზღვაედებიან,  
ოაზისები კუნძულებივით  
გამოჩნდებიან ოკეანეში,  
მწვანე ატლასის მთაგრეხილები  
ჩრდილოეთისკენ გაიჭრებიან  
და ნაოსნები თეთრი აფრებით  
თოლიებივით გადასერავენ  
ძველ ქარავანთა წაშლილ ნატერფალს.  
სიციოცხლის სუნთქვა გაფანტავს ხორშაკს  
და ჰავას შეცვლის ღრუბელთა ცვაარი.  
ქალაქს ქალაქზე აღმართავს ხალხი  
და იბიბინებს მწვანე ბალახი..

მთელი საპარის სამხრეთ მხარეში  
იშრიალებენ პალმის ტყეები,  
და სანაპიროდ ქცეულ მიწაზე  
ნორჩი კულტურა გაიფურჩქნება.  
ქალაქ ტიმბუქტუს ფაბრიკა-ქარხნებს  
ორთქლის ძრავები ააგუგუნებს,  
ბორნუ იცხოვრებს ევროპულ სტილზე,  
ჰაბესს გაივლის მოგზაური და  
ზემო ნილოსზე რკინიგზით გავა.  
შუაგულ ზღვაში, მსუყე კუნძულზე  
მე დავასახლებ ნორვეგიელებს.  
ჩვენ, წარჩინებულ გუდბრანდსთალებს,  
მეფური სისხლი გვიდღეს ძარღვებში,  
არაბთა თესლიც თავისას იზამს.  
იმ სანაპიროს ერთ-ერთ ყურეში  
მე გავაშენებ დიდ პეროპოლისს! —  
ძველ დასახლებულ მსოფლიოს ჯიბრზე  
შეეჭმნი ჩენს ახალ პერ გუნტიანას.

(შეხტება და შეინავარდება.)

საქმე დამშია! ფული მქონოდა!  
ოქროს გასაღებს მოვიმარჯვებდი,  
ზღვის ალაყაფის კარს გავაღებდი,  
ჯვაროსნულ ლაშქრით სიკედილსა ვძლევდი.  
გამოდი გარეთ, ძუნწო მევახშევე,  
ოქროს ყუთზე რომ კრუხივით ზიხარი  
თავისუფლებას გაჰყვიროს ყველა, —  
ნოეს კიდობნის სახედრის მსგავსად  
მეც დედამიწას შევძრავ ძახილით,  
თავისუფლების სუფევას ვამცნობ  
ლოდინით დაღლილ მომავლის ნაპირს.  
ოლონდ აქედან დავიხსნა თავი,  
ვიშოვო ფული, მერე მე ვიცი!  
წინ! წინ! ფეხმარდი ტაიჰისათვის  
მე ჩემს ნახევარ სამეფოს ვიხდი

(გამოქვაბულში ცხენი ჰიხინებს.)

ცხენი! სამოსი! იარაღი! და მთელი განძი!

(უახლოვდება.)

სიზმარია თუ სინამდვილე?.. სინამდვილეა!  
აკი მსმენია: ნებისყოფა მთებსაც კი ძრავსო!  
მაგრამ ნუთუ მას შეუძლია ცხენიც შეკაზმოს?  
აბა რას ვროშავ? იქ ცხენია, აქ კი — მხედარი!  
Ab esse, ad posse... შეაჭექი, გასწი, გაფრინდი!

(ძონძებს იხდის, ახლებს იცემს, მერე ჩაცმულობას ათვლიერებს.)

სერ პეტერ, პერო! შენ თურქი ხარ თხემით ტერფამდე!  
ხეალ რა მოხდება — ჰკითხეთ ერთი წინასწარმეტყველს!  
გზას გაუდექი, ბედაურო, ნადავლო ჩემო!

(უნაგირს მოეხელება.)

უზანგებიც კი ოქროსია! გასწი, მერანო!  
ცხენთა ჭენებით იცნობიან წარჩინებულნი!

(უდაბნოში გააქროლებს.)

ოაზისის შუაგულში არაბი დიდებულის კარავია განცალკევებით. აღმოსავლუ-  
რად გამოწყობილი პერ გენტი მუთაქებზე წამოკიშულა. ყავას შეეჭეცევა და გრძელ-  
ტარიან ყალიონს ეწევა. ანიტრა და ქალიშვილთა გუნდი მის წინ ცეკვავენ და  
მღერიან.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ თ ა ქ ო რ ო

წინასწარმეტყველს — დიდება ჩვენი!  
გამოგვეცხადა, ქველი და ბრძენი!  
ქვიშის მხურვალე ქვეყნის ზღვებიდან  
შემოაქროლა მეფური ცხენი!  
წინასწარმეტყველს — დიდება ჩვენი!  
ყვითელი ქვიშის ზღვა გამოცურა,  
მოვარდა, ვითა ხორშაკი ცხელი,  
გამოგვეცხადა დარახტულ ცხენით!  
შევხვდეთ ფლეიტით, დაფით, დაირით,  
როკვით, სიმღერით ათასნაირით!  
ხალხს არ ივიწყებს მოწყალე ბრძენი! —  
წინასწარმეტყველს დიდება ჩვენი!

## ანტირა

ცხენი ჰყავს, მსგავსი ქათქათა მზისა,  
რაც მოჩუხჩუხებს ედემში მარად.  
ემთხვეით ყველა! დაემხეთ ძირსა!  
თვალს აციმციმებს ვარსკვლავთა დარად!  
მაგრამ ვინ არის სხვა მიწიერი,  
და იცნობთ სადმე კაცთა ნათესავს,  
ჰქონდეს მასავით სახის იერი,  
მისებრ აფრქვევდეს გზაზე ნათელსა?  
უდაბნოს მხრიდან მოფრინდა ჩვენთან,  
სპეკალს აფრქვევდა მკერდი ძალუმი;  
სადაც მივიდა, ნათელი სცემდა,  
სადაც განშორდა — ატყდა სამუმი;  
სადაც მივიდა — ებკურა ნამი,  
მწვანემ დაფარა უდაბნო მწირი;  
ზადაც განშორდა — ჩამოწვა ღამე,  
გახმა ხისა და ბალახის ძირი.  
ის ჩვენთან არის — ჩვენთანა ღმერთის  
ყოვლად ძლიერი,  
ვით მიწიერი,  
თვალ-მარგალიტებს ვერ იტევს მკერდი!  
დაცარიელდა თვითონ ჭააბა —  
ხალხმა ბილიკი მასთან გააბა!

## ქალიშვილების ქორო

ვაქოთ, ვადიდოთ ალაჰი ბრძენი —  
არ დაივიწყა ადამის ძენი!  
შევხვდეთ ზეიმით წინასწარმეტყველს!  
წინასწარმეტყველს — დიდება ჩვენი!

(მუსიკის ხმა, ქალიშვილები ცეკვავენ.)

## გუნტი

მართალი უთქვამთ: შინაურ მღვდელს არ აქვს შენდობა,  
წინასწარმეტყველს არ ცნობენო მის ქვეყანაში.  
მე ეს ცხოვრება მირჩვენია, სიმართლე გითხრათ,

თუნდ პირველობას ჩარლსტოუნელ მდიდართა შორის.  
 იმ ხელობაში იყო რაღაც სიციარიელე,  
 რაღაც უცხო და უცნაური, გაურკვეველი,  
 თავს ვერასოდეს ვერა ვგრძნობდი საკუთარ ჭერქვეშ,  
 და ვერასოდეს ვერა ვთვლიდი თავს საქმის კაცად.  
 აბა იმ გზაზე რა მინდოდა? ვერ ამიხსნია.  
 სულ საქმოსნობა და სირბილი წალმა-უქულმა,  
 გაწამაწია, ანგარიში, ხარჯი, მოგება —  
 ახლა რომ ვფიქრობ, მეც მიკვირს და გამკვირვებია,  
 ასე მოხდა და ძალღის თავიეც აქვე მარხია.  
 ფულით იყიდო საკუთარი მეობა შენი,  
 ეს იგივეა, რომ ქვიშაზე აიგო სახლი.  
 ბეჭდის, საათის თუ ბრჭყვიალა მძივის წინაშე  
 ძირს ემხოზიან სულელები, ლაფში გორავენ,  
 ქულებს უხდიან ქინძისთავებს, ძეწკვებს, აბზინდებს.  
 მაგრამ ძეწკვი და საათი ხომ კაცი არ არის?  
 წინასწარმეტყველს აქვს უზადო მდგომარეობა.  
 აქ იცის კაცმა ქვეყანაზე თავისი წონა.  
 მსგავსი პატივი არის მისი დამსახურება,  
 არა ძეწკვების, საათის და ქინძისთავების!  
 კაცი კაცია, აღარ უნდა ლარი და ხაზი,  
 არც ფულს უმადლის, არც ბედნიერ შემთხვევითობას,  
 არ საჭიროებს პატენტებს და პრივილეგიებს.  
 სწორედ ჩემზეა ეს წოდება ზედგამოჭრილი,  
 მერე, რა უცებ მომეგლინა უფლის წყალობა!  
 ნაპოვნი ცხენით ეს უდაბნო გადმოვიქროლე  
 და გზად უდაბნოს ამ ლალ შვილებს გადავეყარე,  
 გაუხდი მაჰმადის მოციქული, ნაღდი საქმეა.  
 მე ხომ მაგათი მოტყუება არ მქონდა მიზნად!  
 ერთი საქმეა დაიჩემო მოციქულობა,  
 და სულ სხვა საქმე — შეიფერო მოციქულობა.  
 თანაც ყოველთვის შემიძლია უკან დავბრუნდე.  
 ვინ რას მავალებს, რა მაკავენს? სამსახურია?  
 ჩემი საქმეა საკუთარი, ვის რა ხელი აქვს?  
 როგორც მოვედი, ისე წავალ, აქა მყავს ცხენი.  
 მოკლედ რომ მოვჭრა, მე ვარ საქმის ბატონ-პატრონი.

## ანტირა

(შემოდის, უახლოვდება)

ჩემო წინასწარმეტყველო და ბატონო ჩემო!

## გუნტი

რას მეტყვის ახალს მშვენიერი მხევალი ჩემი?

## ანტირა

კარვის წინ დგანან უდაბნოთა პირმშო შვილები  
და შენი სახის ხილვის ნებას ელოდებიან.

## გუნტი

ჩუმაღ! შორს, იქით დააყენე, არ მომეკარონ!  
მათი ქროლვის ხმა მესმის ყურში, ლოცვა კი არა.  
მამაკაცები მეზარება ჭირის დღესავეით!  
ჩემო პატარავ, მათი გული სავსეა ზაკვით,  
მართალს ამბობენ, მათი მოდგმა მუხანათია  
თანაც ვერაგი! ასე უთხარ, ჩემო გოგონავ,  
მათ მომალორეს... შემცოდენი ხართ-თქო, უთხარ!  
ახლა გეყვით! გავაჩაღოთ ცეკვა-თამაში,  
წინასწარმეტყველს გაუფანტეთ მოგონებანი!

## ქალიშვილები

(ცეკვით)

ჩვენს წინასწარმეტყველს, კეთილს, მხოლოდ ცეკვა დაამშვიდებს,  
მის წინაშე შეუცოდავთ მის ფერხთა მტვერ ბოროტ შვილებს.  
მაგრამ მისი სიკეთეა ჩვენი შგება და ნუგეში:  
ცოდვილთ ცოდვას მიუტევენ და შეიყვანს სამოთხეში.

## გუნტი

(თვალს აყოლებს ანტირას ცეკვას)

დაფის დაკვრა გეგონება, ფეხებს ისე ასრიალებს.  
ჰაი, კბილით ჩასაკვნეტო! სამოსს როგორ აშრიალებს!  
მართალია, იქნებ ცოტა სხვანაირი ნაკვებია,

ვიდრე ითხოვს სილამაზე, კაცები რომ აკვდებიან,  
მაგრამ რაა სილამაზე? წარმავალი ვერცხლის ფული,  
სხვა დროის და სხვა ადგილის ჟინზე დამოკიდებული.  
ერთობ გადამეტებული გვხიბლავს ხოლმე მხოლოდ მაშინ,  
უბრალო და უბირი რომ მოგვწყინდება ცხოვრებაში.  
სადაც წესი, კანონია, იქ მოგივლის თავში რეტი;  
ან უზომო სიგამხდრე და ან სიმსუქნე მეტისმეტი,  
ან სინორჩე მიგიზიდავს ან სიბერე უაღრესი,  
შუალედზე გულცივი ვართ, და ეს არის უარესი.  
არც ფეხი აქვს ამ ქალიშვილს სუფთა, კოხტა, მომხიბვლელი,  
არც ხელები მომწონს მისი, მეტადრე კი ცალი ხელი,  
მაგრამ მაინც ლამაზია, ხმაც აქვს ამოდ მოსასმენი.  
ჰე, ანიტრა, მოდი ჩემთან!

ა ნ ი ტ რ ა

(უახლოვდება)

გისმენს ბატონს მონა შენი.

გ უ ნ ტ ი

მომხიბლავი არსება ხარ! მოეწონე მოციქულსა,  
და გჯერა თუ არა გჯერა, მოისმინე სიტყვა ჩემი:  
შენ ხარ ჩემი ჰური და ჩემთან შეხვალ სამოთხეში.

ა ნ ი ტ რ ა

ეს არ მოხდება, მბრძანებელო!

გ უ ნ ტ ი

რატომ, ძვირფასო?

გგონია ვხუმრობ? ვფიცავ! როგორც აქ ვზივარ ახლა!

ა ნ ი ტ რ ა

მე უსულო ვარ.

გ უ ნ ტ ი

სულს შეიძენ, არაფერია.



ა ნ ი ტ რ ა

როგორ, ბატონო?

გ უ ნ ტ ი

მე მომანდე შენ ეს ამბავი.  
შენი გამზრდელი მე ვიქნები, თვითონ გასწავლი.  
უსულო ვარო! სულელი ხარ, ვხედავ, ძვირფასო.  
სიცარიელე მეც შევნიშნე, შევწუხდი კიდევც,  
მაგრამ მოვძებნი ადგილს სადმე ერთი სულისთვის.  
მოდი აქ, მინდა თავის ქალა გავზომო შენი.  
ასეც ვიცოდი! აგერ, შენი ჭკუის კოლოფი,  
და მართალია, სიბრძნით თავი არ გაგისკდება,  
გეყოფა ისე, საყველბუროდ, როგორც იტყვიან.  
დიდი სულისთვის გაქვს ადგილი მცირედი, მაგრამ  
შენ რას დაეძებ! მინდა მოგცე იმდენი მაინც,  
რომ სხვებზე ცუდად არ იცხოვრო ამ ქვეყანაზე.

ა ნ ი ტ რ ა

წინასწარმეტყველს აქვს კეთილი გული...

გ უ ნ ტ ი

არ გინდა?

ა ნ ი ტ რ ა

მე ვისურვებდი... მე მინდოდა...

გ უ ნ ტ ი

თქვი გაბედულად!

ა ნ ი ტ რ ა

მე სულისათვის არც იმდენად... სული რად მინდა!  
მომეცი ისა...

გ უ ნ ტ ი

რა?

## ანიტრა

(დოლბანდს უჩვენებს)

აფალი, გვირგვინის თვალი.

## გუნტი

(ალტაცებული გაუწვდის ძვირფას თვალს)

ანიტრა! ევას ღვიძლო ასულო!  
ანდამატივით იზიდავ კაცსა!  
მეც კაცი ვარ და დიდ მგოსანს უთქვამს:  
„მარად ქალური გვიზიდავს ჩვენო“.

მთვარიანი ღამე. პალმების ხეივანი ანიტრას კარვის წინ.  
ბერ გუნტი ხის ქვეშ დამჯდარა, ხელში არაბული ბარბითი უჭირავს, წვერი შეუკრეპია და უფრო ახალგაზრდული იერი მიუღია.

## გუნტი

(ბარბითზე ამღერებს)

ჩავკეტე ჩემი სამოთხის კარი  
და გასაღები მიჭირავს ხელთა;  
გემს აჩქარებდა სამშობლოს ქარი...  
ლამაზნი, მე რომ იქ ხელი ვკარი,  
თვალთაგან ცრემლებს აფრქვევდნენ ცხელთა-  
სამხრეთში ვნახე ჩემი ბანაკი,  
მერწევი ქვიშის ტალღები ჩემი,  
მწვანე პალმების უცხო ჭალაკი,  
ყვითელ გორაკთა მყუდრო ალაგი,  
და ცეცხლს მივეცი მე ძველი გემი.  
სამაგიეროდ ახალი ვნახე,  
უდაბნოს გემი, ოთხფეხი ცხენი,  
ვკარი დეზები, ზღვა გადმოვლახე,  
ხეზე შეეფრინდი, ჭაბუკი ლალი,  
და შემოვძახე სიმღერა ლხენის!  
ჩემო ანიტრა, პალმის ბადაგო!  
რომელს ექნება შენსავით გემო!  
თვითონ ანგორის თხის ყველზე ტკბილო,

აჰ, შე ეშმაკო, არ გამაწბილო!  
მოდო, მისმინე, ანიტრავ ჩემო!

(ბარბოს მხარილღივ გადაიკიდებს და ანიტრას უახლოვდება.)

ერთი გავიგო, მისმენს თუ არა,  
ესმა თუ არა სიმღერა ჩემი?  
თუ მიყურებდა ფარდაგებს შორის  
ტანშიშველი და გულანთებული?  
ჩუ! რა ხმა იყო? გეგონებოდა,  
ბოთლის საცობი ავარდა მაღლა.  
ჩუ! ეს მეორედ! ნეტავ, რა ისმის?  
სატრფოს ოხვრაა? არა, სიმღერა!  
არა, ხვრინვაა! და რა ძლიერი!  
რა ტკბილი ხმაა! ანიტრას სძინავს!  
ბულბულო, ჩუმად! შეწყვიტე სტვენა!  
არ დამირღვიო ეს ნაზი ფშვენა!  
თუმცა ისტვინოს, მე რას დავეძებ!  
ისიც ჩემსავით მუშაითია  
და სიყვარული ამღერებს მასაც.  
მეც და ბულბულიც ვართ მომღერალნი  
ტრფობით დამწვარი ფერიებისა.  
ეს წყნარი ღამე და ეს გალობა  
ჩვენი გულისთვის შექმნილა სწორედ.  
როცა ვმღერივართ, ჩვენ ვართ, რაცა ვართ,  
მე და ბულბული, მე და ბულბული  
და ჩემს პატარას რომ სძინავს ახლა,  
ეს აგვირგვინებს ჩემს ნეტარებას:  
თითქოს ბაგესთან მეჭიროს თასი  
და კი არ ვსვამდე, ისეა სწორედ.  
მაგრამ ჰა, ისიც, ავერ იღვიძებს!  
მით უკეთესი! ანიტრავ ჩემო!

ა ნ ი ტ რ ა

(კარვიდან)

მიხმე, ბატონო, შენი მხევალი?

გ უ ნ ტ ი

ღიას, წინასწარმეტყველი გიხმობს.  
გაგიყებულმა კატებმა ბნელში  
ერთი ამბავი ატეხეს ახლა.  
ჩანს, ნადირობენ..

ა ნ ი ტ რ ა

არა, ბატონო,  
სხვა თამაში აქვთ, ოინბაზური,  
ნადირობაზე უფრო საშიში.

გ უ ნ ტ ი

რა თამაშიო?

ა ნ ი ტ რ ა

ნუ მათქმევინებ!

გ უ ნ ტ ი

თქვი!

ა ნ ი ტ რ ა

გავწითლდები!

გ უ ნ ტ ი

(უახლოვდება)

ალბათ, იგივე,  
რითაც მე ვიყავ გულანთებული,  
ქვა რომ გაჩუქე პატიოსანი?

ა ნ ი ტ რ ა

(შეშინებული)

აღმოსავლეთის შშვენებავ, შენა  
როგორ აღარებ თავს რაღაც კატას?

## გუნტი

სიტყვა სიყვარულს როცა ეხება,  
ჩემო პატარავ, ერთი ჟინი აქვთ  
წინასწარმეტყველს, კაცსა და კატას.

## ანიტრა

ჩემო ბატონო, როდესაც ხუმრობ,  
თითქოს პირიდან თაფლი გადმოგდის.

## გუნტი

პატარავ, ქალთა მოდგმა საერთოდ  
დიდ კაცებს ისე კი ვერ აფასებს,  
როგორც შეჭფერის მათს სიდიადეს —  
რანიც არიან სინამდვილეში.

მე ვარ ხუმარა ხალხისანი,  
მით უფრო მაშინ, როცა ვარ შენთან,  
და მხოლოდ დღისით უნდა ვატარო  
დარბაისელი კაცის ნილაბი.

მოვალეობა ტვირთად მაწევება.  
ათასნაირი ფიქრი და ზრუნვა,  
ხალხის მიღება, ურვა, ჩივილი  
ისე მღლის, ლამის გამისკდეს თავი.

მაგრამ მოვეშვით ამას ყველაფერს!  
სისულელეა! ფიქრიც არა ღირს!  
მე შენთანა ვარ — მე ვარ პერ გუნტი,  
მე ვარ, რაცა ვარ, მე ვარ შენი და  
წინასწარმეტყველს ვუჩვენოთ ბრაწი!

(ხის ქვეშ ჯდება და ანიტრას გულში იკრავს.)

მოდი, ანიტრა, აქ მოდი, ჩემთან  
და ვიოცნებოთ პალმის ქვეშ ერთად.  
მე ჩაგჩურჩულებ, შენ გამიღიმებ,  
შემდეგ, პირიქით, გადავცვლით როლებს,  
წყნარი ღიმილით გიყურებ, ვიდრე  
მოგისმენ სიტყვას სიყვარულისას.

## ა ნ ი ტ რ ა

(ფერხთით დაუწვება)

სიმღერასავით მესმის შენი ხმა,  
თუმცა აზრისა მიჭირს გაგება.  
მითხარ, ბატონო, შენ რომ გისმინოს.  
მართლა ეწვევა შენს ასულს სული?

## გ უ ნ ტ ი

სული, გონების შუქი და ცოდნა  
მერე მიიღე, რა გეჩქარება!  
აღმოსაველეთს რომ წითლად დაბეჭდავს  
ოქროს ცისკარი: გაქრაო ღამე,  
მაშინ მიიღებ ჩემს გაკვეთილებს,  
ჩემო თოჯინავ, იყავი მშვიდად.  
ახლა, წყნარსა და მთვარიან ღამეს  
გაკვეთილ სიბრძნის გადმოლაგება  
რომ ვიწყო, ვინმე მაგისტრის მსგავსად,  
ეს სისულელე იქნება სწორედ.  
სულის ცხოვრება, სიმართლე გითხრა,  
მაინც არ არის დიდი ბედენა —  
ქვეყნად მთავარი მაინც გულა!

## ა ნ ი ტ რ ა

ბატონო, შენი სიტყვა რომ მესმის,  
ჩემი სპეკალის სხივი მგონია!

## გ უ ნ ტ ი

მეტად მახვილი ჭკუა-გონება  
უჭკუობა და უგნურობაა,  
და სისასტიკის ღეროზე ხშირად  
იშლება ხოლმე სიმხდალის კვირტი.  
ქარბი სიმართლე, წრესგადასული —  
შებრუნებული სიბრძნეა მხოლოდ.  
ჰო, ჩემო გოგოვ, ვიყო წყვეული,

თუ ეს ქვეყანა არ იყოს საესე  
ცეცხლოვან სულთა მფლობელი ხალხით,  
რომელსაც აზრის ნავსაყუდლიდან  
აშორებს ზღვები ქარიშხლიანი.  
თვითონ ვიცნობდი ერთ ასეთ ყმაწვილს —  
მის მსგავსთა შორის ნამდვილ მარგალიტს.  
თვითონ ის კაცი შეცდა სასტიკად,  
დაიბნა ქვეყნის ორომტრიალში...  
ხედავ, გარშემო რა უდაბნოა?  
ჩემი დოღბანდი რომ შევარხიო,  
მეტიც არ მინდა, ზღვა მოვარდება,  
დაიფარება ეს ქვიშა წამსვე,  
მაგრამ რეგვენი ვიქნები დიდი,  
რომ ეს ხმელეთი დავფარო ზღვითა.  
იცი, რა არის ჩვენი ცხოვრება?

### ა ნ ი ტ რ ა

არა, მასწავლე.

### გ უ ნ ტ ი

დროის ნაკადში  
გაცურო ისე, შენს საოცნებო  
ველზე გახვიდე მშრალი და მთელი  
და თანაც დარჩე იმად, რაცა ხარ.  
მე შემოძლია ვიყო, რაცა ვარ —  
პერი, ვით პერი, ვიდრე მაქვს ძალა.  
ბებერი ძერა ბუმბულსა კარგავს,  
ბებერი ვაცი მოშვებულია,  
მოხუცი ხენეშით დალოღილობს,  
დედაბრის ღონე — წყევლა-კრულვება, —  
და შეჰპარვიათ გულში ჭადარა!  
ანაღგაზრდობა! ტახტი და კვერთხი!  
სიჭაბუქე და სულთნობა მინდა!  
განა პალმებში, ბაღ-ვენახებში  
და გუნტიანას მთაზე მალაღზე?

არა, ბუნების წიაღში სადმე,  
ქალწული ქალის წმინდა ფიქრებში!  
ახლაცა მკითხავ, ბავშვო, თუ რისთვის  
მოგზიბლე ჩემი მოწყალე გულით?  
რად აგირჩიე, რად შეგაცდინე  
და მსურს, ასე ვთქვათ, მაგ გულში შეექმნა  
მე ჩემი ტახტი და ხალიფატი?  
მსურს ვიყო მეფე ჩემთა ვნებათა,  
სრული ბატონი ჩემს სამეფოში!  
შენ უნდა იყო სავსებით ჩემი,  
ოქროს ბუდეში ჩასმულ თვალივით,  
სპეკალზე ძვირად გიღირდეს პერი!  
თუ ჩვენ დავშორდით, მაშინ მორჩება  
სიცოცხლე შენი — ჩემი კი არა!  
მთელ შენს არსებას, გახსოვდეს კარგად,  
მე ჩემი თავით ავავსებ მხოლოდ,  
რომ აღარც ნდომა, არც ნებისყოფა  
არ შეგჩრჩეს შენი — შეგავსო ჩემით!  
ლამის აღერსის მომხიბლაობით  
და გრაციების ყველა წყალობით  
მე შენ მაჰმადის წმინდა ედემში,  
ვით ბაბილონის ბაღში შემეყვან.

ამიტომ შენი ცარიელ თავის  
გასხივოსნება რა საჭიროა!  
ვისაც სული აქვს, მისი ვაღია  
ღრმა დაკვირვება საკუთარ თავზე.  
სიტყვას მოჰყვა და მისმინე: მინდა  
კოქებზე რგოლი მოგარგო წყვილი,  
შენც გაიხარებ, მეც გამახარებ —  
ასე სჯობია ორივესათვის.  
სულის ადგილს კი თვითონ დავიჭერ,  
სხვა ძველებურად დარჩება ყველა.

(ანიტრა ხვრინვას ამოუშვებს)

ამას რას ვხედავ? დაიძინა? მორჩა, პერ გუნტო!  
ვისთვის ვუბეღობდი? არც მისმენდა... არა, დაიცა!



ეგ ნიშანია ჩემი სულის ძლიერებისა!  
ჩემმა სიტყვებმა სამიჯნურო ფრთები შეასხეს,  
ლალი ოცნების სამეფოში მიაქროლებენ!

(ადგება და მუხლებზე ძვირფასეულობას დაუწყობს.)

აგერ ბეჭდები, ფარლულები, სამაჯურები!  
იძინე მშვიდად და მიხილე სიზმრად. ანიტრა!  
იძინე მშვიდად და სიზმარში შენს ბატონ პერ გუნტს  
თავზე გვირგვინი დაახურე იმპერატორის!  
დღეს ტახტი გუნტის პიროვნების სახით დაფიქსარ  
და პიროვნულად გავიმარჯვე ამ ერთ ღამეში...

საქარავენო გზა. უკან, შორს, ოაზისი ჩანს. პერ გუნტი თავის თეთრ ცხენზე ამხედ-  
რებულა. წინ, უნაგირზე, ანიტრა უზის.

ა ნ ი ტ რ ა

გამიშვი! გიკბენი

გ უ ნ ტ ი

ოინბაზო!

ა ნ ი ტ რ ა

რა გინდა ჩემგან?

გ უ ნ ტ ი

რა მინდა? არწივ-მტრედობანა მსურს ვითამაშოთ!  
მსურს გაგიტაცო, ვიცელქოთ და ვილალოთ ერთად!

ა ნ ი ტ რ ა

უნდა გრცხვენოდეს, მოციქულო! შენ ბებერი ხარ!

გ უ ნ ტ ი

შენი ტუჩები სისულელეს ჩმახავენ ბატო!  
წინასწარმეტყველს ბებერს აბა როგორ ეძახი?  
მე ვარ ბებერი? ასეთ საქმეს იზამს ბებერი?

## ანტირა

გამიშვი! მინდა შინ წავიდე!

### გუნტი

აჰ, შე კეკლუცო!

დახეთ, შინ წასვლა უცაბედად მოეპრიანა!  
მამასთან უნდა დაებრუნდეთ! არა, ძვირფასო!  
რაკი ბუდიდან გავფრენილვართ გიჟი ჩიტები,  
ველარასოდეს იმ კაცს ველარ დავენახებთ!  
ჩემო საუნჯევ, არასოდეს ადამიანი  
ძალიან დიდხანს ერთ ადგილზე არ უნდა დარჩეს.  
რომ გაგიცნობენ, ყურადღება ნელდება მერე,  
და თუ ღროით არ გაეცალე, პატივს დაკარგავ,  
მეტადრე, როცა გეძახიან წინასწარმეტყველს.  
ოცნებასავით უნდა გაქრე ანაზღეულად.  
ჩემთვის აქამდეც წასვლა ჯობდა, საქმე გამწვავდა.  
კუშტია შენი ცვალებადი უდაბნოს ხალხი.  
შეწყვიტეს ლოცვა ამ ბოლო დროს, ზურგი მაქციეს,  
არც მოსაკითხი მახსოვს მათი, არც საკმეველი.

## ანტირა

შენ ხომ წინასწარმეტყველი ხარ?

### გუნტი

შენი სულთანის

(უნდა აკოცოს)

დახეთ ამ ჭიუტს, რა უკმეხად მარიდებს სახეს!

## ანტირა

მომე ბეჭედი, ემაგ თითზე რომ გიკეთია!

### გუნტი

შენი ფეშქაში იყოს ეგეც, ტყბილო ანტირა!

## ა ნ ი ტ რ ა

რა შარბათივით მეწვეთება ყურში შენი ხმა!

## გ უ ნ ტ ი

ბედნიერია, ვინც ქალს ასე შეჰყვარებია!  
ჩავალ! დაგიჟერ ცხენს სადავით, ვითარცა მონა!

(მათრახს აძლევს და ცხენიდან ჩამოდის.)

ახლა კი ვარდო, საყვარელო ჩემო ყვავილო,  
შენს სადიდებლად ასე ვივლი ამ ცხელ ქვიშაში,  
ვიდრე მზე დამკრავს სამოწყალოდ, გავჰიმავე ფეხსა.  
ჯერ ჭაბუკი ვარ, ეს გახსოვდეს, ჩემო ანიტრავე,  
ასე სასტიკად ნუ უყურებ შენ ჩემს ოინებს.  
ახალგაზრდობას ხომ სიცელქე მოსდგამს ყოველთვის?  
ჰოდა, რომ იყო უფრო ლალი, მკვირცხლი გონების  
და არა ასე მოუქნელი, ნერგო წარმტაცო,  
მაშინ ადვილად მიხვდები, რომ რაკი გიჟმაჟობს,  
მაშ შენი გუნტი ახალგაზრდა ყოფილა ჭერაც!

## ა ნ ი ტ რ ა

კი, ყმაწვილი ხარ! კიდევა გაქვს, ბიჭო, ბექლები?

## გ უ ნ ტ ი

აგერ, აიღე! ვაცი ვარ და შევიკუნტრუშებ!  
ვენახი იყოს, თავს შევიმკობ ვაზის გვირგვინით.  
ღიახ, ღმერთმანი, ჭაბუკი ვარ, გიმღერ, ვიცეკვებ!

(მღერის და ცეკვავს.)

მე ვარ მამალი სვებედნიერი!  
ჩამინისკარტე, ჩემო ვარიავ!  
მაკოცე, ვცეკვავ და მიხარია —  
რომ ვარ მამალი სვებედნიერი!

## ა ნ ი ტ რ ა

ჩემო წინასწარმეტყველო, შენ ოფლად იღვრები,  
და მეშინია, სულ არ დადნე! მომეცი ქონა:  
ხედავ, ქამარი სიმძიმით რომ ჩაუწევია?

## გ უ ნ ტ ი

რა შზრუნველი ხარ! გამომართვი, მიჩუქებია!  
აბა რად უნდა შეყვარებულს ოქრო და ვერცხლი?

(ისევ ცეკავს და ზღერის.)

სწორედ გიყია ჭაბუკი გუნტი,  
და რომელ ფეხზე დადგეს. არ იცის!  
ვინა ყოფილა! ცეცხლში არ იწვის —  
სწორედ გიყია ჭაბუკი გუნტი!

## ა ნ ი ტ რ ა

საოცარია, რა აცეკვებს წინასწარმეტყველს!

## გ უ ნ ტ ი

წინასწარმეტყველს? რას მიქვია! სულ მიქარვია!  
ჯობს გაიხადო ტანზე სწრაფად! გიცვლი სამოსელს!

## ა ნ ი ტ რ ა

მაგრამ ქულაჯა მეტად დიდი მომივა შენი,  
ქამარიც გრძელი, წინდები კი — ვიწრო ძალიან.

## გ უ ნ ტ ი

ჰო, კარგი!

(დაუჩოქებს.)

მაგრამ მომაყენე ფიცხელი ვნება!  
შეყვარებული კაცი ჩათვლის ვნებას სიამელ-  
როდესაც ჩემი ციხე-კოშკის კარებში შევეალთ...

## ა ნ ი ტ რ ა

შენს სამოთხეში? როგორ ფიქრობ, კიდევ შორს არის?

## გ უ ნ ტ ი

ათას მილზეა.

## ა ნ ი ტ რ ა

შორს ყოფილა!

## გუნტი

გულს ნუ გაიტეხ!  
იქ, საყვარელო, დაპირებულ სულსაც მიიღებ.

## ანიტრა

მადლობელი ვარ! ეს ამბავი სულ არ მაწუხებს,  
გავძლებ უსულოდ... რაღაც ვნებას მთხოვდი, მგონია.

## გუნტი

დასწყევლოს ღმერთმა! გთხოვე: მტანჯე, მაწამე-მეთქი,  
ოღონდ ორი დღით, ან სამი დღით, მეტ ხანს კი არა!

## ანიტრა

შშვიდობით! როგორ ვაწყენინებ წინასწარმეტყველს!

(თითებზე მათრახს გადაუკერს, სადავეს გამოსტაცებს, ცხენს შობარუნებს და  
: გააქენებს იმ მხარეს, საიდანაც მოვიდნენ.)

## გუნტი

(ერთხანს მენჯაკრავივით ღვას)

ესეც შენ! არა, ეს ხომ უკვე... დალაზვროს ღმერთმა!

იგივე ადგილი, ერთი საათის მოგვიანებით. პერ გუნტი დაღვრემილი და დაფიქრებული ღვას. თანდათან იხდის თურქულ სამოსელს, შემდეგ ჩიბიდან სამგზავრო ქუდს იღებს, იხურავს და ისევ ევროპელი ხდება.

## გუნტი

(დოლბანდს ასწევს და შორს გადაისვრის)

იქ თურქებია, აქ კი მე ვარ. უნდა გამოვტყდე,  
ეს წარმართული სამოსელი სულ არ მიხდება.  
კიდევ ბედი, რომ მხოლოდ ტანზე მეცვა თურქულად,  
სულსა და გულში ვერ გამიჭდა თურქული სული!  
ან იმ ხომალდზე რა მინდოდა, რომ ვთქვა მართალი?  
განა არა სჯობს ვიყო წყნარად, ქრისტიანულად?  
თავი ვანებო ფარშავანგის ფრთების ძიებას,

ჩვენი ზნისა და კანონების ვიყო ერთგული,  
არ ვულალატო ჩემს მეობას, რათა ოდესმე  
ხალხის პატივი და გვირგვინი დავიმსახურო?

(ორიოდე ნაბიჯს გადადგამს.)

ვიდაც გომბიო! — ერთი ბეწო დამაკლდა მხოლოდ.  
რომ შევეშალე იმ შავტუხას! რამ გადამრია?  
ტროლი გამიწყურეს, თუ მესმოდეს, რა მომივიდა,  
რა იყო, ლამის ჭკუიდან რომ გადამიყვანა!  
კიდევ კარგია, მორჩა, თორემ ერთი ნაბიჯიც  
რომ გადამედგა, ქვეყნის ყბაში ჩავეარდებოდი!  
მივქარე, მაგრამ, ვალიარებ, გამოუვალმა  
გარემოებამ მაიძულა ეს ჩამედინა  
და არა ჩემმა პიროვნებამ, ჩემმა „მეობამ“,  
და მაშ არც ჩემი პიროვნება დამარცხებულა.  
სამოციქულო ყარიბობა უგემურია,  
რაშიც ვერ ნახავთ მოქმედების ნასახ მარილსაც,  
გულსა მძმარავს და გულისრევით დასრულდა კიდევ!  
წინასწარმეტყველს აქვს ისედაც ცუდი ხელობა:  
ღრუბლებში უნდა იაროს და ატაროს ხალხი,  
და თუ დაიწყო გონივრული, საღი მსჯელობა,  
საქმეს წააგებს, თავს თვითონვე დაიშამათებს.  
ამ თვალსაზრისით მე ხომ კაცი წუნს ვერ დამდებდა,  
ბატი რომ კერპად გავიხადე, ბევრსა ვჩმანავდი,  
და მაინც...

(სიცილი წასკდება.)

ვერც კი წარმოიდგენს ადამიანი!  
ცეკვა-სიმღერით სცადო ღროის შეჩერება და  
კულის ქიციანით სცადო ცურვა მდინარის აღმა!  
ბარბითს უკრავდე, იცუნდრუჟო მთელი ღამე და  
გააპუტვინო ბოლოს თავი, როგორც მამალმა! —  
მართლაც, წინასწარმეტყველი ვარ გონდაკარგული  
და გაპუტული! მოხრაკული, როგორც მამალი!  
თუშცა... მაქვს მაინც ცოტა რამე ჩარლსტონის ბანკში,  
და ჭიბეშიაც, შავი ღღისთვის გადანახული!

მთლად დაღუპული ჯერ არა ვარ, და ეს კარგია!  
„ოქროს შუაგულს“ რომ იტყვიან, ეგ არის სწორედ:  
აღარც მეეტლის დარდი მაქვს და აღარც ცხენების,  
არც ჩემოდნები მაწუხებენ და არც ვაგონი,  
ვარ საკუთარი ჩემი თავის ბატონ-პატრონი.  
საით წავიდე? რომელი გზა ამოვირჩიო?  
არჩევით იცნობ, ვინ ბრძენია და ვინ — სულელი.  
დასრულდა ჩემი საქმოსნობის ამბავიც უკვე  
და გავიხადე სამიჯნურო ძონქები ჩემი.  
კიბოსებრ სვლისა არც თავი მაქვს, აღარც ხალისი.  
„უკან თუ წინა, სადაც წახვალ, ერთი გზა არი,  
გარეთ თუ შინა — ერთ ბილიკზე გაივლის მგზავრი“, —  
ქკუამახვილი კაცის წიგნში ეწერა სადღაც.  
ახლა რომ რამე კარგი საქმე გამოჩნდებოდეს,  
ახალი, დიდი, ღირდეს მისთვის გარჯა და შრომა!  
შეუფერებლად რომ ავწერო ჩემი ცხოვრება,  
სახელმძღვანელოდ — გემრიელიც და მარგებელიც? —  
თუმცა, ეს არა! მე მაქვს დრო და მოცალეობა!  
მოგზაურობა რომ დავიწყო სამეცნიერო?  
გარდასულ ჟამთა სიავის და სიხარბის კვლევა?  
ჰაი, ღმერთმანი, ეს საჩემო საქმე იქნება!  
გადამიშლია ფერწასული ფოლიანტები,  
მუდამ მიყვარდა, მიზიდავდა მეცნიერება —  
კაცობრიობის ნატურფალზე უნდა წავიდე!  
და ისტორიის ტალღებს მივყვე, როგორც ბუმბული,  
ახლად ვიხილო ყოველივე, როგორც სიზმარში —  
გმირების ბრძოლა დიდების და სიკეთისათვის —  
ოღონდ გარედან, საიმედო თავშესაფრიდან!  
ვნახავ სწავლულთა დაღუპვას და მოწამეობას,  
სამეფოების ამაღლებას და მათს დაცემას,  
ვნახავ მსოფლიო ეპოქების შექმნას კენჭიდან, —  
მოკლედ, მოვხადო მათიანეს მინდა ნაღები  
როგორმე უნდა შევიძინო ბეკერის ტომი,  
გავყვე მსოფლიოს ყველა ტომის ქრონოლოგიას.  
ისტორიაში მოვისუსტებ, ეს მართალია,

ეშმაკურია შინაგანი მისი ბუნება,  
მაგრამ რაც უფრო გიყურია ხოლმე სათავე,  
მით უფრო ძვირფას საგანძურსა ვპოულობთ ხშირად.  
რა მაცდურია მერე აზრი, რომ გაქვს მიზანი  
და ვერაფერი შეგაფერხებს შენს სავალ გზაზე!

(გულაჩვილებული, წყნარად.)

გადაჭრი ყველა შემფერხებელ ძაფსა და ღუზას,  
მოსწყდები ოჯახს, მეგობრებს და სამშობლო მიწას,  
ნიავეს გაატან შენს ქონებას, შენს მონაპოვარს,  
შენს სამიჯნურო წარსულს ეტყვი „ღამე ნებისას“, —  
ქეშმარიტების მისტერიის მიგნების მიზნით!

(თვალზე მომდგარ ცრემლს იწმენდს.)

აი საზომი ქეშმარიტი ნამდვილ მკვლევართა!  
უბედურებავე, დაგიკარგავს ეკალი შენი!  
ბედნიერი ვარ, ვხედავ მიზანს, რისთვისაც ვიშვი!  
დანიშნულება მიპოვნია ჩემი ცხოვრების.  
ახლა მთავარი გაძლებაა, რაც უნდა მოხდეს!  
მხოლოდ დღეიდან შემიძლია წელგამართულმა  
თავი ავწიო ვაეკაცურად, ამაყად, მაღლა,  
რადგან დაბოლოს ნახა გუნტმა თავისი თავი,  
გახდა, ასე ვთქვათ, წუთისოფლის ნამდვილი მეფე!  
მსურს ხელთა მქონდეს მთელი ჯამი წარსულთა დღეთა,  
აღარ დავტყებნი გზა-ბილიკებს ჩემი დროისას!  
აღარასოდეს — ლანჩადაც კი არა ღირს აწმყო.  
ხალხს ანგარება გასჯდომია ძვალსა და რბილში,  
კაცია სულით უმწიო და საქმით უბადო,  
და ქალი კიდევ..

(მხრებს აიჩეჩავს.)

ცარიელი, მერყევი მოდგმა! —

(გადის.)



ზაფხულის დღე ჩრდილოეთში. ქოხი უსიერ ტყეში. ღია კარი, შიგ — ხის დიდი ურდული. კარზე ირმის რქებია გაკრული. ქოხის მახლობლად თხები ბალახობენ. შუახნის ქალი, თეთრი და მშვენიერი, მზეში ზის და ართავს.

## ქ ა ლ ი

(გზას გასტყერის და მღერის)

აგერ, გავა ეს ზამთარიც, მას მოჰყვება გაზაფხული,  
ზაფხულიც და შემოდგომაც — გავა კიდევ ერთი წელი,  
მაგრამ ვიცი, მოხვალ ბოლოს, როგორც გქონდა განზრახული,  
დაგპირდი და გიცდი კიდევ, არ ჩამქრალა გრძნობა მწველი.

(თხებს უხმობს, მერე ისევ საქმეს მიჰყოფს ხელს და სიმღერას განაგრძობს)

ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, სადაც იყო და იარო!  
და გაცხონოს, თუ შენ უკვე დგახარ მისი სკამის წინა!  
გიცდი, ჩემო მეგობარო, გულის სწორობა და ზიარო;  
თუ ცოცხლებში აღარა ხარ, გესტუმრები ცათა შინა!

ეგვიპტე. განთიადი. მემნონის კოლოსი ქვიშას დაუფარავს. პერ გუნტი გამოდის  
და კარგა ხანს უსიტყვოდ ათვალეირებს.

## გ უ ნ ტ ი

აი, აქედან ჯობს დავიწყო მოგზაურობა —  
ვით ეგვიპტელმა — რა თქმა აუნდა, თავშესაქცევად:  
საძირკვლად გუნტის „მე“ დაედოს ეგვიპტელობას,  
და ეს მეობა იყოს ჩემი მტკიცე სარჩული!  
შემდეგ აქედან ასირიის გზას დავადგები,  
თორემ ერთბაშად იმ გზით წასვლა სახიფათოა,  
სადაც შეიქმნა სამყარო და სამოთხის ბაღი —  
ბიბლიურ ამბებს ავარიდო ჯობს სულაც თავი,  
ისტორიაში ისედაც სულ მათი კვალია!  
მე რომ მათ გავყვე, ვუკირკიტო და წვრილად ვჩხრიკო,  
არც ხელობა მაქვს ასეთი და არცა ხალისი.

(ქვაზე ჩამოვდება.)

აქ ჩამოვჯდები, მოთმინებით დაველოდები.  
მზის ამოსვლისას ამ ქანდაკმა უნდა მიმღეროს.

შემდეგ კი ავალ ფარაონთა პირამიდებზე,  
ძირსაც ჩავალწევ, სადაც მშვიდად სძინავთ მეფეებს.  
მერე მეწამულ ზღვისკენ სავალ გზას დავადგები,  
ამოვთხრი მეფე პონტიფარსა და იმის ჯარებს.

შემდეგ გავხდები აზიატი. მინდა ვიხილო  
სახელგანთქმული ბაბილონის კიდული ბაღი,  
ის მეძავები... ის აკვანი ძველი კულტურის.  
ერთი ნახტომიც და ტროადის ველზე გავჩნდები,  
ტროასთან ათენს ხომ საზღვაო კავშირი ჰქონდა!  
იმ გზას გავყვები, სადაც ქსერქსეს სპარსელთა ურდოს  
მამაცი მეფე ლეონიდე გზას უღობავდა,  
და შეუსწავლელს არ დავტოვებ უბრალო ქვასაც.  
ათენში ჩავალ, შევისწავლი ფილოსოფიას,  
აღვწერ იმ სახლსაც, სადაც მოკვდა დიდი სოკრატე...  
დალახვროს ღმერთმა, დამავიწყდა, იქ ხომ ომი  
მაშ იქით იყოს ელინური სამყარო ჯერა!

(საათს დახედავს.)

რა ეშმაკია, რას აყოვნებს ეს მზეც ამოსვლას,  
რადას ზოზინობს! ძვირად მიღირს ყოველი წუთი.  
ჰო, სად ვიყავი? ტროადაში... ეს რა ხმებია?

(წამოდგება და უსმენს.)

რა ზუზუნია? რა სიმღერის ხმა უცნაური?

(მზე ამოდის.)

მ ე მ ნ ო ს ი ს კ ო ლ ო ს ი

(მღერის)

ღმერთთა ფერფლიდან აფრინდებიან  
ლალი ფრთოსნები,  
კერპი მგოსნები;  
ზევისის შექმნილებს, აღისფრთებიანს,  
უყვართ დავა და  
ძლევა მტარვალთა;  
ჰოტო სიბრძნისა, ფხიზლად იყავი:  
სად სძინავთ ახლა?  
რამ დამანადგლა?  
მოკვდი, ან ახსენ ჩემი იგავი!

## გ უ ნ ტ ი

მართლა, რა იყო? მღეროდა სვეტი!  
გარდასულ ჟამთა მუსიკა მესმა!  
ადვილად ვარჩევ აწვევ-დაწვევას.  
არის ნოტებზე გადასატანი,  
სწავლულთა ხელში გადასაცემი.

(ინიშნავს უბის წიგნაკში.)

„სვეტი მღეროდა: მე ვარჩევდი გარკვევით ბგერებს,  
მაგრამ სიმღერის ტექსტი კარგად ვერ გავარჩიე.  
ეს ყოველივე არის მხოლოდ გრძნობის მცდარობა,  
სხვა არაფერი საკვლევი და საყურადღებო“.

(გზას გაუღვება)

გიზების სოფლის მახლობლად კლდეში გამოკვეთილი დიდი სფინქსი დგას. შორს ჩანს ქაირო და მისი მინარეთები. პერ გუნტი მიდის. სფინქსთან ჩერდება, ყურადღებით აკვირდება, თვალთან ლორწებს მიიდებს, ხანაც მილივით მომრგვალებულ ხელებში გახედავს, როგორც ჭოგრიტში.

## გ უ ნ ტ ი

ქვეყნიერება შემომივლია,  
მსგავსი ქმნილებაც სადღაც მინახავს!  
სად? ჩრდილოეთში? თუ აქ, სამხრეთში?  
ვის მომაგონებს? კაცსა თუ რასა?  
მემნონის სვეტი, ქვის ნამუსრევზე  
რომ აწოწილა — აქ გამახსენდა, —  
მაგონებს განთქმულ დოვრების პაპას.  
მაგრამ ეს გონჯი ნაცოდვილარიც,  
ორმაგვრ ტყავი — ქალიც და ლომიც —  
ესეც ზღაპრების წიგნიდან არის?  
თუ მართლა ვნახე ასეთი ტანი,  
ზღაპრული ლანდი? ჰო, მაგონდება!  
დიდი მრუდია, მე რომ მოვკალი, —  
არა, მესიზმრა... მაშ მე ვბოდავდი!

(უახლოვდება.)

იგივე პირი, მსგავსი თვალეზი,  
მხოლოდ მზერა აქვს უფრო ცბიერი  
და არა ისე ჩლონგი, მძინარა...  
მოკლედ იმავე ყალიბისაა!  
მაშ ასე, ლომო, მრუდესა ჰგავხარ,  
თუ კაცი დღისით ზურგიდან გნახავს!  
გამოცანები თუ იცი კიდევ?  
ახლაც ამიხსნი მაშინდელივით?

(სფინქსს უყვირის.)

ვინა ხარ, მრუდევ?

ხ მ ა

(სფინქსის უკან)

Ach, Sphinx, wer bist du?

გ უ ნ ტ ი

ვიშ, გერმანული სკოდნია ექოს:

ხ მ ა

Wer bist du?

გ უ ნ ტ ი

დახეთ! ის ფლობს გერმანულს!

რალაც ახალი აღმოვაჩინე!

(უბის წიგნში ინიშნავს)

„ექო ბერლინურ კილოზე უქცევს“.

(გამოდის სფინქსის ზურგს უკან ამოფარებული ბეგრიფენფელდტი)

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

ადამიანი!

გ უ ნ ტ ი

ახ! მაშ, მე შეეცდი

(ჩაინიშნავს დამატებით.)

„მე სხვა დასკვნამდე მივედი შემდეგ“.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ ლ ტ ი

(მოუსვენარი მოძრაობით)

ყოფნის საკითხი... მომიტევეთ, ბატონო ჩემო!  
რამ მოგიყვანათ ასე უცებ დღეს ამ ალაგას?

გ უ ნ ტ ი

აქ ერთი სიყრმის მეგობარი უნდა მენახა.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ ლ ტ ი

რომელი? სფინქსი?

გ უ ნ ტ ი '

(თავის ქნევით)

ჩემი ძველი მეგობარია.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ ლ ტ ი

Famos! და მერე წუხანდელი ღამის შემდეგაც...  
თავი მიბრუნის... საცოდავი გამისკდეს ღამის!  
ჩაქუჩსა მცემენ თითქოს თავში... გახსენით ბაგე  
და მიპასუხეთ: იცით, განა, ვინ არის ისა?

გ უ ნ ტ ი

სფინქსი? მე გეტყვით, თქვენს გასაჭირს თუ ეს უშველის:  
თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი ს, რაც არის!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ ლ ტ ი

(შებტება და შემოტრიალდება)

აჰ, მე გავიგე!

დარწმუნებული ხართ ამაში? ნუთუ ნამდვილად?  
დასტურ, ის არის, რაც ის არის?

გ უ ნ ტ ი

სწორედ ასეა.

თვითონვე ამბობს.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მაშ ქვეყანა

ყირაზე დგება!

(ქუდს იხლის.)

მომიტევეთ, თქვენი სახელი?

გ უ ნ ტ ი

პერ გუნტი მქვიან.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(გაოცებული)

პერ გუნტი! ამას მოველოდი! ეს სიმბოლოა!  
ალეგორია! „პერ გუნტი“ ნიშნავს: „ვისაც ველოდით!“  
ოსტატო, მე თქვენ გელოდებით, დიდი ხანია!

გ უ ნ ტ ი

მე თქვენ მელოდით! ასეთ პატივს დიდად ვაფასებ!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

პერ გუნტი! რა ბრძნული, იღუმალის, ღრმააზროვანი  
ჭიქია! ყოველი სიტყვა-სიბრძნის გასაღებია!  
რა მოხელე ხართ?

გ უ ნ ტ ი

(თავმდაბლურად)

მუდამ ვცდილობდი ვყოფილიყავ რაცა ვარ, ისა,  
ჩემი მეობა... თუმცა, აგერ ჩემი პასპორტიც!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

„რაცა ვარ, ისა!“ სულ იგივე იღუმალეება!

(მკლავში ხელს ავლებს.)

ქაიროსაკენ, თავსატეხთა ამხსნელთა მეფევი!

## გუნტი

მეფე?

ბეგრიფენფელდტი

ჰო, მეფე.

გუნტი

მალღირებთ ნამდვილად მეფედ?

ბეგრიფენფელდტი

(მიჰყავს პერ გუნტი)

დიახ! ამხსნელთა მეფედ — თქვენი „მეს“ საფუძველზე!

ქაირო. დიდი ეზო. გარშემო დიდი კედლები და შენობებია, ფანჯრებზე რკინის  
გისოსებია. ეზოში რამდენიმე რკინის გალია დგას.  
სამი გუშაგი. შემოდის მეოთხე.

შემოსული გუშაგი

მისმინე, შაფმან! დირექტორი სად არის ჩვენი?

ერთ-ერთი გუშაგი

სადღაც წავიდა ჯერ კიდევ დღეს დილაადრიან.

პირველი გუშაგი

ვაი თუ სადმე ხიფათს რასმე გადაეყარა!  
სწორედ წუხელი...

მეორე

ჩუმად! კარი გაიღო მგონი.

შემოდის ბეგრიფენფელდტი, ზემოჰყავს პერ გუნტი. კარს კეტავს და გასაღებს ჯიბეში  
იღებს.

გუნტი

(თავისთვის)

ჰკუთთ სავსეა, ჩანს, ეს კაცი, და მეც კი მბზნვეს,  
თავში არ შედის მაგის სიტყვა-გამოცანებში

(მიმოიხედავს)

სწავლულთა კლუბი მაშ ეს არის?

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

სწორედ ეს გახლავთ.

აქ ნახავთ ყველას: ჯერ მოგროვდა სამოცდაათი,  
მერე ას ოცი მიემატა, მოდის და მოდის...

(გუშაგებს უყვირის.)

ჰეი, შაფმანო! მიხელ! ფუჭსო და შლინგელბერგო!  
ცოცხლად! გალიებს მიაშურეთ!

გ უ შ ა გ ე ბ ი

გალიებს? ჩვენა?

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მაშ მე? მაშ ვინა? ახლა უკვე ბარიბარსა ვართ!  
მიწა ბრუნავს და ჩვენცა ვბრუნავთ იმასთან ერთად!

(ძალით ერეკება გალიაში.)

დღეს აქ მობრძანდა დიდი პერი — იმპერატორი,  
და დანარჩენი თქვენ განსაჯეთ — მე არას გეტყვით.

(გალიას კეტავს და გასაღებს ჰაში აგდებს.)

გ უ ნ ტ ი

თქვენ რა... დოქტორო... დირექტორო...

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მე აღარა ვარ

ალარც ერთი და არც მეორე... მორჩა, გათავდა...

ვიყავი, მაგრამ... მეფე პერო, არ შეგიძლიათ

ენაზე კბილი დააჭიროთ და მომისმინოთ?

გ უ ნ ტ ი

(შეშფოთებული)

განა რა მოხდა?



ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მპირდებით, რომ გონს არ დაკარგავთ?

გ უ ნ ტ ი

ვეცდები...

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(გუნტი კუთხეში გაჰყავს, ჩურჩულთ)

მისმინეთ: წუხელ, შუალამის თორმეტ საათზე  
აბსოლუტურმა გონებამა... სული დალია!

გ უ ნ ტ ი

ღმერთო, მიშველე!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

ჰო, ეს ერთობ სამწუხაროა!

მეტადრე ჩემთვის საქმე ესე მძიმეა მეტად,  
რადგან ეს სახლი საგიჟეთად იწოდებოდა  
აქამდე...

გ უ ნ ტ ი

რაო? საგიჟეთად?

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

აქამდე-მეთქი!

გ უ ნ ტ ი

(ფერწასული, წყნარად)

ო, ღმერთო ჩემო! წინათგრძნობით ეს გული იწვის!  
გოი ყოფილა ეს კაცი და არავენ იცის!  
(გასასვლელს ექვზს.)

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(მისდევს)

გესმით თუ არა სწორად ჩემი ნათქვამის აზრი?  
გონების სიკვდილს რომ ვამბობდი, სისულელეა.

არა, ის მიუნჰაუზენის მელიასავით  
გამოძვრა მხოლოდ საკუთარი თავის ტყავიდან.

გ უ ნ ტ ი

სულ ერთი წუთით... მაპატიეთ...

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(ძალით აკავებს)

გამოძვრა-მეთქი,  
მელიასავით კი არა და გველთევზასავით!  
თვალში ლურსმანი გაუყარეს, ახტა, დახტა და...

გ უ ნ ტ ი

ღმერთო, მიხსენი!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

კისრის ტყავი შემოაცალეს,  
დაიგრიხა და — სკუპ! გამოხტა თავის ტყავიდან!

გ უ ნ ტ ი

(განზე)

დასტურ გიყვია! შეშლილია გაქანებული!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

ეს ნათელია, აღარ უნდა ლარი და ხაზი!  
ტყავიდან ძვრომას მოსდევს სწორედ ყირაზე დგომა  
რომ ზღვა და ხმელი ერთიანად გადატრიალდეს.  
ყველა ის პირი, ვისაც უწინ შეშლილად თვლიდნენ,  
ამ გასულ ღამეს ნორმალური გახდა სრულიად  
და გონიერი, ახალ საზომს თუ მიეუყენებთ.  
სამაგიეროდ უწინდელი „ქკვათამყოფელნი“  
თერთმეტ საათზე ჩაწერილან შეშლილთა შორის.

გ უ ნ ტ ი

მე თქვენ საათი მომაგონეთ! უნდა წავიდე,  
ღრო მიიწურა...

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

დრო? ახლავე! დროზე მითხარით!

(კარს ალებს და გასძახის.)

აქეთ! გამოდით ემაგ თქვენი ლაბირინთიდან!  
გონება მოკვდა! გაუმარჯოს პერ გუნტს! — დიდება!

გ უ ნ ტ ი

არა, გეთაყვა...

გიეები თანდათანობით იყრიან თავს ეზოში.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მორჩა თქვენი ტანჯვა-წამება!

აგერ, თენდება დილა თქვენი თავისუფლების!  
დგას თქვენ წინაშე თქვენი მეფე...

გ უ ნ ტ ი

მეფე?

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

ნამღვილი!

გ უ ნ ტ ი

არა, არ მინდა ეგ პატივი! მეტისმეტია...

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

ოჰ, ეს ზედმეტი თავმდაბლობა რა საჭიროა  
დიად წუთებში!

გ უ ნ ტ ი

დრო მომეცით მოფიქრებისა!

არ შემიძლია არ მაქვს ნიჭი... მე გავსულელდი.

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

და ამას ამბობს კაცი, სფინქსის ენა რომ ესმის,  
სფინქსთან მეგობრობს, ხელთ უჭირავს თავისი თავი!

## გ უ ნ ტ ი

საქმეც ეგ არის! ხელთ მიჭირავს საერთოდ თავი,  
ვარ ის, რაც ვარ, თვითნაბადი, ყველგან და მარად,  
მაგრამ აქ, თქვენსას, როგორც ვატყობ, ვკარგავ მეობას  
და ვშიშობ დავრჩე საკუთარი თავის გარეშე.

## ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

როგორ, საკუთარ თავის გარეთ? არა და არა!  
ბავშვიც კი ხედავს: არის ყველა აქ ის, რაც არის, —  
თავისი თავი, თავისი „მე“ და სხვა არავინ.  
საკუთარ თავში იკეტება ყველა სავსებით,  
თავის მეობას ეფარება გულის დუღილით,  
ჩაიკეტება ჰერმეტიულად თავის „მეში“ და  
საკუთარ წყაროს ეწაფება ყველა ერთგვარად.  
არ დაუღვრია ცვარი ცრემლი სხვისთვის არავის,  
არავისა აქვს ტვინი სხვისი აზრებისათვის.  
რაც ვართ, ისა ვართ, საკუთარი სახით და აზრით, —  
ტრამპლინის ფიცრის თავზე ვდგავართ, ლამის გავფრინდეთ,  
და თუ აქ გვინდა რომელიმე იმპერატორი,  
სწორედ თქვენა ხართ ჩვენი მეფე შესაფერისი!

## გ უ ნ ტ ი

ემმაკის კერძი ვიყო, თუ მე...

## ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მხოლოდ მხნეობა!

ქვეყნად პირველად ყველაფერი არის ახალი.  
„შენ თვით“ — მე მინდა შენი ეჭვი აქვე გავფანტო.  
ვინც ხელთ მომხვდება სულ პირველად, მას წარმოგიდგენთ.

(ერთ კუშტ გიჟთავანს.)

დილა მშვიდობის, ჩემო ჰუჰუ! მისმინე, შვილო,  
უწინდებურად დაღვრემილი დაეხეტები?

### ჰ უ ჰ უ

მაშ აბა რა ვქნა, რომ ჩემი ხალხი,  
ადამის ტომი წყდება და წყდება,  
ერთი ამხსნელი არ ელირსება?

(პერ გუნტს.)

შენ, უცხოელო, გსურს მომისმინო?

### გ უ ნ ტ ი

ჰო, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!

### ჰ უ ჰ უ

ჰოდა, მისმინე! აღმოსავლეთში,  
შორს, ინდოეთის ქვეშეან მხარეს  
ძევს მალაბარის ვიწრო ნაპირი.  
პორტუგალიელთ და ჰოლანდიელთ  
დანერგეს უწინ კულტურა იქა,  
მაგრამ ბრბოებად ეხეტებოდნენ  
ადგილობრივი მალაბარელები.  
ახლა იქ ენა აღრეულია,  
სუფრაზე ძალდი პატრონს ვერა ცნობს.  
უხსოვარ დროს კი უსიერ ტყეში  
მეფობდა იქა ორანგუტანგი,  
ქუხდა, შმაგობდა, ბატონკაცობდა  
და მტაცებლობდა, როგორც ენება.  
ჯერ შეურყვნელი ბუნების პირმშო,  
არც ერთ ენაზე არ მეტყველებდა,  
მხოლოდ ღმუთოდა, იღრინებოდა,  
არავინ იმას ხელს არ უშლიდა,  
იყო იმ ქვეყნის ბატონ-პატრონი.  
მაგრამ მოზღვავედა უცხო ურდო და  
ტყუიურთა ენას მოუღო ბოლო. .  
ოთხასწლოვანი ღამე დააწვა  
მაიმუნების ტანჯულ ქვეყანას!  
და ვინ არ იცის, ეს გრძელი ღამე  
განვითარების ძალებს რომ ბოქავს!

მიწყდა უსიერ ტყეთა ძველი ხმა,  
აღარც ყიჟინა, აღარც ღმუილი! —  
თავში რომ აზრი დაგვებადება,  
მოვიშველებთ სათქმელად ენას.  
ჩაგვრაზე მძიმე, გავბედავ თქმასა,  
უბედურება არ არის ქვეყნად!  
ყოველი ენა ცდილობს გადარჩეს  
და უნდა დარჩეს კიდევ თავისთვის!  
პორტუგალიელთ, ნიდერლანდელებს,  
შორეულ მოდგმას, მალაბარელებს  
ერთობ ცუდი ღლე დაადგათ მაშინ.  
მეც დავიცავი თავგამოდებით  
ჩვენი ტყის ენა, ველური ღრენა,  
გამოცოცხლება ვცადე გვამისა,  
პირველყოფილი კილოკავისა,  
და მასთან ერთად ხალხის სიმღერის,  
ჩვენი იმედის და სიამაყის,  
მაგრამ ყვირილით ვერაფერს გავხდი,  
ზურგი მაქცია ყველამ აგდებით,  
ვერ დამიფასეს სულისკვეთება.  
მადლობელი ვარ, რომ მომისმინე,  
ჩემო ხელმწიფევ! რა ვქნა, რას მირჩევ?

## გ უ ნ ტ ი

(თავისთვის)

მგლებთან თუ მოხვდი, მგლურად იყმუვლე,—  
გვირჩევს ანდაზა, და სადაც მოხვდდი,  
მე დავიხურავ ქუდსაც იქაურს.

(ხმამალა)

როგორც გავიგე, ჩემო კეთილო,  
მაროკოს ტყეში ჭერ კიდევ არის  
ორანგუტანგთა ნამდვილი ჯოგი —  
არ უმღერია მათთვის არავის,  
მალაბარულად ლაპარაკობენ!

რა მომხიბლავი, რა იშვიათი  
საგმირო საქმის მოხდენა ძალგიძთ,  
რომ თქვენც აიკრათ გუდა-ნაბადი  
და სხვათა მსგავსად იქ გადაბარგდეთ,  
მომძეთა თქვენთა საკეთილდღეოდ!

### ჰ უ ჰ უ

მადლობელი ვარ, რომ მომისმინე!  
მსურს ავასრულო მე რჩევა თქვენი.

(დარბაისლური იერით)

აღმოსავლეთი ამხსნელს უარყოფს,  
დასავლეთს კი ჰყავს ორანგუტანგი!

(გადის.)

### ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ ტ ი

ჰა, ხომ ყოფილა საკუთარი თავის პატრონი?  
ხომ ფლობს თავის „მეს“? აღსავსეა თავისი თავით!  
რასაც ხედავდით, სულ ის არის, თხემით ტერფამდე,  
„თავისი თავი“ — გამომხტარი თავის თავს გარეთ.  
კეთილი! ახლა ჩემს მეორე ყმაწვილს გიჩვენებთ,  
უწინ იმასაც გონებასთან ჰქონდა კონფლიქტი,  
გუშინს აქეთ კი აქვს იმასთან სრული თანხმობა.

(ფელაქს, რომელსაც ზურგიით მუშია მოაქვს.)

მეფე აპისო, როგორ მიღის ქვეყნის ამბავი?

### ფ ე ლ ა ჰ ი

(გიჟურად, პერ გუნტს)

ვარ მე აპისი?

### გ უ ნ ტ ი

(ღირეპტორს ეფარება)

როგორ არა! მე, სამწუხაროდ,  
მაქვს ამ საქმეში უმნიშვნელო გავება, მაგრამ...  
ასეთ კილოზე მეტყველება რომ მესმის თქვენი...

ფ ე ლ ა ჰ ი

ჰა, შენც ტყუიხარ!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

მოახსენე! ბატონი პერი  
შენს მეფურ ახსნას ელოდება!

ფ ე ლ ა ჰ ი

(პერ გუნტს მიუბრუნდება)

გეტყვი ჩემს ამბავს!

ვინა მყავს ზურგზე აკიდებულნი? —

მეფე, აპისად სახელდებულნი!

დღეს მუშიაა მისი სახელი

და მისი მზეა ჩასვენებული.

პირამიდები უშენებია,

დიდი ფენიქსი გამოუკვეთავს,

და როგორც ჩვენი დოქტორი ბრძანებს,

თურქებს კაფავდა მარჯენივ თუ მარცხნივ,

რისთვისაც ხალხი თაყვანსა სცემდა

მთელს ეგვიპტეში, როგორც ღვთაებას,

ტაძრებში ოქროს კერპებს უდგამდნენ

ხარი აპისის ქანდაკის გვერდით...

ეს მე ვარ სწორედ ღმერთი აპისი,

ისე, ვითარცა მზე არის მალლა.

თუ ეს არ გჯერა ჭერ კიდევ შენა,

მე დაგაჯერებ, მაცალე ცოტა!

ერთხელ აპისმა ნადირობისას

წუთით დატოვა ველზე ამალა

და გააქროლა მერანი გვირმა

ჩემი წინაპრის პურის ყანაში.

მის განავალზე ამოსულ ხორბლით

ვიკვებებოდი შთამომავალი,

და დამატებით საბუთად კიდევ

მაქვს უჩინარი წყვილი რქა თავზე.

არის აქ განა რამე საეჭვო?



მაგრამ ხომ იცი ხალხის ამბავი  
ვარ წარმოშობით მეფე აპისი  
და ზოგი ვინმე მეძახის ფელაპს.  
ახლა გაგანდე ჩემი განცდები,  
მირჩიე რამე და გამამდიდრე:  
როგორ მოვიქცე, რომ დავემსგავსო  
და გავუტოლდე დიდ მეფე აპისს?

### გ უ ნ ტ ი

შენც ააშენე პირამიდები,  
შენც გამოკვეთე დიდი ფენიქსი,  
და როგორც ამბობს ჩვენი დოქტორი,  
კაფე თურქები მარჯვნივ თუ მარცხნივ!

### ფ ე ლ ა პ ი

შენც იტყვი აბა სად შემიძლია?  
ვინ ვარ? ფელაპი! მშვიერი მლილი!  
მე თუ ჩემს ქოხში თავვი და ვირთხა  
არ გავაჩერე, ისიც საქმეა!  
არა, მომეცი სხვა რამე რჩევა,  
რომ გაურჯელად ვეწიო მიზანს,  
არვინ დამცინოს და გავუტოლდე  
მას, ვინც მარადყამს ზურგზე მკილია.

### გ უ ნ ტ ი

მაშინ წაბრძანდით, მეფე აპისო,  
და დაეკიდეთ სადმე ბაწარზე:  
თქვენ რომ უძრავად იდოთ კუბოში,  
დაემსგავსებით მაგ თქვენს მუმიას.

### ფ ე ლ ა პ ი

მომეცით თოკი! დავთმობ სიცოცხლეს,  
გულსა და ჯიგარს ერთი ყულფისთვის!  
დღეს-ხვალ იქნება ცოტა სხვაობა,  
დროთა მანძილზე სულ წაიშლება.  
(მიდის და ემზადება თავის ჩამოსახრჩობად.)

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

ესეც კაცია, პიროვნება თავისებური,  
აქვს საკუთარი მეთოდები...

გ უ ნ ტ ი

ო, რასა ბრძანებთ!..

მაგრამ ვაითუ ჩამოიხრჩოს ნამდვილად თავი!  
ღმერთო, მიშველე! თავბრუ მესხმის, გონებას ვკარგავ,  
ღამის გავგიჟდე...

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

გარდამავალ საფეხურზე ხართ.  
არაფერია, ეს ხომ დიდხანს არა გრძელდება!

გ უ ნ ტ ი

რაო? რა ბრძანეთ? გარდამავალ საფეხურზეო?  
მაგრამ... ეს საით? მომიტყევეთ! უნდა წავიდე!

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(ძალით იჭერს)

ხომ არ გაგიჟდით?

გ უ ნ ტ ი

ჰო... ჭერ არა! არც მიფიქრია!

ღმერთმა მაშოროს!

განგაში, აურზაური. მინისტრი ჰუსეინი ბრბოში იკვლევს გზას.

ჰ უ ს ე ი ნ ი

მე მითხრეს, რომ აქ იმყოფება იმპერატორი!

(პერ გუნტს.)

თქვენ ხომ არა ხართ?

გ უ ნ ტ ი

(სასოწარკვეთილი)

იმპერატორი?

ღიას, ისევე, როგორც ორჯერ ორი ოთხია!

### ჰ უ ს ე ი ნ ი

კეთილი! აგერ ნოტებია, ძასუხს ითხოვენ!

### გ უ ნ ტ ი

(თმას იგლეჯს)

ახლავე! ვაშა! პერის საქმე ეგ არის სწორედ!  
რაც უარესად წავა საქმე, მით უკეთესი!

### ჰ უ ს ე ი ნ ი

დამდეთ პატივი და ჩამაწეთ აბა მელანში!

(თავს მდაბლად უხრის.)

მე მელანი ვარ.

### გ უ ნ ტ ი

(კიდევ უფრო მდაბლად ხრის თავს)

და მე კიდევ, როგორცა ხედავთ,  
ბატიფეხურად დაჯღაბნილი მეფის ეტრატია!

### ჰ უ ს ე ი ნ ი

მეფევე ბატონო, ჩემი ბედი აქ ცნობილია:  
ვარ საქვიშარი, მაგრამ კალამს მეძახის ყველა.

### გ უ ნ ტ ი

ჩემი ამბავი უფრო მოკლედ ითქმის, კალამო:  
დაუწერელი ქალაქი ვარ და ვერასოდეს  
ვერავინ დამწერს...

### ჰ უ ს ე ი ნ ი

ჩემი ბედიც უცნაურია:  
ჩემს მოწოდებას ვერ აულო ალლო ვერავინ,  
სურათ მისარგებლონ და მაყრიან ქვიშად ნაწერზე!

### გ უ ნ ტ ი

წიგნი ვიყავი, გადაშლილი ქალის კალთაში,  
შესაყრავები მქონდა ვერცხლის... მაგრამ გიჟი ხარ  
თუ ჰკვიანი ხარ — შეცდომა ხარ მაინც ბექდური!

### ჰ უ ს ე ი ნ ი

წარმოიდგინეთ ჩემი ხვედრი, ეგზომ დუხპირი:  
იყო ბატის ფრთა და ერთხელაც არვინ წავთალოს!

### გ უ ნ ტ ი

(შეხტება)

ახლა იკითხე ერთი ლაღი ხარ-ირმის ტანჯვა,  
მადლით რომ მოხტის — ვერასოდეს ჩამოდის ბარად!

### ჰ უ ს ე ი ნ ი

დანა მოიტათ! მე დავბლაგვდი! ჩქარა წამთაღეთ!  
წარღვნა იქნება, თუ ვერავენ წამაპკრა თავი

### გ უ ნ ტ ი

რა საბრალოა ეს ქვეყანა, რომელიც უფალს,  
ისევე, როგორც საკუთარი ყველა ქმნილება,  
ეჩვენა ასე მშვენიერი!

### ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

აგერა, დანა!

### ჰ უ ს ე ი ნ ი

(გამოსტაცებს)

ახლა მელანს დავეწაფები!  
რა ხარბად შევესვამ! რა სიამით წავითლი წვერსა!  
(ყელს გამოილადრავს.)

### ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(განზე გახტება)

ფრთხილად, კალამო! არ დამთხუპნო!

გ უ ნ ტ ი

(ელდანაკრავი)

ო, დააკავეთ!

ჰ უ ს ე ი ნ ი

დააკავეთო! შეწყალების სიტყვა მომესმა!  
მაშ დამაკავეთ! კალამი ვარ! ჩქარა ქალაღლი!

(ძირს ეცემა.)

გაცვეთილი ვარ! მინაწერი საფლავის ქვისა:  
„ცხოვრობდა, მოკვდა, ვით კალამი, სხვისი ნახმარი!“

გ უ ნ ტ ი

(ბარბატიო)

რა ექნა? ვინა ვარ? რა ვიღონო? რა დამრჩენია?  
ო, დიდო ღმერთო... მიხსენ, ხელი გამომიწოდე!  
რაც გნებავს, ის ვარ... თურქი, ტროლი, ბოროტმოქმედი...  
ოღონდ მიხსენი... რაღაც ჩამწყდა... გავთავდი კაცი...

(ყვირის.)

არ შემიძლია გავიხსენო შენი სახელი...  
მიხსენი შენა... ყველა გიჟის მფარველ-ქომავო!

(გულწასული ეცემა.)

ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი

(ჩალის გვირგვინით ხელში, შეხტება და პერ გუნტს ცხენივით დააქდება ჯღ)

მორჩა, გამოდვრა საკუთარი ტყავიდან ისიც!  
ო, რა ამაყად გღია მტვერში! აგერ გვირგვინიც!

(გვირგვინს დაიდგამს და გაჰყვირის.)

მაშ გაუმარჯოს საკუთარი თავის ხელმწიფეს!

შ ა ფ მ ა ნ ი

(გალიაში)

Es lebe hoch der große Perl

## მ ე ხ უ თ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

ჩრდილოეთის ზღვაზე, ნორვეგიის სანაპიროებთან, გემბანზე. მზე ჩადის. ქარიშხლიანი ამინდია, ზღვა ბოზოქრობს.

ბერ გუნტი ჩერაც ჩანმაგარი, თოვლივით გათეთრებულ წვერულვაშიანი მოხუცი, ჩიხურის უკან დგას. სანახევროდ მეზღვაურის სამოსელი აცვია, საკმაოდ გაცვეთილი, წყალგაუვალი ქურთუკი და მაღალყელიანი ჩექმები. წუთისოფლის ქარცეცხლსა და უამინდობას მისი სახისთვისაც დალი დაუსევამს, უფრო კუჭტი გამომეტყველება აქვს. გემის კაპიტანი ბოგირზეა, საჭესთან, ეკიპაჟი—წინ, გემის ცხვირთან, შეყრილა.

### გ უ ნ ტ ი

იდაყვებით დაეურდნობა ქიმს და მისჩერებია სანაპიროს.

უკვე ზამთრულად შემოსილა ჰალინგის ქედიც, ამაყად აჩენს დაისისფერ ხავერდის სამოსს!  
უკან ძმა უდგას, იოკელი, ისიც ჭაღარაა, მწვანე ყინულის მოსასხამი მოუხსხამს ისევ.  
წევს მშვენიერი ფოლგეფირნი თვალის წარმტაცი, თითქოს ქათქათა საწოლშია ქალიშვილიო.  
კარგით, გეყოფათ, ყმაწვილებო, მანჭვა-თამაში, იდექით ისე, როგორც დგახართ, გრანიტის კლდენო!

კ ა პ ი ტ ა ნ ი

(ბუკით, მეზღვაურებს)

საჭესთან ორი კაცი დადგეს! ფარნები მალლა!

გ უ ნ ტ ი

ქარმა იმატა...

კ ა პ ი ტ ა ნ ი  
ქარიშხალი ამოვარდება!

გ უ ნ ტ ი  
რონდის კლდეები ჩანს აქედან?

კ ა პ ი ტ ა ნ ი  
არა, საიდან!  
წინ ფოლგეფირნი ეფარება.

გ უ ნ ტ ი  
ბლოკე?

კ ა პ ი ტ ა ნ ი  
(თავს აქნევს)  
არც ბლოკე!  
მზიან ამინდში ანძიდან ჩანს გალდჰოპის მთები.

გ უ ნ ტ ი  
აქ საით არის ჰორტეიგი?

კ ა პ ი ტ ა ნ ი  
(უჩვენებს)  
აგერ, იქ, განზე.

გ უ ნ ტ ი  
ჰო, მართალია.

კ ა პ ი ტ ა ნ ი  
ვხედავ, იცნობთ ამ მიდამოებს

გ უ ნ ტ ი  
როცა ვტოვებდი ამ ქვეყანას, ჯერაც ჰაბუკი,  
აქ ჩავუარე ხომალდით და, როგორც იტყვიან,  
უკანასკნელი ყლუპის გემო დიდხანსა რჩება.

(გადაფურთხებს და ნაპირს აკვირდება.)

აგერ, იქ, სადაც ბინდი წვება ტყესა და ღრეში,  
შავი ხეობა პირს რომ ადებს, როგორც აკლდამა,  
ქვემოთ, ფიორდის გაყოლებით, სანაპიროზე  
ხალხი ბინადრობს.

(კაპიტანს შესცქერის.)

რა შორიშორს მიმოფანტულან!

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ეს მართალია, ვერც შენიშნავ სოფლიდან სოფელს,  
ღმერთია მოწმე.

გ უ ნ ტ ი

ნავსადგურში დილამდე მივალთ?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ასე, ცისკრის ჟამს, ქარიშხალმა თუ არ იძალა.

გ უ ნ ტ ი

რალაც შუბლს იკრავს დასავლეთი.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ჰო, ილუშება.

გ უ ნ ტ ი

ჩემო კეთილო, გადახდის ღროს არ დამავიწყოთ,  
თქვენს მეზღვაურებს მინდა ცოტა ზედმეტი მივცე —  
როგორც იტყვიან, ფეხის ქირა...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მადლობელი ვარ!

გ უ ნ ტ ი

არ ღირს, ბატონო! ვიყავ ოქროს მადიებელი,  
მერე მე თვითონ გავღარიბდი უცხო მხარეში.



ჰმ! მე და ბედი ვერ ვეწყობით ერთმანეთს კარგად.  
იცი, აქ არის მთელი ჩემი ავლადილება.  
რაც დამიტოვა ეშმაკმა და მუხთალმა ბედმა.

### კ ა პ ი ტ ა ნ ი

არა უშავს რა, ეს ქონება საკმარისია,  
რომ თქვენს მხარეში დააყენოთ ფეხზე ოჯახი.

### გ უ ნ ტ ი

სალთი კაცი ვარ, მარტოხელა და უსახლკარო,  
კატაც არ ელის მდიდარ ბებერს მშობელ კერასთან.  
სამაგიეროდ ნავსადგურში არ მეშინია,  
რომ რომელიმე ნათესავი კოცნით დამახრჩობს.

### კ ა პ ი ტ ა ნ ი

ამინდი წახდა, ქარიშხალი გვიახლოვდება.

### გ უ ნ ტ ი

ჰო, მართლა, თუკი რომელსამე მეზღვაურს უქირს,  
არ დავიზარებ ქისის გახსნას, როგორც იტყვიან.

### კ ა პ ი ტ ა ნ ი

სულგრძელობაა! სწორედ უქირს უმრავლესობას.  
ხომ იცი, ყველას ცოლ-შვილი ჰყავს, ჰამა ხომ უნდათ!  
გასამჯრელოა მათხოვრული, ძლივს გააქვთ თავი.  
ეუ მიიტანეს შინ ორიოდ ზედმეტი გროში,  
ზეიმს მართავენ, და ეს დიდხანს არ ავიწყდებათ.

### გ უ ნ ტ ი

როგორ, ცოლ-შვილი? განა მართლა თქვენს მეზღვაურებს  
აქვთ ოჯახები?

### კ ა პ ი ტ ა ნ ი

ყველა ოჯახს მოჰკიდებია,  
მაგრამ ყველაზე მეტად უქირს გემის მზარეულს,  
მისი ცოლ-შვილი, რომ იტყვიან, შიმშილით წყდება.

გ უ ნ ტ ი

მაშ ცოლ-შვილი ჰყავთ? ელით ვინმე მშობელ კერასთან?  
შინ დაბრუნება უხარიათ? როგორ?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ღიასაც!

ღარიბი ხალხის კვალობაზე.

გ უ ნ ტ ი

მერე, რომ მივლენ?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მერე, მე ვფიქრობ, გაშლის სუფრას ღიასახლისი,  
გამოიტანენ, უკეთესი რაც გააჩნიათ.

გ უ ნ ტ ი

სუფრაზე სანთელს აანთებენ...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მგონია, ორსაც.

და გამოჩნდება საიდანმე ბოთლი არაყიც.

გ უ ნ ტ ი

გაიმართება თბილ ბუხართან ტკბილი ბაასი?  
იქვე ბავშვები თამაშობენ ყივილ-ხივილით,  
გახსნიან გულას და იტყვიან ამ მთის, იმ მთისას,  
მაგრამ ბოლომდე არ მოუსმენს ერთსაც არავინ,  
გული სიხარულს ველარ იტევს?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

სწორედ ასეა.

ასეც იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენ აპირებთ  
გამოიჩინოთ სულგრძელობა და საბრალოებს  
აჩუქოთ რამე...

## გ უ ნ ტ ი

(ქიმზე მუშტს დაარტყამს)

არასოდეს! არაფრისათვის!

განა გიყვი ვარ? როგორ? რისთვის? თქვენა გგონიათ, საკუთარივით განვიკითხო სხვისი ცოლ-შვილი? ჯაფთით და გარჯით, წელის წყვეტით მიგროვებია, ვის რა ხელი აქვს აქ ჩემს ფულთან, ვინ შემიბრალა? არავინ ელის ბებერ პერ გუნტს ამ ქვეყანაში!

## კ ა პ ი ტ ა ნ ი

როგორც გენებოთ, თქვენი ფული გეკუთვნით თქვენა!

## გ უ ნ ტ ი

დიახ, მე უნდა მემსახუროს და სხვას არავის! როგორც კი მივალთ, ანგარიში წარმომიდგინეთ, რაც კაიუტა პანამიდან აქამდე ჯდება, იმდენს მოგართმევთ, არყის ფულსაც მივცემ ეკიპაჟს, — თუ მეტი მივცე, ნებას გაძლევთ გამაწნათ სილა.

## კ ა პ ი ტ ა ნ ი

თქვენ მგზავრობის ფულს მომცემთ მხოლოდ, მე კი — ხელწერილს, სილა კი სხვაგან მოითხოვეთ, ბატონო ჩემო... ოღონდ, ბოდიში, ქარიშხალში არ ღირს ხუმრობა.

(გემბანზე ადის.)

ღამდება. კაიუტაში შუქს ანთებენ. ზღვის ღელვა სულ უფრო მატულობს, ნისლი და ღრუბელი დაბლა წვება.

## გ უ ნ ტ ი

გყავდეს ბავშვები, ჯალაბობა, ცოლი და შვილი, სხვათა გულსა და გონებაში გქონდეს ადგილი! თითქოს სიცოცხლე სიამეა, არა სიზმარი! მე კი ვინ მელის, ვინა ფიქრობს წუთითაც ჩემზე? — სუფრა, სანთელი? ნალვერდალი, თბილი ღუმელი? მაცა, ჩავაქრობ! აზრი მომდის... დავათრობ ყველახს!

ფხიზელი ჰკუთით ვერ გადავა ერთიც ხმელეთზე!  
გაღეშილები რომ მიუვლენ ცოლ-შვილს ყველანი,  
ახირდებიან, მოჰყვებიან ლანძღვა-გინებას.  
და დაიწყებენ მაგიდაზე მუშტების ბრაგუნს,  
გულგახეთქილი ცოლები რომ გაიქცევიან,  
გაიტაცებენ თან შვილებსაც გამწარებულნი  
და ჩაიხრჩობა ცრემლში მთელი მათი სიამე...

გემი ძლიერ შეირყევა, პერ გუნტი წაბარბაცდება, თავს ძლივს შეიმაგრებს.

აი, თუ გნებავთ, გემის რწევეაც ამასა ჰქვიან!  
ზღვა ისე შრომობს, გეგონება ნაბრძანები აქვს.  
ეს ჩრდილოეთის ზღვა თავის ძველ ზნეს არ ჰღალატობს,  
ისევე ისეთი ჭიუტია, ავი და შმაგი...

(ყურდაცქვეტილი.)

რა ძახილია?

გ უ შ ა გ ი  
(წინ გამოლას)

ზღვაში გემის ნამუსრევია!

კ ა პ ი ტ ა ნ ი  
(ბრძანებს)

მესაჰევე! საჰე ქარის მხარეს შემოაბრუნე!

მ ე ს ა ჰ ე  
ხალხი თუ არის ნამუსრევზე?

გ უ შ ა გ ი

სამ კაცსა ვხედავ!

გ უ ნ ტ ი

ნავი ჩაუშვით!

კ ა პ ი ტ ა ნ ი

თავზე ზვირთი გადაეღება!

(წინ გამოდის)

გ უ ნ ტ ი

ახლა მაგაზე ფიქრის დროა?

(ეკიპაჟის წევრებს)

ხალხი ხართ თქვენა?

მარჯვედ! გამხნევდით! დაიხსენით მოყვასი თქვენი!

და თუ ტყავები დაგისველდათ, განა დადნებით?

ბ ო ც მ ა ნ ი

ასეთ ამინდში ზედმეტია ფიქრიც ამაზე.

გ უ ნ ტ ი

ისევ ძახილი! განწირულნი შველას ითხოვენ.

ქარი კი ცხრება... მზარეულო, ხომ არ იკისრებ?

მაშ გაემზადე! აბა, მარჯვედი მე გადაგიხდი...

მ ზ ა რ ე უ ლ ი

ოცი გირვანქა სტერლინგიც რომ მომცეთ, ბატონო,  
თავს ვერ დაგიხრჩობ...

გ უ ნ ტ ი

თქვე ძაღლებო! ლაჩრებო, თქვენა!

არა გრცხვენიათ? შინ ხომ ყველას ცოლ-შვილი ელის  
სხედან, იცდიან მოუთმენლად...

ბ ო ც მ ა ნ ი

და მოუცდიან!

·ვინც მოითმენსო, ნათქვამია, ის მოიგებსო!

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მარჯვნივ! მესაჭევ, მოარიდე ხომალდი ბრავებს!

## შ ტ უ რ მ ა ნ ი

გემის ნამსხვრევი გადაბრუნდა.

## გ უ ნ ტ ი

მიწყნარდა ყველა?

## ბ ო ც მ ა ნ ი

ჰო, თუ სამივეს, ვისზეც წუხხართ, შინ ელის ცოლი,  
დღეს სამი ქერივი შეემატა ადამის მოდგმას.

(უამინდობა ძლიერდება. პერ გუნტი კიჩოზე გადის.)

## გ უ ნ ტ ი

ღეღამიწაზე აღარ არის სარწმუნოება,  
ქრისტიანობა, რაზეც ამდენს წერენ, ამბობენ.  
ყველა ლოცულობს, საქმეს ახდენს საქველმოქმედოს  
ისე, ზერელედ, ვისაც როგორ ეპრიანება,  
და აღარავის ეშინია უზენაესის...

მაგრამ უფალი სასტიკია ასეთ ღამეში.

ამ ოხრებს ახლა მანც მისი ჰქონოდათ რიდი,  
თორემ სპილოსთან ბუზანკალი ვერას გახდება!  
აინუნშიაც არ ჩააგდეს ღმერთი მაღალი!

მე ჩემდა თავად ალალი ვარ, ვერვინ დამძრახავს,  
მსხვერპლი გავიღე, მზად ვიყავი გამეხსნა ქისა.

თუმცა რა მერე? მართალია, ასე იტყვიან:

სუფთა სინდისი ჩვენი ტკბილი ბალიშიაო!

ეს შეიძლება გამოგადგეს საღმე ხმელეთზე,  
გაშლილ ზღვაში კი ამ ბალიშზე დაგეძინება?

აქ ვერაგსა და პატიოსანს ვერც კი გაარჩევ.

ზღვაზე ვერასდროს ვერ იქნები, რაცა ხარ, ისა,  
შენი მეობა ვერ დაგიცავს — მიჰყვები სხვასა.

დღე დაგიდგებათ განკითხვისა ბოცმანს, მზარეულს.

და მათთან ერთად შენც ცივ ზვრელში ჩაიჩუმქრები.

აქ ხომ პირადი ღირსება და საჭიროება

ჩირად არ უღირთ, გიყურებენ, როგორც ყასაბი

უყურებს ძეხვის დასატენად დაკეპილ ხორცსა.

შენ მეტისმეტად სათნო იყავ ყოველთვის, პერო,  
უმადურობით გიხდის ყველა სამაგიეროს.  
ქაბუჯი ვიყო. ზნეს ვიცვლიდი. მოგეცა ლხენა!  
და მოხვეტავდი საგნებს უფრო მაგარი ცოცხით.  
თუმცა ჯერ დროა! შინ მივალ და იტყვიან ჩემზე:  
ზღვის გადაღმიდან დაბრუნდაო მდიდარი გუნტი,  
უსწავლიაო უცხოეთში თავის აღება.  
ძალით თუ ნებით დავიბრუნებ სახლსა და კარსა,  
სახლს ავაშენებ, დავამშვენებ, სასახლის მსგავსსა,  
მაღალს და ნათელს, შიგ არავის გავაჭაჭანებ.  
ქიშკართან იდგეს ქუდმოხდილი ყველა მთხოვნელი,  
მთხოვდეს შეწევნას — უჭირდეს და ახიც იქნება.  
მიღებით ჩემგან ერთ შილინგსაც ვერვინ მიიღებს.  
თუ ბედი მუდამ ჯიბრში მედგა და მიმონებდა,  
მეც ვნახავ ვინმეს, რომ მივაგო სამაგიერო.

უცხო მგზავრი

(თითქოს ბნელი წილიდან ამოძვრა, თავაზიანად თავს უკრავს)  
სალამი თქვენდა!

გუნტი

თქვენც სალამი! ვინა ბრძანდებით?

მგზავრი

თქვენი მორჩილი თანამგზავრი.

გუნტი

საოცარია!

მე კი მეგონა ერთადერთი მგზავრი ვიყავი.

მგზავრი

ერთი პატარა შეცდომაა, გამოსწორდება.

გუნტი

მაგრამ აქამდე სად იყავით? იქნებ ამიხსნათ  
ეს გამოცანა?

მ გ ზ ა ვ რ ი

მე დღეობით ვერა ვარ კარგად.

გ უ ნ ტ ი

უჩივით რამეს? ტილოსავით წაგსვლიათ ფერი.

მ გ ზ ა ვ რ ი :

გმადლობთ, არაფერს, მე თავსა ვგრძნობ შესანიშნავად.

გ უ ნ ტ ი

დღეს ზღვა ბობოქრობს!

მ გ ზ ა ვ რ ი

დალოცვილი ქარიშხალია!

გ უ ნ ტ ი

დალოცვილიო?

მ გ ზ ა ვ რ ი

ზღვა კოშკივით იწევა მაღლა.

რა სეირია! ჩვენ, ჩონჩხები, ვცურავთ სიამით!  
რამდენი გემი ამ ღამეში დაიღუპება!  
რამდენი გვამი თევზებსა და ქიებს ერგებათ!

გ უ ნ ტ ი

ო, შემიწყალეთ!

მ გ ზ ა ვ რ ი

თუ გინახავთ ჩამოხრჩობილი,  
წყალში დამხრჩვალნი, გაგუდული?

გ უ ნ ტ ი

მეტისმეტია!



მ გ ზ ა ე რ ი

გვამები ხშირად იცინიან ძალდატანებით,  
უმრავლესობას კი დაუდგამს ენაზე კბილი.

გ უ ნ ტ ი

ჩამომეცალეთ!

მ გ ზ ა ე რ ი

მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს თქვენთვის:  
გემი რომ ბრაგებს დაეჯახოს, თავთხელზე დაჯდეს  
და ჩაიძიროს?

გ უ ნ ტ ი

თქვენის აზრით, ეს უნდა მოხდეს?

მ გ ზ ა ე რ ი

აბა რა ვიცი, მე ამაზე რა უნდა გითხრათ?  
მაგრამ რომ მოხდეს, მე გავცურო, თქვენ დაილუპოთ?

გ უ ნ ტ ი

რა მიქარვია!

მ გ ზ ა ე რ ი

შეიძლება! მე ვეარაუდობ.  
ასეთი საფრთხე, აქ თუ არა, შორსაც არ არის,  
და ვისაც უდგას ცალი ფეხი ცივ სამარეში,  
ის მუდამ უფრო გულუხვი და ხელგაშლილია.

გ უ ნ ტ ი

(ხელს ჯიბეზე ივლებს)

აჰ, ფული გნებაეთ?

მ გ ზ ა ე რ ი

რასა ბრძანებთ? თავს ნუ იწუხებთ!  
მე მხოლოდ თქვენი გვამი მინდა, რომ მიანდერძოთ.

გ უ ნ ტ ი

ნეტა, რას როშავთ? თავს გადიხართ!

მ გ ზ ა ვ რ ი

მხოლოდ ცხედარი  
გამიგეთ, გვამი... ეს სჭირდება მეცნიერებას!

გ უ ნ ტ ი

ჩამომეცალეთ!

მ გ ზ ა ვ რ ი

გევედრებით! თქვენ არ წააგებთ!  
მე თვითონ გაგკვეთთ ოსტატურად, ქვეყანა გნახავთ.  
ყველაზე მეტად მე მიზიდავს ოცნების ცენტრი,  
სულ ასო-ასო, ნამცეც-ნამცეც დაგიშლით ტვინსა.

გ უ ნ ტ ი

მომწყდით თავიდან!

მ გ ზ ა ვ რ ი

ნეგობარო, დამხრჩვალის გვამი...

გ უ ნ ტ ი

ცოდვის მენცარო! გაეთრიეთ! ენა გიცივლებთ!  
ეს სიგიჟეა! ლანდებს უხმობთ, ამინდს აფუქვებთ!  
ზღვა ისეც ბორგავს, ქარიშხალი მძვინვარებს ავი,  
გემი ტორტმანობს, და თქვენ კიდევ ხიფათს აჩქარებთ,  
უბედურების მაუწყებლად მოსულო ლანდო!

მ გ ზ ა ვ რ ი

ვხედავ, საუბრის გუნებაზე ვერა ხართ ახლა,  
მაგრამ დრო შეცვლის, იმედია, მაგ თქვენს ხასიათს.

(თავს უკრავს თავაზიანად.)

ჩვენ ჩაძირვის დროს კვლავ შევხვდებით, ან იქნებ აღრეც,  
და იმედი მაქვს პასუხს გამცემთ მეტი ხალისით.

(კაიუტაში ჩაძვრება.)

გ უ ნ ტ ი

ზიზლის მომგვრელი ხალხია ეს, სწავლულთა მოდგმა!  
თავისუფალი აზროვნება თქმულა ასეთი?

(ბოცმანს, რომელიც ესაა ამოვიდა.)

ჰეი, ეს ჩემი თანამგზავრი, მითხარ, ძმოზილო,  
რა ფრინველია? საგიჟეთში აგიყვანიათ?

ბოცმანი

მე აქ თქვენს მეტი სხვა მგზავრისა არა ვიცი რა,  
მართო თქვენა ხართ.

გ უ ნ ტ ი

მართო მე ვარ? ეს უარესი!

(იუნგას, რომელიც კაიუტიდან ამოვიდა.)

იქ ვინ ჩავიდა?

ი უ ნ გ ა

გემის ძალლი, ბატონო ჩემო!

(გარბის.)

გ უ შ ა გ ი

(ხმამალა იძახის)

წინ ბრავებია!

გ უ ნ ტ ი

ჩემოდანი ამომიტანეთ!

და ჩემი ყუთი!

ბოცმანი

რასა ბრძანებთ, რა დროს ეგ არის!

გ უ ნ ტ ი

მხოლოდ ვიხუმრე, კაპიტანო! მზადა ვარ მივცე  
კოკსაც და სხვებსაც... მე ვხუმრობდი, ღირსი ვარ ჯოხის.

## კ ა პ ი ტ ა ნ ი

აფრა გახია!

შ ტ უ რ მ ა ნ ი

და შტოკ-ანძაც თან გაიტანა!

ბ ო ც მ ა ნ ი

(წინა მხარეს, ყვირილით)

ცხვორთან ბრავაა!

კ ა პ ი ტ ა ნ ი

გემი იმსხვრევა!

გემი ქვებს ენარცხება. ხმაური, ალიაქოთი.

სანაპირო, რიფებსა და ფურთუნს შორის. გემი იძირება. ნისლში ბუნდოვნად ჩანს პატარა ნავი და ორი მგზავრი. ქარიშხალში მოვარდნილი ტალღა ნავს გადააბრუნებს. ისმის ყვირილი. მცირე ხნით სრული ღუმელია. ბოლოს ნავი გადა-ყირავებული ამოტივტივდება, ძირი მაღლა აქვს, ტალღა აქანავენს.

გ უ ნ ტ ი

გვიშველეთ! ნავი! მოგვეშველეთ! გვიან იქნება!

მიხსენ, უფალო... როგორც ამბობს წმინდა წერილი!

(ნავის კილს ექილება.)

მ ზ ა რ ე უ ლ ი

(მეორე მხარეს ამოცურდა)

მე შინ ცოლ-შვილი მელოდება...

ღმერთო, მიშველე!

(ისიც ნავის კილს ექილება.)

გ უ ნ ტ ი

გაუშვი ხელი!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

შენ გაუშვი!

გ უ ნ ტ ი

გცემ!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

მეც, თუ გინდა!

გ უ ნ ტ ი

მოეშვი, თორემ სასიკვდილოდ გაგიპობ თავსა!  
იცოდე, ნავი ორს ვერ ზიდავს! ერთი მეტია!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

ვიცი! მოეშვი!

გ უ ნ ტ ი

შენ მოეშვი!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

მაშ აბა როგორ!

იმართება ორთაბრძოლა. მზარეული მძლავრად მოქნეულ ხელს ნავინ კიდევ  
დაიშავებს, ხელი უმწეოდ დაეკიდება, მეორე ხელით ნავს ეკიდება.

გ უ ნ ტ ი

ხელი გაუშვი!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

არ გამწირო, ჩემო კეთილო!

მამა ვარ...

გ უ ნ ტ ი

მე კი უნდა გავხდე ჭერ კიდევ მამა,  
და მე სიცოცხლე შენზე ძვირად უნდა მიღირდეს!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

გაუშვი! შენ ხომ გიცხოვრია და მე კი არა!

გ უ ნ ტ ი

მომწყდი! გამშორდი! ჩაიძირე! უფრო მძიმდები.

მ ზ ა რ ე უ ლ ი

ღვთის გულისათვის, მომე ნავი, ჩამომეცალე!  
შენ ხომ არავინ არა გყავს და არავინ გელის!

(ყვირილით უშვებს ხელს ნავის კილს.)

ვიხრჩობი! ჩქარა! მომეშველეთ!

გ უ ნ ტ ი

(ხელს ავლებს თმაში, ასწევს)

მე შეგაკავებ,  
ცოცხლად! ილოცე, მოასწარი „მამაო ჩვენო“...

მ ზ ა რ ე უ ლ ი

მე ერთი სიტყვაც აღარ მახსოვს... ღამდება ჩემთვის...

გ უ ნ ტ ი

ჩქარა, ილოცე, მოასწარი, რაც მთავარია!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

მომეც ჩვენ პური...

გ უ ნ ტ ი

თქვი მთავარი, ეს გამოტოვე,  
პური, რაცა გაქვს, ის გეყოფა შენს სიცოცხლეში!

მ ზ ა რ ე უ ლ ი

მომეც ჩვენ პური არსობისა...

გ უ ნ ტ ი

შენ ისევ ისე...  
ჩანს, მზარეული რომ ხარ შენი დღე და მოსწრება.

(ხელს უშვებს.)

მ ზ ა რ ე უ ლ ი

(იძირება)

მომეცინ...

(ჩაიძირა)

გ უ ნ ტ ი

ამინ! ცხონებულო, კაცი ყოფილხარ,  
რომ სიკვდილამდე გაიტანე შენი „მეობა“.

(ნავს გადააბრუნებს და შიგ ჩაჭდება.)

ყველგან, სადაც კი სიცოცხლეა, იმედიც არის.

უ ც ხ ო მ გ ზ ა ვ რ ი

(მოულოდნელად ამოჰყოფს თავს და ნაეზე ხელს დაადებს)  
დილა მშვიდობის!

გ უ ნ ტ ი

ფუი!

მ გ ზ ა ვ რ ი

მესმა რაღაც ძახილი.

კიდევ კარგია, რომ გიპოვეთ. აბა რას იტყვით?  
მე ხომ მართალი გამოვდექი?

გ უ ნ ტ ი

მომწყდით თავიდან!

ამ ნაეში ერთის ადგილია, ჩამომეცალეთ!

მ გ ზ ა ვ რ ი

მე შემიძლია, რომ ვიცურო მარცხენა ფეხით.

საკმარისია ნავს შეევახო მხოლოდ თითები...

ჰო, სხვათა შორის, გვამის საქმე როგორ იქნება?

გ უ ნ ტ ი

ფუი! გაჩუმდით!

მ გ ზ ა ვ რ ი  
დანარჩენი ხომ ყველაფერი  
წყალმა წაიღო!

გ უ ნ ტ ი  
ჩუმაღ-მეთქი!

მ გ ზ ა ვ რ ი  
როგორც გენებოთ!  
(ღუმილი.)

გ უ ნ ტ ი  
თქვენ რა?

მ გ ზ ა ვ რ ი  
მე ვლუმვარ.

გ უ ნ ტ ი  
ო, წყეულო! რა გინდათ ჩემგან?

მ გ ზ ა ვ რ ი  
მე გელოდებით.

გ უ ნ ტ ი  
(თმას იგლეჯს)  
გავგიჟდები! ვინა ხართ თქვენა?

მ გ ზ ა ვ რ ი  
(თავის ქნევით)  
თქვენი მოკეთე.

გ უ ნ ტ ი  
კიდევ? ჩქარა, ილაპარაკეთ!

მ გ ზ ა ვ რ ი  
ნუთუ არავინ გაგონდებათ, მე რომ მიყურებთ?



## გ უ ნ ტ ი

მხოლოდ ეშმაკი....

### მ გ ზ ა ვ რ ი

(წყნარად)

განა ეშმაკს ასე სჩვევია?  
შიშის შუქს ანთებს ამ ცხოვრების ბნელ ორწოხებში?

## გ უ ნ ტ ი

ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი შიში გაქრება!  
მამ ტქვენ ხართ შუქის მოციქული?

### მ გ ზ ა ვ რ ი

ჩემო კეთილო,  
განა შემთხვევა არ გქონიათ, ექვს თვეში ერთხელ  
თავზარდამცემი, მწველი შიში გამოგეცადათ?

## გ უ ნ ტ ი

შიში, როდესაც საშიშია, ყველას ერევა,  
მაგრამ შენ ფუჭად ასეთ სიტყვას არ დახარჯავდი.  
რადაცას ბურღავ, რომ დამიგო მზაკვრული მახე.

### მ გ ზ ა ვ რ ი

თუ მოიპოვეთ ერთხელ მაინც ტქვენს სიცოცხლეში  
ის გამარჯვება, რასაც შიში გვანიჭებს ხოლმე?

## გ უ ნ ტ ი

(შეჰყურებს)

თუ გადარჩენა გინდოდათ ჩემი,  
ადრე მწვეოდით, ნუგეშის მცემი,  
თორემ ეს რაა? მოდიხართ მაშინ.  
როდესაც ვდგაეარ პირამდე ზღვაში!

## მ გ ზ ა ე რ ი

თქვენა გგონიათ, გამარჯვება უფრო სარწმუნო  
იქნება, თქვენ რომ ახლა თქვენს თბილ ლუმელთან იჯდეთ?

## გ უ ნ ტ ი

ჰო, კარგით, კარგით! თქვენი სიტყვა იკლიკანტური  
უმალ დააბნევს, ვიდრე გახსნის კაცის გონებას...  
მსგავსი ხუმრობით ვერ გადაშლი სულის ხვეულებს.

## მ გ ზ ა ე რ ი

იმ სამეფოში, საიდანაც მე ვარ მოსული,  
პათოსისა და ირონიის აზრი ერთია.

## გ უ ნ ტ ი

ქვეყნად ყველაფერს აქვს თავისი დრო და ადგილი;  
რაც ერსა შეენის, ასე თქმულა, არცხვენს ბერსაო.

## მ გ ზ ა ე რ ი

დღეს რომ ურნებში ისვენებენ, ფერფლად ქცეულნი,  
ფეხზე კოთურნებს არ იცვამდნენ ყოველდღიურად.

## გ უ ნ ტ ი

ჩამომეცალე, საფრთხობელავ! ხელები შორსა!  
არ მსურს სიკვდილი! მე ხმელეთზე მინდა გადასვლა!

## მ გ ზ ა ე რ ი

დამშვიდდი, ჩემო მეგობარო, მე ვიცი საქმე —  
გმირი მეხუთე მოქმედების თავში არ კვდება!

(ქრება)

## გ უ ნ ტ ი

ცბიერმა ლანდმა მაინც გასცა თავისი თავი —  
ერთი საბრალო მორალისტი გამოდგა მხოლოდ.

სოფლის სასაფლაო მაღალ ზეგანზე. გასვენება. მღვდელი და მრევლი  
უკანასკნელი საგალობელი უკვე თქმულია.  
პერ გუნტი გზად გაივლის.

## გუნტი

(სასაფლაოს კიშკართან)

ჩემს რომელიდაც თანასოფლელს მიასვენებენ,  
რომ მიაბარონ საცოდავი სამარის მიწას.  
მოწყალებ უფალს მაღლობა, რომ ეს მე არა ვარ!  
(მედის)

## მღვდელი

(ახალ საფლავზე)

ახლა, როდესაც ნათელ ცაში გაფრინდა სული  
და ძევს ცარიელ ნაჭუჭივით მისი სხეული,  
ვილაპარაკოთ, საყვარელნო მოყვასნო ჩემნო,  
როგორ ეჭირა განსვენებულს ჩვენს შორის თავი.  
არც ჭკუით იყო, არც სიმდიდრით გამორჩეული,  
ხმა არა ჰქონდა ვაჟკაცური და საქციელი,  
იყო ლაჩარი, უთავო და გაუბედავი,  
და ოჯახშიაც ძლივს იტყოდით ოჯახის თავად.  
ღვთის ტაძარშიაც შედიოდა დაშინებული,  
თითქოს ნებართვას ითხოვდაო, მეც მალოცეთო.  
მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლის მკვიდრი არ იყო,  
გუდბრანდსთალიდან ჯერაც ბავშვი შემოგვეხიზნა,  
და გეხსომებათ, სიკვდილამდე მარჯვენა ხელი  
სერთუკის გულის ჯიბიდან არ ამოუღია.  
კაცს რომ მარჯვენა ჯიბეში აქვს, ეს ნიშანია.  
რომ სხვებისაგან თვალსაჩინოდ გამოირჩევა  
დაურთეთ ამას ზედ იმისი ზნე უცნაური,  
განზე დგომისა, სადაც უნდა არ ყოფილიყო...  
მაგრამ, შორს იდგა თუმცა ჩვენგან, სხვა გზა არჩია,  
და ჩვენთვის მუდამ უცხო დარჩა, გულჩახვეული,  
არ დაგრჩებოდით მაინც ალბათ შეუმჩნეველი,  
რომ მხოლოდ ოთხი თითი ჰქონდა მარჯვენა ხელზე.

მე მას ვიცნობდი იმთავითვე, ჯერ კიდევ მაშინ,  
 ომის დროს, როცა გამოცხადდა ლუნდში გაწვევა.  
 საფრთხე იყო და ყველას „ომი“ ეკერა პირზე —  
 მომავლისა და ჩვენი ქვეყნის ბედის ამბავი.  
 მეც იქ ვიყავი. ამტმანსა და სერუანტებს შორის  
 იჯდა ამაყად კაპიტანი გამოქვიშული.  
 ახალწვეულებს აღრიცხავდნენ. როგორც წესია,  
 სინჯავდნენ, ცდიდნენ, აყენებდნენ იქვე რიგებად.  
 ოთახი იყო გაქედილი და კარ-ფანჯრიდან  
 სიცილ-ხუმრობა მოისმოდა ახალგაზრდების.  
 გამოიძახეს მორიგიც და წამოდგა წინა  
 ერთი ქაბუკი, ფერი ეღო მყინვარის თოვლის.  
 იხმეს, მისვლამდე დაემართა საწყალს თავისი.  
 ტილოთი ჰქონდა შეხვეული მარჯვენა ხელი.  
 ხმას ვერ იღებდა, კანკალებდა, სიტყვას ულაპავდა.  
 თუმცა წყევლიდა კაპიტანი, ერთიც ვერა თქვა.  
 ბოლოს მუქარით, დაშინებით მოჰყვა რალაცას,  
 ენის ბორძიკით ამოღერდა ნამგლის ამბავი:  
 ერთხელ მკაშიო, თქვა, ნამგალი მოვიქნიეო  
 და უცაბედად გადამქრაო ეს ცალი თითი.  
 ოთახში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით.  
 ყველა დუმდა და უყურებდა ერთიმეორეს.  
 მზერით ბურღავდნენ გაოგნებულ საბრალო კაცსა.  
 და ისიც გრძნობდა სეტყვას, მაგრამ როდი ხედავდა.  
 ადგა ჰალარა კაპიტანი — დღესაც კი ვხედავ —  
 გადააფურთხა, უთხრა: „წადი!“ — უჩვენა კარი.  
 და ის წავიდა. მიდიოდა, როგორც აჩრდილი.  
 და როგორც აჩრდილს, გზას უთმობდნენ, მწყობრში მიმავალს.  
 კარს მიაღწია, გავარდა და გაიქრა ხევეში,  
 ტყე-ღრეში, მთებში, ფერდობებზე, ფრიალოებზე,  
 ქანცაწყვეტილი მიბარბაცდა ქონის კარებთან.  
 ექვსი თვის შემდეგ ამ ჩვენს სოფელს შემოეხიზნა,  
 თან ახლდა დედა, ჩვილი ბავშვი და დანიშნული,  
 გატეხა ერთი ციციქნა მიწა, ყველასთვის ჯრავი,  
 სადღაც ზევანზე, თქვენც ხომ იცით, ლომბის საზღვარზე,

სახლი აიგო, გაიმართა წელში თანდათან,  
 ცოლი შეირთო, შეებრძოლა მწირ მიწას მარტო,  
 რომ ცოტადენ გამოსადეგ მიწად ექცია.  
 დრო გადიოდა, საქმე წალმა წაიყვანა და  
 წარმატებაზე ამეტყველდა ოქროს თავთავი.  
 მხოლოდ საყდარში დადიოდა, ხელდამალული  
 იდგა კუთხეში, ხოლო შინ კი მისი ცხრა თითი  
 არ მუშაობდა სხვის ათ თითზე ცუდად, მერწმუნეთ.  
 მაგრამ აღიღდა გაზაფხულის ერთ დილას წყალი,  
 სულ წაუღეკა ყანა, ეზო, სახლი და კარი.  
 ძლივს იხსნა თავი და ცოლ-შვილი დაღუპვისაგან,  
 მაგრამ შეუდგა საქმეს ისევ გამრჯე მარჯვენით,  
 და ფოთოლცვენა რომ დაიწყო, სალი კლდის ძირას  
 ისევ ავიდა კვამლის სვეტი მისი ქოხიდან.  
 აქ მას ნაკადი ვერ ავნებდა, მაგრამ სხვა საფრთხე?  
 ორი წლის შემდეგ მისი ქოხი ზეავმა წაუღეკა.  
 არ გაიტეხა მაინც გული, წელში გასწორდა,  
 არ შეუშინდა ზვავს და მეწყერს, ბარი აიღო,  
 ბარავდა, თხრიდა, სხლავდა, ჭრიდა, ნირს არ იტეხდა,  
 ზამთრამდე სახლი წამოქიმა საწყალმა კაცმა.  
 შიგ სამი შვილი ეზრდებოდა, მკვირცხლი ბავშვები,  
 სკოლაში უნდა შეეყვანა, შორს იყო სკოლა.  
 გზა ჰქონდათ ვიწრო, დაკლაკნილი, მეტად დამრეცი,  
 ორ უმცროსს ხელში აიყვანდა, ხოლო უფროსი  
 კარგა ხანს თვითონ მიდიოდა, მერე მშობელი  
 თოქს მოაბამდა და ჩაჰყავდა ფრიალო კლდეზე.  
 ასე დაჰყავდა წლიდან წლამდე, ასე დაზარდა...  
 თუ გაახარეს მოამაგე მამა მშობელი?  
 სამი დიდგული და მდიდარი ნორვეგიელი  
 ამერიკაში უსულგულოდ გადაკარგულა,  
 დაეიწყებიათ მამულიც და მამის ამაგიც.  
 ვიწრო წრე ჰყავდა განსვენებულს — თავისიანთა —  
 და ამ წრის იქით ვერასოდეს ვერას ხედავდა.  
 უცხო ზარის ხმად ჩაესმოდა ყურში სიტყვები,  
 რომლებიც ყველას გულზე ხედება, სიმებს ატოკებს,  
 ხიბლავს, აღელვებს, ჯადოსნური ძალით იტაცებს.

„ხალხი“, „მამული“, „მოქალაქის მოვალეობა“,  
 ეს ძველთაგანვე კურობეული, წმინდა სიტყვები  
 წინ ეშლებოდა, როგორც ფუჭი ნისლის ქულები.  
 მაგრამ რიდით და მოწიწებით გამსკვალულიყო,  
 გაწვევის დღიდან განკიცხული ეგონა თავი,  
 სირცხვილი სწვადა, გადაპკრავდა სიწითლე ღაწვებს,  
 და სულ ჯიბეში ედო ხელი, მარჯვენა ხელი.  
 ბრალი უძლოდა? დაარღვია ქვეყნის კანონი?  
 ჰო, მაგრამ არის რალაც შუქი კანონზე მალდა,  
 როგორც ნათელი ღრუბლის ქულა, განთიადიას  
 ცად აზიდული მთის მწვერვალებს რომ აგვირგვინებს.  
 ის იყო ცუდი მოქალაქე, განზე გამდგარი,  
 სახელმწიფოს და ეკლესიის საქმისთვის ურგი.  
 თავის მთაზე კი, ვიწრო წრეში, ბედს რომ ქსელავდა,  
 ის იყო დიდი, რადგან მხოლოდ თავის თავს ჰგავდა,  
 ჰქონდა მეობა, სიკვდილამდე ერთ კილოს მიჰყვა,  
 ის ხმა ესმოდა შობის დღიდან სიკვდილის დღემდე,  
 როგორც დახშული საოცნებო სალამურის ხმა,  
 და იმ წყნარ ხმაში ვერ ნახავდით ნასახ სიყალბეს...

ამიტომ. ჩუმო მეომარო, მშვიდობა შენდა!

მშვიდობა შენს სულს, უწყინარო მაშვრალო კაცო,  
 რადგან ბოლომდე იდექ მაშვრალ გლებთა რიგებში,  
 მარად და ყველგან რომ მართავენ პატარა ომსა!

ნუ შევეხებით უცხო კაცის გულსა და ტვინსა,  
 ეს საქმე ვანდოთ უზენაესს — მისი ნებაა,  
 და არა ჩვენი, თიხისაგან შექმნილ მოკვდავთა.  
 ჩემი იმედის ვარსკვლავი და გული ეს არის:  
 კაცი, რომელიც დღეს დავმარხეთ, არა მგონია  
 ზეციურ მსაჯულს ხეიბარი წარუდგეს წინა.

დამკრძალავი ხალხი უსიტყვოდ იშლება, საფლავზე რჩება მარტო პერ  
 გუნტი.

გუნტი

აი, ამას კი ვუწოდებდი ქრისტიანობას!  
 აქ არაფერი დაგტანჯავდა, არ შეგზარავდა.

თანაც, რა კარგად იქადაგა ჩვენმა მოძღვარმა  
მთავარი თემა ყველა ჩვენი ქადაგებისა:  
„ბოლომდე მტყიცედ გაიტანე შენი მეობა!“

(სამარეს დასკქროს)

ეს ცხოვრებული, თუ არ ვცდები, სწორედ ის არის,  
ვინც მაშინ ტყეში, ხეს რომ ვკვრიდი, წაიჭრა თითი?  
აბა ვინ იცის? ეს კი ვიცი: აქ რომ არ ვიდგე  
მე ჩემი კვერთხით, სულიერი მოძმის საფლავზე,  
ვიფიქრებდი, რომ მე ჩამმარხეს დღეს ამ მიწაში  
და სიტყვაც მითხრეს ჩემი თხოვნის შესაფერისი.  
მართლაც, წესი გვაქვს ჩინებული ჩვენ. ქრისტიანებს,  
დაკრძალვის დღეს რომ თვალს შევავლებთ და მოვიგონებთ  
განსვენებულის მიწიერი ცხოვრების ამბავს.  
მეც ვისურვებდი მომესმინა განსვენების დღეს  
ჩემი ამბავი ეგზომ კარგი მწყემსის პირიდან.  
თუმც იმედი მაქვს, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის,  
ვიდრე მიმიწვევს მესაფლავე ახალ ბინაზე.  
ჯერ ცოცხალი ვარ. რაც კარგია, სწორედ კარგია,  
როგორც იტყვიან, თავისი დრო აქვსო ყველაფერს!  
წმინდა წერილშიც გვიწერია: „ნუ ითხრი საფლავს!“  
ჰო, როგორ არა, ეკლესიას მზად აქვს ნუგეში!  
აქამდე ამას ვერასოდეს ვერ ვაფასებდი.  
ამ ვასვენების დღიდან უკვე მეცოდინება,  
რარიგ მართალი იყო მცოდნე, სწავლული ხალხი,  
რომელსაც უთქვამს: „რასაც დასთეს, იმას მომკოო“,  
რომ კაცი უნდა კაცი იყოს, ყველგან, ყოველთვის  
მისდინოს სოფელს, არგოს თავს და თავისიანებს,  
დიდს და პატარას... მაშინ თუნდაც ბედმა გიმუხთლოს,  
იტყვიან მაინც, იცხოვრაო კაცმა კაცურად!  
ახლა კი დროა შინ წავიდე! გზა იყოს მრუდე,  
გზა იყოს ვიწრო. მაინც წავალ მე ჩემი გზითა.  
მოხუცი გუნტი არ დაკარგავს თავის მეობას,  
დარჩება ასე: ღარიბი და პატრიოსანი.

(მიღის.)

შთის ფერდობი დამშრალი ნაკადის კალაპოტთან. იქვე წისქვილის ნანგრევებია. სა-  
ძირკველიც გამორღვეული აქვს. ყველგან ნგრევისა და პარტახის კვალია. მალა  
გლეხის დიდი კარმიდამოა.

ეზოში აუქციონი გაუმართავთ. ბლომად ხალხს მოუყრია თავი. ქეიფი და ყაყანია.  
პერ გუნტი ჩაუქრებული ზის წისქვილის ნანგრევებთან, ქვის გროვაზე.

### გუნტი

წინ წახვალ კაცი, უკან წახვალ — მაინც იქვე ხარ,  
შინ შეხვალ კაცი თუ გამოხვალ — ვიწროდ ხარ მაინც.  
უანგი ჭამს რკინას, დრო გვაბერებს, ნაკადი შრება.  
მე, როგორც ვატყობ, აწორი სიტყვა მითხრა იმ მრუდემ:  
შემოუარე შორი გზითო! ასეც ყოფილა!

### მ გ ლ ო ვ ი ა რ ე კ ა ც ი

არა დარჩა რა, უსარგებლო საქონლის გარდა.  
(შენიშნავს პერ გუნტს.)

აქ უცხოც არის? გამარჯობა, კეთილო კაციო!

### გუნტი

შენც გაგიმარჯოს! დროსტარება გქონიათ დღესა,  
ქორწილი არის, ძმობილო, თუ ბავშვის ნათლობა?

### მ გ ლ ო ვ ი ა რ ე კ ა ც ი

უკეთ რომ გითხრათ, დღეს აქ გახლავთ შინ დაბრუნება:  
წევს პატარძალი ზანდღუქში და მატლები ჭამენ.

### გუნტი

აღბათ თვითონაც ტყავს აძრობენ ერთიმეორეს.

### მ გ ლ ო ვ ი ა რ ე კ ა ც ი

სიმღერის ბოლო ასეთია, მორჩა, გათავდა.

### გუნტი

ყველა სიმღერა ასეთია, ასე თავდება.  
ყველა ძველია, სიყრმიდანვე მე ვარ თავდებად.



ოცი წლის ქაბუჯი გლეხი

(ლითონის სადნობი კოვზით ხელში)

ერთი შეხედეთ, რა შევიძინე!  
ამით პერ გუნტი აღნობდა ღილებს.

მეორე

მე კი — ტომსიკა ხურდა ფულისთვის,  
მხოლოდ შილინგი გადამიხდია!

მესამე

მე კი ჩანთისთვის სამი მივეცი,  
მეტს ვინ მისცემდა?

გუნტი

გუნტი-ვინ იყო?

მგლოვიარე

მხოლოდ ის ვიცი, რომ იყო ქვისლი  
სიკვდილისა და ასლაკ-მჭედლისა.

მუქსამოსიანი

მე შენ მივიწყებ! რა მოგივიდა?

მგლოვიარე

შენ კი ჰეგსტადის ჯარგვალს ივიწყებ?

მუქსამოსიანი

დიდი ბედენა არც შენ იყავი!

მგლოვიარე

ის ქალი სიკვდილს გააცურებდა!

მუქსამოსიანი

წავიდეთ, ქვისლო, შევსვათ ქვისლობის!

## მ გ ლ ო ვ ი ა რ ე

ეშმაკი იყოს შენი ქვისლიცა!  
ხომ არ შესტოპე? ვინ არის ქვისლი?

## მ უ ქ ს ა მ ო ს ი ა ნ ი

სისხლი ხომ მაინც წყალზე სქელია!  
მაინც პერ გუნტის ნათესავი ვართ.

(მიპყავს თან მგლოვიარე.)

## გ უ ნ ტ ი

(წყნარად)

აქაც მხედებიან მე ნაცნობები!

## ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი

ასლაკო, ფრთხილად! თუ ისევ დალევ,  
შავ ღღეს დაგაყრის საფლავში დედა!

## გ უ ნ ტ ი

(წამოდგება)

ჩანს, აქ არ მარგებს მეურნის სიბრძნე:  
„მიწას რაც უფრო ღრმად დახნავს კაცი,  
მით უფრო კარგი სუნი დგებო“.

## ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი

(დათვის ტყავი უჭირავს)

დოვრების კატა! შობის ღამეს რომ  
ატეხილ ტროლებს თავზარი დასცა!  
თქვენ ხედავთ მის ტყავს.

## მ ე ო რ ე

(ირმის ყბით ხელში)

ესეც ირემი!

ამას პერ გუნტი დააქენებდა  
გენდინის მთებში.

## მ ე ს ა მ ე

(ჩაქუჩი უპირავს, მგლოვიარე კაცს უყვირის)

ჰეი, ასლაკო!

იციან ჩაქუჩი, რითაც ერთხელ გატეხე შენა  
ნიგოზი, სადაც ჩაამწყვდია გუნტმა ეშმაკი?

მ ე ო თ ხ ე

(ხელცარიელი, მუქსამოსიანს)

მაც მონო, აგერ მოსასხამი უჩინმაჩინის,  
ამით ესტუმრა ერთხელ გუნტი ოთახში ინგრიდს.

გ უ ნ ტ ი

ღვინო დაასხით, ყმაწვილებო! თუმცა დავბერდი,  
მაგრამ მოგიწყობთ აუქციონს ახლა მე თქვენა!

ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი

აბა, რას ყიდი?

გ უ ნ ტ ი

სასახლე მაქვს რონდში მაღალი,  
აქვს საძირკველი და კედლები პიტალო კლდისა.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი

მე ამ ლილს მოგცემ. მეტს ვინ იხდის?

გ უ ნ ტ ი

გრცხვენოდეს, ბიჭო!  
ეს ღვინო მაინც ჩამოგესხა! ღირს ერთ სასმისად!

მ ე ო რ ე

რა მხიარული მოხუცია! სხვა, კიდეც რა გაქვს?  
(გუნტის გარშემო მთელი ბრბო იყრის თავს.)

გ უ ნ ტ ი

(ხმამალა)

შავრა ცხენი მყავს ქედფიცხელი!

ე რ თ-ე რ თ ი

(ბრბოლან)

სად არის, მერე?

გ უ ნ ტ ი

სად უნდა იყოს? დასავლეთში! სადაც მზე ჩადის!  
ჩემი მერანი ქარიშხალზე უფრო სწრაფია,  
მასავით სწრაფად თვით პერ გუნტი ვერ იცრუებდა!

ხ მ ე ბ ი

კიდევ რას გვეტყვი?

გ უ ნ ტ ი

უთვალავი თვალ-მარგალიტი!  
ძვირად ნაყიდი! მაგრამ ვყიდი უფრო იათად.  
იქნება რამე მოგებაო? არა მგონია.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი

მერე, მოხუცო, კიდევ რა გაქვს?

გ უ ნ ტ ი

ოცნება წიგნზე,  
რასაც ექნება მოციმციმე ვერცხლის საკეტი.  
ლილისთვის დავთმობ.

ყ მ ა წ ვ ი ლ ი

მე ოცნება რა ჭირად მინდა!

გ უ ნ ტ ი

ჩემი სამეფო! გადავისვრი ამ ხალხში ახლა,  
ვინ არის მარჯვე? დაიჭირეთ!

ყ მ ა წ ე ი ლ ი

გვირგვინიც არის?

გ უ ნ ტ ი

ძვირფასი ჩალის! დაგშვენდება ასეც და ისეც.  
კიდევ აი, რა: ქარის კვერცხები, ყბედი, რჩეული!  
გიყის ჭადარა! წვერ-ულვაში მოციქულისა!  
მთელს ამ სიმდიდრეს ვუფეშქაშებ, ვინც სვეტს მიჩვენებს  
და მეტყვის ბრძენკაცს: ქეშმარიტი გზა ეს არისო!

ა მ ტ მ ა ნ ი

(ახლა მოახლოვდა)

თუ კიდევ დიდხანს იყბედებ ასე,  
მე დაგაყენებ ტუსალის გზაზე.

გ უ ნ ტ ი

(ჭულს უხლის)

ეს ადვილია, მეგობარო, მაგრამ ვერ მეთყვიო,  
ვინ იყო გუნტი?

ა მ ტ მ ა ნ ი

შენ გინდა, რომ...

გ უ ნ ტ ი

რატომაც არა?

ა მ ტ მ ა ნ ი

ვიღაც თავხედი პოეტიო, აბა რა ვიცი!

გ უ ნ ტ ი

რატომ თავხედი? პოეტიო?

ა მ ტ მ ა ნ ი

ჰო, მეოცნებე!

რაც რამ დიადი, საკვირველი ხლებოდა ქვეყნად,

თურმე თავის თავს მიაწერდა, მე შემემთხვაო!  
მაგრამ, ძმობილო, დრო არა მაქვს ამდენ ყბედობის.  
უნდა წავიდე.

(მიდის.)

გ უ ნ ტ ი

ის უქნარა ახლა სად არის?

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი

წავიდა უცხო ქვეყანაში, ზღვების გადაღმა.  
ეტყობა, იქაც საქმე წალმა ვერ წაიყვანა. —  
დიდი ხანია, დაიჭირეს, ძელზე დაჰკიდეს.

გ უ ნ ტ ი

ძელზე დაჰკიდეს? სწორედ ასე ვფიქრობდი მეცა!  
საბრალო გუნტი! არ უმუხთლა თავის მეობას!

(თავის დაკერით.)

კარგად იყავით! და მადლობა ყველაფრსათვის!

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, მობრუნდება.)

როგორ მიბრძანებთ? ვაჟკაცებო, ქალიშვილებო,  
მადლობის ნიშნად ხომ არ გითხრათ ერთი ამბავი?

ხ მ ე ბ ი

იცი რაიმე?

გ უ ნ ტ ი

ჰე, ბიჭებო! ვიცი და აგრე?

(უახლოვდება. სახეზე რალაც უცხო გამომეტყველება აქვს.)

სან ფრანცისკოში ვთხრიდი მიწას, ვეძებდი ოქროს,  
ტაკიმასხრებით სავსე იყო მთელი ქალაქი.

ერთი უკრავდა ვიოლინოს ფეხის თითებით,  
სხვა ასრულებდა დაჩოქილი ესპანურ ცეკვას,  
მესამე კიდევ ლექსებს წერდა გულდამშვიდებით,  
როდესაც ტვინში უმოწყალოდ უყრიდნენ ნემსებს.

ჰოდა, იქ ერთხელ გამოცხადდა ქაჯი, ეშმაკი,  
 სურდა სხვებივით ეშმაკობით ეცადა ბედი.  
 მისი ოინი უცხო იყო და უცნაური:  
 ნამდვილი გოქის ხმით შეეძლო ყმაწვილს ჭყვივლი.  
 ცნობით არავინ არ იცნობდა, მაგრამ ისე კი  
 შესახედავად შესამჩნევი იყო ყმაწვილი.  
 სახლი აივსო, მოუთმენლად ელოდა ყველა.  
 წინ გამოვიდა, მოსასხამი მოესხა ფართო,  
 Man muss sich drapieren, რომ იტყვიან გერმანელები.  
 მოსასხამის ქვეშ შეუმჩნეველად და დაფარულად  
 გოქი ჰყოლოდა ეშმაკს გულში ჩახუტებულნი.  
 ასე დაიწყო წარმოდგენა. ეშმაკი ჩქმეტდა,  
 ღორი ჭყიოდა, ღრუტუნებდა, აძლევდა პასუხს,  
 უდასტურებდა ყოველივეს, რასაც ყმაწვილი  
 ხალხს მოუთხრობდა ღორისა და გოქის საქმეზე.  
 იყო ჭყვივლი, საღორეში გვეგონა თავი.  
 ბოლოს იჭყივლა ერთხელ კიდევ, თითქოს კლავენო,  
 თავი დაუკრა ჯადოსანმა ხალხს და წავიდა...  
 ახლა დაიწყო მცოდნე ხალხმა სჯა და ბაასი:  
 ზოგმა ეშმაკის ოსტატობა მოიწონა და  
 ზოგმა სიცილი დააყარა და დაიწუნა.  
 კუნცი ამბობდა: მეტისმეტად წვრილად ჭყვივსო,  
 ჰანცი დავობდა: ყალბი იყო დაკვლის სცენაო.  
 ყველა კი ერთხმად ამტკიცებდა: ღორის ღრუტუნნი  
 გააზვიადა, მეტისმეტად დაწვრილმანდაო!  
 ასე დაფასდა ვირეშმაკი — ახია მასზე!  
 უნდა სცოდნოდა, რა ხალხთანაც ჰქონდა მას საქმე!

(ისევ თავს უკრავს და მიდის.)

(ხალხი ღუმს. ვერაფერი გაუგიათ.)

უსიერ ტყეში. სამების საღამო. მოშორებით, ტყის ნაკაფში, ქოხი დგას. კარებზე  
 ირმის რქებია გაკრული. პერ გუნტი ხეებს შორის დაძვრება, გარეულ ხახვს  
 აგროვებს.

## გ უ ნ ტ ი

ესეც მორიგი სადგურია. ხვალ რა იქნება?

სულ ვარჩევ, ვარჩევ და უკეთესს შევარჩევ ბოლოს!

მალა დავიწყე, კეისრიდან. ძირს დავასრულე,  
ბალახისმკამელ მეფე ნაბუქოდონოსორთან.  
გზა ბიბლიური გავიარე ასე ბოლომდე.  
და დავუბრუნდი დედის კალთას კალარა თავით.  
ფუჰად არ თქმულა, მიწა ხარო, მიწის შეილიო,  
ამ ცხოვრებაში მთავარია მუცლის აესება,  
მაგრამ რით? ხახვით? ვერაფერი ბედაა სწორედ!  
ჯობს ვიეშმაყო, მახეები დავავო ტყეში.  
აქვეა წყარო, ვიცი, წყალი არ დამაკლდება.  
და არც საკმელი — მტაცებელთა შორის მტაცებელს.  
ხოლო როდესაც დამიდგება სიკვდილის წუთი, —  
ვიცი, ოდესმე ასეთ ხიფათს ვერ გავექცევი, —  
ჩავძვრები სადმე წაქცეული ხის ქვეშ. ტოტებში,  
და ხმელ ფოთლებში დათვის მსგავსად მოვიკალათებ.  
იქვე, ხის ქერქზე თვით წავაწერ: „აქ წევს პერ გუნტი,  
პატიოსნებით საესე კაცი, არსთა ხელმწიფე“...  
ხელმწიფე? ისევ? ჩემი საქმე გასაკვირია!

(იციინის თავისთვის.)

ვერ მომიშლია ძველ ბაქიას ცრუპენტელობა!  
რისი ხელმწიფე? შენ ხახვი ხარ, მეფე კი არა!  
ახლა მე გაგფცქენი, ჩემო პერო, გაგაცლი კანსა,  
გინდა იხტუნო, გინდა ცრემლი იდინო შენა!

(ერთ თავ ხახვს იღებს და ფურცელ-ფურცელ ფცქენის, თან ლა-  
პარაკობს.)

აი, სულ ზედა, დაძონძილი ხმელი სამოსი —  
გემი დაგემსხვრა, ძლივს გადარჩი ცოცხალი, პერო!  
ეს თხელი კანი სუსტია და აქვს ცოტა წვენი,  
მაგრამ მას უკვე დაჰკრავს ცოტა პერ გუნტის გემო.  
ეს ოქროს ეძებს, ჩემი მება... მომწყდის, მომცილდის! —  
წვენი სულ აღარ შერჩენია — უწინ კი ჰქონდა!  
ეს სქელი ფენა, გამხმარი და ორმაგი თავით —  
ჰუდსონის ყურის პირას ბეწვზე მონადირეა.  
ქვემოთ ფურცელი ჯილოსანი — რა გვირგვინია! —



სიტყვად არა ღირს! დავაყაროთ მხოლოდ სიცილი!  
ეს ფურცეწია ძველი ღროის მკაცრი მკვლევარი,  
ეს კი წინასწარმეტყველია, მტკნარი და ლალი,  
აყროლებულა სიცრუითა, როგორც იტყვიან,  
და ისე ტყუის, პატიოსან კაცს თუ მოხვდება,  
შხამივით დასწვავს, ცხარე კურცხალს დააყრვევინებს.  
ეს ფურცელი კი, აგერ თბილად რომ მიყუყულა  
და გეწებება ხელზე რბილად — ის ბატონია,  
ვინც უზრუნველად მოიქამა წუთისოფელი..  
ფერი წასვლია მორიგ ფურცელს, შავარშიიანს.  
ავადმყოფია, როგორც ვატყობ, და მომავონებს  
ბედშავ ზანგებსა და აფრიკის მისიონერებს.

(რამდენიმე ფურცელს ერთად აცლის.)

რომ არ მოთავდა! აცლი, აცლი, მაინც მთელია!  
ნეტავ, ოდესმე გამოჩნდება ამ ხახვის გული?

(ყველა ფურცელს მოაგლეჯს.)

აი, ჩავედი გულის გულში! ერთი შეხედეთ!  
მხოლოდ ფურცლები! სიფრიფანა, პატარ-პატარა...  
ო, რა გონებამახვილია დედა-ბუნება!

(ნარჩენებს გადაყრის.)

ტვინის ჰყლეთაა! აქ ეშმაკიც თავს ვერ გაართმევს!  
მით უფრო კაცი — დაფიქრდება, ცუდად გახდება!  
თუმცა რას ვდარდობ, ბედს ვერაფერს დავემღურები—  
მე მაგრად ვდგავარ ნიადაგზე ოთხივე ფეხით.

(კეფას იფხანს.)

გასაოცარი რამე კია წუთისოფელი!  
ყურს უკან მელა ჰყავსო ყველას, როგორც იტყვიან,  
ის კულამელა ჩახურჩულებს, ეშმაკის კერძი.  
ხიბლავს, აქეზებს, ჩააგონებს ის მატრებაში,  
ადამიანიც გაბრიყვდება, გაიწვდის ხელსა,  
და ვერ მოგართევს! სულ სხვა რამე შერჩება ხელში,  
ანდა ჰაერი...

(თავისდა შეუმჩნეველად ქობს უახლოვდება, და რომ შენიშნავს, გაოცებისაგან  
გონს მოეგება)

ეს რაღაა? ქოხი? ამ ტყეში?

(თვალეხს იფშენეტს)

ასე მგონია, ეს ადგილი თითქოს მინახავს,  
კარზე გაკრული ირმის თავიც აღდგა ხსოვნაში...  
ქალთევზას სახე, სახურავზე რომ აღმართულა...  
სულ მიქარვია! სად ქალთევზა, სად ძელ-ლურსმნები  
და კლიტე, რომ შიგ ვერ შევიდეს ეშმაკეული!

სო ლ ე ე გ ი

(ქოხში მღერის)

აგერ, სამეზაც! შეგეწიოს სამების მადლი!  
მე გაგიშადა ყველაფერი, ჩემო ყმაწვილო!  
გელოდი, გელი, დღე დღეს მისდევს, წლებს ველარ დაეთელი,  
მარტოხელა ხარ, მინდა ბედი გაგინაწილო.  
ვიცი, შორსაა მძიმე გზა შენი,  
არ გაიკარო შიში და სენი!  
ფრთხილად იარე, გზა გიძევს ძნელი, —  
როგორც დაგპირდი, გელოდი, გელი!

გ უ ნ ტ ი

(ნელა, წყნარად წაშიშართება, სიკედლის ფერი ადევს)

ქალმა ფიცი გაიტანა — დაივიწყა კაცმა!  
კაცმა ფლანგა და ელოდა ქალი გულისცემით!  
პოი, ბედო, რომ შემეძლოს წელთა ახლად აცმა!  
პოი, შიშო! სადა მდგარა თურმე ტახტი ჩემი!  
(უკუიქცევა, ტყის ბილიკის გაყოლებით გარბის.)

ლამე. ფიქვნარი, ხანძრით გაპარტახებული ტყე. აქ-იქ გატიტვლებული გატრუსუ-  
ლი ხეები ასეტილან. ნახანძრალზე ნისლებია. პერ გ უ ნ ტ ი ფიქვნარში გა-  
მორბის.

გ უ ნ ტ ი

ფერფლი, ნისლი და ღრუბელი მტერისა, —  
მოიქნიე, მშენებელო, კვერთხი!  
ჭირის კვამლი ასდის მიწის პირსა,

და მთელი ტყე — სამარეა ერთი!

საძირკველს დგამს მკვდრად შობილი ცოდნა.  
ცრუ ოცნების კვამლი უვლის გარსა,  
ზედ სიცრუის კოშკს აშენებს ცოდვა,  
ბრალი აწყობს კიბის ქვაზე ქვასა.

ზედ ფარს აკრავს ღრმა აზრების წვდომის  
და ცოდვების მონანების შიში,  
მშენებელი, შვილი კაცთა ტომის,  
თავხედურად აქეს კოშკის ჩრდილში,

და კითხულობს ზედ წარწერას გუნდი:  
„მშენებელი — დიდი მეფე გუნტი!“

(უურდაცქვეტილი.)

ეს რა ხმებია? ყრმები ტირიან?  
გზას რა ლანდებმა გადაუარა?  
რა გორგლებია, თუ რა ქირია?

(ფეხსა ჰკრავს ხლართებს)

ჰეი, დამიცილით ამ გზას თუ არა?

გორგლები

(მიწაზე)

შენი ფიქრები ვართ, შენი აზრები ვართ,  
სიღრმე არ მოგვეცი, ხალხში არ გაგვიშვი,  
მზეს ვერ ვღირსებთ ვართ, და ბედასლები ვართ,  
გორგლებად ვიქეციით და თავი ავიშვიით.

გუნტი

(ცდილობს შემოუაროს)

მე გავაჩინე ერთი რჩეული,  
ისიც გამოდგა ფეხმოქცეული.

გორგლები

ჩვენ ვისურვებდით, ფრინველთა მსგავსად,  
ლაქვარდ სივრცეში შენავარდებას,  
და ვებლანდებით ფეხებში მგზავრსა —  
ფრთებს მოკლებული მტვერში ვარდება!

## გუნტი

(გორგალს წამოდო, წაბორძიკდა)

ხლართო, რეგვენო! რას სჩადი ამას!  
სარმა გამოსდე საკუთარ მამას?

(გარბის)

გამხმარი ფოთლები

(ქარი მოაქროლებს)

ჩვენ ვართ შენი ლოზუნგები,  
შენ გელოდით მუდამ მხოლოდ,  
ძილში გავხმით და ურგები  
ქარს მივეყვებით უთაებლოდ.  
გეჭამდა ჭია, ცეცხლი უნდო...  
ვინ მოგვწყვიტა, ვინ გვინება?  
სად გვადირსე გაზრდა, გუნტო,  
ნათელ საქმის გვირგვინებად!

## გუნტი

თავს ნუ იკლავთ აღმოდებით —  
სასუქად ხომ გამოდგებით!

შრიალი სივრცეში

ჩვენ ვართ შენი სიმღერები —  
თუ გვიმღერე ერთხელ თუნდაც?  
შენს ბაგეზე ვიცრემლებით,  
გვიშორებ და გეტანჯავ მუდამ.  
ვერ დავატკბეთ კაცის სმენა,  
გულს გვიწმობდი საძაგელი!  
გელოდით და აღარ გელით —  
ჭირი შენ და შხამი შენა!

## გუნტი

შხამი შენა! რასა ბოდავთ?  
სიმღერის დრო სადა მქონდა!

(ბუჩქნარში შევარდება)

## ც ვ ა რ - ნ ა შ ი

(ფოთლებიდან მოწვეთავს)

ცრემლები ვართ, კურცხლები ვართ,  
გავაღლობდით ზამთრის ყინულს,  
მაგრამ ჩვენ არ ვუფრქვევივართ  
შენს უწყალო გულს ჩაკირულს!  
გაგიქვავდა დღეს შენც გული,  
შველას ითხოვ, დაგვაღონე,  
მაგრამ ჩვენ ვართ ხელშეკრული,  
ალარა გვაქვს დახსნის ღონე.

## გ უ ნ ტ ი

ცრემლებიო! არ ვიტირე  
ღოვრის პაპის ქვაბში?  
მხოლოდ თავი დავიმცირე —  
ძლივს გადავრჩი მაშინ!

## გ ა დ ა ტ ე ხ ი ლ ი ჩ ა ლ ის დ ე რ ო ე ბ ი

ჩვენ ვართ შენი საქმეები —  
გააკეთე ერთიც განა?  
წელში ვწყდებით აქ ვაებით,  
ტოლ-სწორები ზეზე დგანან!  
განკითხვის დღეს მოვალთ ყველა,  
ჩვენი საქმე გადაწყდება —  
გადატყდება ჩვენი წყევლა  
და სასჯელი არ აგცდება.

## გ უ ნ ტ ი

წყეულნო, თქვენი სამართალი როგორღა ვაქო?  
რაც არ მიქნია, იმისთვისაც პასუხი ვაგო?

(სირბილით გაერიდება)

## ოსეს ხმა

(შორიდან)

ფუი, რა მრუდედ მიგყავს მარხილი!  
თოვლში დამაგდე, ხომ, შე ოხერო!  
შენ რომ შემინთე გულში სახმილი,  
დღესაც მამბრაზებს... ოჰ, პერო, პერო!  
გზას ამცდარი ხარ, ვიცი და ვხედავ!  
ტახტს რომ დამპირდი, ვინ გამახარა?  
ეშმაქს აჰყევი, დატოვე დედა,  
დარჩი ბოლომდე ტაკიმასხარა.

## გ უ ნ ტ ი

უნდა გავიქცე! წელში გამწყვეტეს!  
ჯერ ჩემი ცოდვის ჭაპანი ვკომე,  
ეშმაქის ცოდვაც თუ მე ამკიდეს,  
ერთი კაცისთვის იქნება მძიმე!

(მოკუერცხლავს)

სხვა ადგილი იმავე ტყეში.

## გ უ ნ ტ ი

(მღერის)

მესაფლავევ! მესაფლავევ! სად წასულხართ, წუპაკებო?  
მედავითნევე, დიაკონო, თქვენც იბლავლეთ, მსუნაგებო!  
ქუღზე ძაძა დამიკერეთ, მივცეთ მიწას ვნებულები —  
მე მოვდივარ, რომ დაემარხო ჩემი მიცვალებულები!

განზე გაკომული ბილიკიდან პერ გუნტის შესახვედრად გამოდის მ ე ლ ი ლ ე,  
ხელში ლითონის ჩამოსასხმელი კოვზი და ხელსაწყოებით სავსე ყუთი უპირავს.

## მ ე ლ ი ლ ე

აქა მწვიდობა, ბერიკაცო!

გ უ ნ ტ ი

მშვიდობა შენცა!

მ ე ლ ი ლ ე

მგონი, ჩქარობდით? საით მიხვალთ?

გ უ ნ ტ ი

სასაფლაოზე.

მ ე ლ ი ლ ე

სასაფლაოზე? მომიტევეთ, თვალი მღალატობს...  
თუ არ მეშლება, პერ გუნტია თქვენი სახელი?

გ უ ნ ტ ი

ასე ამბობენ.

მ ე ლ ი ლ ე

მიხარია, ბედი მქონია!

პერ გუნტი! სწორედ თქვენთანა ვარ გამოგზავნილი.

გ უ ნ ტ ი

გამოგზავნილი? მერე, რისთვის?

მ ე ლ ი ლ ე

(სადნობ კოვზს უჩვენებს)

რისთვის იქნება?

ეს ხომ დილეების ყალიბია? შიგ უნდა ჩაძვრეთ.

გ უ ნ ტ ი

სად, კოვზში?

მ ე ლ ი ლ ე

უნდა გადაგადნოთ.

გ უ ნ ტ ი

გადამადნოთ?

## მ ე ლ ი ლ ე

ნუ იმანკები! გათხრილია უკვე სამარე,  
კუბოც მზად არი, ქიებს არგებს შენი სხეული,  
ხოლო სული კი, ასე ბრძანა ჩემმა ბატონმა,  
მისი სახელით წილხვდომილი იქნება ჩემი.

## გ უ ნ ტ ი

მიჰქარავ! ჩემთვის ჯერ არავის უცნობებია.  
მეტისმეტია!

## მ ე ლ ი ლ ე

ასე მოდის დასაბამიდან:  
დაბადებისა და სიკვდილის დღე საზეიმო  
სტუმარს წინასწარ არასოდეს არ ეცნობება.

## გ უ ნ ტ ი

ეს მართალია! თითქოს თავში ჩარხი ტრიალებს.  
მაშ შენ ხარ...

## მ ე ლ ი ლ ე

მელილე ვარ, უკვე გითხარი.

## გ უ ნ ტ ი

მესმის! რჩეულ შეილს აქვს სხვადასხვა ზედწოდებანი.  
მაშ ასე, პერო, ნავსადგურში მოვსულვართ კიდევ!  
მაგრამ, ძმობილო, გმართებს მეტი პატიოსნება!  
იცოდეთ, მე ვარ უკეთესი მოპყრობის ღირსი,  
არც ისე ავი, როგორც ალბათ თქვენა გგონიათ.  
ბევრი სიკეთეც მითესია დედამიწაზე.  
უმაღ მზადა ვარ ვირი ვიყო, ვიდრე ცოდვილი —  
ოინებისთვის ნუთუ შენი კოვზი მეკუთვნის?

## მ ე ლ ი ლ ე

საქმეც ეგ არის, საკუთარი პირით არ ამბობ?  
დიდი ცოდვილი შენ არა ხარ, მაღალი რანგის,



სწორედ ამიტომ აგცილდება ჯოჯოხეთი და  
მხოლოდ ჩემს კოვზში გადადნები, მრავალთა მსგავსად.

### გ უ ნ ტ ი

გინდ ჯოჯოხეთი იყოს, გინდა ციციხე და ცეცხლი,  
კლდე მოიმზღლევა თუ მეწყერი, ჩემთვის ერთია.  
გაქრი, ეშმაკო! უკეთურო, განვედი ჩემგან!

### მ ე ღ ი ლ ე

ეშმაკი? ნურას უკაცრავად! ხომ არ გგონია,  
ფეხების ნაცვლად ფლოქვები მაქვს, მსგავსად ცხენისა?

### გ უ ნ ტ ი

ცხენის ფლოქვები გასხია თუ მელის კლანჭები,  
გულა-ნაბადი აიკარი, გაქრი, გამშორდი  
და მიფრთხილდი, რომ კიდევ არსად გადამეყარო!

### მ ე ღ ი ლ ე

ჩემო ძვირფასო, რომ იცოდე. ცოტა გეშლება.  
არც მე მცალია სახუმაროდ, არც შენ გცალია,  
და რომ ბევრი დრო არ დავკარგოთ, აგიხსნი საქმეს.  
აგერ, შენ თვითონ აღიარე, დიდი ცოდვილი  
მე არა ვარო, მაგრამ არცთუ ისე პატარა,  
და ვერც მიგათელის საშუალო ცოდვილებს კაცი.

### გ უ ნ ტ ი

ეს შეიძლება უფრო ახლოს იყოს ჭკუასთან!

### მ ე ღ ი ლ ე

მაგრამ კაცმა რომ ქველმოქმედი გიწოდოს შენა,  
ესეც ზედმეტი სითამამე გამოვა, მგონი.

### გ უ ნ ტ ი

ვინ სულელია, რომ იხუმროს ასე თამამად?

## მ ე ლ ი ლ ე

შენა ხარ რაღაც — ნახევრად ეს, ნახევრად ისა.  
ნამდვილი, დიდი გაქანების ცოდვილს ჩვენს დროში,  
სიმართლე ითქვას, იშვიათად შეხვდება კაცი.  
უბრალოდ ლაფში ხელის რევა — ეს წვრილმანია,  
ნამდვილი ცოდვა, მძიმე ცოდვა რომ ჩაიღინო,  
კაცს უნდა გქონდეს ნებისყოფა, ურყევი ძალა.

## გ უ ნ ტ ი

შენ მართალს ამბობ, დამიფაროს განგების ძალამ!  
ამას ურჯუი ბერზერკერი ჩაიღენს მარტო.

## მ ე ლ ი ლ ე

შენ კი სცოდავდი, მეგობარო, ცოტა მსუბუქად,  
არ იმძიმებდი სინდისს დიდი ცოდვა-ბრალითა.

## გ უ ნ ტ ი

ისე, ზერელედ: მცირე ცოდვა ლაფის წვეთია,  
ჩამოიფერთხავ და ხელახლა განიწმინდები.

## მ ე ლ ი ლ ე

ჰოდა, შევთანხმდით! აკი ერთი აზრი გვქონია!  
გეენის ცეცხლი არ ანთია, ხომ ხედავ, შენთვის,  
არც მათთვის, ოღნავ რომ დასვრილან ლაფში შენსავეთ.

## გ უ ნ ტ ი

მაშ შემიწყალე, შემიძლია ჩემს გზას ვეწიო?

## მ ე ლ ი ლ ე

არა, მე უნდა გადავადნო, გადასხვაფერდე.

## გ უ ნ ტ ი

ეს რა გიჟური კანონ-წესი შემოგიღიათ,  
ვიდრე პერ გუნტი სხვაგან იყო, უცხო მხარეში!

## მ ე ლ ი ლ ე

ეს კანონ-წესი ძველი გახლავს, ადამის უამის,  
იმდროინდელი, როცა გველი გაჩნდა პირველად,  
და მისთვის არის, რომ მასალა ფუჭად არ წახდეს.  
ხელოსნის საქმე შენც ხომ გესმის — ხანდახან მარცხად  
მოდრეცილ საგანს ჩამოასხამს, უშნოს, უვარგისს,  
აი, ვთქვათ, ღილი ჩამოასხი, არა აქვს ხვრელი.  
შენ რას უზამდი ასეთ ღილსა?

## გ უ ნ ტ ი

გადავაგდებდი.

## მ ე ლ ი ლ ე

მჯერა! იტყვიან, მამა ნახე, დედა ნახეო...  
გადაგდებაში მარჯვე იყო იონ გუნტიცა,  
ვიდრე გააჩნდა ოქროები გადასაყრელი,  
მაგრამ ოსტატი სხვანაირად იქცევა ხოლმე  
და ამიტომაც მისი საქმე მტკიცეა მუდამ:  
გადაყრით იგი არ გადაყრის ისეთს არაფერს,  
რაც შეიძლება გამოადგეს ისევ მასალად.  
შენ შეამკობდი ძვირფას ყილეტს, კოხტა ღილ-კილო,  
მაგრამ აგაწყდა ძაფის ყური და დაიკარგა,  
მეც ახლად უნდა გადაგადნო, გაგიშვა ხალხში.

## გ უ ნ ტ ი

გინდა შეიპყრო, ვინც პირველად მოგყვება ხელში  
და გადაგვადნო ერთად, როგორც პეტრე და პავლე?

## მ ე ლ ი ლ ე

აი, ამნაირ შენადნობზე ვფიქრობდი სწორედ,  
ასეთი ხვედრი გელით არა ერთსა და ორსა,  
ზარაფხანაშიც ასე ჰკრიან ახალ ფულს ხოლმე:  
ერთად ჩაყრიან და აღნობენ გაცვეთილ ლითონს.

## გ უ ნ ტ ი

ეს ხომ წვრილმანი, ჩხირკედელა კაცის საქმეა!

გამიშვი ჩემთვის, მეგობარო უძვირფასესო.  
ერთი უყურო ღილია თუ ძველი ჰელერი,  
რა ბედენაა შენი დიდი ბატონისათვის!

### მ ე ლ ი ლ ე

იყოს, ძმობილო, ფულიც ძველი, ღილიც უყურო —  
რაც უნდა იყოს, ლითონს ადევს თავისი ფასი.  
უნდა გადადნეს...

### გ უ ნ ტ ი

არასოდეს! არ მინდა, არა!  
მე კბილებითა და ფრჩხილებით დავიცავ თავსა!  
რაც გნებავს, მხოლოდ გადადნობის ნებას არ მოგცემ!

### მ ე ლ ი ლ ე

რა ვქნა, რა გიყო, რომ ციური სასუფევლისთვის  
ხარ მეტად მძიმე და საშვი კი არ გაგაჩნია?

### გ უ ნ ტ ი

არაფერია, მცირედითაც ვკმაყოფილდები,  
მე ჩემი თავი დიდი ვინმე არა მგონია.  
დამსაჯეთ ისევ მიწიერი, ძველი კანონით.  
გამგზავნეთ თუნდაც ასი წლითა იმასთან, ვისაც  
აქვს სურათებში კუდი, რქები, ცხენის ფლოქვები.  
არაფერია, ასეთ სასჯელს ავიტან კიდევ.  
რაც უნდა იყოს, მორალური სასჯელი ჰქვია,  
არა მტანჯველი, ხორციელი, „პირამიდული“.  
გარდამავალი საფეხური იქნება მხოლოდ,  
როგორც მელამ თქვა, როცა თურმე აძრობდნენ ტყავსა;  
იქნები შენთვის, ისულდგმულებ რაღაც იმედით,  
ადრე თუ გვიან დაბრუნდები სასჯელმოხდელი,  
დაიწყებ შენი ბედის ძებნას ისევ თავიდან,  
თორემ ეს... დადნე, გაქრე, როგორც თიხის ნატეხი,  
შეადნე სხვასა, ღმერთმა იცის, რომელს და ვისა,  
ციცხვში ჩაგასხან, გაქრეს ქვეყნად შენი მეობა,

დაკარგო გუნტმა შენი სახე, ფასი და წონა, —  
არა, მე ასეთ გარდასახვას, არ ვცნობ კი არა,  
დავგმობ, უარვყოფ, უკუვბრუნებ მთელი არსებით.

### მ ე ღ ი ლ ე

მაგრამ რა მოხდა საიმისო, ძვირფასო პერო?  
თავს რისთვის იკლავ, ეს ამბავი რისთვის ატეხე?  
შენ ხომ არასდროს არ გქონია შენი მეობა,  
აღსასრულის წინ გადადნობა რად შეიცხადე?

### გ უ ნ ტ ი

რაო? არასდროს არ მქონია ჩემი მეობა?  
ოჰო, პერ გუნტი არ ყოფილა ის, რაც ის არის?  
ეჰ, მეფოლაქევე, რა ზერელე განსჯა გქონია!  
გადმოაბრუნე ჩემი გული, ჭიგარი, ტვინი,  
შენ შიგ ვერაფერს ვერ იპოვნე, პერ გუნტის გარდა.  
პერი და პერი, სხვა არავინ და არაფერი!

### მ ე ღ ი ლ ე

ვერ დავიჯერებ. მე ასეთი ბრძანება მომცეს:  
„წადი, მონახე პეტერ გუნტი, და მისი სული,  
რაც არასოდეს არ ყოფილა ის, რადაც შექმნეს,  
სხეულთან ერთად შენი ციცხვით გადაადნეო!“

### გ უ ნ ტ ი

ნეტა, რას როშავ, იქნებ სწორად ვერ წაიკითხე?  
მართლა პერია? თუ რაზმუსი? იქნებ იონი?

### მ ე ღ ი ლ ე

დიდი ხანია გადავადნე უკვე ყველანი,  
გეყოფა, პერო, თვალთმაქცობა, წამოღი ნებით!

### გ უ ნ ტ ი

შტერა ვიქნები! არც იფიქრო! გავიხედოთ და  
ხვალ გამოირკვა, რომ შეცდომა მოგსვლია დიდი?

პასუხისგება მოგიხდება უფლის წინაშე  
და ნახე, რა დღე დაგადგება, კეთილო კაცო!

მ ე ღ ი ლ ე

ავერ წერია!

გ უ ნ ტ ი

მაშ მომეცი ვადა მაინცა!

მ ე ღ ი ლ ე

ვადა რად გინდა?

გ უ ნ ტ ი

მსურს დაგიმტკიცო,  
რომ არასოდეს დამიკარგავს ჩემი მეობა,  
მე მე ვარ, და ეს არის ჩვენი დავის საგანიც!

მ ე ღ ი ლ ე

გსურს დამიმტკიცო?

გ უ ნ ტ ი

მოწმეებით და საბუთებით.

მ ე ღ ი ლ ე

მე მეშინია, მათ უარყოფს ჩემი ბატონი.

გ უ ნ ტ ი

ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება.  
ძვირფასო კაცო, ნუ გამწირავ, მომეცი ვადა!  
და მერე ვნახოთ! დავბრუნდები, დაგმორჩილდები.  
ადამიანი იბადება მხოლოდ ერთხელ და  
უნდა ბოლომდე უსათუოდ დარჩეს ისეთი,  
როგორიც იყო... თანახმა ხარ?

მ ე ღ ი ლ ე

რა გაეწყობა!

იცოდე, პირველ ჭვარედინზე შემოგეყრები!  
პერ გუნტი სწრაფად მიდის.

ცოტა მაშორებით, იმავე ტყეში.

გ უ ნ ტ ი

(სწრაფად გარბის)

დრო ოქროაო, სიბრძნის წიგნში ასე წერია.  
გზაჯვარედინი სად იქნება უახლოესი?  
დიდხანს მომიწევს თუ ცოტა ხანს კიდევ სირბილი?  
ჩემს ფეხქვეშ მიწა ისე იწვის, როგორც ბაზალტი.  
მოწმე! სად ვნახო ერთი მოწმე? ვინ მიწინამძღვრებს?  
ვაიმე ბედშავს! ვის ვიპოვნი ამ უღრან ტყეში?  
რა ქვეყანაა, ეგზომ ყალბი და რა ხალხია!  
გაგპირვებია დამტკიცება შენი სიმართლის,  
როდესაც კაცი მართალია, ცამდე მართალი!

(წამოიწევა ბეხრეკ ბერიკაცს, რომელსაც ზურგზე ჩანთა ჰქვია, ხელში კვერთხი უჭირავს)

ბ ე რ ი კ ა ც ი

(შეჩერდება)

გთხოვ გაიკითხო ბერიკაცი მიუსაფარი!

გ უ ნ ტ ი

აბა რა მოგცე, რაც არა მაქვს, მოხუცო კაცო?

მ ო ხ უ ც ი

პრინცო პერ გუნტო! ერთი გროშიც არ გაგაჩნია?  
შენთან შეხვედრას არ ველოდი!

გ უ ნ ტ ი

ვინა ხარ შენა?

მ ო ხ უ ც ი

განა არ გახსოვს რონდის ქვაბი?

გ უ ნ ტ ი

ნუთუ ეს შენ ხარ?

მ ო ხ უ ც ი

სწორედ ისა ვარ: დოვრის პაპა! თუ გაგონდება?

გ უ ნ ტ ი

დოვრის პაპაო? შენ, მოხუცო?

მ ო ხ უ ც ი

რას მოვესწარი!

გ უ ნ ტ ი

ტახტი დაკარგე?

მ ო ხ უ ც ი    დ ო ვ რ ი

მოწყალება მოიღე, პერო!  
ჩანთა ავიღე — გზაში ხელი გამიშვევრია.

გ უ ნ ტ ი

ვაშა! ასეთი მოწმე ტყეში როდი იზრდება!

მ ო ხ უ ც ი    დ ო ვ რ ი

პრინცო ბატონო! შენც რომ ასე გათეთრებულხარ!

გ უ ნ ტ ი

ჩემო სიმამრო, დრო ათეთრებს ადამიანებს!  
მაგრამ გადავდოთ განზე ყველა პირადი საქმე!  
ჯერ დავივიწყოთ ოჯახური დავიდარაბა —  
მაშინ ვიყავი ჯერ ჭაბუკი თავქარიანი...

მ ო ხ უ ც ი    დ ო ვ რ ი

ჰო, როგორ არა! როგორ არა! პრინცი ჯერ კიდევ  
ჭაბუკი იყო, და ჭაბუკი რას არ ჩაიდენს!  
მაგრამ პრინცს მაინც ეყო ჭკუა, ჯერ შეეცდინა,  
მერე დაეგდო უპატრონოდ ჩემი ასული,  
და იმ საბრალოს აერია სულ გზა და კვალი.



გ უ ნ ტ ი

რა საწყენია! მერე, მერე?

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

სულ წახდა ქალი,  
თავი აიშვა, გველის ხვრელში გაძვრა და გაპყვა  
ხან ვის, ხან ვისა... ახლა მასთან ნებივრობს ტრონდი.

გ უ ნ ტ ი

რომელი ტრონდი?

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

ვალფიელის ტყის ბინადარი.

გ უ ნ ტ ი

აჰ, მაგონდება! ერთხელ სამი მწყემსი გოგონა  
მოვტაცე თვალსა და ხელს შუა და შევეუცდინე!

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

გასუქდა ჩემი შვილიშვილი და გაიზარდა,  
ნაშიერებით აუვსია მთაცა და ბარიც.

გ უ ნ ტ ი

ჰო, კარგი, კარგი, ნუ გააბი ფეიქრის ქსელი!  
სულ სხვა დარდი და კაეშანი მაწუხებს ახლა.  
სწორედ ჩიხში ვარ მოქცეული, გზა არსაით მაქვს,  
მკირდება მოწმე ან თავდები, რამე საბუთი,  
და ვის მიემართო, ვინ მიშველის, სიმამრის მეტი?  
თუ ამ ხიფათში ხელს საშველად გამომიწოდებ,  
ვიშოვი სადმე რამდენსამე დუკატსაც შენთვის.

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

ნუთუ ნამდვილად შემოძლია ვარგო რამ პრინცსა?  
მზად ვარ ვუშველო და დავიხსნა სიძე-ბატონი,  
მაგრამ სანაცვლოდ სიღარიბის მოწმობას მომცემს?

## გ უ ნ ტ ი

სიამოვნებით! გროში არ მაქვს, თვალზე მივიკრა,  
მომჭირნეობით გამაქვს თავი ჯიბეგაფხეკილს.  
მაგრამ მისმინე, ჩემი საქმე როგორ წავიდა!  
გახსოვს, სიმამრო, იმ საღამოს რონდის ციხეში  
რომ მოვედი და შენა გთხოვე ასულის ხელი?

## დოვრი პაპა

მახსოვს და აგრე? პრინციო პერო...

## გ უ ნ ტ ი

მოვეშვათ „პრინცებს“!

ახლა ჩემს საქმეს არ უშველის პრინცის წოდება.  
კმარა! შენ მაშინ აღშფოთებით შეიკარ შუბლი,  
გინდოდა ჩემთვის ამოგეგდო ცალი თვალი და  
მეორეც დანით გაგეფხიკა, გექციე ტროლად.  
მერე, რა ვქენი? არა-მეთქი „Non! მოგახალე! —  
არც ქალი მინდა, არც სიმდიდრე, არც თქვენი ძალა!  
მიჯობს, რაცა ვარ, იმად დავრჩე, დავწერ და გეტყვით!“  
აი, ეს უნდა დამიმოწმო, მსაჯულს შეჰჭიციო.

## მოხუცი დოვრი

მაგას ვერ ვიზამ!

## გ უ ნ ტ ი

ისევე წყრები?

## მოხუცი დოვრი

გინდა ვიცრუო?

მერე, მსაჯული ცრუ ფიცისთვის მადლობას მეტყვის?  
თუ დაგავიწყდა, თაფლს რომ ჰკამდი და ტროლი გახდი?

## გ უ ნ ტ ი

საცთურს ავეყევი და გავსინჯე, არ გედავები,  
ვიდრე გარეგნულ წერილმანებზე გექონდა კამათი,

მაგრამ უმთავრესს რომ შეეხეთ, მე ჩემს მეობას  
სასტიკ დარაჯად დავუდექი, არ გაგიკარეთ.  
ადამიანი განსაცდელში იცნობა მხოლოდ,  
და დასასრული აგვირგვინებს ყოველთვის საქმეს.

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

კარგია, პერო, დასასრული რომ მომაგონე!

გ უ ნ ტ ი

ამას რად ამბობ?

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

როცა რონდის ქვაბი დატოვე,  
შენ ხომ ყურს უკან წაიწერე ჩემი დევიზი?

გ უ ნ ტ ი

რა დევიზიო?

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

წინამძღვარი, მთავარი სიტყვა!

გ უ ნ ტ ი

მითხარი ბარემ!

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

ეს მთავარი სიტყვა — სამანი  
თიშავს, ანსხვავებს ტროლეტსა და კაცთა სამყაროს —  
„ტროლო, იყავი კმაყოფილი შენი თავისა!“

გ უ ნ ტ ი

(ერთი ნაბიჯით უკან იხვეს)

კმაყოფილიო!

მ ო ხ უ ც ი   დ ო ვ რ ი

სადაც ყოფილხარ, ეს დევიზი გაგიტანია,  
ყოფილხარ ყველგან კმაყოფილი საკუთარ თავით.

## გუნტი

ეს მე... პერ გუნტი?

ბებერი დოვრი

(ტრილით)

მოხუცს ასე ასაჩუქრებენ!

სადაც ყოფილხარ, უმადურო, ტროლი ყოფილხარ!  
და თავი ყველგან ჩემი სიტყვით გაგიტანია.

გამდიდრებულხარ, გავსებულხარ, განდიდებულხარ,  
დაბრუნებულხარ, აღარც ჩემი ტროლობა გახსოვს,  
არც ჩემი სიტყვა...

## გუნტი

„შენი თავით კმაყოფილიო!“

„მე მე ვარ?“ თურმე რაც ვარ, იმით ვკმაყოფილდებამ  
ტროლი ვყოფილვარ! ეგოისტი! რა მიქარვია!

მოხუცი დოვრი

(ჩანთიდან ძველ გაზეთებს იღებს)

შენა გგონია გაზეთები არა გვაქვს ჩვენი?

შენი დიდება აგერ შავზე წითლად წერია,

„ბლოკსბერგის ფოსტას“ ინებებ თუ „ჰეკლას უწყებას“.

ყველა ნომერში შენ გაქებენ, რაც ჩვენი გახდი,

რაც დაგვტოვე და უცხოეთში წახეტიალდი.

გინდა თვითონვე წაიკითხო? ჰა, წაიკითხე!

აგერ სტატია, „ცხენის ფლოქვი“ რომ აწერს ხელსა,

ან ეს: „ტროლიზმის ეროვნული სულისკვეთება“.

აქ ის აზრია, პრინციპი, გატარებული,

რომ მთავარია არა რქები, კუდი, ფლოქვები,

არამედ ღრმა და შინაგანი ნათესაობა.

ეს სულიერი, არსებითი ნათესაობა,

თვითკმაყოფილი იერსახე ტროლად ქცეულთა

არის მთავარი, გადამწყვეტი სიმძიმის ცენტრი,

ამის ნიმუშად მოჰყავს ავტორს შენი სახელი.

## გუნტი

მე და მთის ტროლი? აჰ!

მოხუცი დოვრი

სადავო არაფერია!

## გუნტი

მაშინ შემექლო სამუდამოდ რონდში დარჩენა!  
ნეტა, რა მრჯიდა, თბილ ღუმელთან არ ჯობდა ჯდომა?  
სად გავემგზავრე, რას ვწვალობდი, რას ვჯახირობდი?  
პერ გუნტი — ტროლი?! რას მიჰქარავ, რა ლაყაფია?  
თამბაქოს ფული გამომართვი, მე კი — მშვიდობით!

მოხუცი დოვრი

ცოტა დაიცა, პრინცო პერო!

## გუნტი

ნორმალური ხარ?

ბავშვი არ იყო! ლაზარეთში მიინც დაწექი!

მოხუცი დოვრი

ასეც ვიზამდი, ჩემი ნება რომ ყოფილიყო!  
მაგრამ გამრავლდა-მეთქი მოდგმა ასულის შვილთა,  
ძალაუფლება ხელთ იგდეს და აღარა მცნობენ,  
ამბობენ, მხოლოდ ძველ წიგნებში არსებობ შენო!  
ლეგენდა ხარო, და ხომ კარგად მოგეხსენება,  
მტერი ვერ გავნებს ისე, როგორც შენიანიო!  
ღმერთმა გვაშოროს! მე ჩემს თავზე გამომიცდია.  
ო, რა ძნელია ითვლებოდეს კაცი აჩრდილად!

## გუნტი

ასეთი ხვედრი შენზე აღრეც ბევრსა რგებია.

მოხუცი დოვრი

ჩვენ ხომ ურთიერთ დახმარების სალაროები  
და სათნოების სახლებიც კი არ გაგვაჩნია —  
ასეთი რამე რონდის ქვაბში ხელს არ მოგვცემდა.

## გ უ ნ ტ ი

ოლონდაც! თქვენ ხომ თქვენი ხვედრით ხართ კმაყოფილა.  
თქვენთვის უცხოა დახმარების ხელის გაწვდენა!

## მ ო ხ უ ც ი ლ ო ვ რ ი

მსგავსი დევიზის უარყოფა პრინცს არ შეჰფერის.  
და თუ ის თვითონ ხელს გაგვიწვდის რამენაირად...

## გ უ ნ ტ ი

არა, მოხუცო, მე ვერაფერს ვერ გამომრჩები —  
ვარ გახრეკილი, უსანათოს ძლივს გამაქვს სული.

## მ ო ხ უ ც ი ლ ო ვ რ ი

მართლა ასეა? ნუთუ პრინციც გახდა ლატაკი?

## გ უ ნ ტ ი

ვაგლახ! პრინცობა რახანია დავაგირავე!  
და ვინ დამლუპა? თქვენ, ტროლების მოდგმავ წყეულო!  
აძლა კი ვხედავ, თურმე ცუდ წრეს რა შეუძლია!

## მ ო ხ უ ც ი ლ ო ვ რ ი

ჰო, ვხედავ, ხელი სულ ტყუილად გამოგიშვირე!  
წავლასლასდები, იქნებ სადმე ქალაქს ჩავიდე.

## გ უ ნ ტ ი

ქალაქს რა გინდა?

## მ ო ხ უ ც ი ლ ო ვ რ ი

შევალ სადმე კომედიანტად,  
ეროვნულ ტიპებს დავეძებთო, წერენ გაზეთში.

## გ უ ნ ტ ი

გზა მშვიდობისა, ბერიკაცო, სალამი ჩემგან!  
თუ ამ განსაცდელს გადავრჩები, მეც იქ ჩამოვალ.  
ფარსი დავწერო მხიარული, ღრმააზროვანი  
ამ სათაურით: „Sic transit gloria...“ და ასე შემდეგ.

გარბის. მოხუცი ლოვრი ამაოდ უძახის.

გზაჯვარედინი

გ უ ნ ტ ი

აბა, პერ გუნტო, ასეთ ჩიხში ჯერ არ ყოფილხარ!  
დოვრულმა სიტყვამ „კმაყოფილმა“ მსჯავრი დაგადო.  
შენი ხომალდი დაიღუპა, მარჯვედ იყავი!  
გემის ნამუსრევს ჩაეჭიდე, უშველე თავსა!  
თვალს გაუსწორებ გაბედულად ყველა განსაცდელს,  
ოღონდ ხავსიან ნამუსრევში არ გაიჩხირო!

მ ე ლ ი ლ ე

(გზის შესაყარზე)

აბა, პერ გუნტო, ატესტატი იშოვე სადმე?

გ უ ნ ტ ი

ისევ ჯვარედინ გზაზე მხვდები, გაუმადლარო?  
ასე ხელდახელ...

მ ე ლ ი ლ ე

შენს სახეზე ვკითხვლობ უკვე,  
რა ატესტატის პატრონიც ხარ... ზარი ჩამოჰკარეს!

გ უ ნ ტ ი

ამ ხეტიალში მომწყდა წელი... სულ ამერია  
მე გზა და კვალი...

მ ე ლ ი ლ ე

თავს ნუ იკლავ, ტყუილად ეძებ.

გ უ ნ ტ ი

როგორ, ტყუილად? ბნელ ღამეში, ამ უღრან ტყეში -

მ ე ლ ი ლ ე

ერთი ბეხრეკი ბერიკაცი მოდის აქ... ვკითხოთ?

გ უ ნ ტ ი

მთვრალი იქნება, მოასვენე!

მ ე ლ ი ლ ე

იქნებ არ არის?

გ უ ნ ტ ი

მთვრალია-მეთქი! სსუ! გაუშვი! რა საჭიროა!

მ ე ლ ი ლ ე

მაშ დაუბრუნდეთ ისევ საქმეს?

გ უ ნ ტ ი

ბოლოს და ბოლოს, ეს რას ნიშნავს: „იყავ, რაც ხარ“? მაქვს ერთი კითხვაც:

მ ე ლ ი ლ ე

ერთობ უცნაურ კითხვას მაძლევს, და მერე ვინა?  
ის, ვინც თვითონვე მიმტკიცებდა...

გ უ ნ ტ ი

გამეც პასუხი!

მ ე ლ ი ლ ე

„იყავ ის, რაც ხარ“ — ნიშნავს მოკლა შენივე თავი,  
მოკლა შენი „მე“, სურვილები ჩაიკლა შენი.  
ან იქნებ უფრო ნათლად გინდა აგიხსნა ესა?  
ეს არის თავის დაოკება, რომ გამოხატო  
მხოლოდ ის, რასაც გიბრძანებდა ოსტატი შენი.

გ უ ნ ტ ი

მაგრამ თუ მთელ შენს სიცოცხლეში ვერ გავიგია,  
რას გიბრძანებდა, რას ითხოვდა შენგან ოსტატი?

მ ე ლ ი ლ ე

უნდა მიუხვდე!



## გ უ ნ ტ ი

იტყვი შენცა! უნდა მიუხვდე!  
მაგრამ თუ ხშირად წინამძღვრად გვეყავს სული ბოროტი,  
აღლო გვალატობს — ამისათვის მამ დავიღუპოთ?

## მ ე ღ ი ლ ე

ასეა, პერო! იქ თევზაობს რქოსანი ქაჯი  
ყველაზე კარგად, სადაც თქვენ ხართ მიუხვედრენი!

## გ უ ნ ტ ი

მთელი ეს საქმე ისე მძიმედ დახლართულია,  
უმჯობესია დავთმო თვითონ ჩემი „მეობა“.  
მე გამიჭირდა მოწმის პოვნა, დასაბუთება,  
რომ მე — ეს მე ვარ! და ჩემს საქმეს ვთვლი წაგებულად.  
მაგრამ დღეს, აგერ, ამ ტყეში რომ ვეხეტებოდი,  
ჟცებ როგორღაც სინიდისის ქენჯნა ვიგრძენი:  
„შენ ცოდვილი ხარ, პერო“, — გულში ვამბობდი ჩემთვის.

## მ ე ღ ი ლ ე

როგორცა ვხედავ, შენ თავიდან იწყებ ყველაფერს...

## გ უ ნ ტ ი

არა, ძვირფასო, უსაშველო, დიდი ცოდვილი,  
საქმით და სიტყვით, წინასწარი ზრახვით შემცოდე.  
მე უცხოეთში ფილისტერი როდი ვიყავი,  
ისეთ რამეებს ვჩავდიოდი, შეძრწუნდებოდი!

## მ ე ღ ი ლ ე

კეთილი. მაშინ ჩამოთვალე შენი ცოდვები.

## გ უ ნ ტ ი

მომეცი ვადა, რომ ვიპოვნო ჩემი მოძღვარი.  
აღსარებაში გავანდობ და გაუწყებ შენცა.

## მ ე ღ ი ლ ე

ასეთ მოწმობას თუ მომიტან სინამდვილეში,  
შენც გადარჩები გადაღნობას ამ ჩემი ციცხვით,  
მაგრამ ბრძანება...

## გ უ ნ ტ ი

გადაადგე, ალბათ ძველია!  
თარიღსაც ფერი გადასვლია: მაშინდელია,  
როცა ვცხოვრობდი უბრალოდ და ქარაფშუტულად,  
არც ხორცი ვიყავ და არც თევზი, დროს ვატარებდი,  
წინასწარმეტყველს ვბაძავდი და მწამდა ფატუმი...  
მაშ ნებას მომცემ?

## მ ე ღ ი ლ ე

დიახ... მაგრამ...

## გ უ ნ ტ ი

რადას ყოყმანობ?  
ჩემო კეთილო, აბა ერთი რა გაქვს საჩქარო?  
ამ ჩვენს მხარეში ჰაერია მაცოცხლებელი,  
ათასში ერთი თუ მოკვდება, თორემ რა მოკლავს!  
მახსოვს, მოძღვარი როგორ სწერდა იუსტედალის:  
„ამ ხეობაში იშვიათად ვინმე კვდებაო!“

## მ ე ღ ი ლ ე

მაშ უახლოეს ჯვარედინზე — და მერე მორჩა!

## გ უ ნ ტ ი

ჩქარა მოძღვარი! უსიკვდილოდ მინდა მოძღვარი!  
(სირბილით მიჰყვება გზას.)

მანანით დაფარული გორაკი, იკანკელი ბილიკი მთაში აღის.

## გ უ ნ ტ ი

„ვინ იცის, იქნებ რაიმეში გამომადგესო“, —  
და აუღია კაჟკაჟის ფრთა ესბენ-თხუპნიას.  
ვინ იფიქრებდა, უსაშველო სიკვდილისაგან  
თუ აღამიანს დაიხსნიდა თავისი ცოდვა?

თუმცა რა? ვაის გამყარა, რომ უის შემყაროს,  
ცეცხლს გადავურჩი, მდუღარეში მიკრავენ თავსა,  
მაინც არასდროს არ ძველდება ძველი ანდაზა:  
ადამიანი ვიდრე სუნთქავს, იმედით ცოცხლობს.

გამხდარი კაცი ფერდობზე გაბმულ ბილიქს სირბილით მოჰქცება, მოძღვრის  
სამოსის კალთები მალა აუყეცია, მხარზე ფრინველთა საკერი მახვ გადაუციდება.

გ უ ნ ტ ი

პასტორი მოდის! ხელთ უჭირავს ფრინველთა ბადე!  
პეტერ! ქუდბედი დაგყოლია, მასხარის მსგავსად!  
გზა მშვიდობისა! დიდი გზა გაქვს, ჩემო მოძღვარო?

გ ა მ ხ დ ა რ ი

ჰო, მაგრამ კაცი სულისათვის რას არ გაივლის!

გ უ ნ ტ ი

აჰ, ვინმე ცაში მიფრინავს და უნდა უშველოთ?

გ ა მ ხ დ ა რ ი

არა, ის სული სხვა გზით წავა, მე იმედი მაქვს.

გ უ ნ ტ ი

თუ ნებას მომცემთ, ორ ნაბიჯზე მინდა გამოგყვეთ.

გ ა მ ხ დ ა რ ი

რატომაც არა! თანამგზავრებს ხალისით ვხვდები.

გ უ ნ ტ ი

გამოგიტყდებით, დარდი მაწევს გულზე ლოდვიით.

გ ა მ ხ დ ა რ ი

გამანდეთ ბარემ!

გ უ ნ ტ ი

მე, ბატონო მოძღვარო ჩემო,  
პატიოსანი კაცი ვარ და კანონს მივყვები.  
ციხეში ფეხიც არ შემიდგამს, მაგრამ ცხოვრება  
ხარმას გამოსდებს ადამიანს, ღაბუნევს ზოგჯერ,  
წაბორძიკებს...

გ ა მ ხ დ ა რ ი

ხდება ხოლმე, შენ მართალი ხარ,  
რჩეულთაც ხშირად ემართებათ ასეთი რამე.

გ უ ნ ტ ი

ჰოდა, ასეთი წვრილმანები...

გ ა მ ხ დ ა რ ი

მხოლოდ?

გ უ ნ ტ ი

აბა რა!

თქვენ არ გეგონოთ, რამე დიდი ცოდვა მიძლოდეს!

გ ა მ ხ დ ა რ ი

მაშინ მომეშვით, მეგობარო, ჩამომეხსენით,  
მე ის არა ვარ, როგორც ვატყობ, ვინცა გგონივართ...  
ხელში რად მიმზერთ? რა შენიშნეთ ამ ჩემს თითებში?

გ უ ნ ტ ი

სრულყოფილობით მხიბლავს თქვენი ფრჩხილების ფორმა!

გ ა მ ხ დ ა რ ი

ფეხსაც რომ უმზერ, ჩემი ფეხი რალას გაუწყებს?

გ უ ნ ტ ი

(თითს გაიშვებს)

ფლოქვები თუ გაქვს? ნამღვილია?

გ ა მ ხ დ ა რ ი

იმედი გქონდეს.

გ უ ნ ტ ი

(ქუდს უხდის)

მზად ვიყავ თქვენი ანაფორა რომ დამეფიცა,  
ჩემი პასტორის... თქვენ კი, თქვენო მაღალღირსებავ...  
დე, იყოს ასე! კეთილისთვის კეთილს ვინ ელის!  
უკან რა გინდა, თუ ჭიშკარი გაგიღეს წინა?  
სამეფო კაცი რისთვის უნდა დადგე ლაქიად?

გ ა მ ხ დ ა რ ი

მომეცით ხელი! ცრუმორწმუნე არ ჩანხართ თქვენა!  
ახლა მითხარით, რა გიჭირთ და რით გემსახუროთ?  
ოღონდ არ მთხოვოთ სიმდიდრე და ძალაუფლება,  
ვერც ფულს გიშოვნით, თუნდაც თოკით რომ ჩამომკიდოთ,  
ვერ გააბრიყვებ დღეს იოლად ადამიანებს.  
საქონელბრუნვა სულ შეფერხდა და გაიყინა,  
სულთა მატება აღარ არის, არეინ არა თმობს,  
ათასში ერთხელ თუ შეცდა და გაბრიყვდა ვინმე...

გ უ ნ ტ ი

ნუთუ ამდენად განვითარდა ადამიანი,  
გაუმჯობესდა და ამაღლდა მისი ცხოვრება?

გ ა მ ხ დ ა რ ი

პირიქით, ჩემო მეგობარო, დაეცა დიდად,  
უმეტესობა დასადნობად მელილეს მიჰყავს.

გ უ ნ ტ ი

ჰმ! მართლა! მე იმ მელილეზე ბევრი მსმენია,  
და, სწორი გითხრათ, მისმა ქცევამ მეც მაიძულა  
თქვენთვის მეთხოვა დახმარება...

გ ა მ ხ დ ა რ ი

უფრო თამამად!

გ უ ნ ტ ი

არა, მე... თუ ეს სითამამე არ არის დიდი...  
მე ვისურვებდი, რომ მოგეცათ...

გ ა მ ხ დ ა რ ი

თავშესაფარი?

გ უ ნ ტ ი

უმაღ მიმიხვდით, ვიღრე თვითონ გეტყოდით რამეს!  
აკი თქვენვე თქვით, გაჰირდაო, დრო იცვალაო,  
იქნებ მით უფრო მომისმინოთ გულისხმიერად.

გ ა მ ხ დ ა რ ი

მაგრამ, ძვირფასო...

გ უ ნ ტ ი

სათხოვარი არა მაქვს ბევრი.  
დღიური ქირა მე არ მინდა და არც ხელფასი,  
მხოლოდ მოპყრობა ღმობიერი, რაც მთავარია,  
და საკადრისი, როგორც ითხოვს გარემოება.

გ ა მ ხ დ ა რ ი

თბილი ოთახი?

გ უ ნ ტ ი

წესიერი, არც ისე თბილი,  
და უწინარეს, თავისუფლად შესვლა-გამოსვლის,  
გადასვლის ნება, მოკლედ რომ ვთქვათ, ადრე თუ გვიან,  
საღმე, სიტყვაზე, თუ ვიპოვნი უკეთეს ადგილს.

გ ა მ ხ დ ა რ ი

აჰ. ჩემო კარგო, შემაწუხეთ, პირდაპირ გეტყვით!  
არ დაიჯერებთ, რაოდენი კეთილი კაცი

მოგვმართავს ხოლმე ასეთივე პატარა თხოვნით,  
როცა, დაღლილნი წუთისოფლის ამაოებით,  
განსასვენებლად მოუსავლეთს მიაშუოებენ.

გ უ ნ ტ ი

მაგრამ წარსულში მე მიმიძღვის იმდენი ცოდვა,  
რომ შემიძლია შეგაწუხოთ, ვფიქრობ, თამამად...

გ ა მ ხ დ ა რ ი

წვრილმანებიო, შენ არა თქვი?

გ უ ნ ტ ი

ისე კი, მაგრამ...  
მახსოვს, ვაჭრობას ვეწეოდი ზანგი მონებით...

გ ა მ ხ დ ა რ ი

ეჰ, რამდენ ვინმეს უვაჭრია ნებით და გრძნობით,  
მაგრამ უაზროდ, შეუგნებლად, მოხვეკის მიზნით, —  
გაგვიგზავნია უკან, ჩვენთვის უვარგისები.

გ უ ნ ტ ი

ბრაჰმას კერპები მიგზავნია ჩინეთისაკენ.

გ ა მ ხ დ ა რ ი

ოჰ, ეს გვამ-ნეშტის მათხოვრები ცოდვის ბილიკზე!  
რამდენი ვინმე უარესებს აგზავნის ხოლმე:  
სიტყვას, სურათებს, სახეებსა და საშიშ წიგნებს —  
ასეთ ცოდვილებს სათოფეზეც აღარ ვიკარებთ!

გ უ ნ ტ ი

ეს არაფერი, მე მეძახდნენ „წინასწარმეტყველს“  
და ვასრულებდი გიჟურ როლსა...

გ ა მ ხ დ ა რ ი

უცხო მხარეში?

ჩვენ არ გვალელებს ამნაირი Blauseherei,  
ასეთ სულელებს სადნობ ციციხეში უკრავენ თავსა.

თუ უარესი არაფერი ჩაგიდენიათ,  
ჩემთან მიღების, ვწუხვარ, მაგრამ ნუ გაქვთ იმედი.

### გ უ ნ ტ ი

მაგრამ მისმინეთ! როცა ჩემი გემი დაიმსხვრა,  
ნავითა ვცადე თავის დახსნა, როგორც იტყვიან,  
წყალწალღებულ კაცი ხავსსაც ეჭიდებო! —  
თითქმის ჩავძირე მზარეული, მოყვასი ჩემი.

### გ ა მ ხ დ ა რ ი

ეჰ, დამატებით წაგეგლიჯა მაინც რაიმე  
მისი ცოლისთვის, ან მოგესპო მისთვის სიცოცხლე!  
თორემ ეს „თითქმის“, ეს ნაგავი გულისამრევი  
რაა ისეთი, საგულისხმო საქმედ მივილო?  
ამ დღეჭირ დროში, ცხოვრება რომ ჭირს და ძვირდება,  
როგორ გავწიო შეშის ხარჯი ვინმესთვის, ვისაც  
არც სიავის და არც სიკეთის არა აქვს თავი?  
კი, კი, გარწმუნებთ, გინდ გეწყინოთ, გინდ არ გეწყინოთ:  
ასეთ საყვედურს იმსახურებთ მაგ თქვენი სიით.  
გირჩევთ, ბატონო დილეტანტო, მორჩით ოინებს  
და თქვენი ფეხით ჩადით თქვენი მედილის კოვზში!  
მე რომ ცხრაჯერაც შეგიფაროთ, ეს რას გიშველით?  
ჩემო კეთილო, შეგნებული კაცი ხართ თქვენა,  
როგორც მამცნობენ თვითონ თქვენი მოგონებანი,  
მაგრამ შედეგი! „Nichts“ — იტყოდნენ გერმანელები.  
რას აძლევს კაცის სულსა და გულს ეს ყველაფერი?  
სულ პარტახია ეს წარსულის უდაბნოს ქვიშა.  
რა გაქვთ ისეთი, აცინოს ან ატიროს ვინმე?  
აღაფრთოვანოს, დააეკვოს ან შეაწუხოს,  
შეაცახცახოს, შეაძრწუნოს ადამიანი?  
არა, ძვირფასო მეგობარო, სულ დიდი, დიდი,  
თქვენ გულზე გასკდეთ, ეს იქნება მთელი ეფექტი.

### გ უ ნ ტ ი

წინდაწინ მსჯავრის გამოტანა მუდამ ძნელია:  
ვიდრე ჩაიცვამ, ვერ გაიგებ, სად გიჭერს ჩემმა.



## გ ა მ ხ დ ა რ ი

ეს მართალია... ვის ვუმაღლო, არ ვიცი, მაგრამ მე მხოლოდ თითო კენტი ფლოქვის ჩექმა მჭირდება, და სწორედ დროზე მომაგონეთ ჩექმა, ძმობილო: სულ დამავიწყდა, მეჩქარება, უნდა გავიქცე. შინ მოხრაკული მელოდება, ცივდება კიდეც, მე კი აქ ვყბედობ, როგორც ვინმე მეძავი ქალი.

## გ უ ნ ტ ი

ხომ ვერ ამიხსნით, ის ცოდვილი — ის მოხრაკული რა ცოდვის ბალახს უმაღლიდა თავის სიცოცხლეს?

## გ ა მ ხ დ ა რ ი

როგორც ამბობენ, თურმე ჰქონდა იმ კაცს მეობა, თავისთავადი იყო მისი დღე და მოსწრება და ამაშია აკი არსი მთელი საქმისა!

## გ უ ნ ტ ი

ჰქონდა მეობა? ასეთებიც ზედებიან თქვენთან?

## გ ა მ ხ დ ა რ ი

ჰო, ზდება ხოლმე: ჩვენ მათ კარებს ნახევრად ვუღებთ. ხომ შეიძლება კაცი იყოს თავისთავადი ორმაგი აზრით: გარეგნულად და შებრუნებით? იცათ უთუოდ, პარიზში რომ გამოიგონეს ფოტოსურათის გადაღება მზის შემწყობით: შუქი ადგილზე ჩრდილია და ჩრდილში კი — შუქი, ნეგატივია, სწორ სურათზე ბევრად ძვირფასი, უმეცარნი კი იცინიან: გონჯი ჰგონიათ! მაგრამ მსგავსება იქაც არის, ოღონდ ფარული, შებრუნებული — გამკლავდება სჭირდება მხოლოდ. თუ სული თავის ამქვეყნიურ არსებობაში გამოდგა მხოლოდ გონჯი სახე, ნეგატიური, სანაგვე ყუთში არ ისვრიან ასეთ ფირფიტას, ჩვენ გადმოგვცემენ შესაცვლელად, შესასწორებლად,

ჩვენ კი მივმართავთ ყველა ცნობილ ღონისძიებას  
და გარდაქცევით მივცემთ თავის სასურველ სახეს.  
კუპრის მდულარე ქვაბში ჩავეყოფთ, ვრეცხავთ, ვაცივებთ,  
ვასხამთ სიმყავეს, ვამუშავებთ მოთმინებითა,  
ვიღრე იმ სახეს არ მიიღებს, რაც უნდა ჰქონდეს.  
მაგრამ თუ სული დაცლილია და უფერული,  
როგორც თქვენია, პოზიტივიც გამოდის მკრთალი,  
აქ ვერც გოგირდი და ვერც ცეცხლი ვერას უშველის,  
არანაირად არ ხერხდება გამომყლანება.

გ უ ნ ტ ი

მაშ შენთან უნდა მოხვდეს შავი, როგორც ყორანი,  
რომ შენგან კაცი კაკაბივით თეთრი წავიდეს?  
ხომ არ მიბრძანებთ, რა ჰქვია იმ ბედშავ ნეგატივს,  
რისი გარდაქმნაც გევალება, მარჯვე ხელოვანს?

გ ა მ ხ დ ა რ ი

ჰერ პეტერ გუნტი!

გ უ ნ ტ ი

პეტერ გუნტი? რა გავიგონე!  
და მერე, იყო ისე მტკიცე? ჰქონდა მეობა?

გ ა მ ხ დ ა რ ი

ფიცით ამტკიცებს.

გ უ ნ ტ ი

გუნტის ფიცი არის სარწმუნო.

გ ა მ ხ დ ა რ ი

თქვენ იმას იცნობთ?

გ უ ნ ტ ი

როგორ არა! სანდო კაცია.  
ვის არ შეხვდები ცხოვრებაში!

გ ა მ ხ დ ა რ ი

მაგვიანდება!

სად ნახეთ ბოლოს?

გ უ ნ ტ ი

აფრიკაში, კაპის ზეგანზე.

გ ა მ ხ დ ა რ ი

კეთილ იმედის... di buona speranza's კონცხზე?

გ უ ნ ტ ი

ჰო, მაგრამ ჰერმა ასე მითხრა: პირველი გემით  
გავემგზავრები აფრიკიდან სამშობლოშიო.

გ ა მ ხ დ ა რ ი

ახლავე უნდა იქით გავწიო, '  
შავი ფიქრებით დამძიმებულმა!  
ოჰ, კაპლანდია! კაპლანდიაში  
სარმა გამომდეს მისიონერთა —  
მეტადრე ორმა სტავანგერელმა!

(სამხრეთისაკენ მიეშურება)

გ უ ნ ტ ი

რეგენი ვირი! გავაცურე მარჯვედ სულელი  
ენა გამოყო! კაპის კონცხზე გზა მშვიდობისა!  
რა სიამეა, ასეთ ძალს რომ საბლით ატარებ!  
ასეთი ბრიყვიც თავს იწონებს, თავსა სწევს მალლა!  
ძალზე სჭირდება ქედმაღლობა ჯანდაგ სახედარს —  
მისი ხელობა შემოსავალს იძლევა ცოტას.  
ისე გახდება, კაჰკაჰიც კი არ დააჯდება!  
არც მე ვარ თუმცა უზადო და უცხო რაინდი,  
„მეობის“ მქონე დიდებულთა წრიდან გამაგდეს.

ვარდება ვარსკვლავი. გუნტი მზერას აყოლებს.

გუნტის სალამიც თან წაიღე, ძმაო ვარსკვლავო!

ანათე, ჩაქრი, ჩაიკარგე მარადისობის  
წყვედიად უფსკრულში...

(შეძრწუნებული მოიბუზება ელდანაკრავი, შიშით ნისლში ჩაიმალება. წამიერი  
ღუმლის შემდეგ ისევ გამოჩნდება და წამოიყვრება)

ნუთუ ყველგან სიცარიელე?  
არც ბნელ ქვესკნელში, არც სინათლის ლაღ სამეფოში  
კაცი არ არის...

(ისევ გამოჩნდება ნისლებში, წინ წამოიწევს, ქუღს ძირს დაანარცხებს და თმამ  
იგლეჯს, მერე თანდათან როგორღაც წყნარდება.)

ასე ლატაკი და ბოგანო დაუბრუნდება  
მამ კაცის სული რუხ, დანისლულ არარაობას?  
დედაო მიწავ, მაბატიე, ნუ გამიწყრები,  
რომ მე შენს ბალახს ვთელავდი და ვერავის ვარგე!  
ძვირფასო მზეო, რა ამოდ გზავნიდი სხივებს  
უკაცურ სახლში, რომ გაგებო ძეხორციელი!  
სახლის პატრონი არასოდეს შინ არ გხვდებოდა,  
არ უმღეროდა შენს ამოსვლას, შენსა მშვენიებას.  
ძვირფასო მზეო, მშვენიერო დედაო მიწავ —  
რისთვის გაზარდეთ თქვენს კალთაში ჩემი მშობელი?  
სული ძვირია, ბუნება კი აბუჩად გვიგდება...  
ძვირად გვიჯდება დაბადება, სიცოცხლის ფასად!  
მე მალლა მინდა, სად მწვერვალი ციმციმებს ლურჯად,  
სულ მალლა, სადაც ლაქვარდია და მზე ცხოველი!  
მსურს გადმოვხედო დაქანცულმა აღთქმულ ქვეყანას,  
ლოგინი მქონდეს ფრთამალ ზეავზე, სამარეც — თოვლში,  
ზედაც — წარწერა: „აქ არავინ არ განისვენებს“.  
შემდეგ კი მოხდეს მოსახდენი, არას დავეძებ.

მ რ ე ვ ლ თ ა გ ა ნ ნ ი  
(ტყის გზას მიჰყვებიან და მღერაინ)

ო, დალოცვილო დილაგ, დიადო!  
სულის ენები, ცის ნაპერწკლები  
დაბლა დაცვივდა,

მსგავსად მახვილთა  
და გახსნა ბაგე აღამიანთა!  
სულს აღიდებენ წმინდა მერცხლები,  
მიწის დიდება ცად ახმიანდა,  
და ხმა ციური გვესმა მალლითა!

გ უ ნ ტ ი

(შეშინებული მოიკუნტება)

მე იმ სამეფოს ვერ ვიხილავ, მელის წყვილიადი...  
მე მეშინია... სიკვდილამდე მკვდარი ვიყავი.

(ბუჩქებში უნდა დაიმალოს, გარბის, გზაჯვარედინზე მოხვდება.)

მ ე ლ ი ლ ე

დილა მშვიდობის! მოგცეს, პერო, ცოდვების ნუსხა?

გ უ ნ ტ ი

შენა გგონია, არ ვეცადე? ქანცი გამიწყდა!  
მაგრამ ჩვენ — მე და ჩემი ბედი, გერი და-ძმა ვართ.

მ ე ლ ი ლ ე

ვერავენ ნახე?

ჰ.

გ უ ნ ტ ი

ფოტოგრაფი მოხეტიალე.

მ ე ლ ი ლ ე

ვადა გათავდა!

გ უ ნ ტ ი

ყველაფერიც გათავდა ჩემთვის,  
კივის ბოროტი ბუკიოტი. გესმის მისი ხმა?

მ ე ლ ი ლ ე

მხოლოდ ზარის ხმა...

გ უ ნ ტ ი

(უჩვენებს)

ხომ არ იცი, იქ რა ციმციმებს?

მ ე ღ ი ლ ე

ქონია მხოლოდ, ქონში ცეცხლი...

გ უ ნ ტ ი

ტყეში რა ისმის?

მ ე ღ ი ლ ე

ქალი თუ მღერის...

გ უ ნ ტ ი

ღიახ, იქა! მხოლოდ იქ ვნახავ

ცოდვების ნუსხას!

მ ე ღ ი ლ ე

(ხელსა სტაცებს)

გაიმზადე სადგომი შენი!

ტყიდან მოტიტულვებულ ადგილზე გამოდიან, ქონის წინ ჩერდებიან. თენდება.

გ უ ნ ტ ი

სადგომი სახლი გავიმზადო? იქ არის! წადი!

და გაეთრიე! მე და ჩემი ცოდვების ნუსხას

კუბოსტოლაც რომ გქონდეს კოვზი, ვერას დაიტევს!

მ ე ღ ი ლ ე

იყოს მესამე ჯვარედინზე! მორჩა, გათავდა...

(განზე გაუხვევს და გაქრება.)

გ უ ნ ტ ი

(სახლს უახლოვდება)

გზა ხომ ერთია, უკან თუ წინა!

ბოლო ერთია, გარეთ თუ შინა!

(შეჩერდება)

ავო ბედო, შავო ბედო, მწამს,  
შინ დაბრუნდე აღსასრულის წამს!

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, ისევ შეჩერდება.)

მრუდემ მითხრა, მოიარე შორი გზაო...

(ქოხიდან სიმღერის ხმა ესმის.)

ქ ა ლ ი

(მღერის)

... შავრამ ვიცი, მოხვალ ბოლოს, როგორც გქონდა განზრახული,  
დაგპირდი და გიციდი კიდევ, არ გამქრალა გრძნობა მწველი...

გ უ ნ ტ ი

არა! ამჯერად პირდაპირ წადი,  
რაც გინდა იყოს მძიმე და ცხადი!

პირდაპირ მიაშურებს სახლის კარს. კარი იღება და წინ შემოეგებება სოლვეი-  
გი. სადღესასწაულოდაა ჩაცმული, ცალ ხელში ქსოვილში შეხვეული ლოცვანი  
უჭირავს, მეორე ხელში ჯოხი. დგას მაღალი, ამაყი, საუნო და სანდომიანი სახისა

გ უ ნ ტ ი

(ქალის ფერხთით გაიშხლართება ზღუბლზე)

ვწევარ შენს ფერხთით მე ცოდვილი — და თუ განმსაჯე,  
ბარემ თქვი შენი განაჩენიც, გამომიცხადე!

სო ლ ვ ე ი გ ი

დიდება, ღმერთო! შინ დაბრუნდა! შინ დამიბრუნდა!

(ხელის ცეცებით ეძებს.)

გ უ ნ ტ ი

აბა მიჩივლე, ჩამოთვალე ჩემი ცოდვები!  
და გამიჩინე სამართალი, მსაჯულო ჩემო!

სო ლ ვ ე ი გ ი

კაბუკო ჩემო ერთადერთო, რა ცოდვებს ამბობ?  
შენ არაფერი შეგიცოდავს, ჩემო რჩეულო!

(ისევ ხელით დაეძებს და პოულობს.)

მ ე ღ ი ლ ე

(სახლის უკან)

ნუსხა, პერ გუნტო!

გ უ ნ ტ ი

მომახალე ჩემი ცოდვები!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

(ახლოს დაუჭდება)

ტკბილ სიმღერად შენ მიქციე ჩემი წუთისოფელი,  
დალოცვილო მეგობარო, შემისრულე ოცნება!  
სულიწმინდის მოფენის დღე, რასაც გულით მოველით,  
თავს დაგყურებს ფიცის გამტანს, შენთვის დაილოცება!

გ უ ნ ტ ი

(სოლვეიგს)

დამღუპე განა?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

უფალია ქვეყნის პატრონი!

გ უ ნ ტ ი

(იცინის)

დამღუპე განა? გამოცანა ვერ გამოიციან!

ს ო ლ ვ ე ი გ ი

შენ ამიხსენი. '

გ უ ნ ტ ი

მე ავიხსნა? ავიხსნი ყველას!  
სად იყო გუნტი მას შემდეგ, რაც შენ მიგატოვა?

ს ო ლ ვ ე ი გ ი

სად იქნებოდა?



## გ უ ნ ტ ი

ჰო, სად იყო? და სად მართებდა?  
იყო იქ. სადაც მისმა ღმერთმა მოსთხოვა ყოფნა?!  
დანიშნულების ადგილიდან საით წავიდა?  
თქვი. შეგიძლია? და თუ ვერა. უნდა წავიდე  
შინ. ჩემსას, სახლში, დანისლული ქვეყნის წყვილიაღში.

## ს ო ლ ვ ე ი გ ი

(ილიმება)

არის ადვილი გამოცანა.

## გ უ ნ ტ ი

მაშ თქვი, რა იცი?

სად ვიყავ? იქნებ ღვთაებრივი სულისა მკერდში —  
თავისთავადი, რადაც შემქმნა უზენაესმა —  
და ღვთის ნიშანი მაჩნდა შუბლზე შარავანდედად?

## ს ო ლ ვ ე ი გ ი

ჩემს სიყვარულში, ჩემს იმედში და ჩემს რწმენაში —  
აი, სად იყავ, მეგობარო, ფიცის გამტანო...

## გ უ ნ ტ ი

(შეძრწუნებული უკუიქცევა)

აწას რას ამბობ? კრინტი! გული არ გამიხეთქო!  
გამოცანაა თვით პასუხი! ან იქნებ დედა,  
გადაყოლილი თავის შვილზე, მეტყველებს ასე?

## ს ო ლ ვ ე ი გ ი

ჰო, მე დედა ვარ, და ვინ არის მამა მშობელი?  
იქნება ისა, დედის თხოვნით ვინაც შეუხდობს?

## გ უ ნ ტ ი

(თითქოს ციურმა შექმა გააცისკროვნაო, შესძახებს)

დედაო!.. ცოლო!.. ქალთა შორის უსპეტაკესო!  
მომეც სავანე, სამუდამო თავშესაფარი!

(მაკრალ მიეხუტება და თავს კალთაში ჩაურგავს.)

ხანგრძლივი პაუზა. შზე ამოდის.

სო ლ ვ ე ი გ ი

(წყნარად მღერის)

დაიძინე, სიხარულო ჩემი გულისაო!  
მე ვიქნები მცველი შენი ტკბილი ძილისაო!  
გატარებდა დედა, მაგავსად თვალის ჩინისაო,  
და ხუმრობას ჰგავდა ყოფნა დედა-შვილისაო.  
დედის მკერდზე არ იცოდი დარდი-ნალღველიო...  
დაიძინე, ღმერთი იყოს შენი მფარველიო!  
გულში მყავდი მთელი ჩემი დღე და მოსწრებაო,  
შინ დაღლილი დამიბრუნდი, ჩემი ოცნებაო, —  
დაიძინე და იძინე, ლხენავ გულისაო,  
მე ვიქნები მცველი შენი ტკბილი ძილისაო!

მ ე ღ ი ლ ი ს ხ მ ა

(სახლის უკან. ნირგატეხილი)

ჩვენ უკანასკნელ ჯვარედინთან შევხვდებით გუნტო,  
და მერე ვნახოთ... მე მივდივარ, აღარას გეტყვი.

სო ლ ვ ე ი გ ი

(უფრო ხმაშლილი და თამამად მღერის, მზით გასხივოსნებული, სიბნელე უკან იხევს)

დაიძინე, სიხარულო ჩემი გულისაო,  
მე ვიქნები მცველი შენი ტკბილი ძილისაო...

**ნოტი**

**ა. ნ. უ.**

**თოჯინების სესლი**

**პიესა სამ მოქმედებად**

**თარგმნა**

**ელისო ბიჭუჭილია**

## მოქმედი პირები

ადვოკატი ჰელმერი.

ნორა, მისი შეუღდე.

დოქტორი რანკი.

ფრუ ლინე.

უბნის არწმუნებულ კროგსტადი.

ცოლ-ქმარი ჰელმერებს სამი პატარა ბავშვი.

ანა-მარია, მათი გამდელი.

მოახლე ჰელმერების სახლში

შიკრიკი.

მოქმედება მიმდინარეობს ჰელმერების სახლში.

## პ ი რ ვ ე ლ ი მ ო მ მ ე ლ ე ბ ა

სადა აუცილთ. მაგრამ გემოვნებით მოწყობილი მყუდრო ოთახი. უკანა პლანზე, შუა კედელში, ორი კარია: ერთი მარჯვნივ დერეფანში გადის, მეორე მარცხნივ — ჰელმერის კაბინეტში. ამ კარებს შორის პიანინო დგას, გვერდითი კედლის შუაშუა კარია. ფანჯარასთან, ავანსენის ახლოს, დგას მრგვალი მაგიდა სავარძლებითა და დივანითურთ. მარჯვნივ, ცოტა მოშორებით, სიღრმეში, კიდევ კარია. წინ კი — შორენკეის ღუმელი, ღუმელთან ჩამდენიმე სავარძელი და სარწვეველა მოჩანს. ღუმელსა და კარს შუა პატარა მაგიდა დგას. კედლებზე გრაფიკურებია. თაროებზე ფაიფურის და სხვა წერილმანი ნივთები ალაგია, წიგნის პატარა კარადაში ძვირფასუღიანი წიგნებია. იატაკზე ხალიჩა აფენია. ღუმელში ცეცხლი ანთია. ზამთრის დღეა.

დერეფანში ზარი რეკავს. ცოტა ხნის შემდეგ კარი იღება და დერეფნიდან ოთახში მზიარული ღილინით შემოდის პალტოში გამოწყობილი ნორა, ხელში პაკეტებისა და ხვეულების გროვა უქირავს, რომელთაც მარჯვნივ მდგარ მაგიდაზე ალაგებს. დერეფნის კარი ღია რჩება და იქ შიკრიკი გამოჩნდება, მას ნაძვის ხე და კალათი მოუტანია და კარის გამღებ მოახლეს გადასცემს.

ნორა. — ნაძვის ხე კარგად შეინახე, ელენე. ბავშვებმა საღამომდე არ უნდა ნახონ, სანამ არ მოვრთავთ. (საფულეს იღებს და შიკრიკს მიმართავს.) რამდენი მოგართვათ?

შიკრიკი. — ორმოცდაათი ერე!

ნორა. — აჰა ერთი კრონი... არა, სულ დაიტოვეთ.

შიკრიკი თავს უქრავს და გადის. ნორა კეტავს დერეფნის კარს, იხდის პალტოს, თან კმაყოფილი თავისთვის იცინის. მერე ჩიბიდან ამოიღებს პარკში ჩაყრილ ნუშის ნამსხვარს და რამდენიმე ცალს შეჭამს. ფრთხილად უახლოვდება მუქულის ოთახში გამაჟალ კარს და აყურადებს.

ჰო, შინ არის. (ცლავ წაიღიინებს და მაგიდასთან მიდის.)

ჰელმერი (კაბინეტიდან). რაო, მანდ ტოროლა გალობს?

ნორა (ნეაქრს ხსნის). სწორედ ისაა.

ჰელმერი. ციყუნია დაცუნცულებს?

ნორა. დიახ!

ჰელმერი. როდის დაბრუნდა ციყუნია?

ნორა. ეგ-ესაა. (ნამცხვრიან პარკს ჯიბეში ინახავს და ტუჩებიდან პოპი-  
დას იცილებს.) მოდი აქ, ტორვალდ, ნახე ჩემი ნავაჭრი.

ჰელმერი. მაკალე, ხელს ნუ მიწლი. (ცოტა ხნის შემდეგ კარს  
გაღებს და ოთახში შემოიხედავს, ხელში კალამი უჭირავს) ნავაჭრიო, ამბობ?  
ეს ყველაფერი?.. მაშ, ჩიტუნია ისევ გაფრინდა ფულების გასაფახ-  
ტავად?

ნორა. იცი, რა, ტორვალდ, განა დრო არ არის, რომ ბოლოს  
ჩვენც მოვიღებინოთ? ეს ხომ პირველი შობაა, როცა ისე აღარ გვი-  
ჭირს, მეტისმეტი ხელმომჭირნეობა რომ გავწიოთ.

ჰელმერი. არც მეტისმეტი ფლანგვა გვარგებს.

ნორა. ცოტა-ცოტა ხომ შეიძლება! არა? სულ ერთი ბეწო.  
ხელფასი ხომ გაგიდიდეს და ბევრ, ბევრ ფულს აიღებ.

ჰელმერი. ჰო, ახალი წლიდან. ოღონდ, ხელფასს მხოლოდ  
სამი თვის შემდეგ მომცემენ.

ნორა. რა უშავს. მანამდე შეგვიძლია ვისესხოთ.

ჰელმერი. ნორა! (უახლოვდება ცოლს და ხუმრობით ყურს აუწევს.)  
ისევ და ისევ ჩვენი ქარაფშუტობა. აბა წარმოიდგინე, დღეს ვისეს-  
ხებ ათას კრონს, შენ მას დახარჯავ დღესასწაულებზე, ახალი წლის  
წინა დღეს კი სახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტი თავში დამეცემა  
და მოგკამა ჰირო.

ნორა (პირზე ხელს მიაფარებს). ოჰ! ნუ ამბობ ეგეთ სისაძაგლს.

ჰელმერი. არა, აბა წარმოიდგინე ასეთი შემთხვევა, მაშინ  
რალას იზამ?

ნორა. თუკი ასეთი საშინელება მოხდება, მაშინ ჩემთვის სულ-  
ერთია, ვალი მექნება თუ არა.

ჰელმერი. მაგრამ იმ ხალხისთვის, ვისგანაც ფულს ვი-  
სესხებ?

ნორა. მათთვის? რაში მენალვლება! ისინი ხომ სხვები არიან.

ჰელმერი. ნორა, ნორა, შენ ქალი ხარ. მაგრამ სერიოზულად  
დაფიქრდი, ნორა, ხომ იცი ჩემი შეხედულებანი ამ მხრივ. არავითარი  
ვალი! არასოდეს არ უნდა ვისესხოთ! სესხებსა და ვალებზე დაფუ-  
ნებულ ოჯახის კერას სხვაზე დამოკიდებულების რალაც ულამაზო  
ჩრდილი ახლავს. დღემდე ხომ მე და შენ ვაუკაცურად ვეწეოდით  
კაპანს, ცოტაც კიდევ მოვითმინოთ.

ნორა (ღუმელისაკენ გაემართება). კეთილი, როგორც გენებოს.  
ტორვალდ.

ჰელმერი (მიჰყვება უკან). ოჰო, ჩიტუნია ამ უკვე ჩამოყარა  
ფრთები. ციყუნია გაიფხორა. (საფულეს ამოიღებს.) ნორა, როგორ გგონია,  
რა მაქვს აქ?

ნორა (მკვირცხლად შემობრუნდება). ფული!

ჰელმერი. აჰა, ეს შენ (აძლევს რამდენიმე ქალაღის ფულს) განა არ  
ვიცი, ოჯახს დღესასწაულებზე ბევრი ხარჯი მოსდის.

ნორა (ფულის ფულს). ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი. გმადლობთ,  
ტორვალდ. ახლა კი კარგა ხანს მეყოფა.

ჰელმერი. აბა, შენ იცი.

ნორა. ჰო, ჰო, ნამდვილად. მაგრამ მოდი აქ, გიჩვენო, რა ვიყი-  
დე. მერედა რა იათად! შეხედე, აი ახალი კოსტიუმი ივარისთვის და  
ხალი. ეს ცხენი და საყვირი ბობისთვის. ეს თოჯინა და თოჯინას სა-  
წოლიც ემისთვის. უბრალოებია, მაგრამ, სულ ერთია, ემი მათ მაინც  
მალე მიამსხვრევს. ეს კი ჩვენი მოახლისთვის საკაბე და საფეშტამ-  
ლეა. მოხუცებულ ანა-მარიას, რა თქმა უნდა, უფრო დიდი საჩუქა-  
რი ეკუთვნის...

ჰელმერი. ამ პაკეტში რაღაა?

ნორა (წამოხტება). არა, არა, ტორვალდ, მაგას ნუ ნახავ სალა-  
მომდე!

ჰელმერი. ოჰო! ერთი ეს მითხარი, პატარა მფლანგველო, შენ-  
თვის რაღა შეარჩიე?

ნორა. ეჰ, მე არაფერიც არ მინდა.

ჰელმერი. როგორ თუ არ გინდა! ოღონდ, გონივრული რამ  
დამისახელე, რასაც ყველაზე მეტად ისურვებ.

ნორა. მართლა არაფერი მინდა, ანდა მისმინე, ტორვალდ...

ჰელმერი. ჰო, რაო?

ნორა. (ქმრის პიჯაკის ღილებს თითებს აყოლებს). თუკი მართლა გინ-  
და რამე მაჩუქო, მაშინ... მაშინ...

ჰელმერი. ჰო, ჰო, თქვი, რაღა.

ნორა (სწრაფად). მაშინ ფული მომეცი, ტორვალდ, რამდენიც  
შეგიძლია. იმ ფულით მერე, ამ დღეებში, რაიმეს ვიყიდი ჩემთვის.

ჰელმერი. არა, გამიგონე, ნორა:...

ნორა. ჰო, ჰო, ასე ქენი, ტორვალდ, გეხაცვალე! გეხვეწები! იმ

ფულს შევახვევ ნოქროვილ ქალაღში და ნაძვის ხეზე ჩამოვკიდებ. ხომ იქნება სერი?

ჰელმერი. რა ჰქვია იმ ჩიტუნებს, ფულებს რომ მუღამ ანიკვებენ?

ნორა. ვიცი. ვიცი — მფლანგველები. მაგრამ ისე ვქნათ, როგორც გეუბნები, ტორვალდ. მაშინ მე დრო მექნება მოსაფიქრებლად. იუ რა მჭირდება ყველაზე უფრო. განა ეს კეთილგონივრული არ არის? ჰა?

ჰელმერი (იღიბება). რა თქმა უნდა, თუკი შენ ნამდვილად შესძლებ ხელში გაიჩერო ეგ ფული და მერე მაგით რაიმე იყიდო შენთვის. თორემ ეგაც შემოგეხარება ოჯახისათვის ათასგვარ უმნიშვნელო წვრილმანებზე და მე კიდევ ფულების ამოყაჭვა მომიწევს.

ნორა. ოჰ, ტორვალდ...

ჰელმერი. არ გადავები, ჩემო სიხარულო, (ეხვევა ცოლს) ჩიტუნია საყვარელია, მაგრამ საშინლად ბევრ ფულს ხარჯავს. პირდაპირ დაუჯერებელია, რა ძვირად უჯდება ქმარს ასეთი ჩიტუნია!

ნორა. ოჰ! როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი! აკი ვზოგავ, რაც შემიძლია.

ჰელმერი (მზიარულად). ეს კი ნამდვილი ჭეშმარიტებაა! რაც შეგიძლია. მაგრამ შენ სულაც არ შეგიძლია.

ნორა (ღიღინებს და იღიბება). ჰმ, ნეტა იცოდე, ჩვენ, ტოროლებს და ციყვებს რამდენი ხარჯი გვაქვს, ტორვალდ!

ჰელმერი. პატარა უცნაურო. გაჭრილი ვაშლივით გავხარ მამაშენს. სულ იმას ცდილობ, ფული როგორმე დახარჯო. როგორც კი ხელში ჩაიგდებ, მაშინვე თითებს შორის გიქრება. თვითონაც არ იცი, რაში ხარჯავ. რას ვიზამ, ისეთი უნდა მყავდე, როგორიცა ხარ. ეგ უკვე ძვალსა და რბილში გაქვს გამჭდარი. დიახ, დიახ, ეგ მემკვიდრეობითა გაქვს მიღებული, ნორა.

ნორა. ეჰ, ნეტავი უფრო მეტი ჩვევები მიმელო მემკვიდრეობით მამაჩემისაგან.

ჰელმერი. არც მე მინდოდა. რომ სხვანაირი ყოფილიყავი, ჩემო საყვარელო ტოროლაჟ! მაგრამ მომისმინე, მე მგონია, შენ... როგორ გითხრა... თითქოს რალაც საეკვო გამომეტყველება გაქვს დღეს.

ნორა. მე?

ჰელმერი. ჰო, აბა პირდაპირ თვალეში შემომხედე.



ნორა (შეხედავს). აჰა.

ჰელმერ ი. (თითს უქნევს). სუსნია მ დღეს პირი არ ჩაიტყბარუნა ქალაქში?

ნორა. არა! რას ამბობ!

ჰელმერ ი. განა სუსნია მ საკონდიტროში არ შეიბრინა?

ნორა. ტორვალდ. გარწმუნებ...

ჰელმერ ი. და მურაბით არ ჩაიკოკლოზინა ყელი?

ნორა. არც მიფიქრია.

ჰელმერ ი. და ნუშის ნამცხვარი არ ჩაახრამუნა?

ნორა. ოჰ, ტორვალდ. გარწმუნებ-მეთქი...

ჰელმერ ი. ჰო, კარგი, კარგი, მე მხოლოდ ვხუმრობ...

ნორა (მარჯვნივ მდგარ მაგიდისკენ მიდის). აზრადაც არ მომივა, შენი საწინააღმდეგო რამ გავაკეთო.

ჰელმერ ი. ვიცი, ვიცი, ავი სიტყვა მომეცი. (მივა ცოლთან.) ჰო-და, შენთვის დაიტოვე შენი პატარ-პატარა მემკვიდრეობითი საიდუმლოებანი, ჩემო ძვირფასო ნორა. ისინი, ალბათ. დღეს საღამოსვე ამოტივტივდებიან ზემოთ. როცა ნაძვის ხე აინთება.

ნორა. ხომ არ დაგავიწყდა ექიმი რანკის მოწვევა?

ჰელმერ ი. არ მომიწვევია და არც არის საჭირო. საერთოდ ხომ ჩვენთან ვახშობს. ესე იგი, მე კიდევ მოვასწრებ შევახსენო მას, რომ სადილის წინ შემოიაროს. ღვინო კარგი დავუყვეთე. ნორა, არც კი დაიჭერებ, როგორ მიხარია დღევანდელი საღამო.

ნორა. მეც ასევე. ბავშვებიც როგორ გაიხარებენ, ტორვალდ.

ჰელმერ ი. აჰ, რა ბედნიერებაა იმის შეგარძნება, რომ უკვე მი-აღწიე საიმედო, უზრუნველმყოფელ თანამდებობას, რომ ამიერიდან უკვე გექნება დიდი შემოსავალი. ხომ სასიამოვნო შეგარძნება?

ნორა. ო, შესანიშნავია!

ჰელმერ ი. შარშანდელი შობა გახსოვს? მთელი სამი კვირა, საღამოობით რომ გამოიკეტებოდი სახლში გვიანობამდე და ყვავილებსა და სხვადასხვა სათამაშოებს აკეთებდი ნაძვის ხისათვის, ჩვენი გოცნება გინდოდა. ოო, ამაზე მოსაწყენი დღეები მე არ მახსოვს.

ნორა. სულაც არ ვიყავი მოწყენილი.

ჰელმერ ი. მაგრამ აქედან ხომ ბევრი არაფერი გამოვიდა, ნორა.

ნორა. კიდევ განაგრძობ ჩემს გალიზიანებას? მე რა უნდა მექ-

ნა, როცა კატა ამძვრალიყო და ყველაფერი ნაკუწებად ექცია!

ჰელმერი. რა თქმა უნდა, ვერაფერს იზამდი, ჩემო საბრალო. შენ სულით და გულით გინდოდა ჩვენი გახარება და ესაა მთავარი. მაგრამ კიდევ კარგი, რომ ის საძაგელი დღეები წავიდნენ.

ნორა. ჰო, პირდაპირ საუცხოოა.

ჰელმერი. არც მე დაჰპირდება მართოდ მოწყენილს ჯდომა და აღარც შენ მოგიწყევს მაგ მშვენიერი თვალებისა და ნაზი ხელების გაფუჭება...

ნორა (ტაშს შემოჰკრავს). მართლა, არა, ტორვალდ? აღარ დაგეპირდება, ხომ? ოჰ, რა კარგია, რა დიდებულია ამის მოსმენა! (ხელს გამოსდებს.) ახლავე მოგიყვები, როგორ ვაპირებ ცხოვრების მოწყობას, ტორვალდ. როგორც კი ეს დღესასწაულები გაივლის... (დერეფანში ზარი აწყრიალდება.) აჰ, რეკავენ! (ოთახს ცოტა მიალაგებს.) ალბათ, ვიღაც გვესტუმრა. საწყენია.

ჰელმერი. თუ ვინმე გვესტუმრა, მე შინ არა ვარ, დაიხსომე.

მოახლე (დერეფნის კარიდან.) ქალბატონო, ვიღაც უცნობი ქალია.

ნორა. სთხოვე, შემოვიდეს.

მოახლე (ჰელმერს). და ექიმიია.

ჰელმერი. პირდაპირ ჩემთან შევიდა?

მოახლე. დიახ, დიახ.

ჰელმერი გადის კაბინეტში. მოახლეს შემოჰყავს სამგზავროდ ჩაცმული ფრუ ლინე და მის უკან კარს ხურავს.

ფრუ ლინე (დარცხვენით და ენის ბორძიკით). გამარჯობა, ნორა.

ნორა (უოპანიით). გამარჯობათ...

ფრუ ლინე. გეტყობა, ვერ მიცანი...

ნორა. ვერა, ვერ გიცანით... ჰო, მგონი... (აჩქარებით.) როგორ!

ქრისტიანა... ნუთუ ეს შენა ხარ?!

ფრუ ლინე. მე ვარ.

ნორა. ქრისტიანა! უცებ ვერ გიცანი! ან კი როგორ უნდა... (ზმას დაუწევს.) როგორ გამოცვლილხარ, ქრისტიანა!

ფრუ ლინე. აბა რა. ცხრა-ათი წელი გავიდა მას შემდეგ...

ნორა. ნუთუ ამდენი ხანი გავიდა, რაც აღარ გვინახავს ერთმან-

ნეთი. კი, კი, მართლაც, ასეა. აჰ, ის ბოლო რვა წელი — ნამდვილად ბედნიერი დრო იყო!.. მაშ, აქ ჩამოხვედი, ჩვენთან, ქალაქში? ზამთარში ამ გრძელ გზას არ შეუშინდი! რა ყოჩალი ხარ!

ფ რ უ ლ ი ნ ე. დღეს დილით ჩამოვედი, გემით.

ნ ო რ ა. დღესასწაულები რომ მხიარულად გაატარო არა? რასაკვირველია. ოჰ, რა დიდებულია! ჩვენც გავმხიარულდებით. აბა. გაიხადე. ხომ არა გცივა? (მიხეზარება.) აი, ასე. ახლა კარგად მოვეწყობთ ლუმელთან. არა, შენ სავარძელზე დაჯექი. მე კი სარწვეველაზე მოვჯავსდები! (მკლავში ხელს გაუყრის.) აჰა, აი, ახლა შენ ისევ ის უწინდებური სახე გაქვს. მხოლოდ პირველ წუთს... თუმცა ცოტათი გაფერმკრთალებულხარ, ქრისტინა, და ოდნავ გამხდარხარ კიდევ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. და ძალიან, ძალიან დავებრდი, ნორა.

ნ ო რ ა. თითქოს, მართლაც, ცოტათი. სულ ოდნავ, არც კი გემჩნევა. (უცებ შეჩერდება და სერიოზული კილოთი მიმართავს.) უი, როგორ გამოვშტერდი, ვზივარ აქ და ვცბედობ! ძვირფასო, საყვარელო ქრისტინა, მაპატიე!

ფ რ უ ლ ი ნ ე. რა მოხდა, ნორა?

ნ ო რ ა. (წყნარად). საბრალო ქრისტინა, შენ ხომ დაქვრივდი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. სამი წლის წინათ.

ნ ო რ ა. დიახ, ვიცი. გაზეთებში წავიკითხე. ოჰ, ქრისტინა, მერწუმუნე, მაშინ იმდენჯერ დავაპირე შენთვის წერილი მომეწერა, მაგრამ სულ იქით და იქით ვდებდი, სულ რაღაც მიშლიდა ხელს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ნორა, გენაცვალე, მშვენივრად მესმის.

ნ ო რ ა. არა, ეს საძაგლობაა ჩემი მხრიდან, ქრისტინა, ეჰ, შე საბრალო, ალბათ ძალიან განიცადე. მეუღლემ არავეითარი სახსრები არ დაგიტოვა?

ფ რ უ ლ ი ნ ე. არავეითარი.

ნ ო რ ა. არც ბავშვები?

ფ რ უ ლ ი ნ ე. არც ბავშვები.

ნ ო რ ა. ესე იგი არაფერი?

ფ რ უ ლ ი ნ ე. არაფერი. მწუხარებაც კი არა, არც სინანული, კაცმა მეხსიერება რომ ასაზრდოოს.

ნ ო რ ა. (უნდობლად შეჰყურებს). კი, მაგრამ ეგ როგორ შეიძლება, ქრისტინა?

ფ რ უ ლ ი ნ ე (მწარე ღიმილით ნორას თავზე ხელს გადაუსვამს). ზოგ-  
ჯერ ასეც ხდება, ნორა.

ნ ო რ ა. მაშ მარტოდმარტო ხარ? რა ძნელი იქნება. მე კი სამი  
საუცხოო ბაია მყავს. ოღონდ ახლა მათ ვერ ნახავ. ძიძასთან ერთად  
სეირნობენ. მაგრამ, მოდი, ჯერ ყველაფერი დალაგებულად მომი-  
ყვი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. არა, არა, არა, სჯობია, შენ თვითონ მოყვე.

ნ ო რ ა. ჯერ შენ დაიწყე. დღეს არ მინდა ეგოისტი ვიყო. მინდა  
მხოლოდ შენს საქმეებზე ვიფიქრო. ოღონდ ერთ რამეს კი გეტყვი-  
ცი, ამ დღეებში ბედმა როგორ გაგვიღიმა?

ფ რ უ ლ ი ნ ე. მართლა? რა მოხდა?

ნ ო რ ა. ჩემი ქმარი სააქციო ბანკის დირექტორი გახდა!

ფ რ უ ლ ი ნ ე. შენი ქმარი? ეგ მართლაც დიდი...

ნ ო რ ა. ძალიან დიდი ბედნიერებაა; ადვოკატობა არცთუ მთლად  
საიმედო პროფესიაა ცხოვრებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ  
მოისურვებ ჭეშმარიტად სუფთა, შეურყვენელ საქმეს მოჰკიდო ხელი.  
ტორვალდი, რასაკვირველია, სხვაჯვარ საქმეს ზედაც არ მიხედავდა,  
ამაზე მეც სავსებით ვეთანხმები. ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიხარია.  
ამ თანამდებობაზე მუშაობას ახალი წლიდან დაიწყებს და დიდ ხელ-  
ფასსა და კარგ პროცენტებსაც მიიღებს. მაშინ შევძლებთ დღევან-  
დელთან შედარებით სულ სხვანაირად ვიცხოვროთ — როგორც მოვი-  
სურვებთ. ოჰ, ქრისტინა, როგორ მომეშვა გულზე, რა ბედნიერი ვარ!  
რა დიდებულაა, გქონდეს უამრავი ფული და უწარუხველად ცხოვრე-  
ბა შეგეძლოს. ჰა, რას იტყვი?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ჰო, რა თქმა უნდა, საუცხოოა, როცა ადამიანს  
გააჩნია ყველაფერი, რაც კი აუცილებლად ესაჭიროება.

ნ ო რ ა. არა, მარტო აუცილებლად საჭირო რამ კი არა, არამედ  
ბევრი, ძალზე ბევრი ფული.

ფ რ უ ლ ი ნ ე (ღიმილით). ნორა, ნორა! შენ ჯერ კიდევ არ და-  
ჭკვიანებულხარ! პანსიონში დიდი მფლანგველი იყავი.

ნ ო რ ა (წყნარად ჩაიცინებს). ტორვალდი ახლაც მაგას მეძახის. (თი-  
თით დაემუქრება.) მაგრამ, „ნორა, ნორა“ არც ისეთი დამთხვეულია,  
როგორც თქვენ გგონიათ... მართალი გითხრა, ჩვენ ისე არც გვიცხოვ-  
რია, რომ ფულების ფანტვა შემძლებოდა. ორივე იძულებული ვიყა-  
ვით გვემუშავა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. შენც?

ნო რ ა. ჰო, მსუბუქ ხელსაქმეზე: ქსოვა, ქარგვა და სხვა ამგვარი. (გაჯვრით.) და... კიდევ რაღაც. შენ ხომ იცი, ტორვალდმა სამინისტროში სამსახური მიატოვა. როცა ჩვენ დავქორწინდით. დაწინაურების არავითარი იმედი არ იყო და ფული კი უწინდელზე მეტი გვეკრებოდა. პირველ წელს პირდაპირ წელში გაწყდა შრომით, საშინლად გადაიღალა. წარმოგიდგენია: ყოველგვარ დამატებით სამუშაოს იღებდა და დილიდან საღამომდე თავაუღებლად ნუშობდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო, მიიმეღ დაავადდა და ექიმებმა ურჩიეს, საჭიროა სამხრეთში გაემგზავროს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. და იტალიაში გაატარეთ მთელი წელიწადი?

ნო რ ა. დიახ, და, მერწმუნე, არცთუ იოლი იყო ჩვენთვის სხვაგან გამგზავრება. ივარი სწორედ მაშინ დაიბადა, მაგრამ წასვლა აუცილებელი იყო. ახ, რა კარგი, რა შესანიშნავი იყო ის მგზავრობა. ამრიგად, ტორვალდი გადარჩა. მაგრამ რამდენი ფული დაიხარჯა, ქრისტიანა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. წარმოდგენილი მაქვს.

ნო რ ა. ათას ორასი სპეცი-დალერი. ოთხი ათას რვაასი კრონი. ეხუმრები?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, საჭიროების შემთხვევაში ამდენ ფულს რომ იშოვი.

ნო რ ა. ჰო, მამისგან მივიღეთ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. აჰ, მართლა. მგონი, მამაშენი სწორედ მაშინ გარდაიცვალა.

ნო რ ა. დიახ, სწორედ მაშინ. და წარმოიდგინე, მე არ შემეძლო მასთან წასვლა და მისი მოვლა. პატარა ივარს დღე-დღეზე ველოდი. თანაც ჩემი საბრალო ტორვალდი სიკვდილის პირას იყო. ჩემი ძვირფასი, საყვარელი შამიკო. აღარ მელირსა მისი ნახვა, ქრისტიანა! ეს ყველაზე დიდი მწუხარება იყო, რაც გათხოვების შემდეგ გადავიტანე.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ვიცი, ძალიან გიყვარდა მამა. ესე იგი, ამის შემდეგ იტალიაში გაემგზავრეთ?

ნო რ ა. დიახ, ოთხი კვირის შემდეგ. ფული გვეკონდა და ექიმებიც ძალას გვატანდნენ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. და შენი ქმარი სავსებით განიკურნა?

ნორა. სავსებით.

ფრუ ლინე. ის... ექიმი?

ნორა. რომელი?

ფრუ ლინე. მგონი, მოახლე გოგომ მითხრა, ჩემთან ერთად აქ ერთი ბატონი რომ მოვიდა, ექიმი ყოფილა.

ნორა. აა, ის ექიმი ჩანკია. მაგრამ საექიმოდ კი არ დადის ჩვენთან, იგი ჩვენი საუკეთესო მეგობარია და დღეში ერთხელ მაინც გვინახულებს ხოლმე. არა, ტორვალდს მას შემდეგ ფრჩხილიც აღარ წამოსტკივებია. ბავშვებიც ხალისიანად და ჩანმრთელად არიან და მეც. (წამოხტება და ტაშს შემოჰყრავს.) ო, ღმერთო, ქრისტიანა რა კარგია, ცხოვრობდე და ბედნიერად თვლიდე თავს! არა, ეს საზიზღრობაა ჩემი მხრიდან — მხოლოდ საკუთარ თავზე ვლაპარაკობ (ღება ფრუ ლინეს გვერდით სკამზე და ხელებს მუხლებზე დააწყობს.) ნუ გამიჩავრდები!.. მითხარი, მართლა არ ვიყვარდა შენი ქმარი? მაშ, რატომღა გაჰყვეო ცოლად?

ფრუ ლინე. დედაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ისე დასუსტებული და უმწურო, რომ ლოგინიდან ვერა დგებოდა. თანაც ორი პატარა ძმა მყავდა სარჩენი. ამიტომ თავი ვალდებულად ჩავთვალე. მისი წინადადება მიმეღო.

ნორა. დიახ, დიახ, ეგ მართალია. ესე იგი მაშინ ის მდიდარი იყო?

ფრუ ლინე. ვფიქრობ საკმაოდ შეძლებული. მაგრამ საქმეები კარგად ვერა ჰქონდა მოგვარებული, ნორა. მისი გარდაცვალებისთანავე ყველაფერი დაინგრა და გაცამტვერდა.

ნორა. მერე?..

ფრუ ლინე. მერე იძულებული გავხდი ხან წვრილმანი სავაჭროთი, ხან პატარა სკოლით და ხანაც, რაზედაც ხელი მიმიწვდებოდა, იმით გამეტანა თავი. ეს უკანასკნელი სამი წელიწადი ისე გაუთავებელი გახდა ჩემთვის, როგორც ხანგრძლივი სამუშაო დღე, შესვენება რომ არ ახლავს. ახლა იგი დამთავრდა, ნორა. ჩემს საბრალო დედას მე აღარ ვჭირდები — იგი გარდაიცვალა. ბიჭებიც უკვე ფეხზე დადგნენ, შეუძლიათ თავის დარჩენა.

ნორა. ძლივს თავისუფლად ამოისუნთქავდი...

ფრუ ლინე. არა, ნორა, პირიქით, საშინელ სიცარიელეს ვგრძნობ, როცა არავის ვჭირდები. (წამოღება აღელვებული.) ამიტომაც ვე-

ღარ გავხელი იქ. ჩვეს მიყრუებულ კუთხეში. აქ, ჩემი აზრით. გაცი-  
ლებით იოლად ვიშოვი ისეთ სამუშაოს. სადაც ფიზიკურად და გო-  
ნებრივადც დასაქმებული ვიქნები. ნეტავ რაიმე საიმედო სამსახური,  
თუნდაც კანტორის სამუშაო რომ მაშოვნინა...

ნორა. მაგრამ. ქრისტიანა. ეგ ხომ საშინლად მომქანცველია. შენ  
კი ისედაც გადაღლილი ჩანხარ. მგონი, აჯობებდა სადმე დასასვენებ-  
ლად წასულიყავი.

ფრუ ლინე (ფანჯრისკენ გაემართება). მე არა მყავს მამა. გზის  
ფულით რომ მომამარაგოს, ნორა.

ნორა (წაბოლდება). გთხოვ, ნუ მიწყენ.

ფრუ ლინე (მისკენ წაწოვ). ნორა, გენაცვალე, მაპატიე. ჩემს  
მდგომარეობაში ყველაზე აუტანელი ისაა, რომ გულში ამდენი ნა-  
ღველი გროვდება. მუშაობ არავისთვის და მაინც წელებზე ფეხს იდ-  
გამ და ხე და ქვეს აწყდები. ცხოვრება ხომ გინდა. და ამრიგად ეგო-  
ისტი ხდები. ახლა შენ რომ მომიყუვი თქვენი საქმეების კეთილად  
შემობრუნებაზე, არ დაიჯერებ. — ჩემთვის უფრო ვამიზარდა. ვიდრე  
შენთვის.

ნორა. როგორ? აა, მესმის: იფიქრე, ტორვალდი დამეხმარებო?

ფრუ ლინე. ჰო, ასეთი აზრი დამებადა.

ნორა. დაგეხმარება კიდევ, ჩემო ქრისტიანა. ეგ საქმე მე მო-  
მანდე. ნელ-ნელა ყველაფერს მოვაკვარახვინებ. მოვიფიქრებ რაიმე  
განსაკუთრებულს ტორვალდის შესაგულიანებლად. ო, როგორ მინ-  
და რითიმე დაგეხმარო.

ფრუ ლინე. რა კეთილი ხარ. ნორა. ჩემი გასაპირი გულთან  
ასე ახლოს რომ მიგაქვს. ეგ დიდი წყალობაა შენი მხრივ. თვითონ  
ხომ ასე ნაკლებად იცნობ ცხოვრების სიძნელეებსა და სირთულეს.

ნორა. მე? მე ვიცნობ ნაკლებად?

ფრუ ლინე (ლიბილით). ღმერთო ჩემო, რაღაც ხელსაქმის სა-  
მუშაო და მისთანა... ბავშვი ხარ. ნორა!

ნორა (უღეს მოიღერებს და ოთახში გაივლის). მე მგონი, არა გმარ-  
თებს ჩემთან ასეთი ქედმაღლური ტონით ლაპარაკი.

ფრუ ლინე. ჰოო?

ნორა. შენც ისეთი ხარ, როგორც სივესი. თევე ყველას გგო-  
ნიათ, რომ არავითარი სერიოზული საქმისათვის მე არ გამოვ-  
დგები

ფ რ უ ლ ი ნ ე. მერე, მერე?

ნო რ ა. რომ მე სრულებით არაფერი გადამიტანია ამ მძიმე ცხოვრებაში.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ნორა, გენაცვალე, ახლა არ მომიყევი ყველაფერი, რაც კი გადაგიტანია?

ნო რ ა. ეგ ყველაფერი წერილმანია! (დაბალი ხმით.) მთავარი არ მოთქვამს შენთვის.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მთავარი? მაგით რისი თქმა გინდა?

ნო რ ა. შენ ძალიან ზემოდან დამყურებ, ქრისტიანა, მაგრამ ტყუილად. ამაყობ იმით, რომ დედის გულისთვის ხანგრძლივი, მძიმე შრომა გადაიტანე...

ფ რ უ ლ ი ნ ე. მე არავის დავყურებ ზემოდან. მაგრამ ვამაყობ და ვხარობ იმის მოგონებით, რომ წილად მხვდა შემემსუბუქებინა დედაჩემისთვის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები.

ნო რ ა. აგრეთვე ამაყობ იმით, რაც ძმებისთვის გააკეთე.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მე მგონი, ამის უფლება მაქვს.

ნო რ ა. მეც ასე მგონია. ოღონდ მომისმინე, ქრისტიანა. მეც გამაჩნია რაღაც საამაყო და სასიხარულო.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მჭერა! მაგრამ რას გულისხმობ?

ნო რ ა. ხმადაბლა ილაპარაკე. ტორვალდმა არ გაიგონოს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რომ მან... არავინ არ უნდა გაიგოს, ეს, ქრისტიანა, არავინ, შენს გარდა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. რა არ უნდა გაიგოს?

ნო რ ა. მოდი აქ (თავის გვერდით დივანზე დასვაძს.) დიახ... მეც შემიძლია რაღაცით ვიხარო და ვიამაყო... მე შეეუწნარჩუნე სიცოცხლე ტორვალდს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. შეუწნარჩუნე? როგორ შეუწნარჩუნე?

ნო რ ა. ხომ მოგიყევი იტალიაში მოგზაურობაზე. ტორვალდი დღეს ცოცხალი არ იქნებოდა, სამხრეთში რომ არ მოხვედრილიყო.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ჰო, რა თქმა უნდა. საჭირო თანხა კი მამაშენმა მოგცათ.

ნო რ ა (ღიმილით). ეს ტორვალდს ჰგონია ასე და სხვებსაც ყველას, მაგრამ...

ფ რ უ ლ ი ნ ე. მაგრამ...



ნორა. მამაჩემს კაპიცი არ მოუცია ჩვენთვის. ფული მე ვიშოვე.

ფრუ ლინე. შენ? ასეთი დიდი თანხა?

ნორა. ათას ორასი სპეცი-დალერი. ოთხი ათას რვაასი კრონა. ჰა, რას იტყვი?

ფრუ ლინე. კი, მაგრამ, ნორა, როგორ შესძელი? ლატარიაში მოიგე?

ნორა (ზიზღით). ლატარიაში! (თავმოწონედ) მაგას რა ფასი ექნებოდა.

ფრუ ლინე. მაშ სად იშოვე?

ნორა (ჩაილიღინებს იღუპალი ლიბოთ). ჰმ! ტრა-ლა-ლა!

ფრუ ლინე. სესხებით ვერ ისესხებდი.

ნორა. ვითომ? რატომ ვერა?

ფრუ ლინე. ცოლს ხომ არ შეუძლია ქმრის თანხმობის გარეშე ვალების აღება.

ნორა (ყელს მოიღერებს). თუკი ცოლს საქმეებისა ცოტა რამ მაინც გაეგება, თუკი ცოლს ცოტაოდენი ჰქუა გააჩნია იმისათვის, რომ საქმეებს თავი გაართვას...

ფრუ ლინე. ნორა, ნამდვილად არაფერი მესმის.

ნორა. არცაა საჭირო, გესმოდეს. მე ხომ არ მითქვამს, რომ ფული ვისესხე-მეთქი. განა არ შეიძლებოდა სხვა გზით მეშოვა? (დივანის საზურგეზე გადაწევა.) მაგალითად, მიმელო თაყვანისმცემლისაგან. ასეთი მომხიბლავი გარეგნობის მქონე, როგორიც მე ვარ...

ფრუ ლინე. რამ გადაგრია, ნორა.

ნორა. ალბათ, ახლა ერთი სული გაქვს, რომ ყველაფერი გაიგო, არა, ქრისტინა?

ფრუ ლინე. გამიგონე, ნორა, გენაცვალე, სულელური რამ ხომ არ ჩაგიდენია?

ნორა (დივანზე წელში გასწორდება). განა სისულელეა, ქმარს სიცოცხლე შეუწარჩუნო?

ფრუ ლინე. ჩემის აზრით, სისულელეა, თუკი მის შეუტყობინებლად...

ნორა. კი, მაგრამ, მას ხომ არაფერი არ უნდა სცოდნოდა! ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გესმის? ის ეჭვითაც კი არ უნდა მიმხვდარიყო, თუ რა საშიშროება ელოდა. მხოლოდ მე მითხრეს ეჭიმებმა, მ-

სი სიცოცხლე საფრთხეშია და სამხრეთში წასვლის გარდა ვერაფერი იხსნისო. სხვადასხვა საშუალებანი ვცადე მის დასაყოლიებლად. წამოვუწყე საუბარი იმაზე, რომ სხვა ახალგაზრდა ქალების მსგავსად მეც სურვილი მქონდა წავსულიყავი საზღვარგარეთ. ვტიროდი, ვეხვეწებოდი გაეხსენებინა ჩემი „მდგომარეობა“, რომ ამ დროს ვალდებული იყო ჩემი სურვილები აესრულებინა. გადავუკარი, ფულის სესხება შეიძლება-მეთქი, მაგრამ, ქრისტინა, ის თითქმის გამიბრაზდა. მითხრა, ქარაფშუტა ხარო და ჩემი, როგორც ქმრის, მოვალეობაა ხელი შევეშალო შენს ახირებასა და კაპრიზებსო, — მგონი, სწორედ ასე თქვა. კარგი, კარგი: ვთქვი ჩემთვის, შენი ხსნა მაინც აუცილებელია-მეთქი და გამოსავალიც ვიპოვე...

ფ რ უ ლ ი ნ ე. მერედა, შენმა ქმარმა მამაშენისაგან ვერ გაიგო, რომ ფული მას არ მოუცია?

ნ ო რ ა. ვერ გაიგო. მამა ხომ სწორედ იმ დღეებში მოკვდა. ის იყო ვაპირებდი, ეს საქმე მისთვის გამეცნო და მეთხოვა, ნუ გამცემ-მეთქი, მაგრამ იგი უკვე ისე ცუდად იყო, რომ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება აღარ დამპირებია.

ფ რ უ ლ ი ნ ე. და ეგ ყველაფერი დღემდე არ გაგიმხელია ქმრისათვის?

ნ ო რ ა. არა, ღმერთმა დამიფაროს, რას ამბობ! იგი ისეთი მკაცრია ამ მხრივ, თანაც მის მამაკაცურ თავმოყვარეობას... ტორვალდისათვის ძალიან მტკივნეული და დამამცირებელი იქნებოდა იმის გაგება, რომ ჩემგან რაიმეთია დავალებული. ეს ხომ ყირაზე დააყენებდა მთელ ჩვენს ურთიერთობას. ჩვენი ბედნიერი ოჯახური ცხოვრება ის აღარ იქნებოდა, რაც ახლათ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მაშ, არასოდეს არ ეტყვი?

ნ ო რ ა (დაფიქრდება და ოდნავ გაიღივებს). ჰო... ვეტყვი ალბათ ოდესმე... როცა ბევრი, ბევრი წელი გაივლის და ასე კარგიც აღარ ვიქნები. ნუ გეცინება. ამით იმის თქმა მინდა, როცა აღარ მოვეწონები-მეთქი ტორვალდს. როცა აღარ გაიტაცებს ჩემი ცეკვები, ჩაცმა, დეკლამაცია. მაშინ ხელთ უნდა მქონდეს რაიმე დამხმარე საშუალება... (უცებ შეწყვეტს.) ეჰ, რა სისულელეს ვროშავ. ეს არასოდეს არ მოხდება. აბა, რას იტყვი ჩემს დიდ საიდუმლოზე, ქრისტინა? ვვარგვიარ თუ არა რაიმედ? არ გეგონოს, ეს საქმე იოლი გასაკეთებელი იყოს. კარგად მოგეხსენება, საქმიან სამყაროში არსებობს ვალის კვარტა-

ლური წესით გადახდა და მთლიანი დაფარვა. ფულის შოვნა კი ყოველთვის ძნელია. ამიტომ რაც კი შემძლეო, ყველანაირად ვზოგავდი. ოჯახში სახარჯო ფულიდან ბევრს ვერაფერს ვინახავდი. ტორვალდს ხომ კარგი კვება ესაქიროებოდა. ბავშვებსაც ცუდად ვერ ჩავაცემევდი. მათთვის განკუთვნილ ფულს მთლიანად მათ ვახმარდი. ჩემი საყვარელი ცუგრუმელები!

ფ რ უ ლ ი ნ ე. ამგვარად, ალბათ მოგიწევდა შენთვის განკუთვნილ ფულზე უარის თქმა, საბრალო ნორა?

ნ ო რ ა. თავისთავად ცხადია. ეს საქმე ხომ ჩემი წამოწყებული იყო! როცა კი ტორვალდი ფულს მომცემდა ახალი კაბისთვის ან სხვა რაიმესთვის, მხოლოდ ნახევარს ვხარჯავდი. ყველაფერს იაფფასიანსა და უბრალოს ვყიდულობდი. ჩემდა საბედნიეროდ, ყველაფერი მიზნდება და ტორვალდიც ვერაფერს ამჩნევდა. ზოგჯერ კი ძალიან მიჭირდა. ქრისტინა. რა დიდ სიამოვნებას განიცდი, როცა კარგად გაცვია, არა?

ფ რ უ ლ ი ნ ე. რა თქმა უნდა.

ნ ო რ ა. ამასთან ერთად შემოსავლის სხვა წყაროც მქონდა. შარშან ზამთარს ბედმა გამიღიმა, მთელი დასაწერი მასალა მივიღე. ყოველ საღამოს ჩავიკეტებოდი ოთახში და გვიანობამდე ვწერდი. ხან ისე საშინლად ვიქანცებოდი... მაგრამ მაინც ძალზე სასიამოვნო იყო ასე მუშაობა და ფულის შოვნა. თითქმის მამაკაცად მიმაჩნდა თავი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მეჩვეა, რამდენი გადაიხადე იმ ვალიდან?

ნ ო რ ა. ზუსტად ვერ გეტყვი. ძნელია ასეთ საქმეებში კარგად გარკვევა. ეს კი ვიცი, რომ იმდენი გადავიხადე, რამდენის შეკოწიწცბაც შეეძელი. ხშირად, პირდაპირ აღარ ვიცოდი, რა მეღონა. (ილიზება.) მაშინ ვჭდებოდი და მივეცემოდი ოცნებას, რომ ვითომ ვილაც მდიდარმა მოხუცმა შემიყვარა...

ფ რ უ ლ ი ნ ე. ვინ? რომელმა მოხუცმა?

ნ ო რ ა. ოჰ, არავინ!.. რომ იგი კვდება, მისი ანდერძი გახსნილია და შიგ მსხვილი ასოებით წერია: „მთელი ჩემი ფულადი თანხა ნაღდ ანგარიშზე დაუყოვნებლივ გადაეცეს ძვირფას ფრუ ნორა ჰელმერს...“

ფ რ უ ლ ი ნ ე. კი, მაგრამ, ნორა, გენაცვალე, ვინ არის ეგ მოხუცი?

ნორა. ღმერთო ჩემო, როგორ ვერ მიხვდი?! არავითარი მო-  
ტუცი არ არსებულა საერთოდ. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წარმო-  
სახვავა. უბრალოდ თავს ვიმშვიდებდი ხოლმე ამით, როცა არ ვიცოდი,  
სად მეშოვო ვფული. ეჰ, ჯანდაბას იმ მოსაწყენი მოხუცის თავი. აღარც  
ის მკვირდება და არც მისი ახდერძი. ახლა ყოველგვარი ზრუნვისაგან  
თავისუფალი ვარ, ქრისტინა. (წამოხტება.) ღმერთო, ძლიერო, მარტო  
ამის გაფიქრება რად ღირს, იყო ყოველგვარი ზრუნვისაგან თავისუ-  
ფალი! არაფერი გქონდეს საწუხარი. ცხოვრობდე უდარდელად და ხა-  
რობდე შვილებთან ერთად. მოაწყობინა გემოვნებით და ლამაზად, რო-  
გორც ტორვალდს მოეწონება. მალე გაზაფხულიც მოვა თავისი ლაე-  
ვარდოვანი ცით. იქნებ სადმე გამგზავრებაც მოვახერხოთ და ზღვა  
კიდევ ვიხილო. აჰ, მართლაც დიდებულაა ცხოვრობდე და ბედნიე-  
რად თვლიდე თავს.

ღერეფანში ზარის წკრიალი გაისმის.

ფრუღინე (წამოდგება). რეკავენ. მგონი, უკეთესი იქნება, წა-  
ვიდე.

ნორა. არა, დარჩი. აქ არავინ შემოვა. ალბათ, ტორვალდს ეს-  
ტუმრა ვინმე...

მოახლე. მამატიეთ, ჭალბატონო, ვილაც ბატონს სურს მოე-  
ლაპარაკოს ბატონ ადვოკატს.

ნორა. ესე იგი ბანკის დირექტორს?

მოახლე. ბატონ დირექტორს. მაგრამ არ ვიცი, — იქ ხომ ექი-  
მია...

ნორა. ვინ ბატონია?

კროგსტადი (ყარბში). მე ვარ, ფრუ ჰელმერ.

ფრუღინე გაოცებული და შემერთალი ფანჯრისკენ შებრუნდება.

ნორა (შემოსულისკენ ნაბიჯს გადადგამს. აღუვებული ხმას დაუწევს).  
თქვენა ხართ? რა ამბავია? რაზე უნდა მოელაპარაკოთ ჩემს მე-  
უღლეს?

კროგსტადი. ბანკის საქმეებზე. სააქციო ბანკში პატარა თა-  
ნამდებობაზე ვმუშაობ. თქვენი მეუღლე კი, როგორც გავიგე, ჩვეს-  
თან დირექტორად დაუნიშნავეთ...

ნორა. მაშასადამე...

კ რო გ ს ტ ა დ ი. პირად საქმეებზე, ფრუ ჰელმერ. მეტი არა-  
ფერი.

ნო რ ა. მაშინ მიბრძანდით მასთან კაბინეტში. (გულგრილად თავს  
ლაუკრავს, შემოსასვლელ კარს მიუბრავს და ლემელსან მივა. ცეცხლს შეხედავს,  
კარგად ენთება აუ არა.)

ფ რ უ ლ ი ნ ე. ნორა... ეინ იყო ეგ კაცი?

ნო რ ა. უბნის რწმუნებული კროგსტადი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მაშ ნამდვილად ის ყოფილა.

ნო რ ა. იცნობ მაგას?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ვიცნობდი... რამდენიმე წლის წინ. ეგ ხომ ვე-  
ქილად მუშაობდა კარგა ხანს ჩვენს მხარეში.

ნო რ ა. ჰო, მართლა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. როგორ გამოცვლილა!

ნო რ ა. ქორწინება ძალზე უიღბლო გამოადგა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ახლა ხომ ქვრივია?

ნო რ ა. შეიღებში თავი არ უჩანს... ახლა კი გახურდა. (მიუბრავს  
ლემელს კარს და სარწვევლას ცოტა განზე გასწევს.)

ფ რ უ ლ ი ნ ე. ამბობენ, ყველანაირ საქმეს კიდებსო ხელს.

ნო რ ა. ჰოო? შეიძლება. არაფერი გამიგია. მოვეშვათ რა, ამ  
საქმეებს. მოსაწყენია.

ჰელმერის კაბინეტიდან გამოდის ექიმი რანკი.

ექიმი რანკი (ჯერ კიდევ კარებში დგას). არა, არა, ხელს არ შე-  
გიშლი. მიჩვენებია შენს ცოლს შევეუარო. (კარს გამოიხურავს და ფრუ ლი-  
ნეს შენიშნავს.) ოჰ, მაპატიეთ! აქაც, მგონი, ზედმეტი ვარ.

ნო რ ა. სულაც არა. (წარუდგენს მათ ერთმანეთს.) ექიმი რანკი —  
ფრუ ლინე.

რანკი. ოჰო! ეს საბელი ხშირად მსმენია ამ ოჯახში. მგონი, შე-  
თქვენ კიბეზე გამოგისწარიო, აქეთ რომ მოვდიოდი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. დიას!.. ძალიან ნელა ამოვედი. კიბეზე ასვლა  
მიჭირს...

რანკი. აჰა... შინაგანი მექანიზმის მსუბუქი მოშლაა?

ფ რ უ ლ ი ნ ე. უფრო სწორად — მეტისმეტი გადაღლა.

რანკი. მეტი არაფერი? ალბათ, ქალაქში ჩამობრძანდით ამ  
დღესასწაულებზე დასასვენებლად?

ფ რ უ ლ ი ნ ე. აქ სამუშაოს საძებნელად ჩამოვედი.

რ ა ნ კ ი. როგორ, ეგ საიმედო საშუალებაა გადაღლილობის წინააღმდეგ?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ხომ უნდა ვიარებო, ექიმო.

რ ა ნ კ ი. ჰო, ყველას ეგრე ჰგონია, არსებობა საჭირო არისო.

ნ ო რ ა. მაგრამ თქვენც ხომ გსურთ სიცოცხლე, ექიმო.

რ ა ნ კ ი. ჰო, ასე გამოდის. მიუხედავად გაპირვებისა, მაინც მზადა ვარ რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლო და ვიტანჯო. ასეთივე აზრისანი არიან ჩემი პაციენტებიც. და ამასთან ზნეობრივად მახინჯებიც. ახლა ერთი მათგანი ჰელმერთან ზის...

ფ რ უ ლ ი ნ ე (ღრუ ხმით). აჰ!..

ნ ო რ ა. ვის გულისხმობთ?

რ ა ნ კ ი. უბნის რწმუნებულ კროგსტადს, კაცს, რომელსაც სრულებით არ იცნობთ. მას ძირფესვიანად დამპალი ხასიათი აქვს, ქალბატონო. მაგრამ მანაც იქ იმის მტკიცება დაიწყო, ჩემი სიცოცხლე აუცილებელიაო.

ნ ო რ ა. ჰო? რაზე სურს ტორვალდთან მოლაპარაკება?

რ ა ნ კ ი. მართალი გითხრათ, არ ვიცი. ეს კი გავიგე, სააქციო ბანკს რომ ახსენებდნენ.

ნ ო რ ა. არ ვიცოდი, თუ კროგ... თუ ამ უბნის რწმუნებულ კროგსტადს ბანკთან რაიმე საქმე ჰქონდა.

რ ა ნ კ ი. ჰო. იქ რაღაც თანამდებობა უჭირავს. (ფრუ ლინეს.) არ ვიცი, თქვენს მხარეშიც მოიძებნებიან თუ არა ამგვარი ყაიდის ადამიანები, გაფაციცებით რომ დაძვრებიან ყველგან, რათა იყნოსონ სადმე მორალური გახრწნილება და მერე წამოიჭიმონ რაიმე შემოსავლიან ადგილზე, ჯანსაღები კი პირში ჩალაგამოვლებულნი რჩებიან.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ავადმყოფები ხომ სხვებზე უფრო საჭიროებენ მზრუნველობას.

რ ა ნ კ ი (მხრებს აიჩეჩავს.) მეც მაგას ვამბობ. სწორედ ეგ მოსაზრებაა, საზოგადოებას საავადმყოფოდ რომ აქცევს.

ნ ო რ ა თავის ფიქრებშია წასული, უცებ სიცილი აუტყდება და ტაშს შემოჰკრავს ჩემს ნათქვამზე 'გეცინებათ? გესმით კი რა არის საზოგადოება?

ნ ო რ ა რა ეშმაკად მინდა თქვენი მოსაწყენი საზოგადოება! მე სულ სხვა რამეზე მეცინება... რა სასაცილოა! მითხარით, ექიმო,

ახლა ამ ბანკის ყველა თანამშრომელი დაექვემდებარება ტოზ-ვალდს?

რ ა ნ კ ი. მერედა, ეგ მიგაჩნიათ ასე სასაცილოდ?

ნ ო რ ა (ელიშება და ჩაილიჩენბს). ეს უკვე ჩემი საქმეა. ჩემი საქმე. (გაივლ-გამოივლის ოთახში.) დიახ, მართლაც ძალზე საპიამოვნოა იმის გაფიქრება, რომ ჩვენ... ესე იგი ტორვალდს ასე დიდი გავლენა ექნება ბევრ ადამიანზე. (ჩიბიდან პარკუქს ამოიღებს.)

რ ა ნ კ ი. ოჰო! ნუშის ნამცხვარი! მე კი მეგონა, ეგ თქვენი თვის აკრძალული ხილი იყო.

ნ ო რ ა. დიახ... მაგრამ ეს ქრისტიანამ მომართვა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. რა?.. მე?..

ნ ო რ ა. კარგი კარგი, ნუ გეშინია. შენ საიდან გეცოდინებოდა, რომ ტორვალდმა ამიკრძალა. შიშობს, ვაითუ კბილები გავიფუქოსო. მაგრამ ეს ერთი შემთხვევაა, მგონი, არაფერს მავნებს. არა, ექიმო? ნება მიბოძეთ (პირში უღებს ნამცხვარს.) აჰა შენც, ქრისტიანა. ჩემთვისაც ერთი ცალი პატარა ხომ შეიძლება. ანდა სულ ბევრი — ორი. (ისევ გაივლ-გამოივლის.) დიახ, მართლაც უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ოღონდ ერთი რამ მინდოდა კიდევ ძალიან...

რ ა ნ კ ი. მაინც რა გინდოდა?

ნ ო რ ა. მინდოდა ტორვალდისთვის მეთქვა რაღაც.

რ ა ნ კ ი. მერედა, რატომ არ ეუბნებიან?

ნ ო რ ა. იმიტომ, რომ ვერ ვბედავ. საძაგლობაა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. საძაგლობა?

რ ა ნ კ ი. რაკი ეგრეა, არ გირჩევთ... ჩვენთან კი თავისუფლად შეგიძლიათ... მაინც რა გინდოდათ ასე ძალიან ჰელმერისათვის რომ გეთქვათ?

ნ ო რ ა. ძალიან მინდოდა მეთქვა, ეშმაკმა დალახვროს-მეთქი.

რ ა ნ კ ი. როგორ გეკადრებათ!

ფ რ უ ლ ი ნ ე. ღმერთო, ძლიერო, ნორა!

რ ა ნ კ ი. უთხარით, აგერ მოდის კიდევ.

ნ ო რ ა (ნამცხვარიან პარკუქს მალავს). სსს!

კაბინეტიდან გამოდის მკლავზე პალტოზადაკიდებული ჰელმერი, ხელში ქული უჭირავს. ნორა გაემართება მის შესაგებებლად.

ტორვალდ, გენაცვალე, სტუმარი უკვე გააცილე?

ჰ ე ლ მ ე რ ი. ჰო, წავიდა.

ნორა. ნება მომეცი წარმოგიდგინო. ეს ქრისტიანა, რომელიც...

ჰელმერი. ქრისტიანა?.. მაპატიეთ, მაგრამ არ ვიცნობ...

ნორა. ფრუ ლინე. ძვირფასო, ფრუ ქრისტიანა ლინე.

ჰელმერი. აი თურმე ვინ ყოფილა. ესე იგი ჩემი მეუღლის ბავშვობის მეგობარი?

ფრუ ლინე. დიახ, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს.

ნორა. და წარმოგიდგინე, რამხელა გზა გამოიარა შენთან მოსალაპარაკებლად.

ჰელმერი. ჩემთან მოსალაპარაკებლად?

ფრუ ლინე. მართალი გითხრათ...

ნორა. ქრისტიანა შესანიშნავი კანტორის მოსამსახურეა, და ძალიან უნდა საქმიან კაცთან მოხვდეს, რომ კიდევ უფრო მეტი ისწავლოს...

ჰელმერი. ძალზე გონივრულია.

ნორა. გაუგია თუ არა ბანკის დირექტორად შენი დანიშვნა, გაზეთებმა ხომ გამოაცხადეს, — იმავე წუთს აქეთ გამოფრენილა. ტორვალდ, გეხვეწები. ხომ მოაგვარებ რამეს ქრისტიანასთვის, პა?

ჰელმერი. კი, შეიძლება. მგონი, ქვრივი ბრძანდებით.

ფრუ ლინე. დიახ.

ჰელმერი. და გამოცდილებაც გაქვთ კანტორის საქმეებში?

ფრუ ლინე. დიახ, საკმაო.

ჰელმერი. მაშინ შემიძლია შეგპირდეთ, რომ რაიმე ადგილს გამოგიჩინებ...

ნორა (ტაშს შემოკრავს). ხედავ, ხედავ!

ჰელმერი. სწორედ კარგ დროს გამოჩნდით, ქალბატონო.

ფრუ ლინე. ო, დიდად გმადლობთ.

ჰელმერი (ღიმილით). არაფერს. (პალტოს იცვამს.) დღეს კი მაპატიეთ...

რანკი. მოიცა, მეც მოვდივარ (წინკარიდან ჭურჭს შემოიტანს და ღუმელს მიუშვერს გასათბობად.)

ნორა. დიდხანს ნუ დაიგვიანებ, ტორვალდ, გენაცვალე.

ჰელმერი. ერთ საათზე მეტს არა.

ნორა. შენც მიდიხარ, ქრისტიანა?



ფ რ უ ლ ი ნ ე (პალტოს იცვამს). ჰო, უნდა წავიდე, ბინა მოვ-  
ნახო.

ჰ ე ლ მ ე რ ი. მაშ შეგვიძლია ერთად წავიდეთ.

ნ ო რ ა (ფრუ ლინეს მიეხმარება). რა საწყენია, ასე ვიწროდ რომ  
ვცხოვრობთ, არავეითარი საშუალება არა გვაქვს...

ფ რ უ ლ ი ნ ე. რას ამბობ, ეგ რამ გაფიქრებინა! კარგად იყავი,  
ნორა, გენაცვალე და მადლობა ყველაფრისათვის.

ნ ო რ ა. ნახვამდის. ამ საღამოს, ცხადია, შემოივლი. თქვენც, ექი-  
მო. რაო? თუ კარგად იქნებით? რა თქმა უნდა, კარგად იქნებით,  
ოღონდ კარგად დაითბუნეთ.

ყველანი გადიან დერეფანში, ხმამალა საუბრობენ და ერთმანეთს ეთხოვებიან.  
კიბიდან ბავშვების ჟრიაბული მოისმის.

აი, ისინიც მოვიდნენ! ისინიც მოვიდნენ! (შემოსასვლელი კარისაკენ გაქა-  
ნება და აღებს)

შემოდის გამძელი ანა-მარია ბავშვებითურთ.

შემოდით! შემოდით! (დაიხრება და კოცნის შვილებს.) ჩემი გვრიტები, ჩე-  
მი ჩიტუნები! შეხედე ერთი, ქრისტინა, ხომ მშვენიერები არიან?

რ ა ნ კ ი. ორპირ ქარზე დგომა და მასლაათი აკრძალულია!

ჰ ე ლ მ ე რ ი. წამობრძანდით, ფრუ ლინე, დროა დაეტოვოთ დე-  
და-შვილები.

ექიმო რანკი, ჰელმერი და ფრუ ლინე გადიან. ანა-მარია ბავ-  
შვებითურთ შემოდის ოთახში. ნორაც შედის ოთახში და დერეფნის კარს  
მიხურავს.

ნ ო რ ა. როგორ გამოცოცლებულხართ. გაძხიარულებულ-  
ხართ. ლოყებიც შეფაკლული გაქვთ წითელი ვაშლებივით, ვარდის  
კოკრებივით. მაშ, იმხიარულეთ? ძალიან კარგია. (ამასობაში ბავშვენი  
ერთმანეთს არ აცდიან დედასთან საუბარს.) ჰოო? მაშ ცივით ასრიალე ბო-  
ბი და ემი? ორივე ერთად? ერთი უყურე, რა ყოჩალი ბიჭი მყავს ჩე-  
მი ივარი. მომეცი, მე ავიყვან ხელში, ანა-მარია! ჩემი საყვარელი  
თოჯინა! (ართმევს გამძელს უმეროს გოგონას და მასთან ერთად ტრიალებს  
ოთახში.) კი, კი, დედიკო, ბობისთან ერთადაც იცეკვებს! რაო? იგუნ-  
დავით? ო, ნეტავი მეც თქვენთან ერთად ვყოფილიყავი. არა, გაუშვი,  
მე თვითონ გავცდი ბავშვებს ტანსაცმელს, ანა-მარია. თქვენ წადით,

ამათ მე თვითონ მოუყვლი. გაყინული ჩანხართ. ღუმელზე ცხელი ყავა გელოდებთ:

გ ა მ დ ე ლ ი. გადის მარცხენა კარში. ნორა ბავშვებს ხდის პალტოებს და ისერის, სადაც მოხვდება, თან მათთან მასლააუს განაგრძობს.

მართლა? დიდი ძალი გამოგეკრიდათ? მაგრამ არ გიკბინათ? არა, ძალები არ კბენენ ასეთ მშვენიერ, ლამაზ თოჯინებს. ნუ, ნუ, პაკეტში ნუ იყურები, იყარ. რომ იცოდეთ, რა არის მანდ! არა, არა, არ შეიძლება. რა? თამაში გინდათ? რა ვითამაშოთ? დამალობანა? კარგი, ვითამაშოთ. ჯერ ბობი დაიმალოს. აა, მე? კარგი, მე დავიმალები.

დაიწყება თამაში, რასაც სიცილი და მხიარულება ახლავს. იმალებიან სცენაზე და მეზობელ ოთახშიც, მარჯვნივ. ბოლოს, ნორა იმალება მაგიდის ქვეშ. ბავშვები ხმაურით შეიჭრებიან ოთახში, ეძებენ დედას, მაგრამ უცებ ვერ პოულობენ. მის შეაკვებულ სიცილს გაიგონებენ, მისცივილებიან მაგიდას, ასწევენ სუფრას და პოულობენ დედას. ალტაცებულ ჟრიაბულს ასტეხენ. ნორა წამოიწევეს და ისეთ პოზას იღებს, თითქოს მათი შესინება სურს, ბავშვები კიდევ უფრო აკიჟინდებიან. აჰ დროს გარეთა კარს ვილაც დააკაკუნებს. მაგრამ კაკუნი არავის ესმის. მერე დერეფნის კარი იღება და გამოჩნდება კ რ ო გ ს ტ ა დ ი. წუთით შეჩერდება. თამაში გრძელდება.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მაპატიეთ, ფრუჷ ჰელმერ...

ნ ო რ ა. (მსუბუქად შეკვივლებს და მოტრიალდება ნახევრად წამომდგარი).

ჰა! რა გნებავთ?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მომიტყევეთ. გარეთა კარი დაუკეტავი იყო, ალბათ დაგავიწყდათ.

ნ ო რ ა (წამოდგება). ჩემი მეუღლე შინ არ გახლავთ, ბატონო კროგსტად.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ვიცი.

ნ ო რ ა. მაშ... რა გნებავთ?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ერთი-ორი სიტყვა მინდა გითხრათ.

ნ ო რ ა. მე?.. (ბავშვებს წყნარად.) გადით ანა-მარისთან. რა? არა, უცხო ბიძია დედლიკოს არაფერს დაუშავებს. როცა ბიძია წავა, ჩვენ კიდევ ვითამაშებთ. (გაჰყავს ბავშვები მარცხნივ მდებარე ოთახში და კარს მიუხურავს. შემფოთებული, დაძაბული.) ჩემთან საუბარი გსურთ?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. დიახ.

ნ ო რ ა. დღეს?.. მაგრამ დღეს ხომ ჯერ პირველი რიცხვი არ არის?.

კ რო გ ს ტ ა დ ი. არა, ამ შობის წინა დღეს თვით თქვენზეა და-  
მოკიდებული, თუ რა მხიარულად შეხვდებით დღესასწაულს.

ნ ო რ ა. მაინც რა გნებავთ? დღეს არაფრით არ შემოძლია...

კ რო გ ს ტ ა დ ი. მაგაზე ჯერ არ ვილაპარაკებთ. სულ სხვა რამე-  
ზე. იმედი მაქვს თავისუფალ წუთს გამოიხატავთ ჩემთვის.

ნ ო რ ა. ჰმ... კი, რა თქმა უნდა. თუმცა...

კ რო გ ს ტ ა დ ი. კეთილი. ქვემოთ რესტორანში ვიჯექი და  
თქვენი მეუღლე ქუჩაში მიმავალი დავინახე.

ნ ო რ ა. დიახ, მერე?

კ რო გ ს ტ ა დ ი. ქალთან ერთად.

ნ ო რ ა. მერე, რა გნებავთ?

კ რო გ ს ტ ა დ ი. ნება მიბოძეთ გკითხოთ. ეგ ფრუ ლინე არ არის?

ნ ო რ ა. დიახ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ახლახან ჩამოვიდა ქალაქში?

ნ ო რ ა. დიახ, დღეს.

კ რო გ ს ტ ა დ ი. თქვენი გულითადი მეგობარია?

ნ ო რ ა. დიახ, მაგრამ ვერ გამიგია...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ოდესღაც მეც ვიცნობდი მას.

ნ ო რ ა. ვიცი.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მართლა? მაშ თქვენც იცით? ასეც ვფიქრობდი.  
თუ შეიძლება ესეც მითხარით: ფრუ ლინემ სააქციო ბანკში ადგილი  
უნდა მიიღოს?

ნ ო რ ა. თქვენ, ჩემი მეუღლის ხელქვეითი, როგორ აძლევთ თავს  
მაგდენ უფლებას, რომ დაკითხვას მიწყობთ, ბატონო კროგსტად! რა-  
კილა მკითხეთ, მაშ იცოდეთ, დიახ, ფრუ ლინე ადგილს მიიღებს. და  
მაგ საქმეში პირადად მე ვუშუამდგომლე, ბატონო კროგსტად. ესეც  
დაიმახსოვრეთ!

კ რო გ ს ტ ა დ ი. ესე იგი ჩემი ვარაუდი გამართლდა.

ნ ო რ ა (ბოლთასა სცემს ოთახში). მე მგონი, შეიძლება ცოტაოდენი  
გავლენა ჩვენც გვქონდეს. რაკი ქალად დავბადებულვართ. ეს სულაც  
არ ნიშნავს... და ხელქვეითის მდგომარეობაში კი ბატონო კროგსტად,  
თქვენთვის უმჯობესი იქნებოდა მორიდებოდი იმ პირის წყენინებას,  
ვისაც... ჰმ...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ვისაც გავლენა აქვს?

ნ ო რ ა. სწორედ ეგ უნდა მეთქვა.

კ რო ვ ს ტ ა დ ი. ფრუ ჰელმერ, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გეკნებათ, ეგ გავლენა ჩემს სასარგებლოდ რომ გამოიყენოთ!

ნ ო რ ა. როგორ... მაგით რა გინდათ თქვათ?

კ რო ვ ს ტ ა დ ი. ხომ არ ინებებთ, იზრუნოთ იმაზე, რომ ეს ხელქვეითის ადგილი ბანკში შემინარჩუნონ.

ნ ო რ ა. ეგ რას ნიშნავს? ვის მოუვიდა აზრად თქვენთვის ადგილის წართმევა?

კ რო ვ ს ტ ა დ ი. ო, რად გინდათ ჩემთან გულუბრყვილო როლი ითამაშოთ. მშვენივრად მესმის, რომ თქვენს მეგობარს არ შეიძლება სიამოვნება მიანიჭოს ჩემთან შეჭახებამ, და ისიც ვიცი, ვისი წყალობითაც გამაგდებენ სამსახურიდან.

ნ ო რ ა. გარწმუნებთ...

კ რო ვ ს ტ ა დ ი. დიახ. დიახ. დიახ. ერთი სიტყვით. ჯერ კიდევ დროა თქვენი გავლენა გამოიყენოთ და ეგ საქმე ჩაშალოთ.

ნ ო რ ა. ბატონო კროვსტად, მე არავითარი გავლენა არა მაქვს!

კ რო ვ ს ტ ა დ ი. არავითარი? მე მგონი, ეს წუთია თქვით...

ნ ო რ ა. მაგ მნიშვნელობით სულაც არ მითქვამს. მე?.. როგორ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ მე რაიმე გავლენა მაქვს მეუღლეზე.

კ რო ვ ს ტ ა დ ი. ო, სტუდენტობის დროიდან ვიცნობ თქვენს მეუღლეს. არა მგონია, ბატონი დირექტორი სხვა ქმრებზე უფრო მტკიცე იყოს.

ნ ო რ ა. თუ ჩემს მეუღლეს უპატივცემლოდ მოიხსენიებთ, მაშინ აქედან მიგაბრძანებთ.

კ რო ვ ს ტ ა დ ი. ძალიან გაბედული ხართ, ფრუ ჰელმერ.

ნ ო რ ა. მე თქვენი აღარ მეშინია. ახალი წლის შემდეგ ყველაფერ ამას სასწრაფოდ მოვუღებ ბოლოს.

კ რო ვ ს ტ ა დ ი. (უფრო თავშეკავებულად). თუ აუცილებელი შეიქნება, თავდაუზოგავად ვიბრძოლებ ბანკში ჩემი პატარა ადგილის შესანარჩუნებლად.

ნ ო რ ა. მართლაც, ასე ჩანს.

კ რო ვ ს ტ ა დ ი. არა მარტო ხელფასის გამო. ეგ ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს. უფრო სხვა რამისათვის... გულახდილად გეტყვით: საქმე შემდეგნაირადაა: ისევე როგორც სხვებს, ალბათ, თქვენც კარგად გეცოდინებათ, რომ ამ რამდენიმე წლის წინ მეტად წინდაუხედავი საქციელი ჩავიდინე.

ნორა. მგონი, რაღაც ამგვარი გამოვიდა.

კროგსტადი. საქმე სასამართლომდე არ მისულა, მაგრამ იმ დღიდან ჩემთვის ყველა გზა თითქმის ჩაიკეტა. მაშინ იმ საქმეებს მოგვიდე ხელი... თქვენც ხომ იცით. რაღაცა ხომ უნდა გამეკეთებინა. და თამამად შემიძლია ვთქვა, ცუდად არც მიიმუშავია. ახლა კი ამ მდგომარეობას როგორღე უნდა დავაღწიო თავი. შეილები მეზრდება. მათი გულისთვის უნდა ვეცადო აღვიდგინო საზოგადოებაში ძველი მდგომარეობა, რამდენადაც კი შესაძლებელია. ბანკში ეს ადვილი ჩემთვის სწორედ პირველი საფეხურია. თქვენს ქმარს კი სურს ისევ ტალახში გადამისროლოს.

ნორა. ღმერთო ჩემო, ბატონო კროგსტად. მე არა ვარ ისეთი უფლებამოსილი. რომ დაგეხმაროთ.

კროგსტადი. იმიტომ, რომ არ გსურთ, მაგრამ მე განაჩნია საშუალება, გაიძულოთ.

ნორა. ხომ არ ეტყვიტ ჩემს ქმარს, ფული რომ ვისესხე თქვენგან?

კროგსტადი. ჰმ! ვთქვით და ვუთხარი?

ნორა. ეგ უსინდისობა იქნებოდა თქვენი მხრივ. (ცრემლნარევი ხმით.) ეს საიდუმლო — მთელი ჩემი სიხარული და სიამაყე ააერიგად საძაგელი და უხეში ფორმით უნდა შეიტყოს ჩემმა მეუღლემ და ისიც თქვენგან? მაგით ხომ საშინელ უსიამოვნებას მომაყენებთ!..

კროგსტადი. მხოლოდ უსიამოვნებას?

ნორა (გაცხარებული). აბა, ერთი უთხარით. თქვენ თვითონვე დაგიჯდებათ ცუდად. მაშინ ჩემი ქმარი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ძალზე ცუდი ადამიანი ბრძანებულხართ და ბანკში არასგზით არ გაგაჩერებთ.

კროგსტადი. გეკითხებით. მხოლოდ ოჯახური უსიამოვნებისა გეშინიათ?

ნორა. თუ ჩემი ქმარი გაიგებს, რასაკვირველია, მაშინვე გადაიხდის წარჩენ ვალს. და თქვენთან არავითარი საქმე აღარ გვექნება.

კროგსტადი (მისკენ გადადგამს ნაბიჯს). მომისმინეთ, ფრუ ჰელმერ, თქვენ ან მეხსიერება გლალატობთ, ანდა საქმისა არაფერი გაგეგებათ. ვხედავ, საჭიროა საფუძვლიანად გაგაცნოთ ვითარება.

ნორა. როგორ?

კ რო გ ს ტ ა დ ი. თქვენი ქმარი როცა ავად იყო, ჩემთან მოხვედით ათას ორასი სპეციის სასესხებლად.

ნ ო რ ა. არ ვიცი, ვილასთვის მიმემართა.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მე შეგპირდით, რომ თანხას გიშოვიდით...

ნ ო რ ა. და მიშოვეთ კიდევ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. შეგპირდით, რომ გიშოვიდით გარკვეული პირობებით. თქვენ ისე აფორიაქებული ბრძანდებოდით მეუღლის ავადმყოფობით, და ისე ვაფაციცებელი საგზაო ფულის საშოვნელად, რომ, ალბათ, არც გიფიქრიათ ამასთან დაკავშირებულ წვრილმანებზე. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, კიდევ შეგახსენოთ. დიახ, დავტრიალდა თქვენთვის ფულის საშოვნელად და შევადგინე თამასუქი.

ნ ო რ ა. დიახ, რომელსაც ხელი მოვაწერე.

კ რო გ ს ტ ა დ ი. კეთილი. ბოლოში კი მამათქვენის სახელით რამდენიმე სტრიქონი მივუმატე, რომელშიც იგი თქვენს თავძღებობას კისრულობდა. ამ სტრიქონებისათვის მამათქვენს უნდა მოეწერა ხელი.

ნ ო რ ა. უნდა მოეწერა?.. ხომ მოაწერა კიდევ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. იქვე ადგილი დავტოვე რიცხვის ჩასაწერად. ესე იგი მამათქვენს თვითონ უნდა ჩაეწერა დღე და რიცხვი, როცა ქაღალდს ხელს მოაწერდა. გახსოვთ, ეს ყველაფერი, ქალბატონო?

ნ ო რ ა. მგონი...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ეს თამასუქი გადმოგეცით თქვენ, რათა გადაგეგზავნათ ფოსტით მამისთვის. ასე არ არის?

ნ ო რ ა. დიახ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. თქვენ, რასაკვირველია, მაშინვე გააკეთეთ ეს, რადგან მეხუთე-მეექვსე დღესვე დამიბრუნეთ მამათქვენის მიერ ხელმოწერილი თამასუქი. ჰოდა, ფულიც მიიღეთ.

ნ ო რ ა. ცხადია. მერედა, განა თავის დროზე არ გიხდიდით?

კ რო გ ს ტ ა დ ი. ჰო, თითქმის. მაგრამ... დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი საუბრის საგანს... ალბათ, მძიმე მდგომარეობაში იყავით მაშინ, ფრუ ჰელმერ?

ნ ო რ ა. ნამდვილად.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მამა, მგონი, მძიმე ავადმყოფი გყავდათ, არა?

ნ ო რ ა. სიკვდილის პირას.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მალე გარდაიცვალა კიდეც?

ნ ო რ ა. დიახ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მითხარით, ფრუ ჰელმერ, შემთხვევით ხომ არ გახსოვთ მამის გარდაცვალების დღე, ანუ, უფრო სწორად, თვე და რიცხვი?

ნ ო რ ა. მამა გარდაიცვალა ოცდაცხრა სექტემბერს.

კ რო გ ს ტ ა დ ი. სრული ჭეშმარიტებაა. მეც ასე შევიტყვე. აქ კი ერთი უცნაურობა (აჰოილებს თამასუქს.) ვერ გამიჩვენებია.

ნ ო რ ა. რა უცნაურობა? არაფერი მესმის...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ის უცნაურობა, ფრუ ჰელმერ, რომ მამათქვენმა ამ თამასუქს თავის გარდაცვალებიდან სამი დღის შემდეგ მოაწერა ხელი.

ნ ო რ ა. ეგ როგორ? ვერ გავიგე.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მამა გარდაგეცვალათ ოცდაცხრა სექტემბერს, მაგრამ დახედეთ აქ. ხელი მოწერილია ორ ოქტომბერს. განა ეს უცნაურობა არ არის?

ნ ო რ ა დ უ მ ს.

იქნებ ამიხსნათ?

ნ ო რ ა ის ე ვ დ უ მ ს.

კიდეც ერთი რამ არის თვალში მოსახვედრი: სიტყვა „ორი ოქტომბერი“ და წელი მამათქვენის ხელწერა არ არის, არამედ იგი მე ძალზე ნაცნობი მეჩვენება ეს კიდეც შეიძლება, ავადმყოფს იქნებ დაავიწყდა თავისი სახელის ქვემოთ წლისა და რიცხვის აღნიშვნა და ვილაცა სხვამ ალაღბედზე მოაწერა, ისე, რომ არ იცოდა მისი სიკვდილის ამბავი. ეს არც ისე გასაკვირია. მაგრამ ყველაზე მთავარია სახელი და გვარი. ეს ნამდვილია, ფრუ ჰელმერ? მართლა მამათქვენმა მოაწერა?

ნ ო რ ა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ ავლს მოიღერებს და გამოძვწევად მიაჩერდება კროგსტალს). არა. მე მოვაწერე მის ნაცვლად.

კ რო გ ს ტ ა დ ი გამიგონეთ, ფრუ ჰელმერ, თქვენ გესმით, რომ ეგ მეტად სახიფათო აღიარებაა?

ნ ო რ ა. რატომ? თქვენ ფულს მალე მთლიანად მიიღებთ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ნებას მომცემთ, გკითხოთ, რატომ არ გაუგზავნეთ თამასუქი მამას?

ნ ო რ ა. ეს შეუძლებელი იყო. მამა მძიმე ავადმყოფი იყო. ხელმოწერას თუ ვთხოვდი, უნდა ამეხსნა კიდეც, რისთვის მჭირდებოდა ფული. რა გული მომცემდა ნებას, ასეთი ავადმყოფისათვის მიმეწერა, ჩემს ქმარს სიკვდილის საფრთხე ემუქრება-მეთქი. ეს ხომ უგუნურება იქნებოდა.

კ რო გ ს ტ ა დ ი. მაშინ აჯობებდა სულ არ გამგზავრებულიყავით საზღვარგარეთ.

ნ ო რ ა. ესეც არ შეიძლებოდა. ჩემი ქმრის სიცოცხლის ხსნა ამ გამგზავრებაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ დარჩენა არ შემეძლო.

კ რო გ ს ტ ა დ ი. არც კი მოგსვლიათ აზრად, რომ ამგვარი გზით მე მატყუებდით?

ნ ო რ ა. მაგას ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა. თქვენი გახსენებაც კი არ მინდოდა. მძულდით იმ უგულო ჩამციებლობის გამო, ჩემს მიმართ რომ იჩენდით, თუმცა იცოდით, რა საფრთხეც ელოდა ჩემს ქმარს.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ფრუ ჰელმერ, როგორც ჩანს, ერკვევით კარგად, არსებითად რა არის თქვენი დანაშაული. მე კი, აი, რას გეტყვით: ჩემი საქციელი, რამაც მიწასთან გამასწორა და დაღუპა ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა, თქვენსაზე არც უარესი ყოფილა და არც საშიში.

ნ ო რ ა. თქვენ გსურთ დამარწმუნოთ, რომ გაბედავდით რაიმე ისეთის გაკეთებას, რაც თქვენი ცოლის სიცოცხლეს იხსნიდა?

კ რო გ ს ტ ა დ ი. კანონები სურვილებს არ ემორჩილება.

ნ ო რ ა. მაშ ძალიან ცუდი კანონები გვქონია.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ცუდია თუ კარგი. ეს თამასუქი რომ სასამართლოს წარუვლდინო, კანონის თანახმად გაგასამართლებენ.

ნ ო რ ა. არაფრით არ დავიჯერებ. ნუთუ ქალიშვილს არა აქვს უფლება მომაკვდავ მამას ააცილოს დარდი და მწუხარება? ანდა ცოლს არა ჰქონდეს უფლება — სიცოცხლე შეუნარჩუნოს ქმარს? კანონებს არც ისე კარგად ვიცნობ. მაგრამ დარწმუნებული ვარ რომელიმე მათგანის მიხედვით ეს ნებადარღული იქნება. თქვენ კი, ვეჭილო, ეგ არ იცით! გეტყობათ, ცუდი ანტიკონსტიტუციონალიზმით, ბატონო კროგსტად!



კ რო გ ს ტ ა დ ი. შეიძლება. მაგრამ ის საქმეები კი, მე და თქვენ რომ წამოვიწყეთ, მგონი, ექვი არ შეგეპარებათ, რომ კარგად გამეგება. მაშ ასე. მოიქეცით, როგორც გენებოთ, ოღონდ ამას გეტყვით: თუ მეორედ კიდევ შეივლებიან ჩემს გადასროლას, მაშინ თქვენც თან გადაგიყოლებთ. (თავს უკრავს და გაღის ღერუფნის გავლით.)

ნო რ ა (წუთით ჩაფიქრდება, მერე ყელს შიბღერებს). ვერ მოვარტყე! ჩემი შეშინება ნებადვა ვაუბატონს! არც ისე სულელი ვარ. (ბავშვებას ნიუთების ალაგებას შეუდგება, მალე ისევ მიატოვებს.) მაგრამ... არა. მაინც ყოვლად შეუძლებელია! მე ხომ ეს სიყვარულმა ჩამადენინა.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი (მარცხენა კარიდან). დედა, უცხო ძია უკვე გავიდა ეზოდან.

ნო რ ა. ჰო, ჰო, ვიცი. ოღონდ არავის უთხრათ უცხო ძიაზე რაიმე. გესმით? მამასაც კი არა!

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. არ ვერტყვით, დედა: მაგრამ ხომ გვეთამაშები კიდევ?

ნო რ ა. არა, არა, ახლა არა.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. მოდი რა, დედიკო, აკი შეგეპირდი!

ნო რ ა. შეგპირდით, მაგრამ ახლა არ შემიძლია, შედით თქვენს ოთახში. უმრავი საქმე მაქვს. შედით, შედით, ჩემო საყვარელო შვილებო. (ალურსიანად გაჰყავს ბავშვები ოთახიდან და კარს მიუხუროს. მერე ჯდება დივანზე და ქარგვას შეუდგება, მაგრამ ერთი-ორჯერ ამოუყრის ნემსს და გაჩერდება.) არა! (საქარგავს შიბღერებს, წამოდგება, ღერუფანში გამავალი კარისკენ გაემართება და გასძახის) ელენე! ნაძვის ხე მომიტანე! (მაგიდას მარცხნიდან მოუელის, გამოსწევს უკრას და კვლავ ფიქრებში წასული შეჩერდება.) არა... ეს ყოვლად შეუძლებელია.

მო ა ხ ლ ე (ნაძვის ხით ხელში). სად დავდგა, ქალბატონო?

ნო რ ა. იქით; ოთახის შუაში.

მო ა ხ ლ ე. კიდევ ხომ არაფერი მოვიტანო?

ნო რ ა. არა, გმადლობთ, რაც მჭირდება, ყველაფერი ხელთა მაქვს.

მო ა ხ ლ ე ნაძვის ხეს დგამს და გაღის.

(ნაძვის ხის შორაჟვას შეუდგება.) აქ სანთლები იქნება, აქ კი — ყვავილები... რა საზიზღარი კაცია... სისულელეა, სისულელე! ცუდი არაფერიც არ

მოხდება! ნაძვის ხე შესანიშნავი გამოვა. ყველაფერს ისე გავაკეთებ, ტორვალდ, როგორც შენ მოგწონს... ვიმღერებ, ვიცეკვებ...

გარედან შემოდის ჰელმერი, ილიაში ქალაღების დასტა ამოუღვია.

ნორა. აჰ... უკვე დაბრუნდი?

ჰელმერი. ჰო. აქ იყო ვინმე?

ნორა. აქ?.. არა.

ჰელმერი. საოცარია. მე კი დავინახე, რომ კროგსტადი ჩვენი ეზოდან გავიდა.

ნორა. ჰო? აჰ, მართლა, კი, კროგსტადმა ერთი წუთით შემოიარა.

ჰელმერი. ნორა, შენს სახეზე ვკითხულობ, რომ მან აქ შემოიარა და ჩემთან შუამდგომლობის გაწევა გთხოვა.

ნორა. დიახ.

ჰელმერი. და თანაც ამას გააკეთებდი ვითომდა საკუთარი სურვილით? დამიმალავდი, რომ აქ იყო? ასე დაგარიგა, არა?

ნორა. ჰო, ტორვალდ, მაგრამ...

ჰელმერი. ნორა, ნორა, მერედა, ნუთუ შეგეძლო მაგაზე დათანხმება? ასეთ კაცთან დალაპარაკება და რაიმეს შეპირება! ამასთან კიდევ ჩემი მოტყუება!

ნორა. მოტყუება?

ჰელმერი. შენ არ მითხარი, აქ არავინ ყოფილაო? (თითო ემუქრება.) ეს არასოდეს აღარ ჩაიდინოს ჩემმა ტოროლამ. მაგლობელ ჩიტუნას ყელიდან არასოდეს არ უნდა დასცდეს ყალბი ბგერა. (ხელს მოხვევს.) ასე არ არის?.. დიახ, ასეც ვიცოდი. (გაუშვებს ხელს.) ახლა კი დავამთავროთ ამაზე საუბარი. (ღუმელს მიუჯდება.) უჰ, რა თბილა ჩვენთან, რა სიმყუდროვეა. (ქალაღებს ფურცლავს.)

ნორა (ნაძვის ხის მორთვის განაგრძობს. მცირე პაუზის შემდეგ). ტორვალდ!

ჰელმერი. რა?

ნორა. უსაზღვროდ მიხარია, სტენბერგები ზეგ სამასკარადო კოსტიუმებიან საღამოს რომ მართავენ.

ჰელმერი. მე კი უსაზღვროდ მაინტერესებს, ამჯერად რით აპირებ ჩემს განცვიფრებას?

ნორა. სულელური რამ მოვიფიქრე.

ჰელმერი. მაინც რა?

ნორა შესაფერისი ვერაფერი მოვიგონე, ყველაფერი რაღაც სულელური, უშინაარსო გამოდის.

ჰელმერი. განა ჩემი პატარა ნორა მაგ დასცენამდე მივიდა? ნორა (უჩინად მოუვლის და იდაყვებით დაეყრდნობა ქმრის სავარძლის საზურგეს). ძალიან ბევრი საქმე გაქვს, ტორვალდ?

ჰელმერი. ჰმ!

ნორა ეგ რა ქალაღებია?

ჰელმერი. ბანკის საქმეები.

ნორა. უკვე?

ჰელმერი. ყოფილი გამგეობისაგან უფლება გამოვითხოვე. ცვლილება შევიტანო ბანკის მოსამსახურეთა პირად შემადგენლობასა და მუშაობის გეგმაში. შობის კვირა ამ საქმეს უნდა მოვანდომო. საახალწლოდ მინდა ყველაფერი მოწესრიგებული მქონდეს.

ნორა. ამიტომაც იყო საბრალო კროგსტადი.

ჰელმერი. ჰმ!

ნორა (ისევ სავარძლის საზურგეზე დაყრდნობილი, თითებით უაღერსობს ქმრის თმას). ასეთი გადაუდებელი საქმე რომ არა გქონდეს, ტორვალდ, გეტყოდი, ერთი დიდი თხოვნა შემისრულე-მეთქი.

ჰელმერი. მითხარი. რა თხოვნაა?

ნორა. შენისთანა გემოვნება ხომ არავისა აქვს. სულით და გულით მინდა სამასკარადო საღამოზე მომხიბლავი ვიყო. ტორვალდ. არ შეგიძლია ყურადღება მიწილადო და დამიდგინო, რა განვასახიერო და როგორი კოსტიუმი შევარჩიო?

ჰელმერი. აჰა, მაშ, პატარა ჭიუტი მხსნელს ეძებს?

ნორა. ჰო, ტორვალდ, მე უშენოდ სულ უმწეო ვარ.

ჰელმერი. კარგი, კარგი, მოვიფიქროთ, მოვითათბიროთ.

ნორა. ო, რა კეთილი ხარ! (ისევ ნაძვის ხეს მიუბრუნდება. პაუზა.) როგორი ლამაზები მოჩანს ეს წითელი ყვავილები. ერთი ეს მითხარი, რა დანაშაული ჩაიდინა ამ კროგსტადმა, ალბათ ძალზე მძიმე, არა?

ჰელმერი. ყალბი საბუთების შედგენა დაედო ბრალად. გესმის კი, რას ნიშნავს ეს?

ნორა. იქნებ გაჭირვების გამო ჩაიდინა?

ჰელმერი. პო, ანდა როგორც ამას ბევრი შერება, ქარაფშუტობის გამო. არც ისეთი გულქვა ვარ, რომ ერთი ასეთი საქციელისათვის ვინმე მკაცრად დავსაჯო.

ნორა. დიახ, მართლაც, არა, ტორვალდ?

ჰელმერი. ზოგიერთი ზნეობრივად დაცემული ხელახლა შეძლებს წამოდგომას, თუკი გულწრფელად მოინანიებს თავის დანაშაულს და სასჯელსაც მოიხდის.

ნორა. სასჯელს?

ჰელმერი. მაგრამ კროგსტადი ამ გზით არ წასულა. მან თავი დაიძვრინა ყოველგვარი ეშმაკობითა და მოხერხებით და სწორედ ამან გაანადგურა იგი მორალურად.

ნორა. შენი აზრით, უნდა...

ჰელმერი. აბა, წარმოიდგინე, ასეთი სინდისდამძიმებული კაცი როგორ იძულებულია ყველგან მოიტყუოს, თავი დაიძვრინოს, ანდა, რაც არ არის, იმად მოაჩვენოს ხალხს თავი, თავის ახლობლებთანაც, თვით საკუთარ ცოლ-შვილთანაც კი ნიღაბს ატარებდეს. შვილების წინაშე ასეთი საქციელი ყველაზე სამარცხვინოა, ნორა.

ნორა. რატომ?

ჰელმერი. იმიტომ, რომ ტყუილებით დანაგვიანებული ატმოსფერო მთელ ოჯახურ ცხოვრებას წამლავს. ბავშვები ჰაერთან ერთად ამ შხამსაც ისუნთქავენ.

ნორა (უკნიდან მიუახლოვდება). მაგაში დარწმუნებული ხარ?

ჰელმერი. ჩემო კარგო, ამაში საკმაოდ დავრწმუნდი ჩემი სამუშაოს პრაქტიკიდან. თითქმის ყველა ნაადრევად გზას აცდენილ პიროვნებას მატყუარა დედა ჰყავდა.

ნორა. რატომ მაინცდამაინც დედა?

ჰელმერი. უმეტეს შემთხვევაში ეს დედისგან იწყება ხოლმე. მაგრამ, ცხადია, მამებსაც ხშირად მიუძღვით ბრალი. ეს ყველა ადვოკატმა კარგად იცის. კროგსტადი კი წლების მანძილზე სწამლავდა შვილებს ტყუილითა და თვალთმაქცობით, აი, ამიტომ ვუძახი მას ზნეობრივად დაცემულს. (ხელებს გაუწვდის ცოლს.) ამიტომაც ჩემმა საყვარელმა ნორამ პირობა მომცეს, რომ არასოდეს უშუამდგომლებს ამ კაცს ჩემთან. მომეცი ხელი. აბა, ჰე, რაღას უყურებ, ხელი მომეცი. აი ასე. მაშ, შევთანხმდით. გარწმუნებ, ვერაფრით ვერ შევძლებდი

მასთან მუშაობას. ასეთ ადამიანებს ფიზიკურად ვერ ვიტან, მეზიზღებიან.

ნორა (ხელს გაოჯავისუფლებს და ნაძვის ხეს მეორე მხრიდან მოხველის). აჰ როგორ ცხელა. მე კი რამდენი საქმე მაქვს...

კელმერი (წამოდგება და ქაღალდებს აკრეფს). ჰო, მეც სადილობამდე ამ საქმეებზე ცოტა უნდა წავიმუშაო. შენს კოსტიუმზეც მოვიფიქრებ. ის რაღაცაც უკვე მზადა მაქვს, მოოქროვილ ქაღალდში გახვეული რომ უნდა ჩამოვკიდოთ ნაძვის ხეზე. (თავზე ხელს დაადებთ) ჩემო საყვარელო პატარა ტოროლაე. (გადის კაბინეტში და კარს გაიხურავს.)

ნორა (მცირე პაუზის შემდეგ ნელი ხმით). არაფერიც! ეგ არ მოხდება... შეუძლებელია... შეუძლებელი უნდა იყოს.

ანა-მარია (მარცხენა კარიდან). ბავშვები აღარ მასვენებენ, დედასთან გვინდაო.

ნორა. არა, არა, არა! არ შემოუშვა ჩემთან! იყავით მასთან, ანა-მარია.

ანა-მარია. კარგი, კარგი.

ნორა (თავზარდაცემული ფიქრდება). ჩემი საყვარელი შვილები წაგახდინო!.. ოჯახი მოვწამლო?.. (მცირე პაუზის შემდეგ ამაყად ყელს მოიღერებს.) ეს ტყუილია. არასგზით და არასდროს არ შეიძლება იყოს მართალი!

## მ ე ო რ ა მ ო ჭ მ ე ლ ე ბ ა

იგივე ოთახი. კუთხეში, პიანინოს გვერდით, ღვას ვაპუტული და გაძარცული სანთ-  
ლებგადამწვარი ნახვის ხე. დივანზე ნორას მანტო და ქუდი აწყვია. აღელვებულა  
ნორა ოთახში დაბორილებს მარტო. ბოლოს დივანთან შეჩერდება და თავის მან-  
ტოს აიღებს.

ნორა (ისევ უკან მიაგდებს მანტოს). ვილა(ცა მოდის! (ყართან შივა და  
ძიყურადებს.) არა... არავინაა. რა თქმა უნდა, დღეს აქ არავინ მოვა, —  
შობის პირველი დღეა... ალბათ ხვალაც... მაგრამ იქნებ... (ყარს გამოა-  
ლებს და გაიხედავს.) არა, ფოსტის ყუთში არაფერი ჩანს. მთლად ცა-  
რიელია. (უკან ბრუნდება.) ცხადია, ის ასეთს არაფერს არ ჩაიდენს. ასე-  
თი რამ არ შეიძლება მოხდეს. ეს ყოველად შეუძლებელია. მე ხომ სა-  
მი პატარა ბავშვი მყავს.

ანა-მარია (მარცხენა კარიდან შემოდის, ხელში მუყაოს დიდი ყუთი  
უჭირავს). როგორც იქნა, მივაგენი ამ სამასკარადო ტანსაცმლის ყუთს.

ნორა. გმადლობთ, მაგიდაზე დადეთ.

ანა-მარია (ღებს). მაგრამ ძალიან მოუწესრიგებელი კი იქნება.

ნორა. ეჰ, ნეტავ სულ ნაკუწებად მაქცევინა.

ანა-მარია. ღმერთო დიდებულო, შეკეთება ხომ შეიძლება,  
ოღონდ ცოტა მოთმინებაა საჭირო.

ნორა. მაშ წავალ და ფრუ ლინეს ვთხოვ მომეხმაროს.

ანა-მარია. ისევ გარეთ უნდა გახვიდეთ? ასეთ საძაგელ ამინდ-  
ში? გაცივდებით... ავად გახდებით...

ნორა. ეგ არც ისე საშიშია... ბავშვები რას აკეთებენ?

ანა-მარია. ახალი სათამაშოებით ირთობენ თავს საცოდავებით,  
მაგრამ...

ნორა. ხშირად მკითხულობენ?

ანა-მარია. რაკი მიჩვეულები არიან, ყოველთვის დედასთან  
ყოფნას...

ნორა. ჰო, მაგრამ, ანა-მარია, ამიერიდან აღარ შემეძლება უწინდებურად დიდხანს ვიყო მათთან.

ანა-მარია. პატარები ყველაფერს ეგუებიან.

ნორა. ასე ვგონიათ? თქვენი აზრით, ისინი დაივიწყებენ დედას, თუ აღარ ეყოლებათ?

ანა-მარია. ღმერთმა დაიფაროს! აღარ ეყოლებათო?

ნორა. მითხარით, ანა-მარია... ხშირად მიფიქრია... რა გულმა მოგცათ ნება, შვილი რომ უცხო ადამიანებს ჩააბარეთ?

ანა-მარია. ასე მომიხდა. სხვაგვარად როგორ დავუდგებოდი ძიძად პატარა ნორას

ნორა. მაინც რამ მოგასურვათ ძიძად დადგომა?

ანა-მარია. ასეთ კარგ ადგილზე? საბრალო გოგო, თანაც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი, მოხარული არ უნდა ყოფილიყო? იმ არაკაცმა ხომ ზედაც აღარ შემომხედა.

ნორა. მაგრამ თქვენმა ქალიშვილმა, ალბათ, უკვე დაგივიწყათ.

ანა-მარია. სრულებითაც არა. ორივეჯერ მომწერა: მაშინაც, როცა ეკლესიის მრევლის წევრად მიიღეს და მაშინაც, როცა იქორწინა.

ნორა (ყელზე ხელებს შემოხვევს). ჩემო გამზრდელო, თქვენ ხომ ნამდვილ დედობას მიწევდით, როცა პატარა ვიყავი.

ანა-მარია. საბრალო პატარა ნორას ხომ დედა არა ჰყავდა.

ნორა. ჩემი პატარებიც რომ უდედოდ დარჩნენ, მჭერა, თქვენ... სისულელეა, სისულელე! (ყუთს ახლს.) წადით ბავშვებთან. ახლა მე უნდა... ხვალ ნახავთ, რა ლამაზად მოვირთვები.

ანა-მარია. დიახ, მართლაც, მთელ ბალზე ფრუ ნორასთანა ლამაზი არავინ იქნება. (გაღის მარცხნივ.)

ნორა (ყუთიდან იღებს ტანსაცმელს, მაგრამ ისევ შიგ ჩაუძახებს). ოჰ, ნეტავ აქედან გამიყვანა. ნეტავ არავინ მოვიდეს. ნეტავ აქ უჩემოდ იაეთი არაფერი მოხდეს... სისულელეა. არავინაც არ მოვა. ოღონდ არ უნდა ვიფიქრო. არავითარი ფიქრი. მუფტას გავწმენდ... მშვენიერი ხელთათმანებია, შესანიშნავი ხელთათმანები... საქმეზე ფიქრს მოვეშვით!.. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... (წამოიყვირებს.) აჰ, მოდიანი (კართან მივარდნას დააპირებს, მაგრამ გაუბედავად რჩება იმავე ადგილას.)

წინკარიდან შემოდის უკვე პალტოგაბდილი ფრუ ლინე.

ოპ, ეს შენა ხარ, ქრისტიანა? სხვა არავინ მოსულა?.. რა კარგია, რომ მოხვედი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მითხრეს ჩემთან შემოგივლია, გიკითხივარ.

ნ ო რ ა. ჰო, სწორედ იქით გამოვიარე და ძალიან მჭირდება შენი დახმარება. დაგსხდეთ ამ დივანზე. იცი, რა, ხვალ საღამოს აქ ზემო სართულზე მცხოვრებ კონსულ სტენბორგს მასკარადი აქვს და ტორვალდს უნდა, მე ნეაპოლელი მეთევზე გოგოს სამოსში გამოვეწყო და ტარანტელა ვიცეკვო. ეს ცეკვა კაპრზე შევისწავლე.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ოპო! ესე იგი მთელ წარმოდგენას სდგამ?

ნ ო რ ა. ჰო, ტორვალდს ასე სურს. აი, ეს კოსტიუმი. ტორვალდმა ჭერ კიდევ იქ ყოფნისას შემაკერინა. ახლა კი სულ დაიხა და პირდაპირ არ ვიცი...

ფ რ უ ლ ი ნ ე. ამას ახლავე შევაკეთებთ. მხოლოდ კაბის გაწყობილობა აქა-იქ მორღვეული. ნემსი და ძაფი?.. აა, აქ ყველაფერია, რაც გეჭირდება.

ნ ო რ ა. რა კეთილი ხარ.

ფ რ უ ლ ი ნ ე (ყრავს). მაშ, ხვალ სამასკარადოდ გამოეწყობი, ნორა? იცი, რა, ერთი წუთით უნდა შემოვირბინო აქ, გადაცმული რომ გიხილო. მართლა, სულ დამავიწყდა მადლობა გადამეხადა შენთვის გუშინდელი სასიამოვნო საღამოს გამო.

ნ ო რ ა (წაოდგება და ოთახში გაივლის). გუშინდელი საღამო ჩემი აზრით, უწინდებურად კარგი ვერ იყო. ადრე მაინც ჩამოსულიყავი ჩვენს ქალაქში, ქრისტიანა. ტორვალდს, მართლაც, შესანიშნავად ეხერხება ყველაფრის ლამაზად მოწყობა და გაკეთება.

ფ რ უ ლ ი ნ ე. მე მგონი, შენც ასევე. ტყუილად კი არა ხარ მამაშენის შვილი. ერთი მითხარი, ექიმი რანკი ყოველთვის ისეთი საცოდავია, როგორც გუშინ იყო?

ნ ო რ ა. არა, გუშინ რაღაც განსაკუთრებით საცოდავი იყო... ერთი სიტყვით, მაგას ხომ სერიოზული დაავადება აქვს. საბრალო ზურგის ტვინის ტაბესით იტანჯება. უნდა გითხრა, რომ მამამისი საზიზღარი ადამიანი იყო, საყვარლები ჰყავდა... შვილი კი ბავშვობიდანვე დაუავადდა, ხედავ?

ფ რ უ ლ ი ნ ე (მუხლებზე დაიდებს საკრავს). ნორა, გენაცვალე, საიდან მოავროვე ეგ ცნობები?



ნორა (ოთახში გაივლის). ეჰ!.. როცა ქალს სამი შვილი ჰყავს, მაშინ ხანდახან მასთან მიდიან ხოლმე ისეთი... ისეთი ქალები, რომელთაც ცოტა რამ გაეგებათ მედიცინისაც და ზოგჯერ რაღაცებსაც ჰყვებიან ხოლმე. (ფრუ ლინე კერვას განაგრძობს. ხანმოკლე პაუზა.)

ფრუ ლინე. ექიმი რანკი ყოველდღე მოდის ხოლმე თქვენთან?

ნორა. ყოველდღე. იგი ხომ ტორვალდის ბავშვობის საუკეთესო მეგობარია და ჩემი მეგობარიც. ჩვენთან ოჯახის წევრივითაა.

ფრუ ლინე. ერთი ეს მითხარი: ეგ პირდაპირი კაცია? ესე იგი პირფერობა არა სჩვევია?

ნორა. პირიქით! ეგ რამ გაფიქრებინა.

ფრუ ლინე. გუშინ, როცა მას ვამაცანი, ირწმუნებოდა, ამ სახლში ხშირად მსმენია თქვენი სახელიო. მერე კი შევნიშნე, რომ შენს ქმარს ჩემი სახელი არც კი გაუგია. როგორ შეეძლო ექიმ რანკს...

ნორა. ეს სავსებით მართალია. ტორვალდს უსახლვროდ ვუყვარვარ და სურს მთლიანად, განუყოფლად მხოლოდ მას ვეკუთვნოდე... როგორც თვითონ ამბობს ხოლმე — პირველ ხანებში ის სულ ექვიანობდა, როგორც კი საუბარს წამოვიწყებდი ჩემთვის საყვარელ აბლობლებზე, მშობლიურ ადგილებზე. მეც ავდექი და შევწყვიტე ასეთ თემაზე საუბარი. ექიმ რანკთან კი ასეთ რამეებზე ხშირად ვლაპარაკობ, რადგან სიამოვნებით მისმენს ხოლმე.

ფრუ ლინე. ჩემო ნორა. ბევრ რამეში შენ ისევ ბავშვი ხარ. მე შენზე უფროსი ვარ და უფრო გამოცდილი. აი რას გეტყვი: უნდა ეცადო როგორმე თავი დააღწიო ამ ექიმ რანკთან წამოწყებულ ამბავს.

ნორა. რა ამბავს უნდა დავაღწიო თავი?

ფრუ ლინე. ყველა ამ ამბებს საერთოდ. გუშინ რაღაცას ჰყვებოდი, ვილაც მდიდარ თავყვანისმცემელზე, რომელიც ანდერძით გიტოვებს ფულს.

ნორა. დიახ, მაგრამ ანეთი კაცი, სამწუხაროდ, არ არსებობს. მერე რა?

ფრუ ლინე. ექიმი რანკი მდიდარია?

ნორა. კი, მდიდარია.

ფრუ ლინე. და არავინ გააჩნია, ვისზედაც შეეძლო ეზრუნა?

ნორა. არავინ, მაგრამ...

ფრუ ლინე. და ყოველდღე დაიარება თქვენს სახლში?

ნორა. დიახ, ყოველდღე, ეგ ხომ გითხარი.

ფრუ ლინე. ეს ზრდილობიანი კაცი ეგრე მოურიდებელი როგორ არის?

ნორა. მე შენი სრულებით არაფერი მესმის.

ფრუ ლინე. თავს ნუ იკატუნებ, ნორა. გგონია, ვერ ვხვდები, ვინ გასესხა ის ათას ორასი სპეცია?

ნორა. შენ კვუაზე ხარ? ეგ როგორ მოგივიდა აზრად? ის ჩენი მეგობარია, ყოველდღე ჩვენთან იმყოფება! ეს ხომ აუტანელი მდგომარეობა იქნებოდა!

ფრუ ლინე. მაშ, ეგ არ არის?

ნორა. არა გარწმუნებ. ერთი წუთითაც ეგ გულში არ გამივლია!.. ანკი სად იშოვიდა მაშინ იმდენ ფულს, რომ აქეთ-იქით სესხად დაერიგებინა? მემკვიდრეობა მან მოგვიანებით მიიღო.

ფრუ ლინე. მართლაც, ბედი გქონია, ძვირფასო ნორა.

ნორა. არა, არასოდეს არ მომსვლია აზრად, ექიმი რანკისათვის რომ მეთხოვა... თუმცა, დარწმუნებული ვარ, მას თუ მივმართავდი...

ფრუ ლინე. მაგრამ, რა თქმა უნდა, შენ ამას არ იზამ.

ნორა. ცხადია, არა. როგორღაც ამის წარმოდგენაც კი არ შემიძლია. მაგრამ სავსებით დარწმუნებული ვარ, ეს რომ ექიმი რანკისათვის მეთქვა...

ფრუ ლინე. ქმრის მალვით?

ნორა. მე მაინც უნდა დავამთავრო ის საქმე. ასევე ქმრის მალვით. უნდა დავამთავრო.

ფრუ ლინე. ჰო, ჰო, მეც მაგას გეუბნებოდი გუშინ, მაგრამ...

ნორა (ბოლთასა სცემს ოთახში). მამაკაცი უფრო იოლად ართმევს თავს ასეთ საქმეს, ვიდრე ქალი.

ფრუ ლინე. თუკი ეს მამაკაცი ამ ქალის ქმარია.

ნორა. არა უშავს. (შეჩერდება.) როცა კაცი ვალს მთლიანად იხდის, თამასუქს ხომ უბრუნებენ?

ფრუ ლინე. რასაკვირველია.

ნორა. შეგიძლია ნაკუწებად აქციო, დასწვა ეს საზიზღარი კუჭყიანი ფურცელი?

ფ რ უ ლ ი ნ ე (დაჟინებით მიაჩერდება ნორას, საყერავს გვერდზე გადებს და წამოდგება). ნორა, შენ რაღაცას მიმალავ.

ნორა. განა მამჩნევ რამეს?

ფ რ უ ლ ი ნ ე. გუშინ დილას აქეთ რაღაც შეგემთხვა, ნორა, რა მოხდა?

ნორა (მიდის მისკენ). ქრისტიანა! (სმენას დაჰბავს.) სსს! ტორვალდი დაბრუნდა. მოდი, ცოტა ხნით ბავშვებთან გადი. ტორვალდს არ უყვარს, როცა მისი თანდასწრებით კერავენ. ანა-მარია მოგეხმაროს.

ფ რ უ ლ ი ნ ე (წამოჰკრფხს ნაწილ ნივთებს). დიახ, დიახ, მაგრამ ჭერ არ გაგეცლები, სანამ გულახდილად არ ვილაპარაკებთ. (გადის მარცხნივ.)

იმავე წუთს წინკარიდან შემოდის ჰ ე ლ მ ე რ ი.

ნორა (მიეგება). ტორვალდ, გენაცვალე, გული გადამელია შენს ლოდინში.

ჰ ე ლ მ ე რ ი. ეგ მკერავი იყო?

ნორა. არა, ეგ ქრისტიანაა. საბალო კოსტიუმის შეკეთებაში მებმარება. ნახავ, რა ეფექტს მოვახდენ.

ჰ ე ლ მ ე რ ი. რა შესანიშნავი რამ მოვიფიქრე, არა?

ნორა. დიდებული! განა მე კი ჰკვიანი არა ვარ, ასე რომ გიჭერებ!

ჰ ე ლ მ ე რ ი (ნიკაპქვეშ ამოსდებს ხელს). ჰკვიანი... ქმარს რომ უჩერებ? ახ, შე ჰინკა! კარგად ვიცი, სხვა რაღაც გინდოდა გეთქვა. მაგრამ ახლა ხელს აღარ შეგიშლი. ალბათ, კაბის მოზომება დაგპირდება.

ნორა. შენ კი ალბათ სამუშაოს ჩაუჭდები.

ჰ ე ლ მ ე რ ი. დიახ. (ქალღლების დასტაზე მიუთითებს). აი ბანკში შევიარე და... (თავის ოთახში შესვლას დააპირებს.)

ნორა. ტორვალდ...

ჰ ე ლ მ ე რ ი (შეჩერდება). რა?

ნორა. შენმა ციყუნია მ სულით და გულით რომ გთხოვოს ერთი რამ?..

ჰ ე ლ მ ე რ ი. მაინც რა?

ნორა. გააკეთებ?

ჰ ე ლ მ ე რ ი. ჭერ ხომ უნდა გავიგო, რა საქმეა.

ნორა. ციყუნია ისე იბტუნებდა, ითამაშებდა და შესანიშნავად გაგართობდა, თუკი მას თავაზიანად მოეპყრობოდი და დაუჭერებდი.

ჰელმერი. თქვი, ბოლოს და ბოლოს.

ნორა. ტოროლა ისეთ გალობას მორთავდა, რომ ნაირ-ნაირი ჰანგებით მთელ სახლს გააყრუებდა.

ჰელმერი. ის არც უმისოდაა მინცდამინც ჩუმად.

ნორა. მე განვასახიერებდი სილფიდას და მთვარის შუქზე ვიცეკვებდი შენთვის, ტორვალდ!

ჰელმერი. ნორა... ისევ გუშინდელ თხოვნას ხომ არ იმეორებ?

ნორა. ჰო, ტორვალდ! გთხოვ, გვედრები!

ჰელმერი. და მინც გყოფნის გამბედაობა, ისევ ის საკითხი წამომიყენია?

ნორა. დიახ, დიახ, უნდა შემისრულო ეს თხოვნა, კროგსტადს უნდა შეუწარმოო მისი ადგილი ბანკში.

ჰელმერი. ნორა, გენაცვალე. მისი ადგილი ფრუ ლინესთვის მაქვს გამიზნული.

ნორა. რა კეთილი ხარ, ტორვალდ, მაგრამ ხომ შეგიძლია კროგსტადის ნაცვლად სხვა რომელიმე თანამშრომელი გაათავისუფლო.

ჰელმერი. ეს კი პირდაპირ გაუგონარი სიჯიუტეა. იმის გამო, რომ დაუფიქრებლად შეგპირდი დახმარებას, მე მოვალე ვარ...

ნორა. იმის გამო არა ტორვალდ. შენი საკუთარი თავისთვის. ეს კაცი ხომ ყველაზე საძაგელ გაზეთებში თანამშრომლობს. — თერთონვე გითქვამს. მას შეუძლია დიდად გავნოს. სასტიკად მეშინია მისი.

ჰელმერი. აა, მესმის, შენ ძველი რაღაცები გაგონდება და გეშინია.

ნორა. მაგით რის თქმა გინდა?

ჰელმერი. მამაშენი მყავს მხედველობაში.

ნორა. ჰო, ცხადია. გახსოვს, ბოროტი ადამიანები რაღას არ წერდნენ გაზეთებში მამაჩემზე და რა საშინელ ჰორებს თითხნიდნენ. ალბათ, მოახსენებდნენ კიდევ, სამინისტროს შენ რომ არ გაეგზავნე რევიზორად და მამას ასე კეთილშობილურად და თანაგრძნობით არ მოპყრობოდი.

ჰელმერი. საყვარელო ნორა, მამაშენსა და ჩემს შორის დიდი განსხვავებაა. მამაშენი უმწიკვლო მოხელე არა ყოფილა. მე კი სწორედ ანეთი ვარ და იმედი მაქვს ასეთივე დავრჩები, სანამ ჩემს პოსტზე ვიმყოფები.

ნორა. ეჰ, არავინ იცის, რა მოუვით აზრად ბოროტ ადამიანებს. ჩვენ კი ახლა შეგვეძლო დაგვეწყო კარგი, მშვიდი, ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება — შენ, მე, ბავშვებს, ტორვალდ! აი, ამიტომ გთხოვ ასე დაეინებით...

ჰელმერი. სწორედ მაგით, ასეთ თავგამოდებით რომ ემხრობი მას, ყოველგვარ საშუალებას მისპობ, კვლავ თავის ადგილზე დავტოვო. ბანკში უკვე ყველამ იცის, რომ მე კროგსტადის მოხსნა გადავწყვიტე. ახლა შენ გინდა ხალხი ავალაპარაკო, ახალი ღირეკტორი თავის გადაწყვეტილებებს ცოლის ზეგავლენით ცვლისო...

ნორა. ასეც რომ იყოს, მერე რა?

ჰელმერი. ოღონდ პატარა ჩიუტმა სურვილი შეისრულოს და სხვა რა აჯავრებს!.. მთელი თანამშრომლების თვალში თავი გავიძახრო? ქორის საბაბი მივცე, ყველანიარ გარეშე პირთა გავლენის ქვეშ ექცევაო? დამიჩერე, მაშინ საკადრისს მეც მიმალბინებენ!.. თანაც... არის ერთი გარემოება, რომლის გამოც სრულად შეუძლებელია კროგსტადის დატოვება ბანკში, სანამ მე მისი ღირეკტორი ვარ.

ნორა. რა გარემოება?

ჰელმერი. მის ზნეობრივ ნაკლზე უკიდურეს შემთხვევაში კიდევ შემეძლო თვალი დამეხუჭა...

ნორა. მართლაც, არა, ტორვალდ?

ჰელმერი. და ამბობენ, ძალიან საქმიანი კაცი არისო. ოღონდ აი რა: მას ჯერ კიდევ ჰაბუკობის დროიდან ვიცნობ. მაგრამ ეს ერთ-ერთი ისეთი ადრეული გაკვრითი ნაცნობობაა, რომლის გამოც კაცი შემდეგ ხშირად ვარდება უხერხულ მდგომარეობაში. და არ დაგიმაღლავ, ჩვენ შენობითაც კი მივმართავთ ერთმანეთს. იგი იმდენად უტაქტოა, რომ ამას სხვების თანდასწრებითაც არ მალავს. პირიქით, მას ჰგონია, ეს უფლებას აძლევს მოურიდებლად მომექცეს. წარამარა წამოისერის ხოლმე და თავს იწონებს თავისი გამოთქმით „შენ“, „მე“, ჰელმერი“. გარწმუნებ, თავისი საქციელით პირდაპირ მაცოფებს. მას შეუძლია ბანკში აუტანელი მდგომარეობა შემიქმნას.

ნორა. ტორვალდ, შენ ამას სერიოზულად არ ამბობ.

ჰელმერი. როგორ თუ არა?

ნორა. არა იმიტომ, რომ ყველაფერი ეს წვრილმანი მოსაზრებანია.

ჰელმერი. რა სთქვი? წვრილმანო? შენი აზრით. მე წვრილმანი ადამიანი ვარ?

ნორა. არა, პირიქით, ტორვალდ, გენაცვალე, აი, ამიტომაც...

ჰელმერი. სულ ერთია. შენ ჩემს აზრებს წვრილმანს უწოდებ, გამოდის, რომ მეც ისეთი ვარ!.. წვრილმანი! მაშ ასე! ყველაფერ ამას ბოლო უნდა მოვეუღო. (წინკარში გამავალ კარისკენ წავა და გასახებს.) ელენე!

ნორა. რა გინდა?

ჰელმერი (ქალღღებს ქეჭავს). ბოლო უნდა მოვეუღო. (შემოსულ მოხლეს.) აი, აიღეთ ეს წერილი და ახლავე გასწიეთ. იპოვეთ შიკრიკი და მან მიუტანოს. აბა. ცოცხლად. მისამართი აწერია. აი, ფულიც. მოახლე. კეთილი! (ვადის წერილით ხელში.)

ჰელმერი (ქალღღებს აკრეფს). მაშ ასე, ჩემო პატარა ჩიუტო.

ნორა (სუნთქვაშეკრული). ტორვალდ, ეგ რა წერილი იყო?

ჰელმერი. კროგსტადის მოხსნისა.

ნორა. დააბრუნე, დააბრუნე უკან, ტორვალდ! სანამ გვიან არ არის! ტორვალდ, დააბრუნე! ჩემი გულისათვის, შენი საკუთარი თავისთვის, ბავშვებისთვის. გესმის? ტორვალდ, დააბრუნე. შენ არ იცი, რას დაგვატებს თავს ეგ წერილი.

ჰელმერი. გვიანაა.

ნორა. დიახ, გვიანაა.

ჰელმერი. ნორა, გენაცვალე, მიპატიებია შენთვის ეგ შიში, თუმცა მე ნამდვილად ნაწყენი ვარ... დიახ, ასეა! იქნებ ფიქრობ, საწყენი არაა შენი ვარაუდი, რომ თითქოს უნდა მეშინოდეს ვიღაც გზასაცდენილი ხრიკების ოსტატის შურისძიებისა. მაგრამ მაინც გაპატიებ, რადგან ეს არის შენი ჩემდამი მხურვალე სიყვარულის ძალზე ლამაზი დადასტურება. (თავისკენ მიიზიდავს.) ასეც უნდა იყოს. მერე კი მოხდეს, რაც მოსახდენია. თუ რამეს გაბედავს, მერწმუნე, რომ მეც საკმაო ძალა და გამბედაობა შემწევს. აი, ნახავ, მე ისეთი კაცი ვარ, რომ შემძლია ყველაფერი ვიკისრო.

ნორა (თავზარდაცემული). მაგით რის თქმა გინდა?

ჰელმერი. ყველაფერი-მეთქი...

ნორა (თავს შეიკავებს). არასოდეს არ მოგცემ მაგის უფლებას.

ჰელმერი. კეთილი. მაშინ მე და შენ გავინაწილოთ ნორა... როგორც ცოლმა და ქმარმა. ისე, როგორც წესი და რიგია. (ელენესა)

სოლს.) ახლა ხომ კმაყოფილი ხარ? აბა, აბა. აბა! ასე შეშინებული ნუ გაქვს ეგ მტრედის თვალები. ეს ყველაფერი ხომ მარტოოდენ ფანტაზიაა და მეტი არაფერი. ახლა კი უმჯობესი იქნებოდა ტარანტულა დაგეკრა და დაირაზე წაგეყარჯიშა. მე ჩემს ოთახში შევალ და შუა კარს დავხურავ, რომ არაფერი გავიგონო. შეგიძლია იმდენი იზმაურო, რამდენიც მოგესურვება. (ყართან მისული მობრუნდება.) ჰო, რანკი თუ მოვა, უთხარი, სადაც ვარ. (თავს დაუკრავს ცოლს, ვადის თავის კაბინეტში და კარს მოხურავს.)

ნორა (შიშისაგან დაბნეული და გაშეშებული დგას და ჩურჩულებს) მაგისგან არცაა გასაკვირი. მართლაც ასე მოიქცევა. ასე მოიქცევა, რადაც არ უნდა დაუჯდეს... არა, არავეითარ შემთხვევაში, სანამ ცოცხალი ვარ, მაგის უფლებას არ მივცემ, სხვა რაღაც გინდა იყოს. უნდა ეკოვო ხსნა!.. გამოსავალი!..

წინკარში ზარი გაიწყრიალებს.

ექიმი რანკი!.. სხვა რაღაც გინდა იყოს, რაღაც გინდა იყოს. (სახეზე ხელებს გადაისვამს, ძალ-ღონეს მოიყრებს, წინკარისკენ გაეპართება და აღესასკარს.)

ექიმი რანკი წინკარში ქურქს იხდის და ჰკიდებს. შემდგომი სცენის მიმდინარეობისას თანდათან ბინდდება.

გამარჯობათ, ექიმო რანკი. ზარის ხმაზე გიცანიით, მაგრამ ახლა იმე შეხვალთ ტორვალდთან, მგონი, მუშაობს.

რანკი. თქვენ? (შემოდის ოთახში.)

ნორა (ოთახის კარს მიხურავს). ო, მოგეხსენებათ, თქვენთვის ყოველთვის გამოვნახავ თავისუფალ დროს.

რანკი. გმადლობთ. ვისარგებლებ თქვენი მეგობრობით, სანამ საამისო ძალა შემწევს.

ნორა. ეგ როგორ გავიგოთ, სანამ საამისო ძალა შემწევსო?

რანკი. სწორედ ასეა. თქვენ ეს გაშინებთ?

ნორა. ისე უცნაურად თქვით. განა ისეთი რა უნდა მოხდეს?

რანკი. ის, რასაც უკვე დიდი ხანია ველოდებოდი, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ ასე მალე მომადგებოდა კარს.

ნორა (მკლავში სწვდება). მაინც რა მოხდა?.. ექიმო, მითხარით, ნუ დამიძალავთ.

რ ა ნ კ ი (ღუმელს მიუჯდება). უფსკრულისკენ მივექანები და საშვე-  
ლი არსად არის.

ნ ო რ ა (სულს მოითქვამს). საკუთარ თავზე ლაპარაკობთ?..

რ ა ნ კ ი. მაშ ვისზე? რატომ მოვიტყუო თავი? ჩემს პაციენტთა-  
გან ყველაზე საცოდავი მე ვარ, ფრუ ჰელმერ. ამ დღეებში საკუთარ  
თავის გენერალური გამოკვლევა ჩავიტარე. განწირული ვარ. ერთი  
თვეც არ გავა და მე უკვე საფლავში კიები დამესვევა.

ნ ო რ ა. ფუ, რა საზიზღარ რაღაცას ამბობთ.

რ ა ნ კ ი. თვითონ ფაქტია ყოვლად საზიზღარი. მაგრამ ყველაზე  
უარესი ის არის, რომ მანამდე კიდევ ბევრი სხვა საზიზღრობა უნდა  
მოხდეს. ერთადერთი გამოკვლევაღა დამრჩა ჩასატარებელი. მასაც  
რომ დავამთავრებ, დაახლოებით მეცოდინება, როდის დაიწყება ძვლე-  
ბის დაშლა. ბუნებით აზიზ ჰელმერს საშინლად ეზიზღება ყოველ-  
გვარი საძაგლობა. მე მსურს, მან ფეხი არ შემოდგას მომაკვდავის  
ოთახში.

ნ ო რ ა. მაგრამ, ექიმო რანკ...

რ ა ნ კ ი. მე ასე მსურს. არავითარ შემთხვევაში არ შემოვიდეს.  
ჩემი ოთახის კარი დაკეტილი იქნება მისთვის... როგორც კი საბო-  
ლოოდ დავრწმუნდები, რომ ამქვეყნის აღარა ვარ, შვავჯარდასმულ  
სადარბაზო ბარათს გამოგიგზავნით. მაშინ იცოდეთ — სრული განად-  
გურება დაიწყო.

ნ ო რ ა. დღეს თქვენ პირდაპირ აუტანელი ხართ. მე კი მინდოდა,  
რომ ახლა განსაკუთრებით კარგ ხასიათზე ყოფილიყავით.

რ ა ნ კ ი. როცა სიკვდილს თვალეში ვუყურებ? მაშ სხვისი ცოდ-  
ვები მე უნდა ეზლო? სად არის სამართალი? ყველა ოჯახში იჩენს  
თავს ამგვარი თუ სხვაგვარი უღმობელი საზღაური.

ნ ო რ ა (ყურებზე ხელმს მიიჭვრს). სისულელეა! გამხიარულდით,  
გამხიარულდით!

რ ა ნ კ ი. დიახ, ეს ყველაფერი მართლაც რომ სასაცილოა. ჩემ-  
მა საბრალო ზურგის ტვინმა უნდა გაიღოს მამჩემის ოფიცრული  
ცხოვრების მსიარულად გატარებული დღეების საზღაური!

ნ ო რ ა (მარცხნივ მავიდასთან). თურმე ძალიან უყვარდა სატაცური  
და ბატის ღვიძლის პაშტეტი. ხომ?

რ ა ნ კ ი. ჰო, და ტრიუფელიც.

ნ ო რ ა. დიახ, დიახ, ტრიუფელიც. და, მგონი, ხამანწყაც, არა?



რ ა ნ კ ი. რა თქმა უნდა, ხამანწყაც, თავისთავად ცხადია.  
ნო რ ა. აგრეთვე, ყველა სახის პორტვეინი და შამპანური. სამ-  
წუხაროა, რომ ყველა ეს სასუსნავი ზურგის ძვალზე ასე მოქმედებს.  
რ ა ნ კ ი. და განსაკუთრებით საწყენია, რომ იგი მოქმედებს იმ  
პიროვნების ზურგის ძვალზე, ვისაც თვითონ ეს სასუსნავი გემოლაც  
არ უნახავს.

ნო რ ა. ღიახ. ეგ კიდევ უფრო საწყენია.

რ ა ნ კ ი (გამოძდეღალ შესტყერის ქალს). ჰმ!..

ნო რ ა (ცოტა მოგვიანებით). რატომ გაგელიმათ?

რ ა ნ კ ი. მე კი არა, თქვენ გაგელიმათ.

ნო რ ა. არა, ექიმო, თქვენ.

რ ა ნ კ ი. (წაბოღება). უფრო ეშმაკი ყოფილხართ, ვიდრე მეგონეთ.

ნო რ ა. დღეს მართლაც ისეთ ხასიათზე ვარ, მინდა უცნაური  
რამ ჩავიდინო...

რ ა ნ კ ი. გეტყობათ.

ნო რ ა (რანკს ორივე ხელს მხრებზე დააწკობს). ძვირტასო, საყვარე-  
ლო ექიმო, ნუ დაგვტოვებთ მე და ტორვალდს.

რ ა ნ კ ი. ეჰ, მაგ დანაკარგს მალე შეეჩვევით. თვალი შორს და  
გულიც შორსაო.

ნო რ ა (შეშინებული მიაჩერდება). ანე გგონიათ?

რ ა ნ კ ი. ახალ ნაცნობებს გაიჩინეთ და...

ნო რ ა. ვინ გაიჩინს ახალ ნაცნობებს?

რ ა ნ კ ი. თქვენც და ჰელმერიც, როცა მე აღარ ვიქნები. მე იჯო-  
ნი, უკვე დაადექით კიდევ მაგ გზას. რა უნდოდა აქ გუშინ საღამოს  
ფრუ ლინეს?

ნო რ ა. ააა, იქნებ საბრალო ქრისტიანზე ეკვიანობთ?

რ ა ნ კ ი. სწორედ. ის მე შემეკვლის ამ ოჯახში. როცა აღარ ვიქ-  
ნები, ეს ქალი...

ნო რ ა. სსს! ხმამაღლა ნუ ამბობთ, ის აქ არის.

რ ა ნ კ ი. დღესაც? აჰა, ხომ ხელაღეთ!

ნო რ ა. მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ კოსტიუმი შემიკეთოს.  
ღმერთო ჩემო, რა უცნაურ რაღაცებს იკონებთ. (ღიანზე ჯდება.) გო-  
ნება მოიკრიბეთ, ექიმო. ხვალ ნახავთ, რა შესანიშნავად ვიცეკვებ,  
და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ამას შევასრულებ მხოლოდ  
თქვენთვის, და, რა თქმა უნდა, ტორვალდისთვისაც, თავისთავად ცხა-

ლია. (უთიდან სხვადასხვა ნივთებს ამოალაგებს.) ექიმო, აქეთ დაბრძანდით, რალაც უნდა გიჩვენოთ.

რ ა ნ კ ი (ყდება). რა?

ნო რ ა. აი! შეხედეთ!

რ ა ნ კ ი. აბრეშუმის წინდები.

ნო რ ა. ხორცისფერი. ხომ საუცხოოა? ახლა უკვე ბნელა, ხვალ კი... არა, არა, არა, მხოლოდ კოჭებს ქვემოთ ნახავთ. თუმცა თქვენ შეიძლება ცოტა ზემოთაც გიჩვენოთ.

რ ა ნ კ ი. ჰმ!..

ნო რ ა. რატომ მიყურებთ ასე კრიტიკული თვალით? თქვენის აზრით, არ მომიხდება?

რ ა ნ კ ი. ვერაფერს ვიტყვი, რადგან მაგის დასადგენად დამამტკიცებელი საბუთები მაკლია.

ნო რ ა. (ერთი წუთით შეხედავს). ფუ, როგორ არ გრცხვენიათ! (წინდებს მსუბუქად გაართყამს ყურზე) აი ესეც თქვენ. (ისევ ჩაალაგებს ნივთებს.)

რ ა ნ კ ი. კიდევ რას ვნახავ საუცხოოს?

ნო რ ა. ერთ ნამცეცსაც ველარ ნახავთ. პირდაპირ აუტანელი ხართ. (ღიღინებს და ნივთებში იქექება.)

რ ა ნ კ ი (მცირე ხნის ღუმილის შემდეგ). აქ, თქვენთან, აი ასე შინაურულად რომ მოგკალათებულვარ, ვფიქრობ და ვერ წარმომიდგენია, არ ვიცი, რა ვიქნებოდრი, თქვენს სახლში რომ ფეხი არ შემომედგა.

ნო რ ა (ღიმილით). ღიახ, მე მგონი, მართლაც გსიამოვნებთ ჩვენთან ყოფნა.

რ ა ნ კ ი. (ნელი ხმით. თან შორეთს გააყურებს). და ნებსით თუ უნებლიეთ ყველაფერი ეს უნდა დავტოვო...

ნო რ ა. რა სისულელეა! არ დატოვებთ!

რ ა ნ კ ი (უწინდებურად). წავალ ისე, რომ უბრალო კეთილ მოგონებასაც კი ვერ დავტოვებ... წუთიერ სიბრაღულსაც კი ვერ გამოვიწვევ... დავტოვებ მხოლოდ ცარიელ ადგილს, რომელსაც ალბათ პირველი გამვლელი დაიკავებს.

ნო რ ა. მაგრამ მე რომ ერთი რალაც გთხოვოთ? არა...

რ ა ნ კ ი. რა?

ნო რ ა. თქვენი მეგობრობის დიდი დამტკიცება...

რ ა ნ კ ი. მერე, მერე?

ნორა. არა, იცით, რა მინდოდა მეტქვა? — დიდი დაჩქარება-მეტქი.

რანკი. ნუთუ ერთხელ მაინც მაღირსებთ მაგ ბედნიერებას?

ნორა. ო, თქვენ არ იცით, რაშია საქმე.

რანკი. მაშ, მითხარით.

ნორა. არა, არ შემძლია, ექიმო. ეს უკვე მეტისმეტი დავალებათაა — რჩევაც, დანმარებაც და სამსახურიც.

რანკი. რაც მეტი იქნება. მით უკეთესი, მაგრამ მე ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. მითხარით ბარემ! განა არ მენდობით?

ნორა. დიახ, როგორც არაგის. თქვენ ჩემი უერთგულესი, საუკეთესო მეგობარი ხართ. ეს კარგად ვიცი. ამიტომაც მინდოდა თქვენთვის მეტქვა. კეაილი, ექიმო. უნდა დამეხმაროთ და ერთი რალაციანგან მიხსნათ. თქვენ ხომ იცით, რომ გულწრფელად, უსაზღვროდ ვუყვარვარ ტორვალდს. ერთი წუთითაც კი არ შეუყოყმანდება. ისე გასწირავს სიცოცხლეს ჩემი გულისათვის.

რანკი (ქალისკენ დაიხრება). თქვენ გგონიათ, რომ მხოლოდ ის ერთადერთი არ შეუყოყმანდება?

ნორა (ოდნავ შეკრთება). დიახ...

რანკი. თქვენი გულისთვის სიხარულით რომ გაწიროს სიცოცხლე?

ნორა (შეუფოთებული). აჰ, ჰი...

რანკი. ჩემს თავს აღვუთქვეი, გაგაგებინოთ ყველაფერი, სანამ ამ ქვეყნიდან გავემგზავრებოდე. ამაზე ხელსაყრელ შემთხვევას ვიველარ ვიპოვი. დიახ, ნორა, ახლა უკვე ყველაფერი იცით. და ისიც იცით, რომ შეგიძლიათ მე უფრო მენდოთ, ვიდრე სხვა ვინმეს.

ნორა (წამოდგება, მშვიდი, წყნარი ხმით). გამატარეთ.

რანკი (გზას დაუთმობს, მაგრამ ისევ ზის). ნორა...

ნორა (დერაფნის კარიდან გასძახებს) ელენე, ლამპა მოიტანე. (მიღის ღუმელთან, ეჰ, ძვირფასო ექიმო, ასეთი რამ თქვენ არ გეკადრებათ.)

რანკი (წამოდგება). რომ ისევე გულწრფელად შეგიყვარეთ, როგორც მეორე პიროვნება? განა ეს არასაკადრისია?

ნორა. არა, მაგრამ ჩემთვის არ უნდა გეტქვათ. ეგ სულაც არ იყო საქირო.

რანკი. მაგით რისი თქმა გინდათ. ესე იგი უკვე იცოდით?

ნორა... ფრუ ჰელმერ, გეკითხებით, იცოდით რაზე?

ნორა. საიდან მეცოდინება, რა ვიცოდი და რა არ ვიცოდი? ნამდვილად ვერ გეტყვით... ულამაზოდ მოიქეცით, ექიმო! რა კარგად მიდიოდა ყველაფერი.

რანკი. ყოველ შემთხვევაში, ახლა დარწმუნებული იქნებით, რომ მე მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ სულითაც და სხეულითაც. მაშ, მითხარით...

ნორა. ყოველივე ამის შემდეგ?

რანკი. გვედრებით, გამაგებინეთ, რაშია საქმე.

ნორა. ახლა უკვე ველარაფერს გეტყვით.

რანკი. არა, არა. ასე ნუ დამსჯით. ნება მომეცით გავაკეთო თქვენთვის ყველაფერი, რაც კი ადამიანის ძალას არ აღემატება.

ნორა. ახლა თქვენ ჩემთვის არაფრის გაკეთება აღარ შეგიძლიათ. თუმცა არც მკირდება არავითარი დახმარება. დაინახავთ, რომ ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიაა მხოლოდ და მხოლოდ. დიახ, დიახ, ფანტაზია. რასაკვირველია! (ჯდება სარწიველაზე, რანკს შეჰყურებს და ელიმება.) თქვენ ჰემშიარტილდ შესანიშნავი მეგობარი ხართ, ექიმო! ერთი მითხარით, ლამპის შუქზე მაინც არ გრძნობთ სირცხვილს?

რანკი. არა, სიმართლე თუ გინდათ. მაგრამ იქნებ საჭიროა გაგმორდეთ... სამუდამოდ დაგტოვოთ?

ნორა. არა, არაა საჭირო. უწინდებურად ივლით ჩვენთან. ხომ კარგად იცით, ტორვალდს უთქვენოდ გაუქირდება.

რანკი. თქვენ?

ნორა. მეც ძალიან მსიამოვნება, ჩვენთან რომ მოდიხართ.

რანკი. სწორედ მაგან ამიბნია თავგზა. თქვენ ჩემთვის გამოცანა ხართ. არაერთხელ მგონებია, თითქოს ჩემთან ყოფნა ისევე გსიამოვნებდათ, როგორც ჰელმერთან.

ნორა. იცით რა, ზოგჯერ ერთი ადამიანი თავს გირჩევნია, ხოლო მეორესთან ყოფნა კი გსიამოვნებს.

რანკი. დიახ, ეგ ნაწილობრივ მართალია.

ნორა. ჩემს სახლში, მართალი გითხრათ, ყველაზე მეტად მამა მიყვარდა. მაგრამ ძალიან მიყვარდა ჩემად გაპარვა მოსამსახურის ოთახში. იქ არავინ მაძლევდა დარიგებებს და ყოველთვის მხიარული საუბარი იყო გაჩაღებული.

რანკი. აი, თურმე, ვინ შემიცვლია თქვენთვის.

ნორა (წამოხტება და მასთან მიიარბენს). ჩემო ძვირფასო, კეთილო ექიმო, მაგ მნიშვნელობით სულაც არ მითქვამს. მაგრამ ხომ იცით, ტორვალდთანაც, როგორც მამაჩემთან...

მოახლე (წინკარიდან შემოდის). ქალბატონო... (რალაცას წასჭურჩულებს და ბარათს გადასცემს.)

ნორა (ბარათს დახედავს). ოჰ! (ჩაიღებს ჭიბეში).

რანკი. ცუდი ამბავი ხომ არაფერია?

ნორა. არა, არა, სულაც არა. ეს... ჩემი ახალი კოსტიუმის თაობაზეა...

რანკი. რაო? ეს ხომ აგერ აქ დევს.

ნორა. ა, ჰო, აქ არის. ეს კიდევ სხვაა... მე შევუკვეთე... მაგრამ ტორვალდმა არ უნდა გაიგოს...

რანკი. აჰა, აი, თურმე, რა დიდი საიდუმლოება გქონიათ!

ნორა. დიანაც. წადით ტორვალდთან. თავის კაბინეტშია. ცოტა ხანს შეიყოლიეთ საუბრით.

რანკი. ფიქრი ნუ გაქვთ, ვერსად წამივა. (გაღის კაბინეტში.)

ნორა (მოახლეს). მაშ, სამზარეულოში იცდის?

მოახლე. ჰო, უკანა კარიდან შემოვიდა.

ნორა. მერედა, არ უთხარით, სტუმარი ჰყავთო?

მსახური. ვუთხარი, მაგრამ არ გასჭრა.

ნორა. და წასვლას აღარ აპირებს?

მსახური. არა, სანამ თქვენ არ მოგელაპარაკებათ.

ნორა. კარგი, შემოიყვანე. ოღონდ, ჩუმად, ელენე. და არავის არ უთხრა ამის შესახებ. ეს პირდაპირ სიურპრიზი იქნება ჩემი მეუღლისათვის.

მსახური. დიან, დიან, მესმის, მესმის... (გაღის.)

ნორა. უბედურება მიახლოვდება. მიახლოვდება ყველაფრის მიუხედავად. არა, არა, არა! ეგ არ მოხდება არავითარ შემთხვევაში. (მიდის და ურდულით კეტავს კაბინეტში გამავალ კარს.)

მსახური ქალს ოთახში კროგსტადი შემოჰყავს და ზურგს უკან კარს მიუხურავს. კროგსტადს სამგზავრო ქურჩი და ჩექმები აცვია. თავზე ნაბღის ქული ახურავს.

ნორა (შეეგებება). წყნარად ილაპარაკეთ, ჩემი მეუღლე შინ არის.

კროგსტადი. იყოს, თუ არის...

ნორა. რა გინდათ ჩემგან?

კროგსტადი. რალაცის გაგება.

ნორა. მაშ, ჩქარა. რისი გაგება?

კროგსტადი. რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, რომ მომხსნეს.

ნორა. ბატონო კროგსტად, ვერაფრით ვერ შევძელი ამ ამბისათვის ხელი შემეშალა. თავგამოდებული გიცავდით, მაგრამ ვერაფერს გახვდით.

კროგსტადი. მაშ, თქვენს მეუღლეს ასე მცირედ უყვარხართ? იცის, რაც შემიძლია დაგატეხოთ თავს და მაინც ბედავს...

ნორა. როგორ იფიქრეთ, რომ მან ეს იცის?

კროგსტადი. არა, მართალი გითხრათ, არც მიფიქრია. ასეთი ვაუკაცობის გამოჩენა არც შეეფერება ჩემი კეთილი ტორვალდის ბუნებას.

ნორა. ბატონო კროგსტად. მე მოვითხოვ პატივისცემით მოეპყროთ ჩემს მეუღლეს.

კროგსტადი. როგორ გეკადრებათ. სწორედ ჯეროვანი პატივისცემით ვეპყრობი მას. მაგრამ, რაკი თქვენ ასე საიდუმლოდ ინახავთ ამ საქმეს, მაშინ შემიძლია ვივარაუდო, რომ გუშინდელთან შედარებით, დღეს უკეთ ერკვევით იმ ამბავში, რაც ჩაიდინეთ.

ნორა. იმაზე უკეთ, ვიდრე თქვენ შეგეძლოთ ოდესმე აგეხსნათ ჩემთვის.

კროგსტადი. რასაკვირველია, ისეთი ვაი-იურისტი როგორიც მე ვარ...

ნორა. მაინც რა გინდათ ჩემგან?

კროგსტადი. მოვედი მხოლოდ იმის გასაგებად, თუ როგორ გრძნობთ თავს, ფრუ ჰელმერ. მთელი დღე თქვენზე ვფიქრობდი. მეფანშეს, ხრიკების ოსტატს, ერთი სიტყვით, ისეთ ადამიანს, როგორიც მე ვარ, თურმე მაინც გააჩნია რალაც გულისმაგვარი.

ნორა. მაშ დაამტკიცეთ ეგ. იფიქრეთ ჩემს პატარა ბავშვებზე.

კროგსტადი. თქვენმა მეუღლემ კი იფიქრა ჩემს ბავშვებზე? მაგრამ ახლა მოვეშვით ამას. მე მინდა გითხრათ, რომ არაა საჭირო ძალიან ახლოს მიიტანოთ გულთან ეს ამბავი. ჯერჯერობით არ აღვირავ თქვენს წინააღმდეგ სასამართლოს ძიებას.

ნორა. მართლა? ო, მე ვიცოდი, ვიცოდი.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ყველაფერი შეიძლება, ისევ მშვიდობიანად მოგვარდეს. რა საჭიროა უცხო პირთა ჩარევა. ეს საქმე ჩვენ სამთა შორის დარჩება.

ნ ო რ ა. ჩემმა მეუღლემ არასდროს არაფერი არ უნდა გაიგოს ამაზე.

კ რო გ ს ტ ა დ ი. როგორ მოახერხებთ ამას? მერედა შეგიძლიათ თქვენ ამ თანხის მთლიანად გადახდა?

ნ ო რ ა. არა, ახლავე ერთბაშად არ შემიძლია.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ან იქნებ სხვა რაიმე საშუალება გაქვთ მხედველობაში. ამ დღეებში იქნებ იზოვოთ ფული?

ნ ო რ ა. არავითარი საშუალება არ გამაჩნია, რომ საამისოდ გამომადგეს...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ვერც ვერაფერს გიშველიდათ. სულ ერთია. თუნდ ახლავე ზელზე რომ ჩამაბაროთ მთელი თანხა, ჩემგან მაიაც ვერ მიიღებთ თქვენს თამასუქს.

ნ ო რ ა. გამაგებინეთ, მაინც რას უპირებთ?..

კ რო გ ს ტ ა დ ი. შევინახავ ჩემთვის და ხელთ მექნება. გარეშე პირს არავის ეცოდინება. ამიტომაც სასოწარკვეთილი გადაწყვეტილება რომ მიგეღოთ...

ნ ო რ ა. სახელდობრ?..

კ რო გ ს ტ ა დ ი. რომ მიგეტოვებინათ მეუღლე, ბავშვები...  
ნ ო რ ა. მივატოვებ...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ანდა კიდევ უარესი რამ მოგაკვლოდათ აზრად...  
ნ ო რ ა. თქვენ ეს საიდან იცით?

კ რო გ ს ტ ა დ ი. მსგავსი რამ ფიქრადაც არ გაივლოთ.

ნ ო რ ა. საიდან იცით, რომ ამ ზომამდე მივალ?

კ რო გ ს ტ ა დ ი. ჩვენს უმრავლესობას თავდაპირველად ეს მოს-

დის აზრად. მეც ასე ვიყავი თავის დროზე... მაგრამ ნებისყოფა არ მეყო.

ნ ო რ ა (ხმაწართმეული). მეც ასევე.

კ რო გ ს ტ ა დ ი (შვებით ამოისუნთქავს). ჰო, არა? მაშ, თქვენც ასევე. არ გყოფნით ხომ?

ნ ო რ ა. არ მყოფნის, არ მყოფნის.

კ რო გ ს ტ ა დ ი. სისულელეც იქნებოდა. საკმარისია შინაურმა

ქარიწალმა გაიაროს და... მე ჯიბეში მაქვს წერილი თქვენი მეუღლის სახელზე.

ნორა. და იქ ყველაფერს სწერთ?

კროგსტადი. ძალზე შერბილებულად. რამდენადაც კი შეიძლება.

ნორა (სწრაფად). ეგ წერილი არ უნდა ჩაუვარდეს ხელთ მას. გთხოვთ ახლავე დახიოთ. მე ვიპოვი გამოსავალს, როგორმე ვიშოვი ფულს.

კროგსტადი. მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ, მგონი, უკვე გითხარიით...

ნორა. იმ ფულზე არ ვლაპარაკობ, თქვენი რომ მმართვებს. მოთხარით, რა თანხას მოითხოვთ ჩემი მეუღლისაგან და მე თვითონ გიშოვით იმ თანხას.

კროგსტადი. მე არავითარ ფულს არ ავიღებ თქვენი ქმრისაგან.

ნორა. მაშ, რას მოითხოვთ?

კროგსტადი. ახლავე გაიგებთ. მე მინდა ფეხზე დავდგე, ქალბატონო, წელში გავიმართო, და თქვენი მეუღლე უნდა დამეხმაროს ამაში. წელიწადნახევრის განმავლობაში არავითარ უპატიოსნო საქმეში არ შევუმჩნევივარ ვინმეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში წელებზე ფეხს ვიდგამდი, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ საკუთარი წრომით თანდათან წელში ვიმართებოდი. ახლა კი გამომაგდეს და მე ის აღარ დამაკმაყოფილებს, თუ უკან დამაბრუნებენ უბრალოდ შეწყალების გამო. მინდა წელში გავიმართო, მე თქვენ გეუბნებით. მინდა, რომ ბანკში დამაბრუნონ უფრო მაღალ თანამდებობაზე. თქვენს ქმარს მოუწევს ჩემთვის განსაკუთრებული თანამდებობა შექმნას.

ნორა. იგი არასდროს არ იზამს ამას.

კროგსტადი. იზამს. მე მას კარგად ვიცნობ. კრინტსაც ვერ დასძრავს. და როგორც კი მის გვერდით დავჯდები, მერე ნახავთ: ერთი წელიც არ გაივლის, რომ დირექტორის მარჯვენა ხელი შევიქნები. ნილს კროგსტადი დაუწყებებს ბანკს მართვას და არა ტორვალდ ჰელმერი.

ნორა. მაგას თქვენ ვერ მოესწრებით!

კროგსტადი. იქნებ, თქვენ...

ნორა. ახლა უკვე მეყოფა ნებისყოფა.



კ რო გ ს ტ ა დ ი. ვერ შემაშინებთ. ასეთი ნაზი, განებივრებული ქალბატონი, როგორც თქვენ ხართ...

ნორა. აი, ნახავთ, ნახავთ!

კ რო გ ს ტ ა დ ი. იქნებ ყინულქვეშ? ყინულოვან შავ წყალში? გაზაფხულზე კი ამოტივტივდებით დამახინჯებული, შემზარავი, თმა-გაცვენილი.

ნორა. მაგით ვერ შემაშინებთ.

კ რო გ ს ტ ა დ ი. ვერც მე შემაშინებთ. ასეთ რამეს არ სჩადიან. ფრუ ჰელმერ. ანდა რა სარგებლობას მოგიტანთ? ტორვალდი ხომ მაინც ხელში მეყოლება.

ნორა. იმის მერეც? მე როცა აღარ...

კ რო გ ს ტ ა დ ი. ის კი გავიწყდებათ, რომ თქვენი პატიოსანი სახელი შემდეგშიც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

ნორა ენაწართმეული ღვას და შეჰყურებს კროგსტადს.

ახლა უკვე გაგაფრთხილეთ. არ ჩაიდინოთ არავითარი სისულელე. ჰელმერი როცა ჩემს ბარათს მიიღებს, მისგან ცნობას დაველოდები. განსოვდეთ, თქვენმა ქმარმა თვითონ მაიძულა ისევე ამგვარ გზას დავ-დგომოდი. ამას არასოდეს არ ვაპატიებ. ნახვამდის, ფრუ ჰელმერ (გადის წინკარიდან.)

ნორა (მიდის წინკარისკენ, გამოაღებს კარს და მიაყურადებს) მიდის. წერილს არ ტოვებს. ო, არა, არა, ეს ხომ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. კარს კიდევ უფრო ფართოდ გამოაღებს. ეს რას ნიშნავს? იგი შეჩერდა, კიბეზე აღარ ჩადის. გადაიფიქრა? ნუთუ...

მოისმის წერილის ყუთში ჩასრიალების ხმა. მას კიბეზე ჩამავალი კროგსტადის ფეხის ხმა მოჰყვება. ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდება. ნორას ყრუ გმინვა აღმოაღება, უკანვე შემოიბრუნს ოთახში და დივანის წინ მდგარ მაგიდასთან მივიარდება. ხანმოკლე პაუზა.

წერილი უკვე ყუთშია. (მორიდებულად მიიპარება წინკარისკენ.) იქა დევსა ტორვალდ, ტორვალდ... ახლა ველარაფერი გვიხსნის.

ფრუ ლინე (გამოდის კოსტიუმით ხელში მარცხენა ოთახიდან). პეტე უკვე აღარ ვიცი, რა გავუსწორო. ხომ არ მოიზომებ?

ნორა (წუნარად, ზრინწიანი ხმით). ქრისტისა, მოდი აქ.

ფრუ ლინე. რა დაგემართა, რა დაბნეული გამოიყურები?

ნორა. მოდი აქ, ხედავ წერილს? იქ. მინიდან, ჩახედე წერილები  
ბის ყუთში.

ფრუ ლინე. ჰო, ჰო, ვხედავ.

ნორა. კროგსტადის წერილია.

ფრუ ლინე. ნორა... შენ კროგსტადისაგან ისესხე ფული?

ნორა. ჰო. და ახლა ტორვალდი ყველაფერს გაიგებს.

ფრუ ლინე. დამიჯერე, ნორა, ასე აჯობებს თქვენთვის, ორი-  
ვესთვის.

ნორა. შენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ იცი. თამასუქზე ჩემი  
ხელმოწერა ყალბია...

ფრუ ლინე. კი მაგრამ, ღვთის გულისათვის...

ნორა. მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვო, ქრისტიანა, რომ მო-  
წმედ დამიდგე.

ფრუ ლინე. რა მოწმედ? რისთვის?

ნორა. თუ გონება დავკარგე, ეს კი ადვილად მოსალოდნელია...

ფრუ ლინე. ნორა!

ნორა. ანდა თუ სხვა რამ დამემართა, ისეთი, რომ აქ ყოფნაში  
ხელი შემიშალა...

ფრუ ლინე. ნორა, ნორა, თვითონვე არ გესმის, რას ამბობ!

ნორა. ესე იგი, ვინმემ რომ მოისურვოს და დანაშაული თვი-  
თონ დაიბრალოს... ხომ გესმის?..

ფრუ ლინე. ჰო, ჰო, მაგრამ ეგ რამ გაფიქრებინა...

ნორა. შენ მოწმე იქნები, რომ ეს ტყუილია, ქრისტიანა. ძალიან  
კარგად მესმის, რასაც გეუბნები. მე ჯერ ისევ სრულ ჰკუთხე ვარ. გე-  
უბნები: კაციშვილმა არ იცოდა არაფერი ამაზე, მარტომ გავაკეთე  
ყველაფერი. ეს დაიმახსოვრე.

ფრუ ლინე. დავიმახსოვრებ. მაგრამ მაინც ვერ გავიგე...

ნორა. რას გაიგებ. თუმც ყველაზე დიდი სასწაული ახლა მოხ-  
დება.

ფრუ ლინე. სასწაული?

ნორა. ჰო, სასწაული. მაგრამ მეტიმეტად საშინელი, ქრისტი-  
ნა. ის არ უნდა მოხდეს არავითარ შემთხვევაში.

ფრუ ლინე. ახლავე წავალ და კროგსტადს მოველაპარაკები.

ნორა. არ წახვიდე. არაფერი გაწყენინოს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. იყო დრო, როცა ჩემი გულისთვის იგი ყველაფერს გააკეთებდა.

ნო რ ა. იგი?

ფ რ უ ლ ი ნ ე. სად ცხოვრობს?

ნო რ ა. რა ვიცი. აა, ჰო! (ჭიბიდან ამოიღებს ბარათს.) აი მისი საღაბაზო ბარათი. მაგრამ წერილი, წერილი!..

ჰ ე ლ მ ე რ ი (კაბინეტიდან კარს აკაკუნებს) ნორა!

ნო რ ა (შეშინებული წამოიყვირებს). ჰა! რა მოხდა. რა გინდა?

ჰ ე ლ მ ე რ ი. კარგი, კარგი, ნუ გეშინია. არ შემოვალთ. კარი ხომ ჩაკეტილი გაქვს. იზომებ თუ რა?

ნო რ ა. ჰო, ჰო, ვიზომებ. ო, ისეთი კარგი ვიქნები, ტორვალდ.

ფ რ უ ლ ი ნ ე (წაიკითხავს წარწერას საღაბაზო ბარათზე) აქვე, კუთხეში, უცხოვრია.

ნო რ ა. კი მაგრამ, მაინც არაფერი გამოვა. ხსნა არსით არის. წერილი ხომ ყუთში დევს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. გასაღები შენს ქმარსა აქვს?

ნო რ ა. მუდამ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. კროგსტადმა უნდა მოითხოვოს, რომ თავისი წერილი გაუხსნელად დაუბრუნონ. რაიმე საბაბი უნდა გამოიანახოს.

ნო რ ა. მაგრამ სწორედ ამ დროს ტორვალდი ყოველთვის...

ფ რ უ ლ ი ნ ე. როგორმე შეუშალე ხელი. შედი მასთან. ვეცდები რაც შემიძლია ჩქარა დავბრუნდე. (სწრაფად გადის წინაკარიდან.)

ნო რ ა (მიღის კაბინეტის კართან, აღებს და ოთახში იხედება). ტორვალდი!

ჰ ე ლ მ ე რ ი (მეორე ოთახიდან). ბოლოს და ბოლოს შეუშვებენ თუ არა კაცს თავის საკუთარ სასტუმრო ოთახში? წავიდეთ, რანკ, ვნაბოთ ერთი... (ყარბში.) ეს რაღას ნიშნავს?

ნო რ ა. რა, გენაცვალე?

ჰ ე ლ მ ე რ ი. რანკის გადმოცემით, მე ველოდი დიდებულ სცენებს, რასაც კოსტიუმში გამოწყობილი გვიჩვენებდი...

რ ა ნ კ ი (ყარბში). ასე მეგონა, მაგრამ, როგორც ჩანს, შევცდი.

ნო რ ა. არა. ხვალ საღამომდე ვერავინ მიხილავს მთელი ჩემი ბრწყინვალეობით.

ჰ ე ლ მ ე რ ი. ნორა, გენაცვალე, რაღაც განაწამები სახე გაქვს. რეპეტიციას გადიოდი?

ნო რ ა. სულაც არ გამივლია რეპეტიცია.

ჰელმერი. აუცილებელი კია...

ნორა. სწორედ, რომ აუცილებელია, ტორვალდ. მაგრამ უშე-  
ნოდ არაფერი გამოდის. ყველაფერი დამავიწყდა.

ჰელმერი. ოო, მაგას ახლავე გავიხსენებთ.

ნორა. ჰო, მომეხმარე, ტორვალდ. მაძლევ პირობას? ო, ისე მე-  
შინია. ასე დიდი საზოგადოება... დღევანდელი სალამო უნდა შემომ-  
წირო. არავითარ საქმეს არ მოკიდო ხელი. კალამს თითი არ დააკა-  
რო. კარგი? არა, ჩემო სიყვარულო?

ჰელმერი. პირობას გაძლევ. მთელი სალამო შენს განკარგუ-  
ლებაში ვიქნები, ჩემო პატარა. უმწურო ქმნილებავ. ჰმ!.. დიახ... ოლონდ  
ჯერ მინდა... (წინკარისაყენ გაემართება.)

ნორა. რა გინდა იქ?

ჰელმერი. მხოლოდ შევხედავ, წერილები ხომ არ აწყვია.

ნორა. არა, არა, რა საჭიროა, ტორვალდ.

ჰელმერი. ვითომ რატომ არა?

ნორა. ტორვალდ, გვედრები! იქ არაფერი არ არის.

ჰელმერი. გამიშვი, შევხედო (წასვლას აპირებს.) ნორა პიანინოს  
მივარდება და ტარანტელას დაკვრას იწყებს. (შეჩერდება კარებში.) აჰ!

ნორა. მე ხვალ ვერ ვიცეკვებ, თუ შენთან არ გავიარე რეპეტი-  
ცია.

ჰელმერი (მისკენ გაემართება). მართლა ასე გეშინია, სულიკო?

ნორა. მეშინია, მოდი, ახლავე შევუდგეთ რეპეტიციას. ვახშამ-  
დე კიდევ დროა. დაჩქი და დამიკარი, ძვირფასო. მიმითითე, მასწავ-  
ლე, როგორც ყოველთვის.

ჰელმერი. სიამოვნებით, სიამოვნებით, რაკი ასე გსურს.  
(მიუჯდება პიანინოს.)

ნორა (ტანსაცმლის ყუთიდან ამოალაგებს, დაირასა და გრძელ, ჰრელ  
შარფს, რომელსაც სწრაფად შემოიხვევს, შემდეგ ერთი ნახტომით ოთახის შუა-  
გულში აღმოჩნდება და შესძახებს) დაუჯარი! მე ვცეკვავ!

ჰელმერი უკრავს, ნორა კი ცეკვავს, დოქტორი რანკი დგას ჰელმერს უკან და  
შეჰყურებს ნორას.

ჰელმერი (უკრავს). უფრო ნელა, უფრო ნელა...

ნორა. სხვაგვარად არ შემიძლია.

ჰელმერი. ასე სწრაფად ნუ, სულიკო!

ნორა. სწორედ ასეა საჭირო.

ჰელმერი (წყვეტს დაკრას). არა, არა, არ ვარგა.

ნორა. (იციინს და ღირას არხევს). მაგას არ გეუბნებოდი?

რანკი. მოდი, მე დავეუკრავ.

ჰელმერი (წამოღებდა). კარგია. უფრო კარგად შევესწორებ შეცდომებს.

რანკი ჯდება პიანინოსთან და უკრავს. ნორა სულ უფრო და უფრო მეტი აგზნებით ცეკვავს, ჰელმერი ღუმელთან დადგება და განუწყვეტლავ აძლევს ნორას შენიშვნებს და მითითებებს, მაგრამ მას თითქოს არ ესმის, თმები ჩამოშლია და მხრებზე აქვს დაყრილი, არც ამას აქცევს ყურადღებას. განაგრძობს ცეკვას. ჰემოლის ფრუ ლინე.

ფრუ ლინე (კართან ისე შეჩერდება, თითქოს ლურსმნით მიაქედელ-სო) ოჰ!

ნორა (განაგრძობს ცეკვას). ხედავ, რა მხიარულება გვაქვს, ქრისტინა!

ჰელმერი. მაგრამ, ჩემო კარგო, საყვარელო ნორა, ისე ცეკვავ, თითქოს სიკვდილ-სიციოცხლის საკითხი წყდებოდეს!

ნორა. ასეცაა.

ჰელმერი. რანკ, შეწყვიტე. ეს პირდაპირ სიგიჟეა. შეწყვიტე, გეუბნები!

რანკი წყვეტს დაკრას და ნორაც ერთბაშად ჩერდება.

(ნორას.) ამას კი ვერაფრით დავიჭერებდი — მთლად დაგვიწყებია ყველაფერი, რაც კი გასწავლე.

ნორა (მოისვრის ღირას). თვითონაც ხომ ხედავ.

ჰელმერი. მართლაც საჭიროა სერიოზულად წამეცადინება.

ნორა. აი, ხომ ხედავ, რა აუცილებელია. უკანასკნელ წუთამდე უნდა მავარჯიშო. მაძლევ პირობას, ტორვალდ?

ჰელმერი. ფიქრი ნუ გაქვს.

ნორა. არც დღეს და არც ხვალ ჩემს გარდა არაფერზე არ უნდა იფიქრო. არც წერილები გახსნა... არც ფოსტის ყუთი.

ჰელმერი. აჰა! ისევ იმ კაცის გეშინია?

ნორა. დიახ, დიახ, ასეცაა.

ჰელმერი. ნორა, მე შენს სახეზე ვკითხულობ, რომ იქ უკვე არის მისი წერილი.

ნორა. არ ვიცი. მე მგონი. მაგრამ მსგავსი რამ ახლა არ წაიკითხო. არავითარი უსიამოვნება არ გვკვირდება, სანამ ყველაფერი არ დამთავრდება.

რანკი. (ჰელმერს.) ნუ გაუწევ წინააღმდეგობას.

ჰელმერი. (ხელს მოხვევს ნორას.) მაშ, კარგი, ცუგრუმელამ თავისი გაიტანა. მაგრამ ხვალ ღამით, შენი ცეკვების შემდეგ...

ნორა. მაშინ თავისუფალი იქნები.

მოახლე (მარჯვენა კარიდან). ქალბატონო, სუფრა გაშლილია.

ნორა. შამპანური მოგვართვი, ელენე.

მოახლე. კეთილი. (გადის.)

ჰელმერი. ოჰო, მაშ, დიდებული ნადიმი გვექნება.

ნორა. დიახ, უნდა ვინადიმოთ განთიადამდე; (მისძახის მოახლეს) ცოტა ნუშის ნამცხვარიც გამოაყოლე ელენე... არა, ბევრი იყოს, ამ ერთხელ არა უშავს.

ჰელმერი (ხელებს დაუქერს). კარგი, კარგი, ეგრე ძალიან ნუ შიშობ. იყავი ჩემი საყვარელი ტოროლა, როგორც ყოველთვის.

ნორა. ჰო, ჰო, ვიქნები. ახლა კი შედი ოთახში, თქვენც, ექიმო. ქრისტიანა, მომეხმარე თიების გასწორებაში.

რანკი (ნელი ხმით, ჰელმერთან გავლისას). რა დაემართა, ნეტავ ფეხმძიმედ ხომ არ არის?.. მე მგონი, არა...

ჰელმერი. არაფერი მაგის მსგავსი, ჩემო კარგო. უბრალოდ ისევ ის ბავშვური შიშია. შენ რომ გეუბნებოდი.

გადიან მარჯვნივ.

ნორა. (ფრუ ლინეს). ნახე?

ფრუ ლინე. ქალაქგარეთ გასულა.

ნორა. შენს სახეზე ამოვიკითხე.

ფრუ ლინე. ხვალ საღამოსლა დაბრუნდება. მე მას წერილი დავუტოვე.

ნორა. არ იყო საჭირო. ვერაფერს ვერ გამოასწორებ. და სი-მართლედ გითხრა, დიდებულიცაა — ყოველ წუთს ელოდო სასწაულს.

ფრუ ლინე. მაინც რას ელოდები?

ნორა. ოჰ, შენ ვერ გაიგებ. შედი ოთახში მათთან. მეც ახლავე მოვალ.

ფრუ ლინე სასადილო ოთახში შედის. ნორა ერთ წამს დგას, თითქოს  
გონს მოსვლას ცდილობსო, მერე საათზე დაიხედავს.

ხუთია. შეიდი საათი დარჩა შუალამემდე. შემდეგ კი ოცდაოთხი საათი მეორე შუალამემდე. მაშინ ტარანტელა დამთავრდება. ოცდაოთხი და შეიდი. სიცოცხლის ოცდათერთმეტი საათი დარჩა.

ჰელმერი (მარჯვნივ კარებში). სად არის ჩემი ტოროლა?  
ნორა (გაეჩანება მისკენ მკლავებგაშლილი). აქ არის!..

## მ ე ს ა მ ე მ ო მ ე ე ლ ე ბ ა

იგივე ოთახი. მაგიდა, რომელიც დივანის წინ იდგა, ოთახის შუაგულში გადაუადგილებიათ სკამებითურთ. მაგიდაზე ლამპა ანთია. წინკარში გამაველი კარი ღიაა. ზედა სართულიდან მოისმის საბალო მუსიკის ხმა. ფრუ ლინე მაგიდასთან ზის, მექანიკურად ფურცლავს წიგნს, ცდილობს წაიკითხოს, მაგრამ, ეტყობა, აზრების მოკრება უძნელდება. დროგამოშვებით აუურადებს, მოდის თუ არა ვინმე.

ფ რ უ ლ ი ნ ე (იუბრება თავის საათზე). მაინც არა ჩანს. აქამდე კი უნდა მოსულიყო. ოღონდ არ... (კვლავ მიაუურადებს.) ა! მოდის! (გაემართება წინკარისაკენ და ფრთხილად აღებს გარეთა კარს. კიბეზე ნული ნაბიჯის ხმა ისმის. ქალი დაიჩურჩულებს.) შემობრძანდით. აქ არავინაა.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი (ცარბეში). შინ თქვენი წერილი დამხვდა. რას ნიშნავს ეს?

ფ რ უ ლ ი ნ ე. აუცილებლად უნდა მოგელაპარაკოთ.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მართლა? და აუცილებლად აქ, ამ სახლში?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ჩემთან არასგზით არ შეიძლებოდა. ჩემს ოთახს ცალკე შესასვლელი არა აქვს. შემოდით, ჩვენ მარტონი ვართ, მსახურ ქალს სძინავს, ჰელმერები კი მალლა წვეულებაზე არიან.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მითხარით ერთი, ჰელმერები დღეს ნამდვილად ცეკვავენ?

ფ რ უ ლ ი ნ ე. დიახ. ვითომ რატომაც არა?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ჰო, სწორია. რატომაც არა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. აი, რა, კროგსტად, მოდით, მოვილაპარაკოთ.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. განა მე და თქვენ კიდევ რამე გვაქვს სალაპარაკო?

ფ რ უ ლ ი ნ ე. დიახ, ბევრი რამე.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ეს კი არ მეგონა.



ფრუ ლინე. იმიტომ, რომ ვერასდროს ვერ მიგებდით ისე, როგორც საჭიროა.

კროგსტადი. რა არის ძნელად გასაგები ისეთ საქმეში, რაც თავისთავად ნათელია. უგულო ქალი მამაკაცს იცილებს თავიდან და ეუბნება, საცა გინდა წადიო, როგორც კი სხვა უფრო შეძლებული საქმრო გამოუჩნდება.

ფრუ ლინე. თქვენ მაინც გგონიათ, რომ მთლად უგულო ვარ? გგონიათ, ჩემთვის იოლი იყო თქვენთან განშორება?

კროგსტადი. ვითომ არა?

ფრუ ლინე. კროგსტად, ნუთუ ნამდვილად ასე ფიქრობდით?

კროგსტადი. მაშ რატომ მომწერეთ მაშინ ისეთი ბარათი?

ფრუ ლინე. სხვაგვარად არ შემეძლო. რაკი გშორდებოდით, ჩემი ვალი იყო ამომეგლიჯა თქვენი გულიდან ყოველგვარი გრძნობა ჩემდამი.

კროგსტადი (ხელებს იმტრევის) ესე იგი, აი, რა. ეს ყველაფერი მოხდა ფულის გულისთვის!

ფრუ ლინე. ნუ გავიწყდებათ, რომ მაშინ სარჩენი მყავდა მოხუცებული დედა და ორი მცირეწლოვანი ძმა. ჩვენ ვერ დაგელოდებოდით, კროგსტად. თქვენი მომავლის ამბები კი ჭერ გაურკვეველი იყო.

კროგსტადი. თუნდ ასეც ყოფილიყო. მაინც არ გქონდათ უფლება სხვისი გულისთვის მიგეტოვებინეთ.

ფრუ ლინე. აბა, რა ვიცი. არაერთხელ დამისვამს ჩემივე თავისთვის ეს კითხვა — ამის უფლება მქონდა თუ არა.

კროგსტადი (ხმას დაუწევს). თქვენ რომ დაგკარგეთ, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა. აი. შემხედეთ: ახლა მე უმწეო, გემლამსხვრეული მეზღვაური ვარ.

ფრუ ლინე. დანმარებისთვის, სხვათა შორის, შორს არ მოგიწევდათ წასვლა.

კროგსტადი. იგი ახლოს იყო, მაგრამ თქვენ გამოჩნდით და გზა გადამიღობეთ.

ფრუ ლინე. ეგ მე თავადაც არ ვიცოდი, კროგსტად. დღესღა გავიგე, რომ თქვენს ადგილზე მნიშნავენ.

კროგსტადი. მე მჭერა თქვენი, რაკი ასე მეუბნებით. მაგრამ ახლაც, როცა ეს უკვე იცით, აღარ დაიბნეთ უკან?

ფრუ ლინე. არა. ეს სულ ერთია, არავითარ სარგებლობას არ მოგიტანთ.

კროგსტადი. ეჰ, სარგებლობა, სარგებლობა!.. მე კი თქვენს ადგილზე მაინც გავაკეთებდი ამას.

ფრუ ლინე. ცხოვრებამ და მწარე გამოცდილებამ მასწავლეს გონების ხმას დავემორჩილო.

კროგსტადი. მე კი ცხოვრებამ მასწავლა სიტყვებს არ ვენდო.

ფრუ ლინე. მაშინ ცხოვრებას ძალზე ჰკვიანური რამ უსწავლებია თქვენთვის. მაგრამ საქმეებს ხომ მაინც ენდობით?

კროგსტადი. მაგით რას მეუბნებით?

ფრუ ლინე. თქვენ თქვით, რომ უმწეო, გემდამსხვრეული მეზღვაური ვარო.

კროგსტადი. და ვფიქრობ, მაგის თქმის უფლება მქონდა.

ფრუ ლინე. მეც გემდამსხვრეული მეზღვაური ვარ.

კროგსტადი. ეგ თქვენი საკუთარი არჩევანია.

ფრუ ლინე. სხვა არჩევანი მაშინ არ მქონდა.

კროგსტადი. მერე რას აპირებთ?

ფრუ ლინე. კროგსტად, რა იქნება, რომ ამ ორივე გემდამსხვრეულმა ერთმანეთს ხელი გავუწოდოთ?..

კროგსტადი. რას მეუბნებით?..

ფრუ ლინე. გემის ფიცარზე ორს ერთად უფრო იოლად შეუძლია გადარჩენა, ცალ-ცალკე კი ჩაძირვა ემუქრებათ.

კროგსტადი. ქრისტიანა!

ფრუ ლინე. როგორ გგონიათ, რატომ ჩამოვედი აქ?

კროგსტადი. ნუთუ გაგახსენდით?

ფრუ ლინე. უნდა ვიმუშაო, სიცოცხლე რომ ასატანი შეიქნეს ჩემთვის. მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც თავი მახსოვს, სულ ვშრომობდი და შრომა იყო ჩემი ერთადერთი ყველაზე დიდი სიხარული. ახლა კი სრულიად მარტო დავრჩი... რა საშინელი სიცარიელეა, მიტოვებულად რომ გრძნობ თავს... მხოლოდ საკუთარი თავისთვის შრომა სიხარულს ვერ მიანიჭებს ადამიანს. კროგსტად, მომეცით მიზანი, რისთვის ან ვისთვის ვიმუშაო.

კროგსტადი. ამგვარ რამეს ვერ დავიჭერებ. ეს მხოლოდ და

მხოლოდ ქალური აღფრთოვანებაა. დიდსულოვნური თავგანწირვის მოთხოვნა.

ფ რ უ ლ ი ნ ე. თქვენ შეგინიშნავთ ოდესმე ჩემში აღფრთოვანებისადმი მიდრეკილება?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ნამდვილად კი შესძლებდით?.. მითხარით... ყველაფერი იცით ჩემი წარსულის შესახებ?

ფ რ უ ლ ი ნ ე. დიახ.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. და იცით, რა ხმებიც დადის ჩემზე?

ფ რ უ ლ ი ნ ე. თქვენი სიტყვებიდან როგორც გავიგე, ჩემთან შესძლებდით სხვა ადამიანად ქცეულიყავით?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. დარწმუნებული ვარ!

ფ რ უ ლ ი ნ ე. განა ახლა უკვე დაგვიანებულია?

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ქრისტიანა... ამას სერიოზულად მეუბნებით? კი, კი, მე ვხედავ თქვენს სახეზე. მაშ, საამისოდ გეყოფათ გამბედაობა?!

ფ რ უ ლ ი ნ ე. ჩემთვის აუცილებელია ვილაც მიყვარდეს, ვილა-ცაზე ვზრუნავდე. ვილაცას დედის მაგიგრობა გავუწიო, თქვენს ბავ-შეებს კი დედა სჭირდებათ. ჩვენ ერთმანეთს ვსაჭიროებთ, კროგსტად, მე მჯერა თქვენ ძირითადად კარგი ადამიანი ხართ და თქვენთან ერ-თად ყველაფრისთვის მზადა ვარ.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი (ხელბზე დასწვდება). გმადლობთ, გმადლობთ. ქრისტიანა! ახლა კი შევძლებ, რომ გავიზარდო სხვების თვალში... აჰ, ჰო, დამავიწყდა...

ფ რ უ ლ ი ნ ე (ყურს მიუგდებს). სს! ტარანტელა! წადით! წადით!

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. რატომ? რა მოხდა?

ფ რ უ ლ ი ნ ე. გესმით? მალლა ტარანტელას ცეკვავენ. როგორც კი ცეკვა დამთავრდება, ისინი აქ გაჩნდებიან.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. კარგი, კარგი, წავალ. ამათი საქმე მაინც წასუ-ლია. თქვენ, რა თქმა უნდა, არ გეცოდინებათ, რა ნაბიჯი გადავდგი ჰელმერების წინააღმდეგ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ვიცი, კროგსტად.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. და მაინც გყოფნით გამბედაობა, მე...

ფ რ უ ლ ი ნ ე. მე კარგად მესმის, სადამდე შეიძლება მიიყვანოს სასოწარკვეთილებამ ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენა ხართ

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ო, ნეტავ შემეძლოს ხელი შევუშალო ჩემს ნა-მოქმედარს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. შეგიძლიათ. თქვენი წერილი ჯერ ისევ ყუთში დევს.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მართალს ამბობთ?

ფ რ უ ლ ი ნ ე. მართალს. მაგრამ...

კ რ ო გ ს ტ ა დ ი (გამომცდელად მისჩერებია). ანუ ზომ არ გავიგოთ ეს საქმე? თქვენ გინდათ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, იხსნათ მეგობარი ქალი. მითხარით პირდაპირ, ასეა?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ვინც ერთხელ გაყიდა საკუთარი თავი სხვების გულისთვის, მეორედ ამას არ ჩაიდენს.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მე მოვითხოვ უკან ჩემს წერილს.

ფ რ უ ლ ი ნ ე. არა, არა.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. როგორ არა. მე დაველოდები აქ ჰელმერს და ვთხოვ დამიბრუნოს წერილი. ვეტყვი, ეს მხოლოდ მე და ჩემს სამსახურიდან დათხოვნას ეხება და ნულარ წაიკითხავთ-მეთქი.

ფ რ უ ლ ი ნ ე. არა, კროგსტად, ნულარ მოითხოვთ თქვენს წერილს.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მაშ, მითხარით, მხოლოდ ამისათვის არ მომიწვიეთ აქ?

ფ რ უ ლ ი ნ ე. დიახ, პირველ წუთებში შიშის გამო. მაგრამ ახლა უკვე მას შემდეგ ოცდაოთხ საათზე მეტი გავიდა და ამ სახლში ისეთი რამ შევნიშნე, რომ პირდაპირ ვერ დამიჯერებია. დაე, ჰელმერმა გაიგოს ყველაფერი. დაე, ეს ავბედითი საიდუმლო გამომქლავნდეს. დაე, მათ გულახდილად მოითათბირონ ამის თაობაზე. არ შეიძლება ასე გაგრძელდეს ეს მალვა, ფარვა, მიკიბ-მოკიბვა.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. მაშ კარგი. რაკი ასე გადაგიწყვეტიათ... მაგრამ ერთი რამე კი უეჭველად უნდა გავაკეთო და ეს ახლავე უნდა მოხდეს...

ფ რ უ ლ ი ნ ე (მიაყურადებს). ჩქარა! წადით! წადით! ცეკვა დამთავრდა. ყოველ წუთს შეიძლება თავზე დაგვადგნენ.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ქვემოთ დაველოდებით.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ჰო, კარგი. მერე შინ გამაცილეთ.

კ რ ო გ ს ტ ა დ ი. ჩემს სიცოცხლეში ჯერ არ ვყოფილვარ ასე უზომოდ ბედნიერი!. (გაღის)

‘შემოსასვლელ’ში გამავალი კარი ღია რჩება.

ფ რ უ ლ ი ნ ე (მაგიდას მილაგ-მოალაგებს და თავის პალტოს მოიპ-  
ზადებს). როგორ შებრუნდა საქმე! როგორ შებრუნდა! მეყოლება ადამიანი,  
ვისთვისაც ვიშრომებ... ვისთვისაც ვიცოცხლებ. განადგურებულ  
ოჯახში შევიტან სითბოსა და სიყვარულს... დიახ, დიახ, სწორედ  
ეგ მინდა... მალე მაინც მოვიდნენ... (აუბრალებს.) აი, ისინი. აბა ვიჩქაროთ.  
(იხურავს ქუდს და მანტოს იცვამს)

სცენის უკნიდან მოისმის ჰელმერისა და ნორას ხმა. კარში გასაღები გაიჩხაკუნებდა  
და ჰელმერს თითქმის ძალით შემოჰყავს ნორა წინკარში. ნორა ნეაპოლიტანურ  
კოსტიუმშია გამოწყობილი და ზხრებზე მოხვეული აქვს დიდი შავი შალი. ჰელ-  
მერს ფრაკი აცვია და ზემოდან შავი დომინო წამოუხსამს.

ნორა (კარებიდან, ქმარს უძალიანდება). არა, არა, არა! არ მინდა აქ!  
ისევ იქ მინდა. ასე ადრე წამოსვლა არ მინდა.

ჰელმერი. კი, მაგრამ. ჩემო სულიყო, ნორა...

ნორა. ო, ვეხვეწები, ტორვალდ, გემუდარები... ერთი საათი  
მაინც კიდევ...

ჰელმერი. არც ერთი წუთი, ჩემო ძვირფასო. ხომ გახსოვს,  
როგორ შევეთანხმით: მაშ, ასე. ოთახში შედი. აქ გაცივდები. (ფრთხილად  
შემოჰყავს ცოლი ოთახში, მიუხედავად ქალის გაძლიანებისა.)

ფ რ უ ლ ი ნ ე. სალამო მშვიდობისა!

ნორა. ქრისტინა.

ჰელმერი. როგორ, ფრუ ლინე, თქვენ აქა ხართ, ასე გვიან?  
ფ რ უ ლ ი ნ ე. დიახ, მაპატიეთ, ისე ძალიან მინდოდა ნორას  
კოსტიუმისთვის შემესედა.

ნორა. აქ იჯექი და მელოდებოდი?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ჰო, სამწუხაროდ დამაგვიანდა. უენ უკვე მალლა  
ასული დამხვდი. აღარ წავედი. ისე მინდოდა შენი ნახვა.

ჰელმერი (ნორას შალს მოხსნის). აბა ერთი კარგად შეხედეთ.  
მართლაც ღირს შეხედვა. ხომ მშვენიერია, ფრუ ლინე?

ფ რ უ ლ ი ნ ე. ნამდვილად. გამოგიტყდებით.

ჰელმერი. ხომ საოცრად მომხიბლავია? ბალზე ეს ყველა  
ერთხმად აღიარა. მაგრამ ისეთი საშინელი ჯიუტია... ეს ჩემი პატარა  
ცუგრუმელა. რა უნდა ქნა. წარმოგიდგენია? პირდაპირ ძალით წამო-  
ვიყვანე იქიდან.

ნორა. ო, ტორვალდ, იცოდე ინანებ, რომ არ დამანებე. კიდევ  
ერთი საათი მემხიარულა.

ჰელმერი. მომისმინეთ, ფრუ ლინე! ნორა ცეკვავს ტარანტელას... ახდენს ფურორს... სავსებით დამსახურებულად... თუმცა, პართალი რომ ვთქვა, ბუნებრივად კი ასრულებდა... ესე იგი უფრო ბუნებრივად, ვიდრე, მკაცრად რომ მივუდგეთ, ეს სასურველია ხელოვნების თვალსაზრისით. მაგრამ არა უშავს! რაც მთავარია. მან ფურორი მოახდინა. და ამის შემდეგ კიდევ დამერჩინა იქ? შთაბეჭდილება შემესუსტებინა? როგორ გეკადრებათ. მადლობას მოგახსენებთ. ვტაცე ხელი ჩემს მომხიბლავ კაპრელ გოგონას. — უფრო სწორად კაპრიზიან კაპრელ გოგონას მკლავში. ელვისებური შემოტრიალებით დაუკრა თავი ყველას და მშვენიერი ზმანება თვალს მიეფარა. დასასრული ყოველთვის ეფექტური უნდა იყოს, ფრუ ლინე. მაგრამ როგორ ჩავაგონო ეს ნორას? ვერასგზიხით... უჰ, რა სიცხეა აქ! (დომინოს რობინის და კაბინეტის კარს გამოაღებს.) ო. რა ჩაბნელებულია! თუმცა, რა თქმა უნდა, უკაცრავად... (შედის კაბინეტში და სანთლებს ანთებს.)

ნორა (სწრაფად, შეშფოთებული ჩურჩულით). აბა, რაო?

ფრუ ლინე (წყნარად). ველაპარაკე.

ნორა. მერე?

ფრუ ლინე. ნორა... შენ ყველაფერი უნდა უთხრა ქმარს.

ნორა. ასეც ვიცოდი.

ფრუ ლინე. კროგსტადის მხრიდან ნურაფრის შეგეშინდება, მაგრამ ქმარს კი უნდა უთხრა.

ნორა. არ ვეტყვი.

ფრუ ლინე. მაშინ წერილი ეტყვის.

ნორა. გამადლობთ, ქრისტინა. ახლა ვიცი, როგორ მოვიქცე. სს!

ჰელმერი (შეშფოთებით). აბა, ფრუ ლინე, დატკბით მისი ცქერით?

ფრუ ლინე. დიახ, დიახ, ახლა კი დაგემშვიდობებთ.

ჰელმერი. უკვე? ეს საქსოვი თქვენია?

ფრუ ლინე (იღებს საქსოვს). დიახ, გამადლობთ. კინალამ დამავიწყდა.

ჰელმერი. ქსოვთ კიდევაც?

ფრუ ლინე. ზანდანან.

ჰელმერი. იცით რა, უმჯობესია ქარგოთ.

ფრუ ლინე. მართლა? რატომ?

ჰელმერი. იმიტომ, რომ ბევრად ლამაზია. წარმოიდგინეთ: მარცხენა ხელით ასე უჭირავთ საქარგავი, მარჯვენათი კი აგვირისტე-

ბენ... ასე... მსუბუქი, თავისუფალი ხელის მოძრაობით... მართალს არ ვამბობ?

ფ რ უ ლ ი ნ ე. მართალი ხართ.

ჰ ე ლ მ ე რ ი. საქსოვი კი, პირიქით, ყოველთვის ულამაზოა. თავად გასინჯეთ: ერთმანეთს მიტყუებულები ხელები... ეს ჩხირები კიდევ... ხან ზევით იწევენ, ხან ქვევით. რალაც ჩინურობის ელფერი ადევს. ოო, რა შესანიშნავი შამპანურით გაგვიმასპინძლდნენ.

ფ რ უ ლ ი ნ ე. აბა, ღამე მშვიდობისა, ნორა, მეტად ნულარ გაჯიუტდები.

ჰ ე ლ მ ე რ ი. კარგი ნათქვამია, ფრუ ლინე.

ფ რ უ ლ ი ნ ე. ღამე მშვიდობისა, ბატონო დირექტორო.

ჰ ე ლ მ ე რ ი (კარაფე მოაცილებს). ღამე მშვიდობისა, კარგად ბრძანდებოდეთ. იმედი მაქვს, მშვიდობით დაბრუნდებით შინ. სამოგენებით გაგაცილებდით... მაგრამ თქვენ ხომ აქვე ახლოს ცხოვრობთ. ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა...

ფრუ ლინე გადის, ჰელმერი მიუკეტავს კარს და ბრუნდება.

როგორც იქნა, გავიპტუმრეთ. საშინლად მოსაწყენი პიროვნებაა.

ნ ო რ ა. ძალიან დაიღალე, ტორვალდ?

ჰ ე ლ მ ე რ ი. არა. ოდნავადაც არა.

ნ ო რ ა. არც გეძინება?

ჰ ე ლ მ ე რ ი. სულაც არა. პირიქით, უჩვეულოდ გამოცოცხლებული ვარ. მაგრამ შენ? საკმაოდ დაღლილი, მოქანცული სახე გაქვს.

ნ ო რ ა. ჰო, ძალიან დავიღალე. და მალე დავიძინებ.

ჰ ე ლ მ ე რ ი. აი, ღამე ხედავ! მაშ კარგი მიქნია. მეტ ხანს რომ აღარ დავრჩით იქ.

ნ ო რ ა. ო. შენ ყველაფერს კარგად აკეთებ.

ჰ ე ლ მ ე რ ი (შუბლზე კოცნის). აი, ჩემი ცუგრუმელა უკვე დაჰკვიანდა. არ შეგიინიშნავს, როგორი გამოცოცხლებული იყო დოეს რანკი?

ნ ო რ ა. ჰოო? მართლა? ვერ მოვახერხე გამოვლაპარაკებოდი.

ჰ ე ლ მ ე რ ი. მეც ასევე. მაგრამ დიდი ხანია ეგ ასეთ კარგ ხასიათზე მყოფი არ მინახავს. (ერთ წამს შეხედავს, მერე მიუახლოვდება.) ჰმ! რა საუცხოოა, რომ ისევ საკუთარ ჰერქვეშა ვართ. და რომ მე და შენ მარტონი ვართ. — ჩემო მომხიბლავო მზეთუნახავო!

ნორა. ასე ნუ მიყურებ. ტორვალდ!

ჰელმერი. რაო? უფლება არა მაქვს შევხედო ჩემს უჭირფასეს საუნჯეს? მშვენებას, რომელიც მე მეკუთვნის, მხოლოდ მე. მთლიანად და საღსებით!

ნორა (მაგიდის მეორე მხარეს გაუვა). ნუ მეუბნები ასეთ რაღაცას ამ საღამოს.

ჰელმერი (უკან მიჰყვება). ვამჩნევ, შენს სისხლში კვლავ ტარანტელას ბგერები ჟღერს. ეს კიდევ უფრო გმატებს მომხიბლობას. გესმის? სტუმრები უკვე იშლებიან. (ხმას დაუწევს.) ნორა... მალე სახლში სიჩუმე დაისადგურებს.

ნორა. ვიმედოვნებ.

ჰელმერი. მართალს არ ვამბობ, ჩემო ჭვირფასო? იცი რა, როცა შენთან ერთად საზოგადოებაში ვიმყოფები, ყოველთვის ვცდილობ შენგან შორს დავიჭირო თავი, მხოლოდ მალულად შეგავლო თვალი და იცი, რატომ ვაკეთებ ამას? იმიტომ. რომ წარმოვიდგენ, ვითომ შენ ჩემი ფარული სიყვარული ხარ, რომ მე და შენ მალულად დავქორწინდით და ეკვიც კი არავის ეპარება, რომ ჩვენს შორის რაიმეა.

ნორა. დიახ, დიახ, დიახ. კარვად ვიცი მთელი შენი ფიქრები მე დამტრიალებს თავს.

ჰელმერი. ხოლო, როცა წამოსვლას დაგვაპირებთ და შალს წამოვასხამ შენს ნაზ, ახალგაზრდულ მხრებს... ამ საოცრად ლამაზად მოყვანილ კისერს... წარმოვიდგენ, რომ შენ ჩემი ნორჩი საცოლვე ხარ... პირდაპირ ჯვრის წერიდან მოვდივართ და პირველად შემყავხარ ჩემს სახლში... პირველად დავრჩები შენთან მარტო. შენთან ჩემო ნორჩო მთრთოლვარე მშვენებაე! მთელ ამ საღამოს ჩემი ფიქრი და ოცნება მხოლოდ შენ იყავი. როცა დაგინახე, ტარანტელას ცეკვის დროს როგორ დაჰქროდი და ყველას ხიბლავდი... ძარღვებში სისხლი ამიდუღდა... მეტი აღარ შემეძლო... ამიტომაც წამოგიყვანე იქიდან ასე ადრე...

ნორა. წადი რა, ტორვალდ, მარტო დამტოვე. არ მინდა...

ჰელმერი. ეგ რას ნიშნავს? გინდა გამაღიზიანო, ჩემო სიხარულო? არ მინდაო? განა მე შენი ქმარი არა ვარ?

კარზე კაკუნი ისმის.

ნორა (შეკრთება). გესმის?



ჰელმერი (შემობრუნდება). ვინ არის?

რანკი (კარს უჩნიდან). მე ვარ. შეიძლება ერთი წუთით?

ჰელმერი (წყნარად. ნაწყენი კოლოთი). ოჰ, ახლა რამ მოიყვანა ნეტავი აქ? (ხმაშალა.) ახლავე. (მიღის და აღებს კარს.) რა კარგი ქენი, რომ წასვლის წინ შემოგვიარე.

რანკი. შენი ხმა შემომესმა და ვიფიქრე, შევევლი-მეთქი (ოთახს თვალს მოავლებს.) დიახ, ეს საყვარელი ნაცნობი ოთახებია. კარგადა ხართ აქ, მყუდროდ, ორივენი.

ჰელმერი. მე მგონი, შენ დღეს ზემოთაც კარგად და მყუდროდ იყავი.

რანკი. შესანიშნავად. რატომაც არა? რატომ არ უნდა წარგტაცო ცხოვრებას ყველაფერი, რასაც მთავაზობს? ყოველ შემთხვევაში, რამდენიც შეიძლება და სანამ შეიძლება. ღვინო საუცხოო იყო...

ჰელმერი. განსაკუთრებით შამპანური!

რანკი. შენც მოგეწონა? რაღაც საოცრად ბევრი ვყლაპე.

ნორა. ტორვალდმაც დღეს ბევრი შამპანური დალია.

რანკი. ჰო?

ნორა. ჰო. მის შემდეგ კი ის ყოველთვის ჩინებულ ხასიათზეა.

რანკი. მერე რა მოხდა, რატომ არ უნდა წაიქეიფოს ადამიანმა მისთვის სასარგებლოდ გატარებული დღის შემდეგ.

ჰელმერი. სასარგებლოდ გატარებული! ამით, სამწუხაროდ თავს ვერ მოვიწონებ.

რანკი. მე კი შემიძლია დავიტრაბახო.

ნორა. ჩანს, დღეს რაღაც მეცნიერული გამოკვლევა ჩაგიტარებიათ, ექიმო?

რანკი. სწორედ ეგრეა.

ჰელმერი. ერთი შეხედვით: ჩემი პატარა ნორა მეცნიერულ გამოკვლევებზე ლაპარაკობს!

ნორა. და შემიძლია მოგილოცოთ წარმატება?

რანკი. დიახ, შეგიძლიათ.

ნორა. მაშ კარგი შედეგი მოგცათ?

რანკი. საუკეთესო, ექიმისთვისაც და პაციენტისთვისაც — მტკიცე რწმენა.

ნორა (სწრაფად, გამომდღვლად). მტკიცე რწმენა?

რ ა ნ კ ი. დიახ, ნამდვილად მტკიცე რწმენა. მაშ არ ღირდა ამის შემდეგ კარგი წაქეფება?

ნო რ ა. დიახ, სწორედაც მოქცეულხართ, ექიმო.

ჰ ე ლ მ ე რ ი. მეც ამას გეტყვით. ოღონდ თუ ხვალ არ წაგამწა-  
რათ.

რ ა ნ კ ი. უსასყიდლოდ ამ ცხოვრებისაგან ვერაფერს მიიღებთ.

ნო რ ა. დოქტორ რანკ, გეტყობათ, ბალების მოყვარული ხართ.

რ ა ნ კ ი. დიახ, თუ სასაცილო ნიღბები მრავლადაა.

ნო რ ა. მოიხედეთ. მე და თქვენ როგორი კოსტიუმებით გამოვი-  
დეთ შემდეგ მასკარაღზე?

ჰ ე ლ მ ე რ ი. შე პატარა ქარიფანტიავ! უკვე შემდეგ მასკარაღზე  
ფიქრობ?

რ ა ნ კ ი. მე და თქვენ? ახლავე გეტყვით. თქვენ — ბედის ნე-  
ბიერს...

ჰ ე ლ მ ე რ ი. ჰო, მოიფიქრე კოსტიუმი, რომელიც მაგ აზრს გა-  
მოხატავს.

რ ა ნ კ ი. დაე შენი ცოლი ისე გამოვიდეს, როგორც... როგორი-  
ცაა საერთოდ...

ჰ ე ლ მ ე რ ი. ნამდვილად მოსწრებული პასუხია. მერედა, შენ  
თავად რა კოსტიუმით აპირებ გამოსვლას? უკვე მოიფიქრე?

რ ა ნ კ ი. დიახ, მეგობარო, ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს

ჰ ე ლ მ ე რ ი. მაინც?

რ ა ნ კ ი. შემდეგ მასკარაღზე უჩინრად მოგვევლინებით...

ჰ ე ლ მ ე რ ი. მოფიქრებაც ამას ჰქვია!

რ ა ნ კ ი. არსებობს ერთი დიდი შავი ქუდი — ნუთუ არ გაგიგია  
უჩინმაჩინის ქუდის ამბავი? როგორც კი დაიხურავ, მაშინვე გაუჩი-  
ნარდები.

ჰ ე ლ მ ე რ ი (ლიმილს იკავებს). ჰო, მართალია.

რ ა ნ კ ი. მაგრამ. სულ დამავიწყდა, რისთვის შემოვედი. ჰელმერ,  
ერთი სიგარა მომეცი, ჰავანური, მუქი ფერისა.

ჰ ე ლ მ ე რ ი. დიდი სიამოვნებით. (ბუწუნის პორტსიგარს.)

რ ა ნ კ ი (აიღებს ერთ ცალს და ბოლოს წააქრის). გმადლობთ.

ნო რ ა (ასანთს ანთებს). მე კი ნება მიბოძეთ მოგიკიდოთ.

რ ა ნ კ ი. გმადლობთ.

და მშვიდობით!

ჰელმერი. მშვიდობით, მშვიდობით, მეგობარო!

ნორა. ძილი ნებისა, ექიმო.

რანკი. გმადლობთ კეთილი სურვილისათვის.

ნორა. მეც ასევე მისურვებ.

რანკი. თქვენ? კეთილი, რაკი ასე გსურთ — ძილი ნებისა და გმადლობთ ასანთის მოკიდებისათვის. (თავს უკრავს ორივეს და გადის.)

ჰელმერი (ხმადაბლა). გვარიანად გადაუკრავს.

ნორა (დაბნეული). მართლაც.

ჰელმერი ჭიბიდან გასაღებს ამოიღებს და წინაკარისაკენ გაემართება.

ნორა. ტორვალდ, რას აპირებ?

ჰელმერი. საფოსტო ყუთი უნდა დავცალო. პირამდე სავსეა. დილის გაზეთები აღარ ჩაეტევა.

ნორა. უნდა იმუშაო ღამით?

ჰელმერი. არა. ეს რა ამბავია? საკეტი ვიღაცას უწვალეზია!

ნორა. საკეტი?

ჰელმერი. ჰო, საკეტი. ეს რას ნიშნავს? არა მგონია, რომ მო-  
ახლემ... აჰა, აქვეა გატეხილი თმის სარკი. ნორა, ეს შენი თმის სარკია!

ნორა (სწრაფად). მართლა? ალბათ, ბავშვებმა...

ჰელმერი. უნდა უეჭველად გადააჩვიო. ჰმ! ჰმ! როგორც იქნა, გავაღე. (გამოიღებს ყუთიდან წერილებს და სამზარეულოში გასძახის.) ელენე! ელენე! წინკარში ლამპა ჩააქრე. (შემოდის ოთახში და წინა ოთახის კარს ჩაკეტავს, ნორას უჩვენებს წერილების გროვას.) ხედავ, რამდენი დავროვი-  
ლა! (სინჯავს წერილებს.) ეს რა არის?

ნორა (ფანჯარასთან). წერილი! არ გინდა, არ გინდა, ტორვალდე!

ჰელმერი. ორი სადარბაზო ბარათი რანკისაგან.

ნორა. რანკისაგან?

ჰელმერი (დასცქერის ბარათებს). „მედიცინის დოქტორი რანკი“. ესენი ზევიდან ეწყო. როგორც ჩანს, გასვლისას ჩაყარა.

ნორა. აწერია რამე?

ჰელმერი. სახელის თავზე შავი ჭვარია დასმული, შეხედე, რა შემზარავი ფანტაზიაა. თითქოს საკუთარ სიკვდილს გაუწყებდეს.

ნორა. ასეც არის.

ჰელმერი. რაო? შენ რამე იცი? გითხრა რამე?

ნორა. რაკი ეს ბარათები მივიღეთ, ესე იგი გამოგვეთხოვა. ახლა თავის ბინაში ჩაიკეტება და მოკვდება.

ჰელმერი. ჩემო საბრალო მეგობარო!.. ასეც ვიცოდი, რომ დიდხანს ველარ შევინარჩუნებდით. მაგრამ ასე მალე... დაემალეა ყველას, როგორც დაქრილი ნადირი...

ნორა. რაც მოსახდენია, უმჯობესია უსიტყვოდ მოხდეს. ასე არაა ტორვალდ?

ჰელმერი (ბოლთას სცემს). ისე ახლოს იყო ჩვენთან. რაღაც ვერ წარმომიდგენია უმისოდ. იგი თავისი ტანჯვა-წამებით ოდნავ მოღრუბლულ ფონს უქმნიდა ჩვენს მზესავით ნათელ ბედნიერებას... შეიძლება ანეც სჯობდეს. ყოველ შემთხვევაში, მისთვის. (შეჩრდება.) და იქნებ ჩვენთვისაც ნორა. ახლა მე და შენ მარტონი ვიქნებით — ვიარსებებთ ერთმანეთისათვის. (ფხვევა.) ჩემო საყვარელო... სულ მგონია. რომ საკმაოდ მტკიცედ არ მიკერიხარ ხელში. იცი, ნორა... რაძდენჯერ მიფიქრია შენზე. ნეტავ რაიმე გარდუვალი საფრთხე ემუქრებოდეს, რომ მის დასახსნელად ჩემი სიცოცხლის ბედი სასწორზე შევავადო-მეთქი.

ნორა (თავს გაითავისუფლებს და მტკიცე, გაბედული კოლო). აბა, წაიკითხე შენი წერილები. ჰელმერ.

ჰელმერი. არა. არა. დღეს არა. მე შენთან ყოფნა მინდა, ჩემო სიყვარულო.

ნორა. იმ დროს. როცა იცი, მეგობარი გიკვდება?

ჰელმერი. მართალი ხარ. ამან ორივე აგვალეღვა. ჩვენ შორის მეტად ულამაზო რამ შემოიქრა — სიკვდილსა და გახრწნაზე ფიქრი. საჭიროა ჯერ ამისაგან გავითავისუფლდეთ. ამიტომ ამჟერად ჩვენ-ჩვენს ოთახებს მივაშუროთ.

ნორა (ყელზე ხელებს მოხვევს). ტორვალდ... ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა!

ჰელმერი (მუბლზე კონის). ღამე მშვიდობისა, ჩემო მაგალობელო ჩიტუნავ. მშვიდ ძილს გისურვებ, ნორა. მე ახლა წერილებს გადავიკითხავ. (გაღის თავის კაბინეტში წერილებითურთ და კარს მოიხურავს.)

ნორა (შეშფოთებული თვალებით იყურება, ტორტმანით დადის ოთახში, ჰელმერის დომინოს დააქვებს ხელს, ჰოისხამს და ხმაჩახლეჩილი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩურჩულებს). მას ვერასოდეს ველარ ვიხილავ. ველარასოდეს, ველარასოდეს, ველარასოდეს (თავზე შალს შემოიხვევს.) ვერც ბავშვებს, ვერც მათ. ველარასოდეს, ველარასოდეს, ოო! პირდაპირ შავ, ყინულოვან წყალში... უძირო სიღრმეში... ოო! მალე მაინც დასრულდეს ყველაფერი... აი, ახლა აიღო წერილი... კითხულობს, არა, არა, ჯერ არა... ტორვალდ, მშვიდობით, შენც და ბავშვებიც... (წინაარში გავარდნას დააპირებს.)

იმავე წამს კაბინეტის კარი იღება და ზღურბლზე ჰელმერი გამოჩნდება, გახსნილი წერილით ხელში.

ჰელმერი. ნორა!

ნორა (ხმაბალა წამოიყვირებს). აჰ!

ჰელმერი. რა არის ეს? იცი, რა სწერია ამ წერილში?

ნორა. ვიცი, გამიშვი! უნდა წავიდე!

ჰელმერი (აჩეჩებს). სად მიდიხარ?

ნორა (ცდილობს გაუსხლტეს ხელიდან). არც იფიქრო ჩემი გადარჩენა ტორვალდ!

ჰელმერი (უჟან დაიხვეს). მართალია! მაშ მართალია, რასაცა მწერს?.. საშინელებაა! არა! არა! ეს შეუძლებელია მართალი იყოს.

ნორა. მართალია. მე შენ ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდი.

ჰელმერი. მომწყდი თავიდან შენი ბუღელური კეკემაღულობით!

ნორა (ნაბიჯს წასდგამს მისკენ). ტორვალდ!..

ჰელმერი. უბედურო... ეს რა ჩავიდენია?!

ნორა. გამიშვი, წავიდე შენ არ უნდა აგო პასუხი ჩემი გული-სათვის, შენ არ უნდა იღო თავს ეს ყველაფერი.

ჰელმერი. კომედიას ნუ მართავ! (ღერფფანში გაშავალ კარს გასაღებით ატრავს.) ფეხსაც ვერ მოიცვლი, სანამ არ მიპასუხებ. გესმის, რა ჩაიდინე? მიპასუხე! გესმის?

ნორა (პირდაპირ მისჩერებია გაქვავებული სახით). ჰო, ახლა ვიწყებ მთლიანად გაგებას.

ჰელმერი (გაივლ-გამოივლის). ო, რა საშინელი გამოღვიძებაა. მთელი ამ რვა წლის განმავლობაში... ეს, ჩემი სიბარული, ჩემი სი-

მაყე... მატყუარა ყოფილა... უარესი, უარესი... დამნაშავე! ო, რა უძი-  
რო უფსკრულია სიბინძურის და უხამსობისა! თფუ! თფუ!

ნორა დუმს და უწინდებურად თვალმოუშორებლად მისიერებაა ქმარს.

(შეჩრდება მის წინ.) წინასწარ კი უნდა მივხვედრილიყავი, რომ ასეთი  
რამ მოხდებოდა. წინასწარ განმეკვირბა. მამაშენის ქარაფშუტული  
პრინციპები... ჩუმაღ! მამაშენის მთელი ქარაფშუტული პრინციპები  
მემკვიდრეობით გადმოგეცა. არავითარი რელიგია, არავითარი შორა-  
ლი, არც მოვალეობის გრძნობა... ო, როგორ დავისაყე იმის გამო,  
რომ მაშინვე მამაშენის საქმეს თვალი ავარიდე. შენი გულისთვის. და  
აი, შენ კი ასე გადამიხადე.

ნორა. დიახ, ასე.

ჰელმერი. ახლა მთლად გაანადგურე ჩემი ბედნიერება. დაღუ-  
პე მთელი ჩემი მომავალი. ამაზე ფიქრიც კი საზარელია. უსინდისო  
ადამიანის ხელთა ვარ. მას შეუძლია, რაც სურს, ის მიყოს, რაც მოე-  
პრიანება ის მიბრძანოს, და ყოველნაირად გადამქელოს. კრინტსაც  
ვერ დავძრავ. ამგვარად უნდა ჩავეშვა უძირო უფსკრულში და დავი-  
ღუპო ერთი ქარაფშუტა დედაკაცის გამო.

ნორა. მე როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, შენ განთავისუფ-  
ლდები.

ჰელმერი. ოჰ, მოეშვი ოინებს! მამაშენსაც მუდამ მზად ჰქონ-  
და ამგვარი ფრაზები. მერედა, მე რას მარგებს, შენ თუ ცოცხალი  
აღარ იქნები? იოტისოდენასაც არაფერს. მას მაინც შეუძლია საქმის  
გახსნა. და თუ ის ამას გააკეთებს, მაშინ ალბათ ჩემზე ეჭვს მოიტანენ,  
ცოლის დანაშაული ეცოდინებოდაო. ალბათ იფიქრებენ, რომ შენს  
ზურგს უკან მე ვიდექი და მე გასწავლე ეს ყველაფერი! და მთელი  
ამ ამბისთვის შენ უნდა გადაგიხადო მადლობა. შენ, რომელსაც ხე-  
ლისგულზე გატარებდი ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე. ახლა  
მაინც თუ მისვდი, რა უსიამოვნება მომეყენე?

ნორა (ცივი სიმშვიდით). დიახ.

ჰელმერი ეს იმდენად დაუჭერებელია, რომ ჯერ კიდევ გონს  
ვერ მოვსულვარ, მაგრამ უნდა შევეცადო, როგორმე დავდწიო თავი.  
მოიხსენი შალი. მოიხსენი, მე შენ გეუბნები! უნდა რამენაირად მოე-  
თაფლო. რადაც არ უნდა დაჯდეს, საქმე უნდა მიფუჩეჩდეს. ხოლო  
რაც შეგვეხება მე და შენ, არავის არაფერი ვაგრძნობინოთ, ისე და-

ვიკირთ თავი, ვითომ უწინდებურად ვართ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ხალხის თვალში. შენ, მაშასადამე, დარჩები სახლში, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ ბავშვების გაზრდის უფლებას ვერ მოგცემ. მათ ვერ გახდობ!.. ოო! და იძულებული ვარ ამ სიტყვებით მივმართო იმ პიროვნებას, რომელიც ისე ძლიერად მიყვარდა და ისევ... მაგრამ დავამთავროთ. დღეიდან ბედნიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ისლა დაგვრჩენია გადავარჩინოთ მისი ნარჩენები, ნამსხვრევები, გარეგნული თავაზიანობა!

წინკარიდან ზარის ხმა ისმის.

(შეკრთება.) ვინ უნდა იყოს? ასე გვიან. ნუთუ ყველაზე საშინელ რალაცან უნდა ველოდო. ნუთუ იგი?.. დაიმაღლე ნორა! ვითომ ავადა ხარ!

ნორა გაუნძრევლად დგას. ჰელმერი გადის და შემოსასვლელ კარს აღებს.

მთახლე (ნახევრად ჩაცმული, წინკარიდან). წერილია ქალბატონის სახელზე.

ჰელმერი. მომეცი აქ (გამოჰგლეჯს წერილს და კარს მიხურავს.) დიახ, მისი წერილია. შენ არ მოგცემ. მე თვითონ წავიკითხავ.

ნორა. წაიკითხე.

ჰელმერი (ლაპის შუქზე). გამბედაობა არ შემწვევს. ვინ იცის, უკვე დავიღუპეთ შენც და მეც... არა, ხომ უნდა ვიცოდეთ. (ვამალებით ხსნის კონვერტს, თვალს გადააგლებს რამდენიმე სტრაჟონს, დასცქერის წერალში ჩადებულ ქალაღს და მხიარულად შესძახებს.) ნორა!

ნორა კითხვის გამომხატველი თვლებით შეხედავს.

ნორა... არა. მოიცა, კიდევ გადავიკითხო... კი, კი, ასეა. გადავრჩი! ნორა, გადავრჩი!

ნორა. მე?

ჰელმერი. შენც, რასაკვირველია, ორივე გადავრჩით, შენც და მეც. შეხედე! ის გიბრუნებს შენს თამასუქს. გწერს, რომ ნანობს და წუხს... რომ მის ცხოვრებაში ბედნიერი შემობრუნება მოხდა... ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, რას წერს. ესე იგი, გადავრჩით, ნორა. ვერავენ ველარაფერს დაგაკლებს. ეჰ, ნორა ნორა. არა, ჭერ ეს საზიზღრობა გავანადგუროთ. შეხედე... (თვალს შეაგლებს თამასუქს.) არა, დახედვაც არ მინდა. დაე, ეს ყველაფერი ჩემთვის სიზმრად

ბეკეს. (ნაუწყებად აქვეყნებს წერილს და თამასუქსაც, შეუძახებს ცეცხლში და უაურებს, როგორ იწვის.) ესეც ასე, ახლა ნაკვალევიც აღარ დარჩა... ის წერდა, რომ შობის წინა დღეს შენ... ო, ნორა, რა საშინელ ტანჯვა-წამებას გამოივლიდი ამ სამ დღეში!

ნორა. მე ცხარე ბრძოლა მომიწია ამ სამ დღეს.

პელმერი. რა წამებას გადაიტანდი, სხვა გამოსავალი რომ ვეღარ ნახე... არა, ამ საშინელებას ნულარ მოვიგონებთ. ახლა უნდა გავმხიარულდეთ და ვიფიქროთ, რომ ყველაფერმა გაიარა, გაიარა! გამოიგონე, ნორა. შენ თითქოს არც გესმის, რომ ყველაფერმა ამან გაიარა. რას ნიშნავს ეს... რა გაქვავებული სახე გაქვს? აჰ, ჩემო პატარა, საბრალო ნორა, მესმის, მესმის: ჭერ კიდევ ვერ დაგიჭერებია, რომ გაპატიე. მაგრამ ნამდვილად გაპატიე ნორა. გეფიცები, ყველაფერი გაპატიე. მე ხომ ვიცი, შენ ეს ჩაიდინე ჩემი სიყვარულის გამო.

ნორა. ეგ მართალია.

პელმერი. შენ მე გიყვარდი ისე, როგორც ცოლს უნდა უყვარდეს ქმარი. ოღონდ ზოგიერთ საქმეში ვერ გაერკვიე. მაგრამ ნუთუ გგონია, ნაკლებად მეყვარები იმის გამო, რომ დამოუკიდებლად მოქმედება არ გეხერხება? არა, არა, თამამად დამეყრდენი, მე ვიქნები შენი ხელმძღვანელი და მრჩეველი. მაშინ კაცი არ ვიქნებოდი, სწორედ ეგ ქალური უმწეობა ორმაგად რომ არ გამაძლებდეს ჩემს თვალში. ნუ მიაქცევ ყურადღებას იმ მკაცრ სიტყვებს, მე რომ წამოვისროლე პირველი შიშის განცდის მომენტში, როცა მომეჩვენა, ყველაფერი თავზე მექცეოდა. მე შენ მოგიტყევე, ნორა, გეფიცები, მოგიტყევე.

ნორა. მაღლობას გწირავ შენი მოტყევებისათვის. (გაღის მარცხენა მხრიდან).

პელმერი. არა, მოიცა... (შეიხდავს კარიდან.) რას აკეთებ მანდ?

ნორა. საბალო კოსტიუმს ვიხდი.

პელმერი (ღია კართან.) ჰო, კარგია. და ეცადე დამშვიდდე, გონს მოხვიდე, ჩემო საბრალო შეშინებულ მოტრედო. დამეყრდენ მშვიდად მე, მე საკმაოდ ფართო ფრთები მაქვს და დაგიფარავ. (კართან მიღი-მოღის.) ო, რა მშვენიერად, მყუდროდ ვართ ჩვენთვის, ნორა. აქ შენი საიმედო თავშესაფარია, აქ შენ თვალის ჩინივით მოგივლი და დაგიცავ, როგორც შეშინებულ მოტრედს, რომელიც უვნებელ გამოვტაცე ქორს კლანჭებიდან. მე შევძლებ დავამშვიდო შენი საბრალო ათრთოლებული გული. მერწმუნე, ნორა, თანდათან კვლავ და-



გიბრუნდება სიმშვიდე. ხვალ ეს ყველაფერი უკვე სულ სხვაგვარად მოგეჩვენება, და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. მეც აღარ დამკირდება რამდენჯერმე გამეორება იმისა, ყველაფერი გაპატიემეთქი. შენ თვითონ იგრძნობ, რომ ასე იქნება. როგორ შეგიძლია იფიქრო, ვითომ გულში გავივლებდი შენთვის ხელი მეკრა ან რაიმე საყვედური მეთქვა. შენ კიდევ არ იცნობ ნამდვილი, პატივისმცემელი ქმრის გულს, ნორა. ქმარს უზომოდ ატყობს და სიამოვნებს იმის შეგნება, რომ მან მიუტევა თავის ცოლს... მიუტევა სულით და გულით. ცოლი ამის გამო თითქოს ორმაგად უფრო საკუთარი ხდება მისთვის — განუყრელი. ქმარი თითქოს მეორედ აძლევს სიცოცხლეს მას. ქალი ხდება მისი. ასე ვთქვათ, ცოლიც და შეილიც. შენც ახლა ჩემთვის ორივე იქნები, ჩემო უმწურო, დაბნეულო ქმნილება. ნურაფრისა გეშინია, ნორა, ოღონდ გულახდილი იყავი ჩემთან და მე ვიქნები შენი ნებაც და შენი სინდისიც. ეგ რაღას ნიშნავს? დაწოლას არ აპირებ? სამოსი გამოგიცვლია.

ნორა (ჩვეულებრივ საშინაო ტანაცმელში). ჰო, ტორვალდ. გამოვიცვალე.

ჰელმერი. მერედა, რატომ? ასე გვიან?..

ნორა. ამაღამ მე ვერ დავიძინებ...

ჰელმერი. კი. მაგრამ, ძვირფასო ნორა...

ნორა (საათზე დაიხედავს). არც ისე გვიანაა. ჩამოჯექ. ტორვალდ. მე და შენ ბევრი სალაპარაკო გვაქვს. (მაგიდას მიუჯდება.)

ჰელმერი. ნორა... რას ნიშნავს ეს? ეგ ცივი, გაქვავებული სახე.

ნორა. ჩამოჯექ. კარგა ხანს გასტანს ჩვენი საუბარი. ბევრი რამე მაქვს შენთვის სათქმელი.

ჰელმერი (ცოლის პირდაპირ მიუჯდება მაგიდას). მე შენ მაშინებ, ნორა, და არაფერი მესმის.

ნორა. მეც სწორედ მანდა ვარ. შენ ჩემი არაფერი გესმის და მეც ასევე ვერაფერი გავიგე... ამ საღამომდე. არა, ნუ შემაწყვეტიხებ. მხოლოდ მომისმინე... ანგარიშები გავასწოროთ, ტორვალდ.

ჰელმერი. რაზე ლაპარაკობ?

ნორა (მოკლე პაუზის შემდეგ). განა არ გაოცებს ერთი რამ, აი ახლა ასე რომ ვსჩედვართ ერთად?

ჰელმერი. რა უნდა იყოს გასაოცარი?

ნორა. რვა წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ და განა არ გიკვირს ის ამბავი, რომ ამ ხნის მანქილზე მე და შენ, ესე იგი ცოლსა და ქმარს ახლა პირველად გვაქვს სერიოზული საუბარი.

ველმერი. სერიოზული... რა მნიშვნელობით?

ნორა. მთელი ამ რვა წლის... კიდევ უფრო მეტი ხნის... განსავლობაში ჩვენი ნაცნობობის პირველი დღიდანვე არ დაგვცდენია ერთი სერიოზული სიტყვა სერიოზულ თემაზე.

ველმერი. რად მინდოდა შენთვის გამენდო. ჩემი საზრუნავი. ტვირთს ხომ მაინც ვერ შემომსუბუქებდი.

ნორა. საზრუნავზე არ გელაპარაკები. მე გეუბნები, რომ ჩვენ, საერთოდ, არ გვქონია სერიოზული საუბარი. არავითარ საქმეზე სერიოზულად არ გვითათბირია.

ველმერი კი მაგრამ, საყვარელო ნორა, განა ეს რაიმე საარგებლობას მოგიტანდა?

ნორა. აი ახლა კი მთავარ საკითხს მივადექით. შენ არასოდეს არ გესმოდა ჩემი... მე ძალიან უსამართლოდ შექცეოდით, ტორვალდ, ჯერ მამაჩემი, მერე შენ.

ველმერი. რაო? ჩვენ ორნი?.. იმ დროს, როცა ღარივეს ამ ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდი.

ნორა (თავს აწევს). თქვენ არასოდეს არ გყვარებოდათ. თქვენ მხოლოდ სიამოვნებას განიჭებდით ჩემი სიყვარული.

ველმერი. ნორა, მაგას რას ამბობ.

ნორა. დიახ, სწორედ ასეა, ტორვალდ. სანამ მამის სახლში ვცხოვრობდი, იგი მიზიარებდა ხოლმე თავის შეხედულებებს და მეც ისეთივე შეხედულებანი მქონდა. ხოლო როცა განსხვავებული აღმომაჩნდებოდა, ვცდილობდი დამემალა, რადგან მამაჩემს არ მოეწონებოდა. იგი თავის თოჯინას შეძახდა და ჩემით ისე ერთობოდა, როგორც მე ჩემი თოჯინებით. მერე შენს სახლში მოვხვდი...

ველმერი. ეგ რა ნათქვამია, როცა ჩვენს ქორწინებაზეა საუბარი.

ნორა (აუღელვებლად). მე იმის თქმა მინდა, რომ მამაჩემის ხელიდან შენს ხელში გადამოვედი. შენ ყველაფერს საკუთარი გემოვნების მიხედვით აწყობდი, და მეც გადავიღე შენი გემოვნება თუ თავი შექირა ისე. თითქოს გადამედოს, კარგად არ ვიცი... მე მგონი, ორივე იყო. ხან ასე იყო, ხან ისე. ახლა უკან რომ ვიყურები, ასე მგონია,

საშინელ სილატაკეში გაფატარე მთელი ცხოვრება და დღითი დღე ძლიერს გამქონდა თავი!.. ჩემი არსებობის მიზანი და ჩემი საქმიანობა შენი გართობა და შექცევა იყო, ტორვალდ. რადგან ასეთი იყო შენი სურვილი. შენ და მამაჩემს დიდი დანაშაული მიგიძღვით ჩემ წინაშე. თქვენი ბრალია, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდა.

ჰელმერ ი. ნორა, ეს რა უგუნურება და უმადურობაა! განა შენ აქ ბედნიერი არ იყავი?

ნორა. არა, არასოდეს. მე წარმოვიდგინე, რომ ვიყავი, მაგრამ არასდროს არ ვყოფილვარ.

ჰელმერ ი. არ ყოფილხარ... მაშ, ბედნიერი არ ყოფილხარ!

ნორა. არა, მხოლოდ მხიარული. და შენც მუდამ თავაზიანი იყავი ჩემს მიმართ, ალერსიანი. მაგრამ მთელი ჩვენი სახლი მხოლოდ და მხოლოდ დიდი საბავშვო ოთახი იყო. აქ მე ვიყავი შენი თოჯინა-ცოლი, ისევე როგორც მამასთან — თოჯინა-ქალიშვილი. ბავშვები კი ჩემი თოჯინები იყვნენ. მე ისევე მომწონდა, როცა შენ თამაშობდი და ერთობოდი ჩემთან, როგორც ბავშვებს მოსწონდათ, როცა მე მათთან ვთამაშობდი და ვერთობოდი. აი რა მოგვცა ჩვენმა ქორწინებამ, ტორვალდ.

ჰელმერ ი. შენს ნათქვამში ნამდვილად ურევია სიმართლე, თუმცა ძალზე გაზვიადებული და გადაჭარბებული. მაგრამ დღეიდან სულ სხვაგვარად ავაწყობთ საქმეს. გართობის დრო უკვე წავიდა! ახლა დროა აღზრდას მოგვიდოთ ხელი.

ნორა. ვისას? ჩემსას თუ ბავშვებისას?

ჰელმერ ი. შენსასაც და ბავშვებისასაც, ძვირფასო ნორა.

ნორა. ეჰ, ტორვალდ, ჩემგან შენთვის შესაფერ ცოლს ვერ აღზრდი.

ჰელმერ ი. შენ მეუბნები მაგას?

ნორა. ხოლო მე... მე კი ვვარგვივარ ბავშვების აღმზრდელად?

ჰელმერ ი. ნორა!

ნორა. წელან შენ თვითონ არ მეუბნებოდი, მაგ საქმეს შენ ვერ განდობო?

ჰელმერ ი. ეგ ალელეების დროს იყო. განა ამას ყურადღება უნდა მიაქციო!

ნორა. არა, შენ სწორად განსაჯე. მაგ საქმისათვის მე მოუმზადებელი ვარ. მე ჯერ სხვა ამოცანა უნდა გადავჭრა. უნდა ვეცადო სა-

კუთარი თავი აღეზარდო და ამასთან, შენს დახმარებასაც არ ვსაქიროებ. მე ამას მარტო შეეუდგები. ამიტომაც მივდივარ, გტოვებ.

ჰელმერი (წამობება). რაო, რა სთქვი?

ნორა. საქიროა მარტო დავრჩე, რომ კარგად გავერკვე ჩემს თავშიც და სხვა დანარჩენშიც. აი, ამიტომ არ შემეძლია მეტ ხანს შენთან დარჩენა.

ჰელმერი. ნორა! ნორა!

ნორა. და წავალ ახლავე. ქრისტიანა ალბათ გამათევიანებს ღამეს...

ჰელმერი. შენ ჰკუაზე აღარა ხარ! ვინ მოგცემს მაგის ნებას! მე გიკრძალავ.

ნორა. ახლა ამოა ჩემთვის რაიმეს აკრძალვა. მე მხოლოდ ჩემს ნივთებს წავიღებ თან. შენ არათერს არ გამოგართმევ არც ახლა და არც შემდეგ.

ჰელმერი. ეს რა უგუნურებაა!

ნორა. ხვალ კი შინ გავემგზავრები... ესე იგი ჩემს მშობლიურ სახლში, იქ უფრო ადვილად მოვეწყობი.

ჰელმერი. ეჰ, შე დაბრმავებულო, გამოუცდელი კმნილებავ!

ნორა. ოდესმე ხომ უნდა შევიძინო გამოცდილება, ტორვალდ.

ჰელმერი. დატოვო ოჯახი. ქმარი, შვილები! და არ გადარდებს, რას იტყვის ხალხი?

ნორა. მაგას მე არ მივაქცევე ყურადღებას. ვიცი მხოლოდ, რომ ეს ჩემთვის აუცილებელია.

ჰელმერი. არა, ეს აღმაშფოთებელია! ასე არათრად აგდებ შენს წმიდათა წმიდა მოვალეობას?

ნორა. რა მიგაჩნია ჩემს წმიდათა წმიდა მოვალეობად?

ჰელმერი. ესეც მე უნდა გითხრა? თუ არავეითარ მოვალეობას არ გრძნობ საკუთარი ქმრისა და შვილების წინაშე?

ნორა. სხვებიც მაქვს ასეთივე წმიდათა წმიდა მოვალეობანი.

ჰელმერი. არათერიც არა გაქვს. აბა რომელია?

ნორა. მოვალეობანი საკუთარი თავის წინაშე.

ჰელმერი. შენ პირველ რიგში ცოლი და დედა ხარ.

ნორა. ეგ უკვე აღარ მჭერა. მე მგონი, პირველ რიგში, აღამიანი ვარ, ისევე როგორც შენ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ვეცდები გავხდე, თუ არა ვარ. ვიცი, რომ ხალხის უმრავლესობა შენ მოგემხრობა, ტორვალდ, და რომ წიგნებშიც ასევე წერენ. მაგრამ მე აღარ

შემიძლია დაეკმაყოფილდე იმით, რასაც ამბობს ხალხის უმრავლესობა და რასაც წიგნებში წერენ. მე მინდა თვითონ დავფიქრდე ამგვარ საკითხებზე და შევეცადო გავერკვე.

ჰელმერ ი. თითქოს შენს სახლში შენი ადგილი უმაგისოდაც ნათელი და გარკვეული არ იყოს. ანდა აღარ გაგაჩნია საიმედო ხელმძღვანელი, ამგვარ საკითხებში რომ გაგარკვიოს? რელიგია სულ დაივიწყე?

ნორა. ეჰ, ტორვალდ, მე ხომ არც ვიცი კარგად, რა არის რელიგია.

ჰელმერ ი. აბა, რას ამბობ!

ნორა. ვიცი მხოლოდ პასტორ ჰანსენის გადმოცემით, ვისთანაც კონფირმაციისათვის ვემზადებოდი. ის ამბობდა, რელიგია ესა და ეს არისო. როცა ამ ქაოსს დავაღწევ თავს და ჩემთვის მარტო დავრჩები, მაშინ ამასაც გაგარკვევ. და უნდა შევამოწმო, მართალს ამბობდა თუ არა პასტორი ჰანსენი, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა ის მართალი იყოს ჩემთვის.

ჰელმერ ი. არა, ეს პირდაპირ გაუგონარი საქციელია ასეთი ახალგაზრდა ქალის მხრიდან. მაგრამ თუ რელიგიას არ ძალუძს შენი გონს მოყვანა, მაშინ ნება მომეცი სინდისი მაინც გაგიღვიძო. მორალის შეგრძნება ხომ გაქვს? მიპასუხე, თუ ესეც არ გაგაჩნია?

ნორა. იცი, ტორვალდ, ამაზე ძნელია პასუხის გაცემა. მართალი გითხრა, არც გამეგება. მე ასეთ საკითხებში ნაკლებად ვერკვევი. ოღონდ ერთი რამ კი ვიცი. ყველაფერ ამაზე მე და შენ სრულიად განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. ახლა აი, ისიც გავიგე, რომ კანონები სულ სხვა რამ ყოფილა და არა ის, რაც მე მეგონა. და ამ კანონების სისწორეს მე ვერაფრით ვერ დავიჭერებ. ესე იგი ქალს უფლება არა აქვს შეიბრალოს თავისი მომავლდავი მამა, უფლება არა აქვს იხსნას ქმრის სიცოცხლე. ასეთი რამ ჩემთვის დაუჭერებელია.

ჰელმერ ი. ბავშვივით მსჯელობ. არ იცნობ იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობ.

ნორა. მართალია არ ვიცნობ. ჰოდა, აი ახლა მინდა გავიცნო. მინდა გავარკვიო, ვინა ვართ მართალი — მე თუ საზოგადოება.

ჰელმერ ი. შენ ავად ხარ, ნორა. სიცხე გაქვს. მე მგონი, უკვე გაბოდებს.

ნორა. არასოდეს არ ყოფილა ჩემი გონება ისე ნათელი, როგორც ახლაა.

ჰელმერი. და ეგეთი ნათელი გონებით სტოვებ ქმარსა და შვილებს?

ნორა. დიახ.

ჰელმერი. მაშინ ერთი რამღა დამრჩა საფიქრებელი.

ნორა. რა?

ჰელმერი. ალბათ, აღარ გიყვარვარ.

ნორა. დიახ. სწორედ ეგრეა.

ჰელმერი. ნორა!.. და შენ მეუბნები მაგას?

ნორა. მეც გულს მტკენს ეს ამბავი, ტორვალდ, შენ ყოველთვის კარგად მექცეოდი. მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. აღარ მიყვარხარ.

ჰელმერი (ძლივს იკავებს თავს). ეგეც ნათელი გონებით გადაწყვიტე?

ნორა. დიახ. სრულიად ნათელი გონებით. ამიტომაც აღარ მინდა აქ დარჩენა.

ჰელმერი. და შეგიძლია ისიც ამიხსნა, რა მიზეზით დავკარგე შენი სიყვარული?

ნორა. დიახ, შემიძლია, ეს ამ საღამოს მოხდა, სანამ სასწაული მოგვევლინებოდა. მაშინ დავინახე, რომ შენ ის არ ყოფილხარ, ვინც მეგონე.

ჰელმერი. გასაგებად ამიხსენი. არაფერი მესმის.

ნორა. მე მოთმინებით ვიცადე მთელი რვა წელი. ღმერთო ჩემო. ვიცოდი, რომ სასწაულები ყოველდღე არ ხდება... და აი ერთბაშად დამატყდა თავს ეს უბედურება. მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო. სანამ კროგსტადის წერილი ფოსტის ყუთში იღო, მე აზრადაც არ მომსვლია, რომ მისი მუქარა შეგაშინებდა. მტკიცედ მჯეროდა, მას ასე ეტყოდი: „გინდა მთელ ქვეყანას გააგებინე“. ხოლო როცა ასე მოხდებოდა...

ჰელმერი. ჰო, მერე რა იქებოდა? როცა საკუთარი ცოლს თავლაფდასასხმელად გავიმეტებდი!..

ნორა. და როცა ასე მოხდებოდა, მე მტკიცედ მწამდა, რომ ხალხის წინაშე წარსდგებოდი, ყველაფერს თვითონ იკისრებდი და საჯაროდ განაცხადებდი: „დამნაშავე მე ვარ“.

ჰელმერი. ნორა!..

ნორა. იმის თქმა გინდა, რომ შენგან არასოდეს მივიღებდა

ასეთ მსხვერპლს? თავისთავად ცხადია. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩემს რწმენასთან შედარებით? აი ის სასწაული, რომელსაც ასე გულის კანკალით ველოდებოდი. და მისთვის რომ ხელი შემეშალა, გადავწყვიტე თავი მომეკლა.

ჰელმერ ი. შენი გულისთვის სიამოვნებით გავასწორებდი დღესა და ღამეს, ნორა... ავიტანდი ყოველგვარ მწუხარებასა და ვაკირვებას, მაგრამ ვინ დასთმობს თავის ღირსებას თუნდაც საყვარელი ადამიანისათვის?

ნორა. ასეულ ათასობით ქალს დაუთმია.

ჰელმერ ი. ეჰ, ისე მსჯელობ და აზროვნებ, როგორც უვიცი ბავშვი.

ნორა. შეიძლება. შენ კი ისეთი კაცივით არ მსჯელობ და არ აზროვნებ. რომელსაც შემეძლო დავყრდნობოდი. როცა შიშმა უკვე გაგიარა, — იმის გამო კი არა. რომ მე საფრთხე მემუქრებოდა, არამედ საკუთარი თავის გამო, — როცა საშიშროებამ გაიარა, შენ ვითომ ბუზიც არ აფრენია. მე ისევ ძველებურად დავრჩი შენი ჩიტუნია, ტოროლა, თოჯინა, რომელსაც საჭიროა გაორმაგებული სიფრთხილით მოექცე, რაკი ასეთი სუსტი და უღონო აღმოჩნდა. (წამოდგება.) ტირვალდ, იმ წუთში ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მთელი ეს რვა წელიწადი უცხო მამაკაცთან მიცხოვრია და მას სამი შვილი გავუჩინე. ამის გაფიქრებაც კი მზარავს! რომ შემეძლოს, საკუთარ თავს ჩემივე ხელით აგვეპავდი.

ჰელმერ ი. (გულდათოქული). ვხედავ. ვხედავ... ჩვენ შორის მართლაც უფსკრული გაითხარა... მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ამოვსება, ნორა?

ნორა. ისეთი, როგორიც ახლა ვარ, ცოლად არ გამოვადგები.

ჰელმერ ი. მე შემწევს ძალა. რომ გარდავიქმნა.

ნორა. შესაძლოა. თუკი თოჯინას წაგართმევენ.

ჰელმერ ი. განშორება... შენთან განშორება!.. არა. არა. ნორა, ამისი წარმოდგენაც კი არ შემიძლია!

ნორა (პარკვენა კარისკენ გაემართება). მით უფრო აუცილებელია ეს. (ბრუნდება პალტოთი და პატარა საკვოიავით ხელში ჩანთას მაგიდასთან მდგარ სკამზე დებს.)

ჰელმერ ი. ნორა, ნორა, ოღონდ ახლა ნუ! დილა მდებარე მარჩი.

ნორა. (პალტოს იცვამს). არ შემიძლია უცხო ადამიანთან ღამის გათევა.

ჰელმერი. განა არ შეგეძლო და-ძმასავით გვეცხოვრა?

ნორა (შლაპას ლენტით იმაგრებს). ძალიან კარგად იცი, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა... (შალს მოისხამს.) მშვიდობით, ტორვალდ. ბავშვებს არ დავემშვიდობები. ვიცი, ისინი ჩემზე უკეთესი ადამიანის ხელში არიან. ჩემისთანა დედა ახლა მათ არ გამოადგებათ.

ჰელმერი. მაგრამ ოდესმე, ნორა. ოდესმე?

ნორა. აბა, როგორ გითხრა. თავადაც არ ვიცი. ჩემგან რა გამოვა.

ჰელმერი. მაგრამ შენ ჩემი ცოლი ხარ ახლაც და მომავალშიც. როგორიც გინდა გამოხვიდე.

ნორა. მომისმინე, ტორვალდ... როცა ცოლი ტოვებს ქმარს, რასაც ახლა მე ვჩადივარ, კანონის მიხედვით, კაცი თავისუფლდება ყოველგვარ მოვალეობათაგან, რაც ცოლთან აკავშირებს. მე კი მთლიანად განთავისუფლებ. არაფრით არ იგრძნო თავი შებოროცილად, ისევე როგორც მე არ ვიგრძნობ. ორივე მხარე სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. აჰა შენი ბეჭედი. ჩემი კი მე დამიბრუნე.

ჰელმერი. ნუთუ ესეც?

ნორა. ესეც.

ჰელმერი. აჰა.

ნორა. მაშ ასე. ახლა უკვე ყველაფერი დავამთავრეთ. გასაღებს, აი, აქ ვდებ. მოსამსახურე ჩემზე უკეთ მოუვლის ოჯახს. ზვალ, როგორც კი გავვეზგავრები, ქრისტიანა მოვა იმ ნივთების ჩასალაგებლად, რომლებიც მამის სახლიდან მომყვა. ისინი გამომიგზავნონ.

ჰელმერი. ცხადია, ცხადია. ნორა, ნუთუ არასოდეს აღარ გამიხსენებ?

ნორა. როგორ არა. ხშირად გამახსენდებით შენც, ბავშვებიც და ეს სახლიც.

ჰელმერი. უფლებას თუ მომცემ წერილი მოგწერო, ნორა?

ნორა. არა, არასოდეს! არავითარ შემთხვევაში!

ჰელმერი. კი მაგრამ, რაიმეს გამოგზავნის უფლებას მაინც ხომ მიტოვებ?..



ნორა. არა, სულ არაფრის, არაფრის.

ჰელმერო. გაკირვების ეამს მაინც რომ მოგეხმარო?

ნორა. არა-მეთქი, გეუბნები. უცხო ადამიანისაგან არაფერს არ მივიღებ.

ჰელმერო. ნორა, ნუთუ მხოლოდ უცხო დავრჩები. შენთვის საზღუდამოდ?

ნორა (აიღებს თავის საკოიავს). ეჰ, ტორვალდ, მაშინ უდიდესი სასწაული უნდა მოხდეს.

ჰელმერო. მაინც როგორი სასწაული?

ნორა. ისეთი, რომ შენც და მეც ისე გამოვიცვალოთ... არა, ტორვალდ, სასწაულისა აღარაფერი მჭერა.

ჰელმერო. მე კი მჭერა. ჰო, დაასრულე! ისე გამოვიცვალოთო ამბობ...

ნორა. რომ ჩვენს ერთად ცხოვრებას ცოლქმრობა დაერქვას. მშვიდობით (გაღის წინკარიდან.)

ჰელმერო (კართან მღვარ სკამზე დაეშვება და სახეზე ხელებს აიფარებს). ნორა! ნორა! (ირგვლივ მიმოიხედავს და წამოდგება.) რა სიცარიელეა. იგი აქ აღარ არის. (უცებ იმედის სხივი გაუნათებს სახეს.) მაგრამ უდიდესი სასწაულიო?!

ქვემოდან მოისმის კიშკრის დახურვის ხმა.



# მორვენიკანი

ოჯახური ღრამა სამ მოქმედებად

თარგმნა

აკაკი გელოვანია

## მოქმედი პირები

ელენე ალვინჯი, კაპიტნისა და კამერპერი ალვინჯის ქერივი.

ოსვალდი, მისი ვაჟი, მხატვარი.

მოძღვარი მანდერსი

დურგალი ენგსტრანდი

რეგინა ენგსტრანდი — მისი ქალიშვილი, ალვინჯის სახლში მცხოვრები.

მოქმედება წარმოებს ალვინჯის მამულში, დიდი ფიორდის ნაპირზე, დასავლეთ ნორვეგიაში.

## პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ფართო ოთახი, რომელიც ბაღს გადაჰყურებს. მარცხენა მხარეს ერთი კარია, მარჯვენა მხარეს — ორი. შუა ოთახში მრგვალი მაგიდაა ირგვლივ — სკამები. მაგიდაზე წიგნები, ჟურნალები და გაზეთებია. წინ მარცხნივ ფანჯარაა, მის გვერდით პატარა სავარძელი და ქალის სახელსაქმო მაგიდა. ოთახი სიღრმეში გადადის დახურულ შუშაბანდიან აივანში, რომელიც თვითონ ოთახზე ვიწროა და მორთულია ყვავილებით. აივნის მარჯვენა მხარეს ბაღში გამავალი კარია. შუშაბანდიდან მოჩანს წივიანი, მოღუშული სანაპირო ლანდშაფტი. ბაღის კარებში დგას ღურგალი ენგსტრანდი. მარცხენა ფეხი ოდნავ დამოკლებული, მრუდე აქვს და ჩექმის ძირზე ხის სქელი ლანჩა აკრავს. რეგინა, რომელსაც ხელში სარწყული უჭირავს, გზას უღობავს.

რეგინა (დაბალი ხმით). აბა რა გინდა? ადგილიდან არ დაიძრა! წყალი წურწურით ჩამოგდის.

ენგსტრანდი. მერე რა ვუყოთ. ეს წვიმა ღვთის ნებით მოდის ჩემო შვილო!

რეგინა. იჲ! ეშმაკმა წაიღოს მისი წვიმა!

ენგსტრანდი. ღმერთო დიდებულო! რაებს ლაპარაკობ, რეგინა! ცოქლობით რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს). მე კი, აი, რა მინდოდა მეთქვა...

რეგინა. ასე ნუ ატყაპუნებ ამ ფეხებს, ადამიანო! იქ, ზემოთ ასალგაზრდა ბატონს სძინავს.

ენგსტრანდი. კიდევა სძინავს? მართლა? ამ დღისით-მზისით?

რეგინა. ეს უკვე შენი საქმე არ არის.

ენგსტრანდი. გუშინა, რალა დაგიმალო, წავიქეიფე...

რეგინა. მჯერა, ზედვე გეტყობა.

ენგსტრანდი. ჰო, შვილო, ჩვენ, ადამიანები, ხშირად სისუსტეს ვიჩინებ...

რეგინა. ოღონდაც!

ენგსტრანდი. ჰოდა, ბევრი ცდუნებაა ამა ქვეყნად, თვითონაც იცი... მაგრამ ამ დილით, ღვთის წინაშე, უთენია ავდექი და ექვსის ნახევარზე უკვე საქმეს შევუდექი.

რეგინა. ჰო, კარგი. ოღონდ ახლა რაც შეიძლება მალე აიბარგე აქედან. არ მინდა ისე ვიდეგე, ვითომ შენთან პაემანი მქონდეს.

ენგსტრანდი. რა არ გინდა?

რეგინა. არ მინდა ვინმემ აქ მოგისწროს. აბა, ჩქარა, შენი გზა მონახე.

ენგსტრანდი (ახლო მიიწევს). არა, ისე როგორ წავიდე, რომ ორი ღერი სიტყვა არ გითხრა! სადილობის შემდეგ სკოლაში საქმეს მოვრჩები და იმდენს ვიზამ, გემით გავალ და საღამოს მაინც სახლში ამოვყოფ თავს.

რეგინა (სიტყვებს ცრის). გზა დამილოცნია!

ენგსტრანდი. მადლობელი ვარ, ჩემო ასულ! ხვალ აქ თავშესაფრის კურთხევა იქნება, ჰოდა, პურ-მარილისა და ნუნუნას გარეშე საქმე არ ჩაივლის. მაგრამ ნურავინ იტყვის, რომა იაკობ ენგსტრანდი ღვინოს გადაყოლილია და ასეთ საცდურზე სულმა წასძლიაო!

რეგინა. ოჰო!

ენგსტრანდი. ჰო. ხვალ აქ ვინ მოთვლის, რამდენი წარჩინებული გვამი მობრძანდება. პასტორ მანდერსსაც ელოდებიან ქალაქიდან.

რეგინა. პასტორი დღესვე ჩამოვა.

ენგსტრანდი. აკი გითხარი. ჰოდა, დალახვრა ეშმაკმა, არც მე მინდა, რომა ამ კაცმა ჩემზე თქვას რაიმე ისეთი, საძრახისი მიხვდი?

რეგინა. აჰა! აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!

ენგსტრანდი. რაში?

რეგინა (სახეში უძკერის). რა ხრიკების მოწყობას უპირებ კიდე პასტორ მანდერსს?

ენგსტრანდი. სსუ! კრინტი! ხომ არ შეიშალე!.. რა ხრიკები? პასტორი მანდერსი ჩემდამი ყოველთვის ისეთი გულთბილ და სათნო იყო, რომ მის საზიანოდ ხრიკების მოწყობა როგორ იმხედა! იმას გეუბნებოდი, ღამით ისევ შინისკენ გავწევ-ძეთქი.

რეგინა. მე თუ მკითხავ, გზას გილოცავ. რაც მალე წახვალ. მით უკეთესი.

ენგსტრანდი. კი, მაგრამ მე მინდა შენც თან წაგიყვანო. რეგინა.

რეგინა (გაოცებით პირს დააღებს). მე წამიყვანო? რას ლაპა-  
რაკობ?

ენგსტრანდი. მინდა შინ წაგიყვანო-მეთქი.

რეგინა (ზიზლით). უკაცრავად, მაგრამ დიდხანს კი მოგიხდება  
ლოდინი, ვიდრე დამითანხმებდე.

ენგსტრანდი. აი, ვნახოთ.

რეგინა. აი, ნახავ, გულშიც არ გაივლო. მე კამერპერის ქვრივ-  
თან გავიზარდე... თითქმის საკუთარი შვილივითა ვარ ოჯახში... ახლა  
კი ავდგე და შენთან წამოვიდე? შენს სახლში? ფუი ეშმაკს!

ენგსტრანდი. ეშმაკმა დალახვროს მაშ, შენ მამის სურვილ-  
ის წინააღმდეგ დამდგარხარ, ცხვირმოუხოცელო?

რეგინა (თვალს არიდებს, ბუზღუნებს). შენ თვითონ რამდენჯერ  
გითქვამს, ჩემი რა ხარო?

ენგსტრანდი. ეე! შენც ერთი მოიგონე...

რეგინა. და რამდენჯერ გაგილანძლივარ, რამდენჯერ გიწოდე-  
ბია ჩემთვის... Fi donc!

ენგსტრანდი. არა, ასეთი ბინძური სიტყვები მე, ღმერთმა-  
ნა, არასოდეს არ მითქვამს!

-ა, რეგინა. ოჰ! მე ძალიან კარგად მახსოვს, რა სიტყვებიც გიო-  
ცამს!

ენგსტრანდი. კი, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ. როცა... აი,  
ყოფა გადაკრულში რომ ვიყავი... ჰმ! ცდუნება ბევრია ამქვეყნად,  
რეგინა!

რეგინა (ზიზლით). ფუჰ!

ენგსტრანდი. მერე ისიც მხოლოდ მაშინ, როცა რომა დედა-  
შენი მეტისმეტად აიწყვეტდა... რამე იმისთანა ხომ უნდა მეთქვა,  
შეგლო, რომა ცოტათი ჯავრი მეყარა! ძალიან მაღლა სწევდა ცხვირს.  
(გამოაფრებით.) „გამიშვი, ენგსტრანდი! მომეშვი! მე მთელი საპი წელი  
ჯანჯარა აღვივს ვემსახურე როზენვოლდში, შენ კი ვინა ხარ!“  
(მხრეზე) ღმერთო დიდებულო! ველარ ივიწყებდა, რომ კაპიტან  
აქვინგს სწორედ მაშინ უბოძეს კამერპერობა, როცა მას დედაშენი  
ემსახურებოდა.

რეგინა. საბრალო დედა! შენ მოუსწრაფე მას სიცოცხლე.

ენგსტრანდი (ბარბაცებს, გასწორდება). ჰო, რაღა თქვა უნდა,  
„ფელაფერში შე გამოვიდივარ დამნაშავე!“

რეგინა (მიბრუნდება, ხმადაბლა). უჰ!.. და მერე კიდევ ეს ფეხი ენგსტრანდი. რას ამბობ შეილო?

რეგინა. Pied de mouton!

ენგსტრანდი. ეს რა—ანგლიელების ენაზეა?

რეგინა. ღიახ.

ენგსტრანდი. ჰმ! ღიახ, სწავლით აქ ყველაფერი შეგასწავლეს; ჰოდა, ახლა გამოგვადგება შენი სწავლა, რეგინა.

რეგინა (ხანმოკლე ღუმილის შემდეგ). რისთვის დაგპირდი ქალაქში?

ენგსტრანდი. მამას ეკითხები, თუ რისთვის დასჭირდა თავისი ერთადერთი შვილი? მარტოხელა ქვრივ-ოხერს?

რეგინა. ახ მოეშვი ამ როშვას! რისთვის დაგპირდი ქალაქში-მეთქი?

ენგსტრანდი. შეილო, იცი, მინდა ერთი ახალი საქმე წამოვიწყო.

რეგინა (აგდებით). შენ სულ იწყებ, მაგრამ არაფერი გამოგდის.

ენგსტრანდი. აი, ახლა ნახავ, რეგინა! ეშმაკის კერძი გავხდე...

რეგინა (ფეხებს აბაჟუნებს). ნუ იწყევლები!

ენგსტრანდი. ჰო! ჰო! ამაში მართალი ხარ, შეილო, მართალი! მაგრამ, აი, იმას ვამბობდი... ამ ახალი თავშესაფრის სამუშაოზე ვიმარჯვე და ცოტაოდენი ფულის მოგროვება მოვახერხე.

რეგინა. მართლა? ჰოდა გიხაროდეს!

ენგსტრანდი. აქ კიდევ, შეილო, როგორ უნდა დახარჯო ფული, გლეხებთან, სოფელში?

რეგინა. მერე, განაგრძე.

ენგსტრანდი. ჰოდა, მე გადავწყვიტე ამ ფულით შემოსავლიანი საქმე მოვწყო: აი, რაღაც ღუქნისმაგვარი მეზღვაურებისათვის...

რეგინა. ფუ!

ენგსტრანდი. ერთი შნოიანი დაწესებულება, გესმის? ისეთი კი არა, მეზღვაურების სალორე რომ იყოს, იმნაირი... არა, ეშმაკმა დალახვროს! სულ კაპიტნებისა და შტურმანებისათვის და... ნამდვილი ბატონებისათვის, გესმის?

რეგინა. და შენ გინდა, რომ მე იქ...



ენგსტრანდი. დამეხმარო, დიახ. ისე, მხოლოდ დასახაზავად. გესმის? არაფითარი შავი სამუშაო, ეშმაკმა დალაზვროს, შენ არ ღაგეისრება, შვილო! ქალბატონივით იცხოვრებ.

რეგინა. რა თქმა უნდა!

ენგსტრანდი. დიაცის გარეშე ასეთი საქმე არაფრით არ შეიძლება. ეს დღესავით ნათელია. სადამობით ცოტათი სტუმრებს გაართობ... ცეკვა იქნება, მუსიკა თუ სხვა რამე. არ დაგავიწყდეს -- მეზღვაურები კირში ნაცადი ხალხია... ზღვები და ოკეანეები გამოუვლიათ... (უფრო ახო მიღის.) ნუ ხარ სულელი, შენს თავს გზაზე ნუ გადაუდგები, რეგინა! აქ შენგან რა გამოვა? რა ხეირი ნახე, თუ ქალბატონი შენს სწავლაზე ამდენ ფულს ხარჯავს? მე გავიგე, თურმე ახალ თავშესაფარში ბავშვების მეთვალყურე უნდა გახდე, რა საშენო საქმეა? იქნებ ძალიან გეხალისება იმ ზღმურდლიანი ბავშვებისათვის სირბილი და გულის ხეთქვა?

რეგინა. არა, საქმე რომ ისე დატრიალდებოდეს, როგორც მე მინდა... ეპ, ვინ იცის! იქნებ გამოვიდეს!

ენგსტრანდი. რაზე ამბობ, რა უნდა გამოვიდესო?

რეგინა. შენი სადარდებელი არაფერი. ერთი ეს მიიხარო, ბევრი ფული დააგროვე?

ენგსტრანდი. ასე, შვიდას-რვაასი კრონი იქნება.

რეგინა. ურიგო არაა.

ენგსტრანდი. საქმის თავის მოსაბმელად იკმარებს, შვილო!

რეგინა. ხომ არ გიფიქრია, ამ თანხიდან ცოტაოდენი მე გამიზიარო?

ენგსტრანდი. არა, სიმართლე რომ გითხრა, ასეთი რამე არ მიფიქრია!

რეგინა. არ ფიქრობ, რომ ერთი იაფფასიანი საკაბე მაინც გამომიგზავნო?

ენგსტრანდი. გადმომი ჩემთან ქალაქში და იქ კაბებიც საკმარისად გექნება.

რეგინა. ფუ! თუ მოვინდომე, უშენოდაც გადავალ.

ენგსტრანდი. არა. მტარველი მამის ხელი უფრო საიმედო იქნება რეგინა. სწორედ ახლა ხელში მივარდება ერთი კონტა და სუფთა სახლი მცირე ნავსადგურის ქუჩაზე. ნაღდი ფულიც ბევრი

არ უნდა. ნამდვილად შესაფერ კუთხეს გავმართავდით მეზღვაურთათვის.

რეგინა. არა მსურს მე შენთან ცხოვრება. შენთან არაფერი მესაქმება. მოუსვი აქედან!

ენგსტრანდი. ჯანდაბას ჩემი თავი, დიდხანს არ მოგიხდებოდა ჩემთან ყოფნა, შვილო! ეჰ, სამწუხაროდ, დიდხანს არა, ოღონდ კი შეგაძლებინა საქმის ხეირიანად წაყვანა. ეგეთი თვალადი დიაცი, როგორც ამ უკანასკნელ წლებში დამდგარხარ...

რეგინა. რაო?

ენგსტრანდი. ჰო, დიდხანს ლოდინი არ დაგქირდებოდა, მალე ანკესს ამოსდებდი რომელსამე შტურმანს... იქნება კაპიტანსაც!

რეგინა. ასეთ ვინმეს ცოლად არ გავყვები. მეზღვაურებს არა აქვთ savoir vivre.

ენგსტრანდი. რა არა აქვთო?

რეგინა. ვიცნობ ამ შენს მეზღვაურებს, აი რა! ასეთებზე გათხოვება არა ღირს.

ენგსტრანდი. ჰოდა შენც ნუ გათხოვდები. უამისოდაც შეიძლება რამეს გამოიჩინო (ხმის დაწვეით.) იმ ინგლისელმა. თავისი იახტით რომ მოვიდა... სწორედ იმან მთელი სამასი დალერი მისცა დელაშენს... დელაშენი კი შენზე ლამაზი როდი იყო.

რეგინა (შეტვეით). გაეთრიე აქედან!

ენგსტრანდი (უკან იწევს). ჰო, ჰო, იქნებ დამარტყა კიდეც რამე!

რეგინა. ღიახ! თუ დელაშენს კიდეც შეეხები. პირდაპირ დაგარტყამ! წაეთრიე-მეთქი, გეუბნები! (შიშიწყვედევს ბალის კართან). კარს ნუ მიაჯახუნებ! ახალგაზრდა ბატონს...

ენგსტრანდი. სძინავს, ვიცი. ძალიან კი ეველები თავს ამ ახალგაზრდა ბატონს (ხმადაბლა.) ჰო-ჰო! ხომ არ მივიდა საქმე იქამდე?..

რეგინა. გაეთრიე ამ წუთში! ჩქარა! გაფუჭებულს ადამიანს. მოიცა, იქით არა, იქ პასტორი მოდის. აი, ამ უკანა კიბით ჩადი!

ენგსტრანდი (მიდის მარჯვნივ). ეგრე, ეგრე, შენ კი იმ კაცს მოელაპარაკე, იქ რომ მოდის. პასტორი გეტყვის, როგორ უნდა ექცეოდეს შვილი მამას... რაც უნდა იყოს, მე ხომ მამა ვარ შენი. ამას

მე საეკლესიო წიგნებით დავამტკიცებ. (გაღის სხვა კარში, რომელსაც) რეგინა უღებს და მაშინვე მიუყვება)

რეგინა სწრაფად ჩაიხედავს სარკეში, სახის წინ ცხვირსახოცს გააქნევს და ისწორებს ბაფთას ყელზე. მერე ყვავილებთან დაიწყებს ტრიალს.

ბალიდან კარებში შემოდის მოძღვარი მანდერსი, პალტო აცვია და ქოლბა უჭირავს. მხარზე გადაკიდებული აქვს სამგზავრო ჩანთა.

პასტორი მანდერსი. გამარჯობა, პატივცემულო ენგსტრანდ!

რეგინა (შემობრუნდება, გახარებული და გაოცებული). ოჰ, გამარჯობა, ბატონო მოძღვარო! გახსნა გემი უკვე მოვიდა?

მანდერსი. ეს-ეს არის მოვიდა. (გაივლის ოთახში.) საძაგელი ამინდებია ამ დღეებში.

რეგინა (მიჰყვება). სოფლის მეურნეთათვის — დალოცვილი ამინდია, ბატონო მოძღვარო!

მანდერსი. დიახ, დიახ, თქვენ მართალი ხართ. ჩვენ კი, ქალაქელები, ამაზე ნაკლებად ვფიქრობთ (სურს პალტო გაიხადოს.)

რეგინა. ნება მომეცით დაგეხმაროთ... აი, ასე. ჰოი, რა სველია! წყვალ, წინა ოთახში დაგვიდებ. ქოლგაც მიბოძეთ... გავშლი და უფრო მალე გაშრება. (გაღის ნივთებიანად მარჯვნივ, სხვა ოთახში. პასტორი მანდერსი ქუდსა და ჩანთას სკამზე აწყობს. რეგინა ბრუნდება.)

მანდერსი. აჰ! მაინც სასიამოვნოა, ჰერს რომ შეეფარები ასეთ ამინდში... როგორ ბრძანდებით? იმედი მაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება.

რეგინა. დიახ, გმადლობთ.

მანდერსი. მაგრამ, ხვალინდელი ზეიმისათვის, მგონია, ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი. არა?

რეგინა. ჰო, საკმაოდ ბევრი საქმე გამოჩნდა.

მანდერსი. ფრუ ალვინგი, იმედი მაქვს, შინ იქნება.

რეგინა. დიახ, რა თქმა უნდა! მხოლოდ ზემოთ გახლავთ და ახალგაზრდა ბატონს შოკოლადს უმზადებს.

მანდერსი. ჰო, მართლა, მითხარით, — ნავსადგურში გავიგე, ოსვალდი უკვე დაბრუნდაო. მართალია?

რეგინა. როგორ არა! მესამე დღეა. ჩვენ კი მხოლოდ დღეოსათვის ველოდით.

მანდერსი. ალბათ, ჯახედაც კარგად არის და გუნებაზედაც

რეგინა. დიახ, გმადლობთ, არა უშავს რა, ოღონდ ნამგზავრია და საშინლად დაქანცული ჩანს. პირდაპირ პარიზიდან მოდის, სულის მოუთქმელად. მთელი გზა, ეტყობა, ერთი მატარებლით გამოუვლია. ახლა, მგონი, ცოტა ხნით წამოწვა, ასე რომ, ჩვენ, ბატონო მოძღვარო, ოდნავ ხმადაბლა მოგვიხდება ლაპარაკი.

მანდერსი. ჰო, ჰო, ხმადაბლა ვილაპარაკოთ.

რეგინა (მიმოიხეხს სავარძელს მაგიდასთან). დაბრძანდით! გთხოვთ, ბატონო პასტორო, როგორც გენებოთ, ისე დაისვენეთ! (პასტორი ჯდება, რეგინა ფეხქვეშ ბატარა სკამს დაუდგამს). აი, ასე უფრო არ ემარჯვება ბატონ პასტორს?

მანდერსი. გმადლობთ, გმადლობთ. ძალიან კარგია! (უხუარგბს.) იცით, იომფრუ ენგსტრანდ, თქვენ თითქოს გაზრდილხართ მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ.

რეგინა. ნუთუ? ქალბატონი ალვინგი მეუბნება, კიდევაც გასუქდიო.

მანდერსი. გასუქდიო? ჰო, მართლაც, ისე — ზომიერად. (მორე პაუზა.)

რეგინა. ქალბატონს არ მოეახსენო?

მანდერსი. არა, გმადლობთ, რა საჩქაროა, შევილო... აბა მიტხარით, ჩემო ძვირფასო, როგორ არის მამათქვენი?

რეგინა. გმადლობთ, ბატონო პასტორო, ცოცხლობს ისე, გაკირვებით.

მანდერსი. უკანასკნელად რომ ქალაქში იყო, ჩემთანაც შემოიარა.

რეგინა. ჰო? მისთვის ყოველთვის სასიამოვნოა ბატონ პასტორთან საუბარი.

მანდერსი. თქვენ, ცხადია, ხშირად ნახულობთ აქ მამათქვენს?

რეგინა. მე? ჰო, ვნახულობ, როცა დრო მაქვს ხოლმე.

მანდერსი. მამათქვენი იომფრუ ენგსტრანდ, სულაც არაა ძლიერი ნებისყოფის პიროვნება. მისთვის ფრიად საჭიროა ზნეობრივი დახმარება.

რეგინა. დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

მან დერსი. უსათუოდ ვინმე უნდა ჰყავდეს გვერდით ისეთი, რომ უყვარდეს და მისი აზრი ძვირად უღირდეს. ამაში თვითონვე გულწრფელად გამომიტყდა, როცა ამასწინათ ჩემთან იყო.

რეგინა. დიახ, მეც მითხრა ამგვარი რაღაც. მაგრამ მე არ ვიცი, მოისურვებს თუ არა ფრუ ალვინგი ჩემს დაშორებას... მეტად რე ამჟამად, როცა ამდენი საზრუნავი მოგველის ახალი თავშესაფრის გამო. თვითონ მეც არაფრის გულისათვის არ მოვშორდები მას. იგი მუდამ უაღრესად გულკეთილია ჩემს მიმართ.

მან დერსი. მაგრამ გაიხსენეთ ქალიშვილის მოვალეობაც მამის წინაშე, ჩემო შვილო! ისე კი, მართალია, ჯერ თქვენი ქალბატონის თანხმობაა საჭირო.

რეგინა. გარდა ამისა, მე არ ვიცი, შესაფერისია თუ არა ჩემი ასაკის ქალიშვილისათვის მარტოხელა მამაკაცის ოჯახში დიასახლისობა.

მან დერსი. როგორ? ჩემო ძვირფასო, ეს ხომ თქვენი საკუთარი მამაა!

რეგინა. თუნდაც ასე იყოს... მაინც... არა, ასე არა, მაგრამ რომ მოვხვდებოდე რომელიმე კარგ სახლში, ნამდვილად, წესიერადამიანთან...

მან დერსი. მაგრამ, ძვირფასო რეგინა...

რეგინა. რომელსაც შევიყვარებდი, პატივსა ვცემდი და საკუთარი ასულის მაგიერობას გავუწევდი...

მან დერსი. კი მაგრამ ჩემო ძვირფასო, კეთილო ბავშვო...

რეგინა. მაშინ სიამოვნებით გადავიდოდი ქალაქში. აქ საშინლად მომწყინდა, მარტოობაში... ბატონმა პასტორმა იცის, როგორია მარტო ცხოვრება. ამასთან შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ საკმაოდ მარჯვეც ვარ და შრომაც მიყვარს. თქვენ ხომ არ გეგულებათ ჩემთვის რაიმე შესაფერი ადგილი?

მან დერსი. მე? არა, მართალი გითხრათ, არ გეგულება.

რეგინა. ახ, ძვირფასო ბატონო მოძღვარო... მაინც უნდა გთხოვოთ, ყოველ შემთხვევაში, მხედველობაში მიყოლიოთ, თუკი რაიმე...

მან დერსი (აღვება). კეთილი, კეთილი, იომფრუ ენგსტრანდ.

რეგინა. იმიტომ, რომ მე...

მ ა ნ დ ე რ ს ი. ხომ არ დამავალებთ და არ დაუძახებთ აქ ქალბატონ ალვინგს?

რ ე გ ი ნ ა. ახლავე ბატონო პასტორო! (გადის მარცხნივ)

მ ა ნ დ ე რ ს ი. (დადის ოთახში, აივანზე შეჩერდება. ხელებს ზურგზე გადაიწყობს და ბალში იხედება. მერე ისევ მიდის მაგიდასთან, იღებს ერთ-ერთ წიგნს, უყურებს. სათაურს, თითქოს ვერ გაუგია და ათვალეირებს სხვებს.) ჰმ! აი, ხედავთ? ფრუ ალვინგი შემოდის მარცხენა კარიდან. მოსდევს რეგინა, რომელიც გაივლის ოთახს და გადის მარჯვნივ პირველ კარში.

ე ლ ე ნ ე ა ლ ვ ი ნ გ ი. (გაუწვდის ხელს მოძღვარს). კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პასტორო!

მ ა ნ დ ე რ ს ი. გამარჯობათ, ქალბატონო ალვინგ! აი, მეც აქა ვარ, როგორც დაგპირდით.

ა ლ ვ ი ნ გ ი. თქვენ მუდამ ასე წესიერი იყავით.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მაგრამ, დამერწმუნეთ, ადვილი არ იყო ჩემთვის თავის დახსნა. ყველა ეს კომისია და სხდომა, რომლებშიაც მონაწილეობას ვიღებ...

ა ლ ვ ი ნ გ ი. მით უფრო მეტი თავაზიანობაა თქვენის მხრით, რომ ასე ღროით მობრძანდით. ახლა ჩვენ სადილობამდე მოვრჩებით ჩვენს საქმეებს. მაგრამ სადაა თქვენი ჩემოდანი?

მ ა ნ დ ე რ ს ი (სწრაფად). ჩემი ნივთები მეწვერილმანესთან დავტოვე. დამეებს იქ ვათევ.

ა ლ ვ ი ნ გ ი (ღიმილს ფარავს). ნუთუ ვერც ამჯერად გაბედავთ ჩემთან დამის გათევას?

მ ა ნ დ ე რ ს ი. არა, არა, ფრუ ალვინგ. ძლიერ გმადლობთ, მაგრამ ღამის ისევ იქ გავათევ, სადაც ყოველთვის. უფრო მოხერხებულ-იცაა ჩემთვის — ნავსადგურის გვერდით ვიქნები.

ა ლ ვ ი ნ გ ი. როგორც გენებოთ. საერთოდ კი, მე მგონია, ისეთი ხანშესული ადამიანები, როგორიც მე და თქვენ ვართ...

მ ა ნ დ ე რ ს ი. ახ! ღმერთმა დაგვიფაროს, რანაირი ხუმრობა იცით! თუმცაღა, რა გასაკვირია, რომ დღეს ასე საშინლად მხიარული იყოთ! ჭერ ერთი ხვალინდელი ზეიმი, მერე კიდევ ოსვალდი შინ დაგიბრუნდათ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახაც, აბა წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა! აკი ორ წელზე მეტი გაატარა უცხოეთში. ახლა კი მთელი ზამთარი შინ დარჩენას მპირდება...

მანდერსი. მართლა? დიახ, ეს მეტისმეტი გულკეთილობაა მისი მხრით, შვილიც ასეთი უნდა. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ პარიზსა და რომში ცხოვრება ბევრად უფრო მომხიბლავი უნდა იყოს, ჩემის აზრით.

ალვინგი. დიახ, მაგრამ სამაგიეროდ აქ დედამისია. ახ, ჩემი ძვირფასი, ჩემი სათაყვანებელი შვილი!.. მას თავის დედაზე გული მაინც არ გასტეხია.

მანდერსი. ძალიან სამწუხარო იქნებოდა, რომ განშორებას და ისეთი საქმით გატაცებას, როგორც ხელოვნებაა, მასში ჩაეკლა ბუნებრივი გრძნობა და სიყვარული.

ალვინგი. რა სათქმელია. მაგრამ არა, ოსვალდისაგან ასეთი რამ არ არის მოსალოდნელი. აი, სასეირო ის იქნება. თუ ვერ იცანით. მალე აქ ჩამოვა, ახლა ზემოთ წევს, დივანზე ისვენებს. თუმცა დაბრძანდით, დაისვენეთ. ძვირფასო ბატონო პასტროო!

მანდერსი. გმადლობთ. მაშ, როგორც ჩანს, ახლავე გნებავთ, არა?

ალვინგი. დიახ, დიახ (ჯდება მაგიდასთან.)

მანდერსი. კეთილი მაშ ასე... (მოდის მაგიდასთან, სადაც დევს მისი ჩანთა. იღებს იქიდან ქალაღებიან ყდას, მიუჯდება მაგიდას მეორე მხრიდან და ეძებს ქალაღებისათვის თავისუფალ ადგილს.) უპირველეს ყოვლისა... (მოწყვეტით.) მითხარით, გეთაყვა, საიდან მოხვდა აქ ეს წიგნები?

ალვინგი. წიგნები? მე ამ წიგნებს ვკითხულობ.

მანდერსი. თქვენ კითხულობთ ასეთ რამეებს?

ალვინგი. დიახ, ვკითხულობ.

მანდერსი. მერედა განა, თქვენის აზრით, უკეთესი გახდებით, ან უფრო ბედნიერი იქნებით ასეთი წიგნების კითხვით?

ალვინგი. ჰო, მეჩვენება, თითქოს უფრო ვმშვიდდები.

მანდერსი. უცნაური ამბავია. მერე, რანაირად?

ალვინგი. ამ წიგნებში ბევრი ჩემი აზრის ახსნასა და დადასტურებას ვპოულობ და პირდაპირ გასაოცარი ამბავია, ბატონო მოძღვარო. ამ წიგნებში არსებითად არაფერი არ არის ახალი. აკი ასე ფიქრობს და ამ რწმენით ცხოვრობს ადამიანთა უმრავლესობა, მაგრამ ანგარიშმიუცემლად, ანდა არავის არ სურს აღიაროს საკუთარი თავის წინაშე, რომ ეს ასეა.

მანდერსი. მაგრამ, ღმერთო ჩემო! ნუთუ თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ უმრავლესობა?..

ალვინგი. დიახ, სწორედ ასე მგონია.

მანდერსი. მაგრამ ჩვენთან ხომ არა? აქ, ჩვენთან კი არა!

ალვინგი. არა. რატომ — ჩვენთანაც ასეა.

მანდერსი. კმ, რა მოგახსენოთ!.. მე ვიტყვოდი...

ალვინგი. მაინც რა შეგიძლიათ თქვათ ამ წიგნების წინააღმდეგ?

მანდერსი. რა შემიძლია ვთქვა? ხომ არ ფიქრობთ, რომ მე ასეთი თხზულებების შესწავლას შევუდგები?

ალვინგი. როგორ, თქვენ არც იცნობთ იმას, რის წინააღმდეგაც ილაშქრებთ?

მანდერსი. მე საკმაოდ ბევრი წამიკითხავს ამ წიგნების შესახებ, რომ ისინი დავგმო.

ალვინგი. მაგრამ თქვენი პირადი აზრი?..

მანდერსი. უძვირფასესო ფრუ ალვინგ! ჩვენი ცხოვრების გზაზე ბევრ რამეში იძულებული ვხდებით სხვათა აზრს დავეყრდნოთ. ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა, და ეს კარგია. სხვანაირად რა მოუვიდოდა საზოგადოებას?

ალვინგი. დიახ, დიახ. თქვენ იქნებ მართალიც ხართ.

მანდერსი. მე არ უარვყოფ, რომ ამნაირი წიგნები შეიძლება ასე თუ ისე საინტერესოც იყოს. არაფერს დასაძრახისს არ ვხედავ იმაში, რომ გსურთ გაეცნოთ თანამედროვე აზრთა მიმდინარეობას იმ დიდ ქვეყანაში... სადაც ასე დიდი ხნით გაგზავნეთ შვილი. მაგრამ...

ალვინგი. მაგრამ რა?

მანდერსი (ხმადაბლა). მაგრამ ასეთ საგნებზე არ ლაპარაკობენ, ფრუ ალვინგ. სულაც არაა საჭირო ყველას აუწყოთ, თუ რას კითხულობთ და რას აკეთებთ თქვენს ოთხ კედელს შორის.

ალვინგი. რა თქმა უნდა. მეც ამ აზრისა ვარ.

მანდერსი. აბა დაფიქრდით, რამდენ რამეს გავალებთ ეს თავ-შესაფარი, რომლის მოწყობაც გადაწყვეტილი გქონდათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ სულიერ საკითხებზე სულ სხვა აზრისა იყავით — რა თქმა უნდა, რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო.



ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, დიახ, სავსებით გეთანხმებით. მაგრამ ჩვენ ხომ თავშესაფარზე...

მ ა ნ დ ე რ ს ი. ჰო, ჩვენ თავშესაფარზე ვაპირებდით სიტყვის ჩამოგდებას. ჰოდა ასე, უფრო ფრთხილად, ძვირფასო ფრუ ალვინგ! ახლა გადავიდეთ ჩვენს საქმეებზე (გაშლის ყდას და იღებს ქალაღებს.) აი, ხედავთ?

ა ლ ვ ი ნ გ ი. საბუთებია?

მ ა ნ დ ე რ ს ი. ყველაფერი სრულ წესრიგშია. მაგრამ, პირდაპირ გეტყვით, დიდ ჭაფად კი დამიჭდა მათი დროულად გაკეთება. პირდაპირ იერიში დამპირდა ხელისუფალნი ავადმყოფურად წვრილმანნი და მიზეზიანნი არიან ასეთი გადაწყვეტილების გამოტანაში. მაგრამ ახლა ყველაფერი აქაა. (ფურცლავს.) აგერ დამოწმებული აქტი იმის შესახებ, რომ როზენვოლდის მამულის კუთვნილი სოლვიკის აგარაკი მთელი თავისი ახალი ნაგებობებით თქვენს ჰიერ შეწირულა თავშესაფრისათვის — სასკოლო შენობის, მასწავლებელთა პერსონალისა და ეკვდერისათვის. აგერ კიდევ აქტი ფონდის შექმნისა და ახალი თავშესაფრის დამტკიცებული წესდება. ხედავთ? (კითხულობს.) „კაპიტან ალვინგის სახელობის ბავშვთა თავშესაფრის წესდება.“

ა ლ ვ ი ნ გ ი (დიღხანს უცქერის ქალაღს). დაბოლოს, როგორც იქნა, ველირსეთ!

მ ა ნ დ ე რ ს ი. მე ვარჩიე კაპიტნის წოდება და არა კამერჰერისა. კაპიტანი როგორღაც უფრო თავმდაბლურია.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, დიახ, როგორც თქვენ არჩიით.

მ ა ნ დ ე რ ს ი. აი შემნახველი სალაროს წიგნაკიც; ამაშია შეტანილი თავშესაფრის შენახვისათვის საჭირო ხარჯების თანხა.

ა ლ ვ ი ნ გ ი. გმადლობთ. მაგრამ, ქენით სიკეთე, დაიტოვეთ ეს წიგნაკი... ასე ემჯობინება.

მ ა ნ დ ე რ ს ი. კარგი. მე ვფიქრობ, რომ ამ თანხას ჯერჯერობით შემნახველ სალაროში დავტოვებთ. რენტა, რა თქმა უნდა, არცთუ ისე მაცდუნებელია: ოთხი პროცენტი, ექვსთვიანი ანაბრის აღების პირობით. ასე რომ, თუ შემთხვევა მოგვეცემა და კარგი გირავნობის სიგელი შევიძინეთ, — რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს სრულიად ხელსაყრელი და საიმედო ქალაღი, — მაშინ მე და თქვენ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, დიახ, ძვირფასო პასტორო მანდერს, ყველაფერი ეს თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ყოველ შემთხვევაში, მე ვეცდები. მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც დიდი ხანია მინდოდა თქვენთვის შეეცოხა.

ა ლ ვ ი ნ გ ი. რას გულისხმობთ?

მ ა ნ დ ე რ ს ი. დავაზღვიოთ თუ არა თავშესაფრის შენობები?

ა ლ ვ ი ნ გ ი. რა თქმა უნდა, დავაზღვიოთ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მაცალეთ, მაცალეთ. ჯერ საქმე კარგად განვსაჯოთ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. მე ყველაფერს ვაზღვევ — შენობასაც, მოძრავ ქონებასაც, მოსავალსაც და ყოველგვარ ინვენტარს.

მ ა ნ დ ე რ ს ი. თავისთავად ცხადია. ეს ყველაფერი თქვენი პირადი საკუთრებაა. მეც ასე ვიქცევი. ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ აქ, ხედავთ, საქმე სხვაგვარადაა. თავშესაფარს ისეთი წმინდა მიზანი აქვს...

ა ლ ვ ი ნ გ ი. მესმის, მაგრამ თუ მაინც რაიმე მოხდა...

მ ა ნ დ ე რ ს ი. რაც შემეხება პირადად მე, არაფერს დასაძრახისს არა ვხედავ იმაში, რომ ყოველგვარი შემთხვევითობისაგან თავი დავიხლოვოთ...

ა ლ ვ ი ნ გ ი. არც მე.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მაგრამ როგორ შეხედავს ამას ადგილობრივი ხალხი? თქვენ მას ჩემზე უკეთ იცნობთ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. კმ... აქაური ხალხი...

მ ა ნ დ ე რ ს ი. ხომ არ მოიძებნება აქ გავლენიანი ადამიანების გარკვეული რაოდენობა... ნამდვილად გავლენიანი ადამიანებისა, რომელთა აზრსაც აქვს წონა და რომლებიც ამას სათაკილოდ ჩათვლიან?

ა ლ ვ ი ნ გ ი. საკუთრივ რას გულისხმობთ ამ ნამდვილად გავლენიან ადამიანებში?

მ ა ნ დ ე რ ს ი. აი, მე მსედველობაში მყავს თავისი მდგომარეობით იმდენად დამოუკიდებელი და გავლენიანი პირები, რომელთა აზრსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, აქ შეიძლება მოიძებნოს რამდენიმე ასეთი კაცი, რომელიც სათაკილოდ ჩათვლის...

მ ა ნ დ ე რ ს ი. აი, ხედავთ? ქალაქში კი, ასეთები მრავალია. საქმარისია მოიგონოთ მრავალი ჩემი ძმა და თანამოაზრე. ჩვენის მხრით

ასეთ ნაბიჯს იოლად შეხედავენ როგორც ურწმუნოებას. ვითომ ჩვენ არა გვაქვს იმედი უმაღლესი განგებისა

ალვინგი. დიახ, მაგრამ, რაც შეგეხებათ თქვენს, ძვირფასო ბატონო პასტორო, პირადად თქვენ ხომ კარგად იცით, რომ...

მანდერსი. დიახ, მე კი ვიცი. დარწმუნებული ვარ, რომ ასეა საჭირო. ეს გასაგებია. მაგრამ ჩვენ მაინც ვერავის ავუყრძალავთ, რომ ჩვენი საქმეები განსაჯონ მთელი სიგრძე-სიგანით. ხოლო ასეთ ხმებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ თვით საქმეს...

ალვიხგი. ჰო, რაკი ასეა, მაშ...

მანდერსი. მე არ შემიძლია ამასთან მხედველობაში არ მივიღო სამძიმო... მე ვიტყოდი საჩოთირო მდგომარეობა, რომელშიაც შეიძლება მოეხვდეთ. ქალაქის მმართველთა წრეებში ძლიერ დაინტერესებული არიან თავშესაფრით. მისი დანიშნულება ნაწილობრივ ქალაქის საპირობებისათვის სამსახურიცაა: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ბევრად შეუმსუბუქებს თემს ღარიბთათვის ზრუნვის ამოცანას; მაგრამ რადგანაც მე ვიყავი თქვენი მრჩეველი და განვაგებდი ამ წამოწყების მთელ საქმიან მხარეს, ამიტომაც ახლა უნდა მეშინოდეს, რომ მოწურნეები მე დამატყდებიან თავს.

ალვინგი. დიახ, თქვენ ასეთ საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოთ თავი.

მანდერსი. რომ არაფერი ვთქვათ იმ თავდასხმებზე, რაც დამატყდება ცნობილ გაზეთებსა და ჟურნალებში, რომლებიც...

ალვინგი. ემარა, ძვირფასო ბატონო პასტორო. მარტო ეს მოსაზრება წყვეტს საქმეს.

მანდერსი. მაშ არ დავაზღვევთ, არა?

ალვინგი. არა. დავანებოთ ამას თავი.

მანდერსი (სკამის ზურგს მიყრდნობა). და თუ მაინც მოხდება უბედურება? ვინ იცის?... მაშინ ზარალს აანაზღაურებთ?

ალვინგი. არა, პირდაპირ გეტყვით, ამას ვერ ვიკისრებ.

მანდერსი. მაშ იცოდეთ, ქალბატონო ალვინგ... ამ შემთხვევაში ჩვენ თავზე ვიღებთ ისეთ პასუხისმგებლობას, რომელიც დაფიქრებას მოითხოვს.

ალვინგი. მერე, განა, თქვენი აზრით, ჩვენ შეგვიძლია, სხვა-ნაირად მოვიქცეთ?

მანდერსი. არა, საქმეც ის არის, რომ ყბად ასაღები არ უნდა

გავხდეთ. არც იმის უფლება გვაქვს, მრევლის მითქმა-მოთქმა გამოვიწვიოთ.

ალვინგი. ყოველ შემთხვევაში, თქვენ არა გაქვთ ამის უფლება, როგორც მოძღვარს.

მანდერსი. მეც ასე მგონია, ჩვენ ღვთის იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ ამნაირი დაწესებულების საქმე კარგად წავა... რომ ის ზეცის საგანგებო მფარველობის ქვეშ იქნება.

ალვინგი. გვექნება იმედი, პასტორო მანდერს.

მანდერსი. მაშ ვტოვებთ ასე, დაზღვევის გარეშე?

ალვინგი. დიახ, უეჭველად.

მანდერსი. კეთილი. როგორც გნებავთ. (ჩაწერს.) ამრიგად, არ ვაზღვევთ.

ალვინგი. ერთი რამ კი მაინც მიკვირს: რომ თქვენ ამის შესახებ სიტყვა სწორედ დღეს ჩამოაგდეთ.

მანდერსი. ბევრჯერ დავაპირე ამის თქმა თქვენთვის...

ალვინგი. იმიტომაც მიკვირს, რომ გუშინ იქ კინალამ ხანძარი გაჩნდა.

მანდერსი. რა ბრძანეთ?

ალვინგი. არსებითად, უჩვეულო არაფერი. სადურგლოში ბურბუშელა დაიწვა.

მანდერსი. სადაც ენგსტრანდი მუშაობს?

ალვინგი. დიახ. ამბობენ, ასანთს არ უფრთხილდებაო.

მანდერსი. ჰო, ამ კაცის თავი... საესეა ყოველნაირი ფიქრით და ცდუნებით. მადლობა ღმერთს, როგორც მითხრეს, ახლა მაინც ცდილობს წესიერ ცხოვრებას მოეკიდოს.

ალვინგი. მართლა? ვინ გითხრათ?

მანდერსი. თვითონვე მარწმუნებდა. მერე რა მშრომელი კაცი...

ალვინგი. ო, დიახ, სანამ ფხიზელია...

მანდერსი. ახ. ეს რა საბედისწერო სისუსტეა! მაგრამ ის ამბობს, რომ ხშირად იძულებულია დალიოს თავისი დასახიჩრებული ფეხის მიზეზით. უკანასკნელად რომ ქალაქში იყო, პირდაპირ გული ამიჩვილა. მოვიდა და ბავშვის გულწრფელობით დამიწყო მადლობის გადახდა იმის გამო, რომ ეს სამუშაო ვუშოვნე თქვენთან და საშუალება მიეცა რეგინას ახლოს ყოფილიყო.

ა ლ ვ ი ნ გ ი. მაგრამ ეტყობა, რეგინას არც ისე ხშირად ხვდება.  
მ ა ნ დ ე რ ს ი. როგორ არა, თვითონ ასე ამბობს — თითქმის ყო-  
ნაელდღეო.

ა ლ ვ ი ნ გ ი. შესაძლებელია.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ძალიან კარგად ესმის, რომ ესაქვირება ვინმე  
მზრუნველის ხელი, რომელიც სისუსტის წუთებში შეაკავებდა. ყვე-  
ლაზე უფრო მოსაწონი ის არის იაკობ ენგსტრანდში, რომ თვითონ მო-  
დის შენთან ასეთი საცოდავი, უმწეო, და გულწრფელად ინანიებს  
თავის სისუსტეს. ჩემთან უკანასკნელად ყოფნის დროს პირდაპირ  
მითხრა... გესმით თუ არა, ქალბატონო ალვინგ, მას აქვს ასეთი ჭეშ-  
მარიტი სულიერი მოთხოვნილება: სურს თავის გვერდით იყოლიოს  
რეგინა.

ა ლ ვ ი ნ გ ი (სწრაფად წამოდგება). რეგინა!

მ ა ნ დ ე რ ს ი... თქვენ წინ არ უნდა აღუდგეთ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. არა, სწორედ აღუდგები. და გარდა ამისა, რეგინა  
ადგილს მიიღებს თავშესაფარში.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მაგრამ განსაჯეთ, ის ხომ, რაც უნდა იყოს, რეგი-  
ნას მაშაა...

ა ლ ვ ი ნ გ ი. ო, მე უკეთ ვიცი, როგორი მამაც იყო ის რეგინასი.  
არა, ჩემი თანხმობით რეგინა არასოდეს არ დაბრუნდება მასთან.

მ ა ნ დ ე რ ს ი (აღვება). ძვირფასო ფრუ ალვინგ, ასე ნუ ლელავო.  
მართალი გითხრათ, სამწუხაროა, რომ თქვენ ასეთი ცუდი აზრის  
ხართ ენგსტრანდზე. თითქოს პირდაპირ შეგეშინდათ.

ა ლ ვ ი ნ გ ი (უფრო მშვიდად). სულ ერთია. როგორც არ უნდა იყოს,  
რეგინას მე ვზრდი და ჩემთანვე დარჩება (ყურს მიუგდებს.) ჩუ! კმარა.  
ძვირფასო პასტორო, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე (სიხარულით გაბრ-  
წყინებული.) გესმით? ოსვალდი ჩამოდის კიბეზე. ახლა სხვა ყველაფე-  
რი განზე გადავდოთ და ოსვალდს მივხედოთ... (მარცხენა კარიდან შე-  
მოდის ოსვალდ ალვინგი, თხელი პალტო აცვია, ხელში მრგვალი ქედი უჭირავს,  
გრძელ ჩიბუხს ეწევა.)

ო ს ვ ა ლ დ ი (ჩერდება კარებთან). მაპატიეთ... მე მეგონა, თქვენ  
კანტორაში იყავით (უახლოვდება.) გამარჯობათ, ბატონო მოძღვარო!

მ ა ნ დ ე რ ს ი (გაოცებული შეკუთრებს). აჰ!.. ეს გასაოცარია!..

ა ლ ვ ი ნ გ ი. აბა რას იტყვით ჩემს ვაჟზე, მოძღვარო?

მ ა ნ დ ე რ ს ი. მე ვიტყვი... მე ვიტყვი... არა, ნუთუ მართლა ისაა-

ოსვალდი. დიახ. დიახ, თქვენს წინაშეა სწორედ ის უძღები წვილი, ბატონო მოძღვარო.

მანდერსი. კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მეგობარო...

ოსვალდი. ასე ვთქვათ, მამის ჰერქვეშ დაბრუნებული...

ალვინგი ოსვალდი იმ დროს იგონებს, როცა თქვენ წინ აღუდევით მის განზრახვას, მხატვარი უნდა გამოვიდეთ.

მანდერსი. ადამიანის თვალებს შეიძლება საეჭვოდ ეჩვენოს ბევრი რამ, რაც შემდეგ მაინც... (ხელს ართმევს ოსვალდს.) მაშ, კეთილი იყოს, კეთილი იყოს! მაგრამ, ძვირფასო ოსვალდ... ხომ არა ვწყნობ, რომ უბრალოდ სახელით მოგმართავთ?

ოსვალდი. მაშ სხვაგვარად როგორ იქნება?

მანდერსი. ძალიან კარგი. მაშ მე მინდა გითხრათ, ძვირფასო ოსვალდ... არ იფიქროთ, რომ უსათუოდ ვკიცხავ მხატვართა წოდებას. მე ვფიქრობ, რომ ამ სფეროშიაც ბევრი ახერხებს თავისი სულის სიწმინდის შენარჩუნებას...

ოსვალდი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეა.

ალვინგი (სრულიად გაბრწყინებული). მე ვიცი მხოლოდ ერთი ასეთი ქაბუკი, რომელიც დარჩა სპეტაკი სულითა და ხორციით. აგერ, შეხედეთ, პასტორო მანდერს.

ოსვალდი (ოთახში მიმოდის). ჰო, ჰო, დედიკო, დავანებოთ ამას თავი.

მანდერსი. დიახ, ქეშმარიტად... ამისი უარყოფა არ შეიძლება. გარდა ამისა, თქვენ უკვე დაიწყეთ სახელის მოხვეჭა. გაზეთები აშორად ლაპარაკობდნენ თქვენზე და მუდამ ფრიალ კეთილის განწყობილებით. თქმცა ამ ბოლო დროს რაღაც გაჩუმდნენ.

ოსვალდი (ყვავილებთან). უნასკნელ ხანებში ცოტას ვხატავდი.

ალვინგი. მხატვარსაც ხომ უნდა ზოგჯერ დასვენება!

მანდერსი. შემიძლია წარმოვიდგინო. მერედა მზადებაც უნდა, ძალ-ღონის მოკრება რაიმე დიდი საქმისათვის.

ოსვალდი. ჰო... დედა, მალე ვისადილებთ?

ალვინგი. ნახევარი საათის შემდეგ. მადა, ღვთის წყალობით, კარგი აქვს.

მანდერსი. თუთუნის გემოც კარგად გაუცვნია.

ოსვალდი. ზემოთ ვიპოვე მამის ჩიბუხი და...

მანდერსი. აი, თურმე რის გამო!

ალვინგი. რას ბრძანებლით?

მანდერსი. როცა ოსვალდი კბილებში გაჩრილი ჩიბუხით აქ შემოვიდა — მამამისი დამიდგა ცოცხლად თვალწინ!

ოსვალდი. მართლა?

ალვინგი. აბა, ამას როგორ ლაპარაკობთ! ოსვალდი სულ მე მგავს.

მანდერსი. შესაძლოა, მაგრამ ეს ნაკვებები პირისახეზე, ავრთვე მის ტუჩებზე არის რაღაც ისეთი... პირწავარდნილი მამაა! ყოველ შემთხვევაში, როცა ეწევა.

ალვინგი. მე მსგავსებას ვერა ვხედავ. არა, მე აუ მკითხავო, ნაკვებებით უფრო პასტორსა ჰგავს.

მანდერსი. დიახ, დიახ. ბევრს ჩემს თანამოძმეს სახის ასეთივე ნაკვებები აქვს.

ალვინგი. ერთი მოეშვი ამ ჩიბუხს, საყვარელო. ვერ ვიტან აქ თუთუნის წვეას.

ოსვალდი (ემორჩილება). სიამოვნებით. მხოლოდ ისე ვცადე. ერთხელ ეს ჩიბუხი ბავშვობაშიც მომიწევია.

ალვინგი. შენ?

ოსვალდი. დიახ, სულ პატარა ვიყავი. მახსოვს, ერთხელ სადამოს შევდივარ მამასთან ოთახში. ისეთი მზიარული იყო...

ალვინგი. ო, შენ იმდროინდელი არაფერი არ გახსოვს!

ოსვალდი. ძალიან კარგად მახსოვს. მამამ მუხლებზე დამისვა და მომაწეინა. მოსწიეო, ბიჭუნავ, მეუბნებოდა, კარგად მოსწიეო! მეც ვეწეოდი მთელი ძალით, ვიდრე ფერი სრულიად არ დავკარგე და შუბლზე ოფლი არ გამომივიდა. ის კი ხარხარებს... კვდება სიცილით.

მანდერსი. ჰმ... ფრიად ახირებული ამბავია!

ალვინგი. ახ, ოსვალდს ეს ყველაფერი ესიზმრა.

ოსვალდი. არა, დედა, სულაც არ მსიზმრებია. შემდეგ — აბა, როგორ არ გახსოვს? — შენ მოხვედი და წამიყვანე საბავშვო ოთახში. მე იქ ცუდად გავხდი, შენ კი ტიროდი... განა მამა ხშირად სწაილიოდა ასეთ ოინებს?

მანდერსი. ახალგაზრდობაში ფრიად მზიარული კაცი იყო.

ოსვალდი. და მაინც მოახერხა თავისი ცხოვრების მანძილზე

ამდენი საქმის გაკეთება. რამდენი კარგი, სასარგებლო საქმე გააკეთა! მას ხომ სიბერემდე არც მიუღწევია.

მ ა ნ დ ე რ ს ი. დიახ, თქვენ ჭეშმარიტად გამრჯე და ღირსეული ადამიანის მემკვიდრე ხართ, ძვირფასო ოსვალდ ალვინგ! იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ თქვენ მისი მაგალითი მხნეობას მოგანიჭებთ.

ო ს ვ ა ლ დ ი. დიახ, მეც მეგონა, რომ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ჩინებულად მოიქეციით, სწორედ მისი ხსოვნის აღსანიშნავი საზეიმო დღისათვის რომ დაბრუნდით შინ

ო ს ვ ა ლ დ ი. მაშისათვის ამაზე ნაკლების გაკეთება მე არც შემიძლო.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ყველაზე უკეთესი კი ის არის, რომ დამთანხმდა ჩემთან ცოტა მეტხანს დარჩენაზე.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ჰო, მართლა, მე მითხრეს თქვენზე, მთელი ზამთარი აქა რჩებაო.

ო ს ვ ა ლ დ ი. მე აქა ვრჩები განუსაზღვრელი ვადით, ბატონო პასტორო... ვერ წარმოიდგენთ, რა უსაზღვრო ბედნიერებაა დედასთან ყოფნა!

ა ლ ვ ი ნ გ ი (გაბრწყინებული). განა მართლა?

მ ა ნ დ ე რ ს ი (თანაგრძნობით უცქერის ოსვალდს). თქვენ ადრე გაფრინდით მშობლის ბუდიდან, ძვირფასო ოსვალდ.

ო ს ვ ა ლ დ ი. დიახ. ზოგჯერ ვფიქრობ მეტისმეტად ადრე ხომ არა-მეთქი.

ა ლ ვ ი ნ გ ი. რას ამბობ! ნამდვილი, ჯანსაღი ყმაწვილისათვის ეს კარგია. მეტადრე, თუ დედისერთაა. არაფერი საჭირო არაა ასეთის გაჩერება შინ, დედისა და მამის კალთის ქვეშ. გაანებივრებენ და მეტი არაფერი.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ოჰ, ეს ჯერ კიდევ სადავო საკითხია, ქალბატონო ალვინგ! მშობლების სახლი არის და იქნება შეილისათვის ყველაზე უფრო საიმედო ადგილსამყოფელი.

ო ს ვ ა ლ დ ი. სავსებით ვეთანხმები პასტორს.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ავიღოთ თუნდაც თქვენი ვაჟიშვილი. არა უშავს, რომ მისი დასწრებით ვლაპარაკობთ... რა შედეგები მოჰყვა ამას მისთვის? უკვე ოცდაექვსი, ოცდაშვიდი წლისაა, მას კი დღემდე არ ჰქონია შემთხვევა გაეგო, რა არის ნამდვილი მშობლიური კერა.



ოსვალდი. მაპატიეთ, ბატონო პასტორო, თქვენ ცდებით.

მანდერსი. მართლა? მე მეგონა, რომ თქვენ მხოლოდ მხატვრებს შორის ტრიალებდით.

ოსვალდი. ეს მართალია.

მანდერსი. და ძირითადად ახალგაზრდების წრეში.

ოსვალდი. ესეც სწორია.

მანდერსი. მაგრამ, მე ვფიქრობ, მათს უმეტესობას არა აქვს საშუალება, რომ დაქორწინდეს და ოჯახური კერა მოაწყოს.

ოსვალდი. დიახ, ბევრ მათგანს არ ჰყოფნის სახსრები, რომ დაქორწინდეს, ბატონო პასტორო.

მანდერსი. აი, აი, მეც ამას ვამბობ.

ოსვალდი. მაგრამ ამის მიუხედავად მათ აქვთ შინაური კერა. ზოგიერთ მათგანს აქვს სრულიად რიგიანი და ძალიან მყუდრო ოჯახური კერაც.

ალეინგი დაძაბული ადენებს თვალურს საუბარს და ჩუმად თავს აქნევს.

მანდერსი. მე მარტოხელა კაცის კერაზე არა ვლაპარაკობ. კერაში ვგულისხმობ ოჯახს, სადაც მამაკაცი თავის ცოლთან და შვილებთან ცხოვრობს.

ოსვალდი. დიახ, ან კიდევ თავის შვილებთან და შვილების დედასთან.

მანდერსი (ხელი ხელს შემოკრა). ეს რაღაა, ღმერთო მწყალობელი!

ოსვალდი. რა იყო?

მანდერსი. ცხოვრება თავისი შვილების დედასთან!

ოსვალდი. თქვენის აზრით კი უმჯობესია თავისი შვილების დედის გაგდება?

მანდერსი. მაშასადამე, თქვენ ლაპარაკობთ უკანონო კავშირებზე? ეგრეთწოდებულ „ველურ“ ქორწინებებზე?

ოსვალდი. არაფერ განსაკუთრებულსა და ველურს არ ვხედავ ამნაირი ადამიანების თანაცხოვრებაში.

მანდერსი. მაგრამ განა შესაძლებელია, რომ რამდენადმე ცივილიზებული, აღზრდილი ადამიანი დათანხმდეს ასეთ თანაცხოვრებაზე... ყველას დასანახავად?

ოსვალდი. მაშ რა უნდა ქნან? ღარიბი ახალგაზრდა მხატვ-

რი. ღარიბი ახალგაზრდა ქალი... ქორწინება ძვირი ჯდება. რა უნდა ქნან?

მ ა ნ დ ე რ ს ი. რა უნდა ქნან? აი, მე თქვენ გეტყვი, ბატონო ალვინგ, რა უნდა ქნან: თავიდანვე ერთმანეთისაგან შორს დაიჭირონ თავი—აი რა!

ო ს ვ ა ლ დ ი. ეჰ, ასეთი რჩევებით ვერ გათიშავთ ახალგაზრდა მიჯნურებს, რომელთაც ერთმანეთი გატაცებით, მგზნებარე გულით უყვართ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. რა თქმა უნდა!

მ ა ნ დ ე რ ს ი (განაგრძობს). და რანაირად ითმენენ ხელისუფლების შესვეურები ამნაირ ამბებს. როგორ იძლევიან ნებას, რომ ეს აშკარად ხდებოდეს! (ჩერდება ფრუ ალვინგის წინ.) აბა, მქონია თუ არა საფუძველი, როცა თქვენი შვილის გამო ეწუხდი? ისეთ წრეებში, სადაც დაუფარავი უზნეობა ასე ფესვგადგმულია, სადაც ის აღიარებულა, როგორც ბუნებრივი ამბავი...

ო ს ვ ა ლ დ ი. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ბატონო პასტორო... მე მუდმივად ვიმყოფებოდი კვირაობით ორ-სამ ასეთ „უკანონო“ ოჯახში...

მ ა ნ დ ე რ ს ი. და ისიც კვირაობით!

ო ს ვ ა ლ დ ი. ჰო, უქმე დღეებშია მიღებული დროის ტარება. მაგრამ მე იქ ერთხელაც არ მომისმენია უწმაწური სიტყვა, ხოლო რაიმე უზნეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არა, იცით თუ არა, სად და როდის შევხვედრივარ უზნეობას მხატვართა შორის?

მ ა ნ დ ე რ ს ი. არა, ღმერთმა დამიფაროს, საიდან მეცოდინება!

ო ს ვ ა ლ დ ი. ჰოდა, მეც თავს უფლებას მივცემ სიმართლე გითხრათ. უზნეობის მაგალითები მე ვნახე მაშინ, როცა ჩვენთან გამოივლიდა, ცოტა სულის მოსათქმელად რომელიმე პატივცემული თანამემამულე, სამაგალითო პიროვნება, ოჯახის მამა, და პატივსა გვდებდა ჩვენ, უბრალო მხატვრებს. იმით, რომ ჩვენს ღარიბულ სამიკიტიროებში მოგვენახავდა ხოლმე. აი, მაშინ კი გვესმოდა ისეთი ამბები, რომ ყურებს დაიცობდით! ეს ვაჟბატონები მოგვეთხრობდნენ ისეთ ადგილებსა და ისეთ ამბებზე, როგორიც სიზმრად არ მოგვლანდებია.

მ ა ნ დ ე რ ს ი. როგორ?! თქვენ გინდათ დაიწყოთ მტკიცება, რომ ჩვენი ღირსეული თანამემამულეები...

ოსვალდი. განა თქვენ თვითონ კი არასოდეს არ მოგისმენიათ საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ამ ღირსეული პირების ჩივილი იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება უზნეობა უცხო ქვეყნებში?

მანდერსი. კი, რა თქმა უნდა...

ალვინგი. მეც მომისმენია.

ოსვალდი. და შეგიძლიათ ენდოთ მათ სიტყვას. ზოგი მათგანი ამ ამბების კარგი მცოდნეა (თავში იტაცებს ხელს.) ო! ასე ლაფში ამოსვრა მშვენიერი, ნათელი, თავისუფალი სიცოცხლისა!

ალვინგი. ნუ ღელავ ასე, ოსვალდ. შენთვის ეს საზიანოა.

ოსვალდი. მართალი ხარ, დედა. რაღაც ჭანზე ვერა ვარ, თანაც ეს წყეული დაღლილობა... ხომ იცი... წავალ, გავივლი ცოტას სადილობამდე. მაპატიეთ, ბატონო პასტორო. ნუ დამემღურობით. რაღაც ახირებამ მომიარა. (გაღის მარჯვნივ მეორე კარში.)

ალვინგი. ჩემი საბრალო ყმაწვილი!

მანდერსი. დიახ, შეიძლება ასე ითქვას. აი, სადამდე მივიდა!

ალვინგი უსიტყვოდ შესცქერის.

მანდერსი (ბოლოს ცემით). მან თავის თავს უძღვები შვილი უწოდა! დიახ — სამწუხაროდ, სამწუხაროდ!

ალვინგი უწინდებულად ღუმლით უცქერის.

მანდერსი. თქვენ რაღას იტყვით ამაზე?

ალვინგი. ვიტყვი, რომ ოსვალდი ზედმიწევნით მართალია.

მანდერსი (შეჩერდება). მართალია? მართალი!.. ასეთი მოსაზრებები და მართალი!

ალვინგი. მეც ჩემს მარტოობაში ამავე აზრამდე მივედი, ბატონო პასტორ. მაგრამ მე არასოდეს არ მყოფნიდა გაბედულება, რომ ასეთ თემებზე სიტყვა ჩამომეგდო. ახლა კი ჩემს მაგიერ ჩემი შვილი ილაპარაკებს.

მანდერსი. თქვენ თანაგრძნობას იმსახურებთ, ქალბატონო ალვინგ და. მე უნდა მოგმართოთ სერიოზული შეგონებით. ახლა თქვენს წინაშეა არა თქვენი მრჩეველი და რწმუნებული, არა ძველი მეგობარი თქვენი და თქვენი ქმრისა, არამედ სულიერი მამა, თქვენი სინდისის მსაჯული, მოძღვარი, როგორიც ვიყავი თქვენი ცხოვრების ყველაზე არეულ წუთებში.

ალვინგი. და რას მეტყვის ჩემი სულიერი მამა?

მ ა ნ დ ე რ ს ი. პირველ ყოვლისა, მე გამოვავთხიზღობ თქვენს ნებსიერებას. მომენტი სწორედ შესაფერისია. ხვალ სრულდება ათი წელი, რაც მიიცვალა თქვენი ქმარი. ხვალ გაიხსნება განსვენებულის ძეგლი. ხვალ მე სიტყვას ვიტყვი თავმოყრილი ხალხის წინაშე... დღეს კი ჩემი სიტყვით მხოლოდ თქვენ ერთს მოგმართავთ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. კარგი, ბატონო პასტორო, მე ვისმენთ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. გაგონდებათ თუ არა. რომ ქორწინების შემდეგ სულ რაღაც ერთი წლის თავზე თქვენ უფსკრულის პირას იდექით, დატოვებთ სახლი და კერა... გაეჭეცით ქმარს. დიახ. ფრუ ალვინგ, გაიჭეცით, გაიჭეცით და უარი თქვით დაბრუნებაზე. მიუხედავად მთელი მისი მუდარისა?

ა ლ ვ ი ნ გ ი. ის ხომ არ დაგვიწყებიათ, რა უსაზღვროდ უბედური ვიყავი გათხოვების პირველ წელს?

მ ა ნ დ ე რ ს ი. აჰ, სწორედ ეს გახლავთ ამბოხების სული. ბედნიერების მოთხოვნა აქვე, დედამიწაზე! აბა მაუწყეთ, რა უფლება გვაქვს ჩვენ, ადამიანებს, რომ ბედნიერება მოვითხოვოთ? არა, ფრუ ალვინგ, ჩვენ მოვალენი ვართ შევასრულოთ ჩვენი ვალი. და თქვენი ვალი იყო — დარჩენილიყავით ერთგული მისი, ვინც აირჩიეთ ერთხელ და სამუდამოდ, და ვისთანაც დაკავშირებული იყავით წმიდა კავშირით.

ა ლ ვ ი ნ გ ი. თქვენ კარგად იცით, რა თავაწყვეტილ ცხოვრებას ეწეოდა იმ ხანებში ალვინგი, ჩემი ქმარი.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ძალიან კარგად ვიცი, რა ხმებიც დადიოდა მაშინ მის შესახებ. და თვითონ მე იქნებ ყველაზე ნაკლებად მომწონდეს მისი საქციელი ახალგაზრდობაში, თუ საერთოდ ხმებს ვერწმუნებთ. მაგრამ ცოლის მოწოდებას როდი შეადგენს ქმრის განსჯა. თქვენი ვალი იყო მორჩილად გეზიდათ ჯვარი, რაც ზენაარმა განგებამ მოგანდოთ. თქვენ კი ამის ნაცვლად ამხედრდით და გადააგდებთ ეს ჯვარი, მიატოვებთ წაბორძიკებული ადამიანი, რომელსაც ბურჯად უნდა შედგომოდით, და განსაცდელში ჩააგდებთ თქვენი კარგი სახელი... ამასთან, დამატებით, კინალამ დალუპებთ სხვების კეთილი სახელიც.

ა ლ ვ ი ნ გ ი. სხვების? ერთი სხვა პიროვნებისა, მგონი, ასე გინდოდით გეტყვათ?

მ ა ნ დ ე რ ს ი. დიახ, თქვენის მხრით უკიდურესი განუსჯელობა იყო, რომ თავშესაფარს ჩემთან ეძებდით.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ჩვენს სულიერ მამასთან? ჩვენი ოჯახის მეგობართან?

მ ა ნ დ ე რ ს ი. ყველაზე მეტად — ამის გამო. დიახ, მადლობა შეწირეთ შემოქმედს, რომ მე მეყო სიმტკიცე... რომ მე მოვახერხე თქვენი უაღრესი აგზნების გაზომიერება, თქვენს უგუნურ საქციელზე ხელის აღებინება, და უფალი დამეხმარა თქვენს დაბრუნებამდე მოვალეობის გზაზე. შინაურ კერაზე. კანონიერ მეუღლესთან.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, მოძღვარო მანდერს, ეს უდავოდ თქვენ გააკეთეთ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მე მხოლოდ სუსტი იარაღი ვიყავი განგების ხელში. და განა თქვენი და მთელი თქვენი შემდგომი ცხოვრების საბედნიეროდ არ მომიხერხდა მე მაშინ დამეთანხმებინეთ, რომ მოვალეობას დამორჩილებოდი? განა ყველაფერი ისე არ ასრულდა, როგორც მე ვიწინასწარმეტყველე? განა ალვინგმა ხელი არ აიღო მთელს თავის ცდომილებაზე, როგორც ქმარსა და ადამიანს შეეფერება? განა არ ცხოვრობდა იმ დროიდან თავისი აღსასრულის დღემდე უნაკლოდ, თქვენს სიყვარულსა და თანხმობაში? განა არ იქცა თავისი მხარის ჭეშმარიტ კეთილისმყოფელად და არ აგაძალათ თქვენ, არ გაგზადათ თავისი ყველა საქმის მონაწილე? ღირსეულ, საქმიან თანაშემწედ... დიახ, ჩემთვის ეს ცნობილია, ქალბატონო ალვინგ, მე უნდა შევიქოთ და დაგიმადლოთ ეს... მაგრამ აი, მე მივედი თქვენი ცხოვრების მეორე მძიმე დანაშაულამდე.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ახლა რაღას გულისხმობთ?

მ ა ნ დ ე რ ს ი. როგორც ოდესღაც დაივიწყეთ ცოლ-ქმრული მოვალეობანი. ასევე შემდეგ თქვენ უარპყავით დედობრივი მოვალეობაც.

ა ლ ვ ი ნ გ ი. აჰ?..

მ ა ნ დ ე რ ს ი. თქვენს საქციელს მუდამ განაგებდა თვითნებობის საბედისწერო სული. თქვენი სიმპათიები მუდამ თავაშვებულობისა და არეულობის მხარეზე იყო. არასოდეს არ ითმენდით ბორკილებს. მიუხედავად ყველაფრისა, სინდისის ქენჯნის გარეშე, ესწრაფოდით ყოველნაირი ტვირთის გადაგდებას, თითქოს თქვენს პირად სურვილზე იყოს დამოკიდებული, ზიდოთ ეს ტვირთი თუ არ ზიდოთ. არ მოგეპრიანათ იმ მოვალეობის შესრულება, რაც მეუღლეს მოეთ-

ხოვება — და მიატოვეთ ქმარი. თქვენ გემძიმებოდათ დედის მოვალეობა — და ღვიძლი შვილი უცხო აღამიანებს მიაბარეთ.

ა ლ ვ ი ნ გ ი. მართალია, ასე მოვიქცევი.

მ ა ნ დ ე რ ს ი. აი, ამიტომაც გახდით უცხო თქვენი შვილისათვის.

ა ლ ვ ი ნ გ ი. არა, არა უცხო არ გავხდები!

მ ა ნ დ ე რ ს ი. გახდით. უნდა გამხდარიყავით. და რა სახით დაიბრუნეთ უკან? აბა კარგად განსაჯეთ, ფრუ ალვინგ. თქვენ ძლიერ ცოდვილი ხართ ქმრის წინაშე... და ახლა ამას აღიარებთ, ამიტომ აუგეთ ძეგლი. აღიარეთ თქვენი დანაშაულიც შვილის წინაშე. იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან და შესძლოთ დააბრუნოთ ჭეშმარიტების გზაზე. შეუდევით საქმეს და გადაარჩინეთ მასში ის მაინც, რისი გადარჩენაც შეიძლება. დიახ (ასწევს საჩვენებელ თითს.) ჭეშმარიტად, თქვენ ფრიად ცოდვილი დედა ხართ, ქალბატონო ალვინგ! ჩემი ვალია გულახდილად გითხრათ ეს. (ღუმლი.)

ა ლ ვ ი ნ გ ი (წყნარად, ძლიერ თავდაპერილად). ამრიგად, თქვენ უკვე ნითხარით, რისი თქმაც გინდოდათ, ბატონო პასტორო, ხვალ კი ჩემი ქმრის ხსოვნას უძღვნით საჯარო სიტყვას. ხვალ მე არაფერს ვიტყვი. ახლა კი მინდა ზოგი რამ გითხრათ, ისევე როგორც თქვენ ნითხარით.

მ ა ნ დ ე რ ს ი. რა თქმა უნდა, თქვენ გსურთ დაასახელოთ თქვენი საქციელის შემამსუბუქებელი გარემოებანი...

ა ლ ვ ი ნ გ ი. არა. უბრალოდ ვიამბობთ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. აბა?..

ა ლ ვ ი ნ გ ი. თქვენ ახლახან მიამბეთ ჩემი ქმრის შესახებ, ჩვენს თანაცხოვრებაზე მას შემდეგ, რაც თქვენ მოახერხეთ, თქვენივე თქმით, ჩემი დაბრუნება მოვალეობის გზაზე... მაგრამ თქვენ ხომ თვალყური არ გიდევნებიათ ჩვენი ცხოვრებისათვის! იმავე მომენტის მერე თქვენ, ჩვენი მეგობარი და მუდმივი სტუმარი, მეტად არც გამოჩენილხართ ჩვენს ოჯახში.

მ ა ნ დ ე რ ს ი. თქვენ აკი მაშინვე გადმოსახლდით ქალაქიდან.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, და თქვენ ერთხელაც არ შემოგიხედიათ აქ მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჩემი ქმარი ცოცხალი იყო. მხოლოდ საქმეებმა გაიძულეს მერე შემხვედროდით მე, მას უკან, რაც იკისრეთ ამ თავშესაფრის მოწყობა.

მან დერსი (წუნარად, გაუბედავად). ელენე... თუ ეს საყვედურია, მაშინ გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ...

ალვინგი... თქვენი მდგომარეობა. დიახ. და აგრეთვე ის, რომ მე ვიყავი ქალი, რომელიც ქმარს გაექცა. ასეთი ცეტებისაგან კი საერთოდ ყველას შორს უნდა ეჭიროს თავი.

მან დერსი. ძვირფასო... ფრუ ალვინგ, თქვენ უკვე მეტისმეტად აზვიადებთ...

ალვინგი. დიახ, დიახ, დე იყოს ასე. მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ თქვენს მსჯელობას ჩემი ოჯახური ცხოვრების შესახებ მეტად მსუბუქად ამყარებთ მოარულ აზრზე.

მან დერსი. დაუშვით, რომ ასეა. მერე რა?

ალვინგი. აი, ახლა გადმოგილაგებთ მთელს სიმართლეს, ბატონო პასტორო. მე თავს ფიცი მივეცი, რომ ოდესმე თქვენ ამას გაიგებდით — მარტო თქვენ!

მან დერსი. რაში მდგომარეობს ეს სიმართლე?

ალვინგი. იმაში, რომ ჩემი ქმარი მოკვდა ისეთივე გარყვნილი, როგორც იყო მთელ თავის სიცოცხლეში.

მან დერსი (სკამის ზურგს ხელით ჩაეჭიდება). რას ლაპარაკობთ?

ალვინგი. მოკვდა ცოლ-ქმრული ცხოვრების ცხრამეტი წლის-თავზე ისეთივე გაბრწინილი, ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე მონა თავისი ვნებებისა, როგორც იყო მანამდე, როცა თქვენ ჯვარი დაგვწერეთ.

მან დერსი. და ეს სიჭაბუკის დაბნეულობა... სწორი გზიდან ცოტაოდენი გადახვევა... ნადიმები, თუ გნებავთ ყოველივე ამას უწოდოთ გარყვნილება...

ალვინგი. ამ სიტყვას ხმარობდა ჩვენი შინაური ექიმი.

მან დერსი. პირდაპირ არა მესმის რა თქვენი.

ალვინგი. ჰოდა, არც არის საჭირო.

მან დერსი. პირდაპირ ტვინი გადამიტრიალდა... მთელი თქვენი ცოლ-ქმრული ცხოვრება... ეს მრავალწლოვანი თანაცხოვრება თქვენს ქმართან, მაშასადამე, სხვა არა ყოფილა რა, თუ არა უფსკრული.

ალვინგი. სახელდობრ უფსკრული. ახლა თქვენ უკვე იცით ეს.

მან დერსი. ამას... მე ამას ადვილად ვერ შევგუებები. ძალა არ

მყოფნის ჩაეწვდე... აბა ეს რანაირად შეიძლებაოდა?... როგორ უნდა დაფარულიყო ეს ადამიანებისაგან?

ალვინგი. საამისოდ მე ყოველი ცისმარე დღე თავგამოდებით ვიბრძოდი. როცა ოსვალდი დაიბადა, ალვინგი თითქოს ცოტა გონს მოვიდა, მაგრამ დიდი ხნით არა. და მე მომიხდა კიდევ უფრო თავგანწირული ბრძოლა; ეს იყო სამეკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ბრძოლა იმისათვის, რომ არავის არ სცოდნოდა, რას წარმოადგენს ჩემი შვილის მამა. ამასთან, თქვენ ხომ კარგად იცით, გარეგნულად რა სიმპათიური კაცი იყო, როგორ ყველას მოსწონდა. გულშიაც ვინ გაივლებდა მის შესახებ რაიმე ცუდსა და სათაკილოს? ეს იყო ერთი იმგვარი ადამიანთაგანი, რომლებიც, რაც არ უნდა ჩაიღინონ, ხალხის თვალში არ დაეცემიან... მაგრამ თქვენ სხვა რამეც უნდა გაიგოთ, მანდერს... მერე ის დაეშვა უკანასკნელ სიბინძურემდე.

მანდერსი. იმაზე შორსაც წავიდა, რაც უკვე იყო?

ალვინგი. პირველ ხანებში თავი ისე მეჭირა, ვითომ არაფერს ვამჩნევდი, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რაც ხდებოდა საიდუმლოდ, სახლის გარეშ. მაგრამ როცა სირცხვილი ჩვენს საკუთარ სახლში შემოიჭრა...

მანდერსი. რას ლაპარაკობთ! ამ სახლში?

ალვინგი. ღიახ, აქ, ჩვენ საკუთარ სახლში. აი იქ (უჩვენებს თითო პირველ კარზე მარჯვნივ), სასადილოში პირველად გავიგე ეს ამბავი. რაღაც საქმისათვის შევიარე იქ და კარი ღია დავტოვე. უცბად ფეხის ხმა მესმის, ჩვენი მოსამსახურე ქალი შემოდის ბალიდან ვერანდაზე ყვავილების მოსარწყავად...

მანდერსი. მერე, მერე...

ალვინგი. ცოტა ხნის შემდეგ მესმის — ალვინგი შევიდა, ჩუმად უთხრა რაღაცა და უეცრად... (ნერვიული სიცილით.) ო, ეს სიტყვები დღემდე ჩამწივიან ყურში... ასე შემზარავი და თანაც ასე გიჟური!.. მე გავიგონე, როგორ ჩურჩულებდა ჩემი მოსამსახურე ქალი: „გამიშვით, ბატონო კამერჰერო! გამიშვით ხელი!“

მანდერსი. რა მიუტევებელი თავქარიანობაა! მაგრამ მაინც თავქარიანობა და მეტი არაფერი, ფრუ ალვინგ. მერწმუნეთ!

ალვინგი. მალე გავიგე, რაც უნდა მერწმუნა. კამერჰერმა მაინც მიაღწია თავისას... და ამ კავშირმა გამოიღო თავისი შედეგები, პასტორო მანდერს.



მანდერსი (მესნაქრავივით). და ყველაფერი ეს ხდებოდა აქ, სახლში! ამ სახლში!

ალვინგი. ბევრი ტანჯვა გადავიტანე ამ სახლში. რომ გამეჩერებინა იგი სახლში საღამოობით... და ღამეობით... მე იძულებული ვხდებოდი გამომენახა მისთვის თანამესუფრეები, მონაწილეობა მიმელო მის საიდუმლო ქეიფებში ზემო სართულზე... ჩვირად ვიჯექი მის გვერდით. ქიქას ქიქაზე ვაჯახუნებდი, ვსვამდი, ვუსმენდი მის ურიგო, ბუნდოვან ყბედობას, შემდეგ კი რის ვაივაგლახით მიმყავდა დასაძინებლად...

მანდერსი (შეძრწუნებული). და თქვენ შეგეძლოთ ყოველივე ამის ატანა?!

ალვინგი. ცხრამეტი წელი... მე ვითმენდი ყოველივე ამას ბავშვის გულისათვის. მაგრამ როცა დამემატა ეს უკანასკნელი დამცირება, აბუჩად აგდება; როცა ჩემი საკუთარი მოსამსახურე... მაშინ ფიცი დავდე: დროა ბოლო მოედოს ამას-მეთქი! და მე ხელთ ავიღე ძალაუფლება... გავხდი ოჯახის სრულუფლებიანი ქალბატონი... ხელში მყავდა ქმარიც და სხვაც... ახლა ხელთა მქონდა მისი საწინააღმდეგო იარაღი. კრინტის დაძვრასაც ვერა ბედავდა. და აი მაშინ გავაბარე ოსვალდიც. მაშინ შევიდი წლისა ხდებოდა და იწყებდა შემჩნევას, კითხვების დასმას. როგორც ყველა ბავშვი. მე არ შემეძლო ამის ატანა, მანდერს. მეჩვენებოდა, რომ ამ სახლში ბავშვი ჰაერთან ერთად ისუნთქავდა ჰირსსა და სნებას. აი, რატომ გავავზავნე. ახლა კი თქვენ უკვე იცით, რატომ არ გადმოუბიჯებია მას მშობლიური სახლის ზღურბლზე, ვიდრე მამამისი ცოცხალი იყო. არავინ იცის, რა ძვირად მიჯდებოდა ეს.

მანდერსი. ქეშმარიტად, თქვენ ბევრი გადაგიტანიათ.

ალვინგი. ვერც გადავიტანდი, რომ ჩემთან არ ყოფილიყო ჩემი შრომა. დიახ, შემიძლია ვთქვა, მე ვშრომობდი. მამულის ყველა ეს გაუმჯობესება და სრულყოფა მიწების შეძენა, სასარგებლო წამოწყებები და სიახლე, რისთვისაც აქებდნენ ალვინგს—თქვენ გგონიათ კამერპერს საამისოდ ენერგია ეყოფოდა? ყოველდღე დივანზე კოტრილობდა და ძველ კალენდარ-მისამართებს კითხულობდა. არა, ახლა მე ყველაფერს გეტყვით. ყველა ამ საქმისათვის ვაქებებდი მას იმ წუთებში, როცა ნათელი გონება ჰქონდა, ხილო, როცა

ისევ გამოიბრუებოდა ან სულ მოეშვებოდა — იქდა და წუწუნებდა, მთელი სიძიმე თვითონვე გადამქონდა საკუთარ მხრებზე.

მ ა ნ დ ე რ ს ი. და ასეთ ადამიანს თქვენ ძეგლი აუგეთ!

ა ლ ვ ი ნ გ ი. იცით, ჩემს არსებას ეუფლება რაღაც ბოროტი სინდისი.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ბოროტი? ესე იგი, როგორ გავიგოთ ეს?

ა ლ ვ ი ნ გ ი. მე სულ მეჩვენებოდა, რომ სიმართლე მაინც გამოვა დღის სინათლეზე. და აი თავშესაფარს შეუძლია დაფაროს მთელი მითქმა-მოთქმა და გაფანტოს ყველა ეჭვი.

მ ა ნ დ ე რ ს ი. თქვენ, ცხადია, არც შემცდარხართ ანგარიშში.

ა ლ ვ ი ნ გ ი. სხვა მიზეზიც მქონდა. მე მეშინოდა, რომ ოსვალდს, ჩემს შვილს, რაიმე მემკვიდრეობა არ მიელო მამისაგან.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ამას თქვენ ალვინგის ფულზე ლაპარაკობთ, არა?

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ. მე ყოველწლიურად ვინახავდი თავშესაფრისათვის შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, ვიდრე არ დაგროვდა — ეს მე ზუსტად ვიანგარიშე — იმ შეძლების ძირითადი თანხა, რამაც თავის დროზე პორუჩიკი ალვინგი სახარბიელო ადგილზე გამოიყვანა.

მ ა ნ დ ე რ ს ი. გავიგე.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ეს იყო თანხა, რომლითაც მან მიყიდა... არ მინდა ოსვალდის ხელში გადავიდეს თუნდაც ამ თანხის ნამცეცი. ჩემმა შვილმა მთელი თავისი ქონება უნდა მიიღოს მხოლოდ ჩემგან.

ოსვალდი შემოდის მარჯნიდან, უკვე ქუდისა და პალტოს გარეშე.

ა ლ ვ ი ნ გ ი (შესახვედრად შიდას). უკვე დაბრუნდი, ჩემო საყვარელო შვილო?

ო ს ვ ა ლ დ ი. დიახ. რანაირად შეიძლება აქ სეირნობა? გადაუღებლად წვიმს. მაგრამ, მგონია, ახლა სუფრას მოვეუსხდებით. რა კარგია!

რ ე გ ი ნ ა (შემოდის სასაღილო ოთახიდან პაყეტით ხელში). თქვენ სახელზე წერილია, ქალბატონო (გადასცემს პაყეტს.) ალვინგი (პასტორს გადახედავს.) ალბათ, სადღესასწაულო სიმღერებია ხვალინდელი ზემისათვის.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ჰმ...

რ ე გ ი ნ ა. სუფრაც გაშლილია.

ა ლ ვ ი ნ გ ი. კარგი. ახლავე მოვალთ. მე მინდა მხოლოდ... (პაკეტს ხსნის.)

რ ე გ ი ნ ა (ოსვალდს). წითელი პორტვეინი მოგართვათ თუ თეთრი, ბატონო ალვინგ?

ო ს ვ ა ლ დ ი. ისიც და ისიც, იომფრუ ენგსტრანდ.

რ ე გ ი ნ ა. Bien... ძალიან კარგი, ბატონო ალვინგ (გადის სასადილოში.)

ო ს ვ ა ლ დ ი. მართლა, ბოთლების გახსნაში უნდა დავემარო... (გაჰყვება სასადილოში, კარი ღია რჩება.)

ა ლ ვ ი ნ გ ი (ხსნის პაკეტს). დიახ, ასეა. სიმღერებია ხვალინდელი ზეიმისათვის, პასტორო მანდერს.

მ ა ნ დ ე რ ს ი. (გულზელდაკრფილი). მეყოფა ხვალ ძალა და მხნეობა, რომ სიტყვით გამოვიდე?

ა ლ ვ ი ნ გ ი. არა უშავს, როგორმე მოახერხებთ.

მ ა ნ დ ე რ ს ი (წყნარად, რომ სასადილოში არ გაიგონონ). არ შეიძლება სამწყსოს ცდუნელება.

ა ლ ვ ი ნ გ ი (ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ). დიახ. მაგრამ შემდეგ დასრულდება მთელი ეს ხანგრძლივი, მტანჯველი კომედია. ზეგ მიცვალებული შეწყვეტს არსებობას ჩემთვის, ვითომ ამ სახლში არც უცხოვრია. აქ დარჩება მხოლოდ ჩემი შვილი და მისი დედა. (სასადილოში ხმაურით გადავარდება სკამი და ისმის რეგინას მკვეთრი ჩურჩული.)

რ ე გ ი ნ ა. ოსვალდ! ხომ არ გაგიუდი? გამიშვი!

ა ლ ვ ი ნ გ ი (ელანააკრავი). ა! (გიჟს ემსგავსება, იცქირება ნახევრად ღია კარში).

ოთახში ჯერ ოსვალდი ჩაახველებს, მერე რაღაც სიმღერას წამოიწყებს და ბოლოს ისმის, როგორ ხსნის ბოთლს.

მ ა ნ დ ე რ ს ი (აღშუოთებით). რა არის ეს? რა არის ეს, ქალბატონო ალვინგ?

ა ლ ვ ი ნ გ ი (ჩახლეჩილი ხმით). მოჩვენებანი! ვერანდიდან გამოსული წყვილი საიქიოდან დაბრუნებული...

მ ა ნ დ ე რ ს ი. რას ლაპარაკობთ! რეგინა? ნუთუ ის არის?

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ. წავიდეთ. კრინტი ამაზე! (პასტორს ხელში ხვლბ ჩასჭიდებს და გაუბედავად შედის სასადილოში.)

## მეორე მოქმედება

იგივე ოთახი. კვლავინდებურად წვიმის ღრუბელი. მოძღვარი მანდერსი და ქალბატონი ალვინგი გამოდიან სასადილოდან.

ალვინგი (კარებშივე). შეგერგოთ, ბატონო მოძღვარო. (ლაპარაკობს სასადილოსკენ პირშექცეული.) შენ კი არ წამოგვყევები, ოსვალდ?

ოსვალდი (სასადილოდან). არა, გმადლობთ, მინდა ცოტა გავიარო.

ალვინგი. გაიარე, გაიარე, წვიმამ ცოტა გადაიღო. (ხურავს სასადილოს კარს, შიღის წინა ოთახის კართან და იძახის.) რეგინა!

რეგინა (ხმა ისმის). რა გნებავთ, ქალბატონო?

ალვინგი. შედი საუთოებელში, გვირგვინების დაწვნაში მიეშველე.

რეგინა. კეთილი, ქალბატონო.

• ალვინგი დარწმუნებულია, რომ რეგინა წავიდა, კარს მოიკეტავს.

მანდერსი. იმედი მაქვს, ოსვალდი ვერაფერს გაიგონებს.

• ალვინგი. არა — თუ კარი დახურულია. თანაც ის ახლავე წავა.

მანდერსი. ჭერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ. არც კი ვიცი, როგორ ჩადიოდა ყელში ლუკმა სადილობისას.

ალვინგი (მღელვარებას ფრავს, ბოლთას სცემს). მეც ასე ვარ. მაგრამ ახლა რა ვქნათ?

მანდერსი. ჰო, რა ვქნათ? სწორედ გითხრათ, არ ვიცი. ასეთ საქმეებში გამოცდილი არა ვარ.

ალვინგი. მჭერა, რომ ჭერ უბედურება არ მომხდარა.

მანდერსი. არა, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ურიგო დამოკიდებულებას რომ აქვს ადგილი, ეს კი ნათელია.

ალვინგი. ეს მხოლოდ წამიერი აფეთქებაა ოსვალდისა და მეტი არაფერი, ამაში დარწმუნებული იყავით.

მანდერსი. მე ვიშვებ, ასეთი საქმეებისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მაინც მეჩვენება...

ალვინგი. რა თქმა უნდა, საჭიროა სახლიდან რეგინას მოცილება. საჭიროა დაუყოვნებლივ. ეს მზესავით ნათელია...

მანდერსი. თავისთავად ცხადია.

ალვინგი. მაგრამ საით გავისტუმროთ? ჩვენ ხომ უფლება არა გვაქვს...

მანდერსი. საით? რა თქმა უნდა, შინ, მამასთან.

ალვინგი. ვისთანო, როგორ თქვით?

მანდერსი. მამამისთან... ახ, ენგსტრანდი ხომ მისი... მაგრამ, ღმერთო ჩემო, განა ეს წარმოსადგენია? იქნება ცდებით?

ალვინგი. სამწუხაროდ, არა. იოანა იძულებული გახდა თავის აღსარებაში ყველაფერი გაემხილა ჩემთვის... ვერც ალვინგმა გაბედა გადათქმა. და სხვა გზა არ იყო, საქმე მივაფუჩეჩეთ.

მანდერსი. მართლაც, სხვა გამოსავალი არ ყოფილა.

ალვინგი. ქალი მაშინვე გავუშვით და მივეცი საკმაო თანხა დუმილისათვის. დანარჩენი თვითონვე მოაგვარა: გავიდა ქალაქში და განაახლა თავისი ძველი ნაცნობობა დურგალ ენგსტრანდთან. ალბათ გააგებინა, რომ პატარა კაპიტალის პატრონია, შეთხზა ზღაპარი რომელიღაც უცხოელზე, რომელიც ვითომ ზაფხულში საკუთარი იახტით ჩამოვიდა, და სასწრაფოდ ჯვარი დაიწერეს. აკი თქვენ თვითონ დასწერეთ ჯვარი.

მანდერსი. მაგრამ ეს როგორ ახსნას კაცმა? მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ მოვიდა ჩემთან ენგსტრანდი და მთხოვა ჯვარის დაწერა — ისეთი უხასიათო იყო, ისე მწარედ ნანობდა ქარაფშუტობას, რაც თითქოს გამოიჩინა თავისი დანიშნულის მიმართ...

ალვინგი. ჰო, სხვა გზა არა ჰქონდა, დანაშაული თვითონ დაიბრალა.

მანდერსი. მერე ასეთი თვალთმაქცობა იქნება? ისიც ჩემს წინაშე! ამას კი სწორედ არ მოველოდი იაკობ ენგსტრანდისაგან! მე მას ვაჩვენებ სეირს. ეტყობა, ჯერ არ მიცნობს! ასეთი უხეიობა... ფულისათვის! რა თანხა ჰქონდა ქალიშვილს?

ალვინგი. სამასი დალერი.

მანდერსი, აბა წარმოიდგინეთ, რაღაც საძაგელი სამასი და-  
ლერისათვის ზნედაცემულ ქალთან შეუღლება!

ალვინგი. მაშინ რაღას იტყვით ჩემ შესახებ? მე ხომ ზნედა-  
ცემულ მამაკაცს გავყევი ცოლად?

მანდერსი. უფალო, შეგვიწყალო! რას ლაპარაკობთ! ზნედა-  
ცემულ მამაკაცს?

ალვინგი. ან, თქვენი აზრით, ალვინგი, როცა მე მასთან დასა-  
გვირგვინებლად მივდიოდი, უფრო უცოდველი იყო, ვიდრე ეს იოა-  
ნა, როცა ენგსტრანდს მიჰყვებოდა?

მანდერსი. აქ ხომ უზარმაზარი განსხვავებაა!

ალვინგი. დიდი არაფერი განსხვავებაა. ესე იგი, განსხვავება  
იყო ფასში: რაღაც სამასი დალერი და — მთელი ქონება.

მანდერსი. არა, თქვენ რაღაც შეუღარებელს ადარებთ! თქვენ  
ხომ თქვენი გულის ხმას აჰყევიან და ახლობელი ადამიანების რჩე-  
ვებს!

ალვინგი (თვალს არიდებს). მე მეგონა, რომ თქვენ იცოდით, საით  
მიმიწევდა მაშინ გული.

მანდერსი (ღიჟღად) მე რომ რაიმე მცოდნოდა, არც ვიქნებოდი  
თქვენი ქმრის სახლის ყოველდღიური სტუმარი.

ალვინგი. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ მაშინ ჩემს  
თავს კარგად არ დავეკითხე.

მანდერსი. სამაგიეროდ მახლობლებს ჰკითხეთ, როგორც წე-  
სი და რიგია: დედასა და ორივე დეიდა-მამიდას.

ალვინგი. ეს მართალია. საქმე მათაც ჩემ სასარგებლოდ გა-  
დაწყვიტეს. ო, პირდაპირ დაუჭერებელია, რა სწრაფად და იოლად  
მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი წინადადების უარყოფა ნამ-  
დვილი სიგიჟე იქნებოდა! ერთი დედაჩემი ამდგარიყო ახლა საფლა-  
ვიდან და ენახა, რა გამოვიდა ამ ბრწყინვალე ქორწინებიდან!

მანდერსი. შენდებისათვის ეერავინ იყისრებს თავდებობას.  
ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ თქვენი ქორწინება კანონიერად  
ჩატარდა.

ალვინგი (ფანჯარასთან). საქმეც ეგ არის, რომ კანონიერად! მე  
ხშირად მებადება აზრი, რომ სწორედ ესაა ყველა უბედურების მი-  
ზეზი დედაპიწაზე.

მანდერსი. ქალბატონო ალვინგ, თქვენ სცოდავთ.

ალვინგი. შესაძლებელია. მაგრამ ძეტად აღარ შემიძლია შევუბრუნებდე მთელ ამ პირობითობას. რაც ხელ-ფეხს მიზორკავს. არ შემიძლია. მე მინდა თავისუფალი გავხდე.

მანდერსი. რა გინდათ ამით თქვით?

ალვინგი (რაფაელ თითების კაუნთით). სულაც არ უხდა დამეფარა, თუ რა ცხოვრებას ეწეოდა ალვინგი. მაგრამ მაშინ ჩემი სიმხდალის გამო არ შემეძლო სხვანაირად მოქცევა: სხვათა შორის, პირადი მოსაზრებებითაც. მე მხდალი ვიყავი.

მანდერსი. მხდალი?

ალვინგი. დიახ. ხალხს რომ რაიმე გაეგო, იტყოდა: „საბრალო კაცი! რა გასაკვირია, რომ ლოთობდეს, რაკი ისეთი ცოლი ჰყავს, რომ ერთხელ უკვე გაექცაო!“

მანდერსი. და საამისოდ ერთგვარი საფუძველიც ექნებოდათ.

ალვინგი (უაქარის ჩიქურ). რომ ვყოფილიყავი ისეთი. როგორც საჭირო იყო, მე დავუძახებდი ოსვალდს და ვეტყვოდი: მომიხმინე ჩემო ბავშვო, მამაშენი გარყვნილი იყო...

მანდერსი. მაგრამ, ღმერთო მწყალობელო...

ალვინგი. ...და ვუამბობდი ყველაფერს, როგორც ახლა თქვენ, — ყველაფერს, სიტყვასიტყვით.

მანდერსი. მე მზად ვარ გამოვხატო ჩემი აღშფოთება თქვენი სიტყვების გამო, ქალბატონო.

ალვინგი. ვიცი, ვიცი. მე თვითონ აღმაშფოთებენ ეს აზრები. (ფანჯარას შიორდება.) აი, რა მხდალი ვარ.

მანდერსი. და თქვენ ეძახით სიმხდალეს იმას, რაც ითვლება თქვენს უშუალო მოვალეობად? თქვენ გავიწყდებათ, რომ შვილებს უნდა უყვარდეთ თავიანთი მშობლები და პატივი სცენ მათ?

ალვინგი. ნუ განეაზოგადებთ. დავუხვავთ თავს ასეთი კითხვა: პატივი უნდა სცეს თუ არა ოსვალდმა კამერკჰერ ალვინგს?

მანდერსი. განა დედის გული არ გიკრძალავთ, რომ დაღეწოთ თქვენი შვილის იდეალები?

ალვინგი. ჭეშმარიტებას რაღა ვუყვით?

მანდერსი. მერედა იდეალები?

ალვინგი. ახ. იდეალები, იდეალები! მე რომ ასეთი მხდალი არ ვიყო...

მანდერსი. ნუ დაივიწყებთ იდეალებს, ქალბატონო ალვინგ—

ეს საქმე სასტიკ ზღვევას ითხოვს, და მეტადრე, როცა ეს ოსვალდს ეხება. მას, ეტყობა, არც ისე ბევრი იდეალი აქვს — სამწუხაროდ. მაგრამ, რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, მას მამა იდეალად ესახება.

ალვინგი. თქვენ მართალი ხართ.

მანდერსი. ასეთი წარმოდგენა კი მასში თქვენ თვითონ ჩანერგეთ და განამტყიცეთ თქვენი წერილებით.

ალვინგი. დიახ. მე ვიმყოფებოდი მოვალეობისა და სხვადასხვა მოსაზრებების ზეგავლენის ქვეშ. და აი, მე ვატყუებდი შვილს, ვატყუებდი წლიდან წლამდე. ო, რა სიძულადეა, რა სიძულადე!

მანდერსი. თქვენ შექმენით თქვენი შვილის სულში ბედნიერი ილუზია, ქალბატონო ალვინგ... ნუ აძლევთ ამას ასე მცირე მნიშვნელობას.

ალვინგი. ჰმ! ვინ იცის, კარგია თუ არა ეს სინამდვილეში... მაგრამ რეგინას ცდუნების უფლებას არაფრით არ მივცემ. დაუშვებელია მან დადუპოს საბრალო ქალიშვილი.

მანდერსი. არა, ღმერთმა დაგვიფაროს, ეს საშინელება იქნებოდა.

ალვინგი. და რომ ვიცოდე კიდევ, რომ ეს საქმე ოსვალდის მიერ სერიოზულადაა მოფიქრებული, რომ ეს შეადგენს მის ბედნიერებას...

მანდერსი. რა საქმე? როგორ?

ალვინგი. მაგრამ ეს შეუძლებელია. რეგინა, სამწუხაროდ, ასეთი არაა.

მანდერსი. და რომ იყოს?.. რა გინდოდათ გეთქვათ?

ალვინგი. ასეთი საცოდავი და მხდალი რომ არ ვიყო, მე პირდაპირ ვეტყოდი მას: ითხოვე რეგინა, ან მოეწყვეთ, როგორც გუნებოთ, ოღონდ სიცრუის გარეშე-მეთქი.

მანდერსი. მაგრამ, ღმერთო მწყალობელო!.. მათი შეუღლება კანონიერი ქორწინებით!.. ეს რაღაც საშინელება იქნებოდა... გაუგონარი...

ალვინგი. გაუგონარი? ერთი გულზე ხელი მიიდეთ, მოძღვარო მანდერს, განა თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ აქ, ჩვენს ირგვლივ. მოიძებნება მრავალი ცოლ-ქმარი, რომლებიც ერთმანეთს ასევე ახლანათესავებად მოხვდებიან?



მანდერსი. მე თქვენი სრულიად არა მესმის-რა.

ალვინგი. დაეუშვათ, რომ გესმით.

მანდერსი. დიახ, თქვენ გულისხმობთ შესაძლებელ შემთხვევებს, რომ... რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ოქახური ცხოვრება ჩვენში მართლაც ყოველთვის როდი განიჩევა სათანადო სიწმინდით. მაგრამ იმ შემთხვევებში. რომლებზედაც თქვენ მიუთითებთ, არავინ არაფერა იცის... ყოველ შემთხვევაში, გარკვეულად. აქ კი პირიქით... და განა თქვენ, დედა, ისურვებდით, რომ თქვენი შვილი...

ალვინგი. არა, სრულიადაც არა მსურს. სწორედ ეგ არ მინდა, რომ ასეთი რამ მოხდეს. არაფრისათვის ამ ქვეყანაზე. აჰი ამაზე ვლაპარაკობ კიდევ.

მანდერსი. ჰო, სიმბდალის გამო, როგორც თვითონვე ამბობდით, ხოლო რომ არ გამოგეჩინათ სიმბდალე? შემოქმედო!... ასეთი აღმაშფოთებელი კავშირი!

ალვინგი. ჰო, ბოლოს და ბოლოს, ყველა ჩვენგანი წარმოშობილია ასეთი კავშირებისაგან, როგორც იტყვიან. და ვინ დაადგინა ქვეყნად ასეთი წესრიგი, მოძღვარო მანდერს?

მანდერსი. ასეთი კითხვების განსჯას ვერ ვიკისრებ თქვენთან. თქვენში სხვა სულია... მაგრამ რანაირად ლაპარაკობთ, რომ ეს მხოლოდ თქვენი სიმბდალეა...

ალვინგი. მომისმინეთ, აი როგორ მესმის ეს. მე მხდალი ვარ იმიტომ, რომ ჩემში ცოცხლობს რაღაც დრომოქმული... რაღაც მოჩვენებებისმაგვარი, რომელთაც ვერაფრით ვაღწევ თავს.

მანდერსი. როგორ უწოდეთ?

ალვინგი. მოჩვენებები. როცა სასაიდლოდან რეგინას და ოსვალდის ხმა გავიგონე — მეგონა, მოჩვენებებს ვხედავდი. მაგრამ მე თითქმის მჯერა კიდევ, რომ ჩვენც ყველანი მოჩვენებანი ვართ, მოძღვარო მანდერს. ჩვენში თავს იჩენს არა მარტო ის, რაც მემკვიდრეობით გადმოგვეცა დედ-მამისაგან: არსებობენ აგრეთვე ძველი, დრომოქმული ცნებები, მეკვდარი რწმენები და მათი მსგავსი ამბები. ისინი აღარ ცოცხლობენ ჩვენს არსებაში, მაგრამ მაინც მტკიცედ ჩამკვდარან მასში და ჩვენ უძლურნი ვართ გადავაგდოთ ეს დახავსებული მოჩვენებები. საკმარისია ხელში ავიღოთ გაზეთი, რომ დავუნახო, როგორ დაძვრებიან სტრიქონებს შორის ეს საიქიოს მოჩვენებანი. და სწორედ მთელი ქვეყანა სავსეა ასეთი მოჩვენებებით.

ფექრობ, მათი რიცხვი უსაზღვროა, როგორც ზღვაში ქვიშა. ჩვენ კი ასე მხდალები და უბადრუკები ვართ, გვეშინია სინათლისა.

მ ა ნ დ ე რ ს ი. აჰა! აი, სამწუხარო ნაყოფი წიგნების კითხვისა! დიდებული ნაყოფია, რაღა ვილაპარაკოთ! ახ, ეს საზიზღარი, აღმაშფოთებელი, თავისუფალი აზრებით მოწამლული თხზულებები!

ა ლ ვ ი ნ გ ი. ცდებით, ძვირფასო მოძღვარო. ეს აზრი თქვენვე აღძარით ჩემში. ეს თქვენი ღვაწლი და დამსახურებაა.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ჩემი?

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, თქვენ მაიძულეთ დავმორჩილებოდი იმას, რასაც თქვენ ეძახდით ვალსა და მოვალეობას. თქვენ მიქებდით იმას, რის წინააღმდეგაც შფოთავდა ჩემი არსება. და აი მე დავიწყე თქვენი მოძღვრების გარჩევა. მისი ჩხრეკა. მინდოდა გამეხსნა მხოლოდ ერთი კვანძი, მაგრამ როგორც კი ის გავხსენი, მთელი ხლართი ერთბაშად დაიშალა. და მე ვნახე, რომ ეს მანქანით ნაკერი ყოფილა თურმე.

მ ა ნ დ ე რ ს ი (წყნარად, შეძრწუნებულად). ნუთუ ეს არის შედეგი მთელი ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო მძიმე ბრძოლისა?

ა ლ ვ ი ნ გ ი. უმჯობესია მას თქვენი ყველაზე უფრო სასტიკი დამარცხება უწოდოთ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ეს იყო ჩემი ცხოვრების უდიდესი გამარჯვება, ელენე: გამარჯვება საკუთარ თავზე.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ეს იყო დანაშაული ორივე ჩვენგანის წინაშე.

მ ა ნ დ ე რ ს ი. დანაშაულია, რომ გირჩიეთ, დაბრუნდით თქვენს კანონიერ ქმართან-მეთქი, როცა ჩემთან მოხვედით გაგიყებულნი, ყვირილით: „აი მე აქა ვარ! წამიყვანეო!“, ეს იყო დანაშაული?

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, მე ასე მგონია.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ჩვენ ვერ ვუგებთ ერთმანეთს.

ა ლ ვ ი ნ გ ი. უფრო სწორად—აღარ გვესმის ერთმანეთისა.

მ ა ნ დ ე რ ს ი. არასოდეს... არასოდეს ჩემი გულის იღუმალ კუნჭულებშიაც კი არა ყოფილხართ ჩემთვის სხვა ვინმე, თუ არა სხვისი მეუღლე.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ... მართლა ასე გგონიათ?

მ ა ნ დ ე რ ს ი. ელენე!

ა ლ ვ ი ნ გ ი. ადამიანი ადვილად ივიწყებს ხოლმე...

მ ა ნ დ ე რ ს ი. მე კი არა. მე ისეთივე ვარ, როგორც მუდამ ვი-

ყავი.

ალვინგი (ხმას იცვლის). დიახ, დიახ, დიახ... სუ ვილაპარაკებთ წარსულზე. ახლა თქვენ სრულიად ჩაფლული ხართ თქვენს კომისიებსა და სხდომებში, მე კი აქ დავგეტიალობ და ვებრძვი მოჩვენებებს: შინაგანსაც და გარეგანსაც.

მანდერსი. გარეგან მოჩვენებათა განდევნაში მე დაგეხმარებით ყოველივე იმის შემდეგ. რაც ასეთი საშინელი ამბავი გავიგე დღეს თქვენგან. მე არ შემიძლია დამშვიდებული სინდისით დავტოვო თქვენს სახლში ახალგაზრდა გამოუცდელი ქალიშვილი.

ალვინგი. ხომ არ ემჭობინებოდა სადმე მისი მოწყობა? ესე იგი, კარგ ადამიანზე გათხოვება.

მანდერსი. უეჭველად. ვფიქრობ, ეს ყოველნაირად ემჭობინებოდა მისთვის. რეგინა სწორედ ისეთ ასაკშია, რომ... ესე იგი, მე პირადად უვიცი ვარ ასეთ საქმეებში, მაგრამ...

ალვინგი. რეგინა ადრე დაქალდა.

მანდერსი. ხომ მართალია? მახსოვს, ის განსაცვიფრებლად განვითარებული იყო ფიზიკურად. როცა კონფირმაციისათვის ვამზადდებდი. მაგრამ ჭერჭერობით შინ უნდა გაიგზავნოს. მამის მეთვალყურეობის ქვეშ... ახ, ენგსტრანდი ხომ მამად არ... ნუთუ იაკობს შეეძლო... ნუთუ იაკობ ენგსტრანდმა მომატყუა ასე!

იაკობი წინა კარზე.

ალვინგი. ვინ უნდა იყოს? მობრძანდით!

ენგსტრანდი (სადღესასწაულოდ მორთული, კარებში). პატიებას ვითხოვ, მაგრამ...

მანდერსი. აჰა! კმ...

ალვინგი. ა, ეს თქვენა ხართ. ენგსტრანდ?

ენგსტრანდი... მოსამსახურეთაგან არავის იყო, და მეც გავბედე დაკავუნება.

ალვინგი. ოჰ. მობრძანდით, რა ვუყოთ. ჩემთან ხართ?

ენგსტრანდი (შემოდის). არა, უმორჩილესად გმადლობთ. აი, ბატონ მოძღვართან მქონდა სათქმელი ერთი ღერი სიტყვა.

მანდერსი (ბოლოს სცემს). კმ, მაშ ასე? ჩემთან გინდათ ლაპარაკი? არა. მართლა?

ენგსტრანდი. დიახ, ძალიან კი მინდოდა..

მანდერსი (წინ უჩერდება). აბა, ნება მომეცით გკითხოთ, რა  
ჯნებავთ?

ენგსტრანდი. აი, მოგახსენებთ, ბატონო მოძღვარო, საქმე  
სწორედ ეს გახლავთ: ახლა აქ, დაბლა, ანგარიშს მისწორებენ...  
ულრმესი შაღლობა, ქალბატონო... მოგეხსენებათ. საქმეს სრულიად  
მოვრჩით. ჰოდა, მე მგონია, კარგი იქნებოდა... ჩვენ ხომ ყოველთვის  
ასე თანხმობით ვმუშაობდით... კარგი იქნებოდა ამ საღამოს, წასვლის  
წინ, ერთად გველოცა.

მანდერსი. გველოცა? თავშესაფარში?

ენგსტრანდი. ან იქნება ბატონი მოძღვარი ფიქრობს, რო-  
მეო, ეს არ ივარგებს?

მანდერსი. არა, რა თქმა უნდა, როგორ არ ივარგებს, მაგრამ...  
ჰმ...

ენგსტრანდი. თვითონაც ზოგჯერ საღამოობით იქ ვლოცუ-  
ლობ ხოლმე...

ალვინგი. მართლა?

ენგსტრანდი. ჰო, ისე, ზოგჯერ. სულის საცხონებლად, რო-  
გორც იტყვიან. ოღონდ მე ერთი უბირი კაცი ვარ, ყრუ და უსწავ-  
ლელი — დმერთო, განანათლე გონება ჩემი, — არაფერი გამეგება...  
ჰოდა, გავიფიქრე. რაკი თვითონ მოძღვარი აქა ბრძანდება — მეთ-  
ქი...

მანდერსი. აი, ხედავთ, ენგსტრანდ. ჯერ უნდა მოგეთ ასე-  
თი კითხვა: მზად ხართ თუ არა ასეთი ლოცვა-კურთხევისათვის?

გრძნობთ თუ არა, რომ თქვენი სინდისი საამისოდ საკმაოდ წმინდაა?

ენგსტრანდი. ოხ, უფალო, დამიფარე მე ცოდვილი. სად  
ჩვენა და სად სინდისი, ბატონო მოძღვარო.

მანდერსი. არა, სახელდობრ სინდისზე უნდა ვილაპარაკოთ.  
რას მიპასუხებთ ამაზე?

ენგსტრანდი. ჰო, სინდისი... რა თქმა უნდა, ხშირად უმწიკვ-  
ლო როდია...

მანდერსი. მაინც, რომ აღიარებთ, ესეც კარგია, მაგრამ ხომ  
არ ინებებთ პირდაპირ და გულახდილად ამისხნათ... როგორ გავი-  
გოთ ეს — აი, რეგინას ამბავი?

ალვინგი (სწრაფად). მოძღვარო მანდერს!

მანდერსი (დამამუიღებელი ტონით). მაკალეთ!

ენგსტრანდი. რეგინას ამბავი? უფალო იესო! როგორ შემე-  
შინეთ! (უცქერის ელენე ალენჯა) უბედურება ხომ არაფერი შეემთხვა?  
მანდერსი. დამშვიდებული იყავით. მაგრამ მე გეკითხებით —  
როგორ მოგხვდებათ რეგინა? აკი თქვენ მის მამად ითვლებით?.. აბა?

ენგსტრანდი (გაუბედავად). დიახ... ჰმ!... ბატონმა მოძღვარმა  
იცის, რაც მოხდა ჩემსა და მის განსვენებულ დედას შორის.

მანდერსი. არავითარი თავის დაძვრენა! კმარა ეს ხრიკები.  
ყველაფერი გულწრფელად და დაუფარავად უნდა ითქვას! თქვენი  
განსვენებული მეუღლე სამსახურიდან წასვლამდე ყველაფერში გა-  
მოუტყდა ქალბატონ ალიენჯს.

ენგსტრანდი. ახ. იმისი!... არა, მართლა განა?

მანდერსი. დიახ, თქვენ მხილებული ხართ, ენგსტრანდ.

ენგსტრანდი. აკი ის ქალი ცასა და მიწას მეფიცებოდა, თა-  
ვის თავს წყევლიდა, რითაც კი შეეძლო!..

მანდერსი. წყევლიდა?

ენგსტრანდი. არა, მხოლოდ იფიცებოდა, ოღონდ მთელი  
სულითა და გულით.

მანდერსი. და თქვენ ამდენი წლის განმავლობაში მიმაღავ-  
დით სიმართლეს? მიმაღავდით, როცა ყველაფერი ასე ექვემიუტან-  
ლად მჯეროდა თქვენი!

ენგსტრანდი. ჰო, ასე გამოვიდა; ვერაფერს გააწყობ.

მანდერსი. დავიმსახურე თუ არა ეს თქვენგან, ენგსტრანდ?  
განა ყოველთვის მზად არ ვიყავი თქვენს დასახმარებლად სიტყვითა  
და საქმით, რამდენადაც შეემძლო? მიპასუხეთ. ასე არ იყო?

ენგსტრანდი. დიახ, მართალსა ბრძანებთ. არაერთხელ და-  
მადგებოდა შავი დღე, მოძღვარი მანდერსი რომ არ ყოფილიყო.

მანდერსი. და თქვენ კი ასე გადამიხადეთ სამაგიერო? რის-  
თვის შემატანინეთ საეკლესიო წიგნში შეუფერებელი ჩანაწერი და  
მიმაღავდით სიმართლეს ამდენი წლის მანძილზე? თქვენი საქციელი  
შეუწყნარებელია, ენგსტრანდ, და ამიერიდან ჩვენს შორის ყველა-  
ფერი გათავებულა.

ენგსტრანდი (ამოხვნეშით). დიახ, კაცმა რომ თქვას, ასედაც  
გამოდის.

მანდერსი. განა თქვენ ვერაფერს იტყოდით თავის გასამართ-  
ლებლად?

ენგსტრანდი. რაშიღა დასჭირდა კარდაკარ წანწალი და თავისი საქმის მახარობლობა — უარესად თავის შერცხვენა? წარმოიდგინეთ, ბატონო მოძღვარო, ვთქვათ და თქვენ შეგემთხვათ ისეთი რამე, რაც ჩემს განსვენებულ მეუღლეს დაატყდა...

მანდერსი. მე შემემთხვას?

ენგსტრანდი. ღმერთო, უფალო იესო! ასეთი რამ კი არა. მე მინდოდა მეთქვა: თუ შეემთხვა-მეთქი ბატონ მოძღვარს ისეთი რაიმე, ყბადასაღები. რაც მას ხალხის თვალში მოედანზე გამოიყვანდა. როგორც იტყვიან... ჩემისთანა საწყალი კაცი არც აგრე განუკითხველად დაგმობს უბედურ დიაცსა.

მანდერსი. მე არცა ვგმობ იმ ქალს. მე თქვენს საქციელს ვკიცხავ.

ენგსტრანდი. ნებას მომცემს ბატონი მოძღვარი, რომა ერთი ღერი კითხვა მივცე?

მანდერსი. მკითხეთ.

ენგსტრანდი. მართებს თუ არა ადამიანს დაცემულის აღდგენა?

მანდერსი. თავისთავად ცხადია.

ენგსტრანდი. და შეჭფერის თუ არა ადამიანს შეასრულოს ალალი გულით აღებული სიტყვა?

მანდერსი. უსათუოდ. მაგრამ...

ენგსტრანდი. აი, როგორც კი გადაჰკიდა ჩემს იოანას უბედურება იმ ინგლისელმა... ან, ვინ იცის, იქნებ ამერიკელმა, ან კიდეც რუსმა, — როგორც იძახიან, რა! — ისიც მაშინვე ადგა და ქალაქში გადავიდა. საცოდავი პირველ ხანებში ერთი-ორჯერ კიდეც დამემალა; ის დალოცვილი სულ სილამაზეს დაეძებდა, მე კი ფეხში ასეთი ხინჯი მაქვს. ბატონ მოძღვარს მოეხსენება, რომ ერთხელ გავკადნიერდი და შევედი ისეთ დაწესებულებაში, სადაც მეზღვაურებო ღრეობდნენ ხოლმე. და როგორც იტყვიან. თავის ხორცს ატკობდნენ: მინდოდა მათი დაყენება ქეშმარიტების გზაზე და...

ალვინგი (ფანჯარასთან). ჰმ!...

მანდერსი. ვიცი, ენგსტრანდ. იმ გაუთლელმა მეზღვაურებმა თქვენ კიბიდან თავდაყირა გადაგიშვეს. თქვენ უკვე მითხარით ამის შესახებ. თქვენი ხეიბრობა თქვენ პატივსა გდებთ.

ენგსტრანდი. თავს როდი ვიქებ ამით, ბატონო მოძღვარო.

მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ, იოანა მოვიდა ჩემთან და ყველაფერში გამეცნო. მდულარე ცრემლებს აფრქვევდა და კბილებს აკრაქუნებდა. უნდა გამოგიტყდეთ, ბატონო მოძღვარო, მისი სიბრაღით დავიწვი.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მართლა ასე იყო, ენგსტრანდ? მერე? განაგრძე.

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი. მერე, მე ვეუბნები: შენი ამერიკელი არხიონალ სეიზონობს-მეთქი, შენ კი, ვეუბნები, იოანა ჩემო, დაეცი და თავი დაიღუპე. მაგრამ იაკობ ენგსტრანდი მაგრად დგას-მეთქი ორსავე ფეხზე... ესე იგი, მე, ასე ვთქვათ. გადაკრული სიტყვებით ველაპარაკებოდი. ბატონო მოძღვარო.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მესმის. განაგრძეთ, განაგრძეთ.

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი. ჰოდა, მე აღვადგინე დიაცი, ფეხზე დავაყენე და შევუერთდი კანონიერი ქორწინებით; არ მინდოდა, რომა ხალხის ყბაში ჩავარდნილიყო. ყველას გაეგო, რა ურიგოდაც გადაეკიდა უცხოელებს.

მ ა ნ დ ე რ ს ი. ამ მხრივ თქვენ ჩინებულად მოქცეულხართ. არ შემიძლია მოგიწონოთ მხოლოდ ერთი რამ: ფული როგორ აიღეთ!...

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი. ფული? მე? არც ერთი გაზვრეტილი გროში.

მ ა ნ დ ე რ ს ი (ციხვის ნიშნად უყურებს ალინგს). მაშინ არ მესმის...

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი. ახ. დიახ, მომითმინეთ, მომაგონდა. იოანას, მართალია, ჰქონდა რაღაც ფული. მაგრამ იმ ფულისა დანახვაც კი არ მინდოდა. ვამბობდი, რომა ეს მამონია, ცდუნება, ცოდვის საზღაური — ეს საძაგელი ოქრო... ან ქალაღი — რაც იყო, რა!... ჩვენ ამას სახეში ვახლიდით იმ ამერიკელს, გეუბნებით. მაგრამ ის აკი ჩაიღუპა, უცხო ზღვაში ჩაინთქა, ბატონო მოძღვარო.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მართლა ასე იყო, ჩემო კეთილო ენგსტრანდ?

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი. მაშ რანაირად! მე და იოანამ გადავწყვიტეთ ამ ფულით ბავშვის გაზრდა. ასედაც მოვიქცით. ყოველი გროშისათვის შემიძლია ანგარიში ჩავაბაროთ, თუ რაში დაიხარჯა.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მაშინ ეს მნიშვნელოვნად ცვლის საქმეს...

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი. აი. ყველაფერი ისე მოგახსენეთ, როგორც იყო, ბატონო მოძღვარო. გავბედავ და გეტყვით, რომა მე ვიყავი რეგინას ნამდვილი მამა... რამდენადაც ძალა მყოფნიდა... მეც აკი სუსტი კაცი ვარ.

მ ა ნ დ ე რ ს ი. აბა, აბა, ძვირფასო ენგსტრანდ...

ენგსტრანდი. მაგრამ. გავებდავ და მოგახსენებთ, რომა ვზრდიდი ბავშვს და ვცხოვრობდი განსვენებულთან სიყვარულსა და თანხმობაში. ვასწავლიდი და მყავდა მორჩილებაში, — როგორც წმიდა წერილშია ნაბრძანები. არასოდეს არ მომსვლია თავში მოძღვართან მისვლა და ტრახანი, რომა, აი ერთხელ სიცოცხლეში მეც კეთილი საქმე გამოკეთებია-მეთქი. არა, იაკობ ენგსტრანდი გააკეთებს და თავისთვის გაჩუმდება. აბა. რა სალაპარაკოა! — საშწუხაროდ, ისე ხშირად კი არ მოუხდება ხოლმე ადამიანს სიკეთის ჩადენა. პასტორთან მიხვალ და უფრო შენს ცოდვებზე ილაპარაკებ. მოგეხსენებათ: სინდისიც ხომ ზოგჯერ ათას ხათაბალას გადაეყრება!

მანდერსი. თქვენი ხელი, იაკობ ენგსტრანდი!

ენგსტრანდი. უფალო იესო!.. ბატონო მოძღვარო...

მანდერსი. პასუხის გარეშე. (ართხვეს ხელს.) აი. ასე!

ენგსტრანდი. და თუ ახლა მე გულმოდგინებითა გთხოვთ მოტევენას თქვენ. მოწყალე მოძღვარს...

მანდერსი. თქვენა? პირიქით, მე უნდა გთხოვთ პატიება...

ენგსტრანდი. იპ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ როგორ იქნება!

მანდერსი. დიახ, დიახ. მე გთხოვთ სულითა და გულით. მაპატიეთ. რომ თქვენზე ასე მცდარი აზრისა ვიყავი. და ღმერთმა იხებოს. მომეცეს რაიმე შემთხვევა დაგიმტკიცოთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა და კეთილგანწყობილება...

ენგსტრანდი. ბატონი მოძღვარი ასე ინებებდა?

მანდერსი. დიდი სიამოვნებით...

ენგსტრანდი. ჰოდა, აგერ შესაფერისი საქმეც. ამ დალოცვილი ფულითა, რაც აქ მოვაგროვე, გადავწყვიტე. რომა ქალაქში შინაური კერა გავხსნა მეზღვაურებისათვის.

ალვინგი. ნუთუ?

ენგსტრანდი. დიახ, რალაც თავშესაფარისმაგვარი, ასე რომ ვთქვათ. აკი რამდენი საცდური დარაჯობს საბრალო ყარობ მეზღვაურს ხმელეთზე! ჩემსას, სახლში, კი ის იქნებოდა როგორც მშობელ მამასთან, მზრუნველობით გარემოცული.

მანდერსი. რას იტყოდით ამაზე, ქალბატონო ალვინგი?

ენგსტრანდი. ღმერთია მოწამე, ხალდი ფული ცოტა მაქვს. ასეთი თანხით ფეხს ვერ მოიკიდებ. მაგრამ თუ რომელიმე კეთილისმყოფელმა დახმარების ხელი გამომიწოდა...



მანდერსი. კი, კი, ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ ამის შესახებ, ავწონ-დავწონით საქმეს. თქვენი გეგმა მე ძლიერ მომწონს. ახლა კი წადით და გაამზადეთ ყველაფერი, რაც საჭიროა; სანთლებიც დაანთეთ, რომ თავშესაფარს უფრო საზეიმო სახე ჰქონდეს. წავისაუბროთ, კიდევ ვილოცოთ ერთად, ძვირფასო ენგსტრანდ. ახლა მჯერა, რომ სწორედ შესაფერის გუნებაზე ხართ...

ენგსტრანდი. ჰო, მეც ასე ვფიქრობ. მწვიდობით, ქალბატონო, და მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის. გაუფრთხილდით ჩემს რეგინას (ცრემლს იწმენდა.) განსვენებულ იოანას ასულს... აი, წარმოიდგინეთ, თითქოს შეეხარდა ამ გულს. ჰო, სწორედ აგრე გახლავთ (თავს უკრავს და გადის წინა ოთახში.)

მანდერსი. აბა, რას იტყვით ამ კაცზე, ქალბატონო ალვინგ? აკი საქმემ სულ სხვაგვარი ახსნა მიიღო.

ალვინგი. დიახ, ნამდვილად.

მანდერსი. ხედავთ. როგორი სიტუაციით უნდა მოყვასის განსჯა! სამაგიეროდ სასიხარულოა. როცა შეიცნობ, რომ თურმე შემცდარხარ. რას იტყვით?

ალვინგი. მე ვიტყვი: თქვენ იყავით და რჩებით დიდი ბავშვი, მანდერს.

მანდერსი. მე?

ალვინგი (ორივე ხელს მხრებზე აწყობს). და კიდევ ერთ რამეს ვიტყვი: მაქვს სურვილი გადაგეხვიოთ.

მანდერსი (სწრაფად უკან იხევს). არა, არა, ღმერთო მფარველო!... ეს რა სურვილები გქონიათ!

ალვინგი (ღიმილით). კეთილი, კეთილი. ნუ გეშინიათ.

მანდერსი (მაგიდასთან). ზოგჯერ თქვენ რაღაც მტრისმეტად თავისუფალ გამოთქმებსა ხმარობთ... ჰო, ახლა ყველა ქალაქს მოვაგროვებ და ჩანთაში ჩავდებ (აწყობს ქალაქებს.) აი, ასე. და ჭერ-ჭერობით ნახვამდის! ოთხი თვალი გამოისხით, როცა ოსვალდი დაბრუნდეს. მერე ისევ შემოვივლი თქვენთან (იღებს ქულს და გადის წინა ოთახიდან.)

ალვინგი (ამოიოხრებს, გაიხედავს ფანჯარაში, რაღაც ნივთებს ალაგებს ოთახში, მერე აღებს სასადილოს კარს, უნდა შევიდეს, მაგრამ ზღურბლზე იერ-ღება, ხმადაბალი შეკვივლებით). ოსვალდ, შენ ისევ სუფრასთან ზიხარ!

ოსვალდი (სასადილოდან). სიგარის წვევას ვამთავრებდი.

ალვინგი. მე მეგონა, რომ დიდი ხნის წინ წახვედი სასეირნოდ.

ოსვალდი. ამისთანა ამინდში? (ისმის ჰიქის ხმაური.)

ალვინგი (ყარს ლიად ტოვებს, იღებს სამუშაოს და ჯდება დივანზე ფანჯრის წინ.)

ოსვალდი (სასადილოდან). ეს ახლა მოძღვარი წავიდა, არა?

ალვინგი. დიახ, თავშესაფარში წავიდა.

ოსვალდი. ჰმ! (ისევ ისმის ბოთლის წყრიალი ჰიქაზე.)

ალვინგი. ძვირფასო ოსვალდ, უნდა მოერიდო ამ ლიქიორს. მაგარია, გავნებს.

ოსვალდი. წვიმიან ამინდში ეს კარგია.

ალვინგი. აქეთ არ გამოხვალ, ჩემთან?

ოსვალდი. მანდ რომ მოწვევა არ შეიძლება!

ალვინგი. სიგარისა შეიძლება, შენ ეს იცი.

ოსვალდი. ჰო? აბა მაშ მოვალ. მხოლოდ კიდეც ერთი ყლუპი... მორჩა. (გამოდის სიგარით ხელში, ყარს მოიხურავს. მოკლე პაუზა.) მოძღვარი სადღაა?

ალვინგი. აკი გითხარი, თავშესაფარში წავიდა.

ოსვალდი. აჰ, მართლა.

ალვინგი. ასე დიდხანს არ გინდა სუფრასთან ჯდომა, ოსვალდ.

ოსვალდი (სიგარა ზურგს უკან უჭირავს). და თუკი მე ასე მინდა დედა? (ხელით ეფერება.) წარმოიდგინე, რას ნიშნავს ეს ჩემთვის — შინ დაბრუნება, საკუთარი დედიკოს სუფრასთან ჯდომა დედიკოს ოთახში და დედიკოს საუცხოო საჭმელებით პირის ჩატკბარუნება!

ალვინგი. ძვირფასო, ძვირფასო ჩემო ბავშვო!

ოსვალდი (დადის ოთახში, ოდნავ გაბრაზებული). მაშ აქ რა უნდა გავაკეთო? მუშაობა არ შეიძლება...

ალვინგი. ნუთუ არ შეიძლება?

ოსვალდი. ასეთ ჰინჰულიან ამინდში? მთელი დღე ისე გადის. რომ მზე ერთხელაც არ გამოიხედავს. (ბოლთას სცემს.) ახ, ეს საშინელებაა, უსაქმოდ ჯდომა.

ალვინგი. შენ, როგორც ვატყობ, იჩქარე შინ დაბრუნება.

ოსვალდი. არა, დედა. ასე იყო საჭირო.

ალვინგი. მე უმალ უარს ვიტყოდი შენი შინ ნახვის ბედნიერებაზე, ვიდრე გიყურებდე, თუ როგორ...

ოსვალდი (დედის წინ ჩერდება). მითხარი, დედა, განა მართლა ასეთი დიდი ბედნიერებაა, რომ აქ მიყურებ?

ალვინგი. ბედნიერება? ჩემთვის?

ოსვალდი (გაზუსტ კმუჟნის). მე მგონია, შენთვის ეს სულ ერთი უნდა იყოს — ვიქნები მე თუ არ ვიქნები ქვეყნად.

ალვინგი. ოსვალდ, როგორ ეუბნები ამას დედაშენს?

ოსვალდი. მაგრამ აქი უჩემოდაც კარგად ცხოვრობდი უწინ.

ალვინგი. დიახ, ვცხოვრობდი... ეს მართალია.

დუმილი. ბინდება თანდათან უფრო მძიმედ. ოსვალდი დაღის ოთახში. სიგარა დაღო.

ოსვალდი (ღეღის წინ ჩერდება). დედა, შეიძლება შენთან დავჯდე დივანზე?

ალვინგი (უთმობს ადგილს თავის გვერდით), ჩამოჯექი, ჩამოჯექი, ჩემო ძვირფასო.

ოსვალდი (ძდება). რაღაც მინდა გითხრა, დედა.

ალვინგი (სმენაღქცეული). აბა?

ოსვალდი (სივრცეში იხედება). მეტად აღარ შემიძლია ამ ტვირთის ზიდვა.

ალვინგი. რა ტვირთის? რა მოგდის?

ოსვალდი (უწინდებურად). ვერაფრით ვერ გადავწყვიტე მომეწერა შენთვის ეს ამბავი. ახლა, როცა დავბრუნდი...

ალვინგი. (ხელში ჩაუღებს ხელს). ოსვალდ, რა ამბავია?

ოსვალდი. გუშინაც და დღესაც ყოველნაირად ვცდილობდი გამეფანტა ეს აზრები, მინდოდა ყველაფერზე ხელი ჩამეჭნია. არა, ეს არც ისე ადვილი ყოფილა.

ალვინგი (აღგება). ახლა შენ ყველაფერი უნდა მითხრა. ოსვალდ.

ოსვალდი (ისევ დასვამს დივანზე დედას). არა, იჯექი, იჯექი, და მე შევეცდები გითხრა... აქი რამდენს ვუჩიოდი გზას, დავილაღე-მეთქი...

ალვინგი. დიახ. მერე ახლა?

ოსვალდი. მაგრამ საქმე სხვაგვარადაა. ის, რაც მე მჭირს, უბრალო დაღლილობა არ არის.

ალვინგი (მზადაა წამოვარდეს). ავად ხომ არა ხარ, ოსვალდ?

ოსვალდი (ისევ დასვამს). იჯექი... დედა... და შეხვდი ამას დამშვიდებით, ავად არა ვარ... იმ გაგებით, როგორც ეს საერთოდ ეს მით (თავზე იჭერს ხელებს.) დედა, მე მოტეხილი ვარ... სულიერად გა-

ტესილი... მეტად ვეღარ ვიმუშავებ, დედა, ვეღარასოდეს! (სახეს ხელ-  
ბით იფარავს და ქეთინით ჩავარდება დედის კალთაში.)

ალვინგი (ფერწასული, ცახცახით). ოსვალდ! შემომხედე. არა, არა  
ეს მართალი არ არის.

ოსვალდი. (უტყუარის სასოწარკვეთილი). სამუდამოდ დაკარგოს კაც-  
მა შრომის უნარი... ვეღარ იმუშაოს ვერასოდეს... იყო ცოცხალი  
ბიკვალბული! დედა, შეგიძლია თუ არა წარმოიდგინო ასეთი სა-  
შინელება?

ალვინგი. უბედურო ჩემო შვილო! საიდან დაგეპართა ეგ სა-  
შინელება?

ოსვალდი (ისევ ჯდება, გასწორდება). აი, ეს კი აბსოლუტურად  
გაუგებარი და მიუწევდომელია. გადაჭარბება არაფერში არ მიყვარ-  
და. არასოდეს და არაფერში. სხვანაირად არ იფიქრო, დედა. არა-  
სოდეს ისეთი არაფერი გამიკეთებია.

ალვინგი. არც მიფიქრია. ოსვალდ.

ოსვალდი. და მაინც თავს დამატყდა ასეთი საშინელი უბედუ-  
რება.

ალვინგი. ნუ გეშინია, გაივლის. ჩემო ძვირფასო, საყვარელო  
ბავშვო. უბრალო გადაქანცვლა და მეტი არაფერი. დამიჯერე.

ოსვალდი (შიშველ დაღვრებით). პირველ ხანებში მეც ასე ვფიქ-  
რობდი, მაგრამ საქმე სხვანაირადაა.

ალვინგი. მიაბზე ბარემ ყველაფერი დალაგებით, ყველაფერი,  
ყველაფერი.

ოსვალდი. მეც სწორედ ეგ მინდა.

ალვინგი. როდის შენიშნე ეს პირველად?

ოსვალდი. რაც უკანასკნელად ვიყავი შინ და პარიზში დაგბ-  
რუნდი. ჯერ საშინელი თავის ტივილები დამეწყო... განსაკუთრებით  
კეთის არეში. თავზე თითქოს ვიწრო რკინის სალტეს მაცვამდნენ  
და ხრახნებს უჭერდნენ ქვემოდან ზევით.

ალვინგი. შემდეგ?

ოსვალდი. ჯერ მეგონა, ეს ჩვეულებრივი თავის ტივი-  
ლები იყო, რომელიც ასე მტანჯავდა პატარაობაში.

ალვინგი. პო, პო...

ოსვალდი. მაგრამ მალე შევნიშნე, რომ ეს სხვა იყო. მე აღარ  
შემეძლო მუშაობა. იმ ხანებში ვემზადებოდი ახალი დიდი სურათის

დასაწყებად, მაგრამ თითქოს მთელმა ჩემმა ნიქმა და უნარმა მიმტყუნა, მთელი ჩემი ძალა დაიშრიტა, მე აღარ შემიძლო აზრების თავმოყრა... თავში ყველაფერი ამებნა... აირია, ო, ეს იყო საშინელი მდგომარეობა! ბოლოს ეჭიმი დავიბარე... და მისგან გავიგე. რაშიც ყოფილა საქმე.

ალვინგი. რა გაიგე?

ოსვალდი. ეს ერთი საუკეთესო პარიზელი ეჭიმი იყო. მე მომიხდა ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა, თუ რას ვგრძნობდი და განვიცდიდი, შემდეგ კი მან მომცა უამრავი კითხვა. პირველად მომეჩვენა, რომ მათ საქმესთან საერთო არაფერი ჰქონდათ. არ მესმოდა, საით უმიზნებდა...

ალვინგი. მერე?

ოსვალდი. ბოლოს თქვა: თქვენ უკვე დაბადებული ხართ კიანჯამი გულით. სწორედ ასე თქვა: „vermoulu“.

ალვინგი (დაკიბული). რისი თქმა უნდოდა ამით?

ოსვალდი. ვერც მე გავიგე და ვთხოვე უფრო ნათლად ეთქვა. და მაშინ ამ ბებერმა ცინიკოსმა თქვა... (მუშტებზე კუმშავს.) ო!

ალვინგი. რა თქვა? \*

ოსვალდი. მან თქვა: მამების ცოდვამ უწია შეილებსო.

ალვინგი (წელა წამოდგა). მამების ცოდვამ...

ოსვალდი. კინდამ სილა გავაწანი...

ალვინგი (მიღის განზე). მამების ცოდვამ...

ოსვალდი (დაღლილის ლიმილით). დიახ. როგორ მოგწონს! რა თქმა უნდა, მე შევეცადე მის დაჭერებას, რომ არაფერი მსგავსი აქ არ შეიძლება იყოს. მაგრამ შენ გგონია, დამნებდა? არა. თავისი დაიუნა, და მხოლოდ მაშინ, როცა ვაჩვენე შენი წერილები და ვუთარგმნე ყველა ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო მამის შესახებ...

ალვინგი. მერე?

ოსვალდი. მაშინ, რაღა თქმა უნდა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ შეცდა, და მე გავიგე ქეშმარიტი სიმართლე, მიუწვდომელი სიმართლე. არ უნდა ავეყოლოდი ჩემს ამხანაგებს, რომლებიც ეწეოდნენ მხიარულ უდარდელ ცხოვრებას. საამისოდ ფიზიკურად ძლიერ სუსტი ვიყავი. ამრიგად, თვითონ მე ვარ დამნაშავე.

ალვინგი. ოსვალდი! არა! არ დაიჯერო ეს!

ოსვალდი. სხვა ახსნა არ არსებობსო — თქვა მან. აი, რა არის!

საშინელება: საკუთარი თავის დაღუპვა სრულიად უიმედოდ, სამუდამოდ... საკუთარი ქარაფშუტობით! და ყველა ჩემი გეგმა, ამოცანა... რა საშინელებაა. რომ ვერც კი გაბედო ამაზე ფიქრი!.. ო, რომ შეიძლებოდეს სიცოცხლის დაწყება თავიდან... ყველაფრის წაშლა, რაც იყო! (სახით ეცემა ღივანზე.)

ალვინგი. უსიტუვოდ, ხელების მტვრევით, თავის გულს ებრძვის, დაღის ოთახში.

ოსვალდი (ცოტა ხნის შემდეგ წამოიწვეს, იდაყვზე დაყრდნობილი უქერის დედას). ეს რომ მემკვიდრეობითი ამბავი ყოფილიყო, ისეთი, რის გამოც თვითონ უდანაშაულო ხარ... მაშინ ვერაფერს გააწყობ. მაგრამ ეს? ასე სამარცხვინოდ, უაზროდ, ქარაფშუტულად დაანგრიო შენი საკუთარი ბედნიერება, საკუთარი ჯანმრთელობა... გააფუტკო მთელი შენი მომავალი, მთელი შენი სიცოცხლე მოწამლო!

ალვინგი. არა, არა, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ბავშვო! ეს შეუძლებელია. (დაიხრება.) შენი მდგომარეობა არც ისე უიმედოა, რაგორც ფიქრობ.

ოსვალდი ახ, შენ არ იცი... (წამოხტება.) და დამატებით შენ დაგატეხე ასეთი საშინელი დარდი. რამდენჯერ მზად ვყოფილვარ დამეჯერებინა, რომ შენ არსებითად არც ისე ძალიან გესაქიროები.

ალვინგი. მე! ოსვალდ! როცა შენ ჩემი ერთადერთი შვილი ხარ... ჩემი ერთადერთი საუნჯე... ერთადერთი, რაც გამაჩნია, მიყვარს და ძვირად მიღირს ამქვეყნად?.

ოსვალდი (ორივე ხელს დაუპერს უკონის). დიახ, დიახ, მე ვხედავ ამას. როცა შინ ვიმყოფები მე ვხედავ ამას. და ეს ყველაზე მეტად მიძიმს... მაგრამ ახლა ყველაფერი იცი. და დღეის მეტად ამაზე აღარ ვილაპარაკებთ. მე არ შემიძლია ამაზე დიდხანს ფიქრი... (განზე მიდის.) მომეცი რაიმე დასალევი, დედა.

ალვინგი. დასალევი? რა გინდა, რომ დალიო?

ოსვალდი. სულ ერთია. ცივი პუნში არ გექნება?

ალვინგი. მაგრამ, ძვირფასო ოსვალდ...

ოსვალდი. ოჰ, დედა, ნუ მედავები. გთხოვ... რაიმეთი ხომ უნდა ჩაუახშო ეს მტანჯველი აზრები? (გადის აივანზე.) დამატებით კიდევ... ეს სიბრელე, აქ რომ მეფობს!

ალვინგი ზარს ჩამოჰკრავს.

ოსვალდი. და ეს უსასრულო წვიმა! ასე შეიძლება გაგოძელ-

დეს კვირაობით, თვეობით. არც ერთხელ მზე არ გამოიხედავს. რამდენჯერაც აქ ჩამოვსულვარ, სულ წვიმს, არ მახსოვს, რომ ერთხელ მაინც მენახა მზე.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ოსვალდ... შენ ისევე ფიქრობ დედის მიტოვებას?

ო ს ვ ა ლ დ ი. კმ... (მძიმედ ზენეშის.) მე არაფერს არ ვფიქრობ. არაფერზე არ შემიძლია ვიფიქრო. (ყრუად) უნდა გადავდო ზრუნვა და ფიქრი.

რ ე გ ი ნ ა (შემოდის სსს დროიდან). რეკავდით, ქალბატონო?

ა ლ ვ ი ნ გ ი. ჰო, ლამპაა საჭირო.

რ ე გ ი ნ ა. ახლავე. უკვე ავანთე (გაღის.)

ა ლ ვ ი ნ გ ი (მიდის ოსვალდთან). ოსვალდ, არ დამიფარო არაფერი.

ო ს ვ ა ლ დ ი. არაფერსაც არ ვფარავ, დედა. (მიდის შავადასთან.) მე მგონია უკვე საკმარისად გითხარი.

რეგინას შემოაქვს ანთებული ლამპა და დგამს მაგიდაზე.

ა ლ ვ ი ნ გ ი. გამიგონე, რეგინა, მოგვიტანე ნახევარი ბოთლი შამპანური.

რ ე გ ი ნ ა. კეთილი, ქალბატონო. (გაღის.)

ო ს ვ ა ლ დ ი (დედას თავში ხელებს ავლებს). აი, ასე. მე ვიცოდი, რომ დედა წყურვილით არ დამახრჩობდა.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ჰო, ჩემო საბრალო, ძვირფასო ბავშვო. განა შემიძლია რამეზე უარი გითხრა?

ო ს ვ ა ლ დ ი (გამოცოცხლდა). მართლა, დედა? ამას სერიოზულად ამბობ?

ა ლ ვ ი ნ გ ი. რასა?

ო ს ვ ა ლ დ ი. რომ უარს არაფერზე არ მეტყვი?

ა ლ ვ ი ნ გ ი. ოჰ, ძვირფასო ოსვალდ...

ო ს ვ ა ლ დ ი. სსუ!

რ ე გ ი ნ ა (შემოაქვს ლანგარი ნახევარი ბოთლი შამპანურით და ორი კაბით, დგამს მაგიდაზე). გაცხსნა?

ო ს ვ ა ლ დ ი. არა, გმადლობთ, მე თვითონ გავცხსნი (რეგინა გაღის.)

ა ლ ვ ი ნ გ ი (ჭდება მაგიდასთან). რაზე ამბობდი, მართლა, უარს ხომ არ მეტყვი არაფერზეო?

ო ს ვ ა ლ დ ი (ხსნის ბოთლს). ჯერ დავლიოთ თითო კაბხა... ან ორი. (საცობი ხმაურით ვარდება. ასხამს ერთს და უნდა შეავსოს მეორეც.)

ა ლ ვ ი ნ გ ი (კაბხას ხელს აფარებს). არა, მე არ მინდა.

ოსვალდი. ჰოდა, მაშ მე დავისხამ კიდევ ჩემთვის! (დაასხამს, დაკლის, ისევ დაასხამს, დაკლის დაჯდება.)

ალვინგი (მოლოდინში). აბა?

ოსვალდი (არ უუბრებს). გამიგონე, მითხარი... მე მომეჩვენა რომ სუფრაზე შენ და მოძღვარი რაღაც უცნაურად... ჰმ!.. რაღაც გაჩუმებული იყავით.

ალვინგი. შენ შენიშნე?

ოსვალდი (მოკლე პაუზის შემდეგ). დიახ. ჰმ... მითხარი, როგორ მოგწონს რეგინა?

ალვინგი. როგორ მომწონს რეგინა?

ოსვალდი. დიახ. რას იტყვი, განა მომხიბლავი არ არის?

ალვინგი. ძვირფასო ოსვალდ, შენ მას არ იცნობ ისე ახლოს, როგორც მე...

ოსვალდი. მერე?

ალვინგი. რეგინა, სამწუხაროდ, ძლიერ დიდხანს ცხოვრობდა თავის მშობლებთან. ქალიშვილი ადრე უნდა გადმომეყვანა ჩემთან.

ოსვალდი. ჰო, შეიძლება; მაგრამ განა ის მომხიბლავი არ არის? (ისხამს შამპანურს).

ალვინგი. რეგინას ბევრი ნაკლი აქვს, და ბევრი მძიმე ნაკლიც.

ოსვალდი. მერე ამით რა? (სვამს.)

ალვინგი. მაგრამ მე მაინც მიყვარს ის. და მოვალეც ვარ მის წინაშე. არაფრის გულისათვის არ ვისურვებდი, რომ რეგინას რაიმე მოსვლოდა.

ოსვალდი (წამობტება). დედა, რეგინაშია მთელი ჩემი ხსნა!

ალვინგი (წამოდგება). რა თვალსაზრისით?

ოსვალდი. მე არ შემიძლია, ძალა არ შემწევს, რომ ეს ტანჯვა ერთმა ავიტანო.

ალვინგი. მერე, დედა?... დედას არ შეუძლია დახმარება?

ოსვალდი. პირველად მეც ასე მეგონა. ამიტომაც დავბრუნდი 'შენთან. მაგრამ, ვხედავ, ასე არ იქნება. ვხედავ — მე აქ ვერ გავძლებ.

ალვინგი. ოსვალდ!

ოსვალდი. მე სხვა ცხოვრება მინდა, დედა. ამიტომ უნდა წავიდე შენგან. არ მინდა, რომ ჩემი გულისათვის შენ იტანჯებოდე.

ალვინგი. ჩემო საბრალო ბავშვო! ო! მაგრამ ჭერ ხომ შენ ასე ავადმყოფი ხარ, ოსვალდ?



ოსვალდი. ახ, ეს რომ მხოლოდ ავადმყოფობა ყოფილიყო. მე დავრჩებოდი შენთან, დედა. აკი მე ქვეყნად შენზე უკეთესი მეგობარი არა მყავს!

ალვინგი. ხომ მართალია, ოსვალდ?

ოსვალდი (მოუსვენრად დადის ოთახში). მაგრამ ეს მთელი ტანვა... სინანული... და ეს უსაზღვრო, მომაკვდინებელი შიში... ო, ეს საზარელი შიში!

ალვინგი (დაჰყვება). შიში? რა შიში? რას ლაპარაკობ?

ოსვალდი. ნუ მეკითხები. თვითონაც არ ვიცი. არ შემიძლია ავიწერო.

ალვინგი გადის მარჯვნივ და რეკავს.

ოსვალდი. რა გინდა?

ალვინგი. მინდა, რომ ჩემი ბავშვი გამხიარულდეს, არ ხეტიალობდეს აქ თავისი ფიქრებით. (შემოსულ რეგინას.) მეტი შამპანური. მთელი ბოთლი! (რეგინა გადის.)

ოსვალდი. დედა!

ალვინგი. შენ გგონია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აქ, სოფელში ცხოვრება?

ოსვალდი. დედა, განა ის მომხიბლავი არ არის? რა ტანი აქვს! რა ნორჩი და რა ჯანსაღია!

ალვინგი. დაჯექი, ოსვალდ, და დამშვიდებით მოვილაპარაკოთ.

ოსვალდი (თვითონაც მაგიდასთან ჯდება). შენ, ალბათ, არ იცი, დედა, რომ დამნაშავე ვარ რეგინას წინაშე და უნდა გამოვისყიდო დანაშაული.

ალვინგი. შენ?

ოსვალდი. ან. თუ გინდა, მცირე მოუფიქრებლობა, თუმცაღა სრულიად უმანკო. უკანასკნელად რომ აქ ჩამოვედი...

ალვინგი. მერე?

ოსვალდი. რეგინა სულ ერთთავად პარიზის ამბავს მეკითხებოდა: მეც ვუამბობდი ხან რას და ხან რას. და, მახსოვს, ერთხელ ეკითხე: პარიზის ნახვა ხომ არ გინდა-მეთქი.

ალვინგი. მერე?

ოსვალდი. სრულიად აენტო და მიპასუხა, რა თქმა უნდა, ძალიანაც გულით მინდაო. მეც ავდექი და ვუთხარი: მაშ ამას როგორ-მე მოვაწყობთ-მეთქი... თუ რალაც ამისი მსგავსი.

ალვინგი. მერე?

ოსვალდი. შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამავიწყდა. მაგრამ ახლა, სამი დღის წინ ვეკითხები, გაგიხარდა თუ არა, აქ რომ დიდი ხნით ვრჩები-მეთქი...

ალვინგი. მერე?

ოსვალდი. ...მან კი რაღაც უცნაურად შემომხედა და მითხრა: ჩემი პარიზში გამგზავრების საქმე როგორღა არისო?

ალვინგი. მისი გამგზავრების საქმე!

ოსვალდი. აი მე დავიწყე მისი გამოკითხვა და გავიგე, რომ ჩემი სიტყვები სიმართლედ მიუღია და თურმე სულ ჩემზე ოცნებობდა. ფრანგულის შესწავლაც დაუწყია...

ალვინგი. აი, თურმე რისთვის!..

ოსვალდი. დედა, როცა მე თვალწინ დამიდგა ეს მშვენიერი, მომხიბლავი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი... უწინ როგორღაც არ ვაქცევდი განსაკუთრებულ ყურადღებას... ახლა კი, როცა თვალნათლივ დავინახე, თითქოს მზად მყოფი, რომ გულში ჩავეკარი...

ალვინგი. ოსვალდ!

ოსვალდი. ..ჩემში თითქოს რაღაცამ გაიელვა: მასშია მთელი შენი ხსნაო! აკი ის ასეთი სიცოცხლით სავსეა... სიცოცხლის ხალისი იგრძნობა ამ ქალიშვილის ყოველ ნაკვთში.

ალვინგი (საგონებელშია). სიცოცხლის ხალისი?.. შენი ხსნა იმაშია?

რეგინა (შემოდის სასადილოდან ბოთლი შემპანურით). მაპატიეთ, რომ შემავიანდა; სარდაფში მომიხდა ჩასვლა... (ბოთლს მაგიდაზე დგამს).

ოსვალდი. და მოიტანე კიდევ ერთი კათხა.

რეგინა (გაოცებული უცქერის). აი, აქ არის კათხა ქალბატონისათვის, ბატონო ალვინგ.

ოსვალდი. დიახ, შენთვისაც მოიტანე.

რეგინა. შეკრთება და ელვასავით სწრაფად გადახედავს ალვინგს.

ოსვალდი. აბა?

რეგინა (წყნარად, ბოროტებით). როგორც ქალბატონს ენებოს...

ალვინგი. მოიტანე კათხა, რეგინა! (რეგინა გადის სასადილოში.)

ოსვალდი. (უცქერის მიმავალს). შენ ყურადღება მიამჩიე მის მიხერა-მოხერას? რა მტკიცე და თავისუფალი ნაბიჯი აქვს!...

ალვინგი. ეს საქმე არ მოხდება, ოსვალდ!

ოსვალდი. ეს გადაწყვეტილია. შენ ხომ ხედავ? ეს საკამათო არ არის.

რეგინა. ცარიელი კაბით ხელში მოდის.

ოსვალდი. დაჯექი, რეგინა.

რეგინა კიბხვის ნიშნად უცქერის ალვინგს.

ალვინგი. დაჯექი.

რეგინა ჯდება სკამზე სასადილოში გამაფალ კართან და ისევ ხელში უჭირავს

ცარიელი კაბა.

ალვინგი. ოსვალდ... შენ ახსენე სიცოცხლის ხალისი... რას ამბობდი?

ოსვალდი. ჰო, სიცოცხლის ხალისი, დედა, — აქ, თქვენსას, ამის შესახებ ცოტა რამ იციან. მე რატომღაც აქ არასოდეს არ გაწვიციდი მას.

ალვინგი. მაშინაც, როცა აქ, ჩემთან ხარ?

ოსვალდი. მაშინაც, როცა აქ ვარ, სახლში. მაგრამ შენ ეს არ გესმის.

ალვინგი. არა, არა, მე მგონი, თითქმის მესმის... უკვე.

ოსვალდი. სიცოცხლის ხალისი... და შრომის ხალისი. დიახ, არსებითად. ეს ერთი და იგივეა. მაგრამ თქვენ აქ არც ამას იცნობთ.

ალვინგი. თითქოს შენ მართალი ხარ, ოსვალდ. ჰო, ილაპარაკე. ილაპარაკე. კარგად გამარკვევე, რისი თქმა გინდა.

ოსვალდი. მე. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა. რომ აქ ადამიანებს ასწავლიან, ისე უყურონ შრომას, როგორც წყევლას, სასჯელს რაღაც ცოდვებისათვის, ხოლო ცხოვრებას კი — როგორც გლოვის ველს, რომელსაც, რაც უფრო მალე დააღწევ თავს. მია უკეთესია.

ალვინგი. დიახ, გლოვის ველია, ცოდვის კალო და ჩვენ თვითონ ყველა საშუალებითა ვცდილობთ, რომ ასეთად ვაქციოთ.

ოსვალდი. იქ კი ადამიანებს ამგვარი რამის გავრცელებაც არა სურთ. იქ აღარავის არ სჯერა მსგავსი შეგონებები. იქ სიცოცხლე ეხალისებათ. სიცოცხლე, არსებობა უკვე ითვლება ნეტარებად. დედა. შენ არ შენიშნე. რომ ყველა ჩემი სურათი ამ თემაზეა შესრულებული? ყველა სიცოცხლის ხალისზე მეტყველებს. მათშია სინათ-

ლე. მზე და სადღესასწაულო განწყობილება... და ადამიანთა მოციმციმე ბედნიერი სახეები. ამიტომაც მიმძიმს შენთან დარჩენა: მე უშიშო მიპყრობს. დედა!

ალვინგი. უშიშო? რისი გეშინია ჩემთან?

ოსვალდი. გეშინია, რომ ყველაფერი. რაც კი რამ არის ჩემში კარგი. ცხოველუნარიანი, აქ რალაც უმსგავსობაში გადაკვარდება.

ალვინგი (ჩიქურ უცქერის). შენის აზრით, ეს შესაძლებელია?

ოსვალდი. ამაში დარწმუნებული ვარ. და თუნდაც აქ ისეთი ცხოვრება გავატარო, როგორც იქ. უცხოეთში — ეს უკვე იგივე ცხოვრება აღარ იქნება.

ალვინგი (უბრუნს დაძაბული ურადლებით. ადგება ფართოდ გახეილი, ფიჭრით სავსე თვალებით და აშბობს). აი, საიდან მოდის ყველაფერი. ახლა მე გავიგე.

ოსვალდი. რა გაიგე?

ალვინგი. პირველად გავიგე. ჩავწვდი, და ახლა შემძილია ვილაპარაკო.

ოსვალდი (ადგება). დედა, მე შენი არ მესმის.

რეგინა (ადგება). ხომ არ წავიდე?

ალვინგი. არა. დარჩი. ახლა მე შემძილია ლაპარაკი. ახლა შენ ყველაფერს გაიგებ. ჩემო შვილო. და აირჩევ... ოსვალდ! რეგინა!

ოსვალდი. სსუ!.. მოძღვარი!..

მანდერსი (შემოდის წინა კარიდან). აი. მესმის, მთელი საათი გულითად საუბარში გავატარეთ.

ოსვალდი. აგრეთვე ჩვენც.

მანდერსი. უნდა დავეხმაროთ ენგსტრანდს. რომ მოაწყოს ეს მეზღვაურთა თავშესაფარი. რეგინა მასთან გადავა და, მიეშველება...

რეგინა. არა, მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო მოძღვარო.

მანდერსი (ახლა შენიშნა). რაო? შენ აქა ხარ — და ისიც კათონით ღელში!

რეგინა. სწრაფად დადგამს კახას.

ოსვალდი. რეგინა ჩემთან მოემგზავრება, ბატონო მოძღვარო.

მანდერსი. მოემგზავრება? თქვენთან!

ოსვალდი. დიახ, ჩემი მეუღლის სახით... თუ ამას მოისურვებს...

მ ა ნ დ ე რ ს ი. მაგრამ, ღმერთო მწყალობელო!..

რ ე გ ი ნ ა. მე აქ არაფერ შუაში ვარ, ბატონო მოძღვარო.

ო ს ვ ა ლ დ ი. ან დარჩება აქ. თუ მეც დავრჩები.

რ ე გ ი ნ ა (უნებურად). აქა?

მ ა ნ დ ე რ ს ი. მე რომ ამათ ვუსმინო, უბრალოდ. გავშტერდები.  
ქალბატონი ალვინგ!

ა ლ ვ ი ნ გ ი. არც ის მოხდება და არც ის. ახლა მე შემოძლია მთე-  
ლი სიმართლე გამოვაცხადო.

მ ა ნ დ ე რ ს ი. მართლა ხომ არ ფიქრობთ ამას!... არა, არა, არა!

ა ლ ვ ი ნ გ ი. კი! მე შემოძლია და მინდა. და არავითარი იდეალე-  
ბი ამით არ ინგრევა.

ო ს ვ ა ლ დ ი. დედა, რას ფარავთ ჩემგან?

რ ე გ ი ნ ა (ყურღაცქვეტილი). ქალბატონო! გესმით? ხალხი ყვირის!  
(გავარდება აივანზე და ფანჯარაში იხედება.)

ო ს ვ ა ლ დ ი (გადის ფანჯარასთან მარცხნივ). რა მოხდა საიდან მო-  
დის ეს სინათლე?

რ ე გ ი ნ ა (ყვირის). თავშესაფარი იწვის!

ა ლ ვ ი ნ გ ი (ფანჯარას შივარდება). იწვის?!

მ ა ნ დ ე რ ს ი. იწვის? შეუძლებელია! ახლა მოვდივარ იქიდან.

ო ს ვ ა ლ დ ი. სადაა ჩემი ქული? თუმცა სულ ერთია... მამის თავ-  
შესაფარი იწვის! (გარბის აივნის კართ.)

ა ლ ვ ი ნ გ ი. ჩემი შალი სად არის, რეგინა? მთელი შენობა ალ-  
შია გახვეული!

მ ა ნ დ ე რ ს ი. საშინელებაა! ფრუ ალვინგ! ესაა მსჯავრი, რაც  
თავს დაატყდა შფოთისა და განხეთქილების სახლს!

ა ლ ვ ი ნ გ ი. კი, კი, რა თქმა უნდა. წავიღეთ, რეგინა. (აჩქარებით  
გადის რეგინასთან ერთად წინა ოთახში.)

მ ა ნ დ ე რ ს ი (ტაშს შემოჰკრავს), მერე დაზღვეულიც არ არის! (აჩ-  
ქარებით მიჰყვება.)

## მ ე ს ა მ ე მ ო მ მ ე დ ე გ ა

იგივე ოთახი. ყველა კარი ღიაა. ლამაა უწინდებურად ანთია მაგიდაზე. გარეთ ბნელა, მხოლოდ უკან, მარცხენა მხარეს, სუსტი შუქია განთიადისა.

ელენე ალვინგი, რომელსაც თავზე შალი მოუხვევია. აივანზე დგას და ბალში იცქირება. თავშალში გახვეული რეგინაც იქვე დგას. უკან.

ელენე ალვინგი. დაიწვა და დაიფერტლა! ყველაფერი დაიწვა!

რეგინა. სარდაფებში ჭერ კიდევ ცეცხლია.

ალვინგი. ოსვალდი კიდევ არ მოდის. გადასარჩენი კი აღარაფერია.

რეგინა. ხომ არ წავეულო ქული?

ალვინგი. ქულიც არ დაუხუტრავს?

რეგინა (უჩვენებს წინა ოთახს). აგერ ჰკილია.

ალვინგი. ჰოდა. იყოს. ალბათ ახლავე მოვა. წავალ, გავხედავ. (გადის აივნის კართ.)

მანდერსი (შედის წინკარიდან.) ქალბატონი ალვინგი აქ არ არის?

რეგინა. ამ წუთში გავიდა ბალში.

მანდერსი. ასეთი საზარელი ღამე ჭერ არასოდეს არ გამითენებია.

რეგინა. ჰო, საშინელი უბედურებაა, ბატონო მოძღვარო.

მანდერსი. ნულარ იტყვი. ფიქრიც კი საშინელია.

რეგინა. მაინც ჩანაირად მოხდა?

მანდერსი. ნუ მეკითხებით, ენგსტრანდის ასულო. აბა რა ვიცი? ან თქვენ რა იცით?.. განა ცოტას ნიშნავს, რომ მამათქვენმა...

რეგინა. რა მამაჩემმა?

მანდერსი. სულ დამიფანტა ჰქუა-გონება.

ენგსტრანდი (შემოდის წინკარიდან). ბატონო მოძღვარო.

მანდერსი (შეზინებული შემობრუნდება). აქაც კვალდაკვალ რომ-  
დევთ?

ენგსტრანდი. ჰო. ეშმაკმა დასწყევლოს!... ოხ, უფალო იე-  
სო! აი რა ცოდვის წვეა გამოვიდა, ბატონო მოძღვარო!

მანდრესი (ბოლოს ცემით). ვაი, რომ ასეა!

რეგინა. რა იყო?

ენგსტრანდი. ახ, ეს ყველაფერი ჩვენმა საუბარმა მოახდინა.  
(წუნარად რეგინას.) ახლა კი მოძღვარი მახეში გყავს, შვილო. (ხმაშალა.)  
და ჩემი ბრალი გამოდის, რომ მოძღვარმა ასეთი უბედურება ჩაი-  
დინა.

მანდერსი. მაგრამ მე გარწმუნებთ. ენგსტრანდ...

ენგსტრანდი. აბა ვინლა ჯახირობდა სანთლებთან. თუ არა  
მოძღვარი?

მანდერსი (შეჩერდება). ამას თქვენ ამბობთ ასე? მე კი, მართა-  
ლი გითხრათ, არ მაგონდება. მეჭირა თუ არა ხელში სანთელი.

ენგსტრანდი. მე კი ვითომ ახლა ვუყურებდე: მოძღვარმა აი-  
ლო სანთელი, თითებით წააწყვიტა თავი და ნამწვი ბურბუმელაში  
ისროლა.

მანდერსი. თქვენ ეს დაინახეთ?

ენგსტრანდი. ჩემი საკუთარი თვალებით.

მანდერსი. ვერ გამიგია. და ჩვეულებაც არა მაქვს ასეთი,  
რომ ნამწვი ხელით მოვხსნა.

ენგსტრანდი. ჰოდა, ამიტომაც ასე უგერგილოდ მოხსენით.  
საქმე კი აქედან... მე თუ მკითხავთ, შეიძლება, რომა აქედან ფრიად  
ფინთი საქმეც გამოვიდეს, ბატონო მოძღვარო. ჰა რას იტყვით?

მანდერსი (შეშფოთებული დაღის). ნუ მეკითხებით!

ენგსტრანდი (მიჰყვება). და ბატონმა მოძღვარმა არაფერი არ  
დააზღვია?

მანდერსი (განაგრძობს ბოლოს ცემას). არა, არა, არა-მეთქი, გე-  
უბნებიან!

ენგსტრანდი (მიჰყვება უკან). არ დაგიზღვევიათ, განა არ ვეცი!  
შემდეგ კი აიღეთ და დასწვით! ღმერთო, უფალო იესო! აი უბედუ-  
რება!

მანდერსი (ოფლს იწმენდს შუბლზე). დიახ. ვალიარებ!...

ენგსტრანდი. მაშ არა და რა ეშმაკად დაატყდა თავს უბე-

დურება ღვთისსათნო დაწესებულებას, რომლისგანაც მოელოდა აქედენ სარგებლობას ქალაქიცა და მთელი ახლომახლო სანახებიცა, როგორც იტყვიან. გაზეთები ხომ არ დაინდობენ და არა ბატონ მოძღვარსა!

მანდერსი. დიახ, არ დამინდობენ. სწორედ ამაზე ვფიქრობ. ეს თითქმის ყველაზე ცუდია. მთელი ეს ბოროტი ხრიკები და თავდასხმები... ახ, პირდაპირ თავზარი მეცემა: რომ ვფიქრობ.

ალვინგი (გამოდის ბაღიდან). ოსვალდს ვერც კი მოაცილებ იქაურობას. ხანძრის ჩაქრობაში ეხმარება.

მანდერსი. ახ, ეს თქვენა ხართ, ქალბატონო ალვინგ?

ალვინგი. აი, თქვენც თავი დააღწიეთ საზეიმო სიტყვას, მოძღვარო მანდერს.

მანდერსი. ო, მე სიამოვნებით ვიტყვოდი...

ალვინგი (ხადაბლა). ასე სჯობია, როგორც მოხდა, კურთხევის მაღლი არ მოეფინებოდა ამ თავშესაფარს.

მანდერსი. ასე ფიქრობთ?

ალვინგი. თქვენ კი არ ფიქრობთ?

მანდერსი. მაგრამ ეს მაინც საშინელი უბედურებაა.

ალვინგი. შევხედოთ ამას წმინდა საქმიანობის თვალსაზრისით... თქვენ მოძღვართან ხართ, ენგსტრანდ?

ენგსტრანდი (წინა კარებთან). სწორედ მასთან გახლავართ.

ალვინგი. მაშ დაბრძანდით ცოტა ხნით.

ენგსტრანდი. მაღლობას მოგახსენებთ. ჩვენ ფეხზეც დავღებებით.

ალვინგი (მასტორს). თქვენ, ალბათ, გემით გაემგზავრებოთ?

მანდერსი. დიახ, ერთ საათში გავა.

ალვინგი. მაშ ქენით სიკეთე, ყველა ქალაღიცი თან წაიღეთ. მეტად ამ საქმის გავონებაც აღარ მინდა. მე ახლა სხვა დარდიც მეყოფა.

მანდერსი. ქალბატონო ალვინგ...

ალვინგი. შემდეგ მე გამოგიგზავნით სრულ მინდობილობას. ყველაფერს ისე მოუარეთ, როგორც თვითონ საჭიროდ მიიჩნით.

მანდერსი. დიდი სიამოვნებით ვიღებ ამ ვალდებულებას. მეშკვიდრეობის პირვანდელი დანიშნულება ამჟამად, სამწუხაროდ, უნდა შეიცვალოს.



აღვინგი. თავისთავად ცხადია.

მანდერსი. ჯერჯერობით ასე ვფიქრობ: სოლვიკის მამული გადაეცა აქაურ თემს. მიწა და მამული ხომ მაინც რამედ ღირს! შეიძლება გამოდგეს. ხოლო შემნახველ სალაროში დაბანდებული კაპიტალის პროცენტებით, მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება დავებმართო რომელიმე დაწესებულებას, რომელიც ქალაქს ემსახურება.

აღვინგი. როგორც თვითონ გნებავთ. ჩემთვის სულ ერთია.

ენგსტრანდი. ნუ დაგავიწყდებათ ჩემი მებღავურთა თავშესაფარი, ბატონო მოძღვარო.

მანდერსი. დიახ, დიახ, ეგ კარგი იდეაა! მაგრამ ჯერ ამას მოფიქრება უნდა.

ენგსტრანდი. ეშმაკსაც წაულია ეგ ფიქრები... ოხ, უფალო იესო!

მანდერსი (ოხვრით). თანაც სამწუხაროდ, მე არც კი ვიცი, ღიბხანს მოჰხიბდება თუ არა ამ საქმეების გაძღოლა. საზოგადოებრივ აზრს შეუძლია მაიძულოს, ამაზე უარი ვთქვა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შედეგს მოიტანს ხანძრის მიზეზების ძიება.

აღვინგი. რას ლაპარაკობთ?

მანდერსი. ხოლო შედეგის წინასწარ ვარაუდი კი არაფრით არ შეიძლება.

ენგსტრანდი (უახლოვდება). იპ, რატომ? თუკი იაკობ ენგსტრანდი ცოცხალია?

მანდერსი. დიახ, დიახ, მერე?

ენგსტრანდი (ხმის დაწევით). ხოლო იაკობ ენგსტრანდი, მოგეხსენებათ, ისეთი ადამიანი როდია, რომ თავისი კეთილისმყოფელი გასწიროს ჟამსა განსაცდელისასა, როგორც იტყვიან.

მანდერსი. მაგრამ, ეს როგორ, ჩემო ძვირფასო?

ენგსტრანდი. იაკობ ენგსტრანდი, ასე რომ ვთქვათ, მფარველი ანგელოზია, ბატონო მოძღვარო!

მანდერსი. არა, არა. მე, სიმართლე გითხრათ, არ შემიძლია შივილო ასეთი მსხვერპლი.

ენგსტრანდი. არა, რაკი ასეა, ბარემ იყოს ასე. მე ვიცი ერთი კაცი, რომელმაც ერთხელ უკვე თავს იღო სხვისი დანაშაული... დიიხ!

მ ა ნ დ ე რ ს ი (ხელს ართმევს). თქვენ იშვიათი პიროვნება ხართ. სა-  
მაგიეროდ თქვენ მიიღებთ დახმარებას... თქვენი თავშესაფრისათვის.  
შეგიძლიათ მენდოთ.

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ს სურს მადლობა გადაუხადოს, მაგრამ გრძნობის მოზღვავე-  
ბის გამო არ შეუძლია.

მ ა ნ დ ე რ ს ი (ჩანთას მხარზე გადაიკიდებს). დი გზას გავუდგეთ, ბა-  
რემ ერთად წავიდეთ.

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი (სასადილოს კარებთან, წყნარად რეგინას). წამოდი  
ჩემთან გოგონავ. ისე ინებივრებ, როგორც ქერი ორმოში.

რ ე გ ი ნ ა (ცხვირის აწევით). merci! (გადის წინა ოთახში და მოაქვს მო-  
ზღვის პალტო.)

მ ა ნ დ ე რ ს ი კარგად ბრძანდებოდეთ, ფრუ ალვინგ. და ღმერთ-  
მა ინებოს, რომ წესიერებისა და კანონიერების სული მალე აღსდგეს  
ამ სავანეში!

ა ლ ვ ი ნ გ ი. მშვიდობით, მანდერს. (გადის აივანზე ოსვალდის შესა-  
ხედრად ოსვალდი ბალიდან შემოდის.)

ენ გ ს ტ რ ა ნ დ ი (რეგინასთან ერთად ეხმარება მოძღვარს პალტოს ჩაი-  
მაში). მშვიდობით, შვილო. და თუ რამე მოხდეს, გახსოვდეს მოძებნო  
იაკობ ენგსტრანდი (ჩუმაღ.) მცირე ნავსადგურის ქუჩაზე!.. ჰმ! (მიუბ-  
რუნდება ელენე ალვინგს და ოსვალდს.) ხოლო მოხეტიალე მეზღვაურთა  
თავშესაფარს დეარქვით „კამერჰერ ალვინგის სახლი“. და თუ ყვე-  
ლაფერი ისე წარიმართა, როგორც მოფიქრებული მაქვს, თავდები  
ვარ, რომა ჩემი თავშესაფარი კამერჰერ ალვინგის სახელს არ შეარც-  
ხვენს.

მ ა ნ დ ე რ ს ი (კარბუა). ჰმ! ჰმ! მამ წავიდეთ, ჩემო კეთილო ენგს-  
ტრანდ. მშვიდობით, მშვიდობით! (გადის ენგსტრანდის თანხლებით.)

ო ს ვ ა ლ დ ი (მიდის მაგიდასთან). რომელ სახლზე ლაპარაკობდა?

ა ლ ვ ი ნ გ ი. რაღაც თავშესაფრისმაგვარზე, რომლის მოწყობა-  
საც მოძღვართან ერთად აპირებს.

ო ს ვ ა ლ დ ი. ისიც დაიწვება. როგორც ეს თავშესაფარი.

ა ლ ვ ი ნ გ ი. საიდან მოიტანე ასეთი აზრი?

ო ს ვ ა ლ დ ი. ყველაფერი დაიწვება. არაფერი არ დარჩება მამის  
სახელის სამახსოვრო. მეც დავიწვები.

რ ე გ ი ნ ა საგონებელში მყოფი უცქერის.

ალვინგი. ოსვალდ, ჩემო საბრალო ბავშვო! არ უნდა დარჩენილიყავი იქ ასე დიდხანს.

ოსვალდი (ჯდება მაგიდასთან). იქნებ მართალი ხარ, დედაჩემო.

ალვინგი. მოდი სახეზე ოფლი მოგწმინდო, ოსვალდ. ერთიანად სველი ხარ. (თავისი ცხვირსახოცით სახეს სწმენდს.)

ოსვალდი (გულგრილად წინ იყურება). გმადლობ, დედა.

ალვინგი. დაილაღე, ოსვალდ? დაძინება ხომ არ გინდა?

ოსვალდი (შეშფოთებით). არა, არა... რაც გენებოს, ოღონდ ძილი კი არა. მე არასოდეს არ მძინავს. უბრალოდ თავს ვიმძინარებ ხოლმე (ყრუდ.) მოვასწრებ. ჭერ კიდევ ადრეა.

ალვინგი (შეწუხებული უცქერის) დიახ, შენ ნამდვილად ავად ხარ, ჩემო ძვირფასო.

რეგინა (დაძაბული). ბატონი ალვინგი ავად არის?

ოსვალდი (გალიზიანებული). დახურეთ ყველა კარი. ეს მომაკვდინებელი შიში...

ალვინგი. დახურე, რეგინა.

რეგინა. ხურავს და ჩერდება წინა კართან. ალვინგი იხსნის შალს, ასევე რეგინაც.

ალვინგი (სკამს მისწევს, ჯდება ოსვალდთან). აი მეც დაჯდები შენთან...

ოსვალდი. ჰო, დაჯექი. რეგინაც აქ დარჩეს. დაე, რეგინა მუდამ ჩემთან იყოს. შენ ხომ გამომიწვდი დახმარების ხელს, რეგინა, ჰა?

რეგინა. მე არ მესმის...

ალვინგი. დახმარების ხელს?

ოსვალდი. ჰო... გაჭირვების შემთხვევაში.

ალვინგი. ოსვალდ, შენ ხომ დედა გყავს. ის დაგეხმარება.

ოსვალდი. შენა? (ღიმილით.) არა, დედა, ამ დახმარებას შენ ვერ გამიწევ (ნაღვლიანი სიცილით.) შენ! ხა-ხა! (სერიოზულად უცქერის.) თუმცა, ბოლოს და ბოლოს, შენ ჩემთვის ყველაზე უფრო ახლობელი იქნებოდი (აენთო.) რატომ „შენობით“ არ მელაპარაკები, რეგინა, და რატომ უბრალოდ არ დამიძახებ „ოსვალდს?“

რეგინა (წყნარად). არ ვიცი, მოეწონება თუ არა ეს ქალბატონს.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ცოტა მოთმინება იქონიე, მალე ნებას დაგროთავენ რომ ასე დაუძახო. დაჯექი, აქ. ჩვენთან.

რ ე გ ი ნ ა. მორიდებით და გაუბედავად ჯდება მაგიდის მეორე კიდესთან.

ა ლ ვ ი ნ გ ი. აბა, ჩემო საბრალო ტანჯულ-წამებულო ბავშვო, მე აგხსნი სულიდან ტვირთს...

ო ს ვ ა ლ დ ი. შენა, დედა?

ა ლ ვ ი ნ გ ი... გაგათავისუფლებ მთელი ამ სინდისის ქენჭნისაგან, სინანულისა და საყვედურებისაგან.

ო ს ვ ა ლ დ ი. შენა გგონია, რომ შესძლებ ამას?

ა ლ ვ ი ნ გ ი. კი, ახლა შევძლებ: ოსვალდ. შენ ხომ სიტყვა ჩამოაგდე სიცოცხლის ხალისზე; ამით თითქოს შუქი მომფინე, და ყოველივე. რაც კი ცხოვრებაში გადამხდენია, სხვაგვარად წარმომიდგა.

ო ს ვ ა ლ დ ი (თავის ქნევით). არაფერი მესმის.

ა ლ ვ ი ნ გ ი. ერთი გენახა მამაშენი იმ დროს, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლეიტენანტი იყო! სიცოცხლის ხალისი შადრევანივით ჩქეფდა მის ძარღვებში.

ო ს ვ ა ლ დ ი. ეს მეც ვიცი.

ა ლ ვ ი ნ გ ი. საკმარისი იყო თვალი შეგველო — სულს გაგხიარებდა. მერე რა ზღვარდაუდებელი ძალა ჰქონდა! მთელი მისი არსებიდან სიცოცხლის სიუხვე გადმოსჩქეფდა.

ო ს ვ ა ლ დ ი. შემდეგ?

ა ლ ვ ი ნ გ ი. და აი ასეთ სიცოცხლით სავსე ბავშვს, — დიან. სწორედ ბავშვსა ჰგავდა იმ ხანებში, — მას მოუხდა გაყინვა იქ. იმ პატარა ქალაქში, სადაც არავითარი სიხარული არ მოელოდა, მხოლოდ გართობა და დროს ტარება შეეძლო. არავითარი სერიოზული ამოცანა, ცხოვრების მიზანი, მხოლოდ სამსახური. არავითარი სამუშაო, რასაც თავის სულს შეაღებდა — მხოლოდ „საქმეები“. არც ერთი ამხანაგი. რომელსაც ექნებოდა უნარი გაეგო მაინც, რა არის სიცოცხლის ხალისი — მას ჰყავდა მხოლოდ უქნარა თანამესუფრეები.

ო ს ვ ა ლ დ ი. დედა!

ა ლ ვ ი ნ გ ი. და აი, გამოვიდა ის, რაც უნდა გამოსულიყო.

ო ს ვ ა ლ დ ი. რა უნდა გამოსულიყო?

ა ლ ვ ი ნ გ ი. აკი შენ თვითონ თქვი საღამოს, რაც მოგივიდოდა, შინ რომ დარჩენილიყავი.

...ოსვალდი. შენ გინდა თქვა, რომ მამა...

ალვინგი. ბუნებით არაჩვეულებრივი სიციცხლის ხალისის მქონე საბრალო მამაშენს არ შეეძლო აქ სხვა გამოსავალი ენახა. ვერც შე შეეიტანე მის სახლში სინათლე და მხიარულება.

ოსვალდი. ვერც შენ?

ალვინგი. მე ბავშვობიდანვე მასწავლიდნენ მოვალეობის შესრულებას. მორჩილებას და მისთანებს. და მე დიდხანს დავრჩი ამ მოძღვრების გავლენის ქვეშ. ჩვენსას სხვას ვერაფერს გაიგონებდით. სულ ვალი და მოვალეობა... ჩემი მოვალეობა, მისი მოვალეობა... დავშიშობ. რომ ჩვენი სახლი აუტანელი გახდა შენი უბედური მამისათვის უფრო სწორედ ჩემი მიზეზითაც.

ოსვალდი. რატომ არასოდეს არაფერს მწერდი ამის შესახებ?

ალვინგი. არასოდეს უწინ არ წარმომდგარა ჩემ წინაშე ყოველივე ეს ასე ნათლად, რომ გამეებედა ამაზე ლაპარაკი შენთან, მის შვილთან.

ოსვალდი. როგორღა უყურებდი შენ ყოველივე ამას?

ალვინგი (ნელა). მე ყოველდღე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მამაშენი დაღუპული კაცი იყო ჭერ კიდევ შენს დაბადებამდე...

ოსვალდი (ყრუდ). აჰ! (ადგება, მიდის ფანჯარასთან.)

ალვინგი. და აი მე სულ მძიძენიდა აზრი, რომ რეგინა არსებობდა თავისიანია ჩვენს სახლში... როგორც ჩემი საკუთარი შვილი.

ოსვალდი (სწრაფად მობრუნდება). რეგინა?..

რეგინა (წამოვარდება; გაურკვეველად). მე?..

ალვინგი. დიახ. ახლა თქვენ ორთავემ იცით.

ოსვალდი. რეგინა!

რეგინა (თითქოს თავისთვის). მაშ დედაჩემი იმნაირი ქალი ყოფილა!

ალვინგი. დედაშენს ბევრი კარგი მხარე ჰქონდა, რეგინა.

რეგინა. მაგრამ მინც იმნაირი. ჰო, ზოგჯერ მეც ასე ვფიქრობდი... მაშ, ქალბატონო, ნება მომეცით ახლავე წავიდე.

ალვინგი. ნამდვილად გინდა ეს, რეგინა?

რეგინა. რაღა თქმა უნდა.

ალვინგი. ცხადია. შენ თავისუფალი ხარ, მაგრამ...

ოსვალდი (მიდის რეგინასთან). მიდიხარ? მაგრამ შენ ხომ ჩვენიანი ხარ ოჯახში?

რეგინა. Merci. ბატონო ალვინგ... თუმცა ახლა, შემოდის უბრალოდ ოსვალდი გიწოდო. მაგრამ ეს სულ სხვაგვარად გამოვიდა, ვიდრე მე ვფიქრობდი.

ალვინგი. რეგინა. მე არ ვიყავი შენთან გულახდილი...

რეგინა. ჰო, ამისი თქმა ცოდვა იყო და 'სირცხვილი! მე რომ მცოდნოდა, რომ ოსვალდი ავადა... და რაკი ახლა ჩვენს შორის არაფერი სერიოზული არ გამოვა... არა, მე არაფრით არ შემოდის ჩავიკეტო აქ, სოფელში, და ჩემი ახალგაზრდობა ავადმყოფი ადამიანების მოვლაში ჩავლუპო.

ოსვალდი. თუნდაც რომ ავადმყოფი ასე ახლობელი იყოს შენთვის?

რეგინა. არა, იცით... საბრალო ქალიშვილმაც ხომ უნდა ისარგებლოს თავისი ახალგაზრდობით? თორემ თვალის მოვლებას ვერ მოასწრებ, რომ მშრალზე დარჩები. და მერე ჩემშიაც ხომ არის ეს სიცოცხლის ხალისი, მოწყალე ქალბატონო?

ალვინგი. ვაი, რომ არის... მაგრამ თავი არ დაილუპო, რეგინა.

რეგინა. ეჰ, რაც არის, არის! რაც მოსავალია, მოვიდეს. თუ ოსვალდი მამას დაემსგავსა, მე. ალბათ, დედას... ნება მომეცით, ქალბატონო, გკითხოთ: მოძღვარმა თუ იცის ჩემი ამბავი?

ალვინგი. მოძღვარმა მანდერსმა ყველაფერი იცის.

რეგინა (აჩქარებით მოსხამს შალს). მაშ მე უნდა ვიჩქარო, რომ გემს მივეუსწრო. მოძღვარი ისეთი კაცია, რომ მასთან მუდამ შეიძლება მორიგება. მგონია, მეც მომიხდება იმ ფულებით სარგებლობა, საძაგელი დურგლისა არ იყოს.

ალვინგი. გისურვებ კეთილად მოგენმაროს.

რეგინა (უცქერის შეუპოვრად). ურიგო არ იქნებოდა, რომ მოწყალე ქალბატონს აღვეზარდე როგორც კეთილშობილი ადამიანის ქალიშვილი. ეს უფრო დამშვენდებოდა. (თავს ამაყად უკან გადაიგდებს.) ეჰ, რას დავეძებ! ჩემი დარდიც ეს ყოფილა! (ბრაზბორევით გადახედავს გაუხსნელ ბოთლს.) ვინ იცის, იქნებ მაინც მომიხდეს შამპანურის დაღვევა მაღალი მდგომარეობის მქონე ადამიანებთან.

ალვინგი. ხოლო როცა მშობლის სახლი დაგკირდეს, ჩემთან მოდი, რეგინა.

რეგინა. არა, უმორჩილესად გმადლობთ. იმედი მაქვს, მოძღვა-

ჩი მანდერსი იზრუნებს ჩემთვის. ხოლო თუ გამიჭირდება, მე ვიცა: უფრო ახლობელი სახლი.

ალვინგი. ეს რომელი სახლია?

რეგინა. „კამერპერ ალვინგის სახლი“.

ალვინგი. რეგინა... ახლა კი ვხედავ... შენ დაილუპები.

რეგინა. რასა ბრძანებთ! მშვიდობით! (თავს უკრავს და გადის.)

ოსვალდი (იქჩირება ფანჯარაში). წავიდა?

ალვინგი. წავიდა.

ოსვალდი (ბუბუბუბებს). მაინც რა ულამაზოდ გამოვიდა ყველაფერი!

ალვინგი (მივა და ორივე ხელს მხრებზე დაადებს). ოსვალდ, შეი-ლო ჩემო... ძალიან შეგაწუხა ამ ამბავმა?

ოსვალდი (შემობრუნდება დედისკენ). ესე იგი, მამის ამბავმა, არა?

ალვინგი. ჰო, შენი უბედური მამის ამბავმა. მეშინია, რომ ამან შენზე ძალიან იმოქმედა.

ოსვალდი. საიდან მოგეჩვენა? რა თქმა უნდა, მე ამან თავზარი დამცა. მაგრამ არსებითად ეს ჩემთვის სულ ერთია.

ალვინგი (ხელებს უკან წაიღებს). სულ ერთია? რომ მამაშენი ასე უსაზღვროდ უბედური იყო!

ოსვალდი. რა თქმა უნდა, მე ის მებრალებდა, როგორც ყოველს ხვია შემებრალებოდა მის ადგილზე, მაგრამ...

ალვინგი. მეტად კი არა? მშობელი მამა!

ოსვალდი (ბრაზმორევით). ახ, მამა, ...მამა! მე აკი სრულიად არ ვიცნობდი მამას, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ერთხელ მისი წყალობით გული ამერია.

ალვინგი. პირდაპირ ფიქრიც საშინელია! ნუთუ მართლა ვერ უნდა იგრძნოს ბავშვმა მშობელი მამის სიყვარული?

ოსვალდი. და თუ მამისაგან არაფრით არ არის შეილი დავალებული? თუ ის არც იცნობს მამას? ან თვითონ შენ ნუთუ ასე მტკიცედ მიჰყვები ძველ ცრუ რწმენებს, შენ, ასე განვითარებული, განათლებული ქალი?

ალვინგი. მაშ ეს მხოლოდ ცრუ რწმენაა?..

ოსვალდი. თვითონვე უნდა გესმოდეს, დედა, რომ ეს უბრალოდ მოარული აზრია... ერთი მრავალთაგანი, გამოგონილი იმისათვის, რომ შემდეგ...

ა ლ ვ ი ნ გ ი (შეძრწუნებული). იქცეს მოჩვენებებად.

ო ს ვ ა ლ დ ი (დახეტილობს ოთახში). ჰო, თუიდაც მოჩვენებანი უწოდე.

ა ლ ვ ი ნ გ ი (მძაფრად, გრძნობამორევით). ოსვალდ, მაშ, შენ არც მე გიყვარვარ.

ო ს ვ ა ლ დ ი. შენ გიცნობ მაინც...

ა ლ ვ ი ნ გ ი. ჰო, მიცნობ მაინც და მეტი არაფერი!

ო ს ვ ა ლ დ ი. და ვიცი, რა მხურვალედ გიყვარვარ, რისთვისაც, რა თქმა უნდა, მმართველს ვიყო შენი მადლობელი: ამას გარდა, შენ შეგიძლია ავადმყოფობის დროს უსასრულოდ ბევრი სარგებლობა გამიწიო.

ა ლ ვ ი ნ გ ი. დიახ, დიახ, ოსვალდ. ხომ მართალია? ო, მე, უბრალოდ, მზადა ვარ დავლოცო შენი ავადმყოფობა იმის გამო, რომ ჩემთან მოგიყვანა. მე ახლა ვხედავ, ჯერ კიდევ არა ხარ ჩემი. მე უნდა მოგიპოვო შენ.

ო ს ვ ა ლ დ ი (ბრაზიანად, ფაცხად). დიახ, დიახ, ყოველივე ეს მხოლოდ სიტყვებია გახსოვდეს, მე ავადმყოფი კაცი ვარ, დედა, არ შემიძლია სხვებზე ბევრი ვიფიქრო — დროა ჩემს საკუთარ თავსაც მივხედო.

ა ლ ვ ი ნ გ ი (წუნარად). მე მოვითმენ, მცირედიტაც კმაყოფილი ვიქნები.

ო ს ვ ა ლ დ ი. და მხიარულიც, დედა.

ა ლ ვ ი ნ გ ი. კი, კი, ჩემო ბავშვო, შენ მართალი ხარ. (მიუახლოვდება.) აბა მითხარი, ხომ მე დავიხსენი საყვედურებისა და სინდისის ქენჭნისაგან?

ო ს ვ ა ლ დ ი. კი, მაგრამ ვინღა დამიხსენის უიშისაგან?

ა ლ ვ ი ნ გ ი. უიშისაგან?

ო ს ვ ა ლ დ ი (აქეთ-იქით აწვდება). რეგინა ამას ერთი კეთილი სიტყვით გააკეთებდა.

ა ლ ვ ი ნ გ ი. მე არ მესმის. რა მოსატანია აქ უიში და... რეგინა?

ო ს ვ ა ლ დ ი. ძალიან გვიან არის ახლა, დედა?

ა ლ ვ ი ნ გ ი. ადრიაანი დილაა. (იხედება აივნის ფანჯარაში). მწვერვალები ცისკარმა შეაფერადა. და ამინდი ნათელი იქნება ოსვალდ. შენ მალე ნახავ მზეს.

ო ს ვ ა ლ დ ი. ეს ძალიან მახარებს. აჰ, მაშ კიდევ ყოფილა ქვეყ-



ნად რალაც ისეთი, რამაც შეიძლება გამახაროს, რისთვისაც შემიძლია ვიცოცხლო...

ალვინგი. ოღონდაც!

ოსვალდი. თუმცა ახლა მუშაობა არ შემიძლია, მაგრამ...

ალვინგი. ო, შენ მალე ისევ შესძლებ მუშაობას, ჩემო ძვირფასო ბავშვო, გული ნუ გეთანატრება. ახლა შენ აღარ მოგაწვება ეს მტანჯველი, გულის გადამღევი ფიქრები.

ოსვალდი. ჰო, კარგი იყო, რომ ეს მოჩვენებები გამიფანტე და სულის სიმშვიდე მომანიჭე. ოჰ, ოღონდ კი შევძლებდე, რომ დავძლიო კიდევ ერთი... (ჭდება ღივანზე.) მოდი, ვილაპარაკოთ, დედა...

ალვინგი. მოდი, მოდი! (მისწევს ღივანთან სავარძელს, ჭდება მის გვერდით.)

ოსვალდი. ამასობაში კი მზეც ამოვა, და შენ გაიგებ... ეს შიშის ჩამომეხსნება.

ალვინგი. აბა, რას გავიგებ?

ოსვალდი (არ უსმენს). დედა, შენ ხომ სალამოს მითხარი, რომ არაფერზე არ შეგიძლია მითხრა უარი, თუ მე გათხოვ, არა?

ალვინგი. დიახ, გითხარი.

ოსვალდი. და შეასრულებ სიტყვას?

ალვინგი. შეგიძლია მენდო, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო! აკი მე მხოლოდ შენი გულისათვის ვცოცხლობ, ცისა და ქვეყნის შუა სხვა ვინა მყავს?

ოსვალდი. ვიცი, ვიცი. ჰოდა, მაშ მომისმინე... შენ, დედასულით ძლიერი ხარ, ეს მე ვიცი... ოღონდ დამშვიდებით შეხვდი იმას, რასაც ახლა გაიგონებ.

ალვინგი. შეილო, რა არის ასეთი? ალბათ რალაც საშინელება?

ოსვალდი. ნუ ყვირი. გესმის? მპირდები? ახლა ჩვენ დამშვიდებულად უნდა დავსხდეთ და სრულიად წყნარად ვილაპარაკოთ. მპირდები, დედა?

ალვინგი. ჰო, ჰო გპირდები, ოღონდ მითხარი.

ოსვალდი. მაშ, აბა, იცოდე, რომ ეს დაღლილობა... ეს ამოუფიქრი მუშაობაზე... ეს ჭერ კიდევ არ არის თვითონ ავადმყოფობა...

ალვინგი. მაშ, რალა არის თვითონ ავადმყოფობა?

ოსვალდი. ავადმყოფობა, რაც მემკვიდრეობით მივიღე, ის... (უჩვენებს შუბლზე. წყნარად უმატებს.) აქა ზის.

ალვინგი (თითქმის ენა ებმის). ოსვალდ! არა, არა!

ოსვალდი. ნუ ყვირი, ვერ ვიტან ყვირილს. დიახ, აქ ზის და უტდის მომენტს. და შეუძლია გარეთ გადმოხეთქოს, რა წუთსაც მოისურვებს.

ალვინგი. რა საზარლობაა!

ოსვალდი. ოღონდ დაწყნარდი. აი, როგორია ჩემი მდგომარეობა...

ალვინგი (შეხტა). ეს ტყუილია, ოსვალდ! ეს შეუძლებელია! არა, არა, ეს ასე არ არის!

ოსვალდი. პარიზში მე უკვე მქონდა ერთი შეტევა. მართალია, მალე გამიარა, მაგრამ როცა გავიგე, რაც იყო ჩემს თავს, შიშმა შემიპყრო, მტანჯველმა, აუტანელმა შიშმა, რამაც იქ აღარ გამაჩერა, შენთან მომიყვანა, სასწრაფოდ შინ დამაბრუნა.

ალვინგი. მაშ, გამოდის, რომ შიშმა...

ოსვალდი. დიახ, აკი ხედავ კიდევ, თუ რაოდენ საზიზღარია იგი! ო, ეს რომ ყოფილიყო ჩვეულებრივი სიკვდილის შიში... სიკვდილისა აგრერიგად არ მეშინია, თუმცა სიამოვნებით ვიცოცხლებდი კიდევ დიდხანს...

ალვინგი. დიახ, დიახ, ოსვალდ, შენ იცოცხლებ...

ოსვალდი. მაგრამ ეს შიში ისე საზიზღარია... მე ხელახლა გადავიქეცი უმწეო ბავშვად, აკვნის ბავშვად, რომელსაც სხვები აწვდიან საზრდოს... არა, ამის გამოხატვაც არ შეიძლება.

ალვინგი. ბავშვს დედა მოუვლის.

ოსვალდი (წამობტება). არა, არასოდეს. სწორედ ეს არ მინდა. არ შემიძლია ავითანო ზარდამცემი აზრი, ვაითუ ასეთ მდგომარეობაში კიდევ მრავალ წელს ვიცოცხლო-მეთქი... დავბერდე, გავჭალარავდე. შენ კი ამასობაში შეიძლება მოკვდე (დედის სავარძლის სახელურზე ჯდება.) ასეთი სნეულება მუდამ როდი თავდება უეცარი სიკვდილით, — ასე თქვა ექიმმა. მან ან ავადმყოფობას უწოდა ტვინის თავისებური დარბილება... თუ რაღაც ამგვარი. (ნაღვლიანი სიცილით.) სახელწოდება, მე მგონია, ძლიერ ლამაზად ჟღერს. მე ეს ყოველთვის მაგონებს ალუბლისფერი ხავერდის ფარდებს... სურვილი მიპყრობს ხელი გადავუსვა...

ალვინგი. (წამობტება). ოსვალდ!

ოსვალდი (ადგება და ოთახში ბოლთას სცემს). და აი, შენ წამარ-  
თვი რეგინა. ის რომ გვერდით მყოლოდა, დახმარების ხელს გამო-  
მიწვდიდა.

ალვინგი (უახლოვდება). რა გინდა თქვი, ჩემო ძვირფასო? განა  
არის ქვეყნად ისეთი დახმარება, რასაც მე ვერ გაგიწევ?

ოსვალდი. როცა იმ შეტევების შემდეგ მოვმჯობინდი, ექიმმა  
მითხრა, თუ შეტევა განმეორდება. — და ის განმეორდება, — მაშინ  
კი ხსნა არ იქნებაო.

ალვინგი. იმ ექიმს გული არა ჰქონია, თუ ეს...

ოსვალდი. თვითონვე მოვითხოვე მისგან. მე ვუთხარი, რალაც  
განკარგულებები მაქვს გასაცემი-მეთქი. (ეშმაკურად იღიმება.) ასედაც  
არის. (იღებს შიდა ჯიბიდან პატარა კოლოფს.) დედა, ხედავ?

ალვინგი. რა არის ეს?

ოსვალდი. მორფიუმის ფხვნილი.

ალვინგი (შეძრწუნებული უცქერის). ოსვალდ... შეილო ჩემო...

ოსვალდი. მე შევავაროვე თორმეტი ასეთი დოზა...

ალვინგი (სურს გამოსტაცოს კოლოფი). მომეცი, ოსვალდ.

ოსვალდი, ჯერ ადრეა, დედა. (ისევ იხაზავს.)

ალვინგი. მე ამას ვერ გადავიტან.

ოსვალდი. უნდა გადაიტანო. რეგინა რომ ყოფილიყო აქ, ჩემ-  
თან, მე მას ვეტყოდი, რაც მომელის... და ვთხოვდი გაეწია ეს უკა-  
ნასკნელი სამსახური. ის ამ თხოვნას შემისრულებდა, ვიცი.

ალვინგი. არასოდეს!

ოსვალდი. როცა ეს საშინელება თავს დამატყდებოდა და ის  
ნახავდა, რომ მე ვწევარ უმწეოდ, როგორც პატარა ბავშვი, უიმე-  
დოდ, სამუდამოდ დაღუპული...

ალვინგი. არასოდეს რეგინა ამას არ გააკეთებდა!

ოსვალდი. რეგინა გააკეთებდა. ის ხომ ისე საოცრად გაბედუ-  
ლია და ყველაფერს იოლად წყვეტს. მერე მას მოსწყინდებოდა ისე  
ავადმყოფთან ჯახირი, როგორც მე ვარ.

ალვინგი. ჰოდა, მაღლობა ღმერთს რომ ის აქ არ არის.

ოსვალდი. მაშ, ახლა შენ გამიწევ ამ სამსახურს, დედა.

ალვინგი (ხმაბალა შეჰკოვებს). მე!

ოსვალდი. აბა ვინ მყავს შენზე უფრო ახლობელი?

ალვინგი. დედა ვარ შენი!

ოსვალდი. სწორედ ამის გამო!

ალვინგი. მე მოგანიკე შენ სიცოცხლე!

ოსვალდი. მე ხომ ის არ მითხოვია შენთვის. ან რა სიცოცხლე მომანიკე? არ მინდა ასეთი სიცოცხლე! უკან დაიბრუნე!

ალვინგი. მიშველეთ! მიშველეთ! (გარბის.)

ოსვალდი (მოსდევს. ეწევა.) ნუ მტოვებ. საღ მიდიხარ?

ალვინგი (წინა ოთახში). ექიმთან, ოსვალდ. გამიშვი.

ოსვალდი (იქვე). არ გაგიშვებ. და არავინაც არ შემოვა აქ.

ისმის... კარში გასაღების გადართიალების ხმა.

ალვინგი (ბრუნდება). ოსვალდ... ოსვალდ... შეილო ჩემო...

ოსვალდი (მოსდევს). შენ გინდა გიყვარდე ისე, როგორც დედას უყვარს შეილი, და მერე გაქვს თუ არა მკერდში გული, დედის გული? ნუთუ შეგიძლია უყურო ჩემს ტანჯვას... და მოითმინო ეს ჩემი აუტანელი შიში?!

ალვინგი... (წუთიერი ღუმლის შემდეგ, მტკიცედ). აი ჩემი ხელი.

ოსვალდი. თანახმა ხარ?

ალვინგი. თუ აუცილებელი აღმოჩნდება. მაგრამ ეს არ მოხდება. არა, არა, არასოდეს! შეუძლებელია!

ოსვალდი. იმედი ვიქონიოთ, და შევეცადოთ ვიცხოვროთ ერთად რაც შეიძლება დიდხანს. მაღლობელი ვარ, დედა. (ჯდება სავარძელში, რომელიც დივანთან ახლო დგას).

თენდება. ლამა ისევ ანთია მაგიდაზე.

ალვინგი (ფრთხილად მიდის ოსვალდთან). ახლა ხომ დამშვიდდი?

ოსვალდი. კი.

ალვინგი (დაიხრება). შენ, უბრალოდ, წარმოიდგინე მთელი ეს საშინელება, ოსვალდ, ყველაფერი ეს მხოლოდ მოჩვენება იყო. შენ ვერ აიტანე ამდენი მღელვარება. მაგრამ ახლა დაისვენებ... სახლში, შენს დედასთან, ჩემო ფასდაუდებლო ბავშვო. რასაც კი ხელს დაადებ, ყველაფერს მიიღებ, როგორც პატარაობაში, აი ხედავ... შეტევამ გაიარა. ხედავ, რა მსუბუქად ჩაიარა ყველაფერმა. ო, მე ეს ვიცოდის!.. და ხედავ, ოსვალდ, რა დიდებული დღე თენდება? მზე ამოდის. ახლა მაინც ნახავ შენს სხივოსან სამშობლოს. (მივა მაგიდასთან და აქრობს ლამპას.)

მზის ამოსვლა. ყინულოვანი მთები და მწვერვალები ლანდშაფტის სიღრმეში  
გასწივოსნებელი დილის მზის ნათელი შუქით.)

ოსვალდი (ზის უძრავად სავარძელში, აივნისაყენ ზურგშეკეცილი და  
შეცრად წამოიწყებს ლაპარაკს). დედა, მომეცი მზე.

ალვინგი (მაგიდასთან, ვერაფერი გაუგია). რას ამბობ?

ოსვალდი (იმეორებს ყრუდ, უხმოდ). მზე მინდა... მზე...

ალვინგი (მივიარდება). ოსვალდ, რა მოგდის?

ოსვალდი როგორღაც ღრმად ჩამჯდარა სავარძელში, კენჯები მოს-  
დუნებია, სახე უაზრო გახდომია. სიერცეს ჩლუნგი მზერით მისჩერება.

ალვინგი (საშინელებისაგან ცახცახებს). რა იყო? (შეკვივებს.) ოს-  
ვალდ! რა მოგივიდა! (ეცემა მის წინ მუხლებზე და ანჭრევს.) ოსვალდ!  
ოსვალდი შემომხედე! ვერ მიცანი?

ოსვალდი (უწინდებურად ყრუდ). მზე... მზე...

ალვინგი (სასოწარკვეთილი წამოვიარდება, იგლეჯს თმებს და ყვირის).  
ძალა არ შენწევეს! ამას ვერ გადავიტან! (ჩურჩულებს ზარდაცემული, გა-  
ყინული სახით.) ვერ ავიტან! ვერასოდეს, (უეცრად.) სადა აქვს ის? (ცახ-  
ცახით, გაფაციცებით ეძებს მკერდზე.) აგერ! (დაიხვეს რამდენიმე ნაბიჯით და  
კვივის.) არა! არა!... დიახ!... არა! არა! (დგას ორ ნაბიჯზე, თითები საკუთარ  
თმებში ჩაუშალავს და შვილს ზარდაცემული მღუმარებით უცქერის.)

ოსვალდი (უძრავად ზის, იმეორებს ისეთივე ყრუ ხმით). მზე... მომე-  
ცი მზე.



# სელსის მტერი

დრამა ხუთ მოქმედებად

თარგმნა

აკაკი ბელთაძე

## მოქმედი პირები

თომას სტოკმანი, კურორტის ექიმი.

ფრუ სტოკმანი, მისი ცოლი.

პეტრა, მათი ქალიშვილი, მასწავლებელი.

ეილიფი } მათი შვილები, ცამეტი და ათი წლისანი.  
მორტენი }

პეტერ სტოკმანი, ექიმის უფროსი ძმა, ბურგომისტრი და პოლიც-

მეისტერი, კურორტის სამმართველოს გამგე და ა. შ.

მორტენ კიილი, ფრუ სტოკმანის მამობილი, დაბახანის მეპატრონე.

პოვისტადი, „სახალხო უწყების“ რედაქტორი.

ბილინგი, იმავე გაზეთის თანამშრომელი.

პორსტერი, გემის კაპიტანი.

ასლაქსენი, მესტამბე.

სამოქალაქო შეკრებულობის მონაწილეები: სხვადასხვა წოდების

მამაკაცები, რამდენიმე ქალი და მოწაფეების ჯგუფი.

მოქმედება წარმოებს სამხრეთ ნორვეგიის პატარა სანაპირო ქალაქში.



## პ ი რ ვ ე ლ ი    მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

სიღამო. უბრალოდ, მაგრამ კობტად მოწყობილი ექიმის საცხოვრებელი ოთახი. მარჯვენა გვერდის კედელში ორი კარია. უფრო მოშორებული კარი წინა ოთახში გადის, უფრო ახლობელი კი — ექიმის კაბინეტში. კედელზე, წინა ოთახში გამაჯალი კარის მოპირდაპირე მხარეს, სხვა კარია იმ ოთახებისაკენ, რომლებიც ოჯახს უპირავს. იმავე კედლის შუა ადგილას ღუმელია, წინა მხარის ახლოს კი სავარძელი დგას, რომლის ზემოთაც სარკე ჰკიდია. სავარძლის წინ სუფრაგადაფარებული მაგიდაა. მაგიდაზე შუქფარის ქვეშ დგას ანთებული ლამპა. შუა კედელში ღია კარია სასადილოსაკენ, სადაც ჩანს გაშლილი სუფრა და აგრეთვე ანთებულ ლამპა.

ბ ი ლ ი ნ გ ი სუფრას უზის სასადილოში, საყელოში ხელსახოცი ჩაუჩრია. ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი სტუმარს გვერდით უდგას და როსტბიფით უმასპინძლებდა. სხვა სკამებზე მაგიდის გარშემო ცარიელია, ქურჭლულობა უწესრიგოდაა გაბნეული, ეტყობა სადილი ახლად დამთავრებულია.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი: დიახ, მთელი საათით რომ დაიგვიანეთ, ბატონო ბილინგ, ახლა ნულარც გვისაყვედურებთ, რომ ვახშამი ცივია.

ბ ი ლ ი ნ გ ი (ჭამს). ძალიან გემრიელია... პირდაპირ ჩინებულია.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. აკი მოგეხსენებათ, რა სასტიკად იცავს ჩემი ქმარი ჭამის წესებს.

ბ ი ლ ი ნ გ ი: მე თუ მკითხავთ, ჩემთვის სულერთია, წარმოიდგინეთ, უფრო სასიამოვნოცაა ჭამა, როცა აი ასე, მარტოკა, ზიხარ და არავინ ხელს არ გიშლის.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჰო, ჰო, რაკი გემრიელი გეჩვენებათ, მაშ... (ყურს უდებს.) აი, ვგონებ, ჰოვსტადიც.

ბ ი ლ ი ნ გ ი. შესაძლებელია.

შემოდის ბურგომისტრი სტოკმანი, პალტო აცვია, ფორმის ქუდი ახურავს და ჯოხი უპირავს.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. სალამს გიძღვნით, ჩემო რძალო.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. (გამოდის მისაღებ ოთახში). ახ, გამარჯობათ! ეს თქვენა ბრძანდებით? რა სასიამოვნოა, რომ შემოიარეთ!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. აქეთ მოვდიოდი და ვიფიქრე, ერთი. შეხედა სასაღილო ოთახში.) მაგრამ, ეტყობა, თქვენ სტუმრები გყოლიათ.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (ოღნავ ღარცხვინით). არა, სრულიადაც არა. ისე, შემთხვევით. (სწრაფად.) ხომ არ მიირთმევთ რაიმეს? ხათრი არ გავგიტეხთ.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მე? არა, უმორჩილესად გმადლობთ. ცხელი ვახშამი — ღმერთმა დამიფაროს. ჩემი კუჭი ასეთ რამეს ვერ იტანს.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ვითომ რა მოხდება, რომ ერთხელ მაინც...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. არა, არა, გმადლობთ. მე ჩემი ჩაითა და ბუტერბროდებითაც იოლად გავდივარ. ეს, ბოლოს და ბოლოს, მოსაწონებლადაც უფრო ადვილია... და უფრო იაფიც ჯდება.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (ღიმილით). არ იფიქროთ, რომ მე და თომასი ფულს ბზესავით ვფანტავთ...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. თქვენ არა, ჩემო რძალო. ეს აზრადაც არა მქონია. (თითო უჩვენებს ექიმის კაბინეტს.) შინ არ არის?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. არა, ვახშამის შემდეგ სასეირნოდ წავიდა, ბავშვებიც თან წაიყვანა.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. რომ უფრო ჯანსაღად იყონ, არა? (ყურადღებებით.) აი, მგონი, მოვიდა.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. არა, საეკვოა...

კაცუნი შემოსასვლელში.

გთხოვთ!

შემოდის რედაქტორი ჰოვსტადი.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. აჰ, ეს თქვენა ბრძანდებით, ბატონო რედაქტორო?..

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. დიახ, მაპატიეთ, სტამბაში დიდხანს გამაჩერეს. გამარჯობათ, ბატონო ბურგომისტრო.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი (თავს უქრავს ოღნავ ცივად). ბატონო რედაქტორო! ეტყობა, საქმისათვის მოსულხართ?

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. ნაწილობრივ. ერთი სტატიის თაობაზე, რომლის მოთავსებაც გვინდა ჩვენს გაზეთში.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. წარმოდგენილი მაქვს. ჩემი ძმა, როგორც ამბობენ, „სახალხო უწყების“ ფრიად ნაყოფიერი თანამშრომელია.

ჰოვსტადი. დიახ, ექიმი თავის თავს ნებას აძლევს ამა თუ იმ საქმეზე დროდადრო მართალი სიტყვით გამოვიდეს სახალხო უწყებაში.

ფრუსტოკმანი (ჰოვსტადს). მაგრამ ხომ არ ინებებთ?.. (უჩვენებს სასადილო ოთახს.)

ბურგომისტრი. მომიტევეთ, მე სულაც არ ვსაყვედურობ ძმას, რომ წერს მკითხველთა იმ წრისათვის, რომლის მხრიდანაც ყველაზე მეტ გამოხმაურებას ელის. საერთოდ, მე არა მაქვს არავითარი პირადი მიზეზი, თქვენი ვაზეთის მიმართ უკმაყოფილო ვიყო, ბატონო ჰოვსტად.

ჰოვსტადი. მეც ასე ვფიქრობ.

ბურგომისტრი. არსებითად ჩვენთან, ქალაქში შემწყნარებლობის მშვენიერი სული ბატონობს... ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი სული. და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ გვაქვს დიდი სერთო საქმე... რაც ერთგვარად ძვირფასია ყოველი წესიერი თანამოქალაქისათვის.

ჰოვსტადი. ჩვენი კურორტი, დიახ.

ბურგომისტრი. სახელდობრ, ჩვენი ახალი, გრანდიოზული სამკურნალო წყლები. თქვენ ნახავთ, ის იქცევა ქალაქის სიცოცხლის უმთავრეს წყაროდ, ბატონო ჰოვსტად. ეს უეჭველია.

ფრუსტოკმანი. თომასიც ასე ამბობს.

ბურგომისტრი. რა არაჩვეულებრივ გაიზარდა ჩვენი დაბა ამ უკანასკნელ წლებში! კაპიტალის ბრუნვამ იმატა. ყველაფერი გაცოცხლდა. სახლებისა და მამულების ფასი ყოველდღიურად იზრდება.

ჰოვსტადი. და უმუშევართა რიცხვი კლებულობს.

ბურგომისტრი. ესეც მართალია. იკლებს ზრუნვა ღარიბებზე, რომელთა მფარველობაც მქონებელ კლასებს ეკისრებათ, და კიდევ მეტად დაიკლებს, თუ ამ წლის სეზონში ჩამოსულთა რიცხვი გაიზარდა... თუ მოზღვავდებიან ავადმყოფები, რომლებიც კურორტს სახელს გაუთქვამენ.

ჰოვსტადი. ასეთი მოზღვავებისათვის კი, როგორც გავიგონე, ყველა საფუძველი არსებობს.

ბურგომისტრი. საფუძველები ფრიად ბევრს გვპირდებიან. ყოველდღიურად მოდის მოთხოვნები ბინებსა და ასეთ რამეებზე.

ჰოვსტადი. ჰოდა, ექიმის სტატიაც დროზე გამოქვეყნდება.

ბურგომისტრი. განა კიდევ დაწერა რაიმე საიმისო?

პოვესტადი. ჩერკიდევ ზამთარში დაწერა სტატია კურორტის შესახებ. მასში ხაზგასმულია ჩვენი დაბის ყველა. ხელსაყრელი ჰიგიენური პირობა. მაგრამ მე გადავადებინე დაბეჭდვა.

ბურგომისტრი. პო? ეტყობა, რაღაც მიზეზი იქნებოდა?

პოვესტადი. არა, ამიტომ კი არა. შუა გაზაფხულამდე დაყოვნება ემჭობინება-მეთქი, ვიფიქრე. ამ დროს იწყება ხოლმე გამოცოცხლება, ვანსჯა, სად გავატაროთ ზაფხულიო...

ბურგომისტრი. დიახ, სწორია. სავსებით სწორია ბატონო პოვესტად.

ფრუსტოკმანი. პო, სადაც საქმე ჩვენს კურორტს ეხება, სტოკმანი პირდაპირ ცეცხლია.

ბურგომისტრი. ამიტომაცაა კურორტის საფიცარი ექიმი

პოვესტადი. აკი მან წამოიწყო ყველაფერი.

ბურგომისტრი. მან? აი, თურმე, როგორ ყოფილა საქმე! ზოგჯერ იმისი მოსმენაც მიხდება, რომ, თურმე, არიან ადამიანები, რომლებიც ასეთი აზრისანი არიან მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ წამოწყებაში მეც მიმიძღვის მცირეოდენი წვლილი.

ფრუსტოკმანი. თომასი ამას ყოველთვის ლაპარაკობს.

პოვესტადი. ამას ვინ უარყოფს, ბატონო ბურგომისტრო? თქვენ წასწიეთ წინ საქმე, განახორციელეთ ის პრაქტიკულად. ეს ყოველმა ჩვენგანმა იცის. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ იღეა ეკუთვნის ექიმს.

ბურგომისტრი. ოჰ, იღეა თავის დროზე ჩემს ძმას ისეთი პქონდა, რომ ზომაზე მეტიც — სამწუხაროდ! მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, სხვა წრთობის ხალხია საქირო, ბატონო პოვესტად. და, გამოგიტყდებით. მე მეგონა, აქ მაინც, ამ სახლში...

ფრუსტოკმანი. მაგრამ, ძვირფასო მაზლო...

პოვესტადი. მომიტევეთ, ბატონო ბურგომისტრო...

ფრუსტოკმანი. წამობრძანდით, ბატონო პოვესტად, ცოტა რამ მიირთვიოთ, ამასობაში ალბათ ჩემი ქმარიც მოვა.

პოვესტადი. გმადლობთ, რატომაც არა, ერთ-ორ ლუქმას სიამოვნებით ავიღებ (შედის სასადილო ოთახში.)

ბურგომისტრი (ხმის დაწვეით). შესანიშნავია; რომ ეს უშუალოდ გლეხთა წრიდან გამოსული ხალხი ვერაფრით ვერ აღწევს თავს უტაქტობას.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. რასა ბრძანებთ, განა ღირს ყურადღების მიქცევა! ნუთუ თქვენ და თომასს არ შეგიძლიათ, პატივი ძმურად გაიყოთ?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ასე აჯობებდა, მაგრამ, ეტყობა, ყველა რო-  
დია გაყოფის მომხრე.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ოჰ, სხვებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას!  
თქვენ და თომასი ხომ საუცხოოდ ეწყობით ერთიმეორეს. (ყურს მი-  
უგდებს.) აი, ახლა კი, ვგონებ, ისაა. (მიდის და აღებს წინა კარს.)

ე ქ ი მ ი ს ტ ო კ მ ა ნ ი (სიცილით, ხმაურით შემოდის წინა ოთახში). აი.  
შენ, ერთი სტუმარიც, კატრინე! რაო, მოხარული ხარ? ა? გთხოვთ  
კაპიტანო ჰორსტერ; დაკიდეთ პალტო აი იმ კაზზე. ახ, თქვენ პალტო  
არ გაცვიათ... წარმოიდგინე, კატრინე, მე ეს კაცი ქუჩაში გამოვიჭი-  
რე და ძლივს შემოვათრიე ჩვენსას.

კ ა პ ი ტ ა ნ ი ჰ ო რ ს ტ ე რ ი შემოდის და ოთახში მყოფთ თავს უკრავს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (კარებში). აბა, აბა, შემოდით, ყმაწვილებო.  
წარმოიდგინე, ისევ მოშივდათ. აქეთ, კაპიტანო ჰორსტერ. ახლა ისე-  
თი როსტბიფი უნდა გაგაპინჯოთ... (მიჰყავს სასადილო ოთახისკენ. ვილიჟე  
და მორტენიცი იქით მიდიან.)

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ტომას, განა ვერ ხედავ?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (კარებში შემოტრიალდა). ა—ა, ეს შენა, პეტერ?  
(მიდის და ხელს გაუწვდის.) აი, ეს კი ჩინებულია.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. სამწუხაროდ, ახლავე უნდა დაგტოვოთ...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი სისულელეა, ახლავე პუნში იქნება. პუნში ხომ  
არ დაგვიწყებია, კატრინ?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. როგორ დამავიწყდებოდა! წყალი უკვე  
დღულს (გაღის სასადილო ოთახში.)

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ახლა პუნშიც მოიგონეთ!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაშ! დაჯექი. სწორედ ჩინებული იქნება.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. გმადლობთ, მე არასოდეს არ ვმონაწილეობ  
სტუდენტურ ნადიმებში.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ეს სადაური ნადიმია!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მაინც... (სასადილო ოთახისკენ იხედება.) საო-  
ცარია, რამდენსა ნთქავენ.

ეჭ. სტოკმანი (ხელების წმენდით). პირდაპირ სასაამოვნო და საამო საყურებელია, როცა ახალგაზრდები სუფოას უსხედანს მუდამ აქვთ მადა! ასედაც უნდა იყოს. მათ ჭამა უნდათ! ძალ-ლონე უნდა მოიკრიბონ! აი, ვინ უნდა მოზილოს მომავლის საფუარი, პეტერ.

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ნება მომეცი გკითხო, როგორ „მოზილო-სო“, რას ამბობ?

ეჭ. სტოკმანი. ეს შენ ახალგაზრდობას ჰკითხე... როცა დრო მოვა. ჩვენ კი, ორი ბებრუხანა, როგორც მე და შენ ვართ, რაღა თქმა უნდა. ამას ვერ ვნახავთ.

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. აბა, აბა, ეს რასა ჰგავს მეტად უცნაური ლაპარაკი იცი...

ეჭ. სტოკმანი. ე, ჩემი ყველაფერი თვალში ნუ გეჩხივება, პეტერ, უნდა გითხრა, რომ მე დღეს ძალიან მხიარულ ხასიათზე ვარ, დარდი გადამეყარა, და თავი უბედნიერესი ადამიანი მგონია ამ გამოდვიძებული ახალგაზრდული სიცოცხლის ფერხულში, ყოველ ძარღვში და კოკორში რომ ფეთქავს. მართლაც, მშვენიერი დროა! ასე მგონია, ჩვენს გარშემო მთელი სამყარო იფურჩქნება-მეთქი.

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მართლა? ასე გეჩვენება?

ეჭ. სტოკმანი. შენ ამას, რა თქმა უნდა, ჩემსავით არ ხედავ. მთელი შენი სიცოცხლე აქ გაგიტარებია, ამ პირობებში, და გარემოს შეჩვეული ხარ. მე კი რამდენი წელი გავატარე იქ, ჩრდილოეთში, მიყრუებულ მხარეში, სადაც ახალ ადამიანს თითქმის ვერ ნახავ, ახალ სიტყვას ვერ მოისმენ, ამიტომაც ახლა ყველაფერი ეს ჩემში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ხალხმრავალი მსოფლიო ქალაქის შიგ უშუაგულ მორევში აღმოვჩნდი..

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჰმ... მსოფლიო ქალაქის...

ეჭ. სტოკმანი. ჰო, გასაგებია, ცხოვრების ხასიათი აქ უფრო ვიწროა მრავალი სხვა ადგილის ცხოვრებასთან შედარებით. მაგრამ აქაც დულს ცხოვრება... იფურჩქნებიან მომავლის იმედები, თვალ-წინ გვეშლება ურიცხვი ამოცანა, რისთვისაც ღირს შრომა, ბრძოლა, ეს კი მთავარია. (ყვირის.) კატრინე, ფოსტალიონი არ ყოფილა?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (სასაღილოდან). არა, არავინ არ ყოფილა.

ეჭ. სტოკმანი. და მერე კარგი ხელფასი, პეტერ! აი, რის ფასს გაიგებ, როცა ჩვენსავით იცხოვრებ, ნახევრად მშვიერი.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მომიტევე...  
ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, დიახ. მგონი, ადვილად წარმოიდგენ,

როგორ გვიჭირდა იქ, ზემოთ. ახლა კი ბატონებივით ვცხოვრობთ! დღეს, მაგალითად, სადილად საქონლის ხორცი გვჭონდა, ვახშმადაც გადარჩა. არ გასინჯავ ლუკმას? ან გიჩვენო მაინც... მოდი აქეთ...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. არა, არა, არავითარ შემთხვევაში.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჰო, მაშინ აქეთ მაინც მოდი. ხედავ, ახალი გადასაფარებელი შევიძინეთ.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. დიახ, შევნიშნე.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შუქვარიც. ხედავ? ყველაფერი კატრინეს დანაზოგია. ოთახიც უფრო მოეწყო, მყუდრო გახდა. ასე არ არის? ერთი დადექი იქ... არა, არა, ასე კი არა; აი ასე. ხედავ, მაშინ იქიდან ისეთი ძლიერი შუქი ეცემა, რომ სასადილო პირდაპირ მომხიზლავია, ჰა?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჰო, თუ შეიძლება თავს ასეთი ფუფუნების ნება მივცეთ...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ო, დიახ, ახლა შეიძლება. კატრინე ამბობს, რომ ამჟამად სწორედ იმდენს ვღებულობთ, რამდენიც საჭიროა ოჯახის სარჩენად.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. დიახ! თითქმის.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაგრამ მეცნიერების მსახურს ხომ უფლება აქვს ცოტა ფართოდ ცხოვრებისა? მე ვიცი, უბრალო მოხელე წელიწადში ჩემზე მეტს ხარჯავს.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მეც ასე ვფიქრობ, ოღონდაც! მოხელე უმაღლესი ადმინისტრაციული პიროვნებაა...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჰო, ვთქვათ, ასეა უბრალო ვაჭარიც; ეს ხალხი ბევრად უკეთ ცხოვრობს...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ასეთია ცხოვრების პირობები.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ბოლოს და ბოლოს, მეც, სიმართლე რომ ითქვას, ზედმეტს არაფერს ვხარჯავ, პეტერ. მაგრამ ხომ ვერ დავაკლებ ჩემს თავს იმ ჭეშმარიტ სიამოვნებას, რომ ოჯახში მხიარული ადამიანები მივიღო? ჩემთვის ეს, წარმოიდგინე, პირდაპირ აუცილებელია. რამდენი წელი ვიჩქეი იმ მიყრუებულ კუთხეში, სიცოცხლეს მოკლებული... ახლა ჩემთვის საარსებო მოთხოვნილებად იქცა სიახლოვე ახალგაზრდა, მხნე, მამაც ადამიანებთან, რომლებიც თავისუფ-

ლად აზროვნებენ და მოქმედების წყურვილით იწვიან... აგერ, იქ რომ სხედან და მაღიანად შეეკცევიან — შეერგოთ! — სწორედ ასეთები არიან. მე ვისურვებდი, რომ უფრო ახლო გაგეცნო ჰოვსტადი...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ახ, მართლა, ჰოვსტადმა თქვა, რომ შენი რომელიღაც სტატიის დაბეჭდვას აპირებს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჩემი სტატიის?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჰო, კურორტის შესახებ. ეს სტატია ჯერ კიდევ ზამთარში დაგიწერია.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ახ, ისა... დიახ! მაგრამ მე ჯერ არ მინდა მისი გაშვება.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. არა? ჩემი აზრით კი საამისოდ ახლა სწორედ შესაფერისი დროა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, დიახ, დაუშვათ; ჩვეულებრივ პირობებში.. (დადის ოთახში.)

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი (თვალს აუოლებს). მერე, ისეთი არაჩვეულებრივი რა მოხდა ახლა?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (შეჩრდება). იცი, პეტერ, სინდისს ვფიცავ, ჯერ ამას ვერ გეტყვი. ყოველ შემთხვევაში, დღეს ამისი თქმა არ შემიძლია. შესაძლებელია მოცემულ შემთხვევებში არაჩვეულებრივიც ბევრი იყოს, და იქნება არაფერიც არ იყოს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მხოლოდ ფანტაზია აღმოჩნდეს.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ვალიარებ, ეს უაღრესად საეჭვოა. ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე ისეთი არასასიამოვნო ამბავი, რასაც მე მიმაღავენ? მაინც ვფიქრობ, რომ როგორც კურორტის მმართველს...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მე კი ვფიქრობდი, როგორც... ჰო, კარგი, წვერებში ხომ არ უნდა ჩავაფრინდეთ ერთიმეორეს, პეტერ!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ღმერთმა დაგვიფაროს. მე ასეთი ჩვეულება არა მაქვს — წვერებში ჩავაფრინდე ვინმეს, როგორც შენ ამბობ. მაგრამ მე განუხრელად და დაჯინებით მოვითხოვ ყველა ღონისძიება გატარდეს დადგენილი წესისამებრ, კანონიერი ხელისუფლების საშუალებით. მე ვერ მოვითმენ ვერავითარ მიკიბ-მოკიბვას და მიხვეულ-მოხვეული გზებით სვლას.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. განა ოდესმე მივლია მოხვეულ გზებით?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ყოველ შემთხვევაში, შენ გაქვს თანდაყოლილი მიდრეკილება, რომ იარო შენი განსაკუთრებული გზებით. ხო-



ლო ეს კი კეთილმოწყობილ საზოგადოებაში თითქმის ასევე დაუშვებელია. ცალკეული ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მთავრობის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს, ანუ, უკეთ, დაემორჩილოს ხელი-სუფალთ რომლებიც საერთო კეთილდღეობის საგუშაგოზე დგანან.

ე. ს. ტოკმანი. სავსებით შესაძლებელია, მაგრამ მე რა ეშმაკი მესაქმება ამასთან?

ბურგომისტრი. როგორც ვატყობ, ძვირფასო თომას, სწორედ ეს არა გსურს შეიგნო. მაგრამ ფრთხილად, ამისათვის ადრე თუ გვიან პასუხს აგებ, ასე იცოდე. მშვიდობით.

ე. ს. ტოკმანი. შენ, მგონი, შეიშალე! გზა აგრევიან...

ბურგომისტრი. ასეთი რამე არ მომივა. ახლა კი უნდა გამოგემშვიდობოთ, ჩემო რძალო. მშვიდობით, ბატონებო. (გაღის.)

ფრუ სტოკმანი (შემოდის ოთახში). წავიდა?

ე. ს. ტოკმანი. დიახ. მთლად გადაირია.

ფრუ სტოკმანი. რატომ გააბრაზე ისევ, ძვირფასო თომას?

ე. ს. ტოკმანი. სულაც არ გამიბრაზებია. რა უფლება აქვს, მომთხოვოს, რომ ყველაფერი წინასწარ გადმოვულაგო?

ფრუ სტოკმანი. რა უნდა გადმოგულაგებინა?

ე. ს. ტოკმანი. აჰ, მომეშვი, კატრინე! საოცარია, რომ ფოსტიდან არაფერი არ არის.

პოვსტადი, ბილინგი და პორტერი სუფრას ტოვებენ და სასტუმრო ოთახში გამოდიან. ელიფი და მორტენი ცოტა მოგვიანებით.

ბილინგი (ოზმორება). აა! ღმერთმა დამლახვროს, თუ ასეთი ვან-შმის შემდეგ თავს ახალ ადამიანად არა ვგრძნობდე...

პოვსტადი. ბურგომისტრი კი დღეს, ეტყობა, ცუდ ხასიათზე იყო.

ე. ს. ტოკმანი. ეს სულ კუქის ბრაღია. მისი კუქი საჭმელს ვერ ინელვებს.

პოვსტადი. მეტადრე ვერ გვინელვებს, ეტყობა, ჩვენ და ჩვენს „სახალხო უწყებას“.

ფრუ სტოკმანი. თქვენ, მგონი, არა გიშავთ... საკმაოდ მშვიდობიანად დაშორდით.

პოვსტადი. ჰო, მაგრამ ეს მხოლოდ ისე მოხდა, დაზავებასა-ვით...

ბილინგი. სწორედ! ეს სიტყვა ამოწურავს საქმის ვითარებას.  
ექ. სტოკმანი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პეტერი მარტოხელა კაცია; საცოდავს არა აქვს ოჯახი. მყუდრო კუთხე. სულ საქმე და საქმე, წელებზე ფეხს იდგამს. მერე კიდევ ეს სამგზის წყეული ჩაის წყალი, რასაც ის წრუპავს მთელი თავისი დღე და მოსწრება. ეი, თქვენ, ბიჭუნებო! მოსწიეთ სკამები. კეტე, მალე იქნება ჩვენი პუნში?

ფრუ სტოკმანი (მიდის სასადილოში). ახლავე მოგართმევთ.

ექ. სტოკმანი. თქვენ აქ დაჩქევით ჩემთან დივანზე, კაპიტანო ჰორსტერ. აკი ისეთი იშვიათი სტუმარი ხართ! გთხოვთ. მეგობრებო!

მამაყაყაეები მაგიდის გარშემო სხდებიან. ფრუ სტოკმანს მოაქვს ლანგარი, ზედ დგას მღულარე წყლით სავსე პურპელი, გრაფინები, კიჭები და სხვა მისთანა.

ფრუ სტოკმანი. აი ასე. აქ არაყიცაა, რომიც, კონიაკიც. ახლა ყველამ თავის თავს გაუწიოს მასპინძლობა (გაღის.)

ექ. სტოკმანი. (იღებს კიჭას). მოვახერხებთ. (ამზადებს პუნშს.) სიგარებიც მოგვიტანეთ, ეილიფ, შენ უთუოდ გეცოდინება, სადაც დგას ყუთი. შენ კი, მორტენ, ჩიბუხი მომიტანე (ბავშვები გარბიან მარჯვნივ ოთახში.) ეკვი მაქვს, რომ ეილიფი ზოგჯერ სიგარებს იპარავს, მაგრამ ვითომ არ ვამჩნევ (ყვირის.) მომეცი ქუდი, მორტენ! კატრინე, შენ არ იცი, რა ვუყავი ჩემს თეთრ ქუდს? აი, მორტენმა უკვე იპოვა! (ბავშვებს მოაქვთ ყველაფერი, რაც ნაბრძანები იყო.) მიირთვით, მეგობრებო. მე, აკი მოგეხსენებათ, ჩემს ჩიბუხს არ ვეშვები. დიახ, ეს ჩემს ბედს იზიარებდა იქ, ჩრდილოეთში, ყოველგვარ ამინდსა და უამინდობაში. (კიჭას შიაქაბუნებს.) თქვენი სადღეგრძელო იყოს! ა — ა! აი, რამდენად უფრო სასიამოვნოა ასე თბილად და უდარდელად ჯდომა!

ფრუ სტოკმანი (ჭარბავს). მალე ისევ გზას გაუდგებით, არა, კაპიტანო ჰორსტერ?

ჰორსტერი. მომავალ კვირას, ვგონებ, მზად ვიქნებით და გავემგზავრებით.

ფრუ სტოკმანი. ამერიკაში?

ჰორსტერი. დიახ.

ბილინგი. მაშ თქვენ, როგორც ჩანს, ახალ არჩევნებში ველარ მიიღებთ მონაწილეობას!

ჰორსტერი. განა ახალი არჩევნებია მოსალოდნელი?

ბილინგი. თქვენ ეს არ იცოდით?

პორსტერი. არა, ასეთ საქმეებში არ ვერევი.

ბილინგი. მაგრამ თქვენ ხომ დანტერესებული ხართ საზოგადოებრივი საქმეებით?

პორსტერი. არა. მე მათი არაფერი გამეგება.

ბილინგი. მერე რა, ყოველ შემთხვევაში, ხმის მიცემაში მონაწილეობა მაინც საჭიროა.

პორსტერი. მათთვისაც, ვისაც ამ საქმეების არაფერი გაეგება?

ბილინგი. გაეგებაო? ესე იგი, რისი თქმა გინდათ? საზოგადოებაც ერთგვარი ხომალდია. მთელი ეკიპაჟი უნდა მონაწილეობდეს მის მართვაში.

პორსტერი. შესაძლებელია ხმელეთზე ასე იყოს საჭირო. ხომალდზე კი აქედან გონივრული არაფერი გამოვიდოდა.

პოვსტადი. უცნაურია, რა ცოტა ინტერესს იჩენენ უმრავლეს შემთხვევაში მეზღვაურები ქვეყნის საქმეებისადმი.

ბილინგი. პირდაპირ გასაოცარია.

ექ. სტოკმანი. მეზღვაურები იგივე გადამფრენი ფრინველები გახლავთ, მულამ შინ არიან — სამხრეთშიაც და ჩრდილოეთშიაც. ჩვენ, დანარჩენებს, მით უფრო ენერგიულად გვმართებს მოქმედება, ბატონო პოვსტად. ხომ არ გამოჩნდება ხვალ „სახალხო უწყებაში“ ასეთი ყველასათვის სასარგებლო რამ?

პოვსტადი. ქალაქის საქმეების განყოფილებაში — არაფერი. მაგრამ ზეგისთვის მინდოდა თქვენი სტატიის გაშვება...

ექ. სტოკმანი. ახ, ეშმაკმა წაიღოს, ჩემი სტატიის! არა, გამიგონეთ, თქვენ ამ საქმის გადადება მოგიხდებათ.

პოვსტადი. მართლა? ჩვენ კი სწორედ ადგილიც გვაქვს და დროც, მგონი, სრულიად შესაფერისია.

ექ. სტოკმანი. დიახ, დიახ; ეს, მართალია. ასეა, მაგრამ თქვენ მაინც მოგიხდებათ, ცოტა მოცდა. მერე აგცხსნით...

წინა ოთახიდან შემოდის პეტრა, ფართოფარფლიანი ქული ახურავს. პალტო აკვდა და ილიაში რეეულები აქვს ამოჩრილი.

პეტრა. გამარჯობათ!

ეჭ. სტოკმანი. სალამო მშვიდობისა, პეტრა. შენც მოხვედი?  
--(ესალმებიან ერთმანეთს. პეტრა - ალაგებს თავის - ნივთებსა და რვეულებს სკამზე,  
კარებთან.)

პეტრა. თქვენ აქ არხეინად დამსხდარხართ და ქეიფობთ, მე კი  
სირბილით სული ამომხდა.

ეჭ. სტოკმანი. აი, ახლა შენც დაჯექი და იქეიფე.

ბილინგი. გაგიშადოთ ჭიქა?

პეტრა (შიდის შავიდან). გმადლობთ. უმჯობესია მე თვითონ  
დავისხა. თქვენ ყოველთვის მაგარს ამზადებთ. ახლა, მამიკო, მე შენ-  
თან წერილი მაქვს (შიდის სკამთან, სადაც მისი ნივთებია.)

ეჭ. სტოკმანი. წერილი? ვისგან?

პეტრა (ეჭებს პალტოს ჯიბეში). სახლიდან რომ გავდიოდი, სწო-  
რედ მაშინ მომცა ფოსტალიონმა...

ეჭ. სტოკმანი (ადგება და უახლოვდება). შენ კი მხოლოდ ახლა  
მამძღვე!..

პეტრა. რა უნდა მექნა, უკან ამოსასვლელად აღარ მეცალა.

ეჭ. სტოკმანი (წერილს გამოსტაცებს). ვნახოთ, ვნახოთ, ჩემო  
გოგონავ. (მისამართს დასკვრის.) დიახ, დიახ, სწორედ ის არის!..

ფრუ სტოკმანი. ამას ელოდი ასე მოუთმენლად, თომას?

ეჭ. სტოკმანი. სწორედ ამას. ახლავე უნდა წავიდე... სად  
ვნახო სანთელი, კატრინე? ჩემს ოთახში ლამაზა ისევ არა დგას?

ფრუ სტოკმანი. როგორ არა, შენს საწერ მაგიდაზე დგას  
ანთებული.

ეჭ. სტოკმანი. კარგი, კარგი. მაპატიეთ, ერთი წუთით... (ა-  
დის მარჯვნივ ოთახში.)

პეტრა. რა წერილია დედა?

ფრუ სტოკმანი. არ ვიცი. უკანასკნელ დღეებში წამდაუწუმ  
კითხულობდა, ფოსტა არ ყოფილაო?

ბილინგი. ალბათ, ქალაქგარეთელი პაციენტია...

პეტრა. საბრალო მამიკო. მალე წელს მოსწყვეტენ ამდენი შრო-  
მით (იშვადებს პუნუსს.) აი, გემრიელი თუ გინდა, ეს იქნება!

პოვსტადი. დღესაც გქონდათ მეცადინეობა სალამოს სკოლა-  
ში არა?

პეტრა (მოსვამს პუნუსს). ორი საათი.

ბილინგი. დილით კიდევ ოთხი საათი ინსტიტუტში...

პეტრა (სუფრას მიუჯდება). ხუთი საათი.

ფრუ სტოკმანი. საღამოს კიდევ რვეულების გასწორება მოგიხდება, როგორც ვხედავ.

პეტრა. მთელი ზვინის.

ჰოსტერი. ეტყობა, თქვენც მამასავით წელი გწყდებათ ამდენი ჯაფით.

პეტრა. დიახ, მაგრამ ეს კარგია. ისე სასიამოვნოდ იღლები ამდენი მუშაობის შემდეგ...

ბილინგი. და თქვენ ეს მოგწონთ?

პეტრა. დიახ. მერე ძილი ისე ტკბილია...

მორტენი. სიმართლე თუ გინდა, საოცრად ცოდვილი ხარ, პეტრა.

პეტრა. ცოდვილი?

მორტენი. ჰო, ცოდვილი, ამდენს რომ მუშაობ. ბატონი რერლუნდი ამბობს, შრომა ჩვენი ცოდვებისათვის დადებული სასჯელიაო.

ელიფი (ავღებით წაიფრუტუნებს). ერიპა! რა სულელი ხარ, ეს რომ გჯერა.

ფრუ სტოკმანი. აბა, აბა, ეილიფ!

ბილინგი. (იცინის). არა, ეს ჩინებულია!

ჰოვსტადი. შენ კი არ გინდა ასე ბევრი იმუშაო, მორტენ?

მორტენი. არა.

ჰოვსტადი. ვინ გინდა გამოხვიდე?

მორტენი: ყველაფერს ემჯობინება, თუ ვიკინგი გამოვალ.

ელიფი. მაშინ შენ წარმართი იქნები.

მორტენი. მერე რა, ვიყო წარმართი.

ბილინგი. გეთანხმები, მორტენ! მეც ასე ვიტყვოდი.

ფრუ სტოკმანი (ანიშნებს). რა თქმა უნდა, არა, ბატონო ბილინგ.

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს... მე წარმართი ვარ და ვამაყოფ ამით. თქვენ ნახავთ, მალე ყველანი წარმართები ვიქნებით.

მორტენი. და მაშინ შეიძლება გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც მოვისურვებთ?

ბილინგი. ესე იგი, ხედავ, მორტენ...

ფრუ სტოკმანი. წადით ახლა თქვენს ოთახში ყმაწვილებო. ალბათ, ყველა გაკვეთილი არ გექნებათ მომზადებული ხვალისათვის.

ენილი ფი. ჯერ კიდევ შეიძლება ჩემი აქ დარჩენა...  
ფრუ სტოკმანი. არა, არც შენი დარჩენა შეიძლება. წადით  
ორივე.

ბავშვები ეშვიდობებიან და გადიან მარცხნივ ოთახში.

პოვსტადი. მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ ბავშვებისათვის საზი-  
ანოა ასეთი საუბრების მოსმენა?

ფრუ სტოკმანი. არ ვიცი, მაგრამ მე ეს არ მომწონს.

პეტრა. რას ამბობ, დედა, ეგ მართლაც უაზრობაა.

ფრუ სტოკმანი. შეიძლება. მაგრამ მე ეს არ მომწონს, ყო-  
ველ შემთხვევაში, აქ, ჩვენს სახლში.

პეტრა. რამდენი უსამართლობაა შინაც და სკოლაშიაც! შინ უნ-  
და ვდუმდეთ, სკოლაში კი ბავშვებს პირდაპირ ვატყუებდეთ!

პორსტერი. ტყუილის თქმაც გიხდებათ?

პეტრა. როგორ ფიქრობთ, განა ჩვენ არ გვიხდება ისეთი რა-  
მეების სწავლება, რაც თვითონვე არ გვჯერა?

ბილინგი. ეს უკვე მჯერა; რაც მართალია, მართალია!

პეტრა. საშუალება რომ მქონდეს, ჩემს სკოლას გავხსნიდი, და  
იქ საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა.

ბილინგი. ეჰ, რა საშუალება უნდა!

პორსტერი. თუ ეს ასე გასურთ, სტოკმანის ასულო, მე შემიძ-  
ლია შენობა მოგცეთ. მამის ძველი დიდი სახლი ცარიელი დგას. ქვე-  
მო სართულზე უზარმაზარი დარბაზია.

პეტრა (იციხის). დიახ, დიახ, გმადლობთ. ოღონდ საეჭვოა, აქე-  
დან რამე გამოვიდეს.

პოვსტადი. არა, სტოკმანის ასული ალბათ უმალ ჩვენთან  
გადმოვა, გაზეთის თანამშრომელთა ბანაკში... ახ, მართლა, მოასწა-  
რით იმ ინგლისური მოთხრობის გადათვალეირება, ჩვენი გაზეთისა-  
თვის თარგმნას რომ დაგვპირდით?

პეტრა. ჯერ ვერა. მაგრამ ნუ გეშინიათ, თავის დროზე მიიღებთ.

ექ. სტოკმანი (გამოდის კაბინეტიდან გახსნილი ბარათით ხელში). აბა  
ბატონებო, აი ახალი ამბავი ქალაქისათვის!

ბილინგი. ახალი ამბავი?

ექ. სტოკმანი. უზარმაზარი აღმოჩენა, კატრინე!

პოვსტადი. ჰო?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. და ეს შენ მოახდინე?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. სწორედ მე. (დადის ოთახში.) დე, ახლა ჩვეულებისამებრ, ილაპარაკონ, რომ ეს მხოლოდ მიქარგაა და გოქური ოინები! დარდი ნუ გაქვს, შეშფოთლებიან! ხა—ხა! შეშფოთლებიან, მე ასე ვფიქრობ!

პ ე ტ რ ა. ბარემ გვითხარი, მამიკო, რა მოხდა?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მადროვე, მადროვე, ყველაფერს გაიგებთ. აჰ, ახლა რომ პეტერი აქ იყოს! დიახ, აი საიდან ჩანს, რომ ზოგჯერ ადამიანები ბრძემები ვართ, როგორც თხუნელები!

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. მაინც რისი თქმა გინდათ ბატონო ექიმო?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. (მაგიდასთან ჩერდება). განა ყველა იმ აზრის არ არის, რომ ჩვენი ქალაქი ჯანსაღი ადგილია?

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. თავისთავად ცხადია.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. თანაც უაღრესად ჯანსაღი ადგილი... რომელიც ძალიან გულმოდგინედ უნდა დაენიშნოთ ჯანმრთელთაც და ავადმყოფთაც...

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაგრამ, ძვირფასო თომას...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ასედაც ვიქცეოდით — ვურჩევდით, ვუქებდით. მე ვწერდი „სახალხო უწყებასა“ და ბროშურებში.

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. მერე, რა მოხდა?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მერე ჩვენ გვაქვს სამკურნალო წყლები, რომელთაც ვეძახით ქალაქის მთავარ არტერიას, სასიცოცხლო ნერვს, და ეშმაკმა იცის, კიდეც რას.

ბ ი ლ ი ნ გ ი. „ქალაქის მფეთქავი გული“ — აჲ ვუწოდე მე ერთხელ საზეიმო წუთებში...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჰო, ასე, ასე. და მერე იცით თუ არა, რომ სინამდვილეში ეს გრანდიოზული, ქებული კურორტი, რომელიც ასე აურაცხელი ფული დაგვიჯდა — იცით თუ არა, რა არის ეს?

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. არა. რა უნდა იყოს?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. რა არის?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შავი ქირის ორმო.

პ ე ტ რ ა. კურორტი, მამიკო!

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (იმავედროულად) ჩვენი კურორტი!

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი (ასევე). მაგრამ, ექიმო...

ბ ი ლ ი ნ გ ი. პირდაპირ დაუჭერებელია!

ეჭ. სტოკმანი. მთელი კურორტის სამკურნალო წყალი — შედეგილი კუბოა, აშშორებული, აღსავსე ჭირით და სნებით. ჯანმრთელობისთვის მეტად სახიფათო! მთელი ეს საზიზღრობა, წისქვილის ხეობიდან რომ მოდის... მთელი ეს აყროლებული შმორი... წამლავს წყალს, რომელიც წყალსადენი მილებით გადის შენობაში, სადაც წყლებს სვამენ. ეს შხამიანი საძაგლობა წვეთწვეთობით მოყონავს სანაპიროზეც...

პოვსტადი. სადაც ზღვის აბაზანებს იღებენ?

ეჭ. სტოკმანი. სწორედ იქ!

პოვსტადი. საიდან ხართ ასე დარწმუნებული, ბატონო ეჭიმო?

ეჭ. სტოკმანი. მე დიდი დაკვირვებით შევისწავლე ყველა პირობა. ო, მე დიდი ხანია გულში ვატარებდი ამ ეჭვს. გასულ წელს ჩამოსულ ავადმყოფებში შევნიშნე რაღაც საოცარი, კუჭ-ნაწლავის ამოუხსნელი დაავადებანი... ტიფები, გასტრული შემთხვევები...

ფრუ სტოკმანი. დიახ, დიახ, იყო, იყო.

ეჭ. სტოკმანი. მაშინ გვეგონა, რომ სტუმრებს ჩამოჰყვა ავი სენი. მაგრამ შემდეგ... ზამთარში... საქმეს სხვაგვარად შევხედე და შევეუდექი წყლის გამოკვლევას, რამდენადაც შემეძლო.

ფრუ სტოკმანი. აი, თურმე რაზე იტეხდი თავს!

ეჭ. სტოკმანი. დიახ, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ვიჯახირე. კატრინე! მაგრამ სად უნდა მეშოვა აქ ყველა საჭირო ხელსაწყო და იარაღი? ჰოდა, ქიმიური ანალიზის მოსახდენად უნივერსიტეტში გავგზავნე სასმელი და ზღვის წყლის სინჯი.

პოვსტადი. და ახლა მიიღეთ?

ეჭ. სტოკმანი (აჩვენებს წერილს). აი, აქ არის. დადასტურებულია წყალში გამხრწნელი ორგანული ნივთიერებების არსებობა... და აღმოჩენილია ბაქტერიების მთელი მასები. ასე რომ, ეს წყალი უეჭველად საზიანოა ჯანმრთელობისათვის, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ხმარებისათვის.

ფრუ სტოკმანი. რა ბედნიერებაა. რომ შენ ეს დროზე აღმოაჩინე!

ეჭ. სტოკმანი. რალა თქმა უნდა.

პოვსტადი. ახლა რის გაკეთებას აპირებთ, ეჭიმო?



ე. ს. ტ. კ. მ. ა. ნ. რასაკვირველია, შევეცდები საქმის გამოსწორებას.

პ. ო. ვ. ს. ტ. ა. დ. ი. მერე ეს შესაძლებელია?

ე. ს. ტ. კ. მ. ა. ნ. ი. საჭიროა! არადა — მთელი კურორტის საქმე წასულია, დაღუპულია. მაგრამ ეს არაა ხაშიში. ჩემთვის საესებით ნათელია, სახელდობრ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ.

ფ. რ. უ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. მაგრამ როგორ შეინახე ყველაფერი ასე საიდუმლოდ, ძვირფასო თომას?

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. მაშ რა უნდა მექნა? მერბინა ქალაქში და ქვეყნისათვის მომედო უმალ, ვიდრე თვითონ ყველაფერში დავრწმუნდებოდი? არა, გმადლობთ, არც ასე სულელი ვარ.

პ. ე. ტ. რ. ა. ჩვენ, შინაურებს მაინც...

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. არც ერთ სულიერს. მაგრამ ხვალ კი შეგაძლია შეირბინო „მაჩეთან“..

ფ. რ. უ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. ახ, თომას...

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. ჰო, ჰო, ვთქვათ, პაპასთან. შენ უნდა ნახო, როგორ გაუკვირდება მოხუცებულს, ის აკი შეშლილად მთვლის. და როგორც მე უკვე შევნიშნე, არა მარტო ის, ბევრი სხვაც. ჰოდა, ახლა ეს კეთილი ადამიანები ნახავენ... მე მათ ვაჩვენებ... (დაღის ოთახში, ხელებს იფშვნეტს.) ისეთი ალიაქოთი ატყდება ქალაქში, კატრინე! ვერც კი წარმოიდგენ. მთელი წყალსადენის ქსელი ხელახლა ჩასაწყობი გახდება!

პ. ო. ვ. ს. ტ. ა. დ. ი. მთელი ქსელი?

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. თავისთავად ცხადია. მიმღები მეტად დაბლაა ჩაწოლილი. საჭიროა მისი გადატანა სადმე მაღლა.

პ. ე. ტ. რ. ა. მაშასადამე, შენ მაინც მართალი ყოფილხარ.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. დიახ, გახსოვს, პეტრა? მე მაშინ ვწერდი, გამოვდიოდი მათ წინააღმდეგ, როგორც კი დაიწყეს მიღების ჩაწყობა. მაგრამ გავგონებაც არაფრისა სურდათ. ჰოდა, ახლა ვაჩვენებ სეირს!.. მე ხომ მთელი მოხსენება შევეუდგინე კურორტის მმართველობას! უკვე ერთი კვირაა მზადა მაქვს. მხოლოდ ამ წერილს ველოდი. ახლა კი დაუყოვნებლივ გავაგზავნით მოხსენებას. (დაღის თავის ოთახში და ბრუნდება მთელი შეკვრა დაწერილი ქაღალდებით ხელში.) აი, მთელი ოთხი წერილად დაწერილი ფურცელი და ამ წერილსაც თან დავურთავ. გაზეთი, კატრინე! მომეცი, რამეში შევხვდები! კარგი. აი, ასე. გადაეცი

ეს... ეეე... (ფხვს დაჰკრავს იატაკზე.) ოჰ, ეშმაკმა დალახვროს, რა ჰქვია იმ ქალს... ერთი სიტყვით, გადაეცი მოსამსახურეს და უბრძანე ახლავე წაიღოს ბურგომისტრთან.

ფრუ სტოკმანი ამანათით ხელში გადის სასადილო ოთახში.

პეტრა. მამიკო, რას იტყვის, შენი აზრით, ძია პეტერი?

ეჭ. სტოკმანი. რას იტყვის პეტერი? რა უნდა თქვას, ალბათ, გაუხარდება ასეთი მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების აღმოჩენა.

ჰოვსტადი. ნებას მოგვცემთ, რომ „სახალხო უწყებაში“ მოვათავსოთ პატარა ცნობა თქვენი აღმოჩენის შესახებ?

ეჭ. სტოკმანი. მაღლობასაც გეტყვით.

ჰოვსტადი. სასურველიცაა, რომ ხალხმა ამის შესახებ რაც შეიძლება მალე გაიგოს.

ეჭ. სტოკმანი. უდავოდ.

ფრუ. სტოკმანი (ბრუნდება). წავიდა.

ბილინგი. დე, ღმერთმა დამლახვროს, თუ თქვენ ჩვენს ქალაქში, პირველი კაცი არ იყოთ, ბატონო დოქტორო!

ეჭ. სტოკმანი (მზიარულად ბოლთასა სცემს). ეჰ, რა სათქმელია! არსებითად მე მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე. მე მომეცა ბედნიერი შემთხვევა ამომეთხარა „საგანძური“, ეს არის და ეს. ისე, რა თქმა უნდა...

ბილინგი. ჰოვსტად, როგორ ფიქრობთ, განა ქალაქმა ექიმ სტოკმანს პატივი არ უნდა სცეს პროცესიითა და დროშებით?

ჰოვსტადი ყოველ შემთხვევაში, მე აღვძრავ ამ საკითხს.

ბილინგი. მე კი ამის შესახებ მოველაპარაკები ასლაქსენს.

ეჭ. სტოკმანი. არა, ჩემო მეგობრებო, თავი დაანებეთ ამგვარ ოინებს! გავგონებაც არა მსურს არავითარი მსგავსი ამბებისა. და თუნდაც კურორტის მმართველობას აზრად მოუვიდეს ამისათვის ხელფასის მომატება, — არ დავთანხმდები. გესმის, კატრინე — არ დავთანხმდები.

ფრუ სტოკმანი. და კარგსაც იზამ, თომას.

პეტრა (ასწევს ჰიქას). მამიკოს სადღეგრძელო იყოს!

ჰოვსტადი და ბილინგი. იღლეგრძელებთ, ბატონო ექიმო!

პორსტერი. (შიუჩახუნებს ექიმს). ღმერთმა ინებოს თქვენი გა-  
მარჯვება.

ექ. სტოკმანი. გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო მეგობრე-  
ბო! სულითა და გულით მოხარული ვარ... სასიხარულოა იმის შეგ-  
ნება, რომ სამსახური გაუწიე შენს მშობლიურ ქალაქს და შენს თანა-  
მოქალაქეებს. ვაშა, კატრინე! (ისეგრე ეხვევა და მასთან ტრიალებს ოთახ-  
ში.)

ფრუ სტოკმანი შეპკივლებს და ცდილობს გაუსხლტეს. საერთო სიცილი, ტა-  
ში და „ვაშას“ ძახილი ექიმის პარტიკულარულად. ბავშვები კარებში თავებს შე-  
პოყოფენ.)

## მეორე მოქმედება

სასადილოაკენ გამავალი კარი გაღებულია. დილაა.

ფრუ სტოკმანი (დაბეჭდილი წერილით ხელში, გამოდის სასადილოდან. მიდის პირველი ოთახის კარისაკენ მარჯვნივ და შეიხედავს). შინა ხარ, თომას?

ექ. სტოკმანი (კაბინეტიდან). ეს არის დავბრუნდი. (შემოდის.) ახალია რაიმე?

ფრუ სტოკმანი. შენი ძმის წერილია (გადასცემს წერილს.)

ექ. სტოკმანი. აჰა! ვნახოთ. (ხსნის და კითხულობს.) „ამასთან გიბრუნებ გამოგზავნილ ხელნაწერს...“ (ბუტბუტებს ხმადაბლა, კითხვას განაგრძობს.) ჰმ...

ფრუ სტოკმანი. რას წერს?

ექ. სტოკმანი (წერილს ჯიბეში მალავს). არაფერს, გარდა იმისა, რომ თვითონ შემოივლის, ასე, შუადღისას.

ფრუ სტოკმანი. მაშ იცოდე, არ დაგავიწყდეს. შინ დარჩი.

ექ. სტოკმანი. შეიძლება. მე უკვე დავასრულე ჩემი დილის ჩამოვლა.

ფრუ სტოკმანი. ძალიან მინდა გავიგო, როგორ შეხვდება ამ ამბავს.

ექ. სტოკმანი. აი, ნახავ, ჩემს ძმას არცთუ ძალიან მოეწონება, რომ ეს მე აღმოვაჩინე და არა მან.

ფრუ სტოკმანი. მერე, ამან შეგაშინა?

ექ. სტოკმანი. არსებითად მას ეს გაუხარდება. მაგრამ მაინც პეტერი ერთთავად ცახცახებს იმის შიშით, ვაითუ ჩემს გარდა კიდევ ვინმე აღმოჩნდეს სასარგებლო ქალაქისათვისო.

ფრუ სტოკმანი. მაგრამ იცი რა, თომას? ასეთ შემთხვევაში...

ქენი სიკეთე, გაუყავი პატივი შუაზე. განა არ შეიძლება საქმე ისე წარმოადგინო, ვითომ მან ჩაგაგონა ეს აზრი?

ე.ქ. სტოკმანი. ოჰ, ჩემთვის სულ ერთია. ოღონდ კი თვითონ საქმე გამოსწორდეს როგორმე და ვინც იქნება...

მოხუცი მორტენ კიილი (თავს შემოპყოფს წინა კარიდან, გამოძლევი თვალით გარშემო იხედება, იცინის წყნარი გამკივანი სიცილით და ცბიერად კითხულობს.) მაშ ეს მართალია?

ფრუ სტოკმანი (მიღის მასთან). მამილო... შენა?!

ე.ქ. სტოკმანი. ნუთუ სიმამრია! გამარჯობათ, გამარჯობათ!

ფრუ სტოკმანი. შემოდი.

მორტენ კიილი. თუ სიმართლეა — კარგი, არადა წავალ.

ე.ქ. სტოკმანი. რაა სიმართლე, რაზე ამბობთ?

მორტენ კიილი. ეს მონაჩმანი წყალსადენზე, მართალია თუ?

ე.ქ. სტოკმანი. რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ თქვენ როგორღა გაიგეთ?

მორტენ კიილი (შემოღის). პეტრამ შემოირბანა, სკოლაში რომ მიდიოდა...

ე.ქ. სტოკმანი. მერე?

მორტენ კიილი. დიახ, და მიაშბო. ჯერ გავიფიქრე, სასაცილოდ ხომ არ მიგდებს-მეთქი. მაგრამ არა, რალაც სხვა სუნი სდის.

ე.ქ. სტოკმანი. აბა ეგ როგორ გაიფიქრეთ!

მორტენ კიილი. ო, არავის არ დაეჯერება, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ გაცურებული დარჩები. მაშ, ეს მაინც სიმართლეა?

ე.ქ. სტოკმანი. სრული სიმართლეა. ერთი დაბრძანდით, სიმამრო. (დასვამს ღივანზე.) აი ქალაქის ბედნიერება თუ გნებავთ! ხომ მართალია?

მორტენ კიილი (სიცილს ძლივს იკავებს). ქალაქის ბედნიერება?

ე.ქ. სტოკმანი. ჰო, ეს რომ დროზე აღმოვაჩინე...

მორტენ კიილი (უწინდებურად). დიახ, დიახ, დიახ! მაგრამ ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ თქვენ განიზრახავდით ასეთი ოინი მოგეწყოთ ღვიძლი ძმისათვის.

ე.ქ. სტოკმანი. ოინი?..

ფრუ სტოკმანი. მაგრამ, ძვირფასო მამილო...

მორტენ კილი (ნიკაბით დაყრდნობილი ხელბზე, რომლებიც ჯიხის სახელურზე უწყვია, ეშმაკურად თვალს უკრავს ექიმს). რა მოხდაო? წყალსადენ მილებში რაღაც მუშაობები გაჩენილანო?

ექ. სტოკმანი. დიახ, ბაქტერიები.

მორტენ კილი. და მერე თურმე რამდენი გაჩენილა. ვერც კი დათვლიო, ამბობს პეტრა, რიცხვი არა აქვთო!

ექ. სტოკმანი. დიახ, დიახ. ვფიქრობ, ასიათასობით.

მორტენ კილი. დანახვით კი თურმე ვერავინ დანახავს, ასეა, არა?

ექ. სტოკმანი. დიახ, მათი დანახვა უბრალო თვალით შეუძლებელია.

მორტენ კილი (სულშეგუბებული წყნარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილით). ამაზე უკეთესი, ეშმაკმა წაიღოს, თქვენგან არაფერი მომისმენია.

ექ. სტოკმანი. ესე იგი, ეს როგორ გავიგოთ?

მორტენ კილი. ოღონდ თქვენ ვერასოდეს ვერ ჩაუქედავთ ამას თავში ბურგომისტრს.

ექ. სტოკმანი. აბა, ამას კიდევ ვნახავთ.

მორტენ კილი. ან იქნებ ფიქრობთ, რომ ის ასე სულელია?

ექ. სტოკმანი. მე ვფიქრობ, რომ მთელი ქალაქიც ასევე სულელი იქნება.

მორტენ კილი. მთელი ქალაქი! აი, სწორი სიტყვა, უკეთესი აღარ იქნება! ასედაც უნდათ, ახია მათზე! ჩვენ, მოხუცებს, აინუნშიაც არ გვაგდებდნენ: გამომაგდეს სამმართველოდან. დიახ, დიახ, გამომაგდეს, როგორც ძალი! არჩევნებში გამაშავეს! აი, ახლა ნახონ! მოუწყვეთ ოინი, სტოკმან!

ექ. სტოკმანი. მაგრამ მომისმინეთ, სიმამრო...

მორტენ კილი. მოუწყვეთ ოინი-მეთქი. (აღგება.) თუ შესძლო, რომ ბურგომისტრი და მისი მეგობრები მშრალზე დასვა, ან კრონას გადავდებ ღარიბების სასარგებლოდ.

ექ. სტოკმანი. აჰ, ეს დიდი გულკეთილობაა თქვენგან.

მორტენ კილი. ჰო, თქვენ ხომ იცით, ბევრი არაფერი მახადია, რომ ჯიბეზე ხელი გავიკრა... მაგრამ თუ მათი გაცურება მოახერხეთ, საშობაოდ ღარიბებისათვის ორმოცდაათიოდე კრონას არ დავინანებ.

ჰოესტადი. გამარჯობათ! (შეჩერდება.) აჰ, მაპატიეთ...

ექ. სტოკმანი. არა უშავს, მობრძანდით, მობრძანდით.

მორტენკილი. (იმავე სიცილით). ისიც? ისიც თქვენთანაა?

ჰოესტადი. ესე იგი, რა გაგებით?

ექ. სტოკმანი. რა თქმა უნდა, ჩემთანაა!

მორტენკილი. ასეც ვფიქრობდი! გაზეთში გავა. მოხერხებული კი ხართ, სტოკმანო. აბა, მოაგვარეთ საქმე, მე კი ჩემს გზას ვეწევი.

ექ. სტოკმანი. ბრძანდებოდეთ, სიმამრო.

მორტენკილი. არა, ახლა წავალ. თქვენ კი, აბა თქვენ იცით, თქვენ იცით, იმედი მაქვს, მათთან ვალში არ დარჩებით.

გადის. ფრუ სტოკმანი მიაცილებს.

ექ. სტოკმანი (იცინის). წარმოიდგინეთ, მოხუცს ერთი სიტყვაც არ სჯერა, წყალსადენის გაბინძურების ამბავი ზღაპარი ჰგონია.

ჰოესტადი. მაშ ამ საქმეზე იყო?

ექ. სტოკმანი. დიახ, დიახ.

ჰოესტადი. შეგიძლიათ შემომწიროთ ერთი-ორი წუთი, ბატონო ექიმო?

ექ. სტოკმანი. რამდენიც გნებავთ, ჩემო ძვირფასო.

ჰოესტადი. ბურგომისტრისაგან რაიმე გაიგეთ?

ექ. სტოკმანი. ჯერ არაფერი. თვითონ შემოივლის.

ჰოესტადი. გუშინდელს აქეთ მეც ბევრი ვიფიქრე ამ საქმეზე.

ექ. სტოკმანი. მერე?

ჰოესტადი. თქვენთვის, როგორც ექიმისა და მეცნიერი მოღვაწისათვის, ეს წყალსადენის შემთხვევა რაღაც ისეთი რამ არის — თავისთავად ნათელია. ერთი რამ მინდა გითხრათ. თქვენ აზრადაც არ მოგდით, რომ ეს საქმე უაღრესად მკიდრო კავშირშია მრავალ სხვა საკითხთან.

ექ. სტოკმანი. ესე იგი, როგორ? ჩამოვჯდეთ, ჩემო ძვირფასო... არა, დივანზე.

ჰოესტადი ქდება დივანზე, ექიმი — სივარდელში, საგიდის მეორე მხარეს.

ეჭ. სტოკმანი. აბა? მაშასადამე, თქვენ ვარაუდობთ...

ჰოვსტადი. თქვენ გუშინ ამბობდით, რომ წყალს ნიადაგის დანაგვიანება აფუკებს.

ეჭ. სტოკმანი. დიახ, უეჭველია, მთელი ბოროტების წყარო ამ პირიან ქაობშია, წისკვილის ხეობაში.

ჰოვსტადი. მაპატიეთ, ბატონო ექიმო, მე კი ვფიქრობ, რომ ბოროტების წყარო სულ სხვა ქაობშია.

ეჭ. სტოკმანი. ეს რა ქაობია?

ჰოვსტადი. ქაობი, რომელშიაც ჩაეფლო და იხრწნება ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობა.

ეჭ. სტოკმანი. კი. მაგრამ, ეშმაკმა წაილოს, ბატონო ჰოვსტად, ეს საით გადასწვდით!

ჰოვსტადი. მთელი ქალაქის საქმეები თანდათანობით ხელთ იგდეს ერთმა მუჟა ნოხელეებმა.

ეჭ. სტოკმანი. მერე, ყველა მათგანი ხომ მოხელე არაა?

ჰოვსტადი. არა, მაგრამ ისინი, ვინც თვითონ მოხელე არაა, ყოველ შემთხვევაში მოხელეების მეგობრები და მომხრეები არიან. ეს სულ მდიდარი ადამიანები გახლავთ, რომელთა სახელებიც ძველთაგანვე პატივით სარგებლობენ. აი, ვინ გემართავს ჩვენ.

ეჭ. სტოკმანი. დიახ, მაგრამ ისინი ხომ, მართალი რომ ითქვას, უნარიანი, საქმიანი ადამიანები არიან.

ჰოვსტადი. ამისი საბუთი წყალსადენია?

ეჭ. სტოკმანი. არა, აქ მათ, ცხადია, მარცხი მოუვიდათ, სისულელე ჩაიდინეს. მაგრამ ეს ხომ გამოსწორდება!

ჰოვსტადი. თქვენ ფიქრობთ, რომ აქ არაფერ დაბრკოლებას არ შევხვდებით?

ეჭ. სტოკმანი. შევხვდებით თუ არ შევხვდებით, ყოველ შემთხვევაში, საქმე უნდა გაკეთდეს.

ჰოვსტადი. ჰო, თუ საქმეში პრესა ჩაერევა.

ეჭ. სტოკმანი. არ იქნება საჭირო, ჩემო ძვირფასო. დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმა...

ჰოვსტადი. მომიტევეთ, ბატონო ექიმო, მაგრამ მე მინდა გაგაფრთხილოთ. რომ განზრახული მაქვს სერიოზულად მოვიკიდო ამ საქმეს ხელი.

ეჭ. სტოკმანი. გაზეთში?



ჰოვსტადი. დიახ. როცა „სახალხო უწყება“ მივიღე, მიზნად დავისახე, რაღაც უნდა დამჭლომოდა, გამერღვია ეს მოჭადოებელი წრე ძველი, ჭიუტი მუმიებისა, რომელთაც ხელთ იგდეს მთელი ძალაუფლება.

ექ. სტოკმანი. მაგრამ აკი თქვენვე მიამბეთ, რით დამთავრდა ეს. კინლამ დაღუპეთ გაზეთი.

ჰოვსტადი. დიახ, მაშინ იარალის დაყრა მომიხდა, ეს მართალია. მაშინ შეიქმნა ერთგვარი საფრთხე, რომ კურორტი არ შეიქმნებოდა, თუ ის ხალხი დაეცემოდა. მაგრამ ახლა კურორტი შექმნილია, და ამ ბატონების გარეშეც იოლად წავალთ.

ექ. სტოკმანი. იოლად წავალთ, მართალია, მაგრამ მათ წინაშეც ბევრი რამით ვართ დავალეზული.

ჰოვსტადი. ამისათვის მათ მივეზღავეთ სათანადო პატივს. მაგრამ პუბლიცისტი — დემოკრატს, როგორც მე ვარ, არ შეუძლია ხელიდან გაუშვას ასეთი შემთხვევა. უნდა შევეარყიოთ მმართველთა უცოდველობის არაკი. ეს ცრურწმენაც უნდა ამოვიძრკვოთ, როგორც ყოველგვარი სხვა.

ექ. სტოკმანი. ამაში გულითა და სულით გეთანხმებით, ბატონო ჰოვსტად. ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა უნდა ძირფესვიანად ამოვადლოთ.

ჰოვსტადი. ძალიან არ მინდოდა ბურგომისტრის განაწყენება, რაც არ უნდა იყოს, თქვენი ძმავა. მაგრამ თქვენც, უთუოდ, იმ აზრისა ხართ, რომ ჭეშმარიტება ყველაზე უწინარეს...

ექ. სტოკმანი. თავისთავად, თავისთავად... (აზნებით.) მაგრამ მაინც! მაინც...

ჰოვსტადი. ცუდის მხრით არ ახსნათ ჩემი მოსაზრებები. მე აღამიანთა უმრავლესობაზე უფრო ანგარებიანი და პატივმოყვარე როდი ვარ.

ექ. სტოკმანი. მაგრამ, ძვირფასო ჩემო... ვის მოუქვა ეს აზრად?

ჰოვსტადი. მე დაბალი წრიდან ვარ გამოსული, როგორც მოგეხსენებათ. და საშუალება მქონდა გამეგო საზოგადოების ქვედა ფენების საპირობანი. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ბატონო ექიმო. ეს განავითარებს ნიქს, ცოდნას და პირადი ღირსების გრძნობას..

ეჭ. სტოკმანი. მე ეს ძალიან კარგად მესმის...

ჰოვსტადი. დიახ, და მე მგონია, ჟურნალისტიკისათვის დიდი ცოდვა იქნება ხელიდან გაუშვას ხელსაყრელი შემთხვევა — ფეხზე წამოაყენოს, გაათავისუფლოს ეს მდაბიონი, დამცირებულნი და დაჩაგრულნი. მე კარგად ვიცი, რომ ძლიერთა ბანაკში ჩემს ამგვარ მოქმედებას წაქეზებას და სხვა მსგავს სახელებს უწოდებენ, მაგრამ როგორც ენებოთ. ოღონდ ჩემი სინდისი წმინდა იყოს...

ეჭ. სტოკმანი. დიახაც! დიახაც ასე, უძვირფასესო ბატონო ჰოვსტად. მაგრამ მაინც... ეშმაკმა... (ყაუნი.) შემობრძანდით!

კარებში გამოჩნდება წინა ოთახიდან მომავალი ასლაქსენი. სადად, მაგრამ ლამაზად აცვია შავი ტანსაცმელი, უკეთია თეთრი ოდნავ დაქმუჭნილი ჰალსტუხი, ხელში შლაპა და ხელთათმანები უჭირავს.

ასლაქსენი (თავის დაკვრით). გთხოვთ მომიტევოთ. ბატონო ექიმო, რომ გავბედე და...

ეჭ. სტოკმანი (წამოღება). შეხეთ, შეხეთ, ეს ხომ სტამბის უფროსი ასლაქსენია!

ასლაქსენი. სწორედ ისა ვარ, ბატონო ექიმო.

ჰოვსტადი. ჩემთან ხომ არა ხართ, ასლაქსენ?

ასლაქსენი. არა. არ ვიცოდი, რომ აქ ბრძანდებოდით. მე საკუთრივ ექიმთან მინდოდა...

ეჭ. სტოკმანი. რით შემოძლია გემსახუროთ?

ასლაქსენი. მინდოდა გამეგო, მართალია ის, რაც გავიგონე ბატონი ბილინგისაგან, თითქოს ბატონ ექიმს გადაეწყვიტოს წყალსადენის უკეთესად მოწყობა?

ეჭ. სტოკმანი. დიახ, წყალსამკურნალოს გაუმჯობესება.

ასლაქსენი. ასე, ასე. მესმის. აი, მეც მოვედი იმის სათქმელად, რომ მზად ვარ ამ საქმეს მხარი დავუჭიროთ ყოველნაირად, ყველა ძალებით.

ჰოვსტადი (ექიმს). ხედავთ?

ეჭ. სტოკმანი. გულწრფელად გმადლობთ ამისათვის, მაგრამ...

ასლაქსენი. იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, ზედმეტი არ იქნება, თუ გეყოლებით ზურგს უკან ჩვენ, წვრილი მოქალაქეები. ჩვენ აქ, ქალაქში, ერთგვარ მტკიცე უმრავლესობას შევადგენთ... როცა

მოვისურვებთ, ცხადია. ზურგში უმრავლესობის ყოლა კი ყოველთვის კარგია. ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. უდავოდ. ოღონდ მე არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ აქ რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება გახდეს საჭირო. მე მგონია, თვითონ საქმე ასე უბრალო და ნათელია.

ასლაქსენი. აბა, აბა, რასა ბრძანებთ, ზედმეტი არ იქნება! მე აკი კარგად ვიცნობ ჩვენი ქალაქის უფროსებს. ძლიერი ამა ქვეყნისანი არც ისე დიდი ხალხით იღებენ იმ წინადადებებს, რომლებიც თვითონ მათგან არ მოდიან. აი მე ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, რომ პატარა დემონსტრაცია მოვაწყოთ-მეთქი.

პოვსტადი. აი, აი, სწორედაც.

ექ. სტოკმანი. დემონსტრაციას, ამბობთ? მერე, მაინც რა ნაირი?

ასლაქსენი. რა თქმა უნდა, მეტად ზომიერი, ბატონო ექიმო. მე მუდამ ზომიერების მომხრე ვარ, რადგანაც ზომიერება მოქალაქის პირველი ქველმოქმედებაა... ესე იგი, რამდენადაც მე გამეგება.

ექ. სტოკმანი. თქვენ ამით ცნობილი ხართ, ბატონო ასლაქსენ.

ასლაქსენი. დიახ, მე ვფიქრობ, შემიძლია გავებდო ამის თქმა. ეს წყალსადენის საქმე კი ძლიერ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, წერილი მოქალაქეებისათვის. სამკურნალო წყლები აკი გვპირდებიან, რომ ჩვენი ქალაქის ოქროს საგანძურად იქცევა. ამ დაწესებულებამ უნდა გვარჩინოს მომავალში ყველანი. მეტადრე კი ჩვენ, ოჯახის ხალხი. ამიტომაც მზადა ვართ მხარი დავუჭიროთ, რითაც კი შეგვეძლება. და რამდენადაც მე ოჯახის უფროსთა კავშირის მამასახლისი ვარ...

ექ. სტოკმანი. მართლა?..

ასლაქსენი. და ამას გარდა სიფხიზლის მეგობართა საზოგადოების წარმომადგენელი... დიახ, ექიმს ალბათ მოეხსენება, რომ მე სიფხიზლის მომხრე ვარ?

ექ. სტოკმანი. თავისთავად ცხადია.

ასლაქსენი. აი, ამიტომაც, გასაგებია, რომ მრავალ ადამიანთან მიხდება შეხვედრა. და რადგანაც მე მიცნობენ როგორც სათნო აზრისა და კანონიერების დამცველ მოქალაქეს, როგორცა ბრძახა თვითონ ექიმმა, ამდენად რალაცას მეც წარმოვადგენ ქალაქში... ესა-

რგებლობ ეროვნული გავლენით, — თუ ნებას მომცემთ ეს გამოთქმა ვიხმარო.

ე. ს. ტოკმანი. მე ეს ძალიან კარგად ვიცი, ბატონო ასლაქსენ. ასლაქსენი. პოდა, ჩემთვის არც ისე ძნელი საქმეა მოვაწყო, თუნდაც მაგალითისათვის, ადრესი, თუ საქმე ამაზე წავა.

ე. ს. ტოკმანი. ადრესიო. ასე ბრძანეთ, არა?

ასლაქსენი. დიახ. რამდენადმე სამადლობელო წერილობითი ადრესი ქალაქის მცხოვრებლებისაგან, რომ თქვენ წამოკერით საზოგადოებისათვის ასე სასარგებლო საკითხი. რაღა თქმა უნდა, ადრესი უნდა შედგეს სათანადო ზომიერებით... რომ არ გავანაწყენოთ ქალაქის მმართველები... და, ესე იგი, საერთოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ოღონდ ასეთი წესიერება დავიცვათ, და ჩვენ ველარავინ შეგვეხება, ასე არ არის?

პოვსტადი. ჰო, თუნდაც მათ არც ისე ძლიერ მოეწონათ...

ასლაქსენი. არა, არა, არა! არ შეიძლება უფროსების განაწყენება, ბატონო პოვსტად. არავითარი ოპოზიცია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებზედაც ვართ დამოკიდებული. ამ საქმეში უკვე გამოცდილი ვარ. არასოდეს არაფერი ქვეყნური აქედან არ გამოდის. მაგრამ კეთილგონიერული, გულწრფელი განცხადებები არავის არ ეკრძალება.

ე. ს. ტოკმანი. (ხელს შეუწილავს). ვერ გადმოგცემთ, ძვირფასო ბატონო ასლაქსენ, რა უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ ჩემს თანამოქალაქეებში ასეთ მხარდაჭერას ვხედავ. ისე მოხარული ვარ... ისე მოხარული!.. რას იტყვით კიქა ხერესზე? ჰა?

ასლაქსენი. არა, დიდად მადლობელი ვარ. მაგრამ სასმელებს არა ვსვამ.

ე. ს. ტოკმანი. მაშ, კიქა ლუდი.

ასლაქსენი. მადლობას მოგახსენებთ. ამაზედაც უარს ვიტყვი, ბატონო ექიმო. მე არათერს არ ვსმარობ ასე ადრიანად. ახლა გავეშურები ზოგ ვინმესთან მოსაღაპარაკებლად და განწყობილების მოსამზადებლად.

ე. ს. ტოკმანი. მეტიმეტ თავაზიანობას იხენთ, ბატონო ასლაქსენ. მაგრამ მე ვერაფრით ვერ გამოიგია მთელი ამ სამზადისის საჭიროება. მე მგონია, საქმე თავისთავად სათანადო რიგზე წავა.

ასლაქსენი. ჩვენი ხელისუფალნი ცოტა მკიჟე ზალხია, ბატონო ექიმო. ღმერთმა დამიფაროს, რომ ამას ვინმეს საწყენად ვამბობდე, მაგრამ...

პოვსტადი. სვალ ჩვენ მათ გამოვაფხიზლებთ გაზეთში, ასლაქსენ.

ასლაქსენი. ოღონდ, მეტისმეტი არ მოგვივიდეს, ბატონო პოვსტად. დაიცავით ზომიერება, თორემ საქმეს ადგილიდან ვერ დაძრავთ. შეგიძლიათ ენდოთ ჩემს რჩევას. ფიქრი ნუ გაქვთ, მე მივიღე საქმად გამოცდილება ცხოვრების სკოლაში. ჰოდა ეგრე, დროა გამოვემშვიდობო ბატონ ექიმს... ახლა თქვენ იცით, რომ ჩვენ, წვრილი მოქალაქეები, ყოველ შემთხვევაში, თქვენს უკან მთასავით ვდგავართ. თქვენს მხარეზე მტკიცე უმრავლესობაა, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. გმადლობთ ამისათვის, ძვირფასო ჩემო ბატონო ასლაქსენ (ხელს გაუწვდის.) მშვიდობით, მშვიდობით.

ასლაქსენი. თქვენ აღარ შემოივლით სტამბაში, ბატონო პოვსტად?

პოვსტადი. შემდეგ შემოვივლი. ჯერ კიდევ საქმე მაქვს.

ასლაქსენი. ასე. ასე. (თავს უკრავს და გადის. ექიმი სტოკმანი აცილებს წინა ოთახამდე.)

პოვსტადი. (როცა ექიმი ბრუნდება). აბა, რას იტყვით ახლა, ბატონო ექიმო? თქვენის აზრით განა დრო არ არის, ცოტა გავანიავოთ აქაურობა, ჩამოვიფერთხოთ მთელი ეს მოთენთილობა, ნახევერადობა, სიმსდაღე?

ექ. სტოკმანი. თქვენ ასლაქსენს გადაჰკარით?

პოვსტადი. დიახ, მას. რა პატივსაცემი კაციც არ უნდა იყოს სხვა მხრით, ის მაინც ერთ-ერთი იმათგანია, ჭაობში რომ ჩაფლულან და ასეთია ჩვენი უმრავლესობა — არც წყალია, არც ღვინო, ჩვენიცაა, თქვენიც. ყოველნაირი მოსაზრებისა და ეჭვის გამო ასეთები ვერასოდეს ვერ ბედავენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას.

ექ. სტოკმანი. მაგრამ ასლაქსენმა, მგონია, გულწრფელი კეთილგანწყობილება გამოიჩინა.

პოვსტადი. არის საგანი, რასაც მე კიდევ მეტად ვაფასებ: ესაა მზადყოფნა დაიცვა შენი თავი და მტკიცედ გწამდეს გამარჯვება.

ექ. სტოკმანი. სავსებით გეთანხმებით.

ჰოვსტადი. აი, რატომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით, იქნებ გამოვადგინო და აღვადგინო ჩვენი კეთილმოაზრე მოქალაქეები. უნდა შევარყოთ ეს ავტორიტეტების კულტი ქალაქში. უნდა ავუხილოთ თვალეები ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქეს ამ მიუტევებელი, უზარმაზარი შეცდომით. რაც წყალსადენის საქმეშია ჩადენილი.

ექ. სტოკმანი. კარგი. რაკი თქვენ ვარაუდობთ, რომ ეს საჭიროა საერთო კეთილდღეობისათვის, დე, იყოს ასე; ოღონდ, ჯერ ძმას მოველაპარაკო.

ჰოვსტადი. მე, ამასობაში ყოველი შემთხვევისათვის, მოვხაზავ სტატიას რედაქციის სახელით. და თუ ბურგომისტრი შემდეგ არ მოისურვებს საქმის დაწყებას...

ექ. სტოკმანი. ახ, რატომ ვარაუდობთ ასე?

ჰოვსტადი. საკმაოდ მართალი ვარაუდია. აბა, მაშინ!

ექ. სტოკმანი. მაშინ გპირდებით... გამოგონეთ, მაშინ შეგიძლიათ დაბეჭდოთ ჩემი მოხსენება... მთლიანად.

ჰოვსტადი. თქვენ მპირდებით? მაძლევთ სიტყვას?

ექ. სტოკმანი (გადასცემს ხელნაწერს). აი ხელნაწერი. აიღეთ. არაფერი დაშვადება, თუ წაიკითხავთ. შემდეგ კი დამიბრუნეთ.

ჰოვსტადი. კარგი, კარგი. დარდი ნუ გაქვთ. და ნახვამდის, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. ნახვამდის, ნახვამდის. აი, ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება, ბატონო ჰოვსტად.

ჰოვსტადი. ჰმ!.. ვნახოთ. (თავს უკრავს და გადის წინა ოთახში.)

ექ. სტოკმანი (ბოლთას სცემს ოთახში, შეიხედავს სასადილოში). კატრინე!.. ა! შენ უკვე შინა ხარ, პეტრა?

პეტრა (შემოდის). ეს არის მოვედი სკოლიდან.

ფრუ სტოკმანი. (შემოდის). კიდევ არ მოსულა?

ექ. სტოკმანი. პეტერი? არა. მაგრამ მე აქ საუბარი მქონდა ჰოვსტადთან. ჩემმა აღმოჩენამ მთელი მისი არსება მოიცვა. ეტყობა, მას ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე პირველად ვფიქრობდი. და რედაქტორი ჩემს განკარგულებაში მაძლევს გაზეთს, თუ ეს საჭირო ვახდება.

ფრუ სტოკმანი. შენ, შენ ფიქრობ, რომ ეს საჭირო გახდება?

ექ. სტოკმანი. სულაც არა. მაგრამ ზაისც შეიძლება კაცმა ია-  
პაყოს, რომ მის მხარეზეა თავისუფლად მოაზროვნე. დამოუკიდებე-  
ლი ბეჭდვითი სიტყვა. და კიდევ. წარმოიდგინე. აქ იყო ოჯახის უფ-  
როსთა კავშირის მამასახლისი.

ფრუ სტოკმანი. მართლა? რა უნდოდა?

ექ. სტოკმანი. ისიც მხარს მიჭერს. ყველანი მზად არიან მხა-  
რი დამიჭირონ საკურო შემთხვევაში. კატრინ... იცი, ვინ დგას ჩემ  
უკან?

ფრუ სტოკმანი. შენ უკან? არა. ვინ უნდა იდგეს შენ უკან?

ექ. სტოკმანი. დარაზმული, მტკიცე უმრავლესობა.

ფრუ სტოკმანი. აი, ვინ ყოფილა! და ესეც კარგია, თომას?

ექ. სტოკმანი. მე მგონი, კარგია! (ხელების ფშვინებით დაღის  
ოახში.) დიახ, ღმერთო ჩემო, რა სასიხარულოა, როცა შენი თანა-  
მოქალაქეები ძმურად, სოლიდარულად მხარში ამოგიდგებიან.

პეტრა. და როცა შეგიძლია გააკეთო კარგი, სასარგებლო რამე,  
ამიყო!

ექ. სტოკმანი. ისიც შენი მშობლიური ქალაქისათვის!

ფრუ სტოკმანი. ზარის ხმა ისმის...

ექ. სტოკმანი. ალბათ, ის არის. (კაჟნი). მობრძანდით!

ბურგომისტრი (შემოდის წინკარიდან). გამარჯობათ!

ექ. სტოკმანი. კეთილი იყოს შენი მოსვლა, პეტერ!

ფრუ სტოკმანი. გამარჯობათ. მაზლო! როგორ ბრძანდებით?

ბურგომისტრი გმადლობთ. არა მიშავს რა. (ეჭიშ.) გუშინ  
ღღის ბოლოს გადმომცეს შენი მოხსენება ჩვენი კურორტის წყალსა-  
ღენი სისტემის შესახებ.

ექ. სტოკმანი. დიახ. წაიკითხე?

ბურგომისტრი. წავეკითხე.

ექ. სტოკმანი. მერე, რას იტყვი?

ბურგომისტრი (განზე გახედავს). ჰმ...

ფრუ სტოკმანი. წავიდეთ, პეტრა (გადის პეტრასთან ერთად მარ-  
ცხნივ.)

ბურგომისტრი (მცირე პაუზის შემდეგ). ნუთუ აუცილებელი  
ყო მთელი ამ გამოკვლევების წარმოება ჩემ ზურგს უკან?

ექ. სტოკმანი. დიახ, ვიდრე ყველა საბუთი ხელთ მექნე-  
ბოდა...

ბურგომისტრი. მერე, ახლა. შენის აზრით, ყველა საბუთი ხელთა გაქვს?

ექ. სტოკმანი. დიახ, შენ თვითონ უკვე დარწმუნდი ამაში.

ბურგომისტრი. და შენ განზრახული გაქვს წარუდგინო ეს აქტი კურორტის დირექციას, როგორც ოფიციალური დოკუმენტი?

ექ. სტოკმანი. დიახ, ხომ უნდა ვილონოთ რამე! და დროც არ ითმენს.

ბურგომისტრი. შენს მოხსენებაში, ჩვეულებისამებრ, მკვეთრ გამოთქმებს ხმარობ. ამბობ, მაგალითად, რომ ჩვენ ქრონიკულად ვასნეულებთ ჩამოსულ დამსვენებლებს.

ექ. სტოკმანი. აბა რანაირად უნდა ვთქვა, პეტერ? ერთი წარმოიდგინე — გაფუჭებული წყალი შიგნით და გარეთ! და მერე ისიც საბრალო ავადმყოფ ადამიანებს ეძლევათ, რომლებიც ჩვენთან მოდიან განკურნების იმედით და საამისო ხარჯებს სამმაგად იხდიან.

ბურგომისტრი. და საქმის ვითარების შენებურ გადმოცემაში იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ჩვენ უნდა მოვაწყოთ კანალიზაცია წისქვილის ხეობიდან მომდინარე უწმინდურების მოსაშორებლად, თანაც ხელახლა ჩავაწყოთ მთელი წყალსადენი ქსელი!

ექ. სტოკმანი. განა შენ იცი სხვა გამოსავალი? მე პირადად არ ვიცი.

ბურგომისტრი. მე შევედი დილით ქალაქის ინჟინერთან და... უფრო ხუმრობით... წარუდგინე მას ეს მოსაზრებები, როგორც ისეთი რამ, რაც შეიძლება შეტანილ იქნას ჩვენთან განსახილველად როდისმე, როცა დრო იქნება.

ექ. სტოკმანი. როდისმე, როცა დრო იქნება!

ბურგომისტრი. მან, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაიღმა ჩემს შეთავაზებულ უჩვეულო ახირებაზე. შეიწუხე კი თავი ფიქრისათვის, თუ რა დაჯდება ის ღონისძიება, რომელსაც გვთავაზობ? ჩემს მიერ შეკრებილი ცნობებით, ხარჯები, ალბათ. რამდენიმე ასეულ ათას კრონას მიაღწევს.

ექ. სტოკმანი. ნუთუ ასე ძვირი დაჯდება?

ბურგომისტრი. დიახ. მაგრამ ეს როდია ყველაზე საშიხელი. აი, რა: სამუშაოებს დასჭირდება არანაკლები ორი წლისა.

ექ. სტოკმანი. ორი წელიო, ამბობ? მთელი ორი წელი?

ბურგომისტრი. სულ მცირე. ამასობაში კი რა უნდა ვუ-



ყოთ სამკურნალო წყლებს? ხომ არ დავხუროთ? ასედაც მოგვიხდებოდა. ან იქნებ ფიქრობ, რომ ვინმე შემოიხედავს ჩვენთან, თუ გავრცელდება ხმა, რომ წყალი ჯანმრთელობისათვის მავნეა?

ე.ქ. სტოკმანი. ეს ხომ ასეა! იგი მავნეა, პეტერ.

ბურგომისტრი. და ეს ყველაფერი ხდება ასლა, როცა კურორტი აყვავებას იწყებს, მეზობელ ქალაქებსაც აქვთ რაღაც მონაცემები, რომ კურორტებად იქცნენ. როგორ ფიქრობ, განა ისინი ყოველ ღონისძიებას არ მიმართავენ. რომ დაუყოვნებლივ თავისკენ მიიზიდონ სტუმრები? უეჭველია, ჩვენ კი მშრალზე დავრჩებით. სავსებით შესაძლებელია, ამ ძვირფასი წამოწყების გაუქმება მოგვიხდეს. და აი, შენ დააქცევ შენს მშობლიურ ქალაქს.

ე.ქ. სტოკმანი. მე... დავაქცევ!

ბურგომისტრი. თუ ქალაქს ელის რაიმე კარგი მომავალი, ეს მხოლოდ სამკურნალო წყლებთან დაკავშირებით. და შენ, რა თქმა უნდა, ეს ჩემზე ნაკლებად არ გესმის.

ე.ქ. სტოკმანი. მაგრამ, შენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცეთ?

ბურგომისტრი. შენი მოხსენებიდან სულაც არ გამომიტანია ისეთი დასკვნა, თითქოს წყლით მომარაგების პირობები იმდენად საზიანო იყოს, როგორც შენ ამას ხატავ.

ე.ქ. სტოკმანი. მდგომარეობა ბევრად უარესია! ან, ყოველ შემთხვევაში გაუარესდება ზატხულში, როცა თბილი ამინდები დადგება.

ბურგომისტრი. როგორც გითხარი, მე ვვარაუდობ. რომ შენ საკმაოდ აზვიადებ. გამოცდილმა ექიმმა უნდა იცოდეს შესაბამისი ზომები... უნდა შეეძლოს ზიანის მომტანი მოქმედების არიდება, მისი უვნებელყოფა, თუ ის სრულიად თვალნათლივ გამოჩნდება.

ე.ქ. სტოკმანი. მერე? შემდეგ როგორღა?

ბურგომისტრი. წყალსადენი ქსელის გაყვანილობა არსებულ ფაქტია, და მისთვის, ცხადია, ანგარიშის გაწევა გვმართებს. მაგრამ ღირეჟცია, ალბათ, თავის დროზე უარს არ იტყვის განსაჯოს, რა შესწორების შეტანა შეიძლება წყალსადენის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში ისე, რომ მატერიალური მსხვერპლი მეტისმეტად დიდი არ იყოს.

ე.ქ. სტოკმანი. და ფიქრობ, რომ ამგვარ ვერაგობაზე დავთანხმდები?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ვერაგობაზე?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, ეს იქნებოდა ვერაგობა... მოტყუება, სიცრუე, პირდაპირ დანაშაული ხალხის. მთელი საზოგადოების წინაშე!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მე, როგორც უკვე აღვნიშნე, ვერ შევძელი ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ საქმის ვითარება ჭეშმარიტად ასე მრისხანე იყოს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. არა, შენ ასეთი დასკვნა გამოიტანე! სხვაგვარად შეუძლებელია! ჩემი მოხსენება ასე გასაოცრად ნათელი და დამაჯერებელია! ეს მე ვიცი, და შენც საუცხოოდ იცი, პეტერ, მხოლოდ არ გინდა აღიარო. აკი მაშინ შენ იდექი შენს ნათქვამზე, რომ სამკურნალო წყალთა შენობა და წყალსატუმბი იქ აგვეგო, სადაც ამჟამად არის. და აი ეს... ეს შენი სამგზის წყეული მარცხი არ გაძლევს უფლებას აღიარო. იქნებ ფიქრობ, რომ შენს გულში არ ვიხედები?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. თუნდაც ასე იყოს! მე, შესაძლებელია, მეტად ფროთილი ვიყო საკუთარი რეპუტაციის მიმართ, მაგრამ ეს ისევე ქალაქის ინტერესებისათვის. ზნეობრივ ავტორიტეტს თუ არ დავეყრდნობი, ვერ შევძლებ საქმეები ისე წარმართო, როგორც მოითხოვენ მოსახრებები, რომელთაც მიზნად აქვთ საერთო კეთილდღეობა. ამიტომ... და სხვა მიზეზების გამოც ჩემთვის საჭიროა, რომ შენი მოხსენება არ იქნას დირექციაში წარმოდგენილი. საერთო კეთილდღეობა მოითხოვს მის შეჩერებას. შემდგომ მე თვითონ წარვადგენ მას განსახილველად და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენს ხელთ არის—უხმაფროდ. ოღონდ არაფერი... არც ერთი სიტყვა ამ ბედუქულობართ ამბავზე არ უნდა იქნას მიტანილი ხალხის ყურამდე.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. არა, ამას კი ველარაფერი შეუშლის ხელს, ჩემო საყვარელო პეტერ.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. საჭიროა და უნდა შეუშალო.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. არ მოხერხდება, გეუბნები. ძალიან ბევრმა იცის უკვე.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ბევრმა იცის! მაინც ვინ? იქნებ იმ „სახალხო უწყების“ ვაჟბატონებმაც?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, იმათაც. თავისუფლად მოაზროვნე, დამოუკიდებელი პრესა შეეცდება გაიძულოთ, რომ შეასრულოთ თქვენი ვალი.

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. (მცირე პაუზის შემდეგ) შენ მეტისმეტად თავ-  
ქარიანი ხარ, თომას. არც გიფიქრია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს  
ამას პირადად შენთვის?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შედეგები? შედეგები პირადად ჩემთვის?

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. შენთვის და შენი ოჯახისათვის, დიახ.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. რა ეშმაკი გინდა თქვა?

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მე ვვარაუდობ, რომ ყოველთვის და ყველა-  
ფერში ვიქცეოდი ისე, როგორც შეეფერება კეთილისმსურველ, დას-  
მარებისათვის მზად მყოფ ძმას.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, ეს ასეა, და მადლობელი ვარ ამისათვის.

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. საქმე ამაში არ არის. მე ნაწილობრივ მაი-  
ძულებდნენ... საკუთარი ინტერესები. ყოველთვის მქონდა იმედი,  
რომ მოვახერხებდი როგორმე ლაგამი ამომედო შენთვის, თუ ხელს  
შეგიწყობდი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაში.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. რაში? მაშ შენ მხოლოდ პირადი ინტერესები-  
სათვის...

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ნაწილობრივ-მეთქი. ოფიციალური პირის-  
თვის უხერხულია, თუ ისეთი ახლო ნათესავი ჰყავს, რომელიც ყოველ  
ნაბიჯზე თავს ირცხვენს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. და, შენი აზრით, მე ამას ვაკეთებ?

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. სამწუხაროდ, აკეთებ ისე, რომ თვითონვე  
ვერა გრძნობ. შენ თავიდანვე მოუსვენარი, გამომწვევი, შეამბოხებ ხა-  
სიათი გაქვს, და მერე ეს საბედისწერო მიდრეკილება: მიმართო  
ხალხს პრესის საშუალებით, ყოველი ხელსაყრელი თუ არახელსაყ-  
რელი შემთხვევის გამო. გაგიელვებს თავში რაიმე ისეთი — და მა-  
შინვე წერას შეუდგები! მზად არის სტატია ან მთელი ბროშურა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. განა ყოველი მოქალაქის ვალი არ არის, თავი-  
სი ახალი აზრი ხალხს გაუზიაროს?

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. აბა, ხალხს სულაც არ ესაქიროება ახალი  
აზრები. ხალხისათვის უფრო გამოსადეგია ძველი, კარგი, საყოველ-  
თაოდ აღიარებული აზრები. რომლებიც უკვე აქვს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენ ამას პირდაპირ ამბობ?

ბუ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. როდისმე ხომ უნდა გითხრა პირდაპირ ყვე-  
ლაფერი! აქამდე სულ თავს ვარიდებდი ამას. რადგანაც ვიცოდი შე-  
ნი სიფიცხის ამბავი. მაგრამ დროა გითხრა სიმართლე, თომას. შენ

არც კი წარმოგიდგენია, რა ზიანს აყენებ თავს შენი მოუფიქრებელი საქციელით. შენ უჩივი ხელისუფალთ, თვითონ მთავრობას... შეოთავ და დრტიინა... ამტიკებ, რომ ყოველთვის გზას გიხშობდნენ, გჩაგრავენ, გდევნიდნენ, თუმცა სხვას რაღას უნდა ველოდეთ... ისეთი ჭიუტი კაცისაგან, როგორც შენა ხარ!

ეჭ. სტოკმანი. კიდევ რას იტყვი? ახლა ჭიუტიც აღმოჩნდი? ბურგომისტრი. დიახ, თომას. ძალიან ჭიუტი, კაცი ხარ, და შენთან საქმის დაჭერა ძნელია. ეს ჩემს თავზე ვიცი. შენ აგდებით ეკიდები ყოველგვარ მოსაზრებას. მგონი, დაგავიწყდა კიდევ, რომ კურორტზე შენს ადგილს მე უნდა მიმადლოდე...

ეჭ. სტოკმანი. ეს ადგილი კანონით მე მეკუთვნის! მე და სხვას არავის! მე პირველმა მოვისაზრე, რომ ჩვენი პატარა ქალაქი შეიძლება აყვავებულ კურორტად იქცეს, და არავის ჩემს გარდა არ ესმოდა ეს. მე ერთი ვიცავდი ამას წლების მანძილზე. მე ვწერდი, ვწერდი...

ბურგომისტრი. უდავოდ. მაგრამ მაშინ დრო ჭერ კიდევ ხელს არ გვიწყობდა. აბა, საიდან შეგეძლო ამის განსჯა იმ შენს დათვის ბუნაგში? მაგრამ როგორც კი ხელსაყრელი წუთი დადგა, მე სხვებთან ერთად... საქმეს ხელი მოვკიდე და...

ეჭ. სტოკმანი. დიახ, და დაამახინჯეთ მთელი ჩემი მშვენიერი გეგმა. ახლა უკვე ჩანს, რა ჭკუის კოლოფებმაც მოჰკიდეს საქმეს ხელი.

ბურგომისტრი. ჩემი თვალსაზრისით, შენ ისევ ეძებ მიზეზს, რომელსაც უნდა ჩაეჭიდო. რათა გასაქანი მისცე შენს მეამბოხე სულისკვეთებას. გინდა გაალიზიანო შენზე მაღლა მყოფი — ეს შენი ძველი ჩვევაა. არ ცნობ შენს ზემოთ არავის ავტორიტეტს. აღმაყრად უყურებ ყველას, ვისაც მაღალი ოფიციალური მდგომარეობა უჭირავს, მასში პირად მტერს ხედავ... და მივარდები ხოლმე, ისე რომ დროს არ არჩევ. მაგრამ ახლა შენს ყურადღებას იმაზე შევაჩერებ. რომ აქ სასწორზეა დადებული მთელი ქალაქის ინტერესები, და მაშასადამე ჩემიც. ამიტომ გეუბნები, თომას, რომ უღმობელი ვიქნები ჩემს მოთხოვნაში. რაც მინდა წამოგიყენო.

ეჭ. სტოკმანი. რა მოთხოვნა?

ბურგომისტრი. რადგანაც ენა ვერ შეიკავე და უკვე გქონდა ამაზე ლაპარაკი გარეშე პირებთან, — თუმცა გამართებდა ამ საქმეს

მოჰკიდებოდი, როგორც ადმინისტრაციულ საიდუმლოებას — ამდენად ახლა, ცხადია, საქმის წაყრუება აღარ გამოდგება. გაიხსნება ფართო მოედანი ყოველნაირი მიტქმა-მოტქმისთვის, და ბოროტი ადამიანები არ დააყოვნებენ მის გაღვივებას. ზემოთქმულის გამო აუცილებელია, ასეთი ხმები ძირშივე აღკვეთო შენი საჯარო განცხადებით.

ექ. სტოკმანი. მე? როგორ? არ მესმის შენი.

ბურგომისტრი. მოსალოდნელია, ახალი გამოკვლევების შედეგად მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ საქმის ვითარება არც ისე საშიშია და სერიოზული, როგორც თავდაპირველად გეგონა.

ექ. სტოკმანი. აჰა. აი, თურმე, რას ელოდები!

ბურგომისტრი. შემდეგ ვფიქრობ შენ ენდობი დირექციას და საჯაროდ გამოსთქვამ ამას. ენდობი მის კეთილსინდისიერებასა და საფუძვლიანობას, რითაც ის საჭიროდ მიიჩნევს ზომების მიღებას შესაძლებელი არასრულყოფილობის ასაცილებლად.

ექ. სტოკმანი. ვერასოდეს ვერ მოახერხებთ საქმის გამოსწორებას, თუ მხოლოდ თადლითობასა და ძონძების დაკრებას აპირებთ. გეუბნები, პეტერ, ეს ჩემი გულწრფელი და უღრმესი რწმენაა...

ბურგომისტრი. როგორც მოსამსახურეს, შენ არ უნდა გქონდეს განსაკუთრებული მოსაზრებები და რწმენები.

ექ. სტოკმანი. (განვიფრებული). არ უნდა მქონდეს?

ბურგომისტრი. როგორც მოსამსახურეს-მეთქი. როგორც კერძო პირს — ბატონი ბრძანდებით, ეს სხვა საქმეა. მაგრამ როგორც დაქვემდებარებულ პირს, რომელიც კურორტის დირექციის სამსახურში ირიცხება, შენ არ შეგფერის გამოსვლა მოსაზრებებით, რომლებიც არ ეთანხმება შენი უფროსების მოსაზრებებს.

ექ. სტოკმანი. ეს კი მეტისმეტია! მე, ექიმს, მეცნიერ მოღვაწეს, არ შემფერის მოსაზრებები მქონდეს!

ბურგომისტრი. მოცემული შემთხვევა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც წმინდა მეცნიერული. ეს შემთხვევა რთულია, შეიცავს ტექნიკურ და ეკონომიურ მხარესაც.

ექ. სტოკმანი. აჰ, შეიცავდეს ყველაფერს, რაც ეშმაკს ენებოს! მე მსურს თავისუფლად ვილაპარაკო ყოველნაირ შემთხვევაზე, რაც ქვეყნად ხდება!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ნება გეძლევა. ოლონდ კურორტის. საქმეებზე კი არა... ამას ჩვენ ვკრძალავთ.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. (ყვირის). თქვენ კრძალავთ! თქვენს! ასეთები!..

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მე შენ გიკრძალავ ამას... მე — შენი მთავარი უფროსი. და რაკი მე ამას გიკრძალავ, ისლა გრჩება, რომ დამემორჩილო.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (თავს ძალას ატანს). პეტერ... შენ რომ ჩემი ძმა არ იყო...

პ ე ტ რ ა (ყარს სწრაფად აღებს). მამიკო, შენ ამას არ მოითმენ.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (მოსდევს). პეტრა, პეტრა!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. აპა, ყურსაც გვიგდებდნენ.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. აქ ყველაფერი ისმის. ჩვენ არ შეგვეძლო...

პ ე ტ რ ა. დიახ, მე ვიდექი და ყურს გიგდებდით.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. არსებითად მე მოხარული ვარ...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (მიიწევს მისკენ). შენ მელაპარაკებოდი აკრძალვაზე მოითხოვდი მორჩილებას!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. შენ მაიძულე ასეთი ტონით მელაპარაკა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. და ახლა გინდა, რომ მე საჯაროდ უარვყო ჩემივე თავი?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჩვენ გადაუდებელ საჭიროებად მიგვაჩნია შენი საჯარო განცხადებით გამოსვლა იმ აზრით, როგორც მე შენგან მოვითხოვე.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. და თუ მე არ დაგემორჩილებით?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მაშინ ჩვენც თვითონ გამოვაქვეყნებთ ასეთ ახსნა-განმარტებას ხალხის დასამშვიდებლად.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. კეთილი მე კი მას უარვყოფ. დავიცავ ჩემს აზრს. და დავამტკიცებ, რომ მართალი მე ვარ და არა თქვენ. მაშინ რაღას იზამთ?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მაშინ... არ დავიხვევდი თვითონ შენი მოხსნის საკითხზეც.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. რაო?..

პ ე ტ რ ა. მამის მოხსნა!

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. მოხსნა!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მოგხსნიან კურორტის ექიმის თანამდებობიდან. შენს საქციელში მოვნახავ საკმაო საბაბს, რომ დაუყოვნებლივ

წარადგინო მოთხოვნები: შენი გადაყენების შესახებ, კურორტის ყოველგვარი საქმეებისაგან შენი ჩამოცილების შესახებ.

ეჭ. სტოკმანი. თქვენ გასწევთ ამ რისკს?

ბურგომისტრი. შენ თვითონ წამოიწყე სარისკო თამაში

პეტრა. ბიძაჩემო, სწორედ აღმაშფოთებელია ასე მოპყრობა ისეთ ადამიანებთან, როგორც მამა!

ფრუსტოკმანი. შენ გაჩუქდი, პეტრა!

ბურგომისტრი (უყურებს პეტრას). აჰა, უკვე თქვენც მომარაგებულხართ განსაკუთრებული მოსაზრებებით? (მიუბრუნდა ფრუსტოკმანს). რძალო, როგორც ვატყობ, ამ ოჯახში ყველაზე უფრო გონიერი თქვენ ხართ. გამოიყენეთ მთელი თქვენი ზეგავლენა თქვენს ქმარზე, ჩააგინეთ, რა შედეგებს გამოიწვევს ეს მისთვის და მისი ოჯახისათვის...

ეჭ. სტოკმანი. ჩემი ოჯახი მხოლოდ მე მეხება!

ბურგომისტრი. მისი ოჯახისათვის-მეტეი, ვამბობ, და მთელი ქალაქისათვის, რომელშიაც ის ცხოვრობს.

ეჭ. სტოკმანი. მე კი ნამდვილად მსურს ქალაქისათვის სიკეთე! მინდა ვამხილო მისი ნაკლოვანებანი, რომლებიც ადრე თუ გვიან სააშკარაოზე გამოვლენ. არა, ნუ გეშინიათ. ნახავენ, რომ მე მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი.

ბურგომისტრი. შენ? როცა შენი ბრმა ჭიუტობით ცდილობ წაართვა ქალაქს თავისი კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი წყარო.

ეჭ. სტოკმანი. ეს წყარო მოწამლულიაო, ადამიანო, გეუბნებიან! შენ სრულ ჭკუაზე ხარ? ჩვენ აქ ვვაჭრობთ ყოველგვარი სიბიძქურითა და სიღამპლით! მთელი ჩვენი საზოგადოებრივი კეთილდღეობა დაფუძნებულია სიცრუეზე!

ბურგომისტრი. ფანტაზიებია... ან კიდევ უარესი. ის, ვინც ასეთ შეურაცხმყოფელ ინსინუაციას ანთხევს თავისი მშობლიური ქალაქის მიმართ, საზოგადოების მტერია.

ეჭ. სტოკმანი (მივარდება ძმას). შენ ბედავ!..

ფრუსტოკმანი (შუაში ჩადგება). თომას!

პეტრა. (მამას ხელს სტაცებს). ოღონდ ნუ ცხარობ, მამიკო!

ბურგომისტრი. მე არა მსურს აღვირახსნილ ქცევებს ვეჩა-

ჩვერპლო. ასლა შენ გაფრთხილებული ხარ. დაუფიქრდი შენს მოვალეობას შენი თავისა და შენიანების მიმართ. მშვიდობით. (გაღის).

ეჭ. სტოკმანი. (ბოლთს სცემს ოთახში). ასეთი მოპყრობის მოთმენა! საყუთარ სახლში, კატრინე! რას იტყვი ამაზე?

ფრუ სტოკმანი. ჰო, რა თქმა უნდა, პირდაპირ სირცხვილი და თავის მოპყრაა, თომას...

პეტრა. ნეტავ, ვიცოდე, რით დავამშვიდო ბიძაჩემი!

ეჭ. სტოკმანი. მე თვითონ ვარ დამნაშავე. ადრე უნდა შეგეტია წითთვის... კბილები უნდა მეჩვენებინა. უნდა შემეღრინა! და დამატებით საზოგადოების მტერი მიწოდა! ამას მე, კეთილშობილურ, პატიოსან სიტყვას ვღებ. ასე არ დავტოვებ!

ფრუ სტოკმანი. მაგრამ, ძვირფასო თომას, შენი ძმის მხარეზე, რაც არ უნდა იყოს, ძალაა...

ეჭ. სტოკმანი. ჩემს მხარეზე კი სიმართლეა.

ფრუ სტოკმანი. აჰ, კი, სიმართლე... რას გააკეთებ სიმართლით, როცა ძალა არა გაქვს?

პეტრა. ახ, დედა! როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი?

ეჭ. სტოკმანი. მაშ რას გავაკეთებთ სიმართლით, როცა ჩვენ თავისუფალ საზოგადოებაში ვცხოვრობთ? ახირებული ქალი ხარ, კატრინე. და ამას გარდა, განა მე ავანგარდში არა მაქვს გაბედული და დამაუკიდებელი პრესა. არიერგარდში კი დარაზმული, მტკიცე უმრავლესობა? ეს საკმაოდ დიდი ძალაა, თუ არ ვცდები!

ფრუ სტოკმანი. მაგრამ, შემზბრალე, თომას, ხომ არ ფიქრობ...

ეჭ. სტოკმანი. რას ხომ არ ვფიქრობ?

ფრუ სტოკმანი. ძმასთან შეტაკებას-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

ეჭ. სტოკმანი. მაშ, რა ეშმაკი გინდოდა? ხომ არ შევეწყვიტო იმისი დაცვა, რაც სიმართლედ და ჭეშმარიტებად მიმაჩნია?

პეტრა. მეც ამასვე ვიტყვი.

ფრუ სტოკმანი. ახ, ვერაფერს ვერ მიაღწევ. რაკი ბურგომისტრმა არ ისურვა, არც სხვები ისურვებენ.

ეჭ. სტოკმანი. ჰო -- ჰო, კატრინე! ოღონდ მაღროვე, შენ ნახავ, რომ ჩემსას მიაღწევ.

ფრუ სტოკმანი. მოხსნას მიაღწევ — ეს მართალია.

ეჭ. სტოკმანი. ამით მაინც მოვიხდი ჩემს ვალს ხალხის წინაშე...



საზოგადოების წინაშე. მე. საზოგადოების მტრად გამოცხადებული კაცი!

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენი ოჯახის წინაშე. თომას? შენი შინაურების წინაშე? გგონია, ამით მოიხდი ვალს მათ წინაშე. ვისთვისაც უნდა იზრუნო?

პ ე ტ რ ა. ახ, ნუ ფიქრობ მუდამ და პირველ რიგში ჩვენზე. დედა!

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენთვის ადვილია დაპარაკი. თუ რამე მოხდა, თვითონვე მოუვლი თავს. გაიხსენე ბავშვები, თომას. იფიქრე ცოტა შენს თავზედაც... და ჩემზედაც...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენ პირდაპირ ჭკუიდან შეიშალე. კატრინე! თუნდაც უბადრუკ მშობრასავით კისერი მოვიდრიკო პეტერისა და მისი წყეული ბრბოს წინაშე, მექნება მერე ჩემს სიცოცხლეში თუნდაც ერთი ბედნიერი წუთი?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ეგ არ ვიცი, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი ბედნიერებისაგან, როგორც მოგველის ყველას, თუ პირისპირ შეტევას განაგრძობ. ხელახლა დაერჩებით ულუქმაპუროდ, ნამდვილი შემოსავლის წყარო დაგვეშრიტება. მე ვფიქრობ, საკმაოდ ვითმინეთ წარსულში. გაიხსენე ეს, თომას. დაფიქრდი, რით გვემუქრება ყოველივე ეს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (ძლივს იყავებს მღელვარებას და აუშშავს მუშტებს). და ამ კანცელარიის ყურმოჭრილ მონებს შეუძლიათ ასეთ მდგომარეობაშიდე მიიყვანონ თავისუფალი, კეთილშობილი ადამიანი, განა ეს საშინელება არ არის, კატრინე?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, ეს პირდაპირ ცოდვია, შენს მიმართ ასე მოპყრობა. რაც მართალია, მართალია. მაგრამ, ღმერთო ჩემო, განა ცოტაა ქვეყნად უსამართლობა, რასაც ძალაუფლებურად უნდა შევეურიგდეთ ხოლმე? აი, ბავშვები, თომას, შეხედდე! რა მოუვათ ამათ? არა, არა. შეუძლებელია, რომ შენ გეყოს ნებისყოფა...

შემოდან ელიფი და მორტენი, სახელმძღვანელოებითა და რვეულებით ხელში.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ბავშვები!.. (უცებ გონს მოღის, მტკიველ და გაღამწყვეტი ხმით.) თუნდაც მთელი ქვეყანა დაიქცეს, ქედს არ მოვიხრი (მოღის თავის ოთახში.)

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (მიპყვება). თომას... რა გინდა?..

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (ყარბშვი). მე მინდა მოვიპოვო უფლება, რომ ვა-

ბედულად შეეხედო თვლებში ჩემს პატარებს, როცა ისინი გაიზრდებოდნენ და პატიოსანი, თავისუფალი ადამიანები გახდებოდნენ. (შიდის თავის ოთახში).

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. (ცრემლის ღვრით). ღმერთო, გვიხსენი, შეგვეწიე და შეგვეწყალო!

პ ე ტ რ ა. ყოჩაღ, მამიკო! არ ნებდება!

(ბავშვები დაფანტულად უუარებენ აველას. პეტრა ანიშნებს, ჩუმად იყავითო.)

## მ მ ს ა მ ე მ ო მ მ ე დ ე ბ ა

„სახალხო უწყების“ რედაქციის კახტორა. მარცხნივ სიღრმეში შესასვლელი კარია, მარჯვნივ, იმავე უკანა კედელში — ძეორე შუშაბანდიანი კარი, რომელშიაც ჩანს სტამბა. მარჯვენა კედელზეც კარაა შუა ოთახში დგას ქალაღდებით გაზეთებითა და წიგნებით საესე დიდი მაგიდა, მის ახლო რამდენიმე სავარძელია. წინ, მარცხნივ, მის გვერდით — პატარა საწერი მაგიდა და მაღალი ტაბურეტი. კედლების გასწვრივ სკამებია. ოთახს აქვს დაღვრემილი, მოქუფრული სახე. მორთულობა ძველი ყადისაა, სავარძლები კუჭყიანი და შემოფლეთილი. სტამბაში მოჩანს მუშაობით გართული რამდენიმე ასოთამწყობი. მოშორებით დგას ხელის პრესი.

რედაქტორი პოვსტადი ზის საწერ მაგიდასთან და წერს. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნიდან შემოდის ბილინგი, ხელში ექიმ სტოკმანის ხელნაწერი უჭირავს.

ბილინგი. პო, უნდა ვთქვა!

პოვსტადი (განაგრძობს წერას). თქვენ წაიკითხეთ?

ბილინგი. (დადებს ხელნაწერს მაგიდაზე). ჰმ! დიახ, წავიკითხე.

პოვსტადი. მერე, მარჯვედ პარსავს ექიმში?

ბილინგი. პარსავსო? ოჰ, ღმერთმა დამლახვროს, ისე კაფავს, რომ ფეხზე არავის აჩერებს! ყოველი სიტყვა ნაჯახის დანაკრავია!

პოვსტადი. პო, ამ ბატონებს ერთი დაკვრით ვერ წააქევე. სხვა ყალიბისანი არიან.

ბილინგი. ეს ასეა. მაშინ ჩვენ მოვეუხშირებთ, დარტყმას დარტყმაზე ვაგემებთ, ვიდრე არ წავაქევეთ ამ ძლიერთა ამა ქვეყნისათა. გამოგიტყდებით, როცა ამ სტატიას ვკითხულობდი, მე რევოლუცია მელანდებოდა.

პოვსტადი (შემობრუნდება). ჩუმაღ! ასლაქსენმა არ გაიგონოს.

ბილინგი (ხმის დაწევით). ასლაქსენი სველი ქათამია, მხდალია. ვანა ეს მამაკაცია? მაგრამ ამჯერად თქვენი იმედი მაქვს, თქვენსას გაიტანთ. ხომ გაიტანთ ექიმის სტატიას?

პოვესტადი. თუკი ბურგომისტრი მშვიდობიანად არ დაგვნებდება...

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს, აი, საწყენი ეს იქნებოდა.

პოვესტადი. არა, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ამ საქმიდან სარგებლობას გამოვიტანთ. თუ ბურგომისტრი ექიმის წინადადებაზე არ დათანხმდება — ყველა წვრილი მოქალაქე მას ზურგზე, დააჯდება... მთელი ოჯახის უფროსთა კავშირი და სხვა და სხვა. ხოლო თუ დანებდება, მაშინ მას ჩამოსცილდება კურორტის მსხვილი აქციონერების მთელი ჯგუფი, რაც დღემდე მისი ყველაზე საიმედო დასაყრდენი იყო.

ბილინგი. დიახ. დიახ. მათ ხომ მოუწევთ ფულის ამოყაპვა. ვინ იცის. რამდენი ფული გახდება საქირო!

პოვესტადი. ჰო, ამას რომ დაუფიქრდე. პირჯვარს გამოისახავ. და როცა მოჯადოებული წრე, გაირღვევა, ხახავთ, ჩვენ ყოველდღიურად ჩავძახებთ ხალხს, რომ ბურგომისტრი უძღურია ამა და ამ საქმეში, და ქალაქის მთელი საპასუხისმგებლო თანამდებობანი, საზოგადოებრივი საქმეების მთელი მმართველობა უნდა გადავიდეს თავისუფლად მოაზროვნე ადამიანთა ხელში.

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს, რაც მართალია, მართალია! მე ვგედავ, რომ ჩვენ რევოლუციის წინაშე ვდგავართ.

კაენი შემოსასვლელ კარში, მარცხნივ, სიღრმეში.

პოვესტადი. ჩუმად! (ხმამალა) მობრძანდით.

შემოდის ექიმი სტოკმანი.

პოვესტადი (შევიხებება). ა, ეს ექიმა? რას იტყვი?

ექ. სტოკმანი. დაბეჭდეთ, ბატონო პოვესტად!

პოვესტადი. მაშ. მაინც ამით დამთავრდა?

ბილინგი. ვაჰა!

ექ. სტოკმანი. დაბეჭდეთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ამით დამთავრდა. თვითონვე ისურვეს ასე. ახლა ქალაქში ომი გაჩაღდება, ბატონო ბილინგი.

ბილინგი. ისიც სამკვდრო-სასიცოცხლო, ბატონო ექიმო!

ექ. სტოკმანი. ჩემი მოხსენება მხოლოდ დასაწყისია. თავში მაქვს კიდევ ხუთი სტატია. სადა გყავთ ასლაქსენი?

ბილინგი. (ყვირს სტამბისაყენ). ასლაქსენ, შემობრძანდით ერთი წუთით!

პოვსტადი. კიდევ ოთხი-ხუთი სტატიაო, ამბობთ? ამაყე სა-  
ქმეზე?

ექ. სტოკმანი. აჰ, არა, რა საჭიროა, ჩემო ძვირფასო! სრულიად  
სხვა საგნებზე. მაგრამ გამოსავალ პუნქტებად დარჩებიან წყალსადენი  
და კლოაკა. ერთი იწვევს მეორეს, გაიგეთ? აი, ძველი შენობის ნგრევას  
რომ იწყებ, სწორედ ისე.

ბილინგი. აი, ღმერთმა დამლახვროს, სიმართლეს ამბობთ. არა-  
ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეჩერება, ვიდრე ძირს არ დაამხობ  
მთელ გროვას.

ასლაქსენი (სტანბიდან შემოდის). ძირსო? კურორტის ძირს დამხო-  
ბას ხომ არ აპირებს ექიმი?

პოვსტადი. არც ფიქრობს. დამშვიდდით!

ექ. სტოკმანი. არა, საქმე სულ სხვა რამეს ეხება: აბა, რას  
იტყვით ჩემს სტატიაზე, ბატონო პოვსტად?

პოვსტადი. ჩემის აზრით, ოსტატურადაა დაწერილი.

ექ. სტოკმანი. მართლა განა?.. აბა, ძლიერ მოხარული ვარ,  
ძლიერ მოხარული.

პოვსტადი. ყველაფერი ისე უბრალოდ, ნათლად, ჰკუთის სასწავ-  
ლებლად... არც არის აუცილებელი, სპეციალისტი იყო, ისედაც გასა-  
გებია, როგორაა საქმე. გავებედავ და ვიტყვი, ყველა განათლებული კა-  
ცი თქვენს მხარეზე იქნება.

ასლაქსენი. და იმედი მაქვს, ყველა გონიერიც, არა?

ბილინგი. გონიერიც და უგუნურებიც! მე ვფიქრობ, რომ მთე-  
ლი ქალაქი.

ასლაქსენი. ჰო, მაშ აბა, მართლაც, შეიძლება დაიბეჭდოს.

ექ. სტოკმანი. ასე ვფიქრობ!

პოვსტადი. ხვალ დილითვე ვაქვეყნებთ.

ექ. სტოკმანი. დიახ, ღმერთმანი, არ შეიძლება არც ერთი დღის  
დაკარგვა. გამიგონეთ, ბატონო ასლაქსენ, აი, რა მინდა გთხოვოთ: შე-  
უდგეით ხელნაწერის გარჩევას.

ასლაქსენი. შევუდგები. შევუდგები.

ექ. სტოკმანი. გაუფრთხილდით თვალის ჩინივით. და არც ერთი  
ბექდვითი შეცდომა არ უნდა იყოს. მისი ყოველი სიტყვა მნიშვნელო-  
ვანია. მე ისევ შემოვირბენ. იქნებ მოვასწრო კორექტურის გადათვალი-

ერება... დიახ, პირდაპირ არ შემიძლია გამოვხატო, როგორ მწყურია გაზეთში ჩემი მოხსენების ნახვა... როგორ გაფრინდება ხალხში...

ბილინგი. გაფრინდება, როგორც მეხი!

ექ. სტოკმანი. ყველა კეთილი ნების თანამოქალაქის სამჯავროზე, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ. რა გადავიტანე დღეს. რანაირად არ მემუქრებოდნენ! უნდოდათ ჩამოერთვათ ჩემთვის ყველაზე უფრო განუხსვსივსი, დღესავით ნათელი, ადამიანური უფლებები...

ბილინგი. რა? თქვენი ადამიანური უფლებები!

ექ. სტოკმანი. უნდოდათ ჩემი დამცირება, არამზადად გამოყვანა, მოითხოვდნენ, რომ ჩემი პირადი სარგებლობა დამეყენებინა ყველაზე უფრო სისხლხორცეულ, უწმინდეს მოსაზრებებზე მაღლა...

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს! ეს უკვე მეტისშეტია.

პოვსტადი. მაშ, ამ ბატონებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ექ. სტოკმანი. არა, ჩემთან ვერაფერს გახდებიან. ნახავენ თეთრზე შავად დაწერილს. ახლა მე ღუზას ჩავუშვებ „სახალხო უწყებაში“ და ყოველ ცისმარე დღეს თავს დავატებ სტატიების ნაღმების ღვარს...

ასლაქსენი. ერთი მეც მომისმინეთ...

ბილინგი. ვაშა! თუ ომია, ომი იყოს!

ექ. სტოკმანი. მე მათ მოვდრეკ ვავსრეს. დავამსხვრევ მათ ციხე-სიმაგრეებს ყველა კეთილი ნების ადამიანთა თვალში! აი, რას გავაკეთებ!

ასლაქსენი. ოღონდ, გეთაყვა. დიაცავით ზომიერება, ბატონო ექიმო. ესროლეთ, ოღონდ ზომიერად.

ბილინგი. არა, არა! დინამიტი არ დაინანოთ!

ექ. სტოკმანი. აუცილებლად! (განაგრძობს.) ახლა საქმე მარტო წყალსადენსა და კლოაკას როდი ესება. არა, უნდა გავწმინდოთ, დეზინფექციაში გავატაროთ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

ბილინგი. აი, თუ გნებავთ სიტყვა, რაც ყველაფერს წყვეტს.

ექ. სტოკმანი. ძირს მთელი ეს თხუპნია ბერიკაცები თავიანთი დაკრებულ სამოსით, გესმით? ძირს ყველგან! დღეს თვალწინ ისეთი ფართო ჰორიზონტები გადამეშალა... მე ჭერ კიდევ ნათლად არ ვხედავ ყველაფერს, მაგრამ შევძლებ გარკვევას. ჩვენ ახალგაზრდა, ჯანსაღი მუდროშეები გვინდა, ჩემო მეგობრებო. ახალი წინამძღოლები ყველა მოწინავე პოსტებზე.

ბილინგი. უსმინეთ, უსმინეთ!

ეჭ. სტოკმანი. ოღონდ თანხმობით ვიმოქმედოთ და ყველაფერი ჩინებულად წავა! მთელი გადატრიალება ისე მოფიქრებულად უნდა მოვაწყოთ, როგორც ხომალდს უშვებენ წყალში. თქვენ არა გჯერათ?

პოვსტადი. მე ჩემდათავად მჯერა, რომ ახლა გვაქვს ყველა შანსი საზოგადოებრივი მართვის სადავეები ღირსეულთა ხელში გადავიტანოთ.

ასლაქსენი. უკეთუ ჩვენ დავიცავთ ზომიერებას, სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს საშიში იქნება.

ეჭ. სტოკმანი. რა ფიქრი უნდა — საშიშია თუ არაა საშიში! იმას, რასაც მე ვაკეთებ, ვაკეთებ სიმართლისა და წმინდა სინდისის სახელით.

პოვსტადი. თქვენ ღირსი ხართ ყოველგვარი მხარდაჭერისა. ბატონო ექიმო.

ასლაქსენი. ოჰ, ეს უეჭველია, ექიმი ქალაქის ჰეშმარიტი მეგობარია; საზოგადოების ჰეშმარიტი მეგობარი.

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს, ექიმი სტოკმანი ხალხის მეგობარია, ასლაქსენ!

ასლაქსენი. მე ვფიქრობ, ოჯახის უფროსთა კავშირი ძალე დაიტაცებს ამ სტატიას.

ეჭ. სტოკმანი (აღღვებული ხელს ართმევს ყველას). გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთგულო მეგობრებო... ჩემთვის სასიხარულოა ამ სიტყვის გაგონება... ჩემმა ძმამ სულ სხვა სახელი მიწოდა. არა უშავს, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ორმაგად კუზლავ და ისე დაუბრუნებ უკან. ახლა კი უნდა წავიდე და ვინახულო ერთი საბრალო ავადმყოფი.. მე ისევ შემოვივლი, როგორც გითხარით. მაშ. გეთავაზო, კარგად შეაჯერეთ ხელნაწერთან. ბატონო ასლაქსენ... და, ღვთის გულისათვის, არ გამოტოვოთ არც ერთი ძახილის ნიშანი! უმჯობესი იქნება, თუ ორ ზედმეტსაც მიუმატებთ! ასე, ასე. მშვიდობით, ჭერჯერობით. ნახვამდის! ნახვამდის!

ორივე მხარე ერთიმეორეს ემშვიდობება, ვიდრე ექიმს კარებთან მიაცილებენ.

პოვსტადი (ბრუნდება). მას შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს.

ასლაქსენი. დიახ, ვიდრე ის დაქაყოფილდება ამ კურორტის ამბით, და თუ უფრო შორს წავა, არ გირჩევთ მის მიყოლას!

პოვესტადი. ჰმ... ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე...

ბილინგი. ღმერთმანი, თქვენ სულ სიმხდალეს იჩენთ, ასლაქსენ!

ასლაქსენი. სიმხდალეს ვიჩენ? დიახ, როცა საქმე მივა ქალაქის მესვეურებთან, სიმხდალეს ვიჩენ, ბატონო ბილინგ. გეუბნებით, ტყუილად არ გამივლია გამოცდილების სკოლა, მაგრამ გამიშვით დიდ პოლიტიკურ სარბიელზე და მაშინ ნახავთ, რა სიმხდალესაც გამოვიჩენ, თუნდაც თვითონ მთავრობის წინაშე.

ბილინგი. რა თქმა უნდა, თქვენ მხდალი როდი ხართ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ თქვენსაც კაცი ვერაფერს გაიგებს. თვითონვე თქვენს თავს ეწინააღმდეგებით.

ასლაქსენი. მე ნამუსიანი კაცი ვარ, ეს არის და ეს. თუ თავს ესხმის მთავრობას. საზოგადოებას ამით არაფერი დაუშავდება და იმ ბატონებსაც არაფერი უჭირთ, მოგეხსენებათ, იმედიანად სხედან! ადგილობრივი ხელისუფალნი კი შეიძლება დაამხო, მაგრამ მაშინ, ოჯახის უფროსთა და სხვა მოქალაქეების სამწუხაროდ და საზიანოდ, საზოგადოების მართვის სადავესთან გამოუცდელი, უვიცი ადამიანები აღმოჩნდნენ.

პოვესტადი. ხოლო მოქალაქეთა აღზრდა, ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის სულისკვეთებით — ამაზე არ ფიქრობთ?

ასლაქსენი. თუ ადამიანს ხელში უჭირავს თავისი საქმე, სადღა დარჩება დრო, რომ ყველაფერზე ერთბაშად იფიქროს, ბატონო პოვესტად?

პოვესტადი. მაშინ ჯობდა არასოდეს არ მქონოდა არავითარი „თავისი საქმე“!

ბილინგი. უსმინეთ... უსმინეთ!

ასლაქსენი (ღიმილით). ჰმ... (უჩვენებს საწერ მაგიდაზე). ამ სარკელაქტორო ადგილზე თქვენამდე ამტმანი სტენსგორი იჭდა.

ბილინგი. (აფურთხებს). ფუ! მოლაღატე!

ასლაქსენი. პოლიტიკანს არაფრის თავდებობა არ შეუძლია. ბატონო პოვესტად. და თქვენც, ბატონო ბილინგ, არ გაწყენდათ ცოტა იალქნების დაშვება. თქვენ ხომ მლიცნის ადგილს დაეძებთ მაგისტრატში?

ბილინგი. მე?..

პოვესტადი. თქვენ, ბილინგ?



ბილინგი. პო, დიახ... თქვენ კი, ეშმაკმა წაიღოს, იცით, რომ მე მხოლოდ ქალაქის ბრძენთაბრძენი მამების გაცურება მინდოდა.

ასლაქსენი. ოჰ, რა თქმა უნდა, ეს მე არ მეხება. მაგრამ რაკი სიმხდალესა და მერყეობას მიკიჟინებენ, ამიტომ მეც უნდა ნათელვყო: მესტამბე ასლაქსენის პოლიტიკური წარსული ყველასათვის და თვითეულისათვის აშკარაა. ჩემს ცხოვრებაში სხვა ცვლილებებს არ ჰქონია ადგილი, გარდა იმისა, რომ უფრო ზომიერი გავხდი, ხედავთ? ჩემი გული უწინდებურად ხალხს ეკუთვნის. მაგრამ მე ვერ დავფარავ. რომ ჩენი გონება ხელისუფალთა სასარგებლოდ იხრება... ესე იგი, ადგილობრივ მმართველთა სასარგებლოდ, დიახ. (გაღის სტამბაში.)

ბილინგი. არ მოხერხდება, რომ როგორმე ეს კაცი მოვიცილოთ, ჰოვსტად?

ჰოვსტადი. განა თქვენ იცით ვინმე სხვა, ვინც გადაიხდის ქალღლისა და ბეჭდვის ყველა წინასწარ ხარჯს?

ბილინგი. ჭოჯონეთური ამბავია, რომ ჩვენ არა გვაქვს საბრუნავი კაპიტალი.

ჰოვსტადი (ქდება საწერ მაგიდასთან). დიახ, რომ გეკონოდა...

ბილინგი. და თუ მივმართავთ ექიმ სტოკმანს?

ჰოვსტადი. (ფურცლავს ქალღლებს). მერე რა გამოვა? სულს იქით არაფერი გააჩნია.

ბილინგი. ეს ასეა. მაგრამ მას მოჰყავს კარგი იმედი, მოხუცი მორტენ კიილი, „მაჩვი“, როგორც ეძახიან.

ჰოვსტადი (წერს). თქვენ, ეტყობა, იცით, რომ ამ კიილს აქვს ცოტა რამ?

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს, თუ არ ჰქონდეს! და სტოკმანის ოჯახსაც შეხვდება რაიმე წილი. ხომ არ დაივიწყებს თუნდაც ბავშვების უზრუნველყოფას!

ჰოვსტადი (ნახევრად მიობრუნდება). ამაზე ამყარებთ თქვენს ანგარიშებს?

ბილინგი. ვამყარებ? რა თქმა უნდა, მე არაფერზე არაფერს არ ვამყარებ.

ჰოვსტადი. და კარგადაც იქცევით. ქალაქის სამმართველოში ამ მდივნობაზე ნურც აგრე დაამყარებთ იმედებს. შემოძლია დაგარწმუნოთ. რომ თქვენ მაგ ადგილს ვერ მიიღებთ.

ბილინგი. თქვენ გგონიათ, რომ მე არ ვიცი? მაგრამ სწორედ ეს

არის კარგი, რომ მას ვერ მივიღებ. ასეთ უარს შეუძლია მხოლოდ გააღვივოს ბრძოლის სურვილი, ცეცხლზე ნავთი დაასხას, ეს კი მეტად დროულია ასეთ დათვის ბუნავში, როგორც აქაა, სადაც იშვიათად ხდება ისეთი რამ, რაც ღრმა შეუარაცხოფას გვაყენებს.

პოვსტადი (განაგრძობს წერას). ასე, ასე...

ბილინგი. აბა... მალე გაიგონებენ ჩემს სახელს! ახლა წავალ და ოჯახის უფროსებისადმი მოწოდებას დაეწერ. (გადის მარჯვნივ).

პოვსტადი (ზის საწერ მაგიდასთან, კალმისტარს ღრღნის და ნელა ამბობს) ჰმ... დი-ახ, ასე.

კაცუნი შემოსასვლელში,

მობრძანდით!

შემოდის პეტრა.

პოვსტადი (წამოადგება). ახ, ეს თქვენა ხართ? ჩვენთან მოხვედით?

პეტრა. დიახ, მაპატიეთ...

პოვსტადი (სავარძელს მიუჩოჩებს). არ დაბრძანდებით?

პეტრა. არა, გმადლობთ, მე ახლავე წავალ.

პოვსტადი. მამიკოსაგან ხომ არა ხართ გამოგზავნილი?

პეტრა. არა, მე ჩემს საქმეზე ვარ (იღებს წიგნს პალტოს ქიბიდან.) აი ის ინგლისური მოთხრობა.

პოვსტადი. რატომ მიბრუნებთ?

პეტრა. მე ამას არ გადავთარგმნი.

პოვსტადი. აკი დამპირდით...

პეტრა. მაშინ ჭერ კიდევ არ მქონდა წაკითხული. ეტყობა, არც თქვენ?

პოვსტადი. არა, თქვენთვის ცნობილია, რომ მე არ ვიცი ინგლისური ენა, მაგრამ...

პეტრა. კარგია. მაშ აი, გეტყვით: მონახეთ რაიმე სხვა. (წიგნს ასაღებაზე დებს.) ეს სულაც არ არის „სახალხო უწყების“ მასალა.

პოვსტადი. რატომ?

პეტრა. იმიტომ, რომ სავსებით უპირისპირდება თქვენს პირად შეხედულებებს.

პოვსტადი. მერე, ამ ერთი მიზეზისათვის...

პეტრა. თქვენ, ეტყობა, კარგად ვერ გამიგეთ... აქ ლაპარაკია იმაზე. თუ როგორ მფარველობენ ზებუნებრივი ძალები ე. წ. „აქეთილ“

ადამიანებს და ბოლოს და ბოლოს მათთვის ყველაფერს სასიკეთოდ აწყობენ, ხოლო ეგრეთწოდებული „ბოროტი“ ადამიანები კი ისჯებიან.

ჰოვსტადი. პირდაპირ ჩინებულია. ფართო საზოგადოებისათვის სწორედ ეს არის საჭირო.

პეტრა. და თქვენ კი გსურთ იყოს ის მამაკაცი, რომელიც ხალხს ასეთ საქმეს გაუკეთებს? თვითონ თქვენ მსგავსიც არაფერი გჭერათ, და საუცხოოდ იცით, რომ სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე.

ჰოვსტადი. თქვენ სავესებით მართალი ხართ. მაგრამ რედაქტორი მუდამ ისე თავისუფლად ვერ მოიქცევა, როგორც სასურველია. ხშირად გვიხდება ანგარიშის გაწევა ხალხის გემოვნებისა და მოსაზრებებისათვის უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებში. მთავარი აქი პოლიტიკაა, ყოველ შემთხვევაში, გაზეთისათვის. და თუ მე მინდა წავიყვანო ხალხი თავისუფლებისა და პროგრესისაკენ, არ შემიძლია მისი დაშინება. გაზეთის „სარდაფის სართულებში“ ასეთ დამრიგებლურ მოთხოვნას რომ ნახავს, ის უფრო მეტი ხალისით დაემორჩილება იმას. რაც ზედა სართულში იბეჭდება... ეს აძინებს მკითხველთა ექვიანობას, აძლიერებს მათში ჩვენდამი რწმენას...

პეტრა. ფუ! შეუძლებელია, რომ თქვენს მკითხველებს ასეთი ქსელი ვაუბათ. თქვენ ხომ ობობა არა ხართ!

ჰოვსტადი (ღიმილით). მადლობელი ვარ, რომ ჩემზე ასეთი კარგი აზრი გქონიათ. მართალია, ეს ჩემი საკუთარი მსჯელობა არაა, ბილინგის აზრია.

პეტრა. ბილინგის!

ჰოვსტადი. ყოველ შემთხვევაში. ამ დღეებში მან ასე თქვა. ბილინგს სული არ უთმენს ამ მოთხოვნის გამოქვეყნებაზე, მე კი მას არ ვიცნობ.

პეტრა. მერე, როგორ მოუვიდა ბილინგს — ასეთი დამოუკიდებელი შეხედულებების პატრონს!

ჰოვსტადი. ო, ბილინგი ისეთი მრავალმხრივი კაცია. ახლა, ამბობენ, მდივნის ადგილს ითხოვსო მაგისტრატში.

პეტრა. არა მჯერა, ჰოვსტად! როგორ შეეძლო ასეთი გზით წასვლა?

ჰოვსტადი. ეს უკვე თვითონ მას ჰკითხეთ.

პეტრა. აი, ამას კი არასოდეს არ ვიფიქრებდი ბილინგზე!

პოვსტადი. (სახეში ამტრდება). მართლა? განა თქვენთვის ეს ამდენად მოულოდნელია?

პეტრა. დიახ... თუმცა, რას ვამბობ, არც ისე. ახ, არსებითად, არ ვიცი...

პოვსტადი. ჩვენ. გაზეთის მოღვაწეები, უმნიშვნელო ხალხი ვართ, სტოკმანის ასულო.

პეტრა. თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?

პოვსტადი. ზოგჯერ ასე ვფიქრობ ზოლმე.

პეტრა. პო, ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებში ეს კიდევ მესმის — მაგრამ ახლა, როცა მონაწილეობა მიიღეთ ასეთ სერიოზულ საქმეში...

პოვსტადი. ამას თქვენი მამის საქმეზე ამბობთ?

პეტრა. დიახ, ახლა, ჩემის აზრით, თქვენ თავს უნდა თვლიდეთ ისეთ ადამიანად, რომელიც მრავალთა შორის მთელი თავით მალდაღვას.

პოვსტადი. დიახ, დღეს რაღაც ამნაირი გრძნობა მაქვს.

პეტრა. მართლა? ახ. თქვენ შესაშურებელი როლი ავირჩევიათ. ზნა გაუკაფოთ ახალ, გაბედულ შეხედულებებს, ჭეშმარიტებებს, რომლებიც ჩერ კიდევ არაა აღიარებული... უკვე მართო ის გარემოებაც, რომ უშიშრად ესარჩლებით დევნილს...

პოვსტადი. მეტადრე. თუ დევნილი... ჰმ... არ ვიცი, როგორ გამოვხატო...

პეტრა. თუ ის ასე წესიერი და უაღრესად პატიოსანი კაცია — ხომ?

პოვსტადი (ხმის დაწევით). მეტადრე, თუ ის... თქვენი მამაა, მიწოდოდა მეტყეა.

პეტრა (მოულოდნელობისაგან განცვიფრებული). ამისათვის?

პოვსტადი. დიახ, პეტრა... ფრეკენ პეტრა.

პეტრა. აი, თურმე რა გქონიათ პირველ პლანზე! და არა თვითონ საქმე! არა ჭეშმარიტება! არა მამის დიდი წრფელი გული!

პოვსტადი. დიახ, დიახ, თავისთავად, ესეც.

პეტრა. არა, გმადლობთ. თქვენ უკვე წამოგცდათ, პოვსტად. და მე თქვენი ამიერიდან აღარაფერი მჭერა.

პოვსტადი. და თქვენ შეგიძლიათ ასე გამიწყრეთ იმის გამო, რომ მე პირველ რიგში თქვენი გულისათვის...

პეტრა. მე ვწყურები იმას გამო, რომ თქვენ არ იყავით გულწრფელი მამის წინაშე თქვენი ლაპარაკის მიხედვით თქვენთვის ყველაზე ღვირფასი იყო ჭეშმარიტება, საზოგადოებრივი კეთილდღეობა. თქვენ მოგვატყუეთ მამაც და მეც. თქვენ არა ხართ ის კაცი, რადაც თავი მოგქონდათ. და ამას მე არასოდეს არ გაპატიებთ... არასოდეს!

პოვსტადი. თქვენ არ გმართებდათ ჩემთან ამ ტონით ლაპარაკი, ფრეკენ პეტრა. ყველაზე ნაკლებად კი ახლა.

პეტრა. რატომ მაინცდამაინც ახლა?

პოვსტადი. იმიტომ, რომ მამათქვენი უჩემოდ ვერაფერს გახდება.

პეტრა (ზომავს თვალს). აი, თურმე. დამატებით როგორი ყოფილხართ! ფუი!

პოვსტადი. არა, არა, მე ასეთი არა ვარ! ეს ისე, ენიდან მომწყდა. არ იფიქროთ!

პეტრა. მე ვიცი, რა უნდა ვიფიქრო. მშვიდობით.

ასლაქსენი (სტამბიდან, აჩქარებით, იღუმალი ხმით). ღვთის რისხვა და კრულვა, ბატონო პოვსტად... (პეტრას შენიშნავს.) ოჰ-ჰო, აი შემთხვევა!

პეტრა. წიგნი აგერ, იქ დავდე. იპოვეთ სხვა მთარგმნელი (გასასყლელი კარისაკენ მიდის.)

პოვსტადი (მისდევს). ფრეკენ...

პეტრა მშვიდობით (გადის).

ასლაქსენი. ბატონო პოვსტად! მომისმინეთ!

პოვსტადი. აბა! რა მოხდა?

ასლაქსენი. ბურგომისტრი სტამბაშია.

პოვსტადი. ბურგომისტრი?

ასლაქსენი. დიახ. თქვენთან ლაპარაკი სურს. უკანა შემოსასყლელიდან მოვიდა... არ უნდა, რომ დაინახონ, გეპმით?

პოვსტადი. ეს რას უნდა ნიშნავდეს? არა, მოითმინეთ, მე თვითონ... (გადის ღვრუფანში სტამბისაკენ, აღებს კარს, თავს უკრავს და სთხოვს ბუროპისტრს შემოსვლას). თვალყური ადევნეთ, ასლაქსენ, რომ არავინ...

ასლაქსენი. მესმის... (გადის.)

ბურგომისტრი. ბატონო პოვსტად, მგონი, არ მოელოდით, რომ მე აქ მნახავდით?

პოვსტადი. სწორედ რომ გითხრათ, არ მოველოდი.

ბურგომისტრი (მიმოიხედავს). თქვენ აქ ფრიალ მყუდროდ მოწყობილხართ, ფრიალ სასიამოვნოდ.

პოვსტადი. ო---ო...

ბურგომისტრი. მე კი ასე უცერემონიოდ შემოვიჭერი თქვენსა და გართმევთ დროს

პოვსტადი. დაგვდეთ ვალი, ბატონო ბურგომისტრო. მიმსახურეთ. ოღონდ ნება მომეცით შეგიმსუბუქოთ... (ხელიდან ართმევს ქულსა და ჯოხს და სკამზე დადებს.) და ხომ არ ინებებთ დაბრძანებას?

ბურგომისტრი (მაგიდას მიუჯდება). გმადლობთ.

პოვსტადი აგრეთვე ჯდება.

ბურგომისტრი. მე დღეს შეემთხვა... უაღრესად არასასიამოვნო ამბავი, ბატონო პოვსტადი.

პოვსტადი. მართლა? პო, გასაგებია, ბატონ ბურგომისტრს იმდენი საქმე აქვს, რომ...

ბურგომისტრი. დღევანდელი უსიამოვნების მიზეზია კურორტის ექიმი.

პოვსტადი. რასა ბრძანებთ? ექიმი სტოკმანი?

ბურგომისტრი. სწორედ მან შეთხზა რაღაც მოხსენება კურორტის დირექციისადმი, კურორტის მთელი რიგი ნაკლოვანებების შესახებ.

პოვსტადი. მართლა?

ბურგომისტრი. განა თვითონ არ გითხრათ?.. მე მგონია. მან გაიმბოთ...

პოვსტადი. ესე იგი, მართლაც რაღაც ამდაგვარი კი თქვა ისე, გაკვრიო...

ასლაქსენი. (გამოდის სტამბიდან). მგონია, თქვენ ხელხაუერის გადმოცემა გინდოდათ ჩემთვის...

პოვსტადი (გაჯერებული). აჰ... მაგიდაზეა.

ასლაქსენი (იპოვის). კარგით.

ბურგომისტრი. მოითმინეთ... ეს ხომ თვითონ ისაა...

ასლაქსენი. ეს ექიმის სტატია გახლავთ, ბატონო ბურგომისტრო.

პოვსტადი. ახ. მაშ თქვენ ამაზე ამბობდით?

ბურგომისტრი. სწორედ ამაზე. რას იტყვიოთ ამ სტატიაზე?

პოვსტადი. მე ხომ სპეციალისტი არა ვარ, მხოლოდ თვალი გადავაგლე.

ბურგომისტრი. მაინც, ბექდავთ თუ არა?

პოვსტადი. ჩემთვის უხერხულია უარის თქმა... თუ კაცი თავისი საქუთარი ხელმოწერით გამოდის...

ასლაქსენი. მე გაზეთში ხმა არა მაქვს, ბატონო ბურგომისტრო.

ბურგომისტრი. თავისთავად ცხადია.

ასლაქსენი. ჩემი საქმეა დავბეჭდო, რასაც მომცემენ.

ბურგომისტრი. სავსებით ბუნებრივია.

ასლაქსენი. მაშ მეც... (მიღის სტამბაში.)

ბურგომისტრი. ერთი წუთით მოითმინეთ, ბატონო ასლაქსენ... თქვენი ნებართვით, ბატონო პოვსტად...

პოვსტადი. დავგდეთ პატივი, ბატონო ბურგომისტრო.

ბურგომისტრი. თქვენ წესიერი, გონიერი ადამიანი ხართ, ბატონო ასლაქსენ.

ასლაქსენი. ფრიად მოხარული ვარ, თუ ბურგომისტრი ამ აზრისაა.

ბურგომისტრი. და ადამიანი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს.

ასლაქსენი. მეტადრე წვრილ მოქალაქეთა შორის.

ბურგომისტრი. წვრილი გადამხედველები შეადგენენ უმრავლესობას, როგორც ჩვენთან, ასევე ყველგან.

ასლაქსენი. რა სათქმელია!

ბურგომისტრი. და მე საეჭვოდ არ მიმაჩნია, რომ თქვენც კარგად გეუწყებათ მათი უმრავლესობის განწყობილება. ასე არ არის?

ასლაქსენი. დიახ, გავბედავ და მოგახსენებთ, რომ ეს სწორედ ასეა.

ბურგომისტრი. დი-ახ, და რაკი ნაკლებად შეძლებულ მოქალაქეებს შორის მეფობს მზადყოფნის სულისკვეთება, რომ გაიღონ ასეთი მსხვერპლი, მაშინ...

ასლაქსენი. როგორ, ესე იგი?

პოვსტადი. მზადყოფნის სულისკვეთება, რომ გაიღონ მსხვერპლი?

ბურგომისტრი. ეს საზოგადოებრივი სულისკვეთების სასიხა-

რელო ნიშანია. მეტისმეტად სასიხარულო. მზადა ვარ გითხრათ, რომ ასეთ რამეს არ მოველოდი. მაგრამ თქვენ ხომ მათი განწყობილება ჩემზე კარგად მოგეხსენებათ!..

ასლაქსენი. მაგრამ, ბატონო ბურგომისტრო...

ბურგომისტრი. ქალაქს მართლაც არამცირე მსხვერპლის გაღება ელის.

ჰოვსტადი. ქალაქს?

ასლაქსენი. რაღაც ვერ გამიგია... საქმე აკი სამკურნალო წყლებს ეხება...

ბურგომისტრი. ის გადაკეთებანი, რომელთაც კურორტის ექიმი სასურველად თვლის, წინასწარი გამოანგარიშებით, რამდენიმე ასეული ათასი კრონა დაჯდება.

ასლაქსენი. დიდძალი თანხაა, მაგრამ...

ბურგომისტრი. რა თქმა უნდა, ქალაქს სესხის აღება მოუხდება.

ჰოვსტადი (აღება). რატომ ქალაქს?

ასლაქსენი. მაშ ეს ქალაქის ხარჯებით დაიფარება? წვრილი მოქალაქეების გარღვეული ჯიბეებით?

ბურგომისტრი. დიახ, დიდად პატივცემულო ბატონო ასლაქსენ, მაშ საიდან უნდა გამოვნახოთ საშუალებანი?

ასლაქსენი. ეს კი უკვე სამკურნალო წყალთა მესაკუთრე ბატონების საქმეა.

ბურგომისტრი. სამკურნალო წყალთა მესაკუთრეები იძულებული არიან ფეხი ისე გაკიმონ, როგორც საბანი გასწვდებათ, და ზედმეტი ხარჯების გაღებას არ კისრულობენ.

ასლაქსენი. ეს მართალია, ბატონო ბურგომისტრო?

ბურგომისტრი. ამაში დავრწმუნდი. მაშასადამე, თუ ეს ფართო გადაკეთებანი სასურველად იქნება მიჩნეული, ხარჯების გაღება ქალაქს მოუხდება.

ასლაქსენი. ახ, ეშმაკმა... მაპატიეთ! ეს სულ სხვაგვარი საქმე გამოდის, ბატონო ჰოვსტად!

ჰოვსტადი. დიახ, მართლაც.

ბურგომისტრი. ყველაზე უფრო სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ მოგვიხდება კურორტის დახურვა ორი წლით.

ჰოვსტადი. დახურვა? სრულიად!



ასლაქსენი. ორი წლით?

ბურგომისტრი. დიახ. ამ სამუშაოებს დასჯირდება არანაკლებ ორი წლისა.

ასლაქსენი. მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს! ამდენი ძალა სად შეგწვეს, ბატონო ბურგომისტრო! რითღა უნდა ვიცხოვროთ ჩვენს, ოჯახის ხალხმა, ამასობაში?

ბურგომისტრი. ამაზე, სამწუხაროდ, უაღრესად ძნელია პასუხის გაცემა, ბატონო ასლაქსენ. მაგრამ რა გნებავთ ჩვენგან? ნუთუ ფიქრობთ, რომ ერთი კაცი მაინც ჩამოვა ჩვენს კურორტზე, თუ ხალხს დაუწყებენ თავების ამოვსებას ისეთი ფანტაზიებით, ვითომ წყალი მოწამლულია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კირიან ქაობში, რომ მთელი ქალაქი...

ასლაქსენი. და ყველაფერი ეს მხოლოდ ფანტაზიაა?

ბურგომისტრი. თუმცა ძალიან მინდოდა, სხვა დასკვნამდე ვეღარ მივედი.

ასლაქსენი. ოჰ, მაშინ აბა ექიმის მხრიდან პირდაპირ მიუტევებელია... მპატიეთ, ბატონო ბურგომისტრო, მაგრამ...

ბურგომისტრი. თქვენი სიტყვა სამწუხარო ჭეშმარიტებაა, ბატონო ასლაქსენ. ჩემი ძმა, სამწუხაროდ, ყოველთვის უაღრესად აჩქარებული კაცი იყო.

ასლაქსენი. თქვენ კი ისევ აპირებთ მისთვის მხარის დაჭერას, ბატონო ჰოესტად!

ჰოესტადი. აბა ვინ იფიქრებდა, რომ...

ბურგომისტრი. მე შევადგინე მოკლე დასკვნა, როგორ უნდა შევხედოთ საქმეს გონივრული თვალსაზრისით, გამოვთქვი მოსაზრებანი კურორტის შესაძლებელ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებაზე ისეთი გზით, რაც დიდად არ დააზარალებს კურორტის საღაროს.

ჰოესტადი. სტატია თანა გაქვთ, ბატონო ბურგომისტრო?

ბურგომისტრი (ჩიბეში ეჭებს). დიახ. მე ის თან წამოვიღე იმ შემთხვევისათვის, თუკი თქვენ...

ასლაქსენი (სწრაფად). ახ, ამისი! მოვიდა!

ბურგომისტრი. ვინ? ჩემი ძმა?

ჰოესტადი. სად არის... სად?

ასლაქსენი. აგერ, სტამბიდან მოდის.

ბურგომისტრი. რა ცუდად გამოვიდა! სულაც არ მსურდა აქ მასთან შეხვედრა. თანაც ზოგ რამეზე კიდევ მინდოდა თქვენთან ლაპარაკი.

პოვსტადი. (უჩვენებს კარს მარჯვნივ). გადით ჯერ იქით.

ბურგომისტრი. მაგრამ...

პოვსტადი. იქ მხოლოდ ბილინგია.

ასლაქსენი. ჩქარა, ჩქარა, ბატონო ბურგომისტრო. ექიმი სადაცაა შემოვა.

ბურგომისტრი. კეთილი. ოღონდ ეცადეთ მალე მოიცილოთ თავიდან.

გადის მარჯვნივ. ასლაქსენი კარს უღებს და მიუხურავს.

პოვსტადი. საქმე მონახეთ რაიმე, ასლაქსენ (დაჯდება და იწყებს წერას.)

ასლაქსენი ქალაღებში იქეჭება სკამზე, მარჯვნივ.

ექ. სტოკმანი (შემოდის სტამბიდან). აი, მეც ისევ აქა ვარ. (დადებს ჯოხსა და ქუღს.)

პოვსტადი (წერს). უკვე, ბატონო ექიმო? დაუჩქარეთ, ასლაქსენ. იმ საქმეს, რაზედაც გელაპარაკებოდით. მეექვსეა, რომ დღეს მოვასწროთ.

ექ. სტოკმანი (ასლაქსენს). როგორც მითხრეს, ჯერ კიდევ არაა კორექტურა.

ასლაქსენი (არც მობრუნდება). განა ასე ადვილია, ბატონო ექიმო!

ექ. სტოკმანი. აბა. რა ბრძანეთ? მე მოთმინება არა მყოფნის, გაიგეთ. ვერ დაგმწვიდლები, ვიდრე გაზეთში ჩემს მოხსენებას არ ვნახავ.

პოვსტადი. ჰმ!.. სამწუხაროდ, მალე არ იქნება... ხომ, ასლაქსენ?

ასლაქსენი. ვშიშობ, რომ ასეა.

ექ. სტოკმანი. კეთილი, კეთილი, ჩემო მეგობრებო. მაშ მე ისევ შემოვივლი. თუნდაც ორჯერ, თუ საჭირო გახდება. ასეთი მნიშვნელოვანი საქმე, მთელი ქალაქის კეთილდღეობა... აქ, სინდისს ვფიცავ, ზოზინი და ცუდმადლობა არ ივარგებს (უნდა წავიდეს. მაგრამ სწრაფად ჩერდება და ბრუნდება.) ახ, მომითმინეთ... უნდა გითხრათ კიდევ ერთი სიტყვა...

პოვსტადი. მაპატიეთ, არ იქნება სხვა დროს იყოს?

ექ. სტოკმანი. სულ ორი სიტყვა. აი რა. ხედავთ... ხვალ დილით ჩემს სტატიას წაიკითხავენ და გაიგებენ, რომ მთელი ზამთარი ასე ვშრომობდი ქალაქის საკეთილდღეოდ...

პოვსტადი. კი, მაგრამ, ბატონო ექიმო...

ექ. სტოკმანი. ვიცი, რასაც იტყვით. თქვენი აზრით, მე მხოლოდ ჩემი პირდაპირი ვალი მოვიხადე, მოქალაქის ვალი, მეტი არაფერი. თავისთავად ცხადია. თქვენზე ცუდად როდი ვიცი ეს. მაგრამ, ჩემო თანამოქალაქენო, ხედავთ... ღმერთი იყოს მათი მფარველი... ამ კეთილ აღამიანებს ისე ვუყვარვარ... მათასებენ...

ასლაქსენი. დიახ, აქამდე დიდად გაფასებდნენ, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. აი, ამიტომაც მეშინია, რომ... ამაზე მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება. როცა ეს ამბავი მათ ყურამდე მიალწევს. — მეტადრე უქონელ კლასებამდე, — როგორც მოწოდება, რომ ამიერიდან თვითონ აიღონ ხელში ქალაქის საქმეები...

პოვსტადი (ადგება). ჰმ... ბატონო ექიმო, მე არ დაგიმალავთ...

ექ. სტოკმანი. აჰა, მეც ასე ვფიქრობდი. აქ სხვა რაღაც იწყება. მაგრამ მე ამისი ცოდნაც არა მსურს. თუ აქ ასეთი რამე მზადდება.

პოვსტადი. რა უნდა მზადდებოდეს?

ექ. სტოკმანი. აი, ისეთი რაღაც... პროცესია დროშებით, საზეიმო სადილი, საჩუქარზე ხელმოწერა და სხვა ამგვარი. რაც უნდა იყოს, მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ არაფერს ამის ქსავსს ადგილი არ ექნება. და თქვენც, ბატონო ასლაქსენ, გესმით?

პოვსტადი. მაპატიეთ, ბატონო ექიმო. უმჯობეაი იქნება ახლავე გაგიმხილოთ მთელი სიმართლე...

პალტოსა და ქუდში გამოწვობილი ფრუ სტოკმანი შემოდის მარცხნიდან, სცენის სიღრმის კარებიდან.

ფრუ სტოკმანი (შეხედავს ექიმს). ასედაც არის.

პოვსტადი (შეეგება). მამ თქვენც მობრძანდით, ქალბატონო სტოკმან?

ექ. სტოკმანი. შენ რაღა ეშმაკმა მოგიყვანა აქ, კატრინე?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. თვითონვე შეგიძლია გამოიცილო, რისთვისაც მოვედი.

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. არ დაბრძანდებით? ან იქნებ...

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. გმადლობთ, ნუ შეწუხდებით, და ნუ გაიკვირებთ, რომ ქმართან მოვედი. მე აკი სამი შვილი მყავს. იცოდეთ ეს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. როგორ გეკადრება! ეგ ისედაც ვიცით.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. კაცმა რომ თქვას, არაფრით არ ჩანს, რომ დღეს ძალიან გახსოვდეს ცოლი და შვილები. ასე რომ არ იყოს, ალბათ უფსკრულთან არ მიგვათრევიდი ყველას შეუბრალებლად.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენ მთლად შემლილხარ, კატრინე! ან იქნებ ადამიანს, რომელსაც ცოლ-შვილი ჰყავს, სიმართლის თქმის უფლება არა აქვს? არ შეუძლია იყოს სასარგებლო მოღვაწე, ვერ გაბედავს ემსახუროს ქალაქს, რომელშიაც ცხოვრობს?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ყველაფერს თავისი ზომა აქვს, თომას.

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი. მეც ამასვე ვიტყვოდი. ზომიერება — უპირველეს ყოვლისა.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. თქვენ კი, ბატონო ჰოვსტად, ცოდვის არ გეშინიათ, რომ ჩემი ქმარი აიყოლიეთ, მოაცილეთ სახლს, ოჯახს და ასეთ საქმეებში ითრევთ?

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. ნურას უკაცრავად, მე არავის არ ვითრევი...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მითრევენ? შენ ფიქრობ, რომ შეიძლება ჩემი ჩათრევა?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. და მერე როგორ! ვიცი, შენ ამ ქალაქში ყველაზე ჰკვიანნი ხარ, მაგრამ შენი ჩათრევა საოცრად ადვილია, თომას. (ჰოვსტადს.) ერთი დაფიქრდით: ექიმი ადგილს დაკარგავს, თუ დაბეჭდვით იმას, რაც მან დაწერა...

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი. რა ბრძანეთ?

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. ჰო, იცით, ბატონო ექიმო...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (სიცილით). ხა-ხა! ერთი სცადონ!.. ა-რა, ვერ გაბედავენ. ჩემს ზურგს უკან მტკიცე უმრავლესობაა, ხედავ თუ არა?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. უბედურებაც ამაშია, რომ შენს ზურგს უკან ასეთი ოინებია.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მიქარვაა, ყველაფერი მიქარვაა. წადი შენ და ოჯახს მიხედ, საზოგადოებრივი საქმეები კი მე მომანდე. როგორ შეგიძლია ეგეთი სიმბდალე გამოიჩინო, როცა მე ასე მშვიდად

და მხიარულად ვარ? (ხელებს იფშენებს, ბოლთას სცემს.) სიმართლე და ხალხი გაიმარჯვებენ. დამშვიდებული იყავი. და მე ვხედავ წინდაწინ, როგორ დაირაზმება ყველა თავისუფლებისმოყვარე მოქალაქე ერთ ძლევამოსილ არმიად... (ჩერდება სკამთან.) ეს რა... რა ეშმაკია?.

ასლაქსენი (იხედება იქით.) ო-პო-პო!

პოვსტადი (ისევ). კმ...

ექ. სტოკმანი. აი ის, ადმინისტრაციული ძალაუფლების მწვერვალი (ფრთხილად იღებს თითის წვერებით ბურგომისტრის ქუღა და ასწავს ზემოთ.)

ფრუსტოკმანი. ბურგომისტრის ქუდი!

ექ. სტოკმანი. აი, წინამძღოლის კვერთხიც. რა ეშმაკმა შემოიტანა აქ ესენი?..

პოვსტადი. რა გაეწყობა, რაც არის, არის...

ექ. სტოკმანი. აჰ! მესმის! თქვენს დასამოდვრებლად მოვიდა. ჰა-ჰა! მიხანში მოხვდა. ხოლო როცა სტამბაში დამინახა... (ხარხარებს.) მოკურცხლა, ბატონო ასლაქსენ, არა?

ასლაქსენი (სხაპასხუპით). დიახ, დიახ, სწორედ ასეა, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. დააგდო ჯოხი და... მიქარვაა! პეტერი არ გაიქცევა. მაგრამ სად ეშმაკში გააქრეთ? ააა ...იქ არის, რა თქმა უნდა... აი, ახლავე ნახავ, კატრინე!

ფრუსტოკმანი. თომას... გთხოვ...

ასლაქსენი. ფრთხილად იყავით, ბატონო ექიმო!

ექ. სტოკმანი იხურავს ბურგომისტრის ქუღს და ხელში იღებს მის ჯოხს, მიდის მარცხნივ კარისაკენ, ფართოდ აღებს და მმას გამოეკვიმება, ხელს ქუღზე მიიღებს.

ბურგომისტრი (შემოდის, ბრაზით გაწითლებული, ბილინგის თანხლებით). ეს რა უწყსობაა?

ექ. სტოკმანი. მეტი მორიდება იქონიეთ, ჩემო ძვირფასო პეტერ. ახლა მე წარმოვადგენ ქალაქის უზენაეს ხელისუფლებას. (გაივლის.)

ფრუსტოკმანი (თითქმის აცრემლებული). მაგრამ, თომას!..

ბურგომისტრი (მიპყვება). მომეცი ჩემი ქუდი და ჯოხი!

ექ. სტოკმანი (უწინდებურად). თუ შენ პოლიცემისტერი ხარ, მე ბურგომისტრი ვარ — მთელი ქალაქის უფროსი!

ბურგომისტრი. მოიხადე ქუდი-მეთქი. გეუბნები ნუ დაგავიწყდება, რომ ეს ოფიციალური, ფორმის ქუდია!

ექ. სტოკმანი. აუჰ! შენ ფიქრობ, რომ გამოღვიძებული ხალხი — ლომი შეუშინდება ფორმის ქუდებს? დიახ, ჩვენ ხვალ ქალაქში რევოლუციას მოვახდენთ, ასე იცოდე! შენ მოხსნით მემუქრებოდი. მაგრამ პირიქით, მე გხსნი შენ... ყველა შენი ოფიციალური თანამდებობიდან... შენ გგონია არ შემიძლია? ეჰე! ჩემს უკან ძღვევამოსილა ძალებია. ჰოვსტადი და ბილინგი გაზეთიდან ცეცხლს გიხსნიან, ასლაქსენი კი ოჯახის უფროსთა კავშირის სათავეში დგება...

ასლაქსენი. მე ამას არ გავაკეთებ, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. რა თქმა უნდა, გააკეთებთ...

ბურგომისტრი. აჰა! მაგრამ იქნებ ბატონი ჰოვსტადი მანც განიზრახავს ავითაციის მიმხრობას?

ჰოვსტადი. არა, ბატონო ბურგომისტრო.

ასლაქსენი. არა, ბატონი ჰოვსტადი არც ისე უგუნურია, რომ რაღაც ფანტაზიებისათვის დაღუპოს თავიც და გაზეთიც...

ექ. სტოკმანი (მიმოიხედავს). ეს რას ნიშნავს?

ჰოვსტადი. თქვენ საქმე შემცდარი სახით წარმოადგინეთ. ბატონო ექიმო, და ამიტომ არ შემიძლია მხარი დაგიჭიროთ.

ბილინგი. არა. მას შემდეგ, რაც ბატონმა ბურგომისტრმა ინება საქმის ვითარება ასე თავაზიანად აეხსნა ჩემთვის, მეც...

ექ. სტოკმანი. შემცდარი სახით! ეს მე მომანდეთ. ოღონდ დაბეჭდეთ ჩემი სტატია და მე თვითონ შევძლებ მის დაცვას.

ჰოვსტადი. მე მას არ დავბეჭდავ. არ შემიძლია, არ მინდა, ვერ გავბედავ მის დაბეჭდვას.

ექ. სტოკმანი. ვერ გაბედავ? რა მიქარვია? თქვენ ხომ რედაქტორი ხართ. და ვინღა განაგებს გაზეთებს. რედაქტორების გარდა, ნეტავი ვიცოდე?

ასლაქსენი. არა, რედაქტორი კი არა, ხელის მომწერლები, ბატონო ექიმო.

ბურგომისტრი. საბედნიეროდ.

ასლაქსენი. საზოგადოებრივი აზრი. განათლებული საზოგადოება, ოჯახის უფროსები და სხვები — აი, ვინ განაგებს გაზეთებს.

ექ. სტოკმანი (გონს მოღის). და ყველა ეს ძალა ჩემს წინააღმდეგ დგას?

ასლაქსენი. დიახ, თქვენ წინააღმდეგ. თქვენი სტატიის დაბეჭდვა — ეს ნიშნავს მოქალაქეთა პირწმინდად დაქცევას.

ექ. სტოკმანი. აა, მაშ, ეგრე?..

ბურგომისტრი. ჩემი ჯონი და ქუდი!

ექ. სტოკმანი იხდის ქუდს და ჯონთან ერთად დებს მაგიდაზე.

ბურგომისტრი (იღებს ჯონს და ქუდს). შენი ბურგომისტრობა ბაღე დასრულდა.

ექ. სტოკმანი. მომითმინე, ჯერ კიდევ არ დასრულებულა. (ჰოესტალს.) მაშ, არაფრით არ შეიძლება ჩემი სტატიის დაბეჭდვა „სახალხო უწყებაში“?

ჰოესტალი. სრულიად შეუძლებელია, სხვათა შორის, თქვენი ოჯახის ინტერესების გამოც.

ფრუ სტოკმანი. არა, ოჯახზე კი თქვენ თავს ნუ შეიწუხებთ, ბატონო ჰოესტალ.

ბურგომისტრი (იღებს ჯიბიდან ქალალს). ხალხის სახელმძღვანელოდ საკმარისი იქნება აი ამისი მოთავსება. ეს ოფიციალური განმარტებაა. ინებეთ.

ჰოესტალი (იღებს ქალალს). კარგით. დაიბეჭდება.

ექ. სტოკმანი. და ჩემი მოხსენება კი — არა. ჰგონიათ, რომ ჩემი დაჩუქება შეიძლება, რომ შეიძლება ჰქმმარიტების დაჩუქება! არც ისე გაგიაღვილდებათ ეს, როგორც ფიქრობთ. ბატონო ასლაქსენ, ხომ არ ინებებთ ახლავე აიღოთ ჩემი ხელნაწერი და დაბეჭდოთ ცალკე ბროშურად — ჩემს ხარჯზე? ეს იქნება ჩემი საკუთარი გამოცემა. მე დამპირდება ოთხასი ცალი. არა, ხუთასი... ექვსასი.

ასლაქსენი. თუნდაც ოქროს მთები შემომადლიოთ, მე ვერ გავებდავ, რომ ჩემი სტამბით ასეთ საქმეს ვემსახურო, ბატონო ექიმო. ვერ გავებდავ საზოგადოებრივი აზრის გამო. და არავინაც არ იკისრებს ქალაქში ამის დაბეჭდვას.

ექ. სტოკმანი. მაშ დამიბრუნეთ ხელნაწერი.

ჰოესტალი (გადასცემს ხელნაწერს). ინებეთ.

ექ. სტოკმანი. (იღებს ჯონს და ქუდს). ჩემს მოხსენებას ობი მიინც არ მოეკიდება. მე შემოვკრებ ხალხს და საჯაროდ წავიკითხავ. ყველა ჩემი თანამოქალაქე მოისმენს ჰქმმარიტების ხმას!

ბურგომისტრი. ქალაქის არც ერთი კავშირი არ დაგითმობს დარბაზს ასეთი მიზნისათვის.

ასლაქსენი. არც ერთი. ეს მე ნამდვილად ვიცი.

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს, თუ დაგიტოვონ!

ფრუსტოკმანი. არა, ეს პირდაპირ აღმამფოთებელი ამბავია. რატომ ასე უცებ ყველანი შენს წინააღმდეგ... ყველანი ერთბაშად?

ექსტოკმანი (აენთო). აი, გეტყვი, რატომაც; იმიტომ, რომ ყველანი ამ ქალაქში, ყველანი, როგორც ერთი — ბებერი დიაცება არიან... აი, როგორც შენ, მაგალითად. ყველანი მხოლოდ თავიანთ ოჯახებზე ფიქრობენ და არა საზოგადოების კეთილდღეობაზე.

ფრუსტოკმანი (ხელს სტაყებს ხელში). მაშ, მე მათ ვაჩვენებ, რომ ბებერ ქალსაც შეუძლია ივაჟკაცოს... ერთხელ მაინც ახლა მე შენთანა ვარ. თომას!

ექსტოკმანი. ყოჩაღ, კატრინე. და მე მივალწვევ ჩემსას, სულს გეფიცები! თუ დარბაზს არ მომცემენ, დავიქირავებ მედოლეს, რომ იაროს ჩემთან ქალაქში, და წავიკითხავ ჩემს ნოხსენებას. ყოველ გზა-ჯვარედინზე.

ბურგომისტრი. მოიცა, ხომ არ შეშლილხარ მართლა?

ექსტოკმანი. სწორედ ეგრეა!

ასლაქსენი. არც ერთი კაცი არ გაგყვებათ.

ბილინგი. ღმერთმა დამლახვროს, თუ ვინმე გაგყვით!

ფრუსტოკმანი. არ დანებდე, თომას! მე ვთხოვ ჩვენს ბავშვებს, და ისინი გაგყვებიან.

ექსტოკმანი. შესანიშნავი იდეაა.

ფრუსტოკმანი. მორტენი სიამოვნებით გაგყვება. და ეილიფიცი, ალბათ.

ექსტოკმანი. და პეტრაც! და შენც თვითონ, კატრინე!

ფრუსტოკმანი. არა, არა, მე არ წამოვალ. მე ფანჯრიდან გიყურებთ.

ექსტოკმანი. (ეხვევა და ჰკონის). გმადლობ! აბა, მაშ დავე-ჭიდოთ ერთიმეორეს, ბატონებო? ნახავ, როგორ შეუყრავს პირს ადამიანთა სიმდაბლე პატრიოტს, რომელსაც სურს საზოგადოების გაჯანსაღება! (გადის ცოლის თანხლებით მარცხნივ, სცენის სიღრმეში.)

ბურგომისტრი (ჩაფიქრებული აქნევს თავს). აი, ახლა უკვე ცოლიც გააგიჟა.



## მ ე ო თ ხ ე მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა

დიდი ძველებური დარბაზი კაპიტან პორსტერის სახლში. სიღრმეში ღია ორსაგდულიანი კარი — წინა ოთახისაკენ. მარცხენა კედელში სამი ფანჯარაა. მოპირდაპირე კედელთან ამალღებული იატაკია და იმაზე დგას პატარა მაგიდა, ზედ ორი სანთელია, წყლით სავსე გრაფინი, ქიქა და მომცრო ზარი. დარბაზი განათებულია ლამპებით, რომლებიც ფანჯრებს შორის კედლებზეა მიმაგრებული. წინ, მარცხნივ, მეორე მაგიდაა, ზედ სანათებია და გვერდით — სკამი. წინ, მარჯვნივ, შიდა ოთახებიდან გამო-

მავალი მეორე კარია და მის გვერდით რამდენიმე სკამი დგას.

ქალაქის ყველა წოდების მოქალაქეთა დიდი შეკრებილობა. ხალხში წანს აგრეთვე რამდენიმე ქალი და მოწაფე. ხალხი თანდათან ემატება სიღრმიდან, დაბოლოს დარბაზი ივსება.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე (ეჭახება მეორეს). შენც აქ მოხვედი, ლამსტად?

მ ე ო რ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე. მე ყველა თავყრილობას ვესწრები.

მ ე ს ა მ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე. (გვერდით მდგომი). სასტენი წამოიღეთ?

მ ე ო რ ე. მე კი წამოვიღე. თქვენა?

მ ე ს ა მ ე. მაშ! შვიპერ ევენსონს კი უსაშველოდ დიდი საყვირის წამოღებაც უნდოდა!

მ ე ო რ ე. დამიხედეთ!

სამივე იცინის.

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე (მიუახლოვდება). გამიგონეთ, ერთი მი-თხარით, რა სეირი ეწყობა დღეს აქ?

მ ე ო რ ე. ექიმი სტოკმანი აპირებს ბურგომისტრის წინააღმდეგ გამოსვლას.

მ ე ო თ ხ ე. ის ხომ მისი ძმაა?

პ ი რ ვ ე ლ ი. სულ ერთია. ექიმ სტოკმანს არ ეშინია.

მე ს ა მ ე. მაგრამ აკი თვითონ მართალი არ არის. „სახალხო უწყებ-  
ბაში“ ასეა დაბეჭდილი.

მ ე ო რ ე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამჯერად ის მართალი არაა. აკი  
დარბაზიც არავინ მისცა. არც ოჯახის უფროსთა კავშირმა, არც ქალა-  
ქის კლუბმა.

პ ი რ ვ ე ლ ი. თვით სამკურნალო წყალთა შენობაშიც არ მისცეს  
დარბაზი.

მ ე ო რ ე. მერე, ეგ რატომ გიკვირთ?

მ ე ხ უ თ ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე (მეორე ჯგუფში). აბა, ახლა ვილას უნდა  
დაუეჭიროთ მხარი?

მ ე ე ქ ე ს ე მ ო ქ ა ლ ა ქ ე (ამავე ჯგუფიდან). ჭკუა იქონიეთ უყურეთ  
ასლაქსენს და გააკეთეთ, რასაც ის გააკეთებს.

ბ ი ლ ი ნ გ ი (ილიის ქვეშ ჯოხი ამოუჩრია, გზას იკვლევს ხალხში). მაპა-  
ტიეთ, ბატონებო!.. არ იქნება, რომ გამატაროთ?.. მე „სახალხო უწყე-  
ბიდან“ ვარ... უღრმესი მადლობა! (დაჭდება მაგიდასთან მარცხნივ.)

მ უ შ ა. ეგ ვინლაა კიდევ?

მ ე ო რ ე მ უ შ ა. ნუთუ არ იცნობ ბილინგს? ეგ ასლაქსენის გა-  
ზეთში მუშაობს.

კაპიტან პორსტერს შემოპყავს ფრუ სტოკმანი და პეტრა მარჯვენა კარიდან. მათ  
მოპყვებიან ელიფი და მორტენი.

პ ო რ ს ტ ე რ ი. აი, აქ, კართან, მე მგონია, ყველანი მოთავსდებით.  
აქედან დროულად გასვლაც ადვილია, თუ ისე გაჭირდა.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ შეხლა იქნება?

პ ო რ ს ტ ე რ ი. როგორ გითხრათ... ამოდენა ხალხია. მაგრამ  
თქვენ დაბრძანდით და დამშვიდდით.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (ჭდება). რა გულკეთილობა გამოიჩინეთ, რომ  
ჩემს ქმარს თქვენი დარბაზი შესთავაზეთ!

პ ო რ ს ტ ე რ ი. რაკი სხვამ არავინ ისურვა...

პ ე ტ რ ა (აგრეთვე ჯდება დედის გვერდით). და გაბედულადაც, პორ-  
სტერ.

პ ო რ ს ტ ე რ ი. არა, გაბედულება აქ, მაინცდამაინც, ბევრი არ  
არის საჭირო.

შემოდინ ეროდროულად რედაქტორი ჰოესტადო დ. მესტამზე ასლაქენი, მაგრამ ხალხში გზას იკვლევებს სხვადასხვა მხრიდან.

ასლაქსენი (პორსტერს). ექიმი ჭერაც არ არის?  
პორსტერი. მეზობელ ოთახში იცდის.

შესასვლელ კართან სიღრმეში შეინიშნება განსაკუთრებული ზოძრაობა.

ჰოესტადი. (ბილინგს). აი ბურგომისტრიც. ნახეთ!

ბილინგი. დიახ, ღმერთმა დამლახვროს, სწორედ ის არის!

ბურგომისტრი სტოკმანი დინჯად მიდის თანამოქალაქეებს შორის, რომლებიც გზას უთმობენ, თავზიანად ესალმება ეველას. შემდეგ ჩერდება კედელთან არცხნივ. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვენა მხარის პირველი კარიდან ექიმი სტოკმანე შემოდის. მთლიანად შავ სამოსელშია, სერთუკი აცვია და თეთრი ქალსტუხე აქვს გაკეთებული. დარბაზში მყოფი რამდენიმე პირი მას გაუბედავი ტაშით ხვდება, სხვები სუსტად სტვენენ. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდება.

ექ. სტოკმანი (დაბალი ხმით). აბა, როგორა ხარ, კატრინე?

ფრუ სტოკმანი. არა მიშავს, კარგად. (ხმის დაწვეით.) ოლონდ, შემოგვევლე, ნუ აღელდები, თომას.

ექ. სტოკმანი. ო, მე შევეძლებ თავის დაჭერას. (უცქერის საათს, ავა აპალღებულზე და ხალხს თავს უკრავს.) უკვე მეოთხედი საათი გადასცდა დანიშნულ დროს... მე დავიწყებ. (იღებს ხელნაწერს.)

ასლაქსენი. პირველად აკი თავმჯდომარე უხდა ავირჩიოთ.

ექ. სტოკმანი. არა, ეს სრულიად ზედმეტია.

რამდენიმე დამსწრეთა განი. კი! კი!

ბურგომისტრი. მეც საჭიროდ მიმაჩნია თავმჯდომარის არჩევა.

ექ. სტოკმანი. მაგრამ მე ხალხი საჯარო ლექციისათვის შეგვიკრიბე, პეტერ!

ბურგომისტრი. ბატონ ექიმის ლექციას შეუძლია კამათი გამოიწვიოს.

რამდენიმე ხმა (ხალხიდან). თავმჯდომარე! თავმჯდომარე!

ჰოესტადი. საჭიროა თავმჯდომარე. ასეთია მოქალაქეთა სურვილი!..

ექ. სტოკმანი (გონს მოდის). მაშ, იყოს ასე. ნუ აღვეუდგებით წინ მოქალაქეთა სურვილს.

ასლაქსენი ხომ არ ინებებთ ბატონო ბურგომისტრო, იკისროთ ეს მოვალეობა?

სამი ბატონი (ტაშის ცემით). ვაშა! ვაშა!

ბურგომისტრი. ზოგიერთი ადგილად გასაგები მიზეზის გამო იძულებული ვარ უარი ვთქვა. მაგრამ. საბედნიეროდ, ჩვენს შორის არის კაცი, რომელსაც, ჩემის აზრით, ყველა მოწონებით შეხვდება. მე მხედველობაში მყავს ოჯახის უფროსთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი ასლაქსენი.

მრავალი ხმა. დიახ. დიახ! გაუქმარგოს ასლაქსენს! ვაშა, ასლაქსენ!

ე. სტოკმანი. იღებს ხელნაწერს და ტოვებს ამაღლებულ ადგილს.

ასლაქსენი. რაკი მე მიწვევს ჩემი თანამოქალაქეების ნდობა, უარის თქმას ვერ გავბედავ...

ტაშა და „ვაშას“ ძახილი. ასლაქსენი ადის ამაღლებულ ადგილზე.

ბილინგი (წარს.) ამრიგად, ბატონი ასლაქსენი არჩეულია ერთ-სმად.

ასლაქსენი. რაკი მე აი ამ ადგილზე ვდგავარ, ნება მიბოძეთ ვთქვა ორიოდ სიტყვა. მე წყნარი, მშვიდობიანი კაცი ვარ, ყოველთვის ვიცავ კეთილგონიერულ ზომიერებას... და... ზომიერ კეთილგონიერებას. ეს ცნობილია ყველასათვის, ვინც მე მიცნობს.

მრავალი ხმა. დიახ! დიახ! მართალია, ასლაქსენ!

ასლაქსენი. ცხოვრებისა და გამოცდილების სკოლიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ზომიერება — ქველმოქმედებაა, რაც ყველაზე მეტად შეეფერება მოქალაქეს...

ბურგომისტრი. უსმინეთ!

ასლაქსენი. ...და რომ კეთილგონიერება და ზომიერება საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო სასარგებლო რამ არის, ამიტომაც ვურჩევ პაციენტებულ მოქალაქეს. რომელმაც აქ მოგვიწვია. არ გადასცდეს ზომიერების საზღვრებს.

კაცი (შემოსასვლელ კართან). მაშ დაელით ზომიერი საზოგადოების სადღეგრძელო!

ცალკე ხმა. ახ, მეხი კი დაგაყარე!

მრავალი ხმა. სსუ! სსუ!..

ასლაქსენი. გთხოვთ. ნუ შეგვაწყვეტიანებთ, ბატონებო! ვინმეს სურს სიტყვა?

ბურგომისტრი. ბატონო თავმჯდომარე!

ასლაქსენი. სიტყვა ეკუთვნის ბატონ ბურგომისტრს.

ბურგომისტრი. ახლო ნათესაობის ძალით, რაც — ალბათ ყველას მოგეხსენებათ — მაკავშირებს კურორტის ღირექციის ექიმთან, მე ვამჯობინებდი ჩემი აზრების გამოთქმისაგან თავის შეკავებას. მაგრამ ჩემი მდგომარეობა, როგორც სახელდებული კურორტის მმართველისა, აგრეთვე ქალაქის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ზრუნვა მიძულებს გამოვიდე წინადადებებით. ჩემი ვარაუდით არც ერთი აქ მყოფი მოქალაქე არ ჩათვლის სასურველად, რომ სამკურნალო წყლებისა და ქალაქის სანიტარული პირობების უმართებულოდ და გაზვიადებულად წარმოდგენამ შემდგომი გავრცელება ჰპოვოს.

მრავალი ხმა. მართალია, მართალია! არ შეიძლება! ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ!

ბურგომისტრი. ჰოდა ამ საფუძველზე მე წინადადება შემომამქვს, კრებამ არ დართოს ნება ბატონ ექიმს, მოხსენებით რომ გამოვიდეს და თავისი შეხედულება გამოთქვას.

ექ. სტოკმანი (აენთო). არ დართოს ნებაო?.. ეს როგორ!..

ფრუ სტოკმანი (ჩაახველებს). ჰმ!.. ჰმ!..

ბურგომისტრი. მე ჩემს განმარტებაში, რაც „სახალხო უწყებაში“ გამოვაქვეყნე, ხალხს გავაცანი უმთავრესი ფაქტები, ასე რომ, ყველა კეთილმოაზროვნე მოქალაქე ადვილად წარმოიდგენს საქმის ვითარებას. აქედან გამოდის, ბატონ კურორტის ექიმის წინადადება გარდა იმისა, რომ უნდობლობას უცხადებს კურორტის ადმინისტრაციას, იწვევს გადამხდელი მოქალაქეების გადატვირთვას ზედმეტი ხარჯებით, სულ მცირე ასი ათასი კრონით.

ღრტინვა და სტენა.

ასლაქსენი (ზარს აწკრილებს). წყნარად ბატონებო, მე თავს უფლებას მივცემ მხარი დაუჭირო ბატონ ბურგომისტრს. ჩემი ვარაუდით, ექიმის აგიტაცია ფარულ აზრსაც შეიცავს. ის სამკურნალო წყლებზე ლაპარაკობს, მაგრამ რევოლუციას კი ამზადებს. ცდილობს მმართველობის სადავეები სხვა ხელებს გადასცეს. არავის არ მიაჩნია საეჭვოდ მისი განზრახვის კეთილსინდისიერება — ღმერთმა დაგვიფაროს! ამის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მეც ხალხის თვითმმართველობის მომხრე ვარ, თუ ეს მეტისმეტად ძვირი არ დაუჯდებათ გადასახადების გადამხდელებს. მოცემულ შემთხვევაში კი

სწორედ ასე გამოდის. და ამიტომაც... არა, ღმერთთა მოწამე... თუ ნებას მომცემთ, აძვირად არ შემოიძლია ექიმ სტოკმანის თანაგრძნობა. ეს მეტად ძვირი დაჯდება. აი ჩემი აზრი.

გამოცხლება და მოწონების შეძახილები ყოველი მხრიდან.

ჰო ვ ს ტ ა დ ი. მეც თავი იძულებულად მიმაჩნია ნათელი გავხადო ჩემი მდგომარეობა. პირველად მეგონა, რომ ექიმ სტოკმანის აგიტაცია ერთგვარ თანაგრძნობას იმსახურებდა, და მე ვეთანხმებოდი სავსებით მიუტყრობელად, როგორც შემძლო. მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ შეცდომაში შეგვიყვანეს საქმის უმართებულო გაშუქებით...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. უმართებულო!..

ჰო ვ ს ტ ა დ ი. ჰო, არა სავსებით მართებული გაშუქებით. ეს ნათლად დაამტკიცა ბატონი ბურგომისტრის განმარტებამ. იმედი მაქვს, არავინ ექვს არ შეიტანს ჩემს ლიბერალობაში. პოზიცია, რაც უჭირავს „სახალხო უწყებას“ დიდ პოლიტიკურ საკითხებში, ცნობილია ყველასათვის და თვითულისათვის. მაგრამ მე გამოცდილი და გონებასალი ადამიანებისაგან ვისწავლე, რომ წმინდა ადგილობრივ საქმეებში გაზეთმა უნდა დაიცვას გარკვეული სიფრთხილე...

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი. სავსებით ვეთანხმები ორატორს.

ჰო ვ ს ტ ა დ ი. ამ საქმეში ექიმი სტოკმანი აშკარად მიდის საზოგადოების ნების წინააღმდეგ. და რა წარმოადგენს გაზეთის რედაქტორის პირველ და უმნიშვნელოვანეს მოვალეობას, ბატონებო, თუ არა თავის მკითხველებთან სოლიდარობა? და განა მას არა აქვს მინდობილი, ასე ვთქვათ, ფარული დავალება, გულმოდგინედ და ბეჯითად იღვწოდეს თანამოაზრეთა კეთილდღეობისათვის? ან, იქნება, მე ვცდები ამ საქმეში?

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა. არა! არა! არა! რედაქტორი ჰოვსტადი მართალია!

ჰო ვ ს ტ ა დ ი. მძიმე სულიერი ბრძოლის გარეშე როდი გავწყვიტე კავშირი ადამიანთან, რომლის ოჯახის ხშირი სტუმარიც ამ უკანასკნელ ხანებში ვიყავი, ადამიანთან, რომელიც დღემდე სარგებლობდა თავისი თანამოქალაქეების კეთილგანწყობილებით, ადამიანთან, რომლის ერთადერთი. ან ყოველ შემთხვევაში, უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ უფრო გულს უჯერებს, ვიდრე გონებას.

ცალკეული და ფანტული ხმები. ვაშა ექიმ სტოკ-მანს!

პოვსტადი. მაგრამ ჩემმა ვალმა საზოგადოების წინაშე მაიძულა მასთან კავშირის გაწყვეტა. და კიდევ ერთი მოსაზრება მაიძულებს მის წინააღმდეგ ვიმოქმედო და ვეცადო მის შეჩერებას იმ საბედისწერო გზაზე, რომელსაც ის დაადგა. ეს მოსაზრება ეხება მის ოჯახს.

ექ. სტოკმანი. საქმეზე ილაპარაკე — წყალსადენსა და კლოაკაზე!

პოვსტადი. ...ეხება მის მეუღლეს და მცირეწლოვან ბავშვებს.

მორტენი. ამას ჩვენზე ამბობს, დედა?

ფრუსტოკმანი. სსუ!..

ასლაქსენი. მაშ, მე წინადადება შემომაქვს კენჭი ვუყაროთ ბატონ ბურგომისტრის მოსაზრებას.

ექ. სტოკმანი. არ არის საჭირო. მე დღეს აღარ ვილაპარაკებ მთელ იმ უმსგავსობაზე, რაც სამკურნალო წყლებთანაა დაკავშირებული. არა, არა, თქვენ სულ სხვა რამეს მოისმენთ.

ბურგომისტრი (ხმადაბლა). ეს რაღაა კიდევ?

მთვრალი. (შესასვლელ კართან). მე გადასახადებს ვიხდი. ამიტომ ხმაე მაქვს. და ჩემი სრული... მტკიცე... უმაგალითო მოსაზრებაა, რომ...

რამდენიმე ხმა. ჩუმად მანდ!

სხვები. მთვრალია! გაიყვანეთ.

მთვრალი გაჰყავთ.

ექ. სტოკმანი. მომცემენ თუ არა სიტყვას?

ასლაქსენი (ზარს რეაგს). სიტყვა ეძლევა ექიმ სტოკმანს.

ექ. სტოკმანი. ერთი გაეხედათ ამ რამდენიმე დღის წინ პირ. ში ბურთის ჩაჩრა, როგორც ახლა, — მე, როგორც ლომი, დავიცავდი ჩემს უწმინდეს ადამიანურ უფლებებს. მაგრამ ახლა ჩემთვის სულ ერთია. ახლა მე უფრო სერიოზულ საგნებზე ლაპარაკი მომიხდება.

ხალხი უფრო მკიდროდ ეხვევა მას. დამსწრეთა შორის გამოჩნდება მორტენი.

ექ. სტოკმანი. ამ უკანასკნელ დღეებში ბევრი ვიფიქრე და

ვიტეხე თავი... ისე ბევრი და ისე ბევრ რამეზე, რომ თავბრუ დამე-  
სხა...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი (ხველებით). კმ...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაგრამ შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელა  
ჯახდა. მე ვიპოვე მოვლენებს შორის კავშირი, და ყოველივე მზესა-  
ვით ნათლად წარმომიდგა. აი, რატომ ვდგავარ აქ ამ წუთში. მე მინდა  
ვამხილო დიდი დანაშაულობანი, ჩემო თანამოქალაქეებო. მინდა გა-  
გიზიაროთ აღმოჩენა, რომელსაც აქვს ბევრად ფართო მნიშვნელობა,  
ვიდრე იმ უბრალო მიგნებას, რომ ჩვენი წყალსადენი მოწამლულია,  
რომ ჩვენი კურორტი აგებულება მიაზმებით მოშხამულ ნიადაგზე.

მ რ ა ვ ა ლ ი ხ მ ა (ყვირილით). ნუ ეხებით სამკურნალო წყლებს!  
კრინტის გაგონებაც არა გვსურს ამაზე! მოეშვიო!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მე ვთქვი, რომ ვილაპარაკებ დიდ აღმოჩენაზე,  
რაც ამ დღეებში მოვახდინე... მე აღმოვაჩინე, რომ ყველა ჩვენი სუ-  
ლიერი სასიცოცხლო წყარო მოწამლულია, რომ მთელი ჩვენი საზო-  
გადოებრივი, მოქალაქეობრივი ცხოვრება აგებულება სიცრუით მო-  
წამლულ ნიადაგზე.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მსგავსი ინსინუაცია...

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი (ხელს ზოზე დააქერს). ორატორს ზომიერებისაკენ  
მოვეწოდებთ.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მე ისე გულწრფელად მიყვარდა ჩემი მშობლი-  
ური ქალაქი, როგორც შეუძლია უყვარდეს ადამიანს სამშობლო მხარე,  
სადაც მისი ბავშვობის აკვანი დაირწა. მე ჭერ კიდევ არ ვიყავი მო-  
ხუცი, როცა აქედან წავედი, მაგრამ მანძილმა, მამულის ნატვრამ და  
მოგონებამ თვალში მშვენიერი შარავანდელით შემოსა ეს ადგილიცა  
და ადამიანებიც.

ისმის ტაში და მოწონების შეძახილები.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. და აი, მე მრავალი წელი გავატარე ჩრდი-  
ლოეთში, საშინელ, მიყრუებულ კუთხეში. როცა ვხვდებოდი იმ ხრიო-  
კებში გადაკარგულ ადამიანებს, ხშირად მომდიოდა აზრი, რომ ამ  
უბადრუკ, უბედურ არსებებს, კაცმა რომ თქვას, უფრო საქონლის  
ექიმი დასჭირდებოდათ, ვიდრე ისეთი კაცი, როგორიც მე ვარ.

ღარბაზში დრტყვნაა.



ბილინგი. (კლამს დადებს). პოი, დმე.რაჰმა დამლაჭვროს, თუ ოდესმე ასეთი რამე მსმენოდეს!

პოვსტადი. ეს პირდაპირ მასხრად ავღებაა უბრალო ხალხისა, რომელიც ყოველგვარი პატივისცემის ღირსია.

ექ. სტოკმანი. ცოტა მაცალეთ. არა მგონია. ვინმეს უფლება ჰქონდეს მისაყვედუროს, რომ მე იქ დავივიწყე ჩემი მშობლიური ქალაქი. მე იქ დღედაღამ ვფიქრობდი ჩემს მშობლიურ კუთხეზე, და იქ ჩისახა ჩემს თავში ჩვენი ქალაქის კურორტად გადაქცევის გეგმა.

ტაში და პროტესტები.

ექ. სტოკმანი. და ბოლოს, როცა ბედმა იმდენად გამიღიმა, რომ სამშობლოში დაბრუნება შემეძლებინა — დიახ, ძვირფასო თანამოქალაქენო, მაშინ მე შეჩვენებოდა, რომ ქვეყნად სხვა სანატრელი აღარაფერი მრჩება-მეთქი. არა, თუმცა ერთი რამ კი მაინცა რჩებოდა: მხურვალე, დაუძლეველი, მწველი სურვილი — შრომა სამშობლოსა და მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ბურგომისტრი (სივრცეში იხედება). ერთობ უცნაური სახით... ჰმ...

ექ. სტოკმანი. და აი მე ვტკბებოდი ამ ბედნიერებით — რადგანაც ბრმა ვიყავი. მაგრამ გუშინ დილით... არა, არსებითად სამი დღის წინ საღამოხანს... თვალები ამეხილა, და პირველი, რაც თვალში მეცა, ეს იყო ადგილობრივ ხელისუფალთა გაუგონარი სიჩლუნგე...

ხმაური, ძახილი და სიცილი.

ფრუ სტოკმანი. (ენერგიულად ახველებს). ჰმ... ჰმ... ჰმ...

ბურგომისტრი. ბატონო თავმჯდომარე!

ასლაქსენი (რეკავს). ჩემი უფლების ძალით...

ექ. სტოკმანი. თითოეულ სიტყვას ნუ ჩაეჭიდებით, ბატონო ასლაქსენ. ეს წვრილმანობაა. მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ თვალები ამეხილა და ვნახე დაუჯერებლად უმსგავსი პარპაში ჩვენი ქალაქის მმართველებისა; რომლებიც ახლა დამნაშავე არიან იმაში, რომ ჩვენ ასეთი სამკურნალო წყლები გვაქვს. ამ ბატონებს მე ვერ ვეწყობი. საკმარის ბევრი ვნახე ასეთები ჩემს ცხოვრებაში. ისინი, როგორც ბოსტანში გაშვებული ვაცები, ყველაფერს აბინძურებენ. ისინი გზაზე ეღობებიან თავისუფალ ადამიანს, საითაც არ უნდა მიბრუნდეს... და

ყველაფერს ემჯობინებოდა მათი გაწყვეტა, როგორც მავნე ცხოველები...

დარბაზში მღელვარებაა.

ბურგომისტრი. ბატონო თავმჯდომარე, განა ასეთი გამოთქმების მოთმენა შეიძლება?

ასლაქსენი (ხელს ზარზე დაადებს). ბატონო ექიმო!

ექ. სტოკმანი. მე არ მესმის, როგორ მოხდა, რომ მხოლოდ ასლა შევნიშნე ეს ბატონები, როგორც საქირთა. მე აქი მუდამ თვალწინ მყავდა ასეთი ჩინებული ეგზემპლარი, როგორიცაა ჩემი ძმა პეტერი — მოუხეშავი, დახავსებული, თავისი ცრურწმენებით გაუღნთილი...

სიცილი, ხმაური და სტვენა.

ფრუსტოკმანი (ახველებს). ჰმ... ჰმ...

ასლაქსენი. გაშმაგებით რეკავს.

მთვრალი (ისევ შემოდუნია დარბაზში). ამას ჩემზე ამბობთ? მართალია, ჩემი სახელია პეტერსენი. მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი...

რამდენიმე ხმა (გაჯავრებით). გააგდეთ ეს მთვრალი! კარში გაიყვანეთ!

მთვრალს ისევ გააგდებენ.

ბურგომისტრი. ვინ არის ეგ?

ერთი ახლო მდგომი. არ ვიცი, ბატონო ბურგომისტრო.

მეორე. აქაური არაა.

მესამე. ამბობენ, შეშით მოვავტრეაო რომელიღაც... (სხვა სიტყვები არ ისმის.)

ასლაქსენი. ეს კაცი, როგორც ეტყობა, ბავარიული ლუდითაა შეზარხოშებული. განაგრძეთ, ექიმო, ოღონდ, გეთაყვა, დაიცავით ზომიერება.

ექ. სტოკმანი. ჰო, კარგი, თანამოქალაქენო. მეტს აღარაფერს ვიტყვი ჩვენს მესვეურებზე. თუ ვინმე შეეცდება ჩემს მიერ თქმულიდან გაპოიტანოს ისეთი დასკვნა, რომ ვითომ დღეს ვაპირებდე ანგარიშის გასწორებას ამ ბატონებთან, შეეცდება, სასტიკად შეეცდება. მე მაქვს სასიკეთო იმედი, რომ ეს ჩამორჩენილი, დრომოჭმული მსოფლ-

მხედველობის დახვეწებული ნაშთები თავის თავს თვითონვე წესს აუგებენ, და საჭირო არ არის ექიმის დახმარება, რომ დავაჩქაროთ მათი გამგზავრება წინაპრებთან. მერედა თვით ეს ხალხი კი არ შეადგენს საზოგადოების მთავარ საფრთხეს. ისინი კი არ უწყობენ ხელს ყველაზე მეტად ჩვენი სულიერი ცხოვრების წყაროების მოწამელას და საზოგადოებრივი ნიადაგის მოშხამვას, — ისინი როდი არიან ჩვენს საზოგადოებაში ჭეშმარიტებისა და თავისუფლების ყველაზე უფრო საშიში მტრები.

წ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ე ბ ი   ყ ო ვ ე ლ ი   მ ხ რ ი დ ა ნ .   მაშ ვინ არის? ვინ არის? დაასახელებ!

ე ქ . ს ტ ო კ მ ა ნ ი . დამზიდებული იყავით. დავასახელებ. ეს ის დიდი აღმოჩენაა, რაც გუშინ მოვახდინე. (ხმას აუმაღლებს.) ჩვენს შორის თავისუფლებისა და ჭეშმარიტების ყველაზე უფრო საშიში მტერი — ესაა მტკიცე უმრავლესობა. დიახ, წყეული, მერყევი, ლიბერალური უმრავლესობა! აი, ვინ არის მტერი! ასე იცოდეთ!

მკინვარე ხმაური. დამსწრეთა უმრავლესობა ყვირის, ფეხებს აბრახუნებს, სტვენს. რამდენიმე ხნიერი ბატონი ფარულად გადახედავს ერთიმეორეს, ეტყობათ ართობთ მომხდარი ამბავი. ფრუ სტოკმანი შეშინებული ადგება. ეილიფი და მორტენი მუქარით მიიწევენ ახმაურებულ მოწაფეებზე. ასლაქსენი რეკავს და მოუწოდებს წესიერებისაკენ. ჰოვსტადი და ბილინგი ადგებიან და ლაპარაკს წამოიწყებენ, მაგრამ არაფერი ისმის. ბოლოს ხმაური ცხრება.

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი . თავმჯდომარე ელის, რომ ორატორი უკან დაიბრუნებს თავის მოუფიქრებელ გამოთქმებს.

ე ქ . ს ტ ო კ მ ა ნ ი . აჰ, ამას არ ვაპირებ, ბატონო ასლაქსენ. აკი სწორედ ჩვენი ქალაქის დიდი უმრავლესობა მართმევს თავისუფლებას, ცდილობს ამიკრძალოს სიმართლის თქმა.

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი . სიმართლე მუდამ უმრავლესობის მხარეზეა.

ბ ი ლ ი ნ გ ი . და სამართალიცა, ღმერთმა დამლახვროს!

ე ქ . ს ტ ო კ მ ა ნ ი . უმრავლესობა არასოდეს არ არის მართალი. არასოდეს-მეთქი, გეუბნებით! ესაა ერთ-ერთი ჩვეულებრივი სიცრუე, რომლის წინააღმდეგაც უნდა აღდგეს ყოველი თავისუფალი და მოაზროვნე ადამიანი. რანაირი ადამიანებისაგან შედგება ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა? კვიანებისა თუ ბრიყვებისაგან? მე ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ბრიყვები შეადგენენ საშინელ, უდიდეს უმრავლესობას დედამიწაზე. მაგრამ განა სწორია, ეშმაკმა წაილოს,

რომ ბრიყვებმა მართონ ჭკვიანები? (ხმაური და ძახილი.) დიახ! დიახ!  
იქვენ შეგიძლიათ თქვენი ყვირილით დაფაროთ ჩემი ხმა, მაგრამ ვერ  
უარყოფთ ჩემს სიტყვებს. უმრავლესობის მხარეზეა ძალა, — სამწუ-  
ხაროდ, — მაგრამ არა სიმართლე. მართალი ვართ მე და რამდენიმე  
სხვა ერთეული ადამიანები. უმცირესობა მუდამ მართალია.

ისევ ძლიერი ხმაური.

ჰო ვ ს ტ ა დ ი. ხა-ხა! ამრიგად, ექიმი სტოკმანი გუშინდელს აქეთ  
არისტოკრატი გახდა!

ეჭ. სტოკმანი. მე უკვე ვთქვი, რომ არ მინდა ტყუილად დაე-  
ხარჯო სიტყვა და ვილაპარაკო ერთ მუჟა მიხრწნილ ჭკუის კოლოფებ-  
ზე, სულს რომ საკმევლით იბრუნებენ და კუდში მოჩანჩალებენ. შად-  
რევანივით მჩქეფარე სიცოცხლეს მათთან აღარაფერი აქვს საერთო.  
მაგრამ მე ვლაპარაკობ რამდენიმე ცალკეულ ადამიანზე, რომლებიც  
ითვისებენ ახალ, ძლივს ჩასახულ ჭეშმარიტებებს. ეს ადამიანებია  
თითქოს კაცობრიობის წინა პოსტებზე დგანან, — ისე შორს, ისე წინ,  
რომ დარაზმულ უმრავლესობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია იქამდე, —  
და იქ იბრძვიან ჭეშმარიტებისათვის, რომლებიც ადამიანთა შეგნებაში  
მეტად ახლო წარსულში ჩასახულან, და ჯერაც ვერ მოუხწრიათ თავის  
გარშემო რაიმე უმრავლესობის შემოკრება.

ჰო ვ ს ტ ა დ ი. ამრიგად, ექიმი რევოლუციონერი გახდა!

ეჭ. სტოკმანი. დიახ, ეშმაკმა წაიღოს, ბატონო ჰოვსტად! მე  
განზრახული მაქვს დავამხო ის სიცრუე, რომ ჭეშმარიტება იქაა, სადაც  
უმრავლესობაა. ეს რა ჭეშმარიტებებია, რომელთა გარშემოც ჩვეუ-  
ლებრივ თავს იყრის უმრავლესობა? ეს იმდენად დაძველებული ჭეშ-  
მარიტებებია, რომ დროა არქივს ჩავაბაროთ. როცა ჭეშმარიტებამ მო-  
ასწრო ამდენად მოძველება, მას ერთი ნაბიჯიღა რჩება იქამდე, რომ  
სიცრუედ იქცეს. ბატონებო.

სიცილი და აღშფოთების გამომხატველი შემახილები.

ეჭ. სტოკმანი. დიახ, დიახ, გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ ნუ  
დაიჯერებთ. მაგრამ ჭეშმარიტებანი სულაც არ არიან ისე დღეგრძე-  
ლი მათუსალები, როგორც ადამიანებს წარმოუდგენიათ. ნორმალურა  
ჭეშმარიტება ცოცხლობს... ვთქვათ... ასე, ჩვიდმეტ-თვრამეტი წელი,  
სულ დიდი—ოცი. მაგრამ ასე ხნიერი ჭეშმარიტებანი მუდამ საშინლად

დამპყლვებულნი არიან. უმრავლესობა კი მაინც სწორედ მაშინ იწყებს ამ ჭეშმარიტებათა აღიარებას და ჯანსაღი სულიერი საკვების სახით სთავაზობს მათ საზოგადოებას. მაგრამ ასეთი საკვები ნაკლებად ნოყიერია, შემოდლია ამაში დაგარწმუნოთ. როგორც ექიმმა, მე ვიცი მისი ფასი. ყველა ეს ჭეშმარიტებები, რომელთაც უმრავლესობა აღიარებს, ემსგავსებიან შარშანდელ დაშაშხულ ხორცს, ამძაღებულ წამხდარ, დაობებულ ლორს. მათი მიზეზით ჩნდება ზნეობრივი სურავანდი, რაც მძვინვარებს ყველგან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ასლაქსენი. მე მეჩვენება, რომ ბატონი ორატორი საგანს საგრძნობლად უხვევს.

ბურგომისტრი. მე არსებითად ვუერთდები თავმჯდომარის მოსაზრებას.

ექსტოკმანი. არა, შენ, ვატყობ, შეიშაღე, პეტერ! მე სწორედ საგანს ვეხები, რამდენადაც კი შეიძლება. რაზე მინდოდა ლაპარაკი, თუ არა მაააზე, უვიცთა ბრბოზე, ამ წყეულ დარაზმულ უმრავლესობაზე? ეს, გეუბნებით, წამლავს ჩვენი სულიერი ცხოვრების წყაროს და შხამავს ჩვენს ფეხქვეშ ნიადაგს.

ჰოვსტადი. და თქვენ ბრალსა სდებთ ამ თავისუფლად მოაზროვნე უმრავლესობას მართო იმისათვის, რომ ის გონივრულად მისდევს სწორ, საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებებს?

ექსტოკმანი. ახ, ძვირფასო ბატონო ჰოვსტად, ნუ მელაპაკებით სწორ, საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებებზე. ეს ის ჭეშმარიტებებია, რომლებიც აღიარებს ჩვენი მამა-პაპის დროის მოწინავე ადამიანებმა. ჩვენ, თანამედროვე მოწინავე ადამიანები, მათ უკვე აღარავცნობთ ჭეშმარიტებებად, და მე არ ვცნობ იმაზე უფრო სწორ ჭეშმარიტებას, რომ არავითარ საზოგადოებას არ შეუძლია იცოცხლოს ჯანსაღი სიცოცხლით, თუ ის დაემყარება ასეთ ძველ, უტვინო ჭეშმარიტებებს.

ჰოვსტადი ასე, ჰაერზე, ლაპარაკის ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა გეთქვათ ჩვენთვის მაინც, რომელი ძველი, უტვინო ჭეშმარიტებებით ვცოცხლობთ.

მოწონების გამოხატვა სხვადასხვა მხრიდან.

ექსტოკმანი. აჰა, მე შემეძლო ამ ნაგვის მთელი ზვინის დასახელება. მაგრამ ჯერჯერობით შევჩერდები მხოლოდ ერთ საყოველ-

თაოდ აღიარებულ კეშმარიტებაზე. რაც სინამდვილეში უსაძაჯღესი სიცრუე გახლავთ, რითაც იკვებება ბატონი ჰოვსტადიცი, „სახალხო უწყებაც“, და „სახალხო უწყების“ ყველა მიმდევარიც.

ჰოვსტადი. ჰოდა, რომელია ეს კეშმარიტება?

ე.ქ. სტოკმანი. ეს ის მოძღვრებაა, რომელიც მემკვიდრეობად მიიღეთ მამა-პაპისაგან და რომელსაც უაზროდ ქადაგებთ ქვეყნის ოთხსავე მხარეს — მოძღვრება, რომ მასა, ბრბო, ბნელი ხალხი შეადგენს საზოგადოების ბირთვის, რომ ვითომ ეს არის თვითონ ნამდვილი ხალხი... რომ ამ ბრბოს ყოველ რიგით წევრს, საზოგადოების ამ უმეცარსა და განუვითარებელ წარმომადგენელს, აქვს სხვების თანაბარი უფლება, განსაჯოს, განაგოს, მოიწონოს, უარყოს და წარმართოს ერთეული ღირსეულების თანაბრად, გონებრივი არისტოკრატის წარმომადგენლები.

ბილინგი. ჰოი, ღმერთმა დალახვროს ჩემი თავი, თუ მე...

ჰოვსტადი (იმავე დროს ყვირის). მოქალაქენო, უსმინეთ, უსმინეთ!

მრავალი ხმა (გაჯავრებით). ოჰო! მაშ ჩვენ ხალხი არა ვართ. ან იქნებ მხოლოდ ბატონები გამოდგებიან მმართველებად?

მუშა. ძირს ის, ვინც ასე ლაპარაკობს!

სხვები. გააგდეთ!

ერთი ობივატელი თაგანი (ყვირის). ჩაჰბერე საყვირს, ევენსენ!

ისმის საყვირის მკექარე ხმა და გაშმაგებული ყვირილი.

ე.ქ. სტოკმანი (როცა ხმაური ოდნავ მიწყდება). გონს მოდით: ნუთუ არ შეგიძლიათ სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოისმინოთ სიმართლე? მე სულაც არ მოვიტხოვ, რომ ყველანი ერთბაშად დამეთანხმოთ. მაგრამ მე, რა თქმა უნდა, ველოდი, რომ ბატონი ჰოვსტადი მაინც მხარს დამიჭერდა ერთგვარი მოფიქრების შემდეგ. ბატონ ჰოვსტადს აკი თავისუფლად მოაზროვნედ მოაქვს თავი...

რამდენიმე გაოცებულნი კითხვა (ხმადაბლა). თავისუფლად მოაზროვნედო? რას ამბობს? განა რედაქტორი ჰოვსტადი თავისუფლად მოაზროვნეა?

ჰოვსტადი (ყვირის). დაამტკიცეთ, ბატონო ექიმო სტოკმან! განა ეს დავბეჭდე ოდესმე?

ე.ქ. სტოკმანი (ფიქრის შემდეგ). არა, ეშმაკმა წაიღოს, თქვენ მართალი ხართ. საამისოდ არასოდეს არ გყოფნიდათ სიმამაცე. კარგი,

მე აღარ მიგამწყვდევთ კედელთან, ბატონო ჰოვსტად. დე, ვიყო მე თვითონ თავისუფლად მოაზროვნე. ახლა მე ბუნებისმეტყველების დახმარებით ნათელგყოფ ყოველი თქვენგანისათვის, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ „სახალხო უწყება“ უსინდისოდ გატარებთ ყურებით, გეუბნებათ, რომ ბრბო, მასა, ჯოლო-მოლო ხალხი ნამდვილი მებრძოლი ხალხის ქეშმარიტი ბირთვია. ეს საგაზეთო სიცრუეა! ბრბო სხვა არა არის რა, თუ არა ნედლეული, საიდანაც ხალხმა უნდა შექმნას ადამიანები.

დრტინვა, სიცილი და მღელვარება.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. და განა იგივე არ შეინიშნება მთელ დანარჩენ ცოცხალ სამყაროში? მაგალითად, რა განსხვავებაა შერჩევისა და მოვლის გზით მიღებულ ჭიშსა და შინაურ ცხოველთა პირველყოფილ სახეებს შორის? შეხედეთ თუნდაც ჩვეულებრივ სოფლის ქათამს. რა ხორცს იძლევა ასეთი საცოდავი ქათამი? ბევრს ვერაფერს გამოარჩევი, ასე არ არის? მერე რა კვერცხებს დებს? წესიერი ყვავიცი კი თითქმის ამავე სიდიდის კვერცხს იძლევა. ახლა აიღეთ ჭიშიანი ესპანური ან კოხინხინური დედალი, ან ჭიშიანი ხოხობი. ან ანდოური, და თქვენ ნახავთ, რამდენი განსხვავებაა. ან ავიღოთ ძაღლი, რომელთანაც ჩვენ, ადამიანები, ასე ახლო ვდგავართ. ჯერ წარმოიდგინეთ უბრალო ეზოს ძაღლი, ესე იგი ქეციანი, გაძვალტყავებული, ბანჯგვლიანი, სოფლური ძაღლი, რომელიც მხოლოდ ორღობეებში დაძრწის და სახლის კედლებს ბილწავს. დაუყენეთ ამ ძაღლს გვერდით პუდელი, რომლის წინაპართა გრძელი მწყრივიცი იზრდებოდა არისტოკრატიულ სახლებში, სადაც იღებდნენ რჩეულ ნუგბარ საქმელებს და ჰქონდათ შემთხვევები მოესმინათ ჰარმონიული ხმები და მუსიკა. ან თქვენა გგონიათ. პუდელის თავის ქალა სრულიად სხვანაირად არაა განვითარებული, ვიდრე უბრალო ძაღლისა? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ასეთ ჭიშიან პუდელებს ცირკის არტისტები სრულიად დაუჭერებელ ოინებს ასწავლიან. უბრალო ძაღლი კი ამნაირს ვერაფერს ისწავლის, თუნდაც ყირაზე დადგეს.

ხმაური და ძახილი ყველგან გარშემო.

ე რ თ-ე რ თ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე (ყვარის). ახლა ძაღლებად გადაქცევა ც მოგვინდომეთ?

მეორე. ჩვენ ცხოველები არა ვართ. ბატონო ექიმო!

ექ. სტოკმანი. და მაინც, რომ ცხოველები ვართ, ჩემო ძვირფასო? ყველანი — სრულიად ჩვეულებრივი ცხოველები, როგორის წარმოდგენაც კი შეიძლება. მაგრამ ჯიშისანი ცხოველები, არისტოკრატები ჩვენს შორის. მართალია, ცოტაა. ო, პუდელ-ადამიანებსა და ჯოფაკ-ადამიანებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. და ყველაზე უფრო თავშესაქცევი ამასთან ის არის, რომ რედაქტორი ჰოვსტადი სავსებით მეთანხმება, ვიდრე საქმე ოთხფეხ ცხოველებს ეხებათ...

ჰოვსტადი. ამაზე არ გედავებით.

ექ. სტოკმანი. დიახ. მაგრამ როცა იმავე კანონს ორფეხებზე ვავრცელებ, ბატონი ჰოვსტადი უკან იხევს, ველარ ჰყოფნის გამბედაობა, თავის თვალსაზრისზე დარჩეს, თავისი აზრი ბოლომდე აწონ-დაწონოს. მაშინ ის მთელ მოძღვრებას პირუტყულმა შეატრიალებს ხოლმე და „საბალხო უწყებაში“ აცხადებს, სოფლის გაძვალტყავებული ძაღლი და ქუჩის ძაღლი — სამხეცის ყველაზე უფრო პირველხარისხოვანი ეგზემპლარებიაო. მაგრამ ასე მოსდით ყოველთვის მათ, ვის ძარღვებშიაც ჯერ კიდევ ჭარბობს გლეხური ღვრიტა, ვინც ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნილა სულიერ არისტოკრატად.

ჰოვსტადი. მე არცა მაქვს არავითარი არისტოკრატისმის პრეტენზია. მე უბრალო გლეხის შვილი ვარ და ვამაყობ იმით, რომ ღრმად მაქვს გადგმული ფესვები უბრალო ხალხში, რომელსაც აქ ლანძღავენ.

მრავალი ხმა. ვაშა, ჰოვსტად! ვაშა, ვაშა!

ექ. სტოკმანი. ის უბრალო ხალხი, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, თავს აფარებს არა მარტო დაბალ ფენებში, არამედ ირევა აგრეთვე ჩვენს გარშემო, აღწევს საზოგადოების მწვერვალებს. შეხედეთ თუნდაც თქვენს კოპწიად გამოწევილ, პატივცემულ ბურგომისტრს. ჩემი ძმა პეტერიც, მართალია, ასეთივე პლებეი გახლავთ, როგორც ყოველი რიგითი გლეხიაც...

სიცილი და სტენა.

ბურგომისტრი. მე პროტესტს ვაცხადებ პიროვნების ასე შეხებისათვის.

ექ. სტოკმანი (აუღელვებლად). და ეს იმიტომ კი არაა, რომ მისი წინაპარცი, ისევე როგორ ჩემი, იყო ვინმე ძველი უბირი



პომერანიელი მეკობრე... დიახ, ჩვენ წარმოშობით სწორედ ასეთები ვართ...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. სულელური განმარტებაა. მე უარვყოფ!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ...არამედ იმიტომ, რომ თავისი უფროსების თავით ფიქრობს, უფროსების მოსაზრებებით ცოცხლობს. ადამიანები, რომლებიც ასე იქცევიან, სულიერი პლებეები არიან. აი, სწორედ ამიტომ ჩემს ჩინებულ ძმაში პეტერში არსებითად ძლიერ ცოტაა არისტოკრატიზმი... და ამიტომაც ასე ცოტაა თავისუფალი აზრი.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ბატონო, თავმჯდომარეც...

ჰ ო ვ ს ტ ა დ ი. გამოდის, რომ ჩვენთან თავისუფალი აზრი მხოლოდ არისტოკრატებს ჰქონიათ? ეს რაღაც სრულიად ახალი ამბავია.

კრებაზე სიცილია.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, და ეს მჭიდრო კავშირშია ჩემს ახალ აღმოჩენასთან. ამასთან კავშირშია ისიც, რომ აზრის თავისუფლება და კეთილი ზნეობა თითქმის ერთი და იგივეა. აი, რატომ მინდა ვთქვა, რომ აღმამფთობელია „სახალხო უწყების“ საქციელი, ყოველ ცისმარე დღეს რომ ქადაგებს ყალბ მოძღვრებას, ვითომ მხოლოდ მასაში, უბირთა ბრბოში, მტკიცე უმრავლესობაში უნდა ვეძებდეთ თავისუფალ აზრსა და ზნეობასო... და რომ ნაკლი, სიწამბდრე და ყოველგვარი სულიერი სიღამპლე — ეს სულ კულტურული ფენებიდან გამომდინარე რამ არისო, ისევე როგორც ყოველგვარი ჩირქი და ზინთი მოჟონავს წყალსადენ მილებში წისქვილის ხეობის ტყავის ქარხნებიდან.

ხმაური და ყვირალი.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. (დამშვიდებით, თავისი ლაპარაკით გატაცებული იცინის). და ეს იგივე „სახალხო უწყება“ დალადებს. რომ მასა, ბრბო უნდა ავამალლოთ ცხოვრების უმადლეს კულტურულ დონემდეო. მაგრამ. ემშაკმა წაიღოს, „სახალხო უწყების“ მოძღვრება რომ სერიოზულად მისაღები ყოფილიყო, ხალხის ამ აზრით ამადლება მისი დაღუპვის გზაზე დაყენება იქნებოდა! საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ძველი ტრადიციული სიცრუე გახლავთ — თითქოს კულტურა ზნეობას რყვნიდეს. არა, ზნეობას აფუჭებს სიჩლუნგე, სიღატაე, ცხოვრების პირობების უმსგავსობა. სახლში, სადაც ყოველდღე ჰაერს არ ასუფთავებენ... ჩემი მეუღლე კატრინე იმასაც კი ამტკიცებს, რომ იატაკი ყოველდღე უნდა

ირეცხებოდესო, მაგრამ ამაზე დავა შეიძლება... ჰოდა, იმას ვამბობდი, ასეთ სახლში ადამიანები რაღაც ორ-სამ წელიწადში კარგავენ აზროვნების უნარსა და ზნეობრივად მოქმედების ჩვევას. ჟანგბადის ნაკლებობისაგან სინდისიც იფიტება, კლექში ვარდება. და, სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქის მრავალ სახლში ჟანგბადის დიდი ნაკლებობაა, რადგანაც ეს დარაზმული უმრავლესობა იმდენად უსინდისოა, რომ მზად არის თავისი ქალაქის მომავალი სიცრუისა და მოტყუების ქაობზე ააგოს.

ასლაქსენი. არ შეიძლება ასეთი მძიმე ბრალდება ვლწოთ სახეში მთელი ქალაქის საზოგადოებას!

ერთი ბატონთაგანი. მე ვურჩევ თავმჯდომარეს ჩამოართვას სიტყვა ორატორს.

რამდენიმე ხმა (გაჭავრებით). დიახ, დიახ! მართალია! ჩამოართვით სიტყვა!

ექ. სტოკმანი (აენტო). მაშინ მე ვიყვირებ სიმართლეს ყველა ჩვარედინ ქუჩაზე! დავწერ სხვა ქალაქთა გაზეთებში! მთელი ქვეყანა გაიგებს, რა ხდება აქ, ჩვენსას!

ჰოვსტადი. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ექიმს თავისი მშობლიური ქალაქის დანგრევა განუზრახავს.

ექ. სტოკმანი. დიახ, მე ისე მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი, რომ მზად ვარ უმაღლეს დავანგრიო ის, ვიდრე ვუტყვირო, როგორ ჰყვავის სიცრუის ქაობში!

ასლაქსენი. მაგარი ნათქვამია.

ხმაური და სტვენა. ფრუ სტოკმანი ამაოდ ახველებს, ექიმს მისი არ ესმის.

ჰოვსტადი (ხმაურს ფარავს). ადამიანი, რომელიც მზადაა დანგრიოს საზოგადოება, საზოგადოების მტერია.

ექ. სტოკმანი (მომბათებული სიფიცხით). რა უბედურება გგონიათ სიცრუის საზოგადოების დანგრევა! საჭიროა მისი აღგვა პირისაგან მიწისა. სიცრუეში ჩაფლული მცხოვრებნი უნდა გაიქლიტონ. როგორც მავნე ცხოველები! თქვენ ბოლოს და ბოლოს დაასწავლებთ მთელ ქვეყანას, მიიყვანთ იქამდე, რომ მთელი ქვეყანა დაიმსახურებს გაპარტახებას. და თუ საქმე აქამდე მივა, მე წრფელი გულით ვიტყვი: დე, აოხრდეს და გაპარტახდეს მთელი ეს ქვეყანა, დე დაილუპოს მთელი ეს ხალხი!

ერთი მსმენელთაგანი. ისე ლაპარაკობს, როგორც ნამდვილი ხალხის მტერი!

ბილინგი. აი, თუ გნებავთ, დამლახვროს ღმერთმა, ხმა ღვთისა და ხმა ერისა!

მთელი ბრბო (ყვირის). დიახ, დიახ, ის ხალხის მტერია! მას სძულს მთელი ქვეყანა! სძულს მთელი ხალხი!

ასლაქსენი. როგორც მოქალაქე და როგორც ადამიანი, მე ღრმად შეწუხებული ვარ იმით, რაც ახლა მოვისმინე. ბატონმა ექიმმა სტოკმანმა ისე გადაამლაშა, რომ არასოდეს ამგვარი რამ სიზმრადაც არ მსიზმრებია. სამწუხაროდ, მე უნდა შევეუერთდე მოსაზრებას, რაც ეს-ეს არის გამოთქვეს ჩემმა პატივცემულმა თანამოქალაქეებმა, და საჭიროდ მიმაჩნია ამ მოსაზრების ფორმულირება. მოვითხოვ ასეთ ფორმულირებას: „კრებამ დაადგინა ჩაითვალოს ექიმი სტოკმანი ხალხის მტრად“.

მქუხარე „ვაშა“ და მოწონების წამოძახილები. ექიმს სახეში უსტვენენ და გმობენ.

ფრუ სტოკმანი და პეტრა ადგებიან, მორტენი და ეილიფი ხელჩართულ ბრძოლას უმართავენ ბავშვებს. რომლებიც აგრეთვე სტვენდნენ. ერთი მოზრდილი გააშველებს.

ექ. სტოკმანი (მსტვენავებს). ო თქვე სულელებო, გეუბნებით რომ...

ასლაქსენი (რეკავს). ექიმს ჩამორთმეული აქვს სიტყვა. უნდა მოხდეს ფორმალური კენჭისყრა. მაგრამ პირადი გრძნობები რომ არ შევეულახოთ, წინადადება შემომაქვს ხმის მიცემა ჩატარდეს წერილობით და ხელმოწერის გარეშე. გაქვთ სუფთა ქაღალდი, ბატონო ბილინგი?

ბილინგი. აგერ ლურჯი და თეთრი...

ასლაქსენი (ჩამოდის ამაღლებული ადგილიდან). ძალიან კარგი, ასე უფრო მალე მოვრჩებით. დავქრათ, დავარიგოთ, ანე, ასე. (კრებას.) ლურჯი აღნიშნავს „არა“, თეთრი — „კი“. მე თვითონ გავარჩევ ბილე-თებს.

ბურგომისტრი მიდის. ასლაქსენი და კიდევ რამდენიმე მოქალაქე აძლევენ ხალხს ბილეოებს.

პირველი ბატონი (პოვსტადს). რა მოუვიდა ექიმს? როგორ უნდა გავიგოთ ეს?

პოვესტადი. მოგეხსენებო. რა ფიცხია.

მეორე ბატონი (ბილინგს). მომისმინეთ, აქი თქვენ ხშირად იმყოფებით მის სახლში. ხომ არ სვამს? არ შეგინიშნავთ?

ბილინგსი. როგორ გითხრათ, დამლახვროს ღმერთმა, აღარ ვიცი. რა დროსაც არ უნდა მიხვიდეთ, პუნში ყოველთვის მაგიდაზე აქვთ.

მესამე ბატონი. არა, მე უფრო იმას ვფიქრობ, რომ თავი მთლად წესრიგში არ უნდა ჰქონდეს.

პირველი ბატონი. იქნებ ეს სიგიჟე მის ოჯახს მემკვიდრეობით მოსდევს?

ბილინგსი. ესეც შესაძლებელია.

მეოთხე ბატონი. არა, რას ამბობთ, ეს უბრალოდ ჯავრია, შურისძიება რაღაცის გამო.

ბილინგსი. ჰო, მართლა, ამ დღეებში ლაპარაკობდა ხელფასის მომატებაზე. ჰოდა, არ მოუმატეს.

ოთხივე ბატონი (ერთად). აჰა! მაშინ ყველაფერი გასაგებია.

მთვრალი (ბრბოში.) მე ლურჯი ქალაღლიც მინდა და თეთრიც.

შექახილები. (ბრბოში.) ეს მთვრალი კიდევ აქ არის? გააგდეთ!

მორტენ კიილი (მიდის ექიმთან). აბა, სტოკმან, ხომ ხედავთ ახლა, რა გამოდის ამგვარი ოინებიდან?

ექ. სტოკმანი. მე ჩემი ვალი მოვიხადე.

მორტენ კიილი. ეს რაღად გამოუჩიეთ, წისქვილის ხეობის დაბახანის ამბავი?

ექ. სტოკმანი. ხომ გაიგონეთ! მე ვთქვი, რომ მთელი ეს საძაგლობა იმ დაბახანებიდან მოდის.

მორტენ კიილი. და ჩემი ქარხნიდანაც?

ექ. სტოკმანი. სამწუხაროდ, თქვენი, მგონი, ყველაზე უარესია.

მორტენ კიილი. და ამას თქვენ გაზეთებში დაბეჭდავთ?

ექ. სტოკმანი. არაფერს არ დავფარავ.

მორტენ კიილი. ეგ ცოტა ძვირი დაგიჯდებათ, სტოკმან! (გაღის.)

მსუქანი ბატონი (მიდის პორსტერთან და ქალებს თავს არ უყრავს). აბა, მაუწყეთ, კაპიტანო, როგორ აძლევთ დარბაზს ხალხის მტერს?

ჰორსტერი. მე ვფიქრობ, რომ უფლება მაქვს მოვექცე ჩემს საკუთრებას ისე, როგორც მომესურვება, ბატონო ვიიკ.

მსუქანი ბატონი. მაშ, ალბათ, არც თქვენ გექნებათ პრეტენზია მოვექცე ჩემსას ისე, როგორც მომესურვება.

ჰორსტერი. ესე იგი?

მსუქანი ბატონი. ხვალ შეგატყობინებთ (შებრუნდება და მიდის.)

პეტრა. ეტყობა, ეს თქვენი გემის მეპატრონეა, ჰორსტერ?

ჰორსტერი. დიახ, კომერსანტი ვიიკი.

ასლაქსენი (ბილეთებით ხელში ადის ამაღლებულ ადგილზე და რეკავს). ბატონებო, ნება მომეცით გამოგიცხადოთ შემდეგი. ყველა ხმა ერთის წინააღმდეგ...

ახალგაზრდა ბატონი. და ეს ერთი — მთვრალია!

ასლაქსენი. ყველა ხმა ერთი არაფხიზელი კაცის ხმის წინააღმდეგ აცხადებს, რომ ექიმი სტოკმანი ხალხის მტერია. (ყვირილი და მოწონების შეძახილები.) გაუმარჯოს ჩვენს ძველ ღრმად პატივსაცემ ნოქალაქეთა წოდებას, ჩვენს საზოგადოებას! (ისევ მოწონების შეძახილები.) გაუმარჯოს აგრეთვე ჩვენს ღრმად პატივცემულ მოღვაწე ბურგომისტრს, რომელმაც ასე ლოიალურად ჩაიკლა გულში ნათესაური გრძნობის ხმა (ძახილი „ვაშა“.) კრებას დახურულად ვაცხადებ (ჩამოდის დაბლა.)

ბილინგი. გაუმარჯოს ბატონ თავმჯდომარეს!

მთელი ბრბო. ვაშა, მესტამბე ასლაქსენო!

ექ. სტოკმანი. მომაწოდე ქუდი და პალტო, პეტრა. კაპიტანო, ხომ არ მოინახება თქვენთან ადგილი ახალი ქვეყნისაკენ მიმავალ ხომალდზე.

ჰორსტერი. თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის მუდამ მონახება, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი (იცვამს პალტოს პეტრას დახმარებით). კარგი, წავიდეთ, კატრინე, წავიდეთ, შევიღებო (ცოლს მკლაფში ხელს უყრის.)

ფრუსტოკმანი (წყნარად). ძვირფასო თომას, ხომ არ გავიდეთ უკანა კარით?

ექ. სტოკმანი. არავითარი უკანა კარი, კატრინე! (აწეული ხმით). თქვენ კიდევ მოისმენთ ხალხის მტრის ამბავს, ვიდრე თავის ფეხთა

მჭევრს დაიფერთხავდეს! მე არც ისე ღვთისნიერი ვარ, რომ გითხრა  
„მოგიტევებთ, რამეთუ არა იცით, რასა იქმთო!“!

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი (ყვირის) ეს ღვთისგმობაა, ექიმო სტოკმან!

ბ ი ლ ი ნ გ ი. დიახ, ღმერთმა დამლახვროს! გონიერი კაცისათვის  
სამძიმოა ასეთი რამეების მოსმენა.

უ ხ ე შ ი ხ მ ა. მაშის კიდევ იმუქრება!

რ ა მ დ ე ნ ი ე ხ მ ა (გაშმაგებით). წავიდეთ, ჩაველეწოთ სახლი  
მინები! გადავაგდოთ წყალში!

ე რ თ ი ბ რ ბ ო დ ა ნ. ჩაჰბერე საყვირს, ევენსონ! ჩაჰბერე მთე  
ლი ხმით!

საყვირის ხმა, სტვენა და ველური ყვირილი. ექიმი ოჯახით მიემართება გასასვლელს  
ლისკენ. ჰორსტერი მათ გზას უკაფავს.

მ თ ე ლ ი ბ რ ბ ო (მიმავალ ექიმს მისძახის). ხალხის მტერი! ხალხის  
მტერი! ხალხის მტერი!

ბ ი ლ ი ნ გ ი (აწესრიგებს თავის ქალაღებებს). არა, ღმერთმა დამლახ  
ვროს, თუ დღეს პუნშის დასალევად ექიმთან წავიდე!

ხმაური. ხალხი გასასვლელს აწუდება. მერე ხმაური გადის ქუჩაში, და იქილ  
ისმის ძახილი „ხალხის მტერი! ხალხის მტერი!“.

## მ ე ხ უ თ ე მ ო ჯ მ ე ღ ე ბ ა

ექიმ სტოკმანის კაბინეტი. კედლებზე წიგნების თაროები და კარადები სხვადასხვა პრეპარატებით. სიღრმეში ჩანს წინა ოთახისაკენ გასასვლელი. წინ მარცხნივ კარია სასტუმრო ოთახისკენ. კედელში მარჯვნივ ორი ფანჯარაა, ყველა მინა ჩამსხვრეულია.

შიგა ოთახში ექიმის საწერი მაგიდაა, სავსე წიგნებითა და ქაღალდებით.  
ოთახში უწყესრიგობაა. დილაა.

ექ. სტოკმანი (ხალათსა და ფლოსტებში, თეთრი ქუდით, დახრილი დგას და ქოლგის სახელურით რაღაცას დაეძებს კარადის ქვეშ, საიდანაც კენკს გამოიტანს, შემდეგ მიბრუნდება ღია კრისაკენ, სასტუმრო ოთახის მხარეს). ერთი კიდევ ვიპოვნე, კატრინე.

ფრუ სტოკმანი (სასტუმროდან). ჰოდა ალბათ, კიდევ ბევრს იპოვი.

ექ. სტოკმანი (მოუმატებს ასეთივე კენჭების გროვას მაგიდაზე). მე მათ გავუფრთხილდები, როგორც სიწმინდეს. დე, ელიფმა და მორტენმა შეხედონ მათ ყოველდღე, ხოლო როცა გაიზრდებიან, მემკვიდრეობად მიიღებენ ჩემგან (ცქებს წიგნის თაროს ქვეშ.) რა არის ეს... რა ჯანდაბა ჰქვია?... ის ჩვენი მოსამსახურე გოგო... კიდევ არ წასულა მინების ჩამსმელთან?

ფრუ სტოკმანი. იყო, მაგრამ უთქვამს, ძალიან გამიჭირდება დღეს მოსვლაო.

ექ. სტოკმანი. აი, ნახავ, ვერ გაბედავს.

ფრუ სტოკმანი. ჰო რანდინაც ფიქრობს, მეზობლებისა ეშინიაო. (მიბრუნდება სასტუმროსაკენ.) რა გინდა, რანდინა? ა! (გაღის და მაშინვე ბრუნდება.) წერილია შენთან, თომას.

ექ. სტოკმანი. ვნახოთ. (ხსნის და კიოხულობს.) ა, აი, ხედავ?

ფრუ სტოკმანი. ვისგან არის?

ექ. სტოკმანი. სახლის პატრონისაგან. ბინა დამიცალეთო.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ნუთუ? ასეთი წესიერი ადამიანი...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. (წერილში იტყობა). სხვანაირად მოქცევას ვერ გაგბედავო, წერს. ძალიან წუხს, მაგრამ მაინც ვერ გაბედავს... თავისი თანამოქალაქეების შიშით... ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს... დამოკიდებული კაცია... ვერ გაბედავს გავლენიან პირთა სურვილის წინააღმდეგ წასვლას.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. აი, ხედავ, თომას?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ვხედავ, ვხედავ. ჩვენს ქალაქში ყველა მხდალია. ვერც ერთი ადამიანი ვერაფერს ბედავს სხვების შიშით. (წერილს მაგილაზე ისვრის.) ჰო, ჩვენთვის სულ ერთია, კატრინე. წავალთ ახალ ქვეყანაში და...

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ახ, თომას, ყველაფერი კარგად მოიფიქრე გამგზავრების შესახებ?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ხომ არ დავრჩები აქ, სადაც სამარცხვინო ბოძზე გამაყრეს, როგორც ხალხის მტერი, დალი დამასვეს, ფანჯრის მიწები ჩამიღეწეს! და შეხედეთ. შავი შარვალიც შემომახიეს.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ახ, ღმერთო ჩემო! ყველაზე უკეთესი, ახალი!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. არასოდეს არ უნდა ჩაიცვას კაცმა თავისი საუკეთესო შარვალი, როცა თავისუფლებისა და ჭეშმარიტების დასაცავად მიდის. არაფერია, შარვალზე არა ვდარდობ. დიდი უბედურება არ არის, შეიძლება შეკეთება. მაგრამ უბირმა ხალხმა, ბრბომ რომ გაბედა ჩემზე თავდასხმა, თითქოს ყველანი ჩემი ტოლები ყოფილიყვნენ — ამას კი ვერ მოვიწიებ!..

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, საშინლად უხეშად მოგექცნენ, თომას, მაგრამ განა ამისათვის მაინც გემარბიებს სამშობლოს მიტოვება?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენი აზრით, ჩვენი სხვა ქალაქების ბრბო უფრო ნაკლებ თავხედიან, ვიდრე აქ? ყველა ერთი ჭკუისაა. ჯანდაბას! დე, იყეფონ ძაღლებმა. მთავარი უბედურება ეს როდია. მთავარი უბედურება ისაა, რომ ყველანი ამ ქვეყანაში პარტიების მონებია. ამ თვალსაზრისით დასავლეთშიაც, თავისუფლების ქვეყანაში, საქმე უკეთესად როდია. იქაც მძვინვარებს დარაზმული უმრავლესობა, ლიბერალური საზოგადოებრივი აზრი და მთელი ეს ეშმაკეული. მაგრამ ურთიერთობანი იქ უფრო დიდია და ფართოა, ხალხს იქ შეუძლია კაცის მოკვლა, ოღონდ არ დაუწყებენ ნელა წამებას: იქ არ უტყვრენ ადამიანის



თავისუფალ სულს ისეთ მუხრუჭებს, როგორც ჩვენთან. უკიდურეს შემთხვევაში, იქ შეიძლება განზე დადგომა. (ღაღის ოთახში.) ნეტავ, ვიკოდე, სად შეიძლება იოლად იყიდოს კაცმა პატარა უღრანი ტყე ან რომელიმე პატარა კუნძული სამსრეთის ოკეანეში...

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ბავშვები, თომას?

ეჭ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (ჩერდება). რა სასაცილო ხარ, კატრინე! ნუთუ ამჟობინებდი ბავშვების აღზრდას ისეთ საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია? აკი თვითონ შენ ამბობდი გუშინ საღამოს, რომ ქალაქის მცხოვრებთა ნახევარი გაგიყდა. ჰოდა, თუ მეორე ნახევარსაც ჭკუა არ დაუქარგავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვირისთავებია, რომელთაც დასაკარგავი ჭკუა არ გააჩნიათ.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ახ, ძვრიფასო თომას, აკი შენც... ასეთი ენაკვიმატი ხარ.

ეჭ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ერთი შენც! განა მე სიმართლეს არ ვამბობდი? განა ისინი თავდაყირა არ ატრიალებენ ყველა აზრს! არ ურევენ ერთმანეთში სიმართლეს და სიცრუეს? არ უწოდებენ სიცრუეს მას, რაც, მე ვიცი, რომ ჭეშმარიტებაა? მაგრამ ყველაზე უფრო გამოშტერებული — ეს მოზრდილი ლიბერალებია, რომლებიც აქ მთელ ჯოგებად დასეირნობენ და თავის თავსა თუ სხვებს ერთთავად ჩაძახიან, რომ ისინი თავისუფლად მოაზროვნეებია. გაგიგონია როდისმე რაიმე მსგავსი, კატრინე?

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, დიახ, გასაგებია, ეს სიგიჟეა, მაგრამ...

პეტრა შემოდის სასტუმროში.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. უკვე? დაბრუნდი სკოლიდან?

პ ე ტ რ ა. დიახ. უარი მითხრეს.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. უარი გითხრეს?

ეჭ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. შენც!

პ ე ტ რ ა. ფრუ ბუსკმა მითხრა, რომ არ შეუძლია ჩემი დატოვება თავისთან, და, მეც ახლავე წამოსვლა ვამჟობინე.

ეჭ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. სწორად მოქცეულხარ, ღმერთმანი!

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. ვინ იფიქრებდა, რომ ფრუ ბუსკი ასეთი საძაგელი ვინმე იქნებოდა!

პ ე ტ რ ა. არა, დედა, ფრუ ბუსკი სულაც არ არის ასე საძაგელი.

აშკარად ჩანდა, რომ თვითონ ის მეტად ნაწყენი იყო. მაგრამ სხვანაირად მოქცევას ვერ გაბედავდა — ასე მითხრა.

ეჭ. სტოკმანი. დიახ, გუშინდელი უწყსობის შემდეგ...

პეტრა. არა მარტო ამის გამო; არა, მომისმინე, მამიკო.

ეჭ. სტოკმანი. აბა, აბა?

პეტრა. ფრუ ბუსკმა მიჩვენა სამი წერილი, რომლებიც ამ დღით მიუღია...

ეჭ. სტოკმანი. ალბათ, ანონიმური?

პეტრა. დიახ.

ეჭ. სტოკმანი. გასაგებია, საკუთარი სახელით მოქმედებას ისინი ვერ გაბედავენ, კატრინე.

პეტრა. და ორ მათგანში ნათქვამი იყო, რომ ერთ-ერთი ბატონი, რომელიც ჩვენსას იყო, ღამით კლუბში ამბობდა, ვითომ მე ძლიერ თავისუფალი აზრები მქონდეს...

ეჭ. სტოკმანი. და შენ, ცხადია, არ გიცდია უარყოფა?

პეტრა. რა თქმა უნდა, არა. თვითონ ფრუ ბუსკიც საკმაოდ თავისუფალი აზრის ქალია, როცა ჩვენ პირისპირ ვრჩებით. მაგრამ რაკი ჩემზე ასეთი ხმები გავრცელდა, მან უკვე ვეღარ გაბედა ჩემი დაცვა.

ფრუ სტოკმანი. და წარმოდგინეთ — მათ ავრცელებს ადამიანი, რომელიც სტუმრად ჩვენსას იყო! აი ხედავ, თომას, როგორ გიხდიან სტუმართმოყვარეობისათვის სამაგიეროს.

ეჭ. სტოკმანი. ამ ღორებთან მეტხანს ცხოვრება აღარ შეიძლება. მოემზადე, უფრო ცოცხლად, კატრინე. რაც მალე წავალთ, მით უკეთესია.

ფრუ სტოკმანი. წყნარად. მე მგონია, დერეფანში ვილაც მოდის. გახედე, პეტრა.

პეტრა (აღებს შემოსასვლელ კარს). ახ, ეს კაპიტანი ჰორსტერია: გთხოვთ მობრძანდეთ.

ჰორსტერი (წინა ოთახიდან). გამარჯობათ. სანახავად შემოვიარე; მინდოდა გამეგო, როგორა ხართ.

ეჭ. სტოკმანი (ხელს ართმევს). გმადლობთ. თქვენი საქციელო ჭეშმარიტად სასიამოვნოა.

ფრუ სტოკმანი. და გმადლობთ, რომ გუშინ თავის დაღწევაში დაგვეხმარეთ, კაპიტანო ჰორსტერი.

პეტრა. თქვენ თვითონ როგორღა მიაღწიეთ სახლამდე?

ჰორსტერი. რა მიქირდა. მე უსუსურთა დასიდან არ გახლავართ, ის ბატონები კი უფრო ენით არიან მამაცნი.

ექ. სტოკმანი. დიახ, განა დამახასიათებელი ნიშანი არ არის — მათი საზიზღარი სიმბდალე? მობრძანდით აქეთ, რალაც გიჩვენოთ. შეხედეთ, აგერ ის ქვებია, რომლებსაც ფანჯარაში ისროდნენ. შეხედეთ. ღმერთს გეფიცებით, მთელ გროვაში არ მოიძებნება ორისაში წესიერი მსხვილი რიყის ქვა, სულ კენჭებია, ღორღია. მერე, რამდენს ყვიროდნენ, იმუქრებოდნენ, ფიცით მარწმუნებდნენ, კისერს მოგიგრებთო, საქმით კი... — საქმით კი ამ ქალაქში არაფერი სერიალზული არ არის მოსალოდნელი!

ჰორსტერი. ამჯერად ეს თქვენთვის უფრო ხელსაყრელიც იყო, ბატონო ექიმო.

ექ. სტოკმანი. ოჰ, რა თქმა უნდა, და მაინც საწყენია. აკი თუ ოდესმე საქმე მივა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეტაკებამდე, ნახათ, საზოგადოებრივი აზრი თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა, ხოლო ეს შედუღებული უმრავლესობა ისე მოჰკურცხლავს, როგორც ტყისკენ გაქცეული ღორების ჯოგი. აი, რაზე ფიქრია სწორედ სამძიმო. აი, რაზე მტკივა გული. თუმცა, ჯანდაბას ამათი თავი... არსებითად ყველაფერი ეს სისულელეა და მეტი არაფერი. მათ თქვეს, რომ მე ხალხის მტერი ვარ, ჰოდა, ვიყო ხალხის მტერი!

ფრუ სტოკმანი. არასოდეს არ იქნები ხალხის მტერი, თომას.

ექ. სტოკმანი. აჰ, ნურც აგრე იმედოვნებ კატრინე. ცუდი სიტყვა ზოგჯერ ისე მოქმედებს სულზე, როგორც განაკაწრი ფილტვებზე ხოლო ეს წყეული სიტყვა... მე არ შემძლია მისგან თავის დაღწევა. ის ჩამიჭდა აი აქ, გულის სიღრმეში, ზის იქ, ღრღნის და წოვს, როგორც სიმკავე. და არავითარი მაგნეზია ამას აღარ უშველის.

პეტრა. ეჰ, მამიკო, შენც გაიცინე მათ საქციელზე და მორჩა.

ჰორსტერი. გაეა ღრო, და ისინი ალბათ დაფიქრდებიან, ბატონო ექიმო.

ფრუ სტოკმანი. დიახ, თომას, დამშვიდებული იყავი.

ექ. სტოკმანი. ჰო, მაშინ, მგონი, გვიან იქნება. ახიც იქნება მათზე. დე, მაშინ ჩაეფლონ ყელამდე ლაფში და დაიწყონ სინანული, რომ პარტიოტი შეიკლეს, განდევნეს... როდისღა გახვალთ ზღვაში, კაპიტანო?

პორსტერი. ჰმ... მართალი რომ გიიხრათ, სწორედ ამაზე სასაუბროდ მოვედი თქვენთან...

ეჭ. სტოკმანი. ხომ არაფერი შეემთხვა გემს?

პორსტერი. არა, მაგრამ ეტყობა, მე მას ვერ გავყვები.

პეტრა. უარი ხომ არ გითხრეს?

პორსტერი (ღიმილით). დიახ. სწორედ ეგრეა.

პეტრა. თქვენც!

ფრუ სტოკმანი. ხედავ, თომას!

ეჭ. სტოკმანი. და ყოველივე ეს სიმართლის გამო! ო. რომ შემძლებოდა რაიმე ასეთის გათვალისწინება!...

პორსტერი. თქვენ, გეთაყვა, ამას გულთან ნუ მიიტანთ. ალბათ, მოვეწყობი რომელიმე საქალაქთაშორისო სახომალდო კომპანიაში.

ეჭ. სტოკმანი. და ეს კომერსანტი ვიციკი მდიდარი კაცია, სავსებით დამოუკიდებელი!.. ფუ, ეშმაკმა წაიღოს!

პორსტერი. ის საერთოდ საკმაოდ წესიერი ადამიანია, და თქვა, რომ ძალიან უნდა ჩემი დატოვება, მაგრამ ვერ ბედავს...

ეჭ. სტოკმანი. ვერ ბედავს? თავისთავად ცხადია.

პორსტერი. უხერხულიაო, ამბობს, რაკი გარკვეულ ჯგუფს ეკუთვნისო...

ეჭ. სტოკმანი. აი, დაბოლოს, ქეშმარიტება აღმოთქვა ამ ღირსეულმა კაცმა! ჯგუფი იგივეა, რაც ხორცის საკები მანქანა: ყველა თავს კეპავს და ერთიან ფაფად აქცევს. აი, რატომ აქვთ გამოტენილი ყველას თავები ფაფითა და ყოველნაირი საძაგლობით.

ფრუ სტოკმანი. ახ, თომას!

პეტრა (პორსტერს). გუშინ რომ სახლში არ გამოგეცილებინეთ, საქმე აქამდე არ მოვიდოდა.

პორსტერი. სრულიადაც არ ვნანობ.

პეტრა (ხელს ართმევს). გმადლობთ!

პორსტერი (ეჭის). მერე კიდევ, აი, რისი თქმა მინდოდა. თუ ნამდვილად გინდათ გამგზავრება, მე სხვა საშუალება მოვიფიქრე...

ეჭ. სტოკმანი. ჩინებელია. ოღონდ კი მალე დავადწიო თავი აქაურობას.

ფრუ სტოკმანი. ჩუ... მგონი, აკაკუნებენ?

პეტრა. ალბათ, ბიძაჩემია.

ე. ს. ტ. კ. მ. ა. ნ. აჰა! (ყვირის). შემოდით!  
ფ. რ. უ. ს. ტ. კ. მ. ა. ნ. ძვირფასო თომას, შემოგველე, მომეცი სი-  
ტყვა...

შემოდის ბურგომისტრი სტოკმანი.

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. (არეზში). ა, ეტყობა, შენ არ გცალია. მაშ,  
მე შემდეგ...

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. არა, არა. შემოდი. შემოდი.

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. მაგრამ მე შენთან ცალკე ლაპარაკი მინდოდა.  
ფ. რ. უ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. ჩვენ შეგვიძლია სასტუმრო ოთახში გავი-  
დეთ.

პ. ო. რ. ს. ტ. ე. რ. ი. მე კი შემდეგ შემოვივლი.

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. არა, გაბრძანდით ამითან, კაპიტანო. მინდა  
უფრო დაწვრილებით გავიგო...

პ. ო. რ. ს. ტ. ე. რ. ი. კარგი, მაშ დავიცდი. (გაღის ფ. რ. უ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. თან და  
პეტრასთან ერთად სასტუმროში.)

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. უსიტყვოდ უყურებს დამტყრეულ მანებს.

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. ბოლიში, შენი აზრით, აქ დღეს საკმაოდ გრილა,  
არა? დაიხურე ქუდი.

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. გმადლობ... თუკი ნებას მომცემ (ქუდს ისე-  
რაეს) მგონი, გუშინ გავცივდი. გავიყინე იქ...

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. მართლა? ჩემი აზრით კი იქ საკმაოდ ცხე-  
ლოდა!

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. ვწუხვარ, რომ ჩემს ხელთ არ იყო შესაძლებ-  
ლობა, ამერიდებინა ეს ღამის უწესობანი.

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. აბა, ამის გარდა ხომ არაფერი გაქვს ჩემთვის  
შესატყობინებელი?

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. (იღებს დიდ კონვერტს). გადმოისაცემი მაქვს აი  
ეს დოკუმენტი კურორტის დირექციისაგან.

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. სამსახურიდან გადაყენება?

ბ. უ. რ. გ. ო. მ. ი. ს. ტ. რ. ი. დიახ. ამ რიცხვის ჩათვლით. (დაღბს კონვერტს  
მაგადახე.) ჩვენთვის ეს სამწუხაროა, მაგრამ ვანოტეხილად რომ გითხრა,  
სხვანაირად მოქცევა ვერ გავბედდეთ — არ შეიძლებოდა საზოგადოებ-  
რივი აზრისათვის ანგარიში არ გაგვეწვია.

ე. ქ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. (ღიმილით). ვერ გაბედეთ? მე დღეს უკვი  
რამდენჯერ გავიგონე ეს სიტყვა!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. გთხოვ ჩაუფიქრდე შენს მდგომარეობას. ამიერიდან ამ ქალაქში არავითარი პრაქტიკის იმედი არ უნდა იქონიო.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ეშმაკსაც წაუღია ეს პრაქტიკა! მაგრამ შენ რატომ ხარ ამაში ასე დარწმუნებული?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. სახლის პატრონთა კავშირი გზავნის სახლებში ცირკულარს, რომლითაც ყველა კეთილმოაზრე მოქალაქეს მოუწოდებს არ მოემართონ დახმარების თხოვნით, და მე გავბედავ თავდებად დადგომას, რომ ოჯახის არც ერთი უფროსი არ იტყვის უარს თავის ხელმოწერით გაამაგროს ეს ცირკულარი. უბრალოდ, ვერ გავბედავ.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ, დიახ, ექვი არ მეპარება. მერე რა?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მე რომ შემეძლოს რჩევის მოცემა, გირჩევდი. რომ ცოტა ხნით საცხოვრებელი ადგილი გამოგეცვალა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მე თვითონ ასე ვფიქრობ, რომ საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალო.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. კარგი. და აი შენ რომ ნახევარიოდე წელი ამგვარად გეფიქრა, გადაგეწყვიტა და სალი ჭკუით გამოგეთქვა მოკლე სინანული, გელიარებინა შენი დაბნეულობა, მაშინ...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაშინ, იქნება, იმედი მქონოდა, რომ დავბრუნდებოდი ჩემს ძველ ადგილზე? ასეა, არა?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. შესაძლებელია. სულაც არ არის შეუძლებელი.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მერე, საზოგადოებრივი აზრი? აკი თქვენ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ვერ ბედავთ ჩემს დაცვას.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. საზოგადოებრივი აზრი ფრიად ცვალებადი რამ არის. და, გამოგიტყდებით, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შენგან ასეთი აზრის მოსმენა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ოღონდაც! ვიცე, ეს მოგწონთ! მაგრამ ხომ გახსოვს, ეშმაკმა წაიღოს, რა გითხარი უწინ ამ მეღურე ხრიკების გამო.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მაშინ ბევრად უფრო ხელსაყრელი პოზიცია გექირა. მაშინ გქონდა საშუალება და კიდევ ფიქრობდი, რომ მთელი ქალაქი მხარს დაგიჭერდა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. დიახ. ახლა კი გავიგე, რომ მთელი ქალაქი ჩემს წინააღმდეგ ამხედრდა... (ანთებული.) დაე, თუნდაც თვითონ ქაჯი და

მისი ბებია ამხედრდნენ ჩემს წინააღმდეგ! არასოდეს, არასოდეს, გე-  
უბნები!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ოჯახის მამას არა აქვს უფლება ასე მოიქ-  
ცეს, როგორც შენ იქცევი. შენ უფლება არა გაქვს, თომას.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. უფლება არა მაქვს! თავისუფალ ადამიანს მხო-  
ლოდ ერთი რამის უფლება არა აქვს. იცი, რისი?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. არა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჰო, რა თქმა უნდა. მაშ მე გეტყვი. თავისუ-  
ფალ ადამიანს არა აქვს უფლება იგორაოს ლაფში, როგორც ლორმა;  
არა აქვს უფლება მოიქცეს ისე. რომ ერთი რამ დარჩეს გასაკეთებელი.  
სახეში მიაფურთხოს თავის თავს!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ეს ძალიან ჰგავს სიმართლეს. და შენი ჭიუ-  
ტობისათვის სხვაგვარი ახსნა რომ აშკარა არ იყოს... მაგრამ ეს ახსნა  
უკვე არის.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ამით რა გინდა თქვა?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. შენ ეს საუცხოოდ გესმის. მაგრამ როგორც  
შენი ძმა და გონიერი ადამიანი, მე გირჩევ, ნურც აგრე დაეყრდნობი  
იმედებს, რომლებსაც ძალიან ადვილად შეუძლიათ არ გაგიმართლონ.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაინც რას ნიშნავს ეს, ბოლოს და ბოლოს?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ან იქნება მართლა ფიქრობ მაიძულო იმის  
დაჯერება, რომ არაფერი არ იცი ანდერძის შესახებ, რომელიც შეად-  
გინა ტყავის ქარხნის პატრონმა კიილმა?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მე ვიცი, რომ ის ნამცეცები, რომლებიც მას  
აქვს, გადავა ღრმა მოხუცებული ღარიბი ხელოსნების თავშესაფრის  
სარგებლობაში. მაგრამ მე რა მესაქმება ამასთან?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჯერ ერთი, აქ სრულიადაც არაა ლაპარაკი  
ნამცეცებზე. დაბახანის პატრონი კიილი საკმაოდ შეძლებული კაცია.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. არასოდეს ამაში აჭვი არ შეპარებოდა...

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჰმ!... მართლა? მაშ ის კი ვეღარ მოისაზრე,  
რომ მისი შეძლების საკმაოდ დიდი ნაწილი გადავიდოდა შენი შვილე-  
ბის განკარგულებაში და შენი ცოლი მიიღებდა პროცენტებს მთელი  
სიცოცხლის განმავლობაში? კიილს ეს არ უთქვამს შენავის?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მსგავსი არაფერი. პირიქით, ყოველთვის გიუ-  
ღებოდა, რომ აიძულებენ მისი შეძლებისათვის შეუფერებელი გადასა-  
ხადების გადახდას. თუმცა ეს ალბათ იცი, პეტერ?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ეს ვიცი სავსებით საიმედოდ წყაროებიდან.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაგრამ, ღმერთო ჩემო! მაშინ კატრინე უზრუნველყოფილია... და ბავშვებიც! არა, ეს უსათუოდ უნდა შევატყობინო... (ყვირს.) კატრინე, კატრინე!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. (აკვებს). ჩუ... ჭერ არც ერთი სიტყვაა ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი (კარს აღებს). რა მოხდა?

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. არაფერი. დაბრუნდი უკან.

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი კარს ისევ ხურავს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (დაღის ოთახში). უზრუნველყოფილი არიან. წარმოიდგინეთ — ყველანი უზრუნველყოფილი არიან! და ისიც მთელი სიცოცხლის მანძილზე! აი, პირდაპირ ნეტარებაა, როცა თავს უზრუნველყოფილად გრძნობ!

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მაგრამ ჭერჭერობით სწორედ ეს არ არის. დაბახანის მეპატრონეს შეუძლია შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება, როცა მოისურვებს.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ოჰ, ამას არ გააკეთებს, ჩემო ძვირფასო პეტერ. მაჩვი საშინლად კმაყოფილია, რომ ასე თავს დაგატყდი შენ და შენს ჰკვიან მეგობრებს.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი (განცვიფრებული, გამოძვლებულად უყურებს). აჰ! აი რა ჰფენს, ჩემის აზრით, შუქს ბევრ რამეს!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაინც რას?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. მაშ ყოველივე ეს იყო რთული მანევრი. ეს შენი აღვირახსნილი უწყალო თავდასხმები თანამდებობის პირებზე, ვითომ სიმართლის სახელით...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მერე. მერე?

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ამრიგად, ყველაფერი ეს სხვა არა იყო რა, თუ არა დაპირებული მადლობა გულბოროტი ბერიკაცის ანდერძისათვის.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (ძლივს ახერხებს ლაპარაკს). პეტერ... შენ ყველაზე უფრო საზიზღარი პლებები ხარ, როგორსაც კი ჩემს სიცოცხლეში ვიცნობდი.

ბ უ რ გ ო მ ი ს ტ რ ი. ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა. შენი გადაყენება გარდუვალია. ახლა ჩვენ გვაქვს შენს წინააღმდეგ იარაღი (გაღის.)



ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. ფუ! ფუ! ფუ! (ყვირის.) კატრინე! გაარეცხინე იატაკი ყველგან, სადაც კი ამ კაცმა ფეხი დაადგა! უბრძანე იმ... რა ჩანდება ჰქვია?... იმ გამუხრულ გოგოს... ვედრო მოიტანოს.

ფ. რ. უ. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. (სასტუმროს კარებში). ჩუ... ჩუ... წყნარად, თომას.

პ. ე. ტ. რ. ა. (აგრეთვე კარებში გამოწინდება). მამა, პაპა მოვიდა და კითხულობს, ხომ არ შეიძლება შენთან ცალკე ლაპარაკი.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. რა თქმა უნდა, შეიძლება. (მიდის კარებთან.) შემობრძანდით, სიმამრო.

მორტენ კილი შემოდის. ექიმი მის უკან კარს ხურავს.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. აბა, რამ შეგაწუხათ? დაბრძანდით.

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. არა, არა (გარშეშო იხედება.) რა მყუდროებაა დღეს აქ, თქვენსას, სტოკმანო.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. მართლა თუ?

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. და ძალიან კარგიც. რაღაც სუფთაა ჰაერია. დღეს საკმაოდ გაქვთ ეს რაღაც მყავე ჰაერი, რაზედაც გუშინ ამდენი ილაყბეთ, და სინდისიც დღეს თქვენ, ალბათ, საოცრად წმინდა გაქვთ, — წარმოდგენილი მაქვს.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. დიახ, ეს მართალია.

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. წარმოდგენილი მაქვს (მკერდში მუშტს იშენს.) და თქვენ იცით, რა მაქვს მე აქა?

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. აგრეთვე, იმედი მაქვს, საოცრად წმინდა სინდისი.

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. ე! რაღაც უკეთესი. (იღებს სქელ საფულეს, სწნის და უჩვენებს ქალაღების დასტას.)

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. (უყურებს გაოცებულ). კურორტის აქციები?

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. მათი შოვნა დღეს ადვილი იყო.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. თქვენ ადექით და იყიდეთ თქვენთვის...

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. სულ ნაღდ ფულად.

ე. ს. ტ. ო. კ. მ. ა. ნ. ი. მაგრამ, ძვირფასო სიმამრო... ავი კურორტის ასეთ უიმედო მდგომარეობაში...

მ. ო. რ. ტ. ე. ნ. კ. ი. ლ. ი. თუ თავს დაიჭერთ ისე, როგორც შეეფერება გონიერ ადამიანს, კურორტი, ფიქრი ნუ გაქვს, ისევ დადგება ფეხზე.

ეჭ. სტოკმანი. თქვენ თვით ხედავთ, მე ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია, მაგრამ... ადამიანები აქ რაღაც გამოლენჩებულნი არიან.

მორტენკილი. თქვენ გუშინ თქვით, რომ მთელი საქაგლობა ჩემი დაბახანიდან მოდის. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ჩემი პაპაც, მამაჩემიც, და მეც თვითონ ამდენი წელი ვაბინძურებდით ქალაქს, როგორც სამი კაცისმკვლელები. თქვენ ფიქრობთ, რომ მე შემიძლია შევეურიგდე ამგვარ სირცხვილს?

ეჭ. სტოკმანი. სამწუხაროდ, ძალაუნებურად უნდა შეურიგდეთ.

მორტენკილი. არა, გმადლობთ! მე ძვირად მიღირს ჩემი პატიოსანი სახელი. ხალხმა, როგორც მითხარეს, „მაჩვი“ მიწოდა. მაჩვი, ეს ღორისნაირი პირუტყვია! ჰოდა, მათებურად არ იქნება, არასოდეს! მე მინდა ვიცხოვრო და მოვკვდე, როგორც სუფთა კაცი.

ეჭ. სტოკმანი. მერე, როგორ გახდებით ახლა ასეთი?

მორტენკილი. თქვენ უნდა გაგწმინდოთ, სტოკმანო.

ეჭ. სტოკმანი. მე!

მორტენკილი. იცით თუ არა, რომელი ფულით ვიყიდე ეს აქციები? არა, საიდან გეცოდინებათ! ისევ მე გეტყვით. იმ ფულით, რომელიც ჩემს შემდეგ უნდა დარჩენოდა კატრინეს და ბავშვებს. ჰო, მე ავი მაინც მოვასწარი ცოტაოდენი თანხის მოგროვება.

ეჭ. სტოკმანი (აენთო). და თქვენც ადექით და ასე გაფანტეთ კატრინეს ფული!

მორტენკილი. კი, ახლა მთელი ეს ფული დაბანდებულია სამკურნალო წყლებზე. ჰოდა, ახლა კი ვნახავ, თუ მართლა ისა... სრულიად შეიშალებთ... საბოლოოდ უბოდიშოდ გაგიყდით, სტოკმანო. თუ თქვენ ახლაც დაიწყებთ სხვადასხვა მუშაობისა და ყოველნაირი ასეთი სიბინძურის გამოყვანას ჩემი დაბახანიდან, ეს იგივე იქნება, რომ კატრინეს, პეტრას და ბავშვებს კანიდან ღვედები ამოაჭრათ. ამას კი არც ერთი რიგიანი ოჯახის მამა არ გააკეთებდა... უკეთუ სავსებით არ გაგიყებულა.

ეჭ. სტოკმანი (ბოლთასა სცემს). ჰოდა, მეც სწორედ ასეთი გიყი ვარ! დიახ, ასეთი გიყი ვარ.

მორტენკილი. არა, საბოლოოდ შეშლილი თქვენ მაინც არ უნდა იყოთ, როცა საქმე ცოლ-შვილს ეხება.

ე.ქ. სტოკმანი (წინ გაუჩერდება.) და რატომ არ მოითხოვებოდა ჩემთან, ვიდრე მთელ ამ ნაგავს შეიძენდი?

მორტენ კილი. იყოს ასე, როგორც არის. უფრო საიმედო იქნება.

ე.ქ. სტოკმანი (აღღვებული დაღის ოთახში). მე რომ ჩემს სიპართლემში ასე დარწმუნებული არ ვიყო... მაგრამ რა გაეწყობა, მე ღრმად მწამს. რომ მართალი ვარ.

მორტენ კილი (ხელისგულზე საფულეს წონის). თუ თქვენს სიგიჟეს არ მოიშლით, ეს შეეკვრა ბევრი არაფერი ეღირება (საფულეს ჯიბეში ინახავს).

ე.ქ. სტოკმანი. მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ხომ უნდა იპოვოს მეცნიერებამ შხამის საწინააღმდეგო საშუალება... რაიმე დამცველი...

მორტენ კილი. ესე იგი, მუმლები დახოცოს, არა?

ე.ქ. სტოკმანი. დიახ, ან უვნებელჰყოს.

მორტენ კილი. არ შეიძლება დარიშხანი მოვაყაროთ? თავის წამალი...

ე.ქ. სტოკმანი. ეჰ, სისულელეა, სისულელე!... მაგრამ რაკი ყველა ამბობს, რომ ეს ფანტაზიაა... დე, იყოს ფანტაზია! ანია მათე. ამ უვიცმა, უგულო ძაღლებმა ხალხის მტრობა დამაყეფეს... მზად იყვნენ ჩემს გასაგლეჯად...

მორტენ კილი. და ყველა მინა ჩაგილეწეს.

ე.ქ. სტოკმანი. დიახ. დამატებით კი ოჯახის მამის მოვალეობა... უნდა მოველაპარაკო კატრინეს. ეს საქმეები მას ეხება.

მორტენ კილი. კარგით. ოღონდ გირჩევთ, მიჰყევით გონიერი ცოლის რჩევებს.

ე.ქ. სტოკმანი. (მივარდება). ეშმაკმა ჩაგაგონათ ასეთი დომხალის გაკეთება! კატრინეს ფული სასწორზე დადეთ! მე კი ასეთ საშინელ, გაწამებულ მდგომარეობაში ჩამადგეთ. როცა გიყურებთ, ასე მგონია, თვითონ ეშმაკი მიზის თვალწინ-მეთქი!

მორტენ კილი. მამ უმჯობესია გაგეცალოთ. ოღონდ ორ საათამდე თქვენგან პასუხი უნდა მივიღო. ან ჰო, ან არა. თუ არა, მაშინ ეს აქციებიც გზას იპოვნიან. ოღონდ დღესვე.

ე.ქ. სტოკმანი. რაღა ერგება კატრინეს?

მორტენ კილი. არც ერთი გახვრეტილი გროში!

წინა ოთახის კარი იღება და ზღურბლზე გამოჩნდებიან ჰოვსტადი და ასლაქსენი.

მორტენკილი. ერთი ამ ორეულს შეხედეთ!

ეჭ. სტოკმანი (შემოსულებს შეაჩერდება). რაო? თქვენ კიდე  
ბედავთ ჩემი ზღურბლის გადმოლახვას?

ჰოვსტადი. როგორც ხედავთ.

ასლაქსენი. იცით, რა? უნდა მოგელაპარაკოთ.

მორტენკილი (ჩურჩულით). ან ჰო, ან არა... ორ საათამდე!

ასლაქსენი (ჰოვსტადს ვადახედავს). აჰა!

მორტენკილი გადის.

ეჭ. სტოკმანი. აბა, რა გინდათ ჩემგან? მოკლედ მოქერით.

ჰოვსტადი მე კარგად მესმის, რომ თქვენ გუშინდელი ჩვენი  
საქციელით უკმაყოფილო ხართ...

ეჭ. სტოკმანი. მერე. თქვენ ამას საქციელს ეძახით? ჰო, ჩინე-  
ბული საქციელია! მე მოქმედების ასეთ სახეს უსაქციელობას ვუწო-  
დებდი! თქვენ ქალაქუნებივით მოიქეციო... ფუ, ჯანდაბას!

ჰოვსტადი. უწოდეთ, რაც გენებოთ. მაგრამ ჩვენ სხვანაირად  
მოქცევა არ შეგვეძლო.

ეჭ. სტოკმანი. ვერ გაბედეთ? ხომ ასეა?

ჰოვსტადი. ჰო, თუ გნებავთ.

ასლაქსენი. მაგრამ რატომ გაგიკირდათ წინდაწინ ერთი სი-  
ტყვის გადმოგდება? ცოტა გარკვევით გეთქვათ ჰოვსტადისათვის ან  
ჩემთვის.

ეჭ. სტოკმანი. გარკვევით? რა?

ასლაქსენი. ის, რაც ამის უკან იმალება.

ეჭ. სტოკმანი. არაფერი მესმის!

ასლაქსენი (იღუპალ: თავს აქნევს). აჰ, ბატონო ექიმო, თქვენ უკვე  
გესმით ჩვენი.

ჰოვსტადი. ახლა უკვე აღარაფერია დასაფარავი.

ეჭ. სტოკმანი (უყურებს ჯერ ერთს, მერე მეორეს). ჰოი, ეშმაკა  
კი დალაზეროს...

ასლაქსენი. ნება მიბოძეთ გკითხოთ, განა თქვენი სიმამრი არ  
დაძინებულებს ქალაქში და არ იძენს კურორტის აქციებს?

ეჭ. სტოკმანი. დიან, აქციები შეუქენია ღღეს. მერე?

ასლაქსენი. უფრო გონივრულად მოიქცეოდით: რომ სხვა ვინმე გაგებზავნათ... ვინმე თქვენი მახლობელთაგანი.

ჰოვსტადი. საერთოდ, არაფერი საჭირო არ იყო საკუთარი სახელით გამოსვლა. ჯობდა არავის არ სცოდნოდა, რომ კურორტზე თავდასხმა თქვენგან მომდინარეობს. ექიმო სტოკმანო, ერთი ჩემთვისაც გეკითხათ.

ექ. სტოკმანი (ჩაფიქრება. უეცრად ყველაფერს მიხვდება და ისე ლაპარაკობს, როგორც ციდან ჩამოვარდნილი კაცი). განა ეს წარმოსადგენია? განა ეს შესაძლებელია?

ასლაქსენი (ღიმილით). როგორც ჩანს, შესაძლებელია, ოღონდ. ხედავთ, უფრო ფაქიზად უნდა მოგვარება.

ჰოვსტადი. და ყველაფერსა სჯობია — კომპანიაში. როცა ადამიანი მუშაობს არა განცალკევებულად, არამედ სხვებთან ერთად, მაშინ ხომ პასუხისმგებლობაც ყოველთვის უფრო ნაკლებია!

ექ. სტოკმანი (გონს ზოდის). ერთი სიტყვით, ბატონებო, რა გნებავთ?

ასლაქსენი. ამის თქმას ბატონი ჰოვსტადი უფრო გაბედავს...

ჰოვსტადი. არა, თქვენ უთხარით, ასლაქსენ.

ასლაქსენი. აბა, საქმე ისაა, რომ ახლა, ხედავთ, საქმის ვითარება უკვე ვიცით და ვფიქრობთ, „სახალხო უწყებით“ დაგესმაროთ.

ექ. სტოკმანი. ახლა ბედავთ? მერე, საზოგადოებრივი აზრი? ქარიშხლის აღარ გეშინიათ?

ჰოვსტადი. როცა ქარიშხალი ამოვარდება, შეეცდებით გავუმკლავდეთ.

ასლაქსენი. და მაშინ, ბატონო ექიმო. თქვენ მოგიხდებათ გემის მოხერხებულად წაყვანა. როგორც კი თქვენი თავდასხმა შედეგს გამოიღებს...

ექ. სტოკმანი. ესე იგი, როცა მე და სიმამრი ყველა აქციას ჩალის ფასად ჩავიგდებთ ხელში?

ჰოვსტადი. ჰო, თქვენ, უთუოდ, უმეტესად მეცნიერების გულისათვის შეეცდებით სელთ ჩაივლოთ კურორტის მმართველობა.

ექ. სტოკმანი. თავისთავად ცხადია. მე სწორედ მეცნიერების ინტერესებისათვის წავაქეზე ბებერი მაჩვი ამ საქმეში ერთად სამოქმედოდ. შემდეგ ცოტათი შევაკეოებთ სამკურნალო წყლებს, ცოტას

მოკვებავთ ზღვის სანაპიროს, ისე რომ ქალაქს არავითარ ხარჯებს არ დავაკისრებთ. ასე, არა? მოვახერხებთ? ჰა?

ჰო ვ ს ტ ა დ ი. მე ვფიქრობ — რაკი „სახალხო უწყება“ თქვენს მხარეზე იქნება.

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი. თავისუფალ საზოგადოებაში ბეკდვითი სიტყვა ძალაა, ბატონო ექიმო.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ასეა. და საზოგადოებრივი აზრიც ასევეა. თქვენ კი, ბატონო ასლაქსენ, თავდებობას იკისრებთ ოჯახის უფროსთა კავშირისათვის?

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი. ოჯახის უფროსთა კავშირისათვის და აგრეთვე სიფხიზლის საზოგადოების საქმიანობისათვის, საზოგადოებრივი აზრისათვის სრული იმედი იქონიეთ.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაგრამ, ბატონებო... ხედავთ, მე ცოტა მეუხერხულეა კითხვა... გასამრჯელოზე რას იტყვიან?

ჰო ვ ს ტ ა დ ი. ჩვენ ვამჯობინებდით დანმარების გაწევას სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ, როგორც თვითონვე ხედავთ. მაგრამ „სახალხო უწყება“ ჯერაც ვერ მომაგრებულა. საქმე მთლად კარგად ვერ მიდის, ხოლო გაზეთის შეჩერება ახლა, როცა ამდენი რამ არის გასაკეთებელი უმადლესი პოლიტიკის სფეროში, მე ძალიანაც არ მინდოდა.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. რა თქმა უნდა, ეს მეტისმეტად მძიმე მსხვერპლი იქნებოდა ისეთი ხალხის მეგობრისათვის, როგორიც თქვენა ხართ (თავს ველარ შეიკავებს.) მაგრამ მე ხომ ხალხის მტერი ვარ! (ოთახში აქეთ-იქით აწყდება.) სად გაქრა ჩემი ჯოხი? რა ეშმაკმა წაიღო ჩემი ჯოხი?

ჰო ვ ს ტ ა დ ი. ეს რას ნიშნავს?

ა ს ლ ა ქ ს ე ნ ი. ხომ არ აპირებთ...

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი (შეჩერდება). და თუ ჩემი აქციებიდან გროსსაც არ მოგცემთ? ნუ დავაგიწყდებით, რომ ჩვენსავით მდიდრებს კაცა იოლად ვერაფერს გამორჩება!

ჰო ვ ს ტ ა დ ი. და ნურც თქვენ დავიწყებთ, რომ ამ აქციების ამბავი ასეც შეიძლება გავაშუქოთ და ისეც!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ცხადია, თქვენ საამისოდ საქმარისი იქნებით. თუ მე „სახალხო უწყებას“ ვერ გამოვიხსნი, ეს საქმე თქვენ მეტად მუქ ფერებში წარმოვიდგებათ. იმედი მაქვს დევნას დამიწყებთ, როგორც ძაღლები კურდღელს.

ჰოვსტადი. ასეთია ბუნების კანონი... ყოველმა ნადირმა თავის-  
თვის საზრდო უნდა გამოიხატოს, მაშ როგორ?

ასლაქსენი. და ისიც იღებს საკვებს იქ, სადაც იპოვის — ხე-  
დავთ?

ექ. სტოკმანი. მაშ ეძიეთ სადმე ქუჩის თხრილებში! (ოთახში  
სწრაფად სიარულს მოჰყვება ისევ გულმოსული.) ეშმაკმა წაიღოს! ენახოთ  
ახლა, ჩვენ სამიდან რომელია უძლიერესი ნადირი. (ნახავს ქოლგას და  
მოიქნევს.) აბა, მოუსვით აქედან!

ჰოვსტადი. ხომ არ აპირებთ მოქმედებით მოგვაყენოთ შე-  
ურაცხყოფა?

ასლაქსენი. ცოტა ფრთხილად აქნით ეს ქოლგა!

ექ. სტოკმანი. ბატონო ჰოვსტად, მოუსვით ფანჯრიდან!

ჰოვსტადი (წინა ოთახის კართან). თქვენ მთლად შეიშალეთ!

ექ. სტოკმანი. მოუსვით ფანჯრიდან, ბატონო ასლაქსენ! გა-  
დაბნით, თქვენ გეუბნებიან! რაც მალე იზამთ, მით უკეთეა!

ასლაქსენი (საწერი მაგიდის ვარშემო დარბის). ზომიერება დაი-  
ცავით, ბატონო ექიმო! მე სუსტი გულის კაცი ვარ... ცოტა რამე და  
მე... (ყვირის.) გვიშველეთ! გვიშველეთ!

ფრუ სტოკმანი, პეტრა და პორსტერი სასტუმრო ოთახიდან შემობრბიან.

ფრუ სტოკმანი. უფალო ღმერთო, თომას! რა მოხდა?

ექ. სტოკმანი (ქოლგას აქნევს). აბა, მოჰკურცხლეთ! პირდაპირ  
თხრილში!

ჰოვსტადი. უმწეო ადამიანზე თავდასხმა? ჩემს მოწმედ გასახე-  
ლებთ, კაპიტანო პორსტერ! (სწრაფად იმალება წინა ოთახში.)

ასლაქსენი (დაბნეულად). ადგილობრივი პირობები რომ ვიცო-  
დე... (თავს სასტუმრო ოთახში შეაფარებს.)

ფრუ სტოკმანი (ქმარს აკვებს). დამწვიდდი, თომას!

ექ. სტოკმანი (ქოლგას დაავლებს). ეჰ, მაინც დაიძვრინეს თავი.

ფრუ სტოკმანი. ერთი გამაგებინე, რა უნდოდათ შენგან?

ექ. სტოკმანი. მერე გაიგებ. ახლა საამისოდ არა მცალია  
(მაგიდასთან მიდის და სადარბაზო ბართზე რაღაცას წააწერს.) მოდი აქ,  
კატრინე. ხედავ, რა დავწერე?

ფრუ სტოკმანი. სამჯერ „არა“ მსხვილი ასოებით. ეს რას  
ნიშნავს?

ეჭ. სტოკმანი. ამასაც შემიძევ გაიგებს (გადასცემს ბარათს). აი, პეტრა, წავიდეს ჩვენი გამჟღერული გოგო მაჩვთან და ეს გადასცეს. ოღონდ მკვირცხლად!

პეტრა იღებს ბარათს და გადის წინა ოთახში.

ეჭ. სტოკმანი. თუ ღღეს სატანის ყველა მსახური არ მესტუმრა, მე აღარ ვიცი, რომელი დააკლდა. მაგრამ ახლა მე მათ წინააღმდეგ გავლესავ ჩემს კალამს, რომ სადგისივით გახდეს! შხამსა და ნაღველში ჩავაწებ! და თავში ეტყორცნი, სახეებში ჩავცხებ სამელნეებს!

ფრუ სტოკმანი. ჩვენ ხომ მივემგზავრებით, თომას!

პეტრა ბრუნდება.

ეჭ. სტოკმანი. რას იტყვი?

პეტრა. გაგზავნილია.

ეჭ. სტოკმანი. კარგი. გავემგზავრებითო, ამბობ? არა, ეშმაკმა დასწყევლოს, ჩვენ აქვე დავრჩებით, კატრინე!

პეტრა. დავრჩებით?

ფრუ სტოკმანი. აქ, ამ ქალაქში?

ეჭ. სტოკმანი. სწორედ აქ. სწორედ აქაა ბრძოლის ველი. აქ უნდა გაიმართოს ბრძოლა, აქ მინდა გავიშარჯვო. აი, მალე შეაკეთებენ ჩემს შარვალს, და მე წავალ ქალაქში ბინის საშოვნელად. რაიმე გადახურული ხომ გვინდა ზამთრისათვის?

ჰორსტერი. თუ ასეა, გადმოდი თ ჩემთან.

ეჭ. სტოკმანი. სერიოზულად?

ჰორსტერი. რა თქმა უნდა. ადგილი საკმარისი მაქვს, და მე ხომ თითქმის არ ვცხოვრობ ჩემს სახლში!

ფრუ სტოკმანი. აჰ, რა გულყეთილობას იჩენთ, ჰორსტერ.

პეტრა. გმადლობთ.

ეჭ. სტოკმანი (მაგრად ართმევს ხელს). გმადლობთ! გმადლობთ! აბა, ამრიგად, ამ უბედურებამ ჩაიარა. და მე ამ დღეებში შევუდგები საქმეს. აჰ, აქ სამუშაო უსასრულოდ ბევრია, კატრინე! და კარგია, რომ მე ჩემი დროის სრული ბატონ-პატრონი ვიქნები. ხელავ, მე ხომ სამსახურიდან გადამაყენეს...

ფრუ სტოკმანი (ამოხუნებით). ეჭ. ამას მეც ველოდი.

ეჭ. სტოკმანი. ამას გარდა, პრაქტიკის ჩამორთმევას მიიპირე-



ბეს. ჯანდაბას ამათი თავი! ღარიბები ხომ მაინც ჩემთან მოვლენ! ის, ვინც არაფერს იხდის. სწორედ ასეთებს ვესაქიროები ყველაზე მეტად. იაინი კიდევ მომისმენენ, ეშმაკმა დალაზვროს. მე მათ ვუქადაგებ ყოველ ხელსაყრელ დროს, თუ სად რა წერია...

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაგრამ, ძვირფასო თომას, მე მგონია, შენ უკვე დარწმუნდი, რაც მოჰყვება ამ ქადაგებას.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. მაინც რა ახირებული ქალი ხარ, კატრინე. შენის აზრით, თითი ხომ არ უნდა მოვკაცო საზოგადოებრივი აზრის, დარაზმული უმრავლესობის და სხვა ამნაირი ეშმაკების წინაშე? არა, უმორჩილესად გმადლობ. ის კი, რაც მე მინდა, ნათელი და უბრალო რამ არის. მე მინდა მხოლოდ თავში ჩავუტენო ამ ქოფაკებს, რომ ლიბერალები თავისუფალ ადამიანთა უბოროტესი მტრები არიან... რომ თავიანთი კერძო-პარტიული პროგრამით ისინი ახრჩობენ ყველა ნორჩ ახალ, სიცოცხლისუნარიან ჰუმანიტებას, რომ ყოველნაირი „მოსაზრებებით“ ისინი თავდაყირა აყენებენ ზნეობასა და სამართლიანობას, ისე რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყნად ცხოვრება საშინელი ხდება! როგორ ფიქრობთ, კაპიტანო ჰორსტერ, მოვახერხებთ თუ ვერა ჩავაგონოთ ეს ადამიანებს?

ჰ ო რ ს ტ ე რ ი. სავსებით შესაძლებელია. თუმცა მე ბევრი არაფერი გამეგება ამ საქმეში.

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. აი, ხედავთ... ოლონდ მომისმინეთ! საჭიროა პარტიების მეთაურების განადგურება. ასეთი მეთაური იგივეა, რაც ხარბი რუხი მგელი... ყოველწლიურად ყლაპავს წვრილფეხა საქონლის გარკვეულ ნაწილს. რათა არსებობა შეინარჩუნოს. შეხედეთ ჰოვსტადსა და ასლაქსენს. რამდენ წვრილფეხა პირუტყვს ჩანთქავენ ან ასახიჩრებენ, გლეჯენ, ნაკუწებად აქცევენ, ასე რომ, არასოდეს მათგან სხვა არაფერი გამოვა, გარდა ოჯახის უფროსებისა და „სახალხო უწყების“ ხელისმომწერლებისა (მაგიდაზე ჯდება.) არა, მოდი შენ აქა, კატრინე... შეხედე. რა დიდებულად ათბობს დღეს მზე, და რა კეთილისმყოფელი სუფთა ჰაერი ნავარდობს ახლა ჩემს ბინაში!

ფ რ უ ს ტ ო კ მ ა ნ ი. აჰ, რომ შეგვეძლოს მარტოოდენ მშითა და ჰაერით ცხოვრება, თომას!

ე ქ. ს ტ ო კ მ ა ნ ი. ჰოდა, შენც როგორმე უფრო ხელმოჭერილად... არა უშავს, იოლად გავალო. ეს ყველაზე ნაკლებ მანადვლესს. არა, ყველაზე უარესი ისაა, რომ მე არ ვიცი რომ არც ერთს, იმდენად

კეთილშობილსა და თავისუფალ ადამიანს, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საქმეს განაგრძობდა.

პეტრა. აჰ, ნუ ლაპარაკობ ასე, შანა. მომავალი ჯერ შენს წინ, არის გადაშლილი. — აი, პატარებიც აქ არიან.

ელიფი და მორტენი შუა ოთახიდან გამოდიან.

ფრუ სტოკმანი. დღეს ხომ არ გიჩხუბიათ?

მორტენი. არა, მაგრამ შესვენებაზე სხვებს ვეჩხუბეთ.

ელიფი. ტყუის. პირიქით, სხვებმა აგვიტეხეს შარი.

მორტენი. ბატონმა რორლუნდმა გვითხრა, კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღით შინ დარჩებითო.

ექ. სტოკმანი (თითებს ატაკუნებს და მაგიდიდან ძირს ხტება). ახლა მე ვიცი! ახლა მე ვიცი, მე და ჩემმა ღმერთმა! დღეიდან სკოლაში ფეხსაც აღარ გადადგამთ.

პატარები. სკოლაში აღარ ვივლით?

ფრუ სტოკმანი. რას ამბობ, თომას? მერე...

სტოკმანი. ფეხსაც აღარ გადადგამენ, ვთქვი და მორჩა! თვითონ მე გააწავლით!.. ესე იგი, სწორი და საჭირო რამეები უნდა ისწავლოთ და არა აბდაუბდა.

მორტენი. ვაშა!

ექ. სტოკმანი. მე თქვენ ნამდვილ, თავისუფალ, მოწინავე ადამიანებად უნდა გაქციოთ. შენ კი, პეტრა, ამაში დამეხმარები.

პეტრა. კი, მამა, ამისი იმედი იქონიე.

ექ. სტოკმანი. სკოლაც იმ დარბაზში უნდა გავხსნათ, სადაც მე „ხალხის მტერი“ მიწოდეს. მაგრამ ჩვენ ცოტანი ვიქნებით. თორმეტი ყმაწვილი მაინც უნდა მყავდეს.

ფრუ სტოკმანი. ამ ქალაქში ამდენ ბავშვს ვერ მოუყრი თავს.

ექ. სტოკმანი. ამასაც ვნახავთ. (ბავშვებს.) ხომ იცნობთ ქურჩის ბიჭებს, აი ჩამოძონძილ ყმაწვილებს?

მორტენი. ო, მამილო, რამდენსაც გინდა!

ექ. სტოკმანი. ჰოდა, ძალიან კარგი. მომიყვანეთ ორი-სამი ასეთი ყმაწვილი. ერთი ვცადო ამ უბრალო ლეკვების აღზრდა. მათ შორის ისეთი თავები გამოერევა, რომ...

მორტენი. მერე, რა უნდა გავაკეთოთ, როცა თავისუფალი და გამოჩენილი ადამიანები გავხდებით?

ეჭ. სტოკმანი. უნდა გარეკოთ რუხი მგლები შორს, შორს, დასავლეთისაკენ, ზღვის იქით, შეიღებო.

ვილიფს ვერაფერი გაუგია, მორტენი კი ხტის და ყვირის: „ვაშა!“

ფრუ სტოკმანი. ეჭ, ემანდ თვითონ მათ არ გაგდევენონ აქედან, იმ რუხმა მგლებმა, თომას!

ეჭ. სტოკმანი. კატრინე, შენ ჭკუაზე ხარ? როგორ უნდა გამდევენონ, როცა ახლა ქალაქში ჩემზე ძლიერი ერთიც არავინ მოიძებნება?

ფრუ სტოკმანი. შენზე ძლიერი? ისიც ახლა!

ეჭ. სტოკმანი. დიახ. ახლა ისიც კი შემიძლია ვთქვა, რომ მთელ მსოფლიოში არ არის ჩემზე ძლიერი ადამიანი!

მორტენი. აი, ეს მესმის!

ეჭ. სტოკმანი (ხმის დაწვეით). ჩუ... ამის შესახებ ჯერ არავის უთხრათ. მაგრამ მე მოვახდინე დიდი აღმოჩენა.

ფრუ სტოკმანი. ისევე აღმოჩენა?!

ეჭ. სტოკმანი. დიახ, დიახ! (ყველას გარს შემოიკრებს, ეუბნება, როგორც დიდ საიდუმლოს.) ხედავთ, საქმე ისაა, რომ ქვეყნად ყველაზე ძლიერი ისაა, ვინც ყველაზე უფრო მარტოა.

ფრუ სტოკმანი (ღიმილით, თავს უქნევს). აჰ, თომას, შენ უკვე...

ბეტრა (ხელს ართმევს, მხნედ, მტკიცედ). მამა!



# პედიკურის გეგმვა

პედიატრიის მრეწველობა

თარგმანი  
კახი ბელოჯანიანი

## მოქმედი პირები

იორგენ ტესმანი, სახელმწიფო სტიპენდიანტი კულტურის ისტორიაში.  
ქედა, მისი მეუღლე.

იულიანა ტესმანი, იორგენის მამიდა.

ფრაუ ელესტედი.

ასესორი ბრაკი.

აილერტ ლევბორგი.

ბერტა, ტესმანების მოსამსახურე ქალი.

მოქმედება წარმოებს ტესმანის აგარაკზე, ქალაქის დასავლეთ გარეუბანში.

## პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

ფაქიზად და ღიადის გემოვნებით მოწყობილი ფართო სასტუმრო ოთახი. ჰარბობენ მუქი ფერები. უკანა კედელზე, გადაწეულ ფარდებს შორის, ჩანს განიერი ოია კარი, ამ კარის იქით მომცრო ოთახი, რომელიც ისეთივე გემოვნებითაა მოწყობილი, როგორც სასტუმრო ოთახი. დარბაზის მარჯვენა კედელზე სხვა კარია, წინა ოთახისავე. მის პირდაპირ ჩანს შუშაბანდიანი კარი — აგრეთვე გადაწეული ფარდით. მიწებში მოჩანს გადახურული აივანი და შემოდგომის ფოთლებშეყვითლებული ხეები.

სასტუმრო დარბაზში სუფრაგადაფარებული მრგვალი მაგიდა დგას, გარშემო სკამებია. მარჯვენა კედელთან დგას ფართო, შავი შორენკეცის ღუმელი, მის ვეერდით კი მალაზურვიანი საეარქელი, ერთი მცირე ბალიშინი სკამი ფეხისთვის და ორიც ჩვეულებრივი სკამი. სიღრმეში მარჯვენა კუთხესთან მიდგმულია მომცრო ღივანი და პატარა მრგვალი მაგიდა. წინ, მარცხნივ, თითქმის ზედ კედელთან, სქვა ღივანია. შუშაბანდიან კართან ფორტუპიანო დგას. პატარა კარის ორსავე მხარეს თაროდებია, ზედ თიხისა და მაიოლიკის მოჭიქული სათამაშოები დგას.

შიდა ოთახის უკანა კედელთან ჩანს ღივანი, მაგიდა და წყვილი სკამი. ამ ღივანის პირდაპირ, ზემოთ, გენერლის ფორმაში გამოწყობილი მშვენიერი, წარმოსადგეი მოხუცი კაცის პორტრეტი ჰკიდია. მაგიდის თავზე კი — ლამაზა მქრქალი რჩისფერი მინის სარკველით.

სასტუმრო ოთახი მოფენილია თაიგულებით. ზოგი თაიგული სკამებზე აწყვეა ორივე ოთახის იატაკი დაფარულია ნოხებით. დილაა. ოთახს ანათებს შუშაბანდიდან შემოჭრილი მზის სხივები.

ი უ ლ ი ა ნ ა ტ ე ს მ ა ნ ი ქ ო ლ გ ი თ. შემოდის წინა ოთახიდან. უკან მოჰყვება ბერტა, რომელსაც ქალაღში გახვეული თაიგული მოაქვს. ფროილანი ტესმანი სასიამოვნო და გულკეთილი ქალი ჩანს, 65 წლისა იქნება. უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით აცვია. ქულსა და მუქ საგარეო სამოსელს ატარებს. ბერტა უბრალო, სოფლური იერის ხანწესული შინაბერაა.

ტ ე ს მ ა ნ ი (შედის ოთახში, კართან შეჩერდება, ხმადაბლა). უიმიე, რალა ექნა მგონია, ჯერაც არ ამდგარან!

ბერტა (აგრეთვე დაბალი ხმა). აჲ მოგახსენეთ, ქალბატონო! აბა განსაჩეთ, რა გვიანი ღამე იყო, როცა გემი მოვიდა! მერე კიდევ, რამდენი იჯახირა ახალგაზრდა ქალბატონმა ბარგის გახსნაზე, ვიდრე მოსასვენებლად წაბრძანდებოდა! ღმერთო, ეს ხომ საშინელება იყო!

ქ-ნი ტესმანი. დიახ, დიახ, სწორედ აგრეთა... ბარემ ვაცალოთ, კარგად გამოიძინონ! მაგრამ, აქ რომ გამოვლენ, დილის სუფთა ჰაერი მაინც დავახვედროთ (მდიის შუშთან კართან და ფართოდ აღებს.)

ბერტა (მაილასთან, არ იცის, რა უყოს თაიგულს). ღმერთო სახიერო, რა ვუყო ამ თაიგულს? — აქ ხომ არ ემჭობინება, ქალბატონო? (თაიგულს ფორტუპიანოზე ათავსებს.)

ქ-ნი ტესმანი. აბა შენ იცი, ჩემო საყვარელო ბერტა! დღეიდან ახალი ბატონები გყავს. შენი არ ვიცი და მე კი, ღმერთმა იცოდეს, საშინლად მიძძიმს შენი დასოვნება...

ბერტა (თითქმის ტირილით). ახლა ჩემიც იკითხვით, ქალბატონო! რა უნდა გითხრათ? მე ხომ ამდენი ბედნიერი წელი გამიტარებია თქვენს სამსახურში!

ქ-ნი ტესმანი. რა გავწყობა, ბერტა! ღმერთია თავდები, სხვა გზა არა გვაქვს, ისევ ბედს უნდა დავემორჩილოთ. ხომ ხედავ, იორგენს შინაურობაში ძლიერ ესაჭიროები. უშენოდ ვერ გაძლებს. ბავშვობიდანვე მიჩვეულია, რომ ერთთავად მისთვის ზრუნავ.

ბერტა. განა არ ვიცი, ჭალტაბონო, მაგრამ ღამის ჭკუიდან შევიშალო, ჩვენი ავადმყოფი რომ გამახსენდება. საბრალო ქალი სრულიად უმწეოდ დარჩა! და ახლა უცბად წამოსკუბდება ახალი გოგო, რომელიც თავის სიცოცხლეში ვერ ისწავლის ავადმყოფის მოვლას.

ქ-ნი ტესმანი. ოჰ, ამას კი ვასწავლი. თანაც მთავარ საქმეს ჩემს თავზე ვიღებ. გესმის თუ არა? ჩემი ბედშავი დის დარდი სულაც ნუ გექნება, ჩემო ძვირფასო ბერტა.

ბერტა. ეჰ. ბარტო ეს რომ მაწუხებდეს, ქალბატონო, რა მიჭირს! ჩემდა ჭირად რაღაც შიში ამეკიდა. ვაითუ ახალგაზრდა ქალბატონს საკმაოდ ვერ ვასიამოვნო-მეთქი!

ქ-ნი ტესმანი. დამიდგეს თვალი — პირველ ხანებში შეიძლება ასეც მოხდეს და ისეც. რა ვუყოთ მერე...

ბერტა. ოჰ ეტყობა, ძლიერ ჭირვეულია.

ქ-ნი ტესმანი. ეგა თქვი და! მამ როგორ გინდა, გენერალ გაბლესის ასულია! უნდა გენახა, ქალო, რა განებვიერებულ ცხოვრებას



იყო მიჩვეული გენერლის სიკოცხლეში! განა არ გახსოვს, როგორ მი-  
ჰქენებდა ხოლმე ცხენს მამის გვერდით? შავი მუღის გრძელი სეროთუ-  
კი რომ ეცვა? მერე რა ფრთები ჰქონდა ქუდზე დარქობილი!

ბერტა. ჰოდა — მაგას ვიფიქრებდი? — არა, ღმერთო სა-  
მართლიანო! აზრადაც ვინ გაივლებდა მამინ. რომ ეს ზვიადი გენერ-  
ლის ასული ჩვენს ბატონ კანდიდატს ცოლად გაჰყვებოდა!

ქ-ნი ტესმანი. ამას არც მე ვფიქრობდი. მაგრამ ასე კი მოხდა...  
ღამაცა, ბერტა, რომ არ დამავიწყდეს: იორგენს დღეოდან კანდიდატს  
ნულარ დაუძახებ, ბატონი დოქტორი-თქო, გესმის?

ბერტა. დიახ, იგივე მითხრა ახალგაზრდა ქალბატონმაც — ლა-  
მით — როგორც კი კარებში ფეხი შემოდგეს. განა ეს მართალია, ქალ-  
ბატონო?

ქ-ნი ტესმანი. რაღა თქმა უნდა, მართალია. რით ვერ გაიგე,  
რომ ქალბატონმა ის საზღვარგარეთ დოქტორი გახადა... ესე იგი,  
როგორ გითხრა, ახლა, ამ მოგზაურობის დროს, გესმის? ამის შესა-  
ხებ მე თვითონაც არაფერი ვიცოდი, ვიდრე გუშინ გემიდან გადმო-  
სვლისას იორგენმა არ მიაძბო.

ბერტა. ოჰ, აბა რა იქნებოდა! ამისთანა სწავლულისაგან, რო-  
გორც იორგენია, რაც გინდა გამოხვალ. მაგრამ სწორედ გითხრათ, არას-  
გზით არ ვიფიქრებდი, რომ ასეთი მეცნიერი ექიმობას იკადრებდა.

ქ-ნი ტესმანი. ექიმობასო? არა, ბერტა, იორგენი ასეთი დოქ-  
ტორი არ გეგონოს, სხვანაირი დოქტორია. (მრავალმნიშვნელოვნად გადა-  
აქნევს თავს.) მოიცადე, მალე ალბათ სხვა წოდებითაც მოვიხდება  
მისი განდიდება.

ბერტა რასა ბრძანებთ? მაინც რანაირად ქალბატონო?

ქ-ნი ტესმანი (ითვის). ჰმ! ეჰ, ამას შენ ვინ გეტყვის! (გრძნობით.)  
ახ, ღმერთო დიდებულო! ნეტავ, შესძლებოდა ჩემს განსვენებულ  
ძმას იოხუმს, ერთი საფლავიდან წამოწეულიყო და თავისი თვალით  
ენახა, რა კაცი დადგა მისი პატარა ბიჭუნა! (გარშემო მიმოიხედავს.)  
მაგრამ ამას რას ვხედავ? გამოიგონე, ბერტა — რისთვის აგიხსნია ავე-  
ჯიდან შალითები? რატომ გააკეთე ეს?

ბერტა. მოწყალე ქალბატონმა ასე მიბრძანა. დასანახავად მეზა-  
რებო სკამებზე გადაფარებული შალითები.

ქ-ნი ტესმანი. მაშ, აბა, ყოველდღე შინ დარჩენას აპირებენ?

ბერტა. რა მოგახსენოთ, ასე გამოდის — რაკი ახალგაზრდა ქალ-

ბატონმა ასე ბრძანა. თვითონ მას კი — ბატონ დოქტორს არაფერი უთქვამს.

უკან ოთახიდან, მარჯვენა მხრიდან, ღიღინით გამოჩნდება იორგენ ტესმანი. ხელში ღია ცარიელი ჩემოდანი უჭირავს. საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცია, 33 წლისა, რამდენადმე მსუქანი, ჩასმული. მრგვალი, მხიარული, კეთილი სახე აქვს. ქერა თმა და წვერი, სათვალეს ატარებს. აცვია შილითად, თავისუფლად და დაუდევრად.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. მშვიდობის დილა, მშვიდობის დილა, იორგენ!

ტ ე ს მ ა ნ ი (ღია კარბში). მამიდა იუღია! ძვირფასო მამიდა იუღია! მზიუხლოვდება და ხელს ართმევს.) გრძელი გზა გამოგივლია ამ დილა-ადრიან. მზეს აპყოლიხარ! ხომ მშვიდობაა?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. შვილო იორგენ, აბა დაფიქრდი, როგორ იქნებოდა, რომ თქვენთვის არ დამეხედა.

ტ ე ს მ ა ნ ი. ჰო, მართლა, როგორ იქნება, რომ ერთი დამე მიხეც რიგიანად მოისვენო!

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. აჰ, ეს ჩემთვის არაფერია!

ტ ე ს მ ა ნ ი. ხომ მშვიდობით მიხვედი გუშინ ღამით ნავსადგურიდან ჰა?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. როგორ არა — მაღლობა უფალს! ბატონმა ასესორმა ისეთი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ზედ სახლის კარამდე მიმაცილა.

ტ ე ს მ ა ნ ი. ძალიან ვწუხდით, რომ ჩვენს ეტლში ვერ მოგათავსეთ. მაგრამ შენ თვითონ ხედავდი, რამდენი ყუთი ჰქონდა ჰედას... ხომ არ დავტოვებდით!

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ჰო, მართლაც, უთვალავი ყუთი ჰქონდა.

ბ ე რ ტ ა (ტესმანს). ხომ არ შევიდვით მოწყალე ქალბატონთან და ვკითხო — იქნებ რამე დახმარება სჭირდება?

ტ ე ს მ ა ნ ი. არა, გმადლობ, ბერტა, აცალე, ნუ შეწუხდები. როცა დასჭირდები, თვითონვე დაგიძახებს — ასე ბრძანა ქალბატონმა.

ბ ე რ ტ ა (გაღის მარჯვნივ). ჰო, ეგრე იყოს.

ტ ე ს მ ა ნ ი. მოიცა, ბარემ ეს ჩემოდანიც გაიტანე.

ბ ე რ ტ ა (ართმევს). სხვენზე ავიტან. (გაღის წინა ოთახიდან გარეთ.)

ტ ე ს მ ა ნ ი. მამიდაჩემო, წარმოიდგინე — მთელი ჩემოდანი საესე იყო მართო ასლებით. მერწმუნე, დასაჯერებლად ძნელია, რამდენი

მასალა დავაგროვე სხვადასხვა არქივებში. სულ ძველი, შესანიშნავი საქმეებია, კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდა.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ჩანს დროს უკმაღ არ კარგავდი, იორგენ, საქორწინო მოგზაურობაშიც კი.

ტ ე ს მ ა ნ ი. დიახ, ეს კი შემძლია დავიტრაბახო, მაგრამ მოიხადე ქული, მამიდაჩემო! ასე! მოდი, ეს ბაფთები გაუხსნა, ხომ?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი (ვიდრე იორგენი ქულს ბაფთებს უხსნის). ახ, ღმერთო მწყალობელიო! — სწორედ ის დრო მაგონდება, როცა ჩვენს სახლში იყავი.

ტ ე ს მ ა ნ ი (ხელში ატრიალებს ქულს). მამიდაჩემო, ეს რა მშვენიერი, მოხდენილი ქული შეგიძენია!

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ეს ჰედას გულისათვის შევიძინე.

ტ ე ს მ ა ნ ი. ჰედას გულისათვის? როგორ?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ისე, რომ ჰედას არ შერცხვეს, თუ ჩვენ ქუჩაში ერთად მოგვიხდება ვაგლა.

ტ ე ს მ ა ნ ი (ლოყაზე ხელს უსვამს). ყველაფერს რომ მოასაზრებ ხოლმე, ჩემო კეთილო მამიდა იულია! (დადებს სკამზე ქულს). ახლა კი, მოდი. მოვკალათდეთ ამ სავარძელში შინაურულად და ჰედას გამოსვლამდე ტკბილად ვიბაასოთ. (ორივე ჯდება. ქ-ნი ტესმანი ქოლგას ათავსებს დივანის კუთხეში.)

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი (იღებს ტესმანის ორსავე ხელს და შეჰყურებს) ახ. რა ბედნიერი ვარ, რომ ისევ გნახეს ჩემმა თვალებმა! რომ ისევ სული გიდგა. იორგენ! ჩემი ნეტარხსენებული იოხუმის შვილიყო!

ტ ე ს მ ა ნ ი. ახლა მეც მკითხე! ძლივს, როგორც იყო, ისევ გნახე, მამიდაჩემო! შენ ხომ დედისა და მამის მაგიერობას მიწვედი მუდამ! ჩემი ჰირი და ლხინი კალთით გიტარებია.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. განა არ ვიცი, შვილო, რომ შენი მოხუცი მამიდები ყოველთვის კეთილი გულით გიყვარდა!

ტ ე ს მ ა ნ ი. მამიდა რინა როგორღაა? არ მომჯობინდა?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ახ, არა შვილო, რას ამბობ — საცოდავს მკეთებთ, არა ეტყობა რა. ისევ ისე წევს, როგორც წინა წლებში, მაგრამ უფალმა ინებოს, რომ ცოტა ხნით ცოცხალი შევიინახო! თორემ უიმისოდ სულ თავგზა დამებნევა და სწორედ ვერც კი გავარკვევ, თუ რა ვუყო ამ ჩემს საოხრე თავსა. მეტადრე ახლა, როცა შენთვის საზრუნავი აღარა მაქვს.

ტესმანი (ზურგზე ხელს უსვამს). ჰო, ჰო, ჰო, კარგია, გეყოფა!

ქ-ნი ტესმანი (უცხად იცლის ხმას). არა, ვინ იფიქრებს, რომ შენ ახლა ცოლიანი კაცი ხარ, იორგენ! და რომ შენ ყველას წაართვი ჰედა გაბლერი! აბა, დაფიქრდი! მომჯადოებელი ჰედა გაბლერი — რომელსაც ამდენი თაყვანისმცემელი ჰყავდა!

ტესმანი (თვითკმაყოფილების ღიმილითა და ნახევრად სიმღერით). დიახ, ეჭვი არ მეპარება, რომ ქალაქში ცოტა მეგობარი როდი მყავს ისეთი, შურიით რომ სკდება. ხომ ასეა?

ქ-ნი ტესმანი. ვერ წარმოვიდგენდი. რომ ასე გასჭიმავდი საქორწინო მოგზაურობას. კარგა ხუთი-ექვსი თვე გასტანა...

ტესმანი. ჩემთვის ეს ერთგვარად სამეცნიერო მოგზაურობაც იყო. რამდენი არქივი გადავქექე! რამდენი წიგნი გადავიკითხე!

ქ-ნი ტესმანი. ოჰ, რაღა თქმა უნდა! (შინაურულად, დაბალი ხმით). გამიგონე, იორგენ — ისე, რამე განსაკუთრებული არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი?

ტესმანი. მოგზაურობის ირგვლივ?

ქ-ნი ტესმანი. ჰო.

ტესმანი. იმაზე მეტი, რასაც გწერდი, არაფერი ვიცი. დოქტორი რომ გავხდი, ეს გუშინ გიამბე.

ქ-ნი ტესმანი. კი, ეს უკვე ვიცი, მე სულ სხვა რამე მინდა გაითხო... აი, მომავალში, რაიმე იმედები თუ გაქვს?

ტესმანი. იმედები?

ქ-ნი ტესმანი. ღმერთმანი. იორგენ... მე ხომ შენი მოხუცებულის მაჟიდა ვარ!

ტესმანი. რა თქმა უნდა, მაქვს იმედები, როგორ არა!

ქ-ნი ტესმანი. ჰო და ეგრე!

ტესმანი. მე მაქვს საუყვეთსო იმედები — უახლოეს ხანში პროფესორი უნდა გავხდე.

ქ-ნი ტესმანი. აჰ, პროფესორი! კი, შვილო...

ტესმანი. ან კი რატომ უნდა დაეფარო, როცა ნამდვილად ვიცი, რომ პროფესორი ვიქნები! მაგრამ, ჩემო გამორჩეულო მამიდა იუღია, ეს ხომ შენ თვითონაც კარგად იცი?

ქ-ნი ტესმანი. (ჩაიციანებს). ოღონდაც, შენ მართალი ხარ. (ხმას იცლის.) მაგრამ ჩვენ მოგზაურობის ირგვლივ ვაპირებდით მასლაათს. ამაზე ხომ დიდძალი ფული დაიხარჯა, იორგენ?

ტესმანი. რას იზამ! ბედზე დიდი სტიჰენდია მომცეს, და ამან ძალიან გამიშართა ხელი.

ქ-ნი ტესმანი. მაინც ვერ გამოიგია, როგორ მოაღებზე ისე, რომ ორივეს გეყოთ.

ტესმანი. დიახ, დიახ, ამის გაგება არც ისე იოლია. არა თუ?

ქ-ნი ტესმანი. მით უმეტეს, თუ ქალთან ერთად მოგზაურობ, ეს საშინლად ძვირი ჯდება, გამოტეხილად უნდა გითხრა.

ტესმანი. თავისთავად ცხადია — რამდენადმე ძვირი ჯდება, მაგრამ ჰედასთვის აუცილებელი იყო ეს მოგზაურობა! მისთვის ეს ნამდვილად აუცილებელი იყო. სხვანაირად არ გამოვიდოდა.

ქ-ნი ტესმანი. არა, არა, ეს რა სალაპარაკოა! საქორწინო მოგზაურობა ჩვენს დროში როგორღაც მიღებულია — ერთი ეს მითხარი: თუ მოასწარი კარგად შეგველო თვალი აქაურობისათვის?

ტესმანი. როგორ არა! გათენებულიც არ იყო, რომ უკვე ზეზე ვიყავი.

ქ-ნი ტესმანი. ჰოდა როგორ მოგწონს ყველაფერი?

ტესმანი. შესანიშნავია! უაღრესად შესანიშნავი! ოღონდ ეს კი არ ვიცი, სასტუმროსა და ჰედას საწოლ ოთახს შორის რომ ორი ცარიელი ოთახია, რა უნდა ვუყოთ ამ ოთახებს?

ქ-ნი ტესმანი (ჩაიხივებს). ახ, ჩემო ძვირფასო იორგენ, დრო მოვა და გამოუყენებელი არც ეგ დარჩება.

ტესმანი. სავსებით მართალი ხარ, მამიდა! დიახ! იმ შემთხვევისათვის, თუ ჩემს ბიბლიოთეკას გავზრდი — ასე არ არის?

ქ-ნი ტესმანი. სწორედ ასეა, ჩემო კეთილო ყმაწვილო. სულ შენს ბიბლიოთეკაზე ვფიქრობდი.

ტესმანი. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ჰედა კმაყოფილი იქნება. ჯერ კიდევ ადრე, სანამ დაგინიშნებოდი, იგი ხშირად ამბობდა: არსად ისე სიამოვნებით არ ვიცხოვრებდი, როგორც აქ, სახელმწიფო მრჩევლის, ფალკის, აგარაკზე.

ქ-ნი ტესმანი. ეგა თქვი და! მერე როგორ კობტად მოეწყო ყველაფერი: აგარაკი გაიყიდა სწორედ იმ დროს, როცა თქვენ ის იყო გაემგზავრეთ.

ტესმანი. მართლაც, ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, მამიდა იუღია. არა?

ქ-ნი ტესმანი. მაგრამ ძვირად, ძალიან ძვირად დაგიჯდება ეს ამბავი, ჩემო საყვარელო იორგენ;

ტესმანი. (შეირე ხანს შეშფოთებული უყურებს). როგორ, ვითომ ასე გაქირდება, მამიდა?

ქ-ნი ტესმანი. ჰო, ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა.

ტესმანი. მაინც, რამდენს ფიქრობ? ასე, დაახლოებით? ჰა?

ქ-ნი ტესმანი. ამის თქმა არ შემიძლია, ვიდრე ყველა ანგარიშზე ხელთ არ იქნება!

ტესმანი. კიდევ კარგი, რომ ასესორმა ბრავმა ასე ხელსაყრელი პირობები აღმოთქვა. ამის შესახებ მან პირადად მოსწერა ჰედს.

ქ-ნი ტესმანი. კი, ამისი აღარ მეშინია, შვილო! ავეჯისა და ხალიჩების თავდებობა კი მე თვითონ ვიკისრე.

ტესმანი. თავდებობა? შენ იკისრე? ძვირფასო მამიდა იუღია. მერე შენ რა თავდებობის გაწევა შეგეძლო?

ქ-ნი ტესმანი. ჩვენი რენტა დავაგირავე.

ტესმანი. რა? შენი და მამიდა რინას საშემოსავლო რენტები?

ქ-ნი ტესმანი. ჰო, რა უნდა მექნა, სხვა გამოსავალი არ იყო.

ტესმანი (ღვება მის წინ). მამიდაჩემო! შენ ჰკუდიან ხომ არ შემცდარხარ? ეს ხომ თქვენი ერთადერთი საარსებო წყაროა?

ქ-ნი ტესმანი. შენც ერთი, ამისათვის ნურც აგრე აღელდები ყველაფერი ეს მხოლოდ ფორმალური ამბავია, გესმის? ასესორმა ბრავმაც ასე მითხრა. ისეთი კეთილი კაცი ყოფილა — ყველაფერს მოგავგებო, მხოლოდ ფორმალური საქმეაო, თქვა.

ტესმანი. კი, შეიძლება მაგრამ. მაინც, რაც უნდა იყოს...

ქ-ნი ტესმანი. ახლა ხომ მიიღებ შენს საკუთარ ჯამაგირს და კიდევ გადაიხდი... ღმერთო მომკალი, ან კი რა მოხდა, თუ პირველ ხანებში ორიოდე გროშით დაგეხმარებით? ასე რომ ვთქვათ, შენს მამიდებს ეს მხოლოდ გაგვახარებს!

ტესმანი. აჰ, მამიდავ. — შენ ხომ არასოდეს არ მოგწყინდება ჩემთვის მსხვერპლის გაღება!

ქ-ნი ტესმანი (ღვება და ხელებს იორგენს მხარეზე დააწყობს). სხვა რა მომანიჭებს ამ წუთისოფელში, ჩემო ძვირფასო შვილო, ისეთ სიხარულს, როგორც ისა, რომ შენი სავალი გზა მოვასწორო? შენ ხომ არც მამა გყავს, არც ღედა, რომ მათი იმედი შეგრჩენოდა! ახლა მიზანთან მივედით, ხომ ზედავ! ზოგჯერ, სიმაართლე რომ ითქვას, რაღაც ბურუსი ჩამოწვებოდა შენს გარშემო, მაგრამ, მადლობა ღმერთს ყველაფერი კარგად წავიდა, იორგენ!

ტესმანი. მართლაც, გასაოცარია, რომ ყველაფერი ასე მოეწყო. ქ-ნი ტესმანი. დიახ, და მერე ყველა, ვინც წინ გელობებოდა, კრიკაში გედგა — ახლა დამარცხებულია. მოშურნეები დამარცხდნენ, იორგენ. მან, ვინც შენთვის ყველაზე უფრო საშიში იყო — ყველაზე მძიმე მარცხი განიცადა. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, — სწორედ ისე მოუვიდა იმ საცოდავ ადამიანს.

ტესმანი. აილერტ ლევბორგისა არაფერი გაგიგია? აი, ამ ბოლო დროს, მისი გამგზავრების შემდეგ-მეთქი მინდოდა მეკითხა.

ქ-ნი ტესმანი. მხოლოდ ისა, რომ რაღაც ახალი წიგნი გამოუცია.

ტესმანი. რას ამბობ! აილერტ ლევბორგს, ამ მოკლე ხანში? ჰა?

ქ-ნი ტესმანი. ჰო, ასე ამბობენ. ღმერთო ჩემო, ასეთი მნიშვნელოვანი აქ რა უნდა იყოს? მაგრამ თუ შენი ახალი წიგნი გამოვა — ეს სულ სხვა საქმე იქნება, იორგენ! რის შესახებ იქნება შენი წიგნი?

ტესმანი. შუასაუკუნეების ბრაბანტული ხელოსნობის შესახებ.

ქ-ნი ტესმანი. მოდი და ჭკუაზე ნუ შეირყევი! კაცს რომ ასეთ რამეებზე წერა შეგეძლოს, ხუმრობა საქმე ხომ არ არის!

ტესმანი. თუმცა, წიგნის გამოსვლას ჭერ კიდევ საკმაო დრო უნდა. ჭერ, ხომ იცი, მთელი ეს დაგროვილი მასალა წესრიგში უნდა მოვიყვანო.

ქ-ნი ტესმანი. ოლონდაც, შეგროვება და წესრიგში მოყვანა შენ კი გემარჯვება. ტყუილად კი არა ხარ ცხონებული იოხუმის შვილი.

ტესმანი. პატიოსნებას გეფიცები, გული არ მითმენს, ვიდრე ამ სახალისო საქმეს შევეუდგებოდე. მით უმეტეს, ახლა, როცა გავიჩინე საკუთარი მყუდრო ოჯახი, სადაც შემიძლია ვიმუშაო.

ქ-ნი ტესმანი. და, რაც მთავარია — როცა გვერდით გყავს ის, ვინც გულის სწორად მიგაჩნია.

ტესმანი (მოხევევა). ახ, მართალია, მართალია, მაიდა იულია! — ჰედა ხომ მშვენიერთა ხელმწიფეა! (ყარისკენ იაურება). მგონი, თვითონაც მოდის? რას იტყვი?

ჰედა გამორჩევა პატარა ოთახში, მარცხნიდან. ოცდაცხრა წლის ქალია. კეთილ-შობილური, გამორჩეული სახე აქვს, ზვიადი იერი, კანის ფერი მკრთალი, გარეგნობა მოხდენილი, ტანსარო. რუხი, ფოლადისფერი თვალები, ცივ, ნათელ სიმშვიდეს გამოხატავენ. თმები ლამაზი, ქერა, არცთუ ძალიან ხშირი. აცვია გემოვნებით, თავისუფალი სადილო სამოსელი.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი (ჰედას ეგებება) დილა მშვიდობისა. ძვირფასო. ჰედა! გულითადი სალაში, ჩემო თვალის ჩინო!

ჰედა (ზელს გაუწოდებს). დილა მშვიდობისა, ძვირფასო ქალბატონო ტესმან! ასე აღრიანად გვინახულეთ? დიდი ყურადღებაა თქვენის მხრივ.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი (თავს ოდნავ უხერხულად გრძნობს). ჰო... ძილი ხომ არაფერმა დაგიფრთხოთ ახალ სახლში?

ჰედა. არა, გმადლობთ. თითქმის კარგად მეძინა.

ტესმანი (იკინის). თითქმის! რატომ ძალიან კარგად არა, ჰედა! მე რომ ავდექი, მკვდარივით გეძინა.

ჰედა. საბედნიეროდ. მაინც ყველაფერს ახალსა და შეუჩვეველს უნდა შევეჩვიოთ ხოლმე, ქალბატონო ტესმან. ასე, თანდათან... (იყურება შარცხნივ.) აჰ! — გოგოს აივნის კარი გაუღია. ოთახში პირდაპირ მზის ოკეანე დამდგარა.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. (მიდის კარისაკენ). ახლავე დაეხურავ კარს.

ჰედა. არა, არა, ეგ კი არა! ძვირფასო ტესმან, ჩამოაფარე ფარლები. მზე მწვავედ აღარ დააჭერს.

ტესმანი (კართან). დიახ, დიახ... ასე, ჰედა — ახლა ჩრდილიც გექნება და თან სუფთა ჰაერიც.

ჰედა. სუფთა ჰაერი აქ მართლაც საჭიროა! ყვავილთა სურნელება... მაგრამ, ძვირფასო, რატომ არ დაბრძანდებით, ქალბატონო ტესმან?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. არა, დიდად გმადლობთ. უკვე გავიგე, რომ აქ ყველაფერი კარგად მიდის — მადლობა უფალს! ახლა კი დროა შინ წასვლაზე ვიფიქრო — ჩემს საბრალო ავადმყოფთან, მარტოკა რომ წევს და მოუთმენლად მელოდება!

ტესმანი. მომიკითხე მრავალჯერ, მრავალჯერ! თანაც უთხარი, რომ მერე მოვალ და ვინახულებ.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. დიახ, უთუოდ ვეტყვი — აჰ, მართლა, იორგენ, კინადამ სულ დამევიწყდა. (ეძებს სამოსის ჩიბუში.) აქ რალაც მაქვს შენთვის.

ტესმანი. რა, მამიდა? რა არის?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი (იღებს გახეთის ქალაღში გახვეულ რალს ნივთს და გადასცემს.) აჰა, ჩემო კარგო!



ტესმანი (ხსნის). ერიპა! არა — შენ ესენიც შემინახე. მაშიდა იე-  
ლია? ჰედა! შეხედე, — ეს მართლაც ამადლევებელია, არა?

ჰედა (ყარებთან მარჯვნივ). რა არის ჩემო საყვარელო?

ტესმანი. ჩემი სადილაო ფლოსტები! ძველი ფლოსტები!

ჰედა. აჰ, თურმე, რა ყოფილა! ჰო, მაგონდება, რა ხშირად ახ-  
სენებდი ამ ფლოსტებს ჩვენი მოგზაურობის დროს.

ტესმანი. მაშ, ძალიან მიმძიმდა უამათობა (მუახლოვდება) აი, ნა-  
ხე, ჰედა!

ჰედა (მიღის ღუმელთან). მომაშორე! სრულებით არ მაინტერესებს.

ტესმანი (მიხდევს). გამიგონე. მე ხომ ისინი მაშიდა რინამ ან-  
მიქარგა თავის ლოგინში — მძიმე სნეულებით შეპყრობილმა. აჰ, შენ  
არ დაიჯერებ, რამდენი მოგონება მაკავშირებს მე ამ ფლოსტებთან.

ჰედა (მაგიდასთან). მე კი — სწორედ არავითარი.

ქ-ნი ტესმანი. ჰედა მართალს ამბობს. იორგენ.

ტესმანი. დიახ, მაგრამ ახლა მე მიმაჩნია, რომ როცა ის ოჯა-  
ხის წევრი გახდა...

ჰედა (აწყვეტივნებს). ამ მოსამსახურე ქალს ძნელად აუ შევეწყო-  
ბით, ტესმან!

ქ-ნი ტესმანი. ძნელად შეეწყობით... ბერტას?

ტესმანი. ჩემო საუნჯევე, ეს რა აზრი მოგსვლია თავში, ა? შენ-  
გან არ მიკვირს?!

ჰედა (უჩვენებს). შეხედე! თავისი გაცვეთილი ქუდი სკამზე დაუგ-  
ლია.

ტესმანი (შეშინებული, ფლოსტები ხელიდან უვარდება). ჰედა!..

ჰედა. ერთი დაფიქრდი, ვინმე რომ მოსულიყო და ეს ენახა...

ტესმანი. მოიცა, ჰედა — ეს ხომ მაშიდა იულიას ქუდი!

ჰედა. მართლა?

ქ-ნი ტესმანი (იღებს ქუდს). სწორედ ჩემია. და სხვათა შორის,  
გაცვეთილი სულაც არ არის, ქალბატონო ჰედა!

ჰედა. ჩანს კარგად ვერ დავათვალე, ქალბატონო ტესმან.

ქ-ნი ტესმანი (იხურავს ქუდს და იყრავს ბაფთებს). ჰოდა, სწორედ  
რომ გითხრათ, დღეს პირველად დავიხურე. დიახ, ღმერთია მოწმე,  
მართალს ვამბობ.

ტესმანი. და მერე რა კობტაა! პირდაპირ ჩინებულია!

. ქ-ნი ტესმანი. დიდი არაფერი, შეილო იორგენ (მიმოიხედავს.) ჩემი ქოლგაც აქ იყო სადღაც... ჰო, აგერ! (იღებს.) ესეც ჩემია. (ბუზღუნით.) და არა ბერტასი.

ტესმანი. ახალი ქუდი და ახალი ქოლგა! წარმოიდგინე, ჰელა ხომ კარგია?

ჰელა. კობტა და მოხდენილი ჩანს.

ტესმანი. არა, მართლა, ხომ ასეა? აბა, მამიდა, ვიდრე წახვიდოდე, ერთი ყურადღებით შეავლე თვალი ჰელას. შეხედე, რა კობტა და მოხდენილია ჩვენი ჰელა! მზეს ეთამაშება.

- ქ-ნი ტესმანი. აჰ, ჩემო ბავშვო, ეს ხომ ახალი ამბავი არ არის, ჰელა თავიდანვე მომხიბლავი იყო. (თავის დაკვრით გადის მარჯვნივ.)

ტესმანი (მიჰყვება). მაგრამ განა შენ არ შენიშნე, როგორ გაფურჩქნა, გაივსო და მოიმატა ამ მოგზაურობის დროს?

ჰელა (წინ და უკან დადის, მობრუნდა). მოეშვი ამაზე ლაპარაკს!

ქ-ნი ტესმანი (ჩერდება, მობრუნდება). მოიმატა?

ტესმანი. დიახ, მამიდა იუღია! მართალია, ამ კაბაში ისე არ ეტყობა, მაგრამ მე მაქვს საფუძველი...

ჰელა (მინიან კართან). ახ, ტესმან, შენ არაფრის საფუძველი არა გაქვს!

ტესმანი. ეს ტიროლის მთების ჰაერს უნდა მიეწეროს.

ჰელა (მოკლედ მოუჭრის). სავსებით ისეთივე ვარ, როგორიც გამგზავრების წინ ვიყავი.

ტესმანი. თვითონ კი ასე ამტკიცებ, მაგრამ თუ მართალი არა ხარ? შენ როგორღა ფიქრობ, მამიდა იუღია?

ქ-ნი ტესმანი. (გულხელდაკრეფილი უყურებს ჰელას.) მშვენიერია, მშვენიერი, მომხიბლავია ჰელა. (მივა, ორივე ხელით დახრის მის თავს და თბობს აკოცებს.) ღმერთო მალალო, შენ დაიფარე ჰელა ტესმანი! — იორგენის სასიხარულოდ!

ჰელა (ფრთხილად ითავისუფლებს თავს). ახ, გამიშვით, გეყოფათ!

ქ-ნი ტესმანი (წყნარად, აღელვებით). ჩემო ცუგრუმელებო, ყოველ ცისმარე დღეს თქვენთან გავჩნდები.

ტესმანი. ეგრე, მამიდა, მოხვალ ხოლმე, არა?

ქ-ნი ტესმანი. ნახვამდის, ნახვამდის!

გადის წინა კარიდან. ტესმანი აცილებს. კარი ნახევრად ღია რჩება. ისმის ტესმანის ხმა: მადლობას უხდის ფლოსტებისათვის და სახოვს მოიკითხოს მამიდა რინა. ამ დროს ჰედა ოთახში დადის და გაშმაგებით იმტერებს ხელებს. მერე ჰიდის მიწიან კართან, გადასწევს ფარლებს, შედგება და სიერტეს აშტერდება. მცირე ხნის შემდეგ ტესმანი ბრუნდება და წინა ოთახის კარს მოიხურავს.

ტესმანი (იღებს ფლოსტებს იატაკიდან) რას უყურებ, ჰედა? .. ჰედა .. (შშვიდალ).. აქედან, მხოლოდ ფოთლებს ვხედავ, როგორ დამქენარა, გაყვითლებულა.

ტესმანი (ფლოსტებს სკამზე დააწყობს). რა გასაკვირია, უკვე სექტემბრის შუა რიცხვებია.

ჰედა (ცვლავ მღელვარებით). მართლაც, ასეა. უკვე სექტემბერია.

ტესმანი. მითხარი, ჰედა, დღეს მამიდა იულია რაღაც უცნაური ხომ არ გეჩვენა? ერთგვარად საზეიმოდ გამოიყურებოდა, არა? ხომ ვერ ხვდები, რა მოუვიდა? ჰა?

ჰედა. მე ხომ შენს მამიდას თითქმის არ ვიცნობ! განა ყოველთვის ასეთი არ არის?

ტესმანი. დღეს სხვანაირი იყო.

ჰედა (კარს მოშორდება). შენ გგონია, რომ ქუდის ამბავი საწყენად დარჩა?

ტესმანი. ოჰ, არა, არც ისე. შეიძლება უცბად ოდნავ ეწყინა...

ჰედა. აბა, რა საქციელია ქუდის დაგდება სასტუმრო ოთახში? ეს ხომ მიღებული არაა!

ტესმანი. ჰო, მაგრამ დარწმუნებული იყავი, რომ მამიდა იულია ამას აღარ გაიმეორებს.

ჰედა. მეც ჩემის მხრით მზადა ვარ კვლავ კეთილი სახე ვუჩვენო.

ტესმანი. აჰ, ძვირფასო, კეთილო ჰედა! ოღონდ კი ეს ასურვე და...

ჰედა. თუ მათთან გაივლი, შეგიძლია დღეს ვახშმად მოიპატიეო.

ტესმანი. ნამდვილად, ასედაც მოვიქცევი! მერე, მე ვიცი კიდე ერთი რამ, რითაც შეგიძლია მამიდას განუსაზღვრელი სიხარული მიანიჭო.

ჰედა. რა?

ტესმანი. თუ შეგიძლია თავს ძალა დაატანო და მამიდას „შენობით“ ელაპარაკო... ჩემი გულისათვის, ჰედა! ჰა, რას იტყვი?

ჰედა. არა, არა, ტესმან — ამას კი ნამდვილად ვერ მიაღწევ. ეს

ერთხელ უკვე გითხარი! მამიდა კი შეიძლება დაეუძახო. ვეცდები. ამაზე შევჩერდეთ.

ტესმანი. შენი ნებაა. მაგრამ, ჩემის აზრით, რაკი ახლა უკვე ჩვენს ოჯახს ეკუთვნი...

ჰედა. ჰმ!.. ეს ჭერ კიდევ საკითხია. (მიღის ოთახის სიღრმეში.)

ტესმანი (ოროლოდ ნაზიკით). რა გემართება, ჰედა? მითხარი...

ჰედა. არაფერი, მე მხოლოდ ჩემს ძველ ფორტეპიანოს ვათვალიერებ. როგორღაც არ შეეხამება სხვა ნივთებს.

ტესმანი. როცა პირველ ხელფასს ავიღებ, გამოვცვალოთ.

ჰედა. არა, კი არ გამოვცვალოთ! არ მინდა თავიდან მოვიცილო. უმჯობესი იქნება პატარა ოთახში დავდგათ. აქ კი, სასტუმრო ოთახისათვის, შეიძლება ახალი შევიძინოთ... თუ შემთხვევა მოგვეცემა-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

ტესმანი (გაუბედავად). ჰო... ასეც შეიძლება.

ჰედა (იღებს ფორტეპიანოდან ყვავილების თაიგულს). გუშინ რომ ჩამოვედით, აქ ეს ყვავილები არ ეწყო.

ტესმანი. ალბათ, მამიდა იულიამ მოგიტანა.

ჰედა (ჩაიხედავს თაიგულში). ხედავ, სადარბაზო ბარათია! (იღებს და კითხულობს). „შემოვივლი დღეს მოგვიანებით“. გამოიცანი, ვისგანაა?

ტესმანი. ვერა. ვისგანაა? ჰა?

ჰედა. აქ წერია: „ქალბატონი ელვსტედი“.

ტესმანი. ნუთუ ეს შესაძლებელია? ქალბატონი ელვსტედი! ფრეკენ რისინგი, როგორც ადრე ეძახდნენ!

ჰედა. უეჭველად. სწორედ ისაა, თავისი აუტანელი თმებით ყველგან რომ მოჰქონდა თავი. შენი ძველი სატრფო, როგორც გადმომცეს...

ტესმანი (იღინის). აბა, რა სათქმელია! ეს ამბავი მალე დასრულდა. მერედა, ეს იყო ადრე, შენს გაცნობამდე, ჰედა. მაგრამ, წარმოდგინე, მაშინ ქალი ისევ ამ ქალაქშია!

ჰედა. საყურადღებოა, რომ დარბაზობასაც გვპირდება. მე ამ ქალს მხოლოდ ინსტიტუტიდან ვიცნობ.

ტესმანი. მეც არსად მინახავს — ღმერთმა უწყის, უკვე რამდენი ხანია. მაინც როგორ ძლებს ზემოთ, იმ თავის მიყრუებულ კუთხეში? საინტერესოა!

ჰედა (ფიჭრის შემდეგ, სწრაფად). ერთი მითხარი, ტესმან... სადმე

იმ მიყრუებულ კუთხეში ხომ არ იმყოფება ისიც... აილერტ ლევ-  
ბორგი?

ტესმანი. მგონი, კი, იმავე ზემო მხარეშია.

გამოჩნდება ბერტა.

ბერტა. მოწყალეო ქალბატონო, ისევ. მოვიდა ის ქალი,  
მეირე ხნის წინათ რომ თაიგული მოგართვათ. (უჩვენებს.) აი, ენა,  
ქალბატონო, ხელში რომ გიკვირავთ.

ჰედა. აჰა! მოვიდა? სთხოვეთ, მობრძანდეს.

ბერტა კარს უღებს ქალბატონ ელესტედს და თვითონ გადის. ელეს-  
ტედი პატარა, კოჭია ქალია, სახის მშვენიერი, ნაზი ნაკვებით. ღია ცისფერი,  
დიდრონი მრავალი თვალები ოდნავ წინ წამოწეული აქვს, უბირი და კითხვის გა-  
მოხატველი გამომეტყველებისა. თბა შესამჩნევად ღია ფერისა. თითქმის მოთეთრო-  
ქერა. არაჩვეულებრივად ხშირი და ტალღოვანი. ორი წლით უმცროსია ქედაზე.  
მუქი ფერის სავარეო სამოსი აცვია. გამოწყობილია გემოვნებით, მაგრამ არა უკა-  
ნასკნელი მოღის მიხედვით.

ჰედა (მეგობრულად ეგებება). გამარჯობათ, ძვირფასო ქალბატო-  
ნო ელესტედი! მოხარული ვარ, რომ ისევა გზედავთ.

ქნი ელესტედი (აღაღებთ, ცდილობს თავდაქერას). დიახ, საშინ-  
ლად დიდი ხანია, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს.

ტესმანი (ხელს გაუწვდის). და არც ჩვენ! ჰა?

ჰედა. დიდად მადლობელი ვარ თქვენი მშვენიერი ყვაილებისათ-  
ვის.

ქნი ელესტედი. ახ, არა ღირს... მინდოდა გუშინ ნასადილეგს  
შემომეველო, მაგრამ მითხრეს, მოგზაურობიდან ჯერ არ დაბრუნე-  
ბულანო...

ტესმანი. მგონი, თქვენც ახალი ჩამოსული ხართ ქალაქში, არა?

ქნი ელესტედი. გუშინ შუადღისას ჩამოვედი... და ლამის სა-  
სოწარკვეთილებაში ჩავვარდი, როცა გავიგე. რომ თქვენ ქალაქში არ  
იმყოფებოდით.

ჰედა. სასოწარკვეთილებაში? მერე, რატომ?

ტესმანი. ჩემო უძვირფასესო ქალბატონო რისინგ... ქალბატო-  
ნო ელესტედი, მინდოდა შეთქვა...

ჰედა. რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვათ?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. სწორედ რომ შემემთხვა! მე კი აქ კაციშვილს არ ვიცნობ, რომ გასაქირი შევჩივლო.

ჰ ე დ ა (თაიგულს მაგიდაზე ათავსებს). მობრძანდით აქეთ, დივანზე დავსხდეთ...

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ახ, დაჯდომის დრო და თავიც აღარა მაქვს. ჰ ე დ ა. როგორ არა გაქვთ! მოდით ერთი. (ძალით დასვაშს დივანზე და თვითონაც გვერდით მოუჯდება).

ტ ე ს მ ა ნ ი. აბა, ძვირფასო ქალბატონო, ახლა გვიამბე...

ჰ ე დ ა. ისეთი ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. მოხდა და არც მოხდა. აჰ, როგორ გულით მინდა, რომ ეს თქვენ ცუდად არ მიიღოთ!

ჰ ე დ ა. ამ შემთხვევაში ყველაფერს ემჭობინება, თუ სათქმელს პირდაპირ იტყვი, ქალბატონო ელვისტედ.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, პირდაპირ მოგახსენებთ. იცით თუ არა, რომ აილერტ ლევბორგიც აქ არის, ქალაქში?

ჰ ე დ ა. ლევბორგი?

ტ ე ს მ ა ნ ი. რაო? აილერტ ლევბორგი ისევ აქ არის? წარმოიდგინე, ჰედა!

ჰ ე დ ა. ღმერთო ჩემო! თვითონაც მესმის.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. უკვე მთელი კვირაა აქ იმყოფება. მარტო ამის გაფიქრება — მთელი კვირა! ამ საშინელ ქალაქში, მარტოდმარტო — იქ, სადაც ამდენი ცუდი ადამიანია!..

ჰ ე დ ა. კი, მაგრამ, უძვირფასესო ქალბატონო ელვისტედ, თქვენ მაინც რა გესაქმებათ მასთან?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (უცქერის დაფანტულად, სწრაფად ეტყვის). ბავშვებს ასწავლიდა...

ჰ ე დ ა. თქვენს შვილებს?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ჩემი ქმრის შვილებს. მე შვილები არა მყავს.

ჰ ე დ ა. გამოდის, რომ თქვენს გერებს.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ.

ტ ე ს მ ა ნ ი (ცდლობს არ შეეშალოს). განა ეს კაცი იმდენად... აღარ ვიცი, როგორ გამოვთქვა... განა იმდენად... გამოსწორდა ყოფაცხოვრების საკითხებში, რომ ასეთ რამეებს ანდობენ? ჰა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ამ უკანასკნელ წლებში მის შესახებ სათაკილო არაფერი ითქმოდა.

ტესმანი. მართლა, განა? წარმოიდგინე, ჰედა!

ჰედა. მესმის-მეთქი.

ქ-ნი ელვსტედი. სრულიად არაფერი, გარწმუნებთ! არც ერთ საქმეში! მაგრამ მაინც... რაჯი ვიცი, რომ ამ ქალაქში იმყოფება... და ხელთ აქვს დიდძალი ფული... ლამის შიშის ქარმა ამიტანოს!

ტესმანი. მერე, დარჩენილიყო იქ, სადაც იმყოფებოდა! — თქვენთან და თქვენს ქმართან, ჰა?

ქ-ნი ელვსტედი. მას შემდეგ, რაც მისი წიგნი გამოვიდა, ჩვენსას მოსვენება დაკარგა, გული აქეთკენ მოუწევდა.

ტესმანი. აჰ, მართლა, მაშინდა იულიამ გვითხრა, ახალი წიგნი გამოსცაო.

ქ-ნი ელვსტედი. ჰო, გამოსცა დიდი ახალი წიგნი, რაც კულტურის განვითარებას ეხება — ისე, საერთოდ. სულ რაღაც თოთხმეტი დღეა. მერე, როგორ გაიყიდა და როგორ კითხულობენ! ნამდვილი სენსაცია მოახდინა.

ტესმანი. ჰო? მაშ სენსაცია მოახდინა? ეტყობა, თავისი სიჭაბუკის დროს დაგროვილი ძვირფასი მასალები გამოიყენა, არა?

ქ-ნი ელვსტედი. თქვენ სულ ადრინდელ მასალებს გულისხმობთ?

ტესმანი. დიახ.

ქ-ნი ელვსტედი. არა, თავიდან ბოლომდე ჩვენსას დაწერა, ამ რაღაც ერთ წელიწადში.

ტესმანი. რა სასიამოვნო ამბავია, ჰედა! შენ წარმოიდგინე...

ქ-ნი ელვსტედი. ახ, სულ რომ ასე გაგრძელდებოდეს!

ჰედა. თქვენ უკვე ნახეთ აქ ლეგებორგი?

ქ-ნი ელვსტედი. არა, ჯერ არა. ძალიან გამოიჭირდა მისი მისამართის გაგება, დღეს დილით კი, როგორც იყო, მივიღე.

ჰედა (გამომდელი თვალით უყურებს). უნდა გამოგიტყდეთ, მიკვირს, რომ თქვენმა ქმარმა... ჰმ!..

ქ-ნი ელვსტედი (ნერვულად შეკრთება). ჩემმა ქმარმა? რა?

ჰედა. რომ მან ასეთი დავალებით ქალაქში თქვენ გამოგაგზავნათ; რომ ის თვითონ არ მოდის თავისი მეგობრის მოსანახავად.

ქ-ნი ელვსტედი. ახ, არა, არა! ჩემს ქმარს საამისო დრო არა აქვს. გარდა ამისა, რაღაც საყიდლებიცა მქონდა.

ჰედა (ირონიული ღიმილით). ჰო, მაშინ სხვა საქმეა.

ქ-ნი ელვსტედი (მოუსვენრად და სწრაფად აღგება). ახლა მე გთხოვთ უაღრესად კეთილი და წმინდა გულით, ბატონო ტესმან — მიიღეთ ლეგობორგი მეგობრულად, თუ თქვენსას მოვიდეს! მოსვლით კი უსათუოდ მოვა. ღმერთო ჩემო, თქვენ ხომ უწინ ისეთი გულითადი მეგობრები იყავით! მერე, თქვენ ხომ ერთსა და იმავე დარგში მუშაობთ! რამდენადაც მე განსჯა შემიძლია, ორივე ერთ მეცნიერებას ემსახურებით.

ტესმანი. ჰო, როგორ არა — ყოველ შემთხვევაში, ასე იყო უწინ.

ქ-ნი ელვსტედი. ჰოდა, ამიტომაც, გულწრფელად გთხოვთ. ღვთის გულისათვის, თქვენც თვალი გეჭიროთ ამ კაცზე. ოჰ, აღმი-თქვით! ხომ აღმითქვამთ, ბატონო ტესმან?

ტესმანი. კი, დიდი სიამოვნებით, ქალბატონო რისინგ...

ჰედა. ელვსტედ!

ტესმანი. სულითა და გულით მზადა ვარ გავაკეთო აილერტი-სათვის ყველაფერი. რაც კი შემეძლება. ამაში შეგიძლიათ დარწმუნე-ბული იყოთ.

ქ-ნი ელვსტედი. ახ, რა გულკეთილობასა და თავაზიანობას იჩენთ! (არბმევს ხელს.) გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ! (შეშინე-ბული, გონს მოღის). ჩემი ქმარი პირდაპირ გადაყოლილია ამ კაცზე.

ჰედა (აღგება). მე მგონია, რომ შენ ლეგობორგს უნდა მისწერო, ტესმან. საეჭვოა, რომ თავისით ის შენთან მოვიდეს.

ტესმანი. მართლაც, ეს ყველაზე უფრო ახლო იქნება კუქასთან, არა, ჰედა?

ჰედა. და რაც უფრო მალე იზამ, მით უკეთესი. თუნდაც ახ-ლავე.

ქ-ნი ელვსტედი (თხოვნით). მეც გთხოვთ! თუ შეიძლება...

ტესმანი. ამ წუთში დავწერ. გაქვე, მისამართი, ქალბატონო... ქალბატონო ელვსტედ?

ქ-ნი ელვსტედი. მაქვს. (იღებს ბარათს ჟიბიდან.) აგერ არის.

ტესმანი. კეთილი, კეთილი, მივდივარ. (მოძოხვდავს.) სადაა ჩემი ფლოსტები? აჰ, აგერ (იღებს შეკვრას და წასვლას აპირებს.)

ჰედა. მისწერე გულთბილად და მეგობრულად, თანაც დაწვრი-ლებით.



ტ ე ს მ ა ნ ი. კი, მეც ასე ვფიქრობ.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. მაგრამ, გევედრებით, გევედრებით, სიტყვა არ დასძრათ იმაზე, რომ ეს მე გთხოვეთ!

ტ ე ს მ ა ნ ი. არა, ეს თავისთავად ცხადია, როგორ იქნება? (გადის მარჯვნივ, უკანა ოთახში.)

ჰ ე დ ა (უახლოვდება ელვსტედს, იღიმება. ხმადაბლა). ასე! ახლა ჩვენ ერთდროულად ორი კუროდელი დავიჭირეთ.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ამით რას გულისხმობთ?

ჰ ე დ ა. განა ვერ მიხვდით, რატომ მოვიშორე თავიდან ტესმანი?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ცხადია: რომ წერილი მისწეროს...

ჰ ე დ ა. ხოლო ჩვენ კი ცალკე მოვილაპარაკოთ.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (დაბნეულად). იმავე საკითხზე?

ჰ ე დ ა. სწორედ იმავე საკითხზე.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (ფრიალ შეშფოთებულად). მაგრამ აქ მეტი არაფერი არ არის, ქალბატონო ტესმან! ნამდვილად არაფერი.

ჰ ე დ ა. ო; პირიქით, ნამდვილად არის, — კიდევ უფრო. მნიშვნელოვანი რამ, თუ არა ვცდები. მოდით ჩემთან, ერთად დავსხდეთ და გულახდილად ვილაპარაკოთ. (ძალით დასვამს ღუმელთან სავარძელში და თვითონ სკამზე ჯდება.)

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (მეშინებულადა, აქეთ-იქით ახედება). მაგრამ, ჩემო საყვარელო, კეთილო ქალბატონო ტესმან, სწორედ ახლა წასვლას ვაპირებდი.

ჰ ე დ ა. აბა, ასე საჩქარო რა არის? ერთი მიაშბეთ, როგორ მიდის საქმეები თქვენსას, ოჯახში?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ოჰ, სწორედ ამის ირგვლივ ყველაზე ნაკლებ მუხალისება ლაპარაკი.

ჰ ე დ ა. მე კი პირიქით, ჩემო კარგო... ღმერთო ჩემო, ჩვენ ხომ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ, მაგრამ თქვენ ერთი კლასით წინ იყავით. ახ, რარიგად მეშინოდა მაშინ თქვენის!

ჰ ე დ ა. გეშინოდათ? ჩემი?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ. შიშით ვცახცახებდი. თუ კიბეებზე შემხვდებოდით, მაშინვე თმებში მტაცებდით ხელს და მწიწკნიდით.

ჰ ე დ ა. მართლა? განა ასე ვიქცეოდი?

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, და ერთხელ კიდევ მითხარით, შენს თმებს დავწვავო.

ჰედა. ეს ალბათ უბრალოდ ვიხუმრე.

ქ-ნი ელვსტედი. რა თქმა უნდა, მაგრამ მაშინ ისე უგუნური ვიყავი, რომ მჯეროდა... შემდეგ კი, ყოველ შემთხვევაში, ასე დავშორდი... ჩვენ სხვადასხვა წრეებს ვეკუთვნოდით.

ჰედა. მაშ ახლა მაინც ვეცადოთ ერთიმეორეს დავუახლოვდეთ. გამიგონეთ! ინსტიტუტში ხომ ერთმანეთს „შენობით“ მივმართავდით, უბრალოდ სახელს ვეძახდით ერთიმეორეს!

ქ-ნი ელვსტედი. არა, თქვენ ამაში ცდებით.

ჰედა. არა, სულაც არა. ეს ძალიან კარგად მახსოვს. მე მსურს ახლაც ისევ ინტიმური ვიყოთ, როგორც ერთ დროს ვიყავით. (ისწევს სკამს ახლოს.) ასე! (ლოუაზე კონის.) ახლა მითხარი „შენ“ და დამიძახე „ჰედა“.

ქ-ნი ელვსტედი (ხელებს უპერს და ხელს უსვამს). ახ, რა გულითაღობა და მეგობრული გრძნობაა! ასეთ რამეს სწორედ არა ვარ მიჩვეული.

ჰედა. ასე, ასე, ასე! დღეიდან მოგმართავ „შენობით“ და გიწოდებ თორას, როგორც უწინ.

ქ-ნი ელვსტედი. მე თეა მქვია.

ჰედა. ჰო, მართლა! რა თქმა უნდა თეა მინდოდა მეთქვა. (თანაგრძნობით შესცქერის.) მაშ ასე, თეა, მეგობრულ და თავაზიან მოპყრობას არა ვარო მიჩვეული, ამბობდი, არა? შენსას, ოჯახში, არა?

ქ-ნი ელვსტედი. ახ, მე რომ ეს „ოჯახი“ მქონოდა! მაგრამ ოჯახი არა მაქვს. არასოდეს არა მქონია.

ჰედა (ერთი წამით შავლებს თვალს). მეც ვიგრძენი, რომ რაღაც ამდაგვარი ამბავი იყო.

ქ-ნი ელვსტედი (უმწიოდ დაიხედავს ძირს). დიახ... დიახ... დიახ..

ჰედა. კარგად არ მაგონდება... პირველად ბატონ ელვსტედთან მგონი ოჯახის მნედ იყავი, არა?

ქ-ნი ელვსტედი. ჰო... ესე იგი, ბავშვების აღმზრდელად ამიყვანა. მაგრამ მისი მეუღლე — მაშინდელი მეუღლე — ავადმყოფი ქალი იყო და სულ მუდამ იწვა. ამიტომ ოჯახური საქმიანობაც მე დამაწვა.

ჰედა. შემდეგ კი, ბოლოს და ბოლოს. ბატონ ელვისტედის მეუღლე გახდი?

ქ-ნი ელვისტედი (ყრუდ). ჰო, შემდეგ ასე მოხდა.

ჰედა. მოიცადე... რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ?

ქ-ნი ელვისტედი. რაც მე გავთხოვდი?

ჰედა. დიახ.

ქ-ნი ელვისტედი. უკვე ხუთი წელი გავიდა.

ჰედა. ჰო, სწორია, მეც ასე ვფიქრობდი.

ქ-ნი ელვისტედი. ოჰ, ეს ხუთი წელიწადი!.. მეტადრე ეს უკანასკნელი ორი-სამი!.. თქვენ რომ ამის წარმოდგენა შეგეძლოთ...

ჰედა (ხელზე მსუბუქად დაკრავს). „თქვენ“? გრცხვენოდეს, თეა!

ქ-ნი ელვისტედი. არა, არა... ერთი ვცადო... შენ რომ ამის გაგება და წარმოდგენა შეგეძლოს...

ჰედა (დაუდევრად). მგონი, მას შემდეგაც სამი წელი გავიდა, რაც აილერტ ლევბორგი იქ არის, თქვენთან, ზემოთ.

ქ-ნი ელვისტედი (ემპიით შესცქერის). აილერტ ლევბორგი? დიახ, ასეა.

ჰედა. ადრე თუ იცნობდი მას, ქალაქში?

ქ-ნი ელვისტედი. სრულიადაც არა. ესე იგი, სახელი კი გამეგონა, რა თქმა უნდა.

ჰედა. იქ ზემოთ კი... თქვენს სახლში დაიწყო სიარული, არა?

ქ-ნი ელვისტედი. დიახ, ჩვენსას ყოველდღე დადიოდა. ბავშვებს ამეცადინებდა. მარტო მე ყველაფერს ხომ ვერ გავწვდებოდი!

ჰედა. ეს გასაგებია... შენი ქმარი? ალბათ ხშირად მოგზაურობს?

ქ-ნი ელვისტედი. დიახ. მოგეხსენებათ... ხომ იცი, თანამდებობით მოვალეა თავის ოლქში იაროს.

ჰედა (სკამის ზურგს ეყრდნობა). თეა, ჩემო ძვირფასო, საბრალო თეა. ახლა კი ყველაფერი დაწვრილებით უნდა მიაბმო — ისე, როგორც სინამდვილეშია.

ქ-ნი ელვისტედი. კი, მაგრამ შეკითხვები მომეცი.

ჰედა. ერთი გამაგებინე, რანაირი კაცია შენი ქმარი, თეა? აი, შენთან მოპყრობას ვგულისხმობ. ესე იგი, კარგად თუ გექცევა?

ქ-ნი ელვისტედი (ორჰოფულად). მისი აზრით, რაააც კი თვითონ ინებებს და გააკეთებს, ყველაფერი კარგია.

ჰედა. მე ვფიქრობ. რომ შენთვის ძალზე ხშიერია; მგონი. ოცი წლით არის უფროსი. არა?

ქ-ნი ელვსტედი (გაბრაზებით). ესეც მართალია. რომელი ერთ ვთქვა? არაფერში არ შემეფერება. ერთი საერთო აზრი არაფერში არა გვაქვს, სრულიად არაფერში!

ჰედა. მაინც ხომ გაფასებს, ხომ უყვარხარ... თუნდაც თავისებურად?

ქ-ნი ელვსტედი. აჰ. აბა. რა ვიცი! ჩემში ის ხედავს მხოლოდ იმას. რაც მას ესაჭიროება. თან კიდევ ჩემი შენახვა არც ისე ძვირი უჯდება. მე ხომ იაფფასიანი ქალი ვარ!

ჰედა. სისულელეს ლაპარაკობ!

ქ-ნი ელვსტედი (თავს აქნევს). რა გაეწყობა, მაინც ასეა. ამ კაცთან მაინც. ასეა. ვგონებ, ამქვეყნად მხოლოდ საკუთარი თავი უყვარს. თუმცა, შეიძლება სულ ცოტათი შეილებიც უყვარდეს.

ჰედა. აგრეთვე აილერტ ლევბორგიც, თეა!

ქ-ნი ელვსტედი (უაქრის). აილერტ ლევბორგი? რამ გაფიქრებინა?

ჰედა. აბა როგორ ავხსნა, ჩემო საყვარელო — რაკი აილერტის მოსაძებნად ამ სიშორეზე გგზავნის, ქალაქში? (ოდნავ შესამჩნევი ლიბილით) და. გარდა ამისა შენ ხომ ასე უთხარი ტესმანს!

ქ-ნი ელვსტედი (ნერვიული შეკრთოვით). ახ, როგორ არა! შესაძლებელია. (შინაგანი მღელვარებით, მაგრამ ხმადაბლა.) არა, უმჯობესია ყოველივე პირდაპირ გითხრა. სულ ერთია, ადრე თუ გვიან ყველაფერი დღის სინათლეზე გამოვა.

ჰედა. მერე, ჩემო საყვარელო თეა?..

ქ-ნი ელვსტედი. აჰა, მოკლედ და გარკვევით! ჩემმა ქმარმა ჩემი გამომგზავრების შესახებ არა იცის რა!

ჰედა. როგორ? შენმა ქმარმა არა იცის რა?

ქ-ნი ელვსტედი. სრულიად არაფერი! შინ არც კი იყო. საქმეებზე გაემგზავრა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ჰედა! იქ დარჩენა შეუძლებელი გახდა! მე იმ სახლში საშინელი მარტოობა მელოდა.

ჰედა. მერე? მერე?

ქ-ნი ელვსტედი. მერე. შევახვიე ჩემი ნივთები... რაც ყველაზე აუცილებელი იყო... ჩუმად, უხმაუროდ... და სახლიდან წამოვედი.

ჰედა. ასე უბრალოდ?

ქ-ნი ელვსტედი. ასე, ბევრი ფიქრის გარეშე. მაშინვე რკინი-  
გზით აქეთ გამოვეშურე.

ჰედა. კი, მაგრამ, ჩემო კარგო, ძვირფასო თეა, — ეს რანაირად  
გაბედე? ქვეყნის ყბაში თავის ჩაგდება...

ქ-ნი ელვსტედი (აღება, გაივლის-გამოივლის). მაშ სხვა რა დამ-  
რჩენოდა? რა ქვა უნდა მეხალა თავში?

ჰედა. ახლა რას ფიქრობ. რას იტყვის შენი ქმარი, შინ რომ  
დაბრუნდები?

ქ-ნი ელვსტედი (მაგიდასთან. ჰედს უცქერის). შინ, მასთან?

ჰედა. დიახ, ქმართან?

ქ-ნი ელვსტედი. მე მასთან აღარასოდეს დავბრუნდები.

ჰედა (უცქერის, აღება და მიუახლოვდება). როგორ ლაპარაკობ —  
სავსებით მიატოვე?

ქ-ნი ელვსტედი. სხვა გზა აღარა მქონდა.

ჰედა. შენც ადექი და საქვეყნოდ, ყველას დასანახავად, ქმარს  
გაექეცი?

ქ-ნი ელვსტედი. ახ, ასეთ რამეს, სულ ერთია ვერ დაფარავ.

ჰედა. ახლა რას ფიქრობ, თეა? რას იტყვის ხალხი?

ქ-ნი ელვსტედი. ვისაც რა ენებოს, ისა თქვას. (დაქანული ჩა-  
ეშვება სავარძელში.) ღმერთია მოწმე, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც  
არ უნდა ჩამედინა.

ჰედა (მცირე პაუზის შემდეგ). ახლა რას აპირებ? რა გაქვს გულში?

ქ-ნი ელვსტედი. ჯერ ეს არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ ერთი  
რამ: უნდა ვიცხოვრო იქ, სადაც აილერტ ლევბორგი იცხოვრებს —  
თუკი საერთოდ უნდა ვიცხოვრო სადმე.

ჰედა (სკამს მისწევს, ხელზე ხელს უსვამს). გამიგონე ჩემო თეა... რო-  
გორ დაიწყო ეს... შენი და აილერტ ლევბორგის მეგობრობა?

ქ-ნი ელვსტედი. ოჰ, ჩვენ ისე, თანდათანობით დავმეგობრდით.  
ჩემდა შეუმჩნეველად რაღაც ზეგავლენა მოვიპოვე ამ კაცზე.

ჰედა. მართლა?

ქ-ნი ელვსტედი. თავის ძველ ჩვევებზე ხელი აიღო. იმიტომ  
კი არა, რომ მე ვთხოვდი... ამის თქმას ვერც გავბედავდი. მაგრამ ის  
ამჩნევდა, რომ რაღაც არ მომწონდა. ჰოდა ასე მიატოვა.

ჰ ე დ ა (დაძინავ ლიპილ ფარავს). გამოდის, რომ, როგორც იტყვიან, დაცემული აღადგინე, — შენ, პატარა თეამ!

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ჰო, ასე ამტკიცებს თვითონაც, ყოველ შემთხვევაში. მან კიდევ — თავის მხრივ — ჩემგან ნამდვილი აღამიანი გამოიყვანა. მასწავლა აზროვნება... ყველაფრის გაგება.

ჰ ე დ ა. ჩანს, შენც გამეცადინებდა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. არა, კი არ გამეცადინებდა. მაგრამ ეს მეღაპარაკებოდა ბევრსა და ათასგვარ რამეზე. ბოლოს დადგა მშვენიერი, ბედნიერი დრო, როცა შეეძელი მის შრომაში მონაწილეობის მიღება! საამისო ნებართვაც მისგანვე მივიღე.

ჰ ე დ ა. ნუთუ შენ ეს შესძელი?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ! როცა წერდა, მუდამ ჩემთან თათბირობდა ხოლმე. ჩვენ ორნი ერთად ვმუშაობდით.

ჰ ე დ ა. კარგი ამხანაგებივით, არა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (ცოხლად). ამხანაგებივით! დიახ, წარმოიდგინე, ჰედა, თვითონაც ასე ამბობდა! ახ, რა ბედნიერად შეიძლებოდა ჩამეთვალა თავი! მაგრამ საამისო ძალაც არ შემწევს, რადგან არ ვიცი, როდემდე გაგრძელება ასე.

ჰ ე დ ა. განა მისი იმედი არა გაქვს?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (ტანჯვით). ქალის აჩრდილი დგას ჩემსა და ლეებორგს შორის.

ჰ ე დ ა (დაძაბულად უცქერის). ვინ უნდა იყოს?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. არ ვიცი. რომელიღაც მისი... მისი ძველი ნაცნობი, რომლის დავიწყებაც დღემდე ვერ შესძლო.

ჰ ე დ ა. განა აილერტმა რამე თქვა ამის შესახებ?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. თქვა მხოლოდ ერთხელ... ისიც გაკვრით...

ჰ ე დ ა. მერე? მაინც, რა თქვა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ასე თქვა: როცა ერთმანეთს ვშორდებოდით, იმ ქალმა დამბაჩით ჩემი მოკვლა განიზრახაო.

ჰ ე დ ა (ცოვად თავაჭერით). ახ, რას ამბობ! ასეთი რამ აქ როგორღაც მიღებული არაა.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ, არ არის. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს იყო წითელთმიანი მომღერალი ქალი, რომელიც ერთ დროს...

ჰ ე დ ა. ჰო, შეიძლება.

ქ-ნი ელვსტედი. მით უმეტეს. როგორც მაგონდება, მის შესახებ ამბობდნენ, გატენილ იარაღს ატარებსო.

ჰედა. ჰოდა, რა თქმა უნდა, ის იქნებოდა.

ქ-ნი ელვსტედი (ხელმს იბტრავს). მაგრამ. წარმოიდგინე. ჰედა.. ამბობენ, ის მომღერალი ქალი ისევ ამ ქალაქში იმყოფებაო! — აჰ, შიში მეუფლება, ჰედა!

ჰედა (აღმაყვრად იხედება უკანა ოთახში). სსუ! ტესმანი მოდის. (ადგება, ჩურჩულით) თეა, ყველაფერი, რაც ითქვა, ჩემსა და შენს შორის უნდა დარჩეს.

ქ-ნი ელვსტედი (წამობტება). აჰ, დიახ, დიახ! — ლეთის გული-სათვის! (უკანა ოთახიდან, მარჯვნიდან, გამოდის ტესმანი, ხელში წერილით.)

ტესმანი. ასე — ეპისტოლე მზადაა.

ჰედა. ძალიან კარგი. მაგრამ ქალბატონ ელვსტედს, როგორც ეტყობა, ეჩქარება. ცოტა მოიცადე, ბალის ჭიშკრამდე მივაცილებ.

ტესმანი. მისმინე ჰედა — იქნება ბერტას წაელო ეს წერილი?

წინა ოთახიდან შემოდის ბერტა.

ბერტა. ბატონი ასესორი ბრაკი მოვიდა და ამბობს, მინდა ბატონებს ჩემი სალამი გადავცეო.

ჰედა. სთხოვეთ ბატონ ასესორს, მობრძანდეს. შემდეგ კი ეს წერილი წაიღეთ და ყუთში ჩააგდეთ.

ბერტა (იღებს წერილს). კეთილი, ქალბატონო (ასესორს კარს უღებს და გადის).

ასესორი ბრაკი 45 წლის კაცია, ჩახსმული, კარგი გარეგნობისა, მსუბუქი მოძრაობა აქვს ჯერ კიდევ თითქმის შავი თმა, მოკლედ შეუკრეპია და ფაქიზად დაუვარცხნია. ცოცხალი, მკვირცხლი თვალები აქვს, ხშირი წარბები, ასეთივე უღვაძეები, რომელთა ბოლოები კობხად შეუკრეპია. მოხდენილადაა ჩაცმული, თუმცა უფრო ახალგაზრდულად, ვიდრე მის ხნოვანობას შეეფერება. აცვია საგარეო კოსტიუმი, ხმარობს პენსეს, რასაც წარამარა იხსნის და იკეთებს.

ბრაკი (კუდიით ხელში, მიესალმება). შეიძლება ასე აღრიანად კაცი შემოვიდეს?

ჰედა. რატომაც არ შეიძლება?

ტესმანი (ხელს ათმევს). თქვენ ჩვენთვის მუდამ სასიამოვნო სტუმარი ხართ! (წარუდგენს). ბატონი ასესორი ბრაკი — ფროილან რინიგი...

ჰედა. ოჰო!..

ბრაკი (თავს უკრავს. წელში იხრება). აჰ. ძალზე სასიამოვნოა...

ჰედა (შესტკერის და იცინის). მართლაც, საამოა თქვენი დანახვის სინათლეზე, ძვირფასო ასესორო.

ბრაკი. გამოცვლილი გეჩვენებთ, არა?

ჰედა. დიახ, უფრო ახალგაზრდა, თუ არ ვცდები.

ბრაკი. უაღრესად გმადლობთ.

ტესმანი. ჰედაზე რაღას იტყვით? მტრის თვალს არ დაენახვე? განა ყვავილივით არ იფურჩქნება? პირდაპირ...

ჰედა. აჰ, დამეხსენი ერთი! უმჯობესი იქნება მადლობა უთხრატონ ასესოროს გუშინდელი გარჯისათვის.

ბრაკი. აჰ, რასა ბრძანებთ — ჩემთვის ეს მხოლოდ სიამოვნება იყო...

ჰედა. დიახ, მჯერა, თქვენ ერთგული ადამიანი ხართ. მაგრამ ჩემგობარი ქალი დვას და წასვლის სურვილით იწვის. ნახვამდის, ბტონო ასესორო, ამ წუთში აქვე გავჩნდები.

ემშვიდობებიან ერთმანეთს. ჰედა და ელვსტელი წინაპრიდან გარეთ წაიღიან.

ბრაკი. რას იტყვით, თქვენი მეუღლე რამდენადმე მაინც კმაყოფილია?

ტესმანი. ვერ წარმოიდგენთ, რარიგ დავალებული ვართ თქვენგან. ესე იგი, რა თქმა უნდა, ცოტაოდენი გადაადგილება აქა-ქერ კიდევ მოგვიხდება, ზოგი რამ ჭერაც გვაკლია. დაგვპირდება რაღაცების შექმნაც.

ბრაკი. ჰო? მართლა?

ტესმანი. არა, ამ წვრილმანებით თქვენ თავს ნულარ შეიწუხებ ჰედამ თქვა, თვითონვე ვიზრუნებთ იმისათვის, რაც გვაკლიაო. — დავსხდეთ? რას იტყვით?

ბრაკი. ძლიერ გმადლობთ. სულ ცოტა ხნით. (ჩდება სკამზე.) რაღაც საქმეზე მინდოდა თქვენთან საუბარი, ძვირფასო ტესმან.

ტესმანი. ჰო? აჰ, მესმის! (ჩდება.) ახლა, თუ არ ვცდები, საქმეველაზე სერიოზული ნაწილის რიგი მოდგა, არა?

ბრაკი. აჰ, არა, ფულის ამბავი ჭერ არც ისე საჩქაროა, თუმცა ვისურვებდი, რომ ჩვენი სახლი უფრო უბრალოდ მოგვეწყო.

ტესმანი. არა, ეს სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ჰედას ნ



ღვიწყებთ, ჩემო კარგო! თქვენ ზომ ჰედას ასე კარგად იცნობთ!  
ებრალე მემჩანურ ცხოვრებას ხომ ვერ შევთავაზებდი!

ბ რ ა კ ი. დიახ, დიახ — საქმეც ეგ არის! ფონი სწორედ ამ ადგილას ახრჩობს.

ტ ე ს მ ა ნ ი. დიახ, მაგრამ ეს ამბავი, საბედნიეროდ, დიდხანს არ ასტანს, — სანამ მე დანიშნვას მივიღებ.

ბ რ ა კ ი. იციო, რა გითხრათ? ასეთი რამ ხშირად მეტისმეტად ჭინურდება.

ტ ე ს მ ა ნ ი. ახალი ხომ არა გაგიგიათ რა?

ბ რ ა კ ი. მნიშვნელოვანი არაფერი... (უერად) თუმცა ერთ ახალ ამბავს გიამბობთ.

ტ ე ს მ ა ნ ი. აბა?

ბ რ ა კ ი. თქვენი ძველი მეგობარი აილერტ ლევბორგი კვლავ ამალაქშია.

ტ ე ს მ ა ნ ი. ეს უკვე ვიცი.

ბ რ ა კ ი. მართლა? როდის გაიგეთ?

ტ ე ს მ ა ნ ი. აი, წელან ჰედასთან ერთად რომ გავიდა, იმ ქალმა იამბო.

ბ რ ა კ ი. კეთილი! რა ჰქვია იმ ქალს? კარგად ვერ გავიგონე...

ტ ე ს მ ა ნ ი. ქალბატონი ელვსტედი.

ბ რ ა კ ი. ჰო, ახლა კი ვიცი. ვისი ცოლიც არის: ზედამხედველ მულტჰაისენისა. ლევბორგიც მათ სახლში ცხოვრობდა იქ, ზემოთ.

ტ ე ს მ ა ნ ი. ჰოდა, მერწმუნეთ — უსაზღვროდ გამიხარდა, რომ, აურმე, ისევე წესიერი ადამიანი გამხდარა!

ბ რ ა კ ი. კი, ასე ამბობენ, გამოსწორდაო.

ტ ე ს მ ა ნ ი. და მერე ახალი წიგნიც გამოუცია, არა?

ბ რ ა კ ი. დიახ, გამოსცა და მერე როგორი!

ტ ე ს მ ა ნ ი. დიდი სენსაცია გამოუწვევია!

ბ რ ა კ ი. სრულიად უჩვეულო, ჭერ არნახული სენსაცია გამოიწვია.

ტ ე ს მ ა ნ ი. წარმოიდგინეთ! — განა სასიამოვნო არ არის ამის გაგონება? მე კი, ჩემდა ჭირად, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის თავისი ღირსშესანიშნავი ნიჭიერებით — დაღუპული კაცია.

ბ რ ა კ ი. მაშინ ასე ფიქრობდა ყველა.

ტ ე ს მ ა ნ ი. ოღონდ ეს კი ვერ გამიგია მანაც: ახლა რა უნდა აკეთოს? რით უნდა იცხოვროს? ჰა?

ჰედა (ბრაკს, დამცინავი ღიმილით). მთელი თავისი დღე და მოსწრება იმაზე ფიქრობს ჩვენი ტესმანი, თუ ვინ რით უნდა იცხოვროს.

ტესმანი. ღმერთო ჩემო, ჰედა... ჩვენ საბრალო აილერტ ლევბორგზე ვლაპარაკობთ.

ჰედა (უაქერის). აჰ, მართლა? (სავარძელში ჯდება და გულგრილად ეკითხება.) მერე, რა დაემართა ლევბორგს?

ტესმანი. როგორ გითხრა — მამის დატოვებული ქონება ალბათ უკვე გაფლანგა, წიგნებს კი ყოველდღიურად ხომ ვერ დაწერს! ჰა? აბა, მართლა გეკითხებით, რა უნდა ქნას?

ბრაკი. სწორედ ამაზე მინდოდა ზოგი რამ შეამზნა თქვენთვის.

ტესმანი. ბრძანეთ.

ბრაკი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მას ჰყავს ნათესაეები, რომელნიც საკმაო გავლენით სარგებლობენ.

ტესმანი. ახ, ნულარ იტყვით; ამ ნათესაეებმა, სამწუხაროდ, სავსებით ზურგი აქციეს და ბედის ანაბარა მიატოვეს.

ბრაკი. ერთ დროს კი ოჯახის იმედად თვლიდნენ.

ტესმანი. ერთ დროს კი, მაგრამ მერე თავისი საქმე თვითონვე გააფუჭა.

ჰედა. ვინ იცის? (ჩაიღიშებს.) აკი იქ, ზემოთ, ქალბატონ ელვსტედთან. შემდეგ ხელახლა გამოსწორდა!

ბრაკი. მერე, წიგნმა, რომელიც ახლა გამოსცა...

ტესმანი. ჰო, ჰო, ღმერთმა ქნას, რომ მისი საქმეები გამოსწორდეს რამენაირად! აი, ახლა მივწერე. იცი, ჰედა, ამ საღამოს, ჩვენსას დავაპატიე.

ბრაკი. კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო, დღეს ხომ ჩემთანა ხართ დაპატიებული? თუ მარტოხელა კაცის სუფრას არ კადრულობთ? განა გუშინ ნავსადგურზე არ დამპირდით, მოვალთო?

ჰედა. ტესმან, განა დაგავიწყდა დამპირება?

ტესმანი. ღმერთია მოწმე, სწორედ დამავიწყდა.

ბრაკი. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ — ლევბორგი მიინც არ მოვა.

ტესმანი. რატომ გგონიათ?

ბ რ ა კ ი (ოღნავ ყოყმანით, ადგება და იდაყვით ეყრდნობა სკამის ზურგს).  
ძვირფასო ტესმან! და თქვენც, ქალბატონო ტესმან... არ შემძლია  
არ შეგატყობინოთ ერთი საქმე, რაც... რაც...

ტ ე ს მ ა ნ ი. აილერტს ეხება?..

ბ რ ა კ ი. მასაც და თქვენც.

ტ ე ს მ ა ნ ი. მერე, ძვირფასო ასესორო, ბარემ გვითხარით!

ბ რ ა კ ი. მოგახსენებთ, მაგრამ წინდაწინვე მზად უნდა იყოთ იმი-  
სათვის, რომ თქვენი დანიშვნა შეიძლება არც ისე მალე მოხდეს,  
როგორცა გგონიათ და გსურთ.

ტ ე ს მ ა ნ ი (შეხტება, მოუსვენრად). განა რა მოხდა ისეთი? ჰა?

ბ რ ა კ ი. ალბათ, კონკურსი დაინიშნება.

ტ ე ს მ ა ნ ი. კონკურსი! წარმოგიდგენია. ჰედა?

ჰ ე დ ა (სკამის ზურგს გადაეყრდნობა). აჰ, დახე. დახე!

ტ ე ს მ ა ნ ი. მერე, ვისთან? შეუძლებელია, რომ კონკურსში გამო-  
ვიდეს...

ბ რ ა კ ი. შესაძლებელია. კონკურსში გამოვა აილერტ ლევბორგი.

ტ ე ს მ ა ნ ი (ტაშს შემოჰკრავს). არა, არა, ეს წარმოუდგენელია! შე-  
უძლებელი საქმეა! რას იტყვით?

ბ რ ა კ ი. ჰმ! ჩვენ ამას, ალბათ, მოვესწრებით.

ტ ე ს მ ა ნ ი. მაინც, ჩემო ძვირფასო ასესორო — ეს ხომ დაუჭერე-  
ბელი უქმეზობა იქნებოდა ჩემ წინააღმდეგ! .. (ხელების ქნევით.) რისი  
კონკურსი, აბა დაფიქრდით — მე ხომ წესიერი, დაქორწინებული  
კაცი ვარ! და ჩვენ ხომ გარკვეული ანგარიშით ვიქორწინეთ — მე და  
ჰედამ! უცხოეთშიაც კი გავემგზავრეთ და ამდენი ხარჯი გავწიეთ.  
ასე გასინჯეთ, თვითონ მამიდა იულიასაგანაც კი ვისესხეთ ფული...  
ღმერთო ჩემო! მე თითქმის დამპირდნენ ამ ადგილს, მეგონა უკვე  
ჩიბეში მქონდა, ჰა?

ბ რ ა კ ი. კმარა, კმარა, კმარა! ადგილს, ალბათ მიიღებთ, მაგრამ  
კონკურსის შედეგად.

ჰ ე დ ა. (ურჩავად, სავარძელში.) ტესმან, დაფიქრდი — ეს თავისებური  
სპორტი იქნება.

ტ ე ს მ ა ნ ი. რას ამბობ, ძვირფასო ჰედა! მე არ მესმის! როგორ  
შეგიძლია ასე გულგრილად მიიღო ეს ამბავი!

ჰ ე დ ა (ისევ ისე). პირიქით ძალიან მაინტერესებს მისი შედეგი.

ბ რ ა კ ი. ყოველ შემთხვევაში, ქალბატონო ტესმან, კარგია. რომ

უკვე იციტ საქმის ვითარება — მე ვამბობ. რომ უფრო ადრე, ვიდრე შეუდგებოდეთ რაღაც წვრილმანების შექენას, რითაც, როგორც გავიგე, ემუქრებით...

ჰედა. ამ განზრახვას ეს კონკურსი სულაც ვერ შეცვლის.

ბრაკი. ახ, მართლა? ეს კი სხვა საქმეა. ნახვამდის (ტესმანს.) ნასადილევს ჩვეულებისამებრ რომ გავისიერებ, შემოვივლი და წაგიყვანთ.

ტესმანი. აჰ, დიახ, დიახ... სწორედ აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, თავგზა დამებნა.

ჰედა (უკან გადაყრდნობილი, ხელს გაუწვდის). ნახვამდის, ძვირფასო ასესორო! იმედი მაქვს მალე გამოივლით.

ბრაკი. დიდად გმადლობთ. ნახვამდის, ნახვამდის!

ტესმანი (აცილებს კარამდე). ნახვამდის, ძვირფასო ასესორო! გთხოვთ მაპატიოთ...

ბრაკი გაღის წინა ოთახიდან.

ტესმანი (ზრუნდება უკან). ახ, ჰედა — კაცი არ უნდა გადაეშვას ოცნების სამეფოში, არა?

ჰედა (უცქერის და იღივება). შენ გადაეშვი თუ?

ტესმანი. დიახ, აბა დაუფვირდი, რა მორევში შევცურე — აქ საქმე ნათელია — სწორედ საზღაპრო ამბავი: დაქორწინდე, ოჯახს მოეკიდო, და ყველაფერი ეს მარტოოდენ ფუჰ, ცარიელ იმედებზე ააგო!

ჰედა. დაბოლოს შენ მართალს ამბობ?

ტესმანი. მაგრამ, რაც უნდა იყოს, საკუთარი მყუდრო ოჯახი მაინც გვაქვს, ჰედა! აბა დაუფვირდი — ოჯახი, რაზედაც ორივე ასე ვოცნებობდით, და თითქმის სიზმრად გვექონდა გადაქცეული, — შემძლია ასე ვთქვა. არა?

ჰედა (აღვება ნელა, დაქანული). დაპირება ასეთი იყო, რომ ფართოდ ვიცხოვრებდით, სტუმრებს მივიღებდით, მისვლა-მოსვლა გვექნებოდა.

ტესმანი. ღმერთო ჩემო! და მერე როგორ მიხაროდა! როგორ ვნატრობდი, რომ შენ ოჯახის დიასახლისად მენახე რჩეულთა შორის! ახლა? — დიახ, დიახ, დიახ... ჭერჯერობით ორივე უნდა დავკმაყოფილდეთ შინ მარტო ყოფნით და ოჯახის მოვლით, ჰედა! — მხო-

ლოდ ხანგამოშვებით მამიდა იულიას ენახავთ აქ, ჩვენსას. — ახ, რამდენად სხვანაირი ცხოვრებისათვის ხარ შენ დაბადებული!

ჰედა. ლივრეიანი მოსამსახურე პირველ ხანებში, ცხადია, არ მეყოლება.

ტესმანი. ახ, არა — სამწუხაროდ! ლაქიის აყვანაზე, ხედავ, ლაპარაკიც ზედმეტია.

ჰედა. კარგ ცხენზე კი...

ტესმანი (შეშინებული). კარგ ცხენზე!..

ჰედა. ფიქრიც ზედმეტია.

ტესმანი. ღმერთმა დამიფაროს!.. არა — ეს თავისთავად ცხადია.

ჰედა (ბოლთასა სცემს). რა გაეწყობა — რალაცა მაინც მრჩება ისეთი, რითაც შემოძლია თავი შევიქციო.

ტესმანი (სიხარულით ანთებული). ახ, მადლობა და დიდება უფალს! რა არის ისეთი, ჰედა? ჰა?

ჰედა (ღია კარიდან უყურებს შეკავებული დაცინვით). ჩემი დამბაჩები, იორგენ!

ტესმანი (შიშით). დამბაჩები!

ჰედა (ცივი თვალებით). გენერალ გაბლერის დამბაჩები! (გაღას მარცხნივ.)

ტესმანი (გარბის ღია კარისაკენ და ეძახის). ჰოი, ღვთის გულისათვის, სანატრელო ჰედა, ხელს ნუ ახლებ ამ სახიფათო ნივთებს! თუ გიყვარდე, ჰედა, რა?!

## მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა

ტესმანის ოთახი. როვორც პირველ მ-ქმედებაში, მხოლოდ ფორტეპიანო გატანილია და მის ადგილზე დგას პატარა საწერი მაგიდა. წიგნების თაროებით. დივანთან, მარცხნივ, პატარა მაგიდა დგას. თაიგულების უმეტესობა გატანილია. ქ-ნი ელესტედის თაიგული წინა მხარეს მოზრდილ მაგიდაზე დგას—ნაშუადღევია.

ქ ე დ ა, რომელსაც სტუმრების. მოლოდინში მოხდენილად აცვია, ღია შინიან კართან დგას და დამბაჩას ტენის. მეორე, სრულიად ასეთივე, დევს ღია ბუდეში, საწერ მაგიდაზე.

ქ ე დ ა (ბალისკენ იცქირება და იძახის). ისევ სალამი, ბატონო ასესორო!

ბ რ ა კ ი (შორიდანვე). მეც მოგესალმებით, ქალბატონო ტესმან!

ქ ე დ ა (ასწევს დამბაჩას და უმიზნებს). ახლა კი გესვრით, ბატონო ასესორო.

ბ რ ა კ ი (ყვირის ქვემოთ): არა-არა-არა! ასე პირდაპირ ნუ მიმიზნებთ!

ქ ე დ ა. ასე მოუვა ყველას, ვინც ფარული გზებით დადის (ისვრის.)

ბ რ ა კ ი (მოახლოვდა). ხომ არ შეიშალეთ?

ქ ე დ ა. ღმერთო, ხომ არ მოგახვედრეთ?

ბ რ ა კ ი (ჩერაც გარეთაა). თავი დაანებეთ სულელურ ხუმრობას!

ქ ე დ ა. ბარემ შემოდით ასესორო!

(ბრაკი, საგარეოდ გამოწყობილი, მკლავზე გადაგდებული საზაფხულო მოსასხამით შემოდის მინიან კარში.)

ბ რ ა კ ი. ეშმაკმა დალაზგროს — თქვენს უცნაურ სპორტს ისევ ეწვევით? არა, მითხარით, რისთვის ისროლეთ?

ქ ე დ ა. ოჰ, მე აქ ვდგევარ და უბრალოდ ჰაერში ვისვრი.

ბ რ ა კ ი (ფრთხილად ართმევს დამბაჩას). ნება მიბოძეთ, მოწყალეო ქალბატონო. (ათვალღერებს დამბაჩას.) ახ, მე ვცნობ, კარგად მეცნო-

ბება ეს დამბაჩა. (მიმოიხედავს.) სადა გაქვთ ამის ბუდე? ჰო, აქ არის. (ჩადებს და დახურავს.) დღეს ვიკმაროთ ეს სახიფათო თამაში.

ჰედა. ღმერთო, ერთხელ კიდევ! როგორ ფიქრობთ, მაშ რა უნდა ვქნა?

ბრაკი. არავის შემოუვლია?

ჰედა (ყარს ხურავს). არავის. ყველა ახლობელი სოფლად არის.

ბრაკი. არც ტესმანია სახლში?

ჰედა (საწერ მაგიდასთან, დამბაჩას უჭრაში დებს).- არა. ისადილა თუ არა, მაშინვე გაიქცა მამილებთან. ასე აღრიანად არ გელოდით.

ბრაკი. ჰმ! — ამდენი მეც უნდა მომეფიქრა. ბრიყულად მოვიქეცი.

ჰედა (თავს მოიბრუნებს, უცქერს). როგორ ბრიყულად?

ბრაკი. ისე, ხომ შემეძლო... ცოტა ადრე მოსვლა.

ჰედა (შუა ოთახში გაივლის). მაშინ ვერავის ნახავდით. სადილის შემდეგ ჩემს ოთახში ვიყავი და გცვამდი.

ბრაკი. მერე, სადმე კარებში არ მოიძებნებოდა პატარა კუქრუტანა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თქვენთან ლაპარაკი?

ჰედა. თქვენ დაგავიწყდათ ასეთი რამის გაკეთება.

ბრაკი. ესეც ჩემი ბრიყული მარცხი!

ჰედა. რა ვუყოთ, ისეც აქ ჩამოვსხდეთ შინაურულად და დაველოდოთ. საექვოა, რომ ტესმანი მალე დაბრუნდეს...

ბრაკი. ჰო, ჰო, ღმერთმა იცოდეს, მოთმინებას არ დავკარგავ.

ჰედა წდება დივანის კიდეში, ბრაკი მოსასხამს ჰკიდებს უახლოესი სკამის ზურგზე და წდება. ქუდი ხელში უჭირავს. მცირე პაუზა. თვალს თვალში უყრიან ერთმანეთს.

ჰედა. აბა?

ბრაკი (იმავე ხმით). აბა?

ჰედა. პირველად მე გკითხეთ.

ბრაკი (ოდნავ დაიხრება). აბა, მაშ ერთი მეგობრული საუბარი გავმართოთ, ქალბატონო ჰედა!

ჰედა (უკან გადაეყრდნობა). განა თქვენ არ გეჩვენებათ, რომ მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ უკანასკნელად ვისაუბრეთ? — ორიოდე სიტყვა, რაც გუშინ ნავსადგურში ითქვა და დღეს დილით აქ, რა თქმა უნდა, ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

ბ რ ა კ ი. ჰო, ასე პირისპირ, ინტიმურად, არა?

ჰ ე დ ა. დიახ, დაასლოებით ამგვარად.

ბ რ ა კ ი. ყოველი დღე და ცისმარე იმის ნატვრაში ვიყავი, რომ ბედნიერად შინ დაბრუნებული მენახეთ.

ჰ ე დ ა. ჰოდა, მეც მთელი ამ ხნის განმავლობაში ასეთი სურვილი მქონდა.

ბ რ ა კ ი. თქვენ? მართლა, ქალბატონო ჰედა? მე კი მეგონა, რომ თქვენ ამ მოგზაურობაში საზღაპრო ნეტარებას განიცდიდით.

ჰ ე დ ა. ოჰ, ისეთ ნეტარებას, რომ ნულარ იტყვიot!

ბ რ ა კ ი. აკი ტესმანი სულ ასე იწერებოდა!

ბ რ ა კ ი. ჰო, ის კი! მას რომ ჰკითხოთ, ქვეყნად ყველაზე დიდი სიამოვნებაა სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და არქივებში ქექვა ან კიდევ სხვადასხვა პერგამენტებისა და მისთანების გადაწერა — ვიდრე ჯდომისაგან კაცს ობი მოედება.

ბ რ ა კ ი (რამდენადმე გესლიანად). რას იზამთ. ესაა მისი მოწოდება ამქვეყნად, ნაწილობრივ მაინც.

ჰ ე დ ა. დიახ, ეს მართალია. სხვისთვის, ცხადია... მაგრამ ჩემთვის? ახ, არა, ძვირფასო — საშინლად მომწყინდა.

ბ რ ა კ ი. (თანაგრძნობით აღსავსე). თქვენ მართლა ამბობთ, მთელი გულიot?

ჰ ე დ ა. დიახ, თვითონვე შეგიძლიათ განსაჯოთ! მთელი ექვსი თვე არ შეხვდეთ არც ერთ ადამიანს, რომელსაც რაიმე გაეგება ჩვენი წრისა და შეიძლება დაელაპარაკოთ ჩვენთვის საინტერესო ამბებზე...

ბ რ ა კ ი. ოჰ, ნულარ იტყვიot — ეს ჩემთვისაც დიდი დანაკლისი იქნებოდა!

ჰ ე დ ა. და მერე კიდევ ეს. ყველაზე, უფრო აუტანელი რამ...

ბ რ ა კ ი. რა?

ჰ ე დ ა. — რომ მუდამ და მარად იმყოფებოდეთ ერთი და იმავე ადამიანის გვერდით.

ბ რ ა კ ი. (თანხმობის ნიშნად თავს აქნევს). დილიდან საღამომდე. დიახ! ერთი წარმოდგინოს კაცმა — ყველა დროსა და ადგილზე.

ჰ ე დ ა. მე ვთქვი: მუდამ და მარად.

ბ რ ა კ ი. დიახ, მესმის, მაგრამ, მე მგონია, ჩვენს კეთილ ტესმანთ.ნ შესაძლებელი იქნება... -

ჰ ე დ ა. ტესმანი — სპეციალისტი კაცია. ჩემო კარგო.



ბ რ ა კ ი. უდავოდ.

ჰ ე დ ა: ჰოდა, სპეციალისტებთან მოგზაურობა სრულიადაც არ გვანიჭებს სიამოვნებას. — ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი მოგზაურობა.

ბ რ ა კ ი. არც ისეთ სპეციალისტთან, რომელიც გიყვარს?

ჰ ე დ ა. ო, ფუი! ნუ ხმარობთ ამ გაცვეთილ სიტყვას, გულს მირევს!

ბ რ ა კ ი (გაოცებული). რა ბრძანეთ, ქალბატონო ჰედა?

ჰ ე დ ა (ნახევრად მცინარე, ნახევრად ბრაზმორეული). დიახ, ერთი თვითონ გამოგეცადათ! ერთი მოგესმინათ კულტურის ისტორიაზე ლაპარაკი გათენებიდან დალამებამდე...

ბ რ ა კ ი. მუდამ და მარად...

ჰ ე დ ა. ჰო-დიახ, დიახ! ამასთან კიდევ — საუბარი საშუალო საუკუნეების ხელოსნურ მეურნეობაზე!... ეს პირდაპირ აუტანელია.

ბ რ ა კ ი (უცქერის გამოძვლვად). მოიცათ, ერთი მითხარით, როგორ უნდა აეხსნა საკუთრივ ესა, რომ.. ჰმ!..

ჰ ე დ ა. — რომ მე და იორგენი ცოლ-ქმარი აღმოვჩნდით, არა?

ბ რ ა კ ი. დიახ, ასე მინდოდა მეთქვა.

ჰ ე დ ა. ღმერთო ჩემო, განა ეს ასე საოცრად და საგულისხმოდ გეჩვენებათ?

ბ რ ა კ ი. მეჩვენება და არც მეჩვენება, ქალბატონო ჰედა.

ჰ ე დ ა. ასე დავასრულე ჩემი გოჭური ცეკვა, ძვირფასო ასესორო. ჩემი წილი ერბო დაიქცა, ჩემი ვარდობის თვე წავიდა. (უნებურად შეერთა.) ოჰ, არა — ეს ჯერ კიდევ არ მინდა ვთქვა. არც კი მსურს ამაზე ვიფიქრო.

ბ რ ა კ ი. ცხადია, საამისო საფუძველი სრულიადაც არა გაქვთ.

ჰ ე დ ა. ოჰ, საფუძველი... (უყურებს გამოძვლვად.) ხოლო იორგენ ტესმანი — უნდა ითქვას, რომ ტესმანი ყოველმხრივ წესიერი ადამიანია.

ბ რ ა კ ი. წესიერი და დარბაისელი. ეს უდავო სიმართლეა.

ჰ ე დ ა. და არაფერს კომიკურს მე მასში არა ვხედავ... იქნება თქვენ ხედავთ?

ბ რ ა კ ი. კომიკურს? ა-რა! ეს მე არ მითქვამს...

ჰ ე დ ა. ჰოდა, ასე. ყოველ შემთხვევაში. ის ბეჭითი მშრომელი და დიდი შემკრები! — შეუძლებელი არ არის, რომ ერთხელაც იქნება წინ წაიწიოს.

ბ რ ა კ ი (უცქერის უნდობლად). მე მუდამ მჭეროდა, რომ თქვენის აზრით, ისევე როგორც ყველა სხვების აზრითაც, მისგან გამოჩენილი აღამიანი გამოვა.

ჰ ე დ ა (დალლის გამომეტყველებით). დიახ, მეც ასე მეგონა... და რაკი მთელი თავისი შესაძლებლობით სურდა ჩემი უზრუნველყოფა, არ ვიცი, რატომ უნდა მეთქვა მისთვის უარი.

ბ რ ა კ ი. ცხადია, ამ მხრივ...

ჰ ე დ ა. ეს უდავოდ მეტი იყო იმაზე, რისი მოლოდინიც შეიძლებოდა მქონოდა ჩემი სხვა თაყვანისმცემლებისაგან, ძვირფასო ასესორო!

ბ რ ა კ ი (იციანს). ოჰ, უნდა გითხრათ, რომ სხვების სახელით ლაპარაკს არ ვაპირებ. რაც შემეხება პირადად მე, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მუდამ განსაკუთრებული მოწიწებით ვეკიდებოდი საქორწინო კავშირს, ეს საერთოდ, ქალბატონო ჰედა.

ჰ ე დ ა (ხუმრობით). აჰ, თქვენი იმედი არასოდეს არა მქონია.

ბ რ ა კ ი. ყველაფერი, რაზედაც მე ვოცნებობ, ეს არის პატარა ინტიმური წრე ნაცნობებისა, რომელთაც საქმითა და რჩევით ვემსახურები და ვისთანაც მისვლა-მოსვლა მექნება — როგორც საიმედო მეგობარს...

ჰ ე დ ა. ოჯახის კაცებთან, არა?

ბ რ ა კ ი (იხრება). გულახდილად რომ ვთქვა — უფრო ოჯახის დიასახლისებთან, ცხადია. იცით, აი ასეთი... ასეთი... ასე ვთქვათ, ასეთი ურთიერთობის „სამკუთხედი“ — ეს ყველაზე ხელსაყრელი და სასიამოვნოა ყველასათვის.

ჰ ე დ ა. დიახ, ამ მოგზაურობის დროს მე ვგრძნობდი სწორედ ამ მესამე მამაკაცის ნაკლებობას. აჰ, რა ძნელია ერთთავად ერთ კაცთან პირისპირ კუბეში ჯდომა!..

ბ რ ა კ ი. საბედნიეროდ, საქორწინო მოგზაურობა უკვე დამთავრებულია...

ჰ ე დ ა (თავს აქნევს). შეიძლებოდა მოგზაურობის გაგრძელება. მე მხოლოდ მორიგ სადგურზე გავჩერდი.

ბ რ ა კ ი. მაშ შეიძლება კაცი გარეთ გამოხტეს. ჰო, ცოტა წაიმობრავეთ, ქალბატონო ჰედა.

ჰ ე დ ა. მე არასოდეს ჩვეულებად არა მაქვს გამოხტომა.

ბ რ ა კ ი. მართლა?

ჰედა. არასოდეს. გარეთ ყოველთვის გამოჩნდება კაცი, რომელიც...

ბრაკი (იყინის). ...რომელიც დგას და ფეხებში შეგცქერის, არა?

ჰედა. სწორედ ასე.

ბრაკი. ჰო, მაგრამ, ღმერთო ჩემო...

ჰედა (მოცილების ნიშნად ხელს აქნევს). არ იქნება... იქვე დავრჩები, სადაც ვზივარ, თუნდაც მარტო ერთი კაცის პირისპირ.

ბრაკი. ერთიც ვნახოთ, თქვენთან შემოდის მეორე მამაკაცი?

ჰედა. ოჰ, ხედავთ — ეს კი სულ სხვა რამ არის!

ბრაკი. ნაცადი, გონიერი მეგობარი...

ჰედა. ...კარგი გამართობი, გულლია, მხიარული და ყოველმხრივ მიმზიდველი...

ბრაკი. ...და სრულიადაც არა სპეციალისტი!

ჰედა (ხმაშალა ამოიხვნეშებს). ოჰ, ეს დიდი შვევა იქნებოდა.

ბრაკი (გაიგონა, რომ შესავალი კარები იღება, წინა კარს ალმაცერად უხურებს). ამრიგად, სამკუთხედი აგებულია!..

ჰედა (ხმადაბლა). და მატარებელი ისევ დაიძრა...

წინა კარში გამოჩნდება საგარეოდ ჩაცმული ტესმანი, რბილი თივთიკის ქუდით, ილიაში და ჩიბებებში აქვს მრავალი ბროშურა და უხელო წიგნი.

ტესმანი (მიდის მაგიდასთან, რომელიც დგას კუთხის დივანთან). უჰ მთელი მთა მოვზიდე — სხვას ჩემს ადგილზე სწორედ გაუჭირდებოდა. (წიგნებს აწუბხს.) ოფლიც კი მომივიდა, ჰედა! აა, ერთი შეხედვით, — თქვენ უკვე აქა ხართ, ძვირფასო ასესორო? ბერტას ამაზე არაფერი უთქვამს.

ბრაკი (ღგება). მე ბალიდან მოვედი.

ჰედა. რა წიგნები მოგიტრეფია?

ტესმანი (დგას, ფურცლავს). რამდენიმე ახალი სპეციალური წიგნია. ძალიან მჭირდებოდა ეს წიგნები.

ჰედა. სპეციალური წიგნებია?

ბრაკი. აჰ, მართლაც სპეციალური წიგნებია, ქალბატონო ტესმან! (ბრაკი და ჰედა იქედნური ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს.)

ჰედა. განა კიდევ გესაჭიროება სპეციალური წიგნები?

ტესმანი. როგორ არა, ჩემო ჰედა! ვერასოდეს ვერ შეიძენ წიგნებს საკმაოდ რაოდენობით. საჭიროა თვალყურის დევნება ყველაფერზე, რაც კი ამ დარგში იწერება და იბეჭდება.

ჰედა. ჰო, ეს აუცილებელია.

ტესმანი (ქეჰეს წიგნებს). ერთი შეხედვით — აგერ, ლევბორგის წიგნიც შევიძინე. (გაუწოდებს.) ხომ არ გადაათვალიერებ, ჰედა? ჰა?

ჰედა. არა — ძლიერ გმადლობ. ანდა — რატომაც არა, იქნება მერე გადავხედო.

ტესმანი. მე გზადაგზა ცოტათი გადავფურცლე.

ბრაკი. მერე, რას იტყვით — როგორც სპეციალისტი?

ტესმანი. სხვისი რა ვიცი და მე კი ვიტყვი, რომ შესანიშნავი, ზომიერი, ნათელი თხრობაა. უწინ ასე როდი წერდა. (წიგნებს თავს უყრის.) მაგრამ დროა მთელი ეს გროვა შინ შევიტანო. ოჰ, რა სახალისო საქმე იქნება ახლა ამათი დაჭრა! მერე ცოტა გადაცმაც მინდა. (ბრაკს.) ახლავე ხომ არ წავიდეთ? ჰა?

ბრაკი. მე მგონია, ჯერ არაფერი საჩქარო არ არის.

ტესმანი. ჰოდა, მეც ახლავე მოვრჩები. (მიღის წიგნებით ხელში, წერდება ლია კართან და მობრუნდება.) ჰო, მართლა, ჰედა, მამიდა იულია დღეს საღამოს ჩვენსას აღარ მოვა.

ჰედა. მართლა? ქუდის ამბავი ხომ არ არის მიზეზი?

ტესმანი. აჰ, მსგავსიც არაფერი. როგორ გეკადრება მამიდა იულიაზე ამგვარი აზრის გავლება! რა სათქმელია! იცი, მამიდა რინა ძალიან ცუდად შეიქნა!

ჰედა. მამიდა რინა ყოველთვის ძალიან ცუდად იყო.

ტესმანი. დიახ, მაგრამ დღეს განსაკუთრებით მძიმე დღეშია საბრალო ქალი.

ჰედა. ჰო, რაკი ასეა, ავადმყოფთან ვინმე ხომ უნდა დარჩეს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

ტესმანი. მაგრამ, ჰედა, შენ რომ იცოდე. ამის მიუხედავად რა ბედნიერია მამიდა იულია, რომ ამ მოგზაურობაში... ასე მოიმატე.

ჰედა. (ადგება, ხმადაბლა.) ახ, ეს დაუსრულებელი მამიდები!..

ტესმანი. რა თქვი?

ჰედა (მიღის მინიან კართან). არაფერი.

ტესმანი. ჰო, მე კი რაღაც მომესმა... (გაღის უკანა კარიდან მარჯნივ.)

ბრაკი. რომელ ქუდზე ლაპარაკობდით?

ჰედა. ჰო, ეს ამ დილით მოხდა. ქალბატონი იულია იყო აქ,

თავისი ქული სკამზე დაეგდო. (უცქერის და იღიმება.) ისე მოვაჩვენე თითქოს მოსამსახურის ქული მეგონა.

ბ რ ა კ ი . (თავს აქნევს). მერე, ძვირფასო ქალბატონო ჰედა, ეს როგორ აკადრეთ საბრალო მოხუცებულ ქალს?

ჰ ე დ ა (ნერვიულად წინ და უკან დადის). ჰო, რა ვქნა, ხედავთ — ზოგჯერ რაღაც მომივლის ხოლმე თვით ჩემდა უნებურად, და მაშინ ვერაფერს გააწყობ. (მოწუხებით იღიმება დაუშვებლად სავარძელში.) ახ, თვითონაც არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს...

ბ რ ა კ ი (სავარძლის უკან). თქვენ საერთოდ არც ისეთი ბედნიერი ხართ — ეს არის მთელი საქმე.

ჰ ე დ ა (წინ იუბრება). მე თვითონაც არ გამეგება — რატომ უნდა ვყოფილიყავი ბედნიერი? იქნება თქვენ ამიხსნათ?

ბ რ ა კ ი. დიახ, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ თქვენი ცხოვრება ისე მოაწყვეთ, როგორც თვითონ გასურდათ.

ჰ ე დ ა (უაპურებს, იცინის). თქვენცა გჯერათ ეს სურვილების ისტორია?

ბ რ ა კ ი. ვანა ბევრი რამ მართალი არ არის?

ჰ ე დ ა. როგორ არა, მასში არის რაღაც — სიმართლის ნაწილი.

ბ რ ა კ ი. შინც?

ჰ ე დ ა. აი, რა: გასულ ზაფხულს ტესმანი საღამოობით სახლისკენ მაცილებდა ხოლმე.

ბ რ ა კ ი. სამწუხაროდ — მე სულ სხვა გზა მქონდა გასავლელი.

ჰ ე დ ა. ეს მართალია. გასულ ზაფხულს თქვენ მართლა სხვა გზებით დადიოდით.

ბ რ ა კ ი (იცინის). გრცხვენოდეთ, ქალბატონო ჰედა! — აჰა — ამრიგად, თქვენსა და ტესმანს შორის?..

ჰ ე დ ა. დიახ, ამრიგად, ერთ საღამოს მე და ტესმანმა ამ აგარაკთან ჩავიარეთ. საბრალო ყმაწვილი საშინელ უხერხულობაში ჩავარდა. ვერანაირად ვერ იპოვა სალაპარაკო საგანი. შემეცოდა სწავლული კაცი...

ბ რ ა კ ი (ეპვიანად იღიმება). თქვენ — შეგეცოდათ? მართლა? ჰმ!

ჰ ე დ ა. დიახ, მართალს მოგახსენებთ. ჰოდა, გაჭირვებიდან რომ გამომეხსნა, სრულიად ანგარიშმიუცემლად ვუთხარი — ამ ვილაში სიამოვნებით ვიცხოვრებდი-მეთქი.

ბ რ ა კ ი. მეტი არაფერი?

ჰედა. იმ სალამოს მეტი არაფერი.

ბრაკი. 'შემდეგ?

ჰედა. დიახ, 'შემდეგ ჩემმა თავქარიანობამ თავისი 'შედევები გამოიღო. ძვირფასო ასესორო.

ბრაკი. სამწუხაროდ — ჩვენს განუსჯელ ლაპარაკს ხშირად ასეთი 'შედევები მოსდევს ხოლმე, ქალბატონო ჰედა!

ჰედა. დიდად გმადლობთ! ამგვარმა ოცნებამ გენერლის მეუღლის ფალკის აგარაკზე ასე ინტიმურად დაგვაკავშირა მე და ტენმანი! ამან გამოიწვია ჯერ ნიშნობა, მერე ქორწილი, ბოლოს საქორწინო მოგზაურობა და ყოველივე ის, რასაც უკვე კარგად ვხედავ!.. დიახ, ძვირფასო ასესორო, რაც მოგივა დავითაო, ყველა 'შენი თავითაო — აკი მოგახსენეთ.

ბრაკი. თავშესაქცევი ამბავია! ნამდვილად კი თქვენ მთელი ეს ამბავი არაფრად გექაშნიკებოდათ, არა?

ჰედა. არაფრად, ღმერთია მოწამე!

ბრაკი. მერე, ახლა? ჩვენზე რაღას იტყვი? ვგონებ, ყველაფერი კოხტად და მოხერხებულად მოგიწყევთ?

ჰედა. უჰ! — ასე მგონია, ამ სახლის ყოველ კუთხეში სუმბულისა და დამპყნარი ვარდის სუნი დგას-მეთქი... მაგრამ ეს სუნი, მგონი, მამიდა იულიამ 'შემოიტანა.

ბრაკი (იციის). არა, მე ვფიქრობ. რომ ეს სურნელება უფრო ფალკის განსვენებულმა მეუღლემ დატოვა.

ჰედა. ჰო, რა ვიცი... საერთოდ, რაღაც დამყაყებულის, დრო-მოკმულის სუნია. მაგონდება ბალში გაცრეცილი ყვავილები — ბალის მეორე დღეს რომ ნაგავში გადაყრიან. (ხელებს აფაზე ადიაიწომა, სკამს დაყრდნობა და უცქერის.) ახ, ძვირფასო ასესორო... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საზარელი მოწყენილობა მომელის აქ!

ბრაკი. ნუთუ ცხოვრება არავითარ მოვალეობას არ დაგაკისრებთ, ქალბატონო ჰედა?

ჰედა. მოვალეობას, რომელსაც ერთგვარი მიმზიდველობა ექნებოდა?

ბრაკი. ეს კიდევ უკეთესი იქნებოდა, ცხადია.

ჰედა. ღმერთმა უწყის, რა მოვალეობა უნდა ყოფილიყო ასეთი? ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე ამგვარ ამოცანაზე. (მკვეთრად.) აჰ, არაფერი არ გამოვა!

ბ რ ა კ ი. ვინ იცის? აბა, მითხარით, რა განზრახვა გაქვთ?

ჰ ე დ ა. იქნება ვაიძულო-მეთქი ტესმანი, რომ პოლიტიკას ჩასჭიდოს ხელი.

ბ რ ა კ ი (იყინის.) ტესმანმა? აჰ, არა, მერწმუნეთ, პოლიტიკა — ეხ უკვე ტესმანის საქმე აღარ არის... არამც და არამც!

ჰ ე დ ა. დიახაც მჯერა... მაგრამ მაინც რომ მოვახერხო?

ბ რ ა კ ი. ჰო, მაგრამ რა სიამოვნებას ნახავთ მერე, თუკი ის საამისოდ არ გამოდგება? რატომ უნდა აიძულოთ, რომ პოლიტიკით დაინტერესდეს?

ჰ ე დ ა. იმიტომ, რომ მომბეზრდა, გესმით თუ არა? (მცირე პაუზის შემდეგ) მაშ თქვენ საკსებით შეუძლებლად მიგაჩნიათ, რომ ტესმანი მინისტრი გახდეს?

ბ რ ა კ ი. ჰმ!.. ხედავთ, ძვირფასო ქალბატონო ჰედა? — მინისტრი რომ გახდეს, საამისოდ პირველყოვლისა მდიდარი კაცი უნდა იყოს.

ჰ ე დ ა (აღგება, მოუთმენლად). დიახ, აი, ჩვენი ბელი! აი ის უბადრუკი გარემოებანი, რომლებშიაც მოუხვდი! (დაღის.) სწორედ ის ინი ხდიან ცხოვრებას სამძიმოდ... პირდაპირ სასაცილოდ! — აი, რაშია საქმე!

ბ რ ა კ ი. მე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც სხვა მიზეზია.

ჰ ე დ ა. სახელდობრ?

ბ რ ა კ ი. ის მიზეზია, რომ ჯერ თქვენ არაფერი გამოგიცდიათ ისეთი... აი, სულის ნამდვილად ამაფორიაქებელი ამბავი.

ჰ ე დ ა. რაიმე სერიოზულს გულისხმობთ, არა?

ბ რ ა კ ი. ჰო, თუნდაც ან ე უწოდეთ. ახლა კი შეიძლება ასეთი რამ გამოსცადოთ.

ჰ ე დ ა (თავს უკან გადაიგდებს). აჰ, თქვენ მხედველობაში გაქვთ ამ სულელურ პროფესურასთან დაკავშირებული უსიამოვნებანი? ეს ტესმანის პირადი საქმეა და მის საქმედვე დარჩება. ამაზე ფიქრიც არა მსურს.

ბ რ ა კ ი. მესმის, მესმის. ეს იქით იყოს. მაგრამ, თუ პირადად თქვენ... ასე ვთქვათ... მაღალფარდოვნად რომ ვილაპარაკოთ... სერიოზული და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობანი დაგვეცისრებათ? (იყინის.) აი, ახალი, დიდი მოვალეობანი, ქალბატონო, ჰედა?

ჰედა (ბრაზმორეული). დაჩუმდით! ასეთი რამ არასოდეს არ მოხდება!

ბრაკი (წყნარი, დამშვიდებული ხმით). ამაზე ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკოთ — სულ დიდი-დიდი, ერთი წლის შემდეგ.

ჰედა (მოკრით). არავითარი საამისო მიდრეკილება არა მაქვს, ბატონო ასესრო. და, საერთოდ, მომაცილეთ ეგ თქვენი რაღაც მოვალეობანი!

ბრაკი. რაღა თქვენ არა გაქვთ არავითარი მიდრეკილება იმისაკენ, რაც სხვა ქალების უმეტესობას თავის მოვალეობად მიაჩნია, რაც...

ჰედა (შინიან კართან). ახ დაჩუმდით-მეთქი, გეუბნებით! — ზოგჯერ მეჩვენება, რომ მე მაქვს მიდრეკილება მხოლოდ ერთი საქმისადმი.

ბრაკი (უახლოვდება). ნებას მომცემთ ვიკითხო: სახელდობრ რა საქმისადმი?

ჰედა (გარეთ იხედება). რომ მოწყენილობისაგან მოგვეღვ. ახლა გაიგეთ? (მოწყვერით მობრუნდება, იყურება უკანა ოთახისაკენ და იცინის.) ასე იცოდეთ! აგერ, ბატონი პროფესორიც.

ბრაკი (წყნარად, აფრთხილებს). მოიცაო, მოიცაო, ქალბატონო ჰედა!

შემოდის ტესმანი საგარეო სამოსელში. ქული და ხელთათმანები ხელით მოაქვს გამოდის უკანა ოთახის მარჯვენა მხრიდან.

ტესმანი. ჰედა! აილერტ ლევბორგისაგან უარი ხომ არ მოვიდა? ჰა?

ჰედა. არა.

ტესმანი. აბა, შენ ნახავ, რომ სადაც არის აქ გაჩნდება.

ბრაკი. თქვენ ფიქრობთ, რომ ლევბორგი მოვა?

ტესმანი. დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ. ხოლო ყველაფერი ის, რაც თქვენ დღეს დილით გვიამბეთ, ცარიელი მონაპორია.

ბრაკი. ვითომ?

ტესმანი. დიახ, ყოველ შემთხვევაში, მამიდა იულიამ ასე თქვა: ჩემს სიტუაციაში არ დავიჭერებ, რომ ოდესმე ლევბორგი გზად გადავდობოსო. წარმოიდგინეთ...

ბრაკი. ჰო, კარგი და კეთილი! მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა.



ტესმანი (ქულს და ხელთათმანებს მარჯვნივ სკამზე დადებს). მაინც თქვენ ნება უნდა მომცეთ, რომ რაც შეიძლება მეტ ხანს დაველოდო-ბრაკი. საამისოდ საკმაოდ დრო გვაქვს. შეიღამდე, რვის ნახევრამდე ჩემთან არავინ მოვა.

ტესმანი. ჰოდა, მაშ ჯერ შეგვიძლია ჰედა გავართოთ და ლევბორგს ვუცადოთ, არა?

ჰედა (ბრაკის მოსასხამი და ქუდი მიაქვს კუთხის დივანთან). ხოლო უარეს შემთხვევაში ბატონი ლევბორგი სალამოს ჩემთან გაატარებს.

ბრაკი (უნდა მოსასხამი ჩამოართვას). რისთვის წუხნდებით: მიბოძეთ აქეთ, მოწყალეო ქალბატონო!.. რას გულისხმობთ „უარეს შემთხვევაში“?

ჰედა. ესე იგი, თუ ლევბორგი არ მოისურვებს თქვენთან წამოსვლას.

ტესმანი (დაბნეული უცქერის). მოიცა, ძვირფასო ჰედა... ეს რანაირად უნდა მოხდეს, აილერტის აქ, შენთან, დარჩენა? ნუ დაგავიწყდება რომ დღეს მამიდა იუღია ველარ მოვა.

ჰედა. ვერა, მაგრამ ქალბატონი ელვსტედი მოვა სამაგიეროდ, და ჩვენ სამივე ერთად დავლევთ ჩაის.

ტესმანი. აჰ, ხედავ? მაშინ რა უჭირს!

ბრაკი (ღიმილით). და თვითონ ლევბორგისთვისაც ეს ალბათ ხელსაყრელი იქნება.

ჰედა. როგორ?

ბრაკი. დმერთო ჩემო! მოწყალეო ქალბატონო, თქვენ ხომ არაერთხელ სამასხროდ აიღეთ ჩემი, უცოლო კაცის, სალთი სადილები! — მარტოხელა კაცის სადილებზე მხოლოდ ისეთი მამაკაცები მოვლენ, რომელთაც ცხოვრების მკაცრი პრინციპები აქვთო, ამბობდით.

ჰედა. მაგრამ ბატონ ლევბორგს სწორედ ახლა საკმაოდ გააჩნია მკაცრი პრინციპები... მოქცეული ცოდვილია...

წინა კარიდან შემოდის ბერტა.

ბერტა. მოწყალეო ქალბატონო, ვიდაც ბატონი შემოსვლის ნებას ითხოვს...

ჰედა. შემობრძანდეს.

ტესმანი (წყნარად). თავი მომქერით, თუ ლევბორგი არ იყოს. წარმოიდგინეთ!

აილერტ ლევებორგი შემოდის წინა ოთახიდან. ტანწერილი, მაღალი და გამხდარია. ტესმანის ხნისაა, მაგრამ მასზე ხნიერი ჩანს. შავ თმისა და წვეწვს ატარებს, სახე გრძელი და ფერმკრთალი აქვს, მხოლოდ ყბებზე ამჩნევია მოწითალო ლაქები. აცვია შავი ხელთათმანები, ხელში ცილინდრი უჭირავს. კარებში ჩერდება და ოთახში მყოფთ თავს უკრავს. შემკრთალი გამოხედვა აქვს.

ტესმანი (შეეგებება, ხელს გაუწვდის). ძვირფასო აილერტ, აი, დაბოლოს, ჩვენ, როგორც იქნა, ხელახლა ვნახეთ ერთმანეთი.

ლევებორგი (წყნარი ხმით ლაპარაკობს). დიდად გმადლობთ წერილისათვის! (უახლოვდება ჰედას.) ნებას მომცემთ, რომ თქვენც ჩამოგართვათ ხელი, ქალბატონო ტესმან?

ჰედა (გამოწვდილ ხელს ართმევს). კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბატონო ლევებორგი! (ხელის მოძრაობით). არ ვიცი, ბატონებო, თქვენ ერთმანეთს თუ..?

ლევებორგი (მსუბუქი თავის დაკვრით). ბატონი ასესორი ბრაკი, თუ არ ვცდები.

ბრაკი (აგრეთვე თავს უკრავს). მაქვს პატივი... რამდენი წელიწადია, რაც..

ტესმანი (ლევებორგს, ხელებს მხრებზე აწყობს). მოიქეცი ისე, როგორც შენს საკუთარ სახლში, აილერტ! არა, ჰედა?.. აილერტ! მგონი, ისევე ქალაქში დასახლება გადაგიწყვეტია, როგორც გადმომცეს? არა?

ლევებორგი. ასე ვფიქრობ.

ტესმანი. აი, ესეც გონივრულია. მე, გესმის... შენი ახალი წიგნი შევიძინე. მაგრამ, მართალი გითხრა, ჯერ დრო ვერ გამოვნახე, რომ წამეკითხა.

ლევებორგი. ამისათვის თავს ნუ შეიწუხებ.

ტესმანი. რას ამბობ?

ლევებორგი. ვამბობ, რომ ამ წიგნში ბევრი არაფერი ყრია.

ტესმანი. არა, მართლა, ამას შენ ამბობ?

ბრაკი. კი, მაგრამ... როგორც გავიგე, ეს წიგნი ქებით ცად აიტანეს.

ლევებორგი. სწორედ ეს მინდოდა. მე ეს წიგნი დავწერე განზრახ ისე, რომ ყველას მოსწონებოდა.

ბრაკი. ძალიან გონივრულად მოქცეულხარო.

ტესმანი. მოიცა, ძვირფასო აილერტ...

ლევბორგი. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ჯერ მინდა მდგომარეობა მოვიპოვო... თავიდან ვიწყებ.

ტესმანი (ოღნავ შემკრთალი). პო, ეს გასაგებია! მერე?

ლევბორგი (ღიმილით, ქუდს დადებს და სერთუჯის ჩიბიდან იღებს ქალღმერთს გახვეულ პაეტს). მაგრამ, აი, ეს რომ გამოვა, შეგიძლია წაიკითხო, იორგენ ტესმანო! ეს არის, რაც არის. მასში მე თვითონ ვარ.

ტესმანი. მართლა? მაინც, საკუთრივ რა არის?

ლევბორგი. გაგრძელებაა.

ტესმანი. გაგრძელება? რისი?

ლევბორგი. ჩემი წიგნის.

ტესმანი. ახალი წიგნის?

ლევბორგი. ცხადია.

ტესმანი. დიახ, მაგრამ, ძვირფასო აილერტ — ის ხომ ჩვენს დრომდე მოდის?

ლევბორგი. უდავოდ. ეს კი მომავალს ეხება, კულტურის პროგრესს.

ტესმანი. მომავალს! ღმერთო დიდებულო! მომავლის კულტურისა ჯერ ხომ სრულიად არაფერი არ ვიცით?

ლევბორგი. არაფერი. მაგრამ ზოგი რამის თქმა შეიძლება მაინც. (პაეტს ხსნის.) შეხედე...

ტესმანი. ეს შენი ხელი არაა.

ლევბორგი. მე ვკარანახობდი. (ფურცლავს.) ორ ნაწილად იყოფა. პირველი ეხება მომავლის კულტურულ ძალებს. ხოლო ეს მეორე (ფურცლავს განაგრძობს.) — მომავლის კულტურის პროგრესს.

ტესმანი. შესანიშნავია! ასეთ რამეზე წერა სწორედ აზრადაც არ მომივიდოდა.

ჰედა (მინიან კართან, თითებით მინახე აკაუნებს). კმ... არ მოუვიდოდა... არა!

ლევბორგი (შეახვევს და გრავინის მაგიდაზე დებს). ხელნაწერი თან წამოვიღე იმ მიზნით, რომ ამ საღამოს მინდა წინდაწინ წაგიკითხო.

ტესმანი. ოჰ, რა მოსაწონი საქციელია მაგრამ დღეს საღამოს... (უხურებს ბრასს.) სწორედ არ ვიცი, როგორ მოეწყობა...

ლევბორგი. აჰ, მაშ სხვა დროს იყოს. რა საჩქაროა!

ბრაკი. მინდა გითხრათ, ბატონო ლევბორგი... დღეს ჩემთან პატარა შეხვედრაა — პირველ რიგში ტესმანისათვის, მოგეხსენებათ...

ლევბორგი (უცქერის თავის ქუღს). აჰ, მაშინ დროა წავიდე...  
ბრაკი: მომისმინეთ. არ იქნება მასიამოვნოთ და ჩვენსას წამო-  
ბრძანდეთ?

ლევბორგი (მოკლედ და მკაფიოდ). არა, არ შემძლია. დიდად  
გმადლობთ.

ბრაკი. რასა ბრძანებთ! გვეწვიეთ. პატარა, შერჩეული წრე გვე-  
ყოლება. დაგვერწმუნეთ, ეს იქნება ლალი და „აღვირაბსნილი“ დროს-  
ტარება, როგორც ქალბატონი ჰედა... ქალბატონი ტესმანი იტყვის  
ხოლმე.

ლევბორგი. ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ...

ბრაკი. თქვენ შეგიძლიათ ხელნაწერი თან წამოიღოთ და ჩემთან  
წაუკითხოთ ტესმანს. ადგილი გვეყოფა.

ტესმანი. დიახ, ეს კი მართლა შეიძლებოდა, აილერტ! რას  
იტყვი?

ჰედა (შუაში ჩაუღვება). მოიცა, ჩემო ყველაგ! თუკი ბატონ ლევ-  
ბორგს არა სურს? დარწმუნებული ვარ, ბატონ ლევბორგს ბევრად  
ურჩევნია ვახშმად აქ დარჩეს და სადამო ჩემთან გაატაროს.

ლევბორგი (უხურებს). თქვენთან, პატივცემულო ქალბატონო?

ჰედა. და ქალბატონ ელვსტედთან.

ლევბორგი. აჰ! (დაუღევრად.) დღეს შუადღისას ამ ქალს თვალი  
მოვკარი.

ჰედა. მართლა? ჰო, ისიც მოვა. ამიტომაც საჭიროა თქვენი დარ-  
ჩენა. სხვა არაეინ არის, რომ ნავახშმევს სახლამდე მიაცილოს.

ლევბორგი. ეს მართალია. დიდად გმადლობთ, ქალბატონო, მაშ  
დავრჩები.

ჰედა. ჰოდა ასე, მეც მოსამსახურეს რაღაც პატარა დავალება უნ-  
და მივცე. (წინა ოთახის კართან მიდის, რეკავს. ბერტა შემოდის. ჰედა წყნარად  
ელაპარაკება და უთითებს უკანა ოთახისაკენ. ბერტა თავს უქნევს და გადის.)

ტესმანი (იმავე დროს ლევბორგს). შენ, აილერტ, გესმის? მომავლის  
საკითხი — ეს ხომ ახალი თემაა, რაზედაც ლექციების კითხვას აბი-  
რებ?

ლევბორგი. დიახ.

ტესმანი. წიგნების გამყიდველმა მითხრა, რომ შემოდგომაზე  
აქ ლექციების ციკლის წაკითხვა გაქვს განზრახული.

ლევბორგი. ასე ვფიქრობ. ხომ არ გეწყინება, ტესმან?

ტესმანი. ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ...

ლევბორგი. მესმის, რომ ეს რამდენადმე არაზელსაყრელია შენთვის.

ტესმანი (დაძაბუნებულ). აჰ, ხომ არ მოგთხოვ, რომ ჩემი გულისათვის...

ლევბორგი. მაგრამ მე დავიცდი, ვიღრე შენ პროფესორად დაინიშნები.

ტესმანი. დამიცდი?! კი, მაგრამ... მაგრამ... შენ ჩემთან კონკურსში არ გამოხვალ? ჰა?

ლევბორგი. არა. მე მინდა შენ დაგამარცხო, მხოლოდ ხალხის თვალში.

ტესმანი. ღმერთო ჩემო!.. მაშ მამიდა იულიას მართალი უთქვამს! აჰ, სწორედ ასეა — ეს მე ვიცოდი! ჰედა! წარმოგიდგენია? — აილერტს არ განუზრახავს, წინ გადაგვეღობოს.

ჰედა (მოკლედ). ჩვენ? თუ შეიძლებოდეს, მე განზე დამტოვე!

გაღს უკანა ოთახში, სადაც ბერტა ამასობაში სუფრაზე ილაგებს გრაჟინს და ჰიქებს. ჰედა მოწონების ნიშნად თავს უქნევს და ისევ ბრუნდება სტუმრებთან ბერტა გაღს.

ტესმანი (იმავე ღროს). თქვენ ასესორო? თქვენ რაღას იტყვით ამაზე? ჰა?

ბრაკი. ოჰ, მე ვიტყვი — პატივი და გამარჯვება... ჰმ!.. ეს პირდაპირ საოცარი ამბავია...

ტესმანი. დიახ, უდავოდ. მაგრამ, მაინც, რაც უნდა იყოს...

ჰედა (უყურებს ტესმანს ცივი ღიმილით). ისე მეჩვენება, თითქოს მეხნაკრავივით გამოიყურებოდე.

ტესმანი. დიახ... რაღაც ამდაგვარია... მეც ასე მგონია...

ბრაკი. მაგრამ ეს ხომ ჰეჰა-ქუხილი იყო, რამაც თავზე გადაგვიარა, ქალბატონო ტესმან!

ჰედა (უკანა ოთახში უჩვენებს). ხომ არ ინებებთ, ბატონებო, რომ ოთახში შემობრძანდეთ და თითო ჰიქა პუნში მიირთვათ?

ბრაკი (უყურებს საათს). წასვლის წინ, არა? დიახ, ეს არ იქნებოდა ურიგო.

ტესმანი. კეთილი, ჰედა! დიდი სიამოვნებით! ისეთ საუცხოო ხასიათზე, როგორც ახლა ვარ...

ჰედა: თქვენც გთხოვთ, ბატონო ლევბორგი.

ლევბორგი (უარის ნიშნად). დიდად გმადლობთ. ჩემთვის ნუ შე-  
წუხდებით.

ბრაკი. დმერთო ჩემო! ცივი პუნში ხომ საწამლავი არ არის,  
რამდენადაც ვიცი!

ლევბორგი. გააჩნია, ვისთვის. ზოგისთვის შეიძლება იყოს.

ჰედა. ბატონ ლევბორგს მაშ ცოტა ხნით მე შევიქცევ.

ტესმანი. ჰო, ეგრე, ძვირფასო ჰედა, შეიყოლიე.

ტესმანი და ბრაკი შედიან პატარა ოთახში, დივანზე სხდებიან, პუნშს შეექცევიან  
და პაპიროსს ეწევიან. მთელი მომდევნო სცენის განმავლობაში მხიარულად ბაასობენ.  
ლევბორგი დგას ლუმელთან, ჰედა მიდის მაგიდასთან.

ჰედა (აწეული ხმით). მე მინდა რამდენიმე ფოტოსურათი გაჩვენ-  
ნოთ, თუ თქვენი სურვილიც იქნება. მე და ტესმანმა სამშობლოში  
დაბრუნებისას გზად გამოვიარეთ ტიროლზე. (გადააქვს ალბომი საწერი  
მაგილიდან დივნის წინ მდგომ მაგიდაზე და თვითონაც ჯდება დივანის მარჯვენა  
კუთხეში. ლევბორგი უახლოვდება, შედგება და უსიტყვოდ უქცერის ქალს. მერე  
იღებს სკამს და ჯდება მის მარცხენა მხარეს, პატარა ოთახისაკენ ზურგშექცეული).

ჰედა (შლის ალბომს). შეხედეთ ამ მთაგრეხილებს, ბატონო ლევ-  
ბორგი! ეს ორტლერია. ტესმანმა თავისი ხელით წააწერა: „ორტლერ-  
ის ქედები მერანთან“.

ლევბორგი (მთელი ეს ხანი თვალს არ აცილებდა, ლაპარაკობს წყნარად  
და ნელა). ჰედა... გაბლერი.

ჰედა (სწრაფად ნზერას სტუორცნის). სსუ! ჩუმად!

ლევბორგი (ჩუმად იმეორებს). ჰედა გაბლერი...

ჰედა (ალბომში იყურება). დიახ, ასე მეძახდნენ უწინ... იმ დროს,  
როცა მე და თქვენ ნაცნობები ვიყავით.

ლევბორგი. ხოლო ამიერიდან... სამუდამოდ... უნდა გადავეჩ-  
ვიო ამას: ჰედა გაბლერი.

ჰედა (ფურცლავს). დიახ, ასე მოგიხდებათ. ჩემის აზრით, გადა-  
ჩვევა მოგიხდებათ. და რაც უფრო მალე გადაეჩვევით, მით უკეთესო  
იქნება, ასე ვფიქრობ.

ლევბორგი (ბრაზით აცახცახებული ხმით). ჰედა გაბლერი გათხოვი-  
ლია? და მერე ისიც... იორგენ ტესმანზე!

ჰედა. დიახ... ასე ხდება.

ლევბორგი. ახ, ჰედა, ჰედა... ასე რატომ დაიღუპე თავი?  
ჰედა (მკაცრად უყურებს). აბა! ამაზე კრინტიც აღარ დასძრა.  
ლევბორგი. რაზე? რას ამბობ?

ტესმანი შემოდის და მიდის დივანთან.

ჰედა (ქმრის შემოსვლაზე, გულგრილად). ხოლო ეს, ბატონო ლევბორგ, ეს ამპეცოს ხეობაა. შეხედეთ ამ მწვერვალს! (უყურებს ტესმანს.)  
მითხარი, გეთაყვა, რა ჰქვია ამ უცნაურ მწვერვალებს?

ტესმანი. მაცალე, დაეინახო. ჰო, დოლომიტები.

ჰედა. ჰო, მართლაც!.. ეს დოლომიტებია, ბატონო ლევბორგ.

ტესმანი. იცი, ჰედა... მე მინდოდა მეკითხა, მაინც ხომ არ გამოვიტანოთ აქ ჰუნში? შენთვის მაინც? ჰა?

ჰედა. მაღლობელი ვიქნები, რატომაც არა. თან ორიოდ ნამცხვარიც მოაყოლე.

ტესმანი. პაპიროსებიც?

ჰედა. არა.

ტესმანი. ძალიან კარგი. (გაღის უკანა ოთახში მარჯვნივ.)

ბრაკი ზის და თვალყურს ადევნებს ჰედას და ლევბორგს.

ლევბორგი (დაბალი ხმით, როგორც ზემოთ). მიპასუხე, ჰედა, როგორ გადაწყვიტე ეს საქმე?

ჰედა (ვითომ ალბომს აკვირდება). თუ ისევ განაგრძობთ ჩემთან „შენობით“ ლაპარაკს, მე აღარ გიპასუხებთ.

ლევბორგი. როგორ! არც ახლა მოგმართო „შენობით“, როცა მარტო ვართ?

ჰედა. არა. შეგიძლიათ გულში გაივლოთ, ხმამაღლა თქმის უფლება კი არა გაქვთ.

ლევბორგი. აჰ, მესმის. ეს კრილობას აყენებს იორკენ ტესმანისადმი თქვენს სიყვარულს.

ჰედა (ალმაყრად შეხედვს, ღიმილით). სიყვარულს? ოჰ, რა გულკეთილი ხართ!

ლევბორგი. მაშ ეს სიყვარული არ არის?

ჰედა. და არც ღალატი. იცოდეთ, ასეთ რამეზე ფიქრიც არა მსურს.

ლევბორგი. ჰედა... მიპასუხეთ მხოლოდ ერთ რამეზე...

ჰედა. სსუ!

ტესმანი შემოდის უკანა ოთახიდან, ხელში ლანგარი უჭირავს.

ტესმანი. ასე! ნახეთ, ისეთი რამეები მოგიტანეთ, რომ თქვენა მოწონებული! (დგამს ლანგარს მაგიდაზე.)

ჰედა. თვითონ რატომ მოვაქვს?

ტესმანი (ავსებს თასებს). იმიტომ, რომ გამოუთქმელად მემამება შენი სამსახური, ჰედა!

ჰედა. ეგრე იყოს, მაგრამ ორივე თასი რად შეავსე? ბატონი ლევბორგი რომ უარს ამბობს?

ტესმანი. მართალია, მაგრამ ქალბატონი ელვსტედი სადაცაა მოვა.

ჰედა. ჰო, მართალია... ქალბატონი ელვსტედი...

ტესმანი. ხომ არ დაგავიწყდა? ჰა?

ჰედა. ისე ვართ გართული ალბომის დათვალიერებით, რომ... (უჩვენებს სურათს.) ეს პატარა სოფელი გაგონდება?

ტესმანი. აჰ, ეს ბრენერის მთის ძირასაა. გახსოვს? ჩვენ აქ ღამე გავათიეთ...

ჰედა. ...და რამდენ მხიარულ მოაგარაკეს შეეხვედით!

ტესმანი. სწორედ ასე იყო. წარმოიდგინე, აილერტი! შენც რომ შეგძლებოდა იქ ჩვენთან ყოფნა, როგორ გავიხარებდით! არა? (ბრუნდება უკან და ჯდება ბრაკთან.)

ლევბორგი. მიბასუხეთ ამ ერთ კითხვაზე, ჰედა...

ჰედა. გისმენთ.

ლევბორგი. მაშ ჩემდამი თქვენს ურთიერთობაშიც არ იყო განა სიყვარული? კვალიც არ იყო? სიყვარულის ნაპერწკალიც არა კრთოდა?

ჰედა. ეჰ, ვინ იცის! მე ვფიქრობ, რომ ორი კარგი ამხანაგი ვიყავით. ორი ნამდვილი ახლო მეგობარი. (იღიბება.) მეტადრე თქვენ საოცარ გულახდილობას იჩენდით.

ლევბორგი. თქვენ ხომ ასე მოითხოვდით?

ჰედა. ახლა, ამას რომ გავიხსენებ, ასე მგონია, მასში იყო რაღაც მშვენიერი, მომხიბლავი... რაღაც გაბედულება იყო ამ იღუმალ მეგობრობაში... ამ ამხანაგობაში, რაზედაც კაცის შეიღმა არაფერი იცოდა.



ლევბორგი. დიახ, ხომ მართალია, ჰედა? მეც ასე მგონია. ზოგჯერ ნასადილეგს გამოვივლიდი ხოლმე თქვენს მაჰასთან... გენერალი იჭდა ფანჯარასთან და გაზეთს კითხულობდა... ჩვენსკენ ზურგშექცეული...

ჰედა. ჩვენ ორნი კი კუთხეში დივანზე ვისხედით...

ლევბორგი. მუდამ ერთსა და იმავე სურათებს ვათვალიერებდით...

ჰედა. ალბომის უქონლობის გამო... დიახ.

ლევბორგი. ასე იყო, ჰედა... მერე, გახსოვთ, მე რომ ჩემი გულის დარდებს გადავიშლიდით... და თქვენ კი ისმენდით ჩემს აღსარებას, ჩემი ცხოვრების ამბავს, რაც მაშინ თქვენს გარდა არავინ იცოდა? ვიჯექი თქვენს გვერდით და ვალიარებდი, რომ დღეებსა და ღამეებს გაიჟურღრეობაში ვატარებდი, ფუჰჰად და უაზროდ ვფლანგავდი ჩემს საათებს... აჰ, ჰედა, რა ძალა იყო თქვენში ისეთი, რომ მაიძულებდით ასეთი რამეები მეღიარებინა!

ჰედა. თქვენ გგონიათ, რომ ჩემში ასეთი ძალა მართლა იყო?

ლევბორგი. დიახ... არ ვიცი, სხვაგვარად როგორ ავხსნა? და ყველა ის შენიღბული კითხვები, რომელთაც მაძლევდით...

ჰედა. და რომლებიც თქვენ ასე ჩინებულად გესმოდათ...

ლევბორგი. ან როგორ შეგეძლოთ ასეთი კითხვების დასმა! სრულიად მოუხრიდებლად!

ჰედა. მოხერხებულად... თუ შეიძლება ითქვას!

ლევბორგი. ჰო, შენიღბულად, მაგრამ მაინც მოუხრიდებლად! საოცარია, როგორ შეგეძლოთ გეკითხათ ჩემთვის ასეთი... ასეთი რამეები.

ჰედა. და როგორ შეგეძლოთ მათზე-პასუხის გაცემა, ბატონო ლევბორგი!

ლევბორგი. დიახ, სწორედ ეს ვერ ამიხსნია. მაგრამ, მითხარით, ჰედა... ნუთუ ყოველივე ამას საფუძვლად არ ედო სიყვარული? ნუთუ არ ფეთქავდა თქვენს გულში რაღაც მისწრაფება — სწორ გზაზე დაგეყენებინეთ, ჩამოგებანათ ჩემგან ეს ქუჰყი... რაკი მე თქვენთან გამოვრბოდი ჩემი აღსარებით? რას იტყვით? ნუთუ არ იყო?

ჰედა. არა, ნაკლებად!

ლევბორგი. მაშ რა გამოძრავებდათ?

ჰედა. განა თქვენთვის ასე ძნელი ასახსნელია, რომ ახალგაზრდა ქალიშვილი... რამდენადაც შემთხვევა ამის ნებას აძლევს... ცდილობს საიდუმლოდ...

ლევბორგი. რა?

ჰედა. ჰო, ცდილობს-მეთქი, ასე იდუმალ მაინც შეიქვრიტოს იმ სამყაროში, რომელშიაც...

ლევბორგი. რომელშიაც რა?

ჰედა. ...რომელშიაც მას ჯერ არაფერი გაეგება.

ლევბორგი. აჰ, მამ მხოლოდ ეს იყო მიზეზი?

ჰედა. ესეც იყო. მე მგონია, ესეც იყო ერთი მიზეზი.

ლევბორგი. მეგობრობა სიცოცხლის წყურვილის გამო? რატომ არ შეიძლებოდა, რომ ეს მაინც გაგრძელებულიყო?

ჰედა. ამაში თქვენა ხართ დამნაშავე.

ლევბორგი. აკი თვითონ თქვენ გაწყვიტეთ ჩემთან კავშირი.

ჰედა. დიახ, როცა შეიქმნა სერიოზული საფრთხე, რომ ჩვენი ურთიერთობა საქმედ იქცეოდა. გრცხვენოდეთ, ლევბორგ! როგორ გაბედეთ ასე თავს გასვლა თქვენი... თქვენი გულუბრყვილო ამხანაგის წინაშე?

ლევბორგი (ხელებს ნერვულად კუმშავს). ახ, რატომ მართლა არ მესროლოეთ მაშინ, როცა დამბაჩის ლულა ჩემს გულს დაუმიზნეთ!

ჰედა. აი, როგორ მეშინია განმაურების, აურზაურისა!

ლევბორგი. დიახ, ჰედა, თქვენ მართლაც მხდალი ხართ.

ჰედა. საშინლად მხდალი. (ხმას იცვლის.) მაგრამ ეს თქვენი ბედი იყო. მერე კი ასე ჩინებულად გაერთეთ იმ თქვენს ელვისტედთან.

ლევბორგი. ვიცი, თეამ საიდუმლო გაგანდოთ.

ჰედა. თუ არ ვცდები, თქვენც რალაც გაანდეთ ჩვენი ურთიერთობიდან.

ლევბორგი. არც ერთი სიტყვა. თეა მეტად სულელია, რომ ასეთი რამ გაიგოს.

ჰედა. სულელი?

ლევბორგი. ასეთ საკითხებში თეა სულელია.

ჰედა. მე კი მხდალი ვარ. (გადაიხრება ლევბორგისაკენ ისე, რომ თვალსი არ უცქერის, წყნარად.) მაგრამ ახლა მეც შემიძლია რალაც გაგანდოთ.

ლევბორგი (დაძაბული). რა?

ჰედა. თუ მაშინ მე არ მეყო ნებისყოფა, რომ ტყვიით მომე-  
კალით...

ლევბორგი. მერე?

ჰედა. ეს არ იყო ჩემი სიმხდალის შედეგი... იმ საღამოს... მე  
თქვენ...

ლევბორგი (წამით უყურებს, გაუგებს, ვნებამორევით ჩურჩულებს). ახ.  
ჰედა! ჰედა გაბლერო! ახლა კი ვხედავ ჩვენი ამხანაგობის საიდუმლო  
მიზეზებს! მე და შენი.. მაინც ყოფილა შენში სიცოცხლის წყურვილი...

ჰედა (მრისხანედ, ცივად გადახედვს, წყნარად). მიფრთხილდით, არა-  
ფერი ისეთი არ გაივლოთ გულში!

ბინდდება. ბერტა წინა ოთახის კარს შემოაღებს.

ჰედა (ალბომს ხმაურით ხურავს და ღიმილით იძახის). ძლივს! შემო-  
დი, ძვირფასო თეა, რაღას უცდი!

ქალბატონი ელვსტედი წინა ოთახიდან შემოდის, საგარეოდ აცვია. მის უკან ბერტა  
კარს გაიხურავს.

ჰედა (დივანზე გადაყრდნობილი, ხელს გაუწვდის). ჩემო მომხიბლავო  
თეა ვერ წარმოიდგენ, რა მოუთმენლად გელოდი!

თეა გზად გავლისას თავს უკრავს პატარა ოთახში მყოფ მამაკაცებს, მერე  
ზიდის მაგიდასთან და დივანში მჯდომ ჰედას ხელს ართმევს. ლევბორგიც წამო-  
იწევს და შემოსულს თავს უკრავს.

ქ-ნი ელვსტედი. ნება მომეცი ოთახში შევიდე და ორი სი-  
ტყვა ვუთხრა შენს ქმარს.

ჰედა. აჰ გულშიაც არ გაივლო. აცალე ორთავეს, დე იყონ თავის-  
თვის. სულ ერთია, მალე წავლენ.

ქ-ნი ელვსტედი. წავლენ?

ჰედა. ჰო, საქეიფოდ მიდიან.

ქ-ნი ელვსტედი (სწრაფად ლევბორგს). თქვენც ხომ არა?

ლევბორგი. არა.

ჰედა. ბატონი ლევბორგი ჩვენთან დარჩება.

ქ-ნი ელვსტედი (იღებს სკამს და სურს აიღერტის გვერდით დაჯდეს).  
აჰ, რა კარგია თქვენსას!

ჰედა. მოიცა, ძვირფასო თეა! იქ კი არა! აქ არ გინდა, ჩემს  
ახლოს? მე მინდა შეუამი ვიჯდე.

ქ-ნი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. როგორც გენებოთ. (დაუვლის სკამს. და ჯდება ჰელას მარჯვენა მხარეს დივანზე. ლევბორგი ისევ სკამზე ზის.)

ლ ე ვ ბ ო რ გ ი (მცირე ღუმილის შემდეგ. ჰელას). განა მომხიბლავთ არ არის? რომ უცქერი, თვალს ესამოვნება, არა?

ჰ ე დ ა (თმაზე ხელს უსვამს). განა მხოლოდ თვალს?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. დიახ. რადგანაც ჩვენ ორნი... მე და თეა... ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ. ნამდვილად გვჭყვია ერთიმეორისა. ამიტომ შეგვიძლია ერთად ვისხედეთ და ერთიმეორეს ყველაფერს გუჟაბდილად ვუთხრათ...

ჰ ე დ ა. ორქოფობის გარეშე, ბატონო ლევბორგ, არა?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. ჰო...

თ ე ა (წყნარად, ჰელას ეხუტება). აჰ, რა ბედნიერი ვარ, ჰელა! წარმოიდგინე... ჩემი შთაგონების წყარო იყავიო, მეუბნება.

ჰ ე დ ა (უცქერის ღიმილით). მართლა ასე ამბობს, ჩემო გოგონავ?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. და მერე, რომ იცოდეთ, რამდენი უნერგია აქვს ყოველ საქმეში, რამდენი ნებისყოფა, ქალბატონო ტესმან!

ქ-ნი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ღმერთო დიდებულო! მე და ნებისყოფა?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. უსაზღვრო ნებისყოფა და გამბედაობა — სადაც კი საქმე მეგობარს ეხება.

ჰ ე დ ა. დიახ, ნებისყოფა... დიახ! ეს არაა ცუდი ეჰ, კაცს რომ საკმაო ნებისყოფა ჰქონოდა...

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. რა იქნებოდა? რას გულისხმობთ?

ჰ ე დ ა. მაშინ კიდევ შეიძლებოდა ადამიანს ადამიანურად ეცხოვრა... (სწრაფად წყვეტს.) მაგრამ ახლა ამისი დრო არ არის, ჩემო საყვარელო თეა... ახლა თქვენ ერთი ფილა მშვენიერი ცივი პუნში უნდა დალიოთ.

ქ-ნი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. არა, გმადლობთ... ასეთ რამეებს არასოდეს არა ვსვამ.

ჰ ე დ ა. აბა, თქვენ მაინც, ბატონო ლევბორგ.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. გმადლობთ, არც მე.

ქ-ნი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. არა, არც ის სვამს!

ჰ ე დ ა (მტკიცად უცქერის ლევბორგს). თუ მე მოვისურვებ, არც მაშინ დალევს?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. ამოო სურვილი იქნება, ვერაფერს გახდებით.

ჰედა (იონის). მაშ, მე უკვე აღარავითარი ძალა აღარა მაქვს  
თქვენზე, მე საცოდავს?

ლევბორგი. ამ საქმეში არა.

ჰედა. ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, მე ვფიქრობ, რომ მაინც  
დალევთ. უნდა დალიოთ — თქვენივე გულისათვის.

ქ-ნი ელვსტედი. ჰედა, რას ამბობ?

ლევბორგი. ეს როგორ?

ჰედა. ან, უკეთ რომ ვთქვათ, საზოგადოების, ხალხის, გულისათ-  
ვის.

ლევბორგი. ნუთუ მართლა?

ჰედა. ხალხს ადვილად შეუძლია ისეთი დასკვნა გამოიტანოს,  
თითქოს თქვენ... არსებითად... არც ისე გულწრფელად და თავისუფ-  
ლად გეპიროთ თავი... თითქოს საკუთარ თავში დარწმუნებული არ  
იყოთ.

ქ-ნი ელვსტედი. ჰედა, ნუ დააძალებ...  
ლევბორგი. ჩემის აზრით, — ჯერჯერობით, — რაც უნდათ,  
ის იფიქრონ... ქვეყანას პირს ვერ ამოუყვარავ.

ქ-ნი ელვსტედი (მზიარულად). დიახ, ასე არ არის?

ჰედა. სწორედ ეს ამოვიკითხე ასესორ ბრაკის სახეზე.

ლევბორგი. რა ამოვიკითხეთ?

ჰედა. რაღაც გესლიანად გაიღიმა, როცა თქვენ ვერ გაბედეთ  
მათთან თათხში შესვლა და სუფრაზე დაჯდომა.

ლევბორგი. ვერ გავბედე? მე უბრალოდ ვარჩიე აქ დარჩენა და  
თქვენთან საუბარი.

ქ-ნი ელვსტედი. ეს სავსებით გასაგებია, ჰედა!

ჰედა. ასესორი კი მაინც სხვანაირად მიიღებდა. მე ვნახე, როგორ  
დამანჭა პირი და ტესმანს თვალი ჩაუკრა, როცა მის პატარა წვეულე-  
ბაში წასვლა ვერ გაბედეთ.

ლევბორგი. ვერ გავბედე? თქვენ ამბობთ, რომ ვერ გავბედე?

ჰედა. მე კი არ ვამბობ, მაგრამ ასესორმა ასე გაიფიქრა.

ლევბორგი. იფიქროს მერე!

ჰედა. მაშ არ წაჰყვებით?

ლევბორგი. მე აქ დავრჩები, თქვენთან და თეასთან!

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, ჰედა... აბა, თვითონვე განსაჯე!

ჰედა (იღიშება და მოწონების ნიშნად თავს უქნევს ლეგბორგს). ამრიგად, პრინციპი, გადამწყვეტი პრინციპი იმარჯვებს — აწ და მარადის! დიას, ასეთი უნდა იყოს მამაკაცი (შეიბრუნდება თეას და ვალერსება.) აკი გითხარი, ამ დილით რომ აქ შემოვარდი...

ლეგბორგი (შეშფოთებული). შემოვარდა?

ჰ-ნი ელვსტედი. ჰედა!. ჰედა!..

ჰედა. ახლა ხომ თვითონვე ხედავ? რისი გეშინია, ტყუილად რას იკლავ ხოლმე თავს! (ხმას იცვლის). ასე! ახლა კი სამთავეს შეგვიძლია სულითა და გულით მოვილხინოთ და თავი მივცეთ აღვირახსნილ მხიარულებას.

ლეგბორგი (განცვიფრებული და შემკრთალი). ეს რას ნიშნავს, ქალბატონო ტესმან?

ჰ-ნი ელვსტედი. ჰოი, ღმერთო! ჰოი, ღმერთო! ჰედა ამას რას ამბობ, ამას რას სჩადიხარ?

ჰედა. წყნარად! საზიზღარი ასესორი ზის და გვითვალთვალებს.

ლეგბორგი. რა არის ეს? — მუდამ შიშით ცახცახი! ჩემი გულისათვის!

ჰ-ნი ელვსტედი (წყნარად ვიღრებოთ). ახ, ჰედა... რა უბედური გამხალე ამ წუთში!

ლეგბორგი (რამდენიმე ხანს უტკერის თეას. სახე ბრაზით შეცვლილი აქვს). მაშასადამე, ეს იყო ამხანაგის მტკიცე რწმენა ჩემდამი!

ჰ-ნი ელვსტედი (ვიღრებოთ). ახ, ძვირფასო მეგობარო... ჭერ მომისმინე...

ლეგბორგი (იღებს პუნშით სავსე ფიალას, ასწევს და წყნარად, ზრინწიანი ხმით ამბობს). შენეი სადღეგრძელო იყოს, თეა!

ჰ-ნი ელვსტედი (წყნარად). აჰ, ჰედა, ჰედა... ნუთუ ეს შენი სურვილია!

ჰედა. სურვილი? ჩემი სურვილი? ხომ არ შეშლილხარ?

ლეგბორგი. ეს კი თქვენი სადღეგრძელო იყოს, ქალბატონო ტესმან! მადლობელი ვარ სიმართლის თქმისათვის! გაუმარჯოს სიმართლეს! (სვაშს. უნდა ისევ შეავსოს.)

ჰედა (ხელზე ხელს დაადებს). კარგია, ამჯერად კმარა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს უცხო საზოგადოებაში უნდა მოხვდეთ.

ჰ-ნი ელვსტედი. ნუ, ნუ, ნუ!

ჰედა. სსუ! ისინი სხედან და თვალს არ გაშორებენ.

ლევბორგი (დგამს სასმისს). გესმის, თეა?.. ახლა მითხარი სი-  
მართლე.

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, გისმენ...

ლევბორგი. იცოდა თუ არა ბატონმა ელვსტედმა, რომ შენ  
აქეთ ჩემს მოსაძებნად გამოეშურე?

ქ-ნი ელვსტედი (ხელუბის მტვრევით). ახ, ჰედა! გესმის, რას მე-  
კითხება ლევბორგი?

ლევბორგი. მოილაპარაკეთ თუ არა შენ და შენმა ქმარმა, რომ  
საჭირო იყო ამ ქალაქში ჩემს კვალს ასდევნებოდით? თვითონ ბა-  
ტონმა ელვსტედმა ხომ არ დაგავალა ეს? აი, ხედავთ?.. ისევ თა-  
ვის კანცელარიაში ვესაჭიროები განა?.. ან იქნებ სათამაშო მაგიდას-  
თან თვალში დავაკლდი?

ქ-ნი ელვსტედი (წყნარად, ტანჯვით). ახ, ლევბორგ, ლევბორგ!..

ლევბორგი (დასტაყებს ხელს ფიალას, უნდა შეავსოს). მოხუცმა  
ელვსტედმა იცოცხლოს!

ჰედა (აფრთხილებს). გეყოფათ ახლა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ  
უნდა წახვიდეთ და ტესმანს ხელნაწერი წაუკითხოთ.

ლევბორგი (მშვიდად, ფიალას დადგამს). ჩემის მხრივ ეს იყო... ეს  
იყო-სიგიჟე, თეა. მე გვულისხმობ ასე მოპყრობას. ნუ გამიწყურები,  
ჩემო... ჩემო ძვირფასო მეგობარო. შენ უნდა ნახო — შენცა და  
სხვებმაც — რომ თუ ოდესღაც დაცემული ვიყავი, ახლა ფეხზე წამო-  
ვდექი! — შენი დახმარებით, თეა!..

ქ-ნი ელვსტედი (სიხარულით. გაბრწყინებული). ახ, დიდება და  
მადლი უფალს...

ბრაკი საათს დახედავს. ის და ტესმანი ღვებიან და გამოდიან სასტუმრო ოთახში.

ბრაკი (იღებს ქუდსა და მოსასხამს). ქალბატონო ტესმან, ჩვენმა  
საათმა დაჰკრა!

ჰედა. სწორედ ასეა.

ლევბორგი (აღგება). ჩემმაც, ბატონო ასესორო!

ქ-ნი ელვსტედი (წყნარად და თხოვნით). ახ, ლევბორგ... ნუ წა-  
ხვალ!

ჰედა (ხელზე უჩქმეტს). გისმენენ!

ქ-ნი ელვსტედი (სუსტად შეჰკვივლებს). აუჰ!

ლევბორგი (ბრაკს): თქვენ ისე თავაზიანად მიმიწვიეთ, რომ...

ბრაკი. ოჰო! ესე იგი, მაინც მოდიხარ, არა?

ლევბორგი. დიახ, სწორედ თავისუფალი ვარ.

ბრაკი. უზომოდ გამახარეთ...

ლევბორგი (ქალაღის გრაგნილს ჯიბეში იღებს, ტესმანს). მართლაც, გულით მინდა ზოგი რამ წავიკითხო, ვიდრე დასაბეჭდად გადავცემდე.

ტესმანი. წარმიდგინე — ჩინებული აზრია!.. მაგრამ, ძვირფასო ჰედა, ვინ მიაცილებს ამ შემთხვევაში ქალბატონ ელვსტედს სახლამდე? ჰა?

ჰედა. ოჰ, აქ როგორმე მოვთავსდებით, ან რამე იქნება.

ლევბორგი (უფქვრის ქალებს). ქალბატონ ელვსტედს? მე დაგბრუნდები, ცხადია, და წავიყვან. (უახლოვდება) ასე, ათი საათისათვის, ქალბატონო ტესმან? შეიძლება?

ჰედა. ცხადია, შეიძლება.

ტესმანი. ჰო, მაშ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ მე ასე მალე ნუ მომელოდები, ჰედა.

ჰედა. აჰ, ჩემო საყვარელო, დარჩი რამდენი ხნითაც... რამდენი ხნითაც გასურდეს.

ქანი ელვსტედი (შეაჯვებული შიშით). ბატონო ლევბორგი, მაშ მე აქ დაგელოდებით, ვიდრე მოხვალთ.

ლევბორგი (ჭულით ხელში). რალა თქმა უნდა, ქალბატონო ელვსტედი!

ბრაკი. ასე! სიამოვნების მატარებელი ისევ დაიძრა, ბატონებო! მე ვფიქრობ, რომ თავს აღვირახსნილ მხიარულებას მივცემთ, როგორც იტყვის ხოლმე ერთი ჭეშმარიტად ტურფა ასული.

ჰედა. აჰ, რომ შეეძლოს ამ ჭეშმარიტად ტურფა ასულს გახდეს უჩინარი და დაესწროს თქვენს ნადიმს...

ბრაკი. რატომ უჩინარი?

ჰედა. რათა თქვენი შეუნიღბავი წრესგადასულობანი მოესმინა და ენახა, ბატონო ასესორო.

ბრაკი (იციანის). ამას არ ვურჩევდი ტურფა ასულს.

ტესმანი (აგრეთვე იციანის). დაფიქრდი, ჰედა! ეს რა მოინდომე, ჩემო კარგო!

ბრაკი. მაშ ნახვამდის, ნახვამდის, ჩემო ქალბატონებო!

ლევბორგი (ემშვიდობება თავის დაკვირით). ათ საათამდე!

ბრაკი, ლევბორგი და ტესმანი წინა ოთახის კარიდან გადიან, უკანა ოთახიდან შემოდის ბერტა ლამპით ხელში. ლამპას მაგიდაზე დგამს და იმავე გზით უკან მიდის.



ქ-ნი ელვსტედი (ადგება, მოუსვენრად დადის ოთახში). ჰედა... ჰე-  
და... რით დასრულდება ყველაფერი ეს?

ჰედა. ათ საათზე... ათ საათზე ის მოვა, სულ თვალწინ მიდგას,  
ვაზის ყლორტებით მორთული თავით, შეზარხოშებული და თამამი...

ქ-ნი ელვსტედი. ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს! მაგრამ...

ჰედა. და მაშინ ნახავ, ისევ როგორ დაიჭერს თავს. შემდეგ კი  
თავისუფალი მამაკაცი იქნება მთელი თავისი სიცოცხლის განმავლო-  
ბაში.

ქ-ნი ელვსტედი. ახ, ღმერთო, დიახს!... თუ იმ სახით მოვა,  
როგორც შენ წარმოგიდგენია.

ჰედა. ასე და მხოლოდ ასე მოვა! (ადგება, უახლოვდება) შენ იეჰკვი-  
ანე ლევბორგზე, რამდენიც გენებოს, მე კი მჭერა მისი. აი, ჩვენ  
ვნახავთ, რომ...

ქ-ნი ელვსტედი. ჰედა, შენ რაღაცას მალავ!

ჰედა. რა თქმა უნდა. მე მსურს ჩემს სიცოცხლეში ერთხელ  
მაინც ხელში დავიჭირო ადამიანის ბედი!

ქ-ნი ელვსტედი. განა ხელში არ გიჭირავს?

ჰედა. არ მიჭირავს! არც ოდეს მჭერია!

ქ-ნი ელვსტედი. შენი ქმრის ბედიც?

ჰედა. ეს გარჯადაც არა ღირს! ახ, რომ შეგეძლოს იმის წარ-  
მოდგენა, თუ რა ბეჩავი და ლატაკი ვარ! და შენ კი უნდა გეჰა-  
ტიოს, რომ ასე მდიდარი ხარ! (მძაფრად ეხვევა) ხოლო შენს თემებს  
კი მე, როგორც ვატყობ, მაინც დავწვავ! დავხრუკავ!

ქ-ნი ელვსტედი. გამიშვი! გამიშვი! მეშინია! ო, როგორ მეშინ-  
ია შენი, ჰედა!

ბერტა (ღია კარიდან). ჩაისთვის სუფრა გაშლილია სასადილო  
ოთახში, მოწყალეო ქალბატონო.

ჰედა. კარგი, ახლავე მოვალთ.

ქ-ნი ელვსტედი. არა, არა, არა! მიჯობს ახლავე სახლში მარტო  
წავიდე! ახლავე, დაუყოვნებლივ!

ჰედა. სისულელეა! ჯერ ჩაი უნდა დალიო, პატარა გიჟო! ამა-  
სობაში კი, სრულ ათ საათზე — აიღერტ ლევბორგიც მოვა — ვაზის  
გვირგვინით შემკული თავით. (თითქმის ძალით შეჰყავს ელვსტედი ღია კა-  
რებში)

## მ ე ს ა მ ე ნ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ოთახი ტესმანის საწლში. ფარდები ღია კართან ჩამოშვებულია. ასევეა შუშა-ბანდიან კარზე. ლამპა მკრთალად ანათებს მაგიდას. ღუმელში, რომლის კარიც ღიაა, ნახევრად ჩამქრალი ცეცხლი ბუტბავს.

ქ-ნი ელესტედი დიდ შალში გახვეულა და სავარძელში ღრმად ჩამჯდარს ფეხებზე პატარა სკამზე დაუდგამს. ჰედა ჩაცმული წევს დივანზე, საბანი აქვს გადაფარებული და სძინავს.

ქ-ნი ელესტედი (მცირე პაუზის შემდეგ, სწრაფად გასწორდება წელში და ყურს მიუგდებს. მერე ისევ ჩაეშვება სავარძელში და დქანცული, საცოდავი ხმით ჩურჩულებს). კიდევ არა ჩანს... ოჰ, ღმერთო! ღმერთო! — კიდევ არა ჩანს!

ბერტა შემოდის წინკარიდან, ხელში წერილი უჭირავს.

ქ-ნი ელესტედი (მიუბრუნდება, აღელვებით, ჩურჩულით). რა იყო, არავინ მოსულა?

ბერტა (წყნარად). კი, გოგო იყო, წერილი მოიტანა.

ქ-ნი ელესტედი (სწრაფად, ხელს გაიშვებს). წერილი! მომეცით აქ!

ბერტა. არა, ბატონ დოქტორთანაა, მოწყალეუ ქალბატონო.

ქ-ნი ელესტედი. აჰ, მაშ იყოს.

ბერტა. ქალბატონ ტესმანის, პროფესორის მამიდის, მოსამსახურემ მოიტანა. აგერ, მაგიდაზე დავდებ.

ქ-ნი ელესტედი. ჰო, ასე ქენით.

ბერტა (წერილს დადებს). მგონი, ემჯობინება, რომ ლამპა ჩავაქრო — მხოლოდ ბოლავს.

ქ-ნი ელესტედი. ჩააქრეთ. სადაცაა გათენდება.

ბერტა (აქრობს). უკვე გათენდა კიდევ, ქალბატონო.

ქ-ნი ელესტედი. მართლაც, გათენებულა! დილა დაგვთენებია, და ის კიდევ არ დაბრუნებულა!..

ბერტა. ღმერთს გეფიცებით — სწორედ იმას ვფიქრობდი, რომ ასე მოხდებოდა.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ამას ფიქრობდით?

ბერტა. დიახ, როცა ვნახე, რომ ის მამაკაცი ქალაქში დაბრუნდა... და სხვებთან ერთად საქეიფოდ წაბრძანდა. ვიცი, რა შეილიც არის! ამ ვაუბატონზე ბევრი ამბავი გვსმენია.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ნუ ლაპარაკობთ ასე ხმამაღლა, ქალბატონს გააღვიძებთ.

ბერტა (ღვიანისკენ მიიხედავს და ამოიხრებს). ოჰ, ღმერთო!.. ვა-  
ცალოთ, იძინოს საცოდავმა!.. ღუმელში შეშა ხომ არ შევუმატო?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. გმადლობთ, მგონი არ უნდა.

ბერტა. თქვენი ნებაა. (წინა კარიდან გადის).

ჰედა (იღვიძებს კარის ხმაურზე). რა იყო?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. მოსამსახურე გოგო შემოვიდა...

ჰედა (გარშემო თვალს მოავლებს). აი, სად ვყოფილვარ... დიახ, უკვე მივხვდი. (სწორდება, ღვიანზე წამოჯდება, ამოქნარებს, თვალს იფშვნეტს.)  
რა დროა, თვა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (თავის საათს უკვრის). მალე რვა საათი იქნება.

ჰედა. ტესმანი როდის მოვიდა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ჯერაც არ მოსულა.

ჰედა. ჯერაც არ მოსულა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (აღგება). არავინაც არ დაბრუნებულა.

ჰედა. ჩვენ კი აქ ვიჯექით და ლოდინში ღამეს ვტეხილით ოთხ სა-  
ათამდე.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (ხელს გადაიჯვარელებს და თითებს იმტვრევს).  
მერე როგორ ველოდი!

ჰედა (ამოქნარებს, პირთან ხელს მიიღებს). და რა ტყუილად გავისარ-  
ჯეთ.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. თუ გამოიძინე მაინც?

ჰედა. როგორ არა! მე მგონია, საუცხოოდ გამოვიძინე. შენა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. თვალის არ მომიხუჭავს. არ დამეძინა, ჰედა,  
არაფრით არ დამეძინა.

ჰედა (აღგება და მიუახლოვდება). ჰო, ჰო, გეყოფა! რამ შეგაშინა?  
ჩემთვის ყველაფერი ნათელია; ვიცი, რაც მოხდებოდა.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. მერე, რას ფიქრობ? იქნება მითხრა?

ჰედა. რატომ! უბრალო ამბავია: ასესორთან ქეიფი საძაგლად დიდხანს გაგრძელდა...

ქ-ნი ელვსტედი. აჰ, ღმერთო! დიახ... უეჭველია. მაგრამ, მაინც...

ჰედა. ჰოდა, აბა განსაჯე: ტესმანი შინ აღარ მოვიდა, რადგანაც მოერიდა შუადამისას ზარის რეკვასა და ხმაურს. (იცინის.) თანაც კიდევ, ალბათ არ ეხალისებოდა ისეთი მხიარული ნადიმის შემდეგ პირისპირ შეგვეფეთებოდა.

ქ-ნი ელვსტედი. კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მაშ სად უნდა წასულიყო?

ჰედა. რა თქმა უნდა, ღამეს თავის მამიდებთან გაათევდა: მათ ხომ ტესმანის ყოფილი ოთახი თავისუფალი აქვთ!

ქ-ნი ელვსტედი. არა, მამიდებთან არ იქნებოდა. ეს არის, ქალბატონ ტესმანის წერილი მოვიდა, აგერ დევს.

ჰედა. მართლა? (მისაპართს სინჯავს.) ჰო, ეს მართლაც მამიდა იულიას ხელია. აჰ, მაშ ტესმანი ასესორთან დარჩებოდა. ხოლო ლევბორგი ზის, ჩემის აზრით, ვაზის გვირგვინით თავშემკობილი, და ტესმანს ხელნაწერებს უკითხავს.

ქ-ნი ელვსტედი. აჰ, ჰედა, შენ ისეთ რამეებს ლაპარაკობ, რაც თვითონვე არა გჯერა.

ჰედა. შენ ნამდვილი პატარა სულელი ხარ, თეა.

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, სამწუხაროდ, სწორედ ესა ვარ.

ჰედა. და რა მკვდრის ფერა გადევს! ქანცაწყვეტილი ხარ დაღლილობისაგან.

ქ-ნი ელვსტედი. ქანცაწყვეტილიცა ვარ და დაოსებულიც, ისე დავიღალე.

ჰედა. ჰოდა, მაშ ის გააკეთე, რაც მე გითხრა. შედი ჩემს ოთახში და ჩემს ლოგინში გამოიძინე.

ქ-ნი ელვსტედი. ოჰ, არა, არა, როდი დამეძინება.

ჰედა. დაგეძინება.

ქ-ნი ელვსტედი. გარდა ამისა, სადაცაა, შენი ქმარი შინ დაბრუნდება. მეც ახლავე მინდა გავიგო...

ჰედა. მე გეტყვი, როცა ტესმანი მოვა.

ქ-ნი ელვსტედი. სიტყვას მაძლევ, ჰედა?

ჰედა. დიახ, არხეინად იყავი. ახლა წადი და დაიძინე.

ქ-ნი ელვსტედი. დიდი მადლობა. ვეცდები მაინც, იქნებ რაღე გამოვიდეს. (უკანა ოთახიდან გაღის.)

ქელა მიღის შინიან კართან და ფარდებს გადასწევს. დღის შუქი უკმო-  
ეკრება ოთახში. მერე იღებს მაგიდაზე პატარა ხელის სარკეს, იხედება შავ და  
ისწორებს თმებს. შემდეგ მივა წინა ოთახის კართან და ზარის ლაღს ხელს დააჭკრს.  
მირე პაუზის შემდეგ გამოჩნდება ბერტა.

ბერტა. რა გნებავეთ, მოწყალეო ქალბატონო?

ქედა. ღუმელი გაახურეთ, გავიყინე.

ბერტა. ღმერთო კი მომკალი! ამ წუთში ოთახი გათბება. (ნაღვერ-  
ღაღს შეაქუჩებს, შეშას შეუყუთებს. უცბად შეჩერდება და ყურს მიუგდებს.) გა-  
რედან ზარის ხმა მომესმა, ქალბატონო.

ქედა. მერე, გაღით და გაუღეთ. ღუმელს მე თვითონ მოვუვლი.

ბერტა. ცეცხლი ახლავე გაჩაღდება. (წინა ოთახიდან გარეთ გაღას)

ქელა მუხლს მოიკეცავს პატარა სკამზე და შეშის რამდენსამე ნაპობს ყრის ღუმელ-  
ში. მალე წინა კარიდან შემოდის ტესმანი; დაღლილი და ოღნავ დაღვრემილი ჩანს.  
ფეხის წვერებზე მიღის. უჩუმრად ღია კარისაკენ და უნდა ფარდებს შორის  
გაიპაროს.

ქედა (ღუმელთან, ისე, რომ ტესმანისაკენ არ მოიხედავს). დილა მშვი-  
დობისა!

ტესმანი (მობრუნდება). ქედა! (მიუახლოვდება.) ყველაფერს გაფი-  
ცებ, შენ უკვე ზეზე ხარ? ასე აღრიანად?

ქედა. ჰო, დღეს ცოტა აღრე ავდექი.

ტესმანი. მე კი ექვიც არ მეპარებოდა რომ შენ იწექი და გე-  
ძინა. წარმოიდგინე, ქედა!

ქედა. ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ, ქალბატონი ელვსტედი  
ჩემს ოთახში წევს.

ტესმანი. ქალბატონი ელვსტედი მთელი ღამე აქ დარჩა?

ქედა. დიახ, რადგან მის გასაცილებლად არცერთი არ მოხვედით.

ტესმანი. დიახ, დიახ, მართალია.

ქედა (ღუმელის კარს დახურავს და ადგება). ერთი მითხარი, კარგი  
დრო გაატარეთ ასესორთან?

ტესმანი. ჩემი დარდი ხომ არა გქონდა?

ქედა. არა, აზრადაც არ მომსვლია. მე ისა გკითხე, თვითონ თუ  
გაატარე-მეთქი დრო კარგად?

ტესმანი. კითხვაც არ უნდა. ისეთი დრო გავატარე, რომ შენი მოწონებული — მეტადრე დასაწყისში, როცა აილერტმა თავისი შრომა წამიკითხა. ჩვენ ხომ მთელი საათით ადრე მივედი — წარმოგიდგენია? ბრაკს შინაურობაში თავისი საზრუნავი ჰქონდა. აილერტიც ამასობაში თავის ხელნაწერს მიკითხავდა.

ჰედა (მარჯვნივ მიუჯდება მაგიდას). აბა! მოყევი, გისმენ...

ტესმანი (ჯდება სკამზე ლუმელთან). არა, ჰედა, შენ ვერასგზით ვერ წარმოიღვენი, რა ნაშრომი იქნება! უეჭველად შეიძლება მიეკუთვნოს ყველაზე უფრო შესანიშნავ ქმნილებათა რიცხვს იმ ნაშრომთა შორის, რაც კი ოდესმე დაწერილა. წარმოგიდგენია?

ჰედა. დიახ, დიახ, მაგრამ ეს არ მაინტერესებს...

ტესმანი. უნდა გამოგიტყდე ერთ რამეში, ჰედა. როცა აილერტმა კითხვა დაამთავრა... ჩემში გაიღვიძა რაღაცა მდაბალმა გრძობამ.

ჰედა. მდაბალმა გრძობამ?

ტესმანი. იქ ვიჭექე და გულს მიღრღნიდა შური იმის გამო, რომ აილერტმა ასეთი რამის დაწერა შესძლო. წარმოგიდგენია, ჰედა!

ჰედა. დიახ, დიახ, უკვე წარმოვიდგინე!

ტესმანი. და მერე პირდაპირ ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ნიჭის პატრონი, სამწუხაროდ, მაინც ისევ ისე გამოუღწორებელია.

ჰედა. ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ ცხოვრებაში სხვაზე მეტ გზებდულებას იჩენს, არა?

ტესმანი. ღმერთმა დამიფაროს!.. არა... იცი, რა გითხრა? აი, პირად სიამოვნებაში არავითარი ზღვარი და ზომა არ იცის.

ჰედა. მერე, მაინც რით დამთავრდა ეს ამბები?

ტესმანი. აბა, რა გითხრა? ჩემის აზრით, ჰედა, ეს იყო რაღაც ბაქქანალია!

ჰედა. ვაზის გვირგვინი თუ ჰქონდა თავზე?

ტესმანი. ვაზის გვირგვინი? არა, მაგნაირი არაფერი შემინინანავს, მაგრამ მან თქვა რაღაც გრძელი და აბნეული სიტყვა ერთი მანდილოსნის შესახებ, რომლის შთაგონებითაც დაწერა თითქოს ეს შრომა. სწორედ ასე გამოხატა.

ჰედა. ქალის სახელი არ ახსენა?

ტესმანი. არა, სახელი არ უთქვამს. მაგრამ თავი მომკერი, თუ ეს ქალბატონი ელვსტედი არ აღმოჩნდეს. აი, ნახავ!

ჰედა. ჰო, შეიძლება... სად დასცილდი აილერტს?

ტესმანი. გზაში, შინ რომ ვბრუნდებოდით. ჩვენ, რამდენიმე კაცმა, მთელი ღამე გავტეხეთ და უკანასკნელნი ავდექით სუფრიდან. ბრაკიც ჩვენთან წამოვიდა, რომ ცოტა სუფთა ჰაერი გადაეყლაპა. ჰოდა, აგერ გითხრა, გადავწყვიტეთ აილერტის შინ გაცილება, რადგანაც, მართლა, ცოტა ზედმეტი მოუვიდა.

ჰედა. ეს შეიძლება.

ტესმანი. ახლა კი უნდა გითხრა ერთი მეტად საყურადღებო ამბავი, ჰედა! ან, უკეთ რომ ვთქვათ, სამწუხარო. აჰ, პირდაპირ მე მრცხვენია, აილერტის მაგიერ, ამას რომ ვამბობ...

ჰედა. თქვი და მორჩი, რა მოხდა?

ტესმანი. გზაში რომ ერთად მოვდიოდით, გესმის, მე რაღაც შემთხვევით უკან ჩამოვრჩი. წარმოიდგინე, სულ ორი წუთით!

ჰედა. ჰო, მესმის, ღმერთო ჩემო! გული გააწვრილე... მერე?

ტესმანი. მერე, ამხანაგების დასაწევად რომ ნაბიჯებს ავუჩქარე, — იცი, რა ვიპოვე გზაში? აბა, თუ მიხვდები?

ჰედა. საიდან უნდა მივხვდე!

ტესმანი. ოღონდ არავის უთხრა, ჰედა, გესმის? მომეცი სიტყვა, აილერტის გულისათვის! (სერთუკის ჯიბიდან იღებს შეხვეულ პაკეტს). წარმოგიდგენია, რა ვიპოვე?

ჰედა. ეს აილერტის ხელნაწერი ხომ არ არის?

ტესმანი. სწორედ ისაა, უაღრესად ძვირფასი, განუმეორებელი ხელნაწერი! და მერე ასეთი რამ გზაში დაჯარგა... ისე, რომ ვერც კი შენიშნა. შენ წარმოიდგინე, ჰედა! რა სამწუხარო...

ჰედა. რატომ არ დაუბრუნე პაკეტი?

ტესმანი. არა, არ შეიძლებოდა... ისეთ ხასიათზე იყო, რომ...

ჰედა. არავისთვის არ გითქვამს, რომ ეს იპოვე?

ტესმანი. ღმერთმა დამიფაროს! ამას მარტო აილერტის გულისათვის არ გავაქეთებდი, გაიგე?

ჰედა. ესე იგი, არავინ არ იცის, რომ ლეგბორგის ნაწერი შენს ხელშია?

ტესმანი. არავინ. და არც არავინ არ უნდა იცოდეს.

ჰედა. რაზე ლაპარაკობდით იმის შემდეგ, რაც ეს მოხდა?

ტესმანი. იცი რა გითხრა? შემდეგ ლაპარაკიც აღარ დამჭირებია როგორღაც მასთან. როგორც კი ქალაქში შემოვედი, იგი ორ-სამ

სხვა პირთან ერთად დაგვიკილდა, საღლაც თვალს მიეფარა. ასე იყო, წარმოიდგინე!

ჰედა. ჰო? ალბათ, შინ მიიყვანეს.

ტესმანი. ცხადია, ალბათ მიიყვანეს. ბრაკიც თავის გზას გაუდვა.

ჰედა. მერე, შენ საღლა დაეხეტებოდი?

ტესმანი. მე და კიდევ ორი სხვა კაცი ერთ მხიარულ თანამგზავრს გავყვევით მის ღუქანში და დილის ყავა გიახელით. თუმცა, უფრო სწორად, ეს იყო ღამის ყავა. არა? ახლა კი, ცოტას რომ დაეისვენებ და შევატყობ, რომ საბრალო აილერტმა უკვე გამოიძინა, ავღგები და მასთან წავალ ჩემი ნაპოვნიანად.

ჰედა (ზელს ავლებს პაეტს). არა... არ მისცე! ესე იგი, ჩერ ნუ დაუბრუნებ-მეთქი. მინდა წავიკითხო.

ტესმანი. არა, ძვირფასო ჰედა! ეს კი აღარ შემიძლია, ღმერთს გეფიცები.

ჰედა. არ შეგიძლია?

ტესმანი. არა... აბა, შენ თვითონ დაფიქრდი და მიხვდები, რა დღეში შეიძლება ჩავარდეს, როცა გამოელვძება და ხელნაწერი დაკარგული აღმოაჩნდება! ხომ იცი, მეორე ცალი არა აქვს. ეს თვითონ მითხრა.

ჰედა (უცქერის გამოძვლევი თვალთ). განა ასეთ რამეს სხვა დროს ვეღარ დაწერს? ხელმეორედ ვერ დაწერს?..

ტესმანი. არა, ამგვარი რამ სავსებით შეუძლებელია, რადგან შთაგონება, გესმის... ისეთი რამეა...

ჰედა. დიახ, დიახ... შეიძლება. (დაუღვერაღ.) ახ, მართლა, წერილი არის შენს სახელზე.

ტესმანი. მართლა?

ჰედა (წერილს გაუწვდის). გამთენიის ხანს მოიტანეს.

ტესმანი. მამიდა იულიასია, იცი? რა უნდა იყოს? (პაეტს სხვა სკამზე დებს, წერილს ხსნის, თვალს გადაავლებს, შეხტება.) ახ, ჰედა! იულია წერს, რომ მამიდა რინა სულს დაფავს!

ჰედა. ეს მოსალოდნელი იყო.

ტესმანი. და თუ - ზქანასქნელად ნახვას მოისურვებ, ძალიან უნდა იჩქარო. ახლავე უნდა გავფრინდე!

ჰედა (ცხოვრ ღიმილს იკავებს). ახლა ვაფრენსაც აბირებ?



ტესმანი. ახ, საყვარელო ჰედა! იქნება თავს ძალა დაატანო და ჩემთან ერთად წამოხვიდე... წარმოიდგინე!..

ჰედა (წამოდგება, დაღლილი ხმით). არა, არა, ასეთი რამე მეორედ აღარ მთხოვო! მე არა მსურს ვნახო ავადმყოფობისა და სიკვდილის-მაგვარი რამე. ჰოდა, თუ გიყვარდე, გამათავისუფლე ყველაფრისაგან, რაც საძაგელია.

ტესმანი. რა ვქნა, შენი ნებაა... (დარბის წინ და უკან). სად არის ჩემი ქუდი? მოსასხამი? აჰ, მართლა, წინა ოთახშია... ნუთუ ველარ მიუხსწრებ, ჰედა? ჰა?

ჰედა. შენც ადექი და გაფრინდი...

ბერტა გამოჩნდება წინა ოთახის კარებში

ბერტა. ბატონი ასესორი ბრაკი გარეთ იცდის და გეკითხებათ, შემოსვლა თუ შეიძლებაო.

ტესმანი. ასეთ დროს ბრაკისთვის მცხელა? არა, ახლა მისი მიღება არაფრით არ შემიძლია.

ჰედა. მე კი შემიძლია (ბერტას.) სთხოვეთ ბატონ აასესორს, შემობრძანდეს.

ბერტა გადის.

ჰედა (სწრაფად, ჩურჩულით). პაეტეტი, ტესმან!

სკამიდან დაიტაცებს.

ტესმანი. ჰო, მომეცი აქ!

ჰედა. არა, არა, ჯერ ჩემთან იყოს. (მიდის საწერ მაგიდასთან და წიგნებში ჩამალავს.)

ტესმანი. სიჩქარის გამო ვერ იცვამს ხელთათმანს, წინკარიდან შემოდის ბრაკი.

ჰედა (თავს უკრავს). აჰა, ახლა კი ნამდვილად ჩემი დილის მერცხალი ხართ!

ბრაკი. დიახ.... რატომაც არა (ტესმანს.) კიდევ სადმე წასვლას აპირებთ?

ტესმანი. დიახ, სასწრაფოდ უნდა გავიქეცე მამიდებთან. წარმოიდგინეთ, საწყალი ავადმყოფი სულთმობრძავეა.

ბრაკი. აჰ, ღმერთო მაღალო! მართლა? მაშ ჩემი გულისათვის ნულარ დააყოვნებთ. ასეთ შემთხვევაში დაგვეჩინება...

ტესმანი. ჰო, მე ახლავე გზას უნდა გავუდგე. ნახვამდის! ნახვამდის! (გარბის.)

ჰედა (უახლოვდება ბრაკს). თქვენი გუშინდელი წვეულება, ეტყობა, აღვირაწყვეტილ მხიარულებაზე მეტი აღმოჩნდა, ბატონო ასესორო.

ბრაკი. მე ტანზედაც არ გამიხდია, ქალბატონო ჰედა.

ჰედა. თქვენც?

ბრაკი. დიახ, მეც, როგორც ხედავთ. მაგრამ რა გიამბოთ ტესმანმა ამ ღამეს მომხდარი ამბებიდან?

ჰედა. აჰ, მხოლოდ ერთი მოსაწყენი ამბავი: საღდაც შევიარეთ და ყავა დავლიეთო.

ბრაკი. ამ ყავახანის ქეიფის ამბები უკვე მოვისმინე. აილერტ ლევბორგი მათთან არ იყო, რამდენადაც ვიცი.

ჰედა. არა, ის მანამდე შინ მიიყვანეს.

ბრაკი. ტესმანიც ახლათ?

ჰედა. არა, ვილაც ორი სხვა კაციო, თქვა.

ბრაკი (იღიმება). იორგენ ტესმანი ნამდვილი გულუბრყვილო ბავშვია, ქალბატონო ჰედა.

ჰედა. კი, ღმერთია მოწმე! მაგრამ განა საქმე რაღაც სხვანაირად იყო?

ბრაკი. ჰო, რამდენადმე სხვანაირად იყო.

ჰედა. აჰ, მაშ დავჯდეთ, ძვირფასო ასესორო. ასე უკეთესად მიამბობთ.

ჯდება მაგილის მარცხენა მხარეს, მის გვერდით მოთავსდება ბრაკი.

ჰედა. აბა, გისმენთ.

ბრაკი. მე მქონდა საფუძვლიანი მიზეზები, რომ დამეზვერა ჩემი სტუმრები — ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ზოგიერთი მათგანი — გამეგო, თუ სად წავიდოდნენ ამ ღამით.

ჰედა. და ამ ზოგიერთებს შორის იყო აილერტ ლევბორგი?

ბრაკი. უნდა ვადიარო — აილერტიც იყო.

ჰედა. თქვენ მართლაც აღძრით ჩემი ცნობისმოყვარეობა...

ბრაკი. იცით, ქალბატონო ჰედა, სად გაატარეს მან და ორმა სხვამ ღამის დანარჩენი ნაწილი?

ჰედა. თუ შეიძლება, მითხარით.

ბრაკი. მათ შეიარეს კიდევ ერთ ძალიან მხიარულ ნადიმზე.

ჰედა. წრესგადასული ხასიათის ნადიმზე?

ბრაკი. უკიდურესად აღვირახსნილი ხასიათის ნადიმზე.

ჰედა. გთხოვთ უფრო დაწვრილებით. ბატონო ასესორო...

ბრაკი. ლევბორგიც მიწვეული იყო. ეს ძალიან კარგად ვიცოდი. პირველად წასვლაზე უარი თქვა. აკი ის სწორ გზაზე დადგა, ახალი ადამიანი გახდა, როგორც მოგეხსენებათ...

ჰედა. ზემოთ, ელვსტედების ოჯახში, — დიახ, ვიცი. მაგრამ, მერე მაინც წავიდა?

ბრაკი. ჰო, დაუკვირდით, ქალბატონო ჰედა... მისდა საუბედუროდ, გუშინ საღამოს ჩემთან ისეთ სულიერ ალტაცებაში მოვიდა რომ...

ჰედა. ოჰ, ვიცი: როგორც მითხრეს, შთაგონებული ყოფილა.

ბრაკი. მართლაც, შთაგონების უმაღლეს წერტილზე გახლდათ. ჰოდა, მე მგონია, მერე გადაიფიქრა, სხვა ჰკუთაზე დადგა. ჩვენ ხომ, მამაკაცები, სამწუხაროდ, ხშირად არც ისე მტკიცენი ვართ ხოლმე ჩვენს მოქმედებაში, როგორც უნდა ვიყოთ.

ჰედა. აჰ, ძვირფასო, ასესორო, ამ მხრივ თქვენ, მგონი, გამონაკლისს წარმოადგენთ. ხოლო ლევბორგიც...

ბრაკი. ლევბორგმა, მოკლედ და კონკრეტულად, ღუზა ჩაუშვა ქალბატონ დიანას სალონში.

ჰედა. ქალბატონ დიანას სალონში?

ბრაკი. დიახ, ქალბატონმა დიანამ გადაიხადა ეს წვეულება თავის მეგობარი ქალებისა და თაყვანისმცემლების რჩეული წრისათვის.

ჰედა. ეს დიანა წითელთმიანი პიროვნება ხომ არ არის?

ბრაკი. სწორედ ისაა.

ჰედა. მგონი... მომღერალია, თუ რალაც ამგვარი?

ბრაკი. დიახ, დიახ... მომღერალიცაა და, გარდა ამისა, სახელგანთქმული მონადირეც — მამაკაცებზე ნადირობს, ქალბატონო ჰედა. მის შესახებ, ალბათ, თქვენცა გსმენიათ. აილერტ ლევბორგი მისი უგულითადესი მფარველი გახლდათ — თავისი სიკაბუჯის ნეტარ დღეებში.

ჰედა. ჰო, როგორ დამთავრდა მათი ამბავი?

ბრაკი. არც ისე მეგობრულად, როგორც ეტყობა. ამბობენ, ქალბატონი დიანა უნაზესი შეხვედრიდან ხელჩართულზეც გადავიდაო...

ჰედა. ლევბორგთან?

ბრაკი. დიახ. ლევბორგს — არ ვიცი მისთვის, არ ვიცი მისი მეგობარი ქალებისათვის, ქურდობა დაუწამებია: უბის წიგნაკი დამეკარგაო, და მასთან ერთად სხვა ნივთებიცო. ერთი სიტყვით, საშინელი ამბავი აუტეხია.

ჰედა. მერე რა შედეგი მოჰყვა ამას?

ბრაკი. რა შედეგი მოჰყვა და... როგორ ვითხრათ?... ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გამართულა მანდილოსნებსა და მამაკაცებს შორის. საბედნიეროდ, ბოლოს პოლიცია მოსულა.

ჰედა. მაშ საქმე პოლიციამდეც მივიდა?

ბრაკი. დიახ. ძვირად დაუჯდება თავისი ხუმრობა ლევბორგს, ამ თავზეხელადებულ ვაჟბატონს.

ჰედა. მაშ ასე?

ბრაკი. ამბობენ, საშინელი წინააღმდეგობა გაუწიო ქალაქის პოლიციას. ერთ-ერთ პოლიციელს სილა გააწნა თურმე და სრულიად შემოაგლიჯა მუნდირი. ბოლოს მაინც, რის ვაივავლახით, მიიუყენიათ პოლიციის განყოფილებაში.

ჰედა. საიდან იცით ეს ამბები?

ბრაკი. თვითონ პოლიციისაგან.

ჰედა (სივრცეში იუჩრება). აი, თურმე რა მომხდარა. ვაზის გვირგვინით არ ექნება შემკული თავი...

ბრაკი. ვაზის გვირგვინით, ამბობთ. ქალბატონო ჰედა?

ჰედა (ხმას იცვლის). მაგრამ ერთი მაუწყეთ, ბატონო ასესორო — რატომ სჩადიხართ ამა? კაცმა რომ თქვას, რისთვის ზვერაგვთ აილერტ ლევბორგს და რატომ ასდევნებხართ მის კვალს?

ბრაკი. ჯერ ერთი, მე არ შემიძლია მთლად გულგრილი ვიყო, თუკი დაკითხვაზე აილერტი იტყვის, რომ პირდაპირ ჩემი სახლიდან გამოვიდა.

ჰედა. დაკითხვაც მოელის?

ბრაკი. თავისთავად ცხადია. თუმცა, მოხდეს, რაც მოსახდენია. მარტო ამის გამო არ გავირჩებოდრი. მაგრამ, ამასთან ერთად, მე, როგორც ოჯახის მეგობარმა, თავი მოვალედ ჩავთვალე შემეტყობინებინა თქვენთვის და ტენსანისათვის ამ კაცის ღამის ფათერაკების ამბავი.

ჰედა. მერედა მაინც რისთვის, ბატონო ასესორო?

ბრაკი. თუნდაც იმისათვის, რომ გულში საფუძვლიანი ეჭვი მაქვს:

მას სურს, ასე ეთქვათ, თქვენს სახელს ამოეფაროს, თეჯირად გამოგყენოთ.

ჰედ ა. საიდან მოგივიდათ ეგ აზრი?

ბრაკი. აჰ, ღმერთო ჩემო! ჩვენ ხომ ბრმა არა ვართ, ქალბატონო ჰედა. გიჯობთ ფხიზლად გეკვიროთ თვალი. ეს თქვენი ქალბატონი ელვსტედი ასე იოლად არ წავა ქალაქიდან.

ჰედ ა. მერე, თუ მათ შორის მართლა არის რამე, განა ცოტაა სხვა ადგილი, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებიან?

ბრაკი. ოჯახში ვერსად შეხვდებიან ერთმანეთს. ყოველი პარტიოსანი ოჯახის კარი ღლეიდან ისევ დაიხურება აილერტ ლევბორგისათვის.

ჰედ ა. და ჩემი სახლის კარიც, თქვენი ვარაუდით, არა?

ბრაკი. დიახ. უნდა გამოგიტყდეთ, ჩემთვის უსიამოვნებაზე მეტა იქნებოდა, თუ ღლეის შემდეგ ეს ვაჟბატონი ისარგებლებდა ამ სახლში შემოსვლის უფლებით... თუ ეს სრულიად ზედმეტი... უცხა და პატივყარილი კაცი... ისევ შემოიჭრებოდა ამ...

ჰედ ა. ...ამ სამკუთხედში?

ბრაკი. სწორედ გამოიცანით. ეს იგივე იქნება ჩემთვის, რომ უსახლკარო და მიუხაფარი გავხდე.

ჰედა (ღიმილით უყურებს). აჰა, ამრიგად — გალიაში დარჩეს ერთადერთი მამალი — ესაა თქვენი მიზანი, არა?

ბრაკი (წელა დახრის თავს და ხმას დაუწევს). დიახ, ეს არის ჩემი მიზანი. და ამ მიზნისათვის ვიბრძოლებ ყველა საშუალებით, რაც კი ჩემს ხელთ აღმოჩნდება.

ჰედა (ღიმილი უჭრება). სიმართლე რომ ითქვას, თქვენ მართლაც საშიში კაცი ხართ — თუ საქმე საქმეზე მიდგება.

ბრაკი. თქვენ ასე ფიქრობთ?

ჰედ ა. ახლა ვიწყებ ამაზე ფიქრს. და მოხარულიც უნდა ვიყო, რომ ჭერჭერობით თქვენს ქსელში არ გავხლართულვარ ხელფეხიანად...

ბრაკი (ორაზროვანი ღიმილით). დიახ, დიახ, ბედს უმადლოდეთ, ქალბატონო ჰედა! თქვენ მართალი ხართ. მაგრამ, ვინ იცის, ამ შემთხვევაში იქნება ძლიერ დახელოვნებული მეზადურიც აღმოვჩნდე.

ჰედ ა. ერთი მომისმინეთ, ბატონო ასესორო! ეს თითქმის მუქარას უდრის.

ბ რ ა კ ი (აღგება). არაფერი ამის მსგავსი სამკუთხედი, მოგეხსენებათ, მაშინ არის მყარი და მტკიცე, როცა ის ნებაყოფლობას ეყრდნობა.

ჰ ე დ ა. მეც ასე მგონია.

ბ რ ა კ ი. ამგვარად, მე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი. ახლა კი ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ნახვამდის, ქალბატონო ჰედა! (მინიანა კარისკენ მიდის).

ჰ ე დ ა (აღგება). ბაღზე გავლით მიდიხართ?

ბ რ ა კ ი. დიახ, ასე გზას შევიმოკლებ.

ჰ ე დ ა. მართალია. თანაც ფარული გზაა.

ბ რ ა კ ი. ესეც მართალია, ფარული გზების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... თუმცა ხანდახან ასეთ გზაზეცა ვგზებება ჭინჭარი.

ჰ ე დ ა. როცა ამ გზით მოსულს ტყვიით უმასპინძლებიან, არა?

ბ რ ა კ ი (ყართან მღვარი შესვინის ჰედას). აბა ვინ გამასპინძლებია ტყვიით საკუთარ საქათმეში შინაურ მამალს!

ჰ ე დ ა (ავრთვე იცინის). -ღმერთმა დაიფაროს! — მით უმეტეს, თუ ერთზე მეტი არა ჰყავს, მაშინ ხომ...

სიცილით ემშვიდობებთან, თავს უქნევენ ერთმანეთს. ბრაკი მიდის. ჰედა კარს ხურავს. ერთხანს დგას და გარეთ იყურება, მერე სიღრმეში მიდის და ფარულს შორის ოთახში იქიჩრება, შემდეგ მივა საწერ მაგიდასთან, გამოიღებს ლევ ბორგის პაექტს და გადაფურცლავს. წინა ოთახიდან ისმის ბერტას ხმა, ვიღაცას ცხარედ ელაგება. ჰედა მობრუნდება, ყურს უგდებს, სწრაფად დამალავს უკრაში ხელნაწერ გრაჯნილს. გასაღებს მაგიდაზე დებს.

ლევბორგი მოსასხამით და ქუდით ხელში, ხმაურით შემოაღებს წინა ოთახის კარს. ოდნავ დაბნეული და აღელვებულია.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი (ყარს უკან მღვომ ბერტას მიუბრუნდება). მე თქვენ გეუბნებით, უნდა შევიღე-მეთქი, და შევალ კიდეც! ასე! (ყარს დახურავს, მობრუნდება, ჰედას შეხედავს. გონებას მოიკრებს და ესალმება.)

ჰ ე დ ა (საწერ მაგიდასთან). ოჰო, ბატონო ლევბორგ, თქვენ ძალიან დააგვიანეთ თეასთან მოსვლა მის წასაყვანად.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. თუ ძალიან ადრე მოვედი თქვენთან? გთხოვთ ესეც მომიტევოთ.

ჰ ე დ ა. საიდან იცით, რომ თეა ახლაც ჩემთანაა?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. მის ბინაში მითხრეს, რომ მთელი ღამე შინ არ დაბრუნებულა.

ჰ ე დ ა (მიდის სასტუმროს მაგიდასთან) არაფერი განსაკუთრებული არ შეგინიშნავთ იმ აღამიანთა ხმაში, რომელთაც ეს გითხრეს?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი (ციხვის ნიშნად უყურებს). რა უნდა შემენიშნა?

ჰ ე დ ა. მე ვამბობ, ხომ არ ჟღერდა-მეთქი მათ ხმაში ისეთი ტონი, რაც ამ ქალის საქციელს ეჭვის ქვეშ აყენებდა?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი (უცხად გაიგებს). ახ, როგორ არა! ესეც მართალია! მე თვას სახელს ლაფში ვსვრი, აუგის გზაზე მივათრევ ამ ქალს! თუმცა, მათ ხმაში არაფერი შემინიშნავს... ტესმანი, ალბათ, ჭერ არ ამღვარა?

ჰ ე დ ა. არა... მე მგონია...

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. რა, დროზე მოვიდა შინ?

ჰ ე დ ა. საშინლად გვიან.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. გიამბოთ რამე?

ჰ ე დ ა. კი, მითხრა, კარგი დრო გავატარეთო ასესორთან.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. მეტი არაფერი?

ჰ ე დ ა. არა, მგონი არაფერი, სხვათა შორის, ძლიერ ნამძინარევა ვიყავი...

ქ-ნი ელვისტედი გამოდის უკანა ოთახის ფარდებს მიღმიდან

ქ-ნი ელვისტედი (შეხვდება). ახ, ლევბორგ! ძლივს!

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. დიახ, ძლივს! და ძლიერ გვიან.

ქ-ნი ელვისტედი (უცქერის შეშინებულს). „გვიან“-რა თვალსაზრისით?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. ყველა თვალსაზრისით. მე დავიღუპე.

ქ-ნი ელვისტედი. ახ, არა, არა... ნუ ამბობ ამას!

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. თვითონაც ასე იტყვი, როცა გაიგებ...

ქ-ნი ელვისტედი. არაფრის გაცემა არ მინდა!

ჰ ე დ ა. იქნებ მასთან ცალკე ლაპარაკი ვსურთ? მე წავალ.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. არა, დარჩით... დარჩით. მე გთხოვთ ამას.

ქ-ნი ელვისტედი. აკი გითხარით, არაფრის მოსმენა არა მსურს-მეთქი.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. მე არაფერს არ ვამბობ ამ ღამის ფათერაკებზე.

ქ-ნი ელვისტედი. მაშ რაზე?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. იმაზე, რომ ჩვენი გზები დღეიდან უნდა გაიყოს.

ქ-ნი ელვისტედი. უნდა გაიყოსო!

ჰ ე დ ა (უნებურად). ეს მე ვიცოდი.

ლევბორგი. დიახ. მეტად აღარ მესაჭიროები. თეა.

ქნი ელვსტედი. მეტად აღარ გესაჭიროები! და ამას მეუბნები პირდაპირ. დაუფარავად! ლევბორგი! ხომ შემოდლია უწინდებურად დახმარება გაგიწიო? განა ჩვენ აღარ ვიმუშავებთ ერთად?

ლევბორგი. ნე აღარ ვაპირებ მეტად მუშაობას.

ქნი ელვსტედი (თავგზადაჯარული). რაღა აზრი აქვს მამ ჩემს ცხოვრებას?

ლევბორგი. შენ შეეცადე იცხოვრო ისე, თითქოს არასოდეს მერ ვიცნობდი.

ქნი ელვსტედი. არ შემოდლია.

ლევბორგი. სცადე, წარმოიდგინე, თითქოს შეგიძლია! თეა, დაბრუნდი სახლში...

ქნი ელვსტედი (მძაფრი მღელვარებით). არაფრის გულისათვის! სადაც შენ იქნები, მეც იქ მინდა ვიყო — შენთან ერთად ვიყო, როცა შენი წიგნი გამოვა.

ჰედა (ნახევრად ჩურჩულით, დაძაბული). ახ, წიგნი... დიახ!

ლევბორგი (უბქერის). ჩემი და თეას წიგნი. ჩვენი წიგნი. ის ხომ ორივესია!

ქნი ელვსტედი. დიახ, მე ვგრძნობ, რომ ეს ასეა. ამიტომაც უფლება მაქვს შენთან ვიყო, როცა ის გამოვა. მინდა შენთან ერთად განვიცადო, თუ როგორ აღიდგენ სახელსა და დიდებას. და სიხარული — შენი სიხარული — მინდა გავიზიარო.

ლევბორგი. თეა... ჩვენი წიგნი აღარასოდეს არ გამოვა.

ჰედა. აჰ!

ქნი ელვსტედი. არ გამოვაო!

ლევბორგი. ვერ გამოვა.

ქნი ელვსტედი (ღელავს, ცუდი წინათგრძნობით). ლევბორგი... რა უწყაი რვეულები?

ჰედა (დაძაბული უყურებს ლევბორგს). ჰო, რვეულები!..

ქნი ელვსტედი. სად არის ხელნაწერი?

ლევბორგი. ახ, თეა... ნულარ მეკითხები.

ქნი ელვსტედი. არა, არა, მინდა ვიცოდე. მე მაქვს უფლება, რომ დაუყოვნებლივ გავიგო, სადაა რვეულები.

ლევბორგი. რვეულები... მე ხომ ისინი... ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე.



ქ-ნი ელვსტედი (შეჰყერა). ახ, არა, არა!..

ჰედა (უნებურად). მაგრამ ეს ხომ სრულიადაც არ...

ლევბორგი (უჰქარის). არ შეეფერება სინართლეს, არა?

ჰედა (გონს მოვა). დიახ, ცხადია, — რაკი თქვენ თვითონ თქვით...

მაგრამ რაღაც დაუჭერებელი ამბავი ჩანს...

ლევბორგი. როგორც გენებოთ, მაგრამ ეს სიმართლეა.

ქ-ნი ელვსტედი (ხელეზს იმტრევეს). ო, ღმერთო! ო, ღმერთო!..

ჰედა. საკუთარი ნაშრომის ნაკუწ-ნაკუწად დაგლეჯალა იქნება?

ლევბორგი. მე ხომ საკუთარი სიცოცხლეც ნაფლეთებად ვაქციე! და რა გასაკვირია, რომ ამ სიცოცხლის ნაყოფი ნაფლეთებად მექცია?

ქ-ნი ელვსტედი. და ეს ჩაიდინე ამ ღამეს?

ლევბორგი. მე გითხარი. ნაკუწებად ვაქციე და ფიორდის წყალში ჩავყარე. შორს სადღაც. ყოველ შემთხვევაში, სუფთა წყალი მაინც არის, ზღვის წყალი, და არა დამყაყებულები ქაობი... დაე, იცურონ, საითაც ენებოთ... გაჰყვენენ ქარიშხალსა და მდინარებას. მერე კი — ჩაიძირონ... სულ უფრო ღრმად და ღრმად... როგორც მე, თეა...

ქ-ნი ელვსტედი. იცი, ლევბორგ, ამ წიგნის ამბავი... მთელს ჩემს სიცოცხლეში ისეთი განცდა მექნება, ვითომ შენ ჩვენი შვილი მოგეკლას.

ლევბორგი. სრულიად მართალი ხარ. ეს ამბავი სწორედ შეილის მკვლელობას ედრება.

ქ-ნი ელვსტედი. მერე, როგორ შესძელი... მე ხომ ჩემი წილიც მედო... მეც ხომ მეკუთვნოდა შენი შვილი?

ჰედა (ყრულ, თითქმის უხმოდ). აჰ, შვილი...

ქ-ნი ელვსტედი (მძიმედ სუნთქავს). მაშ მორჩა. კი, კი... წავალ! ახლა კი წავალ, ჰედა.

ჰედა. ჯერ ხომ არ გაემგზავრები ქალაქიდან?

ქ-ნი ელვსტედი. ახ, თვითონაც არ ვიცი, რა წყალში ჩავყარდე, რა ღვარს მივცე თავი! საითაც გავიხედე — ყველგან ბურუსია. (წინა ოთახიდან გადის.)

ჰედა (ერთ წამს უსიტყვოდ დგას). თქვენ აღარ გააცილებთ, ბატონო ლევბორგ?

ლევბორგი (მწარედ). მე? ქუჩაში? ხალხი რომ დაინახავს ჩემთან მიმავალს?..

ჰედა. მე მაინც არ ვიცი, კიდევ რა მოხდა ამ ღამეს. ნუთუ რაღაც გამოუსწორებელი ამბავი?

ლევბორგი. საქმე ამ ღამის ამბებით არ ამოიწურება... ეს ჩემთვის სრულიად ნათელია. საქმე ის არის, რომ ამგვარი სიცოცხლით მეტად აღარ მსურს ვიცოცხლო, არც მინდა თავიდან დავიწყო. თეამ მოტეხა ჩემი გამბედაობა და კადნიერება ცხოვრების გზაზე.

ჰედა (წინ იხედება). ამ პატარა ტურფა სულელმა თავისი თითები ჩაჰყო ადამიანის ბედ-იღბალში! (უყურებს ლევბორგს). მაგრამ თქვენ მაინც მეტად სასტიკად მოექვეცით.

ლევბორგი. ახ, ნუ ამბობთ, რომ სასტიკად მოვექეცი!

ჰედა. ადგე და ერთი დაკვრით გაანადგურო ის, რაც მის სულსა და არსებას ავსებდა დროთა მანძილზე! — განა ეს სისასტიკე არ არის?

ლევბორგი. თქვენთან შემძლია სიმართლე ვთქვა, ჰედა.

ჰედა. სიმართლე?

ლევბორგი. მაგრამ ჯერ სიტყვა მომეცით — აღმიტყვი, რომ არასოდეს არ გაიგებს თეა იმის შესახებ, რაც ახლა მინდა გაგანდოთ.

ჰედა. სიტყვას გაძღვეთ.

ლევბორგი. კეფილი. მაშ მე გეუბნებით, რომ არ არის მართალი ის, რაც ვიამბეთ.

ჰედა. რეულები შესახებ?

ლევბორგი. დიახ. მე ხელნაწერი არ დამიგლეჯია. არც ფიორდის წყალში ჩამიყრია.

ჰედა. მესმის, მესმის... მაგრამ... მაშ სად არის ხელნაწერი?

ლევბორგი. გავანადგურე კი მაინც, ჰედა! სრულიად, სავსებით!

ჰედა. არაფერი მესმის.

ლევბორგი. თეამ თქვა, რომ ჩემი საქციელი შვილის მკვლელობას ედრება.

ჰედა. დიახ, სწორედ ასე თქვა.

ლევბორგი. მაგრამ საკუთარი შვილის მოკვლა — ეს ჯერ კიდევ არაა ყველაზე უფრო მძიმე დანაშაული, რისი ჩადენაც მამას შეუძლია.

ჰედა. არ არის... მკვლელობა? ამაზე მძიმე რაღა იქნება?

ლევბორგი. არის. მე შევიბრალებ თეა და არ გავუბნებ, თუ რა არის უმძიმესი დანაშაული.

ჰ ე დ ა. მერე, რა არის უმძიმესი დანაშაული?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. აი, დავუშვათ, რომ მამაკაცმა ღამე თავაშვებულ ღრეობაში გაატარა, დილით კი, ასე ამ დროზე, მიდის თავის შვილის დედასთან და ეუბნება: ამა და ამ ალაგას ვიყავიო. თან მყავდა წყყვანილი ბავშვი, ჩვენი შვილი. ჰოდა, რა ვიცი, მიწამ უყო პირი თუ ცამ აიტაცა — სადღაც დამეკარგა. უგზოუყვლოდ გაქრა, დავკარგე! რა ვიცი, სად ჩანდაბაშია, ვის ხელში მოხვდა. ვინ არ იშვერდა მისკენ ხელეზსო!

ჰ ე დ ა. მესმის! მაგრამ... გონების თვალთ რომ შევხედოთ, აქ ხომ საქმე მხოლოდ წიგნს ეხება?..

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. თეას სპეტაკი სული იყო წიგნში ჩაღვრილი.

ჰ ე დ ა. ეს კი გავიგე.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. მაშ ისიც გაიგეთ, რომ ჩემი და თეას ურთიერთობასაც მომავალი აღარა აქვს.

ჰ ე დ ა. მაშ რა გზას უნდა დაადგეთ?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. არავითარ გზას. თქვენ ხედავთ, მე ვეცდები ამ ამბავს ბოლო მოეულო, და რაც მალე იქნება, მით უკეთესია.

ჰ ე დ ა (ერთი ნაბიჯით უახლოვდება). ლევბორგ... გამიგონეთ... არ შეგიძლიათ საქმე ისე მოაწყოთ, რომ... რომ ეს დასასრული... მშვენიერი იყოს?

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. მშვენიერი? (იღიმება). ვაზის გვირგვინით შევიმყო თავი, როგორც გიყვარდათ ხოლმე წარმოსახვა?..

ჰ ე დ ა. აჰ, არა! ვაზის გვირგვინი აღარა მწამს, ლევბორგ დღეიდან! მაგრამ არსებობს რაღაც მშვენიერი! ერთხელ მაინც! — მშვიდობით! ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ... და მეტად აღარ მოხვიდეთ.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. მშვიდობით, მოწყალეო ქალბატონო! და გადაეცით იორგენ ტესმანს ჩემი სალაპი. (უნდა წავიდეს.)

ჰ ე დ ა. არა, მოიცათ! სამახსოვროდ რაღაც უნდა გაგატანოთ. (მიდის საწერ მაგიდასთან, აღებს და გამოსწევს უჯრას, ხსნის დამბაჩის ბუდეს და ბრუნდება ლევბორგთან დამბაჩით ხელში.)

ლ ე ვ ბ ო რ გ ი (უყურებს). ესა? ეს არის თქვენი სახსოვარი?

ჰ ე დ ა (დინჯად თავს აქნევს). განა არ გეცნობებათ ეს დამბაჩა? ერთხელ მისი ლულა თქვენს მკერდზე იყო მომართული.

ლ ე ვ ბ ო რ გ ი. შეცდით მაშინ, რომ არ გამოიყენეთ.

ჰ ე დ ა. ჰოდა, ახლა თქვენ გამოიყენეთ.

ლევბორგი (ინახავს გულის ჩიბეში). მადლობას მოგახსენებთ!

ჰედა. დე, იყოს შენი საქციელი მშვენიერი, აილერტ ლევბორგი!  
მომეცით სიტყვა.

ლევბორგი. მშვიდობით, ჰედა გაბლერი! (გადის წინა ოთახიდან.)

ჰედა ერთხანს ყურს უგდებს გარეთ ხმაურს, მერე მიდის საწერ მაგიდასთან, გამოიღებს ხელნაწერს, თვალს გადაავლებს, ორ ფურცელს იღებს და უცქერის. მერე იღებს მთლიანად, მიდის სავარძელთან. რომელიც ლუმელის გვერდით დგას, წდება. პაეტი კალთაში აქვს. მცირე ხნის შემდეგ აღებს ლუმელის კარს და გრაგნილს შლის.

ჰედა (ერთ-ერთ რვეულს აგდებს ცეცხლში, თავისთვის ჩურჩულებს). ახლა კი დავწვავ შენს შვილს, თეა!.. შე ხუჭუჭთმიანო, შენა! (ორ რვეულს ისერის ცეცხლში). შენი და აილერტ ლევბორგის შვილს. (სულ შეაგდებს).  
აი, მე ვწვავ, მე ვწვავ თქვენს პირმშო შვილს!

## მ ი ო ტ ხ ე მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა

იგივე ოთახები ტესმანის სახლში. სალამოა. სასტუმრო ოთახში ბნელა. უკანა ოთახში მაგიდის ზემოთ დაკიდებული ლამპა ბეჭეტავს. მინიან კარზე ფარდება ჩამოფარებული.

შვალ ჩაცმული ჰედა წინ და უკან დადის ბნელ ოთახში. შემდეგ უკანა ოთახში შედის, მარცხნივ გადის. ისმის პიანინოს აკორდები. მერე ისევ გამოდის და სასტუმრო ოთახში ბრუნდება.

უკანა ოთახის მარჯვენა მხრიდან ბერტა გამოდის ანთებული ლამპით, როპელსაქ კუთხის დივანის წინ მდგარ მაგიდაზე დგამს. ნამტირალევი თვალები აქვს. ქუღზე სამგლოვიარო ზოლი უკეთია. გადის მარჯვნივ წყნარად. ჰედა მიდის მინიან კართან, ოღნაე გადასწევს ფარდას და ბნელ სივრცეს მიაჩერდება.

მალე გამოჩნდება სამგლოვიარო სამოსელში გამოწყობილი იულია ტესმანი ქუდიით და პირსაბურთით. ჰედა მიეგებება და ხელს გაუწვდის.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. დიახ, ჰედა, გლოვის სამოსში მოვედი თქვენთან. ჩემმა საბრალო დამ ღმერთს მიაბარა ტანჯული სული.

ჰ ე დ ა. მე უკვე ვიცი ეს ამბავი, როგორც ხედავთ. ტესმანმა ბარათით შემატყობინა.

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ჰო, დამპირდა, მივწერო. მაგრამ მე მაინც ვიფიქრე, რომ აქ, ჰედასთან — სიცოცხლის სავანეში — სიკვდილის ამბავი თვითონ უნდა მივიტანო-მეთქი.

ჰ ე დ ა. დიდი თავაზიანობაა თქვენგან!

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ახ, სწორედ ახლა არ უნდა გასცლოდა ამ ქვეყანას საბრალო რინა, ჰედას სახლს ახლა ძაძები არ შეშვენის.

ჰ ე დ ა. ისე ხომ წყნარად მიიცვალა, ქალბატონო ტესმან?

ქ-ნ ი ტ ე ს მ ა ნ ი. ახ რა წყნარად და მშვიდად განისვენა და რა ბედნიერება იყო, რომ კიდევ ერთხელ ეღირსა იორგენის ნახვა! სულზე მოუხწრო საცოდავს. მერე, რა ტუბილად გამოემშვიდობა, რომ იცოდე... სახლში ხომ არ არის იორგენი?

ჰედა. არა. მომწერა, მალე ვერ მოვალო. მაგრამ დაბრძანდით, ფეხზე რად დგახართ?

ქ-ნი ტესმანი. არა, გმადლობთ, ჩემო ძვირფასო ჰედა... სიამოვნებით დავჯდებოდი, მაგრამ ცოტა დრო მაქვს. ახლა უნდა ჩავაცვა და გავასუფთაო მიცვალებული, თუ რამეს შევიძლებ. გამოკონტა-ვებული უნდა ჩავუშვა მიწაში.

ჰედა. მე ვერაფრით დაგეხმარებით?

ქ-ნი ტესმანი. რას ამბობთ! ასეთ რამეზე ჰედა ტესმანი ხელს. როგორ გაისვრის! ასეთ დროს ამგვარ რამეზე ფიქრიც კი არ შე-იძლება — ღმერთმა დაგვიფაროს!

ჰედა. ეჰ, ფიქრი... ფიქრებს ლაგამს ვერ ამოსდებ...

ქ-ნი ტესმანი (ოხრით, თან წასვლას აპირებს). ჰო, ვენაცვალე უფალს, ასეთია წუთისოფელი. იქ ახლა, ჩვენსას, რინას სამოსელის კერვას უნდა შევუდგეთ. აქაც კიდევ რამდენი რამ იქნება შესაყე-რავი — ოღონდ სხვა ხასიათისა, მადლობა ღმერთს!

#### შემოდის ტესმანი.

ჰედა. ოჰ, კარგია, როგორც იქნა, მოხვედი.

ტესმანი. შენ აქა ხარ, მამიდა იულია? ჰედასთან? წარმოიდგინე!

ქ-ნი ტესმანი. ახლახან წასვლას ვაპირებდი, ჩემო ძვირფასო. ყველაფერი მოაგვარე, რასაც დამპირდი?

ტესმანი. არა, იცი რა, ვშიშობ, რომ ნახევარი დამავიწყდა. დილით ისევ შენთან გაეჩნდები. დღეს პირდაპირ თავგზა ამებნა. აზ-რებისთვის თავი ვერ მომიყრია.

ქ-ნი ტესმანი. შვილო იორგენ, შენ შემოგველე, არც ასე შე-იძლება.

ტესმანი. ასე? მაშ რანაირად, შენი აზრით?

ქ-ნი ტესმანი. ისე, რომ შევებშიაც უნდა გახარებდეს რალა. უნდა გიხაროდეს ის, რაც მოხდა. ისევე, როგორც მე.

ტესმანი. ახ, ვიცი, ვიცი, შენ მამიდა რინაზე ფიქრობ.

ჰედა. ახლა მარტოობას იგრძნობთ; ქალბატონო ტესმან.

ქ-ნი ტესმანი. პირველ ხანებში კი. მაგრამ ეს დიდხანს არ გას-ტანს, ამის იმედი მაქვს. განსვენებული რინას ოთახი ცარიელი არ დარჩება-მეთქი, ასე მგონია.

ტესმანი. ჰოო? მერედა ვინ გინდა იქ იყოლიო. ჰა?

ქ-ნი ტესმანი. ყოველთვის გამოჩნდება ვინმე უბედური, ავად-  
მყოფი და გაჭირვებული, რომელსაც, სამწუხაროდ, მოვლა და პატრო-  
ნობა ესაჭიროება.

ჰედა. ნუთუ თქვენ გინდათ ხელახლა აიკიდოთ ასეთი ტვირთი?

ქ-ნი ტესმანი. ტვირთი?.. ღმერთმა შეგინდოთ, ჩემო შეილო...  
ეს ხომ ტვირთი არ ყოფილა ჩემთვის.

ჰედა. მაგრამ, სრულიად უცხო ადამიანი რომ სახლში დაიწვი-  
ნო...

ქ-ნი ტესმანი. ჰა, ავადმყოფთან შეთვისებას ბევრი დრო არ  
უნდა გული არ ითმენს: ხომ უნდა მყავდეს ისეთი, რომ მისთვის  
ვიზრუნო და ვათრიო წუთისოფლის უღელი! ერთიც ვნახოთ, იქნებ  
ღმერთმა ინებოს და აქაც, თქვენს სახლში, გამოჩნდეს საქმე თქვენი  
მოხუცებული მამიდისათვის.

ჰედა. აჰ, ჩვენზე ნულარაფერს იტყვიot!

ტესმანი. რატომ, აბა წარმოიდგინე, საუცხოოდ მოვეწყობოდით.  
ჩვენ სამნი ერთად, თუკი...

ჰედა თუკი...

ტესმანი (მოუსვენრად). ახ, არაფერი! შემდეგ ალბათ ეს ამბებიც  
მოგვარდება... იმედი ვიქონიოთ?

ქ-ნი ტესმანი. ჰო, ჰო, დროა ჩემს გზას ვეწიო, მგონი, რალაც  
გაქვთ სათქმელი ერთმანეთისათვის. (ღიმილით.) ჰედას უნდა რალაცა  
გიაშბოს, იორგენ! ნახვამდის! შინ მიმეჩქარება, რინასთან. (ყართან  
მობრუნდება.) ღმერთო ჩემო, რა საოცარია ამის წარმოდგენაც კი  
ახლა რინა ჩემთანაც არის და განსვენებულ აოხუმთანაც.

ტესმანი. აბა, წარმოგიდგენია, მამიდა იულია! ჰა?

ქ-ნი ტესმანი გაღის.

ჰედა (ტესმანს ვამოხედელი და ცივი თვალით ზვერავს). როგორც ვატ-  
ყობ, ამ სიკვდილს შენ უფრო მძიმედ განიცდი, ვიდრე მამიდაშენი.

ტესმანი. ჩემი განცდის მიზეზი მარტო სიკვდილი არ არის.  
ძალიან მაწუხებს აილერტის ბედი.

ჰედა (სწრაფად). კიდევ შეემთხვა რამე?

ტესმანი. დღეს ნასადილევს მინდოდა მასთან შემერბინა და მე-  
თქვა, რომ ხელნაწერი ჩემთანაა.

ჰედა. მერე? ვერ შეხვდი?

ტესმანი. ვერა. შინ არ იყო. მაგრამ მე ქალბატონი ელვსტედი ვნახე და მითხრა, ამ დილით თქვენსას იყო.

ჰედა. დიახ; ძლივს გაასწარი. შენ გახვედი და ისიც მოვიდა.

ტესმანი. თითქოს უთქვამს, ხელნაწერი ნაფლეთებად ვაქციეო; მართალია?

ჰედა. ჰო, ასე ამტკიცებდა.

ტესმანი. ღმერთო ჩემო, მაშ საცოდავი სრულიად გადარეულა. როგორც ჩანს, შენც ამიტომ ვერ გაბედე ხელნაწერის გადაცემა, არა, ჰედა?

ჰედა. არა, მას ხელნაწერი არ მიუღია.

ტესმანი. ისე ხომ უთხარი, რომ ხელნაწერი ჩვენთანაა?

ჰედა. არა. (უცხად). ქალბატონ ელვსტედს ხომ არაფერი უთხარი?

ტესმანი. არა, ეს არ მინდოდა... თვითონ პატრონისათვის კი უნდა გეთქვა. ერთიც ვნახოთ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა საკუთარ თავს რამე ხიფათი შეჰყაროს? მომეცი ხელნაწერი, ჰედა! ახლავე მისკენ გავქანდები. სად არის პაკეტი?

ჰედა (ცოვად და უძრავად, ხელით სავარძლის ზურგზე დაყრდნობილი). ხელნაწერი უკვე აღარა მაქვს.

ტესმანი. აღარა გაქვს?! ყველაფერს გაფიცებ, რა იგულისხმე ამ სიტყვებში?

ჰედა. დავწვი, ფერფლად ვაქციე — თავიდან ბოლომდე!

ტესმანი (ზარდაცმული). დასწვი?! აილერტ ლევბორგის ხელნაწერი დამწვარია?!

ჰედა. ასე ნუ ღრიალებ! მოსამსახურე გაიგონებს.

ტესმანი. დამწვარია! ღმერთო მაღალო!.. არა, ეს სრულიად შეუძლებელია!

ჰედა. და მაინც ასეა.

ტესმანი. და მერე თუ გესმის, რა ჩაგიდენია, ჰედა? ეს ხომ ნაპოვნი სხვისი ქონების ხელყოფაა! აბა, დაფიქრდი! ერთი ჰკითხე ასესორს და მაშინ გაიგებ...

ჰედა. უფრო გონივრული ის იქნებოდა, რომ ამის შესახებ არაფერს ეტყოდე არც ასესორს და არც ვინმე სხვას.

ტესმანი. მაინც, რანაირად ჩაიღინე ეს გაუგონარი ამბავი? რისთვის დაგჭირდა? რა მოგივიდა? მიპასუხე!



ჰედა (ოდნა შესაძინე ღიზის ფარავს). შენმა სიყვარულმა ჩამადენინა, იორგენ.

ტესმანი. ჩემმა სიყვარულმა?

ჰედა. დღეს რომ შინ დაბრუნდი და მიამბე, აილერტმა ხელნაწერი წამიკითხაო...

ტესმანი. ჰო... მერე?

ჰედა. მერე შენ აღიარე, რომ შეგშურდა ლევბორგისა — ამ შრომის გამო.

ტესმანი. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ასე პირდაპირი აზრით არ უნდა გაგეგო!

ჰედა. სულ ერთია, ვერ შევურიგდებოდი იმ აზრს, რომ ვინმე სხვამ შენი სახელი დაჩრდილოს.

ტესმანი (მერყეობს ეჭვსა და სიხარულს შორის). ჰედა... თუ ეს მართალია, რასაც შენ ამბობ!.. აკი დღემდე... აკი დღემდე ჩემდამი სიყვარული ასეთნაირად არ გამოგიქვიავენებია. წარმოდგინე!

ჰედა. ჰოდა, ასე ჯობია, რომ ახლა პირველად... (სწრაფად ხმას იცვლის). არა, არა, მამიდა იულიას ჰკითხე, ის გეტყვის.

ტესმანი. აჰა, მგონია, გავიგე, ჰედა! (ტაშს შემოჰკრავს.) არა, ღმერთო ჩემო, შენ... ნუთუ ეს შესაძლებელია, ჰა?

ჰედა. ასე ნუ ღრიალებ-მეთქი. მოსამსახურე ქალი გაიგონებს.

ტესმანი (იციინის უზომოდ გახარებულად). ქალი! არა, შენ ნამდვილად გულკეთილი ხარ, ჰედა! ქალი — ეს ხომ ბერტაა! მე შემიძლია ახლავე გავიდე კიდევ და ბერტას ყველაფერი ვუამბო.

ჰედა (ხელებს შემოთებით კუმშავს). ახ, მე ბოლოს მომიღებს... ბოლოს მომიღებს ყველაფერი ეს!

ტესმანი. რა, ჰედა? რა?

ჰედა (ცივად, მბრძანებლურად, გონს მოსული). ყველა ეს... სასაცილო ამბები, იორგენ!

ტესმანი. სასაცილო? რომ მე ასე გულითა ვხარობ? რა გაეწყობა... მართლაც, ბერტას ჩარევა აქ ზედმეტი უნდა იყოს.

ჰედა. არ არის სწორი. ამაში დარწმუნებული ვარ.

ტესმანი. არა, არა, ჯერ არ ვეტყვი. მამიდა იულიამ კი ეს უსათუოდ უნდა იცოდეს. აგრეთვე ისიც, რომ შენ უკვე დამიძახე სახელი, იორგენ... აჰ, როგორ გაიხარებს მამიდა იულია, როგორ გაიხარებს!

ჰედა. როცა გაიგებს, რომ აილერტ ლევბორგის ხელნაწერი დავწვი შენი გულისათვის?

ტესმანი. არა, ესეც მართალია! თუმცა ეს არაფერია არ უნდა იცოდეს, ცხადია. მაგრამ შენ რომ ჩემთვის იწვი და იფერფლები, ეს კი მაშიდას უეჭველად უნდა გავუზიარო. მერე კიდევ... ნეტავ, ვიცოდე, საერთოდ ყველა ახალგაზრდა ცოლი ასეთი თუა? რას იტყვი?

ჰედა. ესეც შეგიძლია მაშიდა იულისას ჰკითხო, ის უფრო აგიხსნის.

ტესმანი. მართლაც, როგორც კი სათანადო შემთხვევა მომეცემა, უნდა ვკითხო. (ისევ მოუსვენრად, ჩაფქრებით.) ოჰ, მაინც ეს ხელნაწერი!.. ღმერთო, მაინც რა საშინელებაა, — თუ . კაცი ჩაუფიქრდება! — გული მეღევა, საბრალო აილერტი რომ მომაგონდება!

ქ-ნი ელვსტედი შემოდის ისევე ჩაცმული, როგორც პირველად ვნახეთ, ქუდით და პალტოთი.

ქ-ნი ელვსტედი (სწრაფად მიესალმება და დიდი მღელვარებით წარმოთქვამს). ახ, ძვირფასო ჰედა, ნუ გამიწყობები. რომ ისევ მოვედი ჰედა. რა დაგემართა, თეა?

ტესმანი. ლევბორგს ხომ არაფერი შეემთხვა ისევ? ჰა?

ქ-ნი ელვსტედი. ახ, რა ვქნა, შიშმა ამიტანა — ნამდვილად რალაც უბედურება დაატყდა ლევბორგს.

ჰედა. ღმერთო ჩემო, რას ამბობთ? საიდან მოგსვლიათ ეს აზრი ქალბატონო ელვსტედ?

ქ-ნი ელვსტედი. ახლახან ვილაცები ლაპარაკობდნენ მის შესახებ პანსიონში... როგორც კი შევედი, ყური მოგკარი... ახ, მთელს ქალაქს მოსდებია დღეს დაუჩქრებელი ხმები ლევბორგის შესახებ.

ტესმანი. ჰო, წარმოიდგინეთ, ჩემს ყურამდეც მოაღწია; ამასთან მე შემიძლია კიდევ დავამოწმო, რომ ლევბორგი ამ დღით შინ წავიდა და დაიძინა. მაშ, თქვენ წარმოიდგინეთ!

ჰედა. მერე, რა თქვეს პანსიონში?

ქ-ნი ელვსტედი. ვერაფერი ვერ გავიგე. მგონი, თვითონაც არ იცოდნენ წესიერად, ან კიდევ... ჩემს დანახვაზე დაჩუქდნენ, დაფარეს. კითხვა კი ვერ გავბედე.

ტესმანი (მოუსვენრად დაღის). იმედი ვიქონიოთ, იმედი ვიქონიოთ, რომ კარგად ვერ გავიგონიათ, ქალბატონო ელვსტედ!

ქ-ნი ელვსტედი. არა, არა, ლაპარაკი ნამდვილად მას ეხებოდა. მერე ისიც მომესმა, ვილაცამ საავადმყოფო ახსენა, თუ რაღაც... ტესმანი. საავადმყოფო?

ჰედა. არა... ეს ხომ შეუძლებელია!

ქ-ნი ელვსტედი. ისეთი შიში მეუფლება, რომ აილერტის თავს კარგი ამბავი არ უნდა იყოს! მერე მის ბინაში მივედი და ვიკითხე.

ჰედა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა როგორ გაბედე, თეა?

ქ-ნი, ელვსტედი. აბა, რა უნდა მექნა? ასე მომეჩვენა, ამბის შეუტყობლობას მეტად ველარ ავიტან-მეთქი.

ტესმანი. ლევბორგს მაინც ვერ შეხვდი, არა?

ქ-ნი ელვსტედი. ვერა. არავინ იცოდა მისი ამბავი. გუშინ შუადღის შემდეგ შინ არ მოსულაო, მითხრეს.

ტესმანი. გუშინ შუადღის მერე? წარმოიდგინეთ, რა უთქვამთ!

ქ-ნი ელვსტედი. ახ, რაღაც საბედისწერო ამბავს გადაეკიდა. სხვა რა უნდა ვიფიქრო?

ტესმანი. იცი, რას ვფიქრობ, ჰედა? რა იქნება, რომ ქალაქში წავიდე და კითხვა-კითხვით სადმე ამბავი გავიგო?..

ჰედა. არა, არა... ნულარ ჩაერევი ამ საქმეში.

ბრაკი, ქუდიო ხელში, შემოდის წინა ოთახიდან. ბერტა კარს შეაღებს და მერე ხურავს. ასესორი პირქუშად გამოიყურება და ოთახში მყოფთ უსიტყვოდ მიესალმება.

ტესმანი. აჰ, ეს თქვენა ხართ, ძვირფასო ასესორო? ჰა?

ბრაკი. დიახ, სამწუხაროდ, იძულებული გაეხდი დღესვე თქვენთან შემომველო.

ტესმანი. სახეზე გამჩნევთ, რომ მამიდა იულიასგან რაღაც შეგიტყვიათ.

ბრაკი. დიახ, მისგანაც...

ტესმანი. სამწუხარო ამბავი ხომ არ არის? ჰა?

ბრაკი. ჰო, გააჩნია, ვინ როგორ მიიღებს, ძვირფასო ტესმანი!

ტესმანი (უნდობლად უყურებს). სხვა ხომ არაფერი მომხდარა?

ბრაკი. დიახ, მოხდა.

ჰედა (დაძაბული). ასეთი სამწუხარო განა რა არის, ბატონო ასესორო?

ბ რ ა კ ი. გააჩნია, ვინ როგორ მიიღებს-მეთქი, ქალბატონო ტეს-  
მან!

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (უნებურად, მღელვარებით). ახ, უთუოდ ეს  
აილერტ ლევბორგს ეხება!

ბ რ ა კ ი (უცქერის). რატომ გგონიათ ასე, ქალბატონო? თქვენ,  
ალბათ უკვე რაღაც გცოდნიათ...

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (დაბნეული). არა, არა, სრულიად არაფერი,  
მაგრამ...

ტ ე ს მ ა ნ ი. მაგრამ, ლვთის გულისათვის, გვითხარით და გაათავეთ!  
ბ რ ა კ ი (მხრებს აჩეჩავს). კეთილი... სამწუხარო ამბავია! სულთ-  
მობრძავი აილერტ ლევბორგი საავადმყოფოში მიუყვანიათ. ამბო-  
ბენ, სიკვდილის პირას არისო.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (შეპყვირებს). ახ, ღმერთო! ახ, ღმერთო!..

ტ ე ს მ ა ნ ი. საავადმყოფოში! და უკვე სიკვდილის პირას!

ჰ ე დ ა (უნებურად). მაშ ასე მალე...

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (გოდებით). და ჩვენ ისე ვიყრებით, რომ შერი-  
გებაც ვერ მოვასწარიტ, ჰედა!

ჰ ე დ ა. მოიცა, თეა... თეა!

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (სურაღღებას არ აქცევს). ახლავე მასთან! ვნახო.  
მაინც, ვიდრე სულს დაღვეს!

ბ რ ა კ ი. ამო ცდა იქნება, მოწყალეო ქალბატონო. მასთან არა-  
ვის არ უშვებენ.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. მაშ მითხარით ბარემ, რა დაემართა? რა  
მოხდა?

ტ ე ს მ ა ნ ი. თვითონ ხომ არ... ჰა?

ჰ ე დ ა. დიახ, სწორედ თვითონ... ამაში დარწმუნებული ვარ.

ტ ე ს მ ა ნ ი. ჰედა... შენ საიდან იცი, რომ?..

ბ რ ა კ ი (ჰედას თვალს არ ამორებს). სამწუხაროდ, თქვენ სწორედ  
გამოიცანით, ქალბატონო ტესმან!

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ახ, რა საზარელი ამბავია!

ტ ე ს მ ა ნ ი. მაშ თვითონ! წარმოიდგინე!

ჰ ე დ ა. თავი მოიკლა... ტყვიით!

ბ რ ა კ ი. ესეც სწორად გამოიცანით, ქალბატონო ტესმან!

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (უდილობს თავი შეიკავოს). როდის მოხდა ეს, ბა-  
ტონო ასესორო?

ბ რ ა კ ი. დღეს ნაშუადღევს, სამიდან ოთხ საათამდე.

ტ ე ს მ ა ნ ი. მერე, ღმერთო ჩემო, სად ჩაიდინა ეს?

ბ რ ა კ ი (ყოყმანით). სად? რა მოგახსენოთ, ალბათ თავის ბრნაში.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. არა, ეს შეუძლებელია. მე იქ ვიყავი ექვსი-დან შვიდ საათამდე.

ბ რ ა კ ი. ჰო, მაშ, სადმე სხვაგან. ეს ისე კარგად არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ დაჭრილი იპოვეს... ტყვიით... მკერდგახერეტილი.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ახ, ფიქრიც კი საშინელია!.. რომ ლევბორგე ასეთი აღსასრული ეწერა!

ჰ ე დ ა (ბრაკს). მკერდშიო, თქვით, არა?

ბ რ ა კ ი. დიახ, მკერდში-მეთქი, ასე მოგახსენეთ.

ჰ ე დ ა. და არა საფეთქელში?

ბ რ ა კ ი. ქალბატონო, მკერდში-მეთქი!

ჰ ე დ ა. ჰოდა მკერდში იყოს — მკერდშიც კარგია.

ბ რ ა კ ი. რა ბრძანეთ, ქალბატონო?

ჰ ე დ ა (ხელს ჩაიქნევს). ახ... არაფერი, არაფერი.

ტ ე ს მ ა ნ ი. და ჭრილობა სიცოცხლისათვის სახიფათოა, ამბობთ, არა?

ბ რ ა კ ი. უეჭველად მომაკვდინებელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაცი უკვე გათავდა.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ, დიახ, მე ვგრძნობ ამას! გათავდა! გათავდა! ახ, ჰედა!..

ტ ე ს მ ა ნ ი. მაინც მითხარით, ვისგან გაიგეთ ყოველივე ეს?

ბ რ ა კ ი (მოკლედ). პოლიციის მოხელისაგან... რომელთანაც ლაპარაკი მქონდა.

ჰ ე დ ა. ჰოდა მკერდში იყოს — მკერდშიც კარგია.

ტ ე ს მ ა ნ ი (შეშინებული). ღვთის გულისათვის, რას ამბობ, ჰედა?

ჰ ე დ ა. მე ვამბობ, რომ ამაში არის მშვენიერება.

ბ რ ა კ ი. ჰმ ქალბატონო ტესმან!..

ტ ე ს მ ა ნ ი. მშვენიერება! ერთი წარმოიდგინე!

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. ახ, ჰედა, როგორ შეგიძლია ასეთ რამეს მშვენიერება უწოდო?

ჰ ე დ ა. აილერტ ლევბორგი თავის თავს თვითონვე გაუსწორდა.

მას აღმოაჩნდა საკმაო გამბედაობა, რომ ისე მოქცეულიყო — ზოგორც საჭირო იყო.

ქ-ნი ელვსტედი. არა, ნუ გგონია, რომ საქმე ამგვარად მოხდა. მან ეს ჩაიდინა ანგარიშმიუტემლად, ალელვების დროს.

ტესმანი. სასოწარკვეთილების წუთებშია ჩადენილი!

ჰედა. არ არის სწორი; ამაში დარწმუნებული ვარ.

ქ-ნი ელვსტედი ასეა! ანგარიშმიუტემლად! ისევე, როგორც ნაფლეთებად აქცია ჩვენი რვეულები.

ბრაკი (ელდანაკავი). რვეულები? ესე იგი, ხელნაწერი? ნაფლეთებად აქცია?

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, გასულ დამეს.

ტესმანი (ჩუჩხულით). ო, ჰედა, ეს სამარადისო ტვირთად დააწება ჩვენს სინდისს!

ბრაკი. ჰმ!.. საოცარი ამბავია.

ტესმანი (დადის ოთახში). განა წარმოსადგენია? ამრიგად, აილერტი სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს! მიდის და ტოვებს ამქვეყნად იმას, რასაც შეეძლო მისი სახელის უკვდავყოფა სამარადისოდ.

ქ-ნი ელვსტედი. ახ, რომ შეიძლებოდეს მისი აღდგენა!

ტესმანი. მართლაც! წარმოიდგინეთ, ეს რომ შეიძლებოდეს! არ ვიცი, რას არ მივცემდი...

ქ-ნი ელვსტედი. მე მგონია, მოხერხდება, ბატონო ტესმან.

ტესმანი. რანაირად?

ქ-ნი ელვსტედი (ცქვბს კაბის ჯიბეში). აი, ნახეთ. მე შემოვინახე შავი ჩანაწერები, საიდანაც აილერტი მკარანახობდა.

ჰედა (ერთი ნაბიჯით უახლოვდება). აჰ!..

ტესმანი. მაშ თქვენ ისინი შემოინახეთ, ქალბატონო ელვსტედე?

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, შევინახე. სახლიდან რომ წამოვედა, თან წამოვიღე. და აი ჯიბეში აღმოჩნდა...

ტესმანი. მაშ ერთი მომაწოდეთ, მომაწოდეთ, რომ თვალი გადავაავლო!

ქ-ნი ელვსტედი (გაუწოდებს პატარა ფურცლების შეკვრას). მაგრამ აქ ყველაფერი არეულ-დარეულია.

ტესმანი. აბა, საქმეც ის იქნება, თუ ყველაფერი ეს გავარჩიეთ და ამოვიკითხეთ. მგონი, გავარჩევთ, თუ ერთმანეთს დავეხმარებით.

ქ-ნი ელვსტედი. ოჰ, დიახ! ყოველ შემთხვევაში, უნდა ვცადოთ.

ტესმანი. უნდა გავიმარჯვოთ! მოვალენი ვართ გავიმარჯვოთ. მზად ვარ ამისათვის სიცოცხლე გავწირო!

ჰედა. რას ამბობ, იორგენ? შენი სიცოცხლე?

ტესმანი. დიახ, ან უფრო სწორად, ის დრო, რაც ჩემს განკარგულებაშია. ჩემი საკუთარი საქმე უკან გადავწიო. ჰედა, გამიგე? ჰა? ეს ის საქმეა, რითაც მე აილერტის ხსოვნის წინაშე ვარ დავალებული.

ჰედა. შესაძლებელია.

ტესმანი. ახლა კი ძვირფასო ქალბატონო ელვსტედ, საქმეს შეგუდგეთ ერთად. ღმერთო ჩემო, რას მოგვიტანს თავის ტეხვა იმაზე, რაც უკვე მოხდა! არა? უმჯობესია გონება მოვიკრიბოთ და სულიერა სიმშვიდე მოვიპოვოთ, რათა...

ქ-ნი ელვსტედი. დიახ, დიახ, ბატონო ტესმანი შევეცდება რამდენადაც შევძლებ.

ტესმანი. აბა, მაშ აქეთ მოდიოთ. ჯეო ეს ჩანაწერები გავსინჯოთ. სად ჯობია, რომ დავსხდეთ? აქა? არა, ჯობია იქით, ოთახში! გვაპატიეთ, ბატონო ასესორო! მობრძანდით, ქალბატონო ელვსტედი!

ქ-ნი ელვსტედი. ახ, ღმერთო! ნეტავი კი შევძლებდეთ... ლეებორგის შრომის აღდგენას...

ტესმანი და თეა გადიან უკანა ოთახში. თეა იხდის პალტოს და ქუდს. ორივე ჯდება დაკიდებული ლამპის ქვეშ და ქალაღებში ჩაეფლობიან. ჰედა მიდის ლუმელთან და ჯდება სავარძელში. ბრაკიცი მიჰყვება.

ჰედა (ხმადაბლა). ახ, ასესორო, იცი, რა თავისუფლების სიო ქრის იმაში, რაც აილერტ ლეებორგს შეემთხვა?!

ბრაკი. თავისუფლებისა, ქალბატონო ჰედა? ჰო, მისთვის ეს მართლაც ერთგვარი განთავისუფლებაა...

ჰედა. მისთვის კი არა, ჩემთვის ვამბობ. როგორღაც უფრო თავისუფლად სუნთქავ და შეგებას განიცდი, როცა ხედავ, რომ ქვეყნად ზოგჯერ მაინც ხდება გაბედული საქმეები, ნებისყოფის ძალასა და სულის სილადეს რომ მოწმობენ. ესაა გმირობა, რასაც უნებურად მშვენიერების შუქი ეფინება.

ბრაკი (ღიმილით). ჰმ... ძვირფასო ქალბატონო ჰედა...

ჰედა. ახ, უკვე ვიცი, რისი თქმაც გნებავთ! აკი თვითონაც ერთ-ერთი ისეთი მამაკაცი ხართ, სწორედ ისეთი, როგორიც... დიახ!

ბრაკი (მზიანად უხურებს). ქალბატონო ჰედა, აილერტ ლევბორგი თქვენს თვალში ბევრად მეტი იყო იმაზე, ვიდრე თვითონ თქვენივე თავის წინაშე გასურთ აღიაროთ. ან, იქნება მე ვცდები?

ჰედა. ასეთ რამეზე პასუხს არ გაგცემთ. მე ვიცი მხოლოდ, რომ აილერტ ლევბორგს შეეძლო თავისი საკუთარი თავით ეცხოვრა. მას ჰქონდა საამისო გამბედაობა. და მერე ახლა — ეს დიადი საქმე, რაღაც ვაჟკაცური ნაბიჯი! რასაც მშვენიერების დალი აზის. მას ეყო ძალა და ნებისყოფა, რათა მეჯლისიდან წასულიყო... ასე ნაადრევად!

ბრაკი. ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო ჰედა... მაგრამ იძულებული ვარ ამ მშვენიერი დაბნეულობიდან გამოვიყვანოთ.

ჰედა. დაბნეულობიდან?

ბრაკი. რასაც თქვენ უამისოდაც ვინმეს მეშვეობით თავს დააღწევდით.

ჰედა. მერე რა ამბავია?

ბრაკი. ლევბორგს თავისი ნებით არ მოუკლავს თავი.

ჰედა. თავისი ნებით არ მოუკლავს?

ბრაკი. არა. აილერტ ლევბორგის საქმე არც ისე წარმტაცია, როგორც ეს თქვენ წარმოგიდგენიათ.

ჰედა (დაძაბული). განა დამალეთ რამე? მითხარით!

ბრაკი. დიახ, საბრალო ქალბატონი ელვისტედის გულისათვის ზოგიერთი გარემოება შეეარბილე.

ჰედა. სახელდობრ რომელი?

ბრაკი. ჯერ ერთი, რომ ის ნამდვილად უკვე მკვდარია.

ჰედა. საავადმყოფოში?

ბრაკი. დიახ. ისე, რომ გონსაც ვერ მოიყვანეს.

ჰედა. კიდევ რა დაფარეთ?

ბრაკი. რომ ამბავი მის ოთახში არ მომხდარა.

ჰედა. ამას რა მნიშვნელობა აქვს? სულ ერთი არ არის?..

ბრაკი. არ არის მთლად სულ ერთი. პირდაპირ უნდა გითხრათ... რომ ლევბორგი მკერდგახვრეტილი იპოვნეს... ქალბატონ დიანას საწოლ ოთახში.

ჰედა (უნდა წამოხტეს, მაგრამ ისევ ძირს ეშვება). ეს შეუძლებელია, ბატონო ასესორო! დღეს იქ მეორედ არ მივიდოდა!



ბ რ ა კ ი. დღეს ნაშუადღევს იქ იყო. მივიდა და მოითხოვა რაღაც ნივთები, რაც, მისი თქმით, ვიღაცამ წაართვა. არეულად ლაპარაკობდა, რომელიღაც შვილზე, რომელიც მან თითქოს დაკარგა...

ჰ ე დ ა. აჰ... ეტყობა იმ ხელნაწერს...

ბ რ ა კ ი. მეც მეგონა, რომ თავის ხელნაწერს გულისხმობდა, მაგრამ აკი თვითონვე უთქვამს, ჩემი ხელით დავგლიჯეო. არა, ეტყობა, უბის წიგნაკზე ამბობდა.

ჰ ე დ ა. შეიძლება... მაშ იქ... ნახეს!

ბ რ ა კ ი. დიახ, იქ. მკერდის ჯიბეში დამბაჩა უპოვნეს. ეტყობა, თავისით გავარდა და სასიკვდილოდ დაჭრა.

ჰ ე დ ა. მკერდში, არა?

ბ რ ა კ ი. არა, მუცელში.

ჰ ე დ ა (წინ გაიხედავს რაღაც ზიზლის გრძნობით). არც ეს აღმოჩნდა ისე, როგორც მსურდა! ახ, სასაცილო და გაცვეთილი ამბავი თავის დაღს ასვამს ყველაფერს, რასაც კი მე შეევეხები.

ბ რ ა კ ი. ეს ჭერ კიდეც ცოტაა, ქალბატონო ჰედა. ამაზე უარესი ამბავიც ვიცი.

ჰ ე დ ა. ეს კიდეც რაღაა?

ბ რ ა კ ი. დამბაჩა, რომელიც მკვდარს აღმოაჩნდა...

ჰ ე დ ა (სულშეხუთული). მერე? ეს კიდეც რით არის საყურადღებო?

ბ რ ა კ ი. ...ეტყობა, მოპარული ჰქონია.

ჰ ე დ ა (წამოხტება). მოპარული! ეს არ არის მართალი! ამას არ ჩაიღვინდა!

ბ რ ა კ ი. სხვაგვარად შეუძლებელია. უსათუოდ მოპარული უნდა ჰქონდეს... სსუ!..

ტესმანი და ჭ-ნი ელესტედი ადგებიან და სასტუმრო ოთახში გამოდიან.

ტესმანი (ორივე ხელში ქალღლებით). გამიგონე, ჰედა, შეუძლებელია ამ ლამპის შუქზე რამის გარჩევა. წარმოიდგინე!

ჰ ე დ ა. ჰო, წარმოდგენილი მაქვს.

ტესმანი. შეიძლება ცოტა ხნით შენს საწერ მაგიდასთან დაეხსდეთ?

ჰ ე დ ა. რატომაც არა... (სწრაფად). არა, მოიცადე! ჭერ მაცაღე აუღალავო.

ტესმანი. აბა ეს რა საჭიროა, ჰედა! ადგილი საკმარისია.

ჰ ე დ ა. არა, არა. მაცალე-მეთქი. დავალავო... აი ეს ფორტეპიანოზე გადავიტანო. ასე!

იღებს თაროდან რაღაც საგანს, რაც ნოტების ფურცლებშია გახეული, კიდევ ორ ფურცელს დაამატებს შემოდან და გააქვს უკანა ოთახში, მარცხნივ. ტესმანი დადებს ფურცელს მაგიდაზე, და ლამპა კუთხის მაგიდიდან აქეთ გადმოაქვს. მერე ელვსტედთან ერთად დაჯდება და განაგრძობს მუშაობას, ჰედა უკანვე მოდის.

ჰ ე დ ა (ქ-ნი ელვსტედის სკამის უკან. მის თმებს მსუბუქად შეეხება). აბა, მომხიბლავო თეა! როგორ მიდის აილერტ ლევებორგის ძეგლის საქმე?

ქ-ნი ელვსტედი (ნადვლიანად უყურებს). აჰ, ღმერთო!.. ეტყობა, საშინლად ძნელი საქმე იქნება ამ ხელნაწერის ამოკითხვა.

ტესმანი. უნდა ამოვიკითხოთ! რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს! თავისთავად კიდევ ეს — სხვისი ქაღალდების ჩხრეკა და წესრიგში მოყვანა სწორედ საჩემო საქმეა.

ჰედა მიდის ღუმელთან და ჯდება ერთ სკამზე. ბრაკი დგას მისკენ დახრილი. სავარძლის ზურგზე დაყრდნობილი.

ჰ ე / დ ა (ჩურჩულით). რას ამბობდი დამბაჩის შესახებ?

ბ რ ა კ ი (ჩუმად). ვამბობდი, მოპარული უნდა ჰქონდეს-მეთქი.

ჰ ე დ ა. რატომ მაინცდამაინც მოპარული?

ბ რ ა კ ი. იმიტომ, რომ ყოველი სხვაგვარი ახსნა გამოორიციხულია, ქალბატონო ჰედა.

ჰ ე დ ა. ეს როგორ?

ბ რ ა კ ი (მცირე ხანს უცქერის). ლევებორგი ამ დილით, ცხადია, აქ იყო, ხომ მართალია?

ჰ ე დ ა. დიახ, იყო.

ბ რ ა კ ი. მარტო დარჩით მასთან?

ჰ ე დ ა. დიახ, ცოტა ხნით.

ბ რ ა კ ი. მის აქ ყოფნაში ოთახიდან ხომ არ გასულხართ?

ჰ ე დ ა. არა.

ბ რ ა კ ი. დაფიქრდით. არც ერთი წამით არ გასულხართ?

ჰ ე დ ა. ჰო, კი... მგონი, სულ მცირე ხნით გავედი წინა ოთახში.

ბ რ ა კ ი. სად იყო ამ დროს დამბაჩა?

ჰ ე დ ა. დამბაჩა? აი, იქ...

ბ რ ა კ ი. აბა, სად, ქალბატონო ჰელა?

ჰ ე ლ ა. საწერ, მაგიდაზე.

ბ რ ა კ ი. გასინჯეთ თუ არა შემდეგ, ან თუ იყო ორივე დამბაჩა თავის ადგილზე? გასინჯეთ?

ჰ ე ლ ა. არა.

ბ რ ა კ ი. ან კი რა საჭიროა. მე ვნახე დამბაჩა, რომელიც ლევ-ბორგს აღმოაჩნდა, და მაშინვე ვიცანი. გუშინ ხომ ვნახე! და ადრეც მინახავს.

ჰ ე ლ ა. თან ხომ არა გაქვთ?

ბ რ ა კ ი. ვრა, ის ახლა პოლიციის ხელშია.

ჰ ე ლ ა. პოლიციას რისთვის დასჭირდა დამბაჩა?

ბ რ ა კ ი. სჭირდება იმისათვის, რომ პატრონის კვალს მიაგნოს.

ჰ ე ლ ა. მერე, როგორა გგონიათ, მიაგნებს?

ბ რ ა კ ი (დაიხრება, ჩურჩულით). ვერა, ჰელა გაბლერო: ვიდრე მე ვდღეშვარ — ვერ მიაგნებს.

ჰ ე ლ ა (შეშფოთებული უცქერის). და როცა თქვენ აღარ ისურვებთ დღემილს, მაშინ რა მოხდება?

ბ რ ა კ ი (მხრებს აჩეჩავს). მაშინ... გამოსავალი ყოველთვის მოინახება: იტყვიან, რომ დამბაჩა მოპარულია.

ჰ ე ლ ა (მტკივნოდ). უმალ სიკვდილი!

ბ რ ა კ ი (ღიმილით). ასეთ რამეს ამბობენ ხოლმე. მაგრამ ამას არავინ აკეთებს.

ჰ ე ლ ა (პასუხს არ აძლევს). ვთქვით დამბაჩა მოპარული არაა, და მისი მფლობელი მონახეს... მაშინ რა მოხდება?

ბ რ ა კ ი. ო, ჰელა, — ეს დიდ ხმაურს გამოიწვევს.

ჰ ე ლ ა. ხმაურს!

ბ რ ა კ ი. დიახ, ხმაურს, რაც თქვენ სიკვდილზე ნაკლებ არ გა-შინებთ. საქმე გახშიანდება და თქვენ სასამართლოს წარუდგებით. თქვენცა და ქალბატონი დიანაც. მას მოუხდება განმარტების მიცემა, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი! უნებური გასროლა იყო ეს თუ განზრახ მკვლელობა. ხომ არ ამოიღო ლევბორგმა ჩიბიდან დამბაჩა დაწუქრების მიზნით. ან ამოღების დროს ხომ არ გავარდა. ან ხომ არ გამოსტაცა ქალმა ხელიდან იარაღი, ესროლა და მერმე ისევ ჩიბეში ჩაუღო? მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ნამდვილი ყაჩაღანაა ეს ქალბატონი დიანა.

ჰედა. მაგრამ მთელი ეს საქაგლობა მე ხომ არ მეხება!

ბრაკი. არა. მაგრამ თქვენ მოგიხდებათ ერთ რამეზე პასუხის გაცემა: რატომ მიეცით აილერტ ლევბორგს დამბაჩა? და ვინ იცის, რა. დასკვნას გამოიტანენ იქიდან, რომ ლევბორგს დამბაჩა მიეცით!

ჰედა (თავს ჩაჰკიდებს). მართალია. ამაზე არ მიფიქრია.

ბრაკი. საბედნიეროდ, საამისო საფრთხე არ არსებობს, ვიდრე მე ვლუმვარ.

ჰედა (უაუბრებს). ამრიგად, მე თქვენს ხელთა ვარ ბატონო ასე-სორო. ამიერიდან სულითა და ხორციით თქვენს განკარგულებაში ვარ.

ბრაკი (უფრო ჩუმი ჩურჩულით). სანატრელო ჰედა... მერწმუნეთ, მე ბოროტად არ ვისარგებლებ ამ გარემოებით.

ჰედა. მაინც სავსებით თქვენს ხელთა ვარ, თქვენს ნება-სურვილზე ვარ დამოკიდებული, და მაშასადამე, თავისუფლებას მოკლებული. თავისუფლება დაეკარგე! (უიარაღ ადგება). არა... ამაზე ფიქრს ველარ ავიტან! ვერასოდეს!

ბრაკი (ნახევრად დაცინვით უყურებს). ასე თუ ისე, მაინც გვიხდება შეეჯერიგდეთ აურიდებელს.

ჰედა (იმავე მზერით). ჰო, შესაძლოა. (მიდის საწერ მაგიდასთან. უნებურ ღმილს აკავებს და ტესმანის ხმას ჰბაძავს), ჰა, როგორაა საქმე? გამოდის რამე, იორგენ? ჰა?

ტესმანი. ღმერთმა უწყის! ყოველ შემთხვევაში, ამ სამუშაოს რამდენიმე თვე დასჭირდება.

ჰედა (ისევ). წარმოიდგინე! (ხელს ფრთხილად ჩაჰყოფს ელვსტელს თმბში.) არ გიკვირს, თეა? ახლა შენ ზინხარ იორგენ ტესმანის გვერდით, სწორედ ისევე, როგორც ოდესღაც აილერტ ლევბორგთან იჯექი.

ქნი ელვსტედი. ახ, ღმერთო! ოღონდ კი შეეძლო, რომ შენი ქმარიც მასავით შთავაგონო!

ჰედა. ოჰ, რატომაც არა, თავის დროზე ამასაც მაალწევ.

ტესმანი. დიახ, იცი, ჰედა — თითქოს რაღაცის კვალს ძივავენი. მაგრამ, მაცალე, იჯექი ჯერ ასესორთან.

ჰედა. თქვენ ორს მე აღარაფერში გამოგადგებით!

ტესმანი. არა, აბსოლუტურად არაფერში. (თავს ასესორისკენ აბრუ-

ნებს). ძვირფასო ასესორო, დამდეთ ვალი და დღეიდან თქვენ გაართეთ ხოლმე ჰედა!

ბ რ ა კ ი (ჰედას გადახედავს). ეს უაღრესად სასიამოვნო მოვალეობა იქნება ჩემთვის.

ჰ ე დ ა. ძლიერ დამავალეობთ. მაგრამ ამ საღამოს მეტი სმეტად დაღლილი ვარ. მინდა ცოტა ხნით ამ დივანზე წამოვწვე.

ტ ე ს მ ა ნ ი. ჰო, წამოწეკი, ჩემო საუნჯევე. ჰა?

ჰ ე დ ა გადის უკანა ოთახში და აქეთ ფარდებს ჩამოუშვებს... მცირე პაუზა. ისმის შმაგი საცეკვაო ჰანგი: ჰედა ფორტეპიანოზე უკრავს.

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი (წამოიკრება). უჰ!.. რა არის ეს?

ტ ე ს მ ა ნ ი (გარბის კარებისაკენ). ნუ, ჩემო ძვირფასო ჰედა! დღეს საცეკვაოს ნულარ დაუკრავ! მოიგონე მამიდა რინას ცხედარი!.. აგრეთვე აილერტიც!

ჰ ე დ ა (თავს გამოჰყოფს ფარდებს შორის). აგრეთვე მამიდა იულია... და მთელი ეს საზოგადოება... ჰო, აღარ დაეუკრავ. ჩუმაღ ვიქნები. (სხე ჩამოუშვებს ფარდას.)

ტ ე ს მ ა ნ ი (საწერ მაგიდასთან). ეტყობა, ვერ იტანს ჩვენს ცქერას, როცა ამ მოსაწყენ სამუშაოს ვუზივართ. იცით, რა, — ქალბატონო ელვსტედ, — გადადით მამიდა იულიასთან. საღამოობით მეც გამოგივლით. იქ დამშვიდებით ვიმუშაებთ, არა?

ქ-ნ ი ე ლ ვ ს ტ ე დ ი. დიახ, ძალიან კარგი იქნებოდა...

ჰ ე დ ა (პატარა ოთახიდან). მესმის, რასაც ამბობ, ტესმან! მერე, მე აქ როგორღა გავატარო საღამოები?

ტ ე ს მ ა ნ ი (ფურცლავს ქალაღებს). ახ, ბატონი ასესორო ისე თავაზიანია, რომ არ დაიზარებს საღამოობით ჩვენსას გამოვლას.

ბ რ ა კ ი (სავარძელში ზის და მხიარულად იძახის). სიამოვნებით, ქალბატონო ტესმან — თუნდაც ყოველ საღამოს! იმედი მაქვს, რომ თუ ერთად ვიქნებით, ამ საღამოებს სრულ სიამოვნებაში გავატარებთ!

ჰ ე დ ა (ნათლად, ხმამალა). დიახ, იმედი როგორ არ გექნებათ, ბატონო ასესორო? თქვენ ერთადერთი მამალი ხართ საქათმეში დარჩენილი და...

ისმის სროლა. ბრაკი, ტესმანი და ქ-ნი ელვსტედი წამოხტებიან.

ტესმანი. ახ, ისევ თავისი დამბაჩით ვარჯიშობს! (ფარდებს სწრაფად გადასწევს და შედის ოთახში. შეჰყვება ელვსტედი. გამოჩნდება ჰედა, დივანზე გამხლართული. არეულობა და ყვირილი. შეშინებული ბერტა შემოდის მარჯვნიდან).

ტესმანი (ბრავს ყვირილით). ჰედამ თავი მოიკლა! ტყვია შიგ საფეთქელში მოხვედრია! წარმოიდგინეთ!

ბრაკი (თითქმის გონებადაკარგული, სავარძელში ჩაეშვება). მაგრამ, ღმერთო მოწყალეო! ბოლოს და ბოლოს, ასეთ რამეს ხომ არავინ არ აკეთებს?

გვგნგვგნგნ





ჰენრიკ იბსენს ქართული საზოგადოებრიობა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს გაეცნო. ივერიის 1895 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებულია კ. აბაშიძის წერილი „აზრი რუსული ლიტერატურის შესახებ ფრანგის კრიტიკოსისა“, სადაც მოკლედ არის გადმოცემული ლეპეტრის აზრი იბსენის შემოქმედებაზე და მისი გავლენის შესახებ ფრანგულ ლიტერატურაზე. 1896 წელს „ივერიაშივე“ (№ 68) მოთავსებული იყო ხელმოწერული რეცენზია რუსული დასის მიერ წარმოდგენილი „ნორას“ („თოჯინების სახლის“) გამო. „კვალის“ 1897 წლის მეცხრამეტე ნომერში დაბეჭდილ მცირე ზომის ხელმოწერულ წერილში მოკლედ არის გადმოცემული იბსენის ბიოგრაფიული ცნობები და ორიოდვე სიტყვით, მაგრამ მართებულად არის შეფასებული ნორვეგიელი დრამატურგის შემოქმედების ძირითადი ტენდენცია. 1898 წლის 20 თებერვალს კი პირველად წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზე „ნორა“ („თოჯინების სახლი“). იბსენის მსოფლმხედველობა და მისი შემოქმედება განხილულია კ. აბაშიძის ვრცელ წერილში „საფრანგეთის მწერლის აზრი იბსენის შესახებ“ („ცნობის ფურცელი“, 1901 წ. № 1612 და 1614). ავტორის აზრით, ორი რამ იქცეოდა უმთავრესად იბსენის ყურადღებას — კაცის სახელის მოხვეჭის დაუძინებელი სურვილი და ხელოვნების საგანი... მაგრამ ყველაზე უფრო იბსენის ყურადღებას ხელოვნების საგანი იქცეოდათ და ამის შესატყვისად განიხილავს იბსენის მხოლოდ ორ ნაწარმოებს: „მშენებელ სოლენს“ (წერილის მიხედვით „შენობის ოსტატი სოლენსი“) და „როცა ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ“ (წერილის მიხედვით „როდესაც ვიღვიძებთ მკვდრეთით“).

მეოცე საუკუნის დამდეგიდან ინტენსიურად დაუწყიათ თარგმნა იბსენის პიესებისა, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი დაუჭერიათ ქართული თეატრის რეპერტუარში. არსებული ცნობების მიხედვით „თოჯინების სახლთან“ ერთად ქართულ სცენაზე დიდი წარმატებით სარგებლობდა „ხალხის მტერი“ ანუ „ექიმი შტოკმანი“, რომელიც, 1903 წლიდან დაწყებული, არაერთჯერ წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზე. 1906 წელს პირველად დაუდგამთ „მოჩვენებანი“, ხოლო 1914 წელს „საზოგადოების ბურჯნი“. დასახელებული პიესების გარდა უთარგმნიათ იბსენის სხვა დრამებიც: „ნადიმი სოლჰაუგში“, „ბრანდი“, „ახალგაზრდობის კავშირი“, „გარეული იხვი“, „ქალი ზღვიდან“, „ქედა გაბლერი“, „მშენებელი სოლენსი“, „პატარა გოლივი“ და „იონ გაბრიელ ბოკმანი“, რომელთაგან ზოგიერთი დადგმულიც უნდა ყოფილიყო.

როგორც ამ ტომის შესავალ წერილშიც არის აღნიშნული, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინტერესი იბსენის შემოქმედებისადმი მნიშვნელოვნად შესუსტებულა და „ნიცშეს ზეკაცის თეორიის“ მიმდევრად გამოცხადებული დრამატურგის და-

ბადების თუ გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით თუ გამოქვეყნებულა ორიოდვე წერილი.

დამოკიდებულება „ნორვეგიელი შექსპირის“ შემოქმედებისადმი არსებითად შეიცვალა ორმოცდაათიან წლებში. ამის დადასტურებაა შესავალ წერილში აღნიშნული თ. ამირეჯიბისა და ოთარ ჯინორიას წერილები და აგრეთვე ა. გელოვანის ბროშურა, რომლებშიც მართებულად არის შეფასებული კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის უკომპრომისო ბრძოლის პათოსით გამსჭვალული შემოქმედება იბსენისა, როგორც უსამართლობისა და თაღლითობის, რეგრესისა და ტრაქედიის წინააღმდეგ, ამჟამადაც აქტიურად მოქმედი ბასრი იარაღი.

ამასთან ერთად ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა რამდენიმე ლექსი და წიგნის ბაზარზე კვლავ გამოჩნდა იბსენის პიესებიც „მონჯენებანი“ და „ქედა გაბლერი“, რომლებიც ა. გელოვანმა თარგმნა და გამოცემლობა „ხელოვნებამ“ გამოაქვეყნა 1961 წელს.

ორივე პიესის გელოვანისეული თარგმანი შეტანილია იბსენის თხზულებათა ამ ერთტომეულში, რომელიც პირველად გააცნობს ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე „პერ გუნტსა“ და ახალი თარგმანებით წარმოდგენს „ბრანდს“, „თოჯინების სახლსა“ და „ხალხის მტერს“.

## ბ რ ა ნ დ ი

„ბრანდზე“ მუშაობა იბსენმა იტალიაში დაიწყო 1864 წლის ზაფხულში. თავდაპირველად განზრახული ჰქონდა პოემა დაეწერა თანამედროვე საზოგადოების მანიერებთანაგან დასწრულეულში ადამიანის განკურნებისათვის უკომპრომისოდ მებრძოლ პასტორზე. ხუთმუსლიანი იამბით და რეასტრიქონიანი სტროფებით წერდა იბსენი „ბრანდის“ პოეტურ ვარიანტს, რომელზედაც თითქმის ერთი წელიწადი იმუშავა, მაგრამ 1865 წლის ზაფხულში გადაწყვიტა დრამად გადაექეთებინა თავისი ახალი ნაწარმოები და ხელნაწერის უკანასკნელი ნაწილი გადაეგზავნა დანიის, სადაც 1866 წელს გამოვიდა პირველი გამოცემა „ბრანდისა“ და იმავე წელს სამჯერ გამოიცა ხელახლა.

„ბრანდი“ მთლიანად 1885 წელს დაუდგამთ სტოკჰოლმის ახალ თეატრში. ნორვეგიაში ნაწყვეტების ინსცენირება ხდებოდა და მთლიანად 1895 წელს წარმოდგენიათ მსოფლო. იმავე წელს პარიზშიც უჩვენებიათ იგი მსაუკრებლისათვის. ხოლო 1898 წელს ბერლინის შილერის სახელობის თეატრსაც დაუდგამს.

რუსეთში „ბრანდის“ დადგმა პირველად 1906 წელს განუხორციელებია ნეჰროვიჩ-დანჩენკოს მოსკოვის მხატვრულ თეატრში<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დაწერილებით იბსენის დრამების დადგმის ისტორია გადმოცემული აქვთ გ. ბერკოვსა და მ. იანკოვსკის იბსენის თხზულებათა ოთხტომეულისათვის დართულ კომენტარებში იხ. Генрих Ибсен в четырех томах. Госиздат: «Искусство», Москва Т I и II, 1956, Т III, 1957, Т IV, 1958 г.

ქართულ სცენაზე, არსებული ცნობების მიხედვით, „ბრანდი“ არ წარმოუდგენიათ, თუმცა თარგმანი არსებობდა (უთარგმნია კ. კანდელაკს)

იბსენის თხზულებათა ამ ერთტომეულისათვის „ნორვეგიელი შექსპირის“ ეს უმნიშვნელოვანესი, პრობლემური დრამა თარგმნა ვ. ბეწუქელმა.

გვ. 26 ფოტოტი — ნორვეგიაში XIX ს. ბოლომდე პოლიციელი და გამოსაღებთა ინსპექტორი.

იქვე. პ რ ო ბ ს ტ ი — ლუთერანული ეკლესიის უფროსი პასტორი, მოძღვარი.

იქვე. კ ი ს ტ რ ი — ლუთერანული ეკლესიის მნათე, მღვდელთნე.

იქვე. მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ხ დ ე ბ ა ჩ ე ე ნ ს, დ რ ო შ ი — იგულისხმება XIX საუკუნის მეორე ნახევარი. იბსენმა დრამა „ბრანდი“ დაწერა 1865 წელს.

გვ. 29 პ რ ე ს ტ ი — პასტორი, მღვდელი.

იქვე. შ ი ლ ი — ნორვეგიული მილი დაახლოებით ათ კილომეტრს უდრის.

გვ. 31 დ ა ლ ე რ ი — ნორვეგიული ფულის მსხვილი ერთეული 1875 წლამდე.

გვ. 42 ლ ე ნ ს მ ა ნ ი — სახელმწიფო მოხელე სოფლად, პოლიციის წარმომადგენელი და გამოსაღებთა ამკრეფი:

გვ. 43 ე გ ი რ ი ს ც ხ ე ნ ი — ძველსკანდინავიური მითოლოგიის მიხედვით, ეგირი ზღვის განმასახიერებელი გოლიათი იყო. ეგირის ცხენი გემის აღმნიშვნელი კვინია.

გვ. 45 კ ა კ ე ლ ა ნ ი — პასტორის მოადგილე.

გვ. 48 ბ ა კ ქ ა ნ ე — ბაკქანაიის — ბახუსის ანუ დიონისეს სადიდებლად გამართული ძველბერძნული და ძველრომაული დღესასწაულის მონაწილე.

იქვე. ს ი ლ ე ნ ი (ძვ. ბერძნ. მით.) — ბახუსის აღმზრდელი და თანამგზავარი, რომელსაც ჩვეულებრივ მთვრალი და მხიარული მსუქანი მოხუცის სახით გამოხატავენ.

გვ. 50 ვ ი თ პ ა პ ი, წ შ ი დ ა პ ე ტ რ ე ს მ ო ს ა ყ დ რ ე — რომის პაპი წმ. პეტრეს ნაცვლად ითვლებოდა, რადგან, გადმოცემის მიხედვით, პეტრე მოციქული 25 წლის განმავლობაში რომის ეპისკოპოსი იყო.

გვ. 51 პ ე რ კ უ ლ ე ს ი — ლათინური სახელწოდება ბერძნული მითოლოგიის უძლიერესი გმირის ჰერაკლესისა, რომელიც ზევისა და ალკმენას — ამფიტრიონის მეუღლის — ვაჟი იყო.

იქვე. მ ა ნ შ ე ა ჩ ე რ ა მ შ ე გ ა ვ ა ო ნ ზ ე — გაეაონი მდებარეობს პალესტინაში. ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, პალესტინას დაპყრობისათვის ომის დროს, იზრაილთა წინამძღვრის, იოსების, თხოვნით, ღმერთმა შეაჩერა მზის სრბოლა გაეაონის თავზე, რითაც საშუალება მისცა იზრაილებს განეგრძოთ მათთვის სასარგებლოდ მიმდინარე ბრძოლა.

გვ. 57 დ ა თ ვ ი ნ ი ე რ ი გ ა ხ ლ დ ი თ ი ს ე, ვ ი თ ს ა მ ს ო ნ დ ა ლ ი ლ ა ს მ უ ხ ლ ე ბ ზ ე მ ჯ დ ა რ ი — ბიბლიის მიხედვით, სამსონი მძლეთა მძლე გმირია, მან დაამარცხა ფილისტიბელები. სამსონის უძლეველობის წყარო იყო მისი გრძელი თმები, რომელიც შეკვეცა მას სატრფომ — დალილამ ფილისტიბელთა დაეალებით და დააუძლურა სამსონი.

იქვე. მ ე ო თ ხ ე თ ხ ო ვ ნ ა — პური ჩუენი არსობისაა მომეც ჩუენ დღეს.

გვ. 62 ტ რ ო ლ ი — სკანდინავიური ხალხური რწმენით, ადამიანისადმი მტრულად განწყობილი პატარა ზებუნებრივი არსება.

გვ. 102 ი თ ბ ი — ბიბლიის მიხედვით „კაცი უბოროტო ჭეშმარიტ, უბიწო ლეთის მსახური, განშორებულ ბოროტებასა“. მიუხედავად ამისა იოხს ყოველგვარი ბოროტება დაატყდა თავს, კეთიცი შეეყარა და დაწყულდა. და აუმხედრდა იობი ღმერთს, რომელმაც, ბოლოს, განკურნა იგი წყლულთავან.

გვ. 120 Q u a n t u m s a t i s — რამდენიც გინდა, საემაო რაოდენობა.

გვ. 121 C a n t o C a r i t a t i s — სათნოების, სიყვარულის ანგარიში.

გვ. 123 მ ს ო ფ ლ ი ო გ ე ე ლ ი — (სკანდ. მით.) — გველი, რომელიც გარს შემორტყმია მსოფლიოს.

გვ. 130 მ ა ნ ა ბ რ ა ა მ ს ხ ო მ მ ო ს თ ხ ო ვ ა შ ე ი ლ ი — ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა, რომ გამოეცადა, რამდენად მტკიცე იყო რწმენა აბრაამისა. მსხვერპლად მოსთხოვა უსაყვარლესი შვილი ისააკი.

გვ. 135. მ ე ფ ე ბ ე ლ ე — სკანდინავიურ თქმულებათა გადმოცემით ბელე ცხოვრობდა სამხრეთ დასავლეთ ნორვეგიაში, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში. იქვე. ბ რ ე ტ ლ ა ნ დ ი — ბრიტანეთი, ინგლისი.

გვ. 138. გ ო ლ ი ა თ ი — ბიბლიური გადმოცემით ფილიტიმელთა დევგმირი, რომელიც ჭაბუკმა დაეითმა დაამარცხა.

გვ. 191 ბ ლ ო კ ს ბ ე რ გ ი ს ა კ ე ნ გ ზ ა და უ ლ ო ც ა — ბლოკსბერგის მთა, სადაც სკანდინავიური ხალხური ცრურწმენით ეშმაკები იყრიდნენ თავს.

გვ. 221 ს ტ ო რ თ ი ნ გ ი — სიტყვისსიტყვით — დიდი თინგი — ნორვეგიული პარლამენტი.

გვ. 222 ნ ო ტ ა ბ ე ნ ე (ლათ.) — ყურადღება მიაქციე, კარგად შენიშნე.

გვ. 231 თ ი ნ გ ი — ძველ სკანდინავიაში საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა მამაკაცი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. თინგზე წყდებოდა ომისა და ზავის საკითხები. იქვე ხდებოდა გასამართლება და ა. შ.

გვ. 248 და ი ს ე თ ი ე ვ ბ ე დ ი მ ო ე ლ ო ს, რ ო გ ო რ ი ც ე რ თ ხ ე ლ უ რ ი ა ს ე რ გ ო — ბიბლიის მიხედვით, ურია მეფე დაეითის ერთ-ერთი მხედართმთავარი იყო. მის მეუღლეს — შშენიერ ვირსამინს ეტრფოდა დაეითი. ურიას რომ არ გაეგო ვირსამინისა და დაეითის ურთიერთობა, მეფემ უბრძანა თავის უმაღლეს მთავარსარდალს ურია იქ გაეგზავნა ომში, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა და მეტი ხიფათი იქნებოდა. უმაღლესმა მთავარსარდალმა უეასრულა მეფის დაუღლება და ურია ბრძოლის ველზე დაეცა.

იქვე. ი ა კ ო ბ ი — ერთ-ერთი სამ წინაპართაგანი ძველ აღთქმაში, ისააკის შვილი, ისააკმა უბრძანა მას „აღზდეგ და წარვედ შუამდინარედ სახიდ ბათუელი-სა... და მოიყვანე შენდად მიერ ცოლი“. იაკობიც წავიდა „მოიყვანა მავლელ, ასული ისმაელისი“. გზაში იაკობს დაეძინა და სიზმრად იხილა „კიბენი აღმართულ-იყვნენ ქვეყნით, რომლისა თავი მიწვდომილ იყო ცად. და ანგელოზნი ღმერთისანი აღვიდოდეს და გარდმოვიდოდეს მას, ხოლო უფალი დამტკიცებულ იყოს მასზედა“.

გვ. 251 კ ა ე ნ ი — ბიბლიის მიხედვით, კაენმა პირველმა დაღვარა ადამიანის სისხლი, მოჰკლა თავისი ძმა აბელი.

გვ. 264 შ ე მ ი ნ ე ბ უ ლ ი და ვ ე მ ხ ე ის ე, რ ო გ ო რ ც და ვ ი თ ი —

ნათანის ფერხთით — ბიბლიის მიხედვით. ნათან წინასწარმეტყველი დავითის კარზე ცხოვრობდა და ამხელდა მის დანაშაულს.

გვ. 289 რიგორისტი — მორალისტი, რომელიც მკაცრად იცავს ამა თუ იმ ზნეობრივ წესს.

გვ. 290 Vox populi — vox dei (ლათ.) — ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

გვ. 291 ვით ერთი მეფე წლების მანძილზე არ სცილდებოდა თავისი ცოლის, ტურფა სნეფრადის, გაცეიბულ გვამს — XII—XIII ს. ისლანდიელი სკალდისა და მემბტიანის სნორი სტურლუსონის „ედაში“. რომელიც დაახლოებით 1222—1223 წელსაა დაწერილი, მოთაყვებლია „საგა მშვენიერთმიან ხარალზე. მეფე ხარალდი სამ წელს იჯდა თავისი მეუღლის, სნეფრადის, ცხედართან. ამ ხნის განმავლობაში სნეფრადი არ შეეკლილა, ისევე მშვენიერი იყო, როგორც სიცოცხლეში.

გვ. 295 ძღვენი აგასთერისა — ბიბლიის მიხედვით, ავასთერი იყო იერუსალიმელი მეწაღე, რომელმაც გააგდო იესო ქრისტე, არ მისცა ნება, გოლგოთაზე მიმავალს დაესვენა მასთან.

გვ. 310 Deus caritatis (ლათ.) — ღმერთი სათნოებისა.

## პ ე რ გ უ ნ ტ ი

იბსენი „პერ გუნტს“ ისეთ ნაწარმოებად მიიჩნევდა, რომელიც მხოლოდ სკანდინავიელთათვის იქნებოდა გასაგები. „ფეიქრობ, რომ ყველა ჩემი ნაწარმოებიდან, — სწორდა იგი 1880 წლის 19 მაისს „პერ გუნტის“ გერმანულად მთარგმნელ ლუდვიგ პასარგეს, — „პერ გუნტს“ ყველაზე ნაკლებ გაიგებენ სკანდინავიის ქვეყნების ფარგლებს იქით“. მაგრამ იბსენის ვარაუდი არ გამართლდა. „პერ გუნტს“ არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად სკანდინავიის გარეთაც. იგი იქცა უაღრესად პოპულარულ ნაწარმოებად, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და დიდი ინტერესით იკითხება.

„პერ გუნტში“, რომელიც ხარკს უხდის ნორვეგიულ ეროვნულ რომანტიზმს და მკაცრ პოლემიკასაც წარმოადგენს მის წინააღმდეგ, იბსენმა უხვად გამოიყენა ნორვეგიული ფოლკლორი. ფოლკლორიდანეა აღებული პერ გუნტის სახეც, მაგრამ ხალხურ ზღაპრებში გულთბილად წარმოდგენილი, ტროლებთან ანგარისის გამსწორებელი მარჯვე მონადირე და შესაბამისად ტრაბახა პერი დრამატიულ პიესაში წარმოგვიდგება თანადროული სინამდვილით შერყენილ, ანგარებიან ეგონისტად, რომელსაც ერთი სურვილი ამოძრავებს — მოისვენოს და განდიდდეს — და ამ სურვილის მისაღწევად ყველა საშუალებას გამართლებულად რაცხს. თუმცა ესეც უნდა აღინიშნოს, ერთდგავარ მიმზიდველობას მაინც არაა მოკლებული პერ გუნტის სახე და ზოგჯერ თანაგრძნობასაც კი იწვევს ბედუკულმართი ბაქია პერი.

„პერ გუნტი“ პირველად ქრისტიანიაში წარმოადგინეს 1876 წლის 24 თებერვალს, ათი წლის შემდეგ იგი კოპენჰაგენში დადგეს, ხოლო 1892 წელს გეტებორგის (შვეიცია) თეატრმაც უჩვენა.

სკანდინავიის ფარგლებს გარეთ „პერ გუნტი“ პირველად პარიზში დადგეს. რუსულ სცენაზე იგი 1912 წელს წარმოადგინეს კ. მარჯანიშვილისა და გ. ბურჯალოვის რეჟისრობით მოსკოვის მხატვრულ თეატრში. დადგმის საერთო ხელმძღვანელი ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო იყო.

ქართულ ენაზე „პერ გუნტი“ დღემდე არ ყოფილა თარგმნილი, არც საგასტროლოდ ჩამოსულ რომელიმე თეატრს წარმოუდგენია იგი საქართველოში. მხოლოდ ედგარ გრიგის სუიტა იქნა 1956 წელს შესრულებული ქართული ორკესტრის მონაწილეობით.

„პერ გუნტი“ ამ ერთგომეულისათვის თარგმნა ა. გელოვანმა.

გვ. 312 დოვრის პაპა — დოვრე — სახელწოდება ნორვეგიის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთით. ტრონჰეიმის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთების ჯგუფისა, სადაც ხალხური რწმენით ბინადრობენ მთის ტროლები, რომელთა მეფეს დოვრის პაპას უწოდებენ.

იქვე. მემონის კოლოსი — „მემონის კოლოს“ ეგვიპტეში უწოდებენ მეფე ამენოტეპ III (ბერძნულად ამენოფის III — დაახლოებით 1413—1377 ძვ. წ. აღ.) ორ ქანდაკებას, რომელთაგან ერთი, საკმაოდ დაზიანებული, მზის ამოსვლის წინ გამოსცემდა მთრთოლვარე ხმას, რასაც იწვევდა ქანდაკების ბზარებში გამავალი ჰაერის რხევა.

იქვე. გიზე — ნილოსის მარცხენა ნაპირზე, კაიროს პირდაპირ მდებარე ქალაქი ეგვიპტეში.

იქვე. მალაბარი — მალაბარის ნაპირი მდებარეობს წინა ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე.

იქვე. ფელაპი — გლეხი ეგვიპტეში (აგრეთვე არაბეთში, სირიასა და პალესტინაში).

გვ. 351 ერთხელ ეშმაკი მე შევაგდე ნიგუზის ნატუჭში — სიუჟეტი ცნობილი ნორვეგიული ზღაპრისა „ბიჭი და ეშმაკი“.

გვ. 357 პიეტისტი — ყაღბი, მოჩვენებით მორწმუნე ღვთისმოსავი.

იქვე. სექტანტი — ოფიციალურად აღიარებული სარწმუნოებიდან განსხვავებული რელიგიური მოძღვრების მიმდევარი.

გვ. 374 რონდის მთები — მდებარეობს ტრონჰეიმიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 200 კმ მოშორებით.

გვ. 423 სურია-მურთიას კოშკი — ჯადოსნური კოშკი ნორვეგიულ ხალხურ ზღაპრებში.

გვ. 433 an und für sich (გერმ., ფილოსოფიური ტერმინი), თავისთავად და ჩვენთვის.

გვ. 437 ჩარლსტონი — პორტი სამხრეთ კაროლინას შტატში (აშშ). იგი მოხებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

გვ. 445 ლიპე-დეტმოლდი — პატარა გერმანული სამთავრო 1215 კმ. ფართობით. არსებობდა 1318 წლამდე.

იქვე. კარლ მეთორმეტის ხმალ ატარო — იგულისხმება შვეციის მეფე კარლ XII (1682—1718), შვედი ნაციონალისტების საყვარელი გმირი.

გვ. 450 კასტალის ნაკადი — ნაკადი პარნასის ფერდობზე, რომლის წყალი, ძველ რომაელთა წარმოდგენით, პოეტურ შთაგონებას ანიჭებდა შემსმელს.

გვ. 460 ა ტ ლ ა ს ი — აქ — მთები აფრიკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში.

გვ. 461 ტ ი მ ბ უ ქ ტ უ — ნიგერას ჩრდილოეთ საქცვეთან მდებარე ქალაქი აფრიკაში.

იქვე. ბ ო რ ნ უ — ჩადის ტბის სამხრეთ დასავლეთით მდებარე მხარე.

იქვე. ჰ ა ბ ე ს ი — ქალაქი ტუნისში.

იქვე. ნ ო ე ს კ ი დ ო ბ ა ნ ი — ბიბლიის მიხედვით, კიდობანი, რომელშიც მსოფლიო წარღვნის დროს თავს იფარავდა ნოე, მისი ცოლშვილი და, ღვთის ბრძანებით, ნოეს მიერ ამ კიდობანში მოთავსებული ყოველი სულიერის წარმომადგენელი.

გვ. 463 ქ ა ა ბ ა — მეჩეთი მექაში, უძველეს დროიდან მაჰმადიანთა სალოცავი ადგილი.

გვ. 481 რ ო გ ო რ მ ე უ ნ დ ა შევიძინო ბეკერის ტომი — იგულისხმება კარლ ფრიდრიხ ბეკერი, ავტორი ერთ დროს მეტად პოპულარული ცხრატომიანი „მსოფლიოს ისტორიისა“, რომელიც ცოცხლად და საინტერესოდ იყო დაწერილი.

გვ. 483 მ ზ ი ს ა მ ო ს ე ლ ი ს ა ს ა მ ქ ა ნ დ ა კ მ ა უ ნ დ ა მიმღეროს — მზის ამოსვლისას მემონის კოლოსი ჰარმონიულ ხმებს გამოსცემს. ძველად ამას სასწაულად თვლიდნენ. მეტე მცენიერებამ გამოარკვია: ქანდაკის ბზარებში თბილი ჰაერი შედის, ცივს დევნის და ეს იწვევს „მემონის სიმღერას“.

გვ. 484 მეფე პ ო ნ ტ ი ფ ა რ ი — ბიბლიის მიხედვით პონტიფარი მეფე (ფარაონი) კი არა, მხედართმთავარი იყო ფარაონისა. გუნტი გულისხმობს ბიბლიის იმ ადგილს, სადაც მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტიდან გამოსული ხალხი იალვემ წითელ ზღვაზე უვნებლად გადაატარა, მღვეარი ფარაონი კი თავის ჯარაიანად შიგ ჩაახრჩო, „და არა დაშთა მათგანი არცა ერთი“ მოსე გამოსვლათა, 14, 27—29.

იქვე. ი მ გ ზ ა ს გ ა ვ ყ ვ ე ბ ი, ს ა დ ა ც ქ ს ე რ ქ ს ე ს ს პ ა რ ს ე ლ თ ა უ რ დ ო ს მ ა მ ა ც ი მეფე ლეონიდე გზას უღობავდა. 180 წ. ძვ. წ. აღ. სპარტანელთა მეფე ლეონიდე თერმოპოლისის გასასვლელთან (ცენტრალური საბერძნეთი) 300 მეომრით გამირულად შეებრძოლა სპარსელთა მრავალრიცხოვან არმიას.

გვ. 486 ბ ე გ რ ი ფ ე ნ ფ ე ლ დ ტ ი — ბეგრიფენფელდტის სახით იბსენი დასციენის XIX საუკუნის ბერძნული იდეალისტური ფილოსოფიის აბსტრაქტულობას, თუმცა დიდად აფასებდა თავად ამ ფილოსოფიის საუკეთესო წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი პეგელს.

გვ. 492 მ ი უ ნ ქ ა უ შ ე ნ ი — გერმანული ხალხური ზღაპრების გმირი, ცრუპენტელა და ბაქია.

გვ. 494 ჰ უ ჰ უ ს მ ო თ ხ რ ო ბ ა — მძაფრი სატირაა ახალი ნორვეგიული სალიტერატურო ენის შექმნის მომხრეთა წინააღმდეგ მიმართული. მათ სურდათ დაწესებულა მიერ ნორვეგიის დაპყრობის (XIV ს.) შენდევ თანდათან მივიწყებუ-

ლი და მხოლოდ აქა-იქ, სოფლებში შემორჩენილი ნორვეგიული ენის დიალექტების საფუძველზე შექმნათ ახალი სალიტერატურო ენა. ამავე დროს დანიური ენა, რომელმაც ნორვეგიულის სათანადო გავლენა განიცადა, უკვე დიდი ხანია ნორვეგიული კულტურის ენა იყო. იბსენი თავად სწორედ ამ „დანიურ-ნორვეგიულ“ ენაზე წერდა და „ლანსბოლის“ — ახალი სალიტერატურო ენის — წინააღმდეგი იყო.

გვ. 497 ფელაჰი — ფელაჰის სახე კომენტატორთა აზრით სატირაა იბსენის თანადროულ შეეციაზე, სადაც კულტად იყო ქცეული მოგონებანი წარსულ დიდებაზე. და შესაძლებელია ნორვეგიაზეც. რომელიც ამაყობდა „ვიკინგების ეპოქით“.

გვ. 504 კალინგის ქედი, იოკელი, ფოლგეფირნი, ბლოჰე, გალდჰოპის მთები, ჰორტიეგი — ცენტრალური და დასავლეთ ნორვეგიის მთები, რომელთა უმრავლესობა ზღვიდან არ ჩანს.

გვ. 526 ლუნდი — ქალაქი სამხრეთ შეეციაში. 1814—1905 წლებში ნორვეგიის შეეციის უნიაში შედიოდა. შეეციის მეფე ნორვეგიის მეფეც იყო.

გვ. 531 შილინგი — ფულის უმცირესი ერთეული ნორვეგიაში.

გვ. 550 ჰელერი — XIX საუკუნემდე ლითონის წვრილი ფული გერმანიაში. XIX საუკუნეში — სპილენძის ფული, რომელსაც წითელ ჰელერსაც უწოდებდნენ.

გვ. 564 იუსტედალი — მხარე ნორვეგიის დასავლეთში.

გვ. 569 ბრაჰმა — ინდოელთა უმაღლესი ღვთაება.

გვ. 573 სტავანგერელი — სტავანგერი სამხრეთ-დასავლეთ ნორვეგიის ქალაქი, რომელსაც თავისი სიდიდით ნორვეგიაში მეოთხე ადგილი უკავია.

## ნორა ანუ თოჯინების სახლი

„თოჯინების სახლი“, რომელიც გერმანიისა და რუსეთის სცენაზე „ნორას“ სახელწოდებით დამკვიდრდა, იბსენმა 1879 წელს დაწერა და იმავე წელს გამოქვეყნდა, აზრთა დიდი სხვადასხვაობა და გაცხოველებული კამათი გამოიწვია ამ პიესამ. თუ საზოგადოების პროგრესული ნაწილი „ნორას“, ქალის უფლებო მდგომარეობის წინააღმდეგ გალაშქრებასთან ერთად, უსამართლობის, მლიქვნელობის, სიცრუისა და ფარისევლობის წინააღმდეგ ამხედრებულ მიიჩნევდა, ფილისტერული უმრავლესობა მას „თჯახის მტკიცე საფუძველის“ შერყევის ცდად თვლიდა, ნორას საქციელს საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფად მიიჩნევდა და უზნეობად აცხადებდა. ამ ფილისტერული გარემოს კარნახით იყო, ალბათ, გამოწვეული ის, რომ ცნობილმა გერმანელმა მსახიობმა ქალმა ჰედვიგ ნიმან-რააბემ უარი განაცხადა შეესრულებინა ნორას როლი, თუ იბსენი არ შეცვლიდა ნაწარმოების ფინალს და „ნორვეგიელი შექსპირიც“ იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო:



მან გადააკეთა პიესის ფინალი — უკანასკნელ მომენტში ნორა უარს ამბობდა თავის გადაწყვეტილებაზე და რჩებოდა პელმერთან და ბავშვებთან.

„თოჯინების სახლმა“ გამოქვეყნებისთანავე დაიპყრო სკანდინავიის ქვეყნების თეატრი. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მას წილად იბსენის სამშობლოში, რასაც დიდად შეუწყო ხელი გამოჩენილი ნორვეგიელი მსახიობი ქალი იოჰანა დიუბადის ბრწყინვალე თამაშმა.

გერმანიაში — ბერლინსა და კამბურგში — პირველად 1880 წელს წარმოადგინეს „ნორა“. ამის შემდეგ მას მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა გერმანიის თეატრების რეპერტუარში. ნორას როლის გერმანულ შემსრულებელთა შორის საგანგებოდ აღნიშნავენ აგნესა სორამს, ხოლო რეჟისორთაგან ოტო ბრამს, რომელმაც 1894 წელს დადგა გადაუჭრებელი „ნორა“ ბერლინის თეატრში.

დიდი წარმატება ხვდა წილად „ნორას“ საფრანგეთშიც, სადაც მთავარ როლს ასრულებდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მსახიობები რეჟანი და სარა ბერნარი, მაგრამ ამ როლის შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა თურმე იტალიელი ელიონორა დუზე. რომლის მიერ განსახიერებულ ნორას არაერთხელ აღუფრთოვანებია მაყურებელი.

რუსეთში „თოჯინების სახლი“ პირველად 1884 წელს დაუდგამთ მ. გ. სავინას საბუნფისოდ. ნორას როლი სავინას შეუსრულებია თავად, მაგრამ თავისი ამპლუსისათვის შეუფერებელა ეს სახე სუსტად განუსახიერებია.

მოსკოვის თეატრების სცენაზე ეს პიესა პირველად კორშის თეატრს წარმოუდგენია 1891 წელს და დიდი წარმატებითაც, მაგრამ რუსეთში „თოჯინების სახლის“ სცენიური განსახიერების ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად თვლიან ამ პიესის წარმოდგენას პეტერბურგში ვ. ფ. კომისარჟევსკაიას თეატრის მიერ 1904 წელს, რეჟისორი დადგმისა პეტროვსკი ყოფილა, ხოლო კომისარჟევსკაიას განუსახიერებია ნორა, რომელიც ამ სახელგანთქმული მსახიობის საუკეთესო როლად არის მიჩნეული.

რეჟოლუციამდელ რუსეთში სხვა მრავალ თეატრს წარმოუდგენია ეს პიესა. მათ შორის, მცირე თეატრსაც (პრემიერა შედგა 1911 წლის 7 მარტს).

რეჟოლუციის შემდეგ „თოჯინების სახლი“ სათაურით „ტრაგედია ნორაზე“ 1922 წლის აპრილში დადგა მოსკოვის აქტიორთა თეატრმა, რომელსაც ვ. ე. მეიერჰოლდი ხელმძღვანელობდა. კუპიურებით დამახინჯებულმა, უდეკორაციოდ დადგმულმა, შემთხვევითი მსახიობების მონაწილეობით წარმოდგენილმა პიესამ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. „რა არის ეს. — წერდა გაზეთი „იზეესტია“ 1922 წლის 25 აპრილს. — დადგმა, პაროდია, თუ შარლატანობა?“

საბჭოთა სცენაზე „თოჯინების სახლი“ ოცდაათიანი წლების მგორე ნახევრიდან დამკვიდრდა მტკიცედ. პირველად იგი ერენის თეატრმა დადგა 1935 წელს; 1936 წელს ლენინგრადის აკადემიურმა თეატრმა წარმოადგინა, 1939 წელს ბაქოს რუსული დრამის თეატრმა განახორციელა, ხოლო 1940 წელს თითქმის ერთდროულად დადგა რამდენიმე თეატრმა. მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა მას წილად მოსკოვის კომპაეშირის სახელობის თეატრში, სადაც პრემიერა

1939 წლის 20 აპრილს უჩვენეს და 1948 წლის 30 მაისს მესამასედ წარმოადგინეს.

საქართველოში „ნორა“ პირველად რუსულმა დასმა უჩვენა მაყურებელს 1896 წელს. რეცენზია, რომელიც ამ სპექტაკლის გამო დაბეჭდა „ივერიაში“, იბსენს ალექსანდრე დიუმას მიმდევრად თვლის „იმაში, რომ თეატრი კათედრად მიიჩნება, რომლიდანაც ამა თუ იმ მოძღვრების პრინციპებს იცავს“. „თავის საუკეთესო: დრამების, — აღნიშნავს რეცენზენტი. — იბსენი პირადობის დამცველი ხდება, საზოგადოების დასავსებულ მოთხოვნილებათა წინააღმდეგია და მათს უშინაარსობას, უმსგავსობას და არაადამიანურ ხასიათს ჰგმობს“ („ნორა“, „ექიმი შტოკმანი“). ბოლოს, რეცენზენტი გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს და ნორას იმ გმირთა რიგში აყენებს, ვინც „გაბაცებულის, აღლუქებულის სიტყვებით... ავტორის აზრებს აუწყებს მსმენელთ და ჰკიცხავს ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას დღევანდელის ცხოვრებისა“, („ივერია“, 1896, № 68).

ქართულ ენაზე „ნორა“ პირველად ლადო ალექსი-მესხიშვილს დაუდგამს ქუთაისის თეატრში 1898 წელს ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის ნ. ჩხეიძის საბუნებისოდ. ნორას როლი ნ. ჩხეიძეს შეუსრულებია, ხოლო კლემარისა — ლ. ალექსი-მესხიშვილს. 1903 წელს პიესა თბილისში წარმოუდგენიათ იმავე მსახიობთა შემადგენლობით. რეაქციის წლებში იგი აუკრძალავთ და ახალი დადგმა 1912 წელს განუხორციელებიათ მხოლოდ.

„ნორას“ გამო ქართულ ყურნალ-გაზეთებში, უკვე უცტირებელი რეცენზიის გარდა, რამდენიმე წერილია დაბეჭდილი, რომელთა დიდი უმრავლესობა დადებითად აფასებს ნაწარმოების მთავარ გმირს. ამ მხრივ საყურადღებოა „კვალის 1900 წლის 44. 46 და 48 ნომრებში მოთავსებული S-ი-ის წერილი „ქალის ბრძოლა უფლებებისათვის“, რომელშიც განხილულია ქუთაისის თეატრის მიერ წარმოდგენილი „მედია“, „ბრჭყვალბი“, „ნორა“ და „მამულ-დედული“. S-ი ნორას იმ ქალად მიიჩნევს, რომელმაც გაბედა და პირველად შეებრძოლა ქალის მონურ მდგომარეობას, რასაც ისტორიულ მოვლენად რაცხს ევროპის ცხოვრებაში. წერილის ავტორი ნორას, „მამულ-დედულის“ მთავარ გმირთან — მაგდასთან ერთად, რომელიც მამის დესპოტიზმს აუმხედრდა, მისაბამ მაგალითად თვლის და ამბობს:

„ჩვენმა ქალბმაც უნდა გაიხადონ იხინი (ნორა და მაგდა — დ. ლ.) წინამძღოლ ვარსკვლავად და თამამად წაეიდნენ წინ სინათლისა და თავისუფლებისადმი“ („კვალი“ 1900 წ. № 48, გვ. 768).

მაღალ შეფასებას აძლევს „ნორას“ ზანგიც (გრ. რცხილაძე). მისი აზრით „ნორა“ „იბსენის ისეთი პიესაა, რომელიც სხვებთან შედარებით ხაკლებად შეიცავს სიმბოლიზმის ელემენტებს და რომელშიც დედააზრი — ძირითადი ზნეობითის არსებობისა უფრო გარკვევით და ნათლად არის დაყენებული“. ამიტომაც, ზანგის შეხედულებით, „იბსენის შესაგნებლად „ნორას“ შეიძლება გზის მაჩვენებელი უწოდოთ“. ამასთანავე, წერილის ავტორი ნორას, შტოკმანთან ერთად მართლაც რაცხს სიმართლის მოყვარულ გმირად, რომელიც „ქვეყნის შეხედულებას და მითქმა-მოთქმას არ შეუშინდება, თავისუფლებას და სიმართლეს არ გასწირავს

და თავისი არსებობის დამოუკიდებლობისათვის, თუ საჭირო იქნა. მთელ საზოგადოებას შეებრძოლება" („ცნობის ფურცელი“ 1904 წ. № 2633).

სხვა აზრისაა „ნორაზე“ ილია ნაკაშიძე. იგი თავის წერილში („ივერია“, 1903 წ. № 74) აკრიტიკებს „ცნობის ფურცელში“ „ნორას“ დადგმის გამო ვამოქვეყნებული „ფელეტონის“ ავტორს, რომელმაც „ნორას“ საქციელი გამმედაობად მიიჩნია. ნაკაშიძის აზრით, ნორას მოქმედება დასაგმობია, მას არ უნდა დაეტოვებინა ოჯახი და ბავშვები, რადგან „მჭედელი სამჭედლოში სწავლობს ხელობას“ და „ნორას რომ გონების თვალი უჭრიდეს, იგი დაინახავდა, რომ მისი განვითარებისათვის საჭირო ასპარეზი და სკოლა თვით მისი ოჯახია“. „აღსრულება მკაცრის ზნეობრივის მოვალეობისა, — რომელსაც გაექცა, ი. ნაკაშიძის აზრით, ნორა, — არის ერთადერთი გზა ზნეობრივ თავისუფლებისაკენ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ი. ნაკაშიძის ამ შეხედულებას ეკამათება ზანგი, როცა შემოთ უკვე ციტირებულ წერილში ერთმანეთს უპირისპირებს ნორას და ფრაუ ალვინეს — „მოჩვენებანის“ მთავარ გმირს და უპირატესობას ნორას ანიჭებს. „დღემდე — წერა ზანგი, — ბევრი შინაური მორალისტა ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ბავშვებისა და ქმრის პატრონმა ქალმა ოჯახს თავი დაანებოს, რაც უნდა დიდი განხეთქილება და შეუთანხმებლობა იყოს ქმრისა და ცოლის აზრებს შორის. „მოჩვენებანი“ თითქოს პასუხს აძლევს ამ მორალისტებს... ნორამ წარბშუხრელად და თამამად დაანება თავი შაბლონური მორალის მიმდევარ საზოგადოებას; ელენემ კი გულში ჩაიმარხა თავისუფლების სიყვარული და ოცდაცხრა წელიწადი იცხოვრა დაუსრულებელს სატანჯველში, თვალთმაქცობისა და სიცრუის მორევში“, და დასძენს: „თუ უმთავრესი პირობა ბედნიერებისა სიმართლე და თავისუფლებაა, შეუძლებელია ბედნიერება მოიპოვოს იმან, ვინც ამ თავისუფლებასა და სიმართლეზე არ ამყარებს თავის მოქმედებას და ცხოვრებას“ („ცნობის ფურცელი“ 1904 წ. № 2633).

აღსანიშნავია, რომ თუმცა ქართულ პრესაში „ნორაზე“ გამოთქმული შეხედულებების უმრავლესობა, როგორც ციტატებიდანაც აშკარად ჩანს, არა მარტო ამართლებს, არამედ საინფორმაციო თვლის ნორას საქციელს, მაგრამ, ი. ნაკაშიძის შეხედულებასაც ბევრი იზიარებდა. ამას ადასტურებს შ. ნათაძის წერილიც, რომელიც „ივერიის“ 1905 წ. № 112-ში იყო გამოქვეყნებული. შ. ნათაძე წერს, მკითხველთა უმრავლესობამ ნორას საქციელი სცნო დამამცირებლად და სვამს კითხვას: განა უფრო კარგი იქნებოდა ბავშვებისათვის, რომ ასეთ გარემოში მათი დედა ოჯახში დარჩენილიყო?

ნათაძის შეხედულებით, ამ კითხვაზე პასუხი გასცა იბსენმა თავის დრამაში „მოჩვენებანი“, სადაც ნაჩვენებია, რომ ფრუ ალვინეს „არ უნდა შეშინებოდა საზოგადოებრივი აზრისა და არ უნდა დაბრუნებულიყო ქმართან... ამ დაბრუნებამ უკვე საშინელი ნაყოფი გამოიღო“ („ივერია“ 1905 წ. № 112).

„ნორა“ („თოჯინების სახლი“) ქართულ ენაზე თარგმნილი იყო ვ. გუნიასა

და აქვს. ცაგარელის მიერ ამ ერთგომეულისათვის იგი თარგმნა ელისო ბეწუ-  
კელმა.

გვ. 595 სპეცი დაღერი — ნორვეგიული ფულის მსხვილი ერთეული XIX ს.  
დამლევამდე. ერთი სპეცი დაღერი უდრიდა ოთხ კრონს.

### მ ო რ ე ნ ე ბ ა ნ ი

„მოჩვენებანი“ იბსენმა 1881 წელს დაამთავრა და მხოლოდ 1882 წელს წარ-  
მოადგინა ჩიკაგოში გასტროლოგზე მყოფმა სკანდინავიურმა დასმა. 1883 წელს  
იგი დადგა შეეციის დასმა, რომელსაც ლინდგრენი ხელმძღვანელობდა, და 15 წლის  
განმავლობაში წარმატებით უჩვენებდა მას ნორვეგიის, შეეციისა და დანიის ქა-  
ლაქებში. აღსანიშნავია, რომ დანიის თეატრმა „მოჩვენებანი“, რომელსაც არსებუ-  
ლი სინამდვილის შეუნიღბაად ჩვენების გამო მტრულად შეხედა „კომპეტენ-  
ტური“ საზოგადოება, პირველად 1903 წელს წარმოადგინეს მხოლოდ.

გერმანიაშიც დიდხანს იყო აკრძალული ამ პიესის დადგმა. იგი პირველად  
1886 წელს დადგა აუგსბურგის თეატრმა, ხოლო მის შემდეგ, რაც 1887 წელს  
ბერლინის „რეზიდენც თეატრმა“ უჩვენა იგი მაყურებელს, ფართოდ გაუღეს მას  
კარები გერმანიის სხვა თეატრებმაც. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში „მო-  
ჩვენებანი“ საფრანგეთის და იტალიის თეატრების რეპერტუარშიც გვხვდება.

მეფის რუსეთში „მოჩვენებანი“ პირველად 1904 წელს დადგა პეტერბურგის  
თეატრმა ნექტამ, იმავე წლის ოქტომბერში კომისარაევსკაიას თეატრში წარმოად-  
გინეს. მოსკოვში კი იგი მხატვრულმა თეატრმა წარმოადგინა კ. ს. სტანისლავსკისა  
და ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს რეჟისორობით და მ. გ. საეცკაიას (ფრუ ალვინ-  
გი), ი. მ. მოსკოვის (ოსვალდი), ვ. ი. კაჩალოვის (მანდერსი), ა. ლ. ვიშნე-  
სკის (ენგსტრანი) და ო. ლ. კნიპერის (რეგინა) მონაწილეობით. ამ დადგმის  
მნიშვნელობა ისიც იყო, რომ განსხვავებით ყველა სხვა დადგმისაგან, აქ პიესაში  
პირველად დაიჭირა ცენტრალური ადგილი ფრუ ალვინგის დრამამ. მაგრამ განსა-  
კუთრებით უნდა აღინიშნოს „მოჩვენებანის“ დადგმა მოსკოვის მცირე თეატრში  
1909 წლის ნოემბერში. იმდროინდელი თეატრალური კრიტიკა უმაღლეს შეფა-  
სებას აძლევს სახელმწიფოებრილი მსახიობის მ. ნ. ერმოლოვას მიერ შექმნილ ფრუ  
ალვინგის განუყოფელ სახეს.

ლენინგრადისა და მოსკოვის თეატრებთან ერთად „მოჩვენებანი“ წარმატებით  
იდგმებოდა პერიფერიებშიც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „მოჩვენებანი“ 1919 წელს და-  
უდგამს მოსკოვის სტრეტენისა და პეტროგრადის მოძრავ თეატრს, ხოლო 1923  
წელს — სამარის დრამატულ თეატრს. მომდევნო წლებშიც ვხვდებით იბსენის ამ  
დრამას საბჭოთა კავშირის თეატრების რეპერტუარში, 1955—1956 წლებში კი  
იბსენის გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით იგი ერთ-  
დროულად საბჭოთა კავშირის რამდენიმე თეატრმა დადგა.

„მოჩვენებანი“ ქართულ ენაზე პირველად უთარგმნია ია ეკალაძეს (ი. ცინცაძეს). იგი დაბეჭდილია „მოამბეში“ (1904 წ. № 7—8). სწორედ ამ თარგმანთან დაკავშირებით არის დაწერილი 1904 წლის „ცნობის ფურცელში“ ზემოთ, „ნორასთან“ დაკავშირებით უკვე ციტირებული წერილი ზანგისა. ამავე პიესას ეხება შ. ნათაძეც, რომელიც აგრეთვე ზემოთ, „ნორასთან“ დაკავშირებით უკვე ციტირებულ წერილში წერდა: „ჯერ არც ერთ დრამაში იბსენს ისე სასტიკად არ გაეკიცხა საზოგადოების მორალი, როგორც ამ უკანასკნელში“ (იგულისხმება „მოჩვენებანი“ — დ. ლ.).

1906 წელს „მოჩვენებანი“ უთარგმნია ვ. გუნიას. იმავე წელს დაუდგამს იგი ქართულ თეატრალურ დასს გუნიას თარგმანის მიხედვით და მისივე რეჟისორობით: ოსვალდის როლიც ვ. გუნიას განუსახიერებია. შემდეგ იგი 1910 წელს წარმოუდგენიათ. „მოჩვენებანი“ კვლავ დაუდგამთ 1911 წელს მსახიობი ქალის ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოდ. ფრუ ალვინგის როლი ნ. ჯავახიშვილს განუსახიერებია, ოსვალდისა კი — ლადო ალექსი-მესხიშვილს, რომელიც ამ დადგმის რეჟისორი იყო.

„მოჩვენებანის“ ვ. გუნიასეული თარგმანი 1907 წელს სახალხო სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე გაურჩევიათ და მაღალი შეფასება მიუღია.

ია ეკალაძისა და ვ. გუნიას თარგმანის გარდა არსებობს „მოჩვენებანის“ გ. ლუტიძისეული თარგმანიც.

იბსენის თხზულებათა ამ ერთგომეულში დაბეჭდილი თარგმანი ეკუთვნის ა. გელოვანს. გამოცემლობა „ხელოვნებამ“ 1961 წელს გამოაქვეყნა „მოჩვენებანის“ ეს თარგმანი, რომლის მიხედვითაც დადგა იგი ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრმა.

გვ. 673 *Fidonci* (ფრანგ.) — ფუ. სირცხვილი

გვ. 674 *Pied de mouten* (ფრანგ.) — ფეხმრუდი, ვად. მოუსეშავი.

გვ. 676 *Savoir vivre* (ფრანგ.) — ცხოვრების ცოდნა.

გვ. 701 *Bien* (ფრანგ.) — კეთილი, ძალიან კარგი.

გვ. 719 *vermoulu* (ფრანგ.) — ჭიანჭყაში, ჭიით დაღრღნილი.

## ხალხის მტერი

„ხალხის მტერი“ 1882 წლის დასასრულს გამოქვეყნდა. ეს პიესა 1883 წლის დასაწყისში დადგეს ქრისტიანიში (ოსლო), ხოლო სულ მალე სკანდინავიის ქვეყნების თითქმის ყველა თეატრის რეპერტუარში შედიოდა. პიესა დიდი წარმატებით იდგმებოდა მთელს ევროპაში, მათ შორის ინგლისშიც, სადაც იგი პირველად 1893 წელს დადგეს და მწვავე პოლემიკის საგნად იქცა.

რუსეთში იგი სათაურით „დოქტორ შტოკმანი“ ოზეროვის თეატრს დაუდგამს 1893 წელს, პეტერბურგის მახლობლად, მაგრამ სპექტაკლს დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. რუსულ სცენაზე ეს დრამა მტიციედ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც 1900 წლის 24 თებერვალს მოსკოვის მხატვრულმა თეატრმა უჩვენა პრემიერა. ექიმი შტოკმანის როლს ასრულებდა კ. ს. სტანისლავსკი, რომელიც ამავე დროს, დადგმის რეჟისორიც იყო. რუსულმა პრესამ აღფრთოვანებული წერილები უძღვნა სპექტაკლს. განსაკუთრებით სტანისლავსკის მიერ შექმნილ სახეს ექიმ შტოკმანისა. 1901 წელს მოსკოვის მხატვრულმა თეატრმა გასტროლებზე ყოფნის დროს პეტერბურგის მთავრებულს უჩვენა ეს დადგმა. სპექტაკლს არნახული წარმატება ხედომია წილად და თავისებურ პოლიტიკურ დემონსტრაციად ქცეულა. მხატვრულმა თეატრმა, რომლის რეპერტუარში დიდხანს იყო „დოქტორი შტოკმანი“, 1908 წელს კვლავ განაახლა იგი.

რევოლუციამდელ პერიოდში „ხალხის მტერი“ წარმატებით მიდიოდა რუსეთის იმპერიის სხვა თეატრებშიც. მათ შორის აღსანიშნავია ხარკოვის დრამატული თეატრის დადგმა (1904), რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ი. შუვალოვი, იბსენის დრამატურგიის დიდი თაყვანისმცემელი და პროპაგანდისტი.

რევოლუციის შემდეგ ეს პიესა დადგა ოდესის თეატრმა (1922), ლენინგრადის დიდმა დრამატულმა თეატრმა (1941) და სხვ.

„ხალხის მტერი“ „ექიმი შტოკმანის“ სათაურით არაერთხელ დაუდგამს 1903—1905 წლებში ქართული დრამატული საზოგადოების დასს აკაკი წერეთლისა და კოტე მესხის რეჟისორობით. ამ დადგმაში მთავარ როლს კ. მესხი ასრულებდა. რეაქციის წლებში დრამატული საზოგადოების დასს მისი დადგმა აუკრძალავს და კვლავ მხოლოდ 1909 წელს დაუდგამთ. სწორედ „ექიმი შტოკმანით“ გახსნილა 1909 წლის 11 აპრილს „ახალი თეატრის“ სეზონი. იმ პერიოდში, როცა ქართული საზოგადოების დრამატულ დასს აუკრძალა „ექიმი შტოკმანის“ დადგმა, იგი წარმატებით მიდიოდა ქუთაისის თეატრში, რომელსაც ლადო ალექსი-მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. ქუთაისის თეატრის დასმა ეს სპექტაკლი უჩვენა ბათუმის და ზესტაფონის მთავრებლებსაც. რეაქციის პერიოდში „ექიმ შტოკმანს“ დგამდა თეატრალური ამხანაგობის დასი და სახალხო თეატრი. სახალხო თეატრმა რამდენჯერმე წარმოადგინა იგი ავლაბარში (1907 წ. ნოემბერში და 1909 წ. თებერვალში), ავჭალაში (1905 წ. 30 აპრილი, 1907 წ. 25 ნოემბერი, 1908 წ. 15 დეკემბერი) და ნაძალადევში (1911 წ. 15 აპრილი).

„ხალხის მტერს“ ანუ „ექიმ შტოკმანს“ ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. „კვალმა“ 1903 წლის ოცდამეთოთხმეტე ნომერში მოათავსა ვრცელი რეცენზია „ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი, კომედია 5 მოქმედებად „იბსენისა“, რომელსაც ხელს აწერს რაჟდენიძე პრ. (რაჟდენ არსენიძე). რეცენზიაში, რომელიც იწყება სიტყვებით „ძლივს ერთი იდეური პიესა, ძლივს ეღირსა საზოგადოებას ჩვენი სცენიდან ნამდვილი ცხოვრების სურათები, რომელნიც ახლო ხედებიან გულს და სულს, სწულებიან მის სიღრმეში, აღვიძებენ იქ აზრს, გრძობას, აღვლევებენ მას და

თქვენ სრულიად კმაყოფილი გამოდიხართ თეატრიდან“. — ექიმი შტოკმანი დახასიათებულია, როგორც „გატაცებული ცხოვრების გმირი, დაულალავი, შუადრეკელი მებრძოლი სიმართლისათვის“, რომელიც „ჭეშმარიტებას ყველაზე მაღლა“ აყენებს და „ებრძვის უსამართლობას და უკულმართობას, სადაც და როდესაც უნდა დაინახოს იგი“. მაგრამ ამასთანავე რეცენზენტი კარგად ამჩნევს და მართებულად აღნიშნავს სიმართლისათვის მებრძოლი შტოკმანის მთავარ ნაკლს, მის ინდივიდუალიზმს. „ექიმი შტოკმანი, — წერს იგი, — მის მაგიერ, რომ იმათგან (ხალხისაგან — დ. ლ.) შეგნებული ძალა შექმნას და მით ისარგებლოს, კმაყოფილდება ჭეშმარიტების აღმოჩენით და მარტოდმარტო ებრძვის მთელ საზოგადოებას. მართალია, ამ ბრძოლიდან ის ზნეობრივად გამარჯვებული გამოდის — მის მოწინააღმდეგეთ კი პირბადე ესდებათ და მთელი თავისი სულმდაბლური, ეგოისტური გრძნობებით თქვენ წინ იშლებიან, მაგრამ მისი შეცდომა იმაშია, რომ ის, როგორც გმირი, მარტოდმარტო გოდებს ქვეყნის გამკლავებას, არ ეძებს რეალურ საზოგადოებრივ ძალას, რომელმაც უნდა განახორციელოს ცხოვრებაში ჭეშმარიტების იდეალი. ის მხოლოდ ჭეშმარიტების ძლიერებაზე აშენებს თავის ციხე-სიმაგრეს, საიდანაც დევი უნდა დაესხას და თავზარი დასცეს ქვეყანას. და ჰიტიომ ის მარცხდება, მისი იდეები იჩაგრებიან“ („კვალი“ № 32).

საინტერესოა თეოფილე ხუსკივაძის წერილიც „წლევანდელი სათეატრო სეზონი ქუთაისში“ („ივერია“, 1905 წ., № 21). თ. ხუსკივაძე „ექიმ შტოკმანს“ იმ პიესების რიგში განიხილავს, რომლებიც „თავისი შინაარსით მოსწონს ხალხს, რადგან იქ გამოთქმული აზრები ხალხის უმეტესი ნაწილის გულის დარღ-ვარამებს, მათ მისწრაფებას გამოთქვამს“ და ლადო მესხიშვილის დამსახურებადაც იმას თვლის, რომ „ამგვარი პიესების დადგმით ის მისწრაფებანი და ხალხის გულის-თქმანი თავისი დასის ხელოვნური თამაშით განახორციელა და ღრმად ჩაბეჭდა მათს გონებაში“, რითაც ქუთაისის დრამატულმა დასმა „კიდევ უფრო გააღვივა ხალხის გულში აღგზნებული ახალი ცხოვრებისადმი მისწრაფებანი, აღძრა კეთილშობილური გრძნობანი ბოროტების დასაგმობად, ახალი ცხოვრებისათვის გზის გასაკაფაჟად“.

ქართულ ენაზე „ხალხის მტერი“ ანუ „ექიმი შტოკმანი“ იდგმებოდა ივანე პოლუმორდინოვის თარგმანის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ მოამბეში (1903 წ. № 4—8).

იბსენის თხზულებათა ამ ერთტომეულისათვის „ხალხის მტერი“ თარგმნა ა. გელოვანმა.

გვ. 759 ვიკინგი — ძველსკანდინავიელი მეომრები და მეკობრეები, რომლებიც ხშირად მეკობრეობასთან ერთად ვაჭრობდნენ კიდევ, VIII საუკუნის და-

სასრულიდან XI საუკუნემდე ვიკინგები თავიანთი ნაგებობით ხშირად ესხმოდნენ თავს ზღვების და მდინარეების პირას მდებარე ქვეყნებს ევროპაში და არბუდნენ მათ.

გვ. 827 პომერანია — საპერცოგო, 1945 წლიდან კი პრუსიის პროვინცია. მდებარეობს ბალტიის ზღვის სანაპიროზე. მთავარი ქალაქია შტეტინი.

## ჰედა გაბლერი

„ჰედა გაბლერი“ იბსენმა 1890 წელს დაწერა და იმავე წლის ბოლოს გამოაქვეყნა. 1891 წლის თებერვალში პიესა დადგა ნორვეგიის ეროვნულმა თეატრმა, რომელმაც იბსენის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე, 1891 წლის 28 აგვისტოს, სწორედ ეს პიესა წარმოადგინა. „ჰედა გაბლერი“ 1891 წელსვე დადგეს შვეციის, დანიისა და გერმანიის თეატრებმა. პიესას, რომელიც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის თეატრმა დადგა, დიდი წარმატება ხვდა ამერიკაშიც.

რუსეთში პირველად „ჰედა გაბლერი“ პეტერბურგის მიხაილოვსკის თეატრის ფრანგულმა დასმა წარმოადგინა 1892 წელს, ხოლო 1898 წელს ეს პიესა საგასტროლოდ ჩამოსულმა იტალიურმა დასმა უჩვენა პეტერბურგელ მკურებელს.

რუსულ ენაზე იგი პირველად მოსკოვის მხატვრულმა თეატრმა დადგა კ. ს. სტანისლავსკის რეჟისორობით 1899 წელს. თეატრალურმა კრიტიკამ მნიშვნელოვნად ჩათვალა ეს სპექტაკლი და განსაკუთრებით აღნიშნა ანდრეევასა და მასკოინის თამაში, რომელთაგან პირველი ჰედა გაბლერის როლს ასრულებდა, ხოლო მეორე — ტესმანისა. ამ სპექტაკლში ლევბორგის როლს კ. ს. სტანისლავსკი ასრულებდა.

1904 წელს „ჰედა გაბლერი“ ხარკოვის დრამატულ თეატრს დაუდგამს, ხოლო 1906 წელს ვ. ე. შეიერპოლდის რეჟისორობით პეტერბურგის კომისარჟევსკიას თეატრს უჩვენებია, მაგრამ სპექტაკლი მკურებელს ციყად მიუღია. სამაგიეროდ პეტერბურგელი მკურებელი აღტაცებაში მოუყვანია 1905 წლის 23 იანვარს საგასტროლოდ ჩამოსულ ცნობილ ფინელ მსახიობ ქალს იდა ალბერგს.

1907 წელს იბსენის ეს ნაწარმოები კიევიშიც დაუდგამთ, სოლოვცოვის თეატრში, ხოლო 1916 წელს მოსკოვის მცირე თეატრს წარმოუდგენია.

ქართულ სცენაზე, რამდენადაც ცნობილია, „ჰედა გაბლერი“ არ დადგმულა, თუმცა არსებობდა ამ პიესის ვ. გუნიასეული თარგმანი.

ამ ერთგომეულში შეტანილია ა. გელოვანის თარგმანი, რომელიც 1961 წელს იყო გამოცემული.

გვ. 865 შუასაუკუნეების ბრახანტული ხელოსნობის შე-



ს ა ს ე ბ — ბრაზანტი — სამხრეთ-დასავლეთ ევროპის მხარე. შუასაუკუნეების ნა-  
დერლანდიაში რეეოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი. ბრაზანტი განთქმული  
ყოფილია ტილოს, შალის და ტყავის ნაწარმით. განსაკუთრებით კი მაღალი ხარისხის  
აარშიით.

გვ. 904 ო რ ტ ლ ე რ ი ს ქ ე დ ე ბ ი მ ე რ ა ნ თ ა ნ — ორტლერი — მწვერვალი  
ტიროლში, — მერანი (მერანო) — ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც  
ავსტრიის საზღვართან მდებარეობს.

გვ. 905 ა მ ქ ე ც ო ს ს ე ო ბ ა — ჩრდილოეთ იტალიაშია.

გვ. 906 ბ რ ე ნ ე რ ი ს მ თ ა — ყველაზე დაბალი, ადვილგადასასვლელი  
წითა ალპებში ჩრდილოეთ ევროპიდან სამხრეთისაკენ მიმავალ გზაზე.

დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე

## ს ა რ ჩ ე ვ ი

კენრიკ იბსენი (შესავალი წერილი დავით ლაშქარაძისა)	5
ბ რ ა ნ დ ი	25
პ ე რ ბ უ ნ ტ ი	
ნორა ანუ თოჯინების სახლი	581
მ თ რ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი	669
ხ ა ლ ხ ი ს მ ტ ე რ ი	745
ქ ე ლ ა ბ ა ბ ლ ე რ ი	855
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი (დ. ლაშქარაძისა)	958

გამომცემლობის რედაქტორი ელისო ბეწუკელი  
მხატვრული რედაქტორი დავით დუნდუა  
ტექნიკური რედაქტორი ციცილო შველიძე  
კორექტორი მანანა ამისულაშვილი  
გამომშვები ნოე მაქარაშვილი

გადაეცა წარმოებას 24/III-73 წ. ხელმოწერილია და-  
საბეჭდად 1/IV-74 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1 ზომა  
50×84<sup>1</sup>/<sub>8</sub>, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 56,73+1 ც.  
ჩაკერა 0,12, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 43,98  
ტირაჟი 50.000 შეკვ. № 374.

ფასი 8 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-  
თა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სა-  
ხელმწიფო კომიტეტის შთავარბოლიგრაფმრეწველობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, კამოს ქ. № 18

Комбинат печати Главолиграфпрома Государ-  
ственного комитета Совета Министров Грузинской  
ССР по делам издательства, полиграфии и кни-  
жной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.